ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

მესამე სემესტრის დოქტორანტი

გიორგი ბადრიძე

სადოქტორო სემინარი 2

უინსტონ ჩერჩილის ერთი გადაწყვეტილების გეოპოლიტიკური შედეგები

(ბრიტანული ფლოტის გადასვლა თხევად საწვავზე და ბრიტანული ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში პირველი მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. სერგი კაპანაძე

თბილისი

2018

უინსტონ ჩერჩილის ერთი გადაწყვეტილების გეოპოლიტიკური შედეგები

(ბრიტანული ფლოტის გადასვლა თხევად საწვავზე და ბრიტანული ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში პირველი მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ)

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აჩვენოს კავშირი ბრიტანული ფლოტის ქვანახშირიდან თხევად საწვავზე გადაყვანის გადაწყვეტილებას და პირველი მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ ნავთობით მდიდარ რეგიონებზე ბრიტანეთის მიერ კონტროლის დამყარებისკენ მიმართულ სტრატეგიას შორის.

ავტორის აზრით, ტექნოლოგიის განვითარებამ, რომლის შედეგადაც ორთქლის მანქანებზე დაფუძნებული ეკონომიკა, სამოქალაქო და სამხედრო მრეწველობა და ტრანსპორტი თხევად საწვავზე (ნავთობზე და მის პროდუქტებზე) გადავიდა, უშუალო გავლენა იქონია წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ ინტერესებზე და საერთაშორისო სისტემაში ახალი ტიპის საერთაშორისო კონკურენცია გამოიწვია.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი (თუმცა არა ერთადერთი) მიზეზი, რის გამოც ბრიტანეთმა თავისი მზერა ახლო აღმოსავლეთისკენ და კავკასიისკენ მიაპყრო. შედეგი საიქს-კიპოს შეთანხმებით ბრიტანეთის მიერ არაბული ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილზე ხანგრძლივი პერიოდით კონტროლის დამყარება და ასევე სამხრეთ კავკასიაში მოკლევადიანი სამხედრო და პოლიტიკური ინტერვენცია იყო.

ტექნოლოგიების როლი ისტორიაში და საერთაშორისო ურთიერთობებში

ტექნოლოგია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კაცობრიობის ისტორიას. ერთის მხრივ, ტექნოლოგია ადამიანის გონის ნაყოფია - მას ჩვენ ვქმნით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი იარაღი, ხელსაწყო ან პროცესი გამოგონებულია, ტექნოლოგია თავის მხრივ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე და ზოგჯერ ისტორიის რადიკალურად შეცვლა შეუძლია. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია უძველესი დროიდან დღემდე ისტორიული ეპოქების დაყოფა ტექნიკური თუ ტექნოლოგიური სიახლეების მიხედვით: პალეოლითი (ქვის ხანა), რომლის დროსაც ადამიანის უმთავრეს იარაღს ქვის გამოყენებით დამზადებული მოწყობილობები წარმოადგენენ (ქვის საფხეკი, ხელცული, ცული, შუბის და ისრის პირები და ა.შ); ენეოლითი, რომლის დროსაც ქვის იარღებთან ერთად პირველად ჩნდება მეტალის გამოყენების პრაქტიკა (უმეტესად სპილენძი); ბრინჯაოს ხანა, როდესაც მეტალურგია მეტად ვითარდება და საქმე უკვე ადამიანთა მიერ ცივილიზაციების და ხშირ შემთხვევებში - სახელმწიფოების შექმნასთან გვაქვს, ამ პერიოდს უკავშირდება პირველი იმპერიების შექმნა: შუამდინარეთში, ეგვიპტეში; ინდოეთსა და ჩინეთში; რკინის ხანა, რომლის დროსაც ადამიანის მიერ შექმნილი იარაღი, მექანიზმები და მოწყობილობები მათ მფლობელებს კიდევ უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებს (რომის იმპერია) და ა.შ.

ზემოხსენებული ხანების პერიოდში კაცობრიობის ყოფაცხოვრება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა განვითარების წინა ფაზებისგან და ადამიანთა ის ჯგუფები, რომლებიც პირველნი ეუფლებოდნენ ახალ ტექნოლოგიას, უდიდეს უპირატესობას იღებდნენ რესურსებისთვის (და ერთმანეთთან) ბრძოლაში[1].

დღევანდელ მსოფლიოშიც ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სახელმწიფოების სიძლიერეს და საზოგადოებების წარმატებას. როგორც უძველეს წარსულში, სახელმწიფოების დიდი ნაწილი ერთმანეთთან კონკურენციის მდგომარეობაში რჩებიან. ის ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ პრეტენზია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში განსაკუთრებულ ადგილზე, უკლებლივ

[1] Buchanan, Robert, (1998)

ყველანი თავდაცვითი თუ სხვა ტექნოლოგიების დახვეწას ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტად მიიჩნევენ[2].

ნავთობის როლი გასული საუკუნის ეკონომიკაში და გეოპოლიტიკაში

თამანედროვე სამყარო დიდწილად დამოკიდებულია ენერგიის წყაროებზე და მიუხედავად მრავალი ახალი აღმოჩენისა, რომლებიც განახლებად ენერგიას (ქარის, მზის და ა.შ.) უფრო ხელმისაწვდომს ხდის, ნავთობის და ნავთობპროდუქტების როლი მსოფლიოს ეკონომიკაში და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულიად კრიტიკულია. ნავთობის და მისგან მიღებული სხვა საწვავის (ბენზინი, დიზელი, მაზუთი და ა.შ.) ფასი გავლენას ახდენს ყველა სხვა პროდუქტის და მომსახურების ფასზე და ძალიან ხშირად სახელმწიფოების პოლიტიკაზეც. მასზე დიდწილადაა დამოკიდებული მსოფლიოს მთავარი ვალუტის - აშშ დოლარის ფასი[3] და შესაბამისად, გაცვლითი კურსი ყველა სხვა ქვეყნის ვალუტასთან[4]. ბოლო ასი წლის განმავლობაში სახელმწიფოები ნავთობის სტაბილურ მოწოდებას ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხად განიხილავენ და მის გამო ზოგჯერ ერთმანეთს პოლიტიკურად და სამხედრო ძალით უპირისპირდებიან[5].

მაგრამ რატომ და როდის შეიძინა ნავთობმა ასეთი მნიშვნელობა? ამაზე პასუხი პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიურ განვითარებასთან და ასევე ერთი პოლიტიკოსის გადაწყვეტილებასთან, რომელმაც სხვებზე ადრე განჭვრიტა, რომ მომავალი ნავთობთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს ეკუთვნოდა. ეს 1912 წელს მოხდა და ეს ადამიანი უინსტონ ჩერჩილი იყო - იმ დროს ბრიტანეთის იმპერიის საადმირალოს პირველი ლორდი, ანუ საზღვაო ფლოტის მინისტრი.

---

[2] Kadtke, James and Wharton, John, (2018)

[3] Gue, Eliot (2018), ის,თუ რამდენად პირდაპირია აშშ დოლარის და ნავთობის ფასის კორელაცია, დღემდე დავის საკითხად რჩება, თუმცა კავშირს არავინ უარყოფს (გ.ბ.)

[4] Farley, Alan, (2018).

[5] Månberger, André, (2014)

ტექნოლოგიურმა პროგრესმა, უამრავმა ახალმა სამეცნიერო და საინჟინრო აღმოჩენამ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა მსოფლიოში მოწინავე გახადა და შედეგად ის ყველაზე ძლევამოსილ იმპერიად აქცია. ამ პროცესს ინდუსტრიული რევოლუცია ერქვა[6]. მოკლე დროში მოხდა ახალი ტიპის დანადგარების, მექანიზმების და მანქანების გამოგონება, რამაც გარდაქმნა წარმოება და ტრანსპორტი და ბრიტანულ მრეწველობას და ბიზნესს სრულიად ახალი შესაძლებლობები გაუჩინა. მანქანა-დანადგარების დახმარებით გაიზარდა წარმოების მოცულობა და შემცირდა მისი თვითღირებულება, ხოლო ტრანსპორტის ახალი სახეობების შემოღებით შესაძლებელი გახდა საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის შორ მანძილებზე უფრო სწრაფად და იაფად გადატანა. ასევე განვითარდა და დაიხვეწა სამხედრო შეიარაღება[7].

ამ გამოგონებათა შორის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ორთქლის მანქანა იყო, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბრიტანეთში შექმნეს, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ის უკვე ფართოდ გამოიყენებოდა მრეწველობაში. თავდაპირველად ის სტაციონალურ მოწყობილობას წარმოადგენდა, რომელმაც ორთქლით მომუშავე დგუშების მეშვეობით ქარის და წყლის წისქვილები ჩაანაცვლა და ქარხნები და ფაბრიკები ახლებურად აამუშავა.[8]

ორთქლის მანქანამ მართლაც რევოლუციური ფუნქცია მაშინ შეიძინა, როდესაც მისი გამოყენება ტრანსპორტში დაიწყეს. ის გადაიქცა ტრანსპორტის ახლადგამოგონებული სახეობის - რკინიგზის გულად. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ორთქლმავალი მატარებლის მთავარი აგრეგატი გახდა და შესაძლებელი გახადა ხმელეთზე დიდი ტვირთების გადატანა. მაგრამ მისი როლი კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდა ბრიტანული ფლოტისთვის, რადგან ორთქლის მანქანების გამოყენებამ გემებზე ბრიტანული საზღვაო ძალები დიდი ხნის

[6] Ashton, T.S., (1998)
[7] Allen, Robert C., (2006)
[8] Ashton, T.S., (1998) pp. 2-4

გამნავლობაში უკონკურენციოდ აქცია. თუ აქამდე იალქნიანი გემების ნავიგაცია ქარზე იყო დამოკიდებული, ორთქლის ძრავებმა ისინი ბევრად უფრო სწრაფი და მობილური გახადა[9].

ამგვარად, ტექნოლოგია ეკონომიკის და სამხედრო სიძლიერის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. შესაბამისად, ტექნოლოგიური უპირატესობის მიღწევა და შენარჩუნება ბრიტანეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხად აღიქმებოდა და ბრიტანეთის მთავრობის ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიურო პროგრესი მხოლოდ ბრიტანეთის მონოპოლია არ ყოფილა. მნიშვნელოვანი გამოგონებები და აღმოჩენები სხვა მოწინავე ქვეყნებშიც ხდებოდა, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში. ბრიტანეთს ორივე ქვეყასათან უმეტესად კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის ისინი მოკავშირეები იყვნენ. სულ სხვა ვითარება იყო გერმანიასთან, რომელიც ერთიან სახელმწიფოდ 1871 წელს ჩამოყალიბდა. ამ დროისთვის ბრიტანეთს და სხვა ევროპულ იმპერიებს მეტნაკლებად გადანაწილებული ჰქონდათ მსოფლიო გავლენის სფეროებად და კოლონიებად, ამიტომ ახალგაზრდა და ძლიერი გერმანული სახელმწიფოს ამბიციები ბრიტანეთმა საშიშროებად აღიქვა.

1898 წელს გერმანიამ სამხედრო ფლოტის ფორსირებული შექმნა დაიწყო, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის ის ბრიტანეთს აქტიურად ეპაექრებოდა და მისი ფლოტი უკვე ანგარიშგასაწევი ძალა გახდა[10].

უკვე გასაგები ხდებოდა, რომ ახალი დიდი ომი, რომელშიც გერმანია და მისი მოკავშირეები ევროპის დანარჩენ ქვეყნებს დაუპირიპირდებოდნენ, გარდაუვალი იყო.

---

[9] Baylis, John, (2016) pp. 40-41
[10] Padfield, Peter, (2005) pp 8-9.

ჩერჩილის გადაწყვეტილება ბრიტანული ფლოტის თხევად საწვავზე გადაყვანის შესახებ

სწორედ ამ დროს, 1911 წელს ბრიტანული საზღვაო ფლოტის მინისტრად დაინიშნა ახალგაზრდა ამბიციური პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი. ჩერჩილმა მემკვიდრეობად მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლევამოსილი სამხედრო ფლოტი მიიღო, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ გერმანია უკვე სერიოზული კონკურენტი ხდებოდა და თან ყველაზე სწრაფად ზრდიდა სამხედრო შეიარაღებას, მათ შორის საზღვაო ძალებს.

სულ ცოტა ხნით ადრე, 1906 წელს, ბრიტანეთის ფლოტმა უკვე გადადგა ნაბიჯი, რომელმაც, მკვლევართა ნაწილის აზრით, დასაბამი მისცა მეოცე საუკუნის პირველ საერთაშორისო შეჯიბრს გამალებულ შეიარაღებაში: საზღვაო ძალებმა შეიარაღებაზე მიიღო ახალი კლასის საბრძოლო ხომალდი „დრედნოტი“, რომელსაც ამ დროისთვის მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა[11]. თუმცა მხოლოდ მეტოქეებზე უფრო დიდი ზომა, მეტი ჯავშანი და საცეცხლე შესაძლებლობების უპირატესობის გარანტია დიდი ხნით ვერ იქნებოდა - დრედნოტი კვლავაც ქვანახშირის საწვავზე იყო დამოკიდებული.

წინა საუკუნეში ქვანახშირზე მომუშავე ორთქლის ძრავები სრულიად რევოლუციურ ტექნოლოგიად ითვლებოდა და ბრიტანულ ფლოტს უდიდესი უპირატესობა მისცა, მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისში ყველა მეტნაკლებად განვითარებული ქვეყნის გემები ორთქლის მანქანებით იყო აღჭურვილი და ეს უპირატესობაც იკარგებოდა[12]. გერმანული საფრთხის პასუხად, რომელსაც შეეძლო ზღვებზე ბრიტანული ბატონობა დაესრულებინა, ჩერჩილმა გადაწყვიტა ისევ

[11] Edwards, Giles, (2014)
[12] Baylis, John (2016)

ტექნოლოგიისთვის მიემართა და ამგვარად უზრუნველეყო სამხედრო უპირატესობის შენარჩუნება[13].

როგორც უკვე აღინიშნა, ქვანახშირზე მომუშავე ორთლის მანქანის ტექნოლოგია მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის უკვე საკმაოდ მოძველდა. რა თქმა უნდა, ის შეუდარებლად უფრო ეფექტური იყო, ვიდრე იალქნები, მაგრამ თავიდანვე ჰქონდა გარკვეული ნაკლოვანებები. პირველ რიგში ეს იყო დიდი რაოდენობის მყარი საწვავის - ქვანახშირის თან ტარების აუცილებლობა. გემის საბარგო განყოფილების დიდი ნაწილი ამიერიდან კომერციული (ან სამხედრო) ტვირთის ნაცვლად ნახშირს ეკავა. ამასთანავე, საცეცხლურის მომსახურებას დამატებითი მუშა-ხელი სჭირდებოდა, რომლებსაც სხვა არაფერი უნდა ეკეთებინათ, გარდა საცავებიდან ნახშირის ცეცხლში განუწყვეტლად შეკეთებისა. გარდა იმისა, რომ ეს უმძიმესი შრომა იყო, ფლოტს მეზღვაურების დეფიციტიც გაუჩნდა[14].

ნახშირთან ლოგისტიკური პროგლემებიც იყო დაკავშირებული - ის ყველგან არ მოიპოვებოდა, ხოლო ღია ზღვაში საწვავის გემიდან გემზე გადატვირთვა შეუძლებელი იყო. ასე რომ, თუ გემს ღია ზღვაში საწვავი გაუთავდებოდა, ის უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. შედეგად, ფლოტის საშუალოდ ერთ მეოთხედს ზღვის ნაცვლად პორტებში ყოფნა უწევდა, ქვანახშირის შესავსებად[15].

მეცხამეტე საუკუნის ბოლოდან გავრცელება დაიწყო ძალოვანი დანადგარის ახალმა ტიპმა - შიდა წვის ძრავამ. თავიდან მის გამოყენებას სერიოზულად არც აღიქვამდნენ და პირველი ავტომობილები, რომელბშიც ამგვარი ძრავები გამოიყენეს, უფრო გასართობ საშუალებას წარმოადგენდნენ, ვიდრე ტრანსპორტს.

შიდა წვის ძრავები ახალი ტიპის თხევად საწვავზე მუშაობდნენ - ნავთობისგან მიღებულ ბენზინზე და სოლარის ზეთზე - ანუ დიზელზე. მართალია მანქანებმა და

---

[13] Dahl, Erik J., (2000) გვ. 51
[14] Ibid.
[15] Ibid.

ახალი ტიპის ძრავების დანერგვამ საწარმოებში ნავთობზე გარკვეული მოთხოვნა გააჩინა, მაგრამ ის ჯერ არ წარმოადგენდა სტრატეგიულ ნედლეულს, როგორიც ის სულ რამდენიმე წელში გახდა. ამ დროს მსოფლიოში სულ რამდენიმე რეგიონი იყო, სადაც ნავთობის კომერციული მოპოვება ხდებოდა. ბრიტანეთისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მომწოდებელი ირანი გახლდათ, სადაც ბრიტანულ-ირანული კომპანიები ოპერირებდნენ[16].

ასევე დიდ როლს თამაშობდა რუსეთის იმპერიის კონტროლს ქვეშ მყოფი ბაქო, საიდანაც მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი მილსადენით ნავთი ბათუმში ხვდებოდა, ხოლო იქიდან გემებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში იგზავნებოდა. ბაქოს ნავთობი ამ დროს მსოფლიო მოპოვების მესამედს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ბაქოს ნავთობის მოპოვებაში და მის ექსპორტში საერთაშორისო კომპანიები თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართულნი და უცხოური კაპიტალი ბაქოს ოპერაციების უმთავრეს ინვესტორებს წარმოადგენდა[17].

ყველფერი შეიცვალა, როცა 1912 წელს ჩერჩილმა ბრიტანული ფლოტის თხევად საწვავზე გადაყვანა და მერე შიდა წვის ძრავების დანერგვა გადაწყვიტა[18]. უპირატესობა სრულიად აშკარა იყო: ორთქლის ძრავის გამოცვლის გარეშეც კი, ნავთობის საწვავად გამოყენება უფრო ხელსაყრელი იყო, რადგან ის ქვანახშირზე მეტ ენერგიას იძლეოდა, გემზე ნაკლებ ადგილს იკავებდა, არ საჭიროებდა მეზღვაურების მოცდენას საცეცხლურთან და ასევე გემზე მისი ჩატვირთვაც ბევრად უფრო ადვილი იყო როგორც ხმელეთზე, ისე შუა ზღვაში - ტანკერიდან. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება უინსტონ ჩერჩილის პირად ახირებას ან მის ინდივიდუალურ გენიალობას არ უკავშირდება - თხევად საწვავზე გადასვლა ფლოტის სტრატეგოსების დიდი ხნის იდეა იყო, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ საადმირალოს ხელმძღვანელობისგან, რომ გერმანელების მიერ ახლადშექმნილი Tirpitz-კლასის

[16] Metz, Helen Chapin, ed. (1988)
[17] Mirzoeva, Tarana, (2013)
[18] Dahl, Erik J., (2000), გვ. 52

საბრძოლო ხომალდებისთვის დაეპირისპირებინათ ახალი, ბევრად უფრო სწრაფმავალი ბრიტანული ხომალდები.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა Queen Elisabeth-ის კლასის საბრძოლო გემების შექმნა, რომლებიც მხოლოდ თხევად საწვავზე იყო გათვლილი. ჩერჩილის წინამორბედები ამგვარ ცვლილებას საკმაო ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ და თავდაპირველად არც ის იყო აღსავსე ენთუზიაზმით, რადგან შედეგები მართლაც უკიდურესად შორს მიმავალი იყო[19].

საბრძოლო გემების სისწრაფის, მანევრულობის და პორტში შემოუსვლელად ზღვაში ყოფნის ვადის გაზრდა ბრიტანეთისთვის უეჭველად დიდ უპირატესობას მოასწავლიდა, თუმცა ჩერჩილს ერთი უმნიშვნელოვანესი დილემა უნდა გადაეწყვიტა, რაც მის წინამორბედებს აფერხებდა: ამ დროისთვის ბრიტანეთი ქვანახშირის მსხვილი მომპოვებელი ქვეყანა იყო, ხოლო საკუთარი ნავთობი საკმარისი რაოდენობით არ ჰქონდა - მის კოლონიებში წარმოებული ნავთობი მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ ფარავდა, რის გამოც ის ამ დროისთვის აშშ-იდან და სხვა უცხო ქვეყნებიდან იმპორტზე 75%-ით იყო დამოკიდებული[20] (ნავთობის საბადოები შოტლანიის სანაპიროსთან ჯერ არ იყო აღმოჩენილი). ლოგისტიკური პრობლემების გარდა ბრიტანეთს არანაირი გარანტია არ ჰქონდა, რომ აშშ-სა და ბრიტანეთის ინტერესების დაპირისპირების შემთხვევაში ის გააგრძელებდა ამერიკული ნავთობის მიღებას - აშშ ამ დროისთვის თავად ავითარებდა საზღვაო ფლოტს და შესაძლებელი იყო, რომ გარკვეულ პირობებში ბრიტანეთის კონკურენტი გამხდარიყო.

ზოგადად, ფლოტზე ნავთობპროდუქტების საწვავად გამოყენების პრეცედენტი უკვე წლების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ ეს მხოლოდ

[19] Dahl, Erik J., (2000), გვ. 53.
[20] Bell, Chritopher, (2000), გვ, 50-51.

მცირერიცხოვან წყალქვეშა ნავებზე და სწრაფმავალ გამანადგურებლებზე ხდებოდა, სრულად ფლოტის ახალ საწვავზე გადაყვანას კი უდიდესი შედეგების მოყვებოდა.

ამიტომ ჩერჩილის გადაწყვეტილება მეტად სარისკო იყო. ერთის მხრივ, ნავთობზე მომუშავე ორთლის მანქანები გემებს უფრო დიდ სიწრაფეს აძლევდა, რაც საბრძოლო მოქმედებებისთვის მთავარი უპირატესობაა (რომ არაფერი ვთქვათ ახალი ტიპის შიდა წვის ძრავებზე, რომლებიც კიდევ უფრო სწრაფი იყო), მაგრამ მეორეს მხრივ, ომის პირობებში მტერს შეეძლო გადაეჭრა ნავთობის მოწოდების გზები და ბრიტანული ფლოტი საერთოდ საწვავის გარეშე დარჩებოდა.

ჩერჩილმა გადაწყვეტილება ენერგეტიკის, ფლოტის და სამხედრო საქმის სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო და ბრიტანეთი მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომლის ფლოტიც თხევად საწვავზე გადავიდა. სულ ორ წელიწადში, 1914 წელს ბრიტანეთის მაგალითი ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც გაიზიარა და შესაძლოა, ამით მოახლოებული პირველი მსოფლიო ომის ბედიც გადაწყდა, ან სულ მცირე, მის შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა[21].

თხევად საწვავზე გადასვლის შედეგები

ჩერჩილის გადაწყვეტილების პირველი შედეგი ჯერ კიდევ ომამდე დადგა. საჭირო გახდა ნავთობის სტაბილური მოწოდების უზრუნველყოფა ახლო აღმოსავლეთიდან. ამისთვის ბრიტანულმა მთავრობამ ხელსაყრელი კონტრაქტები გაუფორმა კერძო კომპანიებს, პირველ რიგში Anglo-Persian-ს, თუმცა მის ისეთ კონკურენტებთანაც თანამშრომლობდა, როგორიც იყო კომპანია Royal Dutch Shell. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალმილიონიანი კონტრაქტებისა, რომელიც ჩერჩილს და მის მთავრობას უნდა დაემტკიცებინა, მისი გადაწყვეტილებები არასდროს იყო ნაკარნახევი კომერციული ან მით უმეტეს პირადი

[21] Padfield, Peter, (2005) pp. 32-35.

ინტერესით - ჩერჩილის კრიტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ მას არასოდეს უცდია ამ უზარმაზარი გარიგებებიდან რაიმე პირადი სარგებელი ენახა.

ძნელად წარმოსადგენია, რომ უბრალო დამთხვევაა ის ფაქტი, რომ ჩერჩილის ხსენებული გადაწყვეტილებისთანავე ოსმალეთის ტერიტორიაზე იქმნება ბრიტანულ კაპიტალთან უშუალოდ დაკავშირებული ახალი ნავთობის კომპანია The Turkish Petroleum Company, რომლის მთავარ მიზანს მომავალი ერაყის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვება და მისი ბრიტანეთისთვის მიწოდება იყო. კომპანიას ბრიტანეთის ინტერესებში მოქმედი გალუსტ გულბეკიანი ხელმძღვანელობდა[22]. კომპანიას მოგვიანებით სახელი გადაერქვა და Iraq Petroleum Company გახდა.

ამგვარად, 1912 წელს, პირველ მსოფლიო ომამდე ორი წლით ადრე,ბრიტანული ფლოტი ნავთობის საწვავზე გადადის და ამით მეტ სისწრაფეს და მანევრულობას იძენს. ამით ის მოიპოვებს უპირატესობას პოტენციური მოწინააღმდეგეების მიმართ, ინარჩუნებს ზღვაზე ბატონობას, რაც მომავალ ომში გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობა ხდება.

მაშინვე ჩნდება აუცილებლობა ნავთობის უწყვეტი მოწოდების სისტემის შესაქმნელად, რისთვისაც გარდაუვალი გახდა ნავთობმომპოვებელ რეგიონებზე ბრიტანული გავლენის გავრცობა. ასეთი რეგიონი კი ახლო აღმოსავლეთი იყო, რომლის დიდი ნაწილი, მათ შორის დღევანდელი ერაყი და კუვეიტი, ასევე არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილი (უმეტესად სანაპირო ზოლი) ამ დროისთვის ოსმალეთის იმპერიის კონტროლს ქვეშ იმყოფებოდა.

საიქს-პიკოს შეთანხმება

ამ ვითარებამ დიდწილად განსაზღვრა ბრიტანეთის სტრატეგია პირვლი მსოფლიო ომის მსვლელობაში. მისი მიზანი, უეჭველად, პირველ რიგში ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ომში გამარჯვება იყო, მაგრამ შემთხვევითი არ იყო, რომ

[22] Metz, Helen Chapin, ed. (1988)

ბრიტანული სამხედრო ძალების და დაზვერვის ინტერესის ობიექტად ოსმალეთის ახლო აღმოსავლური ტერიტორიები იქცნენ. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის საბადოებზე კონტროლოს დამყარება ავტორს არ მიაჩნია საიქს-პიკოს საიდუმლო შეთანხმების დადების ერთადერთ, ან თუნდაც ყველაზე მთავარ მიზეზად, თუმცა თვლის, რომ ამ შეთანხმების კონტექსტში ნავთობისადმი ბრიტანელების ინტერესი სამეცნიერო თუ ისტორიულ ლიტერატურაში არასაკმარისადაა შეფასებული[23].

ეგრეთ წოდებული „საიქს-პიკოს“ საიდუმლო შეთანხმება[24] დაიდო ბრიტანეთის იმპერიასა და საფრანგეთს შორის 1916 წლის 16 მაისს. მისი პირობების შესახებ მოლაპარაკება 1915-16 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მისი პირობები ბრიტანელმა დიპლომატმა მარკ საიკსმა და მისმა ფრანგმა კოლეგამ ფრანსუა ჟორჟ პიკომ შეათანხმეს. შეთანხმებას მოგვიანებით რუსული მხარე შეუერთდა და მას საიკს-პიკო-საზონოვის სახელი ერქვა, სანამ რუსეთი ანტანტას არ გამოეთიშა 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად. შეთანხმების შესახებ პირველად სწორედ რუსეთიდან გახდა ცნობილი, სადაც მისი ტექსტი ბოლშევიკებმა 1917 წლის ნოემბერში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე გამოაქვეყნეს გაზეთებში „პრავდა“ და „იზვესტია“, ხოლო რამდენიმე დღეში მის შესახებ უკვე ბრიტანული „გარდიანი“ წერდა.

შეთანხმებამ განსაზღვრა ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის ოსმალეთის მიერ კონტროლირებადი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიების გადანაწილება პირდაპირი

[23] ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ხაზს უსვამს ბრიტანეთის ინტერესს, რომ ახლო აღმოსავლეთზე კონტროლის დამყარების მეშვეობით ერთგვარი უსაფრთხოების ფარი შეუქმნას მის მთავარ კოლონიურ მონაპოვარს - ინდოეთს.

[24] შეთანხმების ოფიციალურ სახელს წარმოასდგენდა „მცირე აზიის შეთანხმება“ – „Asia Minor Agreement”.

კონტროლის და გავლენის სფეროებად[25] (შეთანხმებით გაყოფილი ტერიტორიების რუკა თან ერთვის - გვ. 15).

აქ აღსანიშნავია, რომ ხსენებულ შეთანხმებას ბევრი გაუთვალისწინებელი შედეგიც მოყვა და ახლო აღმოსავლეთში მას ხშირად ყველა თანამედროვე პრობლემის მიზეზადაც მიიჩნევენ[26].

ბოლო წლებში თურქეთში შეთანხმების ისტორიულ მნიშვნელობაზე ახალი ძალით უმაღლესი პოლიტიკური ტრიბუნიდანაც კი ალაპარაკდნენ. მაგალითად პრეზიდენტმა ერდოღანმა ის რეგიონში არსებული კონფლიქტების მთავარ მიზეზად მოიხსენია და დაიქადნა, რომ აღარ დაუშვებს ახალი „ლოურენს არაბიელების“ თარეშს ახლო აღმოსავლეთში[27]. „ლოურენს არაბიელის“ - იგივე თომას ედვარდ ლოურენსის - ბრიტანელი აღმოსავლეთმცოდნე არქეოლოგის და სამხედრო დაზვერვის ოფიცრის ამ კონტექსტში მოხსენიება ბოლომდე სამართლიანი. მართალია, მან დიდი წვლილი შეიტანა არაბი მეამბოხეების მიერ ოსმალეთის იმპერიული ძალების დამარცხებაში, მაგრამ ომის დასრულების შემდეგ ბრიტანეთის პოლიტიკა რეგიონის მიმართ ლოურენსის წარმოდგენისგან რადიკალურად განსხვავდებოდა.

თუმცა თურქეთში 1915 წლის სევრის ხელშეკრულება კიდევ უფრო მტკივნეულად ახსოვთ, რადგან მის თანახმად ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე თურქეთისთვის კიდევ უფრო პატარა ადგილი იყო დატოვებული, ვიდრე საიქს-პიკოს შეთანხმებით, რომელმაც სევრის ხელშეკრულება

[25] შეთანხმებასთან შეერთების შემდეგ რუსეთის კონტროლს ქვეშ გადადიოდა კონსტანტინოპოლი, სრუტეები და ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. თუმცა რევოლუციის შედეგად რუსეთი ხელშეკრულებას გამოეთიშა.
[26] Morris, Harvey, (2016)
[27] Hurriet Daily News, (2014)

რუკა 1.

The Sykes-Picot Agreement of 1916
for the Partition of the Middle East
BLACK SEA
CASPIAN SEA
Samsun
Trebizond
Ankara
Sivas
Erzurum
A N A T O L I A
Lake Van
Konia
Bitlis
Tabriz
Diabekr
Lake Urmia
Mardin
Urfa
Mersin
Adana
Alexandretta
Mosul
Rowanduz
Aleppo
P E R S I A
Latakia
Kirkuk
CYPRUS
Hamadan
Homs
Euphrates River
Tigris River
Kermanshah
MEDITERRANEAN SEA
Beirut
Damascus
Baghdad
Akko
Haifa
Karbala
Jaffa
Najaf
Jerusalem
Amman
Gaza
Basra
EGYPT
A R A B I A
Eilat
Aqaba
Jauf
Kuwait
PERSIAN GULF
RED SEA
N
W
E
S
0
200 mi
0
200 km
Blue Zone (direct French control)
A Zone (under French influence)
Red Zone (direct British control)
B Zone (under British influence)
Allied Condominium

მას შემდეგ ჩაანაცვლა, რაც გალიპოლის ოპერაცია მოკავშირეებისთვის კატასტროფიულად დასრულდა[28].

საიქს-პიკოს შეთანხმებით ოსმალეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ ბრიტანეთის გავლენის ქვეშ თავდაპირველად გადადიოდა დღევანდელი იორდანიის ტერიტორია (ხმელთაშუა ზღვისპირეთი პალესტინიდან ეგვიპტემდე), მომავალი ერაყის სამხრეთი ნაწილი, ასევე ჰაიფასა და აკრის პორტები, უშუალო კონტროლის ზონაში შედიოდა ერაყის დიდი ნაწილიც, კუვეიტიც და მომავალი საუდის არაბეთის ტერიტორიის ნაწილიც (იხ. რუკა 1.).

საფრანგეთის კონტროლს ქვეშ გადადიოდა ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი, დღევანდელი ლიბანი, სირია და ჩრდილოეთ ერაყი, თუმცა მოგვიანებით ერაყის ჩრდილოეთი ბრიტანეთს დაუთმო[29]. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მოსულის მიდამოებში, რომელიც თავდაპირველად საფრანგეთს ერგო, ნავთობის არსებობის ნიშნების შესახებ ამ დროისთვის უკვე ცნობილი იყო და ფრანგებს თავად ჰქონდათ ინტერესი, რომ მისი მოპოვება დაეწყოთ. თუმცა ბრიტანეთის და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრების ლლოიდ-ჯორჯის და კლემანსოს პირადი მოლაპარაკებების შედეგად მოსული ბრიტანელების ხელში გადავიდა[30].

1920 წელს ბრიტანეთმა კიდევ გააფართოვა თავისი კონტროლის ზონა, როცა პალესტინის მანდატი მიიღო , რომელსაც 1948 წლამდე, - ისრაელის სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მართავდა.

---

[28] Danforth, Nick, (2015)

[29] აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ ერაყში ნავთობი1920-იან წლებში აღმოჩნდა (კირკუკის საბადოები) და 1934 წლიდან ის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი გახდა. მოპოვებას და ექსპორტს უკვე ხსენებული გალუსტ გულბეკიანის კომპანია Turkish Petroleum Company აწარმოებდა (რომელიც ჩერჩილის 1912 წლის გადაწყვეტილებისთანავე შეიქმნა - 1930 წლიდან - Iraq Petroleum Company). გულბეკიანი ამავე დროს ბრიტანული Anglo-Persian Company-ს ერთ-ერთი მთავარი აქციონერიც იყო.

[30] Fitzgerald, Edward, Peter, (1994)

შეთანხმების ერთი უეჭველი შედეგი ისაა, რომ მას შემდეგ რაც ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დათმეს კონტროლი საიქს-პიკოს შეთანხმებით გადანაწილებულ ტერიტორიებზე, ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების - ლიბანის, სირიის, იორდანიის და ერაყის საზღვრები სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე დადგინდა. ხელოვნურად, ხშირად სახაზავით გავლებული სწორი ხაზებით შექმნილი საზღვრები არ ითვალისწინებდა ისტორიულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ თავისებურებებს და ისლამურ ქვეყნებში მეტად პოპულარულია რეგიონში დღემდე გადაუწყვეტელი პრობლემების მთავარ სათავედ სწორედ საიქს-პიკოს შეთანხმების წარმოჩენა[31] .

მიუხედავად იმისა, რომ მან მართლაც ღრმა კვალი დატოვა რეგიონის ისტორიაში, მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ საიქს-პიკოს შეთანხმება არ ხსნის ახლო აღმოსავლეთის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პრობლემას - რეგიონის ქვეყნებში ეფექტური და დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბების უუნარობას[32]. თუმცა ეს საკითხი არ არის აქტუალური წინამდებარე კვლევისთვის.

მთავარი, რაც შედეგად მოჰყვა საიქს-პიკოს შეთანხმებას ისაა, რომ თითქმის ყველა ის ტერიტორია, სადაც უკვე იყო აღმოჩენილი, ან სულ მალე აღმოჩნდა ნავთობი, ბრიტანეთის კონტროლს ქვეშ მოექცა. ამის პარალელურად, დაიწყო ბრიტანული და ბრიტანეთის ინდოეთის ჯარის სამხედრო კამპანია სპარსული ნავთობის საბადოებზე კონტროლის დასამყარებლად[33], რომელიც პირდაპირ იყო მიბმული საიქს-პიკოს შეთანხმებით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებთან - ახლო აღმოსავლეთის უდიდეს ნაწილზე გეოპოლიტიკური კონტროლის მოპოვებასა და მის ენერგო-რესურსებზე წვდომის მიღწევასთან.

[31] Morris, Harvey, (2016)
[32] Cook, Steven, Leheta, Amr H., (2016)
[33] McNabb, David, E., (2016)

დღეს პრაქტიკულად ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ბრიტანული სტრატეგია ოსმალეთის იმპერიის კონტროლირებად ახლო აღმოსავლეთში მიზნად ისახავდა არა არაბული ტომებისთვის მხარდაჭერას თავისუფლების და სახელმმწიფოებრიობის მოპოვებაში, რაც ბრიტანეთის მიერ იყო დეკლარირებული[34], არამედ საკუთარი იმპერიალისტური ინტერესების უზრუნველყოფას. მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შედეგად მის მიერ კონტროლირებად არაბულ ახლო აღმოსავლეთში მართლაც წარმოიქმნა რამდენიმე სახელმწიფო (თუმცა არა ერთიანი არაბული სამეფო), მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეგიონზე კონტროლი ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაამყარეს და ისიც ისეთ საზღვრებში, რომელებიც დღემდე რეგიონში ბევრის მიერ კონფლიქტების საფუძვლად აღიქმება[35].

წინამდებარე შრომის ავტორის აზრით კი, ამ ანალიზს ბევრად უფრო დამაჯერებელს და გასაგებს გახდის რეგიონის ენერგო-რესურსებზე კონტროლისადმი ბრიტანეთის ინტერესის გათვალისწინება. ის ფაქტი, რომ სწორედ ბრიტანული კონტროლის ზონაში ცნობილი იყო ნავთობის არსებობის შესახებ, ან ის სულ მცირე ხანში აღმოჩნდა, ეჭვის გარეშე ტოვებს, რომ ბრიტანეთი სრულიად გააზრებულად მოქმედებდა ჯერ კიდევ ომამდე ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად - კერძოდ, გეოპოლიტიკური კონტროლის გარდა ის ნავთობის კონტროლის სტრატეგიულ ამოცანას ასრულებდა.

ის, რომ ბრიტანელებს სხვებზე უკეთ ჰქონდათ შესწავლილი რეგიონი და ნავთობის არსებობის ნიშნები ვერ გამოეპარებოდათ ახლო აღმოსავლეთის, მათ შორის კონკრეტულად მესოპოტამიის - მომავალი ერაყის ტერიტორიაზე, იქიდანაც აშკარაა, რომ ამ ტერიტორიებზე პირველ მსოფლიო ომამდე წლების მანძილზე

---

[34] ბრიტანეთი ასევე ჰპირდებოდა მხარდაჭერას ებრაელ ხალხს პალესტინაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საქმეში (ბალფურის დეკლარაცია), რაც წინააღმდეგობაში იყო როგორც არაბებისთვის მიცემულ დაპირებებთან (ჰუსეინ-მაკმაჰონის მიმოწერა), ისე საიქს-პიკოს შეთანხმების პირობებთან, რომელშიც ბრიტანეთის რეალური მიზნები იყო ჩამოყალიბებული.

[35] Louis, William Roger, (1985) გვ. 86-87.

აქტიურად მუშაობდნენ ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციები. მათ შორის იყო გერთრუდ ბელი, გავლენიანი კავშირები მქონე ბრიტანელი ქალი, რომელმაც პირველ მსოფლიო ომამდე მომავალი ერაყის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა წამოიწყო და რომლის სახელსაც ერაყის, როგორც სახელმწიფოს დაბადებას უკავშირებენ.

ქალბატონი ბელი ხშირად „გერთრუდ არაბიელადაც" მოიხსენება ლოურენს არაბიელის მსგავსად, და ამ ორ ისტორიულ პერსონაჟს მართლაც ბევრი აქვს საერთო: გერთრუდ ბელიც და თომას ედვარდ ლოურენსიც აღმოსავლეთმცოდნე არქეოლოგები იყვნენ და ომამდე რეგიონში მუშაობდნენ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ორივე ბრიტანული დაზვერვის თანამშრომელი იყო. ქალბატონი ბელი დაზვერვასთან არალეგალურად თანამშრომლობდა ისე, რომ ჩავარდნის შემთხვევაში ბრიტანეთის მთავრობას მისგან დისტანცირება შეძლებოდა[36], ხოლო ლოურენსი ომის დაწყებისთანავე ოფიციალურად შეუერთდა ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვას და მოგვიანებით საჰაერო ძალებს და უბედური შემთხვევის გამო დაღუპვის მომენტში პოლკოვნიკის რანგში იმყოფებოდა[37].

უფრო ფართოდ კი - ახლო აღმოსავლეთში ბრიტანული აქეოლოგიური კვლევა პრაქტიკულად მთლიანად კონტროლდებოდა ქვეყნის დაზვერვის მიერ (როგორც საგარეო უწყების, ისე სამხედრო დაზვერვის) და წმინდა საისტორიო ფასეულობის მქონე კვლევის პარალელურად სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასაც აგროვებდა, მათ შორის ტოპოგრაფიულს და გეოლოგიურს.

ბრიტანელ არქეოლოგებს არ შეიძლება გამოპარვოდათ მომავალი ერაყის და არაბული ახლო აღმოსავლეთის სხვა რეგიონების ტერიტორიაზე (მათ შორის უდაბნოებში) ნავთობის არსებობის ნიშნები, რაც იმას სრულიად ლოგიკურად ხსნის, რომ საიქს-პიკოს შეთანხმებით ოსმალეთის იმპერიის არაბული ტერიტორიები

[36] Irving, Clive, (2014)
[37] Anderson, Scott, (2014)

სწორედ ისე გაიყო, რომ ნავთობით მდიდარი ტერიტორიები უმეტესად ბრიტანული კონტროლის ქვეშ მოექცნენ.

ამგვარად, ბრიტანეთის ოფიციალური პოლიტიკა ამ რეგიონში არაბული ძალების მხარდაჭერას გულისხმობდა, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყდნენ თავად ბრიტანეთის აქტიური ჩარევის შედეგად[38]. რეგიონში ბრიტანული პოლიტიკის განხორციელება თითქმის ექსკლუზიურად თომას ედვარ ლოურენსის სახელს უკავშირდება. სწორედ მან დაარწმუნა არაბი ბედუინების ლიდერები, რომ შეიარაღებული აჯანყება წამოეწყოთ ოსმალური მმართველობის წინააღმდეგ და ამისთვის არა მხოლოდ ბრიტანული იარაღი მიაწოდა, არამედ ხშირ შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეობდა არაბების მიერ წარმოებულ პარტიზანულ ომში[39].

არაბების მოლოდინი იყო, რომ ბრიტანეთი ომში გამარჯვების შემდეგ მათ დამაუკიდებელი სახემწიფოს შექმნაში დაეხმარებოდა, რაც ლოურენსს მართლაც გულწრფელად სურდა, მაგრამ ბრიტანეთის რეალური განზრახვა სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა. ის უკვე ხსენებული ეგრეთ წოდებული „საიქს-პიკოს“ საიდუმლო ხელშეკრულების გამოქვეყნების შემდეგ გამჟღავნდა.

აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა ბრიტანეთი ყოველმხრივ აგულიანებდა არაბულ დაჯგუფებებს, რათა ოსმალეთის წინააღმდეგ ებრძოლათ და ამის სანაცვლოდ დამოუკიდებლობას ჰპირდებოდა, პარალელურად საფრანგეთთან მათი ტერიტორიების გავლენის ზონებად გაყოფაზე შეთანხმდა.

უფრო მეტიც, პარალელურად ბრიტანეთი ებრაელებს დაპირდა პალესტინის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, რაც არა მხოლოდ წინააღმდეგობაში იყო არაბებისთვის მიცემულ დაპირებებთან, რომლებიც

[38] Ibid.
[39] Anderson, Scott, (2014)

პალესტინას და იერუსალიმს თავიანთ განუყოფელ ტერიტორიად მიიჩნევდნენ, არამედ საფრანგეთთან უკვე დადებულ შეთანხმებასთან[40].

თუ ამ მოვლენას 1912 წელს ჩერჩილის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონტექსტში განვიხილავთ, ყველაფერი ლოგიკური გახდება: ბრიტანეთმა უზრუნველყო საკუთარი კონტროლი მსოფლიოში ნავთობის მოპოვების ყველაზე მდიდარ რეგიონზე და მასთან მისასვლელ გზებზე. აქვე უნდა დავამატო, რომ ახლო აღმოსავლეთის მიმართ ბრიტანეთის ინტერესი მხოლოდ ნავთობით არ იყო განპირობებული, მაგრამ ის უეჭველად გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო.

ბრიტანეთი კავკასიაში

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ბრიტანეთმა თავისი ყურადღება კავკასიას მოაპყრო და მის მომდევნო ბედზე დიდი გავლენა მოახდინა. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე რუსეთის იმპერია შიდა არეულობის და საბოლოო ჯამში რევოლუციის შედეგად ჩამოიშალა, მისი ევროპული ტერიტორიების დიდი ნაწილი და კავკასია გერმანიის და მისი მოკავშირეების მიერ იქნა ოკუპირებული. გერმანია საქართველოს კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის გასაღებას მიიჩნევდა და მის გრძელვადიან აღმოსავლურ პოლიტიკაში (Drang nach Osten) დიდი როლი ენიჭებოდა[41]. თუმცა, ომში თავად გერმანიაც დამარცხდა და გერმანელებს 1918 წლის შემოდგომაზე საქართველოს და კავკასიის დატოვება მოუწიათ. ისინი ბრიტანელებმა ჩაანაცვლეს და 1918 წლის ნოემბრიდან თავისი სამხედრო კონტინგენტიც შემოიყვანეს საქართველოსა და აზერბაიჯანში. 1919 წლის გაზაფხულის ბოლოსთვის ბრიტანეთს ბათუმში, თბილისში და ბაქოში უკვე ორი

[40] Louis, William Roger, (1985)
[41] Rose, John, D., (1980) გვ. 3.

დივიზია - სულ 40.000 ჯარისკაცამდე ჰყავდა განლაგებული[42] და სრულად აკონტროლებდა მილსადენს, რომელიც ბაქოს და ბათუმს აკავშირებდა[43].

თითქმის ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ კავკასიაში შემოსვლის მომენტისთვის ბრიტანეთის სტრატეგია ნათლად ჩამოყალიბებული არ ყოფილა და პოლიტიკოსებზე უფრო მეტად გადაწყვეტილებებს სამხედრო ხელმძღვანელობა იღებდა ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე. სამხედროების ლოგიკა მარტივი იყო - მათ უნდა გამოედევნათ ოსმალეთის და გერმანიის ძალები რეგიონიდან, რომელსაც ორივე (ოსმალეთი და გერმანია) სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა[44]. პოლიტიკოსთა აზრი რეგიონში ბრიტანეთის ინტერესებზე გაყოფილი და ხშირად წინააღმდეგობრივი იყო. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის ლორდ კერზონის ჩანაწერები ნათლად აჩვენებს, რომ 1919 წელს ბრიტანეთის მიზნებიც და მათი მიღწევისთვის საჭირო პოლიტიკაც უმეტეს წილად ქაოტურ მდგომარეობაში იყო:

„ა. ჩვენ დენიკინის მომხრეები ვართ ჩრდილოეთ კავკასიაში; ბ. ჩვენ დენიკინის მოწინააღმდეგეები ვართ კავკასიის სამხრეთში; გ. ჩვენ საქართველოს მომხრეები ვართ, რამდენადაც ის ღირსეულად და წესიერად იქცევა; დ. ჩვენ საქართველოს წინააღმდეგი ვართ, თუ კი იქ ბოლშევიკები მოიკიდებენ ფეხს ძალადობით; ე. ჩვენ სომხეთს მხარს ვუჭერთ, რადგან არ გვსურს, მათი განადგურება ვიხილოთ; ვ. ჩვენ არც სომხეთის მოწინააღმდეგეები ვართ, როცა საქმე მათთვის იარაღის მიწოდებას ეხება და დიდი სომხეთის მასშტაბით მათი რეპატრიაციას ხელის შეწყობას; ზ. აზერბაიჯანის მომხრე ვართ თუ მოწინააღმდეგე, მიახლოებითი წარმოდგენაც არ მაქვს...“[45]

ამავე დროს, კერზონი თვლიდა, რომ ბაქოს ნავთობი, ბათუმში მისი მილსადენით და ასევე რკინიგზით ტრანსპორტირების შესაძლებლობა და ასევე ამავე

[42] Kopisto, Lauri, (2011) გვ. 60.
[43] Rose, John, D., (1980) გვ. 3.
[44] Rose, John, D., (1980) გვ.4.
[45] Kelly, Sean, (2000), გვ. 67.

რკინიგზით და კასპიის ზღვით სპარსეთზე დამატებითი გასასვლელის მოპოვება ბრიტანეთისთვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენდა[46]. შედეგად, ჩერჩილთან ერთად კერზონი კავკასიაში შემოსვლის და რეგიონის ახლად დამოუკიდებელი რესპუბლიკების ერთ-ერთი მთავარი მახარდამჭერი იყო და სხვებზე უფრო დიდხანს თვიდა საჭიროდ რეგიონში (სულ მცირე - ბათუმში) სამხედრო კონტინგენტის დატოვებას.

ბრიტანეთისთვის კავკასიის და კასპიის რეგიონს სტრატეგიულად ღირებულად თვლიდა საზღვაო ძალების მეთაური (სამხედრო საზღვაო ძალების პირველი ლორდი) ადმირალი ბიტი. მას მიაჩნდა, რომ ფლოტის საჭიროებისთვის აუცილებელი იყო ნავთობის უფრო მეტ რესურსებზე დამოუკიდებელი წვდომა, ვიდრე ბრიტანეთს ამ დროს გააჩნდა. ამ მომენტისთვის ნავთობის მოწოდების 75% უცხოური იყო, მათ შორის ლომის წილი აშშ-დან, რაც არც პოლიტიკურად და არც ლოგისტიკურად სანდო არ იყო. ამიტომ ბიტი თვლიდა, რომ კავკასიაზე კონტროლი მნიშვნელოვანი იყო ერთის მხრივ ნავთობის დამატებითი წყაროს უზრუნველსაყოფად (ბაქოდან) და ამავდროულად ბრიტანეთს საშუალებას მისცემდა რუსეთისგან სპარსეთი დაეცვა, რომლის სამხრეთშიც ბრიტანეთისთვის უმნიშვნელოვანესი საბადოები მდებარეობდა[47] (მოპოვებას უკვე ხსენებული კომპანია Anglo-Persian აწარმოებდა).

ბაქოს ნავთობის გარდა, რეგიონის ბუნებრივი რესურსებიდან ბრიტანეთის საგარეო უწყებისთვის ინტერესის საგანს წარმოადგენდა საქართველოში არსებული მანგანუმის და სპილენძის საბადოები, თუმცა თვლიდნენ, რომ ისინი ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ნაკლებად იყვნენ განვითარებული. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბაქოსგან განსხვავებით, ქართული

[46] Kelly, Sean, (2000), გვ. 38.
[47] Ibid. გვ. 78.

წიაღისეულის მოპოვების სფეროში რუსეთის იმპერია უცხოელ ინვესტორებს არ უშვებდა[48].

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი ისტორიისთვის ამ ეპიზოდმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. მართალია 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის მხარდაჭერასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებას ვერაფრით დაეხმარებოდა.

როდესაც გერმანელები საქართველოში ბრიტანელებმა ჩაანაცვლეს, რამდენიმე თვეში, გარკვეული ყოყმანის შემდეგ, 1919 წელს ბრიტანეთმა არა მხოლოდ თავად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ გავლენა მოახდინა 1920 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზეც, რომლიც თანახმადაც საქართველომ საერთაშორისო დე-ფაქტო აღიარება მიიღო. ამით ბრიტანეთმა ჩვენს მომავალ ისტორიაზე დიდი გავლენა მოახდინა. მართალია, ბრიტანელებმა ჯერ კიდევ 1919 წელს დაიწყეს ჯარების შემცირება, ხოლო 1920 წელს საბოლოოდ დატოვეს საქართველო (და ამით შესაძლებელი გახადეს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა), მაგრამ მათი აღიარების გარეშე საქართველოს ბედი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაშიც და მისი დაშლის შემდეგ წარმოქმნილი რესპუბლიკისთვისაც სრულიად სხვანაირი შეიძლება ყოფილიყო. პირველი რესპუბლიკის გარეშე სსრკ-ს შემადგენლობაში შესაძლოა საერთოდ არ ყოფილიყო „საქართველოდ“ წოდებული რესპუბლიკა, არამედ დარჩენილიყო თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად, რომელშიც არ ექნებოდა ადგილი აფხაზეთს (აფხაზეთის ავტონომიური რესუპლიკა საქართველოს სსრ-ს 1935 წელს დაუბრუნეს). 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველიც 1918-21 წლების რესპუბლიკა გახდა.

[48] Ibid. გვ. 78.

ამ ისტორიაში ისიცაა საინტერესო, თუ რატომ დატოვა ბრიტანულმა ჯარმა საქართველოს ტერიტორია 1920 წელს. ბრიტანელების შემოსვლაც და გასვლაც პირდაპირ კავშირშია ამ სტატიის მთავარ თემასთან - ნავთობისადმი ბრიტანეთის ინტერესთან.

ბრიტანელების კავკასიაში შემოსვლას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ბრიტანეთი დენიკინის თეთრ მოძრაობას აქტიურად ეხმარებოდა ბოლშევიკური ხელისუფლების დასამხობად, თუმცა მალევე აღმოჩნდა, რომ პარალელურად მას საკუთარი ინტერესებიც გააჩნდა სამხრეთ კავკასიაში, რაც დენიკინს უკიდურესად აღიზიანებდა. მთავარ პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ დენიკინისთვის რუსეთი ისევ „იმპერიული და განუყოფელი“ უნდა ყოფილიყო, რის გამოც ის ბოლშევიკების გარდა რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოსურნე ჩრდილო-კავკასიელების და დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკის წინააღმდეგაც აწარმოებდა სამხედრო კამპანიას.

ბრიტანელების მიერ საქართველოს მხარდაჭერა დენიკინისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა და ის ურთიერთობების გაწყვეტითაც დაემუქრა ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლებს. დენიკინი მტრულად შეხვდა რეგიონში ბრიტანული კონტინგენტის მეთაურის გენერალ ბრიგზის მოთხოვნას, რომ მას საქართველოს წინაარმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებები შეეწყვიტა და მთელი რესურსები ბოლშევიკების წინააღმდეგ მიემართა. გენერალ ბრიგზთან შეხვედრისას და შემდეგ მის მიმართ გაგზავნილ წერილში, დენიკინმა ბრიტანული მხარე დაადანაშაულა იმაში, რომ ბრიტანელების სამხედრო კონტინგენტის ყოფნა საქართველოსა და აზერბაიჯანში ნავთობის მიმართ ინტერესით იყო განპირობებული[49] და განაცხადა რომ ამ მხრივ ბრიტანელები გერმანელებისგან არ გამოირჩეოდნენ.

აშკარაა, რომ ბრიტანეთს მართლაც უფრო ფართო ინტერესები ჰქონდა კავკასიაში, ვიდრე მხოლოდ ბოლშევიკების დასამარცხებლად დენიკინისთვის

[49] Kopisto, Lauri, (2011). გვ. 81.

დახმარების გაწევა - ეს მაშინვე აშკარა იყო, როგორც ეს დენიკინის და ბრიტანული სარდლობის ურთიერთობებიდანაც ჩანს..

ბრიტანული ინტერესი ბაქოს ნავთობის მიმართ სრულიად ბუნებრივი იყო. ამ დროისთვის აზერბაიჯანული ნავთობის მიწოდება საერთაშორისო ბაზარზე საქართველის გავლით, ნავთობსადენით ხორციელდებოდა. ანუ, განსხვავებით ახლო აღმოსავლეთის პერსპექტიული საბადოებისგან, ბრიტანეთის შემოსვლის მომენტისთვის ბაქოს რეგიონში ნავთობის მოპოვების უკვე კარგად ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა და გამოცდილება არსებობდა და მეტიც, მისი დიდი ნაწილი ადგილზე არსებულ ნავთობის გადამამუშავებელ ქარხანაში ნავთად გადამუშავდებოდა და ბათუმის ტერმინალში იმ დროისთვის მსოფლიოს ყველაზე გრძელი მილსადენით საექსპორტოდ მიეწოდებოდა. ბათუმიდან ბაქოში წარმოებული ნავთის ექსპორტი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო[50].

რეგიონიდან ბრიტანული კონტინგენტის გასვლის ერთ-ერთი მიზეზიც (თუმცა არა ერთადერთი) ნავთობთან არის კავშირში. ბრიტანელებმა საქართველო მას შემდეგ დატოვეს, რაც ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკური რუსეთი ბაქოს სამხედრო ძალით იპყრობდა, შესაბამისად, ბაქოს ნავთობის გარეშე, მარტო საქართველო არასაკმარისად მნიშვნელოვანი იყო ბრიტანეთისთვის, რათა მისთვის რუსეთს დაპირისპირებოდა.

აქ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ კავკასიაში დარჩენისა თუ იქიდან გასვლის საკითხი ლლოიდ-ჯორჯის მთავრობის შიგნით და ასევე სამხედრო ხელმძღვანელობის ნაწილს შორის ცხარე დაპირისპირების საკითხს წარმოადგენდა და მასში ბაქოს ნავთობზე წვდომის საკითხი არც ერთადერთი და არც წამყვანი არ ყოფილა. საქმე უმეტესად მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანული სამხედრო რესურსების გადანაწილების სტრატეგიას ეხებოდა, თუმცა, 1920 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკების მიერ ბაქოზე კონტროლის დამყარების შემდეგ მათი პოზიცია, ვინც

[50] Mirzoeva, Tarana, (2013) გვ. 33.

სამხრეთ კავკასიაში ბრიტანული კონტინგენტის დატოვებას და საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას მხარს უჭერდა - მნიშვნელოვნად დასუსტდა.

ასე მაგალითად, ბრიტანული სამხედრო სარდლობის 1919 წლის შემოდგომის ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბაქოში და თბილისში სამხედრო ნაწილების დატოვება დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული, რადგან შიდა კონფლიქტების ან გარე თავდასხმის შემთხვევაში, ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილი მცირერიცხოვანი ჯარის ევაკუაცია რთული იქნებოდა. ამავე დროს, იგივე მოსხენებაში ნათქვამია, რომ განსხვავებით ბაქოსა და თბილისისგან, გარკვეული ზომის კონტინგენტის დატოვება შესაძლებელი იყო ბათუმში, რომელიც მნიშვნელოვან პორტადაა დახასიათებული და სადაც ადვილი იქნებოდა მათი მომარაგებაც და საჭიროების შემთხვევაში - მათი იქიდან გაყვანაც (თუ ამავე დროს ბოსფორის და დარდანელის სრუტეები ბრიტანელებისთვის ღია იქნებოდა)[51].. რაც მთავარია, მოხსენებაში აღნიშნულია ბათუმში ბრიტანული სამხედრო ყოფნის სტრატეგიული მნიშვნელობა, რაც გულისხმობდა მის ბაქოს ნავთობთან დამაკავშირებელ როლს.

ამგვარად, ბრიტანელების შემოსვლაც და გასვლაც სამხრეთ კავკასიაში გარკვეულ წილად განპირობებული იყო იმპერიის ინტერესით, რათა გაეკონტროლებინათ აზერბაიჯანული ნავთობის მიწოდება ბაზრებზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით და ბათუმის ტერმინალის მეშვეობით ხორციელდებოდა. რაც 1920 წელს რეგიონიდან საბოლოოდ გასვლის გადაწყვეტილებას შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ მის უკან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებიც იდგა, ბაქოში ბოლშევიკების შესვლამ დარჩენის მომხრეებს მათი მთავარი არგუმენტი წაართვა - ბოლშევიკების პირობებში აზერბაიჯანულ ნავთობზე წვდომა სრულიად გამორიცხული ხდებოდა, ხოლო მათთან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება - არარეალისტური.

[51] Kelly, Sean, (2000), გვ. 68.

ამ პერიოდზე უინსტონ ჩერჩილი მოგვიანებით წერდა, რომ ბოლშევიზმის ჩანასახშივე არ ჩახშობა უდიდესი შეცდომა, უფრო კი დანაშაული იყო, რასაც ის მეტად ნანობდა. ჩერჩილი თავად აღმოჩნდა იძულებული კავკასიის დატოვებისთვის მხარი დაეჭირა, თუმცა მას ყველაზე მეტად ესმოდა მისი ღირებულება ბრიტანეთის ენერგო უსაფრთხოებისთვის. უფრო მეტიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მას კასპიის რეგიონზე სრული კონტროლის დამყარების სურვილიც ჰქონდა, მაგრამ რუსეთთან დაპირისპირება სამხედრო და ეკონომიკური დასუსტების ფონზე მისთვისაც არასასურველი აღმოჩნდა[52]. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის რესპუბლიკების ბედის ანაბარად დატოვების გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მაშინ იქნა მიღებული, როცა რუსეთი სამოქალაქო ომის ქაოსში იმყოფებოდა, ბრიტანული სარდლობის მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ დარჩენის შემთხვევაში ახლო მომავალში გაძლიერებულ რუსეთთან დაპირისპირება გარდაუვალი იქნებოდა, რისთვისაც ბრიტანეთს სათანადო ძალები აღარ გააჩნდა და დამამცირებელი მარცხის გამორიცხვა ამჯობინა.

ეს ისტორია კარგად უნდა ახსოვდეთ თანამედროვე პოლიტიკოსებს, რომელნიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ალტერნატივებს გვთავაზობენ. მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ მაშინ აქვს რეალური დამოუკიდებლობის შანსი, როცა ის საერთაშორისო ფუნქციას ასრულებს. 1918-20 წლებში ეს აზერბაიჯანული ნავთობის შავი ზღვისკენ მიწოდება იყო, დღეს ეს ფუნქცია ბევრა უფრო დიდი შეიძლება იყოს - საქართველოს შეუძლია დასავლურ სამყაროს დაუკავშიროს არა მხოლოდ კასპიური ნავთობი და გაზი, არამედ ცენტრალური აზიის და ჩინეთის ტვირთების დიდი ნაკადი. ამის ალტერნატივა ისევ რუსულ პროვინციად, მის ერთგვარ ჩიხად გადაქცევაა.

[52] Kelly, Sean, (2000), გვ. 69.

დასკვნა

დასკვნითვის უნდა დავუბრუნდეთ 1912 წლის ჩერჩილის გადაწყვეტილებას და მის გავლენას ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაზე და მეოცე საუკუნის ისტორიაზე. საზღვაო ფლოტის თხევად საწვავზე (და შემდეგ შიდა წვის ძრავებზე) გადაყვანამ ბრიტანეთს გამძაფრებულ საერთაშორისო კონკურენციაში სამხედრო უპირატესობა შეუნარჩუნა და მსოფლიო ომში, რომელიც ამ გადაწყვეტილებიდან სულ რაღაც ორ წელში დაიწყო, მისი გამარჯვების ერთ-ერთი ფაქტორი გახდა.

ამავდროულად, თხევად საწვავზე გადასვლამ დრამატულად გაზარდა ნავთობზე მოთხოვნა და განსაზღვრა მთავარი მეტოქეების დაპირისპირება ნავთობმომპოვებელი რეგიონების გაკონტროლებისთვის. ნაწილობრივ ამის ერთ-ერთი შედეგი გახდა ბრიტანეთის მიერ ახლო აღმოსავლეთის მიმართ გატარებული პოლიტიკა. ოსმალური ახლო აღმოსავლეთის მიმართ ბრიტანეთის და მისი მოკავშირე საფრანგეთის ინტერესებს ბევრი სხვა ფაქტორიც განსაზღვრავდა (მათ შორის წმინდა იმპერიალისტური ინსტინქტი), თუმცა წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე ავტორს მიაჩნია, რომ ნავთობის უკვე არსებულ და პერსპექტიულ საბადოებზე კონტროლის დამყარება ბრიტანული ახლო-აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა.

ამ კონტექსტში ავტორი განიხილავს ბრიტანეთის მოლაპარაკებებს თავის მოკავშირე საფრანგეთთან და პირველ მსოფლიო ომამდე ოსმალეთის იმპერიის მართვის ქვეშ არსებული არაბული ტერიტორიების იმგვარ გაყოფას, რომ ნავთობით მდიდარი რეგიონები თითქმის მთლიანად ბრიტანეთის კონტროლს ქვეშ აღმოჩნდა.

ასევე, კასპიური ნავთობის მიმართ ინტერესის კონტექსტშია განხილული ბრიტანეთის მოკლევადიანი ინტერვენცია კავკასიაშიც, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის (დე ფაქტო) აღიარებას საერთაშორისო დონეზე,

კერძოდ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რაც ბრიტანეთის მხარდაჭერის გარეშე არარეალისტული იქნებოდა.

წინამდებარე გამოკვლევა ორიგინალური იმითაა, რომ მაშინ როცა საერთაშორისო ლიტერატურა დეტალურად განიხილავს ბრიტანეთის გეოპოლიტიკურ მოტივებს საიქს-პიკოს შეთანხმების დადებისას და კავკასიაში მისი შემოსვლის და მალევე დატოვების მიმართ, ავტორის აზრით , რამდენიმე წლით ადრე ნავთობზე გაჩენილი დიდი მოთხოვნილება ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის კონტექსტში არასაკმარისად არის წარმოჩენილი.

ავტორი მოვლენათა ლოგიკას შემდეგნაირად წარმოაჩენს: 1912 წელს უინსტონ ჩერჩილის გადაწყვეტილება ბრიტანული ფლოტის თხევად საწვავზე (ნავთობ-პროდუქტებზე) გადაყვანის შესახებ ერთის მხრივ მას მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს კონკურენტებთან შედარებით (სისწრაფისა და მანევრულობის თვალსაზრისით), მაგრამ ამავე დროს ქმნის ნავთობის დიდი ოდენობით და სანდო წყაროებიდან უწყვეტი მოწოდების უზრუნველყოფის აუცილებლობას. იმის გამო, რომ თავად ბრიტანეთში ამ დროს ნავთობი საერთოდ არ მოიპოვებოდა, ხოლო კოლონიებიდან მიღებული რაოდენობა მხოლოდ 25%-ით აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს, ბრიტანეთისთვის სტრატეგიული, შეიძლება ითქვას, - სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა ნავთობით მდიდარ ახალ ტერიტორიებზე კონტროლის დამყარებამ.

ამ მხრივ ყველაზე პერსპექტიული რეგიონი ოსმალეთის მიერ მართული არაბული ახლო აღმოსავლეთი იყო, რის შესახებაც ბრიტანელებმა უფრო ადრე და მეტი იცოდნენ, ვიდრე მისმა კონკურენტმა გერმანიამ ან თუნდაც საფრანგეთმა. ბრიტანეთის „საიდუმლო იარაღს“ რეგიონში ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციები წარმოადგენდნენ, რომლებიც დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ სადაზვერვო სამსახურებს მომავალი ერაყის და ნავთობით მდიდარი სხვა ტერიტორიების შესახებ.

ამ მხრივ გერმანელებიც საკმაოდ ინფორმირებულები იყვნენ, მათ შორის შუამდინარეთში არსებული საკუთარი არქეოლოგების და სხვა წყაროების წყალობით, რის გამოც რეგიონზე კონტროლის დამყარება მათ სტრატეგიულ ინტერესშიც შედიოდა. სწორედ გერმანელებმა ააშენეს ევროპისა და ბაღდადის დამაკავშირებელი პირველი რკინიგზა, მაგრამ მსოფლიო ომში მარცხის გამო ბრიტანელებმა ისინი როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე კავკასიაშიც სრულად ჩაანაცვლეს.

ხსენებული მიზეზების გამო, საიქს-პიკოს შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესში ბრიტანულ მხარეს მეტი ინფორმაცია ჰქონდა და ტერიტორიების განაწილების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ნავთობის პერსპექტიული საბადოების ხელში ჩაგდება ბრიტანელებისთვის თავიდანვე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მიზანს წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახლო აღმოსავლეთის მსგავსად, კავკასიაში ბრიტანელების შემოსვლაც და გასვლაც დიდ წილად განსაზღვრული იყო წმინდა გეოპოლიტიკური ინტერესებით, თუმცა ავტორისთვის აშკარაა (ნაშრომში მოყვანილია ამის დოკუმენტური მაგალითები), რომ ორივე გადაწყვეტილების მიღებისას ბაქოს ნავთობისადმი ინტერესმა გავლენა მოახდინა საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ბრიტანეთის ურთიერთობაზე. რეგიონიდან გასვლის გადაწყვეტილება, უეჭველია, დიდ წილად განპირობებული იყო ბრიტანეთის სამხედრო უწყებაში არსებული სურვილით, რომ ომით დასუსტებული ჯარი ძნელად დასაცავ პოზიციებზე არ დაეტოვებინათ, მაგრამ ავტორი თვლის, რომ 1919-1920 წლების მიჯნაზე ბრიტანეთის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებებს შორის მიმდინარე კამათი რეგიონში დარჩენა-არდარჩენის შესახებ შესაძლოა სხვაგვარად გადაწყვეტილიყო, რომ არა ბოლშევიკების მიერ ბაქოს ხელში ჩაგდება.

ამგვარად, ჩერჩილის ერთ, თითქოს ტექნიკურ გადაწყვეტილებას ბრიტანული სამხედრო საზღვაო ფლოტის ქვანახშირიდან თხევად საწვავზე გადაყვანის შესახებ შორსმიმავალი შედეგები მოყვა იმპერიის საგარეო და სამხედრო პოლიტიკის სფეროში. მან მნიშვნელოვნად განსაზღვრა ბრიტანეთის ახლო-აღმოსავლური სტრატეგია პირველ მსოფლიო ომში და ამის გარდა დასაბამის მისცა იმას, რასაც ისტორიაში ნავთობის ხანას უწოდებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Allen, Robert C., (2006) *The British Industrial Revolution in Global Perspective,* Oxford, Oxsord University Press

2. Anderson, Scott, (2014) 'The True Story of Lawrence of Arabia', *Smithsonian* https://www.smithsonianmag.com/history/true-story-lawrence-arabia-180951857/

3. Ashton, T.S., (1998) *The Industrial Revolution, 1760-1830*, Oxford, Oxford University Press

4. Baylis, John, Gray, Colin S., Wirtz, James J., Editors, (2016) *Strategy in the Contemporary World*, *Naval Warfare*, Oxford, Oxford University Press

5. Buchanan, Robert, (1998) 'History of Technology', *Encyclopedia Britannica* https://www.britannica.com/technology/history-of-technology

6. Cook, Steven, Leheta, Amr H., (2016) 'Don't Blame Sykes-Picot for the Middle East's Mess', *Foreign Policy* https://foreignpolicy.com/2016/05/13/sykes-picot-isnt-whats-wrong-with-the-modern-middle-east-100-years/

7. Danforth, Nick, (2015) 'Forget Sykes-Picot. It's the Treaty of Sèvres That Explains the Modern Middle East', *Foreign Policy*, http://foreignpolicy.com/2015/08/10/sykes-picot-treaty-of-sevres-modern-turkey-middle-east-borders-turkey/

8. Dahl, Erik J., (2000) 'Naval Innovation: From Coal to Oil', *Joint Force Quarterly*, Winter 2000-2001, National Defense University Press, pp 50-56 https://www.researchgate.net/publication/235048025

9. Edwards, Giles, (2014) 'How the Dreadnought Sparked the 20th Century's First Arms Race', *BBC News*, https://www.bbc.com/news/magazine-27641717

10. Farley, Alan, (2018) 'Oil and Currencies: Understanding Their Correlation', *Investopedia* https://www.investopedia.com/articles/forex/092415/oil-currencies-understanding-their-correlation.asp

11. Ford, Jonathan, (2019) 'Calouste Gulbenkian, the Forgotten Tycoon', *Financial Times*, January 11, https://www.ft.com/content/578a045a-1358-11e9-a581-4ff78404524e

12. Gue, Eliot, (2018) Does the Dollar Drive the Oil Prices? https://seekingalpha.com/article/4205756-dollar-drive-oil-prices

13. Hurriet Daily News, (2014) 'President Erdoğan slams modern 'Lawrences of Arabia' in Middle East', http://www.hurriyetdailynews.com/president-erdogan-slams-modern-lawrences-of-arabia-in-middle-east-72903

14. Irving, Clive, (2014) 'Gertrude of Arabia, the Woman Who Invented Iraq', The Daily Beast, https://www.thedailybeast.com/gertrude-of-arabia-the-woman-who-invented-iraq

15. Kadtke, James and Wharton, John, (2018) 'Technology and National Security: The United States at a Critical Crossroads', *Defense Horizons*, 84, National Defense University Press, https://ndupress.ndu.edu/Media/News/Article/1454530/technology-and-national-security-the-united-states-at-a-critical-crossroads/

16. Kelly, Sean, (2000), *Britannia has ruled here: Transcaucasia and Considerations of Imperial Defence in Lord Curzon's Search for Near Eastern Settlement, 1918-1923*, Burnaby, Canada, Simon Fraser University Press

17. Kopisto, Lauri, (2011) *The British Intervention In South Russia 1918-1920*, Helsinki, Unigrafia

18. Louis, William Roger, (1985) *The British Empire in the Middle East*, Oxford, Oxford University Press

19. Månberger, André, (2014) *Energy, Conflict and War: Towards a Conceptual Framework,* Lund, Lund University Press http://portal.research.lu.se/portal/files/3841828/4698902.pdf

20. McNabb, David, E., (2016) *Oil and the creation of Iraq – Policy failures and 1914-18 war in Mesopotamia*, New York, Routlege

21. Mirzoeva, Tarana, (2013) THE ROLE OF AZERBAIJAN OIL IN NOBEL BROTHERS' LIFE', *European Scientific Journal December 2013* /SPECIAL/ edition vol.2

22. Morris, Harvey, (2016) Sykes-Picot: The Centenary of A Deal That Did Not Shape the Middle East, Time Magazine, http://time.com/4327377/sykes-picot-the-centenary-of-a-deal-that-did-not-shape-the-middle-east/

23. Ottaway, Marina, (2016) 'Does the Middle East need new borders? The Legacy of Sykes-Picot 100 years on', *Foreign Affairs* https://www.foreignaffairs.com/articles/middle-east/2016-04-14/does-middle-east-need-new-borders

24. Padfield, Peter, (2005) *The Great Naval Race: Anglo-German Naval Rivalry 1900-1914*, Edinburgh, Birlin Limited

25. Penrose, Edith, (1976) 'Oil and International Relations', *Review of International Studies*, Cambridge University Press https://www.cambridge.org/core/journals/review-of-international-studies/article/oil-and-international-relations/B80B3E569B6343E6A16C0666F3847F5C

26. Rose, John, D., (1980) 'Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia', The International History Review, Vol. 2, No. 2 (Apr., 1980), pp. 266-287

27. Slade, Edmond J. W., (1923) The Influence of Oil on International Politics, Vol. 2, No. 6 (Nov., 1923), pp. 251-258

28. Metz, Helen Chapin, ed. (1988). "The Turkish Petroleum Company". Iraq: A Country Study. http://countrystudies.us/iraq/53.htm

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამა
III სემესტრის დოქტორანტი

ეკა დათიაშვილის

(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი
ლიდერის როლი ორგანიზაციაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფ. ნოდარ ბელქანია

თბილისი

2019

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს სწრაფად ცვალებად გარემოში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მენეჯერის როგორც ლიდერის როლი ორგანიზაციის განვითარებაში. გლობალიზაციამ გახსნა ქვეყნებს შორის საზღვრები, რის გამოც გამძაფრდა და გამწვავდა კომპანიებს შორის კონკურენცია, მათ სახელმძღვანელოდ და სამართავად საჭირო გახდა არა ჩვეულებრივი მენეჯერი, არამედ გლობალურად მოაზროვნე მენეჯერი ანუ ლიდერი. დღეს მეცნიერები კამათობენ ლიდერის ფენომენის შესახებ, კერძოდ თუ რითი უნდა იყოს იგი ლიდერი, თვისებებით თუ რესურსების ფლობით, შეიძლება თუ არა ლიდერობის სწავლა და ა.შ. ლიდერის უნარსა და თვისებებზე ქვეყნებს შორის წარმოდგენები განსხვავებულია. მსჯელობენ და საუბრობენ იმაზე, რომ ლიდერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის პერსონალი ჰყავდეს მუდმივად მოტივირებული. ხშირად ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ მათ მთავარ აქტივს სწორედ ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც ქმნიან იმ ფასეულობებს, რომლის მეშვეობითაც მათგან მართული ორგანიზაცია იზიდავს მომხმარებლებს და იღებს მოგებას, რაც მათი საქმიანობის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

მოცემული **ნაშრომის მიზანია** ორგანიზაციაში ლიდერის მნიშვნელობისა და როლის განსაზღვრა. თუ რა როლი ეკისრება ლიდერს ორგანიზაციის სწორად მართვაში, რაოდენ მნიშვნელოვანია თანამშრომლისათვის ლიდერის მხრიდან მოტივაციის შექმნა, როგორ უნდა ხდებოდეს შესრულებული სამუშაოს ობიექტური შეფასება, რატომ უნდა ცდილობდნენ ლიდერები თანამშრომელთა სტიმულირებას, თანამშრომელთა მოტივირებას. მოცემულ ნაშრომში განხილულია ლიდერის როლი ორგანიზაციის განვითარებაში; ლიდერობა და თანამშრომელთა მოტივაცია; სხვაობა ლიდერსა და მენეჯერს შორის;

Contents

აბსტრაქტი 2

შესავალი 4

1.1 ლიდერობის ფენომენის შესწავლა 5

1.2 ლიდერობის თეორიები, ლიდერის ტიპები და ფუნქციები ორგანიზაციაში 10

თავი II. ლიდერობა და მისი გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე 16

2.1 რა ქმნის ლიდერს? 16

2.2 სხვაობა ლიდერსა და მენეჯერს შორის 23

2.3 ადამიანის როლი ორგანიზაციაში 22

თავი III. ლიდერობა და ეფექტური კომუნიკაცია 24

3.1 კომუნიკაციის მეთოდები 26

შეჯამება 31

ბიბლიოგრაფია 33

შესავალი

მსოფლიო ელვის სისწრაფით იცვლება და ასევე ელვის სისწრაფით იზრდება საზოგადოების ინტერესი ლიდერობასა და ლიდერებისადმი. ყველას გაგვაჩნია გარკვეული შეხედულება, თუ რა არის ლიდერობა, თუმცა ამ ტერმინის ზუსტი განმარტება მაინც ძნელია. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ლიდერობა წარმატებული ჯგუფის დინამიური მუშაობის შედეგია, სხვები კი თვლიან, რომ ლიდერობას ადამიანის გრანდიოზული ძალისხმევა განაპირობებს. არის ასევე მოსაზრება, რომ ლიდერს გარემოებები და აუცილებლობა ჰქმნის, თუმცა სხვა მოსაზრების თანამხად, ლიდერული თვისებების მქონე ადამიანი ყოველთვის ლიდერია.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში ადამიანები ორგანიზაციაში ითვლებოდნენ მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად, ერთ-ერთ რესურსად. ხოლო ორგანიზაციები მოიაზრებოდა როგორც მანქანა-დანადგარების, მეთოდების, ტექნოლოგიების, კაპიტალის თუ ინფორმაციის გაერთიანებად. დღესდღეისობით კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ტიპის ორგანიზაციებში ადამიანის როლი და დანიშნულება ძირეულად შეიცვალა.

ახლა, როცა ყველა სხვა რესურსი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, იქნება ეს ტექნიკური საშუალებები, თუ ფინანსური რესურსები და აშ. თითქმის იდენტური ან ადვილად ხელმისაწვდომი გახდა უკვე ყველასთვის, სირთულეს აღარ წარმოადგენს ნებისმიერი ,,ნოუჰაუს კალკირება'' და სწორედ ამ მოცემულობაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება ორგანიზაციების მოქნილობა (ანუ მათი უნარი, განახორციელონ ყველა დაგეგმილი მიზანი და აღასრულონ ყველა ჩანაფიქრი) ახალ-ახალი კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად, თითოეული ადამიანი, თითოეული თანამშრომელი ხდება უმნიშვნელოვანესი რესურსი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის.

თავი I. ლიდერობის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 ლიდერობის ფენომენის შესწავლა

ლიდერობა ადამიანთა ცხოვრების ორგანიზაციის უძველეს ფორმას წარმოადგენს. იგი ყველა სოციალური ერთობისთვისაა დამახასიათებელი. პიროვნული ტიპის ლიდერებიდან საზოგადოება გადადიოდა ლიდერობის უფრო რთულ ფორმებზე. ხოლო სოციალური ფენებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შედეგად, ლიდერობა პოლიტიკური პროცესებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აქტიური ელემენტი გახდა. ლიდერობის ფენომენი უძველესი დროიდან იქცევდა მოაზროვნეთა ყურადღებას. ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები თავიანთ ისტორიულ თხზულებებში უმთავრესად გამოჩენილი ლიდერების, სამეფოთა მესვეურების, მონარქების, იმპერატორების მოღვაწეობას აშუქებდნენ და იგი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნდათ. როგორც კი ვცდით ლიდერობის განმარტებას, აღმოვაჩენთ, რომ ლიდერობას ძალიან ბევრი მიშვნელობა აქვს.

,,ლიდერობა - ეს არის საქმიანობა, ან შესაძლებლობა უხელმძღვანელო ადამიანთა ჯგუფს ან ორგანიზაციას''. [1]

,,ლიდერობა - ეს არის პროცესი, როდესაც ინდივიდი ახდენს ზეგავლენას სხვა ადამიანებზე, უჩენს მოტივაციას და მიმართავს მათ საქმიანობას ისე, რომ ხელი შეუწყოს ჯგუფსა თუ ორგანიზაციას მიზნის მიღწევაში''. [2]

,,ლიდერობა - ეს არის კომუნიკაციური ქცევა/აქტი, რომლის უმთავრესი მიზანია ჯგუფისა და ორგანიზაციული მიზნების თანხვედრა მოახდინოს'' [3] - მ. ჰეკმანისა და ქ. ჯონსონის ეს განმარტება დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

[1]http://www.businessdictionary.com/definition/leadership.html;

[2] გარეთ რ ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი ,,თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები'' 2006 გვ. 238

[3]http://www.amazon.com/Leadership-Communication-Perspective-Michael-Hackman/dp/1577665791;

ამერიკელი მკვლევარის, ო. ტიდის განმარტებით: ,,ლიდერობა - ეს არის მართვაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა''. ო. ტიდმა ერთ-ერთმა პირველმა განმარტა, რომ ლიდერობა - ეს არის ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენა გარკვეული მიზნის ერთობლივად მიღწევის მიზნით, რომელსაც ისინი სასურველად თვლიან. გ. ჯონსისა და ჯ. ჯორჯის განმარტებით: ,,ლიდერობა არის პროცესი, როდესაც ინდივიდი ახდენს ზეგავლენას სხვა ადამიანებზე, უჩენს მოტივაციას და მიმართავს მათ საქმიანობას ისე, რომ ხელი შეუწყოს ჯგუფსა და ორგანიზაციას მიზნის მიღწევაში''. ვ. ბენისის განმარტებით კი ,,ლიდერობა არის უნარი იმისა, რომ გარდაქმნა ხედვა რეალობად''. მიუხედავად მრავალი განმარტებისა, შეიძლება გამოვყოთ კონკრეტული კომპონენტები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ლიდერობისათვის:

- ლიდერობა არის პროცესი;
- ლიდერობა მოიცავს გავლენას;
- ლიდერობა ჩნდება ჯგუფში;
- ლიდერობა მოიცავს საერთო მიზნებს

მოცემულ კომპონენტებზე დაყრდნობით კი ლიდერობა შეიძლება განვმარტოთ ასე - ,,ლიდერობა არის პროცესი, რომელშიც ინდივიდი გავლენას ახდენს ინდივიდების ჯგუფზე საერთო მიზნის მისაღწევად''. (პიტერ გ. ნორთჰაუზი ,,ლიდერობა'' თეორია და პრაქტიკა, V გამოცემა, 2010, გვ. 19)

ლიდერობა, მართლაც, მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებლებს. გარდა შესასრულებელი მიზნებისა, ეფექტური ლიდერობა ზრდის ორგანიზაციის შესაძლებლობას უპასუხოს ყველა თანამედროვე გამოწვევას, დანერგოს ეთიკური ქცევები და მართოს სამუშაო ძალა სამართლიანად და თანაბრად. ლიდერები ორგანიზაციის წევრებზე ზეგავლენის მოხდენით ეხმარებიან მათ მიზნის მიღწევაში და ამით ზრდიან ორგანიზაციის წარმატების შანსს.

ლიდერობა ეფექტიანი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია. იგი არის გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული

მმართველობითი სტატუსი, სოციალური პოზიცია, ესაა ხელმძღვანელი თანამდებობა და სხვა ადამიანებზე ზეგავლენა.

მენეჯერის ლიდერობის პიროვნული სტილი განსაზღვრავს მიდგომას, რომელსაც მენეჯერი გამოიყენებს დაგეგმვისას, ორგანიზებისას და კონტროლის დროს. მენეჯერებს ყველა დონეზე და ნებისმიერ ორგანიზაციაში აქვთ საკუთარი ლიდერობის პიროვნული სტილი, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო იმას, როგორ გაუძღვებიან ისინი ხელქვეითებს, არამედ, როგორ ასრულებენ მენეჯმენტის სხვა ამოცანებს. ეფექტური ლიდერობის პიროვნული სტილის განვითარება არის გამოწვევა მენეჯერისათვის ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე. ზოგიერთი ფაქტი ცხადყოფს, რომ მართვის ფორმები განსხვავდება არამარტო ინდივიდებს შორის, არამედ ქვეყნებსა და კულტურებს შორისაც.

ლიდერობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ხელმძღვანელობის სტილის შერჩევა და მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის გამოყენებაა, რომელიც გულისხმობს მართვის დონეებისა და ფუნქციების ისეთ თანაფარდობას, რომელიც დაგვეხმარება ორგანიზაციის მოგების მაქსიმიზაციაში.

დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში ორგანიზაციების მოქნილობა და ცვლილების განხორციელების უნარი უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე თვითონ ამ ცვლილებების შინაარსი. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ახალი რეალობა ითხოვს ორგანიზაციებისაგან, არის მართვის ახალი სტილი, პრინციპულად ახალი ლიდერი, რომელიც უნდა ხასიათდებოდეს სამი მთავარი ნიშნით:

- ზრუნვა თანამშრომლებზე, ზრუნვა კლიენტებსა და ზრუნვა მთლიანად საზოგადოებაზე;
- რწმენა ხვალინდელი დღის, რწმენა საკუთარი თავისა და ადამიანების;
- სიმშვიდე ფიქრებში, საუბარსა და მოქმედებებში.

ო. ტიდი დარწმუნებული იყო, რომ ,,წარმატებული ლიდერები ფლობდნენ განსაზღვრულ და ზუსტად იდენტიფიცირებულ თვისებებს'' და გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვანს:

- ფიზიკური და ემოციური ამტანობა. ლიდერობა - ეს მძიმე სამუშაოა, ამიტომ ლიდერები უნდა იყვნენ ამტანები, საშუალო დონეზე მეტად;
- ორგანიზაციის დანიშნულებისა და მისი საქმიანობის მიმართულების ღრმად გააზრება. ლიდერს უნდა ჰქონდეს მიზანი წაახალისოს და წააქეზოს სხვებიც მის მისაღწევად;
- ენთუზიაზმი - კარგი ლიდერები ხშირად თავშეკავებულნი არიან. მათი ენთუზიაზმი ასე თუ ისე ტრანსფორმირდება ძალაუფლებასა და გავლენიანობაში;
- კაცთმოყვარეობა და ადამიანების სიყვარული. ლიდერისათვის უარესია სძულდეს ადამიანებს, ვიდრე ის, რომ უყვარდეთ. ლიდერობისათვის აუცილებელია ქვეშევრდომები სიმპატიით ექცეოდნენ, თუკი მას სურს გავლენა მოახდინოს მათზე;
- წესიერება - თავისი პრინციპების შესაბამისად ლიდერები უნდა იმსახურებდნენ ნდობას.''

მიუხედავად იმისა, რომ ო. ტიდის ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში, ლიდერის პირადი თვისებები მოექცა, იგი აღიარებდა, რომ ლიდერები სარგებლობენ ,,მოვლენების ლოგიკით'' იმ შემთხვევაში, როცა დგება საჭირო მომენტი იმისათვის, რომ წინა პლანზე წარმოაჩინოს თავისი გავლენა, აქედან გამომდინარე, ხალხს სწორედ ის ლიდერები ამახსოვრდება, რომლებიც მიზნად ისახავენ ღირსეულ, მნიშვნელოვან მიზანს და რეაგირებენ მასზე შესაბამისი წესით. ადამიანები შეიძლება აიყოლიო სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, შეიძლება გამოიყენო რჩევები და ასეთი რჩევები, სინამდვილეში წარმოადგენენ ეფექტურ ინსტრუმენტს კარგი ურთიერთობების დამყარებისათვის. თუმცა, ერთ- ერთ გამოთქმაში ლიდერობასთან დაკავშირებით ო. ტიდი ამტკიცებს, რომ კარგი ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კარგ მიმდევრებზე. ეს გამოთქმა მნიშვნელოვანია, იმდენად

რამდენადაც აქ პირველად გამოჩნდა, რომ ლიდერობას მხოლოდ პიროვნული თვისებები არ განსაზღვრავს. ლიდერობის კომპონენტებია: ლიდერები და მიმდევრები. ლიდერობა მოიცავს გავლენას. აქ იგულისხმება, თუ როგორ ახდენს ლიდერი გავლენას მის მიმდევრებზე. გავლენა ლიდერობის განუყოფელი ნაწილია, მის გარეშე ლიდერობა არ არსებობს. როდესაც კვლევა ჩატარდა ამ მიმართულებით, გამოჩნდა, რომ ლიდერის პიროვნება, ლიდერობის სტილი და საერთო სიტუაცია - ეფექტიანი ლიდერობის დეტერმინანტებია.

1.2 ლიდერობის თეორიები, ლიდერის ტიპები და ფუნქციები ორგანიზაციაში

ლიდერობის თანამედროვე თეორიებს თვალს თუ გადავავლებთ ყველაზე თანამედროვე და პოპულარული თეორია ტრანსფორმაციული ლიდერობაა. მას საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. ტრანსფორმაციული ლიდერობა ერთ-ერთი მრავლის მომცველი თეორიაა. ეს არის პროცესი, რომელიც ადამიანებში ცვლილებებს, ტრანსფორმაციებს იწვევს. იგი ეხება ემოციებს, ღირებულებებს, ეთიკას, სტანდარტებს და გრძელვადიან მიზნებს. ასევე, იგი მოიცავს მიმდევართა სტანდარტებს და გრძელვადიან მიზნებს. მათი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და პატივისცემით მოპყრობას. ამ თეორიის მიხედვით, ლიდერები შთააგონებენ და უბიძგებენ მიმდევრებს დიდი საქმეების გაკეთებისკენ და მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილებას შეაძლებინებენ მიმდევრებს. ამ მიდგომის მიხედვით ლიდერმა უნდა გაიგოს და საკუთარი ქმედებები მოარგოს მიმდევართა საჭიროებებსა და მოტივებს.

არსებობს სხვა თეორიებიც: აუთენტური ლიდერობა ერთ-ერთ ყველაზე ახალ სფეროს წარმოადგენს ლიდერობის კვლევებში. თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რამდენად ,,რეალური'' და რამდენად ჭეშმარიტია ლიდერობა. არსებობს აუთენტური ლიდერობის რამდენიმე განსაზღვრება, რომელიც სხვადასხვა პერსპექტივიდან განმარტავს მას. ესენია:

ინტრაპერსონალური - ლიდერის პიროვნების შიგნით მიმდინარე პროცესები, საკუთარი თავის ცოდნა, თვითრეგულაცია და თვითშეფასება;

განვითარებადი - ლიდერის ქცევა, რომელიც ყალიბდება ლიდერის პოზიტიური ფსიქოლოგიური მახასიათებლებიდან და მაღალი თვისებებიდან. ეს არის ის, რაც ადამიანებში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყალიბდება.

ინტერპერსონალური - აგებულია ურთიერთობებზე და ლიდერებსა და მიმდევრებს შორის არსებული ინტერაქციის მიღწევას გულისხმობს. ეს ორმხრივი პროცესია, ვინაიდან, ლიდერები გავლენას ახდენენ მიმდევრებზე და პირიქით.

დამოკიდებულების თეორია აქცენტს აკეთებს ლიდერისა და იმ სიტუაციის შესაბამისობაზე, რომელშიც ლიდერი მუშაობს. ეს ლიდერის დაწყვილების თეორიაა, რომლის მთავარ ამოცანას ლიდერის სტილისა და სიტუაციის მოთხოვნილებების დაწყვილება წარმოადგენს. სიტუაციის შესაფასებლად გამოიყენება სამი ცვლადი: ლიდერისა და ჯგუფის წევრების ურთიერთობა, საქმის და პოზიციური ძალაუფლება. სამივე ერთად მიუთეთიებს ლიდერობის სტილზე.

- ***ლიდერების ტიპი***

ლიდერები ნებისმიერ საზოგადოებაში ცხოვრობენ, მუშაობენ და ფლობენ სხვადასხვა ორგანიზაციაში ხასიათის განსაზღვრულ თვისებებს, რაც ყველას თანაბრად არ ახასიათებს. ბოლო ათწლეულებში მეცნიერული კვლევები წააწყდნენ გადაუჭრელ პრობლემას ამ სფეროში, რაც ეხებოდა ხასიათის თითქმის ყველა მხარეს. ევოლუციამ თავისი სიტყვა თქვა და ყურადღების ცენტრი ლიდერის თვისებებიდან მის ქცევაზე გადაანაცვლა.

დღეისათვის დღის წესრიგში დადგა არა ლიდერის თვისებები და ქცევა, არამედ ლიდერის რეაქციასა და იმ სიტუაციას შორის შესაბამისობა, რომელშიც ის აღმოჩნდება. გამომდინარე აქედან, უცხოელ მკვლევართა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს ლიდერობისადმი სიტუაციურ მიდგომას, თუმცა, ყოველთვის ისმებოდა კითხვა, შეიძლება თუ არა ლიდერობის შესწავლა? ვინაიდან, ბიზნესისა და კერძოდ, კომპანიის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პიროვნულ თვისებებსა და უნარჩვევებზე. ლიდერის გარეშე ყველაზე ორგანიზებული გუნდიც კი, შეიძლება ბრბოდ იქცეს. კვლევებმა ცხადყო, რომ მართვა არის საოცრად რთული საქმე, კონკრეტული ლიდერის მართვის წარმატებებსა და წარუმატებლობაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. გუნდის მახასიათებლები, სიტუაციის ურთიერთქმდება და ა.შ ავლენს თუ რა ტიპის მმართველია საჭირო.

ვინ არის ის ადამიანი, ვინც გადაწყვეტილებას იღებს იერარქიის მქონე ჯგუფში? რა თქმა უნდა, ლიდერი. კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ლიდერის დეფინიციას. ,,ლიდერი'' - ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ხელმძღვანელს, მეთაურს, ბელადს,

წამყვანს. იგი ძალაუფლების ნაირსახეობაა, რომლის მატარებელია არა უმრავლესობა, არამედ ერთი კაცი. ლიდერობის მრავალი განმარტებიდან ყველა მათგანში იკვეთება საერთო მახასიათებელი - ლიდერი ის ადამიანია, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით შეუძლია ჯგუფის, ან ინდივიდის ფუნქციონირებაზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს, რის შედეგადაც ჯგუფი, ან ინდივიდი ორიენტირებულია მიზნის დასახვასა და მიღწევაზე. ლიდერებს, როგორც წესი, ირჩევენ თავად ჯგუფის წევრები და ასეთ შემთხვევაში ლიდერს ეძლევა კანონიერი ძალაუფლება.

ლიდერი შეიძლება იყოს **ფორმალური** (თანამდებობრივი) და **არაფორმალური** (აღიარებული). პირველი ნიშნავს რომ ზემოდან ხელმძღვანელის მიერაა დანიშნული, ან მისი თანამდებობრივი არჩევა ხდება კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. ხოლო მეორე ტიპის ლიდერობის საფუძველია მისი ჯგუფის წევრთა მიერ აღიარება. ნამდვილი ლიდერი ხდება ის, რომელსაც აქვს უნარი დარაზმოს ადამიანები მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად, სწორედ ასეთები პოულობენ საყოველთაო აღიარებას ჯგუფის მხრიდან.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შეიძლება ჯგუფის ფორმალური ხელმძღვანელი იყოს ერთი ადამიანი, მაგრამ არაფორმალური ლიდერი იყოს სხვა. მას შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვის ქცევაზე არა იმ პოზიციიდან, რომელიც უკავია ჯგუფში, არამედ მისი სპეციფიკური თვისებებიდან, უნარიდან და ოსტატობიდან. ზოგიერთ სიტუაციაში არსებობს მხოლოდ ფორმალური ლიდერი, თუ ფორმალურ ლიდერს ექნება საჭირო უნარი მხარი დაუჭიროს დაქვემდებარებულს, ისე როგორც ამას აკეთებს არაფორმალური ლიდერი, მაშინ შეიძლება არაფორმალური ლიდერის არსებობა აღარ გახდეს საჭირო. ახლო წარსულში ადამიანები ორგანიზაციაში ითვლებოდნენ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად და რესურსად, თანამედროვე ორგანიზაციაში კი ადამიანის როლი ძირეულად შეიცვალა.

,,დღევანდელ რეალობაში, როდესაც სხვა რესურსები ადვილად ხელმისაწვდომია, როდესაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება ორგანიზაციების მოქნილობა, რაც გულისხმობს მათ უნარს, ჩაიფიქრონ და განახორციელონ ცვლილებები კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად, თითოეული ადამიანი ორგანიზაციისთვის გახდა მნიშვნელოვანი რესურსი, ვინაიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციის მიერ ერთბაშად მიღებული და აღსრულებული გადაწყვეტილებები. ასეთ პირობებში, ორგანიზაციებისთვის თითოეული ადამიანი ძალიან მნიშვნელოვანი ხდება, იმდენად, რამდენადაც იგი არის ინფორმაციის ამოუწურავი წყარო''. (,,ლიდერობის ხელოვნება'' - სინერჯი ჯგუფის წიგნები გვ 88.) თუ რამდენად ახერხებს ადამიანი ორგანიზაციის გამოყენებას და თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას, განსაზრვრავს ამ ორგანიზაციის წარმატების ხარისხს. თუ ორგანიზაცია მოახერხებს შეაგროვოს იმ ნიჭისა და უნარების ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭირო არიან საქმისათვის, იგი შეძლებს მიაღწიოს ყველაზე დიდ შედეგს.

აღსანიშნავია, ლიდერისა და თანამშრომლის ურთიერთობაც, რომელიც, როგორც წესი ცალმხრივ პროცესად აქვთ წარმოდგენილი, როგორც ლიდერთა (მენეჯერები, ადმინისტრატორები, დირექტორები და ა.შ), ასევე, თანამშრომელთა დიდ ნაწილს. სინამდვილეში კი ეფექტური ფუნქციონირება გულისხმობს იდეთა, შესაძლებლობათა და რესურსთა მუდმივ ცირკულაციას ლიდერიდან მასზე დამოკიდებული პირებისადმი და პირიქით. როგორც ჰოლანდერი წერს სწორი მუშაობა მხოლოდ მაქსიმალური ურთიერთ ნდობის პირობებშია შესაძლებელი.

ყურადსაღებია ასევე ლიდერის საქმიანობის სტილიც. სასურველია, რომ ის რაც შეიძლება ნაკლებად ავტორიტარული, ნაკლებად იერარქიული და მაქსიმალურად ჰორიზონტალური და დემოკრატიული იყოს.

მიჩიგანის უნივერსიტეტისა (აშშ) საზოგადოებრივი აზრის კვლევით ცენტრსა და ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა ქცევის ორი მახასიათებელი: ,,ორიენტაცია თანამშრომელზე'' და ,,ორიენტაცია

წარმოებაზე". ლიდერები, რომელთა ქცევა ორიენტირებულია თანამშრომელებზე (Employee - Oriented), განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პიროვნებათშორის ურთიერთობას და გულწრფელად ინტერესდებიან თანამშრომლობით, ცდილობენ თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად მიუდგნენ. ხოლო, ლიდერები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან წარმოებაზე (Production - Orientied), ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ მუშაობის ტექნიკურ ასპექტებზე. მათთვის მთავარია დასმული ამოცანების შესრულება და თავის თანამშრომლებს მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილავენ. ლიდერის ძირითადი სამუშაოა ჯგუფის ეფექტიანი მართვა. ჯგუფი შედგება ცალკეული ადამიანებისაგან, ამიტომ მისი ეფექტიანი მართვა მოითხოვს თითოეული წევრის მართვის ცოდნას, აქედან გამომდინარე მენეჯერის, როგორც ლიდერის მუშაობა უნდა წარიმართოს შემდეგი სამი მიმართულებით:

1. ამოცანის მოთხოვნები;
2. ჯგუფის მოთხოვნები;
3. ინდივიდუალური მოთხოვნები

ლიდერის ძირითადი ამოცანაა, მიღწეულ იქნას საუკეთესო ბალანსი ადამიანებსა და მიზნებს შორის, ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს ჯგუფის მათავრი ამოცანის წარმატების შესრულებას. ლიდერის საქმიანობის ფუნქციები დამოკიდებულია პერსონალის მართვის საფეხურზე. მაგალითად მსხვილი კორპორაციის სათავეში მდგომი მენეჯერის ხელში თავმოყრილია როგორც ლიდერობის, ისე მმართველობის როლი, მათი ძირითადი ფუნქციებია:

- დაგეგმვა;
- ორგანიზაცია;
- მოტივაცია;
- კონტროლი

მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ლიდერმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს თანამშრომლობაზე ორიენტაციას. როცა ლიდერები თანამშრომლობაზე ორიენტაციის დემონსტრირებას ახდენენ, როგორც

წესი, ეს უზრუნველყოფს ჯგუფის შრომის მაღალ ნაყოფიერებას და მისი წევრების შრომით მაღალ კმაყოფილებას. თუ ჯგუფს ხელმძღვანელობს წარმოებაზე ორიენტირებული ლიდერი, მაშინ ჯგუფი აჩვენებს შრომის დაბალ ნაყოფიერებას და შრომით კმაყოფილებას. თანამედროვე ლიდერის მნიშვნელოვან მახასიათებელს კი წარმოადგენს შინაგანი სიმშვიდე, რომელიც გადამდებია. როდესაც ლიდერში სიმშვიდე იგრძნობა, ყველა უფრო მეტი იმედით, მეტი ენერგიით ივსება, მუშაობა ბევრად საინტერესო და სასიამოვნო ხდება. სიმშვიდე ბადებს პატივისცემას, ნდობას ლიდერის მიმართ და ქმნის დადებით გარემოს ორგანიზაციაში.

,,ლიდერობა წინასწარ განზრახული ქმედებების ერთობლიობაა, ის მისდევს კონკრეტულ ხედვას ან მიზანს და ამ პროცესში, ლიდერის გარდა მონაწილე ადამიანებიც საკმარისად მოტივირებულნი უნდა იყვნენ დასახული მიზნის და საბოლოო შედეგის მისაღწევად'' (ბარენსი 2001; კროეგერი და სეუსენი 2002)

თავი II. ლიდერობა და მისი გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე

გარე სამყაროში მიმდინარე პროცესების გართულებასთან ერთად, შრომის სუბიექტის მიერ ლიდერობისა და მმართველობითი ფუნქციების შესრულებაც რთულდება. ფაქტია, რომ ათასობით ორგანიზაცია სტრუქტურულად და ფუნქციურად გარდაიქმნა და განახლდა. ამ ცვლილებების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ლიდერს ენიჭება და ის მკვლევართა შეუნელებელი ინტერესის საგანი სწორედ ამიტომ გახდა.

2.1 რა ქმნის ლიდერს?

ბიზნესის სფეროში დასაქმებულ ნებისმიერ ადამიანს ერთი ამბავი მაინც სმენია უსაზღვროდ ნიჭიერი აღმასრულებელი დირექტორის შესახებ, რომელიც ხელმძღვანელად დააწინაურეს და მან მხოლოდ ერთი რამ გააკეთა ამ პოზიციაზე - ყველაფერი ჩააფლავა. მეორე მხრივ, ვიცით არაფრით გამორჩეული ინტელექტუალური შესაძლებლობების ადამიანის შესახებ, რომელმაც მსგავს პოზიციაზე დაწინაურების შემდეგ ფრთები გაშალა.

მსგავსი ფაქტები კიდევ უფრო განამტკიცებს გავრცელებულ რწმენას, რომ ლიდერობისათვის ,,საჭირო უნარების'' მქონე ადამიანების გამოვლენა ხელოვნება უფროა, ვიდრე მეცნიერება. საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ სუპერლიდერების პიროვნული სტილი მრავალფეროვანია: ზოგიერთი ლიდერი დამყოლია და ანალიტიკური გონებით გამოირჩევა; ზოგიერთი კი თავის მოსაზრებებს ყველაზე მაღალი მწვერვალიდან ხმამაღლა აფრქვევს. პიროვნულ მახასიათებლებთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადსხვა სიტუაციას სხვადასხვაგვარი ლიდერი სჭირდება. მაგალითად, კომპანიების შერწყმის პროცესში უმეტესად მოლაპარაკებების მქონე მგრძნობიარე ლიდერია საჭირო, ცვლილებების პერიოდში კი ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის ადამიანი.

დენიელ გოლემანმა აღმოაჩინა, რომ ყველაზე ეფექტური ლიდერები ერთი არსებითი ნიშნით ჰგვანან ერთმანეთს: ყველას მაღალი მაჩვენებელი აქვს იმისა, რასაც დღეს ***ემოციურ ინტელექტს*** უწოდებენ. მისი აზრით და ჩატარებული კვლევების ანალიზზე დაყრდნობით, ის ამბობს რომ შესაძლებელია პიროვნებას მსოფლიოში საუკეთესო განათლება ჰქონდეს მიღებული, იყოს მომზადებული, გამჭრიახი, ჰქონდეს ანალიტიკური გონება და ჭკვიანური იდეები, მაგრამ ემოციური ინტელექტის გარეშე მაინც ვერ გახდება საუკეთესო ლიდერი. მისი აზრით ემოციური ინტელექტის ხუთი უნარის ერთობლიობა (თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარი) საუკეთესო ლიდერებს თავის და სხვების მიერ სამუშაოს შესრულების მაქსიმიზაციის საშუალებას აძლევს. როდესაც ერთი კომპანიის ზედა რგოლის მენეჯერების ემოციური ინტელექტი (EI) შესაძლებლობების ჯამი კრიტიკულ ზღვარს აჭარბებს, მათი განყოფილებები დასახულ მიზნებს ყოველწლიურად 20%-ით აჭარბებენ. ემოციური ინტელექტის შემადგენელი ნაწილებია:

○ *თვითცნობიერება* - საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, აღმძვრელების, ღირებულებებისა და სხვებზე ზეგავლენის უნარის ცოდნა, იგივე რაც ,,შეიცან თავი შენი''. თვითცნობიერი ადამიანის გადაწყვეტილებები განუყოფელია მისი ღირებულებებისგან და ამის შესაბამისად სამსახური ენერგიით ავსებს მას.

○ *თვით-რეგულაცია* - დამანგრეველი, ხელისშემშლელი იმპულსებისა და გუნება-განწყობის გაკონტროლება ან გადამისამართება. თვითრეგულაცია მუდამ მიმდინარე შინაგან საუბარს ჰგავს და საკუთარი გრძნობების ტყვეობიდან გვანთავისუფლებს. ლიდერისათვის თვითრეგულაცია უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია იმიტომ რომ, შეძლოს საკუთარი გრძნობების და იმპულსების კონტროლი, იმოქმედოს გონივრულად რაც დაეხმარება შექმნას ნდობისა და სამართლიანობის გარემო;

○ *მოტივაცია* - მიღწევით ტკბობა საკუთარი სიამოვნებისათვის. მიღწევის მოტივაცია ძლიერი ლიდერობის ნიშნად მიიჩნევა. თუ საკუთარ შესრულებას მაღალ თამასას დავუწესებთ, იგივეს გავაკეთებთ ორგანიზაციისათვის, როდესაც სათანადო პოზიციაზე აღმოვჩნდებით;

○ *ემპათია* - სხვა ადამიანების ემოციური მდგომარეობის გაგება, რომელიც აუცილებელი და შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტია ლიდერისათვის თანამშრომლებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში;
○ *სოციალური უნარი* - სხვებთან რაპორტის დამყარება მათი სასურველი მიმართულებით წარმართვის მიზნით.

ქვემოთ მოცემულია ის მახასიათებლები, რასაც ასეთი ლიდერები კომუნიკაციისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ა.შ იყენებენ:
ფიქრობენ მოქმედებამდე: ისინი ინარცუნებენ ემოციურ მდგრადობას თავიანთი გუნდის წევრებთან შეხვედრის განმავლობასი. არ აგზავნიან იმპულსურ იმეილებს, რის გამოც მეორე დღეს მოუწევდათ ბოდისის მოხდა. ისინი ფიქრობენ მანამ, სანამ იმოქმედებენ, რადგან იციან როგორ დაიმშვიდონ თავი სტრესულ სიტუაციაში. გამოხატავენ ემოციებს: კარგი ლიდერობა არ ნისნავს, იყო უემოციო რობოტი. მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანები სტრესის, ფრუსტრაციის, იმედგაცრუებისა და სხვა ნეგატიური ემოციების საშუალებით იღებენ გამოცდილებას. ნათ აქვთ უნარი, მალევე და სწორად გადაამუშავონ ინფორმაცია და დელიკატურად, კონსტრუქციულად ისაუბრონ ამაზე თანამშრომლებთან. შეცდომებზე სწავლობენ: მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერებს ახასიათებთ კარგი მიდგომა ცუდი ამბების პოზიტიური პერსპექტივით დანახვაში. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ მათ აქვთ გრძელვადიანი გეგმები და არ არიან ორიენტირებულნი მხოლოდ და მხოლოდ ერთჯერად გამარჯვებაზე. არიან ემპათიურები და მნისვნელობას ანიჭებენ კომპანიის კულტურას:

მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერებისათვის, კანდიდატის დასაქმების პროცესში, მხოლოდ მისი ტექნიკური უნარები არ არის საკმარისი. ასეთი ლიდერისათვის მნიშვნელოვანია კომპანიის კულტურა და ის, თუ რამდენად შესაბამისობაშია ახალი თანამშრომელი ამასთან. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ლიდერები ემპათიურობის მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან და უნდათ, საკუთ გუნდში ჰყავდეთ ბედნიერი თანამშრომლები, რომლებიც ქმნიან კომპანიის კულტურას, დიდი სიფრთხილით არჩევენ ახალ კადრებსაც.

ყველაფერზე არ ამბობენ ,,დიახ'' : იყო ემოციურად ინტელექტუალი არ ნიშნავს, რომ ადამიანებს ყველაფერზე დაეთანხმო. ასეთი ადამიანები ყველაფერზე ,,დიახ'' არ ამბობენ იმიტომ, რომ ისინი ძირფესვიანად იცნობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს. თავდაჯერებულნი არიან თავიანთ შესაძლებლობებში, მაგრამ ასევე, ფლობენ იმ სფეროებზეც ინფორმაციას, სადაც სჭირდებათ დახმარება და მათ არ რცხვენიათ იმის კითხვა, რაც არ იციან. ამიტომაც, თუ ისინი არ გეთანხმებიან შენ, არ დაგიმალავენ. სწორედ ეს მახასიათებელი ხდის მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერებს სანდოს. შენი პერსპექტივიდანაც უყურებენ საკითხს: გყავს თანამშრომელი, რომელიც მუდმივად საუბრობს სამუშაო პროცესში? ეს იმის ნიშანია, რომ მას სჭირდება ემპათიური უნარების განვითარება. მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერები ყურადღებას გითმობენ, უსმენენ შენს შეხედულებებს და შენი პერსპექტივიდან ცდილობენ, აღიქვან საკითხი. თავს არ არიდებენ უსიამოვნო საუბრებს: თანამშრომლებთან კონფროტანცია შეიძლება იყოს უხეში და უსიამოვნო, თუმცა მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ლიდერები არ ერიდებიან ნეგატიურ საუბრებს. ასეთი ლიდერები კონფლიქტებს იყენებენ, როგორც შესაძლებლობას უფრო სანდო და მყარი ურთიერთობების დასამყარებლად. მზად არიან სიახლეებისათვის: თუ გაქვს იდეა, არ შეგეშინდეს მისი მაღალი ინტელექტის მქონე ლიდერთან გაჟღერების, მაშინაც კი, თუ იცი, რომ შენი იდეა მის აზრს ეწინააღმდეგება. ლიდერები არიან თავდაჯერებულები საკუთარ შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებში, მაგრამ ამასთან, ისინი არიან კრიტიკულად მოაზროვნეები, რომლები მოგისმენენ და იმ შემთხვევაში თუ მართებული აღმოჩნდება შენი ხედვა, მზად იქნებიან შეცვალონ კურსი.

თითოეული ჩვენგანი ემოციური ინტელექტის გარკვეული უნარებით დაიბადა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ უნარების გაძლიერება მუდმივი ვარჯიშისა და კოლეგებისა თუ მწვრთნელების მხრიდან მიღებული უკუკავშირის მეშვეობით. შესაძლებელია ემოციური ინტელექტის დასწავლა, თუმცა ეს ადვილი არ არის. ამას დრო და გულმოდგინება სჭირდება, მაგრამ სარგებელი, რომელიც კარგად განვითარებულ ემოციურ ინტელექტს მოაქვს, როგორც ინდივიდისათვის, ისე ორგანიზაციისათვის, ღირს ამ ძალისხმევად.

ლიდერის როლი ორგანიზაციაში - იმისათვის, რომ შევძლოთ, ჩვენი ორგანიზაციები ვაქციოთ სამოქმედო ასპარეზად მათთვის, ვინც მასში მუშაობს, საჭიროა ვიცოდეთ მთავარი მოტივაცია, რაც ამოქმედებს ადამიანებს. ასეთ ძალებად განიხილავენ სხვაზე ზრუნვისთვის საკმარის სიყვარულს; მათში ჩადებულ ნიჭსა და უნარს; თავისუფლებას, რომელიც ყველა მათგანს დაბადებისთანავე ეძლევა.

ეს ძალები აიძულებს ადამიანებს ეძებონ ის ფუნქცია (საქმე) საზოგადოებაში, რომლის შესრულებაც მათ ყველაზე უკეთ შეუძლიათ და აკეთონ რაც შეიძლება ამ ფუნქციის საუკეთესო ხარისხით შესასრულებლად. ამასთან დაუშვან ბევრი შეცდომა და შესაბამისად ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ. თითოეულის ასეთი მოტივაცია თვითორგანიზებადსა და თვით განვითარებადს ხდის საზოგადოებას. განაპირობებს იმას, რომ ადამიანები ხშირად ისე რომ თვითონ ვერც კი აცნობიერებენ, ემსახურებიან საზოგადოებას, ზრუნავენ მასზე და ცდილობენ შექმნან რაც შეიძლება მეტი სარგებელი მისთვის. ეს აძლევს მათ საშუალებას დაიხარჯონ, გამოიყენონ ნიჭი და უნარები, რომელიც მიეცათ, იზრუნონ მათზე, ვინც უყვართ.

თუ ორგანიზაცია შეძლებს შეაგროვოს იმ ნიჭისა და უნარების ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად არის საჭირო საქმისათვის, გაზრდის მათში ზრუნვის შეგრძნებებს კლიენტებზე, ორგანიზაციაზე, კოლეგებზე და მისცემს სრულ თავისუფლებას - მიიღებს ჯგუფს, რომელიც შეძლებს, მიაღწიოს ყველაზე დიდ შედეგებს, იმდენად სწრაფად, რამდენად სწრაფადაც ისწავლიან ისინი საქმის კეთებას. ამისათვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც ახალი რეალობა ითხოვს ორგანიზაციისაგან არის მართვის ახალი სტილი. უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა პრინციპულად ახალი ტიპის ლიდერი. ეს უკანასკნელი კი სამი მთავარი ნიშნით უნდა ხასიათდებიოდეს, რათა შეძლონ ადამიანებისათვის უკეთესი ასპარეზისმიცემა:

1. ზრუნვა თანამშრომლებზე, ზრუნვა კლიენტებზე და ზრუნვა მთლიანად საზოგადოებაზე

ეს არის ის აუცილებელი ნიშანი, რომელიც ლიდერს საშუალებას აძლევს იდგეს იმავე

ნაპირზე, რომელზეც მისი თანამშრომლები დგანან. ზრუნვის და თანაც გულწრფელი, ჭეშმარიტი ზრუნვის გარეშე ლიდერის ნებისმიერი სიტყვა, მისი ნებისმიერი მოქმედება და სურვილი არათუ გაუგებარი, არამედ მიუღებელი ხდება მისი თანამშრომლებისათვის. ეს უკანასკნელნი ავტომატურად იწყებენ ფიქრს თუ რას დაუთმობს მენეჯმენტი მათ, მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ავტომატურად აყენებენ თავს მდინარის მეორე ნაპირზე და მათთან ერთად გუნდური მოქმედება ლიტონ სიტყვებად იქცევა.

ზრუნვის შეგრძნება, რომელიც სიყვარულს ეფუძნება, არის მთავარი წყარო

იდეების, თუ რა უნდა გააკეთო, როგორ უნდა იმოქმედო კლიენტების, თანამშრომლების თუ მთლიანად საზოგადოების საკეთილდღეოდ. რამდენადაც ძლიერია ზრუნვის შეგრძნება, იმდენად ინტენსიურია ლიდერის სწრაფვა სიახლეებისაკენ, ცვლილებებისაკენ, იმდენად დიდია ნებისყოფა, ამ ცვლილებების განსახორციელებლად. კლიენტებზე გამუდმებული ზრუნვა ეხმარება ლიდერს, იფიქროს და იღვაწოს უკეთესი პროდუქტების შესაქმნელად, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ფიქსირებული ხარჯების ოპტიმიზაციაზეც კი. თანამშრომლებზე ზრუნვა ეხმარება ლიდერს ხარჯების ოპტიმიზაცია საკადრო დანახარჯებიდან არ დაიწყოს. ეხმარება იმაში, რომ დაინახოს, თუ რისი გაკეთება შეიძლება თანამშრომლების განვითარებისათვის, მათთვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად, იმისათვის, რომ მით უფრო მეტი კმაყოფილება იგრძნონ იმით, რასაც აკეთებენ. ზრუნვის შეგრძნება მთლიანად საზოგადოებაზე, ეხმარება ლიდერს გააძლიეროს მისი ორგანიზაციის საზოგადოებრივი ფუნქცია, რაც თანამშრომლებისათვის უფრო საინტერესოს და მნიშვნელოვანს ხდის ორგანიზაციას და საკუთარ ყოველდრიურ საქმეს. ყველას სიამოვნებს შეგრძენბა რომ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს.

2. რწმენა ხვალინდელი დღის, რწმენა საკუთარ თავში და ადამიანებში

რწმენა ნდობას იწვევს ადამიანებში. მათთვის ასეთ ლიდერთან მუშაობა უფრო კომფორტულია. ადამიანებისათვის უფრო საიმედოა მუშაობა იმასთან, ვინც ზუსტად იცის, რას აკეთებს, ვინც ადვილად გამოცნობადია, ვინც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს

და იმას აკეთებს, რასაც ამბობს. შესბამისად, ადამიანები უფრო მეტად ენდობიან ლიდერს, ვინც მათ ენდობა. უფრო მეტად საიამოვნებთ მუშაობა ადამიანთან, ვისაც მათი უნარების და შესაძლებლობების სწამს. ისინი მასთან მუშაობისას უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ და უფრო მეტად ცდილობენ, დაეხმარონ მას ოცნებების ასრულებაში.ხვალინდელი დღის იმედი, რწმენა ლიდერში, კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის მასთან მუშაობას თანამშრომლებისათვის. მათთვის უფრო ცხადი ხდება მიზანი, რისკენაც ორგანიზაცია მიისწრაფვის.

3. სიმშვიდე ფიქრებში, საუბარში და მოქმედებაში

ეს ნიშანიც აუცილებელია ლიდერისთვის, ვინაიდან ეს ზრდის მის მიმართ თანამშრომლების ნდობას, ზრდის მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხს. უფრო ნაკლები შფოთი და სტრესია მასთან ერთად მუშაობისას, შესაბამისად, ბევრად უფრო მეტად საინტერესოა მუშაობა. სიმშვიდე ადვილად გადამდებია. როდესაც ლიდერში სიმშვიდე იგრძობა, ყველა უფრო მეტი იმედით, მეტი ენერგიით ივსება, მუშაობა ბევრად უფრო საინტერესო და სასიამოვნო ხდება. სიმშვიდე ბადებს პატივისცემას, ნდობას ლიდერის მიმართ და ქმნის დადებით გარემოს ორგანიზაციაში. თუმცა, ცალკე აღებული სიმშვიდე შეიძლება არაფრის კეთების მიზეზი გახდეს, ისევე, როგორც ცალკე აღებული რწმენა საკუთარ თავში ზრუნვის, რეალური მოქმედებების გარეშე შეიძლება იქცეს სიბრიყვედ. ცალკე აღებული ზრუნვა, რწმენისა და სიმშვიდის გარეშე შეიძლება იქცეს წამებად ადამიანისათვის და სწრაფად გაქრეს. მხოლოდ ამ სამი თვისების ერთიანობა უზრუნველყოფს ლიდერის გარშემო სასურველი გარემოს შექმნას. ამ სამი თვისებით ახერხებს ლიდერი აქციოს ორგანიზაცია ასპარეზად ადამიანებისათვის, რომლებიც მასში მუშაობენ, მათ გაგრძელებად, საშუალებად მათთვის, რათა აკეთონ ის, რაც ყველაზე უფრო კარგად გამოსდით, აკეთონ რაც შეიძლება ბევრი და რაც შეიძლება კარგად.

სწორედ ასეთი ლიდერებისა და ასეთი ორგანიზაციებისაა მომავალი.

2.2 სხვაობა ლიდერსა და მენეჯერს შორის

შეუძლებელია ვისაუბროთ ლიდერობაზე ორგანიზაციაში და არ აღვნიშნოთ მსგავსება/სხვაობა მენეჯერსა და ლიდერს შორის. ხშირია შემთხვევა, როცა ამ ორ ცნებას ერთმანეთში ურევენ. თუმცა რეალურად ისინი შესაძლოა თანხვედრაშიც იყვენენ ერთმანეთთან და ამასთანავე ორ განსხვავებულ მნიშვნელობასაც გულისხმობდნენ. მენეჯერი, როგორც წესი, გარკვეული რანგის მქონე ოფიციალურ პირს აღნიშნავს, რომელსაც უამრავი ვალდებულება აქვს აღებული. ლიდერი კი შესაძლოა იყოს ორგანიზაციული პირი, რომლის თანამდებობაც სულაც არ არის მაღალი. თუმცა გარკვეულ გარემო-პირობებისა თუ პიროვნული მახასიათებლების გამო ის ხდება ჯგუფში (ორგანიზაციაში) დომინანტი და მისი ავტორიტეტიც იზრდება. სხვაობისა და მსგავსების უკეთ დასანახად უმჯობესი იქნება, თუ თითოეულ მათგანს ცალცალკე განვიხილავთ.

მენეჯერის ფუნქციები მრავალმხრივი ორგანიზაციული საქმიანობაა. ის ვალდებულია, რომ ნაკისრი პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩამოაყალიბოს ეფექტური ფორმალური გეგმები, შექმნას ორგანიზაციის მყარი სტრუქტურა, იზრუნოს ორგანიზაციის პროდუქტიულობაზე, გაუწიოს მონიტორინგი როგორც მომუშავე პერსონალს, ასევე, ორგანიზაციის ზოგად მდგომარეობასა და მისი ფუნქციონირების შედეგებს, დაამყაროს წესრიგი და თანმიმდევრულობა,

უზრუნველყოს თანამშრომელთა წარმატებული მუშაობა, იზრუნოს მათ განვითარებასა და უფლებების დაცვაზე ორგანიზაციის მიზნების გათვალისწინებით. მისი მთავარი ფუნქცია სიტუაციის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაა. ამიტომ თუ მენეჯერს წარმატების მიღწევა სურს, უნდა იცოდეს, როგორ ხდება სწორი გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკის ერთ-ერტი ყველაზე ცნობილი მკვლევარი საიმონი (1960 წ.) ამ პროცესს მენეჯმენტთან აიგივებს.

რაც შეეხება ლიდერობას, იგი თავისი არსით შედარებით უფრო ზოგადი და ნაკლებად ფორმალური ცნებაა. ჭეშმარიტი ლიდერი არა მარტო სწრაფად რეაგირებს მოვლენებზე, არამედ პროგნოზირების უნარიც მძაფრად აქვს განვითარებული. იგი არ უფრთხის სიახლეს და მაქსიმალურად იყენებს შესაძლებლობებს. უფრო მეტიც, მას ძალუძს, განჭვრიტოს ორგანიზაციის განვითარების საუკეთესო გზა და საკუთარი პასუხიმგებლობაც კარგად აქვს გაცნობიერებული. ლიდერობის ფენომენზე საუბრისას, მკვლევარი ევინ პ. ჰოლანდერი 1992 წელს გამოცემულ სტატიასი ,,The Essential Interdependence of Leadership and Followership'' (გვ. 71) აღნიშნავს ,,ლიდრობა გულისხმობს უფრო მეტად პროცესს, ვიდრე ინდივიდს''. მას ყურადღება გამახვილებული აქვს ძირითადად ლიდერებსა და მათდამი დამორჩილებული თანამშრომლების ურთიერტობის ფორმებსა და შიანარსზე და ხაზს უსვამს, რომ აღიარებული სტერეოტიპის მიუხედავად, ლიდერობა ნიშნავს არა ლიდერისა და მისი თანამშრომლების ცალმხრივ ინტერქაციას, არამედ მიზნის მისაღწევად აქტიურ ძალისხმევას ორივე მხრიდან.

ბევრი ადამიანი ერთდროულად ლიდერიცაა და მენეჯერიც: მათ აქვთ მენეჯერული სამუშაო, მაგრამ როცა აანალიზებენ, რომ თანამშრომლების გულების ყიდვა არ შეუძლიათ, განსაკუთრებით კი რთულ სიტუაციაში, ისინი ლიდერის როლს კისრულობენ. საუკეთესო მენეჯერები, რომელთა შორის ბევრი აღიარებული ,,ლიდერია'', თავს ართმევენ ყოველდღიურ საქმიანობასაც და მოულოდნელად წამოჭრილ პრობლემებსაც. მენეჯერებს ჰყავთ დაქვემდებარებული პირები, მაშინ როცა ლიდერებს არა, სულ მცირე მაშინაც კი , როცა ისინი საქმეს უძღვებიან. მხოლოდ

ისეთ ლიდერებს ჰყავთ დაქვემდებარებული პირები, რომლებიც ამავდროულად მენეჯერებიც არიან, მაგრამ როცა მათ ლიდერობა უნდათ, მაშინ უხდებათ ფორმალურ ავტორიტარულ კონტროლზე უარის თქმა, რადგა ნ ლიდერობა მიმდევრების ყოლას ნიშნავს, მიმდევრობა კი მოხალისეობრივი აქტივობაა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამდენი განსხვავების მიუხედავად, ეს ცნებები იკვეთება. მარტივად რომ ვთქვათ, ლიდერი არ არის მენეჯერის იდენტური ცნება, მაგრამ მენეჯერის არსი თავის თავში მოიცავს ლიდერობის გარკვეულ ელემენტებს.

ჯონ პ. კოტერი თავის სტატიაში ,,რას აკეთებენ ლიდერები სინამდვილეში'' განსხავევაბას მენეჯმენტსა და ლიდერობას შორის შემდგენაირად განიხილავს. ის თვლის რომ მენეჯმენტი სირთულესთან გამკლავებას გულისხმობს. კარგი მენჯმენტის გარეშე კომპლექსურ საწარმოებსა და კომპანიებში შეიძლება ისეთი ქაოსი წარმოიქმნას, რომ საფრთხე შეექმნას მათ არსებობას. კარგ მენჯმენტს წესრიგი და მუდმივობა შემოაქვს კომპანიების საქმიანობის ისეთ ძირითად ასპექტებში, როგორიც წარმოებული პროდუქტების ხარისხი და რენტაბელობაა.

ამის საპირისპიროდ, ლიდერობა ცვლილებასთან გამკვლავებაა. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა ის ასეთი მნი/სვნელოვანი უკანსაკნელ წლებში, ის არის, რომ ბიზნესგარემო მეტად კონკურენტული და არასტაბილური გახდა. სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილება, მზარდი საერთაშორისო კონკურენცია, ბაზრების დერეგულაცია, მსხვილი კაპიტალის მქონე ინდუსტრიების დიდი შესაძლებლობები, ნავთობის არასტაბილური კარტელი, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ უამრავი ფაქტორისა, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ამ გადაადგილება/ცვლილებაში. მენეჯმენტი კომპლექსურობასთან გამკლავებას გულისხმობს, მას სიტუაციაში წესრიგი და პროგნოზირებადობა შემოაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. წარმატების მისაღწევად კომპანიებს ცვლილებასთან ადაფტირება უნდა შეეძლოთ. შესაბამისად ლიდერობა სწრაფ ცვლილებასთან გამკლავების სწავლას შეეხება. როგორ გამოიხატება ეს განსხვავებები?

- მენეჯმენტი დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას მოიცავს, ლიდერობა- მიმართულების მიცემას;

- მენეჯმენტი ორგანიზებასა და კადრებისშერჩევას გულისხმობს -, ლიდერობა - ადამიანების შემართვას და ორგანიზებას;
- მენეჯმენტი კონტროლსა და პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს, ლიდერობა - მოტივაციას.

ბიზნესში წარმატების მიღწევისათვის ლიდერობის მზარდი მნიშვნელობის მიუხედავად, ადამიანთა უმრავლესობის გამოცდილება სამუშაო ადგილზე, როგორც ჩანს, ხელს უშლის ლიდერობისთვის საჭირო თვისებების განვითარებას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კომპანია მაინც ახერხებს გამორჩეული ლიდერი- მენეჯერების გამოზრდას.

აქვე მინდა განვიხილო მაიკლ ვინკილსონის სტატია ლიდერობასა და მენეჯერებს შორის სხვაობის შესახებ. მისი აზრით, ბევრი ღიზიანდება მენეჯერსა და ლიდერს შორის არსებული განსხვავებების გამო და რა თქმა უნდა ერთსაც და მეორესაც მნიშვნელოვანი ორგანიზაციული როლი გააჩნიათ კომპანიაში. ვილკინსონი გამოყოფს ძირითად განსხვავებებს:

- მენეჯერი ზედამხედველობს ხალხს, ლიდერი კი შთააგონებს;
- მენეჯერი წყვეტს კლიენტების მოტხოვნებს, ლიდერი წინასწარ განსჭვრეტს მათ;
- მენეჯერი ნერგავს ხედვას, ლიდერი კი აყალიბებს;
- მენეჯერი რეაქტიულია, ლიდერი პროაქტიული;
- მენეჯერი აქცენტს აკეთებს აწმყოზე, ლიდერი მომავალზე;
- მენეჯერი აცნობს კორპორატიულ პოლიტიკას თანამშრომლებს, ლიდერი თანამშრომლებთან ერთად ქმნის პოლიტიკას;
- მენეჯერი მოითხოვს ხალხისაგან სამუშაოს სწორად შესრულებას, ლიდერი კი ზრუნვას, რომ ხალხმა აკეტოს ღირებული საქმე ,, not to do a job right but to do a right job''.

საერთო ჯამში ორივე - ლიდერობაც და მენეჯმენტი მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, თუ რა არის გასაკეთებელი. დაგეგმილი აქტივობების

განსახორციელებლად ადამიანთა ქსელების ჩამოყალიბებას და საქმის რეალურად გაკეთების უზრუნველყოფას. მათი სამუშაო ურთიერთშემავსებელია, მაგრამ მოქმედებათა თითოეული სისტემა განსხვავებულად უდგება დასახული ამოცანების განხორციელებას.

❖ ლიდერული უნარების განვითარების სამი დონე

როდესაც ადამიანი პირველად იკავებს მენეჯერის თანამდებობას, ის მოქმედებს, როგორცზედამხედველი და ხდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული. ჩვენ ამას ვუწოდებთ I დონეს.

როდესაც ლიდერი მიხვდება, რა არის მთავარი წარმატების მისაღწევად, აცნობიერებს, რომ ის და კომპანია გაცილებით ეფექტურად მუშაობს მაშინ, როდესაც მისი გუნდი მუშაობს ეფექტურად.ამ დროს, ის გადადის მეორე დონეზე, ზედამხედველობიდან მენტორის პოზიციაზე გადაინაცვლებს და სამუშაოს შესრულებაზე მეტად გუნდზე ორიენტირებული ხდება. მეორე დონის ლიდერები მიმართავენ ენერგიას პერსონალური რესურსების უნარების გაცნობიერებისაკენ, ძლიერი მხარეების მაქსიმალურად უტილიზებისა და სისუსტეების მინიმიზებისაკენ. ისინი ცდილობენ სწორად დაამყარონ კომუნიკაცია გუნდთან და დაანახონ სამომავლო გეგმების სურათი. მათ ესმით, რომ წარმატების მიღწევისათვის საჭიროა თანამშრომლებს ესმოდეთ ლიდერის მიზნები და გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი პრინციპები.

განსხვავება I და II დონეს შორის ძალიან დიდია, II და III-ს შორის კი უფრო შესამჩნევი. მესამე დონის ლიდერები, რომლებიც მეტს ფიქრობენ და ფოკუსირდებიან მომავალზე, არიან ,,მეოცნებე'' ლიდერები. მათ აინტერესებთ თუ როგორ იმოქმედებს დღევანდელი გადაწყვეტილებები მომავალზე. ისინი გამუდმებით ეკითხებიან თავიანთ თავს, თუ რა უნდა გააკეთოს კომპანიამ დღეს, ბიზნესის მომავალი კეთილდღეობისათვის.

დონის ამაღლება

როგორ უნდა გაიგო თუ რომელ დონეზე იმყოფები?

ლიდერმა უნდა მოახერხო სამივე დონეზე მოქმედება. მაგრამ რაზე უნდა გააკეთოს ფოკუსირება? სამუშაოს შესრულებაზე, პერსონალზე თუ მომავალზე? ამ კითხვებზე პასუხებით მიხვდებით, თუ რომელ დონეზე მოქმედებთ.

ემთხვევა თუ არა დონე და თანამდებობა ერთმანეთს?

ზემოთ მოყვანილ სამ დონეს არანაირი შეხება არ აქვს თანამდებობებთან. ეს არის ლიდერის განვითარების დონეები. საუბედუროდ, კომპანიას შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც მოქმედებს პირველ დონეზე და ამავდროულად ჰყავდეს ოპერატორი, რომელიც იმყოფება მესამე დონეზე.

რა გჭირდებათ I -დან II დონეზე გადასასვლელად?

ამისათვის ლიდერს სჭირდება გაიგოს, რა არის საჭირო კარიერული წინსვლისთვის. შეიძლება მან არ იცოდეს სამუშაოს შესრულების დეტალები, მაგრამ ზუსტად უნდა ესმოდეს თუ როგორ უნდა გახადოს წარმატებული კომპანია, როგორ შეარჩიოს, დაატრენინგოს, წაახალისოს და შეაფასოს გუნდი.

რა გჭირდებათ II -დან III დონეზე გადასასვლელად?

დაიმახსოვრეთ, რომ მეორე დონეს ქვია მენტორი, მასწავლებელი. მესამე დონემდე მისაღწევად ლიდერს უნდა ჰყავდეს სათანადო პერსონალი, რომლებმაც ასევე იციან თუ როგორ მიაღწიონ წარმატებას და სხვებს გადასცენ მიღებული ცოდნა. თუ ლიდერს არ ჰყავს შესაბამისი კადრო, იგი დარჩება მეორე დონეზე, რადგან მარტო ერთი ინსტრუქტორი არ არის საკმარისი კომპანიაში. გუნდის წევრებმა უნდა იცოდნენ, რას აკეთებენ და როგორ უნდა განავითარონ სხვები.

რა არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც მენეჯერი ვერ ვითარდება I დონის შემდეგ?

ძალიან ბევრი ფაქტორი არსებობს, თუმცა ჩვენ ორ მთავარს განვხილავთ. **პირველი**:

მენეჯერს აკლია სურვილი ან კადრები, რომ გადავიდეს შემდეგ დონეზე. **მეორე:** ბევრი მენეჯერი ვერ ვითარდება, რადგან მათ არ იციან შემდეგი დონეების არსებობის შესახებ. მათ ყოველთვის მართავდნენ I დონის მენეჯერები და შესაბამისად ლიდერობაც მხოლოდ ეს ჰგონიათ. მათ აკლიათ ის ხედვა, რომელიც გააჩნიათ **ნამდვილ** ლიდერებს.

თუ ლიდერმა არ გააცნო გუნდს ხედვა, ყოველი თანამშრომელი იმოქმედებს საკუთარი პრინციპების მიხედვით, რომელიც შეიძლება დაეთანხმოს ან არ დაემთხვეს ლიდერის ხედვას. მაგალითისათვის განვიხილოთ ერთი შემთხვევა:

წარმოვიდგინოთ, რომ ტრენინგ-ცენტრში რეკავს უკმაყოფილო კლიენტი და აცხადებს, რომ გასულ თვეში გაიარა კურსი კონსულტაციის უნარებში, რომელიც საშინლად არ მოეწონა. კურსში არ იყო გათვალისწინებული მისთვის საინტერესო საკითხები და ითხოვს გადახდილი თანხის დაბრუნებას.

ლიდერს სურს ტელეფონზე მოპასუხემ გასცეს ისეთივე პასუხი, რასაც გასცემდა თავად. ამისათვის კი საჭიროა თანამშრომელს ესმოდეს 3 ძირითადი პრინციპი.:

1. ჩვენ ვმუშაობთ, რათა ვაკეთოთ ფული;
2. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიმსახურებთ ფულს, როდესაც ვაკმაყოფილებთ კლიენტის მოთხოვნებს;
3. ჩვენ არ ვაგვარებთ პრობლემებს ერთჯერადად, ჩვენ აღმოვფხვრით მათ, ისე რომ მომავალში არ განმეორდეს.

1. წარმოვიდგინოთ, რომ კომპანიის წარმომადგენელს ესმის მხოლოდ პირველი პრინციპი. ის სავარაუდოდ უპასუხებს ზარს შემდეგნაირად: ,,არ მოგეწონათ? ძალიან ვწუხვარ. ჩვენ არ ვანაზღაურებთ თანხებს''. ასრულებს საუბარს.
2. კომპანიის წარმომადგენელეს ესმის პირველი ორი პრინციპი. ის უპასუხებს:,,არ მოგეწონათ კურსი? ძალიან ვწუხვარ. ცვენ დიდი სიამოვნებით აგინაზღაურებთ თანხას და ბონუსად დაგიმატებთ 10%, რადგან უქმად დაკარგეთ დრო. იმედი მაქვს მომავალში ისევ მოგვმართავთ. ''

მეორე პასუხი შედარებით უკეთესია, ვიდრე პირველი, თუმცა პრობლემის მიზეზი

არ აღმოფხვრილა და შესაბამისად მომავალშიც განმეორდება.

თუ კომპანიის წარმომადგენელს ესმის სამივე პრინციპი, ის უპასუხებს შემდეგნაირად: ,,თქვენ არ მოგეწონათ კურსი? ძალიან ვწუხვარ. ჩვენ სიამოვნებით აგინაზღაურებთ თანხას. შეგიძლიათ გამომიყოთ წუთი და დამეხმაროთ? გთხოვთ, ამიხსნათ რა საკითხების გავლას მოელოდით? როდესაც ჩვენს გაყიდვების აგენტს ელაპარაკეთ, გკითხათ, რა იყო თქვენი მოლოდინი? აა, თქვენ არ გილაპარაკიათ გაყიდვების აგენტთან. თქვენ ონლაინ დარეგისტრირდით. ეს ნისნავს, რომ ჩვენ უნდა გადავამოწმოთ ონლაინ რეგისტრაციები. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენთვის სასურველი სულ სხვა კურსი იქნებოდა და არა კონსულტაციის დრგში. თქვენ სხვა კურსზე მოხვდით სამწუხაროდ. თუ თქვენთვის მისაღები იქნება, ანაზღაურების ნაცვლად თქვენს რეგისტრაციას გადავიტან თქვენთვის მისაღებ კურსზე ყოველგვარი გადასახადის გარეშე. გაწყობთ? ძალიან კარგი, მომავალი ტრენინგ კურსი იწყება...''

- **შეუძლებელია ვისაუბროთ ლიდერის როლის მნიშვნელობაზე ორგანიზაციაში და არ ვახსენოთ ადამიანთა როლი ორგანიზაციაში და თანამშრომელთა მოტივაციაზე.**

2.3 ადამიანის როლი ორგანიზაციაში

დღევანელ სწრაფად ცვალებად გარემოში ორგანიზაციების მოქნილობა და ცვლილებების განხორციელების უნარი უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე თვითონ ამ ცვლილებების შინაარსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ორგანიზაციის მიერ ერთბაშად მიღებული და აღსრულებული გადაწყვეტილებები (რაოდენობა, ხარისხი, ურთიერთკოორდინაცია, სწორი კომუნიკაცია). ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ უფრო მეტ გადაწყვეტილებას და აღასრულებენ, ახერხებენ ფეხდაფეხ გაყვნენ დროს და გაასწრონ კონკურენტებს, გახდნენ უფრო მეტად საინტერესოები მომხმარებლებისათვის და უფრო მეტად საჭირო საზოგადოებისათვის.

ასეთ პირობებში კი თითოეული თანამშრომელი ხდება ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზაციისთვის, რამდენადაც თითოეული მათგანი წარმოადგენს იდეების, ინფორმაციების ამოუწურავ წყაროს. ის, თუ რამდენად ახერხებს ადამიანი ორგანიზაციის გამოყენებას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისათვის, უმეტესად განსაზღვრავს კიდეც ორგანიზაციის წარმატების ხარისხს. ადამიანის რესურსი ამოუწურავია, თუმცა რესურსი, რომელსაც ისინი თავიანთი ორგანიზაციისთვის იყენებენ გარკვეულწილად ლიმიტირებულია და ახლოს არის იმ სარგებელთან, რომელსაც ისინი ორგანიზაციისგან იღებენ. ადამიანები ქმნიან იმდენს და დაახლოებით იმდენს , რასაც აქედან იღებენ და კმაყოფილდებიან ამით. დღეს მნიშვნელოვანია რომ ადამიანებმა ბევრად მეტი აკეთონ, ვიდრე აკეთებდნენ, თუნდაც ეს იყოს ძალიან მცირედი ნაწილი იმისა ვიდრე მათ რეალურად შეუძლიათ. ეს არის ყველაზე დიდი რეზერვი ნებისმიერი ორგანიზაციის განვითარებისათვის. ის ორგანიზაცია და ის მენჯმენტი, რომელიც შეძლებს არ იყოს მდინარის მეორე ნაპირზე თავისი თანამშრომლებისათვის და არ მიმდინარეობდეს გამუდმებული ვაჭრობა სხვადასხვა პირობებზე, და შეძლებს

თანამშრომლებთან თანამშრომლობას, შეეცდება მათი აზრის გათვალისწინებას, ერთად დაიწყებენ ორგანიზაციის პრობლემების მოგვარებას, საერთო ღირებულებების მოძიებას, ორგანიზაციის განვითარებას და დასახული მიზნების ერთობლივ მიღწევას ერთობლივი ქმედებებით, შეძლებს ბევრად უფრო მეტი ფასეულობა ამოიღოს ამ საგანძურიდან.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ლიდერის როლი არის შეუცვლელი ორგანიზაციის განვითარებისა და წინსვლისათვის.

თავი III. ლიდერობა და ეფექტური კომუნიკაცია

კომუნიკაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ორგანიზაციაში მენეჯერის დროის 50-90% იხარჯება კომუნიკაციაში. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს კომუნიკაციის უნარი ხელქვეითებთან, მომხმარებლებთან, მიმწოდებლებთან, ორგანიზაციის ნებისმიერი დონისა და რანგის მუშაკებთან ურთიერთობაში. კომუნიკაცია არის საშუალება, რითაც თანამშრომლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს, იდეებს, ფაქტებს, სურვილებსა და საჭიროებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებში კომუნიკაციის უნარი ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე სხვა ცოცხალ ორგანიზაციებში, ბევრ ადამიანს ძალიან უჭირს თავისი იდეებისა და აზრების გასაგებ ენაზე გადმოცემა და მსმენელამდე სწორად მიტანა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ორგანიზაციებში ყველაზე გავრცელებული პრობლემა უკავშირდება სწორედ მენეჯერებისა და მათ ხელქვეითებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობას. ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტმა 1992 წელს განაცხადა: ,,შეიძლება გქონდეს ბრწყინვალე იდეები, მაგრამ თუ ვერ შეძლებ მათ ჯეროვნად გადმოცემას, შენი იდეები სასურველ შედეგამდე ვერ მიგიყვანს, რადგან შენი აზრის სისწორეს ვერავის დაანახებ''.

კარგი კომუნიკაციის უნარი ეფექტური ხელმძღვანელის დამახასიათებელი თვისებაა. მისი მეშვეობით ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, რომელიც საბოლოოდ მათ მიერ გადასადგმელ ნაბიჯებზე, ქცევებზე და პიროვნულ ურთიერთობებზე ახდენს გავლენას. კომუნიკაციის საშუალებით მენეჯერი უსმენს თანამშრომლის აზრს, იღებს საჭირო და დროულ ინფორმაციას და ინარჩუნებს კარგ განწყობას სამუშაო გარემოში. ვერცერთი მენეჯერი ვერ შეძლებს გაუმკვლავდეს კონფლიქტებს თანამშრომლებს შორის, ვერ აწარმოებს მოლაპარაკებებს წარმატებით, თუ იგი არ არის კარგი კომუნიკატორი.

კომუნიკაციის პროცესი - როგორ უნდა განვახორციელოთ ეფექტური კომუნიკაცია? ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა კომუნიკაციის პროცესის გაგება. კომუნიკაციის პროცესში იგულისხმება ინფორმაციის გაცვლა (გადაცემა) ორ ან მეტ ადამიანს შორის. კომუნიკაციის პროცესის ძირითადი მიზანია ინფორმაციის გაგების უზრუნველყოფა, რათა მიღებული შეტყობინება აღიქმებოდეს სწორად, ყოველგვარი ინტერპრეტაციისა და შეფერხებების გარეშე. კომუნიკაციის პროცესში აუცილებლად არსებობს მინიმუმ ორი მხარე მაინც - გამგზავნი და მიმღები.

განვიხილოთ მაგალითი, თუ როგორ მუშაობს კომუნიკაცია პრაქტიკულ ბიზნეს სიტუაციაში: პირველ რიგში, გამგზავნს უყალიბდება იდეა კონკრეტული შეტყობინების გაგზავნაზე.

მაგალითად:

მენეჯერი ფიქრობს: ,, ახალი პროდუქტის პრეზენტაციისთვის გვჭირდება მეტი პროექტორი!''

უახლოეს სხდომაზე იგი ხმამაღლა აფიქსირებს თავის აზრს ხელქვეითებთან: ,,გვჭირდება დამატებითი პროექტორების შეკვეთა ახალი პროდუქტის უკეთ წარმოჩენისათვის სხვადასხვა დაწესებულებაში''.

მისი ხელქვეითი (შეტყობინების უშუალო მიმღები) ლ. მენეჯერის შეტყობინებას შემდეგნაირად იგებს: ,, რამდენიმე პროექტორია შესაკვეთი, თუ იპოვი დროს იქნებ ეს ამ კვირაში მოახერხო...''

წარმოვიდგინოთ მომდევნო სცენა. ადგილი: სხდომათა დარბაზი. დრო: რამდენიმე დღის შემდეგ. მენეჯერს სჯერა, რომ მისი შეტყობინება სწორად არის გაგებული.

,,მოტანილია პროექტორები?'' - კითხულობს იგი,,თქვენ არ გითქვამთ, რომ ეს ასეთი

სასწრაფო იყო'' - აპროტესტებს შეტყობინების მიმღები. ასეთი გაუგებრობები თითქმის ყოველდღიურად ხდება.

3.1 კომუნიკაციის მეთოდები

კომუნიკაცია ადამიანთა ურთიერთობების მნიშვნელოვანი ელემენტია, მის გარეშე შეუძლებელია დასაბამი მიეცეს ნებისმიერ კავშირს. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანების ცხოვრებაში ვინც ბიზნესში ლიდერობისკენ ისწრაფვის.

შეტყობინების გამგზავნი არის ადამიანი, რომელიც გასცემს ინფორმაციას. მიმღები არის ადამიანი, რომლისთვისაც ეს ინფორმაციაა განკუთვნილი. შეტყობინება არის თვითინფორმაცია, რომელიც კოდირებულია სიმბოლოების საშუალებით. კოდირება არის კონკრეტული იდეის შეტყობინებად გადაქცევის პროცესი. კოდირებისთვის გამოიყენება სიტყვები, ინტონაცია და ჟესტები. ინფორმაციის გადაცემა ხდება კომუნიკაციის სხვადასხვა არხების მეშვეობით. დეკოდირება გულისხმობს მიმღების მიერ შეტყობინების აღქმას (ინტერპრეტირებას). ხმაური შეიძლება იყოს ყველაფერი ის, რომელიც შეტყობინების მიღებას და სწორად გაგებას უშლის ხელს. უკუკავშირი არის იმის დადასტურება, რომ მიმღებმა სწორად აღიქვა შეტყობინება.

არსებობს კომუნიკაციის სამი მეთოდი:

1. ვერბალური კომუნიკაცია;

2. წერილობითი კომუნიკაცია;

3. არავერბალური კომუნიკაცია.

თითოეულს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია. ვერბალურ კომუნიკაციას უწოდებენ სიტყვების მეშვეობით გადაცემულ და მიღებულ ინფორმაციას. სიტყვა ,,ვერბალური'' ლათინურია და ნიშნავს ზეპირს, სიტყვიერს. იმის გამო, რომ დღის მანძილზე მენეჯერი ძალიან ბევრ დროს ხარჯავს თანამშრომლებთან ზეპირ ურთიერთობაში, მას უნდა გააჩნდეს როგორც კარგი ლაპარაკის, ასევე ყურადღებით მოსმენის უნარი.

მაგალითად, ვერბალური კომუნიკაციის უნარი საჭიროა, როდესაც მენეჯერი გეგმავს ახალი პროდუქტის, ატარებს პრესკონფერენციებს, თათბირებს და ა.შ. ბევრ მენეჯერს ურჩევნია უფრო ხშირად თანამშრომლებთან სწორედ ასეთი სახის კონტაქტი ჰქონდეს, რაც მას საშუალებას აძლევს მაშინვე განსაჯოს თუ როგორ რეაგირებას ახდენს ცნობის მიმღები მის მიერ გადაცემულ ინფორმაციაზე, მიიღოს მაშინვე უკუკავშირი და უპასუხოს შეკითხვებს, რომელიც თანამშრომელს ახალ შეტყობინებასთან დაკავშირებით შეიძლება გაუჩნდეს. ზოგადად, მიიჩნევა რომ პირისპირ ლაპარაკი უფრო სანდოა, ვიდრე წერილობითი მიმართვის მიღება. დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. ამჯერად, მენეჯერი ლ-ს ახალ შეტყობინებას ტელეფონით გადასცემს.

მენეჯერი: ,,დილამშვიდობისა ლ, მინდა რომ შეუკვეთო 10 ცალი პროექტორი სოფტმასტერში. ამისათვის, სულ გამოყოფილია 3000 ლარი, პროექტორი ადგილზე უნდა იყოს ოთხშაბათს შუადღემდე''.

(მენეჯერი დავალებას ყოფს ეტაპებად, რათა ადვილად გასაგები იყოს მიმღებისათვის).

ლ: ,,კარგით, დავრეკავ სოფთმასტერში და შევუკვეთავ 10 პროექტორს, 3000 ლარის ფარგლებში, რომელიც ოთხშაბათს შუადღემდე იქნება ადგილზე''.

(ლ.მ ყურადღებით მოუსმინა ინფორმაციას და გაიმეორა რაც გაიგონა. განხორციელდა დაუყოვნებლივი უკუკავშირი. ვერბალური გზით მიღებული ინფორმაცია ეხმარება ლ-ს რომ მაშინვე გაარკვიოს ნებისმიერი გაუგებრობა და თუ რამე ვერ გაიგო ხელმძღვანელის

შეტყობინებაში, იქვე დააზუსტოს. დაუყოვნებლივი უკუკავშირი ასევე ეხმარება მენეჯერს მიხვდეს, რომ მისი შეტყობინება სწორად იქნა გაგებული).

წერილობითი კომუნიკაცია - ძალიან ბევრი ადამიანი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად გადმოსცეს თავისი აზრი წერილობითი ფორმით. არსებობს შემდეგი მიზეზები იმისა თუ რატომ გვირჩევნია ვერბალური კომუნიკაცია წერილობითს: ადამიანებთან ვერბალური კონტაქტი ბევრად სწრაფია, მოითხოვს ნაკლებ ძალისხმევას პირისპირ კონტაქტის დროს ვიღებთ დაუყოვნებლივ პასუხს და შეგვიძლია დავაკვირდეთ ადამიანების რეაქციას და დამოკიდებულებას საკითხის შესახებ. იმისდა მიხედვით, თუ როგორ საპასუხო რეაქციას მივიღებთ, საშუალება გვეძლევა რამდენიმე ადაპტაცია გავუკეთოთ ჩვენს შეტყობინებას. ყოველთვის არ ვართ დარწმუნებული ჩვენს უნარზე რომ შეგვიძლია ვწეროთ გრამატიკულად გამართულად და შეუცდომლად.

თუმცა ყველა შემთხვევაში, არის სიტუაციები, სადაც წერილობითი კომუნიკაცია უმჯობესია, თუ აუცილებელი არა. კომუნიკაცია უფრო ეფექტური იქნება, თუ მას წერილობითი სახით წარადგენ იმ შემთხვევაში, როდესაც: გინდა ერთი და იგივე შეტყობინება გაუგზავნო ძალიან დიდი რაოდენობით ადამიანებს. სხვადასხვა მიზეზების გამო საჭიროა შეტყობინება არსებობდეს ჩანაწერის სახით. შეტყობინება არის ძალიან გრძელი და რთული პირისპირ ან სატელეფონო საუბრისთვის. ინფორმაციის სირთულისა და დიდი მნიშვნელობის გამო, სასურველია მიმღებმა მრავალჯერ გადახედოს შეტყობინებას, რომ მხოლოდ მეხსიერებას არ დაეყრდნოს. ძირითადად წერილობითი კომუნიკაციის დროს ყველაზე დიდი სირთულეა ის, რომ სანამ პასუხი მოვა ვერ ვიგებთ, თუ როგორ იქნა მიღებული შეტყობინება და როგორ იქნა ინტერპრეტირებული მიმღების მიერ.

ამგვარად, მენეჯერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი წერის კულტურა. წერითი უნარების განვითარება საკმაოდ ძნელია. ბევრ ადამიანს აქვს პრობლემა წეროს მარტივად და გასაგებად. არსებობს გამოთქმა: ,,არასდროს გამოიყენო ორი სიტყვა იქ, სადაც ერთი

სიტყვითაც შეიძლება გამოხატო იგივე აზრი''. ფორმალური წერილების, სამსახურებრივი ჩანაწერების, წერილობითი მოხსენებების მომზადების უნარ-ჩვევების განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეს ყველაფერი მენეჯერის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

არავერბალური კომუნიკაცია - ყოველდღიურ სამსახურებრივ ურთიერთობაში უდიდესი როლი ენიჭება არავერბალურ კომუნიკაციას. არავერბალურ კომუნიკაციაში გამოიყენება ნებისმიერი სიმბოლოები გარდა სიტყვებისა, თუმცა ისინი სიტყვებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ინფორმაციის გადაცემისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამომეტყველება, ინტონაცია, ჟესტიკულაცია. ძირითადად ხდება არავერბალური და ვერბალური სიმბოლოების ერთდროულად გამოყენება, რაც აძლიერებს ან ცვლის სიტყვის მნიშვნელობას. იმისათვის რომ ეფექტურად განვახორციელოთ კომუნიკაცია, საჭიროა მოვხდინოთ სიტყვებისა და ჟესტიკულაციის სწორი შერწყმა. არავერბალური კომუნიკაცია უნდა შეესაბამებოდეს იდეას, რომლის გადაცემაც ხორციელდება. თუ ეს პირობა არ შესრულდა, მაგალითად, თუ ინფორმაციის მიმწოდებელი იღიმება როდესაც სევდიან ამბავს ყვება, არაადეკვატური და შეუსაბამო რეაქცია ცუდად განგვაწყობს პიროვნების მიმართ.

არავერბალური კომუნიკაციის სწორად გამოყენება ორგანიზაციაში პიროვნებათშორისი ურთიერთობების გაძლიერებაშიც გვეხმარება.

კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია და აქედან გამომდინარე, საჭიროა როგორც ინფორმაციის მიმღებს ისე გადამცემს ჰქონდეს მოსმენისა და სწორად გადმოცემის უნარი. მოსმენის კულტურა გარკვეულწილად მოითხოვს თვითდისციპლინას. ერთი რამ ნათელია - მენეჯერს წარმატებული კარიერის ასაწყობად კარგი მსმენელის უნარ-ჩვევების გამომუშავება აუცილებლად სჭირდება. კერძოდ: უნარი იმისა, რომ დაიცვა სიჩუმე და შეწყვიტო ლაპარაკი როდესაც უსმენ; გამოიჩინო ინტერესი მოსაუბრის მიმართ და გამოხატო ეს სახის გამომეტყველებით ჟესტებით; დასვა კითხვები საკითხის

უფრო მეტად გარკვევისთვის; გამოიჩინო მოთმინება, განსაკუთრებით იმ მოსაუბრის მოსმენის დროს, რომელიც ლაპარაკობს გაურკვევლად და გაუბედავად.

ამგვარად, ორგანიზაციაში ეფექტური კომუნიკაციის არსებობა გარკვეულწილად ორგანიზაციის წარმატების განმსაზღვრელია. ეფექტური კომუნიკაციის უნარი წარმატებული დაგეგმვის, ორგანიზაციის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის აუცილებელი პირობაა.

შეჯამება

დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში უდიდესი როლი ენიჭება ადამიანს, მის რესურს ორგანიზაციის განვითარებაში. იგი ხდება გადამწყვეტი ფაქტორი ორგანიზაციული წინსვლის და წარმატების. კომპანიების წარმატებაში, ადამიანის როლისა და მნიშვნელობის ცვლილებებთან ერთად, იცვლება მენეჯმენტის სტილიც. მენეჯერებს, რომელთა ფუნქცია დღემდე ძირითადად დაქვემდებარებულების საქმიანობის დაგეგმვა და კოორდინაცია იყო, უჭირთ ახალ ამოცანებთან გამკვლავება. დღითიდღე აქტუალური ხდება მენეჯმენტის ახალი სტილი, რომელიც ლიდერობაზე, ადამიანის შესაძლებლობების უკეთ გამოყენების უნარზეა დაფუძნებული. მენეჯერები იცვლებიან ლიდერებით. გლობალიზაციის გაღრმავებამ, ბიზნეს პროცესის გამრავალფეროვნებამ და აგრესიულობაში გადასულმა კონკურენტულმა აქტივობამ მენეჯმენტი სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა. ერთ-ერთი ამოცანაა ლიდერის როლი და მნიშვნელობა ბიზნეს პროცესებში.

ლიდერის როლი ორგანიზაციის განვითარებაში სხვადსხვაგვარია. ჩვენ განვიხილეთ ემოციური ინტელექტი და მის ფარგლებში თუ რა მოეთხოვება ლიდერს. რომ იგი უნდა იყოს თვითცნობიერი, შეეძლოს თვითრეგულაცია, შეეძლოს თანამშრომელთა მოტივირება, ჰქონდეს ემპათიის განცდა თანამშრომლების მიმართ და იყოს სოციალური. ყოველივე ეს კი მიზნად ისახვას ადამიანის, რიგითი თანამშრომლების როლის და დანიშნულების გაზრდას ორგანიზაციაში, რადგან სწორედ ადამიანი წარმოადგენს საყრდენს და მამოძრავებელ ძალას ორგანიზაციისათვის, სწორედ მათი მოტივირებული ჩართულობა მიმდინარე საქმიანობასა და განვითარების პროცესში გადამწყვეტი ფაქტორია ორგანიზაციის წარმატებისათვის. რაც უფრო კარგად ახერხებს ლიდერი თანამშრომლების უნარებისა და შესაძლებლობების ორგანიზაციის ინტერესების სამსახურში ჩაყენებას, სწორი და ეფექტური კომუნიკაციის დახმარებით, მით უფრო სწრაფი და მნიშვნელოვანია წარმატება, რომელსაც ორგანიზაცია აღწევს.

ლიდერის პოტენციალი ორგანიზაციაზე დიდ ზეგავლენას ახდენს და განსაზღვრავს მის წარმატებას. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს თუ ვინ დგას ორგანიზაციის სათავეში. თუ ლიდერობის უნარი მენეჯერებს სათანადოდ არა აქვთ განვითარებული, ის ვერ შეძლებს ორგანიზაციის ეფექტიან მართვას. წარმატება ყველასათვისაა შესაძლებელი, მაგრამ ლიდერის თვისებების გარეშე მაქსიმუმის მიღწევა შეუძლებელია - რაც უფრო მეტის მიღწევა სურს ადამიანს მართვაში, მით უფრო მეტად უნდა ჰქონდეს და განავითაროს ლიდერის თვისებები.

ბიბლიოგრაფია

1. *ქიტიაშვილი (2013)- კვაჭანტირაძე, ,,ლიდერობა და გუნდის მართვა'' თბილისი;*
2. *ნორთჰაუზი პ. (2010) ,,ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა'' თბილისი;*
3. *ხარაძე ნ. (2009) ,,ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება'' თბილისი;*
4. *ჰოფსტედე გ. ი, ,,კულტურები და ორგანიზაციები''*
5. *სინერჯი ჯგუფის სტატიების კრებული, (2012) ლიდერობის ხელოვნება, თბილისი;*
6. *ბადრი რამიშვილი, 92013) ,,სტრატეგიული მენეჯმენტი'' თბილისი;*
7. *დენიელ გოლემანი, (2018) ,,რა ჰქმნის ლიდერს?'', Harvard Business School Publishing Corporation, თბილისი;*
8. *ჯონ პ. კოტერი, (2018) ,,რას აკეთებენ ლიდერები სინამდვილეში', Harvard Business School Publishing Corporation, თბილისი;*
9. *http://intermedia.ge*
10. *http://intermedia.ge*
11. *http://blog.ncib.ge*
12. *ც. ლომაია (2014) „ადამიანური რესურსების მენეჯემენტი", თბილისი, 132-133 გვ;*
13. *D. Jensen (2018) ,,Employee Motivation: A Leadership Imperative'';*
14. *Ralph Nader ,,Leadership and Motivation''*
15. *Ficke H. Rawung ,,The Effect of Leadership on the Work Motivation of Higher Education Administration Employees*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვა სადოქტორო პროგრამა

მე-3 სემესტრის დოქტორანტი

დავით რაზმაძე

სადოქტორო სემინარი

„ საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა მატარაძე

სარჩევი

შესავალი----------3

თავი 1.საერთაშორისო ორგანიზაციები ----------5

1.1.საერთაშორისო ორგანიზაციების დანიშნულება----------5

1.2.ევროპული კავშირი----------7

1.3.ევროპის საბჭო (ევროსაბჭო) ----------9

1.4.გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) ----------14

1.5.გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) ----------20

1.6.ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO)----------22

1.7.ეუთო და გენერალური ასამბლეა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ----------25

თავი 2.მსოფლიო და გლობალიზაცია ----------27

2.1.პოლიტიკური გლობალიზაცია ----------27

2.2.საერთაშორისო ორგანიზაციები გლობალიზაციის პერიოდში ----------28

დასკვნა ----------30

გამოყენებული ლიტერატურა----------32

შესავალი

თემის აქტუალობა: თემის მიზანია თანამედროვე გლობალურ სამყაროში, სადაც გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების ვითარებები სწრაფად ცვალებადი გახდა, დემოკრატიის გავრცელების პერიოდში (ეპოქაში) წარმოვაჩინო საერთაშორისო ორგანიზაციების და საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების როლი და მათი მნიშვნელობა მსოფლიო გლობალური უსაფრთხოების შექმნის არქიტექტონიკაში.

აქცენტი გავაკეთე ისეთ ორგანიზაციებზე, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ცნობილია საქართველოს საზოგადოებისთვის. ასევე შევეცდები ამ ორგანიზაციებთან საქართველოს კავშირების და თანამშორმლობის წარმოჩენას.

ამ თემაში არ მიმოვიხილავ ისეთ ორგანიზაციებს როგრიცაა: **აფრიკის კავშირი, სამხრეთ ამერიკის ერთა კავშრი, ჩრდილოეთ ამერიკის კავშირი და არაბთა ლიგა**. იმის გარდა რომ ეს ორგანიზაციები არ არის აქტუალური საქართველოში ასევე არ წარმოადგენენ გლობალურ მოთამაშე ორგანიზციებს. საერთაშორისო ორგანიზაციების და საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა განუზომვლად დიდია დემოკრატიის ტრანზიციის პერიოდში (ამის ბრწყინვალე მაგალითია ვენესუელაში ამჟამად მიმდინარე მოვლენები). აღნიშნული ორგანიზაციების მნიშვნელობა არა მარტო მსოფლიო მასშტაბითაა მნიშვნელობვანი არამედ რეგიონალური მაშტაბითაც. კონკრეტულად შავი ზღვის აუზში, რომლის კონტექსტშიდაც მოიაზრება საქართველო.

ამ თემის მომზადების პროცესში შევისწავლე სხვადასხვა ნაშრომი, გამოვიყენე ინტერნეტი სხვადასხვა სტატიების, დასკვნების, ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციები და ლიტერატურა. ძებნისას გამოვიყენე ისთი მცნებები როგორიცა: საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციები, უსაფრთხოების ორგანიზაციები, უსაფრთხოების ორგანიზაციების პოლიტიკა, უსაფრთხოების ორგანიზაციების ბიუჯეტი, საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშირსო სამშვიდობო მისიები და სხვა.

მე-20 საუკუნის ბოლოს, კაცობრიობა განვითარების ახალ გზას დაადგა და მისმა ამ ახალმა კურსმა გლობალიზაციის ხასიათი მიიღო. სწორედ ამ პერიოდში,

სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემას შორის უნდა დამთავრებულიყო წინააღმდეგობა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მსოფლიო მეურნეობაზე - როგორც ერთიან სისტემაზე ლაპარაკი.

ამ ორ, სამხედრო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სისტემას შორის წინააღმდეგობის მოსპობის შემდეგ განვითარებულმა ქვეყნებმა გადადგეს ნაბიჯები თანამშრომლობისაკენ სიღარიბის დაძლევის, მშვიდობის შენარჩუნების, სამხედრო კონფლიქტების მოგვარების, ადამიანთა უფლებების დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, კულტურის განვითარების მიზნით, ერთიანი ცივილიზაციის შესაქმნელად.

აზრი ევროპის ერთიანობის შესახებ მწიფდებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. თანდათან მკვიდრდებოდა იდეა ევროპის იდენტობის შესახებ, რაც გამოიხატა ტერმინ „ევროპელობის“ დამკვიდრებაში. ევროპის იდენტიფიკაცია ატლანტის ოკეანიდან აღმოსავლეთ ევროპამდე ემყარებოდა ორ უნივერსალურ საყრდენს: რომის კათოლიკურ ეკლესიასა და წმინდა რომის იმპერიას, რომელთაც ალტერნატივა არ გააჩნდათ. თანამედროვე ინტეგრაციისა და მისი ინსტიტუტების წარმოშობა სამართლიანად არის დაკავშირებული ერთიანი ევროპის იდეასთან.

ევროპის ქვეყნებისა და ხალხების შესაძლო და სასურველი ერთიანობის იდეა ფორმულირებულ იქნა ავსტრიელი გრაფის კუდენხოვ-კალერგის წიგნში „პან-ევროპა“, რომელიც 1923 წელს გამოვიდა. ნაშრომის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ გაერთიანებულ ევროპას შეუძლია გახდეს ისეთი დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური წარმონაქმნი, რომელიც წინ აღუდგებოდა როგორც საბჭოთა კავშირს, ასევე ა.შ.შ-სა და დიდ ბრიტანეთს.

კაცობრიობამ დასაბამიდან დღემდე მრავალი ომი გადაიტანა - მათ შორის ყველაზე საშინელი პირველი (1914-1918) და მეორე (1939-1945) მსოფლიო ომებია. განსაკუთრებით საშინელი და დიდი იყო მშვიდობიანი მოქალაქეების მსხვერპლი, მიუხედავად იარაღის და შეიარაღების ტექნოლოგიების გავითარებისა. მეორე მსოფლიო ომში მშვიდობიანი მოქალაქეების მსხვერპლი უფრო მეტი იყო ვიდრე პირველი მსოფლიო ომში. მიუხედავად პირველი მსოფლიო ომისა კაცობრიობამ მაინც ვერ აიცილა მეორე მსოფლიო ომი თავიდან. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გამარჯვებულმა ქვეყნებმა შექმნეს მშვიდობისათვის

მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაცია - ერთა ლიგა, რომელმაც ვერ შეასრულა თავისი მისია და ხელი ვერ შეუშალა გერმანიის ფაშიზმს ახალი ომის გაჩაღებაში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გამარჯვებული სახელმწიფოების (საბჭოთა კავშირი, ა.შ.შ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი) მეთაურების ინიციატივით შეიქმნა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), რომელიც პირნათლად ასრულებდა და ასრულებს თავის მისიას მასზე დაქვემდებარებლი ორგანიზაციების მეშვეობით, რომელთა ხელმძღვანელი ორგანოები სხვადასხვა ქვეყნებშია განთავსებული.

თავი 1

საერთაშორისო ორგანიზაციები

1.1 საერთაშორისო ორგანიზაციების დანიშნულება

მსოფლიოს გავითარების ამა თუ იმ ეტაპზე სახელმწიფოების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ და იკრიბებიან ამა თუ იმ საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემის გადასაწყვეტად. გავიხსენოთ ნაპოლეონის დამარცხების შედმგომი შეკრება ე.წ. გამარჯვებული ქვეყნების შეკრება ვენაში და მაშინდელი მსოფლიოს განაწილების პროცესი, მცდელობა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგის შექმნის და ომების დამთავრების.

საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის ცდები შორეულ წარსულშიც გვხვდება. ძირითადად, ეს მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებია, რომელთა გახორციელებაც შეუძლებელი იყო განუწყვეტელი ომიანობის პირობებში.

საერთაშორისო ორგანიზაციების ზრდა და გაფართოება კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის გარდაუვალი მოვლენაა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ბოლო წლების მანძილზე, საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, რაც თვალნათლივ მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე. შეიძლება ამ ეტაპზე არარეალურად ჟღერდეს მაგრამ ალბათ მომავალში კიდევ უფრო აქტუალური გახდება ე.წ. მსოფლიო პარლამენტი ან მსოფლიო მთავრობა. ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა ეს მხოლოდ და ალბათ მალე ჩვენ შეიძლება ვიხილოთ

ჯერ არასრული მოდელი ამ მსოფლიო ან გლობალური მთავრობისა, შესაძლებელია ჯერ რაიმე საერთო პრობლების გადაჭრის მიზნით და აუცილებლობის გამო მოხდეს ეს. თუნდაც კლიმატური ცვლილებების გარშემო გაერთიანების მცდელობა და კონსესუსის პოვნა, ეს პროცესია.

საერთაშორისო ორგანიზაციები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: სამთავრობათშორისო და არასამთავრობათშორისო ორგანიზაციებად. გარდა ამისა, განასხვავებენ უნივერსლურ და რეგიონალურ ორგანიზაციებს.

უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნება მშვიდობის დაცვისა და ხალხთა თანამშრომლობის გავითარების ისეთი უნიკალური ორგანიზაცია, როგორიცაა გაერო, რომელიც ათეულობით სახელმწიფოს აერთიანებს.

საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივი სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებებია, რომლებიც იქმნება პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების გასახორციელებლად. თანამედროვე ცხოვრებაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი დღითი-დღე იზრდება და ეს ბევრ სახელმწიფოს წარმატებას უქადის.

1.2 ევროპული კავშირი

ევროპული კავშირი ეფუძნება ევროპელი ხალხის ძლიერ სურვილს - დაცული იყოს მშვიდობა და უსაფრთხოება და ამასთან, მიღწეულ იქნეს თანამშრომლობა ევროპაში. რომის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ევროპული კავშირი განაგრძობს ზრდასა და განვითარებას.

ევროპის სახე ეტაპობრივად და მყარად იცვლება. საკონსტიტუციო ხელშეკრულება, რომელსაც „კონსტიტუციად“ მოიხსენიებენ, ადამიანების უფლებათა დამცველია, ხოლო სხვადასხვა ხელისუფლების კავშირის საკანონმდებლო ორგანოებში განთავსება ავსებს იმ დემოკრატიულ ხარვეზს, რომლის შესახებაც ხშირად მსჯელობენ. ევროპის ფედერალიზაციის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ერი-სახელმწიფოს ინსტიტუტი საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში მყარი რჩება, იმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ჩერჩილის მიერ 1947 წელს დაწერილ ცნობილ სიტყვას „ევროპის შეერთებული

შტატები“ წინასწარმეტყველური ხასიათი ჰქონდა და გამართლდა. მიუხედავად ამისა, ევროპული კავშირის განვითარება და მისი საზღვრების გაფართოება, ამავდროულად, ხელს უწყობს იმ სივრცის გაფართოებას, სადაც მყარი გარანტიები არსებობს და სიმშვიდე და კეთილდღეობა სუფევს, მიუხედავად BREXIT-ისა.

ეს პირობები, ბუნებრივია, არ არის დამოკიდებული იმ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე, რომლებიც ევროპული კავშირის მიღმა მდებარეობენ. თუმცა გარანტიები, სიმშვიდე და კეთილდღეობა შეიძლება გამყარდეს, თუ ევროპული კავშირის მეზობელ ქვეყნებშიც ანალოგიური სიტუაცია იქნება.

ევროკავშირს მიაჩნია, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია იმ საერთო ღირებულებების მხარდაჭერით, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, სახელმწიფო სამართლისა და დემოკრატიის მშენებლობა, ეკონომიკური განვითარება, კულტურული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავება.

ამ იდეით ევროკომისიამ ჯერ კიდევ 2003 წელს ევროსაბჭოს შესთავაზა ურთიერთობის ახალი ფორმა „გაფართოებული ევროპა - სამეზობლო: აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობის ახალი ფორმატი“. (რომელ ფორმატშიც მაშინ და ნაწილობრივ ეხლაც საქართველო მოიხსენიება) აღნიშნულ დოკუმენტში დახასიათებული იყო ახალი პოლიტიკა, რომელიც გაფართოებულ ევროპას უნდა ეწარმოებინა მის მოსაზღვრე ქვეყნებთან.

ახალი სამეზობლოს პოლიტიკას საერთოდ არ აქვს უშუალო კავშირი მისი მოსაზღვრე ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების საკითხთან. ის განისაზღვრება ყოველი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით და ინერგება ეროვნული და პერიფერიული სამოქმედო პროგრამების საშუალებით, რომელთაც ითვისებს საბჭო ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ევროპულ პოლიტიკურ სამეზობლოში შესვლა თავდაპირველად არ იყო ჩაფიქრებული. თუმცა ევროკომისიის, საერთო საგარეო პოლიტიკისა და პოლიტიკური უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენლის, ასევე სამხრეთ კავკასიაში ევროპული კავშირის საგანგებო წარმომადგენლის წინადადებების საფუძველზე, 2004 წელს საბჭომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპის პოლიტიკურ სამეზობლოში შეყვანაზე თანხმობა განაცხადა.

ამავე 2004 წელს, კომისიამ ევროპის პოლიტიკურ სამეზობლოსთან დაკავშირებით შეიმუშავა სტრატეგიის სპეციალური დოკუმენტი, რომელიც ადგენს პრინციპებს, გეოგრაფიულ პარამეტრებს, სტრატეგიის დანერგვის მეთოდოლოგიასა და ეკონომიკური დახმარების პირობებს, ასევე პერიფერიული თანამშრომლობის საკითხებს. ასევე განმარტავს იმ გზას, რომლითაც ხდება ეკონომიკური დახმარება, განსაზღვრავს თანამშრომლობის მეთოდს საზოგადოებრივი, ეკონომიკური განვითარების კუთხით. მაშასადამე, სტრატეგიის დოკუმენტი აყალიბებს იმ გზას, რომლითაც ევროპული კავშირი მის მეზობელ ქვეყნებს უახლოვდება მათთან სარგებლის გაზიარებისა და თანამშრომლობის მიზნით.

ევროპული კავშირი საერთო პრინციპებისა და ღირებულებების მატარებელია, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ტერმინი „European vocation“ - ანუ ჭეშმარიტი ევროპული ორიენტაცია - ყველა შესაძლო გამოვლინებით.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი დამოკიდებულია ყოველი ევროპული ქვეყნის მიერ გაკეთებულ არჩევანსა და დასახულ მიზანზე, ევროკავშირში მიღებული კანონების აღიარებასა და დაცვაზე. ევროპული ორიენტაციის ქონა ქვეყნისთვის, რომელიც ევროპული კავშირისკენ ისწრაფის, თავად მისთვისვე იქნება სასიკეთო იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად შედეგიანი იქნება ეს სწრაფვა.[1] (გიორგოს იაკოვუ, კვიპროსი, საქართველო და ევროპული კავშირი, თბ., 2005 წ., გვ. 36)

1.3 ევროპის საბჭო (ევროსაბჭო)

პოლიტიკური მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც 1949 წელს დაარსდა. მისი მუდმივი შტაბ-ბინა სტრასბურგში (საფრანგეთი) მდებარეობს. ევროპის საბჭო წარმოადგენს 47 დემოკრატიულ ქვეყანასა და 3 დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოს (წმინდა საყდარი, იაპონია, მექსიკა და ამერიკის შეერთებული შტატები).

ევროსაბჭოს სტრუქტურა ასე გამოიყურება:

[1] გიორგოს იაკოვუ, კვიპროსი, საქართველო და ევროპული კავშირი, თბ., 2005 წ., გვ. 36

<u>მინისტრთა კომიტეტი</u> - ეს არის ევროპის საბჭოში გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც შედგება 47 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან ან მათი მუდმივი და დიპლომატიური წარმომადგენლებისაგან;

<u>საპარლამენტო ასამბლეა</u> - არის ორგანიზაციის სათათბირო ორგანო. ის აერთიანებს 318 წევრს და ამავე რაოდენობის შემცვლელს, რომლებიც წარმოადგენენ 47 ეროვნულ პარლამენტს. ასამბლეაში ასევე შედის არაწევრი ქვეყნების დელეგაციები;

<u>ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესი</u> - ის შედგება ერთი ადგილობრივი და მეორე რეგიონალური თვითმმართველობის პალატებისაგან;

<u>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო</u> - რომელიც მდებარეობს სტრასბურგში. იგი მუდმივმოქმედია და მოიცავს პროცედურათა სრულ სპექტრს - სარჩელის მიღებიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე. საპარლამენტო ასამბლეა მოსამართლეებს ირჩევს ექვსი წლის ვადით.

ევროპის საბჭოს დაახ. 1800 თანამშრომლისგან შემდგარი **<u>სამდივნოს</u>** საქმიანობა განაწილებულია შემდეგ დირექტორატებში:

- პოლიტიკურ საქმეთა;
- სამართლებრივ საქმეთა;
- ადამიანის უფლებათა;
- სოციალური ინტეგრაციის;
- განათლების, კულტურისა და მემკვიდრეობის, ახალგაზრდობისა და სპორტის;
- ადმინისტრაციისა და მატერიალური უზრუნველყოფის.

ევროპის საბჭოს **<u>ოფიციალური ენებია</u>** ინგლისური და ფრანგული. ასევე, გამოიყენება გერმანული, იტალიური და რუსული ენები.

ევროპის საბჭოს **<u>გენერალური მდივანია</u>** ტორბიორნ იაგლანდი, ის წარმართავს და კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას.

ევროსაბჭოს მიზნებია:

- ყველა წევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დაცვა;

- ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება პოლიტიკურ, სამართლებრივ და საკონსტიტუციო რეფორმათა მხარდაჭერის გზით ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე;
- ისეთ სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება, როგორიცაა შეუწყნარებლობა, უმცირესობათა დისკრიმინაცია, ადამიანის კლონირება, ნარკოტიკები, ტერორიზმი, კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული;
- ევროპის კულტურული თვითმყოფადობის განვითარების ხელშეწყობა, სადაც განათლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება;
- სოციალური ინტეგრაციისა და სოციალურ უფლებათა მხარდაჭერა.

ორგანიზაციის ბიუჯეტი 2006 წლისათვის შეადგენდა 190,149 მილიონ ევროს. ევროპის საბჭოს აფინანსებენ წევრი ქვეყნები. საწევრო შენატანი განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობისა და ქვეყნის ბიუჯეტის შესაბამისად.

ევროპის საბჭოს საქმიანობა წარიმართება მინისტრთა კომიტეტის, საპარლამენტო ასამბლეისა და ადგილობრივ თუ რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს შორის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების საფუძველზე.

მთავრობათაშორისი პროგრამა ყოველწლიურად მტკიცდება მინისტრთა კომიტეტის მიერ და სრულად ასახავს ორგანიზაციის პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

თანამშრომლობის საფუძველზე მიღწეული შედეგები სხვადასხვა ფორმას იღებს, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ თემატიკაზე:

- ✓ კონვენციები და საერთაშორისო შეთანხმებები, სავალდებულო იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც მოახდინეს მათი რატიფიცირება;
- ✓ რეკომენდაციები წევრი ქვეყნების საყურადღებოდ საერთო პრობლემებთან დაკავშირებით;
- ✓ შეხვედრები და კონფერენციები სხვადასხვა სფეროს ექსპერტებს, პოლიტიკოსებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დარგობრივ ჯგუფებს შორის;
- ✓ დემოკრატიისა და სამართლებრივი რეფორმების განვითარების მიზნით წარმოებული ტრენინგები, ტექნიკური დახმარება და პარტნიორული პროგრამები;

- ✓ ანგარიშები და კვლევა, რომლებსაც ცალკეული ქვეყნების სამოქმედო გეგმა ემყარება;
- ✓ საინფორმაციო კამპანიები და ევროპული მნიშვნელობის მოვლენები.

ევროპის საბჭოს მრავალი კონვენციისა თუ ქარტიის მომზადებასა და შედგენაში მონაწილეობას ღებულობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. კერძოდ, მათი საქმიანობის სფერო ასეთია:

- სოციალური უფლებები, ევროპის სოციალური ქარტია, სამუშაო და სოციალური პოლიტიკა;
- ადამიანის უფლებები;
- განათლება და კულტურა;
- ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგი და სოლიდარობა;
- სამოქალაქო საზოგადოება ახალ ევროპაში;
- სოფლები და გარემო;
- ჯანმრთელობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციები და ქალაქები;
- სქესთა თანასწორობა;
- უკიდურესი გაჭირვება და სოციალური ინტეგრაცია;

ასევე:

- ევროპული კონვენცია ემიგრანტ მუშაკთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ;
- წამების საწინააღმდეგო ევროპული კონვენცია;
- ევროპის კულტურული კონვენცია;
- ევროპული ქარტია რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების შესახებ;
- ევროპული კონვენცია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალსუბიექტურობის აღიარების შესახებ, საერთაშორისო ინსტრუმენტი არასამთავრობო ორგანიზაციათა საერთაშორისო მასშტაბით მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

არსებობს თანამშრომლობის გამორჩეული მაგალითებიც. შესაძლოა, საპარლამენტო ასამბლეამ და მისმა კომიტეტებმა რჩევისათვის მიმართონ საკონსულტაციო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საპასუხოდ კი

ეს უკანასკნელნი ღებულობენ ასამბლეის დღის განრიგსა და საჯარო დოკუმენტაციას. მათ, ასევე, გააჩნიათ რეალური საშუალება, რათა თავიანთი მოსაზრებები წერილობითი ან ზეპირი ფორმით გააცნონ ასამბლეას ან მის კომიტეტებს, ასევე ცალკეულ პარლამენტარებს. ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია ასამბლეისათვის, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის გაწევრიანებას ან სათანადო მონიტორინგის წარმართვას.[2] (ევროპის საბჭო - თბ., 2006 წ., გვ.14)

ევროპის საბჭოს ზემოთ ნახსენებ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან სათანამშრომლოდ მუდმივმოქმედი სტრუქტურა გააჩნია: არასამთავრობო ორგანიზაციათა ყოველწლიური პლენარული კონფერენციები საზღვრავენ მომავალი წლის ძირითად სამოქმედო მიმართულებებს და ადგენენ მიზნებს მათი საკოორდინაციო კომიტეტისათვის. ამ კონფერენციებში მონაწილეობა შეუძლია საკონსულტაციო სტატუსის მქონე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას.

საკოორდინაციო კომიტეტი დაარსდა 1976 წელს და 36 წევრს აერთიანებს. ის წელიწადში დაახლოებით სამჯერ იკრიბება და აქვს შემდეგი ფუნქციები:

- კავშირი ევროპის საბჭოს სამდივნოსთან;
- სხვადასხვა სპეციალიზირებულ სფეროში სექტორულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრების მონიტორინგი;
- პლენარული კონფერენციისა და ყოველწლიური სამუშაო პროგრამის მომზადება;
- არასამთავრობო ორგანიზაციათა მოტივირება - ითანამშრომლონ ევროპის საბჭოსთან და გააშუქონ მისი მოღვაწეობა, რაც მოიცავს გარკვეულ ინიციატივებს, რომლებიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიულ ცვლილებათა მხარდასაჭერად არის მიმართული.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ქვეკომიტეტი 1979 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს ასამბლეასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის საუკეთესო საკონტაქტო

[2] ევროპის საბჭო - თბ., 2006 წ., გვ.14

საშუალებების მოძიებას. არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოდგენილნი არიან საკოორდინაციო კომიტეტის სრული ბიუროთი.

აღსანიშნავია ეროპული კავშირის როლი მსოფლიო უსაფრთხოების პილტიკაში, მიუხედავად იმისა რომ შეიძლება ითქვას რომ ევროპული კავშირის გამოცდილება არ არის დიდი კონფლიქტების დარეგულირებაში მაგრამ მნშვნელოვნად დიდია მათი წილი და მცდელობა. წარმატებულ მისიად შეიძლება ჩაითვალოს ეროვპული კავშირის ძალისხმევა ბალკანეთის კონფლიქტის დარეგულირებაში და ასევე კონფლიქტის შემდგომ ბალკანეთის ქვეყნების სტაბილიზაციაში და აღმშენებლობაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველომ გადაწყვიტა დაუბრუნდეს მის ისტორიულ მისწრაფებას რასაც ქვია ევროპის ერთიანი ოჯახის წევრობა.

საქართველოს საგაერო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია ქვყენის ევრო სტრუქტურებში გაწევრიანება, უპირველოს ყოვლისა ევროპულ კავშირში. ამ კუთხით წინგადაგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ვიზა ლიბერარიზაცია.

საქართველო მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ ადგილს წარმოადგენს ევროპული კავშირისთვისაც. სწორედ ევროპული კავშირი აფინანსებ ცნობილ TRACECA-ს პროექტს. (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia ევროპა კავკასია აზიის სატრანსპორტო დერეფანი) აღნიშნული პროექტი შეიძლება ჩაითვალოს აბრეშუმის გზის აღორძინებად თანამედროვე პირობებში. ამ პროექტში იგულისხმება სახმელეთო საზღვაო საჰაერო გზების განვითარება. ასევე მნიშვნელოვანია ევროპული კავშირის როლი და მნიშვნელობა საქართველო რუსეთის ურთიერთობის დასტაბილურებაში. 90-იანი წლებიდან ჩართულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კნფლიქტების დარეგულირების პროცესში. ამჟამად წარმატებით ხორციელდება ევროპული კავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, რომელიც შეიძლება ითვქას ამ ეტაპზე ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია კონფლიქტურ რეგიონებში.

1.4 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)

გაერო საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა. საბჭოთა კავშირის, ა.შ.შ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონსულტაციებისა და თათბირების შედეგად, 1945 წელს, სან-ფრანცისკოში მოწვეულ იქნა 50 ქვეყნის კონფერენცია, რომელმაც საბოლოოდ შეიმუშავა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იმავე წლის 25 ივნისს და იგი ძალაში შევიდა 24 ოქტომბერს. ასე დაიბადა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გაერო არის სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. იგი თვითონ არ ფლობს სუვერენიტეტს. ორგანიზაციის ნებას განსაზღვრავენ წევრი სახელმწიფოები, რომლებიც გადაწყვეტილებებს დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით ღებულობენ.

გაეროს მიზანია:

- დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება;
- განავითაროს მეგობრული, მშვიდობიანი ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის;
- განახორციელოს და გააღრმაოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული სახის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა - ეროვნების, ენისა და სარწმუნოების მიუხედავად, ხელი შეუწყოს პატივისცემის, წახალისებისა და განვითარების ატმოსფეროს შექმნას.

დასახული ამოცანების განხორციელებაში ორგანიზაციისა და მისი თითოეული წევრის ძირითადი ამოსავალი წერტილი შემდეგი პრინციპებია:

- ორგანიზაციის წევრთა სუვერენული თანასწორობა;
- ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება;
- საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით მოწესრიგება;
- საშინაო საქმეში ჩაურევლობა;
- საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მუქარისაგან თავის შეკავება;
- გაეროსთვის ქარტიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებაში დახმარება და იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერისაგან თავის შეკავება, რომელთა წინააღმდეგაც, გაეროს ამ სახელმძღვანელო დოკუმენტიდან

გამომდინარე, პრევენტიული ხასიათის იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს;

- ორგანიზაციის მხრიდან საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ქარტიის წესებთან და პრინციპებთან არაწევრი სახელმწიფოების ქცევათა შესაბამისი უზრუნველყოფა.[3] (ამირან მექვაბიშვილი, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, თბ., 2002 წ., გვ.6)

თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ექვსი ძირითადი ორგანოსაგან შედგება. გაეროს სისტემა მთლიანად 15 სპეციალიზებულ სააგენტოს, 50-მდე პროგრამას, ორგანიზაციასა თუ სპეციალურ კომისიას აერთიანებს.

გაეროს ძირითადი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გაეროს გენერალური მდივანი და სამდივნო.

გაერო-ს არა მხოლოდ ცენტრალური ადგილი უკავია სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების სიტემაში, არამედ ასევე ასრულებს განსაკუთრებულ როლს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ განვითარებაში. 1945წ. შექმნილი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა ერთა ლიგის შეცდომები და მისი არასრულფასოვნება, მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების შექმნის ხელშეწყობა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარება.

გაერო წარმოადგენს ყველაზე წამომადგენლობით ფორუმს სახელმწიფოთა შორის დისკუსიებისათვის საერთაშორისო განვითარების აქტუალურ პრობლემებზე.

გაერო-ს წესდება წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძველს, სახელმწიფოთა ქცევისა და მათ შორის ურთიერთობის თავისებურ საყოველთაოდ მიღებულ კოდექსს. სწორედ მის სულისკვეთებას უსადაგებენ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს.

[3] ამირან მექვაბიშვილი, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, თბ., 2002 წ., გვ.6

გაერო-ს ჩარჩოებში ხელმოწერილია ასობით საერთაშორისო კონვენცია და ხელშეკრულება, რომლებიც არეგულირებენ საქმეთა ვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებში.

გაერო-ს სტრუქტურის პრინციპებში (უპირველეს ყოვლისა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაში) აისახა საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ობიექტური რეალიები, მათი შეცვლა კი გახდა მთავარ სტიმული ამ ორგანიზაციის რეფორმირებისათვის მიმდინარე მუშაობისათვის.

გაერო-სთან არსებობს მრავალი სამთავრობათშორისი ორგანიზაცია, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ცხოვრებას მათი ფუნქციური დანიშნულების ჩარჩოებში.

გაეროს გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია გადაწყვიტოს ომისა და მშვიდობის საკითხები, მათ შორის შეიარაღებული ძალის გამოყენებითაც.

გენერალურ ასამბლეაში თითოეულ ქვეყანას ერთი ხმა აქვს. უშიშროების საბჭოში 15 ქვეყანაა, მათ შორის 5 მუდმივი. გადაწყვეტილება მიიღება 9 ხმით 15-დან, ამასთანავე უნდა დაემთხვეს მუდმივი წევრების ხმები. საერთაშორისო მშვიდობისათვის მუქარის საკითხის განხილვისას, უშიშროების საბჭოს განსაკუთრებული უფლებამოსილებანი გააჩნია. შეუძლია შემოიღოს ეკონომიკური სანქციები და მიიღოს გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

გაეროს უმნიშვნელოვანეს ორგანოებს წარმოადგენენ აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური საბჭო და ჰააგში არსებული საერთაშორისო სასამართლო. გაერო-ს „ოჯახში“ შედის ასევ 14 სპეციალიზებული სააგენტო, რომელთაც სპეციალური ფუნქციური დანიშნულება გააჩნიათ. ზოგიერთი მათგანი გაერო-ს შექმნამდე ჩამოყალიბდა. მოღვაწეობის მასშტაბურობის თვალსაზრისით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ წევრ სახელმწიფოთა სავალუტო-ფინანსური პოლიტიკის კოორდინაციის საქმეში. ასევე მნიშვნელოვანია ატომური ენერგიის საერთაშორსიო სააგენტო (მაგატე), რომელიც

სპეციალური ფუნქციებითაა აღჭურვილი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის კონტროლის საქმეში.

ბიპოლარული დაპირისპირების პირობებში, საერთაშორისო არენაზე გაერო-ს მოღვაწეობას ხშირ შემთხვევაში ეფექტურობა აკლდა. ორი ზესახელმწიფოს პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური კონკურენცია არც თუ იშვიათად ახდენდა გაერო-ს უმთავრესი სტრუქტურებისა და ინსტიტუტების პარალიზებას. ცივი ომის დასრულების შემდეგ გაჩნდა ძლიერი იმპულსი გაერო-ს გააქტიურებისათვის და მისი გადაქცევისათვის საერთაშორისო ცხოვრების ორგანიზების ქმედით ორგანიზმად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გაერო-ს ძალისხმევამ მშვიდობის მხარდაჭერის საქმეში. თუკი თავის არსებობის პირველი ოთხი ათწლეულის მანძილზე გაერო-მ სულ განახორციელა 14 სხვადასხვა მისია და ოპერაცია კონფლიქტების რაიონებში დამკვირვებლების, შუამავლებისა და სამხედრო პერსონალის გაგზავნით, 1988 წლიდან განხორციელდა 33 სამშვიდობო აქცია. ამ აქტივობის პიკი მოდის 1995 წელზე, როდესაც გაერო-ს სამშვიდობო მოღვაწეობაში ჩართული პერსონალის რიცხვმა თითქმის 70 ათასს მიაღწია (მათ შორის 31 ათასი სამხედრო მოსამსახურე) 70-ზე მეტი ქვეყნიდან. მნიშვნელოვნად განვითარდა გაერო-ს ხაზით პრევენტიული დიპლომატია (მისია ფაქტების დასადგენად, დაზავებაზე თვალყურის დევნის ორგანიზება, შუამავლობა და ა.შ.), კონფლიქტისშემდგომი რეაბილიტაციის ხელშეწყობა. ამა თუ იმ ფორმით განვლილ ათწლეულში გაერო ჩაბმული იყო „ცხელ წერტილთა“ უმრავლესობაში კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში - სომალი, მოზამბიკი, კამბოჯა, ავღანეთი, ცენტრალური ამერიკა, ჰაიტი, ყოფილი იუგოსლავია, ახლო და შუა აღმოსავლეთი, რუანდა, დასავლეთ საჰარა, ტაჯიკეთი, საქართველო. იმავდროულად უსაფრთხოების საბჭო იყენებდა ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სანქციები (ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, ფინანსური და სხვა იძულებითი ღონისძიებანი, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამხედრო ძალის გამოყენებასთან) და იძულებითი განიარაღება (ერაყთან მიმართებით).

მაგრამ ცივი ომის დასრულებამ არა მარტო ახალი შესაძლებლობები შექმნა გაერო-სათვის, არამედ რელიეფურად გამოკვეთა მისი ადრე უხილავი

ნაკლოვანებანი. ერთის მხრივ საქმე ეხება გაერო-ს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატის არსებობას, მის მოუქნელობას და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის არაეფექტურობას, ორგანიზაციის გადატვირთვას მრავალრიცხოვანი და ხშირ შემთხვევაში პარალელური ფუნქციების მქონე სტრუქტურებით. ბიუროკრატიის მექანიზმის მოუქნელობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის სირტულეს და ხანგრძლივ პერიოდის მაგალითია რუანდაში მომხდარი ტრაგედია. მეორეს მხრივ დადგა საკითხი გაერო-ს ადაპტირების აუცილებლობის შესახებ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკურ ლანდშტაფში. და ბოლოს, გაურკვეველი რჩება გაერო-ს მოღვაწეობის მრავალი კონცეპტუალური საკითხი: როგორი უნდა იყოს მისი პრიორიტეტების სისტემა, რა პირობებში უნდა მოხდეს მისი ფუნქციების დელეგირება რეგიონულ ორგანიზაციებზე ანდა სახელმწიფოთა კოალიციებზე, როგორია გაერო-ს ჩარევის პირობები და საზღვრები სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, როგორ შეიძლება მიღწეულ იქნას დემოკრატიზმისა და ოპერატიულობის შეწყმა გაერო-ს ფუნქციონირებაში, როგორც უნდა მოხდეს მისი უნივერსალურობის შეთავსება უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა სტატუსთან.

სწორედ ეს უკანასკნელი მოექცა ყურადღების ცენტრში დისკუსიების დროს გაერო-ს რეფორმირების შესახებ. არსებობს მეტ-ნაკლებად ფართო კონსენსუსი უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ, რათა მისი შემადგენლობა უფრო რეპრეზენტაბელური გახდეს. ყველაზე მიღებული კანდიდატები არიან გერმანია და იაპონია, მაგრამ იმავდროულად ანალოგიურ სტატუსზე პრეტენზიები გააჩნიათ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებს, მაგალითად ინდოეთს, ბრაზილიას, მექსიკას. ამასთანავე, ვეტოს უფლების მქონე ქვეყნების რაოდენობის გაზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს უშიშროების საბჭოს მუშაობის პარალიზება. ვეტოს საკითხს კი ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. თუმცა, ამ ინსტიტუტის გაუქმება პრაქტიკულად არარეალურია, მასში გარკვეული კორექტივების შეტანა სავსებით შესაძლებელია.

საერთო ჯამში, გაეროს რადიკალური ტრანსფორმაციის პერსპექტივები ამჟამად არც თუ ისე აშკარაა, ერთის მხრივ წევრ სახელმწიფოთა თვალსაზრისების არდამთხვევის მიზეზით (ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია სურვილი მოხდეს

რადიკალური ცვლილებები) ასევე აუცილებელი ფინანსური რესურსების არარსებობის გამო (ამ მიზეზით გაერო იძულებულია უკვე დღეს შეამციროს სამშვიდობო მოღვაწეობა). თუმცა გაერო-ს ადაპტირება შეცვლილ ვითარებასთთან აუცილებელია. სხვა შემთხვევაში ორგანიზაციის არსებობამ შესაძლოა აზრიც კი დაკარგოს.

თანდათანობით იკვეთება ტენდენცია სამშვიდობო ოპერაციების გახორციელებისა გაეროს სანქციების გარეშე. რისი უპირველესი მაგალითია კოსოვოს ოპერაცია.

გაერო შეიქმნა სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

გაერო ჩართული იქნა მმართველობის მრავალმხრივ სისტემაში და ზოგჯერ მოღვაწეობა უხდება სახელმწიფოებთან ერთად, ზოგჯერ მათ გვერდით და ზოგჯერ მათ გარეშე.

გაეროს ოპერაციათა უმრავლესობა გამართლებული იყო ტრადიციული გზით: არსებობდა საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.

მისი ერთ-ერთი სტრუქტურული წარმონაქმნია იუნესკო, რომელიც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ცალკე განხილვას იმსახურებს.[4] (გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2001 წ., გვ. 30)

მთლიანობაში გაეროს როლი და მისი მნიშვნელობა უდავოა საერთო გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. საკმარისია გადავხედოს გაეროს მისიების ჩამონათვალს მხოლოდ აფრიკის კონტინეტზე. ამჟამად ახორციელებს 8 მოქმედ საერთაშრისო მისიას აფრიკაში, სულ აფრიკაში განახორციელა 34 მისია. ეს ერთადერთი ორგანიზაციაა რომელსაც აქვს საერთაშორისო სამართლის მიხედვით გამოიყენოს ძალა მშვიდობის მისახწევად ანუ ე.წ. მშიდობის იძულების მეთოდი. აღნიშნული მიზინის მისახწევად კონფლიქტების მოწესრიგების ეფექტური სისტემის ფორმირების თვალსაზრისით გაერო მზადაა ჩამოაყალიბოს საკუთარი

[4] გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2001 წ., გვ. 30

(სწრაფი რეაგირების კონტიგენტი). მხოლოდ ეს ორგანიზაცია რომელსაც აქვს უნიკალური უფლება საერთაშორისო მისიების მანდატის მიცება.

1.5 გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)

იუნესკო ოფიციალურად არსებობს 1946 წლის 4 ნოემბრიდან, როდესაც ძალაში შევიდა მისი წესდება. იუნესკო შეიქმნა იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი მომავალი კაცობრიობის ინტელექტუალურ და მორალურ საკუთრებაზე დაემყარებინა. მისი საქმიანობის სფეროებია: განათლება, ზუსტი და სოციალური მეცნიერება, კულტურა და კომუნიკაცია.

წესდების თანახმად, სახელმწიფოში შექმნილია ეროვნული კომისიები იუნესკოს საკითხზე. საკონსულტაციო სტატუსი აქვს 250-ზე მეტ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას, ხოლო საქმიანი კონტაქტი - 400 ასეთსავე ორგანიზაციას (2002 წლისათვის). ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი დგება მასში შემოსული სახელმწიფოების საწევრო გადასახადებისაგან.

„ორგანიზაცია მიზნად ისახავს, - ნათქვამია წესდებაში, - ხელი შეუწყოს მშვიდობისა და უშიშროების გამტკიცებას, რისთვისაც განავითარებს ხალხთა თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, ყველა ხალხისათვის, გაეროს წესებით გამოცხადებული სამართლიანობის, კანონიერების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა“.[5] (ამირან მექვაბიშვილი, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, თბ., 2002 წ., გვ.19)

იუნესკოს საქმიანობის დიაპაზონი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს: უწიგნურობასთან ბრძოლა, განათლების დაფინანსება და დაგეგმვა, გავითარებად

[5] ამირან მექვაბიშვილი, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, თბ., 2002 წ., გვ.19

ქვეყნებში საინჟინრო-ტექნიკური კადრების მოსამზადებელი ცენტრების შექმნა, მეცნიერების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის გავითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები, ადამიანის უფლებათა და მშვიდობის გამტკიცების პრობლემების კვლევა და სხვ.

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც შედგება მასში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლობისაგან.

1.6 ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO)

NATO ამჟამად აერთიანებს 29 ქვეყანას და უზრუნველყოფს მათ ურთიერთკავშირს სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში. როგორც სამხედრო პოლიტიკური კავშირი, იგი ამჟამად უპირობოდ ყველაზე განვითარებულ სტრუქტურას წარმოადგენს. არსებობს მექანიზების მთელი სისტემა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება წევრ სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედება, დაწყებული შეთანხმებული პოლიტიკიდან, რომელსაც ატარებენ NATO-ს წევრები საერთაშორისო არენაზე, დამთავრებული საომარი მოქმედებების ორგანიზების განსაზღვრით ომის შემთხვევაში.

NATO-ს უმაღლეს პოლიტიკურ ინსტანციას წარმოადგენს ჩრდილო ატლანტიკური საბჭო. რაც შეეხება კავშირის სამხედრო ორგანიზაციას, მის გულს წარმოადგენს ინტეგრირებული სამეთაურო სტრუქტურა, რომელიც უზრუნვეყოფს წევრ სახელმწიფოთა ჯარების ურთიერთქმედებას და მათ მზადყოფნას კოლექტიური თავდაცვისათვის კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში.

ცივი ომის დასრულებასთან ერთად ფართომასშტაბიანი შეჯახების საფრთხე ფაქტობრივად მოიხსნა. გარკვეულწილად სამხედრო პოლიტიკური ალიანსის არსებობამ მიზანიც კი დაკარგა. ამ პირობები წინ წამოიწია ადაპტირების პრობლემამ და იმ კონფლიქტურ საკითხებში NATO-ს როლის განსაზღვრამ, რომლებიც პოსტკონფრონტაციულ პერიოდს ახასიათებს. შემუშავდა NATO-ს სტრატეგიის ახალი კონცეფციები. ალიანსის გარდაქმნა ძირითადად შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობს:

ხდება სამხედრო აქტივობის გარკვეული შემცირება NATO-ს ჩარჩოებში. შედარებით შემცირდა შეიარაღებული ძალების რაოდენობაც.

NATO-ს გარდაქმნის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ალიანსის არასამხედრო ფუნქციების გაძლიერებაზე. 1991 წ. ალიანსის რომის სესიაზე მოწონებულ იქნა „ახალი სტრატეგიული კონცეფცია“, რომელშიც აქცენტი გაკეთდა უსაფრთხოების გარნატირების პოლიტიკურ ასპექტებზე დიალოგისა და თანამშრომლობის გზით. 1994 წ. ბრიუსელის სამიტზე ასევე ხაზი გაესვა NATO-ს პოლიტიკურ როლს ევროპაში სტაბულურობისა და უსაფრთხოების გარანტიების შექმნის საქმეში და მისი ურთიერთქმედების მნიშვნელობას კონტინეტზე არსებულ სხვა სტრუქტურებთან.

1994 წ. ოფიციალურად მოწონებულ იქნა NATO-ს ჩარჩოებში „უსაფრთხოების სფეროში ევროპის იდენტურობის“ ფორმირების (European Security and Defence Identity - ESDI) კურსი.

აღებულია კურსი ალიანსში არშემავალ ქვეყნებთან ფართო კონტაქტებსა და კოოპერატიული ურთიერთქმედების აქტიურ განვითარებაზე. 1991წ. შეიქმნა საკონსულტაციო ფორუმი, რომელშიც NATO-ს წევრ ქვეყნებთან ერთად შევიდნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიც. შემდგომში NATO-ს პატრნიორი გახდა ზოგიერთი ნეიტრალური ქვეყანაც. 1994 წ-დან მოქმედებს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელშიც მოწვეულია ეუთო-ს ყველა წევრი ქვეყანა ინდივიდუალური პროექტების საფუძველზე იმგვარ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სამხედრო დაგეგმარებისა და სამხედრო ხარჯების გამჭვირვალობის დაცვა, შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის შემოღება, ერთობლივი დაგეგმარება, სამხედრო შენაერთების სწავლება და მომზადება სამშვიდობო მისიებისა და ჰუმანიტარული ოპერაციების განსახორციელებლად. ამ პროგრამაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოც.

1993 წ-დან დისკუსიებში ცენტრალური ადგილი დაიკავა NATO-ს მომავალი წევრების საკითხმა. 1999 წ.

შემდგომში თანდათანობით მთავარი ყურადღება გამახვილდა ალიანსის ახალ მისიებზე. ამასთანავე ხაზი ესმევა კავშირის ორიენტირებას კრიზისული რეგულირებისა და და სამშვიდობო მისიების შესრულებაში, შესაბამისად სამხედრო მომზადების შეცვლას და შეაიაღებული ძალების სისწრაფისა და მობილურობის უზრუნველყოფას. 1999 წ. „NATO-ს სტრატეგიულ კონცეფციაში“

შესაძლებელ ამოცანათა შორის პირველად დასახელდა „ოპერაციების ჩატარება კრიზისული სიტუაციების მოსაწერიგებლად, რომლებიც არ თავსდებიან ვაშინგტონის შეთანხმების მე-5 პუნქტში“ (ანუ არ არიან დაკავშირებულნი გარეშე აგრესიისაგან კოლექტიურ თავდაცვასთან). პირველი პრაქტიკული ოპერაცია ამ მხრივ გახდა საჰაერო დარტყმები იუგოსლავიაზე 1999 წ. კოსოვოს კრიზისის დროს, რამაც რუსეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და სწორედ მისი და ჩინეთის პოზიციამ შეუშალა ხელი გაერო-ს ჩაბმულიყო ამ ოპერაციაში. ამდენად, შეიძლება ითქვას რომ NATO-მ ამ შემთხვევაში უკვე გაეროს როლი იტვირთა.

NATO ამ ეტაპზე ყველაზე განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს წარმოადგენს. ცივი ომის დასრულების შემდეგ, NATO-ს გარდაქმნის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ალიანსის არასამხედრო ფუნქციების გაძლიერებაზე.

უმთავრესი დამსახურება როგორც ცივი ომის პირმშოსი NATO-მ შეძლო მოეხდინა საბჭოთა კავშირის და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ყველა სახის აგრესიის შეჩერება ევროპის კონტინეტზე. ცივი ომის დასრულების შემდგომ როგორც უკვე ავღნიშვე მოხდა მისი ტრანსფორმაცია თუ კი ადრე მხოლოდ კოლექტიური თავდაცვა წარმოადგენდა ამჟამად NATO განიხილება როგორც ა.შ.შ-თან ერთად მსოფლიო პოლიციელად. მისი სამშვიდობო თუ სადამკვირვებლო მისიები ხორციელდება არა მარტო მხოლოდ ევროპაში არამედ უკვე პლანეტალური მაშტაბით, რაც ასევე მოიცას მჭიდრო თანამშორომლობას უსაფრთხოების დარგში. დღეს NATO-თვის როგორც საქართველოსთვის ერთერთი უმთავრესი გამოწვევა რუსეთია სხვა გამოწვევებთან ერთად. NATO გარდა იმისა რომ ებრძვის ტერორიზმს და მის გავრცელებას, ის ხელს უწყობს ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცეს. NATO თვლის რომ დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო სადაც დაცულია ადამინების უფლიბები, სიტყვის და გამოხატვის თავისუფელაბა ის არ იქნება აგრესიული სახელმწიფო, რაც საბოლოვო ჯამში მსოფლიო გლობალურ უსაფრთხოებას ხელს უწყობს და სტაბილურობის გარანტია.

NATO--საქართველოს შორის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, NATO--საქართველოს არსებითი ღონისძიებათა პაკეტი, რომლის მიზანია

გააძლიეროს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა, პაკეტი 2014 წელს NATO-ს უელსის სამიტზე დამტკიცდა. პაკეტის უზრუნველსაყოფად თავდაცვის ძალებში მოქმედებს წვრთნისა და შეფასების ცენტრი, NATO-ს არსებითი პაკეტის სამუშაო ჯგუფი „SNGP“ და NATO-ს სამეკავშირეო ოფისი, რომელიც ჩვენს ქვეყანას პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის რეფორმირებაში, მოდერნიზებასა და გაძლიერებაში ეხმარება. შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით გაძლიერებულია კონტაქტები NATO-ს საზღვაო ძალების სარდლობასა და საქართველოს სანაპირო დაცვას შორის. ამ მიმართულებით აღსანიშნავია სანაპირო დაცვის ბოლო წლების წარმატებები როგორც ტექნიკის მოდერნიზაციის მხრივ ასევე თანამშრომლობის გაძლიერებაში. საქართველო ასევე ჩართულია NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალებში. განსაკუთრებულ აღნიშვნას ექვემდებარება ის ფაქტიც, რომ NATO-სთან მუდმივი თანამშრომლობის პროცესში, საქართველო გახდა უსაფრთხოების მიმწოდებელი ქვეყანა მსოფლიო გლობალურ ასპარესზე.

1.7 ეუთო და გენერალური ასამბლეა მშვიდობისა და საფრთხეებისათვის

სხვა ორგანიზაციებთან ერთად, მშვიდობისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე ღირსეულად დგას ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). მას განსაკუთრებულად აფასებს საქართველო და მშვიდობისა და სტაბილიზაციის ნიშანსვეტად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ ის მიესალმება ეუთოს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში დახმარებისთვის. საქართველოს ურთიერთობა ეუთოსთან მიმართულია, აგრეთვე, კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის ძალისხმევისკენ. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას ცხინვალის კონფლიქტის გადაწყვეტაში, რომელიც მოიცავს როგორც ერთობლივი კონტროლის სამუშაოებს, ისე ეკონომიკური

რეაბილიტაციის პროცესებსა და მოლაპარაკებას.[6] (ამირან მექვაბიშვილი, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, თბ., 2002 წ., გვ.40)

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ჟენევაში მოლაპარაკებები გაიმართა და მხარეებმა ძალის არგამოყენების შესახებ პოტენციული შეთანხმების ძირითადი პრინციპები განიხილეს.

მაშინ, ევროპული კავშირის, ეუთოსა და გაეროს თანათავმჯდომარეობით გამართულ მოლაპარაკებებზე საქართველოს, რუსეთის, ა.შ.შ-ის, ასევე სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ”ეუთოს თვალსაზრისით, მოლაპარაკებების მთავარი ელემენტი ის იყო, რომ შედგა შეხედულებების პრაქტიკული, დეტალური გაცვლა ძალის არგამოყენების შესახებ პოტენციური ხელშეკრულების ელემენტებზე და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე.”

რუსეთი დიდი ხანი დაჟინებით ითხოვდა თბილისსა და სოხუმს შორის და ასევე თბილისსა და ცხინვალს შორის ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებების ხელმოწერას. თუმცა, საქართველოს განცხადებით, ამგვარი შეთანხმების ხელმოწერა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთსა და საქართველოს შორის და ის ასევე უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დეოკუპაციას. რუსეთი კატეგორიულად აღნიშნავდა, რომ ამგვარ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწეროს საქართველოსა და აფხაზეთს და საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის - ეს კატეგორიულად მიუღებელია ქართული მხარისთვის და სწორედ ეს წარმოადგენს სირთულეს.

ეუთოს მაშინდელმა მოქმედი თავმჯდომარის სპეციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დისკუსია უთანხმოებების მიუხედავად, ”კონსტრუქციული, წინდახედული წვლილი იყო ამ პრობლემური რეგიონის სტაბილურობის და უსაფრთხოების საქმეში”.

ამერიკულ მხარეს მოლაპარაკებებზე კავკასიისა და სამხრეთ ევროპის საკითხებში ა.შ.შ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ახლადდანიშნული

[6] ამირან მექვაბიშვილი, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, თბ., 2002 წ., გვ.40

თანაშემწე თინა ქეიდენაუ წარმოადგენდა. მან ჟენევის მოლაპარაკებებში პირველად მიიღო მონაწილეობა.[7] (წყარო: ჟენევის მოლაპარაკებებზე ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულება განიხილეს, 18.09.2009, https://old.civil.ge/geo/article.php?id=21779)

რაც შეეხება გენერალურ ასამბლეას, მისი ფუნქციები ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. მათგან ძირითადია მშვიდობისა და უშიშროების დაცვა. ასამბლეა შედგება ყველა წევრი სახელმწიფოსგან და განიხილავს ყოველგვარ საკითხს, რომელიც მშვიდობის დაცვას ეხება, განიხილავს წესდებით გათვალიწინებულ ყველა დანარჩენ საკითხს და იძლევა რეკომენდაციას.

საერთაშორისო მშვიდობის დარღვევის, აგრესიისა და საერთაშორისო მშვიდობისადმი მუქარი დროს, მართვის სადავეს ხელში გენერალური ასამბლეა იღებს. სწორედ ის გასცემს რეკომენდაციებს წევრ-სახელმწიფოთა კოლექტიური თავდაცვის შესახებ და ანიჭებს შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლებას საერთაშორისო მშვიდობისა და სამართლიანობის აღსადგენად.

თავი 2

მსოფლიო და გლობალიზაცია

2.1 პოლიტიკური გლობალიზაცია

XXI საუკუნეში მსოფლიო გლობალიზაციის ქარცეცხლში გაეხვა. ის მოედო ყველა სფეროსა და სახელმწიფოს (გამონაკლისს წარმოადგენს ჩრდ.კორეა). მან ფართო ფესვები გაიდგა პოლიტიკაშიც. შეიქმნა უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან მსოფლიო ქვეყნების უმეტესი ნაწილნი. 1945 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა: გაერო, NATO, ევროპის ეკომომიკური თანამეგობრობა, ევროპის გაერთიანება, ევროპული კავშირი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა ორგანიზაციები.ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს გაერო, რომელიც 193 წევრი და 2 დამკვირვებელი ქვეყნისგან შედგება.ისინი ერთად ცდილობენ დაიცვან საყოველთაო მშვიდობა. ევროპული კავშირი კი წარმოადგენს „ერთიანი ევროპის იდეას“, რომლის თანახმადაც ისტორიული, ენობრივი თუ კულტურული განსხვავებების

[7] წყარო: ჟენევის მოლაპარაკებებზე ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულება განიხილეს, 18.09.2009, https://old.civil.ge/geo/article.php?id=21779

მიუხედავად, ევროპა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს. იდიალურ მდგომარეობაში მოცემული ორგანიზაციები სახელმწიფოებს ისეთ მექანიზმებს სთავაზობენ, რომელთა სახელმწიფოს არც ძალაუფლება აკლდება და არც სუვერენიტეტი. მეროეს მხრივ კი არსებობენ ზესახელმწიფოები ან მხოლოდ ერთი ზესახელმწიფო და სხვა მზარდი სახელმწიფოები (ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი სამხრეთ აფრიკა).

პოლიტიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ დადებით ფაქტორს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობა, რაც ხელს უწყობს ექსპორტსა და იმპორტს. მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი პაქტი, რომლის მიხედვითაც ხელი მოეწერა შეთანხმებას ა.შ.შ-ს, კანადისა და მექსიკის მიერ ეკონომიკური თანამშრომლობის დადასტურების მიზნით. მერკოსური კი ლათინური ამერიკის ქვეყნებს თავისუფალი ვაჭრობის უდიდესი კავშირია.

ამრიგად, პოლიტიკური გლობალიზაცია წარმოადგენს კავშირს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ორგანიზაციების საფუძველზე,რომლებიც უმეტესწილად მსოფლიოს კეთილდღეობაზე ზრუნავენ.[8] (პოლიტიკური გლობალიზაცია, 15.01.2018 წ. https://btuglobalizationguide.wordpress.com/2018/01/15/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/)

2.2 საერთაშორისო ორგანიზაციები გლობალიზაციის პერიოდში

როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად. საერთაშორისო (სამთავრობათშორისი) ორგანიზაციები ფუძნდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ; ამ ორგანიზაციათა ჩარჩოებში ხორციელდება წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთქმედება და მათი ფუნქციონირება დაფუძნებულია გარკვეულ საერთო გადაწყვეტილების მიღწევაზე წევრ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შედიან შესაბამისი ორგანიზაციის მოღვაწეობის სფეროში.

[8] პოლიტიკური გლობალიზაცია, 15.01.2018 წ. https://btuglobalizationguide.wordpress.com/2018/01/15/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები იქმნება არა სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანების გზით, რომელთა მოღვაწეობაც ხორციელდება სახელმწიფოთა ოფიციალური საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებს გარეთ.

ნათელია, რომ სახელმწიფოების მიერ შექმნილი ორგანიზაციები გაცილებით უფრო თვალსაჩინო გავლენას ახდენენ მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესების დროს, როდესაც საერთაშორისო არენაზე მთავარი მოქმედი პირები სახელმწიფოები არიან. იმავდროულად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიაზაციათა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფოების მიერ შექმნილი ორგანიზაციებისა და უკანასკნელ წლებში საკმაოდ მყარია მათი რიცხვის კიდევ უფრო გაზრდის ტენდენცია. თუკი 1968 წლისათვის იყო სულ 1899 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, 1978წ. - 2420, 1987წ. - 435, 1998 წელს უკვე - 5766. ამ თვალსაზრისით პოვებს საკუთარ გამოხატულებას მსოფლიო სისტემის მზარდი გლობალიზაცია, რომელსაც ახასიათებს მრავალფეროვანი ტრანს-ნაციონალური ურთიერთქმედებების მოცულობის ზრდა.

პრინციპში, ამგვარ განვითარებაში შეიძლება დავინახოთ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის რადიკალური ტრანსფორმაციის და გლობალური მსოფლიო თანამეგობრობის ფორმირების წინაპირობა. თვისობრივად ახალ სიტუაციაში საზოგადოებრივი პროცესების თვითორგანიზაცია და რეგულირება განხორციელდება არა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გზით, არამედ უშუალოდ პირდაპირი კავშირებისა და ურთიერთზემოქმედების საშუალებით. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება განვიხილოთ როგორც ფორმირების პროცესში მყოფი გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი ამ ტენდენციის განსაზღვრის თაობაზე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სულ უფრო მეტი არასახელმწიფოებრივი აქტორების გამოჩენა, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებენ სახელმწიფოთა პარალელურად და გარკვეული თვალსაზრისით ეჭვქვეშ აყენებენ სახელმწიფოთა მონოპოლიას ამ სფეროში, ხდება მეტად ანგარიშგასაწევი ფენომენი გლობალიზაციის ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება წამოჭრან საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს მთავრობათა მოქმედება, შეაგროვონ ინფორმაცია საერთაშორისო პრობლემებზე; შეიმუშავონ მათი გადაწყვეტისათვის კონკრეტული მიდგომები და აიძულონ მთავრობები შესაბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერა; ყურადღება ადევნონ მთავრობათა მოღვაწეობას საერთაშორისო ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში და სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას; მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია და ხელი შეუწყონ „რიგით ადამიანში“ იმ რწმენის განმტკიცებას, რომ მას უშუალოდ ეხება მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები.

თუმცა, სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო ცხოვრების რეგულირების საქმეში მაინც გაცილებით უფრო დიდია. ამ თვალსაზრისით ისინი საკუთარ თავს ორი სახით ავლენენ - ერთის მხრივ ქმნიან კოოპერატიულ ან კონფლიქტურ ველს წევრ სახელმწიფოთა შორის, მეორეს მხრივ კი გამოდიან საერთაშორისო არენაზე სპეციფიური მოქმედი პირების სახით და ამგვარად ახდენენ დამოუკიდებელ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების დინამიკაზე.

ამასთანავე, ამგვარი დამოუკიდებლობის ხარისხიც საკმოდ სადავო საკითხია და ტრადიციულად წარმოადგენს ანალიტიკოსთა დებატების საგანს. „რეალისტური“ მიდგომის მომხრენი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები „ქმნიან“ მარტო იმას, რასაც «დებენ“ მათში წევრი სახელმწიფოები და მათ არ გააჩნიათ უნარი ამ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებს გარეთ არსებული ნებისმიერი იმპულსის გენერირებისა. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები განიხილება მხოლოდ როგორც მუდმივი დიპლომატიური ფორუმი, რომლშიც მჟღავნდება მონაწილეების აზრთა თანმთხვევა თუ დაპირისპირება. მეორეს მხრივ „იდეალისტური“ მიდგომის მომხრენი ხაზს უსვამენ, რომ სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის შედეგად იქმნება ხარისხობრივად ახალი სიტუაცია, რომლის დაყვანა არ შეიძლება მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური იმპულსების ჯამზე. მათ მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ გზით მოხდება საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემის გარდაქმნა, მისი ტრანსფორმაცია ინტერესთა

ბალანსის დამყარების არენიდან კაცობრიობის გლობალური პრობლემების გამოვლენისა და გადაწყვეტის მექანიზმად.

როგორც ჩანს, პირველი მიდგომა უფრო კარგად გამოხატავს საქმის რეალურ ვითარებას საერთაშორისო არენაზე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ხაზგასასმელია სამი გარემოება: თუნდაც რომ სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები განვიხილოთ მეორად, საერთაშორისო სამართლის მიერ შექმნილ სუბიექტებად, ისინი ჩაბმულნი არიან (და ზოგჯერ მეტად აქტიურადაც) საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ფორმირებასა და განხორციელებაში. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთა ეფექტურობა სულ უფრო მეტად არის განპირობებული იმით, თუ რამდენად არიან ისინი სანქცირებულნი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს საკმაოდ ამბიციურ ამოცანებს მეზობელ ქვეყნებთან პარტნიორობის გაღრმავების მიზნით. ამ პარტნიორობის საფუძველი საერთო ღირებულებებისადმი ერთგულება, საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნების გაზიარება და პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები გახდება. ევროპული კავშირი პარტნიორ სახელმწიფოებს და მათ შორის, საქართველოს სთავაზობს მასთან უფრო ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობის გაზიარებას კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მოგვარების საკითხებში, ის მათ შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლბლობას სთავაზობს. კონკრეტულად საქართველოს შემთხვევაში, ამ პროცესის განვითარების ტემპი და ინტენსიურობა დამოკიდებული იქნება ჩვენი ქვეყნის სურვილსა და შესაძლებლობაზე - გაიზიაროს ეს ვრცელი „დღის წესრიგი“.

საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ საერთაშორისო ცხოვრების მოწესრიგების ყველაზე განვითარებულ და მრავალმხრივ მექანიზმებს. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ერთ-

ერთი მთავარი მახასიათებელია საერთაშორისო ორგანიზაციათა რაოდენობისა და აქტიურობის მკვეთრი ზრდა. 1998 წლისათვის არსებობდა 6000-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია და მათი რიცხვი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა.

ამ ორგანიზაციათა მოღვაწეობა მეტად შთამბეჭდავად ახდენს გავლენას მასში მონაწილე სახელმწიფოების საერთაშორისო-პოლიტიკურ ქცევაზე იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც საქმე არ ეხება ზოგიერთი სამართლებრივი ნორმის ფორმირებას, რომელთა შესრულებაც აუცილებელია. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ სახელმწიფოთა მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში მათი საერთაშორისო სოციალიზაციის ფაქტორი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები წარმოადგენენ საერთაშორისო არენაზე მთავარ მოქმედ პირებს, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების სახელმწიფოთა რიცხვს აჭარბებს და ისინი ერთობლივად ქმნიან მეტად ვრცელ ქსელს, რომელიც მოიცავს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თითქმის ყველა სეგმენტს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მონაწილეთა წრით, ფუნქციონალური დანიშნულებით, ახალი წევრების მიღების წესით და უფლებამოსილებათა ხასიათით.

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების განვითარების საერთო ტენდენციებად შეიძლება ჩაითვალოს: მათი მოღვაწეობის რეგიონული ასპექტების შედარებითი გაძლიერება, რომელიც საშუალებას იძლევა ფოკუსირება მოხდეს უფრო კონკრეტულ საკითხებზე); სოციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაციათა რიცხვის მკვეთრი გაზრდა საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციფიური სფეროების რეგულირებისათვის და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების უფრო ხშირი და ფართო აღჭურვა ზენაციონალური უფლებამოსილებით.

სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების მასშტაბი, ხასიათი და გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაზე ვარირებს მეტად ფართო საზღვრებში. ზოგიერთი ამგვარი ორგანიზაციის მოღვაწეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა კიდევ უფრო განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრეგვაძე, ზ. – „საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციები“, თბ., 1992 წ.;
2. გურგენიძე, ვ. პ. – „საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მართვასა და მოწესრიგებაში“, თბ., 2012 წ.;
3. „ევროპული კავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები“, თბ., 2009 წ.;
4. ეთერია, ე. – „რეგიონული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში“, თბ., 2005 წ.;
5. იაკოვუ, გ. – „კვიპროსი, საქართველო და ევროპული კავშირი“, თბ., 2005 წ.;
6. ირემაძე, გ. – „საერთაშორისო ორგანიზაციები“, თბ., 2014 წ.;
7. კუპრაშვილი, ჰ. – „ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემა“, თბ., 2017წ.;
8. მექვაბიშვილი, ა. – „საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები“, თბ., 2002 წ.;
9. „პოლიტოლოგიის საკითხები“, თბ., 2000 წ.;
10. სანიკიძე, გ., კიღურაძე, ნ. – „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, თბ., 2001 წ.;
11. „საქართველო და ევროპული კავშირი“, თბ., 2006 წ.;
12. „საქართველო და ევროპული კავშირი - საზოგადოების განწყობა“, თბ., 2005 წ.;
13. ქარუმიძე, ვ. – „საერთაშორისო ორგანიზაციები“, თბ., 2004 წ.;
14. შუბითიძე, ვ. – „პოლიტოლოგია. გამოყენებითი პოლიტოლოგია“, თბ., 2005-2006 წწ.;
15. პოლიტიკური გლობალიზაცია, 15.01.2018 წ. https://btuglobalizationguide.wordpress.com/2018/01/15/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%
16. ჟენევის მოლაპარაკებებზე ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულება განიხილეს, 18.09.2009, https://old.civil.ge/geo/article.php?id=21779

ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარებისა და თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება (2009-18 წწ.)

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

ოსიკო კონცელიძე

თბილისი, 2019

სარჩევი

კვლევის დიზაინი 3

საკვლევი თემის აქტუალობა 3

მეთოდოლოგია 6

კვლევის მეთოდი 6

კვლევის სამიზნე ჯგუფი 7

ძირითადი შედეგები 8

სამაგიდე კვლევის ანგარიში 15

შესავალი 15

ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის შესახებ არსებული ეროვნული მნიშვნელობის კანონმდებლობის მიმოხილვა 15

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების ჩამონათვალი 20

ბათუმის ურბანული განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტების მიმოხილვა 20

ბათუმის ურბანული განვითარებასთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოკლე აღწერა 28

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები 33

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის გამოცდილება საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან 35

ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვა 36

ბათუმის ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის მიზნით შემუშავებული ინფრასტრუქტურული პროგრამების მიმოხილვა 38

ფოკუს ჯგუფების შედეგები 39

ასოციაციები თანამედროვე ბათუმთან 39

ქალაქში განხორციელებული ნეგატიური ცვლილებების გამოვლენა და შეფასება 44

ბათუმის ძველი უბნის მნიშვნელობის შეფასება 48

კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი აქტორების იდენტიფიცირება 51

თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობების შეფასება 57

თვითმმართველობის საქმიანობებში მოსახლეობის ჩართულობისა და გააქტიურების გზების გამოვლენა 60

ბიბლიოგრაფია 62

კვლევის დიზაინი

საკვლევი თემის აქტუალობა

უბრანული დიზაინის განსაზღვრება, რომელიც პირველად 1950-იან წლებში გაჩნდა და შემოიტანა არქიტექტორმა ხოსე ლუის სერტმა, აღნიშნავს დიდი და პატარა ქალაქების მახასიათებლებს და მათ დაგეგმვას, მოწყობას, შეღებვას და ა.შ. ურბანულ დიზაინს თანამედროვე მკვლევრები განსაზღვარვენ შემდეგნაირად - *„ურბანული დიზაინი, ფართო გაგებით, არის ადამიანებისათვის უკეთესი ადგილების შექმნის პროცესი, ვიდრე ეს მის (დიზაინის) გარეშე მოხდებოდა[1]“.* ანალიტიკური თვალსაზრისით, ურბანული დიზაინი არის ურბანული განვითარების პროცესი, ნორმატიული თვალსაზრისით კი არის, ან უნდა იყოს, უკეთესობისკენ მიმართული ურბანული განვითარება. ურბანისტები ალან ჯეიკობსი და დონალდ ეპლაიარდი ნაშრომში - „ურბანული დიზანის მანიფესტისკენ“ გვთავაზობენ შვიდ მთავარ ფაქტორს კარგი ურბანული გარემოს შესაქმნელად:

- საცხოვრებელი – ქალაქი უნდა იყოს ადგილი, სადაც ყველას შეეძლება, ასე თუ ისე, კომფორტულად ცხოვრება.
- კონტროლი და იდენტობა – ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ გარემოს ნაწილი მათ ეკუთვნით, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, რომლის ნაწილი მათი საზრუნავი და მოსავლელია, არ აქვს მნიშვნელობა, მათ საკუთრებაშია ეს ფართი თუ არა.
- შესაძლებლობების, გართობის და ფანტაზიის ხელმისაწვდომობა – ადამიანებმა ქალაქი უნდა მიიჩნიონ ადგილად, სადაც შესაძლებელია ტრადიციული ქცევიდან გადახვევა, ახალი ადამიანების გაცნობა, გამოცდილების მიღება და გართობა.
- აუთენტურობა და საზრისი – ადამიანებს უნდა „ესმოდეთ“ საკუთარ ქალაქის (ან სხვა ქალაქების), მისი საბაზო განლაგების, საზოგადოებრივი ფუნქციების და ინსტიტუტების, უნდა იცოდნენ, თუ რა შესაძლებლობებს სთავაზობთ მათ ქალაქი.

[1] Carmona, Matthew; Heath, Tim; Oc, Taner; Steve Tiesdell, Steve (2012): Public Places Urban Spaces. The Dimensions of Urban Design. Routledge.

- თემი (community) და საჯარო ცხოვრება – ქალაქებმა უნდა წაახალისონ მოქალაქეების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- ურბანული თვითუზრუნველყოფა – ქალაქებს სულ უფრო მეტად მოუწევთ საკუთარი თავის უზრუნველყოფა ენერგიით და სხვა იშვიათი რესურსებით.
- გარემო ყველასათვის – კარგი გარემო ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება იცხოვროს კარგი გარემოს, კონტროლის და შესაძლებლობების პირობებში (Jacobs & Appleyard 1987: 115-6).

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ბათუმის გეოგრაფიული მასშტაბი, ურბანული განაშენიანება, სოციალური და საცხოვრებელი გარემო. ქალაქში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ და ეკონომიკურმა ინვესტიციებმა, ძირითადად მშენებლობის, ტურიზმის, და მომსახურების სფეროში, ხელი შეუწყო ეკონომიკური აქტივობის ზრდას. საქსტატის მონაცემებით, აჭარის რეგიონში 2009 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 126 ათასი იყო, ხოლო 2017 წლისთვის – 167 ათასამდე გაიზარდა. იმავე წლებში (2009-2017) პირდაპირი ინვესტიციების მთლიანმა ჯამმა 1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. სასტუმროებისა და რესტორნების ბრუნვის მოცულობა 2011 წელს 54 მილიონი ლარი იყო, ხოლო 2017 წლის მონაცემმა 243 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება მშენებლობის სექტორს, წლიური ბრუნვის მოცულობა 2011 წელს 326 მილიონი იყო, 2017 წელს კი 872 მილიონ ლარი შეადგენდა[2]. მართალია საქსტატის მონაცემები აჭარის რეგიონზე ვრცელდება და არა კონკრეტულად ქალაქ ბათუმზე, თუმცა მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკური მნიშვნელობის და ფუნქციის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქსტატის მაჩვენებლების მეტი წილი ბათუმზე მოდის. რაც შეეხება ტურისტული ნაკადების მატებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, აჭარის რეგიონს 2011 წელს 965 601 საერთაშორისო ვიზიტორი ესტუმრა, ხოლო 2017 წელს ერთი მილიონით მეტი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია - 1 931 179. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, აჭარის რეგიონში მდებარე სამი სასაზღვრო გამშვები პუნქტი - ბათუმის პორტი, სარფი და აეროპორტი, 2011 წელს 816 299-მა საერთაშორისო

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგიონული სტატისტიკა - http://geostat.ge/?action=page&p_id=1180&lang=geo (ნანახია - 21/01/2019)

ვიზიტორმა გადმოკვეთა, ხოლო 2018 წლის მონაცემით სამივე სასაზღვრო გამშვები პუნქტი თითქმის ორჯერ მეტმა უცხოელმა ვიზიტორმა გადმოკვეთა - 1 552 529-მა[3]. აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმის ტერიტორიის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის № 4757-I ს დადგენილებით შეიცვალა ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი. ცვლილების შედეგად ქალაქის ფართობი გაიზარდა 2,6 ჯერ - 25 კვ. კმ-დან 65 კვ. კმ-მდე[4]. ქალაქ ბათუმის საზღვრებში მოექცა სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

ცვლილებებმა, რაც ბათუმმა ბოლო წლებში განიცადა ურბანული განვითარების თვალსაზრისით, საფრთხის წინაშე დააყენა კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული მნიშვნელობის უძრავი ძეგლები. ამ პერიოდის განმავლობაში არაერთ ძეგლს მოეხსნა სტატუსი, შეეცვალა იერსახე ან დაინგრა[5].

ამდენად, საინტერესოა, ადგილობრივი ხელისუფლება რამდენად ახერხებს უპასუხოს იმ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც ქალაქის წინაშე დგას სხვადასხვა - ტრანსპორტის, გამწვანების, განაშენიანების, ეკოლოგიის, განსაკუთრებით კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის თვალსაზრისით, როგორ აფასებს ბათუმის მოსახლეობა ქალაქში განხორციელებულ ცვლილებებს. აგრეთვე, საინტერესოა, ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის შესახებ რა ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის დოკუმენტები არეგულირებს ქალაქის ურბანულ განაშენიანებას.

---

[3] საერთაშორისო მოგზაურების სტატისტიკა - http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=700040&gid=7#.XEb9x1xKiM8 (ნანახია 21/01/2019)

[4] საქართველოს პარლამენტის დადგენილება თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1387556?publication=0 (ნანახია 03/12/2018)

[5] ბათუმის კულტურული მემკვიდრეობა (ნანახია 22,01,2019) - http://batumelebi.netgazeti.ge/tag/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98/

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარებისა და თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება (2009-18 წწ.)

კვლევის ამოცანები

- ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის შესახებ არსებული ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და სხვა მნიშვნელოვანი მასალების მიმოხილვა;
- ბოლო წლებში ქალაქში განხორციელებული პოზიტიური და ნეგატიური ცვლილებების გამოვლენა და შეფასება;
- ქალაქ ბათუმის განაშენიანებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე პასუხისმგებელი აქტორების გამოვლენა;
- თვითმმართველობის საქმიანობისა და ურბანული ცვლილებების მიმართ მოსახლეობის დაინტერესებისა და გააქტიურების გზების გამოვლენა.

კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის სამი მეთოდი - **სამაგიდე კვლევა, ფოკუს ჯგუფი** და **სიღრმისეული ინტერვიუ**

გამოყენებული მეთოდები კვლევის ამოცანების მიხედვით (ცხრილი#1):

ამოცანები	მეთოდი
ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის შესახებ არსებული ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და სხვა მნიშვნელოვანი მასალების მიმოხილვა;	სამაგიდე კვლევა; სიღრმისეული ინტერვიუ
ბოლო წლებში ქალაქში განხორციელებული პოზიტიური და ნეგატიური ცვლილებების გამოვლენა და შეფასება;	ფოკუს ჯგუფი

ქალაქ ბათუმის განაშენიანებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება;	ფოკუს ჯგუფი
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე პასუხისმგეელი აქტორების გამოვლენა;	ფოკუს ჯგუფი
თვითმმართველობის საქმიანობისა და ურბანული ცვლილებების მიმართ მოსახლეობის დაინტერესებისა და გააქტიურების გზების გამოვლენა.	ფოკუს ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან (ცხრილი#2):

ცხრილი#2

სამიზნე ჯუფი	ფოკუს ჯგუფი	სიღრმისეული ინტერვიუ
მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები	1	
ბათუმის მოსახლეობა	3	
ექსპერტი		1

მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფმა შესაძლებელი გახადა, მოგვეპოვებინა მაქსიმალურად ამომწურავი და სრულყოფილი ინფორმაცია ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, როგორც მასმედიის, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, აქვთ ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და პოზიციები ქალაქის ურბანული განვითარების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ.

ბათუმის მოსახლეობის გამოკითხვამ, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით, შესაძლებლობა მოგვცა როგორც მიკრო (უბნის, ქუჩის, სახლის ადგილმდებარეობის), ისე

მაკრო (ქალაქის) დონეზე შეგვეფასებინა ბოლო წლებში შეცვლილი ურბანული გარემო. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი იყოფა 14 ადმინისტრაციულ ერთეულად. ფოკუს ჯგუფებში წარმოდგენილი იყო თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის ერთი მაცხოვრებელი მაინც. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ბათუმის მაცხოვრებლებმა.

ექსპერტთან, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ წარმომადგენელთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუ მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ კვლევისთვის მიგვეღო მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარების ფარგლებში არსებული ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და სხვა მნიშვნელოვანი მასალების შესახებ.

კვლევის არეალი და ჩატარების პერიოდი

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ქალაქ ბათუმში 2018 წლის ნოემბრის თვეში

ძირითადი შედეგები

- იმ კანონებიდან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არეგულირებს ურბანულ განვითარებასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვას, შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ნორმატიული აქტები: საქართველოს კანონო სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძველბის შესახებ (მიღების თარიღი: 02/06/2005), საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (მიღების თარიღი: 22.05.2007), საქართველოს მთავრობის დადგენილება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ (დადგენილება #57, 2009 წლის 24 მარტი, ქ.თბილისი) და ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები'' (დადგენილება №59 2014 წლის 15 იანვარი);
- ბათუმის ურბანული განვითარების კუთხით მოქმედებს შემდეგი ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტები: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის (ქალაქთმშენებლობითი) და სხვა დოკუმენტაციის დამტკიცების წესის თაობაზე (დადგენილება №4-1. 27.02.2009), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2021 (მიღების თარიღი: 28.06.2018; ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო) და საპროექტო დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის შესახებ (მიღების თარიღი: 30.03.2018; ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო);

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებენ ეროვნული და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები, ესენია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოები და ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქ. ბათუმის ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის მიზნით მოქმედებს შემდეგი პროგრამები - ქ. ბათუმში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება და პროგრამა „ბათუმი ბარაკების გარეშე“;
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეებში თანამედროვე ბათუმის მიმართ პოზიტიურზე უფრო მეტად ნეგატიური ასოციაციები ჭარბობს;
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებში თანამედროვე ბათუმის მიმართ უფრო მეტად ნეგატიური ასოციაციები გამოიკვეთა, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ მათ, პროფესიული და სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე, უწევთ ქალაქში არსებულ აქტუალურ საკითხებთან და პროცესებთან შეხება და გაშუქება;
- კვლევის სამივე სამიზნე ჯგუფში თანამედროვე ბათუმის შესახებ ნეგატიური ასოციაციები ძირითადად უკავშირდება ბოლო წლებში ურბანული გარემოს ცვლილებებს. ესენია: უმართავი და ქაოსური მშენებლობები, მშენებლობებზე უსაფრთხოების ნორმების დარღვევა და ა.შ;
- ბათუმის მაცხოვრებელთა ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობის პოზიტიური ასოციაციები უკავშირდება ზღვას, ბულვარს და ტურისტებს, რაც ტრადიციულად ბათუმთან ასოცირდება: არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებში

პოზიტიური ასოციაციები დაკავშირებულია ბულვარის ტერიტორიის ზრდასთან, თუმცა, ეს ასოციაციები არ არის ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური;

- როგორც კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებში, ისე ბათუმის მაცხოვრებლებში, ბათუმში მოწონებას იმსახურებს - ბულვარის გაფართოება, ველოინფრასტრუქტურის განვითარება, საგზაო ინფრასტურქტურის რეაბილიტაცია, ახალი უბნების განვითარება და სხვა;
- კვლევაში მონაწილე სამივე სამიზნე ჯგუფის მონაწილეთა წუხილს წარმოადგენს ქალაქის იერსახის ცვლილება, კულტურული და ისტორიული ძეგლების ხელყოფა. მონაწილეთა აზრით, ნელ-ნელა იკარგება ის, რაც რასაც მათ აღქმასა და მეხსიერებაში წარმოადგენს ბათუმი და მისი ისტორია;
- ქალაქის უბნები იმგვარად ვითარდება და შენდება, რომ ქალაქის თვითმართველობა არ ითვალისწინებს არც სკვერების და არც ეზოების მოწყობას, რაც იწვევს მანქანების პარკირების შეუძლებლობას, ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების გაძნელებას და სხვა პრობლემებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის მერიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული მრავალწლოვანი ხეების დარგვა, რის გამოც ქალაქი სულ უფრო ნაკლებად მწვანდება;
- მრავალსართულიან შენობებში უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ყველა სამიზნე ჯგუფში. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მშენებლობების გამო ეზოები ვიწროა და საკმარისი სივრცე არ არის. სახანძრო მანქანები ხანძრის შემთხვევაში ვერ ახერხებენ, ან უჭირთ შენობასთან ახლოს მისვლა და ცეცხლის ჩაქრობა. ბევრ მრავალსართულიან შენობას არ გააჩნია ავარიული კიბეც. ასევე, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, როდესაც შენობაში, რომელიც ექსპლუატაციაში არ არის მიღებული, საზოგადოებრივი დაწესებულებები იხსნება, რაც უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევაა;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უკანასკნელ წლებში ეკოლოგიური თვალსაზრისით ვითარება საგრძნობლად გაუარესდა ქალაქში. ხშირია შემთხვევა, როდესაც დაავადებულებს, დაავადების მიზეზად დიაგნოზში გარემოს

დაბინძურება უწერიათ. ეკოლოგიური პრობლემები პირდაპირ დაკავშირებულია ზოგადად სატრანსპორტო საშუალებების და, მათ შორის, მუნიციპალური ტრანსპორტის დიდ რაოდენობასთან და მის გაუმართავობასთან;

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალაქში არსებული ყველა პრობლემის სათავე ქალაქის განვითარების გეგმის არარსებობაა. უკონტროლო მშენებლობები, რაც უცვლის ქალაქს იერსახეს, ლანდშაფტს, განაშენიანებას და ა.შ. უარყოფითად აისახება ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. ამიტომ, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა აზრით, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი უნდა გამკაცრდეს და დარეგულირდეს მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით;
- კვლევის სამივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა აზრით, ბათუმის ძველი უბნის იერსახის შენარჩუნება და ძეგლების რეაბილიტაცია აუცილებელია, რადგანაც ქალაქის ეს ნაწილი ქმნის ბათუმის ისტორიას, რომელიც დაკავშირებულია როგორც წარსულთან, ისე მომავალთან. ბათუმის ძველი უბნების იერსახის შენარჩუნება აუცილებელია იმიტომაც, რომ ქალაქის სტუმრებისთვის თვალსაჩინო გახდეს, თუ როგორი იყო ის ერთი საუკუნის წინ და როგორ განვითარდა მას შემდეგ. ყველა ისტორიულ შენობას აქვს საინტერესო ისტორია, რომელიც უნდა მიეწოდოს ქალაქის სტუმრებს;
- კვლევის შედეგად, ასევე, გამოიკვეთა, რომ ბათუმის ძველი უბნების დაგეგმარება უნდა წარმოადგენდეს ნიმუშს, როდესაც ქალაქის დანარჩენი ნაწილის განვითარებაზეა საუბარი;
- ბათუმში მაცხოვრებლების აზრით, კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის საკითხებს მოსახლეობა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ჭრილში განიხილავს და ცალკე აღებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა ნაკლებად მნიშვნელოვანია. ეს მოსაზრება არ გაიზიარეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფების წევრებმა. მათი აზრით, მართალია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირველი რიგის პრობლემაა მოსახლეობაში, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებით დაინტერესებაც მაღალია;
- ბათუმის მაცხოვრებლების ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვაზე პასუხიმგებლობა

სახელმწიფო სტრუქტურებს, უფრო კონკრეტულად კი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს პასუხისმგებლობაა;

- თუმცა, მოსახლეობის ფოკუს ჯგუფში აღინიშნა ისიც, რომ აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელობა მოსახლეობამაც გაითავისოს, ვინაიდან ძეგლს მუდმივად სჭირდება გაფრთხილება, განსაკუთრებით კი მოსახლეობის იმ ნაწილის ცნობიერება უნდა ამაღლდეს, ვინც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლში ცხოვრობს;
- ბათუმის თვითმმართველობას პასუხისმგებლობა აქვს აღებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლაზე, თუმცა, ფოკუს ჯგუფში მონაწილე მაცხოვრებლების აზრით, მოვალეობა სათანადოდ არ სრულდება და ამის გამო მოსახლეობა დილემის წინაშე დგას - დაელოდოს ადგილობრივ ხელისუფლების და ძეგლთა დაცვის სააგენტოს რეაგირებას, თუ თავისი ინიციატივით მოუაროს და გაამაგროს ძეგლი, რაც, შესაძლოა, ნიშნავდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას;
- კვლევამ აჩვენა, რომ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ძეგლში ცხოვრება დამატებით პრობოლემებს უქმნის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მოსახლეობისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლში ცხოვრება, სიამაყესთან ერთად, ტვირთიც არის;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სასტუსის მქონე სახლებში მძიმე საცხოვრებელი პირობების ქონის გამო, მოსახლეობას ერთადერთ გამოსავლად ესახება ინვესტორის მოძიება, რომელიც მაცხოვრებლებს უკეთეს საცხოვრებელ პირობებს შესთავაზებს; ამ ვითარებას კი სათავისოდ იყენებს ქალაქის ხელისუფლება - მათთვის ბათუმის ძველ უბნებში ინვესტორის მოზიდვაზე აპელირება „ადვილი გამოსავალია“ და პასუხისმგებლობის აცილებაზეა მიმართული;
- იმისათვის, რომ ქალაქის ძველ უბნებში მშენებლობის პროცესი დარეგულირდეს, აუცილებელია ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდეს ბათუმის ისტორიული ზონის საზღვრები. ისტორიული ზონის განსაზღვით,

ბათუმის ძველ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა გააცნობიერებს, რომ ინვესტორი ვეღარ შესთავაზებს ისეთ პირობებს, რისი მოლოდინიც მას ზონის მიღებამდე ექნებოდა. ამ რეალობის წინაშე როცა დადგება, მოსახლეობა ალტერნატიულ ვარიანტებზე დაიწყებს ფიქრს;

- ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა ისაუბრეს იმ როლზე, რაც შესაძლოა არასამთავრობო სექტორს ჰქონდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების მხრივ. კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და, აგრეთვე, მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის კულტურული მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებში მედიატორის როლის შესრულება;
- ბათუმის მოსახლეობის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თვითთმმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ტრადიციული მასმედიის მეშვეობით იღებენ. ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას ქალაქის ურბანული განვითარებისა და განაშენიანების შესახებ, ტრადიციულ მასმედიასთან ერთად, სოცილაურ ქსელსაც აქტიურად იყენებენ.
- ბათუმის მაცხოვრებლების ჯგუფური დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მიმართ ნაკლებ ინტერესს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: მოქალაქეთა ნიჰილისტური განწყობები, უნდობლობა ხელისუფლების მიმართ, მოსახლეობის პასიურობა და მოუცლელობა;
- როგორც მოსალოდნელი იყო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულები არიან, ვიდრე ბათუმის მაცხოვრებლები. მათ აქვთ ინფორმაცია თვითმართველობის ორგანოების მიერ მიღებული იმ ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ, რაც უკავშრდება ბათუმის განაშენიანებასა და ურბანულ განვითარებას;
- კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ჟუნრალისტები ყველაზე კრიტიკულები ბათუმის საკრებულოს მიმართ არიან. მათი შეფასებით, საკრებულოს წევრებს არ აქვთ გათვითცნობიერებული

თავიანთი პასუხისმგებლობა, თუ რა უფლებები გააჩნიათ მუნიციპალურ ორგანოში და რა ვალდებულებები აკისრიათ ამომრჩევლების წინაშე;

- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფებში აღინიშნა, რომ მოსახლეობაში არსებობს განცდა, რომ ხელისუფლება და, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის „უფროსია“ და არა მის მიერ არჩეული;
- მოსახლეობისგან უკუკავშირის არქონა, რესპონდენტთა აზრით, უარყოფითად აისახება ხელისუფლების ნებაზე, რომ გადაწყვიტოს სხვადასხვა საკითხი, აგრეთვე, მათ მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხზეც; ამიტომ, აუცილებელია ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის გააქტიურება;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, დეპუტატის იმ ვალდებულებიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეებთან ჰქონდეს კომუნიკაცია, უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც წაახალისებს დეპუტატს, ერთი მხრივ, გააქტიურდეს, შეასრულოს საკუთარი მოვალეობა და აქტიური კომუნიკაცია იქონიოს მოსახლეობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მუნიციპალურ ორგანოებში გაახმოვანოს ის საკითხები, რაც მოსახლეობაში აქტუალური და პრობლემურია.

სამაგიდე კვლევის ანგარიში

შესავალი

სამაგიდე კვლევის მიზანია თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის შესახებ არსებული ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და სხვა მნიშვნელოვანი მასალების მიმოხილვა.

არსებული მასალებისა და დოკუმენტების შეგროვების გარდა, საკითხის უკეთ გაგების და ბათუმში კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შეფასების მიზნით, ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუები.

გასათვალისწინებელია ის, რომ, მოცემული ანგარიშის მომზადების პარალელურად, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება ქალაქ ბათუმში ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენილია საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკის“ ავტორობით მომზადებული და ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის შესახებ. აგრეთვე, ბათუმის თვითმმართველობა მუშაობს ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე.

ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის შესახებ არსებული ეროვნული მნიშვნელობის კანონმდებლობის მიმოხილვა

იმ კანონებიდან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არეგულირებს ურბანულ განვითარებასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვას, შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მიღების თარიღი: 13/10/2017);
- საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძველების შესახებ (მიღების თარიღი: 02/06/2005);

- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (მიღების თარიღი: 22.05.2007);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ (დადგენილება #57, 2009 წლის 24 მარტი, ქ.თბილისი);
- ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები'' (დადგენილება №59 2014 წლის 15 იანვარი).

საქართველოს კონსტიტუცია; 2017 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციური ცვილებების მიხედვით, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად - სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე. კონსტიტუციის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტში აღნიშნულია, რომ ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. საქართველოს კონსტიტუციით, კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით.

საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ; კანონი არეგულირებს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესს, მათ შორის, განსახლების, დასახლებათა, ინფრასტრუქტურის განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და ადგენს ამ სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს. კანონის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (მუხლი 4; პუნქტი მე-წ, ქვეპუნქტი - ვ). კანონის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილული უნდა იქნეს, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი, უნდა შენარჩუნდეს ისტორიული და კულტურული კავშირები, კულტურული ლანდშაფტები მათი დამახასიათებელი ნიშნებით, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით.

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ; კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

კანონის მიხედვით, ობიექტისათვის **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია** მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რაც დაკავშირებულია მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან. ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ენიჭება საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

კანონის საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის მიზნით სამინისტროში შექმნილია ძეგლების სახელმწიფო რეესტრი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია, სააღრიცხვო ბარათი და ძეგლის პასპორტი. ძეგლს სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია, თუ მას აქვს გამორჩეული მხატვრული ან ესთეტიკური ღირებულება ან თუ იგი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპთან და გამორჩეულ ზოგად ეროვნულ ღირებულებებთან.

კანონის თანახმად კულტურული მემკვიდრეობის **დამცავი ზონების** სტრუქტურა შედგება **ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონისა** და **ზოგადი დამცავი ზონებისაგან**. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა დგინდება ავტომატურად, ზოგადი დამცავი ზონები დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, მინისტრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით. დამცავი ზონის დადგენის მიზანია მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა

ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა.

ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება **ფიზიკური** და **ვიზუალური** დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით. ძეგლის **ფიზიკური დაცვის** არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. კანონის მიხედვით, ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით. ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას.

ძეგლის **ვიზუალური დაცვის** არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება: ძეგლებისათვის – 300 მეტრის რადიუსით, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისათვის – 500 მეტრის რადიუსით, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისათვის –1000 მეტრის რადიუსით. **თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს, კანონში მითითებული შესაბამისი მანძილი, გარდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისა, მცირდება ორჯერ.** ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის თანახმად, **ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონად** განისაზღვრება ტერიტორია, სადაც გამოვლენილია ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების დიდი კონცენტრაცია, ავთენტიკური სახით შენარჩუნებული ქუჩათა ქსელი, განაშენიანება, გეგმარებითი სტრუქტურა და მორფოლოგია. განაშენიანების რეგულირების ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც ავთენტიკური სახით შემორჩენილია ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის ფრაგმენტები ან/და

ცალკეული ძეგლები, კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტები, ფონური განაშენიანება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ; აღნიშნული დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. დადგენილების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.

ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები[6]"; (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება#59). დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მიზანია სამშენებლო საქმიანობისათვის ტერიტორიებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების სპეციფიკური პირობების დადგენა. აღნიშნული პირობები ასახული უნდა იქნეს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებში. დებულებების მიზნებია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე:

- დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრა;
- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და განაშენიანების რეგულირების გეგმის შემადგენლობის განსაზღვრა;
- დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მიზნების ფორმირება, შემუშავება, დამტკიცება, მათში ცვლილებების შეტანა და ამ პროცესების საჯაროობა;
- მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შენობათა განთავსების პირობების დადგენა და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა;
- დასახლებათა მდგრადი განვითარების მიზნით, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველყოფა;

[6] ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები http://www.economy.ge/uploads/files/2017/mshenebloba/dadgenileba_59.pdf

- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრასთან, გადაბელვასა და მათ განკარგვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების ჩამონათვალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, რამდენიმე მნიშნველოვანი კონვენციის რატიფიცირება მოახდინა:

- **ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ;** ფარო, 2005 წ; საქართველოსთვის ძალაშია 2011 წლიდან;
- **კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ.** UNESCO, ქ. პარიზი, 1972 წლის 16 ნოემბერი. საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან;
- **კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ**. ქ. ჰააგა, 1954 წლის 14 მაისი; საქართველოსთვის ძალაშია 1992 წლის 4 დეკემბრიდან;
- **კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.** პარიზი, UNESCO, 17 ოქტომბერი, 2003 წელი. საქართველოსათვის ძალაშია 2008 წლის 18 ივნისიდან;
- **კონვენცია „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“;** გრანადა, 1982 წელი. საქართველოსთვის ძალაშია 2000 წლიდან;

აგრეთვე აღსანიშნავია, კონკორდატი – კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის (მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები) შეთანხმების გაფორმების თარიღია 2002 წელი.

ბათუმის ურბანული განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტების მიმოხილვა

ბათუმის ურბანული განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის კუთხით მოქმედებს შემდეგი ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტები:

- **თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის (ქალაქთმშენებლობითი) და სხვა დოკუმენტაციის დამტკიცების წესის თაობაზე** (დადგენილება №4-1. 27.02.2009)
- **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2021** (მიღების თარიღი: 28.06.2018; ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო)
- **საპროექტო დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის შესახებ** (მიღების თარიღი: 30.03.2018; ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო)

ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა[7]

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად ჩატარებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „გეოგრაფიკმა“ და 2008 წლის 19 დეკემბრისათვის უზრუნველყო თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება. ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების ფარგლებში დამუშავდა ოთხი ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტი:

- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი;
- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ზონირების ნაწილი;
- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საინჟინრო ნაწილი;
- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თემატური ნაწილი

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და

[7] „ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3959748?publication=0 (ნანახია 03/12/2018)

განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მოხდა ქ. ბათუმის საზღვრის იდენტიფიცირება და დაზუსტება, ქალაქის ტერიტორიის ზოგადი და კონკრეტული ფუნქციური ზონირება, პირველი რიგის და გადადებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების დაგეგმვა და სხვა.

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 29 სექტემბერს მიიღო დადგენილება #43 „ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“[8], რომლის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება.

ბათუმის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღნიშნულია, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების პარალელურად, ანალიზს დაექვემდებარება და გადაიხედება საკრებულოს მიერ მიღებული ადრინდელი რეგულაციები და დადგენილებები მათი ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. გენერალური გეგმის შემუშავების პარალელურად ასევე განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადებაც, რომლებიც შემდგომ წარედგინება საზოგადოებასა და დაინტერესებულ ინვესტორებს. 2018 – 2021 წლების სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ტენდერის გამოცხადება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №43 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვა;
- გამარჯვებული კომპანიის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება;
- ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება;
- გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება.

[8] დადგენილება ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3959748?publication=0 (ნანახია03/12/2018)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2021[9]

ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია 10 სტრატეგიული მიმართულებით ღონისძიებების გატარება. ესენია:

- მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი;
- ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია;
- ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია;
- მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება;
- ქალაქის ურბანული განვითარება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემა
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური გაძლიერება.

გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებების შესაბამისად გაწერილ 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმასა და ინდიკატორებს, რომლის მიხედვითაც უნდა გაიზომოს კონკრეტული პროგრამების შესრულება. გეგმაში ასევე მოცემულია ღონისძიებების შესაბამისად განსაზღვრული რისკ-ფაქტორები, მათი შეფასება და დაძლევის ღონისძიებები.

განკარგულების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსება ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ასევე, საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

სტრატეგიული გეგმის მიხედვით, უნდა განხორციელდეს მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგები შემდგომ საფუძვლად დაედება

[9] ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმა http://batumi.ge/ge/upload/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%20%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90.pdf (ნანახია 03/12/2018)

მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას. როგორც გეგმაშია აღნიშნული, პროგრამის განხორციელების შედეგად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს ექნება ინფორმაცია ცხოვრების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა საჭიროებებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება განხორციელდება კვლევის შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ბიუჯეტით ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული სტრატეგიული და სხვა ტიპის კვლევებისთვის გათვალისწინებული იყო 435 000 ლარი, რაც ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ამ დრომდე არ განუხორციელებია. სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე (spa.ge შესყიდვის კატეგორია: 79300000), არ იძებნება თვითმმართველი ქალაქი ბათუმი, როგორც 2018 წელს კვლევითი მომსახურების შემსყიდველი.

2018-2021 წლსი ქალაქ ბათუმის სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირებასაც. პროგრამის მიზანია გაზარდოს შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა მათთვის მიზნობრივ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. პროგრამის მიზანია ასევე ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით.

სტრატეგული გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქის ურბანულ განვითარებას. სტრატეგიაში გათვალისწინებულია ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება;
- ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება;

- ძველი ბათუმის ისტორული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და რეაბილიტაცია;
- ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება.

ბათუმის სტრატეგიული გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის დადგენას, რომლის მიზანია ზონის საზღვრებში დაცული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმებისა და იერსახის შენარჩუნებას, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის (დაგეგმარების სტრუქტურა, მორფოლოგია, შენობების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, იერსახე, ლანდშაფტი და სხვა), დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფას, სარეაბოლიტაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა რეგულირებას, საქალაქო გარემოს გაჯანსაღებას, დეგრადირებული ურბანული ქსოვილის ისტორიულ სახესთან მაქსიმალურად მიახლოებას, ისტორიული განაშენიანების ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის რეალიზაციას.

სტატეგიული გეგმა ასევე ითვალისწინებს ძველი ბათუმის ისტორული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და რეაბილიტაციას, რაც იმაში გამოიხატება, რომ პროგრამის ფარგლებში მოხდება ინვესტიციების მოზიდვა, მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით პირობიანი საინვესტიციო წინადადებების შემუშავება და ინვესტორებისათვის მათი შეთავაზება.

საპროექტო დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის შესახებ[10]

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 30 მარტს დაამტკიცა გის და დზ საკონსულტაციო ცენტრის „გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის შესახებ.

[10] საპროექტო დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის შესახებ http://batumi.ge/ge/upload/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%201.pdf

კვლევის ფარგლებში დადგინდა და გადამოწმდა კულტურული მემკვიდრეობის თითოეული ობიექტი, მოხდა თითოეული მათგანის იდენტიფიცირება და შესაბამისი სააღრიცხვო ბარათის მომზადება. რეინვენტარიზაციის პროცესი კულტურის უძრავ ძეგლებსა და ობიექტებზე მიმდინარეობდა სამი მიმართულებით:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების სააღრიცხვო ბარათების შედგენა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების კონსტრუქციული მდგომარეობის შეფასება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა.

საველე კვლევას ახორციელებდა კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფი, რომელიც შედგებოდა პროფესიონალებისგან. ჯგუფის მიერ მოხდა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტების გადამოწმება, თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, მათი საკადასტრო რუკაზე დატანა, ძეგლის ტექსტური ანალიზის შედგენა, შესაბამისი სააღრიცხვო ბარათის შევსება. მიუხედავად არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლისა, აღმოჩნდა მხატვრულ-არქიეტქტურული თვალსაზრისით ღირებული ნაგებობები, რომელიც არ იყო შეყვანილი კულტურის უძრავ ძეგლთა ნუსხაში. ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი:

- ადგილზე გადამოწმდა და, საჭიროების შემთხვევაში, ჩასწორდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სააღრიცხვო ბარათებინ (აღსანიშნავია, რომ არსებული ბარათები შეივსო აქამდე არარსებული, ინფორმაციულ-ანალიზური ხასიათის აღწერილობითი ტექსტებით);
- შეივსო სააღრიცხვო ბარათები ქალაქის ისტორიული ნაწილის გარეთ არსებულ ძეგლებსა და რამდენიმე ღირებულ ობიექტზეც;
- მთლიანად განახლდა ფოტომასალა;
- დაკორექტირდა რუკები (ჩასწორდა გრაფიკა, დაფიქსირდა ამჟამინდელი მდგომარეობა, აისახა ახალი მინაშენები);
- უძრავი ძეგლებისა და ობიექტების იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის პრინციპები და სახელმძღვანელო კრიტერიუმები

რეინვენტარიზაციის ფარგლებში მოხდა ქ. ბათუმის ისტორიულ ნაწილში (რიგ შემთხვევებში კი მის ფარგლებს გარეთაც) არსებული ძეგლებისა და ობიექტის აღრიცხვა და კვლევა. თითოეულ მათგანზე შეივსო სააღრიცხვო ბარათი. წინამდებარე ქ. ბათუმის ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის სარეკომენდაციო არეალში კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა და ობიექტთა ნუსხა განისაზღვრა 246 ობიექტით. სტატისტიკა დანაწილდა შემდეგნაირად:

ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა:

- 200 ობიექტს შეუნარჩუნდეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი;
- 35 ობიექტს მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი;
- 11 ობიექტს მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონა:

- 12 ობიექტს შეუნარჩუნდეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი;
- 5 ობიექტს მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი;
- 1 ობიექტს მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

მოცემულ ეტაპზე (02.12.2018) დოკუმენტი გაგზავნილია საქართველოს მთავრობაში, კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასამტკიცებლად.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონის შესახებ დოკუმენტი, ცვლილებებით დაამტკიცა, რასაც მოჰყვა საზოგადოების ერთი ნაწილის მხრიდან პროტესტი. ორგანიზაცია „ბათომი“-ს წარმომადგენლებმა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თვითნებობაში დაადანაშაულა იმის გამო, რომ ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა საზოგადოების აზრის გათვალისწინების გარეშე შეცვალა, საქმე იმაშა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარდგენილ რუკაში ისტორიული დაცვის ზონის საზღვრები შემცირებულია. თავდაპირველი დოკუმენტიდან ამოღებულია ისტორიული ბულვარის ე.წ. რივიერას,

დელფინარიუმისა და საზღვაო აკადემიის მიმდებარე ტერიტორიები. აღნიშნულ პრეტენზიაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის პასუხი იყო ის, რომ 2018 წლის 14 მარტს ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ საჯარო განხილვაზე, აღნიშნა, რომ იგეგმებოდა საზღვრების კორექტირება. თუმცა საზოგადოება „ბათომის“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ისტორიული ზონის საზღვრების ცვლილება ეჭვ ქვეშ აყენებს საჯარო წარმოების კეთილსინდისიერად ჩატარებას და დაცული არ არის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის პრინციპები, რისი დაცვის ვალდებულებაც თვითმმართველობას აქვს[11]. ისტორიული ზონის საზღვრებში შეტანილი ცვლილებების გამო, ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დოკუმენტის ავტორმა, საკონოსულტაციო ცენტრმა „გეოგრაფიკმა“ დოკუმენტიდან თავისი ლოგოს მოხსნა მოითხოვა[12]. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მოითხოვს ბათუმის საკრებულომ ბათილად ცნოს #33 დადგენილება და დაამტკიცოს დოკუმენტის პირველადი ვარიანტი[13].

ბათუმის ურბანული განვითარებასთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოკლე აღწერა

ქ. ბათუმის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია (2004)

2004 წელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაკვეთით, გის და დზ საკონსულტაციო ცენტრის `გეოგრაფიკის' მიერ მომზადებული იყო ქ. ბათუმის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია, რომლის ფარგლებში ჩატარდა ქალაქის ისტორიული ნაწილის სიღრმისეული შესწავლა და არსებული ძეგლთა სიის გადამოწმება-დაზუსტება. ამ კვლევის შედეგად გამოვლინდა ახალი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების დიდი ჯგუფი. ამასთან ერთად გამოყოფილი იყო ისტორიული

[11] ონალინ გაზეთი - „ბათუმელები“; სტატია სათაურით - „ისტორიული განაშენიანების ზონების შეცვლილი საზღვრები“ 07/10/2018 (ნანახია - 02.12.2018) - http://ajaratv.ge/news/ge/34360/istoriuli--ganashenianebis.html

[12] ონალინ გაზეთი - „ბათუმელები“; სტატია სათაურით: „რატომ ამბობს უარს „გეოგრაფიკი“ მის მიერ მომზადებული დოკუმენტის ავტორობაზე - მერის პასუხი“ 26/11/2018 (ნანახია - 02.12.2018) http://batumelebi.netgazeti.ge/news/170301/

[13] ონლაინ გაზეთი - „ბათუმელები“; სტატიის სათაური - „შეცვლილი დოკუმენტი - საია ბათუმის მერიას სასამართლოში უჩივის“ 22/11/2018 (ნახულია - 02.12.2018) - http://batumelebi.netgazeti.ge/news/169748/?fbclid=IwAR1A1XWsLAHlb4wnoatKGni7pvqZtsiiZPycjikHaFqnd0eWEE9rzLwpDio

ნაწილის დაცვის ზონის ახალი სარეკომენდაციო საზღვრები და დამატებით დაინიშნა განაშენიანების რეგულირების ზონის საზღვრები. საქართველოს ეკონომიკური სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე დამუშავდა ექვსი ქალაქის: ქუთაისის, ბათუმის, გორის, ფოთის, ქობულეთისა და სიღნაღის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია.

ქ. ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ინვენტარიზაცია (2006)

2006 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა ქ. ბათუმის ძეგლთა ახალი ინვენტარიზაცია, რის საფუძველზეც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს მიერ 2006 წლის 30 მარტის #3/133 და 12 სექტემბრის 5 #3/311 დადგენილებებით დამტკიცდა ქ. ბათუმის ძეგლთა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებთა ახალი სიები.

ქ.ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა (2007)

2007 წელს ქ. ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შედგენის[14] (შემსრულებელი გის და დზ საკონსულტაციო ცენტრის `გეოგრაფიკი“) ფარგლებში დაისვა ამოცანა ქ. ბათუმის ძეგლთა სიის სრული შემადგენლობის დადგენისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების გადარჩევისა, მათთვის ძეგლის სტატუსუს მინიჭების ან მოხსნის მიზნით, დაცვის ზონების საზღვრების საბოოლო დადგენით. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ძირითად დოკუმენტს სარეკომედაციო დაცვითი ზონები წარმოადგენდა. თუმცა აღნიშნული დოკუმენტის განხილვა ვერ მოხერხდა, რის გამოც ქალაქი წლების განმავლობაში დაცვითი ზონების გარეშე დარჩა.

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საზღვრები შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება[15] (2011)

საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის № 4757-I ს დადგენილებით შეიცვალა ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი. ცვლილების შედეგად ქალაქის ფართობი

[14] ქ.ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა - http://www.geographic.ge/article.php?lang=ge&cat=4&id=70&pro=3 (ნანახია 03/12/2018)

[15] საქართველოს პარლამენტის დადგენილება თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1387556?publication=0 (ნანახია 03/12/2018)

გაიზარდა 2,6 ჯერ - 25 კვ. კმ-დან 65 კვ. კმ-მდე და ადმინისტრაციულ საზღვრებში მოექცია რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა (2013)

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ მოწვეული ურბანული დაგეგმარების ექსპერტების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიზანი იყო გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება ქალაქის ურბანული დაგეგმარების დონეზე; აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოებასა სამთავრობო უწყებებს და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება. ქალაქის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტია. მას არ გააჩნია კანონის ძალა. ქალაქის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში ის შეიძლება საფუძველი გახდეს მიწათსარგებლობის დაგეგმვის დოკუმენტაციის - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და გამაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებისათვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი[16] (2014)

დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის, მიერ დაფინანსებული პროექტის რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის, ფარგლებში. ნაშრომი განიხილავს საზოგადოების, მთავრობის, საჯარო სამსახურების, კერძო სექტორისა და მემკვიდრეობით დაინტერესებული სხვა ჯგუფების წინაშე არსებულ პრობლემებსა და შესაძლებლობებს მემკვიდრეობის დაცვის სფეროში.

დოკუმენტში საუბარია კანონის აღსრულების პრობლემებზე კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. 2013 წელს საქართველოს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს დაკვეთით დამოუკიდებელმა იურიდიულმა კომპანიებმა თბილისისა და ბათუმის ისტორიულ უბნებში ბოლო წლებში განხორციელებული პროექტების იურიდიული ანალიზი ჩაატარეს. 11 შესწავლილი შემთხვევიდან 9

[16] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი - http://cultureandsports.gov.ge/getfile/00f3c22d-d784-4f14-ad86-67a2a8ba05d3/.aspx (ნანახია 03/12/2018)

შემთხვევაში დარღვეულია კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. იურიდიულმა კვლევამ შემდეგი ტიპის ტენდენციები გამოყო:

- სახელმწიფო სტრუქტურები თვითონ არღვევენ კანონით განსაზღვრულ პროცედურებს;
- სახელმწიფო სტრუქტურები უმოქმედობით არ უზრუნველყოფენ კანონის დაცვას;
- სახელისუფლებო სტრუქტურები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის საწინააღმდეგო კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს იღებენ.

დადგენილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ[17] (2014)

ქალაქი ბათუმის საკრებულოს მიერ 2014 წლის 29 აგვისტოს მიღებული დადგენილების (№29) მიხედვით ქალაქ ბათუმში 13 ადმინისტრაციული ერთეული შეიქმნა:

- ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეული;
- რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეული;
- ხიმშიაშვილის ადმინისტრაციული ერთეული;
- ბაგრატიონის ადმინისტრაციული ერთეული;
- აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეული;
- ჯავახიშვილის ადმინისტრაციული ერთეული;
- თამარის ადმინისტრაციული ერთეული;
- ბონი-გოროდოკის ადმინისტრაციული ერთეული;
- აეროპორტის ადმინისტრაციული ერთეული;
- გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული ერთეული;
- კახაბრის ადმინისტრაციული ერთეული;
- ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციული ერთეული;
- მწვანე კონცხის ადმინისტრაციული ერთეული.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეინვენტარიზაცია (2015)

[17] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ დადგენილება https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2477098?publication=0 (ნანახია 03/12/2018)

2015 წელს ჩატარდა ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეინვენტარიზაცია (შემსრულებელი გის და დზ საკონსულტაციო ცენტრის „გეოგრაფიკი“), რომლის ფარგლებშიც გადამოწმდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ნუსხა და შეივსო კანონით გათვალისწინებული უძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაცია. 2015 წლის ქ. ბათუმის რეინვენტარიზაციის ფარგლებში, მოხდა ქალაქში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ყველა უძრავი ძეგლისა და ობიექტის საკადასტრო გეგმებისა და ამონაწერების მოძიება. სამუშაოებისათვის ბიჯეტიდან დაიხარჯა 100 000 ლარი.

2016-2021 წლების აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგია[18] (2016)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითრების საბჭოს მიერ შემუშავებული აჭარის 2016-2021 წლების რეგიონული განვითარების მეხუთე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს მემკვიდრეობის ძეგლებისა და გარემოს ისეთ დონეზე შენარჩუნებას, რომ მომავალში შესაძლებელი იყოს მისით სარგებლობა. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის მხრივ რეგიონში გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავაც პრიორიტეტულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია და რეგიონის ბიომრავალფეროვნების დაცვა და ბუნებრივი და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (2017)

მემორანდუმის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, გათვალისწინებულია კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და განხორციელება. ორი უწყება თანამშრომლობს ბათუმში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის, ასევე, ძეგლების მოვლა-შენახვის მიმართულებით. მემორანდუმით ასევე გათვალისწინებულია ბათუმში მდებარე ძეგლთა ინვენტარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზის

[18] 2016 – 2021 წლების აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგია (ნანახია 03/12/2018) http://adjara.gov.ge/uploads/Docs/acdb5711834a4d0e86f1f4f04e46.pdf (ნანახია 03/12/208)

შექმნა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცვლა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებენ ეროვნული და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყანაში ზედამხედველობას უწევს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, განსაზღვრავს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას, უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, იდენტიფიკაციის, ინვენტარიზაციის, შენარჩუნებისა და ხელშეწყობის კოორდინირებას. აგრეთვე აწარმოებს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ რეესტრს, განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის საერთო დაცვის ზონებსა და შესაბამის რეგულაციებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; 2008 წელს, კულტურის სამინისტროში განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმის შედეგად, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელსაც კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ფუნქციების უმრავლესობა გადაეცა.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ძირითად უფლებამოსილებას წარმოადგენს:

- მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, აღწერა და მისი მდგომარეობის სისტემატური შემოწმება, ზრუნვა მის მოვლა-პატრონობაზე, შესწავლასა და რეაბილიტაციაზე;
- სამინისტროს ინფორმირება კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენისა და მისი მდგომარეობის შესახებ;
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობა სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;

- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საქმიანობის განხორციელება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის საბჭო; საბჭო დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საბჭოს საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. საბჭო იხილავს: ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის, ძეგლზე და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების სამეცნიერო-მეთოდურ პროექტებს და ა.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის საბჭო.

ადგილობრივი თვითმმართველობები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობებში შედის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიკაცია, ინვენტარიზაცია და მთი შენარჩუნება. 2014 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას, შენარჩუნებასა და რეკონსტრუქციას. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქმიანობას ახორციელებს ბათუმი ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

მრჩეველთა საბჭო და ადგილობრივი დარბაზები; თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოსთან შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და ადმინისტრაციულ ერთეულებში (უბნებში) საზოგადოებრივი დარბაზები, რომლებიც წარმოადგენენ საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოებს[19]. საბჭოსა და დარბაზის მუშაობა მნიშვნელოვანი ბერკეტია როგორც თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ისე კულტურული

[19] მართე შენი ქალაქი http://marte.ge/ge/sabcho

მემკვიდრეობის დაცვასთან და ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების საჯაროობის თვალსაზრისითაც.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის გამოცდილება საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან

გერმანიის განვითარების ბანკი (KfW)

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 2007 წლიდან გერმანიის განვითარების ბანკთან (KfW) თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს. ქალაქის მთელ ტერიტორიაზე შეიცვალა და განახლდა წყლისა და საკანალიზაციო სისტემები, მოეწყო სანიაღვრე არხები, აშენდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა.

ევროპის რეკონსტუქციისა და განვითარების (EBRD) ბანკი

2008 წელს „ბათუმის ავტობუსების პროექტი"-ს ფარგლებში ბანკის შეღავათიანი სესხის ფარგლებში განხორციელდა 100 ერთეული ზონდას ტიპის ავტობუსის შეძენა. 2016 წლიდან ხორციელდება აღნიშნული პროექტის მე-2 ფაზა, რომლის ფარგლებშიც ბანკის შეღავათიანი სესხისა და E5P გრანტის ფარგლებში მოხდება 20 ერთეული დიზელისა და 10 ერთეული ელექტრო ავტობუსის შეძენა.

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP), ახორციელებს პროექტს - ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის[20]. პროექტის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდგრადი და ინტეგრირებული მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების და მობილობის გეგმების განვითარების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ეროვნულ დონეზე და მწვანე ურბანული განვითარების პოლიტიკისა და მექანიზმების ფორმირებას. პროექტის

[20] ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისთვის http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/prodocs/UNDP_GE_EE_prodoc_GreenCities_2015_geo.pdf

ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული გერმანული კომპანია A+S Consult-მა მოამზადა ქალაქ ბათუმის სატრანსპორტო მოდელი.

USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI),

2015 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI), რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული 5 წლიანი პროექტია და ითვალისწინებს საჯარო მომსახურების ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების წახალისებაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ასპექტში მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობაზე მუნიციპალიტეტის დახმარებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალება, ასევე მუნიციპალიტეტს გაეწია დახმარება პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მიმართულებით.

ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვა

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ბათომი“

საზოგადოება „ბათომი“-ს საქმიანობა რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით შეიქმნა 2010 წელს, ხოლო ორგანიზაციული ფორმა მიიღო და დაფუძნდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი 2013 წელს. საზოგადოება ბათომის მიზნებია: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის განვითარება. საზოგადოება „ბათომი“ რეგიონში წარმოადგენს ერთადერთ ორგანიზაციას კულტურული მემკვიდრეობის კუთხით.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათომი“ ამჟამად ახორციელებს პროექტს სახელწოდებით - "ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარების ხელშემწყობი პროექტი". პროექტს აფინანსებს საერთაშორისო ორგანიზაცია „აღმოსავლეთ–დასავლეთის მართვის ინსტიტუტი“, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პარტნიორი საქართველოში.

ორგანიზაციის მისამართი: ბათუმი; ზურაბ გორგილაძის 38 ბ.60

ორგანიზაციის ელ. მისამართი: info.batomi@gmail.com

ორგანიზაციის სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ გვერდი:

https://www.facebook.com/groups/Batomi/

სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტუტი (CSI)

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი 1994 წელს დაარსდა როგორც ბიზნეს სამართლის ცენტრი, ხოლო 2003 წელს გარდაიქმნა ფონდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტად. ორგანიზაციის მიზნებია სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ეფექტური მმართველობა და მდგრადი ინსტიტუტების ფორმირება, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება და სხვა. ორგანიზაციის ფილიალი ქალაქ ბათუმში დაფუძნდა 2006 წელს.

თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, საზოგადოებრივი დარბაზების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის და რესურსების უკეთ გაზიარების მიზნით, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“, თვითმმართველ ქალაქ ბათუმის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა ,,დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G3) თანამშრომლობით, შეიქმნა პორტალი www.marte.ge. შექმნილი ონლაინ-სივრცე დახმარებას უწევს როგორც ადგილობრივ მოქალაქეებს, ასევე ქალაქის ბიუჯეტით, ურბანული დაგეგმარებით და ლოკალური პრობლემებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

„სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა“ 2013 წელს იგივე დონორების მხარდაჭერით შეიმუშავა თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა[21].

ორგანიზაციის ვებ-გვერდი: http://www.civilin.org

ორგანიზაციის ბათუმის ფილიალის მისამართი: მელიქიშვილის 59 ბ.18

ელექტრონული მისამართი: natia@civilin.org

ბათუმის ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის მიზნით შემუშავებული ინფრასტრუქტურული პროგრამების მიმოხილვა

ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამა - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება[22].

ბათუმის თვითმმართველობა 2018 -2021 წლებში პროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვიათარების ფარგლებში ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას. პროგრამის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციისთვის 2018 -2021 წლებში ბათუმის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2 596 500 ლარი. ყოველ წელს დაგეგმილია ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია. 2018 წელს განხორციელდება ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია.

პროგრამა - „ბათუმი ბარაკების გარეშე“

პროექტი განხორციელება თავდაპირველად 2008 წელს დაიწყო და 2012 წელს, საქართველში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2014 წელს გაგრძელდა.

[21] ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა - http://marte.ge/ge/dagegme-qalaqi (ნანახია 03/12/2018)

[22] თვითმმართველობის პროგრამა - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - http://batumicc.ge/files/uploads/suliko_tebidze/biujeti/axali_biujeti_2018/05_05__.pdfhttp://batumicc.ge/files/uploads/suliko_tebidze/biujeti/axali_biujeti_2018/05_05__.pdf (ნანახია 03/12/2018)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის # 393 დადგენილების თანახმად[23], პროგრამის მიზანია ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ამორტიზებული, ავარიული, უსახური, დროებითი, ბარაკული ტიპის, საცხოვრებლად უვარგისი, არადამაკმაყოფილებელი სანიტარიული პირობების მქონე შენობების (შემდგომში - არასათანადო-არასტანდარტული საცხოვრისი) ლიკვიდაციის ხელშეწყობა. ამ დროის განმავლობაში პროგრამით 10-დე სამშენებლო კომპანიამ ისარგებლა, აქედან ორმა პროექტი დაასრულა. პროგრამის მთლიანი დაფინანსება 20 მილიონ დოლარს შეადგენს, რომელიც მთლიანად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გაიღო[24]. ამ ეტაპზე პროექტისთვის გამოყოფილი თანხა ამოწურულია და უცნობია პროექტი მომავალში გაგრძელდება თუ - არა. 2018 წლის იანვრის მდგომარეობით, ბათუმში, 161 ბარაკული ტიპის სახლია, რომელშიც 1654 ოჯახი და 5704 ადამიანი ცხოვრობს[25].

ფოკუს ჯგუფების შედეგები

ასოციაციები თანამედროვე ბათუმთან

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებში თანამედროვე ბათუმის მიმართ პოზიტიურზე უფრო მეტად ნეგატიური ასოციაციები ჭარბობს, ძირითადად ის პრობლემები და გამოწვევები ახსენდებათ მონაწილეებს, რაც დღესდღეობით ქალაქის წინაშე დგას. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებში თანამედროვე ბათუმის მიმართ უფრო მეტად გამოიკვეთა ნეგატიური ასოციაციები, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ მათი პროფესიული და სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე უწევთ ქალაქში არსებულ აქტუალურ საკითხებთან და პროცესებთან შეხება და გაშუქება.

> *„ბევრი რომ ვიფიქროთ, ალბათ პოზიტიურ ასოციაციებთან მივალთ. სამსახურეობრივად ისე გვაქვს გამჯდარი ნეგატიური ინფორმაცია, პრობლემები და ა.შ. რომ ბათუმი გარკვეულწილად ნეგატიურთან*

[23] დადგენილება ქ. ბათუმში არასათანადო-არასტანდარტული საცხოვრისის ლიკვიდაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2371030?publication=0

[24] Bpn.ge https://bpn.ge/ekonomika/44204-proeqti-bathumi-barakebis-gareshe-shesadzloa-aghar-gagrdzeldes.html?lang=ka-GE (ნანახია 03/12/2018)

[25] ბათუმში ბარაკული ტიპის სახლებში 1654 ოჯახი ცხოვრობს - http://factcheck.ge/article/bathumshi-barakuli-tipis-sakhlebshi-1-654-ojakhi-tskhovrobs/ (ნანახია 03/12/2018)

ასოცირდება, მაგალითად, მტვერთან, ხმაურთან, ქალაქის ცენტრში ცემენტის წარმოებასთან და სხვასთან“ (ჟურნალისტი)

ფოკუს ჯგუფში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის და ჟურნალისტებისთვის თანამედროვე ბათუმის შესახებ **ნეგატიური ასოციაციები** ძირითადად უკავშირდება ბოლო წლებში ურბანული გარემოს ცვლილებებს. ესენია:

- **უმართავი მშენებლობები**

  „ჩემთვის დღევანდელი ბათუმი ასოცირდება უკონტროლო მშენებლობებთან, რომელიც ქმნის პატარა თბილისის ასოციაციას, ბათუმი შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩაბეტონებულ ქალაქთან. გასაგებია, რომ ეს მშენებლობები დაკავშირებულია ტურიზმის განვითარებასთან, თუმცა ქალაქის განვითარება უნდა მომხდარიყო თავის დროზე სწორად“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

- **მაღალსართულიანი შენობები და ცათამბჯენები, რომლებიც ცვლის ქალაქის იერსახეს**

  „აქამდე ბათუმი პატარა ფერად ქალაქთან ასოცირდებოდა, სიმყუდროვესთან, ქალაქთან რომლის შემოვლაც ფეხით იყო შესაძლებელი და კიდევ ასოცირდებოდა სიმწვანესთან. ახლა, სამწუხაროდ, თავში მომდის ასოციაცია მაღალსართულიანი სახლების მშენებლობებთან, აი, ის ხედი მახსენდება, რაც ჩანს მახინჯაურიდან და თამარის დასახლებიდან, როცა მოდიხარ ბათუმის მიმართულებით.. ასოცირდება ცათამბჯენებთან“ (ჟურნალისტი)

- **ქალაქი, რომელიც ადამიანზე ნაკლებად ორიენტირებული ხდება**

  „ქალაქთან ასოცირდება, რომელიც დროის გასვლასთან ერთად ნაკლებად არის ადამიანზე ორიენტირებული. კომფორტული აქ ცხოვრება აღარ არის, ისე როგორიც ადრე იყო. პირველ რიგში ეს მომდის თავში და მერე მთელი თაიგული მახსენდება, თუ რატომ აღარ არის ბათუმი საცხოვრებლად კომფორტული ქალაქი“ (ჟუნრალისტი)

- **მშენებლობების დაბალი ხარისხი და უსაფრთხოების ნორმების დარღვევა**

„რამდენად უსაფრთხოა და აკმაყოფილებენ თუ არა სტანდარტებს? თანამედროვე ბათუმზე როცა ვსაუბრობთ, უხარისხო მშენებლობა არის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მახსენდება“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

- **სამშენებლო კომპანიების მხრიდან გამოჩენილი სიხარბე და უპასუხისმგებლობა**

  „სიხარბესთან ასოცირდება, ვინაიდან ადამიანები, ვინც სამშენებლო ბიზნესით არიან დაკავებულები, დახარბდნენ და ცდილობენ ყველაფრის ფასად გააკეთონ რაც გამოუვათ, რის ნებართვასაც აიღებენ. პასუხიმგებლობისგან არიან დაცლილები“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

რაც შეეხება ბათუმთან დაკავშირებულ **ნეგატიურ ასოციაციებს,** ბათუმის მაცხვრებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შიმონაწილეთა ასოციაციები უკავშირდება იმ წუხილებს, რაც გამოწვეულია ახალმშენებლობებით და ქალაქის იერსახის ცვლილებით.

„ზღვიდან როცა უყურებ ამ ქალაქს, ძალიან ლამაზია. მწვანე კონცხიდან განსაკუთრებით ლამაზია. პროფილი ბევრჯერ შეიცვალა და განსაკუთრებით ამ ბოლოს შეიჭამა დიდი კედლების დამსახურებით. ყოველ შემთხვევაში შორიდან უფრო ეფექტურია ვიდრე ახლოდან. ახლოდან უფროო ბევრი ხარვეზი გვხდება და ეს ის არ არის, რასაც ელოდებოდა ადამიანი, რომელმაც ქალაქი შორიდან დაინახა“ (ქ. ბათუმის მაცხოვრებელი)

„მაგალითად, ზედხედი, აერო გადაღებისას დუბაისთან შეიძლება გავაკეთოთ შედარება. ქაოტურად, უსწორმასწოროდ, სიმსივნესავეთ, მეტასტაზებად წასული რაღაც ორგანიზმის ასოციაცა ჩნდება ამ ბეტონის მოზღვავებული რაოდენობის გამო“ (ქ. ბათუმის მაცხოვრებელი)

ბათუმის მაცხოვრებელთა ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობის **პოზიტიური ასოციაციები** ბათუმთან ნაკლებად უკავშირდება იმ ცვილებებს, რაც ქალაქმა ბოლო ათი

წლის განმავლობაში განიცადა, ბათუმის ხსენებაზე პირველ რიგში **ზღვა, ბულვარი** და **ტურისტი** ახსენდებათ, რაც ტრადიციულად ბათუმთან ასოცირდება:

> *„ქალაქი იწყება ზღვიდან, ზღვა ბევრ რამეს განსაზღვრავს, მე მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, ზღვა მახსენდება პირველ რიგში“ (ქ. ბათუმის მაცხოვრებელი)*

> *„მახსენდება ტურისტული ქალაქი თავისთავად, და შემდეგ ბათუმის ბულვარი და ზღვა“ (ქ. ბათუმის მაცხოვრებელი)*

რაც შეეხება **პოზიტიურ ასოციაციებს** არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფის მონაწილეებში, მათი პოზიტიური ასოციაციები დაკავშირებულია ბულვარის ტერიტორიის ზრდასთან, თუმცა, როგორც ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა, ეს ასოციაცია არ არის ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური:

> *„პოზიტიურიც არის და ნეგატიურიც. პოზიტიურია ის, რომ ბულვარის გაზრდით ქალაქი გაიზარდა და განვითარდა, ხოლო უარყოფითია ის, რომ არასწორად განვითარდა“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ქალაქში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების გამოვლენა და მათი შეფასება

როგორც კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს, ისე ბათუმის მაცხოვრელბებს ერთი და იგივე რამ მოსწონთ თანამედროვე ბათუმში. მონაწილეებმა დაასახელეს კონკრეტული პროექტები, რომლებმაც, მათი აზრით, უკეთესობისკენ შეცვალა და განავითარა ქალაქი.

- **თანამედროვე არქიტექტურა**

> *„მომწონს „რედისონი“, მინიმალისტური შენობაა, იუსტიციის სახლი შეიძლება ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, მაგრამ თავისი ფუნქციით შეესაბამება გარემოს“ (ბათუმში მცხოვრები)*

> *„პიაცის მოწონებაც შეიძლება, თუმცა ხარისხი ის არ არის, რაც უნდა იყოს. ახლოს რომ მიხვალ უფრო ჩანს ხარვეზები. თუ მასიურ შენობას აშენებ, სხვა*

მასალა უნდა გამოიყენო, 21-ე საუკუნეშიც აკეთებენ ამას. გიფსით არ ხდება ფონს გასვლა, თუმცა წარმატებული სიყალბეა, იმიტომ, რომ პიაცა მე-3 სკოლას ნამდვილად სჯობს, რომელიც ზუსტად მანდ იდგა, სადაც ახლა პიაცაა“ (ბათუმში მცხოვრები)

- **ახალი ბულვარის გაფართოება და განვითარება**

„ახალი ბულვარის იდეა ძალიან მომწონს, შესანიშნავია იმიტომ, რომ ბევრი შესაძლებლობა გაუჩნდა ქალაქს. სამწუხაროა ის, რომ შეწყვეტილი სიმღერასავით არის, ჭოროხის ხიდი, სადაც უნდა გაგრძელებულიყო ბულვარი, შეწყვეტილია გზა, რაც სიმბოლურია“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

- **ველოტრანსპორტის განვითარება**

„ველობილიკი მომწონს ბულვარში, მე პირადად. ძალიან მომწონს, ვსარგებლობ და ძალიან მიხარია რომ მაქვს შესაძლებლობა ველოსიპედით გადავაადგილდე“ (ბათუმის მაცხოვრებლები)

„არა მარტო ბულვარში, თამარის დასახლებიდან მე მაგალითად შემიძლია ახალი ბულვარის ბოლომდე ჩავიდე და ეს მართლა აღმაფრთოვანებს. თუმცა არის პრობლემაც, შეიძლება გზაზე მანქანა იდგეს, გადაკეტილი აქვს ეს ბილიკი, უნდა გაჩერდე, შეიძლება ვინმე დაგეჯახოს“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

- **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა**

„საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა არამხოლოდ ცენტრში, არამედ გარეუბნებშიც, რამაც გაადვილა გადაადგილება ქალაქში. ე.წ. ჭაობის ნაწილი მოწესრიგდა, მახსოვს რა ცუდი მდგომაროება იყო ადრე“ (ჟურნალისტი)

„ესტაკადას აშენებამ, რომელიც ბათუმის გასასვლელშია, ძალიან გაადვილა ტრანსპორტით ქალაქიდან გასვლა. მახსოვს, ვიდრე გაკეთებდნენ

ესტაკადას არაერთხელ მოვამზადე სიუჟეტი იმაზე, თუ როგორ ვერ მოახერხა სასწრაფო დახმარების მანქანამ დანიშნულების ადგილამდე დროზე მისვლა იმის გამო, რომ სატვირთო ვაგონის მიერ დიდი დროის განმავლობაში ჩაკეტილი იყო გზა. ახლა ეს პრობლემა აღარ არის" (ჟურნალისტი)

- **ახალი უბნების განვითარება**

„მე ვფიქრობ, რომ ბაგრატიონის ქუჩის დატვირთვამ მნიშვნელოვნად განავითარა ქალაქი, ბევრი სამედიცინო დაწესებულება გაიხსნა, ამ უბანს შესძინა ფუნქცია და ყველაფერი ერთ ადგილას აღარ არის კონცენტრირებული ისე, როგორც ადრე იყო" (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

- **ტურისტული ნაკადების მატება**

„მიუხედავად ბევრი პრობლემებისა, ქალაქი მაინც უფრო მეტად პოპულარული ხდება, უფრო მეტი ტურისტი ჩამოდის და არა მხოლოდ აგვისტოში, აი ახლა ოქტომბრის თვე სრულდება და ქუჩაში მხვდებიან უცხოელი ტურისტები" (ბათუმის მაცხოვრებელი)

„ჩემ ირგვილ ბევრი ნაცნობი ოჯახია, რომლებთანაც დამსვენებლები რჩებიან და ამით აქვთ ოჯახებს შემოსავალი. ტურისტული მიმზიდველობა ჩვენი ქალაქის უფრო მეტად იზრდება და ეს პოზიტიურია ცალსახად" (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ქალაქში განხორციელებული ნეგატიური ცვლილებების გამოვლენა და შეფასება

კვლევაში მონაწილე სამივე სამიზნე ჯგუფის **მონაწილეთა წუხილს წარმოადგენს ქალაქის იერსახის ცვლილება, კულტურული და ისტორიული ძეგლების ხელყოფა.** რესპონდენტთა აზრით, ნელ-ნელა იკარგება ის, რასაც მათ აღქმასა და მეხსიერებაში წარმოადგენს ბათუმი და მისი ისტორია.

„ვერ მოვიწონებ ისტორიული ძეგლების ხელყოფას. ავიღოთ ყოფილი ფოსტის შენობა, საერთოდ სხვა შენობა მივიღეთ, რომელმაც შეცვალა ქალაქის იერსახე“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

ბათუმის მთავარი ღირშესანიშნაობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და რეკრეაციული ზონა - **ბათუმის ბულვარი კომერციული დაწესებულებების მომრავლების გამო რეკრეაციულ დანიშნულებას კარგავს,** რაც ფოკუს ჯგუფის მონაწილეთათვის მიუღებელია.

„საერთოდ, ბულვარი ჩემთვის სასეირნო, რეკრეაციული ზონაა. ხომ შეიძლება სადმე ისე სეირნობდე რომ შაურმის და ზეთის სუნი არ გცემდეს?! სწორედ ამიტომ, აღარ მაქვს სურვილი ამ ადგილებში გავიდე“. (ბათუმის მაცხოვრებელი)

ისტორიული და კულტურული მემკივდრეობის ძეგლების მიმართ დაუდევარი დამოკიდებულება იწვევს შენობების პირველადი იერსახის ცვლილებას და ავთენტურობის დაკარგვას.

„აი, აქ წინ, ისტორიული სახლია(საუბრობს ძველ ბათუმში, მელაშვილის ქუჩაზე მდებარე ისტორიულ სახლზე), მე მანდ დავიბადე და გავიზარდე. ბავშვობიდან, კომუნისტების დროიდან, არ მახსოვს დღე ვიღაც უცხოელი დიდი ობიექტივით არ მოსულიყო და სურათი არ გადაეღო. ეს შეწყდა მას შემდეგ, რაც წინა მთავრობის დროს ეს სახლი შეიღება. ვიღაცას ტენდერი მისცეს, ფულის გასაკეთებლად ეტყობა და მიიღო რაღაც საშინელი, კატასტროფული სახე. ძალიან მაგარი სახლი იყო, ქვის ფერი ჰქონდა, სახლი დამახინჯდა.“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

ქალაქის უბნები იმგვარად ვითარდება და შენდება, რომ ქალაქის თვითმართველობა არ ითვალისწინებს არც სკვერების და არც ეზოების მოწყობას, რაც იწვევს მანქანების პარკირების შეუძლებლობას, ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების გაძნელებას და სხვა პრობლემებს.

„ქალაქის ზრდის მიუხედავად არ ჩნდება რეკრეაციული ზონები, მაგალითად, აღმაშენებლის ადმინისტრაციულ ერთეულს საერთოდ არ აქვს

სკვერი. ამ დროს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას სახელმწიფო ასხვისებს აუქციონის გზით და ნებას რთავს კიდევ ერთი მაღალსართულიანი კორპუსის აშენებას."(ჟურნალისტი)

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის მერიის მუნიციპალიტეტის **ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული მრავალწვლოვანი ხეების დარგვა, რის გამოც ქალაქი სულ უფრო ნაკლებად მწვანდება.**

„არ არის გათვალისწინებული მრავალწლოვანი მცენარეების დარგვა. აი, ბაგრატიონის ქუჩაზე, სადაც გაივყანეს ორზოლიანი გზა, არ გაითვალისწინეს მცენარეების დარგვა" (ჟურნალისტი)

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, რომ ქაოსური მშენებლობები სერიოზული გამოწვევაა ქალაქისთვის. ასევე, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, როდესაც შენობაში, რომელიც ექსპლუატაციაში არ მიუღიათ საზოგადოებრივი დაწესებულებები გაიხსნა, რაც არის უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევა.

„ქალაქში ქაოსურად მიმდინარეობს მშენებლობები და არავინ არ აქცევს ყურადღებას. ასევე დიდი პრობლემაა, რომ დაუსრულებელ სახლებში, რომლებიც ექსპლუატაციაში არ მიუღიათ, ხსნიან საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს, სადაც ადამიანების უსაფრთხოებაზე არ არის ნაფიქრი" (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

როგორც ბათუმის მაცხოვრებელთა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფში, მრავალსართულიან შენობებში უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მშენებლობების გამო ეზოები ვიწროა და საკმარისი სივრცე არ არის. სახანძრო მანქანები ხანძრის შემთხვევაში ვერ ახერხებენ, ან უჭირთ შენობასთან ახლოს მისვლა და ცეცხლის ჩაქრობა. ბევრ მრავალსართულიან შენობას არ გააჩნია ავარიული კიბეც.

„უსაფრთხოების ნორმების დაცვა არის ახლად აშენებულ კორპუსებში ძალიან დიდი პრობლემა. ღმერთმა დაიფაროს, რომ გაჩნდეს ცეცხლი, კატასტროფული შედეგი იქნება, ვინაიდან არ არის საევაკუაციო კიბეები, არ

არის სახანძრო მანქანებისთვის მისადგომი ადგილები. უბრალოდ, ზოგიერთ კორპუსს ეზო არ აქვს, ისე არის მიბჯენილი სხვა კორპუსზე. სახლები-ჯურღმულებია, რომელთაც ერთი გასასვლელი აქვთ მხოლოდ" (ჟურნალისტი)

რესპონდენტების აზრით, ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ქალაქში მშენებლობების მხრივ შექმნილ სიტუაციას აღარაფერი ეშველება.

„ვერ გამოასწორებ, ვინაიდან მაშინ სახლი უნდა დაანგრიო, საევაკუაციო კიბისთვის ფიზიკურად ადგილი არ არის" (ჯუნრალისტი)

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უკანასკნელ წლებში ეკოლოგიური თვალსაზრისით ვითარება საგრძნობლად გაუარესდა ქალაქში. ფოკუს ჯგუფში მონაწილე ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც დაავადებულებს, დაავადების მიზეზად დიაგნოზში გარემოს დაბინძურება უწერიათ.

„არის ქუჩები ბათუმში, მაგალითად ჭავჭავაძის ქუჩა, სადაც მომწამვლელი ნივთიერებები არის ჰაერში. მე ვფიქრობ, რომ ეს არის დასაწყისი, რაც შეიძლება ჩვენ დაგვემართოს ეკოლოგიის და ჯანმრთელობის მხრივ დაბინძურების გამო და ვერ ვხედავ რომ ამაზე ვინმე ფიქრობს. ბოლო პერიოდში შევხვდი რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც დიაგნოზში ეწერათ, რომ დაავადების მიზეზი არის ჰაერის დაბინძურება, ან კიდევ გამონაბოქლვი, პირდაპირ ასე ეწერათ" (ჟურნალისტი)

როგორც კვლევაში მონაწილე რესპონდენტებმა აღნიშნეს, ეკოლოგიური პრობლემები პირდაპირ დაკავშირებულია ზოგადად სატრანსპორტო საშუალებების და, მათ შორის, მუნიციპალური ტრანსპორტის დიდ რაოდენობასთან და მის გაუმართავობასთან;

„არ ვიცი ბთუმის მერია რამდენად ფიქრობდა ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე, მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი მგონია სამარშრუტო ტაქსების რაოდენობის შემცირება ქალაქში, თუმცა მეორე პრობლემა წარმოიშვა ის, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი არ არის გამართული და საკმარისი რაოდენობის, ბევრი პრობლემა ექმნება

ადამიანს, რომელიც გადაადგილდება ტრანსპორტით ქალაქში“ (ჟურნალისტი)

როგორც ბათუმის მაცხოვრებლებში, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **ქალაქში არსებული ყველა პრობლემის სათავე ქალაქის განვითარების გეგმის არარსებობაა**. უკონტროლო მშენებლობები, რაც უცვლის ქალაქს იერსახეს, ლანდშაფტს, განაშენიანებას და ა.შ. უარყოფითად აისახება ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. ამიტომ, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა აზრით, **მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი უნდა გამკაცრდეს და დარეგულირდეს მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით.**

„მთავარი პრობლემა ქალაქში არის ის, რომ ქალაქს არ გააჩნია განვითარების გეგმა, არ არის ქალაქის კონცეფცია. ამის არ ქონა წარმოშობს პრობლემებს, მე, მაგალითად სიამოვნებით მივიღებდი ისეთ გეგმას, რომელიც მორგებული იქნებოდა ადამიანზე, რომელიც ცხოვრობს ამ ქალაქში. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა არის ეს, განვითარების გეგმის არარსებობა“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ბათუმის ძველი უბნის მნიშვნელობის შეფასება

ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებისთვის ბათუმის ძველი უბნის იერსახის შენარჩუნება და ძეგლების რეაბილიტაცია აუცილებელია, რადგანაც ქალაქის ეს ნაწილი ქმნის ბათუმის ისტორიას, რომელიც დაკავშირებულია როგორც წარსულთან, ისე მომავალთან.

„ძველი ბათუმის შენარჩუნება საჭირო კი არა სავალდებულოა. იმიტომ, რომ ეს ჩვენი ისტორიაა. მე ვასოცირდები, მაქვს იდენტიფიკაცია ამ ყველაფერთან. რაღაცას როცა ვხედავ ისტორიულს და საინტერესოს მიხარია რომ ამის ნაწილი ვარ. ამას თუ გაანადგურებ მაქვს განცდა, რომ მე რაღაცას მაცლი, მაკლებ“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

„როცა შენობებს ჩაუვლი ხომ გახსენდება ამ შენობასთან შეხვედრიხარ, აქ გისაუბრია, ეს ჩვენი ისტორიაცაა. თვითოეული ჩვენგანის“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

ბათუმის ძველი უბნის იერსახის შენარჩუნება აუცილებელია იმიტომაც, რომ ქალაქის სტუმრებისთვის თვალსაჩინო გახდეს თუ როგორი იყო ის ერთი საუკუნის წინ და როგორ განვითარდა მას შემდეგ. ყველა ისტორიულ შენობას აქვს საინტერესო ისტორია, რომელიც უნდა მიეწოდოს ქალაქის სტუმრებს.

„გლობალურ სამყაროში ქალაქის იდნეტიფიცირება მისი ისტორიით ხდება, გარდა იმისა, რომ საინტერესო და მიმზიდველია ტურისტებისთვის“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ბათუმის ძველი უბანი არის ქალაქის დასაწყისი, ამ ნაწილიდან იწყება ისტორია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უბრალოდ, კარგად შეიძლება ქალაქის ამ ნაწილის გაყიდვა ტურიზმის თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი უკავშირდება თითოეულ შენობას და შესაძლებელია რამე ტური შემუშავდეს ტურიზმის დეპარტამენტის დახმარებით და ტურისტები ჩამოატარო ამ ქუჩებში და მოუყვე საინტერესო ამბები“ (ჟურნალისტი)

გამოკითხულთა აზრით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება და მოფრთხილება კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებაში აისახება. რესპონდენტთა აზრით, ბათუმის ძველი უბნის იერსახის შენარჩუნება და მისი უნიკალურობის წარმოჩენა შესაძლებლობას მისცემს ეკონომიკურ განვითარებას არამხოლოდ ქალაქის ძველ ნაწილში, არამედ მთლიანად ქალაქში, ვინაიდან ტურიზმის განვითარება სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობასთან არის ბმაში.

„ტურიზმის განვითარება ეკონომიკურ აღმავლობას ნიშნავს, ვინაიდან სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობასთან არის ბმაში, განვითარდება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

რესპონდენტებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ბათუმის ძველი უბნის დაგეგმარება უნდა წარმოადგენდეს ნიმუშს, როდესაც ქალაქის დანარჩენი ნაწილის განვითარებაზეა საუბარი.

> *„ბათუმის ძველი უბანი როგორც არის დაგეგმარებული, ეს შეიძლება იყოს სახელმძღვანელო იმის, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქალაქის დანარჩენი ნაწილი. ჩვენი ქალაქის რეალური სახე, რაც იყო, ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

> *„თუ როგორ ვითარდებოდა ქალაქი საუკუნის წინ, სწორად დაგეგმარებული ქუჩები, შენობების სიმაღლეები, ყველაფერი დაცული იყო და ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს არამხოლოდ ძველი ქალაქი, არამედ ქალაქის ახალი ნაწილიც“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

მრავალსართულიანი შენობები და ცათამბჯენები, კვლევაში მონაწილეთა აზრით, არ არის ბათუმისთვის ორგანული და ვერასდროს გახდება იგი მისი ავთენტური ნაწილი. ამიტომ, სწორება უნდა მოხდეს არსებულის შენარჩუნებაზე, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა - *„მეგაპოლისის მსგავსი ადგილები აქ მაინც არ შეიქმნება და რაც ღირებული გვაქვს, ჯობია ის შევინარჩუნოთ და პოპულარიზაცია გავუწიოთ“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა აზრით, ბათუმის ძველ უბანში გარემო ბევრად უფრო ჰარმონიულია და გადაადგილებაც უფრო მეტად მოსახერხებელია, კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ ზღვასთან მიახლოვება მარტივად არის შესაძლებელი, ამიტომ ბათუმის სხვა უბნებისგან გამოირჩევა.

> *„ახალ უბნებში რაც ხდება, ყველა ხედავს, სადაც სრული ქაოსია მშენებლობის მხრივ და გადატვირთულია მოძრაობა. აქ კი, ძველ უბანში ჰორიზონტი უფრო მეტად ჩანს, ადვილად შესაძლებელია პორტში ზღვის პირას გადახვიდე შესვენებაზე და ა.შ. მასთან მიახლოვება. ამიტომაც ოფისი ვიქირავე აქ, ძველ უბანში“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

შეკითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ბათუმის მოსახლეობაში, სამიზნე ჯგუფებში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ფოკუს ჯგუფში მონაწილე ბათუმში მაცხოვრებლების აზრით, კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის საკითხებს მოსახლეობა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ჭრილში განიხილავს და ცალკე აღებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა ნაკლებად მნიშვნელოვანია. ეს მოსაზრება არ გაიზიარეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა. მათი აზრით, მართალია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირველი რიგის პრობლემაა მოსახლეობაში, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებით დაინტერესება მაღალია. ამ მოსაზრებით გასამტკიცებლად ფოკუს ჯგუფში მონაწილე ჟურნალისტმა შემდეგი მაგალითი მოიყვანა - *„მე არ ვფიქრობ, რომ კულტურული მემკვიდრეობა არ აინტერესებს მოსახლეობას და გეტყვით რატომ ვფიქრობ ასე, ჩვენ, როდესაც ვწერთ სტატიებს, ყოველთვის ვაკვირდებით რეიტინგებს და ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული თემა, რომელიც გაგვიშუქებია ეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.“*

კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი აქტორების იდენტიფიცირება

ბათუმის მაცხოვრებლების ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვაზე პასუხიმგებლობა სახელმწიფო სტრუქტურებს, უფრო კონკრეტულად კი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს პასუხისმგებლობაა.

> *„ორივე უწყება, თვითმმართველობაც და კულტუტული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოც უნდა ატარებდეს თავიანთ წილ პასუხისმგებლობას“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

თუმცა მოქალაქეთა ფოკუს ჯგუფში აღინიშნა ისიც, რომ აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობა მოსახლეობამაც გაითავისოს, ვინაიდან ძეგლს მუდმივად სჭირდება გაფრთხილება, განსაკუთრებით კი მოსახლეობის იმ ნაწილის ცნობიერება უნდა ამაღლდეს, ვინც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლში ცხოვრობს.

> *„მაცხოვრებელმა უნდა იცოდნენ, რომ ქალაქისთვის და საქართველოსთვის ძეგლის შენარჩუნება მნიშვნელოვანია. ჩემს შვილს, როცა ხელში მყავდა და ძირში რამე დაუვარდებოდა, ჩამოვსვამდი და ვთხოვდი თავად აეღო მის მიერ დაგდებული ნაგავი. ეს მისი ქალაქია და როცა გაიზრდება უნდა იცოდეს, არ უნდა დაამტვრიოს, დაანგრიოს და ააშენოს რაღაც უბედურება“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

> *„პასუხიმგებლობა არის თითოეული მოქალაქის, ვინაიდან ყოველდღიურ დარაჯად სახელწმიფო ვერ დაუდგება ძეგლის მეპატრონეს. თუმცა პირველი ნაბიჯები ძეგლის დაცვის კუთხით ხელისუფლებამ უნდა გადადგას და დააწესოს რეგულაციები, თუ რისი უფლება აქვს და არ აქვს მეპატრონეს (ჟურნალისტი)*

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა სოლიდურ ფინანსებთან არის დაკავშირებული და ამდენად, თვიმმართველობამ ძეგლთა დაცვისთვის შესაბამისი ოდენობის თანხა უნდა გაითვალისწინოს ბიუჯეტის შედგენისას.

> *„თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს სპეციალური ფონდი, იმისათვის, რომ მერე განსაზღვროს რას გააკეთებს. თანხები უნდა გაითვალისწინოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

ბათუმის მაცხოვრებლების ფოკუს ჯგუფის ორი მონაწილე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სახლში ცხოვრობს და მათი აზრით, თვითმმართველობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მოვლის პასუხისმგებლობა, რადგანაც ძეგლის სტატუსი სახელმწიფომ მიანიჭა.

„დიახ, უნდა მოუაროს მერიამ, რადგანაც მიანიჭა სტატუსი. მეც მივხედავდი, რომ მქონდეს უფლება, მაგრამ ამის უფლება არ მაქვს“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სახლში მცხოვრებმა რესპონდენტებმა იმ პრობლემებზეც ისაუბრეს, რასაც მაცხოვრებლები აწყდებიან შენობისთვის მინიჭებული სტატუსის გამო.

„ჩემს მეზობელს ზემოთ სართულზე გაკეთებული ჰქონდა დაშენება და მოანგრევინეს. მოაწესრიგა, გაამაგრა, კიბეც გააკეთა. გარედან არც ჩანდა, შიგ, ეზოში თუ არ შეხვიდოდი. რომელიღაც მეზობელმა უჩივლა ალბათ, მოვიდნენ, რას ქვია ძეგლზე აკეთებო და 5 ათას ლარიანი ჯარიმა დააკისრეს. მაშინ კეთილი ინებე, მოდი და შენ გააკეთე. ინგრევა სახლი“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

ბათუმის თვითმმართველობას პასუხისმგებლობა აქვს აღებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლაზე, თუმცა, ფოკუს ჯგუფში მონაწილე მაცხოვრებლების აზრით, მოვალეობა სათანადოდ არ სრულდება და ამის გამო მოსახლეობა დილემის წინაშე დგას - დაელოდოს ადგილობრივ ხელისუფლების და ძეგლთა დაცვის სააგენტოს რეაგირებას, თუ თავისი ინიციატივით მოუაროს და გაამაგროს ძეგლი, რაც, შესაძლოა, ნიშნავდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას;

„ვიღაცამ ჩემი მეგობრის სახლს, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, საღებავით ძალიან უწმაწური სიტყვა დააწერა. დილით გაიღვიძა და დახვდა ეს წარწერა სახლზე. გადაღებვა უნდოდა და არ გადააღებინეს, არ შეიძლებაო. ეს სახლი ძეგლია და ასე ადვილი არ არისო. განცხადებით უნდა მიმართოო. იმის გადაღებვა არ შეიძლება და ამ უწმაწური სიტყვის დაწერა ძეგლზე შეიძლება?!“ (ბათუმის მაცხოვრებელი)

კვლევამ აჩვენა, რომ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ძეგლში ცხოვრება დამატებით პრობოლემებს უქმნის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. როგორც

რესპონდენტებმა აღნიშნეს, მოსახლეობისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლში ცხოვრება, სიამაყესთან ერთად, ტვირთიც არის;

> *„სახლში კომუნიკაციები შემოდის, ვთქვათ ინტერნეტი შემოიყვანე, შემოვიდა გაზი, იქ მილი უნდა გამოვიდეს, ამ ისტორიულ შენობაზე, მრცხვენია ამას რომ ვაკეთებ, შუშაში მაქვს გაზის მილი გამოყვანილი, იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ გააკეთებ. კედლის გახვრეტის უფლება არ გაქვს" (ბათუმის მაცხოვრებელი)*

როგორც ბათუმის მაცხოვრებლების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სასტუსის მქონე სახლებში მძიმე საცხოვრებელი პირობების ქონის გამო, მოსახლეობას ერთადერთ გამოსავლად ესახება ინვესტორის მოძიება, რომელიც მაცხოვრებლებს უკეთეს საცხოვრებელ პირობებს შესთავაზებს;

> *„მძიმე ვითარებაში ინვესტორი რომ მოვა ხომ გაუხარდება?! რა გააკეთოს ამ ადამიანმა? იმიტომ, რომ ბათუმელია თავზე დაემხოს ყველაფერი? მას არ შეუძლია ამ პრობლემას მიხედოს და ვინმემ ხომ უნდა მიხედოს?" (ბათუმის მაცხოვრებელი)*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფში გამახვილდა ყურადღება თვითმმართველობის მხრიდან კომპლექსური მიდგომის და მექანიზმების არქონაზე, რაც, ართულებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვას და ვერ მსუბუქდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სახლებში მცხოვრები მოსახლეობის ყოფა.

> *თვითმმართველობის პრობლემა მდგომარეობს კომპლექსური მიდგომის არქონაში. არ არსებობს მექანიზმი, ამოტომ მოდის ინვესტორი, რომელიც სთავაზობს კარგ პირობებს მოსახლეობას და ისიც კმაყოფილია. ადამიანია ხო მაინც ცენტრში, ჩვენი ყველა პრობლემა და სიხარული ადამიანს უკავშრდება და ამ ადამიანების ბედი რამენაირად უნდა განისაზღვროს, იმიტომ, რომ ერთი მხრივ არ უნდა დაგვავიწყდეს ეს ავთენტურობა, რაც კარგია და უნდა იყოს, მაგრამ ამ ადამიანსაც ხომ აქვს უფლება, რომ*

იცხოვროს უკეთეს საცხოვრებელ პირობებში?!". (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილისთვის, მძიმე საცხოვრებელი პირობების ქონა არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის იერსახე შეიცვალოს. მათი კრიტიკის ადრესატი თვითმმართველობაა, რომელმაც შეუქმნა ძეგლის სტატუსის მქონე სახლებში მცხოვებ მოსახლეობას მოლოდინი, როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა - *„როგორც გაუჩინა ხელისფლებამ ეს მოლოდინები მოსახლეობას, ისე უნდა გაუქროს" (ჟურნალისტი)* როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, ამ ვითარებას სათავისოდ იყენებს ქალაქის ხელისუფლება - მათთვის ბათუმის ძველ უბნებში ინვესტორის მოზიდვაზე აპელირება „ადვილი გამოსავალია" და პასუხისმგებლობის აცილებაზეა მიმართული.

იმისათვის, რომ ქალაქის ძველ უბანში მშენებლობის პროცესი დარეგულირდეს, რესპონდენტთა აზრით, აუცილებელია ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდეს ბათუმის ისტორიული ზონის საზღვრები.

„ბათუმის ისტორიული ზონის მიღება არ არის ახირება. ყველა ნორმალურმა ქვეყანამ მიიღო ზონა, რაც ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ზონაში მოქცეული სახლის დანგრევა, თუ გსურს იცხოვრო უკეთეს სახლში, შეგიძლია გაყიდო, ან გააქირავო და ამ გზით გაიუმჯობესო შენი პირობები" (ჟურნალისტი)

ისტორიული ზონის განსაზღვით, ბათუმის ძველ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა გააცნობიერებს, რომ ინვესტორი ვეღარ შესთავაზებს ისეთ პირობებს, რისი მოლოდინიც მას ზონის მიღებამდე ექნებოდა. ამ რეალობის წინაშე როცა დადგება, მოსახლეობა ალტერნატიულ ვარიანტებზე დაიწყებს ფიქრს; რესპონდენტთა აზრით, როდესაც საუბარია მექანიზმების შემუშავებაზე, უცხო ქვეყნების მაგალითების გათვალისწინება აუცილებელია.

„ევროპული ქალაქების მაგალითები არსებობს, თუ როგორ მოხდა ისტორიული ძეგლების შენარჩუნება, ჩვენ ხომ ახალ ველოსიპედს არ ვიგონებთ? ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს კვლევები, დაიხმარონ

უფრო გამოცდილი ექსპერტები და კომპლექსურად მიუდგნენ საკითხს“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობის გაცნობიერებასთან ერთად, მოსახლეობას სათანადო ცოდნა უნდა მიეწოდოს, თუ როგორ მოუაროს ძეგლს და არ დააზიანოს იგი.

ყოფილ სასტუმრო „ჰოტელ დე ფრანსში“, რომელიც ძეგლია და მდებარეობს ისტორიულ ბათუმში, მაცხოვრებელმა, იმისათვის, რომ ნახევარი მეტრით გაეზარდა ოთახის ფართი, მოანგრია 100 წლის ბუხარი. მე რომ ვკითხე, ეს რატომ ქენი მეთქი, მითხრა - ჩემიაო, ეს ბუხარი არ მუშაობდა და ამიტომ მოვანგრიეო. ახლა ამ ადამიანმა გააფუჭა ის ტერიტორია თუ გააკეთა?! მე მგონია, რომ გააფუჭა და ასე რამდენმა გააფუჭა ვინ იცის?“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„რამდენი შემთხვევაა, რომ ფანჯრის ზომეს ამცირებენ, ნახევრად ამოაშენებენ იმისათვის, რომ ფანჯრისთვის განკუთვნილი ადგილი ოთახში მაგალითად კარადის დასადგმელად გამოიყენონ და თან რა ფანჯრებს სვამენ? საერთოდ არ არის თანხვედრაში ძეგლის იერსახესთან“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს აქვს განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსი, თუმცა კანონმდებლობაში მოცემული რეგულაციები მცირედ არის მოცემული.

„კულტურული მემკვირეობის ძეგლს აქვს განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსი, პრობლემა იმაშია, რომ განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი პრაქტიკაში როგორ უნდა გამოვლინდეს, ამასთან დაკავშირებით რეგულაციები ძალიან მწირად არის კანონმდებლობაში. იგივე თვითნებური მშენებლობებთან დაკავშირებით, თუ რა ბერკეტები და მექანიზმები გააჩნია მუნიციპალიტეტის ორგანიოს, მათ შორის

კულტურული მეკვიდრეობის სააგენოტს. ამის მექანიზმები უნდა შემუშავდეს, რომ შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოყვეს“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა ისაუბრეს იმ როლზე, რაც შესაძლოა არასამთავრობო სექტორს ჰქონდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების მხრივ. კერძოდ:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა;
- მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის, კულტურული მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებში მედიატორის როლის შესრულება.

თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობების შეფასება

ბათუმის მოსახლეობის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თვითთმმართველობის ორგანოების საქმიანობების შესახებ ინფორმაციას ტრადიციული მასმედიის მეშვეობით იღებენ. ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას ქალაქის ურბანული განვითარებისა და განაშენიანების შესახებ, ტრადიციულ მასმედიასთან ერთად, სოცილაურ ქსელსაც აქტიურად იყენებენ. რესპონდეტებისთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ბათომის“ მიერ სოციალურ ქსელის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ინფორმაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროს - *„საზოგადოება „ბათომმა“ შეითავსა საკრებულოს პრესსამსახურის ფუნქცია, მათი საშუალებით თუ გავიგებთ რამეს“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

ბათუმის მაცხოვრებლების ჯგუფური დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მიმართ ნაკლებ ინტერესს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

- **მოქალაქეთა ნიჰილისტური განწყობები, უნდობლობა;** რესპონდენტთა აზრით, თვითმმათველობისადმი მიმართვით არსებითად არაფერი იცვლება - *„რა აზრი აქვს? მაინც არაფერი შეიცვლება“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

- **მოქალაქეთა პასიურობა;** მოსახლეობაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში უშუალოდ არ უნდა ჩაერთონ; რადგან ეს მათი საქმე არ არის - *„ხელისუფლება იმისთვისაა, რომ თავად მოაგვაროს პრობლემა“(ბათუმის მაცხოვრებელი)*
- **მოქალაქეთა მოუცლელობა;** დატვირთული გრაფიკის გამო, მოსახლეობას არ აქვს დრო დაიტერესდნენ თვითმმართველობის საქმიანობით - *„ჩვენ მოქალაქეები ვერ მივცემთ ალბათ თავს იმის უფლებას, რომ საკრებულოს სხდომებზე ვირბინოთ და იქ ვიყვიროთ. ყველას თავისი ცხოვრება აქვს“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

ბათუმის მოსახლეობის ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილს არ ჰქონდა იფორმაცია, რომ საკრებულოს სხდომები ღიაა ყველა მსრუველისთვის - *„ისიც არ ვიცოდი, ღია თუ იყო საკრებულოს სხდომა და შეეძლო მოქალაქეს დასწრება“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

რაც შეეხება ბათუმის მერიის სამსახურებისადმი მიმართვიანობას, ამ მხრივ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები უფრო მეტად აქტიურობი აღმოჩნდნენ. ძირითადად სოციალურ, სანდასუფთავებასთან, ტრანსპორტთან და გამწვანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართავენ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების რეაგირებას მიმართვებზე, რესპონდენტები ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიურად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ნეგატიურად აფასებენ.

> *„“ფეისბუკზე“ მივწერე, დანაგვიანებასთან დაკავშირებით, ზაფხული იყო, ფოტოებიც გავუგზავნე. ნაგვის ურნა აღარ ჩანდა ისეთი გადავსებული იყო ნაგვით. პასუხი მომწერეს, მადლობა რომ მოგვაწოდეთ ინფორმაციაო, შესაბამის ზომებს მივიღებთო და მიიღეს“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

> *„მე ტრანსპორთთან დაკავშირებით მივმართე. განცხადება დავწერე მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ. მინდოდა რომ ავტობუსი გამოეყოთ იმ ქუჩაზე სადაც მიწევს სიარული“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

როგორც მოსალოდნელი იყო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულები არიან. მათ აქვთ ინფორმაიცა თვითმართველობის ორგანოების მიერ მიღებული იმ ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ, რაც უკავშრდება

ბათუმის განაშენიანებასა და ურბანულ განვითარებას. კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა და ჟურნალსიტთა აზრით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ყველაზე სუსტი რგოლი ზედამხედველობის და მონიტორინგის განხორციელებაა - *„ჩემი დაკვირვებით, სუსტი წერტილი არის ზედამხედველობა და მონიტორინგია, რომელიც არცერთ შემთხვევაში ობიექტებს არ აჯარიმებს. ყველაზე სუსტი რგოლი ეს არის "(ჟურნალისტი),* ხოლო ყველაზე დადებითად შეფასდა სანდასუფთავების სამსახურის მუშაობა, რომელიც, რესპონდენტთა შეფასებით დროულად რეაგირებს მოქალაქეთა მიმართვებზე - *„სანდასუფთავება ალბათ უფრო ეფექტიანად მუშაობს და დროულად რეაგირებს ხოლმე" (ჟურნალისტი)*

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ჟუნრალისტები ყველაზე კრიტიკულები ბათუმის საკრებულოს მიმართ არიან. მათი შეფასებით, საკრებულოს წევრებს არ აქვთ გათვითცნობიერებული თავიანთი პასუხისმგებლობა, თუ რა მოვალეობები აქვთ მუნიციპალურ ორგანოში. რესპონდენტთა თქმით, როდესაც მოსახლეობა ერთვება განხილვაში, ეს ქცევა საკრებულოს წევრებისთვის უჩვეულოა.

> *„საკრებულოს წევრებისთვის ეს მდგომარეობა, როდესაც მოქალაქე ერთვება განხილვაში არის უჩვეულო, ჩემი გამოცდილებით რომ ვთქვა, მგონია, რომ მათ აქვთ განცდა, რომ არიან რაღაც სივრცეში, ეს სივრცე ტოვებს კონსპირაციულობის შეგრძნებას და შენ, როგორც მოქალაქე იჭრები მათ სივრცეში და ამ დროს იწყებენ რეგლაენტებით საუბარს. შენ 5 წუთი გქონდა რეგლამენტით გამოყოფილი დრო და ამაზე მეტ ხანს არ უნდა გესაუბრაო, გეუბნებიან" (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

რესპონდეტებმა აღნიშნეს, რომ საკრებულოს სხდომებს ესწრებიან ხოლმე მოქალაქეები, თუმცა მათ დასწრებას უფრო მეტად საჩვენებელი ფუნქცია აქვს.

> *„ესწრებიან ხოლმე მოქალქეები, მაგალითად, სოციალურად დაუცველი ქალები მინახავს, რასაც მგონი ფორმალური ხასიათი აქვს, საჩვენებელი მაგალითებია, რომ საკრებულო მოქალაქეებს იღებს, ისმენს მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად უგვარებს" (ჟურნალისტი)*

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების არაკომპეტენტურობა დასახელდა ერთ-ერთ ხარვეზად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფში.

> *„ინკლუზიურ თეატრზე მივწერეთ ორგანიზაციიდან საკრებულოს, გავაგზავნეთ ხელმოწერილი პეტიცია და პასუხი მოგვწერეს, რომ ინკლუზიური თეატრი ხელს შეუწყობს შშმ პირების დისკრედიტაციასო. ეს განცხადება მოგვწერა საკრებულომ, არც გაგვივრცელებია ეს წერილი, მათ ნაცვლად ისე შეგვრცხვა" (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი)*

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მოქალაქეთა ჩართულობის პრობლემა საკრებულოს ბოლო სხდომაზე იყო თვალსაჩინო, როდესაც განიხილებოდა მწვანე კონცხზე რეკრეაციული ზონის ნაწილისთვის სტატუსის ჩამორთმევის საკითხი.

> *„ბოლო სხდომაზე როდესაც ვიყავი, სადაც მწვანე კონცხის ნაწილს შეუცვალეს რეკრეაციული ზონის სტატუსი, საკრებულოს წევრების უინიციატივობა და მსჯელობა საერთოდ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საკრებულოს წევრები, რომლებიც არჩეული არიან ჩვენ მიერ, არ წყვეტენ ქალაქის ბედს. მთელი შეხვედრა იყო არა არსებითი კამათი, არამედ ჩხუბი და კინკლაობა დეპუტატებს შორის რეგლამენტის დაცვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ოპოზიციონერ წევრს ეჩხუბებოდნენ იმაზე, რომ რეგლამენტით გათვალისწინებული არ იყო ფეხზე დამდგარი საუბარი, ხოლო ოპოზიციის წარმომადენელი, რეკრეაციული ზონის ნაწილსითვის სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე საუბრობდა იმაზე, თუ როგორი ცუდი საპრეზიდენტო კანდიდატია სალომე ზურაბიშვილი, ამ დროს კი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა სხდომაზე (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

თვითმმართველობის საქმიანობებში მოსახლეობის ჩართულობისა და გააქტიურების გზების გამოვლენა

ბათუმის მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლებისადმი არსებული უნდობლობის, ხოლო მეორე მხრივ, მოქალაქეთა დაბალი ინტერესის გამო საჭიროა საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციის მქონე მოქალაქეების ჩართვა მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის ურთიერთობაში.

> *„ყველა მოქალაქე ვერ იქნება ჩართული, საზოგადოების მხრიდან ნდობით აღჭურვილი ჯგუფი, რომელიც ავტორიტეტულები არიან, თუ მეცოდინება, რომ თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან მშვიდად ვიქნები, იმიტომ, რომ ისინი არ მიაღებინებენ თვითმართველობას ცუდ გადაწყვეტილებას“ (ბათუმის მაცხოვრებელი)*

თუმცა ფოკუს ჯგუფში ისიც აღინიშნა, რომ რეპუტაცია მოსახლეობაში თავად თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ და კიდევ დამატებითი რგოლის გაჩენა თვითმმართველობასთან ურთიერთობაში საჭირო არ არის.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფებში აღინიშნა, რომ მოსახლეობაში არსებობოს განცდა, რომ ხელისუფლება და, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის „უფროსია“ და არა მის მიერ არჩეული;

> *„ჩვენ, მოქალაქეებს განცდა გვაქვს, რომ ხელსუფლება ჩვენი დაქირავებული კი არ არის, არამედ ჩვენი უფროსები არიან, ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გვაქვს და ამას ვატყობ ბევრში, რომ გვგონია ხელისფლება ჩვენი უფროსი“ (ჟურნალისტი)*

მოსახლეობისგან უკუკავშირის არქონა, რესპონდენტთა აზრით, უარყოფითად აისახება ხელისუფლების ნებაზე, რომ გადაწყვიტოს სხვადასხვა საკითხი, აგრეთვე, მათ მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხზეც; ამიტომ, აუცილებელია ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის გააქტიურება;

> *„ჩვენ, მოქალაქეებს პასუხიმგებლობა გვაქვს გამორიცხული, საჭიროა პირველ რიგში თანამოაზრეები გავიჩინოთ მოსახლეობაში, არასამთავრობო სექტორი ამ მხრივ უნდა გააქტიურდეს. უნდა ავუხსნათ*

მაცხოვრებლებს, თუ რატომ არის საჭირო კულუტურული მემკვიდრეობის დაცვა, რას ნიშნავს კომფორტულ ქალაქში ცხოვრება, რისი შეცვლა შეიძლება უკეთესობისკენ და ა.შ. ასევე უნდა ავუხსნათ მოსახლეობას რა ელის ქალაქს ამა თუ იმ გადაწყვეტილებების გამო, რასაც თვითმმართველობა იღებს ქალაქში. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, დეპუტატის იმ ვალდებულებიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეებთან ჰქონდეს კომუნიკაცია, უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც წაახალისებს დეპუტატს, ერთი მხრივ, გააქტიურდეს, შეასრულოს საკუთარი მოვალეობა და აქტიური კომუნიკაცია იქონიოს მოსახლეობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მუნიციპალურ ორგანოებში გაახმოვანოს ის საკითხები, რაც მოსახლეობაში აქტუალური და პრობლემურია.

„დეპუტატის ვალდებულება არის რომ მოქალაქეებთან ჰქონდეს კომუნიკაცია. აქ სამოქალაქო ორგანიზაციებსაც აქვთ თავისი როლი, რომ ინფორმაცია მივაწოდოთ მოქალაქეებს. სწორი ინფორმირება ერთია, მაგრამ ის საყოველთაო ნიჰილიზმი, რომელიც არის მოქალაქეებში ეს არის სერიოზული გამოწვევა. უფსკრული მოქალქეებსა და მუნიციპალურ ორგანოს შორის ღრმავდება და ამის საწიანაღმდეგოდ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კონსტიტუცია (1995)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018 – 2021 (2018)

საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ (2005)

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2007)

ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (2008)

საქართველოს მთავრობის დადგენილება#57 მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ (2009)

საპროექტო დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დასამტკიცებლად; პროექტის ავტორი საკონსულტაციო ცენტი „გეოგრაფიკი“(2017)

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საზღვრები შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება (2011)

დადგენილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ (2014)

ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა (2013)

მემკვიდრეობის შეფასების ანგარიში; ევროსაბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიში (2015)

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა ICOMOS საქართველო (2014)

საქართველო: მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტის სისტემა ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისთვის (ISTBAR) (UNDP) (2015)

2016-2021 წლების აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგია (2016)

ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამა - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (2018)

ონლაინ გამოცემა “ბათუმელები“ - http://batumelebi.netgazeti.ge

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო - http://ajaratv.ge

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - http://batumi.ge

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - http://www.batumicc.ge

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge

რადიო „თავისუფლება“ https://www.radiotavisupleba.ge

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ვებ-გვერდი - http://marte.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - http://procurement.gov.ge

ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

საქართველოს იუნესლოს საქმეთა ეროვნული კომისია - http://unesco.ge/?page_id=534

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამა

მე-3 სემესტრის დოქტორანტი

ლევან ალფაიძე

(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

„თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურის ეკოსისტემების სერვისების შეფასება (თბილისის საქალაქო საჯარო პარკების მაგალითზე) “

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ სალუქვაძე

თბილისი 2019

„თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურის ეკოსისტემების სერვისების შეფასება (თბილისის საქალაქო საჯარო პარკების მაგალითზე)“

ურბანიზაცია გლობალური მასშტაბის მზარდი პროცესია, რომელსაც ადამიანებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობები და საფრთხეები მოაქვს - ერთის მხრივ, ქალაქები მის მოსახლეობას მრავალფეროვან სამუშაოსა და სერვისებს სთავაზობს, მეორე მხრივ კი, ქალაქებისა და მისი მოსახლეობის ზრდა, კითხვის ქვეშ აყენებს ურბანული დასახლებებში ცხოვრების, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, ეკოლოგიური მდგომარეობის და ზოგადად, ქალაქების მდგრადი განვითარების საკითხებს.

ჩემი კვლევის მთვარი მიზანია თბილისის ჰაერის ხარისხსა და კლიმატთან დაკავშირებული ურბანული ეკოსისტემების იმ მომსახურების/სერვისების შესწავლა, რომელსაც ქალაქის მწვანე ზონები (პარკების ტყეების მაგალითზე) უწევენ თბილისს და მის მცხოვრებთ. გამოკვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ურბანული პარკების (როგორც ქალაქის ეკოსისტემის შემადგენელი ნაწილის) მიერ ქალაქისთვის გაწეული მომსახურების პოტენციალი და მნიშვნელობა ქალაქის მდგარადი განვითარებისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის.

ეკოსისტემების სერვისები წარმოადგენენ იმ პირობებსა და პროცესებს, რომლის მეშვეობითაც ბუნებრივი ეკოსისტემები და ორგანიზმები, რომლებიც ამ სისტემებში ცხოვრობენ, ხელს უწყობენ ადამიანის სახეობის სიცოცხლისუნარიანობას დედამიწაზე. გლობალური მასშტაბით, ეს პირობები და პროცესები ინარჩუნებენ ბიომრავალფეროვნებას, ხელს უწყობენ საქონლის წარმოებას (მაგ. საკვები) და სერვისების მიწოდებას (მაგ. ნარჩენების ასიმილაცია, ჰაერის და წყლის გაწმენდა), რაც ადამიანის დედამიწაზე ცხოვრებისა და გადარჩენის აუცილებელი პირობაა.

თუ კვლევის ხედვაზე ვისაუბრებთ, ურბანული ეკოსისტემების სერვისების შინაარსის გაგება და შესწავლა აუცილებელია ისეთი ქალაქის წარმოდგენისთვის, რომელშიც ჰაერის, წყლის და ხმაურისმიერი დაბინძურება მცირეა, შენობებისა და ნაცრისფერი ინფრასტრუქტურის განლაგება ჰარმონიზირებულია ქალაქის მწვანე სივრცესთან ისე რომ ეს ხელს უწყობს ქალაქის მცხოვრებთა სოციალური კავშირებსა და შეკავშირებას, ქალაქელთა ჯანმრთელობას, უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებას, ქალაქის რესურსებისადმი ყველას ხელმისწავდომობას, ეკონომიკის განვითარებასა და ადამიანთა კეთილდღეობას.

ეკოსისტემების სერვისები წარმოადგენენ იმ პირობებსა და პროცესებს, რომლის მეშვეობითაც ბუნებრივი ეკოსისტემები და ორგანიზმები, რომლებიც ამ სისტემებში ცხოვრობენ, ხელს უწყობენ ადამიანის სახეობის სიცოცხლისუნარიანობას დედამიწაზე.

გლობალური მასშტაბით, ეს პირობები და პროცესები ინარჩუნებენ ბიომრავალფეროვნებას, ხელს უწყობენ საქონლის წარმოებას (მაგ. საკვები) და სერვისების მიწოდებას (მაგ. ნარჩენების ასიმილაცია, ჰაერის და წყლის გაწმენდა), რაც ადამიანის დედამიწაზე ცხოვრებისა და გადარჩენის აუცილებელი პირობაა.

დღეს, ეკოლოგიური სისტემების მდგომარეობა დედამიწაზე სავალალო მდგომარეობაშია: გაეროს 2005 წლის „ათასწლეულის ეკოსისტემების შეფასების კვლევის პროექტმა“ -Millennium Ecosystem Assessment (MA), დაადასტურა რომ მსოფლიო ეკოსისტემების 60%-ზე მეტი ან დეგრადირებულია ან მათი არსებული წესებით გამოყენება არამდგრადი გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს[1]. მზარდია იმ შემთხვევების რაოდენობაც, რომლებიც ადასტურებენ რომ ცვლილებები, გამოწვეული ადამიანის საქმიანობით, განსაკუთრებით მბიომრავალფეროვნების შენარჩუნების კუთხით, ხშირად შეუქცევადი ხასიათისაა, რაც მოსალოდნელია უარყოფითად აისახოს ზოგადად განვითარებასა და კაცობრიობის კეთილდღეობაზე.

კვლევა მიზნად ისახავს ურბანული მწვანე ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტის, ქალაქის საჯარო პარკებია ეკოსისტემების სერვისების არსებული მდგომარეობისა და მათი მნიშვნელობის საკითხების შესწავლას. ჩვენი კვლევის მთავარი საკვლევი საკითხებია:

ა) ქალაქ თბილისის პარკებში არსებული ხე-მცენარეების ეკოსისტემების მიერ მოწოდებული სერვისების კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია;

ბ) აღნიშნული სერვისების ეკონომიკურ და სოციალურ შეფასება (ე.წ. „ვალუაციას“, ინგლ. valuation) და შერჩეული სერვისების სივრცითი განაწილების თავისებურებების დადგენა;

გ) ეკოსისტემის სერვისების შეფასებითი ანალიზის ჩატარება, ქალაქგეგმარებითი და ქალაქმმართველობითი გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის (პოლიტიკების) ინფორმირებისათვის.

[1] Millennium Ecosystem Assessment, MA 2005, გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის მიერ, 2000 წელს დაწყებული გლობალური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკოსისტემების ცვლილებების გავლენის მეცნიერულად შესწავლას, კაცობრიობის კეთილდღეობაზე. წყარო: https://www.millenniumassessment.org/en/About.html#1

1. სამეცნიერო -კვლევითი პროექტი

ა) კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება

დღეს, დედამიწელთა უმეტესობა ურბანულ სივრცეებში ცხოვრობს. გაეროს მონაცემებით, 2050 წელს, დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი ქალაქის მცხოვრები იქნება[2]. მიმდინარე სწარაფი ურბანიზაციის პირობებში აქტუალური ხდება ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების თავისებურებების სწორი აღქმა და შეფასება, განსაკუთრებით ურბანული გარემოში.

ამ რთულ პროცესს, რომელიც ადამიანს, მის საცხოვრებელ სივრცესა და ბუნებრივ გარემოს მოიცავს, ჭირდება სწორი გაგება და მართვა. საჭიროა ადამიანის საცხოვრებელ და აქტივობის სივრცეში გაწონასწორებულ იქნას ამ სივრცის შემადგენელი, მჭიდროდ უერთიერთდამოკიდებული ფაქტორების სოციალური, ეკონომიური, კულტურული და ეკოლოგიური მახასიათებლები ამ გარემოს მდგრადობის შესანარჩულებლად. მე-19 საუკუნეში დაწყებული ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად, პლანეტარული მასშტაბით ადამიანის ეკონომიკური აქტივობის ზრდამ და ინტენსიფიკაციამ შეცვალა დედამიწა. 1820-დან 2003 წლამდე მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი 60-ჯერ გაიზარდა[3] (Maddison A, 2007), ხოლო მოსახლეობა - 6-ჯერ; ეკონომიკურმა ზრდამ შედეგად მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების საგრძნობი გაუმჯობესება მოიტანა, თუმცა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავისი საფასურიც მოჰყვა - გაუარესდა ადამიანის გარშემო არსებული ბუნებრივი გარემო.

საფრთხის ქვეშ დადგა დედამიწაზე სიცოცხლის მხარდამჭერი გლობალური ეკოლოგიური სისტემები (ამაზონიის მარადმწვანე ტყეების ფართობის შემცირება, პოლარული რეგიონებში ყინულის საფარის დნობა, ტროპიკულ რეგიონებში მზარდი დეზერტიფიკაცია, სხვა რეგიონული თუ ლოკალური გამოწვევები). სამწუხაროდ, გლობალურ ბიო-ფიზიკურ სისტემებსა და ადამიანის მიერ შექმნილ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებს შორის, მკაფიოდ გამოიკვეთა სახიფათო ასიმეტრია, რომელიც საფრთხეს უქმნის კაცობრიობის განვითარების მდგრადობასა და მსოფლიო ეკოსისტემების ფუნქციონირებას მიმდინარე გლობალური ურბანიზაციის ფონზე.

---

[2] United Nations. 2012. World Urbanization Prospects. The 2011 Revision. New York

[3] Maddison A (2007) Contours of the World Economy 1–2030 AD: Essays in Macro-Economic History (Oxford Univ Press, Oxford). Google Scholar

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალურ გამოწვევაა ურბანული ეკოსისტემების დეგრადაცია და იმ მომსახურების (სერვისების) შემცირება-შეზღუდვა, რომელსაც ეს სისტემები ქალაქის მცხოვრებლებს აწვდიან. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გამოჩნდა საკმაოდ დიდი მოცულობა კვლევებისა, რომლებიც ურბანულ ეკოსისტემების სერვისებს (უეს) შეეხება. ამან დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ცოდნის გაღრმავებას უეს-ბის შესახებ მათი ბიოფიზიკური, ეკონომიკური და სოციო-კულტურული მიმართულებებით. მეტიც, უეს-ბი განხილულ იქნა რამდენიმე გლობალური ინიციატივის ფარგლებში. კერძოდ, ეკოსისტემების სერვისები შესწავლა მოხდა, „ათასწლეულის ეკოსისტემების შეფასება“ - Millennium Ecosystem Assessment[4]-ის მიერ და „ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის“ - TEEB 2011[5].

საერთაშორისო, მულტინაციონალური და მულტიდისციპლინური კვლევითი პროექტების საშუალებით და IPBES-ით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო, მთავრობათაშორის სამეცნიერო-პოლიტიკურ პლატფორმას, რომელიც ორგანიზებულია გაერო-ში შემავალი ოთხი ორგანიზაციის, UNEP-ის, UNESCO-ს, FAO-ს და UNDP-ის საფუძველზე[6]. ამან, შესაბამისად, გამოიწვია უეს-დმი ყურადღებისა და ინტერესის ზრდა, მისი ჩართვა ურბანული პოლიტიკის დისკუსიებში, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი დღეს ქალაქებში ცხოვრობს, ურბანული ეკოსისტემებისადმი ყურადღება კვლავ ძალიან მოკრძალებულია, თუ მას შევადარებთ მაგალითად, ტყეებისა და სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ საკითხებს[7].

დღევანდელი მდგომარეობით, მიუხედავად დღეს არსებული ურბანული გამოწვევებისა, რომლებიც მოიცავენ კლიმატის ცვლილებას[8], მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას და ბუნებრივი რესურსების შემცირება-დეგრადაციას[9], ურბანული ეკოლოგიური სისტემების მიერ

---

[4] Millennium Ecosystem Assessment, MA 2005, გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის მიერ, 2000 წელს დაწყებული გლობალური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკოსისტემების ცვლილებების გავლენის მეცნიერულად შესწავლას, კაცობრიობის კეთილდღეობაზე. წყარო: https://www.millenniumassessment.org/en/About.html#1

[5] TEEB 2011, გლობალური ინიციატივა, რომლის მიზანი იყო „ბუნების მიერ მოწოდებული ფასეულობების ხილვადობის გაზრდა“ და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების სერვისების ღირებულებისა და მნიშვნელობის ინტეგრაცია გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, ყველა დონეზე. წყარო: http://www.teebweb.org/

[6] IPBES, The Intergovernmental Science-Policy Platform on Biodiversity and Ecosystem Services - მთავრობათშორისი პლატფორმა, რომელიც სწავლობს და აფასებს ბიომრავალფეროვნებ ასა და იმ ეკოსისტემების სერვისების მდგომარეობას, რომელსაც ბუნება აწვდის საზოგადოებას, პასუხად გადაწყვეტილებების მიღებების მოთხოვნებზე. ამ გაერთიანების მისია გულისხმობს მეცნიერული კვლევისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების ხელშეწყობას, ბიომრავალფეროვნების გრძელვადიანი შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარებისათვის. წყარო: https://www.iucn.org/theme/global-policy/our-work/ipbes

[7] Urban Ecosystem Services, Erik Gómez-Baggethun, Åsa Gren, David N. Barton, Johannes Langemeyer, Timon McPhearson , Patrick O'Farrell, Erik Andersson, Zoé Hamstead, and Peleg Kremer, Urbanization, Biodiversity and Ecosystem Services: Challenges and Opportunities A Global Assessment, DOI: 10.1007/978-94-007-7088-1_11.

[8] Iwona Zwierzchowska, URBAN ECOSYSTEM SERVICES – ASSESSMENT OF POTENTIAL AT THE DIFFERENT SPATIAL SCALE: AN EXAMPLE OF POZNAŃ, General environmental and social problems EKONOMIA I ŚRODOWISKO 1 (60) • 2017.

[9] Dagmar Haase, Niki Frantzeskaki, Thomas Elmqvist, Ecosystem Services in Urban Landscapes: Practical Applications and Governance Implications, AMBIO 2014, 43:407–412

ქალაქების გარემოსთვის გაწეული მომსახურებისთან და ეკოსისტემების სერვისებთან დაკავშირებული კვლევები და მათი გავლენის შეფასება ქალაქის ცხოვრებაზე, ნაკლებად არის გავრცელებული. გამოკვლევების ეს დეფიციტი შეეხება ეკოსისტემების სერვისების მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობას და მის გამოყენებას ქალაქგეგმარებაში, ქალაქის სივრცეების დაგეგმვისას სხვადასხვა დონეზე[10].

კიდევ უფრო ცოტაა ისეთი გამოკვლევები, რომლებიც იმ ურბანულ გარემოს აღწერენ, სადაც ეკოსისტემების სერვისების მკვეთრი სიმცირეა და აუცილებელია მათი პოტენციალის გაზრდა და ამ მიდგომის ინტეგრაცია ქალაქის მიწათსარგებლობის გეგმებში და პოლიტიკაში[11].

თუ ქალაქგეგმარების მიზნად სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრად ურბანულ განვითარებას დავისახავთ, ქალაქის მწვანე ინფრასტრუქტურას შეუძლია ხელი შეუწყოს მრავალგვარი საზოგადოებრივი ამოცანების გადაჭრას: ეს ამოცანები შეიძლება მოცავდეს, ჯანმრთელი ცხოვრების წესის გავრცელებას და ქალაქის მცხოვრებთა კეთილდღეობას, კლიმატის ცვლილებებთან საცხოვრებელი გარემოს ადაპტაციას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-კონსერვაციას[12].

ბევრი მეცნიერი თანხმდება ეკოსისტემების სერვისების შესწავლის მნიშვნელობაზე: „მიუხედავად კვლევების მრავალფეროვანი ხასიათისა, ეკოსისტემების კონცეფციის გამოყენება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, სივრცითი დაგეგმარებისა და ბნებრივი რესურსების მართვის საკითხებში იშვიათია“[13].

როგორც ამერიკის მგეგმარებელთა ასოციაციის (APA – American Planning Association) ერთ-ერთ კვლევაშია აღნიშნული, დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქების იმ მცირე მწვანე ზონებსაც კი, რომლებიც ურბანულ მწვანე ინფრასტრუქტურას ქმნიან: „პარკები, ამ გამოწვევების დაძლევის პირველი და საუკეთესო თავდაცვის ხაზია“[14]. პარკების მნიშვნელობა,

---

[10] Kremer, P., Z. Hamstead, D. Haase, T. McPhearson, N. Frantzeskaki, E. Andersson, N. Kabisch, N. Larondelle, E. Lorance Rall, A. Voigt, F. Baró, C. Bertram, E. Gómez-Baggethun, R. Hansen, A. Kaczorowska, J.-H. Kain, J. Kronenberg, J. Langemeyer, S. Pauleit, K. Rehdanz, M. Schewenius, C. van Ham, D. Wurster, and T. Elmqvist. 2016. Key insights for the future of urban ecosystem services research, Ecology and Society 21(2):29. 2016, http://dx.doi.org/10.5751/ES-08445-210229

[11] Stępniewska, M. (2016), Ecosystem Service Mapping and Assessment as a Support for Policy and Decision Making. Clean Soil Air Water, 44: 1414–1422. doi:10.1002/clen.201500777

[12] Hansen R., Rolf W., Pauleit S., Born D., Bartz R., Kowarik I., Lindschulte K., Becker C.W. and Schröder A., (2017), URBAN GREEN INFRASTRUCTURE A foundation of attractive and sustainable cities [brochure], Berlin, Federal Agency for Nature Conservation (BfN)

[13] Stępniewska, M. (2016), Ecosystem Service Mapping and Assessment as a Support for Policy and Decision Making. Clean Soil Air Water, 44: 1414–1422. doi:10.1002/clen.201500777

[14] Climate Change Managemen,American Planning Association, APA, https://www.planning.org/cityparks/briefingpapers/climatechange.htm

განსაკუთრებით ურბანულ გარემოში, ძალიან დიდია შემდეგი ძირითადი ეკოსიტემების სერვისების გამო:

1) პარკები ამცირებენ ხელოვნურად წარმოქნილ მაღალ ტემპერატურებს, დაჩრდილვითა და ევაპოტრანსპორაციის[15] მეშვეობით;

2) პარკები ხელს უწყობენ ლოკალური ქარის წარმოშობას ქალაქებში, პარკების ბრიზული ნაკადებით (პარკის თავზე არსებული გრილი ჰაერი ქრის მიმდებარე ცხელი შემოგარენის მიმართულებით);

3) პარკები არბილებენ ლოკალური წვიმის ანომალიებს, რომლებსაც ხელს უწყობს ურბანული „სიცხის კუნძულების“ ეფექტი;

4) პარკები შთანთქავენ ნახშირორჟანგს და ატმოსფეროს სხვა დამაბინძურებლებს და „ინახავენ“ ატმოსფეროდან შთანთქმულ ნახშირბადს (ე.წ. Carbon sequestration, ინგლ.) ;

5) აჩერებენ ნიადაგის ეროზიულ პროცესებს, ამცირებენ ნიაღვრული წყლების ზემოქმედებას (ე.წ. run-off water flow) ქალაქებში, როთაც ამცირებენ დატვირთვას ქალაქის საკანალიზაციო და ნიაღვრულ სისტემებზე;

6) ხელს უწყობენ მწერების მიერ დამტვერვის პროცესს, ურბანულ ეკოლოგიურ ნიშებში; 7) ასუფთავებენ წვიმისა და სხვა ჩამდინარე/ნიაღვრულ წყლებს;

8) ხელს უწყობენ სხვადასხვა სახეობების გამრავლებასა და რაოდენობის ბიოლოგიურ კონტროლს ეკოსისტემის ფარგლებში;

9) ქმნიან საცხოვრებელ გარემოს -ჰაბიტატს - ცოცხალი ორგანიზმებისათვის და სხვადასხვა სახის ბიოტური თუ აბიოტური ფაქტორების ჩამოსაყალიბებლად;

10) უზრუნველყოფენ ეკოლოგიური ნიშის და სისტემების გენეტიკურ მრავალფეროვნებას; 11) ამცირებენ და ფანტავენ ხმაურს, დამახასიათებელს ურბანული სივრცეებისათვის;

12) ქმნიან უნიკალურ რეკრეაციულ და კულტურულ ღირებულებას[16].

შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანი, თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი კომპონენტის, საჯარო პარკების ეკოსისტემების სერვისების შესწავლა და შეფასება, ემსახურება

---

[15] ევაპოტრასპირაცია(ინგლ. evapotranspiration) - წყლის სხვადასხვა ზედაპირებიდან (მიწიდან - „ევაპორიზაცია„ და მცენარეებიდან - „ტრანსპირაცია) აორთქლების ინტეგრირებული პროცესი, რომელიც ზედაპირის გაგრილებას იწვევს (http://www.fao.org/docrep/x0490e/x0490e04.htm).

[16] Bolund, P., & Hunhammar, S. (1999). Ecosystem services in urban areas. Ecological Economics, 29 (2), 293–301.

თბილისისთვის ბუნების მიერ შემოთავაზებული მომსახურების აღქმას, გაცნობიერებასა და მათი ღირებულების გააზრებასა და ანალიზს. კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა მნიშვნელოვანი იქნება ქალაქის საცხოვრებელი გარემოს მეცნიერული შეფასებისთვის, ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის და ზოგადად, ქალაქის განვითარებისა და ქალაქის მცხოვრებთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების სწორად ფორმულირებისათვის.

ბ) კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მთავარი ამოცანაა თბილისის რამდენიმე საჯარო პარკის და მათში არსებული ურბანული ხე-მცენარეულობის/ტყეების მაგალითზე, შეისწავლოს და დაადგინოს ურბანული ეკოსისტემების მიერ მოწოდებული მომსახურების როლი და მნიშვნელობა ქალაქის მდგრადი განვითარებისთვის, ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობითვის და სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. ასევე, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია ამ ტიპის კვლევების დაწყება საქართველოში და მისი სამომავლოდ გავრცელება და გაფართოება ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების 'მწვანე' ინფრასტრუქტურის (ტყეები, პარკები, ქუჩების ხეივნები, სკვერები, სასაფლაოების მწვანე ტერიტორიები, სხვა ბუნებრივი/ხელოვნური ურბანული ლანდშაფტები) შესწავლის მიმართულებით. ამ კვლევით შევეცდებით გავიგოთ და დაინტერესებულ მხარეებსაც გავაცნოთ იმ სერვისების ღირებულება, რომლებსაც ბუნება თბილისს სთავაზობს და ხელი შევუწყოთ ამ სერვისების ანალიზს, მათ სწორ აღქმასა და გაცნობიერებას, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ.

ზოგადად, როგორც ეს ათასწლეულის ეკოსისტემების შეფასების ფორუმის (2003), დოკუმენტებშია ასახული, ეკოსისტემების სერვისები წარმოადგენენ სიკეთეს (ე.წ. „ბენეფიტი", ინგლ.) რომელსაც ადამიანები ბუნებრივი ეკოსისტემებიდან იღებენ.

ეს სერვისები მოიცავენ:

- მომარაგების სერვისებს, როგორებიცაა საკვები, ნედლეული და წყალი ეკოსისტემებიდან;
- მარეგულირებელ სერვისებს - წყალდიდობებისა და გვალვის, ნიადაგის დეგრადაციისა და ავადმყოფობების რეგულირების სერვისები ეკოსისტემიდან, და
- დამხმარე/მხარდამჭერი სერვისებს, როგორებიცაა ნიადაგის ფენის ჩამოყალიბება და საკვები ნივთიერებების ციკლური ბრუნვა.

- ასევე, კულტურეული სერვისებს, რომლებიც მოიცავენ რეკრეაციული, სულიერ, რელიგიურ და სხვა, არამატერიალურ სიკეთეებს, რომლებსაც ჩვენ ეკოსისტემებიდან ვიღებთ.

ეკოსისტემებიდან მიღებული სერვისების კონცეფცია საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ არსებული ეკოსისტემების ეკოლოგიური ფუნქციები, რომლებიც ხშირად პირდაპირ სიკეთეებით უზრუნველყოფენ დედამიწის მოსახლეობას, როგორებიცაა ფიზიკური ჯანმრთელობას ან ეკონომიკური თუ სოციალური გარემოებები (Ahern, 2007). ამერიკელმა მკვლევარმა და ურბანისტმა, რობერტ კოსტანზამ, (Costanza et al.1997), კოლეგებთან ერთად, გამოყო სერვისების 17 მთავარი კატეგორია, რომლებსაც უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის ეკოსისტემები . აშშ-ს ეკოლოგიურმა საზოგადოება (ESA), ეკოლოგიურ ფუნქციებად ასახელებს იმ მომსახურებას (სერვისებს), რომლებიც არბილებენ კლიმატის ექსტრემუმებს, ხელს უწყობენ საკვები ნივთიერებების ბრუნვას/ციკლს, დეტოქსიფიკაციას უწევენ ნარჩენებს, აკონტროლებენ მწერებსა და მავნებლებს, ინარჩუნებენ ბიომრავალფეროვნებას და წმენდენ ჰაერსა და წყალს .

ჩემი კვლევის მთავარი მიზანია თბილისის ჰაერის ხარისხისა და კლიმატთან დაკავშირებული ურბანული ხე-მცენარეების ფუნქციური და სტრუქტურული ანალიზი და იმ სერვისების შესწავლა, რომელსაც ისინი გარემოს გადასცემენ: ჰაერის გაქმენდა და ჰაერის დამაბინძურებლების შთანთქმა (CO, O3, NO2, SO2 and PM 10 და PM 2.5[17]), ნაშირბადის შთანთქმა და მისი დაგროვება (ხეებში, მცენარეულში), ნიაღვრული წყლების ჩადინების შემცირება/თავიდან აცილება, შენობების ენერგეტიკული ეფექტი (გაგრილება/ცივი ქარისგან დაცვა) და რამდენიმე ანტი-სერვისის სესწავლა: ხეებისარასასურველი ბიო-ემისიები, ხეების მდგომარეობისა და მათი განაწილების ანალიზი, საკვლევ ფართობებზე, ხეების ჯიშების მიხედვით, ფოთლოვანი საფარველისა და ხეების ბიომასის შესწავლა, არსებული ხეების ჯიშების მნიშვნელობის ანალიზი ეკოსისტემების სერვისებისათვის (და მათი ღირებულება).

ა) ჰაერის გაწმენდა სხვადასხვა დამაბინძურებლებისან (O_3, NO_2, SO_2 და მყარი ნაწილაკებისგან -

<u>კვლევის ობიექტი:</u>

კვლევის ობიექტი იქნება თბილისის ხუთი საჯარო პარკი: 1) ვაკის პარკი, ფართობი: 23.2 ჰა, 2) ვეტერანთა პარკი, ფართობი: 7 ჰა, 3) ვერის ბაღი, ფართობი: 3.1 ჰა, 4) პარკი მზიური, ფართობი:

[17] PM10 და PM 2.5, Particulate matter (PM) - ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი მცირე ზომის მყარი ნაწილაკები, რომლებიც ატმოსფეროშია გაბნეულ მყარი და თხევადი ნაწილაკების სახით. PM2.5 (fine particles): d (დიამეტრი) ≤ 2.5 µm (მიკრონი); PM10 (coarse particles): d (დიამეტრი) ≤ 10 მიკრონს; 1 მმ =1000 მიკრონს.

8.6 ჰა და 5) ვასო გოძიაშვილის პარკი, ფართობი: 3.78 ჰა - ჯამში, საერთო ფართობი: 45.68 ჰექტარი. შერჩეულ იქნა ისეთი საკვლევი ობიექტები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია ზომით, მდებარეობით, შექმნისა და განვითარების ისტორიითა და დღეს არსებული ფუნქციებით; კვლევის მიზანი იქნება პარკების ხეების სტრუქტურული და ფუნქციური ანალიზი და ეკოსისტემების იმ სერვისების გამოკვლევა, რომლებითაც ისინი ურბანულ გარემოს უზრუნველყოფენ:

ა) ჰაერის გაწმენდა და დამაბინძურებლების შთანთქმა (CO, NO2, SO2, O3, და PM10/2.5),

ბ) ნახშირორჟანგის შთანთქმა-სეკვესტრირება და ნახშირბადის შენახვა (Carbon storage),

გ) წვიმის ნიაღვრული წყლების ზემოქმედების (ე.წ. run-off water flow) შერბილება ქალაქებში, რაც ამცირებს დატვირთვას ქალაქის საკანალიზაციო და ნიაღვრულ სისტემებზე;

დ) შენობების „გაგრილების“ და სითბოს შენარჩუნების ეფექტი (ზაფხულში და ზამთარში, შესაბამისად).

კვლევა ასევე მოგვცემს ახალ ცოდნას პარკებში არსებული ხეების მდგომარეობის და განაწილების შესახებ, არსებულ ჯიშებზე, ფოთლოვან საფარსა და ბიომასაზე, არსებული ჯიშების მნიშვნელობაზე, ეკოსისტემების სერვისებით უზრუნველყოფისა და ღირებულების კუთხით და ასევე, ანტი-სერვისებზე - ხეების მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ბიო-ემისიებზე.

<u>**საველე სამუშაოები და კვლევისთვის საჭირო დრო:**</u> კვლევისთვის შერჩეული მეთოდიკა გულისხმობს საკვლევი ობიექტების (საჯარო პარკების) დაყოფას 404 კვ. მეტრის (11.4 მ რადიუსის მქონე წრე, 1/10 აკრი) საკვლევ ნაკვეთებად[18]. შერჩეული პარკების (5 პარკი) საერთო გამოსაკვლევი ფართობი დაახლოებით 56.48 ჰა-ს, ანუ 564,800 მ2 -ს და დაახლოებით 1,398 საკვლევ ნაკვეთს (თუ ნაკვეთების სრულ რაოდენობას გამოვიკვლევთ) შეადგენს, რასაც i-tree Eco სახელმძღვანელოს მიხედვით[19], არსებული მეთოდით 1,400 დღემდე დაჭირდება, რაც ძალიან დიდ დროსა და რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად, აუცილებელია შერჩევითი კვლევის ჩატარება.

[18] Mutch, E.M., Doick, K.J., Davies, H.J., Handley, P., Hudson, M.D., Kiss, S., McCulloch, L., Parks, K.E., Rogers, K. and Schreckenberg, K. (2017) Understanding the value of Southampton's urban trees. Results of the 2016 i-Tree Eco survey. University of Southampton, Forest Research, Treeconomics and Southampton City Council. Southampton. 81pp. ISBN 978-0-85432-004-2.

[19] i-Tree Eco - Project Time Estimation, source: https://www.itreetools.org/eco/resources/Eco_project_time_estimates.pdf

აშშ-ს ფედერალური სატყეო სააგენტოს კვლევითი მეთოდოლოგიის შესაბამისად, პარკების საკვლევად შესაძლებელია 100 (ასი) რეპრეზენტატიული ნაკვეთის შერჩევა, რაც თითოეულ პარკში, შემთხვევითი შერჩევით, პარკის ფართობის პროპორციული ნაკვეთების შემდეგ რაოდენობას შეადგენს: ვაკის პარკი (23.2 ჰა - 46 ნაკვეთი, ვერის ბაღი (3.1 ჰა) – 6 ნაკვეთი და ა.შ.). არსებული მეთოდოლოგიით, 100 შემთხვევით ნაკვეთის შერჩევა, 95%-იანი სიზუსტით, მოგვცემს 9.45% სტანდარტულ ცდომილებას, რაც ასეთი ტიპის კვლევისთვის მისაღებია და გამოიყენება ურბანული ტყეების კვლევაში[20]. i-tree Eco-ს სახელმძღვანელოსა და საველე გამოცდილების თანახმად[21], დღეში, მკვლევართა სამკაციან ჯგუფს შეუძლია 3-4 ნაკვეთის სრულყოფილი გამოკვლევა და მონაცემების ჩაწერა, რაც ნიშნავს რომ პროექტის განხორციელებას და 100 ერთეული, 404 კვ. მ-ის ფართობის მქონე ნაკვეთის შესწავლას, დაახლ. 25-35 დღე დაჭირდება. i-tree Eco-ს პროგრამისთვის მონაცემთა შეგროვების ოპტიმალური პერიოდი ჩრდილოეთ ნახევასფეროში, <u>მაისი-სექტემბრის თვეებია,</u> როდესაც ხეების ფოთლოვანი საფარი და გვირგვინი ოპტიმალური ზომისაა.

გ) კვლევის მეთოდოლოგია

<u>კვლევის მეთოდოლოგია:</u> განზრახულ კვლევას ზოგადად ექნება ანალიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ეკოლოგიური ხასიათი და შეისწავლის ურბანული ეკოსისტემებისა და ადამიანი-ბუნების ურთიერთქმედებას, ურბანულ გარემოში. მუშაობის დროს გამოყენებული იქნება აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სატყეო ფედერალური სამსახურის მიერ შემუშავებული მეთოდი i-Tree Eco - მსოფლიოს მასშტაბით ხელმისაწვდომი სოფტ-პროგრამა, რომელიც იყენებს და გადაამუშავებს, სხვადასხვა სახის კლიმატურ, გეოგრაფიულ და ბიოგეოგრაფიულ მონაცემებს ეკოსისტემების სერვისების გამოსათვლელად და ურბანული თუ სხვა ტყეების სტრუქტურული მახასიათებლების ანალიზისათვის. მეთოდის ოპერაციონალიზაციისთვის აუცილებელია ადგილობრივი მეტეოროლოგიური და ჰაერის დაბინძურების საათობრივი და სხვა ზოგადი გეოგრაფიული, ბიოლოგიური და კლიმატური მონაცემების სისტემაში შეყვანა, რომლის მეშვეობით სისტემის ალგორითმი დაიანგარიშებს ტყეების სტრუქტურას, გარემოსდაცვით ეფექტებსა და ღირებულებებს მოცემულ ადგილას. სოფტი ისეა შექმნილი რომ იგი გამოიყენებს საველე მონაცემებს როგორც სრული

[20] Nowak et al.: Effect of Plot and Sample Size on Timing and Precision, 2008, Aboriculture & Urban Forestry. 34(6): 386-390. წყარო: https://www.nrs.fs.fed.us/pubs/jrnl/2008/nrs_2008_nowak_003.pdf

[21] i-Tree Eco Project Cost Estimation, წყარო: https://www.itreetools.org/eco/resources/Eco_project_cost_estimate.pdf

ინვენტარიზაციის, ისე - შემთხვევითი შერჩევის კვლევებისთვის, სხვადასხვა ზომის და მასშტაბის საკვლევ ფართობებზე. i-Tree Eco-ს საშუალებით საველე და კლიმატური მონაცემების დამუშავების შედეგად შეგვეძლება მივიღოთ შერჩეული ურბანული პარკების ხეების სივრცული და ჯიშობრივი განაწილება და გარემოსთვის მათ მიერ გაწეული „მომსახურების“ მონეტარული ღირებულება. კერძოდ, <u>კვლევის შესაძლო შედეგების ჩამონათვალი,</u> ამ ეტაპზე შემდეგნარიად გამოიყურება:

ა) ხეების ჯიშების მდგომარეობა და განაწილება, ფოთლოვანი საფარის ფართობი და ბიომასა;

ბ) არსებული ხე-მცენარეების ჯიშების მნიშვნელობა (ღირებულება ეკოსისტემების სერვისებისათვის);

გ) ჰაერიდან სხვადასხვა დამაბინძურებელების ((O3, NO2, SO2 და მყარი ნაწილაკებისგან -PM10/2.5) შთანთქმული რაოდენობა და ღირებულება (კგ/წელიწადში, დოლარში/ლარში);

დ) ნახშირბადის შთანთქმული რაოდენობა და ღირებულება (Carbon sequestration) და დაგროვება/carbon storage (კგ/წელიწადში, დოლარში/ლარში);

ე) ზედაპირული/ნიაღვრული წყლების თავიდან აცილებული ჩადინების (avoided runoff) რ-ბა (მ3/წ-ში) და მათი ღირებულება და

3) ხე-მცენარეების ენერგეტიკული ეფექტი შენობებზე (ზაფხულში დაჩრდილვა და ზამთარში - ცივი ქარისგან დაცვა).

კვლევისას განზრახულია i-Tree Eco-ს სოფტისათვის საველე მონაცემების შეგროვება. პარკში არსებული თითოეული ხისათვის, აღებულ იქნება შემდეგი მონაცემები:

ა) ხის უნიკალური იდენტიფიკატორი/ნომერი,

ბ) ჯიშისა სახეობის/გვარის (ლათ. genus) დასახელება (ქართულად და ლათინურად),

გ) თითოეული ხისა და საკვლევი ნაკვეთის ცენტრის GPS კოორდინატები, ხის სტატუსი (ბუნებრივად აღმოცენებული თუ დარგული),

დ) მდებარეობა (ქუჩა თუ არა-ქუჩა),

ე) სიმაღლე (მთლიანი და ცოცხ. ფოთლოვან საფარამდე),

ვ) სიმაღლე ფოთლოვან საფარამდე (ძირიდან),

ზ) ხის ღეროს დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე, (Diameter at Brest Height –DBH) - 1.38 მ სიმაღლეზე, 5 სმ > სისქის ვარჯისთვის),

თ) ფოთლოვანი საფარის (გვირგვინის) სიგანე (N to S და E to W მიმართულებები),

ი) ხის ფოთლოვანი საფარის დანაკლისი (პროცენტი),

კ) მკვდარი ტოტების პროცენტი ხის გვირგვინზე.

კვლევის მეთოდოლოგია, გარდა აღნიშნული მეთოდის გამოყენებისა და საველე კვლევითი სამუშაოებისა, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1) თბილისის პარკების მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზი, ქალაქების ეკოსისტემების სერვისების თანამედროვე „საუკეთესო პრაქტიკის“ ანალიზი და გამოყენება;

2) თბილისი ისტორიული და თანამედროვე რუკების, GoogleEarth-ის სატელიტური და არსებული ელექტრონული რუკების და ‘დრონებით’ გადაღებული აეროფოტოგრაფიის ჩათვლით;

3) კვლევაში ხსენებულ საკვლევ ადილებზე ვიზიტებსა და პარკებში არსებული ხე-მცენარეების მონაცემთა ბაზის შექმნას;

4) მეტეოროლოგიური და ჰაერის დაბინძურების წლიური მონაცემების შეკრებას საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს თბილისში მდებარე (გოძიაშვილის ბაღი და წერეთლის გამზირი) მეტეოროლოგიური/ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგურიდან , საექსპერტო შეხვედრებსა და ინტერვიუებს ქართველ და უცხოელ ანალიტიკოსებთან, ქ.თბილისი მერიის გამწვანების სამსახურთან;

5) I-tree Eco v6-ს მეთოდის პრაქტიკულ შესწავლას უცხოურ კვლევით ცენტრებში;

6) ანალიტიკური მასალების შესწავლა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე; ლიტერატურისა და სხვადასხვა მედია პლატფორმების ანალიზი.

7) თბილისი ურბანული პარკების ეკოსისტემების სერვისების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გავრცელება-დისსემინციას: სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას უცხოურ, მაღალ იმპაქტ ფატქორიან ჟურნალში, საერთასორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას და კვლევის შედეგების პრეზენტაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

კვლევა რამდენიმე ეტაპად დაიყოფა (სამუშაოების განხორციელების გეგმა-გრაფიკი):

1) საჯარო ურბანული პარკების ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-პოლიტიკური ანალიზი; თბილისის რუკებისა და ქალაქის განვითარების სქემების ანალიზი (1-ლი წელი).

2) თბილისის საჯარო სივრცეებზე არსებული სამეცნიერო და კვლევითი ლიტერატურისა და მედიაპუბლიკაციების ანალიზი. (პირველი წელი)
3) სასწავლო ვიზიტი გერმანიაში, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, სტარტეგიული ლანდშაფტური დაგეგმარებისა და მენეჯმენტის სკოლაში, სადაც პროფესორ შტეფან პაულაიტთან შევისწავლი ურბანული პარკების ეკოსისტემების სერვისების შეფასების, ქალაქის ურბანული და რეგიონული ტყის მასივების ანალიზისა და შეფასების ინსტრუმენტებს, ჰაერის დაბინძურების გაზომვის მეთოდებს, ურბანული ხეების ფუნქციონირების თავისებურებებს, ქალაქის მწვანე სივრცეების მიკროკლიმატის მოდელირებასა და მწვანე ინფრასტრუქტურის დაგეგმარების ძირითად საკითხებს (მეორე წელი)
4) საველე დაკვირვებები და საველე სამუშაოები, მონაცემების შეგროვება და დამუშავება, დაკვირვება საკვლევი პარკების ცხოვრებასა და მათი ფუნქციონირების დინამიკაზე (მეორე წელი).
5) კვლევის შედეგების დამუშავება, პროგრამაში ჩატვირთვა და ანალიზი; სტატიის დაწერა მაღალ იმპაქტ ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში; ნაშრომის დაწერა და ანალიზის შედეგად შემუშავებული დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა; ნაშრომის შედეგების პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მესამე წელი).

დ) კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება ან/და პოტენციური პრაქტიკული გამოყენება და კვლევის შედეგების გავრცელების (დისემინაციის) გეგმა

ჩემი კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულების შესაფასებლაად კარგი იქნება იმ მდგომარეობისა და არსებული გამოცდილების გააზრება, რომელიც საქართველოში გვაქვს ურბანულ ეკოლოგიაში და ურბანულ დაგეგმარებაში. ბოლო ათწლეულების ურბანულმა და სამშენებლო "ბუმმა", თბილისში და ბათუმში თვალნათლივ დაგვანახა რომ სტიქიურმა განვითარებამ, მშენებლობამ და "ზრდამ" შესაძლოა ახალი, მოულოდნელი და სავალალო შედეგების მქონე პრობლემებამდე მიგვიყვანოს.

ურბანული ეკოსისტემების შესწავლა და მათ მიერ მოწოდებული მომსახურებისა თუ სარგებელის აღქმა, აუცილებელია ქალაქების სწორი განვითარებისთვის. ქალაქების განვითარება და კეთილმოწყობა, ქალაქის მცხოვრებთა საცხოვრებელი პირობების

გაუმჯობესება, ადამიანური, თანასწორი და სამართლიანი საცხოვრებელი გარემოს შექმნა კი ყველა ურბანული გეგმის ნაწილია.

შესაბამისად, საქართველოს ქალაქებისა და ურბანიზირებული ზონების სამომავლო დაგეგმვისათვის, აუცილებელია კვლევა არსებული გარემოს შესწავლით დავიწყოთ. თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურისა და კერძოდ, საჯარო ურბანული პარკების შესწავლა, საშუალებას მოგვცემს ვუპასუხოთ რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას:

- რას აძლევენ ურბანული პარკები ქალაქსა და მის მცხოვრებლებს?
- რას ნიშნავს და როგორ შეიძლება შეფასდეს ის სერვისები, რომლებითაც ქალაქის პარკებში არსებული ხე-მცენარეები უზრუნველყოფენ თბილისს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი მათი შენარჩუნება, გაფართოება და კეთილმოწყობა?
- როგორ უნდა დაიგეგმოს ადამიანისთვის სასარგებლო და ოპტიმალური გარემო, რომელიც ბუნებრივი მეთოდებითა და სერვისებით გაუმკლავდება სიცხეს, ჰაერის დაბინძურებას, ნიაღვრულ წყლებს, გაგრილებასა და სიცივეს?

დღეს, ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხები არ ვიცით და ქალაქის დაგეგმარების, ქალაქის მცხოვრებთა საცხოვრებელი და საარსებო პირობების გაუმჯობესების, ურბანული ეკოლოგიის, ქალაქების განვითარების, მდგრადობისა და ელასტიურობის საკითხების გადაჭრა არასწორი მეთოდებითა და ხშირად, დაუსაბუთებელი დაგაწყვეტილებების საფუძველზე ხდება.

ვფიქრობ, სწორედ ამ მიდგომების გასააზრებლად და ურბანული საკითხების სიღრმისეული კვლევისთვის, საჭიროა ქალაქის ეკოსისტემების სერვისებისა და მწვანე ინფრასტრუქტურის დაგეგმვის პროგრესული, თანამედროვე მეთოდების შესწავლა და შემდეგ მათი ცხოვრებაში დანერგვა. ევროპაში, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა და დიდი როლი ენიჭება ე.წ. „ბუნებაზე დამყარებულ გადაწყვეტებს“ (Nature-Based-Solutions, NBS). ასეთი მიდგომა ფართოდ გამოიყენება გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირის ქვეყნებში და ზოგადად გარემოსდაცვით სფეროში. ურბანული საცხოვრებელი გარემოს მრავალფეროვანმა სამეცნიერო კვლევებმა და საკითხისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ევროპა ჩამოაყალიბა

მსოფლიო ლიდერად როგორც სამეცნიერო კვლევაში, ისე იმ ინოვაციებში, რომლებიც პრობლემების ბუნებრივი გზებით გადაწყვეტაზეა დაფუძნებული[22].

ე) კვლევის ინტერდიციპლინურობა და არეალი

თავისი შინაარსით ეკოსისტემების სერვისების კვლევა, ინტერდისციპლინური ხასიათის გახლავთ. ეკოსისტემების სერვისების/მომსახურების კონცეფცია აგებულია ეკოსისტემების (ეკოლოგია) და სერვისების (ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილების, რაც ეკონომიკის სფეროს ეხება) სინთეზზე და ურთიერთქმედებაზე, რაც თავისთავად უკვე წარმოადგენს ე.წ. „ზღვრულ“ კონცეფციას.

საზოგადოდ, ზღვრული, ან მომიჯნავე, კონცეფციები ის ინტელექტუალური კატეგორიაა, რომელიც მოქმედებს განსხვავებულ დისციპლინებში, თუმცა შეისწავლის ერთი და იგივე ობიექტს (და მის თვისებებს). მომიჯნავე კონცეფციების მიზანია ინტერდისციპლინური კვლევის ხელშეწყობა. ჩვენ შემთხვევაში, ურბანული ეკოსისტემების სერვისების შესწავლა საშუალებას აძლევს სხვადასხვა დისციპლინების წარმომადგენლებსა და მკვლევარებს, ეკოლოგებს, ეკონომისტებს, სოცილოგოგებს, ქალაქმგეგმარებლებს, ურბანული პოლიტიკის ანალიტიკოსებს, გეოგრაფებსა და ურბანისტებს, ისაუბრონ ერთ ენაზე და შეისწავლონ ადამიანის სიცოცხლისა და საცხოვრებელი პირობების დამოკიდებულება ეკოსისტემებზე, ქალაქგეგმარებისა და ურბანული ეკოსისტემების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთქმედება.

ვფიქრობ, ასეთი ტიპისა და შინაარსის კვლევა გვეხმარება უფრო ღრმად შევისწავლოთ ეკოლოგია-საზოგადოების დამაკავშირებელი ხაზები და სწორად ვიმოქმედოთ ‘ადამიანი-გარემოს’ მრავალფაქტორიან, კომპლექსურ სივრცეში. ჩვენი კვლევა ქალაქის საზღვრებში მიმდინარეობს და მისი შედეგები საშუალებას მოგვცემს განვაზოგადოთ ისინი მილიონიანი მოსახლეობის მქონე, თანამედროვე და დინამიურად განვითარებადი ქალაქის ურბანული მწვანე სივრცეების შესწავლისათვის.

ვ) კვლევისათვის საჭირო სწავლება უცხოეთის სამეცნიერო ცენტრში

[22] European Commission, 2015c. In: Innovation, D.-G.F.R.A. (Ed.), Towards an EU Research and Innovation Policy Agenda for Nature-based Solutions & Re-naturing Cities - Final Report of the Horizon 2020 Expert Group. European Commission, DirectorateGeneral for Research and Innovation, Brussels, p. 74.

საკვლევი თემის განხორციელებისათვის მესაჭიროება სპეციალიზირებული სწავლება-ტრეინინგი უცხოურ უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს მსგავსი კვლევისა და კვლევისთვის შერჩეული მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილება და პრაქტიკა. თბილისის ურბანული ეკოსისტემების შესასწავლად შევარჩიეთ მეთოდოლოგია (i-Tree Eco), რომელიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში და რომელიც შემუშავებულია აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში (USDA) შემავალი ფედერალური სატყეო სერვისის (U.S. Forest Service) მიერ. ამ მეთოდოლოგიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ დღეს, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი უკვე ქალაქის მაცხოვრებელია, აუცილებელია იმ გარემოს მეცნიერული შესწავლა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება - ეს კი ადამიანთა უმრავლოსობისთვის უკვე ქალაქური გარემოა. შესაბამისად, ქალაქის პერიმეტრში მდებარე ხე-მცენარეულობას, მათ მიერ შექმნილ ეკოსისტემებსა და ამ ეკოსისტემების მიერ გაწეულ სერვისებს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქების მცხოვრებთა კეთილდღეობისა და ზოგადად, ურბანული დასახლებების მდგრადი განვითარებისთვის. ვფიქრობ, ჩვემი საკვლევი თემა მნიშვნელოვნად წაადგება თბილისის ურბანული გარემოს შესწავლას, რადგან აქამდე, სამეცნიერო კუთხით არ მომხდარა ქალაქში არსებული ხე-მცენარეების, მწვანე სივრცეებისა და ზოგადად, ქალაქის მწვანე ინფრასტრუქტურის შეფასება და შესწავლა.

სწორედ ამ მიზნით, დავუკავშირდი მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (გერმანია) სტრატეგიული ლანდშაფტური დაგეგმარებისა და მენეჯმენტის განყოფილების ხელმძღვანელსა და ცნობილ მეცნიერს, პროფესორს, დოქტორ შტეფან პაულაიტს, რომელიც 90-იანი წლებიდან იკვლევს ურბანულ ეკოსისტემებს, ეკოსისტემების სერვისებსა და ურბანული მწვანე ინფრასტრუქტურის დაგეგმარების საკითხებს.

დოქტორი პაულაიტის წიგნები, სტატიები და სამეცნიერო ნაშრომები ცნობილია როგორც ურბანისტთა, ისე ეკოლოგიის, ქალაქების დაგეგმარებისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინების წარმომადგენელი მკვლევარებისთვის. დოქტორ პაულატთან ჩემი სადისერტაციო ნაშრომის განხილვისას, მან შემომთავაზა ჩავსულიყავი სასწავლო ვიზიტით გერმანიაში და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ლანდშაფტური დაგეგმარებისა და მენეჯმენტის განყოფილებისა და ლაბორატორიის ბაზაზე, მისი ხელმძღვანელობით შემესწავლა i-Tree Eco-ს მეთოდი და ეკოსისტემების სერვისების კვლევის სხვა, თანამედროვე მიდგომები. მათ შორის, ურბანული და რეგიონული ტყის მასივების ანალიზისა და შეფასების ინსტრუმენტები, ჰაერის დაბინძურების გაზომვის მეთოდები, ურბანული ხეების

ფუნქციონირება, ქალაქის მწვანე სივრცეების მიკროკლიმატის მოდელირება და მწვანე ინფრასტრუქტურის დაგეგმარება.

3. პროექტის მენეჯმენტი, მდგრადობა და განხორციელებადობა (გეგმა-გრაფიკი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები)

ა) პროექტის განხოციელების პროცესში მოსალდონელი რისკები, წინაღობები და პრობლემები და მათი შემცირების/აღმოფხვრის გზები

პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა იმ სქემის შესრულება, რომელიც პროექტის გეგმა-გრაფიკშია ასახული. ზოგადად, პროექტის შესრულება შეიძლება გარკვეულ რისკებს, რომლებიც ტექნიკური ხასიათისაა და ვფიქრობ, პროექტის მდგრადობს საფრთხეს არ შეუქმნის. კერძოდ, საველე სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი პრობლემები ადგილებზე (დაკვირვების ან გაზომვის უფლება საჯარო ან მომიჯნავე ნაკვეთებზე) და დროის ფაქტორი, როდესაც სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულმა თუ ტექნიკურმა პრობლემებმა შეიძლება გაახანგრძლიოს საველე სამუშაოებისთვის განსაზღვრული პერიოდი.

გარდა ამისა, მოსალოდნელია რომ კვლევის შინაარსის აღქმა არაერთგავაროვანი იყოს ზღვრული, ან მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების წარმომადგენლების მიერ. ზოგადად, ზღვრული ხასიათი კვლევები და კონცეფციები ყოველთვის შეიცავენ იმ საშიშრობას, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების მიერ საკვლევი საკითხების სხვადასხვაგვარ გაგება-აღქმას. ხშირად, მეცნიერები, პოლიტიკის დამგეგმავები, პრაქტიკოსები და პოლიტიკოსები, განსხვავებულად იგებენ რიგ საკითხებს. მათ სხვადასხვა მიდგომები აქვთ, მათი ინტერესების სფეროში მყოფი საკითხისადმი თუ პრობლემისადმი, რაც ართულებს საკითხის სწორ გაგებასა და აღქმას.

ასევე მოსალოდნელია რომ ბევრი საკითხს, რომლებიც უკავშირდება ეკოსისტემების სერვისების შესახებ ცოდნას, ჯერ-ჯერობით არ ექნება დიდი გავლენა ურბანული პოლიტიკის ფორმირებასა და ქალაქგეგმარებით გადაწყვეტილებებზე[23]. ასევე სუსტია კავშირები მკვლევარებს, პრაქტიკოსებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც ართულებს კონცეპტუალურ სწავლას. დაინტერესებულ მხარეთა კონკურენტული ინტერესები თუ პოლიტიკური გეგმები, სამეცნიერო კამათთან ერთად, ხშირად ხელს უშლის ეკოსისტემების სერვისების შესახებ ცოდნის ათვისებას.

[23] Saarikoski H. et al., Institutional challenges in putting ecosystem service knowledge in practice, Ecosystem Services, Vol. 29, part C, February 2018, Pages 579-598, წყარო: https://doi.org/10.1016/j.ecoser.2017.07.019

ბ) პროექტისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტელექტუალური რესურსების შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან (იხ. ცხრილი ქვემოთ)

კვლევის განხორციელების ბაზა		
№	ორგანიზაციის დასახელება	ფაკულტეტი/დეპარტამენტი/ლაბორატორია
1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი
2		
3		

კვლევისათვის საჭირო აპარატურა და მასალები			
№	დასახელება	არსებული	შესაძენი
1	საზომი ლენტი, 50 მ სიგრძის ან მეტი, სხვადასხვა გაზომვებისთვის		თბილისი
2	კლინომეტრი (clinometer), ხისა და მისი ღეროს სიმაღლეების გასაზომად		შესაძენია საზღვარგარეთ
3	ლაზერული მზომი, ან ჰიფსომეტრი,მანძილებისა და სიმაღლეების გასაზომად		
4	ხის ღეროს დიამეტრის მზომი ლენტი (გაზომვა მკერდის სიმაღლეზე)		

5	კომპასი, GPS-ერთეული		
6	დროშა-ლენტი - უკვე გაზომილი ხეების დასანიშნად, მრავალმცენარიან ნაკვეთზე		
7	დროშა-პინი - ნაკვეთის ცენტრისა და საზღვრების გასაზომად (1/10 აკრი, ანუ 404.6 კვ. მ; r =11.34 მ, c = 71.3 მ)		
8	GPS-ერთეული - ნაკვეთის ცენტრის კოორდინატების მოსანიშნად		
9	უსაფრთხოების ჟილეტი (მანათობელი საღებავით) - ტრანსპორტით გადატვირთულ ადგილებზე სამუშაოდ.		
10	ბინოკლი/ჭოგრიტი - ხის ვარჯზე დასაკვირვებლად, შეფასებისთვის		
11	ცარცი - გაზომილი ხეების , ნაკვეთის საზღვრების მოსანიშნად, ტროტუარზე მონიშვნისათვის.		
12	ხეების ჯიშების გზამკვლევი		
13	GIS-კომპიუტერული ლაბორატორია	თსუ, ტურიზმის სკოლა, თბილისი	

აღნიშნული აღჭურვილობა და ხელსაწყოები საჭიროა თბილისი პარკების ხეებისა და მცენარეულობის შესასწავლად და მათზე მონაცემების შესაგროვებლად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

5 სემესტრის დოქტორანტი ქეთევან სხულუხია

სადოქტორო სემინარი

„თანამედროვე ხელოვნების და ქართული სასკოლო სახელოვნებო განათლების ურთიერთობის პერსპექტივები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ანდრიაძე

თბილისი

2019

„თანამედროვე ხელოვნება და სასკოლო ხელოვნება, როგორც ჩანს არსებობს ორ განსხვავებულ, პარალელურ სამყაროში. ერთი მხრივ, თანამედროვე ხელოვნება თავისი პროვოკაციული იდეებით და თეორეტიზებებით, ახალი პროცესებით და პოსტმოდერნული დისკუსიებით, მეორეს მხრივ სასკოლო ხელოვნება, რომელიც ფუნქციონირებს ბევრად რუტინული, რიტუალური და კონსერვატორული გარემოს ფარგლებში.“[1]

თანამედროვე ხელოვნების და სახელოვნებო განათლების ურთიერთობის განხილვის დროს ბევრი თეორიული და პრაქტიკული კითხვა ჩნდება.

ხელმისაწვდომია კი დღეს კონცეპტუალურად და ლოჯისტიკურად თანამედროვე ხელოვნება მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის?

არის თუ არა სასკოლო ხელოვნება ღია თანამედროვე ხელოვანებისთვის?

არიან თუ არა მზად თანამედროვე ხელოვანები ჩაერთონ სასკოლო სწავლების პროცესში?

რა დამოკიდებულება აქვს, ან შეიძლება ქონდეს თანამედროვე ხელოვნებას სასკოლო ხელოვნებასთან?

როგორ და რა სახით უნდა მოხდეს თანამედროვე ხელოვნების ინტეგრირება სასკოლო სასწავლო პროგრამებში?

სასკოლო ხელოვნება, პირველ რიგში ეს არის “ხელოვნების ფორმა, რომელიც მასწავლებლების მითითებებით და გავლენით იქმნება ბავშვების მიერ სკოლებში. ეს არის ე.წ "ინსტიტუციური ხელოვნების სტილი" რომლის ვიზუალური შინაარსი არ ეხება მოდერნისტული სკოლის შემდეგ არსებულ ხელოვნებას“. [2]

„ყველა ქვეყანას საკუთარი სახელოვნებო სწავლების სტრუქტურა და კულტურული და ნაციონალური კონტექსტი აქვს ხელოვნების საგნის სასწავლო გეგმისთვის.”[3]

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ე.წ. საბაზო სახელოვნებო განათლების სამხატვრო სკოლები (შვიდწლედები) დღესდღეობით ძირითადად არსებობენ ან ექვსწლედებად ან/და არაერთგვაროვანი, სხვადასხვა ხანგრძლივობის სამხატვრო სკოლებად, რომლებიც ექვემდებარებიან თბილისისა და რეგიონების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურებს. მათი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა ა(ა)იპ-ი, ხოლო სტატუსი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები. დღეის მდგომარეობით მათ არ გააჩნიათ არანაირი სახელმწიფო სტანდარტი, არც სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ერთიანი სასწავლო გეგმა. თითოეული სკოლა სწავლების პროცესს ახორციელებს ინდივიდუალურად შემუშავებული სასწავლო გეგმის ფარგლებში. არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან ამ სკოლების პედაგოგები, ვინაიდან მათ დიდ უმრავლესობას მიღებული აქვთ საშუალო პროფესიული განათლება, საშუალო სპეციალური/საშუალო პროფესიული სასწავლებლები (ე.წ. ტექნიკუმები), მაგ.: როგორიც იყო თბილისის ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, გასცემდნენ დიპლომს საბაზო სამხატვრო სკოლების პედაგოგის კვალიფიკაციით. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სახელოვნებო განათლების სისტემაში ე.წ. სსუ-ში (სკოლა-სასწავლებელი-უმაღლესი) პედაგოგიური კადრების „გენერატორად“ მოიაზრებოდა საშუალო რგოლი ანუ „სახალხო განათლების“ რესპუბლიკური კანონის ფარგლებში, ე.წ. საშუალო სპეციალური სასწავლებლები, ხოლო

მოგვიანებით, „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, ე.წ. „საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. მთელ რიგ რეფორმათა ჭრილში, სამწუხაროდ, აღნიშნული რგოლი ამოვარდა. შესაბამისად, შეიქმნა სახელოვნებო სკოლების პედაგოგიური კადრების მწვავე დეფიციტი. პედაგოგთა „ძველ გვარდიას“ აქვთ მასწავლებლის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები, ვინაიდან ახალი კანონმდებლობით მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება. მართალია, სრული ზოგადი განათლების ბაზაზე მიღებული საშუალო პროფესიული განათლება გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან, რასაც ვერ ვიტყვით არასრული ზოგადი განათლების ბაზაზე მიღებულ საშუალო პროფესიულ განათლებაზე. არადა, პედაგოგთა უმრავლესობას სწორედ აღნიშნული ტიპის განათლება აქვთ მიღებული. რაც შეეხება ახალი პედაგოგიური კადრების მომზადებას, სახვითი განათლების კუთხით ერთადერთი სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები, სურვილიც რომ ჰქონდეთ, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ვერც გაწვდებიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი სკოლისგარეშე სახელოვნებო (სამხატვრო) საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფას. მოკლედ, მთელ რიგ სხვადასხვა ხასიათის პრობლემებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა აღნიშნულ პედაგოგთა სერტიფიცირება და ჩართვა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემებში. 2003 წელს, მართალია, განათლების სამინისტროსთან ერთობლივი შეთანხმებით სხვადასხვა საფეხურის სახელოვნებო განათლების პედაგოგთა ატესტაცია მოხდა, თუმცა მალევე წამოწყებული რეფორმების ჭრილში აღნიშნული ატესტაციის შედეგებმა იურიდიული ძალა

დაკარგა. სამწუხაროდ, დღეს სახელოვნებო სკოლების პედაგოგები ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე სკოლებში ხელოვნების მიმართულებით მოღვაწე პედაგოგები.

2. საშუალო სპეციალური სამხატვრო სკოლები ანუ სკოლები, რომელთა ბაზაზეც ერთდროულად ფუნქციონირებდა ზოგადსაგანმანათლებლო და სახელოვნებო კომპონენტი, მაგ.: ასეთი გახლდათ თბილისის ბავშვთა სამხატვრო სკოლა, რომლის ბაზაზეც დღესდღეობით ფუნქციონირებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის საფუძველზე ე.წ. სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - სსიპ თბილისის სამხატვრო სასწავლებელი, სწავლების 10 წლიანი ხანგრძლივობით. საჯარო სკოლის მე-3 კლასელი ბავშვების მიღება ხორციელდება ამ სასწავლებლის პირველ კლასში.

3. პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლები, მოგვიანებით, პროფესიული ცენტრები. მაგ.: როგორიც გახლდათ მოსე თოიძის სახელობის პროფ. ტექნიკური სასწავლებელი. აღნიშნული წარმოადგენდა დაწყებითი პროფესიული (სახელობო) განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებას, მიიღებოდნენ მოსწავლეები არასრული ზოგადი განათლების ბაზაზე. (განსხვავებით საშუალო სპეციალური/საშუალო პროფესიული სასწავლებისგან, სადაც მიღება ხორციელდებოდა როგორც არასრული, ისე სრული ზოგადი განათლების ბაზაზე.

4. საშუალო სპეციალური/საშუალო პროფესიული სამხატვრო სასწავლებლები. აღნიშნული ტიპის სასწავლებლების ძირითად დანიშნულებაზე ზემოთაც ვისაუბრეთ. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამ (2006 წელი), სადაც მოცემული იყო პროფესიული განათლების ახლებური, თუმცა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ხედვა, საშუალო

პროფესიულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში, შექმნა ერთგვარი ვაკუუმი, ვინაიდან პროფესიული განათლება დიფერენცირდა ორ საფეხურად - ე.წ. სახელობო და ე.წ. უმაღლეს პროფესიულ განათლებად, რომლის მიღება შეიძლებოდა მხოლოდ სრული ზოგადი განათლების ბაზაზე. აქედან გამომდინარე, საშუალო პროფესიული სახელოვნებო სასწავლებლები გადაფუძნდნენ ან მილევად რეჟიმში ფუნქციონირებად კოლეჯებად (სრული ზოგადი განათლების ბაზაზე) ან და მრავალწლიან სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებად (მაგ.: ასეთი ისტორია აქვს სსიპ- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებას - სოხუმის შერვაშიძე- ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელს). ამასთან, მალევე განხორციელდა მილევად რეჟიმში ფუნქციონირებად საშუალო პროფესიულ სახელოვნებო კოლეჯების უმრავლესობის ლიკვიდაცია, ისე რომ 2010 წელს „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით 5 საფეხურიანი პროფესიული განათლების დანერგვის მიუხედავად, ვეღარ მოხერხდა მათი ფუნქციონირების აღდგენა. მოკლედ, ასე ამოვარდა პროფესიული განათლების შუალედური რგოლი სახელოვნებო განათლების სისტემიდან და დღეის მდგომარეობით, ამ სისტემის მხოლოდ რუდიმენტები გვაქვს შემორჩენილი. სურათი ასეთია: სხვადასხვა ხანგრძლივობის სასწავლო კურსის (4 წლედები, 6 წლედები, შვიდწლედები, 10 წლედები, 11 წლედები, 12 წლედიანი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, სახელმწიფო სტანდარტის გარეშე, რომელთა პედაგოგებს არ აქვთ მასწავლებლის სტატუსი და რომელთა დასრულების შემდეგ (12 წლიანი სასწავლო კურსის

მქონე სასწავლებლისაც კი), პირს ეძლევა მოწმობა, ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშე. სახელოვნებო განათლების ეს საფეხური ანუ სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლება, თავისი მოცემულობით, ფაქტობრივად არაფორმალური განათლებაა. არადა, პარადოქსია. სახელმწიფო აფინანსებდეს არაფორმალურ განათლებას და ამასთან, ვერ აღიარებდეს მას.

5. უმაღლესი სახელოვნებო განათლება, დღევანდელი ტერმინოლოგიით სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლება, რომელიც დღეის მდგომარეობით წარმოდგენილია როგორც უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ, ისე სხვადასხვა უმაღლესებში სახელოვნებო-შემოქმედებითი პროგრამების საშუალებით განხორციელებულ განათლებად. სახვითი განათლების კუთხით, ამ ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაა თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასევე ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შერეული ტიპის, ვინაიდან აქ სახვითი ხელოვნების მიმართულების გარდა, ისწავლება ტელე-კინო მიმართულება და მუსიკის მიმართულებაც). ამრიგად, უახლოეს წარსულში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში, სახვითი ხელოვნების კუთხით, ფუნქციონირებდა 2 სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - თბილისის სამხატვრო სასწავლებელი (სწავლების 10 წლიანი ხანგრძლივობით) და სოხუმის შერვაშიძე-ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელი (სწავლების 6 წლიანი ხანგრძლივობით, პირველ კლასში მიიღებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები) და ორი სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - თბილისის სამხატვრო

აკადემია და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. რაც შეეხება ა(ა)იპ სკოლისგარეშე სამხატვრო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისინი ფუნქციონირებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურების დაქვემდებარებაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არის 2 სამხატვრო ხელოვნების სკოლა - ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ხელოვნების სამხატვრო სკოლა „აფხაზეთი №1“; 23 ხელოვნების სკოლაში არის სამხატვრო განყოფილება; 50 მასწავლებელია დასაქმებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებებში;

„დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა"- პროექტის ფარგლებში დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, საჯარო სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბებულ 12 სახელოვნებო სკოლა: გორი, წეროვანი, მეტეხი, შაუმიანი, კოდა, თელიანი, შავშვები, სკრა, კარალეთი, ხაშური, მოხისი, ახალსოფელი. 79 დევნილი პედაგოგის დასაქმებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროებში დევნილი ბავშვების სწავლების ხელშეწყობას. პროექტის მიზანია, განათლება მისცეს დევნილ ბავშვებს ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით, რათა მათ საშუალება ქონდეთ მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზაცია ამ მიმართულებით. დასაქმებულია 69 პედაგოგი, სწავლობს 700 - მდე მოსწავლე, სკოლებში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები: თექა, კერამიკა, ხატვა, ქსოვა, ხალხური საკრავები და სხვა.

„ოტია იოსელიანის სახელობის საკვირაო სკოლა„ - პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს წყალტუბოს მოსახლეობისთვის კულტურის სფეროში არაფორმალური

განათლების მიღებას. ქართული ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

- აღნიშნულ სკოლაში დასაქმებულია 11 პედაგოგი;
- სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სექციები: ლიტერატურულ- თეატრალური, მხარეთმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფოტოხელოვნების, თეატრალური მხატვრობის, მოდელირების და სხვა. წლის განმავლობაში ჩართულია 200-მდე მოსწავლე.

„ესთეტიკური აღზრდის“ საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული სავალდებულო საგნებიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სკოლის სამივე საფეხურზეა გათვალისწინებული: დაწყებით და საბაზოზე - სავალდებულო (I-IX კლასები), ხოლო საშუალოზე - (X-XII კლასები) არჩევითი საგნების სახით. თუმცა სკოლების უმეტესობაში მას სხვა საგნებთან შედარებით მეორეხარისხოვანი როლი აქვს მინიჭებული.

დაწყებით საფეხურზე, უმცროსკლასელებში, ხელოვნების სწავლება ძირითადად ბავშვის ემოციური და გონებრივი სფეროს, შრომითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას ემსახურება.

საბაზო საფეხურზე ხელოვნების დარგებში შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოზარდს საკუთარი თავის ძიებისა და თვითდამკვიდრების პროცესს უადვილებს. ამავე დროს, მნიშვნელოვნად არბილებს იმ გამძაფრებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ, რომელიც ნიშანდობლივია ამ ასაკისათვის, ვინაიდან ხელოვნების ნაწარმოების გაგების უნარი განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის მიმართ შემწყნარებლობასაც გულისხმობს. პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარება ხელოვნების ნიმუშის ანალიზისას მასში

გამოყენებული მხატვრული ხერხების, ავტორის ჩანაფიქრის უკეთ გაგებას ემსახურება. მოსწავლეები ახორციელებენ აგრეთვე სხვადასხვა სახის პროექტს. ყოველივე ეს ეხმარება მას არჩევანის გაკეთებაში ესთეტიკური საგნების ჯგუფიდან (იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რასაც სკოლა შესთავაზებს.), რათა X, XI ან XII კლასებში მოხდეს შეძენილი უნარ-ჩვევების და ცოდნის შემდგომი გაღრმავება და პროფესიული საფუძვლების ჩაყრა.

საშუალო საფეხურზე მოსწავლე მზად არის გაცნობიერებული არჩევანისათვის. ამ დროს მას საშუალება ეძლევა, საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიოს და შეისწავლოს სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფთან დაკავშირებული ერთ-ერთი საგანი.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება სასწავლო გეგმის მიხედვით გულისხმობს შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, კომუნიკაციას და ინტერპრეტაციას და ხელოვნების აღქმას კონტექსტში.

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები იძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ეცნობიან და ეუფლებიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებს, პრინციპებს, გამომსახველობით ხერხებს, სხვადასხვა ტექნიკას, მასალას, იარაღსა და პროცედურებს. მოსწავლეები ავითარებენ სხვადასხვა მოტივის ზეგავლენით წარმოშობილი იდეებისა და ჩანაფიქრების ხორცშესხმის უნარს, რისთვისაც იყენებენ წარმოსახვას, ემოციებს, დაკვირვების უნარს, მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას და სწავლის პროცესში მიღებულ ცოდნას.

კომუნიკაცია და ინტერპრეტაციის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ ხელოვნების ნაწარმოების გაგებას და შეფასებას, მის შესახებ აზრის ჩამოყალიბებას, ეჩვევიან საკუთარი ჩანაფიქრის ნათელ და მკაფიო განმარტებას და სხვისი აზრის გულისყურით მოსმენას, ეუფლებიან კოლექტიური მუშაობის და მსჯელობის მეთოდებს. ხოლო ხელოვნების აღქმა კონტექსტში გულისხმობს ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილი ნიმუშების და ხალხური შემოქმედების ზოგიერთი დარგის და მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტების გაცნობას, მათი შინაარსისა და დანიშნულების გარკვევას, მათ დაკავშირებას ყოველდღიურ რეალობასთან და საკუთარ გამოცდილებასთან.

1.კრიტიკული აზროვნება- ხელოვნების შესწავლის პროცესში მოვლენათა გააზრებისა და პრობლემათა წვდომის უნარის ჩამოყალიბებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას ხელს უწყობს:

ა) მოსწავლეთა მიერ მხატვრული იდეების პროდუცირებას,

ბ) საკუთარი და სხვების შემოქმედების დახასიათებას,შეფასებას და ანალიზს;

გ) იმ როლის გააზრებას, რომელსაც ასრულებს ეროვნული და მსოფლიო კულტურების მემკვიდრეობა სხვადასხვა კონტექსტში.

2. პრობლემათა გადაჭრის უნარი- ხელოვნების სწავლებისას პრობლემათა გადაჭრის უნარის განვითარებას ხელს უწყობს:

ა) სწავლის პროცესში წარმოშობილი იდეების რეალიზაციის პრაქტიკას,

ბ) საუკეთესო შედეგის მისაღწევად საჭირო მასალის, იარაღის, გამომსახველობითი ხერხების თუ ტექნიკის შერჩევას და ეფექტურ გამოყენებას,

გ) დასახული ამოცანის გადაჭრისათვის აუცილებელი ინიციატივის და პასუხისმგებლობის გამოვლენას;

გ) სტრესის, იმედგაცრუებისა და მარცხის დაძლევას და დასახული მიზნისაკენ მტკიცედ სწრაფვას.

3. თვითგამოხატვის უნარი- ხელოვნების შესწავლის პროცესში მოსწავლის თვითგამოხატვას (შეხედულებები, იდეები, განწყობები, გრძნობები) ხელს უწყობს:

ა) განსხვავებული მხატვრული მასალისა და ხერხების ათვისება-დაუფლებას;

ბ) მხატვრული რესურსების (მასალისა და მეთოდების) თვითგამოხატვის პროცესთან დაკავშირებას;

გ) თანაკლასელთა მხატვრულ შემოქმედებაში გარკვეული შეხედულებების, იდეების, განწყობებისა და გრძნობების ამოცნობას და მათზე მსჯელობას;

დ) საკუთარ მხატვრულ ნამუშევარში გამოსახულ შეხედულებებზე, იდეებზე, განწყობებსა და გრძნობებზე მსჯელობას.

4. შემოქმედებითი აზროვნება - ხელოვნების სწავლებისას მოვლენების მიმართ შემოქმედებითი მიდგომის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ორიგინალური მხატვრული

იდეების გენერირება და მათი განხორციელებისათვის არასტანდარტული გზების ძიება.

5. სამოქალაქო ცნობიერება- ხელოვნების სწავლებისას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილისა და უნარის, ეროვნული თვითშეგნების გრძნობის განვითარებას ხელს უწყობს: კლასის, სკოლის და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებასა და კეთილდღეობაში საკუთარი წვლილის შეტანა; კულტურული მემკვიდრეობის და საზოგადოების წინაშე საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

6. კომუნიკაციის უნარი- ხელოვნების სწავლებისას კომუნიკაციის უნარის განვითარებას ხელს უწყობს:

ა) საკუთარი და სხვისი ნაწარმოებების შესახებ მსჯელობა, კამათი და პოზიციის დასაბუთებას;

ბ) სხვადასხვა საშუალებებით (ხატვა, წერა, მსჯელობა) საკუთარი აზრისა და გრძნობების გამოხატვას;

გ) ჯგუფური მუშაობისას სხვებთან ურთიერთობას, თანამშრომლობას და პრობლემურ საკითხებზე შეთანხმებას;

დ) კრიტიკული თვალსაზრისის გამოთქმას და დასაბუთებას.

7. კვლევა-ძიების უნარი-ხელოვნების სწავლებისას ინფორმაციის მოპოვებისა და გაანალიზების უნარის განვითარებას ხელს უწყობს:

ა) ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას;

ბ) ინფორმაციის შეჯერებას, კრიტიკულ შეფასებას და ეფექტურ ორგანიზაციას;

გ) ინფორმაციის გამოყენება საკუთარი შემოქმედებისათვის, კვლევისათვის, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბებისათვის და სამოქმედო გეგმის განსაზღვრისთვის.

8. თვითშეფასების და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარი. ხელოვნების სწავლებისას თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარის განვითარებას ხელს უწყობს:

ა) საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღწევების სწორ შეფასებას;

ბ) საკუთარი ემოციების გაცნობიერებას და მათ მართვას;

გ) უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლის ჩვევის გამომუშავებას;

დ) საქმიანობის სწორად და ეფექტურად დაგეგმვის უნარს;“ [4]

„2014 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში პირველად ჩატარდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოცდა აბიტურიენტებისათვის. გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 143-მა აბიტურიენტმა, მათ შორის 132-მა გამსვლელი ქულა მოიპოვა, რაც საერთო რაოდენობის თითქმის 91%-ია. საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ ორი - თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან შედგება. გამოცდა მხოლოდ თეორიულ ნაწილს ითვალისწინებს. ფაკულტეტები და სპეციალობები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების შემოწმება, აბიტურიენტთათვის შემოქმედებით ტურებს ნიშნავენ.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VI-IX კლასების საგნობრივ სტანდარტთან და ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში შეტანილ მასალას.“[5]

„თავისი არსით ხელოვნება ღია კონცეპტია, რომელიც სულ ვითარდება და იცვლება.“ [6]

„მსგავსად ხელოვნებისა, სახელოვნებო განათლება არის სფერო, რომელიც აგრძელებს გაფართოებას და ცვლას, რთავს თავის პრაქტიკაში ახალ სახელოვნებო პრაქტიკებს და მნიშვნელოვან თანამედროვე დისკურსებს ვიზუალური ხელოვნების, კულტურის კვლევების, მატერიალური კულტურის, კრიტიკული თეორიის და ფსიქოანალიზის შესახებ.” [7]

“სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში განათლების პოლიტიკა ნაკლებ ღირებულებას ანიჭებს სახელოვნებო განათლებას, რაც იწვევს ცოდნის ამ სფეროს იზოლაციას და გაუფასურებას.”[8]

რატომ უნდა გამოიკვეთოს თანამედროვე ხელოვნების სწავლებისთვის მეტი სივრცე?

დღესდღეობით ბავშვები იზრდებიან სხვადასხვა მედიის გარემოცვის ქვეშ, მათი ყოველდღიურობა სავსეა სხვადასხვა სახის და შინაარსის სატელევიზიო, კომპიუტერული და სარეკლამო გამოსახულებებით. თუმცა მათ დღეს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა თვალი ადევნონ და თავად გამოსცადონ სხვადასხვა სახელოვნებო პრაქტიკა პროცესში და/ან დაწყებიდან საბოლოო შედეგამდე, შესაბამისად ხშირად ამა თუ იმ პროდუქტის მხოლოდ საბოლოო შედეგს ხედავენ ეკრანზე ან რეალურ ცხოვრებაში. „მოსწავლეები ხდებიან მომხმარებლური

კულტურის ნაწილი და ინდივიდუალური იდენტობების კონსტრუირებას მცირე კრიტიკული რეფლექსიით შეძლებენ.“[9]

ხელოვნება, რომელიც იქმნება დღეს კულტურულად მრავალფეროვანი, ტექნოლოგიურად პროგრესირებადი და მრავალმხრივია. მედიუმების ფართო სპექტრში მუშაობით თანამედროვე ხელოვანები ხშირად ასახავენ და კომენტარს უკეთებენ თანამედროვე საზოგადოებას. მაშინ როცა „ტიპიურ სამხატვრო სკოლის პრაქტიკაში ექსპრესიული სუბიექტია კვლავ დომინანტური დისკურსი და ტიპიური სასწავლო პროგრამები უმეტესად მიმართულია მატერიალური ობიექტის შექმნისთვის საჭირო უნარების და ტექნიკების განვითარებაზე.“[10]

თანამედროვე მხატვრები იყენებენ მასალების და რესურსების უსაზღვრო ვარიანტებს. შესაბამისად რთულია შემოსაზღვრა და დაზუსტება იმ რთული კონცეფციების და მასალების, რომლებსაც თანამედროვე ხელოვანები იყენებენ მუშაობის დროს. მაგალითად კონცეპტუალური ხელოვნება და ინსტალაცია დაეხმარება მოსწავლეებს, ისწავლონ კითხვების დასმის მნიშვნელობა და სივრცის დინამიკა. მსგავსი წინასწარ მონიშნული ხედვის წერტილები მასწავლებლების მხრიდან საშუალებას მისცემს მოსწავლეებს თავიდან აირიდონ სწორხაზოვანი აზროვნება და საკლასო სივრცე დამოუკიდებელი სწავლისა და კვლევისთვის გამოიყენონ ხოლო სასწავლო პროცესი არ მიმართონ მხოლოდ ბავშვების ხელისა და თვალის კოორდინაციასა და მცირე მოტორული უნარების განვითარებაზე.

ხელოვნების პედაგოგებმა კრიტიკული მიდგომით უნდა მოახდინონ თანამედროვე ვიზუალურ კულტურაში არსებული გამოსახულებების, ობიექტების, ხელოვნების ნიმუშების და

პროცესების ანალიზი და ინტერპრეტირება. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ არსებობს საკმარისი რაოდენობის პედაგოგთა გადამზადების პროგრამები თანამედროვე სახელოვნებო განათლების მიმართულებით და ყველას არ აქვს მოტივაცია და რესურსები თავად იზრუნოს საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე, ხოლო ზოგადი მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამები ადეკვატურად არ ახდენს ხელოვნების როლის მნიშვნელობის პოპულარიზაციას სწავლების და სწავლის პროცესში.

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელოვნების მასწავლებელთა პროფესიონალიზმი ნაწილობრივ შეფასებულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენების ხარისხით. რაც უმეტესად სკოლის ადმინისტრაციის და მშობლების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და მოლოდინზეა ორიენტირებული, ვიდრე მოსწავლეებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოლოდინი ხშირად არც შეესაბამება ხელოვნების სწავლებისა და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ არსებით შედეგს. გარკვეული ესთეტიკური და ტექნიკური სტანდარტის ჩარჩოებში შესრულებული ნამუშევრები და მათი საგამოფენო ექსპოზიცია ხშირად შემოქმედებითად შეზღუდულია.

ხელოვნების სწავლების პროცესი არ უნდა იყოს იზოლირებული და გამიჯნული სხვა დისციპლინებისგან, როგორც ის დღეს არის. აუცილებელია სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების ერთმანეთთან მჭიდრო ინტეგრირება და თანამშრომლობა. მაგალითად, ბიზნესისა და ტექნოლოგიის სფერო შეიძლება ინტეგრირდეს ხელოვნების კომერციულ ასპექტში, ან მოსწავლეებს მიეცეთ პროექტები, რომლებიც ხელოვნებას დააკავშირებს ისტორიასა და სოციალურ

მეცნიერებებთან. ეს მიდგომა მოითხოვს ხელოვნების განათლების ღირებულების აღიარებას სხვა საგნების მასწავლებლების მხრიდანაც.

ამას გარდა მხატვრული და შემოქმედებითი პრაქტიკის კონცეფცია, როგორც ინდივიდუალური ფენომენი ფართოვდება და თანამშრომლობით ფორმებს მოიცავს. განცალკევებულად სახელოვნებო პრაქტიკის გარდა უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს თანამშრომლობითი სახელოვნებო პრაქტიკების მიდგომები და კონტექსტები. ამისთვის კი სავალდებულო და აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სივრცეები, სადაც მოსწავლეები შეძლებენ სხვადასხვა საკვლევი და სამუშაო საშუალებებით მასწავლებლებთან და თანატოლებთან თანამშრომლობით, საკუთარი იდეების დახვეწასა და განხორციელებაზე მუშაობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ თავისუფლება თავად მიიღონ საკუთარ ნამუშევარზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ხელოვნების პრაქტიკის კონცეპტუალური ასპექტები, ხელოვნების რაობა და მხატვრის ბუნება ხელახალ გააზრებას გადის და ასევე ხელოვნების სწავლების პედაგოგიური პრაქტიკებიც აუცილებელ გარდაქმნას საჭიროებს. ბევრი განათლების მკვლევარი აღნიშნავს არასაკმარის შესაბამისობას თანამედროვე ხელოვნებასა და სახელოვნებო სწავლების მეთოდებს შორის და მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს სამხატვრო სკოლების რეკონცეპტუალიზაცია იმისთვის, რომ გაიხსნას ახალი შესაძლებლობები სახელოვნებო სწავლების მიმართულებით.

თანამედროვე ხელოვნება კი ამ მხრივ ძლიერი პლატფორმაა, იმისთვის, რომ დავანახოთ მოსწავლეებს, რომ ხელოვნება არ ნიშნავს მხოლოდ ლამაზი ნამუშევრების შექმნას, რომელიც ესთეტიკურად მიმზიდველია არამედ, რომ მას აქვს

ძლიერი ვიზუალური ზემოქმედება, ძლიერი ჩანაფიქრით რათა გავლენა მოახდინოს აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებაზე იმის შესახებ, რისი სინთეზირებაც მოახდინა ხელოვანმა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით.

„თანამედროვე ხელოვნების სწავლებისას რამდენიმე ძირითადი იდეა უნდა გვახსოვდეს. ხელოვნება არის ძირითადი წყარო. ხელოვნების ნიმუშს, როგორც წერილს, რუკას ან ტრანსკრიფტს შეუძლია მოგვითხროს კონკრეტული ადგილის, პერსპექტივის ან დროის კონკრეტული მომენტის შესახებ. ამავდროულად ხელოვნება შეიძლება იქნას წაკითხული, გაანალიზებული და ინტერპრეტირებული, როგორც ტექსტი. ხელოვნება შეიძლება იყოს აზროვნების პროვოცირების საშუალება, ტრამპლინი, რომელიც სასწავლო პროგრამებს თანამედროვე საზოგადოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს დააკავშირებს. ეს გამოცდილება ტრადიციული პედაგოგიკის უფრო ალტერნატიულ მიდგომებს გვთავაზობს.“[11]

იმისთვის, რომ მასწავლებლებს და მოსწავლეებს ქონდეთ მეტი ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე თანამედროვე ხელოვნების, ხელოვანების, ლოკალური და გლობალური სახელოვნებო პროცესების შესახებ, მნიშვნელოვანია არსებულ საგანმანათლებლო და ინსტიტუციური სტრუქტურების ბაზაზე ალტერნატიული სივრცეების შექმნა, რომლებიც თავისუფლად განახორციელებენ ექსპერიმენტულ საგანმანათლებლო პროექტებს. რაც მოიცავს პოსტ იერარქიულ სასწავლო გარემოს, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ურთიერთთანამშრომლობის გზით განახორციელებენ იდეების გაცვლას და მათ რეალიზებას, რომელიც პროცესზე უფრო იქნება ორიენტირებული, ვიდრე შედეგზე. დემატერიალიზებული მედიუმების: საუბრების, ლექციების, დისკუსიების ჩართვა

სკოლებში, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მოღვაწე ადგილობრივ და უცხოელ ხელოვანს დააკავშირებს საგანმანათლებლო პროცესთან.

მნიშვნელოვანია იმ ინიციატივების წახალისება და გაზრდა, რომლებიც გავლენას მოახდენენ სასწავლო გეგმების შემუშავებაზე, პედაგოგიური კვალიფიკაციის სტანდარტების შემუშავებაზე და სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაზე. ხელოვნების სწავლება გულისხმობს თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას. ის თავისი ბუნებით არადისკრიმინაციული უნდა იყოს და უნდა მოერგოს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებსაც.

აუცილებელია სახელოვნებო განათლების ეს საკითხები მთლიან კონტექსტში განიხილებოდეს, რაც ვიზუალური ხელოვნების სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საფეხურებს ერთმანეთთან დააკავშირებს.

ხათუნა ხაბულიანი თავის სადისერტაციო ნაშრომში „ვიზუალური ნიშნების ტრანსფორმაცია: მხატვრული ფორმები და კონცეფციები პოსტმოდერნისტული ხელოვნების ქართულ ვერსიაში“ ვიზუალური ხელოვნების სწავლების პრობლემების შესახებ წერს: „საქართველოში ვიზუალურ ხელოვნებაში უმაღლესი განათლების ძირითად მოქმედ ინსტიტუციას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარმოადგენს დაარსებიდან (1922 წ) დღემდე. აკადემიას განვითარების რთული ისტორია და ასევე 110 რთული სტრუქტურა აქვს და ის მნიშვნელოვან სეგმენტს ქმნიდა საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როცა ცენზურისა და მუდმივი იდეოლოგიური დირექტივების წნეხის ქვეშ ცალკეული მხატვრები და აკადემიის მმართველები ახერხებდნენ შედარებითი თავისუფლების სივრცის შექმნას. ძირითადად ამ გარემოებამ შეუქმნა აკადემიას ის რეპუტაცია, რითიც ის საბჭოთა ისტორიის დროს სარგებლობდა. 1990-იანი

წლებიდან აკადემიის წინაშე დადგა ამოცანა ახალი რეალობისთვის შესაბამის სტრუქტურაზე და რეფორმებზე ეზრუნა, მაგრამ საკმაოდ დიდი მასშტაბის ინსტიტუციის პირობებში ეს არც ისე მარტივად შესასრულებელი ამოცანა იყო. 2005 წლიდან საქართველო ბოლონიის პროცესს მიუერთდა და სამხატვრო აკადემიაშიც დაიწყო სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც კრიტიკული განხილვების გარეშე არ დარჩენილი. სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების უმეტესობა თვლიდა, რომ სახელოვნებო სასწავლელების სპეციფიკა განსხვავებულ მიდგომებს ითხოვს, ხოლო მიმდინარე რეფორმა მათ უნიფიცირებას გამოიწვევდა. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აკადემიას სჭირდებოდა ვიზუალური ხელოვნების თანამედროვე დისციპლინების სასწავლო პროგრამებში ჩართვა და ზოგადად სისტემური მოდერნიზაცია. აკადემიას დაემატა მედია ფაკულტეტი და შეუერთდა ფოტოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციის მაფ_მედია არტ ფერმის ბაზაზე არსებობდა. ამ ცვლილებების ფონზე პრობლემად დარჩა მთავარი საკითხის - ხელოვნების განსაზღვრის საკითხი, სადაც აკადემიას უნდა გაეაზრებინა ის ცვლილება, რაც ხელოვნების ისტორიაში მოხდა იმ პეროდში, როცა ის ჩაკეტილ სისტემაში არსებობდა და ჩამოშორებული იყო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს. საბჭოთა პერიოდის სამხატვრო აკადემიაში არ ისწავლებოდა თითქმის მთელი მეოცე საუკუნე და ის კონცენტრირებული იყო აკადემიზმსა და რასაკვირველია, ოფიციალურად აღიარებულ სოციალისტურ რეალიზმზე. ამ ისტორიის შედეგად რთული იყო ხელოვნების თანამედროვე პროცესების, მედიუმებისა და ფორმატების გააზრება. თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა. ეს საკითხი დღემდე პრობლემატურად გამოიყურება და

გავრცელებული აზრით დინამიურ განვითარებას ხელს ისიც უშლის, რომ არ არსებობს კონკურენტი ინსტიტუციები. არსებობს სხვადასხვა სახის კურსები, არაფორმალური სამაგისტრო პროგრამა (თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-თბილისი), ვიზუალური ხელოვნების ახლად დაარსებული ფაკულტეტი თავისუფალ უნივერსიტეტში, აუდიო-ვიზუალური ფაკულტეტი ჯიპაში, რაც ქმნის წინაპირობებს, რომ საკონკურენციო ველი ადრე თუ გვიან შეიქმნება."[12]

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ინსტიტუციას და სკოლას თავისი უნიკალური სწავლების ფორმა შეიძლება ქონდეს, მათ უნდა აერთიანებდეთ საერთო იდეა იმ პრობლემების დასაძლევად, რაც დღეს ვიზუალური ხელოვნების სწავლების მიმართულებით დგას.

თანამედროვე ხელოვნებაში ბევრი საკითხი და იდეაა, რომელიც არ არის სკოლის ასაკის მოსწავლისთვის შესაბამისი. არიან ავტორები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ მასწავლებლებს ამ პროცესში და მუშაობენ თემებზე, თუ როგორ არის შესაძლებელი სასკოლო ასაკის მოსწავლეებისთვის უსაფრთხო და ადეკვატური სასწავლო პროგრამის შემუშავება.

თანამედროვე სახელოვნებო განათლებას ძალიან მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა თერაპიასა და პოსტ-კატასტროფულ და პოსტკონფლიქტურ კონტექსტში, რადგან თავისი არსით ის არადისკრიმინაციულია.

იმისთვის, რომ შეიქმნას კომპლექსური, სიღრმისეული მიდგომა ხელოვნების როლზე საზოგადოებაში, სასწავლო გეგმა უნდა დაეფუძნოს ხელოვანების როლს, სახელოვნებო პრაქტიკების მნიშვნელობას, ხელოვნების მნიშვნელობას და მის

როლს. თუ ჩვენ არ გვინდა რომ მოსწავლეებმა ხაზის, ფორმის, ფერის და კონტრასტის გარდა არაფერი ისწავლონ.

ასევე საჭიროა ყურადღება გამახვილდეს სწავლების და სწავლის დროს ახალი ტექნოლოგიების და ახალი მედიის, აგრეთვე ხელოვნების მასწავლებლების მომზადების ხელმისაწვდომობისთვის ონლაინ სწავლების გამოყენების საკითხს.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ ხელოვნების სწავლების როლი გააფართოვა და 21-ე საუკუნეში ხელოვნების მასწავლებლებს ახალი როლი შესძინა. ეს ტექნოლოგიები შეიძლება მნიშვნელოვნად ემსახურებოდეს ხელოვნების მასწავლებლებს, მხატვრებს, მეცნიერებსა და სხვა პედაგოგებს შორის თანამშრომლობის პლატფორმას.

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 1 ივლისს #303 დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს "კულტურის სტრატეგია 2025" სადაც ვკითხულობთ:

„1.2. მიზანი: კულტურა და შემოქმედებითობა, როგორც სკოლამდელი და ზოგადი, ისე არაფორმალური განათლების შემადგენელი ნაწილია. ის ავითარებს შემოქმედებით უნარებს და აღვივებს კულტურისადმი ინტერესს ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში.

ამოცანები: კულტურის საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის, სახელოვნებო განათლების სფეროს სისტემური საკანონმდებლო რეფორმის განხორციელება და შესაბამისად, ზოგადი განათლების სისტემაში კულტურის/სახელოვნებო განათლების საკანონმდებლო-მარეგულირებელი მექანიზმების

სრულყოფა სფეროს სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

კულტურისა და სახელოვნებო გაკვეთილების რაოდენობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

სასკოლო განათლების სისტემაში კულტურისა და შემოქმედებითობის ინტეგრაციის ხელშეწყობა მასწავლებელთა პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სტაბილური სისტემის შექმნის

გზით (კურიკულუმების, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მომზადება შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომების გამოყენება სწავლების პროცესში და სხვ.);

სკოლისგარეშე კულტურის საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის სახელოვნებო განათლების სისტემის სრულყოფა და განვითარება: სკოლისგარეშე კულტურის/სახელოვნებო განათლების სტანდარტის (საგნობრივი, მასწავლებლის პროფესიული, სასწავლო გარემოს, შეფასების და სხვ.) შემუშავება, დანერგვა და ამ სტანდარტის განხორციელების მონიტორინგი, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგის სტატუსის განსაზღვრა და სერტიფიცირების წესის დადგენა, შრომის ანაზღაურების რანგირების სისტემის შემუშავება და სხვა.; განათლებისთვის მრავალფეროვანი გარემოს შექმნისა და აუდიტორიის განვითარების მიზნით პედაგოგებსა და ხელოვანებს, ასევე, კულტურის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის სასკოლო და კლასგარეშე პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეწყობა (მაგ. სააბონემენტო სისტემის დანერგვა კონცერტებზე, თეატრალურ და საოპერო

წარმოდგენებზე, გამოფენებზე დასასწრებად, ლექცია-გამოფენის, ლექცია-კონცერტის ორგანიზება, სამოყვარულო-შემოქმედებით კოლექტივებში მონაწილეობა და სხვა.);

სახელოვნებო განათლების სისტემის მდგრადობის მიზნით სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლებში, საჭიროებათა ანალიზზე დაყრდნობით, მოსწავლეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა; ინოვაციურობისა და შემოქმედებითობის წახალისების მიზნით, შესაბამისი სისტემის (სტიპენდიები, ჯილდოები, გრანტები და სხვ.) შემუშავება და დანერგვა. ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლებისთვის, პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის; სასკოლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლების ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (მაგ. ვაუჩერების შეთავაზება წიგნების, კომპიუტერული, აუდიო და ვიდეო ტექნიკის შესაძენად და სხვა.)

1.4. მიზანი: ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები სრულად პასუხობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს კულტურის მუშაკების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ამოცანები:

საჭიროებათა ანალიზზე დაყრდნობით, კულტურის სექტორის მუშაკთა, ხელოვანთა და მასწავლებელ-ინსტრუქტორთა (ტრენერთა) პროფესიული განვითარების ეფექტური სისტემის, პროფესიული დახელოვნების, გადამზადების პროგრამების შემუშავება სხვადასხვა საკითხზე (მაგ. პროექტის წერა, ფონდების მოძიება, აუდიტორიის განვითარება, მარკეტინგი, უცხოური ენა, ტრენერთა გადამზადება) და არსებული პროგრამების გაუმჯობესება

სწავლების თანამედროვე ტენდენციების, ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების და სხვა. გათვალისწინებით;

ქვეყნის მასშტაბით კულტურის სექტორში პროფესიული ცოდნისა და მართვის უნარების გაუმჯობესების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით კულტურის სასწავლო ცენტრის, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება და განვითარება; კულტურის მუშაკთა უახლეს სამეცნიერო ტექნიკურ მიღწევებთან გაცნობისა და კოლეგებთან დაახლოების მიზნით სპეციალური პროგრამების, მათ შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ორგანიზება; კულტურის განათლების სფეროს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერა წამყვან სასწავლო დაწესებულებათა ბაზაზე.

სახვითი ხელოვნება

სამხატვრო განათლების ეფექტური სისტემის განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამხატვრო განათლების სფეროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების დახვეწა, სასწავლო სტანდარტებისა და სწავლების მეთოდების დადგენა და სხვა.;

სამხატვრო საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების (სამხატვრო ინვენტარით, სასწავლო მასალებით და ა.შ. უზრუნველყოფა) ხელშეწყობა; სამხატვრო სკოლების სისტემის შექმნა და დახვეწა პროფესიული უნარებისა და აზროვნების განვითარების, დაოსტატების მიზნით.“[13]

„2018 წლის 10 ივლისს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში ევროსაბჭოს ექსპერტებს შეხვდა, რომლებიც 4 ქვეყანას წარმოადგენდნენ: ფინეთს, პოლონეთს, ბელგიას და ესპანეთს. შეხვედრის მთავარი თემა იყო სახელოვნებო

განათლების მიმართულებით არსებული პოლიტიკა და ის ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაიდგას საქართველოში აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

„საკითხი ეხება, როგორც ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებს, ასევე, არაფორმალურ განათლებას. ჩვენ ვისაუბრეთ დღეს არსებულ სიტუაციაზე; საქართველოში დანერგილ მრავალფეროვნებაზე, როგორც მართვის, ასევე, მეთოდოლოგიური კუთხით. ბუნებრივია, ამ სისტემას თავისი უპირატესობებიც აქვს, თუმცა ძირითად გამოწვევად რჩება სახელოვნებო განათლების ხარისხის გაუმჯობესება, პირველ რიგში, ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, განსაკუთრებით, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. ასევე მნიშვნელოვანია არაფორმალურ ანუ სამუსიკო სასწავლებლებში, სახელოვნებო სკოლებში ხელმისაწვდომობის პრობლემის მოწესრიგება“, -განაცხადა მარიამ ჯაშმა.

საუბარი შეეხო პედაგოგთა კვალიფიკაციასა და მოტივაციას. „სამწუხაროდ, დღეს სახელოვნებო სკოლების პედაგოგები ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე სკოლებში ხელოვნების მიმართულებით მოღვაწე პედაგოგები, თუმცა იქაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გვჭირდება სამომავლო“, - აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ. შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე სამთავრობო რესტრუქტურიზაციის პროცესზე, რომელიც განათლებისა და კულტურის უწყებების გაერთიანებას ეხება. „ეს იქნება უნიკალური შესაძლებლობა, რომ სახელოვნებო განათლება ყველა საფეხურზე მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ“, - განაცხადა მარიამ ჯაშმა. მისი თქმით, დასავლეთის წარმატებული ქვეყნების თითქმის ყველა საჯარო

სკოლას აქვს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა სახელოვნებო განათლების მიმართულებით. „ძლიერი სახელმწიფოების პრაქტიკულად ყველა სკოლაში მოქმედებს სასკოლო ორკესტრი შესაბამისი მუსიკალური ინსტრუმენტებით. ბუნებრივია, ეს ცვლილებები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რაც ამ ეტაპზე არ შეიძლება იყოს რეალისტური საქართველოში, მაგრამ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ სახელოვნებო განათლება მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ თუნდაც მცირე ინვესტიციებით. ჩვენ გვაქვს ქართული უნიკალური ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებები, რომელიც შეგვიძლია სისტემურად გავაძლიეროთ და ბევრი ბავშვი მოვიცვათ სკოლებში“, - აღნიშნა მარიამ ჯაშმა.

მისი ინფორმაციით, სექტემბერში კომიტეტი მისიის წარმომადგენლების მხრიდან ელოდება რეკომენდაციებს, რომელსაც დეტალურად განიხილავს სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად.“[14]

და აქვე წარმოგიდგენთ ერთ-ერთ ბოლოდროინდელ პროექტს „პარალელური კლასის“ სახით, რომელიც 2017 წლის ოქტომბერში შეიქმნა სახელმწიფო სასკოლო განათლების სისტემასთან შექმნილი პარალელური განათლების ნიმუში „პარალელური კლასი“. პირველი ჯგუფი, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის, 99-ე საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა. 8 თვის განმავლობაში ახალგაზრდების პროფესიული ჯგუფი, ხელოვანების, ასევე სხვა სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით მუშაობდა სასკოლო განათლების განვითარების თემაზე.

სასწავლო კურსი, სპეციალურად შერჩეულ, პროფესიულ,

თერაპიულ, პრაქტიკულ და თეორიულ შეხვედრებს გულისხმობს, რომლებიც ოცამდე განსხავებულ დარგს მოიცავს. სასწავლო კურსი, მიმდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული სისტემის პარალელურად. სკოლასთან თანამშრომლობით, ზრდის მოსწავლეების სოციალურ აქტიურობას და საგანმანათლებლო, სახელოვნებო პროცესებში ჩართულობას, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის გარეთ. ლექციების/შეხვედრების უმეტესი ნაწილი სპეციალურად შერჩეულ კულტურულ, საგანმანათლებლო, საჯარო და კერძო სივრცეებში მიმდინარეობს. აღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფი მუდმივად გადაადგილდება და ეცნობა ქალაქს, შედეგად ბავშვები ამყარებენ ჯანსაღ კომუნიკაციას გარემოსთან და უყალიბდებათ სამოქალაქო პასუხიმგებლობა. საცხოვრებელი სივრცის, ქალაქის კონტექსტის გააზრება და დისციპლინების განსხვავებული პერსპექტივიდან დანახვა, რაც პირდაპირ აისახება მოსწავლის გააზრებულ არჩევანზე სკოლის შემდგომ ეტაპთან დაკავშირებით.

კლასის თხუთმეტი წევრიდან რვამ სრულად გაიარა რვა თვიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის იდეური და ფუნქციური მხარე ამ ხნის განმავლობაში მუდმივად ვითარდებოდა და კონკრეტულ ფორმულამდე, მაგალითამდე მიაღწია.

სასწავლო წლის დასასრულს „პარალელურმა კლასმა“ შექმნა ახალი შესაძლებლობების საკლასო ოთახი. 2018 წლის 16 ივნისს 99 -ე საჯარო სკოლაში წარმოადგინა 8 თვიანი მუშაობის შედეგი, ნამუშევარი - „გეომეტრია“

ბიბლიოგრაფია:

1. Jeffers,C.S.,Parth,P.(1996). Relating Controversial Contemporary Art and School Art: A Problem-Position. Studies in Art Education, 38(1), 21.
2. Efland,A.(1976).The School Art Style: A Functional Analysis. Studies in Art Education, 17:2, 37-39.
3. Irish National Teachers' Organisation.(2009). Creativity and the Arts in the Primary School. Discussion Document and Proceedings of the Consultative Conference on Education,13.
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.(2016). საგნობრივი პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. მოძიებულია 14 ნოემბერი, 2018. http://ncp.ge/.თავი XLV, 1323-1324, 1321-1322.
5. შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი.(2016).საგამოცდო კრებული: როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. მოძიებულია 12 ნოემბერი, 2018. https://www.naec.ge/uploads/images/doc/EXAMS/2015-krebuli-abit-xelovneba.pdf.3-5.
6. Weitz, M. (1956). The Role of Theory in Aesthetics. The Journal of Aesthetics and Art Criticism,XV,27-35. 4. მოძიებულია 25 დეკემბერი. 2018. http://www2.hawaii.edu/~freeman/courses/phil330/24.%20The%20Role%20of%20Theory%20in%20Aesthetics.pdf

7. Gude,O.(2007).Principles of Possibility: Considerations for a 21st-Century Art & Culture Curriculum, Art Education,60,7.

8. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization.(2006). Road Map for Arts Education. The World Conference on Arts Education: Building Creative Capacities for the 21st Century,16.

9. Freedman, IC., Schuler, K(2002). Television in art education. Visual Arts Research, 28(2), 19.

10. Danto, A. C. (1989). K.O.S. and the art history of collaboration. In G. Garrels (Ed.), Amerika: Tim rollins + K.O.S.. New York: Dia Art Foundation. 64.

11. Okmin, J. Teaching with Contemporary Art. Hayidion the Prizmah Journal, Issue:Art and Aesthetics. მოძიებულია 20 ოქტომბერი.2018. https://prizmah.org/teaching-contemporary-art.

12. ხაბულიანი, ხ. (2016). ვიზუალური ნიშნების ტრანსფორმაცია: მხატვრული ფორმები და კონცეფციები პოსტმოდერნისტული ხელოვნების ქართულ ვერსიაში. დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 109-110.

13. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. (2016). კულტურის სტრატეგია 2025(დადგენილება №303). 11-12,50.

14. საქართველოს პარლამენტი.(2018). მარიამ ჯაშისა და ევროსაბჭოს ექსპერტების შეხვედრაზე სახელოვნებო განათლების გაუმჯობესების შესახებ იმსჯელეს.მოძიებულია 15 ნოემბერი,2018. http://www.parliament.ge/ge/saparlamento-

saqmianoba/komitetebi/ganatlebis-mecnierebis-da-kulturis-komiteti/axali-ambebi-ganatleba/mariam-djashisa-da-evrosabchos-eqspertebis-shexvedraze-saxelovnebo-ganatlebis-gaumdjobesebis-shesaxeb-imsdjeles.page.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
V სემესტრის დოქტორანტი
ირაკლი გუნია
(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

„მტერი კარიბჭესთან: მტრის ტრადიცია რუსულ პოლიტიკაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფიქრია ასანიშვილი

თბილისი
2019

შესავალი

როგორც უმბერტო ეკო თავის ერთ გვიანდელ ესსეში წერს, „მტრის არსებობა მნიშვნელოვანია არამხოლოდ ჩვენი იდენტობის განსასაზღვრად, არამედ იმ დაბრკოლების მოსამარაგებლად, რომლის საპირისპიროთაც ჩვენს ფასეულობათა სისტემას ვაყალიბებთ და რომლის გადალახვა ჩვენს ღირებულებას აჩვენებს“ (Eco 2012, 2). რუსული პოლიტიკისა და ისტორიის ნებისმიერი სრულფასოვანი განხილვა შეუძლებელია მტრის ტრადიციის ხსენების გარეშე. რუსეთის შემთხვევაში „სხვას“ ენიჭებოდა განუზომლად დიდი როლი საკუთარი „თავის“ განსამიჯნად და აქ „სხვასთან“ კონფრონტაცია ყოველთვის დიდი მოწონებით სარგებლობდა. წარმოსახული მტერი დღესაც რჩება იმ გადაულახავი პრობლემატიკის ნაწილად, რასაც მკვლევარები ამ ქვეყნის „ისტორიის ტვირთს“ უწოდებენ (Ragsdale 2016). რუსული კულტურული მახასიათებლებიდან, მისი ისტორიული გამოცდილებიდან თუ ადგილობრივი აზროვნების ყაიდიდან ნასაზრდოები ტრადიცია პოლიტიკოსთა მხრიდან იყო და კვლავ რჩება ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის ხელსაყრელ ინსტრუმენტად. რუსულ მაგალითზეც აქტუალურია ეკოს დაკვირვება, რომ „ხშირად არა ის ხალხი ხდება ჩვენი მტერი, რომლებიც პირდაპირ გვემუქრება, არამედ ისინი, რომლის ნამდვილ საშიშროებად წარმოდგენაში ვიღაცას საკუთარი ინტერესი გააჩნია“ (Eco 2012, 3).

მოცემული ნაშრომში თავდაპირველად განხილულია მტრის შესახებ პოლიტიკურ ფილოსოფიასა და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არსებული თეორია. შემდგომი თავები, ანუ ნაშრომის ძირითადი ნაწილი, ეძღვნება მტრის ტრადიციის განვითარებისთვის რუსულ კულტურაში არსებულ საფუძვლებს; მის ხელშემწყობ უნიკალურ ისტორიულ კონტექსტს; რუსულ პოლიტიკაში განვითარებულ შეთქმულების წარმოდგენებს; საბჭოთა კავშირის ტოტალიტარიზმის პირობებში არსებულ მტრის ტრადიციას; დასასრულს, რუსულ პოლიტიკაში მილიტარიზაციისა და მტრის ხატის აუცილებლობის საჭიროებას.

თეორია მტრის შესახებ

პოლიტიკაში მტრის ხატის საკითხი დიდი ხანია, რაც სხვადასხვა შეხედულებების ფილოსოფოსთა თუ თეორეტიკოსთა მხრიდან ინტერესის საგანია.

ჯერ კიდევ 1902 წელს ანგლო–ბურების ომის დასასრულს, ბრიტანელი ეკონომისტი ჯონ ჰობსონი „ისტორიის კლიშეს“ უწოდებდა ფენომენს, როდესაც „ხელისუფლებები იყენებენ ეროვნულ შუღლს, საგარეო ომებსა და იმპერიის შექმნის მიმზიდველობას საზოგადოებრივი გონების განსაცვიფრებლად და საშინაო ჩაგვრისგან გამოწვეული სიბრაზის გადასამისართებლად“ (Hobson 2010, 149-150).

პოლიტიკურ ფილოსოფიაში მტრის თემა ყველაზე მნიშვნელოვნად კარლ შმიტს, ჟაკ რანსიერსა და სლავოი ჟიჟეკს აქვს განვრცობილი. 1932 წლის მონოგრაფიაში „პოლიტიკურის ცნება“ გერმანელი ფილოსოფოსი და სამართალმცოდნე კარლ შმიტი წერდა, რომ „კონკრეტული პოლიტიკური დაყოფა, რომელზეც პოლიტიკური ქმედებები და მოტივები დაიყვანება, არის მოყვარესა და მტერს შორის“ (Schmitt 1996, 26). მტრის განსაზღვრა ხდება იმის განსჯით, განზრახული აქვს თუ არა სხვას „თავისი ოპონენტის ცხოვრების გზის ნეგაცია და ამგვარად იგი უნდა იყოს მოგერიებული“ (Schmitt 1996, 27). შმიტისთვის ისტორიული ან დღემდე არსებული პოლიტიკური ჯგუფები შეიძლება შეფასდნენ მტრებად, თუ ისინი დღეს არიან ეგზისტენციურ საფრთხედ წარმოდგენილნი. ამგვარი მიდგომა ზღუდავს პოლიტიკურს იმ მომენტამდე, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება მტერ/მოყვრის განსხვავების შესახებ. ეს ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ის წარმოადგენს გამონაკლისს და არა ნორმას. შესაბამისად „სუვერენი არის ის, ვინც გამონაკლისს გადაწყვეტს“ (Schmitt 2005).

თანამედროვე ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ რანსიერი თავის თეორიულ ნაშრომებში გამოყოფს დემოკრატიული პოლიტიკის დენონსირების სამ გზას, რომლებსაც უწოდებს არქიპოლიტიკას, პარაპოლიტიკასა და მეტაპოლიტიკას. არქიპოლიტიკა დაფუძნებულია კომუნიტარიანულ წარმოდგენაზე, რომ თემი აგებულია ჰომოგენურ (ეროვნულ, ეთნიკურ, კულტურულ) იდენტობაზე გარკვეული საზღვრებით, რომლითაც ხდება საშინაოს საგარეოსგან და მოქალაქის უცხოელისგან დემარკირება. რანსიერის კლასიფიკაციით ამგვარი პოზიციის უკიდურესი მაგალითი კარლ შმიტის ნაშრომებში გვხვდება, როდესაც პოლიტიკა მოყვარე/მტრის ცნებებში განიხილება (Ranciere 1999). სლოვენიელი ფილოსოფოსი სლავოი ჟიჟეკი მიუხედავად პოლიტიკურ თეორიაში კარლ შმიტის უზარმაზარი კონტრიბუციისა, აკრიტიკებს მის მიერ პოლიტიკურის ცნების

განსაზღვრას, რადგანაც საშინაო/საგარეოს შორის საზღვრის ესენციალიზებით პოლიტიკის უარყოფა და ერის პოლიტიკური სუბიექტურობის ერთადერთ ლოკუსად წარმოდგენა ხდება (ამ უკანასკნელ მოვლენას ის არქიპოლიტიკად ასახელებს). ჟიჟეკი ულტრაპოლიტიკას უწოდებს პოლიტიკის უარყოფის ყველაზე მზაკვრულ და ექსტრემალურ ვერსიას, კონფლიქტის დეპოლიტიზების მცდელობას რადიკალური საშუალებით – პოლიტიკის პირდაპირი მილიტარიზაციით, როდესაც ომის რეფორმულირება ხდება „ჩვენსა“ და „მათ“ შორის (Zizek 1999, 190). ჟიჟეკისთვის არქიპოლიტიკა და ულტრაპოლიტიკა ტრადიციონალისტური დამოკიდებულების ორი სახეა, რადგან გარეშეს სეკურიტიზაციისთვის აუცილებელია საშინაოს ორგანულ და ჰომოგენურ ერთეულად წარმოდგენა. ამგვარად, ულტრაპოლიტიკა არქიპოლიტიკის რადიკალიზაციაა, ხოლო ომის პოტენციალურობა და პირველის შესაძლებლობა მეორეში ყოველთვის არსებობს (Zizek 2006, 188). რუსი მკვლევარი ვიაჩესლავ მოროზოვი ჟიჟეკის თეორიული მიგნებების რუსეთზე მორგებისას, აღნიშნავს, რომ რუსი ერის პატერნალისტური, კომუნიტარიანული ხედვის ულტრაპოლიტიკური გამოყენება მმართველი რეჟიმის გარდარჩენის ერთ–ერთი ინსტრუმენტია. ამ მოვლენას ის ხედავს 1999 წელს კოსოვოს კრიზისისას, 2000–იანების პირველ ნახევარში ვლადისლავ სურკოვის მიერ „სუვერენული დემოკრატიის“ ცნების პროპაგანდისა და 2010–იანების დასაწყისის პროტესტების პასუხად ანტი–ვესტერნიზმის გახშირებისას. რუსეთის შემთხვევაშიც, გარეშეს სეკურიტიზაციას წინ უნდა უძღოდეს საშინაოს, ორგანული თემის, მკაფიოდ განსაზღვრა (Morozov 2015, 153).

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პოლიტიკაში მტრის თემა კრიტიკულმა და პოსტ–პოზიტივისტურმა მიდგომებმა უფრო მეტად განავითარა. კონსტრუქტივიზმის ერთ–ერთი შემოქმედი ალექსანდრ ვენდტი თავის წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია“ ჰობსიანური ანარქიის ტიპის განხილვისას, საუბრობს „შიდა ჯგუფური სოლიდარობის“ შექმნაზე, როდესაც მტრის კონსტრუირება სახელმწიფოებს ხელს აძლევს უზრუნველყონ საკუთარი ეროვნული ინტერესები, განსაკუთრებით უსაფრთხოებისა და პრესტიჟის კუთხით (Wendt 1999, 274-275). პოსტ–მოდერნისტული თეორიის ჭრილში, დევიდ კემპბელი წიგნში „უსაფრთხოების დაწერა: ამერიკის საგარეო პოლიტიკა და იდენტობის პოლიტიკა“ (1998) შენიშნავს, რომ აშშ იყენებს „საფრთხის დისკურსს“ თავისი არსებობის გასამართლებლად, ის იგონებს ან აზვიადებს საფრთხეებს მისი

„სხეულის პოლიტიკისთვის“ (body politic), რათა შექმნას „ჩვენ“ და განარჩიოს ის „მათისგან“ (Campbell 1998).

საფუძვლები რუსულ კულტურაში

კულტურის გავლენა პოლიტიკაზე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში კონსტრუქტივიზმის თეორიის გამოჩენამ და მზარდმა განვითარებამ უფრო თვალსაჩინო გახადა. კულტურული ფაქტორების შესწავლა მართალია ვერ იძლევა პროგნოზს, მაგრამ ის გვეხმარება უკეთ გავიგოთ პოლიტიკის წვრილმანები. ცნობილი ანთროპოლოგის კლიფორდ გეერტცის მტკიცებით, არსებობს გარკვეული კავშირი ბალის კულტურაში მამლების ჩხუბის ადგილსა და 1965 წლის კომუნისტური წარუმატებელი გადატრიალების დროს ბალის მკვიდრთა შორის ერთმანეთის ხოცვას შორის (Pye 1972, 294). მოცემული თავი განკუთვნილია რუსულ კულტურაზე სხვადასხვა ფილოსოფოსთა, მწერალთა და რუსეთმცოდნეთა მიერ გამოთქმული დაკვირვებების მიხედვით წარმოვადგინო მტრის ხატის ტრადიციის წარმოქმნის ხელშემწყობი კულტურული საფუძვლები.

გამოჩენილ რუს მოაზროვნეებს, ნიკოლაი ბერდიაევსა და იური ლოტმანს სხვადასხვა დროს გამოთქმული აქვთ მოსაზრება, რომ რუსულ აზროვნებას ახასიათებს დოგმატურობა, შავ–თეთრში წარმოდგენა, პოლარიზაცია, მაქსიმალიზმი და აბსოლუტებით ანგარიში. ფილოსოფოსი ბერდიაევი თავის 1946 წლის წიგნში „რუსული იდეა“ წერდა, რომ ნებისმიერ რუსული იდეოლოგია, იქნება ეს სოციალისტური თუ თეოკრატიული, ტოტალიტარულია (Berdyaev 1992, 247). “რუსული კომუნიზმის საწყისებში“, ის შენიშნავდა, რომ „რაც დასავლეთში სამეცნიერო თეორია, ჰიპოთეზა ან ფარდობითი სიმართლე იყო, რუსული ინტელიგენციისთვის ის გადაიქცა დოგმად, რელიგიური გამოცხადების სახეობად.“ რუსები მიდრეკილნი არიან ტოტალიტარული გაგებისკენ და მათთვის დასავლელთა სკეპტიკური კრიტიციზმი უცხოა (Berdyaev 1960, 21).

ცნობილი სემიოტიკოსი და კულტურის ისტორიკოსი იური ლოტმანი სხვადასხვა წიგნებში და განსაკუთრებით „კულტურა და აფეთქებაში“ (Культура и взрыв) ავითარებდა მოსაზრებებს გარკვეულ კანონზომიერებებზე რუსეთის ისტორიულ და კულტურულ გამოცდილებაში. ლოტმანი ერთმანეთისგან

გამოყოფდა ორი ტიპის სტრუქტურას, ბინარულსა და ტერნარულს. პირველს წარმოადგენდა რუსეთი, ხოლო მეორეს დასავლეთი. მისი სიტყვებით, ბინარული სისტემის მთავარი პრინციპია – „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია“ (Lotman 2009, 171). აქ არ გვხვდება ნეიტრალურობა, არჩევანი არსებობს ერთს ან მეორეს შორის, რომელთაგან მხოლოდ ერთია უპირობო გამარჯვებული. ბინარულ სტრუქტურაში ინდივიდუალებისა და ჯგუფების მიერ სოციალური ცხოვრების კონცეპტუალიზება ხდება აბსოლუტების მიხედვით, რომელიც კომპრომისს არ ცნობს (Prizel 1998, 236). ლოტმანის მიხედვით, ბინარული სტრუქტურისთვის დამახასიათებელია ოპონენტის დამარცხების შემთხვევაში, წარსულის სრული გადაწერა, ისტორიის უარყოფა და ძველი გახრწნილი სამყაროს ნანგრევებზე ახლის შენება. ტერნარულისთვის წარსული ორგანული ზრდის ნაწილია, მისი გარკვეული ფასეულობები განაგრძობს არსებობას და ფუნდამენტური გარდაქმნების ნაცვლად ისტორიული განგრძობითობა ინახება. ბინარული აზროვნება ევოლუციას აფეთქებასთან აიგივებს, მაშინ როდესაც დასავლურ ცივილიზაციებში აფეთქება მხოლოდ სანახევროდ წყვეტს კულტურის პლასტებს და ისტორიული ჯაჭვის გაწყვეტა არ ხდება (Lotman 2009, 166–169). ლოტმანს თავისი არგუმენტების საილუსტრაციოდ მოჰყავდა რუსული ლიტერატურაში არსებული ტენდენცია, როდესაც კანონი მშრალი და არაადამიანურია და იურისპრუდენცია კონტრასტირებულია ისეთ არაფორმალურ ცნებებთან, როგორიცაა პატიება, მსხვერპლშეწირვა და სიყვარული. რუსული ეთიკური მაქსიმალიზმისთვის სახელმწიფო სამართლის ანტითეზა იყო ინდივიდუალური მორალურობა, პოლიტიკის – წმინდანობა. ბინარულ ცნებებზე დაფუძნებული რუსული იდეა არ ცნობს სამართლის ლათინურ წესებს (Fiat justicia, pereat mundus და Dura lex, sed lex), რელიგიური და ეთიკური პრინციპების საკრალიზების ხარჯზე (Lotman 2009, 168). 1977 წლის ესსეში „ბინარული მოდელები რუსული კულტურის დინამიკაში“, ლოტმანი თავის კოლეგა კულტურის სემიოტიკოს ბორის უსპენსკისთან ერთად, ადგილობრივი ბინარულობის სქემატიზაციისას ავითარებს მოსაზრებას, რომ ტრადიციულ რუსულ კულტურას დასავლური გრადუალისტური გაგებით პროგრესის ცნება არ გააჩნია. არქაული რუსული მენტალობა არ აღიარებდა „ნეიტრალურ ზონებს“, სფერო ან „დაცული“ და შესაბამისი წმინდანის მიერ მეთვალყურეობის ქვეშ იყო ან „დაუცველი“ და ღია ეშმაკებისა და ავი სულებისთვის. ამ კულტურის მიერ პროფანული დრო–სივრცის მოწყობა ასახულია

მის მიერ წარმოსახულ საიქიოს წარმოსახვაში. ლოტმანის და უსპენსკის თქმით, ამის მნიშვნელობა აისახა იმაში, რომ ქრისტიანობის რუსულმა მართლმადიდებლურმა ფრთამ კათოლიკური სალხინებლის ცნება არც მიიღო და არც განავითარა (Emerson 2008, 76).

კულტურისა და პოლიტიკის დიალექტიკაზე საუბრისას ცალკე ხსენებას იმსახურებს რუსეთის შემსწავლელი ისტორიკოსების აღსანიშნი კომენტარები. წიგნში „რუსული იდეის აგონია“ (1996), ტიმ მაკდენიელი შენიშნავს რუსული კულტურის მიდრეკილებას აბსოლუტებისადმი: რუსული რელიგია ბუნებით ესქატოლოგიურია და ის ეთიკური საკითხების ნაცვლად დაინტერესებულია ადამიანთა ცხოვრების სრულ გარდაქმნაზე; რუსული ფილოსოფია ლოგიკაზე ინტერესის ნაცვლად ხასიათდება ლოგოსისა და კოსმიური რაციონალურობის შეცნობაზე; რუსული ლიტერატურა ადამიანთა ცხოვრების დეტალების ნაცვლად ფოკუსირდება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების გარკვევაზე (McDaniel 1996, 34). მაკდენიელის თქმით, რუსულ აზროვნებაში სიმართლე (правда) და თემი უნიტარული და იძულებითია, ხოლო ხელისუფლება უნდა იყოს ამგვარ ერთსახოვან სიმართლეზე დაფუძნებული თემის გამომხატველი და დამცველი. ინდივიდუალებს აქვს ადგილი და ხმა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებიან ისინი ამგვარ სიმართლეს, ასეთ გარემოში ოპოზიცია და მრავალფეროვნება სიცრუეა და თემისთვის საზიანო. ამ ისტორიკოსისთვის, ეს დაშვებები უფრო გასაგებს ხდის რუსეთის ხელისუფალთა, მეფეების თუ კომუნისტების, ქმედებებს, თანამედროვე პოლიტიკოსები კი, იქნებიან ეს დემოკრატები თუ ნაციონალისტები, უბრალოდ აგრძელებენ იმავე ლოგიკას. რუსული პოლიტიკის ტრადიციული ტრაგიკული თემები, როგორიცაა შავსა და თეთრში მსჯელობა, განტევების ვაცთა ძიება და კომპრომისის უუნარობა კვლავ ფონად გასდევს თანამედროვე მოვლენებს (McDaniel 1996, 35).

ისტორიკოსი ორლანდო ფაიჯესი თავის გახმაურებულ წიგნში „ხალხის ტრაგედია: რუსეთის რევოლუცია 1891–1924“ (1996) „აბსოლუტების უცნაურად რუსული ძიების“ შედეგებს გამოჰყოფს. მისი თქმით, ნებისმიერი ევროპული ინტელექტუალური მოდა, როგორიც იყო 1840–იანი წლების ჰეგელიანიზმი, 1860–იანი წლების დარვინიზმი, 1890–იანი წლების მარქსიზმი, პეტერბურგში საბოლოო ჭეშმარიტებად მიიღეს. დიდი იდეებისადმი ვნებამ მოგვცა ერთი მხრივ, მეცხრამეტე

საუკუნის გამორჩეული რუსული ლიტერატურა, მეორე მხრივ, მორალური დოგმატიზმი, შეუწყნარებლობა და დიდაქტიკურობა (Figes 1996, 127). სხვადასხვა მსოფლხედვებით შეიარაღებული რუსული ინტელიგენცია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მათ იდეებს ეკუთვნოდა კაცობრიობის მომავალი. ამის გამო ისინი ყოფდნენ სხვებს „პროგრესის“ ან „რეაქციის“ ძალებად, ხალხის საქმის მომხრეებად ან მტრებად. ფაიჯესი ამაში ხედავს ტოტალიტარული აზროვნების საწყისებს და ასკვნის, რომ მართალია მათ არ მოეპრიანებოდათ ამის აღიარება, მაგრამ ლენინსა და ტოლსტოის საერთო ბევრი რამ ჰქონდათ (Figes 1996, 127).

რუსული ინტელიგენციისთვის დამახასიათებელი სიცოცხლის საზრისის დაჟინებული ძიება და ნებისმიერი იდეოლოგიის მიმართ რელიგიური რწმენა ანტონ ჩეხოვის მოთხრობაში „გზაზე“ ავტორისთვის დამახასიათებელი სტილითაა გაქილიკებული. მოთხრობის მთავარი გმირი, გრიგორი ლიხარევი სხვა პერსონაჟს საკუთარ იდეალიზმსა და სხვადასხვა რწმენათა ნაკრებების (ნიჰილიზმი, პოპულიზმი და სხვ.) აქტიურად მიდევნების ცხოვრებისეულ გატაცებაზე უყვება. ის ცხოვრობს „გზაზე“, მოგზაურობს ერთი ადგილიდან მეორეში და სულ განსხვავებულ იდეებს ქადაგებს. მისი თქმით, ზოგიერთ ადამიანს გააჩნია რწმენის ტალანტი, სულის განსაკუთრებული უნარი, რომელიც მას ერთი მეორის მიყოლებით სხვადასხვა საგანში სრულად რწმენას აიძულებს. ჩეხოვის გმირის სიტყვებით, „ეს უნარი რუსებში უმაღლესი ხარისხითაა წარმოდგენილი. რუსული ცხოვრება გვასაჩუქრებს რწმუნებებისა და მისწრაფებების განუწყვეტელ მიმდევრობას და მას არ გააჩნია რწმენის ნაკლებობის ან სკეპტიციზმის სულ მცირედი ცნებაც. თუ რუსს არ სჯერა ღმერთის, მაშინ მას სხვა რამის სწამს“ (Chekhov 2015).

სამყაროს დუალისტურ აღქმას, რომელშიც „ჩვენების“ (мы) და „ისინის“ (они) დაპირისპირება არსებობს, საფუძველი აქვს ისტორიულ რუსულ გლეხურ თემში. გლეხები საკუთარ თემს თითქმის ოჯახად აღიქვამდნენ, უაღრესად იყვნენ ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი და სოციალური კავშირები სოფლის გარეთ და სხვა ჯგუფების მიმართ უკიდურესად სუსტი ჰქონდათ. ამგვარმა დამოკიდებულებამ გარეშე მსოფლიოს მიმართ შეაფერხა ფართო საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებას და ხელი შეუწყო უცხო ადამიანების დაყოფას მათ შორის, ვინც „ჩვენიანია“ (родной) და ვინც არაა (McDaniel 1996, 42). თემის ამგვარი დუალისტური აღქმა მოქმედებს საერთაშორისო დონეზეც, სადაც მსჯელობა „არა

ჩვენზე“ (не наш) კვლავ მრავლისმეტყველია. რუსული განსაკუთრებულობა აისახება იმ ფაქტშიც, რომ ხშირად გამოყენებად ფრაზას „ჩვენთან“ (у нас) ინგლისური ეკვივალენტი არ გააჩნია (Hosking 2001, 17). დაუცველობის შეგრძნებასა და ღრმად გამჯდარ ეჭვებზე გარეშე სამყაროს მიმართ, შესაბამისად გაყოფაში „ჩვენსა“ და „მათ“ შორის საკუთარი როლი მიუძღვის აგრეთვე ისტორიულ მეხსიერებას, რადგანაც რუსეთს ტრადიციულად შემოსევები ყველა მხრიდან ემუქრებოდა (Lo 2002, 72).

რუსული პოლიტიკის თავისებურებების განხილვისას გამოსაყოფია რესენტიმენტის (ressentiment) საინტერესო ფენომენი, როდესაც საშინაო ფრონტზე არსებულ ნებისმიერ პრობლემაზე ხდება უცხო ძალების, „მათი“, დადანაშაულება. მკვლევარები გამოყოფენ რესენტიმენტის შემდეგ რამდენიმე მაგალითს რუსეთის უახლესი ისტორიიდან. 1987 წლის 13 მარტს გამოცემაში „Советская Россия“ გამოქვეყნდა ნინა ანდრეევას ცნობილი წერილი „ჩემს პრინციპებს არ დავთმობ“. ამ სტატიაში ავტორი ამტკიცებდა, რომ პერესტროიკის ხანაში თავდასხმებს პროლეტარიატის დიქტატურაზე საწყისები აქვთ დასავლეთის პროფესიონალ ანტი–კომუნისტებში, რომლებიც დიდი ხანია მხარს უჭერენ „ანტი–სტალინიზმის ეგრეთ წოდებულ დემოკრატიულ მოწოდებებს“ (Sakwa 1999, pp. 441-446). 1990–იანი წლების დასაწყისში ბორის ელცინი მარჯვედ ახდენდა რუსი მუჟიკის როლის შეთავსებასა და ამ ეროვნული არქეტიპის თვისებების განსახიერებას. როგორც არაპროგნოზირებადი, კარგი მსმელი და სხვა რუსული თვისებების პატრონი, ის წარმოადგენდა ხალხს კორუმპირებული და მდიდარი ელიტების წინააღმდეგ, იგი იყო „ჩვენი“ და არა „მათი“. თავისი მმართველობის დროს ელცინი კარგად იყენებდა ხალხთან დაახლოებული მეფის იმიჯს ოპოზიციის დისკრედიტირებისა და დემონიზაციისთვის (McDaniel 1997, 174).

პუტინის ეპოქაში რესენტიმენტის მაგალითები შეიძლება ვიპოვნოთ მის ოფიციალურ სიტყვებში, როგორიცაა 2004 წლის 4 სექტემბრის ცნობილი განცხადება: „ჩვენ თვალს ვხუჭავდით ჩვენს სისუსტეებზე და ეს არის სუსტი, რომელსაც ყოველთვის სცემენ. ვიღაცებს სურთ წაიღონ ჩვენი სიმდიდრის დიდი ნაწილი, როდესაც სხვები ეხმარებიან მათ ამის კეთებაში. ისინი ისევ ფიქრობენ, რომ რუსეთი, როგორც ბირთვული ძალა, საფრთხეს წარმოადგენს მათთვის. ტერორიზმი არის კიდევ ერთი ინსტრუმენტი მათი გეგმების შესასრულებლად.“

(Smitt 2002, 53). იგივე ლოგიკაა რუსეთის ხელისუფლების ბრალდებებში საზღვარგარეთ მცხოვრები ოლიგარქების (როგორიცაა ბორის ბერეზოვსკი) მიმართ, რომ ისინი ცდილობენ ქვეყნის დასუსტებას და დასავლეთის თვალში უარყოფითი იმიჯის შექმნას, აგრეთვე განცხადებებში, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ეწევიან ანტი–სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ საქმიანობას. რესენტიმენტის მოვლენას საფუძველი აქვს კლასიკურ რუსულ ეჭვებში გარედან მომდინარე საგნებისადმი და ეს ცნება ძალიან გამოსადეგი ხდება რუსული საგარეო პოლიტიკის გაგებისას. მისი გათვალისწინებით ვიღებთ სურათს, რომ რუსეთს ტრადიციულ იმპერიალისტურ ამბიციებთან და დიდი ძალის აზროვნებასთან ერთად პარადოქსულად აქვს დაპყრობილი ქვეყნის მენტალობაც (Smitt 2002, 54).

ხსენებულ თემებს ავრცობს სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული დაკვირვება რუსულ მენტალობაზე, რომ ის თვისებრივად მანიქეურია და იცნობს მხოლოდ ორ მხარეს. მანიქეიზმი სამყაროს ხედავს, როგორც ორი ძალის, კეთილისა და ბოროტის, სინათლისა და სიბნელის მარადიულ დაპირისპირებად. ამგვარ ბრძოლაში არსებობენ მხოლოდ „ჩვენ“ და „ისინი“, პირველნი სიკეთეს განასახიერებს, ხოლო მეორენი ბოროტებას. სოციოლოგი იგორ იაკოვენკო რუსეთის მაგალითზე წერს, რომ მანიქეურ მენტალობას ესაჭიროება მტერი, გამოგონილი ან რეალური, ხოლო საერთაშორისო არენაზე ამ ტიპის სტერეოტიპული მტრები შეიძლება იყოს „მტრული გარემო, იმპერიალისტური წრეები, ფარული ინტრიგები ან უბრალოდ სიბნელის ძალები, რომლებსაც სურთ ყველაფრის განადგურება, დანაწევრება ან კონტროლირება (Muzykantsky 2005). გამოჩენილი რეჟისორი ანდრეი კონჩალოვსკი სხვადასხვა ინტერვიუში რუსულ აზროვნებას აგრეთვე ახასიათებს, როგორც მანიქეურს. მისი თქმით, რუსებმა იციან მხოლოდ შავი და თეთრი (Neef 2017).

როგორც ირკვევა, რუსული იდენტობისთვის განუზომლად დიდი როლი ეკისრება იმის განსაზღვრას, თუ ვინაა „ისინი“, რომელსაც „ჩვენ“ ვუპირისპირდებით. თემის შეგრძნებას აქ უჩვეულოდ მნიშვნელოვნად განაპირობებს სხვა ჯგუფთან კონტრასტი. რუსეთის შემთხვევაში, „სხვა“ ტრადიციულად იყო და არის ევროპა/დასავლეთი. დებატები ევროპაზე იყო რუსული ინტელექტუალური ცხოვრების უმთავრესი ამოსაცნობი თვისება და სწორედ მასთან

დაკავშირებით ხდებოდა რუსეთის იდეის განსაზღვრა (Neumann 2013, 1). პოლიტიკის სფეროშიც, რუსეთის ხელისუფალნი ევროპასთან მიმართებით ქმნიდნენ ეროვნული ინტერესის საკუთარ ხედვებს, ხოლო რუსეთის სახელმწიფო ისტორიულად მოდერნიზებას დასავლურ ყაიდაზე ცდილობდა (Tsygankov 2016, 18).

რუსეთის ევროპასთან ურთიერთობაში შეიძლება ამოვიცნოთ ხსენებული რუსული თვისება აბსოლუტებით ანგარიშისა, როდესაც მეორე მხარისადმი ზომიერი დამოკიდებულება არ არსებობს. ამ დილემას ახმოვანებდა რუსული განმანათლებლობის დიდი წარმომადგენელი, დრამატურგი დენის ფონვიზინი, როცა წერდა: „როგორ შეგვიძლია ვუშველოთ ორ წინააღმდეგობრივ და უაღრესად მავნებლურ ცრურწმენას – პირველი, რომ ყველაფერი ჩვენთან საშინელებაა, როცა უცხოეთში ყველაფერი კარგია და მეორე, რომ ყველაფერი უცხოეთში საშინელებაა, როცა ჩვენთან კარგია.“ (Greenfeld 1992, 223). რუსეთისთვის დასავლეთი ასრულებდა ისეთ „სხვას“, რომელთან დაპირისპირებითაც ხდებოდა საკუთარი „თავის“ განსაზღვრა. რუსი ინტელექტუალებისთვის, იქნებოდნენ ისინი სლავოფილი ფილოსოფოსი ივან კირეევსკი, ისტორიკოსი ნიკოლაი დანილევსკი, მწერლები თეოდორ დოსტოევსკი თუ მაქსიმ გორკი, დასავლეთი იყო მატერიალისტური, აწმყოზე ორიენტირებული, რაციონალისტური, ლეგალისტური, ხოლო რუსეთი თუ საბჭოთა კავშირი ამის სრული საპირისპირო, „ღმერთის მატარებელი ქვეყანა“, „კომუნიზმის სამშობლო“ და მაღალი ფასეულობების სამკვიდრებელი (McDaniel 1997, 34-35).

საფუძვლები რუსეთის ისტორიაში

რუსული კულტურის გარდა, მტრის ტრადიციას საკუთარი საფუძვლები აქვს რუსეთის ისტორიულ წარსულში. პრე–პეტრემდელი რუსეთი (ჯერ როგორც დიდი სამთავრო და შემდგომში სამეფო) გამოირჩეოდა იზოლაციით, ქსენოფობიითა და ყოველგვარი უცხოსადმი უნდობლობითა და ეჭვის თვალით შეხედვით. ამგვარი მახასიათებლები ქვეყნის ისტორიაში სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მათ არსებობა გააგრძელეს რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირშიც. ისტორიკოსი მარშალ პო საზღვრების ჩაკეტვასა და იზოლაციას რუსული ავტოკრატიული ტრადიციის ნაწილად ასახელებს ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების,

რესურსების ნაციონალიზების, დიდი სამხედრო აპარატის და იმპერიის შექმნასთან ერთად. მისი აზრით, მოსკოვიტებს არ ექნებოდათ ჩამოთვლილი რეფორმების განხორციელების სურვილი, რომ არა თავდაცვის საჭიროება განვითარებული ევროპული, მტაცებლური ძალების წინააღმდეგ (Poe 2011, 96).

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, მოსკოვის დიდი სამთავრო ცივილიზებული მსოფლიოსგან თითქმის მთლიანად მოკვეთილი აღმოჩნდა, შესაბამისად რუსეთს ასცდა ევროპაში მიმდინარე რენესანსის რევოლუცია. რელიგიური შეფერილობის სამთავროში სამეფო კარი, ეკლესია და უბრალო ხალხი გამოხატავდა მკვეთრად გამოკვეთილ მტრობას უცხოელებისადმი და მათი ერეტიკული სწავლებებისადმი. უცხოური განათლება მიჩნეული იყო ეშმაკეულად და ოფიციალური პირები კლერიკალებთან ერთად კრძალავდნენ ნებისმიერი სახის სამეცნიერო სიახლეს, როგორც ნამდვილი ქრისტიანობის სულისთვის საზიანოს. სტუმართა მოწმობით, რუსები შიშით გარბოდნენ მათი დანახვისას, ხოლო მოსკოვიტი სასულიერო პირები ვერ ფარავდნენ საკუთარ ზიზღს უცხოელების, განსაკუთრებით კათოლიკეების, მიმართ (Poe 2011, 41). რენესანსის მიღწევების არმიღებით, სამთავრო ჩარჩა ფუნდამენტურად შუასაუკუნეებრივ კულტურულ კონტექსტში.

მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს დიდმა სამთავრომ ევროპული გავლენით დაბინძურების შიშის გამო შემოიღო ჩაკეტილი საზღვრების პოლიტიკა, რომელიც თვით რესპუბლიკურმა ნოვგოროდმა, ჰანზას პორტებთან ვაჭრობაზე მჭიდროდ დაკავშირებულმა თავისუფალმა ქალაქმაც კი გაიზიარა (Hedlund 2005, 103). მოსკოვია აცნობიერებდა, რომ მოუწევდა უცხოელთა გარკვეული ნაწილის, როგორებიც იყვნენ ელჩები და სხვადასხვა სახის სპეციალისტები, რეზიდენტად მიღება. ახალი პოლიტიკის თანახმად, ყველა უცხოელს უნდა ეცხოვრა იზოლირებულად და სამეფო კარის უშუალო იურისდიქციისა და მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო რუსებს ეკრძალებოდათ ქვეყნის დატოვება მთავრის საგანგებო ნებართვის გარეშე. უცხოელი მოგზაურების შთაბეჭდილებებით, ისინი თავს გრძნობდნენ პატიმრებად, რომელთა ყოფნასაც ადგილობრივი ხელისუფლება აუცილებელ ბოროტებად (necessarium malum) მიიჩნევდა (Poe 2011, 54).

დიდი სამთავროს ტრადიციები გაგრძელდა რუსეთის სამეფოსა და იმპერიაშიც. 1591 წელს ლონდონში გამოქვეყნდა რუსეთში ინგლისის ელჩის

ჯაილს ფლეტჩერის თხზულება „Of the Russe Commonwealth”, რომელშიც ის, როგორც მგზნებარე პროტესტანტი თავს ესხმოდა მეფეს, სამღვდელობასა და რუსულ ეროვნულ ხასიათს. მისი სიტყვებით, რუსები დაჟინებით არ უშვებდნენ უცხოელებს „სამეფოს შიდა მიწებზე იმის შიშით, რომ ისინი გაავრცელებდნენ უკეთეს მანერებსა და თვისებებს, ვიდრე თავად ეს ჰქონდათ“ (Cross 2004, 82). 1630–იან წლებში, უკვე რომანოვთა ზეობის დროს, რუსეთს ეწვია გერმანელი დიპლომატი ადამ ოლეარიუსი. მისი დაკვირვებით ერთი მეორის გვერდით თანაარსებობდა რუსების ზიზღი ევროპიდან ჩამოსულების მიმართ და ხელისუფლების მზარდი დამოკიდებულება უცხოელ სპეციალისტებზე. მაგალითად, ეკლესიებს, რომლებსაც უცხოელები ეწვეოდნენ, საფუძვლიანად ხვეტავდნენ, ხოლო ნებისმიერს, ვისაც ფიზიკური კონტაქტი ექნებოდა ურწმუნოსთან, აუცილებლად უნდა დაებანა ხელები. რუსული ცერემონიის თანახმად, ფორმალურ შეხვედრებზე მეფე ნებას რთავდა უცხოელ ქრისტიან ემისრებს ხელზე მთხვევას. ამის შემდეგ ის დემონსტრაციულად, ემისრების თანდასწრებით, ტახტის გვერდით მდებარე ოქროს დოქით ხელებს იბანდა (Ragsdale 2016, 26).

რუსეთის სამეფოს მმართველი წრეების დამოკიდებულებას საუკეთესოდ წარმოადგენს პატრიარქ იოაკიმის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს დაწერილი სიტყვები: „დაე ჩვენმა ხელისუფლებმა თავის სამეფოში არ მისცეს საშუალება არცერთ მართლმადიდებელ ქრისტიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდეს ერეტიკოსებთან და განდგომილებთან – ლათინებთან, ლუტერანებთან, კალვინისტებთან და უღმერთო თათრებთან, ვინც ჩვენს უფალს სძაგს და ღმერთის ეკლესია წყევლის მათი ღმერთის სიძულვილის გამო; დაე ავირიდოთ ისინი, როგორც ღმერთის მტრები და ეკლესიის მაგინებლები“ (Cross 2004, 75). ამგვარად, ვინც აღიარებდა მართლმადიდებლობას, იყო „ჩვენი“, ხოლო ვინც არა, „მათი“. ამ მხრივ, ვითარება არ შეცვლილა მეცხრამეტე საუკუნეში, ნიკოლოზ პირველის მმართველობის დროს, როდესაც რუსეთის იმპერიას მარკიზი ასტოლფ დე კიუსტინი ეწვია და ბესტსელერად ქცეული ცნობილი მოგზაურობის ჩანაწერები, „რუსეთი 1839 წელს“ დაწერა. მარკიზს იმპერია გიგანტურ ციხედ მოეჩვენა, რომლის პატიმრები, პოლიციის ჯაშუშების მიერ შეშინებულნი, უფრთხოდნენ ერთმანეთთან ღიად საუბარს და თავისთვის ფიქრსაც კი. რუსული ცხოვრების სტერილურობას ემატებოდა დასავლეთისგან თვით–დაწესებული იზოლაცია,

რომელიც მოსახლეობას ხდიდა უნდობელს ყველა უცხოელისადმი და მოშურნეს უპირატესი უცხოური მიღწევებისა (Malia 2009, 98).

იზოლაცია, ქსენოფობია და უცხოს ეჭვის თვალით შეხედვა ამოსაცნობი თვისება იყო საბჭოთა კავშირისაც, განსაკუთრებით მის სტალინურ ფაზაში. მკვლევარები ხშირად პოულობენ ანალოგიებს ამ ხანის და ადრინდელი რუსული სახელმწიფოების სიმპტომებს შორის. საბჭოთა კავშირის საზღვრები ისევე იყო ჰერმეტიკულად ჩაკეტილი, როგორც მეთხუთმეტე საუკუნის მოსკოვის დიდ სამთავროში. დამოკიდებულებას უცხოელების, განსაკუთრებით გახრწნილი დასავლეთის წარმომადგენელთა მიმართ იგივე შიშები და ეჭვები ახასიათებდა, ხოლო საზღვარგარეთ მოგზაურობის საშუალება კვლავ საგანგებოდ ნაბოძები იყო და მხოლოდ სანდო პირებს ეძლეოდა (Raeff 1984, 51). საზღვარგარეთ ყოფნისას და უცხოელებთან ურთიერთობისას საბჭოთა ადამიანები ყოველთვის იყვნენ ზედამხედველობის ქვეშ.

საბჭოთა კავშირის იზოლაცია გარე მსოფლიოსგან დაიწყო 1917 წლის რევოლუციით და პირველი ხუთწლედის დროს დასავლეთთან კონტაქტი სულ უფრო მეტად შეიზღუდა. ხუთწლედის გეგმა გულისხმობდა თავის თავში ეკონომიკურ ავტარკიას და დანარჩენი სისტემიდან ჩამოშორებას. თავდაპირველად, 1920–იან წლებში თუ არსებობდა მიმოსვლა და კომუნიკაცია, ხოლო ინტელექტუალებს შეეძლოთ საზღვარგარეთ დაბეჭდვა და უცხოური ჟურნალების გამოწერა, 1930–იანების სასამართლო პროცესების დროს უცხოელთა მიმართ პარანოიამ და ქსენოფობიამ პიკს მიაღწია. ამ დროს ხდება ჩაკეტილი საზღვრების, ალყის მენტალობისა და კულტურული იზოლაციის ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომში სტალინური და პოსტ–სტალინური საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული ნიშანი გახდა (Fitzpatrick 1994, 147). სტალინიზმის ყველაზე პარანოიდულ ფაზაში „საბჭოთა ადამიანს“ მოეთხოვებოდა სიფხიზლე არამხოლოდ უცხოელების, არამედ ყველგან არსებული ჯაშუშებისა და მტრების მიმართ. (Hedlund 2005, 248). იზოლაციონიზმსა და ქსენოფობიას აგრეთვე სტალინის პიროვნებაც და მისი შეხედულებებიც განაპირობებდა. 1947 წელს კრემლში ფილმ „ალექსანდრე ნეველის“ რეჟისორთან სერგეი ეიზენშტეინთან და მთავარი როლის შემსრულებელ ნიკოლაი ჩერკასოვთან საუბარში, სტალინმა აღნიშნა, რომ პეტრე დიდმა ზედმეტად გახსნა რუსეთის კარები და უზომოდ ბევრი უცხოელი შემოუშვა.

მისი თქმით, „ივანე მრისხანეს სიბრძე მდგომარეობდა ეროვნული თვალსაზრისის დაცვასა და უცხოელების ქვეყანაში არდაშვებაში.“ რამდენიმე თვის შემდეგ სტალინმა გაიმეორა მსგავსი მოსაზრებები მწერალთა ჯგუფის წინაშე და აღნიშნა, რომ პეტრემ დაიწყო „ნაგავი უცხოელების წინაშე თავის მოდრეკის მოძველებული ტრადიცია“. დასავლური კულტურის წინაშე ამგვარი დამოკიდებულება გადაედო თანამედროვე სრულიად საბჭოთა ინტელიგენციასაც, რის გამოც მათ „საბჭოთა პატრიოტიზმის სათანადო გრძნობა აკლდათ.“ (Volkov 2010, 451-452).

საბჭოთა კავშირის გადარჩენა გარკვეულწილად დამოკიდებული იყო მსოფლიო პოლიტიკის ისეთ მანიქეურ აღქმაზე, რომელშიც კაპიტალისტური სამყარო სრულებით ბოროტია, ხოლო მმართველმა რეჟიმმა უნდა დაიცვას ქვეყანა მანკიერი საგარეო გავლენებისგან. ამ მხრივ, რადიკალური იყო სტალინი, როდესაც მან გერმანიაში ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცები შრომით ბანაკებში გაუშვა, რათა მათ არ მოეხდინათ დანარჩენილი მოსახლეობის ინფიცირება (McDaniel 1997, 117).

შეთქმულების წარმოდგენა რუსულ პოლიტიკაში

მტრის ტრადიციას აძლიერებს რუსულ აზროვნებაში არსებული კონსპირატორიული ხედვები და ყველგან შეთქმულებების ძიებისკენ მიდრეკილება. ამ ფენომენს ისტორიკოსი ჯეფრი ჰოსკინგი „სახასიათო რუსულ ჟანრს“ უწოდებს და მას ამგვარად განმარტავს – „მელოდრამატულ ფორმებში აპოკალიპტური საფრთხეების ხედვა, რომელიც ქვეყანას ემუქრება საერთაშორისო უღმერთო შეთქმულებისა და შინ არსებული უპასუხისმგებლო და ბოროტად განზრახული ადამიანების დივერსიის შეზავებით.“ (Hosking 1997, 141). ადრეულ მეცხრამეტე საუკუნეში ამგვარი ძალების როლი დასაკუთრებული ჰქონდათ თავისუფალ მასონებს, ვოლტერიანელებს და პიეტისტებს, მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ებრაელები ("Бей жидов – Спасай Россию"). საერთაშორისო პოლიტიკის მანიქეურ წარმოდგენასთან შეზავებული კონსპირატორიული ხედვის კარგი ილუსტრაციაა სლავოფილი მოაზროვნის ივან აკსაკოვის 1870–იან წლებში გამოთქმული მოსაზრებები. მისი აზრით, ევროპაში არსებობს ორი ბანაკი, მართლმადიდებლურ–სლავური და მას დაპირისპირებული პროტესტანტულ–კათოლიკურ–ისლამურ–ებრაული. ევროპაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი სხვა

არაფერია, თუ არა შეთქმულება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთის მორალური და პოლიკური გავლენის, მისი ლეგიტიმური ინტერესების წინააღმდეგ (English 2000, 22). უცხოს მიმართ შიშსა და სიძულვილს აძლიერებდა მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო დისკუსიის ნაკლებობა და მათი გასაიდუმლოება. ასეთ ატმოსფეროში გროტესკული ფალსიფიკაციებიც, როგორიც იყო ცნობილი „სიონის ბრძენთა პროტოკოლი“ (1903 წელს ულტრა–მემარჯვენე გამომცემლობა „Знамя“–ს მიერ გამოცემული) მასებში იოლად სარწმუნო ხდებოდა (Hosking 1997, 141).

საბჭოთა კომუნიზმმა ტრადიციული რუსული იდეისგან ისესხა რწმენა იმ ბინარული ოპოზიციებისა, რომ გარე სამყარო, განსაკუთრებით დასავლეთი, მტრულია და მას დამუქრებული, ხოლო საკუთარი ცხოვრების სტილი და ინსტიტუტები ევროპული ცივილიზაციის სრული საპირისპირო (McDaniel 1997, 96). საბჭოთა კავშირი, როგორც მისი წინამორბედი რუსული სახელმწიფოები, მეტოქე ძალებთან შედარებითი სისუსტის გამო უკიდურესად სენსიტიური იყო სავარაუდო საგარეო თავდასხმის მიმართ, რაც სათანადო ნიადაგს აძლევდა ეგრეთ წოდებულ „რუსულ პარანოიას“ (Suny 1998, 396).

ისტორიკოსი ჯეიმზ ბილინგტონი სტალინის ხანას უწოდებს „заговор-ის ან შეთქმულების იდეის მიერ დომინირებულ მეოთხედ საუკუნეს“, როდესაც რევოლუციონერული წარსულის კონსპირატორიული კოდექსი სახელმწიფო სისტემად გარდაიქმნა (Billington 1970, 552). ტროცკისტი დამანგრევლები, კაპიტალისტი მოალყეები, ტიტოისტი ვამპირები თუ უბრალოდ „გარკვეული ჯგუფები“ გაერთიანებული იყვნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „განწირულთა შეთქმულებაში“ (ნიკოლაი ვირტას პიესის სახელწოდების გამოყენებით), ხოლო საბჭოთა კავშირის შიგნით, სტალინის ხელქვეითები შეიძლება ამზადებდნენ „ბოიართა შეთქმულებას“ (ეიზენშტეინის „ივანე მრისხანეს“ მეორე ნაწილის ქვესათაურის გამოყენებით), თვით კრემლის შიგნით ფარულად მუშაობდნენ ექიმი–მომწამვლელები (Billington 1970, 552). იმის მიუხედავად, სჯეროდათ თუ არა საბჭოთა ლიდერებს უშუალო სამხედრო საფრთხეების და საიდუმლო ჩანაფიქრების, ამგვარი იდეები ღრმად იყო გავრცელებული მოსახლეობის ფართო წრეებში. რეჟიმის პროპაგანდის მუშაობის გარდა, ისინი მანამდე არსებულ ცრურწმენებსა და შიშებს ეხმიანებოდნენ, რის გამოც საბჭოთა პუბლიკისთვის

დამაჯერებლობას იძენდნენ. გვიანი 1920–იანი წლებიდან, საშინაო და საგარეო შეთქმულებებს სულ უფრო ხშირად იხმობდნენ სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემის გასამართლებლად. 1941 წელს რეალური ომის დაწყებამდე, ოფიციალურ პრესაში კონფრონტაციის საშიშროების უამრავჯერ ხსენებით, იმ პერიოდის საბჭოთა მენტალიტეტში ომის საფრთხე უკვე ღრმად იყო ჩანერგილი (Fitzpatrick 1994, 123-124).

სტალინისტური საშინაო პოლიტიკის ლოგიკა აგრეთვე ემყარებოდა საზოგადოების დუალისტურ გაგებას: მეგობარი მტრის წინააღმდეგ; ჩვენ მათ წინააღმდეგ; ერთგული მუშა დივერსანტის წინააღმდეგ. ნებისმიერი, ვინც არ აღიარებდა საბჭოთა ფასეულობებს, იყო მოკვეთილი საზოგადოებიდან და მას არ გააჩნდა არანაირი უფლებები. ყველა პრობლემას იწვევდნენ ხალხის მტრები, ცუდი სამუშაოს მიზეზი იყო არა რესურსების ნაკლებობა ან სუსტი ორგანიზება, არამედ მტრების მიერ საბოტაჟი. სტალინისტური კომუნიზმის კლასიკურ შეკითხვას წარმოადგენდა „ვინაა დამნაშავე“ (McDaniel 1997, 96).

კონსპირატორიული ხედვებისგან არაა თავისუფალი თანამედროვე რუსეთის ხელისუფლებაც და მისი გათვალისწინება რუსული საგარეო პოლიტიკის უფრო ნათელ სურათს იძლევა. ანალიტიკოს დენიელ ტრეისმანის სიტყვებით, პუტინი „ყოველთვის ხედავდა მსოფლიოს დაზვერვის თანამშრომლის შავი სათვალეებით” და ის მიდრეკილი იყო შეთქმულებებისა და ანგარებიანი მოტივებისკენ, რომელიც პოლიტიკის ზედაპირის მიღმა იმალება (Treisman 2012, 119). მისი ყოფილი სამსახურის, KGB-ის შიდა იდეოლოგია ემყარებოდა მტრის ნათელ ცნებას და ეს ინსტიტუტი სტალინური ერიდან ალყის მენტალობაში ფუნქციონირებდა (Gessen 2013, 60). პუტინის შემთხვევაში, მისი აზროვნების უფრო მეტად კონსპირატორიულობისკენ გადაწევას მკვლევარები ეძებენ 2004 წლიდან, როდესაც მოხდა NATO-ს აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოება, ბესლანის ტერაქტი, უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუცია, რომელ მოვლენებშიც მან გარკვეული ერთიანობა და კრემლის წინააღმდეგ მიმართული ქვეტექსტი ამოიკითხა (Zygar 2016, 110; Treisman 2012, 102). იმხანად ხელისუფლებასთან მომუშავე პოლიტოლოგ გლებ პავლოვსკის თქმით, ჯორჯ ბუშის ხელმეორედ არჩევის დროს, კრემლმა ჩათვალა, რომ ამერიკა აპირებდა „ბუშის დოქტრინის“ შემდგომ განხორციელებას, რევოლუციის ექსპორტს რუსეთში და შესაბამისად,

პუტინის რეჟიმის ცვლილებას (Zygar 2016, 108). ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერი ტონი ბლერი თავის მემუარებში წერს: „ვლადიმირმა მოგვიანებით დაასკვნა, რომ ამერიკელები არ აძლევდნენ მას კუთვნილ ადგილს. უარესი, მან ჩათვალა, რომ ისინი რუსეთს წრეს არტყამდნენ დასავლეთისგან მხარდაჭერილ 'დემოკრატიებს', რომლებიც რუსული ინტერესებისადმი მტრულად განწყობილნი იქნებოდნენ." (Blair 2011, 484).

ჟურნალისტი მიხაილ ზიგარი თავის წიგნში „კრემლის მთელი მხედრიონი" («Вся кремлевская рать») ხელისუფლების შიგნით რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ პუტინმა ურჩია თავის კოლეგებს ნეტფლიქსის სერიალის „House of Cards"–ის ყურება, რადგან მისი აზრით იქ წარმოდგენილი ბინძური გზებით მიზნების მიღწევა ზუსტად ასახავს დასავლურ პოლიტიკას. პუტინისთვის სერიალის პროტაგონისტი ფრენკ ანდერვუდი განასახიერებს ტიპიურ ამერიკელ პოლიტიკოსს, ამის გამო ის არჩევს ურთიერთობა ჰქონდეს სილვიო ბერლუსკონისთან და დონალდ ტრამპთან, რომლებიც არიან უფრო მეტად „პრაქტიკულები" და „ცინიკურები" (Zygar 2016). რუსეთში აშშ–ის ყოფილი ელჩის, მაიკლ მაკფოლის დაკვირვებით, პუტინი მიიჩნევს, რომ რეჟიმის ცვლილება ამერიკული საგარეო პოლიტიკის მთავარი კომპონენტია, ამერიკა იყენებს ძალას იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მას არ მოსწონს, ხოლო არაბ გაზაფხულს ის განიხილავს, როგორც CIA-ს მიერ წამოწყებულ ოპერაციას. მაკფოლის აზრით, ის მნიშვნელოვნად აზვიადებს CIA-ს როლს აშშ–ს საგარეო პოლიტიკაში და საკუთარი სისტემის მუშაობის გზას არგებს ამერიკულისას (Remnick 2014).

რუსეთის თანამედროვე სახელისუფლებო ელიტის შიგნით არსებული წარმოდგენების ამსახველი იშვიათი მაგალითია 2014 წლის 15 ოქტომბერს სახელმწიფო გამოცემა Российская газета–ში გამოქვეყნებული ინტერვიუ უსაფრთხოების საბჭოს მდივან ნიკოლაი პატრუშევთან. ინტერვიუში პატრუშევი საბჭოთა კავშირის დაშლას ქვეყნის ეკონომიკის შესასუსტებლად CIA-ს და ზბიგნევ ბრჟეზინსკის გეგმის შედეგად წარადგენს. შემდგომში რუსეთის დასანაწევრებლად, ამერიკამ საგანგებოდ ხელი შეუწყო ომს ჩეჩნეთში და უკრაინაში რუსეთის სიძულვილის გაღვივებას „ევროპული ფასეულობების" მითოლოგიის გავრცელებით. მისი აზრით, უკრაინაში ომის გარეშეც აშშ გამონახავდა სხვა პრეტექსტს რუსეთის „შესაკავებელი" პოლიტიკის გასაძლიერებლად. პატრუშევმა

აგრეთვე დაინახა აშშ–ს კვალი ISIS-ის შექმნასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინაში ნაციზმის აღორძინებაში (Егоров 2014). პატრუშევის ნააზრევს მნიშვნელობას ჰმატებს ის ფაქტიც, რომ 2000–იან წლებში იგი FSB-ს ხელმძღვანელობდა და პრეზიდენტს რაპორტებს აწვდიდა.

პუტინის ოფიციალურ გამოსვლებში შეთქმულების თემა აქტიურად ჩნდება 2011–2012 წლების ბოლოტნაიას გამოსვლების და 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, როდესაც ხელისუფლების პოლიტიკა კიდევ უფრო მარჯვნივ გადაიხარა. 2012 წლის 4 მარტს, არჩევნების მოგების შემდეგ, მანეჟის მოედანზე სიტყვით გამოსვლისას, პუტინმა განაცხადა: „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არავის შეუძლია თავზე მოგვახვიოს თავისი ნება, სრულიად არავის! ჩვენ ვაჩვენეთ, რომ რუს ხალხს ესმის, რომ ამ პოლიტიკურ პროვოკაციებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ – რუსული სახელმწიფოს განადგურება და ძალაუფლების დაპყრობა. დღეს რუსმა ხალხმა აჩვენა, რომ ამგვარი სცენარები ვერ შედგება. ისინი ვერასოდეს მიაღწევენ მიზანს!” (Putin 2012). ყირიმის დაპყრობის აღსანიშნავ საზეიმო სიტყვაში, პუტინმა აღნიშნა: „რუსეთის შეკავების პოლიტიკა რომელიც დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში, დღემდე გრძელდება. მსოფლიო ყოველთვის ცდილობდა დავეყენებინეთ კუთხეში ჩვენი დამოუკიდებელი პოზიციის გამო, იმიტომ რომ, ჩვენ ვუწოდებთ საგნებს იმას, რაც სინამდვილეში არიან და არ მივმართავთ ფარისევლობას.“ (Putin 2014).

მკვლევარი ილია იაბლოკოვი 2018 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ციხე–სიმაგრე რუსეთი: შეთქმულების თეორიები პოსტ–საბჭოთა მსოფლიოში“ კონსპირაციებს ხელისუფლების მხრიდან საჯარო მობილიზაციის იარაღს უწოდებს. მისი დახმარებით ელიტები სხვადასხვა მედია საშუალებების გამოყენებით ქმნიან ხალხის უმრავლესობის სახეს, რომელიც რეჟიმს მხარს უჭერს და საგარეო შეთქმულებების წინააღმდეგ დგას. ამით ხერხდება ოპონენტების დელეგიტიმიზაცია და ელიტის პროექტების გამართლება. შეთქმულებების საშუალებით მხარდამჭერების მობილიზაცია და ოპონენტების დისკრედიტაცია ძლიერ ინსტრუმენტად პუტინის მმართველობის დროს იქცა, როდესაც ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა ტექნოლოგებმა (როგორიცაა გლებ პავლოვსკი და ვლადისლავ სურკოვი) რეჟიმის მხარდასაჭერი კონცეპტუალური ჩარჩო და სხვადასხვა ინტელექტუალური გაერთიანებების ქსელი შექმნეს. ამის ერთ–ერთი ილუსტრაციაა 2007 წელს პავლოვსკის მიერ გამოცემული წიგნი „პუტინის მტრები“

(Враги Путина), რომლითაც მან პუტინი ინტელექტუალური მხარდაჭერით და ოპონენტების ეჭვის ქვეშ დაყენებით მოამარაგა. რუსულ საჯარო სივრცეში კონსპირატორიულმა ხედვებმა კიდეებიდან პოლიტიკური დისკურსის ცენტრში განსაკუთრებით 2013–2014 წლებში რუსეთ–უკრაინის კონფლიქტის დაწყებისას გადაიწია, როდესაც შეთქმულებების თემა ქვევიდან ზევით, ფართო მასებიდან მმართველი კლასის რიტორიკაში ინაცვლებს (Yablokov 2018).

მტრის ტრადიცია და საბჭოთა კავშირი

მტრის ტრადიცია პოლიტიკაში და საბჭოთა კავშირი, შეიძლება ითქვას, ურთიერთგანუყრელი ცნებებია. საბჭოთა პერიოდმა სამყაროს შავ–თეთრში წარმოდგენის არქეტიპულად რუსული თემები განავრცო და მას ტოტალიტარიზმისთვის დამახასიათებელი მუდმივი ომის მდგომარეობა და მტრის წინააღმდეგ დაპირისპირება დაურთო თან. მოცემულ თავში შევეცდები განვიხილო მტრის თემასთან დაკავშირებული კომუნიზმის, ბოლშევიკური პარტიის, ლენინის პიროვნების, სტალინიზმის, პოსტ–სტალინური საბჭოთა კავშირის და მასში აღმოცენებული ეთნონაციონალიზმის საკითხები.

1937 წელს გამოქვეყნდა ემიგრაციაში მყოფი ნიკოლაი ბერდიაევის „რუსული კომუნიზმის საწყისები“, რომელშიც ცნობილმა ფილოსოფოსმა რუსული ისტორიისა და ხასიათის ჭრილში საბჭოთა იდეოლოგიაზე ზეგავლენის მომხდენი სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და რელიგიური ტენდენციები აღწერა. ბერდიაევი კომუნისტის ფსიქოლოგიას აღწერას მანიქეური დუალიზმის სახით, რომელშიც სამყარო იყოფა ორ დაპირისპირებულ ბანაკად – ორმუზდად და აჰრიმანად, სინათლისა და სიბნელის სამეფოებად, ყოველგვარი გრადაციის გარეშე. სინათლის სამეფო არის პროლეტარიატი, ხოლო სიბნელის – ბურჟუაზია. სინათლის სამეფოს მკვიდრებთათვის სიბნელის სამეფოს გასანადგურებლად ყველაფერი დასაშვებია, მტრის საფრთხის გამო მათგან მისაღებია ფანატიზმი, შეუწყნარებლობა, ბოროტება და უკომპრომისო ქმედებები. ამავე დროს, კომუნისტი დამოკიდებულია სატანის სამეფოს, ბოროტების, კაპიტალიზმის, ბურჟუაზიის ხატის არსებობაზე. ის ვერ იცხოვრებს მტრისა და ამ უკანასკნელის მიმართ შუღლის გრძნობის გარეშე, ის მტრის არარსებობისას პათოსს კარგავს და მისი არყოლის შემთხვევაში ახალს იგონებს. თუ კლასობრივი მტერი საბოლოოდ გაქრა და

კომუნიზმი დამყარდა, მაშინ კომუნისტური პათოსიც გაქრება (Berdyaev 1960, 184).

ბერდიაევი კომუნიზმს უწოდებს სახელმწიფო ორთოდოქსულ ფილოსოფიას, რომელიც ერეტიკოსებს გამოავლენს და განკვეთავს. ორთოდოქსიას წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმი, მის სისწორეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ყოველგვარ ფილოსოფიურ აღზრდას მოკლებული სტალინი ex cathedra განსაზღვრავს, ისე როგორც ტოტალიტარიზმის სხვა მაგალითზე ჰიტლერი ხდება ფილოსოფიური სიმართლის მსაჯული (ამ ფენომენს ბერდიაევი „მსოფლხედვის დიქტატორულობას“ უწოდებს). ერესი შეიძლება იყოს ბუხარინის მექანიკური მატერიალიზმი, რომელიც დიალექტიკას გამორიცხავს ან დებორინის იდეალისტური დიალექტიკა, რომელიც მატერიალიზმს უგულებელყოფს. ლოგიკურად თუ შეუძლებელია იმგვარი დიალექტიკა, რომელიც რევოლუციონისტურ აქტუალისტურ ფილოსოფიად რჩება და ამავე დროს მატერიალიზმს იცავს, ის ფსიქოლოგიურადაა აუცილებელი (Berdyaev 1960, 150).

ბოლშევიკური გონება მტრის ხატთან და ომის ვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. თავდაპირველი ბოლშევიკების უმრავლესობა, განსხვავებით მენშევიკებისგან, წარმოდგებოდა არა–ინტელიგენციური ფენისგან და ევროპული კულტურისა ან მისი ენების უმწირესი ცოდნა გააჩნდა. მათ ჰქონდათ მიწისქვეშა ორგანიზაციებში, ციხეებში, ციმბირულ გადასახლებებში ყოფნის მრავალწლიანი გამოცდილება, რომლიდანაც მათ პარტიის, ქვეყნის და გარე მსოფლიოს მიმართ ციხე–სიმაგრისმაგვარი, საბრძოლო მენტალობა შეიძინეს. მათთვის უცხო არ იყო ქსენოფობიური დამოკიდებულებები, მათ შორის პარტიის ებრაელი ინტელექტუალების (როგორიც იყო ტროცკი) მიმართ (Figes 1996). ბოლშევიკების მსოფლხედვა სამოქალაქო ომის ყალიბში იყო ჩამოყალიბებული. მათ საომარი ველის მეთოდები, მენტალობა და ლექსიკონი ჰქონდათ ათვისებული, რაც მოიცავდა თვით–გამწირავ ერთგულებას საკუთარი ამხანაგების მიმართ, მტრების დაუნდობელ სიძულვილს, ჩვეულებრივი მორალური სტანდარტების არად მიჩნევას (Hosking 2001, 461). ბოლშევიკების აზროვნება ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო რადიკალიზდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ პროფესიონალი რევოლუციონერების მცირე კონსპირატორიული ჯგუფი მასობრივი ბიუროკრატიზებული პარტია გახდა, რომლის დიდძალი ძალაუფლების ხელში

ჩამგდები ზედა ეშელონები საბჭოებში, ფაბრიკების კომიტეტებსა და პროფკავშირებში საკუთარ კადრებს ნიშნავდა. 1918 წელს სამოქალაქო ომის პერიოდში ბოლშევიკური პოლიტიკური კულტურა საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ისინი ყველა მხრიდან მტრებისგან გარშემოხვეულად გრძნობდნენ თავს. ამის გამო მათ საკუთარ რიგებში აზრთა სხვადასხვაობა შეზღუდეს, რამაც პარტიაში მხოლოდ ნაკლებად დემოკრატიული და მეტად ბიუროკრატიული სტრუქტურის შექმნას შეუწყო ხელი (Suny 1998, 125). კომუნისტები სულ უფრო მზარდად არაშემწყნარებლები გახდნენ მათი მმართველობის ნებისმიერი ოპოზიციის მიმართ, რომლებსაც მტრად აღიქვამდნენ. სხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან კრიტიკას მათ მიერ ტერორის გამოყენებაზე, არადემოკრატიულ ქცევაზე, ომის წარმოშობაზე ან გლეხთა პოლიტიკაზე, ბოლშევიკებმა საბჭოებიდან კრიტიკოსების გაძევებით, მათი გაზეთების დახურვითა და დაკავებებით უპასუხეს. ტრადიციულ გასანადგურებელ მტრებს, ბურჟუაზიისა და თეთრების სახით, დაემატნენ დანარჩენი სოციალისტები – მენშევიკები, ესერები და ანარქისტები, რომლებიც „წვრილ ბურჟუად“, „კონტრრევოლუციონერებად“ და „ანტი–საბჭოურებად“ მოინათლნენ (Suny 1998, 125). ლენინისტური იდეოლოგიით, პროლეტარიატის პარტიის სათავეში მოსვლის შემდეგ, მისი ძალაუფლებისთვის შემცილებელი ნებისმიერი ძალა უნდა მომსპარიყო. თავად ლენინის სიტყვების გამოყენებით, ამოქმედდებოდა ლოგიკა „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“. რადგანაც არსებობდა მხოლოდ ორი კლასი შესაბამისი მსოფლხედვით, ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ნებისმიერი პოლიტიკური აქტორი, რომელსაც სამეცნიერო რევოლუციური ცნობიერება არ ჰქონდა, ავტომატურად ხდებოდა „ბურჟუა“ და მტერი. მუშებს, რომელთა სახელითაც ბოლშევიკები მოქმედებდნენ, პარტიის ცხოვრებაში როლი ჰქონდათ იქამდე, სანამ ისინი რევოლუციის სასიკეთოდ მუშაობდნენ. თუ მუშები მოხვდებოდნენ „რევიზიონისტურ“ ხაფანგში, ისინი წყვეტდნენ ავთენტურ პროლეტარიატად არსებობას და ხდებოდნენ „წვრილი ბურჟუაზიის“ ნაწილი, რომლის ბუნებრივი წარმომადგენლები „გამყიდველი“ მენშევიკები და „რენეგატი“ გერმანელი სოციალ–დემოკრატები იყვნენ (Malia 2008, 100). აღნიშნული სენტიმენტები სულ უფრო ყოვლისმომცველი 1930–იან წლებში გახდა. პარტიულ დოკუმენტებში, ლიდერების გამოსვლებსა და სტატიებში ერთიანი რიტორიკა დაკანონდა. ნებისმიერი, ვინც იდეოლოგიურ ხაზს არ გამოიყენებდა, „დევიაციონისტად“ გამოცხადება ემუქრებოდა. ხაზიდან გადამხვევებისგან

მოსალოდნელი იყო საკუთარი შეცდომების აღიარება და ამხანაგთა მარშირებული კოლონებისთვის შეერთება. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამ ასეთი რიტორიკა ვირტუალურ რეალობად გადააქცია (Hosking 2001, 462). რევოლუციური მენტალიტეტი ასაზრდოებდა ამ ხანის დიდ რეპრესიებსაც. ისტორიკოს თომას კარლაილის მიერ 1794 წლის იაკობინური ტერორისთვის შენიშნული თვისებები – საგარეო ძალებისგან დაფინანსებული მტრებზე ეჭვის მიტანა, რომლებიც გამუდმებულ შეთქმულებებს აწყობენ რევოლუციის დასანგრევად და ხალხისთვის უბედურებების თავსდასატეხად – ამოქმედდა 1936-1938 წლების ტერორის შემთხვევაშიც (Fitzpatrick 1994, 166).

საბჭოთა კავშირში მტრის ტრადიციის ჩამოყალიბებაზე ლენინის პერსონალიამ თავისებური წვლილი შეიტანა. მისი თანამედროვე რუსი სოციალ–დემოკრატი ალექსანდრ პოტრესოვი (1869-1934) ლენინის აზროვნების მანერის აღწერისას აღნიშნავს, რომ მან იცოდა ხალხის ორი კატეგორია, საკუთარი და სხვისი. მისთვის ადამიანი მიზნისგან განურჩეველი იყო, პირადი მტერი პარტიის მტერს წარმოადგენდა და პირიქით. სოციალ–დემოკრატიის ფარგლებში ან ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ფართო საზოგადოებრივი მოძრაობაში, მათ, ვინც მისი ორგანიზაციის გავლენის სფეროში ვერ მოხვდებოდა, ლენინი მტრებად აღიქვამდა. ამგვარ პოლარულ ოპოზიტებს შორის, მეგობარი–ამხანაგი და მტერი–დისენტერი, ლენინისთვის სოციალურსა და ადამიანურ ურთიერთობებში შუალედური სპექტრი არ არსებობდა (Pipes 1990, 348). თავის მოგონებებში ლენინზე, ლევ ტროცკიმ მისი მენტალობის აღმწერი საინტერესო მაგალითი დატოვა. მასთან ერთად ლონდონში ვიზიტისას, ლენინი გამუდმებით იხსენიებდა შემხვედრ ადგილებს, როგორც „მათი“, რომელ სიტყვაშიც, ტროცკის დაკვირვებით, ის გულისხმობდა არა ინგლისისას, არამედ „მტრისას“: „ეს ფენომენი არსებობდა ყოველთვის, როდესაც ლენინი ნებისმიერი სახის კულტურულ ფასეულობებზე ან ახალ მიღწევებზე საუბრობდა ... მათ გაიგეს, მათ აქვთ, მათ შეასრულეს ან მიაღწიეს – მათ, როგორც მტრებმა!“ (Pipes 1990, 348).

ისტორიკოს რიჩარდ ფაიფსის აზრით, ლენინის აზროვნებაში არსებულს „მე/ჩვენ–შენ/ისინი“ დიქოტომიასა და მის გრადაციას „მოყვარე–მტრის“ მკაცრ დუალიზმში, რომელიც სულ უფრო უკიდურესობებში გადაიზარდა, ორი უმნიშვნელოვანესი ისტორიული შედეგი ჰქონდა. ამგვარ ყაიდაზე აზროვნებით,

ლენინი იყო პოლიტიკის გასამხედროების ინოვატორი, პირველი სახელმწიფოს მეთაური ვინც, საშინაო და საგარეო პოლიტიკას, როგორც ომიანობას, ისე მიუდგა, რომლის მიზანს მტრის არათუ დამორჩილება, არამედ მისი საბოლოო განადგურება წარმოადგენდა. ამ ინოვაციამ ლენინს ოპონენტებზე სტრატეგიული უპირატესობა მისცა, რომელთათვისაც ომიანობა ან პოლიტიკის ანტითეზისი იყო ან პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით. მათგან განსხვავებით, ლენინისთვის ომი მშვიდობის ანტითეზისის ნაცვლად მისი დიალექტიკური შედეგია, ის ექსკლუზიურად მომართულია ყველანაირი საშუალებებით გამარჯვებების მოპოვებაზე, მისთვის ტაქტიკური მიზნების გარდა კომპრომისის შესაძლებლობა არ არსებობს. ფაიფსი ლენინის გულწრფელობის იშვიათ შემთხვევას ხედავს მის მიერ მშვიდობის, როგორც „ომისთვის სასუნთქი დროის მონაკვეთის“ განმარტებაში, რამაც უნებლიედ მოგვცა წარმოდგენა მისი გონების ფარული ჩაღრმავებების შესახებ (Pipes 1990, 349). ლენინმა „ყველა ფრონტზე“ შეტევა იმდენად შეითვისა, რომ ის საბჭოთა კავშირზე და ყოფილ იმპერიულ ტერიტორიებზე სრული ძალაუფლების დამყარების შემდეგ ახალი მტრების მოგონებასა და მოსპობას საჭიროებდა, რომელიც ეტაპობრივად ხდებოდა ეკლესია, სოციალ–რევოლუციონერები, ინტელიგენცია. საომარი განწყობილება გადაიქცა კომუნისტური რეჟიმის უცვლელ სახასიათო ნიშნად. მან კულმინაციას სტალინის ცნობილ „თეორიაში“ მიაღწია, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო უახლოვდებოდა კომუნიზმი საბოლოო გამარჯვებას, მით უფრო ინტენსიური ხდებოდა სოციალური კონფლიქტები, ცნება, რაც უპრეცენდენტო მასშტაბების ხოცვა–ჟლეტას ამართლებდა (Pipes 2011, 499).

ამგვარი ფსიქოლოგიური კონსტრუქციის მეორე საყურადღებო შედეგი იყო ლენინის მხრიდან ნებისმიერი სახის განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობა, იქნებოდა ეს ორგანიზებული ოპოზიცია თუ უბრალო კრიტიკა. თუ ის ნებისმიერ ჯგუფს ან ინდივიდუალებს მისი გავლენის და პარტიის გარეთ მყოფებად წარმოისახავდა, მათ მტრებად მოისაზრებდა, რასაც მათი გაჩუმება და აღკვეთა მოჰყვებოდა. როგორც ტროცკი შენიშნავდა, ამგვარი მიდრეკილებები ლენინის მენტალობაში ნათელი იყო მისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისშიც. მისი თქმით, იაკობინური აფორიზმი, „მე მხოლოდ ვიცი ორი პარტია – კარგი მოქალაქეების და ცუდი მოქალაქეების“ ამოკვეთილი იყო მაქსიმილიან ლენინის გულში (ტროცკის მოჰყავდა პარალელი რობესპიერთან). ფაიფსის დასკვნით, ამაში ტერორის

ძალაუფლების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საჯარო აზრის კონტროლის ტოტალიტარული მისწრაფების მიკრობი უკვე იმალებოდა (Pipes 1990, 349).

სტალინიზმის ეპოქამ ფრონტის ხაზებისა და მტრების არსებობა მემკვიდრეობად მიიღო და კიდევ უფრო მეტად განავითარა. ამ დროს მოხდა მარქსიზმ–ლენინიზმად წოდებული იდეოლოგიის ლექსიკონის სტანდარტიზება და რიტუალიზება, რასაც მოგვიანებით ჯორჯ ორუელმა „ახალმეტყველება“ (Newspeak) დაარქვა. ყველა ჯგუფსა და ინდივიდუალს მყარი იარლიყი მიენიჭა, როგორიც იყო ხარბი კულაკები, გამყიდველი წვრილი ბურჟუები თუ იმპერიალისტური ძალები. მსოფლიო დაიყო ტრადიციულ მანიქეურ ყაიდაზე, მტრებად და მოყვარეებად, ხოლო ყველა თანამედროვე მოვლენა, საგარეო და საშინაო, კლასობრივი ბრძოლის პრიზმამდე დავიდა (Malia 2008, 172). როგორც პარტიის აგიტპროპი აცხადებდა, ქვეყანა იყო სასიკვდილო კლასობრივ ომში. ის როგორც გარედან, ისე შიგნიდან, მტრებით იყო შემორტყმული, როგორიც იყვნენ კულაკები, ნეპმანები, სპეკულატორები, ბურჟუა სპეციალისტები, მემარჯვენე და მემარცხენე დევიაციონისტები. ყველა ხსენებულნი შეიძლება იმპერიალისტურ კაპიტალთან და ძალებთან კონტაქტში ყოფილიყვნენ, რის გამოც ყველა ფრონტზე ბრძოლას შესაფერისი სიფხიზლე და კლასობრივი ბრძოლის სულში წარმართვა მართებდა (Malia 2008, 175-176).

სტალინური პერიოდის კოლექტივიზაციას და პირველი ხუთწლედის (1929-1932) ინდუსტრიალიზაციას თან ახლდა საომარი ტერმინოლოგია და მეტაფორები (მათო შორის, როგორიცაა „ომის ქარცეცხლი“). საბჭოთა კომენტატორები საუბრობდნენ კომუნისტების „მეომრობაზე“, ძალების „მობილიზებაზე“, ბურჟუაზიისა და კულაკთა კლასისგან მოსალოდნელ „კონტრ–შეტევებსა“ და „ჩასაფრებებზე“. ეს ერთდროულად იყო ბრძოლა რუსეთის ჩამორჩენილობასთან და პროლეტარიატის ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულ კლასობრივ მტრებთან (Fitzpatrick 1994, 120). საომარი სიმბოლიკის გარდა, პირველი ხუთწლედის საბჭოთა კავშირი ომში ჩაბმულ ქვეყანას მრავალმხრივად წააგავდა. საბჭოთა პრესაში რეჟიმის პოლიტიკის წინააღმდეგ არსებული პოლიტიკური ოპოზიცია და წინააღმდეგობა გამცემლობად მოინათლა, ხოლო ჯაშუშებისა და საბოტაჟის მომწყობთა მიმართ სიფხიზლე უფრო აქტუალური გახდა. მმართველი ფენა მოსახლეობას პატრიოტულ სოლიდარობისა და ინდუსტრიალიზაციის „საომარი

მცდელობისთვის“ გასაღები მსხვერპლისთვის მოუწოდებდა (Fitzpatrick 1994, 120).

საყოველთაო ბრძოლისა და ეჭვის ეს განწყობა ლენინის ბოლშევიკური პარტიის მემკვიდრეობა იყო, თუმცა სტალინის პიროვნებამ და მისმა ცნობილმა პარანოიდულმა ხასიათმა ის კიდევ უფრო გააღრმავა. სტალინი და მისი ერთგული ლეიტენანტები, მოლოტოვის და კაგანოვიჩის მსგავსად, იზიარებდნენ მენტალობას, რომელიც მსოფლიოს მტერ/მოყვარედ ყოფდა და ყველა ოპონენტის მიმართ უმკაცრეს ღონისძიებებს ამართლებდა. მათთვის სტალინის მტკიცე მხარდაჭერისგან სულ მცირედი გადახრაც შესაძლო რენეგატობის ნიშანი იყო, რომელიც აუცილებელ აღკვეთას იმსახურებდა. რეპრესიებიდან ორმოცი წლის შემდეგ, მოხუცი მოლოტოვი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, რეპრესიის გამართლებას კვლავ აგრძელებდა: „უმთავრესად ესენი იყვნენ დამნაშავეები, ვინც სხვადასხვა ხარისხით რეპრესირებას საჭიროებდა, რომლებიც დაისაჯნენ“ (Suny 1998, 267).

მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ საბჭოთა კავშირში საგარეო და საშინაო მტრების შეთქმულების თემა ახალი სახით გაგრძელდა. კულაკებისა და დევიაციონისტების გაქრობის შემდეგ, დაუსრულებელი ბრძოლის ეფექტის მისაღწევად, რეჟიმმა ანტი–სემიტიზმის გამოყენებით „ანტი–კოსმოპოლიტანური“ კამპანია დაიწყო. ჟდანოვშჩინის პოლიტიკური მიზეზი ომის დროინდელი პატრიოტიზმის სამხედრო ქსენოფობიაშ გადასვლა, საზოგადოების საგარეო გავლენებისგან იზოლირება და ომგამოვლილი მოსახლეობის ხელახალი დაშინება იყო (Malia 2008, 275). ცივი ომის პერიოდში ტროცკისტურ–ბუხარინულ–ფაშისტური მტრის ხატის მემკვიდრე, ახალი დიდი მტერი, „ამერიკული იმპერიალიზმი“ გახდა. მსოფლიო პოლიტიკაში არაკონფრონტაციული გარემო ავტომატურად შეამცირებდა საბჭოთა კავშირში სოციალური და იდეოლოგიური მობილიზაციის საჭიროებას. ამის გამო, დაუსრულებელი დაპირისპირება „იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ მმართველი კლასისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად შეუცვლელი ინსტრუმენტი იყო (Malia 2008, 373).

დასასრულს, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სტრუქტურული მსგავსებები კომუნიზმსა და რუსულ ნაციონალიზმს შორის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომანტიკულმა ნაციონალიზმმა მარტივად შეითვისა ბოლშევიკური პოზიციები,

მაგალითად ცნობილი ნაციონალისტი ინტელექტუალი ალექსანდრ პროხანოვი საბჭოთა კავშირს განადიდებს და 1917 წლამდე და მის შემდეგ რუსეთის ისტორიაში განგრძობითობას ხაზს უსვამს. მკვლევარ აივერ ნოიმანის შენიშვნით, რუსული ნაციონალიზმიც და ბოლშევიზმიც კონსტრუირებულია „ჩვენ/მათი“ მკვეთრ დაყოფაზე, სადაც ის, ვინც „ჩვენთან“ არაა (კლასობრივი მტერი, სხვა ნაციონალობა), ჩვენი წინააღმდეგია. თუ ბოლშევიზმი ხედავს პარტიას, როგორც თავს და მასებს ტანად, იმავე ლოგიკით ნაციონალიზმი სახელმწიფოს თავად და ერს ტანად მიიჩნევს. ორგანული მეტაფორა აგრეთვე აჩვენებს, რომ ამგვარ პოლიტიკაში ნებისმიერ კონფლიქტი არაბუნებრივი დაავადებაა, რომელსაც სავარაუდო გარეშე მიზეზები აქვს (Neumann 2013, 173). კომუნისტურ–ნაციონალისტური პოლიტიკური ლექსიკონის საოცარი მსგავსების ამსახველი მასალაა შემდეგი ფრაგმენტი გამორჩეული რუსი ნაციონალისტი ინტელექტუალის იგორ შაფარევიჩის 1987 წლის პუბლიკაციიდან „რუსოფობია“: „ჩვენს ქვეყანაში ამ ხანებში მტრების აქტივობა სულ უფრო აშკარა ხდება.. ბნელი ელემენტები პრაქტიკაში ახორციელებენ ბრძოლას ქვეყნის ძირძველი მოსახლეობის წინააღმდეგ და სპობენ ხალხის ეროვნულ სახეს. ისინი ხელახლა აცოცხლებენ ტროცკიზმს, იმისათვის რომ სახელმწიფოში ქაოსი დათესონ, იმისათვის რომ დასავლური კაპიტალისა და იდეოლოგიის ნაკადები შემოუშვან” (Duncan 2002, 118).

მტრის საჭიროება რუსულ პოლიტიკაში

ქვეყნის მილიტარიზაცია და მტრის ხატის აუცილებლობა რუსეთის პოლიტიკისა და ისტორიული წარსულის ამოსაცნობი თვისებაა. ისტორიკოს უოლტერ ლაქერის შენიშვნით, რუსეთის, როგორც ალყაშემორტყმული ციხე–სიმაგრის განცდა საუკუნეებს ითვლის და მას აქაურ აზროვნებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ამ ფენომენს მარჯვედ იყენებდნენ ავტორიტარული მმართველობის, მოსახლეობაზე დაწესებული მრავალი შეზღუდვის, მათთვის მოთხოვნილი მსხვერპლის გაღების და რეჟიმების ნაკლულოვანებების გასამართლებლად (Laquer 2015, 251). რუსეთში არსებული პრობლემების გადაფარვა ხშირად ხდებოდა გარეშე ძალებთან კონფრონტაციის ხარჯზე, მწერალ დმიტრი ბიკოვის სიტყვებით, „საგარეო აგრესია არის რუსეთისთვის ცნობილი

ერთადერთი გზა საშინაო პრობლემების გადასაჭრელად“ (Razor 2017). მარკიზი დე კიუსტინი თავის მოგზაურობის დღიურებში (1839წ.) რუსეთის ხელისუფლებას უწოდებდა „სამოქალაქო წესრიგის შემცვლელ ბანაკის დისციპლინას, ალყის ვითარებას, რომელიც საზოგადოების ჩვეული მდგომარეობა გახდა.“ (Custine 1987, 81). ისტორიკოსი რიჩარდ ფაიფსი იმოწმებს რუსეთის დამკვირვებლებს, რომ ამ ხალხს სჭირდება მტრები, რადგან ისინი იძლევიან ეროვნული ერთიანობის ერთადერთ წყაროს, თავისუფლების იდეალი აქ უძლური აღმოჩნდა ფსიქოლოგიური „ცემენტის“ როლის შესასრულებლად (Pipes 2004). რუსულ ყოფაში მტრის ხატის ღრმად გამჯდარ ტრადიციასა და ამ ფენომენის სავალალო გვერდით ეფექტებზე მიუთითებდა ცნობილი ბელორუსი მწერალი ვასილ ბიკაუ (1924-2003), როდესაც წერდა: „დიდი ხნის მანძილზე ჩვენ დაბეჯითებით ვიბრძოდით ვიღაცის ‘მხარეს’ ან ‘წინააღმდეგ’. დღეს, როდესაც საკუთარი თავი ‘მტრის მერყევ სახესთან’ დაპირისპირებულად ვიპოვნეთ, გონება დავკარგეთ. ცბიერი მტრის ხილვის საჭიროება შინაგან მოთხოვნილებად გადაიქცა. ეს განსაკუთრებით ეხება ჩვენს ბიუროკრატიას, რომელიც ნამდვილი მტრების არარსებობისას, მზადაა გამოგონილებს ჩაეჭიდოს. ადრინდელ დროში ასეთ მტრებს შესაბამისი ორგანოები აქტიურად იგონებდნენ. ახლა მათ დაავადებული სინდისი, როგორც დამცავ ზომას, ისე წარმოშობს.“ (Sahni 1997, 214).

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტ ანდრეი ციგანკოვის დაკვირვებით, მონღოლების ორ–საუკუნოვანი დაპყრობის შემდეგ რუსებს განუვითარდათ დაუცველობის ფსიქოლოგიური კომპლექსი და დამოუკიდებლობისთვის ყველაფრის მსხვერპლშეწირვის მზადყოფნა. უამრავმა ომებმა ევროპასა და აზიაში უფრო განავითარა ასეთი მენტალიტეტი, რითაც საბოლოოდ მეტი ვალიდურობა ემატებოდა ტრადიციულ თვითმპყრობელურ პოლიტიკას (Tsygankov 2016, 6). დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის საჭიროების გასამართლებლად, 1931 წლის თებერვლის გამოსვლაში სტალინმა საკუთარი არგუმენტი მძლავრი საგარეო საფრთხეების მოშველიებით გაამყარა: „ძველი რუსეთის ისტორია იყო გამუდმებული ცემა მისი ჩამორჩენილობის გამო. მას სცემდნენ მონღოლი ხანები, მას სცემდნენ თურქი ბეები, მას სცემდნენ შვედი ფეოდალი ლორდები, მას სცემდნენ პოლონური და ლიტვური თავადაზნაურები, მას სცემდნენ ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები, მას სცემდნენ იაპონელი ბარონები. ყველა სცემდა მას მისი ჩამორჩენილობისთვის. ჩვენ ვართ ორმოცდაათი

ან ასი წლით ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს. ჩვენ უნდა აღმოფხვრათ ეს განსხვავება ათ წელში. ან ჩვენ ამას ვიზამთ ან გაგვანადგურებენ.“ (Tsygankov 2016, 6).

მტრის ხატის საჭიროებისა და ქვეყნის მილიტარიზების საწყის ამსახველ დოკუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ პეტრე პირველის ნახევრად აპოკრიფული ანდერძი, რომლის ასლი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დღემდეა დაცული. მეფე მემკვიდრეებს უტოვებს საკუთარი ხედვების ერთობლიობას იმპერიის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად, მისთვის რუსეთი უნდა დარჩენილიყო ომის მარადიულ მდგომარეობაში „ჯარისკაცების გამოსაწრთობად და ერის გასასამხედროვებლად“ (Longworth 2006, 187-188). პეტრე პირველის დასკვნა აგრეთვე თან ერთვის იმჟამინდელი გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის, ბარონ პეტრე პავლოვიჩ შეფიროვის 1716 წელს გამოქვეყნებულ ტრაქტატს, სახელწოდებით „განსჯა რუსეთსა და შვედეთს შორის ომის სამართლიან მიზეზებზე“ («Рассуждение о причинах войны»). ეს დოკუმენტი ნაწილობრივ საერთაშორისო პროპაგანდის ნაწილს წარმოადგენს, რადგან ის მალევე ითარგმნა ინგლისურსა და გერმანულ ენებზე. პეტრე წერდა: „წარსული დრო არ იყო აწმყოს მსგავსი, როდესაც შვედები ჩვენზე სხვაგვარად ფიქრობდნენ და ბრმებად მივაჩნდით... არამხოლოდ შვედები, არამედ სხვა შორეული ხალხი ყოველთვის გრძნობდა შურს და სიძულვილს რუსი ხალხის მიმართ, და ცდილობდა ჩვენს დატოვებას ადრეულ უმეცრებაში, განსაკუთრებით სამხედრო და საზღვაო სფეროებში. ეს არის ნათელი გასული საუკუნეების ისტორიიდან, სადაც თქვენ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ ამ მეზობლების მარადიული შუღლი თვით რუსეთის დიდების საწყისებში..“ (Greenfeld 1992, 197-198). მკვლევარ ლია გრინფელდის თქმით, პეტრეს სიტყვები თავისი ტონითა და მსჯელობით უცნაურად მოგვაგონებს გვიანდელი რუსი ნაციონალისტების ნაწერებს. მისი მიზანი იყო ომის განგრძობითობის გამართლება თავისი ქვეშევრდომების თვალში და სახელმწიფოს მიმართ მათი ვალდებულების განმტკიცება ქვეყნის სტატუსის ამაღლებით. (Greenfeld 1992, 197).

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი სტალინი, მოხერხებულად იყენებდა მტრის საშიშროებას ძალაუფლების შესანარჩუნებლად და საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. 1927 წლის ზაფხულში

სტალინმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ “ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხე” იყო არა გაურკვეველი და არაარსებითი, არამედ რეალური და თვალსაჩინო. მოსალოდნელი პოტენციური ომისათვის აუცილებელი იყო „ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერება, ეროვნული ეკონომიკის ამაღლება, ინდუსტრიის გაუმჯობესება“ (Legvold 2007, 95). სტალინი, როგორც მანამდე ლენინი, მოცემულობად იღებდა იმ ფაქტს, რომ ომს კაპიტალიზმის ბუნება წარმოშობდა, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გარდაუვალ დაპირისპირებაში საბჭოთა კავშირი ჩათრევას ძნელად თუ აიცილებდა. სტალინისა და მისი წრისთვის ჰიტლერული გერმანია ფრანგი და ბრიტანელი ლიდერებისთვის აღმოსავლეთის წინააღმდეგ მიმართული მტაცებელი იყო და ამის გამო სტალინის მიერ მოკავშირეების არჩევას ეთიკისგან დაცლილი, წმინდად პრაგმატული მოსაზრებები ჰქონდა (Legvold 2007, 96). რთული სათქმელია, სტალინი გულწრფელად უფრთხოდა თუ არა ახალ ომში ჩაბმას, რომლის მოახლოების თვალსაჩინო მტკიცებულება აზიიდან და ევროპიდან უხვად ექნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ომის საფრთხის თემის ექსპლოატაცია წარმოადგენდა მისთვის ხელსაყრელ მიზეზს საკუთარი გავლენის კონსოლიდირებისა და განსაკუთრებით, სამხედროების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების განსახორციელებლად.

ისტორიკოს უოლტერ ლაქერის თქმით, ცივი ომის პერიოდში მტრის არსებობას აგრეთვე წმინდად პრაქტიკული სარჩულებიც გააჩნდა. ის ხედავს გარკვეულ კორელაციას ამ დროს წარმოშობილ, მანამდე არარსებულ ანტი–ამერიკანიზმსა და უზარმაზარი, ძვირადღირებული უსაფრთხოების აპარატის შენახვას შორის. KGB-ს და მისი მემკვიდრე FSB-ს არსებობის, ბიუჯეტისა და პოლიტიკის გამართლება საჭიროებს მითს, რომ რუსეთს სჭირდება დაცვა სახიფათო, გავლენიანი და ცბიერი მტრებისგან (Laquer 2015, 120). რუსეთი დაინგრევა, თუ მას არ მფარველობს ახალი ნობილიტეტი, საკუთარი რომანტიზებული გმირებით (როგორიც იყო პოპულარული საბჭოთა პერსონაჟი შტირლიცი).

მტრის ხატისა და ალყა–შემორტყმული ციხე–სიმაგრის განცდამ არსებობა გააგრძელა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ის დღეს ვლადიმირ პუტინის პერსონალური ლეგიტიმაციისა და პოპულარობის ერთ–ერთი უმთავრესი წყაროა. ამჟამინდელი ხელისუფლების ნარატივის მიხედვით, რუსეთს გარს არტყამს

მტრები, დასავლელი ლიდერებისა თუ ოლიმპიური კომიტეტის ჩათვლით, შიგნით ებრძვის გარეშე ძალების მიერ დაფინანსებული მეხუთე კოლონა, მმართველი კლასი კი სტაბილურობის ერთადერთი წყაროა. კრემლის მიერ ამ თემების მანიპულირებას საინტერესოდ აღწერს ჟურნალისტი პიტერ პომერანცევი თავის გახმაურებულ წიგნში „არაფერია ნამდვილი და ყველაფერი შესაძლებელია“: „ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის რანგში იგი [ვლადისლავ სურკოვი] სატელევიზიო არხების ხელმძღვანელებს ხვდებოდა კვირაში ერთხელ და ინსტრუქციებს აძლევდა, ვის უნდა დასხმოდნენ თავს და ვინ უნდა დაეცვათ, ვისთვის უნდა მიეცათ ტელევიზიებში შესვლის ნება და ვისთვის აეკრძალათ... ტელევიზიის წარმომადგენლები, სურკოვის ინსტრუქტაჟი რომ ჰქონდათ გავლილი, იღებდნენ თემას (ოლიგარქები, ამერიკა, ახლო აღმოსავლეთი) და ოცი წუთის მანძილზე საუბრობდნენ – მინიშნებებით, ოდნავი წაქეზებით, თვალის ჩაკვრით, ინსინუაციებით, პირდაპირ ძალიან იშვიათად თუ იტყვიან რაიმეს. დაუსრულებლად იმეორებენ სიტყვებს, როგორიცაა „ისინი“ და „მტერი“, სანამ სამუდამოდ არ ჩაუბეჭდავენ მაყურებელს გონებაში. იმეორებენ და იმეორებენ ეპოქის დიად მანტრას: „პრეზიდენტი არის სტაბილურობის პრეზიდენტი – 1990–იანი წლების „არეულ–დარეულობისა და მწუხრის“ ეპოქის ანტითეზისი.“ (პომერანცევი 2017). ხელისუფლების მხრიდან მედიის გამოყენებით სპინს წარმატებული ეფექტი ჰქონდა მოსახლეობაში. „ლევადას ცენტრის“ მიერ 2017 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რესპოდენტთა 66% მიიჩნევს, რომ რუსეთს მტრები ჰყავს. მთავარ მტრებად დასახელებულნი არიან აშშ (68%), უკრაინა (29%) და ევროკავშირი (14%) (Враги России 2018).

ხსენებული დისკურსი პუტინის ზეობის გვიანდელ პერიოდში უფრო მეტად დაწინაურდა. 2011 წლის დეკემბერში პუტინმა ბოლოტნაიას მოედანზე შეკრებილი დემონსტრანტები დაადანაშაულა საგარეო ძალებთან ფარულ თანამშრომლობაში. მისი თქმით, დემონსტრანტები უცხოეთიდან იღებდნენ ასობით მილიონობით დოლარს და აშშ სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი პირდაპირ აქეზებდა მათ მოქმედებისა და არჩევნების არაღიარებისკენ (Herszenhorn and Barry 2011). 2012 წლის 23 იანვარს გაზეთ „Независимая газета“–ში გამოქვეყნდა სტატია პუტინის ავტორობით, სახელწოდებით „რუსეთი: ეროვნული საკითხი“. სტატიაში ის საუბრობს დასავლური მულტიკულტურალიზმისა და ამერიკული “სადნობი ქვაბისგან“ განსხვავებულ რუსულ „კულტურულ კოდსა“ და „ცივილიზაცია–

სახელმწიფოზე“. მისი თქმით, „დიდი რუსული მისია“ არის გააერთიანოს და შეაკავშიროს სხვადასხვა ხალხი ერთ ცივილიზაცია–სახელმწიფოში, სადაც არ არსებობს ეროვნული უმცირესობები, ხოლო რუსულ კულტურულ დომინანტზე დაფუძნებული საერთო კულტურა და ფასეულობები „მტერი–მოყვარის“ აღიარების პრინციპს განსაზღვრავს (Путин 2012). დისკურსის რადიკალიზება აისახა „რუსეთის სამხედრო დოქტრინაშიც“, დოკუმენტში, რომელსაც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი რამდენიმე წელიწადში ერთხელ ბეჭდავს. თუ ადრინდელ ვერსიებში NATO და აშშ „სტრატეგიულ პარტნიორებად“ იყვნენ მოხსენიებულნი, 2014 წლის დოკუმენტში ისინი მთავარ მტრებად არიან მითითებულნი (Laquer 2015, 249).

დღევანდელ რუსულ პოლიტიკაში მტრის საჭიროების საკითხი მნიშვნელოვნად აქვს გავრცობილი თანამედროვე რუს ინტელექტუალებს, განსაკუთრებით პოლიტოლოგ ლილია შევცოვას და სოციოლოგ ლევ გუდკოვს. თავის ნაწერებში ლილია შევცოვა გამოყოფს რუსული პოლიტიკისთვის დამახასიათებელ უნიკალურ და სიცოცხლისუნარიან „რუსულ მატრიცას“, რომლის შემადგენელ კომპონენტებად ასახელებს რუსეთის პრეტენზიას მსოფლიო ძალაზე (derzhavnost), ექსპანსიონიზმსა და მილიტარიზმს, გავლენის სფეროებისა და სატელიტი სახელმწიფოების არსებობას, მისიონერულ პროპაგანდას, საგარეო მტრის გამუდმებულ ძიებას (Shevtsova & Kramer 2013, 69). შევცოვას თქმით, ისტორიულად რუსეთის შემთხვევაში რეალური და (უფრო ხშირად) გამოგონილი საფრთხეები სახელმწიფოს პრიმატის ლეგიტიმაციის წყარო იყო. ამგვარი საფრთხეები უნდა ყოფილიყო საკმარისად მძლავრი, რათა ამით მომხდარიყო ყოველდღიური ცხოვრების მილიტარიზაციის გამართლება, სუპერცენტრალიზებული სახელმწიფოს რაციონალიზება და საზოგადოების საფუძვლების სამხედრო მიზნებისთვის დამორჩილება. ამგვარად, რუსეთმა ომის მუდმივ მდგომარეობაში განავითარა გადარჩენისა და ძალაუფლების კვლავწარმოების თავისებური მოდელი, რამაც განასხვავა ის სხვა გარდამავალი საზოგადოებებისგან და მისი ტრანსფორმირებისთვის უზარმაზარი დაბრკოლება გახდა (Shevtsova & Kramer 2013, 14). ამით რუსეთმა გააუქმა ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის, მშვიდობიანი დრო ანაქრონიზმი და დროებითი მოვლენა გახადა. ქვეყანა ყოველთვის რჩება საგარეო მტრის წინააღმდეგ ომის სამზადისსა ან შინ მტრების დევნაში (Shevtsova & Kramer 2013, 14).

პუტინის რუსეთის შემთხვევაში, შევცოვას შენიშვნით, საგარეო პოლიტიკა რეჟიმის საშინაო დღის წესრიგის ინსტრუმენტია. კრემლის საშინაო პრიორიტეტი არსებული სტატუს–კვოს შენარჩუნებაა, რომელსაც შემდეგი სამი სვეტი განამტკიცებს: პერსონალიზებული ძალაუფლება; სუპერძალის მისწრაფებით ლეგიტიმაცია; მტრების ძიებით საზოგადოების კონსოლიდირების მცდელობა და ამით რუსეთის ალყაშემორტყმულ ციხე–სიმაგრედ გადაქცევა (Shevtsova & Kramer 2013, 55). შევცოვა ხედავს გარკვეულ კორელაციას ხელისუფლების კლებად პოპულარობასა და რეპრესიული მექანიზმების ამოქმედებას შორის, რომლის პროდუქტიც „რუსული მატრიცის“ შესანარჩუნებლად საგარეო პოლიტიკის საშუალებების აქტიური გამოყენებაა. კრემლი რაც უფრო გრძნობს შინაგან მოწყვლადობასა და საზოგადოებაში პოზიციის დაკარგვას, მის მიერ საგარეო მტრის ძიება მით უფრო ინტენსიური და „ალყა–შემორტყმული ციხე–სიმაგრის“ ძველი რეფრენი მით უფრო განმეორებადი ხდება. მატრიცის გადარჩენის ლოგიკა საჭიროებს მტრის არსებობას, რომლითაც რუსული საზოგადოებისა და მსოფლიოსგან რუსული შიდა პრობლემებიდან ყურადღების გადატანა მოხდება (Shevtsova & Kramer 2013, 71).

ლილია შევცოვას თქმით, დერჟავნოსტის სულის და სიდიდის შესანარჩუნებლად აუცილებელია ძლევამოსილი მტერი, რომელიც უცხო ცივილიზაციას წარმოადგენს. ისეთი მტრებს, როგორიცაა საქართველო, ბალტიური ქვეყნები ან პოლონეთი, შეუძლიათ მხოლოდ დროებითი ფუნქცია შეასრულონ და ასეთი სუსტი მეზობლებისგან მომდინარე საფრთხე დამამცირებელი იქნება ელიტისთვის, რომელიც ძლიერ ცდილობს მაჩოს იმიჯის მორგებას. „მუხლებიდან წამომდგარი“ რუსეთის ერთადერთი შესაფერისი მეტოქე ამერიკაა, რომელიც ჩინებულად ერგება რუსული პერსონალიზებული რეჟიმის სისტემური მტრის პროფილს. ამერიკის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება რუსულ პოლიტიკურ მენტალობაში საბჭოთა ტრადიციის გაგრძელებასა და საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიის ერთგვარ გამოხატვას წარმოადგენს. პუტინის მმართველობის გადარჩენის ლოგიკა კარნახობს, რომ ამერიკა უნდა დარჩეს ნომერ პირველ საზოგადოებრივ მტრად, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება მისი ლიდერი (Shevtsova & Kramer 2013, 106). რეალპოლიტიკიდან გამომდინარე, მართებული იქნებოდა კრემლს ჩინეთი მიეჩნია მთავარ საფრთხედ და ამერიკის ნაცვლად ის ყოფილიყო კონტრქმედებისა და შეკავების მთავარი ობიექტი. რადგანაც ჩინეთი

რუსულ საზოგადოებას ალყა–შემორტყმულ ციხე–სიმაგრეში ცხოვრების შთაბეჭდილებას ვერ მისცემს, ამიტომაც რუსული მმართველი კლასისთვის გეოპოლიტიკურზე მეტად ცივილიზაციური გამოწვევები უფრო წინ დგას. გავლენიანი გარეშე მტრის არსებობა კრემლს აგრეთვე საშუალებას აძლევს ეძიოს საშინაო მტრები, რომლებიც საგარეოს პროექციას წარმოადგენენ. რუსული რეჟიმი ვერ აღიარებს შიდა კონკურენტების ბუნებრივად გამოჩენასა და ამის წარმომშობ მიზეზებს, ელიტისთვის ბევრად ხელსაყრელია მათი უცხოეთისგან მართულ და დაფინანსებულ აგენტებად გამოცხადება (Shevtsova & Kramer 2013, 71). ამასთან ერთად, კრემლმა აქტიურად დაიწყო მაკონსოლიდირებული როლისთვის მილიტარიზმის სიმბოლოების გამოყენება, როგორიცაა ბირთვული სუპერძალის როლის შენარჩუნების მცდელობები, სახელმწიფო თავდაცვასა და უსაფრთხოებასა საბიუჯეტო ხარჯვის მნიშვნელოვნად მატება, პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედრო სიმბოლოების ხმარება, პუტინისა და მედვედევის ხშირი გამოჩენა მთავარსარდლის უნიფორმებში და ა. შ. (Shevtsova & Lo 2012, 14). დასასრულს, შევცოვა ციტირებს ბრიტანელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მილიტარიზაცია და მტრის ძიება ცივილიზაციის დაღმასვლისა და თვით–განადგურების ნათელი დადასტურებაა (Shevtsova 2014, 18).

რუსეთის შემთხვევაში მტრის ხატის თეორიულ ასპექტსა (თეოდორ დოსტოევსკი, კარლ შმიტი, ჯორჯ ორუელი) და საბჭოთა კავშირის ტოტალიტარიზმის ჭრილში განხილვას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა რუსმა სოციოლოგმა, “ლევადას ცენტრის“ ხელმძღვანელმა ლევ გუდკოვმა სახელწოდებით „მტრის იდეოლოგემა“ (Гудков 2004). უკანასკნელ ნაწერებსა და ინტერვიუებში ის რუსულ პოლიტიკაში მტრის თემის თანამედროვე ტრენდებსა და მის შედეგებზე საუბრობს. გუდკოვის თქმით, ჰორიზონტალური კავშირების და ინტელექტუალური ორიენტირების არარსებობის პირობებში გარეშე მტრის ძიება საზოგადოების კონსოლიდირების უმარტივესი საშუალება ხდება. „ნეგატიური იდენტურობის“ მექანიზმის მიხედვით, ხელისუფლების გარშემო გაერთიანების საფუძველია გარეშე საფრთხე და წარმოსახვით „დასავლეთზე“ ყველა იმ მახასიათებლების მიკერება, რაც თავად ხალხში ლატენტური ფორმით არსებობს. საწინააღმდეგოს პრინციპისგან კონსოლიდირებას ემატება ისიც, რომ ეროვნული სიამაყისა და თვითპატივისცემის საფუძველი არცთუ ბევრია. თანამედროვე სახელმწიფო პროპაგანდის ტექნოლოგია მიმართულია განსხვავებულ სოციალურ

ჯგუფებს შორის ინტერაქციის მოსპობაზე, კომუნიკაციური ნაკადების ჩახშობასა და მომხდარი მოვლენების ნებისმიერი განსხვავებული ინტერპრეტაციის ან ინფორმაციის ბლოკირებაზე. პროპაგანდა მუშაობს მასობრივ ცნობიერებაში იმ მოსაზრების დამკვიდრებაში, რომ „ყველა მტაცებელია“, რომ ცხოვრებაში მოქმედებს მხოლოდ ცინიკური ინტერესები, რომ იმმორალიზმი ადამიანის და საზოგადოების ბუნებრივი მდგომარეობაა (Гудков 2014). მტრის ფაქტორი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მთლიანი სოციალური სტრუქტურის პრიმიტივიზაციას და ხელისუფლების გარშემო კონსოლიდაციას, მეორე მხრივ, მმართველი ელიტის მიმართ პრეტენზიებს აქვეითებს, მას აგრესია და უკმაყოფილება ქვეყნის გარეთ გადააქვს. ამის გამო, მტერს არ აქვს კონკრეტული სახე და ის ყოველთვის იცვლება, მისი ფუნქცია აზრის ერთიანობის უზრუნველყოფის ფუნქციაა (Кругом Врагы 2018).

ლევ გუდკოვის დაკვირვებით, მტრის ფუნქცია საზოგადოების დეგრადაციის ან სტაგნაციის მომენტებში ძლიერდება. პერესტროიკის ხანაში, როდესაც აქტიური კამათი მიმდინარეობდა საბჭოთა ჩიხიდან გამოსვლასა და საორიენტაციო მოდელის ძიებაზე, გამოკითხულთა მხოლოდ 13% საუბრობდა მტრების არსებობაზე, ხოლო 60% ამბობდა, რომ მტრებზე საუბრის ნაცვლად პრობლემები საკუთარ თავთან იყო დაკავშირებული (Кругом Врагы 2018). ხელისუფლებაში პუტინის მოსვლასთან ერთად იწყება საბჭოთა წარმოდგენების რეანიმაცია და დასავლური დემოკრატიის, ლიბერალიზმის, ადამიანის უფლებების ფასეულობების დისკრედიტაცია. ამის შესაბამისად, გამოკითხვებში მატულობს „ქვეყანას მტრები ჰყავს“ მაჩვენებლები. ანტიამერიკანიზმის აღმასვლის შემთხვევები 1999 წელს კოსოვოს, 2003 წელს ერაყის და 2008 წელს საქართველოსთან ომის დროს აღინიშნება. ამ ინციდენტებთან შედარებით, რომლებიც მცირე ხანს გრძელდებოდა, ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა ანტიუკრაინული/ანტიმაიდანური ფაზა, რომელმაც მაქსიმუმს 2014 წლის შემოდგომას მიაღწია. ამ დროს მმართველმა კლასმა ერთმანეთში აურია პედოფილია, ჰომოფობია, ლიბერალიზმი, ანტიამერიკანიზმი, ადამიანის უფლებები და ამგვარად მოახერხა ანტიდასავლური რესენტიმენტის ამაღლება. შედეგად, გამოკითხულთა 84% ანუ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მტრების არსებობას იზიარებდა, ხოლო ანტიდასავლური განწყობის ასეთი მაღალი ნიშნული 25–წლიანი სოციოლოგიური დაკვირვების მანძილზე არასოდეს დაფიქსირებულა (Гудков 2014).

ხელისუფლების მხრიდან ეფექტურმა პროპაგანდამ უფრო მკაფიო სახე 2007 წლის თებერვალში პუტინის „მიუნხენის სიტყვის“ შემდეგ მიიღო, სრული სახით ამ ინფორმაციულმა პოლიტიკამ რეალიზება მსხვილ რუსულ ქალაქებში მასობრივი პროტესტების დროს დაიწყო. ამ დროს უფრო გაძლიერდა კრემლური პარანოია და თვითდარწმუნება, რომ ყველაფერი ეს დასავლეთის და CIA-ს ინსცენირებულია, ხოლო ნებისმიერი მასობრივი მოძრაობა (ფერადი რევოლუციები, არაბული გაზაფხული, მიტინგები ბოლოტნაიას მოედანზე) მსოფლიოს დესტაბილიზაციისთვის აშშ–ს სტრატეგიაა. როგორც გუდკოვი ასკვნის, რუსეთში რეპრესიული პოლიტიკის მკვეთრ მატებას ანტიდასავლური რიტორიკის თანდათანობითი ზრდა ახლავს თან (Гудков 2014).

დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში იდენტობების საკითხის დაბრუნებაში საკუთარი წვლილის შემტანი სამუელ ჰანთინგტონი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ვიცით ვინ ვართ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიცით, ვინ არ ვართ და ხშირად მაშინ, როდესაც ვიცით, ვის წინააღმდეგ ვართ“ (Huntington 1996, 21). როგორც დავინახეთ, რუსულ შემთხვევაში ჰანთინგტონის ეს დაკვირვება უფრო მეტად აქტუალურია. ადრინდელი თუ თანამედროვე რუსული პოლიტიკა მტრის ტრადიციასთან განუყრელია და ამ უკანასკნელის გარეშე მისი სრულყოფილი ანალიზი შეუძლებელია. რუსეთი კვლავ რჩება იმ ქვეყანად და კულტურად, რომელიც მტრის არსებობითაა შეპყრობილი.

ბიბლიოგრაფია

პომერანცევი, პ. (2017). *არაფერია ნამდვილი და ყველაფერი შესაძლებელია: მოგზაურობა თანამედროვე რუსეთში.* თბილისი, რადარამი.

Berdyaev, N. (1960). *The Origin of Russian Communism* (R.M. French, Trans.). Ann Arbor.

Berdyaev, N. (1992). *The Russian Idea* (R.M. French, Trans.). Lindisfarne Press (Original work published 1946)

Billington, J. (1970). *The Icon and the Axe: An Interpretive History of Russian Culture.* New York: Vintage.

Blair, T. (2011). *A Journey: My Political Life.* New York: Vintage.

Campbell, D. (1998). *Writing Security: United States Foreign Policy and the Politics of Identity*. Minneapolis: University of Minnesota Press.

Chekhov, A. (2015). *The Collected Works of Anton Chekhov: Plays, Short Stories, Diary & Letters*. E-Artnow. Availeble at https://books.google.ge.books?isbn=8026837924 (accessed 8 January 2019).

Cross, A. (2004). "'Them': Russians on foreigners." in Ed. Simon Franklin and Emma Widdis*. National Identity in Russian Culture: An Introduction*. Cambridge: Cambridge UP. pp. 74–92.

Duncan, P. J. (2002). *Russian Messianism: Third Rome, Revolution, Communism and After*. London: Routledge.

Eco, U. (2012). *Inventing the Enemy and Other Occasional Writings*. New York: Mariner Books.

Emerson, C. (2008). *The Cambridge introduction to Russian literature*. Cambridge University Press.

English, R. (2000). *Russia and the Idea of the West: Gorbachev, Intellectuals, and the End of the Cold War*. Columbia University Press.

Fitzpatrick, S. (1994). *The Russian Revolution*. Oxford: Oxford University Press.

Gessen, M. (2013). *The Man without a Face: The Unlikely Rise of Vladimir Putin*. Riverhead Books.

Greenfeld, L. (1992). *Nationalism: Five Roads to Modernity*. Harvard University Press.

Hedlund, S. (2005). *Russian Path Dependence: A People with a Troubled History*. Routledge.

Herszenhorn, D. M., Barry, E. (2011). 'Putin Contends Clinton Incited Unrest Over Vote'. *New York Times,* December 8.

Hobson, J. (2010). *Imperialism: A Study.* Cambridge University Press.

Hosking, G. A. (1997). *Russia: People and Empire, 1552-1917*. Harvard University Press.

Hosking, G. A. (2001). *Russia and the Russians: A History*. Harvard University Press.

Huntington, S. P. (1996). *The Clash of Civilizations and the remaking of World Order*. Penguin Books.

Laqueur, W. (2015). *Putinism: Russia and its Future with the West*. London: Macmillan.

Legvold, R. (2007). Russian foreign policy during periods of great state transformation. in Robert Legvold, ed., *Russian Foreign Policy in the Twenty-First Century and the Shadow of the Past*. New York: Columbia University Press.

Lo, B. (2002). *Russian Foreign Policy in the Post- Soviet Era: Reality, Illusion and Mythmaking.* Basingstoke: Macmillan.

Longworth, P. (2006). *Russia: The Once and Future Empire from Pre-History to Putin*. St. Martin's Press: New York.

Lotman, J. (2009). *Culture and Explosion*. Berlin: De Gruyter Mouton.

Malia, M. (2009). *Russia under Western Eyes: From the Bronze Horseman to the Lenin Mausoleum*. Harvard University Press.

Malia, M. (2008). *Soviet Tragedy: A History of Socialism in Russia*. Simon and Schuster.

Marquis de Custine, A. (1987). *Journey for Our Time: The Russian Journals of the Marquis de Custine*. Washington, DC: Gateway Editions.

McDaniel, T. (1996). *The Agony of the Russian Idea*. Princeton University Press.

Morozov, V. (2015). *Russia's Postcolonial Identity: A Subaltern Empire in a Eurocentric World*. Palgrave McMillan.

Muzykantsky, A. (2005). 'A yardstick for Russia', *Russia in Global Affairs*, no. 3, July–September, available at: http://eng.globalaffairs.ru/number/n_5340 (accessed 8 January 2019).

Neef, C. (2017). 'Understanding Moscow: The mysteries of the Russian mindset', *Spiegel International*, August 22, 2017, available at http://www.spiegel.de/international/world/understanding-moscow-the-mysteries-of-the-russian-mindset-a-1162072.html (accessed 8 January 2019).

Neumann, I. B. (2013). *Russia and the Idea of Europe: A Study in Identity and International Relations*. Routledge.

Figes, O. (1996). *A People's Tragedy: The Russian Revolution 1891-1924*. New York: Viking Penguin.

Pipes, R. (2004). Flight from freedom: What Russians think and want. *Foreign Affairs*, 9-15.

Pipes, R. (2011). *Russia under the Bolshevik Regime*. Vintage.

Pipes, R. (1990). *The Russian Revolution*. New York: Vintage Books.

Poe, M. T. (2011). *The Russian Moment in World History*. Princeton University Press.

Prizel, I. (1998). *National Identity and Foreign Policy: Nationalism and Leadership in Poland, Russia and Ukraine*. Cambridge: Cambridge University Press.

Putin, V. (2012). Speech at a rally in support of presidential candidate Vladimir Putin. Available at http://en.kremlin.ru/events/president/news/14684 (accessed 8 January 2019).

Putin, V. (2014). "Address by President to the Russian Federation". Available at http://en.kremlin.ru/events/president/news/20603 (accessed 8 January 2019).

Pye, L. W. (1972). Culture and political science: problems in the evaluation of the concept of political culture. *Social Science Quarterly*, 285-296.

Raeff, M. (1984). *Understanding Imperial Russia: State and Society in the Old Regime*. New York: Columbia University Press.

Ragsdale, H. (2016). *The Russian Tragedy: The Burden of History: The Burden of History*. Routledge.

Ranciere, J. (1999). *Disagreement. Politics and Philosophy*. Minneapolis: University of Minnesota Press.

Razor, S. (2017). No Revolution without the International: An Interview with Dmitry Bykov. *Los Angeles Review of Books*, October 3.

Remnick, D. (2014). Watching the eclipse. *The New Yorker*, 11(08).

Sahni, K. (1997). *Crucifying the Orient: Russian Orientalism and the Colonization of Caucasus and Central Asia*. Bangkok: White Orchid Press.

Sakwa, R. (1999). *The Rise and Fall of the Soviet Union, 1917–1991.* London: Routledge.

Schmitt, K. (1996). *The Concept of the Political.* Trans. G. Schwab. Chicago: University of Chicago Press.

Schmitt, K. (2005). *Political Theology: Four Chapters on the Ceoncept of Sovereignty*. Trans. G. Schwab, 3rd edition. Chicago and London: University of Chicago Press.

Shevtsova, L. (2014). *Interregnum: Russia Between Past and Future.* Carnegie Endowment for International Peace.

Shevtsova, L., Kramer, D. (2013). *Crisis: Russia and the West in the Time of Troubles*. Moscow: Carnegie Center.

Shevtsova, L., Lo, B. (2012). *A 21st Century Myth – Authoritarian Modernization in Russia and China*. Moscow: Carnegie Moscow Center.

Smith, H. (2012). "Domestic Influences on Russian Foreign Policy Status, Interests and Ressentiment" in M. R. Friere and R.E Kanet (Eds). *Russian and its Near Neighbors*. London: Palgrave Macmillan.

Suny, R. G. (1998). *The Soviet Experiment: Russia, the USSR, and the Successor States*. New York: Oxford University Press.

Treisman, D. (2012). *The Return: Russia's Journey from Gorbachev to Medvedev*. Simon and Schuster.

Tsygankov, A. P. (2016). *Russia's Foreign Policy: Change and Continuity in National Identity*. Rowman & Littlefield.

Volkov, S. (2010). *St Petersburg: A Cultural History*. Simon and Schuster.

Yablokov, I. (2018). *Fortress Russia: Conspiracy theories in the post-Soviet world*. John Wiley & Sons.

Wendt, A. (1999). *Social Theory of International Politics*. Cambridge University Press.

Zizek, S. (1999). *The Ticklish Subject: The Absent Centre of Political Ontology.* London, New York: Verso.

Zizek, S. (2006). *The Universal Exception.* New York: Continuum.

Zygar, M. (2016). *All the Kremlin's Men: Inside the Court of Vladimir Putin*. New York: Public Affairs.

Врагы России (2018). *“Левада-Центр”.* Available at http://www.levada.ru/2018/01/10/vragi-rossii/. (accessed 8 January 2019).

Гудков, Л. (2004). *Негативная идентичность. Статьи 1997-2002 годов.* Авторский сборник. М.: Новое литературное обозрение.

Гудков, Л. (2014). Об образе врага, технологиях пропаганды и негативной идентичности. *Открытая Россия*. Available at https://openrussia.org/post/view/507/. (accessed 8 January 2019).

Егоров, И. (2014). Вторая "холодная". *Российская газета,* Федеральный выпуск, №6507 (235).

„Кругом Врагы“ (2018). *Радио Свобода.* 10 Январь. Available at https://www.svoboda.org/a/28966630.html. (accessed 8 January 2019).

Путин, В. (2012). Россия: национальный вопрос. *Независимая газета*, 23.01. Available at http://www.ng.ru/politics/2012-01-23/1_national.html (accessed 8 January 2019).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის
სადოქტორო პროგრამა

მე-2 სემესტრის დოქტორანტი

ბექა ამბროლაძე

სადოქტორო სემინარი

„მასმედიის თეორია და საზოგადოება“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე

თბილისი
2019

სარჩევი

სარჩევი 2
შესავალი 1
ბეჭდური მედია: გაზეთი 3
ბეჭდური მედია: წიგნი 6
მაუწყებლობა: ტელევიზია და რადიო 9
ინტერნეტი: 13
მასობრივი საზოგადოების თეორია 16
მარქსიზმი და პოლიტიკური ეკონომიკა 19
ფუნქციონალიზმი 22
სოციალური კონსტრუქტივიზმი 24
კომუნიკაციის ტექნოლოგიური დეტერმინიზმი 26
საინფორმაციო საზოგადოება 27
დასკვნა 29
გამოყენებული ლიტერატურა 31

შესავალი

მასობრივი კომუნიკაციის ისტორია, კაცობრიობის ისტორიასთან შედარებით, მცირეა, თუმცა მისი განვითარება, იმ სფეროების განვითარების პარალელურად, როგორებიცაა ტექნოლოგიები, პოლიტიკა, სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობები და კულტურული მიმდინარეობები, საკმაოდ სწრაფად მოხდა.

მასკომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა - წიგნი, ყველაზე ადრე გაჩნდა, თუმცა, ის არ გამოიცემოდა ფართო მასებისთვის და განკუთვნილი იყო ერთეულების მოხმარებისათვის, ამდენად, მასობრივი კომუნიკაციის უძველეს საშუალებად მეცნიერები გაზეთს მიიჩნევენ. პირველი პერიოდული გამოცემა საზოგადოებამ მე-17 საუკუნის დასაწყისში, ინგლისში იხილა. მართალია, თავიდან გამოცემები საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა და ვერ აღწევდა მკითხველის ფართო აუდიტორიამდე, მაგრამ ეს პროცესი მალევე დაიხვეწა - აუდიტორიის გაფართოებას ხელი შეუწყო ინდუსტრიულმა რევოლუციამ, საგანმანათლებლო საქმიანობამ, სატრანსპორტო ქსელის და ზოგადად ურბანიზაციის განვითარებამ და, შესაბამისად, გაჩნდა მოთხოვნა გაზეთზე, ჟურნალსა და წიგნზე.

ელექტრონული მედია შედარებით უფრო სწრაფად განვითარდა. ტელეგრაფის და ტელეფონის განვითარებამ საკმაოდ დიდი ბიძგი მისცა რადიოს გამოჩენას, ხოლო ტელევიზიის საინფორმაციო საშუალებად გამოყენება მეორე მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა, რასაც უკვე მოჰყვა საკაბელო და სატელიტური კომუნიკაციების დაწინაურება. ყველაზე ბოლო და ახალი მასკომუნიკაციის საშუალება გახლავთ ინტერნეტი, რომელმაც თავისი უდიდესი შესაძლებლობებით სამყარო შეცვალა.

სატელიტური კომუნიკაციები და ინტერნეტი დღევანდელი საინფორმაციო ერის განუყოფელი ნაწილია. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ფაქტობრივად, მიჰყვება ტექნოლოგიების განვითარების ეტაპებს. იგი გავლენას ახდენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე და ხშირად საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგსაც აყალიბებს.

იმისათვის რომ, გავიგოთ თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის და მისი თეორიების წარმოშობის საფუძვლები, ასევე ის გავლენები, რომელსაც იგი ახდენს

აუდიტორიაზე, საჭიროა თვალი გადავავლოთ მისი განვითარების ისტორიას. მასობრივი კომუნიკაციის მთელი სისტემა, რომელიც დღეს გვაქვს, მკვეთრად განსხვავდება წარსულისაგან და განაგრძობს განვითარებას თანამედროვე ეპოქაშიც.

სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიმართ - ამის მიზეზი ალბათ ისტორიასა და საზოგადოების განვითარების თავისებურებაში უნდა ვეძებოთ, რადგან საზოგადოების კულტურა ყველა ქვეყანაშიკონკრეტული ხალხის მიერ ყალიბდებოდა და ფორმირდებოდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ არსებული ტექნოლოგიები, განვითარების ყველა ეტაპზე, მასობრივი კომუნიკაციების სისტემების ჩამოყალიბებაზეც ახდენდა გავლენას. ამავდროულად, ეს ტექნოლოგიები საზოგადოების ყველა ფენისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო. მაგალითისთვის, ბეჭდური მედია ან ტელევიზია ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ისლანდიასა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში სუბსტანციურად მსგავსია, მაგრამ მათ შორის განსხვავება ქვეყნის მიერ ჩამოყალიბებულ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა თავისუფლებისა და კონტროლის ხარისხში მდგომარეობს. ეს, თავის მხრივ, ქვეყნის პოლიტიკური სისტემიდან, ეკონომიკური ინსტიტუციებიდან და სხვა კულტურული ფაქტორებიდან გამომდინარეობს. იმისათვის, რომ შევისწავლოთ სხვადასხვა საზოგადოების მედია სისტემები, მხოლოდ ტექნოლოგიების ცოდნა საკმარისი არ არის. აუცილებელია ვიცოდეთ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც ამა თუ იმ ქვეყნის მედია ყალიბდებოდა, ვითარდებოდა და ახლაც ფუნქციონირებს.

ადამიანები ადრეული პერიოდიდან ახერხებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას. რასაკვირველია, ასეთი სახის კავშირს ვერ ვუწოდებთ მასობრივ კომუნიკაციას, თუმცა გარკვეული იდეების (მაგალითად, რელიგიურის) გავრცელება მასობრივი კომუნიკაციის ადრეულ და თავისებურ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, ავღანეთში, სადაც, ადგილობრივი წელთაღრიცხვით, მე-14 საუკუნე დგას, მიუხედავად 21-ე საუკუნის მსოფლიოს განვითარებული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისა, პოლიტიკური და კულტურული იდეოლოგიის ერთ-ერთ მძლავრ წყაროდ მაინც მეჩეთში გადაცემული ინფორმაცია ითვლება. ეს მეთოდი ყველაზე კარგად მუშაობს ისეთ რეგიონებში, სადაც,

ავღანური სტანდარტით, ცხოვრების და განვითარების საკმაოდ დაბალი დონეა. იგივე სახის მეთოდი იქნებოდა გამოყენებული ადრეულ ეპოქაში, როცა კომუნიკაციის დამყარების ერთადერთი ეფექტიანი საშუალება იყო რელიგიური დაწესებულებები, სადაც ადამიანების მასობრივი შეკრება და პირდაპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციის გავრცელება ხდებოდა.

შემდეგი ეტაპი, რომელიც საზოგადოებამ გაიარა, ეს იყო ბეჭდური საშუალებების გაჩენა და მათი გავრცელება. მართალია, საბეჭდი მანქანა გუტენბერგის გამოგონებამდე ჩინეთში გაჩნდა (Gunaratne, 2001), მაგრამ, იქაური ჩაკეტილი სისტემის გამო, ამის შესახებ ევროპაში ცნობები არ მოიპოვებოდა.

ბეჭდური მედია: გაზეთი

ბეჭდური მედიის განვითარებამ ინფორმაციის მიღების ახალი შესაძლებლობები გააჩინა. ადამიანები გადავიდნენ სხვა სახის კომუნიკაციაზე, როდესაც ერთმანეთის აზრებს არა ვერბალურად, არამედ წერილობით აცნობდნენ და ეს ხდებოდა უფრო დიდ მანძილებზე. ამ დროს რელიგიური დაწესებულებებიდან მიღებულ ინფორმაციას უკვე გაზეთების მეშვეობით აანალიზებდნენ და განსხვავებულ აზრებს ადარებდნენ. გაზეთმა წარმოშვა რეალობა, რომელშიც არ იყო აუცილებელი, რომ ბეჭდური მედიით გავრცელებული ინფორმაცია/მოსაზრება თანხვედრაში ყოფილიყო რელიგიური დაწესებულებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან. ინფორმაციის გავრცელების მასშტაბი მკვეთრად გასცდა ლოკალურ სივრცეებს. ამ პროცესს გავლენა ჰქონდა ადამიანების როგორც კულტურულ, ისე სოციალურ ცხოვრებაზე, რამაც თავისთავად გამოიწვია საზოგადოების განვითარების პროგრესი. თავისუფალ სამყაროში ადამიანები მასობრივი კომუნიკაციების განვითარებისაკენ და სრულყოფისაკენ მიიისწრაფვოდნენ.

ბეჭდური მედიის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში თავისებურებებით ხასიათდებოდა და ეს შესაბამის პერიოდებშიც აისახებოდა. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1600-იან წლებში ამერიკის დამოკიდებლობის მოძრაობის დაწყებისა და ხალხის აზრის ფორმულირებისთვის გაზეთებმა დიდი როლი შეასრულეს. შემდეგი ტალღა, როდესაც აშშ-ში გაზეთები ძალიან აქტუალური გახდა, იყო ერთი საუკუნის შემდეგი პერიოდი (1700-იანი წლები), როდესაც, ფაქტობრივად, კონსტრუქციული კრიტიკის კულტურა ჩამოყალიბდა. ასევე მნიშვნელოვაი ეტაპი პირველი მსოფლიო ომის პერიოდი, როდესაც ამერიკის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ყიდულობდა გაზეთებს და ეცნობოდა მიმდინარე მოვლენებს. ამ ეპოქას ამერიკის შეერთებულ შტატებში საგაზეთო საქმიანობის „ოქროს ხანასაც“ ეძახიან (Defleur, 2016).

თუ წიგნი უძველესი მედიუმია, გაზეთი უძველესი მასმედიის საშუალებაა. მან მიაღწია საზოგადოების ყველა კლასამდე და დემოკრატიის ერთგვარი საშუალებად იქცა. ახალი ამბების ფურცლები, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მთავრობის მიერ იყო გამოცემული, ერთ-ერთ უძველეს გამოცემებს წარმოადგენს, რომლებმაც შემდეგში გაზეთებს ჩაუყარეს საფუძველი. უძველესი, ძვ.წ. 59 წლით დათარიღებული რომის იმპერიის მიერ გამოქვეყნებული "Acta Diurna", ანუ „daily events", ამის დასტურია. ის გამოიცა იულიუს კეისარის მიერ და გამოკრული იქნა შენობებზე საჯარო სივრცეში (Campbell, Martin & Fabos, 2011), ხოლო მე-8 საუკუნის დასაწყისში ტანგების დინასტიამ გაზეთი დაბეჭდა (Gunaratne, 2001). ეს უძველესი გამოცემები ეკლესიების ან სამოქალაქო მმართველების მიერ იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ის გაზეთები, რომლებიც 400-500 წლის წინ ევროპაში გამოდიოდა, ძირითადად პოლიტიკური შინაარსის ცნობებს წარმოადგენდა. ამის შემდეგ, ევროპაში ახალი ამბების ფურცლები გამოჩნდა, რომელსაც "corantos" (current) ეწოდებოდა. ნამდვილი გაზეთებისაგან განსხვავებით, ასეთი ტიპის ცნობები არ გამოიცემოდა პერიოდულად და, როგორც წესი, არ ჰქონდა მითითებული ავტორი. მიუხედავად იმისა, რომ 1450 წლისათვის უკვე კარგად იყო განვითარებული ბეჭდვის ტექნოლოგიები, პერიოდული გაზეთი ევროპაში მე-17 საუკუნემდე არ გამოსულა (Unwin, Tucker, & Unwin, 1999).

გაზეთების გამოცემის შეფერხება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ის სახელმწოფოების მხრიდან საკმაოდ მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა (Clegg, 1997). მაგალითისთვის, ინგლისში ჰენრი მე-7-ს ეშინოდა პრესის გაძლიერების და ამისათვის თავისი მმართველობის პირობებში მიიღო ზომები (Loades, 1964), რომლებშიც პრესის გასაკონტროლებლად ლიცენზია შედიოდა. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, უკანონო გამოცემები ან მეფისადმი კრიტიკულად განწყობილი სტატიები, როგორც წესი, დაპატიმრებებით ან სიკვდილით მთავრდებოდა.

იმის გამო, რომ გერმანიაში კონტროლი შედარებით რბილი იყო, გაზეთები უფრო სწრაფ განვითარებას ახერხებდნენ. ამერიკაში გაზეთების გამოცემის განვითარების ტემპი საკმაოდ დაბალი იყო. ინგლისიდან გაზეთების მიწოდება ადვილად ვერ ხერხდებოდა. ამას ართულებდა როგორც მოსახლეობის სიმცირე და წერა-კითხვის ნაკლებად ცოდნა, ასევე ტრანსპორტირების სირთულეც. რეკლამირებაც გართულებული იყო იმის გამო, რომ საფასურის გადახდა ნაღდი ფულით ხდებოდა, რომლის მოძრაობაც დიდ დროს ანდომებდა. ამ ყველაფერს ემატებოდა პრესის თავისუფლების შეზღუდვა ინგლისის მიერ. პირველი გაზეთი ამერიკაში, სახელად "Publik Occurences, Both Foreign and Domestick" ბენჟამინ ჰარისის მიერ 1690 წელს დაიბეჭდა (The Editors, 1998). აღსანიშნავია, რომ მას არ ჰქონდა გაზეთის გამოშვების ლიცენზია (Breig, 2002-2003).

ცხრილი №1. გაზეთი, როგორც მედიუმი და ინსტიტუცია: ძირითადი მახასიათებლები

საშუალო (მედიუმის) ასპექტები • რეგულარული და ხშირი გამოჩენა • ბეჭდვის ტექნოლოგია • შინაარსი და გზავნილის აქტუალობა • ინდივიდუალური ან ჯგუფური კითხვა

ინსტიტუციური ასპექტები

- ურბანული, სეკულარული აუდიტორია
- შედარებითი თავისუფლება, მაგრამ თვით-ცენზურა
- საჯარო საკუთრება
- სასაქონლო სახე
- კომერციული ბაზისი

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

ბეჭდური მედია: წიგნი

წიგნები, პრაქტიკულად, დამწერლობასთან ერთად გაჩნდა. ისტორია მრავალ წერილობით ნიმუშს ინახავს. თავდაპირველი დამწერლობის ნიმუშები პაპირუსზეა შესრულებული, ეგვიპტეშია აღმოჩენილი და ქრისტეშობამდე დაახლოებით 4000 წლით თარიღდება. უძველესი წიგნი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, არის მკვდრის წიგნი (The Editors, 1998b), რომელიც ეგვიპტეში ძვ. წ. მე-16 საუკუნეშია დაწერილი. მოგვიანებით, წიგნებისათვის გამოყენებული იყო ცხოველის ტყავი, რომელიც საბოლოოდ განვითარდა პერგამენტად, რომელიც დარჩა ძირითად საშუალებად ჩვ.წ. მე-10 საუკუნემდე. ამის შემდეგ წიგნები უკვე ტილოებით და ქაღალდებით კეთდებოდა. აკინძული წიგნების პირველი ვარიანტები უკვე მოგვიანებით ვიხილეთ, სადაც მასალებად, პერგამენტსა და ხესთან ერთად, პაპირუსის ფურცლებიც გამოიყენებოდა. წიგნებმა თანდათან მიიღეს თანამედროვე სახე. მათი უმრავლესობის გამრავლების საშუალება ხელით გადაწერის მეთოდი იყო და, შესაბამისად, მასზე წვდომა მხოლოდ ელიტებს, რელიგიურ პირებს და სხვა წარჩინებულებს ჰქონდათ.

როგორც ცნობილია, პირველი ბეჭდური წიგნი (Humanities, 2009) „Diamond Sutra“ გახლავთ (Daley, 2016), ჩინელებს ეს ტექნიკა არ გაუვრცელებიათ და ამიტომ ევროპაში ბეჭდვა მხოლოდ მე-15 საუკუნეში დაიწყეს.

ყველაზე გარდამტეხი ეტაპი მასობრივი კომუნიკაციის განვითარებაში მაინც ბეჭდური მედიის გაჩენაა. მაინცში, გერმანიაში იოჰან გუტენბერგმა საბეჭდი მანქანის გამოგონებით გზა გაუხსნა წიგნების მასებზე ხელმისაწვდომობას. პირველი წიგნი, რომელიც გუტენბერგის სტამბაში დაიბეჭდა, ბიბლია იყო (Champion, 2018). ბეჭდვის ხელოვნება ევროპაში ძალიან მალე განვითარდა და ორმოცდაათი წლის შემდეგ ოცდაათიათასზე მეტი წიგნი დაიბეჭდა, რომელიც ძირითადად რელიგიური შინაარსის ან ლათინური პერიოდის კლასიკის ნიმუშები გახლდათ (Champion, 2018).

ბეჭდური მედიის გამოცემას ძლიან დიდი გავლენა ჰქონდა ცივილიზაციაზე. პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა მშობლიურ ენაზე ლიტერატურის წაკითხვა და მისი ყიდვა ღია ბაზარზე. ამის შემდეგ მოცემულობა შეიცვალა. მაშინ, როდესაც მხოლოდ სამეფო ოჯახი და ეკლესია აკონტროლებდა ინფორმაციას, ახლა უკვე წიგნების მრავლად გამოშვებამ ახალი იდეები შვა და მკითხველი მოიზიდა, რომელსაც წვდომა არასტანდარტულ ინფორმაციასთან, განსხვავებულ აზრთან და ხედვებთან ჰქონდა. მკითხველი მდიდრდებოდა ახალი ინფორმაციით. ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნიდა მეფის მმართველობას, რადგან ცოდნა ხდებოდა ყველაზე მძლავრი იარაღი. თითქმის ყველა მთავრობა და საზოგადოების ნაწილი ცდილობდა როგორმე შეეზღუდა ბეჭდვა და ბეჭდური პროდუქტების გავრცელება. ბეჭდვისთვის სპეციალური ლიცენზიებიც კი იყო საჭირო. აკრძალვების მიუხედავად, წიგნების გაყიდვა მაინც ხდებოდა, ძირითადად შავ ბაზარზე.

პირველი წიგნი რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 1640 წელს დაიბეჭდა, იყო "The Whole Book of Psalms" (Cep, 2013). ხოლო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნი, რომელიც ამერიკაში 1732 წლიდან 1757 წლამდე (History.com Editors, 2009) ყოველწლიურად გამოიცემოდა, იყო ბენჟამინ ფრანკლინის "Poor Richard's Almanac". 1731 წელს მან პირველი ბიბლიოთეკა დააარსა. მანამდე ელიტა ძირითადად პირად ბიბლიოთეკებს ფლობდა.

დიდი ხნის განმავლობაში წიგნების ბეჭდვა ნელი ტემპით მიმდინარეობდა და მასზე წვდომა საზოგადოების მცირე ნაწილს ჰქონდა. თუმცა, წარსულთან შედარებით, ეს მაინც ძალიან დიდი პროგრესი იყო. წერა-კითხვის მცოდნე ხალხის მომატებასთან ერთად, რამაც საკითხავი მასალის მოთხოვნა გაზარდა, ტექნოლოგიურმა განვითარებამ თანდათან შესაბამისი პასუხი გასცა და წიგნების მიწოდებამაც არ დააყოვნა. 1798 წელს, საფრანგეთში გამოიგონეს დანადგარი, რომელსაც შეეძლო ქაღალდის რულონების დამუშავება. მოგვიანებით მას გერმანიაში ორთქლის ძრავი დაამატეს, ხოლო ამერიკაში, მბრუნავი პრესი შექმნეს. სტრიქონების ასაწყობი სასტამბო მანქანის გამოგონებამ კი ბეჭდვის პროცესი დააჩქარა. დაჩქარებულმა ბეჭდვის მეთოდებმა და იაფმა ქაღალდმა იაფ წიგნებს ბიძგი მისცა, რომელთაც "dime novels" უწოდებდნენ. ასეთი ნოველები 5-10 ცენტად იყიდებოდა. ეს 10 ცენტიანი ნოველები არის დღევანდელი თხელყდიანი წიგნების წინაპარი. ბესტსელერის კონცეფციაც, ბიძია თომას ქოხის გაყიდვებით, 1850-იან წლებში ამერიკაში გაჩნდა. (Campbell და სხვ., 2011).

ცხრილი №2. ცხრილი წიგნი, როგორც მედიუმი: ძირითადი მახასიათებლები

საშუალო (მედიუმის) ასპექტები • მოძრავი ტიპის ტექნოლოგია • შეზღუდვა გვერდებზე. ხელნაწერის ფორმა (codex) • მრავალრიცხოვანი ასლი • პერსონალური კითხვა • ინდივიდუალური ავტორობა
ინსტიტუციური ასპექტები • სასაქონლო სახე • საბაზრო დისტრიბუცია • შინაარსისა და ფორმის მრავალფეროვნება • სიტყვის თავისუფლების მოთხოვნა • ზოგიერთი სამართლებრივი შეზღუდვის საკითხი

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

პირვანდელი სახის მედია შიდასახელმწიფოებრივ წინააღმდეგობებს განიცდიდა, მაგრამ მან თანმიმდევრული, ამასთან სწრაფი განვითარება მაინც მოახერხა და დღევანდელობამდე მიაღწია იმ ფორმას, რომელიც ყოვლისმომცველი გახდა. მედია დღეს ბევრ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესზე ახდენს გავლენას. ის პრაქტიკულად ინარჩუნებს მის ადრინდელ ყოვლისმომცველ ბუნებას და არ კარგავს აქტუალობას. ის არის ძლიერი იარაღი და საზოგადოებაზე ზეგავლენის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ, კლასიკური გაგებით, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები აღარაა საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთადერთი ფორმა, ის მყარად ინარჩუნებს თავის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გვევლინება კომუნიკაციის ერთ ფორმად, როცა თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეები ქმნიან იმის განწყობას, რომ ისინი იქმნებიან მასობრივი კომუნიკაციის ალტერნატიულ საშუალებებად. მასობრივი კომუნიკაციის ბუნების ცვლილებაც აშკარად თვალში საცემია, როდესაც ადამიანებზე ზემოქმედების დრო უკვე ძალიან შემცირებულია დროსა და სივრცეში. ადამიანთან კომუნიკაციის დამყარება უკვე თითქმის ნებისმიერი წერტილიდან ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელია ყველა სახის თემის ირგვლივ, ელემენტარული პრეს-კონფერენციიდან დაწყებული, საბრძოლო ვითარების ცოცხალ რეჟიმში გადაცემით დამთავრებული, როდესაც ამას აკეთებს არა პროფესიონალი ჟურნალისტი, არამედ ნებისმიერი ჯარისკაცი, რომელსაც დამაგრებული აქვს შესაბამი გადამცემი ხელსაწყო.

მაუწყებლობა: ტელევიზია და რადიო

ჯეიმს კლერკ მაქსველი ალბათ ძნელად წარმოიდგენდა, თუ რა შედეგი მოყვებოდა მის ვარაუდებს რადიოტალღების არსებობის შესახებ და რამდენად შორს წავიდოდა ტექნოლოგიები მისი ვარაუდების აქტუალურ გამოგონებად გარდაქმნის შემდეგ. რადიოსა და ტელევიზიის ისტორიის განხილვა ერთ კონტექსტში შეიძლება. ორივე ეს ტექნოლოგია

თავის დროზე წარმოიშვა სხვა ტექნილოგიების, ტელეგრაფის, ტელეფონის, ხმის ჩამწერი საშუალების და ფოტოგრაფიის განვითარების შემდეგად და გამოიყენება ის მიღწევები, რომელიც მათში იყო გამოყენებული (Williams, 1975). გამომგონებლები, სხვადასხვა ქვეყნებიდან, ეჭიდებოდნენ ტელე-ვიზუალური სურათის გაგზავნის იდეას, მანამ, სანამ ტელევიზიას საერთოდ გამოიგონებდნენ.

ტელევიზიამ ახალი როლი შეიძინა საკუთარი განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც ის გათავისუფლდა რადიოს გავლენებისაგან და გახდა აბსოლუტურად სხვა განზომილება. სატელევიზიო კომუნიკაციის წინ წაწევამ, განვითარების გზა უკარნახა სარეკლამო ბიზნესს და ტელეპროგრამებს.

მე-20 საუკუნის ბოლო ხანებში ტელევიზია და მისი თეორიულ-პრაქტიკული გამოყენების თავისებურებები საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომ მთავრობები უკვე ცდილობდნენ ის საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

რადიოსა და ტელევიზიის ფუნქციონირებისათვის ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემა აუცილებელი გახდა, რათა ის სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს დაქვემდებარებოდა. ეს კონტროლი, კლასიკური გაგებით, არ მოიცავს იმ კონტროლს, როდესაც ისინი მხოლოდ და მხოლოდ მათი დაკვეთით და დისკურსის გატარებით ფუნქციონირებენ, არამედ იგულისხმება წმინდა ტექნიკური სახის კონტროლი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო მედია ბაზარს აწესრიგებს.

რადიო და ტელევიზია რეალურად სპონსორობაზე და რეკლამიდან შემოსულ თანხაზეა დაფუძნებული, თუმცა გვხვდება მოდელები, როდესაც ის კონკრეტულ ბიუჯეტზეა მიბმული ან კომბინირებულად - სპონსრებით, რეკლამებით და ბიუჯეტით ახერხებს ფუნქციონირებას. ტელევიზია და რადიო საკმაოდ ძლიერი იარაღია. პირველი სპარსეთის ყურის ომმა კიდევ ერთხელ აჩვენა ტელევიზიის სიძლიერე, ამერიკული ტელევიზიები პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ როგორ ცვიოდა ამერიკული ბომბები ერაყის დედაქალაქში. აშშ, ისევე, როგორც ერაყის ლიდერები, ამბობდა, რომ თითქმის უწყვეტ რეჟიმში უყურებდა CNN-ს, რათა დაწეოდა ომის ამბებს. შესაბამისად, ტელევიზია გარდაიქმნა იმ ხელსაწყოდ, რომელიც ნაწილობრივ კარნახობდა სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებას და ფორმირებას უკეთებდა სამომავლო ოპერაციების

გეგმებისთვის აზრების მომწიფებას. ამერიკელები, რომლებსაც საკმაოდ დიდი გაკვეთილი ჰქონდათ მიღებული ვიეტნამის ომიდან, რეალურად უჩვენებდნენ იმ კადრებს, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავი იყო, მაგალითად, როგორ ხვდებოდა ე.წ. ჭკვიანი ბომბები კონკრეტულ სამიზნეებს (Rosenthal, 1991).

ვინაიდან, ტელევიზია და რადიო არის საზოგადოებაზე მძლავრი ზემოქმედების საშუალება, არსებობს მათით მანიპულირების მეთოდები, რამაც შეიძლება როგორც პოლიტიკურად ისე სოციალურად, არასათანადო პროცესები გამოიწვიოს. ამიტომ, საზოგადოების საკეთილდღეოდ, რადიოსა და ტელევიზიაზე გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. ვინაიდან ტელევიზიები, გარკვეულწილად, დამოკიდებულები არიან სპონსორებზე, მათგან მიღებულ თანხაზე და რეკლამირებიდან შემოსულ ფინანსებზე, არის იმის საშიშროება, რომ ისინი გარკვეულწილად სხვადასხვა ჯგუფების გავლენის ქვეშ მოექცევიან, რაც მათ ობიექტურობას დააკარგვინებს და გაკვეულ მასებზე, აუდიტორიაზე, ისინი სუბიექტურ ზემოქმედებას მოახდენენ. ტენდენციურობა და მიკერძოებულება ტელევიზიის და რადიოს ერთ-ერთ ფუნდამეტურ პრობლემად დარჩება და ამის გადაჭრის უნივერსალური გზების მოძიებას საზოგადოება დღესაც განაგრძობს. ეს შეხედულება გარკვეულწილად აძლიერებს იმ ხედვას, რომ არ არსებობს თავისუფალი მედია და ის, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, მიკერძოებულია.

რეკლამა, კომერციული მიზნით სიტყვით გამოსვლა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანიების მიერ დაფინანსებული პროდუქცია, რომელიც თავისუფალი მედიის საშუალებით გადაიცემა, ბადებს საკმაოდ მწვავე შეკითხვებს დემოკრატიისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. დიდ კომპანიებს და PR სააგენტოებს, ისევე, როგორც კარგად დაფინანსებულ პოლიტიკოსებს, აქვთ იმის თანხა, რომ ჩადონ ინვესტიცია ან გადაიხადონ რეკლამის თანხა და მედიის საშუალებით ხმა მიაწვდინონ აუდიტორიას. აქ საინტერესოა, ვაძლევთ თუ არა იგივე მიზნისთვის მედიის გამოყენების საშუალებას ნაკლებად დაფინანსებულ და რეკლამირებულ ორგანიზაციებს ან პოლიტიკოსებს, რომ მათი ხმაც ადეკვატურად მივიდეს საზოგადოებაში? ამისათვის PR სააგენტობმა და, თავის მხრივ, მედიამაც, უნდა აჩვენონ მომხმარებლებს, რომ ნაკლები ფინანსების მქონე, მაგრამ

პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩართულობა დემოკრატიულ პროცესში მათ ინტერესებშიც შედის (Campbell და სხვ., 2011) და შეუძლიათ ამის უზრუნველყოფა.

ცხრილი №3. ტელევიზია, როგორც მედიუმი და ინსტიტუცია: ძირითადი მახასიათებლები

შუამავლის (მედიუმის) ასპექტები • მრავალფეროვანი შინაარსი; • აუდიოვიზუალური არხები; • დახურული პირადი და შიდა საოჯახო ასოციაცია; • დაბალი ინტენსივობის და ჩართულობის გამოცდილება
ინსტიტუციური ასპექტები • კომპლექსური ტექნოლოგია და ორგანიზაცია • სამართლებრივ და სოციალურ კონტროლზე დაქვემდებარება; • ეროვნული და საერთაშორისო ხასიათი; • მაღალი საზოგადოებრივი სიცოცხლისუნარიანობა

ცხრილი №4. რადიო, როგორც მედიუმი და ინსტიტუცია: ძირითადი მახასიათებლები

შუამავლის (მედიუმის) ასპექტები • მხოლოდ ხმის მიწოდება; • პორტატული და მოქნილი გამოყენება; • კონტენტის სხვადასხვა ტიპი, მაგრამ უფრო მეტი მუსიკა; • მონაწილეობის (ორმხრივი) პოტენცია; • ინდივიდუალური და ინტიმური გამოყენება
ინსტიტუციური ასპექტები • შედარებითი თავისუფლება • ადგილობრივი და დეცენტრალიზებული რადიო; • წარმოების ეკონომიურობა

შენიშვნა: ცხრილები აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

ინტერნეტი:

1960-იან წლებში სამხედრო დანიშნულებით შექმნილ ქსელს, რომელიც კონკრეტულ პროექტზე მომუშავე ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირებას უზრუნველყოფდა, რამოდენიმე წელში ინტერნეტი ეწოდა. მისი განვითარება ძალიან სწრაფად მოხდა და ერთმანეთთან უამრავი ადამიანი, ტექნიკა და სხვადასხვა მოწყობილობები დააკავშირა. მან უამრავი ფუნქცია შეიძინა, მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მას აქვს, ეს არის მონაცემთა სწრაფი მიმოცვლა. ეს მახასიათებელი უამრავი მიმართულებით გამოიყენება და მუდამ ვითარდება. ინტერნეტის განვითარებისათვის უამრავი ინვესტიცია იდება. მნიშვნელოვანია, რომ მან გარკვეულწილად გავლენა მოახდინა მასობრივ კომუნიკაციაზე. როგორც კემბელი (Campbell და სხვ., 2011) აღნიშნავს:

> "ინტერნეტი 1960-ანი წლებიდან, მისი დაარსების დღიდან, დრამატულად გაფართოვდა უზარმაზარ მედია გენერატორად, რომელიც მსოფლიოს გარს ერტყმის, მაგრამ არ ჩაუნაცვლებია სხვა მედია საშუალებები" (გვ. 39).

საგულისხმოა, რომ, ინტერნეტის მეშვეობით, ადამიანებმა თვითონ დაიწყეს ჟურნალისტურ საქმიანობასთან მიახლოებული ახალი ამბების გადმოცემა და არაპროფესიონალურად, მაგრამ მაინც ახერხებენ შეიქმნან საკუთარი აუდიტორია და გაავრცელონ ახალი ამბები ყოველგვარი ფილტრების, ცენზურისა და ვერტიკალური საფეხურების გარეშე:

> "როდესაც ადამიანს შეუძლია გადაიღოს საშინელებები ტიბეტში ან ეროვნული კატასტროფები ჩინეთში, რომელსაც დედამიწის გარშემო ნახავს ყველა დაინტერესებული პირი, ამით ისინი გვერდს უვლიან ვერტიკალურ აკრძალვებს იმისთვის, რომ შეძლონ ჰორიზონტალურ სივრცეში კომუნიკაცია, თანაც ისე, რომ ამას გავლენა ექნება პოლიტიკურ ცხოვრებაზე" (McPhail, 2009, გვ. 31).

დროთა განმავლობაში ინტერნეტის აქტიური გამოყენება მნიშვნელოვნად იცვლება. სოციალური მედიასთან და „ონლაინ" ახალი ამბებთან ერთად, განათლების მიღების ახალი საშუალებები ჩნდება. აღსანიშნავია, რომ „ონლაინ" ახალი ამბები უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და ბეჭდური მედიის საშუალებები პერიოდულად იკავებენ ონლაინ სივრცესაც. მართალია, ბეჭდურ მედიას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს აქტუალობა, მაგრამ ინტერნეტ

სივრცეში მათი განთავსება უფრო ფართო საზოგადოებისთვის ხდება მისაწვდომი, მითუმეტეს, როდესაც „ონლაინ“ ახალი ამბების სააგენტოები მომხმარებელს თავაზობენ ახალი ამბების სხვადასხვა ენაზე გადათარგმნილ ვერსიას.

ინტერნეტის განვითარებამ სოციალური ქსელები განავითარა და ადამიანებს შორის ურთიერთობა უფრო მაღალ და უშუალო დონეზე აიყვანა. საზოგადოება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ახერხებს ერთმანეთთან კავშირს, ეცნობა პერსონალურ ბლოგებს და უზიარებს შთაბეჭდილებებს. სოციალური ქსელის განვითარებამ, გავლენა პოლიტიკურ პროცესებზეც მოახდინა. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ არაბული გაზაფხული, სადაც სოციალურმა ქსელებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. თანამედროვე ადამიანი მყისიერ რეაგირებას ახდენს მომხდარ ცვლილებებზე და ამისათვის ინტერნეტმა ფართოდ გახსნა გზა. ეს პოლიტიკურ პროცესებს საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ადამიანი ხდება ახალი ამბის არა მარტო მიმღები, არამედ გამავრცელებელი. შეიძლება ეს იყოს მცდარი ინფორმაციის აუდიტორიამდე მიტანა, მაგრამ ეს არის ის რისკები, რომელიც თან ახლავს ამ პროცესს. მთავარია ადამიანის დაუოკებელი სწრაფვა ინფორმაციის მიღებისაკენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომხდარ მოვლენას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს:

> „როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ხდება, ხალხი მაშინვე მიმართავს სოციალურ მედიას, იმისათვის, რომ გაიგოს, რა ხდება. ეს ყოველთვის ასე ხდებოდა ტრადიციულ მედიასთან მიმართებაში და ამისათვის ყველა მიზეზი არსებობს, რომ იგივე მოხდება სოციალური მედიის შემთხვევაშიც. ეს დინამიკა უფრო გავრცელებულია არადემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეებს ნაკლები ნდობა აქვთ ეროვნული მედიასაშუალებების მიმართ. ისინი უფრო თავიანთ სოციალური მედიის მეგობრებს ესაუბრებიან, ეცნობიან ბლოგებს და უცხოურ მედია საშუალებებს იმისათვის, რადგან გაიგონ, რა ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამდაგვარ მოვლენას გავლენა აქვს მათ ცხოვრებაზე“ (Wolfsfeld, Segev & Sheafer, 2013. გვ. 11).

სულ მალე, ინტერნეტი უფრო მაღალ საფეხურზე, მე-5 თაობამდე განვითარდება, რაც კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს შესძენს მათ. ერთ-ერთი იქნება დიდი ნახტომი სამედიცინო სფეროში მაგალითად:

> „მე-5 თაობის ქსელს აქვს პოტენციალი, რომ შესაძლებლობა მისცეს ქირურგს რობოტულად ჩაატაროს ოპერაცია ათასობით მილის დაშორებით“. (Gurnani, 2019, აბზ. 3).

როგორც Paxson (2010) აღნიშნავს, ინტერნეტის მახასიათებლები და ტენდენციები ასეთია (გვ. 129):

- ინტერნეტმა ბიზნესს შეუქმნა ახალი გზა მომხმარებლებისათვის საქონელის და სერვისების მიწოდებისათვის;
- ინტერნეტი ხელს უწყობს პროდუქტების და მომსახურების მომხმარებელზე მორგებას;
- ინტენეტი ავრცელებს უზღვავ ინფორმაციას, როგორც მართალს, ისე ყალბს;
- ინტერნეტის ძალა და გავრცელების სივრცე რთული გამოწვევაა მთავრობების წინაშე, რისი გადაწყვეტაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს;
- მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტში ძირითადად აშშ-ში ბაზირებული ინტერნეტ გვერდები დომინირებენ, აზიაში და აფრიკაში ინტერნეტის სწრაფად მზარდი მოხმარება დიდი ალბათობით დაიკავებს მოწინავე პოზიციებს ახლო მომავალში;
- ინტერნეტმოხმარების და ინტერნეტ საიტების ზრდა ნიშნავს რომ ისინი, ვინც ეძებენ ინტერნეტთან დაკავშირებულ სამუშაოს, აქვს დასაქმების დიდი შესაძლებლობა.

ცხრილი №5. ინტერნეტი, როგორც მედია: არსებითი ნიშნები

- კომპიუტერზე დაფუძნებული ტექნოლოგიები;
- ჰიბრიდი, მიუკერძოებელი, მოქნილი თვისებები;
- ინტერაქტივის პოტენციალი;
- კერძო და საზოგადოებრივი ფუნქციები;
- რეგულაციის დაბალი ხარისხი;
- ინტერკავშირი;
- საყოველთაოობა და დელოკაციურობა;
- ინდივიდთათვის, როგორც კომუნიკატორთათვის, ხელმისაწვდომობა;
- მასობრივი და პირადი კომუნიკაცია.

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

მასობრივი საზოგადოების თეორია

მედიის განვითარებაში გადამწყვეტი როლი მე-20 საუკუნის ტექნოლოგიურმა განვითარებამ ითამაშა. ამ პერიოდს უკავშირდება აღმოჩენები, რომ მედია საკმაოდ მძლავრი იარაღია და მისი სათანადო გამოყენება სასურველ ეფექტს მოგვცემს საზოგადოებაზე ზემოქმედების კუთხით. ამ დროისათვის მკვლევრები დაინტერესდნენ, ძირეულად შეესწავლათ მედია და გამოეკვლიათ მისი თვისებები. მედიის თეორიების განვითარებაზე ისტორიული პროცესების გავლენა აისახა სხვადასხვა თემების განხილვებით, რომელიც შემდგომში თეორიებად ჩამოყალიბდა და დაიწყო მათი შესწავლა. როგორც წესი, თეორია აღწერს მუშაობის პრინციპს. როდესაც საქმე ეხება მედიას და მასობრივ კომუნიკაციას, სხვადასხვა თეორიები ხსნიან კონკრეტულ ჭრილში დანახულ რეალობას. ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა მედიის ჩართულობით რა პირობები და ფაქტორები განაპირობებენ იმ შედეგებს რომელსაც ვიღებთ. თეორიები აღწერენ ვარაუდებს, თუ რა კავშირშია ერთმანეთთან სხვადასხვა ფაქტორები და შემდეგ ლოგიკური ჯაჭვებით ხსნიან, თუ რა შედეგები შეიძლება დადგეს ამა თუ იმ ვარაუდის გამართლების შემთხვევაში.

> „მასობრივი საზოგადოება არის სოციალური სისტემა, რომელშიც არა-ელიტებია ადვილად არხერხებენ გავლენას ელიტებზე და არაელიტები ადვილად ექვემდებარებიან მობილიზაციას ელიტების მიერ“ *(*Kornhauser, 1959 გვ. 39*).*

მასობრივი საზოგადოების თეორია ეფუძნება ერთგვარი ურთიერთბალანსის და დამოკიდებულებების მქონე ინსტიტუტების არსებობის ისეთი მოდელს, რომელიც დამყარებულია ძალაუფლებაზე. შესაბამისად, მასობრივი საზოგადოება მედიის სოციალური ძალაუფლების და გაბატონებული კლასის ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებებზეა დამოკიდებული. ასეთ საზოგადოებაში მედია დისკურსი წარმოებს პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ჯგუფების ინტერესების შესაბამისად. მედია ამ შემთხვევაში ნაკლებადაა თავისუფალი და ნაკლებად გვთავაზობს ალტერნატიულ რეალობებს. ის მუდამ ცდილობს, მხარი დაუჭიროს მმართველ ელიტებს ან გაბატონებულ პოლიტიკურ კლასს და საზოგადოება მიჰყავს ისეთ კონდიციამდე, როდესაც ისინი ეგუებიან თავიანთ კონდიციებს.

> “მასობრივი საზოგადოება მოითხოვს როგორც მიმღებლურ ელიტას, ისე ხელმისაწვდომ არაელიტურ საზოგადოებას, თუ ისინი აჩვენებენ მასის ქცევის მაღალ სიხშირეს” (Kornhauser, 41).

მასობრივი საზოგადოების თეორია წარმოაჩენს მასობრივი მედიის მიერ საზოგადოებაზე გავლენის მომხდენის იდეალურ მოდელს. აქედან გამომდინარე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები არის აუცილებელი ინსტრუმენტი მასებზე ზემოქმედებისათვის.

> “ისინი მხარს უჭერენ მასობრივ ორგანიზაციას ისე, რომ ეხმარებიან ფორმირება გაუკეთონ ან შეინარჩუნონ მოთხოვნილი მასობრივი აუდიტორია კომერციული მიზნებისათვის ან პარტიის პოლიტიკური წარმატებისათვის” (Kornhauser, 104).

მასობრივ საზოგადოებას ახასიათებს ერთიანი კულტურა, ანუ ნაკლები კულტურული მრავალფეროვნება და სუსტი სოციალური კავშირები. აქ დომინანტური მედია გამოხატავს მცირე, მაგრამ კარგად ორგანიზებული მმართველი კლასის, მედიის მაკონტროლებელი ელიტის ინტერესებს. ადამიანები, რომლებიც აკონტროლებენ იმ კორპორაციებს, რომლებიც მედიასაშუალებებს ფლობენ, ელიტის შემადგენლობაში შედიან. ამ თეორიის მიმდევრები, თითქმის გამორიცხავენ მედიაბაზრის კონკურენციას და გაბატონებულ პოზიციაში აყენებენ დიდ მედიაკორპორაციებს. რაც უფრო შეზღუდული იქნება კონკურენცია და შეზღუდული ექნებათ მაუწყებლობის საშუალება განსხვავებულ მედიასაშუალებებს, დომინანტ მედიას შეეძლება აკონტროლოს მედიაკონტენტი და მხოლოდ ის ინფორმაცია გამოიტანოს სააშკარაოზე, რომელი ინფორმაციითაც უნდათ, რომ კვებონ აუდიტორია და თავიდან აიცილონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ ინტერესებს დააზიანებს ან სიკეთეს ნაკლებად მოუტანს.

რახან გაბატონებული კორპორაციები ვახსენეთ, საჭიროა ვთქვათ, რომ მედია დიდწილად დამოკიდებულია რეკლამებიდან შემოსულ თანხაზე და რიგ შემთხვევებში მხოლოდ ამით არსებობს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს ერთგვარი დამოკიდებულების სახე, ეს ქმნის დამოუკიდებლობის ხარისხის შემცირების ხარისხს. მაგალითისათვის, მედიაკონტენტის მრავალფეროვნება და მაღალრეიტინგულობა იზიდავს რეკლამებს, მაგრამ დამოკიდებული მედია საშუალებების შემთხვევაში, შეიძლება გვქონდეს შემთხვევა, როდესაც, ნაცვლად იმისა რომ „სკანდალური“ ინფორმაცია გამოაქვეყნოს იმ

კორპორაციაზე, რომელიც მას ასპონსორებს ან სარეკლამო დროს ყიდულობს, მალავს აღნიშნულ ინფორმაციას.

> "მედია კომუნიკაცია, რომელიც მართავს მილიონობით ადამიანის ყურადაღებას, ამავდროულად, არის ამ მანიპულაციის მთავარი ინსტრუმენტი იმ ხალხის მიერ, ვინც ამ მედია საშუალებებს მართავს, მაგრამ ისინი იმართებიან ასევე იმ აუდიტორიის მიერ, რომელზედაც დამოკიდებულია მათი წარმატება ან მარცხი" (Kornhauser, 99).

მიუხედავად ამისა, მასობრივი საზოგადოებისთვის მისაღები მედიასაშუალება თანამედროვე სამყაროში მაინც განიცდის კონკურენციას მცირე მედიასაშუალებების ობიექტური შეხედულებების მხრიდან. ეს მედიასაშუალებები ცდილობენ განათლებული ჟურნალისტების და უფრო ლიბერალური შეხედულებების წყალობით ჩამოაყალიბონ შედარებით ობიექტური, დიდი კორპორაციებისგან დამოუკიდებელი მედიასაშუალებები და გახდნენ ინფორმაციის მიმწოდებელი ალტერნატიული წყაროები. მრავალმა არამომგებიანმა და საქველმოქმედო ფონდებმა დაიწყეს მედიასაშუალებების დაფინანსება დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდის გამო, რამაც გამოიწვია ახალი აზრების და განსხვავებული შეხედულებების წამოწევა მედია სივრცეში. ტექნოლოგიურმა სიახლეებმა, კერძოდ, ახალმა ელექტრონულმა მედიამ, გააჩინა ინფორმაციის მიწოდების უამრავი საშუალება, რაც ფართო მასებისათვის განსხვავებული აზრის მიწოდების კარგი საშუალებაა. საგულისხმოა, რომ დომინანტური მედიის ბატონობას საფრთხე დაემუქრა ონლაინ მედიის განვითარებისთანავე.

ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ და მედიასაშუალებების ინტერნეტში განთავსებამ გამოიწვია სარეკლამო ბაზრის გაყოფა და მასში ახალი შესაძლებლობების გაჩენა. შესაბამისად, რეკლამების განმათავსებლებს გაუჩნდათ ალტერნატიული ბაზარი საკუთარი პროდუქციის თუ მომსახურების გასაყიდად. ისინი გადიან ტრადიციული მედია ბაზრიდან ე.წ. ახალი მედიისკენ. ეს ახალი მედიასაშუალებები მოიცავს ისეთ ვებგვერდებს როგორიცაა MySpace, Facebook, Twitter, Flickr, და სხვა სოციალური ქსელები, ბლოგები და სხვა მრავალი პლატფორმა Paxson (2010). მასობრივ საზოგადოებაში ინტერნეტის მასიურ გავრცელებას ახლავს თავისი რისკები იმ კუთხით, რომ ის იძლევა საზოგადოების კონტროლის კარგ საშუალებას. ამიტომ ეს საკითხი კვლავ გამოწვევის წინაშე დგას

არადემოკრატიულ ქვეყნებში და საჭიროებს კონტროლის გამკაცებას პირადი ინფორმაციის დაცვის კუთხით.

ცხრილი №6. მედიის მასობრივი საზოგადოების თეორია: ძირითადი ვარაუდები

• საზოგადოება ორგანიზებულია ცენტრალურად და ფართო მასშტაბით; • პუბლიკა ატომიზებულია; • მედია ცენტრალიზებულია, ინფორმაციის ცალმხრივი გადაცემით; • ხალხი დამოკიდებული ხდება მედიაზე თავისი იდენტობისათვის; • მედია გამოიყენება მანიპულაციისა და კონტროლისათვის.

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

მარქსიზმი და პოლიტიკური ეკონომიკა

პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიაში ძალაუფლება ისევ აქტუალური საკითხია. აქ წამოწეულია მმართველი კლასის ინტერესები, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არის კერძო საკუთრებაც და ერთგვარი წარმოების საშუალებაც.

მატელარტი აღნიშნავს, რომ მედიის და კომუნიკაციის მარქსისტული მიდგომა გამომდინარეობს მისი წიგნიდან „კაპიტალი“ (1867), სადაც ის საუბრობს კომუნიკაციის, როგორც წარმოების ნაირსახეობაზე. ეს მოიცავს საწარმოო ინსტრუმენტების მუშაობის მეთოდებს და პროდუქციასთან კავშირს, ის ყურადღებას ამახვილებს მედიის გლობალურ გაფართოებაზე და კომუნიკაციაზე, რასაც ის და სხვები კულტურულ იმპერიალიზმს უწოდებენ (Mattelart & Siegelaub, 1979).

კრიტიკულ თეორიაში წარმოდგენილია საზოგადოებაში სოციალური პროცესების ანალიზის ნეომარქსისტული მიდგომები. ამ თეორიის მიხედვით, მასობრივი ინფორმაციის

საშუალებებმა დიდი როლი ითამაშა მმართველი კლასის ეკონომიკური ინტერესების ფორმირებაში. ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლების კრიტიკა მედიის ეფექტების ტრადიციის შესახებ გაგრძელდა უფრო მეტი ემპირიული დაკვირვებებით რიტუალური მასობრივი კომუნიკაციის შესახებ. მკვლევრები, რომლებმაც მედიის კვლევის კულტურული მიმართულება აირჩიეს, ცდილობენ გაიგონ, თუ როგორ არიან დაკავშირებული მედია და კულტურა ერთმანეთთან ყოველდღიური ცხოვრების დროს (Campbell და სხვ., 2011). ამით ცდილობენ დაადგინონ, რას ცვლის კულტურაში მასობრივი კომუნიკაციის გამოყენება, რა იცვლება საზოგადოებრივი კულტურის ქცევაში და ზოგადად კულტურაში.

საყურადღებოა ასევე განსხვავება კლასიკურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიდგომებსა და დევით ჰესმონდალის (Hesmondhalgh, 2002) მიდგომებს შორის, რომელმაც გამოავლინა კულტურულ-ინდუსტრიული მიდგომის საპირისპირო შილერ-მაკჩენის მიდგომა. მან გააკრიტიკა ამერიკული მედიასისტემები, განსაკუთრებით მედიის კონცენტრაცია ერთეული მსხვილი მოთამაშეების ხელში, როგორც ეს იყო ნაჩვენები შილერის მიერ 90-იან წლებში (Herman & Chomsky, 1998). ჰესმონდალი ამტკიცებს, რომ შილერ-მაკჩენის მიდგომა არ ამართლებს კულტურული ინდუსტრიის ანალიზის მხრივ. იგი აღიარებს სისტემის გარკვეულ ნაკლოვანებებს, ვინაიდან დეტალურად ვერ აღწერს კულტურული ინდუსტრიის კონკრეტულ პირობებს და ნაცვლად მოხმარებისა, ყურადღებას ამახვილებს წარმოებაზე, ამასთან, ფოკუსირებულია უფრო ინფორმაციულ, ვიდრე გართობისკენ ორიენტირებულ მედიაზე.

მარქსისტული თეორია უცილებლობად მიიჩნევს უშუალო კავშირს ეკონომიკურ საკუთრებასა და შეტყობინებების გავრცელებას შორის, რომელიც კლასობრივი საზოგადოების ღირებულებას და ლეგიტიმურობას ამყარებს. თანამედროვე პერიოდში ეს შეხედულებები გამართლებულია კაპიტალისტი მეწარმეების ხელში მედიის მფლობელობის დიდი კონცენტრაციის ტენდენციით, რაც ზემოთ აღვნიშნეთ.

ალტერნატიული თეორიები აღნიშნავენ მედიის უფრო იდეოლოგიურ მხარეს, სადაც კაპიტალისტური დომინანტი იქვემდებარებს მუშათა კლასს და ახდენს მასზე ზემოქმედებას.

ლუი ალთუსერმა (Althusser; 1971) ეს პროცესი გამოხატა, როგორც მუშაობა, რომელსაც იგი უწოდებს „იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატს“, რომელიც, „რეპრესიულ სახელმწიფო აპარატთან“ (როგორიცაა ჯარი და პოლიცია) შედარებით, საშუალებას აძლევს კაპიტალისტურ სახელმწიფოს, გადარჩეს უშუალო ძალადობის გამოყენების გარეშე.

პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია არის სოციალურად კრიტიკული მიდგომა, რომელიც უპირველესად ფოკუსირებულია, ერთი მხრივ, ეკონომიკურ სტრუქტურაზე და მეორე მხრივ, მედიაინდუსტრიის დინამიკასა და მედიის იდეოლოგიურ შინაარსს შორის კავშირზე. ამ თვალსაზრისით, მედიის ინსტიტუტი უნდა განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური სისტემის ნაწილი, მჭიდრო კავშირებით პოლიტიკურ სისტემასთან. შედეგები შეიმჩნევა დამოუკიდებელი მედიის წყაროების შემცირებაში, დიდ ბაზრებზე კონცენტრაციაში, რისკებისგან გაქცევაში და შემცირებულ ინვესტიციებში (როგორიცაა საგამოძიებო ჟურნალისტიკა და დოკუმენტური ფილმების გადაღება). ჩვენ აგრეთვე აღმოვაჩინეთ პოტენციური აუდიტორიის შედარებით მცირე და ღარიბი სექტორების უგულვებელყოფა და ახალი ამბების მედიის პოლიტიკურად დაუბალანსებელი დიაპაზონი.

პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომა ამჟამად გამოიყენება ინტერნეტის შემთხვევაშიც. ფუჩსი (Fuchs; 2009) ეყრდნობა სმიტის იდეებს და გვთავაზობს, რომ ინტერნეტ-ეკონომიკის გასაღები მდგომარეობს განსაკუთრებით თავისუფალი წვდომის პლატფორმებში, რომლებიც გვაწვდის რეკლამის დამკვეთების და პუბლიცისტების მიზნებს, აგრეთვე ხშირად უფასოდ აწვდის შინაარსს ქსელების პროვაიდერებს და გვერდის მფლობელებს და ეხმარება მათ მომხმარებლების საქონლად გარდაქმნაში. ძლიერ პოპულარული ვებ-გვერდების შემთხვევაში, როგორიცაა Myspace და YouTube, მასობრივი კომუნიკაციისგან განსხვავება საკმარისად ნათელი არ არის.

პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის მართებულობა ძლიერ გაიზარდა მედია ბიზნესის და ტექნოლოგიის რამდენიმე ტენდენციის გამო. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ შეიმჩნეოდა მედიის კონცენტრაცია მცირე რაოდენობის მესაკუთრის ხელში და, ამავე დროს, გლობალურ მასშტაბს იძენდა „ინფორმაციის ეკონომიკა“, რომელმაც მედია კომერციის საშუალებად აქცია.

ცხრილი №7. კრიტიკული პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია: ძირითადი ვარაუდები

- დეტერმინანტები არის ეკონომიკური კონტროლი და ლოგიკა;
- მედიის სტრუქტურა მუდამ მიდრეკილია მონოპოლიისკენ;
- მედიის მფლობელობის გლობალური ინტეგრაცია ვითარდება;
- შინაარსები და აუდიტორიები გარდაიქმნება საქონლად;
- რეალური მრავალფეროვნება მცირდება;
- ოპოზიცია და ალტერნატიული ხმები მარგინალიზებულია;
- კომუნიკაციის საჯარო ინტერესი ექვემდებარება კერძო ინტერესებს;
- კომუნიკაციისგან მიღებულ სარგებელზე წვდომა არათანაბრად არის განაწილებული .

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

ფუნქციონალიზმი

ფუნქციონალიზმი პოლიტიკურად აღიქმება როგორც მედიის პლურალიზმი. ამერიკის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ომის შემდგომ მან განაგრძო სტაბილური განვითარება და დემოკრატიული ინსტიტუტების დახვეწა. თანაბარუფლებიანობა და თანასწორობა უფრო და უფრო ფართოდ იკიდებდა ფეხს, რამაც წარმოშვა სოციალური კულტურის დონის მაღლა წამოწევა საზოგადოება გახდა უფრო თავისუფალი და ეს აისახა მედიის განვითარებაზეც. ფუნქციონალიზმმა დაიწყო სტაბილური ურთიერთობის უზრუნველყოფა ისეთ ინსტუტებს შორის, როგორიცაა ოჯახი, წარმოების ინდუსტრია, განათლების სისტემა, რელიგია, კულტურა და ასე შემდეგ. პოლიტიკურად ფუნქციონალიზზმა დაიწყო პოლიტიკური ბალანსის უზრუნველყოფა ძირითად ძლიერ პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის. ძალთა თანაფარდობის მეტნაკლებად გათანაბრება ხელს

უწყობდა თავისუფალი მედიის განვითარებას და თავისუფალ ბაზარზე კონკურენციის გარდას. კლაპერმა ფუნქციონალიზმის ეს თავისებურებები თავის მასკომუნიკაციის კვლევაში აღნიშნა კიდეც (Klapper, 1963).

ფუნქციონალიზმის კვლევის დროს მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ მასობრივი კომუნიკაციის დამაკავშირებელ ეფექტზე. ნაცვლად კულტურული დაყოფისა, ფუნქციონალისტები ეძებენ იმ გზებს, რომლითაც მედია თავის ღირებულებებს ერთი თაობიდან მეორეს გადასცემს. რაიტიმ თავის „მასკომუნიკაციაში“ ახსნა, რომ:

> „კულტურის გადაცემა ფოკუსირებულია ინფორმაციის ღირებულების და სოციალური ნორმების გადაცემაზე ერთი თაობიდან მეორეზე“(Wright, 1959, გვ. 16).

ამგვარად, ფუნქციონალისტურმა მიდგომამ განაპირობა ინტეგრირებული და სტაბილური საზოგადოება.

ფუნქციონალისტური თეორია განმარტავს სოციალურ პრაქტიკას და ინსტიტუციებს საზოგადოების და ადამიანების „საჭიროებებთან“ კავშირში (მერტონი (Merton), 1957).

ფუნქციონალურ თეორიაში საზოგადოება განიხილება როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელიც დაფუძნებულია ბალანსზე. ეს არის ერთგვარი თვითდინების სიტემა, სადაც საზოგადოება, უერთიერთბალანსისა და როლების გეგმაზომიერი გადანაწილებით და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, განაგრძობს განვითარებას.

ფუნქციონალურ საზოგადოებაში მედია არის თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც ზოგადი კონტროლის და კონკურენციის პირობებში განაგრძობს ფუნქციონირებას. რამდენადაც აპოლიტიკურია ფორმულაციაში, იგი ერგება სოციალური ცხოვრების ფუნდამენტალური მექანიზმების პლურალისტურ და ვოლუნტარისტულ კონცეფციებს და გააჩნია კონსერვატიული მიდრეკილება იმ თვალსაზრისით, რომ უფრო სავარაუდოა, მედია განიხილებოდეს, როგორც წყარო საზოგადოების შენარჩუნებისა და არა როგორც დიდი ცვლილებებისა (McQuail, 98).

ცხრილი №8. მედიის ფუნქციონალისტური თეორია: მთავარი ვარაუდები

- მედია არის საზოგადოების ინსტიტუტი;
- იგი ასრულებს წესრიგის, კონტროლის და ერთსულოვნების საჭირო ამოცანებს;
- იგი აგრეთვე საჭიროა ადაპტაციის და ცვლილებისათვის;
- ფუნქციები შესაძლოა აღმოჩნდეს კომუნიკაციის შედეგებში;
- იგი მართავს დაძაბულობას;
- აგრეთვე არსებობს დაუგეგმავი მავნე შედეგები, რომლების კლასიფიცირებაც შესაძლებელია, როგორც დისფუნქციისა.

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

სოციალური კონსტრუქტივიზმი

სოციალური კონსტრუქტივიზმი ხაზს უსვამს საზოგადოებაში კულტურის და კონტექსტის სიღრმისეულ შესწავლას (Derry, 1999; McMahon, 1997).

სოციალური კონსტრუქტივიზმი ეფუძნება სპეციალურ ვარაუდებს სინამდვილეზე, ცოდნასა და სწავლაზე. იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ გამოვიყენოთ ეს მოდელები, უნდა გავიგოთ, რა რა ხდება მათში უფრო დეტალებში.

სინამდვილე: სოციალური კონსტრუქტივისტებს სჯერათ, რომ სინამდვილე მიიღწევა ადამიანების მოქმედებების შედეგად. სოციუმის წევრები თვითონ იგონებენ რეალობას და მის მახასიათებლებს. ასევე მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი რეალობის აღმოჩენა შეუძლებელია და რომ ის უნდა თავად შექმნას საზოგადოებამ (Kukla, 2000).

ცოდნა: სოციალური კონსტრუქტივისტებისთვის ცოდნაც ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტია და არის კულტურულად აგებული (Ernest, 1999; Gredler, 1997; Prat & Floden, 1994).

ინდივიდები მნიშვნელობას ჰქმნიან ერთმანეთთან ურთიერთქმედებით იმ გარემოში, სადაც ცხოვრობენ.

სწავლა: სოციალური კონსტრუქტივისტები სწავლას, როგორც სოციალურ პროცესს, ისე უყურებენ. ეს პროცესი მხოლოდ ინდივიდში არ მიმდინარეობს და არც გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ფორმირებული განვითარებაა. მნიშვნელოვანი და პროდუქტიულია სწავლა მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდები ჩართულნი არიან სოციალურ აქტივობებში (McMahon, 1997).

იდეოლოგიის საკითხის გარდა, სოციალურ კონსტრუქტივიზმს დიდი ყურადღება ექცევა მასმედიის ახალ ამბებთან, გართობასა და პოპულარულ კულტურასთან კავშირში და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ახალ ამბებთან დაკავშირებით მედიის მკლევრებს შორის მეტ-ნაკლები კონსენსუსი არსებობს, რომ „რეალობის“ სურათი, რომლის წარმოდგენაზეც ახალ ამბებს აქვს პრეტენზია, კი არ ეხმარება, არამედ ქმნის ფაქტობრივი ინფორმაციის ფრაგმენტებს. აგრეთვე მუშაობს ახალი ამბების ჟანრობრივი მოთხოვნები და მათი დამუშავების წესრიგი. სოციალური კონსტრუქტივიზმი შეეხება პროცესებს, რომელთა საშუალებითაც მოვლენები, პიროვნებები, ღირებულებები და იდეები, უპირველესად, განისაზღვრება ან განიმარტება კონკრეტული გზით და ენიჭება ფასეულობა და პრიორიტეტი უმთავრესად მას-მედიის მიერ, რასაც მივყავართ რეალობის სურათის (პერსონალურ) შექმნამდე.

ცხრილი №9. სოციალური კონსტრუქტივიზმი: მთავარი ვარაუდები

- საზოგადოება არის უფრო კონცეფცია, ვიდრე დადგენილი რეალობა;
- მედია გვაწვდის მასალებს რეალობის შესაქმნელად;
- მედია გვთავაზობს მოსაზრებებს, მაგრამ შესაძლოა, დავეთანხმოთ ან უარვყოთ;
- მედია სელექციურად ამრავლებს კონკრეტულ მოსაზრებებს;
- მედიას არ შეუძლია სოციალური რეალობის ობიექტური აღრიცხვა

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

კომუნიკაციის ტექნოლოგიური დეტერმინიზმი

კომუნიკაციის ტექნოლოგიური დეტერმინიზმი არის თანამედროვე მედიასაზოგადოების ყველაზე მეტად მოქნილი და სწრაფად განვითარებადი თეორია. ეს თეორია იკვლევს ურთიერთქმედებას და კავშირს მიმდინარე ეპოქის საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და საზოგადოებას შორის. სიტყვა დეტერმინანტულის ირგვლივ მსჯელობა მიმდინარეობდა იმ გაგებით, თუ რამდენად იყო მედიის განვითარებაში ტექნოლოგიების როლი ისეთი გადაწყვეტი, რომ მისთვის ეს სახელი შეერჩიათ, მაგრამ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითოეული ტექნოლოგიის ნაირსახეობის განვითარება აისახებოდა მედიაშიც. უფრო მეტიც, სწორედ ტექნოლოგიურმა განვითარებამ მისცა ბიძგი მედია განვითარებულიყო ასეთ მაღალ დონეზე. ტექნოლოგიების პარალელურად იცვლებოდა იდეოლოგია, დისკურსი და გავრცელების არეალი და იზრდებოდა მიმღების რიცხვი და აუდიენციაზე ზემოქმედების ძალა.

მედიის ტექნოლოგიური დეტერმინიზმის თეორიის ძირითადი მახასიათებლები ამგვარად იქნა ჩამოყალიბებული ტორონტოს სკოლის ფუძემდებლების (Innis, 1950 & McLuhan, 1962) მიერ: 1) საკომუნიკაციო ტექნოლოგია ფუნდამენტურია საზოგადოებისთვის; 2) თითოეული ტექნოლოგია ახასიათებს კონკრეტულ საკომუნიკაციო ფორმებს, შინაარსს და გამოყენების თავისებურებებს; 3) საკომუნიკაციო ტექნოლოგიის შექმნა და გამოყენება გავლენას ახდენს სოციალურ ცვლილებებზე; 4) საკომუნიკაციო რევოლუციას საზოგადოება მიჰყავს სოციალურ რევოლუციამდე.

> „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ფრთხილად ვიყოთ იმისათვის, რომ ჩავვარდეთ ტექნოლოგიური დეტერმინიზმის ხაფანგში, უნდა ვაღიაროთ, რომ ტექნოლოგიებში არის ახალი შესაძლებლობები. ინტერნეტის მიმართ გადაჭარბებული ინტერესი უნდა იყოს იმის მანიშნებელი, რომ ეს არის განვითარება“ (McQuail, Golding & Bens, 2005, გვ 185).

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ზრდა არ უნდა იყოს სიახლე თანამედროვე საზოგადოებისათვის, მაგრამ გამოიკვეთა ზოგიერთი ტექნოლოგიური გარდატეხის მომენტი, რომელიც საზოგადოებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპიუტერის გამოგონება მე-20 საუკუნეში და მისი განვითარების არნახულად მაღალი ტემპები. დღეს, მაგალითად, კომპანია IBM-მა შექმნა მსოფლიოში

პირველი კვანტუმ-კომპიუტერი (Waters, 2019) და მე-5 თაობის ინტერნეტი, რომელიც საზოგადოებას ბევრ მნიშვნელოვან სიურპრიზს ჰპირდება.

ცხრილი №10 მედიის ტექნოლოგიური დეტერმინიზმი: მთავარი ვარაუდები

- კომუნიკაციის ტექნოლოგია ფუნდამენტალურია საზოგადოებისათვის;
- ყოველ ტექნოლოგიას მიდრეკილება აქვს კონკრეტული საკომუნიკაციო ფორმის, შინაარსის და გამოყენებისკენ;
- საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოგონების და გამოყენების რიგითობა გავლენას ახდენს სოციალური ცვლილების მიართულებასა და სისწრაფეზე;
- საკომუნიკაციო რევოლუციებს მივყავართ სოციალურ რევოლუციებამდე.

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

საინფორმაციო საზოგადოება

ტერმინი „საინფორმაციო საზოგადოება“ წარმოიშვა იაპონიაში 1960-იან წლებში და ეკუთვნის ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორს ი. ჰაიაშის. შემდეგ ეს ტერმინი ფართოდ გავრცელდა და მისი გამოყენება დაიწყეს არა მარტო სპეციალისტებმა, არამედ მას საჯარო გამოსვლებში ხშირად ხმარობდნენ პოლიტიკოსები, ეკონომისტები და სხვა დარგის სპეციალისტებიც. მისი გენიალოგია ჩვეულებრივ კვალს იღებს „პოსტ-ინდუსტრიული“ საზოგადოების კონცეფციიდან, რომელიც პირველად შემოგვთავაზა დანიელ ბელმა (Bell, 1973). ბელის ნაშრომი მიეკუთვნება ტრადიციას, რომელიც უკავშირდება საზოგადოების ტიპებს, რომლებმაც შეცვალეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეტაპები. პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების მთავარი

მახასიათებლები აღმოჩენილ იქნა ეკონომიკის სერვის-სექტორის აღმოცენებისას, წარმოებასთან და სოფლის მეურნეობასთან კავშირში. ამაგვარად, დადგინდა „ინფორმაციაზე დაფუძნებული მუშაობის“ პრედომინანტურობა. თეორიული ცოდნა (სამეცნიერო, საექსპერტო, მონაცემებზე დაფუძნებული) ხდებოდა ეკონომიკის წამყვანი ფაქტორი, რომელიც აუქმებდა ფიზიკურად მცენარეს და მიწას, როგორც სიმდიდრის საფუძველს. ამის პარალელურად, ცოდნასა და პირადი ურთერთობების უნარის ქონაზე დაყრდნობით, ამოტივტივდა „ახალი კლასი“. აღმოჩენილი პოსტ-ინდუსტრიული ტენდენციების უმრავლესობა დაჩქარდა მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში. ყველა სახის ინფორმაციის წარმოება და გავრცელება, განსაკუთრებით კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით, თავად გახდა ეკონომიკის მთავარი სექტორი.

საზოგადოება ცხოვრების ყველა სფეროში დამოკიდებული გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. აღნიშნულმა ტექნოლოგიებმა საგრძნობლად შეამცირა ხარჯები და დრო, რომელიც საჭირო იყო პროდუქტის შექმნისა და მისი მომხმარებლებამდე მიტანისათვის. გაადვილებულია საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანა და სარეკლამო ბაზარი გახდა უფრო ფართო და ყოვლისმომცველი. არის მაგალითები, როდესაც ამერიკელები მერიკული ფეხბურთის ფინალს, ე.წ Super Bowl-ის თამაშს იმიტომ უყურებენ, რომ ნახონ ყველაზე ძვირად ღირებული და უახლესი რეკლამები. ინფორმაციული საზოგადოების სერიოზული გამოწვევაა ინფორმაციული გადატვირთულობაც.

კასტელსმა (Castells, 2001) არჩია, გამოეყენებინა ტერმინი „ქსელური საზოგადოება“ „საინფორმაციო საზოგადოების“ ნაცვლად. ის ამბობს, რომ დღეს თანამედროვე საზოგადოება არის ქსელურ საზოგადოებად გადაქცევის პროცესში.

„ურთერთკავშირის“ იდეა უკავშირდება თანამედროვე საზოგადოების სხვა ასპექტს, რომელმაც ყურადღება მიიპყრო და რომელსაც გააჩნია სხვებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი. ეს არ არის ახალი იდეა. იგი იყო საფუძველი დუკჰეიმის (Durkheim, 1984) ერთი საუკუნის წინანდელი თეორიისა, რომელიც შრომის განაწილებას უკავშირდებოდა, მაგრამ ჩვენს ერაში უდავოდ არის თვისობრივი ცვლილება, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების ცხოვრების ყველა ასპექტზე გადასვლის შედეგია.

განსაკუთრებით, როდესაც ჭკვიანი მანქანები ადამიანებს ცვლიან. შეიქმნა ხელოვნური ინტელექტი რომელიც საერთოდ შეცვლის ინფორმაციული ერის საზოგადოებას და მას უფრო მაღალგანვითარებულ საფეხურზე აიყვანს.

ცხრილი №11 საინფორმაციო საზოგადოების თეორია:მთავარი ვარაუდები

- საინფორმაციო სამუშაო ცვლის ინდუსტრიულ სამუშაოს;;
- ინფორმაციის წარმოება და მიმოქცევა ჩქარდება;
- საზოგადოება ხასიათდება მზარდი ურთიერთკავშირით;
- განსხვავებული საქმიანობები ერწყმის ერთმანეთს და ერთიანდება;
- არსებობს კომპლექსურ სისტემებზე მზარდი დამოკიდებულება.
- გლობალიზაციისადმი მიდრეკილება ჩქარდება;
- შეზღუდვები დროსა და სივრცეში ძლიერ მცირდება;
- შედეგები ღიაა ალტერნატიული (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური) განმარტებებისთვის;
- არსებობს კონტროლის დაკარგვის გაზრდილი რისკი;
- საინფორმაციო საზოგადოების თეორია უფრო იდეოლოგიაა, ვიდრე თეორია.

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed)-დან.

დასკვნა

მედიისა და საზოგადოების ურთიერთობის თეორიული პერსპექტივები რამდენიმე ასპექტში განსხვავდება. იგი ხაზს უსვამს ცვლილების სხვადასხვა ტიპსა და მიზეზს და მიუთითებს მომავლის სხვადასხვა გზაზე. მათი შეთანხმება შეუძლებელია, რადგანაც

ალტერნატიულ ფილოსოფიურ პოზიციებსა და საპირისპირო მეთოდოლოგიურ განხილვებს წარმოადგენენ. მიუხედავად ყველაფრისა, შეგვიძლია მათგან გამოვიტანოთ აზრი მიდგომის მთავარ განზომილებებთან დაკავშირებით, რომელთაგან თითოეული გვთავაზობს პერსპექტივის და/ან მეთოდის არჩევას. პირველი - განსახილველი საკითხის განვითარების კრიტიკულ და მეტ-ნაკლებად პოზიტიურ ხედვებს შორის არსებობს კონტრასტი. თუმცა, მეცნიერული კვლევა ეძიებს ობიექტურობისა და ნეიტრალიტეტის ხარისხს, ეს მას ხელს არ უშლის თეორიის მიერ მითითებული ტენდენციის დადასტურებაში ან დაგმობაში. რაც შეეხება მარქსიზმს, პოლიტიკური ეკონომიკის თეორიასა და მასობრივი საზოგადოების თეორიას, არსებობს თანდაყოლილი კრიტიკული კომპონენტი. საწინააღმდეგოდ, ფუნქციონალიზმი იხრება დადებითი მიმართულებით, რამდენადაც საქმე ეხება მედიის მუშაობას. ინფორმაციული საზოგადოების თეორია ღიაა კრიტიკული და პოზიტიური ხედვებისათვის მაშინ, როცა სოციალური კონსტრუქციონალიზმი და ტექნოლოგიური დეტერმინიზმი განახლებადია.

მეორე მხრივ, მეტად სოციოცენტრულ და მედიაცენტრულ ხედვებს შორის არსებობს განსხვავება. აგრეთვე, მედია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საზოგადოებაზე დამოკიდებული და თავისი კონტურების ამსახველი ან პირველადი მამოძრავებელი ძალა და შემოქმედი. მთავარი მედიაცენტრული თეორიები უკავშირდება საკომუნიკაციო ტექნოლოგიასა და საინფორმაციო საზოგადოებას, რომელიც ძალიან სწრაფი განვითარების გამო გადადის განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Althusser, Louis. (1971). Ideology and ideological state apparatuses, in althusser, lenin and philosophy and other essays (London New Left Books) 1971.
2. Bell, D. (1973). The coming of post-industrial society. A venture of social forecasting. n.y.
3. breig, j. (2002-2003). Early american newspapering. Http://Www.History.Org/Foundation/Journal/Spring03/Journalism.Cfm
4. Campbell, R & Martin C. R., & Fabos, B. (2011). Media & Culture. An Introduction To Mass Communication. Eighth Edition. Boston. Bedford/St. Martin's
5. Castells, M. (2001). The Internet Galaxy. Reflections On The Internet, Business, And Society. New York. Manuel Oxford University Press Inc.
6. Cep, C. (2013). America's First Book. The New Yorker. Https://Www.Newyorker.Com/Books/Page-Turner/Americas-First-Book
7. Champion, J. (2018). Gutenberg's Bible: The Real Information Revolution. How One Of The Greatest Advances In Human Culture Also Helped Divide Christendom. History Today Volume 68. Https://Www.Historytoday.Com/Reviews/Gutenberg%E2%80%99s-Bible-Real-Information-Revolution.
8. Clegg, S.C. (1997). Press Censorship In Elizabethan England. United Kingdom. Cambridge University Press.
9. Daley, J. (2016). Five Things To Know About The Diamond Sutra, The World's Oldest Dated Printed Book. Smithsonian.Com Https://Www.Smithsonianmag.Com/Smart-News/Five-Things-To-Know-About-Diamond-Sutra-Worlds-Oldest-Dated-Printed-Book-180959052/
10. Defleur, M. L. (2016) Mass Communication Theories. New York: Routledge
11. Derry, S. J. (Eds.). (1999). A Fish Called Peer Learning: Searching For Common Themes. In A. M. O'donnell & A. King.

12. Durkheim, Émile (1984) The Division Of Labour In Society, Trans W.D. Halls. Basingstoke. Macmillan. First Published In 1893.

13. Ernest, P. (March 23, 1999). Social Constructivism As A Philosophy Of Mathematics: Radical Constructivism

14. Fuchs, C. (2008). Internet And Society: Social Theory In The Information Age, New York: Routledge.

15. Gredler, M. E. (1997). Learning And Instruction: Theory Into Practice (3rd Ed). Upper Saddle River, Nj: Prentice-Hall.

16. Gunaratne, S. A. (2001). Paper, Printing And The Printing Press. Gazette Vol. 63(6): 459–479 Copyright © 2001 Sage Publications, London, Thousand Oaks & New Delhi.

17. Gurnani, Cp. (2019). 5g Will Have An Enormous Impact On The World. For Cnn Business Perspectives. Https://Edition.Cnn.Com/2019/01/18/Perspectives/Davos-5g-Tech-Mahindra/Index.Html?Fbclid=Iwar3ukkozdzyiki8xitruqlgo0rufmdqhoov2ink_0itdba0ub-Cmuo3smus.

18. Herman, E. And Chomsky, N. (1988), Manufacturing Consent: A Political Economy Of The Mass Media, New York: Pantheon.

19. Hesmondhalgh, D. (2002), The Cultural Industries, London: Sage.Hess, C. And Ostrum, E. (2011), Understanding Knowledge As A Commons: From Theory To Practice, Boston, Ma: Mit Press.

20. History.Com Editors. (2009) Poor Richard's Almanack Is Published. A&E Television Networks. Https://Www.History.Com/This-Day-In-History/Poor-Richards-Almanack-Is-Published

21. Https://Www.Ft.Com/Content/F0d63c74-12c6-11e9-A581-4ff78404524e

22. Humanities At Stanford. (2009). Buddhist Diamond Sutra. Stanford Humanity Center. Http://Shc.Stanford.Edu/News/Research/Buddhist-Diamond-Sutra

23. Innis, H. (1950) Empire And Communications, University Of Toronto Press (Latest Edition 1970).

24. Jefferson's Library. Thomas Jefferson. Https://Www.Loc.Gov/Exhibits/Jefferson/Jefflib.Html

25. Klapper, J. T. (1963). "Mass Communication Research: An Old Road Resurveyed." Public Opinion Q. 27 (Winter): 515-527.

26. Kornhauser, W. (1959) The Politics Of Mass Society. Illinois. The Free Press Of Glencoe.

27. Kukla, A. (2000). Social Constructivism And The Philosophy Of Science. New York: Routledge

28. Loades, D. (1964). The Press Under The Early Tudors: A Study In Censorship And Sedition. Transactions Of The Cambridge Bibliographical Society, 4(1), 29-50. Retrieved From Http://Www.Jstor.Org/Stable/41337104

29. Mattelart, A. And Siegelaub, S. (Eds) (1979), Communication And Class Struggle, Vol. I: Capitalism, Imperialism, New York: International General.

30. Mcluhan, M. (1962) The Gutenburg Galaxy, London, Routledge & Kegan Paul.

31. Mcmahon, M. (1997, December). Social Constructivism And The World Wide Web - A Paradigm For Learning. Paper Presented At The Ascilite Conference. Perth, Australia.

32. Mcphail, T. L. (2009) Development Communication. Reframing The Role Of The Media. United Kingdom Wiley- Blackwell A John Wiley & Sons, Ltd., Publication.

33. Mcquail, D. (2005). Mass Communication Theory (6th Ed). London, Sage.

34. Mcquail, D., Golding, P. & Bens, E. D. (Eds). (2005) Communication Theory & Research. An Ejc Anthology. London. Thousand Oaks. New Delhi. Sage Publications.

35. Merton, R. K. (1957). Social Theory And Social Structure. New York: Free Press.

36. Paxson, P. (2010). Mass Communications And Media Studies. An Introduction. New York. The Continuum International Publishing Group Inc.

37. Prawat, R. S., & Floden, R. E. (1994). Philosophical Perspectives On Constructivist Views Of Learning. Educational Psychologist, 29(1), 37-48.

38. Rosenthal, A. (1991) U.S. And Allies Open Air War On Iraq; Bomb Baghdad And Kuwaiti Targets. 'No Choice' But Force, Bush Declares. Special To The New York Times. Https://Archive.Nytimes.Com/Www.Nytimes.Com/Learning/General/Onthisday/Big/0116.Html#Article.

39. The Editors Of Encyclopaedia Britannica. (1998a). Benjamin Harris. Encyclopaedia Britannica Https://Www.Britannica.Com/Biography/Benjamin-Harris#Ref199198

40. The Editors Of Encyclopaedia Britannica. (1998b) Book Of The Dead. Ancient Egyptian Text. Encyclopaedia Britannica. Https://Www.Britannica.Com/Topic/Book-Of-The-Dead-Ancient-Egyptian-Text

41. Unwin, G., Tucker, D. H. & Unwin, P. S. (1999). History Of Publishing. Commercial Newsletters In Continental Europe. Encyclopaedia Britannica. Https://Www.Britannica.Com/Topic/Publishing/Newspaper-Publishing#Ref28660.

42. Waters, R. (2019). Ibm Unveils First Standalone Quantum Computer. San Francisco.

43. Williams, R. (1975). Television. Technology And Cultural Form. New York, Schocken Books.

44. Wolfsfeld, G., Segev, E. & Sheafer, T. (2013). The Social Media And The Arab Spring: Politics Comes First. Article In The International Journal Of Press/Politics

45. Wright, C. R. (1959). Mass Communication. New York: Random House.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

I სემესტრი

გიორგი ბერიძე

სადოქტორო სემინარი

იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების ელექტრონული პროპაგანდა თანამედროვე საქართველოში

(მემარცხენე მიმართულების ორგანიზაციების ინტერნეტ აქტივობები)

ხელმძღვანელი : პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი

2019

ანოტაცია

კვლევაში შესწავლილია საქართველოში არსებული მემარცხენე მიმართულების მქონე სამი ინტერნეტ გამოცემა, ესენია : ''ანარქისტული ბიბლიოთეკა'', ''European.ge'' და ''თბილისის ფაბიანური საზოგადოება''.

''ანარქისტული ბიბლიოთეკა'' ქართველი ანარქისტებისგან შემდგარი კოლექტივია, დანარჩენი ორი კი სოციალ-დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ორგანიზაციაა.

კვლევა აქტუალურია, ვინაიდან უკანასკნელი წლების მანძილზე, გახშირებული სოციალური პროტესტების მოქმედი აქტორები ხშირად ის მემარცხენე ჯგუფები იყვნენ, რომლებიც წარმოადგენენ ზემოთ აღნიშნულ ინტერნეტ პლატფორმებს, ეს პლატფორმები შეიძლება ჩაითვალოს როგორც ორგანიზების და ღირებულებების გავრცელების ერთგვარი იარაღი, ამ ჯგუფების საზოგადოებასთან ურთიერთობის და აზრის გაცვლა-გამოცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

კვლევა ითვალისწინებს გამოცემების ვებ-გვერდებზე განთავსებული მასალის შინაარსობრივ ანალიზს, თარგმანების, კვლევებისა თუ სტატიების შესწავლას, მათ სისტემიზაციას და შედარებითი პრინციპით ამ გამოცემებს შორის საერთო კონტექსტების აღმოჩენას.

სარჩევი

შესავალი 4

I. ანარქისტული ბიბლიოთეკა.....6

II. European.ge 13

III. თბილისის ფაბიანური საზოგადოება.....23

დასკვნა 32

წყაროები : 34

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა - 2012 წლიდან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩნდებიან და აქტიურდებიან მემარცხენე ღირებულებების მქონე ორგანიზებული სოციალური ჯგუფები, რომლებიც ძირითადად სტუდენტებით არის დაკომპლექტებული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ორი ათწლეულის მანძილზე მემარცხენე ბანაკი საქართველოში პოპულარული პოლიტიკური აქტორი არასდროს ყოფილა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ერთი წლით ადრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა რამდენიმე სტუდენტური ორგანიზაცია, რომლებიც მემარცხენე ღირებულებებს ატარებდნენ, მათ შორის გამორჩეულად ცნობილი და აქტიური კი ''ლაბორატორია 1918'' იყო, ამ ჯგუფის მიერ არჩევნების წინ დედაქალაქში ორგანიზებულმა პროტესტმა ქვეყნის წინასაარჩევნო დღის წესრიგი მნიშვნელოვნად შეცვალა.

''ლაბორატორია 1918'' ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მალევე, აქტიურობას წყვეტს თუმცა მისი წევრები სხვადასხვა ჯგუფებად გადანაწილდნენ, გარდა ამ ჯგუფებისა, არსებობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია.

2012 წლიდან დღემდე, რიგი სოციალური პროტესტების ორგანიზატორები სწორედ ის მემარცხენე ჯგუფები იყვნენ და არიან, რომელთა ინტერნეტ გამოცემებიც კვლევაში არის შესწავლილი, ესენია ''ანარქისტული ბიბლიოთეკა'', ''European.ge'' და ''თბილისის ფაბიანური საზოგადოება''.

სტუდენტური ჯგუფებიდან ზემოთხსენებული ორგანიზაციები გადაიქცნენ პლატფორმებად, რომლებსაც გამოკვეთილი ღირებულებები, ხედვები და ორგანიზების მეთოდები აქვთ, ეს ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისგან რიგი მახასიათებლებით, რაც კვლევაშიც არის აღნიშნული, ამ ჯგუფებს წარმოადგენენ მკვლევრები, ახალგაზრდა მეცნიერები, აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ხალხი - ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ პროცესში, კვლევაში არის მცდელობა, რომ გამოვკვეთოთ ის საკითხები და პრობლემები, რის გარშემოც მოღვაწეობენ ზემოთ ნახსენები ჯგუფები, ასევე

შევისწავლოთ მათი პლატფორმების შინაარსი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთოდი.

კვლევის მიზანი : ქართული მემარცხენე ორგანიზაციების ინტერნეტ პლატფორმების შესწავლა

კვლევის ამოცანები :

- ''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' ინტერნეტ გამოცემის სტრუქტურის და შინაარსის შესწავლა
- ''European.ge-ს'' ინტერნეტ გამოცემის სტრუქტურის და შინაარსის შესწავლა
- ''თბილისის ფაბიანური საზოგადოების'' ინტერნეტ გამოცემის სტრუქტურის და შინაარსის შესწავლა
- ამ გამოცემებს შორის ძირითადი საერთო ტენდენციების გამოკვეთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ასევე ძირითადი განსხვავებების გამოკვეთა

კვლევის კითხვა : რა მიზნით იყენებენ ქართული მემარცხენე მიმართულების ორგანიზაციები ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებს ?

კვლევის ჰიპოთეზა : ელექტრონული კომუნიკაციის შესაძლებლობის წინსვლა იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების განვითარების ახალ შესაძლებლობას ქმნის, რომლის გამოყენებასაც ცდილობენ ის ჯგუფები, რომლებსაც კონკრეტული პოლიტიკური მიზნები აქვთ

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგია კვლევის თემატიკიდან გამომდინარე არის თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის მეთოდები მოიცავს სხვადასხვა კვლევით ტექნიკას. ჩვენ კი მათგან გამოვიყენეთ მეორადი წყაროების ანალიზი.

შერჩევა: კვლევაში გამოყენებულია არაალბათური შერჩევის ტიპი, კონკრეტულად- მიზნობრივი შერჩევა.

I. ანარქისტული ბიბლიოთეკა

ანარქისტული ბიბლიოთეკის პირველი პოსტი 2012 წლის იანვრით თარიღდება, აღსანიშნავია რომ ამ ინტერნეტ გამოცემას ჰყავს დასავლური ანალოგი, ''The Anarchist Library'' [1] (ანარქისტული ბიბლიოთეკა) სადაც სხვადასხვა ავტორების, სხვადასხვა ტექსტების უზარმაზარი არქივია თავმოყრილი, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ანარქისტული ბიბლიოთეკა მოცემული გამოცემის ქართული ვერსიაა.

გამოცემა მკითხველს სთავაზობს როგორც თანამედროვე საერთაშორისოდ ცნობილი ავტორების ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ტექსტების თარგმანებს, ასევე ქართული ანარქიზმის ისტორიის ცნობილი წარმომადგენლების ბიოგრაფიებს, ტექსტებს, მიმოხილვებს საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ისტორიიდან, გამოცემა ცდილობს მკითხველის ინფორმირებას ანარქიზმის შესახებ საჭირო საბაზისო ცოდნით, იმ პრინციპებით, რასაც ეყრდნობა ეს იდეოლოგია, მაგალითად, საინტერესოა 2012 წლის 2 იანვრით დათარიღებული სტატია : ''კონსესუსი'' (ანარქისტული ბიბლიოთეკა, 2012) სადაც ავტორი ცდილობს კონსესუსის პრინციპის განმარტებას, მისი ძირითადი თვისებების გამოყოფას, რომლებიცაა,

- **შეთანხმებისკენ სწრაფვა**
- **კოლაბორაცია**
- **თანასწორობა**
- **ჩართულობა**
- **თანამონაწილეობა**

ავტორი სტატიაში გვესაუბრება გადაწყვეტილებების მიღების წესზე, ერთსულოვნების, ურთიერთპატივისცემის აუცილებლობაზე, რაც ანარქისტულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი საყრდენი უნდა იყოს, შეიძლება ითქვას რომ, ამ სტატიის მიზანი მკითხველისთვის ანარქისტული თეორიის ძირითადი პრინციპების გაცნობაა.

[1] https://theanarchistlibrary.org/special/index

სტატიაში : ‘’რა არის ანარქია?’’ (ანარქისტული ბიბლიოთეკა, 2012)ავტორი უფრო კონკრეტულად ცდილობს თანამედროვე ანარქიზმის მოკლე ისტორიის აღწერას, რითაც მკითხველს ელემენტარული წარმოდგენა ექმნება ანარქისტული მოძრაობის უახლეს ისტორიაზე, ეს არ არის მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისის ანარქისტი ავტორების თეორიული ესე ან წერილი, ამ სტატიაში ავტორი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასავლურ ევროპული ანარქისტული სუბკულტურების აღწერით შემოიფარგლება, ანარქიზმის საფუძვლიან ეტიმოლოგიას ამ სტატიაში არ ვხვდებით, ავტორი უბრალოდ ცდილობს მოკლე აბზაცებით ამოწუროს ის ძირითადი პოსტულატები, რაც ანარქისტული თეორიიდან გამომდინარეობს, ეს პოსტულატები კი შეკითხვებად და მათზე მოკლე პასუხებად არის ფორმირებული (სახელმწიფოს და არჩევნების ანარქისტული ხედვა და ესპანეთის სამოქალაქო ომის დროინდელი ანარქისტული გამოცდილების მოკლე გახსენება)

შეიძლება ითქვას რომ პირველი სტატიები არ გამოირჩევა აკადემიური სტილით, ისინი უფრო პროპაგანდისტული ტექსტებია, სადაც ანარქიზმის პრინციპების ზედაპირული აღწერაა მოცემული, თუმცა აღსანიშნავია რომ ბლოგი დღემდე არსებობს და ის პერიოდულად ცვლიდა სარედაქციო სტილს, იწყებდა თარგმანების გამოქვეყნებას, მაგალითად ისეთი ცნობილი ანარქისტი ავტორების, როგორებიცაა ემა გოლდმანი თუ ერიკო მალატესტა : ,,ათეიზმის ფილოსოფია’’ (გოლდმანი, ათეიზმის ფილოსოფია, 2012),,პატრიოტიზმი, საფრთხე თავისუფლებისთვის’’ (გოლდმანი, 2012),,ანარქია’’ (გოლდმანი, 2012), ,,ქორწინება და სიყვარული’’ (გოლდმანი, 2012) ,,არც დიქტატორები, არც დემოკრატები’’ (მალატესტა, 2012).

გოლდმანი და მალატესტა საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლები არიან, თუმცა ქართული ანარქიზმის მეცხრამეტე - მეოცე საუკუნის ისტორიაში მათი როლი მცირე იყო, ანარქისტული ბიბლიოთეკის თანამედროვე ავტორების ძალისხმევა, რედაქციის მიერ ქართული ანარქისტული აზრისთვის აქამდე ნაკლებად ცნობილი მალატესტას და შედარებით უფრო ცნობადი გოლდმანის წინ წამოწევა კი მიუთითებს რომ თანამედროვე ქართული ანარქიზმი

მისი წინამორბედისგან, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ანარქისტული აზრისგან დამოუკიდებლად იწყებდა განვითარებას და ამას თავის ობიექტური მიზეზებიც აქვს, რაც საბჭოთა კავშირში ანარქისტული აზრის დევნით და მოგვიანებით, პოსტ-საბჭოთა სივრცეში მისი განსაკუთრებული სისუსტით აიხსნება,

გოლდმანის სტატიებში აქცენტი რელიგიური ინსტიტუტების, ოჯახის ინსტიტუტის, პატრიოტიზმის ცნებების კრიტიკაზე კეთდება, ბუნებრივია, ანარქისტული ბიბლიოთეკის რედაქცია ამ ტექსტების თარგმანით ცდილობდა დომინანტური საზოგადოებრივი ხედვების ალტერნტივების გამოკვეთას, რაც გასული ასწლეულის გამოჩენილი ანარქისტი ავტორების ტექსტების საშუალებით უნდა მომხდარიყო, შეიძლება ითქვას რომ ეს თარგმანები იმავე საჭიროებებს ემსახურებიან რასაც გამოცემის სულ პირველი პოსტები, სადაც ანარქიზმის საბაზისო პრინციპებზეა საუბარი, ამ თარგმანების მეშვეობით, ჯგუფი ცდილობს გამოკვეთოს რედაქციის მიერ აღიარებული ხედვები, რაც საზოგადოებრივი განვითარებისთვის აუცილებელ კომპონენტებადაა აღქმული.

თუ ''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' სტატიებს ქრონოლოგიურად გავყვებით, გოლდმანის და მალატესტას სტატიების შემდეგ, მალევე ვნახავთ გამოჩენილი რუსი ანარქისტის, ანარქიზმის თეორიტიკოსის, პიოტრ კროპოტკინის ნაშრომების გაციფრულებულ ვერსიებს, მათ შორის 1906 წლის ქართული თარგმანიცაა. ძველი ტექსტების გაციფრულება თავისმხრივ რთული, შრომატევადი პროცესია, აღსანიშნავია, რომ კროპოტკინი ქართველი ანარქისტების მთელი თაობისთვის (მიხაკო წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, ძმები - კომანდო და შალვა გოგელია) უმნიშვნელოვანესი შთაგონების წყარო და ხშირად, თანამებრძოლიც იყო.

გარდა კროპოტკინისა, საიტზე შევხვდებით მიხაილ ბაკუნინის და ელიზე რეკლიუს ტექსტების თარგმანსაც, (რეკლიუს ერთერთი ტექსტიც 1906 წელს გამოცემული ქართული თარგმანიც გაციფრულებული ვერსიაა), ბლოგზე ასევე არსებობს კომანდო გოგელიას ''სოციალ-დემოკრატიის კრიტიკის'' ნაწყვეტსაც, ისევე როგორც აკადემიურ, საბაკალვრო ნაშრომს კომანდო გოგელიას შესახებ, რომელიც ''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' სარედაქციო ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, თამარ ბუაძის მიერ არის შესრულებული (ბუაძე, 2015).

საინტერესო ტექსტია ''კავკასიის ანარქისტული მოძრაობა XX საუკუნის დასაწყისში'' (ანარქისტული ბიბლიოთეკა, 2014), სადაც ავტორები წარმოგვიდგენენ ვრცელ კომპილაციას რუსეთის იმპერიის რევოლუციური პერიოდის ანარქისტული მოძრაობის შესახებ, აქ საუბარია სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე რევოლუციური პროცესის, ანარქისტების მიერ ჩატარებული ტერაქტებისა თუ გაფიცვების შესახებ, აღწერილია ქართველი ანარქისტების როლი რუსეთის რევოლუციაში, რაც მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას გვაძლებს ამ პერიოდის ანარქისტული მოძრაობის შესწავლისთვის.

აღსანიშნავია მიხაკო წერეთელის ცნობილი ტექსტების, ''კანონის'' და ''პასუხი პროტესტანტებს'' ციფრული ვერსიებიც, რომელთა ციფრული ვერსიაც უშუალოდ სარედაქციო ჯგუფის ძალისხმევით მოხვდა პლატფორმაზე.

''ანარქისტული ბიბლიოთეკა'' აგრეთვე გვთავაზობს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ფილოსოფოსების, ჰერბერტ მარკუზესა და ნოამ ჩომსკის ნაშრომების თარგმანებს სტატიებად, სადაც სარედაქციო ჯგუფი საკუთარი პრიორიტეტების მიხედვით გვთავაზობს ამ ნაშრომებიდან კონკრეტულ ნაწყვეტებს.

ბლოგზე, დიდი ყურადღება ეთმობა ერიხ ფრომის, გერმანელი სოციოლოგის ტექსტების თარგმანებს, სადაც ავტორი წერს ძალაუფრებივ იერარქიებზე, კაპიტალიზმზე და ბიუროკრატიაზე.

მნიშვნელოვანია ის აქცენტები, რასაც ''ანარქისტული ბიბლიოთეკა'' კონკრეტული ჯგუფების ოპონირებისთვის იყენებს, გამოცემის მთავარ გვერდზე, ვხედავთ განყოფილებას ''კრიტიკა'' სადაც რედაქცია გვთავაზობს არასამთავრობო სექტორის, ნაციონალიზმის და სოციალ-დემოკრატიის კრიტიკას, არასამთავრობო ორგანიზაციების წინაამღდეგ, განყოფილებაში მოცემულია ანარქისტების მაკედონიური ჯგუფის მიერ მომზადებული ვრცელი ტექსტის თარგმანი, ''არასამთავრობო ორგანიზაცია - კაპიტალიზმის ტროას ცხენი'', სადაც ავტორები წერენ, რომ მცდარია წარმოდგენა არასამთავრობო ორგანიზაციების, მათი დემოკრატიული ფუნქციების შესახებ, ტექსტში წერია, რომ : '' USAID ენჯეოების განსაზღვრავს, როგორც კერძო მოხალისეობრივ ორგანიზაციებს. განსაზღვრება აშკარად პრობლემატურია, რამდენადაც მათი უმეტესობა მთავრობისა და

კორპორაციების მიერ ფინანსდება და ასევე რთულია თქვა, რომ ორგანიზაცია სადაც პერსონალს პროფესიული ანაზღაურება აქვს, მენეჯერით დაწყებული საველე მუშაკით დამთავრებული, მოხალისეობრივია'' (ანარქისტული ბიბლიოთეკა, 2014).

ამ სტატიაში, განმარტებულია რომ მსოფლიო მასშტაბებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი დამფინანსებლები საერთაშორისო კორპორაციები, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებია, ზოგჯერ კი სხვადასხვა კონფესიის ეკლესიები, ეს ყველაფერი კი ამტკიცებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დამოუკიდებელი სუბიექტები არ არიან, არამედ სხვადასხვა ინტერესებს ემსახურებიან.

სტატიაში წერია, რომ კორპორაციები, რომლებსაც აქვთ მერკანტილური მიზნები განუვითარებელ რეგიონებში, არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ''სტატუს ქვოს ინარჩუნებენ'' (ანარქისტული ბიბლიოთეკა, 2014), ''მათი რესურსების ძარცვას აგრძელებენ'' (ანარქისტული ბიბლიოთეკა, 2014) და ''ძირს უთხრიან რადიკალურ ბრძოლას სიღარიბის, შიმშილის, ავადმყოფობის, გაუნათლებლობის და სხვა უბედურებების წინაამღდეგ'' (ანარქისტული ბიბლიოთეკა, 2014).

როგორც ვხედავთ, არასამთავრობო ორგანიზაციები ქართველი ანარქისტების მიერ მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოწინაამღდეგე, სწორედ ამიტომ გამოიძებნა მათ წინაამღდეგ კრიტიკისათვის ადგილი სოციალ-დემოკრატიას და ნაციონალიზმთან ერთად.

ქართული ანარქიზმის ისტორიაში, სოციალ-დემოკრატიის კრიტიკის ასწლოვანი გამოცდილება არსებობს, ამ მხრივ საინტერესოა ვარლამ ჩერქეზიშვილის ''სოციალ-დემოკრატიის ისტორია'', რომელიც საერთაშორისოდ ცნობილი ტექსტია და ასევე მიხეილ წერეთელის ''პასუხი პროტესტანტებს'' რომელიც კონკრეტულად ქართველი სოციალ-დემოკრატების წინაამღდეგ არის დაწერილი, ''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' სოციალ-დემოკრატიის კრიტიკის სექციაში კი მხოლოდ უკრაინელი ანარქისტის, 1934 წელს დაღუპული ნესტორ მახნოს მოკლე ტექსტი მოიპოვება,რომელსაც ჰქვია ''პირველ მაისი - ახალი ერის სიმბოლო'' (მახნო, 2015), ამ ტექსტში ჩანს მახნოს უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და

მიიჩნევს, რომ მშრომელები ისევე იჩაგრებიან ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც სოციალ-დემოკრატიულ საბჭოთა კავშირში.

ნაციონალიზმის კრიტიკის სექციაში შეგვიძლია ორი პოსტის პოვნა, პირველი - 2009 წელს მოკლული რუსი აქტივისტის, სტანისლავ მარკელოვის ტექსტი, სადაც ის აკრიტიკებს პატრიოტიზმს და ამ ფენომენს დიაგნოზს უწოდებს (მარკელოვი, 2012), მარკელოვის საკმაოდ ვრცელ ტექსტში რამდენიმე პუნქტია გაშლილი :

1) პატრიოტიზმი სისულელეა
2) პატრიოტიზმი ლაჩრობაა
3) პატრიოტიზმი ღალატია
4) პატრიოტიზმი დამღუპველია
5) პატრიოტიზმი შიშია
6) პატრიოტიზმი არასერიოზულია
7) პატრიოტიზმს აზრი არ აქვს

მარკელოვი 2009 წელს, რუსმა ნაციონალისტებმა მოკლეს, მოცემულ ტექსტში მარკელოვი ადანაშაულებს რუსულ სპეცსამსახურებს რადიკალური ნაციონალისტური ჯგუფების გაძლიერებაში, ის წერს, რომ : ''პატრიოტიზმი ლეგენდაა, ტკბილი კანფეტი, რომელსაც ხალხს გასაჩუმებლად აძლევენ. პატრიოტული ნაბოდვარის წყალობით შეიძლება ყველაფერი: ისტორიის შეცვლა, რეალობის დამახინჯება, თეთრისთვის შავის და შავისთვის – თეთრის დაძახება (მარკელოვი, 2012).''

ნაციონალიზმის კრიტიკის სექციაში აგრეთვე მოიპოვება ანარქიზმის კლასიკოსის, ემა გოლდმანის ცნობილი ტექსტის ''პატრიოტიზმი - საფრთხე თავისუფლებისთვის'' ქართული თარგმანი.

ემა გოლდმანი ტექსტში საუბრობს პატრიოტიზმზე, როგორც მმართველი კლასის იარაღზე, რომელსაც ომი, ჩაგვრა და უთანასწორობა მოაქვს, გოლდმანი რიცხვებში გამოხატავს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისის მილიტარიზაციის მასშტაბებს (გოლდმანი, 2012), გოლდმანი ძირითად აქცენტს

აკეთებს იმაზე, რომ პატრიოტიზმი გამოიყენება იმპერიალისტური თუ ფინანსური ინტერესებისთვის, სახელმწიფოებს შორის ომის წარმოებისას, და რომ პატრიოტიზმს ეწირება უამრავი ადამიანის სიცოხლე, რომ პატრიოტიზმის სახელით, მშობლებს უწევთ შვილების სასიკვდილოდ გაზრდა, რომ პატრიოტიზმის სახელით, სახელმწიფოები უზარმაზარი ფინანსური რესურსის მობილიზებას ახდენენ.

როგორც ვხედავთ, ''ანარქისტული ბიბლიოთეკა'' ფუნქციონირებს აკადემიურ სტილში, ბლოგზე ხელმისაწვდომია რედაქციის ერთ-ერთი წევრის მიერ შესრულებული აკადემიური ნაშრომი, რომელიც ქართული ანარქიზმის ისტორიულ საკითხებს მოიცავს, ბლოგზე ასევე გვხვდება მეოცე საუკუნის დასაწყისის ორიგინალი ქართული ტექსტების რამდენიმე ციფრული ნიმუში, ''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' რედაქცია ცდილობს, აუხსნას მკითხველს ანარქიზმის ძირითადი პრინციპები, რაც რამდენიმე ტექსტში არის გაშლილი.

მნიშვნელოვანია საერთაშორისოდ აღიარებული ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ანარქისტული პოლიტიკური მოძრაობის ლიდერების ტექსტების თარგმანები, რისი დიდი ნაწილიც ''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' რედაქციის მიერ არის შესრულებული, ასევე მნიშვნელოვანია ის სტატიები, რომელთა თარგმანშიც არის მცდელობა რომ საერთაშორისო პროცესების სუბიექტური ინტერპრეტაციებით მოხდეს რეალობის ანარქისტულ ჭრილში გადმოთარგმნა და ახსნა.

ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ''ანარქისტული ბიბლიოთეკა'' არის აკადემიური სტილის ინტერნეტ გამოცემა და ასევე, რედაქცია ცდილობს საკუთარი იდეების პოპულარიზაციას, ამას ადასტურებს ბლოგზე არსებული თარგმანები, ტექსტები, მოწოდებები რაც გათვლილია იმაზე, რომ გაიზარდოს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ცოდნა ანარქიზმის და მისი ძირითადი პრინციპების შესახებ.

II. European.ge

European.ge ქართული სოციალ-დემოკრატიული ინტერნეტ გამოცემაა, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს, მისი სარედაქციო ჯგუფი 50-მდე ადამიანისგან შედგება, რომელიც მოიცავს პოლიტიკოსებს, პარლამენტის წევრებს, სოციალური მეცნიერების და ეკონომიკის სფეროს მკვლევრებს, საზოგადოებისთვის ცნობილ პირებს (ანა დოლიძე, ირაკლი კაკაბაძე), სტუდენტებს, აღსანიშნავია რომ სარედაქციო ჯგუფი ძირითადად პოლიტიკური პარტიის, ''სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის'' წევრები არიან, რომელიც თავის მხრივ ამავე სახელობის ფრაქციითაა წარმოდგენილი დღესდღეობით პარტია ''ქართული ოცნების'' საპარლამენტო უმრავლესობაში.

European.ge გვთავაზობს ბლოგების, ვიდეო ბლოგების, მიმოხილვების, თარგმანების და პოლიტიკური მიმართულებების განყოფილებას, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა განყოფილებებად არის ჩაშლილი :

ბლოგები

- სხვა საქართველო
- სხვა მსოფლიო
- მოზაიკა

ვიდეო ბლოგები

მიმოხილვა

- ეკონომიკური მიმოხილვა
- პოლიტიკური მიმოხილვა
- სახალხო
- მეცნიერება და ხელოვნება

თარგმანები

- სტატიები
- წიგნები
- ვიდეო თარგმანები

პოლიტიკური მიმართულებები

- დასაქმება და შრომა
- განათლება
- უთანასწორობა და სიღარიბე
- ბიუჯეტი და გადასახადები
- განვითარება და ინდუსტრია
- ჯანდაცვა
- მწვანე პოლიტიკა
- პროგრესული სოციალური მოძრაობები
- ეკონომიკა და პოლიტეკონომია
- უსაფრთხოება და საგარეო

გამოცემა სტრუქტურულად საკმაოდ გამართულია, ბლოგები, სტატიების, კვლევებისა თუ თარგმანების სახით მუდმივად განახლებადია, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ გამოცემის მიერ გამოყოფილი მიმართულებების შინაარსობრივი მხარე, გამოკვეთოთ სარედაქციო ჯგუფის ძირითადი პრიორიტეტები როგორც საშინაო/საგარეო პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკურ პოლიტიკაში.

კვლევისთვის, სასარგებლო იქნება თუ განსაკუთებულად აქცენტს გავაკეთებთ ''პოლიტიკური მიმართულებების'' განყოფილების შესწავლაზე, თუ ამ პლატფორმის შესწავლას ამ განყოფილებიდან დავიწყებთ.

''პოლიტიკური მიმართულებების'' პირველი ქვეგანყოფილება ''დასაქმება და შრომაა (დასაქმება და შრომა)'', სადაც პირველი სტატია 2012 წლით თარიღდება, თუმცა 2012 წლიდან 2016 წლამდე ამ განყოფილებაში მხოლოდ 5 სტატია გამოქვეყნდა, ''დასაქმება და შრომა'' ისევე როგორც მთელი საიტი, განსაკუთრებით 2016 წლიდან გააქტიურდა.

ბუნებრივია, კვლევის მასშტაბებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია ინტერნეტ გამოცემის ყოველი სტატიის განხილვა, თუმცა ვეცადეთ გავცნობოდით თითოეულ სტატიას და აღგვეწერა ის ძირითადი აქცენტები, რასაც European.ge სვამს პლატფორმაზე.

ასევე, აღსანიშნავია რომ თითოეულ განყოფილებაში მოცემულია როგორც სარედაქციო ჯგუფის წარმომადგენლების სტატიები, ასევე სხვადასხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისოდ აღიარებული ავტორების რიგი თარგმანები, ეს სტატიები შეიძლება შეგვხდეს არა მხოლოდ ერთ განყოფილებაში, არამედ რამდენიმეში ერთდროულად.

გამოცემა ცდილობს, ყურადღება მიაქციოს საქართველოს ინდუსტრიულ ქალაქებში არსებულ მდგომარეობას, განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, ასევე მუდმივად ქვეყნდება ბლოგები, სადაც მკვლევრები ცდილობენ საკუთარი პერსპექტივების გაცნობას საზოგადოებისთვის, უკანასკნელი სტატია 2018 წლის 20 ნოემბრით თარიღდება, სადაც ავტორი - ესმა გუმბერიძე წერს იმაზე, თუ რა განაპირობებს პოლიტიკურ მონაწილეობას, ავტორი მიუთითებს, რომ გაჭირვებულისთვის ძნელია იყო პოლიტიკურად ''მოუსყიდავი'' ან პოლიტიკურად

აქტიური (გუმბერიძე, რა განაპირობებს პოლიტიკურ მონაწილეობას ? , 2018), ავტორი აქცენტს აკეთებს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე და მიუთითებს რომ საქართველოში უამრავი ადამიანი მოკლებულია სოციალიზაციის ელემენტარულ შესაძლებლობებს, სახელმწიფო კი ვერ ახერხებს მოქალაქეების მინიმალური პირობებით აღჭურვას, და პირიქით, ართმევს კიდევაც ზოგ ჯგუფს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას (საუბარია არჩევნების დღის შუა კვირაში დანიშვნაზე), სოციალიზაციის პროცესში არსებულ პრობლემებზე კი ავტორი ასევე წერს :

''ხშირად, ნაკლებად პრივილიგირებული ფენების პოლიტიკური პასიურობა არ გამოიხატება მხოლოდ მოსყიდვებისადმი, ფულადი შემოთავაზებებისადმი მოწყვლადობით, არამედ პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის არარსებობითაც, მისდამი გულგრილობით. ადამიანებს უბრალოდ არ აქვთ დრო ამ პროცესების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად ან ყველა შესაძლო დაპირების ორმხრივობაში დადებით და უარყოფით შედეგებში გასარკვევად. საბოლოოდ კი, ხშირად, მათ გარშემო არსებული გარემო, პოლიტიკურ ცხოვრებაზე სიღრმისეული დისკუსიების ნაკლებობა, მათ უშუალო გარემოცვაში ქმნის ნიჰილიზმის განცდას და უკარგავს სახელმწიფოსადმი ყოველგვარი მიკუთვნებულობის განცდას'' (გუმბერიძე, რა განაპირობებს პოლიტიკურ მონაწილეობას ? , 2018).

ანალოგიურ პრობლემას ეხება სტატია ''შემოსავლების უთანასწორობა და ახალგაზრდების უმუშევრობა (ესპოსტო, 2018)'' რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, მარკ ესპოსიტოს ქართულად თარგმნილი სტატიაა, სტატიაში ავტორი საუბრობს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე, განვითარებულ და განვითარებად სამყაროებში ახალგაზრდების უმუშევრობის მზარდ მაჩვენებელზე, მათ არასათანადო ჩართულობაზე პოლიტიკურ პროცესში, სტატიაში, დასკნის სახით გვხდება აბზაცი, რომელიც შინაარსობრივად ემთხვევა ესმა გუმბერიძის ზემოთ აღწერილ სტატიასაც :

''ვინაიდან სოციალური სტატუსი განვითარების უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს, ახალგაზრდა ხალხი ღარიბი ოჯახებიდან სულ უფრო და უფრო დემორალიზებულები ხდებიან. ამას მივყავართ მდგომარეობამდე, რომელმაც

შესაძლოა სოციალური არეულობა გამოიწვიოს. უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის იქამდე გაღრმავდება, სანამ ყველა ახალგაზრდას არ ექნება ლეგიტიმური პერსპექტივა, რომ გაიუმჯობესოს საკუთარი სოციალური და ეკონომიკური სტატუსი. იკვრება მანკიერი წრე, საიდანაც თავის დაღწევა უფრო და უფრო რთული გახდება'' (ესპოსტო, 2018).

ანალოგიურ საკითხს ეხება ასევე ქეით პიკეტის ტექსტი : ''უთანასწორობის შემცირება, განვითარებისა და კეთილდღეობის ფუნდამენტური პირობა'' (პიკეტი, 2014) , რომელიც თარგმნილია სარედაქციო ჯგუფის მიერ, ავტორის მიხედვით, უთანასწორობა არის უამრავი პრობლემის მთავარი მიზეზი, რასაც თანამედროვე საზოგადოებები აწყდებიან, პიკეტი წერს :

''უთანასწორობა ადამიანური კაპიტალისა და პოტენციალის გაფლანგვაშიც დამნაშავეა. UNICEF-ის მიხედვით, ბავშვთა კეთილდღეობის ინდექსი შედარებით თანასწორ საზოგადოებებში საგრძნობლად მაღალია, მაღალია განათლების დონე და ახალგზარდებიც ნაკლებად ეთიშებიან განათლების, დასაქმებისა და გადამზადების სისტემებს; მცირეა მოზარდი დედების რიცხვი.

აღსანიშნავია, რომ სოციალური მობილობა უთანასწორო ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობის თანასწორობას ფორმას მიღებული შედეგის თანასწორობა აძლევს'' (პიკეტი, 2014).

სტატიაში ''უმუშევრობის ნეოლიბერალური წყევლა'' (ხუნდაძე, 2018) ავტორი აღნიშნავს რომ საქართველოში, უმუშევრობა ნომერ პირველი პრობლემაა, რომ საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს ციკლური კრიზისები, რომლებიც ხშირად ხანგრძლივ ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს, აქვე ავტორი იხსენებს რომ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, დასავლურ სამყაროში შეიმუშავეს ამ კრიზისებთან ბრძოლის მექანიზმები, რომლის არ არსებობის შემთხვევაშიც, უმუშევრობა და ეკონომიკური კრიზისი შესაძლობა წლობითაც გაგრძელდეს.

ავტორი ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმად გამოჰყოფს დასაქმების პოლიტიკას, და იშვეილებს ტაივანისა და სამხრეთ კორეის მაგალითს, საქართველოზე საუბრისას კი ავტორი წერს :

''სავსებით დამაჯერებლად, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოს არა აქვს არც ინდუსტრიული პოლიტიკა და არც დასაქმების პოლიტიკა, რამაც რეალურად უნდა შექმნას სრული დასაქმება ქვეყანაში. არათუ დასაქმების პოლიტიკა, საქართველოს არა აქვს დასაქმებულთა და უმუშევრობის აღრიცხვის გამართული სისტემა. შედეგი კრიტიკულია. ეკონომიკა იზრდება მცირედით და ეს მცირე ზრდაც ნაწილდება ძირითადად ელიტურ ჯგუფებზე. ქვეყნის მოსახლეოაბა კი ბოლო წლებში განუხრელად მცირდება შრომითი მიგრაციის შედეგად'' (ხუნდაძე, 2018).

ავტორი მიიჩნევს, რომ გამდიდრდების ლიბერალური რეცეპტები ქართულ რეალობაში არ მუშაობენ, რომ მეტიც, ეს მოდელები ხშირ შემთხვევაში ამწვავებენ კიდეც კონკრეტულ კრიზისებს, ავტორი მიუთითებს რომ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში უცხოეთში დასაქმებული მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი ტრანსფერების მოცემულობა იმდენივეა, რამდენიც სოფლის მეურნეობის წილი, რომელშიც თავის მხრივ მოსახლეობის მინიმუმ ნახევარია დასაქმებული.

ავტორი ტექსტს ასე ასრულებს : ''როცა თეორია არ მუშაობს, ის ნაგვის ურნაში უნდა მოვისროლოთ. ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა დოქტრინამ სამართლიანად მოიპოვა ადგილი ისტორიის სანაგვეზე, იმ სოციალურ-პოლიტიკური კატასტროფიდან გამომდინარე, რაც საქართველოს მოუტანა მან ბოლო 25 წლის განმავლობაში.

დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა სოფისტური დოგმების გვერდზე გადადება და რეალური ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება'' (ხუნდაძე, 2018) .

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური უთანასწორობა, საქართველოს დემოკრატიაზე გადასვლის თანმდევი პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა და მიგრაცია, სოციალიზაციის არაეფექტური მექანიზმები, პოლიტიკურ პროცესში მოქალაქეების ნაკლები ჩართულობა გამოცემის სარედაქციო ჯგუფისთვის პრობლემათა ერთი მთლიანი ჯაჭვია, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას უკავშირდება. შესაბამისად, სიღარიბის დაძლევა European.ge -ს მიხედვით, არ არის შესაძლებელი რიგი ინსტიტუტების ლიბერალიზაციით, საბაზრო პრინციპების იმპლემენტაციით,

არამედ პირიქით, გამოცემაში ხშირად ვიხილავთ პოზიციას, რომელიც ემხრობა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესის მართვის აქტიურ ჩარევას, შესაბამისი ინსტიტუციების წახალისებას, შეიძლება ითქვას რომ უთანასწორობის აღმოფხვრის საშუალება ამ გამოცემის მიხედვით, ეკონომიკურ პროცესში სახელმწიფოს როლის ზრდაა, მიღებული ეკონომიკური პარადიგმების გადახედვა და ინდუსტრიული პოლიტიკის წარმოება, რაც რადიკალურად შეცვლის ახლანდელ პრიორიტეტებს ქართულ ეკონომიკაში.

ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაცია, European.ge-ს მიხედვით, იქნება წინაპირობა უმუშევრობის, უთანასწორობის პრობლემების მოსაგვარებლად, ეს ხედვა, თავის მხრივ არის ახალი ინსტიტუციონალური ხედვა, გამოცემა კი ცდილობს მოახდინოს ამ ხედვის, ამ მიდგომის აქტუალიზაცია ქართულ საზოგადოებაში, გამოცემის მკითხველებსა და აკადემიურ წრეებში.

''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' შესახებ ჩვენს ანალიზში უკვე ავღნიშნეთ, რომ რედაქცია სკეპტიკურად, შეიძლება ითქვას უარყოფითადაც არის განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, ანალოგიური განწყობის წაკითხვა შეგვიძლია European.ge -ზე განთავსებულ სტატიის თარგმანში, რომლის ავტორიც ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი, ჯეიმს პეტრასია, სტატიას ჰქვია ''არასამთავრობოები იმპერიალიზმის სამსახურში'' (პეტრასი, 2017).

პეტრასის მიხედვით, არასამთავრობოებს ხშირად მილიონიანი ბიუჯეტები აქვთ და ხშირად დაახლოებით იმდენივე ხელფასს იღებენ, რასაც კორპორაციების ხელმძღვანელები, მათ აქტივობებს კი უარყოფითი გავლენა აქვს მილიონობით ადამიანზე, ღარიბებზე, ქალებსა და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებზე (პეტრასი, 2017).

მნიშვნელოვანია, პეტრასის მოსაზრება რომ არასამთავრობო სექტორი ხშირად იზიდავს აკადემიკოსებს, ჟურნალისტებს სხვადასხვა მემარცხენე მოძრაობებიდან, რადგანაც ისინი უზრუნველყოფილები ხდებიან ანაზღაურებით, სანაცვლოდ კი ორგანიზაციული და რიტორიკული უნარები მიაქვთ, რეალურად კი იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის სამსახურში დგებიან (პეტრასი, 2017).

სამოქალაქო საზოგადოებას ავტორი განსაკუთრებით კრიტიკულად უყურებს, პეტრასის მიხედვით ეს არ არის ერთი რაიმე ორგანიზაცია, არამედ ის შედგება სხვადასხვა კლასებისგან, ''მშრომელთა მიმართ ყველაზე დიდი უსამართლობების უმეტესობა სამოქალაქო საზოგადოების წევრი მდიდარი ბანკირების მიერ არის ჩადენილი'' (პეტრასი, 2017) წერს ავტორი, სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია პეტრასის მიხედვით ხელს უწყობს არასამთავრობო ორგანიზაციებს ''მათ დამფინანსებელ კაპიტალისტურ ინტერესებთან კოლაბორაციაში'' (პეტრასი, 2017).

European.ge -ს ავტორები ბევრს წერენ საქართველოში არსებულ პრობლემებზე, სადაც პრობლემების საკუთარ ანალიზს და ხშირად მათი გადაჭრის გზებს გვთავაზობენ, ამ მხრივ, საინტერესოა სტატია ''ერთი დღე ჭიათურაში'' (გუმბერიძე, 2018), სადაც ავტორი გვთავაზობს დასავლეთ საქართველოს ინდუსტრიული ქალაქის, ჭიათურის აღწერას, იმ მნიშვნელოვანი პრობლემების ჭრილში, რაც ამ ქალაქს აწუხებს.

ამ ტექსტში, ავტორი დეტალურად მიმოიხილავს მაღაროელების სამუშაო პირობებს, აღწერს მანგანუმის მოპოვება-გადამუშავებაში დასაქმებული 3000 მშრომელის პრობლემებს, მათ პირობებს, ასევე იმ ეკოლოგიურ კატასტროფას, რის წინაშეც დგას ქალაქი, ასევე იმ კონკრეტულ დაბრკოლებებს, რაც მუშებს დამქირავებელთან ურთიერთობაში ექმნებათ (გუმბერიძე, ერთი დღე ჭიათურაში, 2018).

2018 წლის 2 ივნისით თარიღდება სიახლე ''თბილისის მეტროს მემანქანეები მოქალაქეებს მიმართავენ'' (European.ge, 2018) - ეს არის მეტროს მემანქანეთა მიმართვის ტექსტი, სადაც მშრომელები მოქალაქეებს ამცნობენ გაფიცვის გეგმას, მის მიზეზებს და მოთხოვნებს, რის შესრულებასაც ისინი სახელმწიფოს აკისრებენ.

მნიშვნელოვანია 2018 წლის 6 აპრილით დათარიღებული ''განცხადება ტყიბულის ტრაგედიასთან დაკავშირებით'' (არეშვილი, 2018) სადაც სარედაქციო ჯგუფი ეხმიანება 2018 წლის 5 აპრილს ქალაქ ტყიბულში მეშახტეების დაღუპვას, ტექსტი ერთგვარი მანიფესტია, სადაც გამოყოფილია პოლიტიკური მოთხოვნებიც, მაგალითად :

''ტყიბული არ არის ერთადერთი ქალაქი საქართველოში, რომელიც საწარმოს გარშემოა აშენებული და რომელიც კატასტროფულ კრიზისს განიცდის ამდენი წლის განმავლობაში, ხან მკაცრი და ხან რბილი ანტისოციალური პოლიტიკის გამო. ასეთი ქალაქები და დასახლებები ჩვენს ქვეყანაში მრავლადაა და ისინი ძალიან ხშირად გვახსენებენ თავს. თუ ამ საწარმოებს ან გაჩერება/დახურვა ემუქრებათ მათი მესაკუთრეების გეგმათა ცვლილებების გამო, მოსაპოვებელი წიაღისეულების ამოწურვისა თუ შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების არ არსებობის გამო, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ალტერნატიული სამუშაო ადგილები, მოახდინოს საწარმოთა ნაციონალიზაცია ან სულ მცირე, შეაჩეროს წარმოება იქამდე, სანამ პირობები არ გამოსწორდება, იქ დასახლებული ადამიანებისათვის დროებით ალტერნატიული შემოსავლების გარანტიაზე პასუხისმგებლობის ჩათვლით, ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა ასეთ შემთხვევაში და არა მისი არჩევანი, ან ნება. (არეშვილი, 2018)

როგორც ვხედავთ, სარედაქციო ჯგუფი საუბრობს საწარმოს ნაციონალიზაციაზე, როგორც პრობლემის მოგვარების ეფექტურ გზაზე, აგრეთვე მნიშვნელოვანია რომ სარედაქციო ჯგუფი ხაზს უსვამს რომ ამ ქალაქის და ზოგადად, ინდუსტრიული ქალაქების მიმართ ხელისუფლებას ანტისოციალური პოლიტიკა აქვს.

საინტერესოა ეს მონაკვეთიც :

''ეს ქვეყანა არ არის ელიტებისა და ადამიანების გაუბედურებით გამდიდრებული რამდენიმე ბიზნესმენისგან დაფინანსებული არტისტების ეგზოტიკური პოდიუმი. აქ ადამიანები ცხოვრობენ, იზრდებიან და ვითარდებიან, იღებენ განათლებას, მუშაობენ, ქმნიან ოჯახებს, გააჩნიათ ღირსება და გრძნობები. ერთი მუჭა ადამიანების პოდიუმად გადაქცეული სახელმწიფო – რომლის ერთადერთი გაცხადებული ორიენტირი მხოლოდ ტურიზმით ან საკუთარი ღირსშესანიშნაობების გასაქონლებით კეკლუცობაა, ვერ იქნება ადეკვატური სახლი დანარჩენი ადამიანებისათვის – მოსახლეობის უმრავლესობისათვის. კახა ბენდუქიძის ექსტრემისტული და დეჰუმანური ეკონომიკური ხედვების კონსტიტუციაში ჩაბეტონებას შეგუებული საზოგადოების „პროგრესული“ ნაწილი

ვერასოდეს იქნება ვერავითარი პროგრესული ინიციატივების მატარებელი. მთავრობას, რომელსაც ფუნქციურად საკუთარი თავისათვის – ანუ სახელმწიფოსათვის დადებული ბორკილების მოხსნა არ შეუძლია, რადგან შიშით თრთის რამდენიმე აღვირახსნილი ბიზნესმენისა და ფინანსური მოთამაშეების წინაშე, ვერაფრის გარანტორი ვერ იქნება საზოგადოებისათვის'' (არეშვილი, 2018).

შეიძლება ითქვას რომ განსხვავებით იმ აკადემიური თარგმანებისა თუ სტატიებისგან, რომლებიც გამოცემის ინტერნეტ გვერდზე იტყვირთება, ამ განცხადებაში რედაქცია ბევრად უფრო რადიკალურია, ტექსტში ჩანს ელიტების და სახელმწიფოს რადიკალური კრიტიკა, მთავრობა, სარედაქციო ჯგუფის თქმით, ''შიშით თრთის რამდენიმე აღვირახსნილი ბიზნესმენის წინაშე''.

ტექსტის ბოლოს, სარედაქციო ჯგუფი პირობას იძლევა, რომ დაიწყებს კამპანიას ''ჰუმანური, მოსახლეობის უმრავლესობისადმი ეთიკური, კეთილდღეობაზე ორიენტირებული და მაღალგანვითარებული საზოგადოების მშენებლობისათვის'' და რომ ისინი შეკრებენ ყველა იმ ჯგუფს, რომლებიც ამისთვის იბრძვიან.

III. თბილისის ფაბიანური საზოგადოება

''თბილისის ფაბიანური საზოგადოების'' ინტერნეტ პლატფორმა შედგება 7 სექციისგან, ესენია : ''ჩვენს შესახებ'', ''ახალი ამბები'', ''სტატიები'', ''თარგმანი'', ''ბიბლიოთეკა'', ''სოციალისტები საქართველოდან'' და ''მუსიკა''.

სექციაში ''ჩვენს შესახებ'' მოცემულია მანიფესტი (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2014), სადაც ''თბილისის ფაბიანური საზოგადოება'' გვაცნობს მათ ხედვებს :

''ჩვენ, ამ მანიფესტის ხელმომწერნი, მივიჩნევთ, რომ პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის მიუხედავად საქართველო სოციალურად არამდგრად და ნაკლებად დემოკრატულ პოლიტიკურ სისტემად ყალიბდება. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ვერ ერთვებიან მოქალაქეები.საზოგადოებრივ სიკეთეებს ფლობენ ხელისუფლებასთან დაახლოებული მცირერიცხოვანი ჯგუფები.ამდენად,აშკარაა სოციალური უთანასწორობა. პირადი, ეგოისტური ინტერესებით მოქმედი უმსხვილესი ეკონომიკური აქტორები ვერ ითვალისწინებენ და ხშირად აზარალებენ სხვათა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საჭიროებებს – ჩვენ საზოგადოებაში ვერ ხერხდება ჯანმრთელობის, შრომისა და განათლების უფლებების სრულყოფილად უზრუნველყოფა.''

საკუთარ ხედვებს ფაბიანელები აკავშირებენ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ქართველ სოციალ-ფედერალისტებან, სოციალ-დემოკრატებთან, ასევე გერმანული ''რევიზიონიზმის'' და ბრიტანული მემარცხენე-ცენტრიზმის ტრადიციებთან, განსხვავებით European.ge -საგან, ''ფაბიანელებს'' დეტალურად აქვთ დაკონკრეტებული საკუთარი პოლიტიკური პოზიცია, ეს არის ბრიტანული ფაბიანური საზოგადოების ტრადიცია, რომელიც სოციალიზმის ევოლუციური გზით განხორციელებას ქადაგებს, ''ფაბიანელები'' გამოყოფენ იმ ღირებულებებს, რომელსაც მოძრაობა დაეფუძნება, ესენია (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2014) :

1) პოზიტიური თავისუფლება
2) სოციალური სამართლიანობა
3) სოციალური საბაზრო ეკონომიკა

4) ეკოლოგიური თავისუფლება
5) სამოქალაქო მონაწილეობა და პლურალისტური დემოკრატია
6) გენდერული თანასწორობა
7) პაციფიზმი და ანტიიმპერიალიზმი
8) პატრიოტიზმი

''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' მსგავსად, ''თბილისის ფაბიანური საზოგადოების'' რედაქცია დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებული დემოკრატიული სოციალიზმის ტრადიციებს, სექციაში ''სოციალისტები საქართველოდან'' (თბილისის ფაბიანური საზოგადოება) უამრავი სტატიის პოვნა შეიძლება, სადაც აკადემიურ სტილში, აღწერილია გასული საუკუნის პოლიტიკური პროცესი, მოქმედი პირები და მათი ბიოგრაფიები, ''ფაბიანური საზოგადოება'' განსაკუთრებით ცდილობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოპულარიზაციას (აღსანიშნავია, რომ European.ge, ასევე სოციალ-დემოკრატიული გამოცემა არ გამოირჩევა დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხის წინ წამოწევით).

სექციაში ''სოციალისტები საქართველოდან'' (თბილისის ფაბიანური საზოგადოება) ბოლო სიახლე ატვირთულია 2018 წლის 11 მარტს, სადაც მოცემულია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი რევოლუციონერის, სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომიდან (ჯიბლაძე, 1919).

სილიბისტრო ჯიბლაძე დამფუძნებელი კრების უხუცესი წევრი იყო და 1919 წლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების სხდომას თავმჯდომარეობდა, სიტყვის დასაწყისში ის მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, ასევე ახალ გათავისუფლებულ მეზობლებს, აზერბაიჯანს, სომხეთს, მთიელთა რესპუბლიკას და საუბრობს ვითარებაზე, რომელიც რუსეთში მონარქიის დამხობით შეიქმნა.

ჯიბლაძე განსაკუთრებით ნეგატიურად საუბრობს ბოლშევიკურ პარტიაზე (ჯიბლაძე, 1919) :

''აბა რა ხეირი დააყარეს, ბატონებო, თავიანთ ხალხს იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც მხოლოდ სხვა ხალხის დაღუპვაზე, სხვის უბედურებაზე ოცნებობენ. მეორე ცოცხალი მაგალითი. **რას ფიქრობენ და რას ცდილობენ ჩვენი ფეხ-მარდი კომუნისტ-ბოლშევიკები? მთელ ქვეყნიერებაზე და არა მარტო რუსეთის ცხოვრებაში, სოციალიზმის ხელათ განხორციელებაზე და ერთი მუჭა წითელ არმიელების ხიშტებით ვებერთელა რუსეთის გლეხთა ამ უმაღლეს სოციალურ სამეფოში გადატყორცნას.''**

ჯიბლაძე აგრეთვე საუბრობს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლაზე (კერენსკის მთავრობა) რომელიც უკვე აღარ არსებობდა (ჯიბლაძე, 1919).

''სულ სხვა გზა აირჩია ჩვენმა დემოკრატიამ. კაცი-ჭამიაობას და მეზობელთა მძულვარებას მან დაუპირისპირა ჭეშმარიტი დემოკრატიული პრინციპი ერთა სოლიდარობისა და კეთილ-განწყობილებისა, კომუნისტთა დამღუპველ ექსპერიმენტებს, – წინ დახედულება და შორსმჭრეტელობა. ჩვენი სურვილი იყო რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლა და ჭირსა და ლხინში მასთან ყოფნა, მასთან სიცოცხლე. მაგრამ მწარე სინამდვილემ გვიმტყუნა, და გაგვიცრუა ეს იმედები. ანარქიის ტალღებმა მოგვწყვიტა მას და ობლათ გაგვრიყა. და როცა ჩვენ ანგარიში გაუწიეთ ამ სინამდვილეს, მაგრათ შემოვიბარეთ, შემოვიბეკნეთ პირველად მთელ ამიერკავკასიის და შემდეგ ჩვენ რესპუბლიკის ფარგლებში. ჩვენმა „კეთილის მოსურნეებმა“ დაიწუნეს და დაგმეს ეს ჩვენი ტაქტიკა. შემდეგ როცა ჩვენი და ჩვენი განმარტოებულ რესპუბლიკის მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ დაისვა კითხვა ჩვენი ფიზიკური ყოფნა არ ყოფნისა და როცა ჩვენ არყოფნას იმავე ჩვენმა „კეთილის მსურველებმა“ არამც თუ დაგვიწუნეს, არამედ პირდაპირ და მალულად დემოკრატიული პრინციპის ღალატად ჩამოგვართვეს და ასტეხეს საშინელი განგაში: – ქვეყანა იქცევა, ჩვენ თან მივყვებით, თქვენ კი რაღაც საკუთარ არსებობაზე ფორჩიხობთო.''

საინტერესო ეპიზოდი სიტყვიდან ასევე არის ის მომენტი, სადაც ჯიბლაძე გარკვეული ალეგორიებით საუბრობს საქართველოს უახლეს წარსულზე რუსეთის იმპერიაში (ჯიბლაძე, 1919) : ''ხალხი, რომელსაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაიცვა თავისი ვინაობა, ხალხი რომელსაც არ შეეშინდა ჩრდილოეთის

სუსხიან ზამთრის, რომელმაც გამოიჩინა უნარი თვითმპყრობელობის სქელი და ცივი ყინვის ქვეშ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ზრდა განვითარებისა, ეს ხალხი არ დაიღუპება და არც დაღუპავს მოპოვებულ თავისუფლებას.''

როგორც ვხედავთ, სილიბისტრო ჯიბლაძის ეს სიტყვა მიმართული იყო რუსული თვითმპყრობელობის წინაამღდეგ, რომელშიც იგულისხმება როგორც მეფის ხელისუფლება (რომელიც უკვე აღარ არსებობდა) ასევე ახალი ბოლშევიკური ხელისუფლებაც, ჯიბლაძე აღნიშნავს რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის უმნიშვნელოვანესი პარტნიორი იქნებოდა რუსული დემოკრატია, ბოლშევიკებს კი ის მნიშვნელოვან საფრთხედ სახავს.

ანტი ბოლშევიკური შინაარსის არის აგრეთვე 2015 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებული სტატია : ''ისიდორე vs სტალინი'' (ისიდორე vs სტალინი, 2015), სადაც აღწერილია 1921 წლის ზაფხულში, იოსებ სტალინის ვიზიტი თბილისში, როდესაც მას დაუპირისპირდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), მათ კი ცნობილი რევოლუციონერი, ისიდორე რამიშვილი ხელმძღვანელობდა.

ნაძალადევის კლუბში, სტალინის და ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების ცნობილ დაპირისპირებას არაერთი შემსწრე ჰყავდა, სარედაქციო ჯგუფი გვთავაზობს სამი მათგანის მოგონებას, ესენი არიან : დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი ვლასა მგელაძე, აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი იოსებ ირემაშვილი და დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიის ვიცე მეთაური, სოციალ-დემოკრატი დავით საღირაშვილი.

სამივე ავტორი აღწერს ისიდორე რამიშვილის ჰეროიკულ გამოსვლას, რომელსაც მალევე რეპრესიები მოჰყვა და ძველი მუშები, ისევე როგორც რევოლუციონერები მეტეხის ციხეში მოათავსეს (ისიდორე vs სტალინი, 2015).

სექციაში ასევე შევხვდებით ცნობილი მენშევიკის, სოციალ-დემოკრატის, პირველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, აკაკი ჩხენკელის გამოსვლის ტრანსკრიპტს (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015), რომელიც 1920 წლის დეკემბრით თარიღდება, ამ გამოსვლაში ჩხენკელი განიხილავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას, ჩხენკელი ამ ვრცელ ტექსტში

პასუხობს ოპონენტებს (სოციალისტ-რევოლუციონერებს) მიწის რეფორმის შესახებ, ასევე მიმოიხილავს კონსტიტუციას, დემოკრატიის პრინციპებს, განაპირა რეგიონების ავტონომიას და ა.შ.

გარდა რუსეთის რევოლუციის დროინდელი წარსულის გახსენებისა, ''ფაბიანელი სოციალისტები'' გამოირჩევიან სხვა სახის სიახლეების მუდმივი განახლებით, ეს სტატიები მოიცავენ როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული პოლიტიკის ანალიზს, განხილვებს და ა.შ.

სტატიაში - ''რას გვასწავლის შვედური სოციალ-დემოკრატია'' (შუბითიძე, 2018), ავტორი - სოფო შუბითიძე გვესაუბრება შვედური სოციალ-დემოკრატიის თავისებურებებზე, რომ სოციალ-დემოკრატიის ეს მოდელი გამოირჩევა მეტი პრაგმატულობით და თეორიისადმი ნაკლები აქცენტით, ავტორი ასევე მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებისადმი შვედი სოციალ დემოკრატების განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე : ''თუ შვედ სოციალ-დემოკრატებს ჰკითხავთ რჩევას, როგორ შეიძლება მაგალითად მათი წარმატების ელემენტების დანერგვა აღმოსავლეთ ევროპის განვითარების გზაზე მყოფ დემოკრატიებში, ისინი გიპასუხებენ რომ ამისთვის აუცილებელია ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და პასუხისმგებლობის განვითარება. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით რიგითი შვედი საშუალოდ 5 ასოციაციის წევრი მაინც არის. ასოციაციების წევრობა იწყება სკოლის ასაკიდან, 13 წლის ასაკში უკვე მოსწავლეებში დაშვებულია ამა თუ იმ პარტიის სასარგებლო პროპაგანდა და მოზარდების პარტიათა ახალგაზრდულ ფრთებში გაწევრიანება. პოლიტიკაში მონაწილეობა არ არის "ტაბუდადებული" თემა და არც მხოლოდ "რჩეულთა " საქმე.ასოციაციების კულტურა ჯერ კიდევ სათავეს იღებს მე-19 საუკუნიდან. მისი მთავარი მონაპოვარი კი მოქალაქეთა შორის დემოკრატიული კულტურის და ნდობის გაღვივებაა. თუ ერთ შემთხვევაში სახელმწიფო არის სოციალური და ბევრ საჯარო სფეროს აფინანსებს, მეორე მხრივ არც საზოგადოებაა პასიური მიმღები და ორგანიზაციული აქტივობით ამყარებს დემოკრატიას. უამრავი კვლევა ადასტურებს იმას, რომ სოციალური სიკეთეებისა და კეთილდღეობის წარმოქმნის კუთხით აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა აქვს შვედეთში. სახელმწიფო

კეთილდღეობისა და სამოქალაქო აქტივობას შორის პირდაპირი კორელაციის დასანახად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1990-იან წლებში ნეოლიბერალიზმის მომძლავრების შედეგად სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დანახარჯების შეკვეცა, რასაც ასევე თან ახლდა დაბალი სამოქალაქო აქტივობა და ასოციაციების წევრობის მკვეთი კლება'' (შუბითიძე, 2018).

ავტორი ასევე მიუთითებს შვედეთში პროფკავშირებსა და სახელმწიფოს შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობებზე, შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ კონსესუსზე:

''1850-იან წლებში შვედეთი ერთ-ერთი ღარიბი, აგრარული, პერიფერული სახელმწიფო იყო. 1900 წლისათვის შვედეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი აგრარულ სექტორში იყო დასაქმებული. აგრარული სექტორის მოდერნიზაციამ, რკინის, ფოლადისა და წყლის რესურსების ათვისებამ, (აღნიშნული რესურსით შვედეთი არის მდიდარი), ინჟინერიის აღმავლობამ ხელი შეუწყო სწრაფ ინდუსტრიალიზაციას, კომუნიკაციების გაყვანას. თუმცაღა ცალმხრივი მემარჯვენე ტონით ნაკვები ახსნები, რომ შვედეთის წარმატება ეფუძნება მხოლოდ ქვეყნის სიმდიდრეს არ არის მართებული. ფუნდამენტურია არა სიმდიდრის ქონა, არამედ მისი გამოყენება, დამუშავება და გადანაწილება. სიმდიდრის გადანაწილება შვედეთში მაშინ დაიწყო, როცა იგი შეიქმნა. მარტივად რომ ვთქვათ, კლასიკური დაპირისპირება ღარიბ მუშებსა და მდიდარ მეწარმეებს შორის არ ყოფილა.შვედური სოციალიზმი ემყარება შრომასა და კაპიტალს შორის კონსენსუსს. ამ ორ ძალას შორის კონფლიქტის მომგვარებლად გარე ნეიტრალური აქტორი კი არ არის საჭირო, არამედ თავად ინდუსტრია, საწარმო, პროფკავშირი, დასაქმებული გვევლინებიან მთავარ აქტორებად. მაგალითისათვის საკმარისი იქნება დავასახელოთ უმუშევრობის პენსია, რომლის 80-90% -ს უმუშევარ ადამიანდ პროფკავშირი უხდის (ეს პროცენტი ციფრი ვარირებს კონკრეტული ინდუსტრიის და საწარმოს გათვალისწინებით) ხოლო დანარჩენი 10-20 % იფარება სახელმწიფოს მიერ. დასკვნა ის გახლავთ, რომ ეკონომიკაში ფული "ციდან არ ჩნდება", სახელმწიფო ვერ დახარჯავს იმაზე მეტს, რასაც ადამიანი გამოიმუშავებს და გადასახადის სახით არგებს ბიუჯეტს. შვედეთში

მაღალია შრომის კულტურა და პოსტულატადაა ქცეული ფრაზა, რომ “ყველა, ვისაც შეუძლია უნდა მუშაობდეს” (შუბითიძე, 2018).

‘’ფაბიანელი სოციალისტები’’ გამოირჩევიან გერმანიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების აქტიური გაშუქებით, 2018 წლის 9 სექტემბერს განთავსებული სტატია : ‘’მოძრაობა #AUFSTEHEN -ის სადამფუძნებლო განაცხადი’’ (თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2018) ეძღვნება გერმანიის მემარცხენე ფლანგის გამაერთიანებელი მოძრაობის დაფუძნებას, რომელიც 2018 წლის ზაფხულის ბოლოს მოხდა.

2016 წლის 22 აპრილით თარიღდება ფლორიან გათმანისა და ქრისტოფ ჰენრიქსის სტატიის თარგმანი, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრიზისს ეძღვნება, თარგმანს ჰქვია : ‘’სოციალ-დემოკრატების უბადრუკობა, რატომ აგრძელებენ ამხანაგები დაცემას?’’ (გათმანი & ჰენრიქსი, 2016) სტატიაში განხილულია ის კრიზისი, რასაც გერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტია განიცდის, ამ პარტიის წარსული წარმატებები და ცვლილებები იმ კლასებში, ვინც როგორც წესი სოციალ-დემოკრატების ამომრჩევლები იყვნენ, სტატიაში ნახსენებია ‘’ალტერნატივა გერმანიისათვის’’ ‘’AfD’’ რომელიც ანტი ემიგრაციული სულისკვეთებით გამოირჩევა და რომელმაც მოახერხა სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერთა დიდი რაოდენობის მიმხრობა.

გერმანულ პოლიტიკას ეხება აგრეთვე გერმანიის მემარცხენე პარტიის ყრილობაზე, გერმანელი პოლიტიკოსის, ‘’Die Linke’’-ს ერთ-ერთი ლიდერის, გრიგორი გიზის სიტყვის თარგმანი, ამ სიტყვაში, გიზი ასახელებს ოთხ მიზეზს, თუ რის გამოც ის საკუთარ თავს აიდენტიფიცირებს როგორც მემარცხენე პოლიტიკოსი[2] :

‘’პირველი საფუძველი ომისა და მშვიდობის საკითხი გახლავთ. მართალია, სამწუხაროდ, მემარცხენეთა ისტორიაში არსებობდა გამონაკლისები, მაგრამ პრინციპში, შინაარსობრივად მემარცხენეობა ყოველთვის მშვიდობის მოძრაობას, პაციფისტურ მოძრაობას წარმოადგენდა.

მეორე საფუძველი ჩემთვის ყოველთვის შედგებოდა და შედგება სოციალური სამართლიანობის მოთხოვნისაგან. ჩემი რწმენით, სოციალური სამართლიანობა არასდროს ნიშნავდა ყველას გათანაბრებას. სოციალური სამართლიანობა აღიარებს ინდივიდებს შორის განსხვავებას პასუხისმგებლობის, სიბეჯითის, კვალიფიკაციისა თუ სხვა კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა, მთავარია სოციალური სამართლიანობის მოთხოვნამ გამორიცხოს ხელმოკლეობაც და უსაზღვრო სიმდიდრეც, რომელიც ყოველ მიზეზ გარეშე განაპირობებს სიღარიბეს.

მესამე საფუძველი შანსების თანასწორობის მოთხოვნა გახლავთ. ადამიანები უკიდურესად განსხვავებულ ვითარებებში, უკიდურესად უთანასწორო სიტუაციებში იბადებიან. სახელმწიფოებისა და საზოგადოებების მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ სოციალური ბალანსის მიღწევის შანსები მათთვის, ვისაც სხვებზე უფრო მეტად უჭირთ. არსებობენ სტრუქტურები, რომლებიც სოციალური ბალანსის მიღწევის შანსებს მრავალმხრივ ართულებენ, და არსებობენ სტრუქტურები, რომლებიც პირიქით, ბევრ რაიმეს აადვილებენ. გერმანია სოციალური გარღვევების, სოციალური გარდატეხების განსაკუთრებით ცუდი მაგალითია. შანსების თანასწორობა მოითხოვს თანასწორობას ქალსა და მამაკაცს შორის. ის ვრცელდება ნებისმიერ ადამიანზე მისი ეროვნების, რელიგისა თუ რელიგიის არქონის, კანის ფერისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად. შანსების თანასწორობის საკითხი მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის პირებს და ცდილობს მათთვის სოციალური ბალანსის უზრუნველყოფას შეძლებისდაგვარად უმაღლესი სტანდარტით. შანსების თანასწორობა უპირველესად მიღწეული უნდა იყოს განათლების, კულტურისა და ხელოვნების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

და ბოლოს, არსებობდა და არსებობს ჩემთვის მეოთხე საფუძველიც. მეოთხე საფუძველი იყო და მეოთხე საფუძვლად რჩება მემარცხენეთა ინტერნაციონალიზმი. ინტერნაციონალიზმი ცენტრალური საკითხი გახლავთ. დავამარცხებ სიღარიბეს მხოლოდ ჩემს საზოგადოებაში თუ მთელი მსოფლიოს მასშტაბით? ვიბრძოლებ შანსების თანასწორობისთვის მხოლოდ ჩემს საზოგადოებაში თუ მთელი მსოფლიოს მასშტაბით? შეიძლება საერთოდ სოციალურ სამართლიანობაზე ვილაპარაკოთ, თუ ის შენი ქვეყნის საზღვართან სრულდება… განა ინტერნაციონალიზმი არ არის

შეუცვლელი წინაპირობა მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და შანსების თანასწორობისთვის? პირდაპირ, ღიად ვაცხადებ – მემარჯვენე მოძრაობებსაც შეუძლიათ ერთი ერის ფარგლებში სოციალური სამართლიანობისა და შანსების თანასწორობის გამოყენება, დანერგვა. მაგრამ ისინი არასდროს გაავრცელებენ კეთილდღეობას თავიანთი ქვეყნების საზღვრების მიღმა. აქედან გამომდინარე, ინტერნაციონალიზმის საკითხი მემარცხენე მოძრაობისათვის ფუნდამენტური თემა გახლავთ'' (გიზი, 2018).

როგორც ვხედავთ, ''ფაბიანელი სოციალისტები'' მკაფიოდ სოციალ-დემოკრატიული პლატფორმის ინტერნეტ გამოცემა და საზოგადოებაა, ''ფაბიანელები'' ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მათთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტიის მემკვიდრეობა, გამოცემა აგრეთვე აქტიურად მუშაობს გერმანიის პოლიტიკურ პროცესში მიმდინარე საკითხებზე, ''ფაბიანელი სოციალისტების'' სტილი ცალსახად აკადემიურია, ისინი ამასთანავე ცდილობენ საკუთარი ხედვების პოპულარიზაციას და გასაგებად ხსნიან საკუთარ ძირითად ღირებულებებს.

დასკვნა

''ანარქისტულ ბიბლიოთეკას'' და ''თბილისის ფაბიანურ საზოგადოებას'' შეზღდული რესურსები აქვთ, მათი ინტერნეტ გამოცემები მარტივი, ბლოგების სახით არის წარმოდგენილი და შეგვიძლია ვთქვათ რომ მათი საიტები (A-library.Org და Fabiansocialists.wordpress.com) არ წარმოადგენენ ყოველკვირეულ, განახლებად დომეინს, სარედაქციო ჯგუფებიც ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე ეს European.ge - ს შემთხვევაში გვხვდება (ორმოცდაათამდე ავტორი), European.ge ცდილობს უფრო თანამედროვე, სამეცნიერო ტექსტების თარგმნას (თუმცა ბუნებრივია ეს თარგმანები მკვეთრად იდეოლოგიური ხაზით ირჩევა), თუმცა ეს გამოცემა არ გამოირჩევა საქართველოს მემარცხენე გამოცდილებებზე აქცენტით, ''ანარქისტული ბიბლიოთეკა'' და ''ფაბიანელები'' კი ცდილობენ ქართული ანარქიზმის და ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკური ფრთის) პოპულარიზაციას.

European.ge დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიკის სფეროს, რომელიც ცალკე სექციის სახით ''ეკონომიკა და პოლიტეკონომია'' აქვს გამოყოფილი, ანალოგიური შინაარსობრივი სექციის პოვნა შესაძლებელია ''ანარქისტული ბიბლიოთეკის'' საიტზეც, თუმცა აქ ამ სექციას ''კაპიტალიზმი'' ეწოდება, სადაც თანამედროვე კვლევებზე მეტად, ჭარბობს კლასიკოსი ავტორების ტექსტები, როგორებიცაა ალექსანდრ ბერკმანი, პიოტრ კროპოტკინი თუ ემა გოლდმანი, ''ფაბიანელი სოციალისტების'' გვერდზე იდენტური შინაარსის სექცია არ იძებნება, აქ სტატიები ერთ სექციაშია თავმოყრილი.

European.ge -ზე ჯამში 800 მდე სტატია არის განთავსებული (სხვადასხვა თარგმანი, მანიფესტი თუ კვლევა) რაც ბევრად აღემატება ''ანარქისტული ბიბლიოთეკისა'' და ''ფაბიანელი სოციალისტების'' ინტერნეტ გამოცემებზე არსებულ სტატიებს, შეგვიძლია ვთქვათ რომ სამივე გამოცემა ცდილობს საკუთარი იდეების პოპულარიზაციას, ''ანარქისტული ბიბლიოთეკა'' - ანარქიზმის, ''ფაბიანელები'' და ''European.ge'' კი სოციალ-დემოკრატიის, თუმცა ამ უკანასკნელთა აქცენტები

ერთმანეთისგან განსხვავებულია, შეგვიძლია ვთქვათ რომ ქართული მემარცხენე ორგანიზაციები წარმატებით ფუნქციონირებენ და ცდილობენ საკუთარი ღირებულებების, ხედვებისა და პოლიტიკური დღის წესრიგის გასაჯაროვებას, ამ გამოცემებში ხშირად შუქდება პროტესტები, პრობლემები რის წინაშეც საქართველოს ინდუსტრიული ქალაქები დგანან, ასევე სოციალური უთანასწორობის, განათლების, თანამედროვე საერთაშორისო მემარცხენე მოძრაობების შესახებ არსებული საკითხები, გავრცელებას საზოგადოებაში, ინტერნეტ პლატფორმები კი ამისათვის შესაფერისი საშუალებაა.

წყაროები :

1. European.ge. (2018 წლის 2 ივნისი). *თბილისის მეტროს მემანქანეები მოქალაქეებს მიმართავენ.* Retrieved 2018 წლის 8 დეკემბერი from european.ge: http://european.ge/tbilisis-metros-memanqaneebi-gaficvas-aanonseben/

2. ანარქისტული ბიბლიოთეკა. (2014 წლის 21 ივლისი). *არსამთავრობო ორგანიზაციები, კაპიტალიზმის ტროას ცხენი.* Retrieved 2018 წლის 20 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/ngo-seqtori-kapitalizmis-troas-cxeni/#more-776

3. ანარქისტული ბიბლიოთეკა. (2014 წლის 14 ნოემბერი). *კავკასიის ანარქისტული მოძრაობა XX საუკუნის დასაწყისში.* Retrieved 2018 წლის 20 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/kavkasiis-anarqistuli-modzraoba_xx-saukunis-dasawyisshi/#sthash.vNNWtWm3.wDwiSrkz.dpbs

4. ანარქისტული ბიბლიოთეკა. (2012 წლის 7 იანვარი). *კონსესუსი.* Retrieved 2018 წლის ოქტომბერი 18 from a-library.org: http://a-library.org/konsensusi/#sthash.uaklXKnk.dpbs

5. ანარქისტული ბიბლიოთეკა. (2012 წლის 7 იანვარი). *რა არის ანარქია ?* Retrieved 2018 წლის 18 ოქტომბერი from a-library.org: http://a-library.org/ra-aris-anarqia/#sthash.TN4wAtId.2VPpxbqG.dpbs

6. არეშვილი, ა. (2018 წლის აპრილი 6). *განცხადება ტყიბულის ტრაგედიასთან დაკავშირებით.* Retrieved 2018 წლის 8 დეკემბერი from european.ge: http://european.ge/tyibuli-fundamenturi-gardaqmnis-winapiroba/

7. ბუაძე, თ. (2015 წლის 24 ივლისი). *გიორგი (კომანდო) გოგელია.* Retrieved 2018 წლის 20 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/tamar-buadze-giorgi-gogelia/#sthash.yq9BDkC5.dpbs

8. გათმანი, ფ., & ჰენრიქსი, ქ. (2016 წლის 22 აპრილი). სოციალ-დემოკრატების უბადრუკობა, რატომ აგრძელებენ ამხანაგები დაცემას ? (ლ. ლორთქიფანიძე, Trans.) თბილისის ფაბიანური საზოგადოება.

9. გიზი, გ. (2018). *ოთხი საფუძველი მემარცხენედ ყოფნისთვის.* თბილისის ფაბიანური საზოგადოება.

10. გოლდმანი, ე. (2012 წლის 17 თებერვალი). *ათეიზმის ფილოსოფია.* Retrieved 2018 წლის 18 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/ema-goldmani-ateizmis-filosofia/#sthash.Kmx21qfz.hZEkR9sp.dpbs

11. გოლდმანი, ე. (2012 წლის 31 ივლისი). ანარქია. Retrieved 2018 წლის 19 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/ema-goldman-anarqia/#sthash.iqasHpFu.cnRMBsQ3.dpbs

12. გოლდმანი, ე. (2012 წლის 26 მარტი). *პატრიოტიზმი, საფთხე თავისუფლებისათვის.* Retrieved 2018 წლის 3 ნოემბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: https://a-library.org/ema-goldmani-patriotizmi-safrtxis-tavisuflebistvis/

13. გოლდმანი, ე. (2012 წლის 26 მარტი). *პატრიოტიზმი, საფრთხე თავისუფლებისთვის.* Retrieved 2018 წლის 18 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/ema-goldmani-patriotizmi-safrtxis-tavisuflebistvis/#sthash.ltB7SEFi.LNkHXd70.dpbs

14. გოლდმანი, ე. (2012 წლის 31 ივლისი). ქორწინება და სიყვარული. (ლ. ლაფერაძე, Trans.) Retrieved 2018 წლის 19 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/ema-goldmani-qorwineba-da-siyvaruli/#sthash.2FWI22O4.nz5pEqrz.dpbs

15. გუმბერიძე, ე. (2018 წლის 18 მარტი). *ერთი დღე ჭიათურაში.* Retrieved 2018 წლის 5 დეკემბერი from european.ge: http://european.ge/erti-dge-chiaturashi/

16. გუმბერიძე, ე. (2018 წლის 11 ნოემბერი). *რა განაპირობებს პოლიტიკურ მონაწილეობას ?* . Retrieved 2018 წლის 27 ნოემბერი from european.ge: http://european.ge/ra-ganapirobebs-politikur-monacileobas/

17. *დასაქმება და შრომა.* (n.d.). Retrieved 2018 წლის 5 ნოემბერი from european.ge: http://european.ge/category/politikuri-mimatrulebebi/dasakmeba-shroma/

18. ესპოსტო, მ. (2018 წლის 9 ნოემბერი). შემოსავლების უთანასწორობა და ახალგაზრდების უმუშევრობა. (რ. გოგისვანიძე, Trans.)

19. თბილისის ფაბიანური საზოგადოება. (2018 წლის 9 სექტემბერი). *მოძრაობა #Aufstehen-ის სადამფუძნებლო განაცხადი.* Retrieved 2018 წლის იანვარი 17 from Tbilisi Fabian Society.

20. თბილისის ფაბიანური საზოგადოება. (2015 წლის 4 ოქტომბერი). *აკაკი ჩხენკელი სდრ-ს კონსტიტუციის შესახებ.* Retrieved 2018 წლის 15 დეკემბერი from Tbilisi Fabian Society.

21. თბილისის ფაბიანური საზოგადოება. (2014 წლის მარტი 27). *თბილისის ფაბიანური საზოგადოების მანიფესტი.* Retrieved 2018 წლის 15 დეკემბერი from Tbilisi Fabian Society.

22. თბილისის ფაბიანური საზოგადოება. (n.d.). *სოციალისტები საქართველოდან.* Retrieved 2018 წლის 15 დეკემბერი from Tbilisi Fabian Society.

23. *ისიდორე vs სტალინი.* (2015 წლის 5 ოქტომბერი). Retrieved 2018 წლის 15 დეკემბერი from Tbilisi Fabian Society.

24. მალატესტა, ე. (2012 წლის 14 მარტი). არც დიქტატორები არც დემოკრატები. (ა. ბიბლიოთეკა, Trans.) Retrieved 2018 წლის 20 ოქტომბერი from ანარქისტული

ბიბლიოთეკა: http://a-library.org/errico-malatesta-diqtatorebi-demokratebi/#sthash.gictStRL.MxsPDbTU.dpbs

25. მარკელოვი, ს. (2012 წლის 29 აგვისტო). *დიაგნოზი-პატრიოტიზმი.* Retrieved 2018 წლის 20 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/stanislav-markelovi-diagnozi-patriotizmi/#sthash.feIbT4ng.kVB3gr10.dpbs

26. მახნო, ნ. (2015 წლის 10 მაისი). პირველი მაისი - ახალი ერის სიმბოლო. (ა. ბიბლიოთეკა, Ed., & ა. ბიბლიოთეკა, Trans.) Retrieved 2018 წლის 26 ოქტომბერი from ანარქისტული ბიბლიოთეკა: http://a-library.org/nestor-maxno-pirveli-maisi/#sthash.dXNMxydT.usTKmlXD.dpbs

27. პეტრასი, ჯ. (2017 წლის 28 ნოემბერი). *არასამთავრობოები იმპერიალიზმის სამსახურში.* Retrieved 2018 წლის 1 დეკემბერი from european.ge: http://european.ge/arasamtavroboebi-imperializmis-samsaxurshi/

28. პიკეტი, ქ. (2014). უთანასწორობის შემცირება : განვითარებისა და კეთილდღეობის ფუნდამენტური პირობა. (ს. ჭაუჭიძე, Trans.) Journal For A Progressive Economy.

29. შუბითიძე, ს. (2018 წლის 11 მარტი). *რას გვასწავლის შვედური სოციალ-დემოკრატია.* Retrieved 2018 წლის 15 დეკემბერი from Tbilisi Fabian Society.

30. ხუნდაძე, ტ. (2018 წლის 5 იანვარი). *უმუშევრობის ნეოლიბერალური წყევლა.* Retrieved 2018 წლის 30 ნოემბერი from european.ge: http://european.ge/umushevrobis-neoliberaluri-tskevla/

31. ჯიბლაძე, ს. (1919 წლის 12 მარტი). საჭიროა მეფის თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ხალხის თვითმპყრობელობის გამაგრება. ტფილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

I სემესტრი

ნინო მაისურაძე

სადოქტორო სემინარი

იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების ელექტრონული პროპაგანდა თანამედროვე საქართველოში (პატრიოტული მიმართულების ორგანიზაციების ინტერნეტ აქტივობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა

დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი

2019

ანოტაცია

იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების ელექტრონული პროპაგანდა თანამედროვე საქართველოში
(პატრიოტული მიმართულების ორგანიზაციების ინტერნეტ აქტივობები)

კვლევაში შესწავლილია საქართველოში არსებული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ-გამოცემები. რეალური სურათის მისაღებად შევისწავლეთ ოთხი ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ინტერნეტ გამოცემა და ის ორგანიზაციებიც, რომლებიც მხოლოდ სოციალურ ქსელში გვერდის მეშვეობით ეკონტაქტებიან საზოგადოებას (მაგ. „ქართული მარში“).

საკვლევი თემა აქტუალურია უკანასკნელ წლებში ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების მოძრაობების რადიკალური, პოპულარული მოქმედებების ფონზე. ამ ორგანიზაციების გააქტიურებასთან ერთად აქტუალური ხდება მათი ინტერნეტ გამოცემების შინაარსობრივი ანალიზი, რაც არ გამხდარა კვლევის საგანი.

განსხვავებული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემების შესწავლა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ზოგადი სახე საქართველოში მოღვაწე პატრიოტული მოძრაობების რაობის, მოქმედებების, მოღვაწეობის, იდეოლოგიის, იდეების შესახებ. ამასთან ერთად, შეგვიძლია სხვადასხვა ინტერნეტ გამოცემები შევადაროთ ერთმანეთს და ნათლად დავინახოთ მათ შორის განსხვავება (თუმცა მათ შორის საერთო უფრო მეტია).

კვლევის წარმოების პროცესში შევეცადეთ ობიექტურობა დაგვეცვა და ინტერნეტ გამოცემების შინაარსები ზუსტი კონტექსტით გადმოგვეცა.

ჩვენი მიზანი იყო ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემების იდეოლოგიური პროფილის შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევათ კი მოგვიწია არა მხოლოდ ამ ორგანიზაციების საიტების შესწავლა, არამედ მათი ოფიციალური „Facebook” გვერდებისაც, რადგან თითოეული შესწავლილი მოძრაობათაგანი საკუთარი იდეების პოპულარიზებისათვის უპირატესობას ინტერნეტ გამოცემებზე მეტად სოციალურ ქსელებს ანიჭებენ.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I. „საქართველოს სამეფო“- Georoyal.ge 6

თავი II. „ქართული იდეა“ -qartuliidea.ge 14

თავი III.„კარდჰუ“ (საქართველო უპირველეს ყოვლისა)-kardhu.wordpress.com 21

თავი IV. „საქართველოს ეროვნული ერთობა“- geonsm.wordpress.com 30

თავიV. მოძრაობა „ეროვნულები“ და „ქართული მარში“ 41

§1. მოძრაობა „ეროვნულები“ 41

§2. „ქართული მარში“ 43

დასკვნა 51

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა: 2012 წლიდან მოყოლებული დღემდე გააქტიურდა ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები, რომლებიც ხშირად აწყობენ სხვადასხვა გამოსვლებს, მსვლელობებს, გაფიცვებს, დემონსტრაციებს... ისინი დღეს უკვე სამოქალაქო ცხოვრების ერთ-ერთ გამოკვეთილ ნაწილს წარმოადგენენ. დიდია მათი ოფიციალური საიტების დამთვალიერებელთა რიცხვი, „ფეისბუქ“ გვერდების გამომწერთა რიცხვი. ხშირად ვხედავთ მათ სხვადასხვა გადაცემებში, მათ შორის პოლიტიკური ხასიათის, სადაც ისინი ღიად აფიქსირებენ საკუთარ აზრს. განსაკუთრებით 2017 წლიდან, „ქართული მარშის“ შექმნის დღიდან, ისინი ხშირად გამხდარან საინფორმაციო გამოშვებებისთვის დღის მთავარი თემა და დისკუსიის ობიექტები. ცალმხრივად დადებით შეფასებას ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციის წევრების ქმედებები არ იწვევს. მათ ხშირად აკრიტიკებენ სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ადანაშაულებენ დისკრიმინაციაში, სხვისი უფლებების შელახვაში, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში...

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები და მათი მხარდამჭერები მართლაც გამოირჩევიან რადიკალური ქმედებებით, აგრესიულობით და ისინი საკუთარ რწმენას, შეხეუდლებებს, იდეოლოგიას უზიარებენ საზოგადოებას საკუთარი ორგანიზაციის საიტებიდან, ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდებიდან (ავღნიშნოთ, რომ ხშირად იქმნება მათი სახელით არარეალური ე.წ. „Fake Account”-ებიც). ის, რომ მათ მომენტალურად შეუძლიათ რამდენიმე ათასიანი აქციის დაგეგმვა ინტერნეტ გამოცემის თუ „ფეისბუქ“ გვერდის მეშვეობით დადასტურდა „ქართული მარშის“ არა ერთი აგრესიული შეკრებიდან.

საკვლევი საკითხი აქტუალურია, რადგან გვიჩვენებს, როგორ ფორმირდება ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციის წარმომადგენლების იდეები, იდეოლოგია ინტერნეტ გამოცემებში, როგორ აღწევს ის საზოგადოებამდე და რა ფორმით. აქვთ თუ არა ამ ეროვნულ მოძრაობებს გავლენა ხალხზე და საერთოდ არიან კი ისინი რეალურად ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები?

ამ ორგანიზაციების და მათი ლიდერების ცნობადობის ზრდა და პოპულარობა უფრო მეტად აქტუალურს ხდის მათი მოღვაწეობის, ქმედებების, საიტების, „ფეისბუქ“ გვერდების შესწავლის და ანალიზის საჭიროებას, რაც სწორედ ჩვენი კვლევის საგანია.

კვლევის მიზანია: ქართული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემების იდეოლოგიური პროფილის შესწავლა.

ამოცანები: ამ მიზნის მისაღწევად კი დავისახეთ შემდეგი ამოცანები: 1) გავაანალიზეთ და შევისწავლეთ ოთხი ქართული ეროვნულ-პატრიოტული ინტერნეტ გამოცემა; 2) შევისწავლეთ ამ ოთხი ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ოფიციალური გვერდები სოციალურ ქსელში მათ ინტერნეტ გამოცემებთან ერთად; 3) გავაანალიზეთ იმ ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის სოციალურ ქსელში არსებული გვერდიც, რომელსაც არ აქვს ინტერნეტ გამოცემა და რომელიც ამის მიუხედავად დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობაა საქართველოში.

კვლევის კითხვაა: რა მიზნით იყენებენ ქართული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ორგანიზაციები ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებას?

კვლევის ჰიპოთეზაა: ელექტრონული კომუნიკაციის შესაძლებლობის წინსვლა იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების განვითარების ახალ შესაძლებლობას ქმნის, რომლის გამოყენებასაც ცდილობენ ის ჯგუფები, რომლებსაც კონკრეტული პოლიტიკური მიზნები აქვთ.

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგია კვლევის თემატიკიდან გამომდინარე არის თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის მეთოდები მოიცავს სხვადასხვა კვლევით ტექნიკას. ჩვენ კი მათგან გამოვიყენეთ მეორადი წყაროების ანალიზი.

შერჩევა: კვლევაში გამოყენებულია არაალბათური შერჩევის ტიპი, კონკრეტულად- მიზნობრივი შერჩევა.

კვლევის ლიმიტი: ყველა კვლევა ლიმიტირებულია და ჩვენც შევისწავლეთ მხოლოდ ოთხი ეროვნულ-პატრიოტული ინტერნეტ გამოცემა, მათი „Facebook" გვერდებიც და ორი მოძრაობის „Facebook" გვერდი, რომლებიც მხოლოდ სოციალური ქსელის მეშვეობით აპიარებენ საკუთარ იდეებსა და იდეოლოგიას და არ იყენებენ ინტერნეტ გამოცემებს საკუთარ საქმიანობაში მაგ."ქართული მარში", „ეროვნულები". კვლევაში არაა განხილული სხვა მნიშვნელოვანი ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები, რომლებიც ასევე „Facebook" გვერდებზე აქტიურობით გამოირჩევიან და გამომწერთა რიცხვის სოლიდარული რაოდენობაც ჰყავთ. მაგ. „ქართული ძალა" – 15 834 გამომწერით.

თავი I. „საქართველოს სამეფო“- Georoyal.ge

„საქართველოს სამეფო“ არის საქართველოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა სამეფო (მონარქისტული) კლუბი (შემოკლებით - სამეფო კლუბი ან მონარქისტული კლუბი). „საქართველოს სამეფო“ არის საქართველოში სამეფო ტახტის აღდგენისა და მისი სახალხო კონსტიტუციური მონარქიის სახით დადგენის მსურველთა ზეპარტიული, სათათბირო-სადისკუსიო კლუბი. კლუბის მთავარი მიზანია სახალხო კონსტიტუციურ-მონარქისტული იდეების პოპულარიზაცია, რათა შემდეგ რეფერენდუმის საშუალებით ქვეყანაში დამყარდეს კონსტიტუციურ-მონარქისტული წყობა. კლუბი აღიარებს ეროვნული ერთობის აუცილებლობას, თუმცა კლუბი არ იღწვის რომელიმე ფენის შთამომავალთა პრივილეგიების და წოდების აღდგენისათვის - საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ყველა მოქალაქე თანასწორია. სამეფო კლუბი არ უპირისპირდება არც ერთ პოლიტიკურ ძალას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. პირიქით, საქართველოს სამეფო კლუბი ცდილობს ყველა დაარწმუნოს კონსტიტუციურ-მონარქისტული წყობილების აუცილებლობაში და ამისთვის მიმართავს მხოლოდ კონსტიტუციურ მეთოდებს. მონარქისტული კლუბის წევრობა შეუძლია ყველას, მათ შორის სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც, ვისაც სურს საქართველოს ერთიანი სამეფოს აღდგენა. სამეფო კლუბის წევრობისათვის საჭიროა წერილობითი განცხადებით მიმართვა სამეფო კლუბის სპიკერისადმი (ავტ. მომქმედი სპიკერია გაიოზ მამალაძე). კლუბის დატოვებაც თავისუფალია და მის წევრს ეს შეუძლია ნებისმიერ დროს, როდესაც თავად გადაწყვეტს. სამეფო კლუბს მართავს სპიკერი. შემოწირულობები გროვდება ხაზინდარის მიერ, ხოლო მათ განკარგავს სპიკერი და კლუბის სხდომა. სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ისინი გადაწყვეტილებას დემოკრატიული პრინციპით იღებენ. კლუბის წევრები დასახული მიზნის ხორცშესხმისთვის საქმიანობას წარმართავენ ქრისტიანული მორალით, კოლეგიურობით, სოლიდარობით, კანონითა და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით. სამეფო კლუბს აქვს ლოცვა-კურთხევა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქებისაგან. („საქართველოს სამეფო (მონარქისტული) კლუბის მოკლე სამუშაო რეგლამენტი“, 2018)

მათ ოფიციალურ გვერდს ეწოდება: Georoyal.ge. საიტი დღემდე მუშაობს ტესტურ რეჟიმში, მაგრამ ამ რეჟიმის მიუხდავად ის საკმაოდ აქტიურია და გვთავაზობს ყოველდღიურ სიახლეებს. ოფიციალურ საიტზე ვერ ვხვდებით სამეფო კლუბის წევრების ზუსტ ჩამონათვალს, რადგან თითოეულ სტატიაში, პუბლიკაციაში, სიახლეში ზოგადად ხდება საუბარი საქართველოს სამეფო კლუბის სახელით და არა კონკრეტული ავტორის სახელითა და გვარით. თუმცა სოციალურ ქსელში მათ ოფიციალურ გვერდზე („ფეისბუქ" გვერდზე) მოვიძიეთ ინფორმაცია სამეფო კლუბის წევრთა ვინაობის შესახებ. ეს წევრები არიან: გაიოზ მამალაძე, სიმონ კოპაძე, ზურაბ ჩიჩუა, ნიკოლოზ ნარმანია, ლევან ჩხეიძე, ბეჟან მესხი, დავით ქაქუთია, ალექსანდრე ყიფიანი, ქეთევან დარასელია, ელისო გურგენიძე, გიორგი თევზაძე, ვახტანგ ბახტაძე, კახა კვარაცხელია, ლალი ბარძიმაშვილი, რუსუდან გლოველი, გიორგი ჩუბინიძე, სოლომონ ლებანიძე, დავით ხიზანიშვილი, ალექსანდრე კოკაია...

სამეფო კლუბი მოქმედებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით. სამეფო კლუბის საპატიო წევრია მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. ალბათ, საპატრიარქოს გამოკვეთილი მხარდაჭერა, როგორც საზოგადოების მხრიდან მაღალი ნდობის ერთ-ერთი ობიექტის, განსაკუთრებით განაპირობებს თავად ორგანიზაციისა და მათი ინტერნეტ გამოცემის - Georoyal.ge-ის პოპულარობას. სამეფო კლუბი უკვე 14 წელზე მეტია ფუნქციონირებს საქართველოში. სამეფო კლუბი ფიქრობს, რომ საქართველოში შესაძლებელია მონარქიის აღდგენა და ეს სასარგებლო იქნება დემოკრატიული პროცესებისთვის და ტრადიციის შენარჩუნებისთვისაც, როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. სწორედ საზოგადოების ფართო მასებთან საკონტაქტოდ შეიქმნა ეს საიტი - Georoyal.ge.

საიტს აქვს რამდენიმე განყოფილება, რომლებიც სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციას შეიცავენ: პირველი სექციის სახელია- „საქართველოს სამეფოსათვის", სადაც ფარნავაზიანების და ბაგრატიონების განხილვა ხდება დაწვრილებით, მათი წარმომავლობის და დღეს ბაგრატიონების მდგომარეობის; მეორე განყოფილება საიტზე არის: საქართველოს სამეფოს ისტორია, სადაც ისტორიულ ნაშრომებს და მოთხრობებს აქვს თავი მოყრილი; მესამე სექციაში შეგვიძლია ვიხილოთ: მსოფლიო მონარქიები, რადგან საიტის შემქმნელთა მოსაზრებით, მართებულია საქართველოში მონარქიის

აღდგენა და ამიტომ მონარქიის განხილვა მსოფლიოში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს; შემდეგ განყოფილებაში ვხვდებით მართლმადიდებლობის და მონარქიის კავშირის მაჩვენებელ პუბლიკაციებს, სადაც განხილულნი არიან ქართველი წმინდანი მეფეები; ჩამონათვალის შემდეგ ნაწილში „საქართველოს სამეფო“ განიხილავს პრესაში განთავსებულ საინტერესო ინტერვიუებს, რომლებსაც აძლევენ ჟურნალისტებს, როგორც კლუბის წევრები, ასევე სხვადასხვა სასულიერო, თუ საზოგადო მოღვაწეები და რომლებიც ინტერნეტ გამოცემის შემქმნელების აზრით, საქართველოს სამეფოს გამყარებას შეუწყობენ ხელს. ეს ინტერვიუები ემთხვევიან და იზიარებენ ამ ორგანიზაციის ეროვნულ-პატრიოტულ განწყობას; და ბოლოს საიტზე გვაქვს ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილებაც, სადაც განიხილავენ ქართველი მეფეების პოეზიას და სახვით ხელოვნებას.

საიტის მნახველთა რიცხვი არის დიდი, რამაც განაპირობა ჩვენი ინტერესი ამ ინტერნეტ გამოცემისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ამ კვლევაში განხილულ ეროვნულ-პატრიოტულ ინტერნეტ გამოცემებს შორის ყველაზე მეტი მნახველი სწორედ ამ საიტს ჰყავს. სამეფო კლუბის საიტის-Georoyal.ge-ის მნახველთა რაოდენობამ 1 950 000 გადააჭარბა (2018 წლის 5 ოქტომბერს, დაახლოებით 22:02 წუთზე). ეს საიტი, ანუ Georoyal.ge, გაიხსნა 2012 წლის 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას (რელიგიასთან მყარი კავშირი ისეთი დეტალებითაც გამოიხატება, როგორიცაა რელიგიურ დღესასწაულზე ოფიციალური საიტის გახსნა). პრეზენტაცია 2012 წლის 14 ოქტომბერს გაიმართა, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში. მნახველთა ათვლა კი მიმდინარეობს 2013 წლის გაზაფხულიდან. საიტი არის ეროვნული იდეოლოგიისა და სახალხო კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქიის იდეის გამტარებელი. სამეფო კლუბს აქვს საკუთარი ლოგოც. (იხ. დანართი. 1)

„სამეფო კლუბი“, როგორც თავად აღნიშნავს ზეპარტიული გაერთიანებაა, მაგრამ სამეფო კლუბის წარმომადგენლები ხშირად პირდაპირ იღებენ პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობას. მაგ. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს ღიად უჭერდნენ პატრიარქის მიერ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანილ პრეზიდენტობის კანდიდატ - გიორგი ანდრიაძეს (# 51).

ინტერნეტ გამოცემის შემქმნელებისთვის მთავარი მარკერები ეროვნულობის შესანარჩუნებლად არის: ენა, მამული და სარწმუნოება. საიტის შემქმნელები საკუთარი

აკადემიური ნამუშევრების ნაცვლად ყურადღებას ამახვილებენ ისეთი წერილების, ნაშრომებიდან ნაწყვეტების გამოქვეყნებაზე, რომლებიც ცნობილ ქართველ თუ უცხოელ მოღვაწეებს ეკუთვნის და რომლებიც ხალხში ამტკიცებენ ეროვნულ ხასიათს: მაგ. გერონტი ქიქოძის- „ენა და ეროვნული ენერგია“. თუმცა ამ წერილს წინ წამძღვარებული აქვს სამეფო კლუბის ერთ-ერთი წევრის (სპიკერის) გაიოზ მამალაძის წინასიტყვაობა და ინფორმაცია ავტორის, გერონტი ქიქოძის, შესახებ. ის თვლის, რომ გერონტი ქიქოძე არის დიდი ეროვნული იდეოლოგი. ეს წერილი გაიოზ მამალაძის აზრით, ძალიან აქტუალური დღესაც და ჩვენი აწმყოს შესაბამისია, რადგან საქართველოში ქართული ენისა და კულტურის ყოვლისმომცველად გავრცელების აუცილებლობაზე და შესაძლებლობაზე გვესაუბრება.

www.georoyal.ge გვთავაზობს დიდ ქართველ პატრიოტთა, მოღვაწეთა შესახებ სტატიებსაც, რომლებშიც დაწვრილებით მიმოიხილავენ მათ ბიოგრაფიებს, მოღვაწეობის მასშტაბებს, იდეოლოგიას, მრწამსს. აცნობენ მკითხველს ამ დიდი ქართველების ღვაწლს საქართველოს წინაშე. მსგავსი ხასიათის სიახლეები გამოქვეყნებული აქვთ: მაგ. ილია ჭავჭავაძეზე, მიხაკო წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, აკაკი ბაქრაძეზე, ზვიად გამსახურდიაზე...

„საქართველოს სამეფო კლუბის“ წევრთა აზრით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მაგალითი, ასევე საქართველოს ისტორია და სარწმუნოება გვასწავლის, რომ ქართველი ხალხის ეროვნული, რელიგიური, კულტურული და სოციალური უფლებების დასაცავად სამეფო ტახტი ყველაზე ორიგინალურია. („საქართველოს სამეფო (მონარქისტული) კლუბის მოკლე სამუშაო რეგლამენტი“, 2018)

საპრეზიდენტო პოსტი ამართლებს ისეთ ქვეყნებში, სადაც ხალხის ეროვნულ-ეთნიკური თავისუფლება სრულია, სადაც სახელმწიფო რესურსი არ გამოიყენება არჩევნების გაყალბებისთვის, სადაც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს გავლენა არ აქვთ... ასეთი ქვეყნის მაგალითად მათ ამერიკა ესახებათ. ყველაზე სტაბილურ და წარმატებულ ქვეყნებში, სამეფო კლუბის წევრების აზრით, კონსტიტუციური მონარქია ან საპარლამენტო რესპუბლიკაა. გარედან ზემოქმედება პრეზიდენტზე უფრო ადვილია, ვიდრე პარლამენტზე და განსაკუთრებით მეფეზე. მეფე ისედაც მეფედაა დაბადებული. მას არ სჭირდება ფული და პიარი, უცხოელების დახმარება ხელისუფლებაში მოსასვლელად. რადგან მეფე ტრადიციულ წრეებში (სამეფო, ოჯახი, ეკლესია,

უნივერსიტეტი) იზრდება, მას სისხლში აქვს ეთნიკურ-კულტურული ინტერესების დაცვა. (მამალაძე, 2016)

სამეფო კლუბის ოფიციალურ საიტზე ქვეყნდება ისეთი სტატიაც, რომელშიც ამოკრებილია სხვადასხვა უცხოელი მოღვაწეების თვალით (შარდენი, პიეტრო დე ლა ვალე, სამსონი, არტემ ვოლინსკი...) დანახული ქართველთა ნაკლი. თუმცა არ არის მითითებული სტატიის ავტორი და არ ახლავს თან ამ სტატიას ავტორისეული კომენტარები. უბრალოდ ერთადაა თავმოყრილი მოსაზრებები ქართველთა ნაკლოვანებების შესახებ, რაც არის მცდელობა ამ ნაკლის ხელახლა გააზრებისა, რასაც მათი გამოსწორება უნდა მოჰყვეს. ნაკლზე პირდაპირ მითითება ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, ერის გაჯანსაღების ერთ-ერთი გზაა, რომელსაც ინტერნეტ გამოცემა იყენებს ერისავე სასიკეთოდ. („ქართველთა ნაკლი - უცხოელებისგან დანახული“, 2016)

ერთ-ერთ პუბლიკაციაში გაიოზ მამალაძე რუსი ისტორიათა მეცნიერების დოქტორის - მაქსიმ კირჩანოვის სტატიაზე საუბრობს, რომელშიც ის თანამედროვე ქართველი მონარქისტების იდეოლოგიით დაინტერესდა. სამეფო კლუბის სპიკერი, გაიოზ მამალაძე, აღნიშნავს, რომ რუს პოლიტოლოგთან და ისტორიკოსთან რჩევა აქვს: დაინტერესდეს იმით, თუ რატომ გადაწყვიტა ფაქტიურად ყველა მართლმადიდებელმა ერმა „ნატოს“ ბლოკში შესვლა; რატომ ეშინია თანამედროვე ცივილიზებული და განათლებული სამყაროს პირობებშიც კი ხალხს, რუსეთის მეზობლებს - თავისი მეზობლის...რუსი პოლიტოლოგები დაფიქრდენენ იმაზე, რომ რუსეთი შემოიჭრა აფხაზეთში, ქართველი მოსახლეობა საკუთარ ქვეყანაშივე აქცია დევნილებად და თან საქართველოს უკრძალავს „ნატოსაკენ“ გახედვას და მისკენ სწრაფვას... იარაღით და მიწების მიტაცებით თანამეგობრობები არ იქმნება. ყველა იმპერია განწირულია, რაც გ. მამალაძის მოსაზრებით, ისტორიული ლოგიკაა და ამიტომაც განწირულია სოხუმისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება. ამ სტატიაში მკითხველისათვის შეთავაზებულია თავად მ. კირჩანოვის ნაშრომიც: *„თანამედროვე ქართული მონარქიის იდეოლოგიის ეთნიკური დომინანტები“,* თუმცა არ არის მომზადებული და ნათარგმნი ნაშრომის ქართული ვარიანტი, არამედ ინტერნეტ გამოცემა პირდაპირ რუსულ ვერსიას გვთავაზობს. (მამალაძე, 2015)

ორგანიზაციის წევრები ხაზს უსვამენ იმ პასუხისმგებლობასაც, რომელიც მეფის თანამდებობას ახლავს თან. მეფე საერო ეპისკოპოსია და მეფობის მსურველმა ის პასუხისმგებლობაც უნდა გაითვალისწინოს, რაც მას დაეკისრება, მით უმეტეს, ქვეყნისთვის ამ უმძიმეს ვითარებაში. მეფე უნდა ერკვეოდეს ქართველი კაცის ფსიქიკაში და უნდა ჩაწვდეს ეროვნული სულის მდინარებას. მოთხოვნები მეფის მიმართ მძიმეა და საპასუხისმგებლო. ეს უნდა გაიაზროს სამეფო ოჯახის თითოეულმა წარმომადგენელმა და ისინი ამ ყოველივეს გააზრებაში ერთმანეთსაც უნდა დაეხმარონ. ასეთ ერთობას, რომ დაინახავს ქართველი ერი იქნებ მართლა ისურვოს სამეფო ტახტის აღდგენა. მიუღებელია ბაგრატიონთა ერთმანეთთან დაპირისპირება და შუღლი. (ტარყაშვილი, 2015)

არის ერთი პლიუსი, რაც „საქართველოს სამეფოს“ ინტერნეტ გამოცემის შემქმნელებს ახასიათებთ. ესაა: იდეოლოგიური მრწამსის და მონარქიისადმი გატაცების მიუხედავად, რეალობის შეგრძნების არ დაკარგვა. ისინი ხაზს უსვამენ, რომ კარგად ხვდებიან იმას, რომ საქართველოსათვის ახლა მონარქიის აღდგენა არ არის სასწრაფოდ გადასაჭრელი და უმთავრესი ამოცანა.

კიდევ ერთი დადებითი მხარე მათი საიტის პუბლიკაციებში არის ის, რომ ხაზგასმულია რუსეთის ოკუპანტობა და ორგანიზაციის წევრები ღიად აცხადებენ, რომ საქართველოს საგარეო კურსის გეზი უნდა იყოს აღებული დასავლეთისაკენ (სხვა ეროვნულ-პატრიოტული საიტებისაგან განსხვავებით, რომელთა დიდი ნაწილიც საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში ან ნეიტრალურ გზას ირჩევენ (არც რუსეთი და არც დასავლეთი), ან ფარულად ხაზს უსვამენ რუსეთის უპირატესობას). სამეფო კლუბის წევრები ხშირად იმეორებენ საკუთარ საიტზე, რომ ჩვენი სახელმწიფოსთვის უმთავრესი ამოცანაა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება.

Georoyal.ge-ის შემქმნელების აზრით, ხალხის უდიდესი ნაწილისთვის უმთავრესი პრობლემაა სოციალური გაჭირვების დაძლევა. ამის გარდა, ქართველი ხალხის წინაშე დგას სხვა მნიშვნელოვანი ამოცანებიც - ეროვნული სახისა და კულტურის შენარჩუნების, დემოგრაფიული პრობლემის, დემოკრატიული საზოგადოების შექმნის აუცილებლობის.

ამ ამოცანების დაძლევა უმთავრესია. მხოლოდ მომავალში შეიძლება იფიქროს ერმა მონარქიის (საპარლამენტო მონარქიის) აღდგენაზე, რომელიც ხელს შეუწყობს

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ნაწილის გადაწყვეტას. მოძრაობის წარმომადგენელთა აზრით, მეფის შენახვა არ ჯდება უფრო ძვირი, ვიდრე პრეზიდენტის შენახვა. მეფის დადგენის შემდეგ აღარ დაიხარჯება მილიონობით ლარი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ საპრეზიდენტო არჩევნებზე. მეფეს ზუსტად იმ რაოდენობის ხელფასს გადავუხდით, რასაც დღეს იღებს პრეზიდენტი და ის იცხოვრებს იქ, სადაც დღეს ცხოვრობს პრეზიდენტი. (მამალაძე, 2015)

ავღნიშნოთ, რომ საიტის შემქმნელების მოსაზრებით, მომავალმა მეფემ უნდა იცოდეს არა მხოლოდ სალიტერატურო ქართული, არამედ მისი შემადგენელი ნაწილების საფუძვლები (მეგრული და სვანური დიალექტები). რადგან მეფე მაგალითი უნდა იყოს ერისათვის, ამიტომ დიალექტების ცოდნაც კი ერთ-ერთი საშუალებაა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მთავარი მარკერის - ენის- დასაცავად და გასაძლიერებლად.

ენის მნიშვნელობის დასანახად საიტზე გამოქვეყნებულია ჟურნალ „Proceedings of the National Academy of Sciences”-ზე დაყრდნობით შექმნილი სტატია, რომელშიც ხდება იმის მტკიცება, რომ ენა, რომელზეც 15 ათასი წლის წინ ევროპა და აზია ლაპარაკობდა საქართველოში წარმოიშვა. ეს იყო ერთ საერთო ენაზე მოსაუბრე ადამიანთა ჯგუფი. ვარაუდობენ, რომ სიტყვები: „დედა“ და „ადამიანი“ ახლაც ასე ჟღერს, როგორც 15 000 წლის წინ. ეს რეალურად მკვლევარ- მარკ პეგელის აზრია, რომელსაც საქართველოს სამეფო კლუბის წევრებიც იზიარებენ. („უძველესი ენა საქართველოში წარმოიშვა“, 2015)

ი. ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულა: *„მამული, ენა და სარწმუნოება“* დღესაც გამოხატავს ქართული ეროვნული იდეოლოგიის სამ მთავარ პოსტულატს. კვლევაში შესწავლილი ყველა ეროვნულ-პატრიოტული საიტი იზიარებს და ყურადღებას ამახვილებს სწორედ ამ მარკერებზე და საუბრობს მათ გამყარებაზე, შენარჩუნებაზე და გაძლიერებაზე. www.georoyal.ge-ს შემომქმედნი, რა თქმა უნდა, აღიარებენ ამ პოსტულატების მნიშვნელობას, მაგრამ ამატებენ, რომ ისინი ერთგვარად ვერტიკალური მიმართულებისაა, რომელსაც ამაგრებს და ავსებს სხვა სამი „ჰორიზონტალური“ პოსტულატი. ი. ჭავჭავაძის სქემას ვერტიკალურად მოიაზრებენ ზემოდან თუ წარმოუდგენიათ ასე: ღმერთი, სამყარო, ცოდნა ზემოდან ვერტიკალის მეშვეობით წამოსული, გასაგები ხდება ჩვენთვის ენის მეშვეობით, კონკრეტულად ჩვენთვის ეს ქართული ენაა, რომელიც გვაძლევს კომუნიკაციის საშუალებას და გზას

ღმერთთან მიახლოებისას. რაც უფრო მართებულია სარწმუნოება, მით უფრო ახლოსაა მიწიდან ატყორცნილი ვერტიკალი ოთხმოცდაათ გრადუსთან. მამული ის ადგილია, სადაც ამქვეყნიური გამოცდა ხდება ხალხისა, რომელსაც ღმერთი ესაუბრება ამა თუ იმ ენაზე. (მამალაძე, 2015)

თანამედროვეობაში, ამ ვერტიკალური ფორმულის გარდა, „საქართველოს სამეფო“ კლუბის წევრები გამოყოფენ ჰორიზონტალურ ფორმულასაც, რომელიც ემატება და ავსებს ამ ვერტიკალურ ფორმულას: ერი, გვარი და ოჯახი. მამული და ერი ერთ წერტილშია (ერთ გეოგრაფიულ მოცემულობაში) გადაკვეთილი, მერე ერი იშლება გვარებად, გვარები ოჯახებად, ოჯახები ინდივიდებისაგან შედგება. ინდივიდს სრულყოფილი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს ოჯახთან, გვართან, გვარის მეშვეობით კი ერს უკავშირდება, ანუ ამქვეყნიურ მთავარ წერტილს (ერი-მამული), საიდანაც სრულყოფილად დაუკავშირდება ღმერთს. ეს სქემა უფრო მარტივად, რომ წარმოვიდგინოთ შინაარსობრივი თვალსაზრისით ასეთ რაღაცას მივიღებთ: მამულის, ენის, სარწმუნოების შესანარჩუნებლად საჭიროა შევინარჩუნოთ ერი, გვარი, ოჯახი. ხოლო ოჯახის, გვარის და ერის შესანარჩუნებლად საჭიროა შევინარჩუნოთ მამული, ენა, სარწმუნოება. (მამალაძე, 2015)

სამწუხაროა ის, რომ საიტზე, www.georoyal.ge-ზე, გამოქვეყნებულ მასალებს თან არ ახლავს გამოქვეყნების თარიღი (ამიტომ მოგვიწია „სამეფო კლუბის“ „ფეისბუქ“ გვერდის შესწავლაც და ასე დავადგინეთ სტატიების თუ სიახლეების გამოქვეყნების თარიღი, რადგან მათი ინტერნეტ გამოცემა და სოციალური გვერდი პარალელურ რეჟიმში მუშაობს და ორივეგან ერთ დროს ქვეყნდება სიახლეები). „სამეფო კლუბის“ ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდს სულ 3556 გამომწერი ჰყავს ამ დროისათვის (22.11.2018).

სხვა ქართულ ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემებთან შედარებით www.georoyal.ge მეტად აქტიურია და აკადემიურ საქმიანობასაც გარკვეულწილად ეწევა. საიტის შემქმნელები შეძლებისდაგვარად იცავენ აკადემიურ სტილსაც.

თავი II. „ქართული იდეა“ -qartuliidea.ge

„ქართული იდეა“ არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ლოზუნგიცაა: *„რწმენითა და სიყვარულით ღირსეული მომავლისათვის“,* რაც გულისხმობს ქრისტეს რწმენით და ერთმანეთის სიყვარულით ღირსეული წმინდა წინაპრების გზაზე მომავალი თაობების გაძღოლას. ორგანიზაციას აქვს საკუთარი ინტერნეტ გამოცემა: qartuliidea.ge და ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი. ორივე მათგანზე მოძრაობა აქტიურად მოღვაწეობს.

„ქართული იდეის“ დამფუძნებელია ლევან ჩაჩუა, რომელიც პოლიტიკურ (რელიგიურ) პატიმარს უწოდებს საკუთარ თავს და რომელიც ორი წლის განმავლობაში იყო პატიმარი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ლევან ჩაჩუა, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან ერთად, 2010 წელს ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეჭრის გამო დააკავეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა 2012 წელს ის პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გათავისუფლდა. „ქართული იდეის“ ლიდერი ლევან ჩაჩუა „ქართულ მარშთან“ ერთად 17 მაისს ულტრანაციონალისტურ და ჰომოფობიურ აქციებში მონაწილეობდა. ის აქტიურად იყო ჩართული 2017 წლის ივლისში ე.წ. „ქართული მარშის“ ორგანიზებაში. 2014 წლის 16 დეკემბერს, ახალი პოლიტიკური პარტია „ქართული იდეის“ დაარსების შესახებ პარტიის თავჯდომარე ლევან ჩაჩუამ *„რია-ნოვოსტის“* თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. პარტია მონაწილეობას იღებდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში. (თაკალანძე, 2018)

საქართველოს საგარეო კურსი „ქართული იდეის“ წარმომადგენლების აზრით, უნდა იყოს ნეიტრალური და არ იხრებოდეს დასავლეთისაკენ. ქვეყანა არ უნდა მოექცეს არც ერთი ძლიერი ქვეყნის გავლენის ქვეშ და უნდა შეინარჩუნოს თვითმყოფადობა. ლ. ჩაჩუა ხალხის მთავარ მოთხოვნად ღირსებას და სამართლიანობის მოთხოვნას ასახელებს. ორგანიზაცია არასამთავრობო სექტორის სახელით ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის შექმნის პროცესი 2014 წელს მიმდინარეობდა აქტიურად (დეკემბერში), ყოველ შემთხვევაში მთავარი კრება (დამფუძნებელი) სწორედ დეკემბერში შეიკრიბა. ამ

წელსვე ისინი აქტიურად ჩაერთნენ ადგილობრივი არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიაში.[1] (იხ. დანართი. 2)

როგორც ყველა სხვა ქართულ ეროვნულ-პატრიოტული ხასიათის ორგანიზაციებში, „ქართული იდეის“ მოღვაწეობაზეც დიდია რელიგიის გავლენა. მათი მთავარი მიზანი ხელისუფლებაში მართლმადიდებლური ცნობიერების, ანუ ეკლესიური პირების მოსვლაა.

ორგანიზაციას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები: დამოუკიდებელი, სამართლებრივი და ჭეშმარიტად ეროვნული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და კანონის წინაშე ნებისმიერი მოქალაქის თანასწორობა; საინტერესოა მეორე მიზანი: საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის არსებული საკონსტიტუციო შეთანხმების (კონკორდატი) საფუძველზე ეკლესიის როლის გაზრდის ხელშეწყობა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში;

რადგან ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, ამიტომ დიდია პოლიტიკური მიზნების და ამოცანების როლიც მათ გეგმაში. მაგ. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა; სამართლიანობის აღდგენა და ამ მიზნით ნაციონალური მოძრაობის ცხრაწლიანი მმართველობის პოლიტიკური შეფასება. რეპრესირებულთა (უკანონოდ დაპატიმრებულთა, ქონებაწართმეულთა, პოლიტიკურ პატიმრებად აღიარებულ პირთა) სრული რეაბილიტაცია;

„ქართული იდეის“ სხვა მიზნებია: თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა; საარჩევნო სისტემის რეფორმირება, ამომრჩეველთა ზუსტი სიის დადგენა; სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე თანამშრომლობა ევროკავშირთან თუ სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან; ქვეყნის დეოკუპაციის მიზნით რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება; კეთილმეზობლური ურთიერთობა და თანამშრომლობა რეგიონისა თუ სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

[1] „ქართული იდეის“ ლოგოს აქვს ფარის ფორმა, რომლის წრეზე მრგვალი ნაჭდევებია. ზემოთ სამი ნაჭდევი სიმბოლურად წმინდა სამებას გამოხატავს, ქვემოთა ნაჭდევები შვიდი საიდუმლოს გამომხატველია. მთლიანობაში ეს ნაჭდევები ათ მცნებას გამოხატავს.(ლოგო აღებულია „ქართული იდეის“ ოფიციალური საიტი-qartuliidea.ge-დან).

ორგანიზაციის ამოცანაა განათლების სიტემის რეფორმა სულიერ-ზნეობრივი და ჯანსაღი თაობის აღზრდის მიზნით; მათ სურთ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ფორმირება. სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა; მიწის, წყლის, ტყისა და სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებაზე უარის თქმა; სოფლის შენარჩუნების და აღორძინების სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, მისი ქვეყნის გარეთ რეალიზაციის მხარდაჭერა. შიდა ბაზარზე უცხოეთიდან იმპორტირებული პროდუქტების ჩანაცვლება ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით; ბოლო მიზნად კი დასახელებულია: ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობისა და სულიერ-კულტურული ფასეულობების დაცვა და მოვლა-პატრონობა.

ამ ინტერნეტ გამოცემის მთავარ გვერდზე ვხვდებით შემდეგ ფრაზას: *„თავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველობას არ გვაკლდა სიყვარული, მაგრამ გვაკლდა ერთგულება (რაზეც მეტყველებს ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერის ტრაგიკული აღსასრული), არ გვაკლდა მეგობრობა, მაგრამ გვაკლდა ერთობა, არ გვაკლდა თავდადება, მაგრამ გვაკლდა აღმსარებლობა... მოკლედ რომ ვთქვათ, გვაკლდა ყველაზე მთავარი - ეკლესიური ცნობიერება, ქრისტეში ერთობა“.* („საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ მამულიშვილებს“, 2017)

„ქართული იდეის“ ამ ღია წერილში ვხვდებით ასეთ მოსაზრებას, რომ საქართველოში მოღვაწე თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეებს მძიმე ცოდვად აწევთ ის, რომ მართლმადიდებლობამ, როგორც განმსაზღვრელმა და მთავარმა შინაარსმა ქართული სულიერებისა, ცნობიერებისა და კულტურისა, ვერა და ვერ შეიძინა პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძვლის სტატუსი. („საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ მამულიშვილებს“, 2017)

რელიგიასთან ღმა კავშირს ორგანიზაცია და მისი ლიდერი ლ. ჩაჩუა გამოხატავს თითოეულ წვრილმანში, სიმბოლოში. ამისთვის საკმარისია თვალი გადავავლოთ „ქართული იდეის“ საიტზე განთავსებულ ფოტოების კოლაჟს, სადაც ლ. ჩაჩუა და სხვა ლიდერები ხშირად ხატის, ეკლესიის ფონზე არიან გადაღებულნი. (იხ. დანართი. 3)

„ქართული იდეის“ მოსაზრებით მართალია, რომ მსოფლიოში რეალურად არსებულ გავლენიან ძალებს ანგარიში უნდა გაეწიოს, რადგან ეს ბუნებრივი და

აუცილებელი ქმედებაა, რომლის გარეშეც ქართული პოლიტიკა ავანტიურისტული ხასიათის იქნება, მაგრამ პრობლემაა ის, რომ ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს და პოლიტიკოსთა უმრავლესობას არ აქვს მყარი მსოფლმხედველობა, ეროვნული ღირსების განცდა და ის მუდამ სხვისი იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურედ რჩება. ასეთი ცნობიერების გამო ჩვენს ხალხს და ქართულ ეროვნულ ინტერესებს არავინ გაითვალისწინებს! („ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი!“, 2017)

ღია წერილში საქართველოს პოლიტ-ელიტისადმი მიწერილში ორგანიზაციის ლიდერი ლ. ჩაჩუა წერს, რომ პოლიტ-ელიტამ მიიღო უღმერთო ლიბერალიზმი საზოგადოების განვითარებისთვის, მაგრამ რეალურად საკუთარი ბიზნეს ინტერესებისათვის და გავლენის გასაფართოებლად მიიღეს ეს იდეოლოგია. თანამედროვე პოლიტ-ელიტის მიზანი განსხვავებული აზრის მქონე ეკლესიური ცნობიერების ადამიანთა მარგინალიზაციაა, რაც ეკლესიის სამოქალაქო აქტივობიდან ჩამოშორებას ისახავს მიზნად! (ჩაჩუა, 2015)

ლ. ჩაჩუა ამ მიმართვაში ასეთ დასკვნას გვთავაზობს: *„ჩვენი სამშობლო არ არის რუსეთივით ბირთვული სახელმწიფო; არც თურქეთივით NATO-ს წევრი და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა; არც ნავთობი და გაზი გვაქვს აზერბაიჯანივით და არც სომხების მსგავსი დიასპორა და „ლობი“ გვყავს აშშ-ს კონგრესში... მაგრამ ჩვენ გვაქვს შეუდარებლად უფრო ძლიერი და ფასეული იარაღი: ჭეშმარიტი ღმერთის - იესუ ქრისტეს და მისი ყოვლადწმინდა დედის, მარიამ ღვთისმშობლის რწმენა, წილხვედრობა და მფარველობა, ერთადერთი და უეჭველი გარანტი ჩვენი სამშობლოს მომავლისა და კეთილდღეობისა.* (ჩაჩუა, 2015, 4 ოქტომბერი)

„ქართული იდეის“ ლიდერი ლ. ჩაჩუა ემხრობა საქართველოში მონარქიის აღდგენას. საუბრობს კონსტიტუციური მონარქიის უპირატესობაზე. ის აცხადებს, რომ საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხი აჯანყებულიყო მეფის ინსტიტუტის წინააღმდეგ. გამოდის, რომ ქართველ ერს არასდროს უთქვამს უარი მონარქიაზე. ბუნებრივი კანონზომიერება და ისტორიული სამართლიანობა იქნება თუ ქართველი ხალხი თავად გადაწყვეტს მონარქიის ბედს საქართველოში. რა თქმა უნდა, ორგანიზაცია თავად კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მომხრეა, რადგან ამაზე საუბრობდა თავის ქადაგებაში უწმინდესიც: *„1801 წელს შეწყდა ბაგრატიონთა დინასტიის მეფობა საქართველოში და აქედან მოყოლებული ქართველი ხალხის ოცნება*

იყო, აღედგინა ეს უძველესი ღვთივკურთხეული დინასტია... მეფე არის გარანტი ქვეყნის მთლიანობისა და ყოველი ადაიანის დაცვისა და შეიძლება მომავალში ქართვლმა ხალხმა ამის შესახებ იფიქროს". (ჩაჩუა, 2013, 24 დეკემბერი)

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონარქიის აღდგენის სურვილის მიუხედავად, ლ. ჩაჩუა არ არის „საქართველოს სამეფოს" წევრი, რომელშიც სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ერთიანდებიან, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, ერთი მიზნით და სურვილით - მონარქიის აღდგენის მოთხოვნით.

ლ. ჩაჩუა მეფეს, როგორც ზეპარტიულ, აპოლიტიკურ, ნეიტრალურ ლიდერს, გარანტად თვლის ერის კონსოლიდაციისა და გაერთიანებისა. მეფე არის, როგორც ამომრჩეველთ უმრავლესობის, ისე უმცირესობის სახელმწიფო მეთაური, მთელი ერის სახე, სიმბოლო. ლ. ჩაჩუა გადაჭრით საუბრობს იმაზე, რომ მეფის შენახვა სახელმწიფოს გაცილებით იაფი დაუჯდება, ვიდრე პრეზიდენტისა, რაც კონსტიტუციამ უნდა დაარეგულიროს. ამის არგუმენტად ის ასახელებს ევროპის კონსტიტუციური მონარქიის ქვეყნებში მონარქების და მათი ოჯახების მცირე წლიურ ხარჯებს. ის გამონაკლისის სახით ასახელებს დიდ ბრიტანეთს. საქართველოს შემთხვევაში მონარქიის აღდგენა ძვირი არ დაჯდება, იმიტომ რომ ისტორიული მაგალითებით საქართველოს მეფეები ფუფუნების მოყვარულობით არ გამოირჩეოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ლ. ჩაჩუას მხრიდან მყარ არგუმენტად ვერ ჩაითვლება. (ჩაჩუა, 2013)

ამ მაგალითის გადასამოწმებლად შეგვიძლია თვალი გადავავლოთ ზუსტად ამ სტატიის დაწერის წლის (2013 წ.) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამეფო ოჯახების დანახარჯებს მთლიანი წლის განმავლობაში. (იხ. დანართი. 4 ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის კვლევა)

განსაკუთრებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს ლ. ჩაჩუას შეხედულება საქართველოს საგარეო კურსის შესახებ. 2014 წლის ერთ-ერთ ინტერვიუში ის აცხადებს, რომ ხალხი, რომელიც მხარს უჭერს ე.წ. დასავლურ ლიბერალიზმს, აშკარა უმცირესობაშია, ამიტომ მათი განხილვა შეუძლებელია სამოქალაქო ბანაკად. ლიბერალიზმში, მისი აზრით, იგულისხმება თავისუფლება აბსოლუტურად ყველაფრისაგან, სადაც იგულისხმება აღვირახსნილობა და ამორალურობა. პროდასავლურობა მოგვიტანს სულიერ ნგრევას და განადგურებას, ეს ქვეყანას მოუტანს ღვთის უარყოფას, რაც საქართველოს მიიყვანს სრულ კატასტროფამდე. ჩვენი ხალხის

არჩევანი არ არის ევროპა, ხალხის არჩევანია ქრისტე და ჩვენი ტრადიციები. რადგან ყველაზე სანდო ინსტიტუტია ეკლესია სწორედ ამის გამო მიმდინარეობს ბრძოლა მის და ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ. ლ. ჩაჩუას მოსაზრებით, მართლმადიდებლობა და ქართველობა ისე შეესისლხორცა ერთმანეთს, რომ ქართველის იდენტიფიკაცია ხდებოდა სარწმუნოებით ილია ჭავჭავაძის დროს. დღეს კი პირადად ლ. ჩაჩუასათვის მოქალაქე, რომელიც გმობს და პატივს არ სცემს მართლმადიდებლობას არ ითვლება ქართველად. თუ საქართველო შევა ევროკავშირში სარწმუნოება ქვეყანაში გახდება საქილიკო, სასაცილო. ოჯახი, როგორც ინსტიტუტი დაინგრევა. ეროვნული აზროვნების ნებისმიერი გამოვლინება კი გაიგივდება ნაციზმთან, ექსტრემიზმთან და სიძულვილთან, ამიტომ დაიწყება ეროვნულად მოაზროვნე ადამიანების დევნა. ვიქნებით ამერიკის მიერ მოწყობილი ქაოსის ერთი პატარა წერტილი. (ჟვანია, 2014)

ავღნიშნოთ ისიც, რომ qartuliidea.ge გვთავაზობს ყველა ლ. ჩაჩუას ინტერვიუს, რომელიც მან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს და ინტერნეტ გამოცემებს სხვადასხვა დროს მისცა. საიტი აქტიურად ცდილობს ლ. ჩაჩუას შეხედულებების და თავად პიროვნების გაპიარებას, თუმცა არა ორგანიზაცია-„ქართული იდეის“ სხვა წევრებთან ერთად, არამედ მათ ფონზე.

ლევან ჩაჩუა და „ქართული იდეა“ 2018 წელსაც აქტიურად აგრძელებდა საქმიანობას. ხაზს ვუსვამთ, რომ ამ ორგანიზაციის აქტიურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სწორედ ლ. ჩაჩუას აქტიურობით, ამიტომ ვამახვილებთ ჩვენ ყურადღებას ორგანიზაციის დამფუძნებელზე და მთავარ ლიდერზე.

Geworld.ge-ისთან ინტერვიუში ლ. ჩაჩუა 2018 წლის 17 მაისს მომხდარ მოვლენებს მიმოიხილავს. მისი თქმით, საქართველოს ალექსანდრე ლუკაშენკოსნაირი „მუჟიკი“ მმართველი სჭირდება, რომელმაც აშშ-ს ელჩი ქვეყნიდან იმის გამო გააძევა, რომ ამ უკანასკნელმა ა. ლუკაშენკოს ბელარუსში ტრანსფობიისა და ჰომოფობიასთან ბრძოლის აქციის გამართვა მოსთხოვა. (თაკალანძე, 2018)

თუმცა ლ. ჩაჩუას ეს ინფორმაცია არ არის ზუსტი. ლევან ჩაჩუას მტკიცება, თითქოს ა. ლუკაშენკომ ამერიკის ელჩი კარენ სტიუარტი ტრანსფობიასა და ჰომოფობიის წინააღმდეგ აქციის ჩატარების მოთხოვნის გამო გააგდო, დეზინფორმაციაა. რეალურად, აშშ-ს ელჩის ქვეყნიდან გაძევების მიზეზი ამერიკის მიერ ბელარუსიის სახელმწიფო ნავთობკომპანიასა („ბელნეფტხიმის“) და ქვეყნის

პრეზიდენტზე არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარების გამო დაწესებული სანქციების საპასუხო ნაბიჯი იყო.

2018 წელს გაკეთებულ კიდევ ერთ ინტერვიუში ლ. ჩაჩუამ, მოძრაობა „ქართული იდეის“ სახელითაც, გააკეთა განცხადება, რომ კანაფის პლანტაციების გაშენების შესახებ არსებული კანონპროექტი ყოვლად მიუღებელია საქართველოსთვის. საკითხის განხილვა იმიტომ გადაიდო, რომ წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას არ სჭირდებოდა სამღვდელოებისა და მრევლის გამოსვლები. ლ. ჩაჩუას თქმით, მარიხუანის მოშენება ისეთ დიდი ფინანსებს უკავშირდება, რომ მისი ინიციატორები ამ სარგებელს არ დათმობენ. (მჭედლიშვილი, 2018)

„ქართული იდეა“ საკუთარი ინტერნეტ გამოცემის მეშვეობით ეწევა მითოლოგიზაციას და აქტიურად ქმნის მტრის ხატს დასავლეთისაგან. რაც მთავარია, ისინი მკვეთრად პრორუსულ ძალას წარმოადგენენ და არ ხასიათდებიან ნეიტრალური დამოკიდებულებით საგარეო კურსისადმი.

ზოგადად უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ორგანიზაცია აგებულია ერთი კაცის სურვილებზე, მოსაზრებებზე და შეხედულებებზე. იგივე შეგვიძლია ვთქვათ „ქართული იდეის“ საიტზეც. ორგანიზაციასთან საკონტაქტო გზაც მხოლოდ ლ. ჩაჩუაზე გადის (ოფიციალურ საიტზე მხოლოდ მისი საკონტაქტო ინფორმაციაა მითითებული). რთულია ორგანიზაციის სხვა წევრებზე ინფორმაციის მოპოვება. ამის მიუხედავად, საინტერესოა ის ფაქტი, რომ სანდრო ბრეგაძე, რომელიც 2016 წელს ქმნის მოძრაობა „ეროვნულებს“, „ქართული იდეის“ მეორე ნომერი იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიის მონაწილეობის დროს. ამიტომ, საყურადღებოა ამ ორ ეროვნულ-პატრიოტულ ორგანიზაციას შორის არსებული კავშირიც.

თავი III.„კარდჰუ“ (საქართველო უპირველეს ყოვლისა)- kardhu.wordpress.com

ქართული ეროვნულ-პატრიოტული საიტებიდან მომხმარებლის ნახვების დიდი რაოდენობით „კარდჰუ“ გამოირჩევა, რომელმაც 2016 წლის ივნისს დაიწყო მოღვაწეობა და რომლის ბოლო პოსტიც 2016 წლის 16 ოქტომბერსაა გამოქვეყნებული. „კარდჰუ“ ნაციონალისტური არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც საკუთარ მიზნად ისახავს: ნაციონალიზმის და პატრიოტიზმის გაღვივებას და ერის სიწმინდის დაცვას. ორგანიზაციის სახელს სიმბოლური დატვირთვა აქვს. „კარდუთი“ გ. რობაქიძე აღნიშნავდა ქართველი ერის სულს, არსს და იდეას. ესაა საწყისი, რომელიც ახასიათებს ქართველ ერს და რომლის გამოც ის არის სწორედ ქართველი და გამოირჩევა სხვა ერისაგან.

ორგანიზაციის საიტი, kardhu.wordpress.com, გამოიჩევა დიდი ორგანიზებულობით და მას აქვს საკუთარი ემბლემაც, რომელზეც გამოსახულია ბორჯღალი, საქართველოს ძველი გერბი, ხმალი. ხმლის სიმბოლო ორგანიზაციის წევრების მზადყოფნის გამომხატველია- ისინი მზად არიან სამშობლოს დასაცავად. ემბლემაში ჩანს მჭიდრო კავშირი რელიგიასთანაც, რადგან მის მარჯვენა და მარცხენა გვერდებზე დატანილია ბოლნური ჯვარი, რომელიც ადამიანის სულიერი ამაღლების სიმბოლოა. ემბლემის ქვედა ნაწილში ვხედავთ წარწერას „საქართველოსთვის“. „ენა, მამული და სარწმუნოების“ დაცვისათვის იბრძვიან ორგანიზაციის წევრები. ასევე, ქვეყნის, ერის, ტრადიციების და ღირსშესანიშნაობების დაცვისთვის. (იხ. დანართი. 5)

ეროვნულ-პატრიოტული ინტერესების გამტარებელი ეს საიტი ატარებს ონლაინ გამოკითხვებს მათთვის საყურადღებო თემებზე. ამჟამად (18.10.2018) მიმდინარეობს სამ კითხვაზე გამოკითხვის ჩატარება (ავღნიშნოთ, რომ ეს კითხვები შეესაბამება ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვან თემებს. გამოკითხვის მიზანი ხალხის აზრის დადგენაა, რადგან თავად პატრიოტულ მოძრაობას მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს ამ საკითხებთან დაკავშირებით): მარიხუანა უნდა იყოს ა) აკრძალული; ბ) მოხმარება დაშვებული; გ) მოყვანა, მოხმარება, ყიდვა, გაყიდვა დაშვებული;.

გამოკითხულთა 55,93% აკრძალვის მომხრეა, ხოლო 33,9% მოხმარების დაშვების მომხრეა. სულ გამოკითხულთა რაოდენობა 59 ადამიანია.

მეორე კითხვა, რომელზეც ტარდება გამოკითხვა არის: არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება უცხოეთიდან: ა) მისაღებია; ბ) მიუღებელია; გ) სულერთია. გამოკითხულთა 79,07% მიუღებლად თვლის ამას. გამოკითხულთა ჯამური რაოდენობა 87 ადამიანია.

მესამე კითხვა არის: როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი? ა) დასავლური; ბ) ნეიტრალური; გ) ევრაზიული. შედეგები განსაკუთრებით საყურადღებოა: 55,74% მიიჩნევს, რომ საგარეო კურსი ნეიტრალური უნდა იყოს. დასავლური კურსის მომხრე 40,16%-ია. სულ 122 ადამიანმა მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა.

ორგანიზაციაში გაწევრიანება შესაძლებელია ოფიციალური საიტიდან (https://kardhu.wordpress.com/) გარკვეული მონაცემების შევსების შემდეგ. თუ დააკმაყოფილებთ ორგანიზაციის დამფუძნებელთა მოთხოვნებს მოხდება პირადად გასაუბრება და ამის შემდეგ გახდებით მისი წევრი.

ორგანიზაცია აქვეყნებს სტატიებს მისთვის საინტერესო თემებზე, როგორც თანამედროვეობაში აქტუალურზე, ასევე გაცნობითი ხასიათის, რომლებშიც საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების ღვაწლს ესმევა ხაზი. მაგ. მათ სტატია მიუძღვნეს თერგდალეულებს, გიორგი მაზნიაშვილს, ილია მართალს, დემეტრე თავდადებულს... განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ არც ერთი სტატიის ბოლოს არ არის მითითებული მისი ავტორის: სახელი და გვარი, ამიტომ უცნობია მათი შემქმნელების კონკრეტული ვინაობა.

ერთ-ერთ სტატიაში ისინი იმ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც ემიგრანტთა რიცხვის ზრდაა და რასაც თავად ნიჭიერი ხალხის რესურსის გადინებას უწოდებენ. ემიგრანტების ნახევარზე მეტს არ სურს სამშობლოში დაბრუნება, რაც სახელმწიფოს დიდი პრობლემაა. ისინი ადანაშაულებენ სახელმწიფოს ამ ხალხის ნიჭის დაუფასებლობაში, რაც უბიძგებს მათ საზღვარგარეთ მოღვაწეობისაკენ. არ რჩებათ თვალთახედვიდან გლობალიზაციის ეპოქის როლიც, რასაც მათი კომენტარებიდან ვიგებთ, რომ აფასებენ უარყოფითად და არიან გლობალიზაციის მასშტაბის შემცირების მომხრენი, ყოველ შემთხვევაში საქართველოში. ამ საკითხზე სამუშაოდ მოქმედების

სადავე პატრიოტ-ნაციონალისტებმა უნდა აიღონ, ასეთებად თავის თავს მიიჩნევენ და ქართველი ერის იმ ნაწილს, ვისაც სამშობლოს ბედ-იღბალი ანაღვლებთ (კონკრეტულად საზოგადოების რომელ ნაწილს თვლიან ასეთად არ არის დაკონკრეტებული). („საქართველო უპირველეს ყოვლისა“, 2016)

საიტზე გამოკვეთილია რელიგიასთან კავშირი და მათი მცდელობა მართლმადიდებლობის ისტორიის გაცნობისა მომხმარებლისთვის, რაც არცაა გასაკვირი, რადგან სხვა მარკერებთან ერთად რელიგიას მთავარ მნიშვნელობას ანიჭებენ ერის შენარჩუნების და დაცვის საქმეში. კონკრეტულად აქვთ საინტერესო სტატია გამოქვეყნებული „კათალიკოს-პატრიარქები“, სადაც საუბრობენ 9 კათალიკოს-პატრიარქზე, ანუ ყველა მათგანზე, ვინც ჰყავდა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენიდან დღემდე. სტატია ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და გაცნობილია ყველა კათალიკოსის ბიოგრაფიული მონაცემები. სტატიაში ვერ შევხვდებით შეფასებით მსჯელობას. მას აქვს გაცნობით-სწავლებითი ხასიათი. („კათალიკოს-პატრიარქები“, 2016)

კიდევ ერთი მარკერი, რომლის დაცვისთვისაც იბრძვიან ორგანიზაციის წარმომადგენლები არის ენა. იზიარებენ ი. ჭავჭავაძის აზრს, რომ *„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“.* სტატიაში საუბარია იმ პრობლემაზე, რომელსაც ქართულ ენაში ბარბარიზმების შემოტანა და დამკვიდრება ჰქვია. ქართულ სიტყვებს ხშირად უცხოური, მოდური სიტყვები ცვლის. თუმცა საბედნიეროდ, მათი აზრით, გვყავს ქართული მამულის, ენის, სარწმუნოების „კბილებით“ დამცველები. ესენი არიან ახალგაზრდა ბიჭებისაგან (არსად არაა ნახსენები მდედრობითი სქესის წარმომადგენლები) შემდგარი პატრიოტული და ნაციონალისტური ორგანიზაციები. ასეთ ორგანიზაციებად ისინი „კარდჰუსთან“ ერთად მიიჩნევენ: *„ქართულ ძალას“* და *„ქართულ იდეას“.* („მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“, 2016)

საიტი არის გამოკვეთილად პატრიოტულ-ნაციონალისტური ხასიათის მატარებელი. მისი წარმომადგენლები თავს პირდაპირ უწოდებენ პარტიოტ-ნაციონალისტებს. ისინი არიან გლობალიზაციის და ქვეყნებს შორის საზღვრების გაფერმკრთალების წინააღმდეგნი. თვლიან, რომ ერმა უნდა შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა და ორიგინალობა, რაც განსაკუთრებით უნდა გამოიხატოს ისეთი მარკერების და ფასეულობების დაცვაში, როგორებიცაა: ენა, რელიგია, მამული,

ისტორია, მემკვიდრეობა, ქართული ღირსშესანიშნაობები. არგუმენტად მოჰყავთ ვაჟა-ფშაველას მოსაზრება და ციტირებას უკეთებენ მის აზრს: *„ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს“.*

საიტის შემქმნელები დიდ პატივს მიაგებენ წინაპრებს. მათი მთვარი მიზანი ერთი ფრაზითაც შეიძლება გამოიხატოს: *„პატივი ვცეთ წინაპრებსა და ისტორიას და სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლოთ მის შესანარჩუნებლად“.* („მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“, 2016)

ამ ინტერნეტ გამოცემაში წარმოდგენილი მასალის დამუშავებისას ვნახეთ, რომ ორგანიზატორები მათთვის ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვან ქართველ წინაპრებზე ქმნიან სტატიებს. ამ სტატიებს შორისაა: *„ქართველი ერის ტრაგედია, ილია მართალის მკვლელობა“.* უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ მათ ხშირად აქვთ ილია ჭავჭავაძის სახელი გამოყენებული, მაგრამ ყველგან მას მოიხსენიებენ ილია მართლად, ანუ ქართული მართმადიდებლური ეკლესიისგან მისთვის მინიჭებულ სახელს (წმინდანად შერაცხვისას) ანიჭებენ უპირატესობას, რაც კიდევ ერთი გამოხატულებაა მათი მოწიწების, პატივისცემის ეკლესიისადმი. სტატიის შემქმნელი (ინკოგნიტოა, როგორც მათ საიტზე განთავსებული ყველა მასალის ავტორი) აღნიშნავს და ფაქტად მიიჩნევს იმას, რომ ი. ჭავჭავაძის მკვლელობა სოციალ-დემოკრატებს და ბოლშევიკებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. მომხმარებელს ავტორი აცნობს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას, ღვაწლს ქვეყნის წინაშე და სტატიას ამთავრებს სიტყვებით: *„აი ასეთ პატრიოტ და თავდადებულ გმირებზე იდგა საქართველო!. გააგრძელე მათი წამოწყებული საქმე. გიყვარდეს შენი ერი, შეიტანე შენი წვლილი მის კეთილდეობაში! გამოადექი ქვეყანას! დიდება საქართველოს! დიდება გმირებს!“.* („ქართველი ერის ტრაგედია, ილია მართალის მკვლელობა“, 2016)

საიტი 2016 წლის ოქტომბრიდან ნაკლებად ფუნქციონირებადია, თუმცა მისი დამთვალიერებელთა რიცხვი მაინც იზრდება. ჩვენი მოსაზრებით, საიტი კონკრეტულ პერიოდში კონკრეტული მიზნისთვის და საკითხის პოპულარიზებისათვის შეიქმნა. შეიძლება ეს იყოს მათ მიერ აღნიშნული „ქართული ძალის“ 2016 წლის აპრილში წამოწყებული იდეის მხარდაჭერა, რომლის გამოც 3 აპრილს მათ მცირე მსვლელობა

რუსთაველის გამზირიდან გერმანიის საელჩოს მიმართულებით გამართეს. პროტესტის მოტივი სირიიდან და ერაყიდან წამოსულ ლტოლვილთა მიღების თემის წინ წამოწევა იყო. თარიღთა თანხვედრა აშკარაა, თუმცა პირდაპირ არ არის გაცხადებული მათი კავშირი სხვა რომელიმე პატრიოტულ ძალასთან.

უფრო რეალური მიზეზი საიტის შექმნის მათ მიერვე ნახსენები „ქართული იდეის“ მხარდაჭერა შეიძლება იყოს 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე. ამ აზრს ამტკიცებს ისიც, რომ მათი აქტივობა ამ არჩევნების მერე შეწყდა.

მათი საიტისაგან განსხვავებით „ფეისბუქ“ გვერდი, რომელიც შექმნილია 2017 წლის 22 ივლისს დღესაც აქტიურია, სადაც ყოველ დღე ქვეყნდება სიახლეები ორგანიზაციის მიერ. ჩვენი მოსაზრებით, საიტზე მოღვაწეობის შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ „კარდჰუ“-ის წევრებმა გადაინაცვლეს „ფეისბუქ“ გვერდზე, რომელშიც უფრო მარტივად აყალიბებენ საკუთარ შეხედულებებს მოკლე განცხადებების და მოწოდებების სახით და აღარ სჭირდებათ სტატიების დაწერა საიტისათვის. „ფეისბუქ“ გვერდი უფრო მეტად ინფორმაციულია და მეტს ვიგებთ ორგანიზაციის შესახებ kardhu.wordpress.com-თან შედარებით. მათი გვერდის გამომწერთა რაოდენობა ამჟამად (25.11.2018) - 24 227 მომხმარებელია. ისინი სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე ორგანიზაციის ახალ ემბლემასაც გვთავაზობენ. (იხ. დანართი. 6)

სოციალური ქსელის გვერდის მეშვეობით „კარდჰუ“ მათი მოღვაწეობის დასაწყისშივე ცდილობს ხალხს ნათლად გააგებინოს რა არის ნაციონალიზმი და ვინ არის ნაციონალისტი. ორგანიზაციის წევრები ამისთვის 2017 წლის 24 ივლისს გამოქვეყნებულ სიახლეში იყენებენ ენდრიუ ჰეივუდის სიტყვებსაც: *„ნაციონალისტი- ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია გააკეთოს არჩევანი მკაცრი და სახიფათო ცხოვრების სასარგებლოდ, რომელიც მზადაა იბრძოლოს, მაშინაც კი, როცა ბძოლა მატერიალური თვალსაზრისით უკვე წაგებულია, რადგან მან იცის ძველი საგის სიტყვების ფასი: „ერთგულება ცეცხლზე ძლიერია“. თვითონ ასეთი ადამიანების არსებობა არის ტრადიციული იდეის ნათელი დადასტურება, რომლის მიხედვითაც სწორედ ღირსების და სირცხვილის გრძნობა (და არა რაღაც წვრილმანი, ფაფუკი*

მორალის არსებობა) ქმნის ეგზისტენციალურ განსხვავებებს ადამიანებს შორის, როგორც თითქმის სხვადასხვა ბუნების მქონე არსებებს შორის“.

„ფეისბუქ“ გვერდზე ვხვდებით ნაციონალიზმის ქართველი მოღვაწეების მიერ შემოთავაზებულ განმარტებებსაც. ერთ-ერთია მიხეილ ჯავახიშვილის განმარტება, რომელსაც „კარდჰუ“ 2017 წლის 1 აგვისტოს აქვეყნებს ციტირების სახით: *„ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს შენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირაწყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც მოითხოვს“.*

მათი ოფიციალური საიტის შესწავლისას იკვეთებოდა ორგანიზაციის ნეიტრალური პოზიცი ქვეყნის საგარეო პოლიტიკასადმი, მაგრამ მათი სოციალურ ქსელში გვერდის შესწავლის შემდეგ ეს ნეიტრალიტეტი ანტირუსულ დამოკიდებულებად წარმოგვიდგა და ჩამოყალიბდა. მოძრაობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი ოკუპანტი, აგრესორი და ჩვენი მტერია. არგუმენტებად თუ რატომაა რუსეთი საქართველოს მტერი ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან მოჰყავთ მაგალითები, რომლებიც ბევრია და ჩამონათვალი 1722 წლიდან იწყება, როდესაც ვახტანგ VI მიატოვა რუსეთმა ოსმალეთთან, გრძელდება 1770 წლის ღალატით ასპინძის ომში და ეს გრძელი სია თარიღების თანმიმდევრობით დალაგებული მთავრდება 2008 წლის ომით და დღემდე წარმოებული მცოცავი ოკუპაციით. ნებისმიერი გვერდის დამთვალიერებელი ნათლად ხედავს ამ 2017 წლის 7 აგვისტოს გამოქვეყნებული პოსტით თუ რამდენჯერ დავზარალდით წარსულში რუსეთისგან და ეს ყველაფერი ისტორიული ფაქტების სრული ჩამოთვლით ხდება. სამწუხაროა, რომ არ არის მითითებული პოსტის კონკრეტული ავტორი და მხოლოდ მოძრაობის სახელით ხდება საუბარი.

ამის მიუხედავად, „კარდჰუ“ არ ივიწყებს სხვა მეზობელი ქვეყნებისაგან მომავალ საფრთხესაც. მათ 2017 წლის 1 ოქტომბერს გამოაქვეყნეს სიახლე „ფეისბუქ“ გვერდზე, რომელშიც პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე საუბრობს სომხეთზე და ამბობს, რომ მასაც დასუსტებული საქართველოს ნახვა აწყობს, რადგან რუსეთის ინტერესები თანხვედრაშია სომხეთის ინტერესებთნ. რუსულ-სომხური ინტერესების ვექტორი მოსკოვი-ერევანი-თეირანი კვლავ ძალაშია და საქართველო ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც დასუსტებული პოლიტიკური ელემენტი. პოლიტოლოგის

მოსაზრებით, საქართველოში უნდა დაიბლოკოს სხვა ნებისმიერი ტიპის გავლენა. თვითონ საქართველოს, როგორც ფაქტორის არსებობაც კი რუსეთსა და სომხეთს არანაირად არ აწყობთ. თავის მხრივ, ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის წევრები ამატებენ ს. მანჯავიძის კომენტარს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის თურქული ფაქტორია სარისკო, სამცხე-ჯავახეთისთვის სომხური ფაქტორია საშიში, ქვემო ქართლისთვის აზერბაიჯანის ფაქტორი. ეს საქართველოს ის რეგიონებია, სადაც მკაფიოდ შეინიშნება სეპარატიზმის ნიშნები. „კარდჰუ“ მართლია ხაზს უსვამს რუსეთის საფრთხეს, მაგრამ მხოლოდ რუსეთზე ყურადღების გამახვილება არ მიაჩნია სწორად, რადგან სხვა სახელმწიფოებიდან მომავალ საფრთხესაც რელურად თვლიან.

„კარდჰუ“ აიდიალებს საქართველოს ისტორიას და ხაზს უსვამს ისეთ ფაქტებს წარსულიდან, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს და ქართველების სიძლიერეს, გმირობას, გონიერებას... ასევე, აჩვენებს ჩვენი ერის უპირატესობას სხვა ერებთან შედარებით. მაგ. 2017 წლის 25 ივლისის ერთ-ერთ სიახლეში განხილულია გერმანელი მეცნიერის ბორის გრეინშპოლის ნაშრომიდან „ტროელები და იბერიელები“ ნაწყვეტი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ქართველებმა დედამიწაზე პირველებმა მოაშინაურეს ცხენი და როგორც მეცნიერი ასკვნის ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც. მეცნიერის აზრით, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს.

მეორე მაგალითად ქართველი ერის უპირატესობის დასადგენად „კარდჰუს“ მოჰყავს მარკო პოლოს აზრი, რომელზე მოძრაობა საუბრობს 2017 წლის 27 ივლისის სოციალურ ქსელში გაკეთებულ სიახლეში და რომელშიც მ. პოლო აღნიშნავს, რომ ქართველები ლამაზი, მამაცი და ბრწყინვალე მეომარი ერია. საქართველო ის ქვეყანაა, რომლის აღებაც ალექსანდრე მაკედონელმა ვერ შეძლო არა მხოლოდ გზათა სივიწროვის გამო, როგორც ამას სხვა ისტორიკოსები თვლიან, არამედ ამ ქვეყნის მცხოვრებთა სიმამაცის გამო.

„კარდჰუ“ მოქმედებს არა რადიკალურად, აქციებით და გამოსვლებით, არამედ ზომიერად- სხვადასხვა წამოწყებების განხორციელების ხელშეწყობით. მაგ. მათ წამოაყენეს 2017 წლის 26 ივლისს საინტერესო ინიციატივა სახელით: *„მე ვყიდულობ ქართულს“.* ორგანიზაცია ხალხს მოუწოდებს, რომ ქვეყნის გაძლიერება თითოეულმა საკუთარი ყოველდღიურობიდან უნდა დაიწყოს. ქართველმა ერმა უნდა შეიძინოს

ქართული პროდუქცია. ამ იდეის გასავრცელებლად ორგანიზაციამ მაღაზიების შესასვლელებთან და ქუჩებში გამოაკრა აფიშები წარწერით: *„მე ვყიდულობ ქართულს“.*

საქართველოში არსებული სხვა ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობების მსგავსად „კარდჰუ“ აგრესიულადაა განწყობილი სექსუალური უმცირესობის მიმართ. ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპა ტრანსგენდერებს ამერიკის ჯარში მსახურება აუკრძალა, მაშინ, როცა საქართველოში *„ყველანაირი გადახრის მქონე პირებს 2013 წლიდან უფლება მისცეს ემსახურათ ჯარში, ბაღში, სკოლებში და საჯარო დაწესებულებებში“.*

ერთ-ერთი თემა, რომელშიც „კარდჰუ“ იზიარებს და გვერდში უდგას „ქართულ მარშს“ სექსუალური უმცირესობის წინააღმდეგ გამართული აქციებია. 2017 წლის 3 სექტემბრის „პოსტში“ სოციალური ქსელის გვერდზე „კარდჰუ“ იზიარებს სანდრო ბრეგაძის მოწოდებას საპროტესტო აქციების ციკლის შესახებ თბილისში, რომელიც ჰომოსექსუალების და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული და ამ მოწოდებას ეს მოძრაობაც უერთდებოდა.

„კარდჰუ“ მოითხოვს აბორტის აკრძალვას და ხშირად მოჰყავს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემები. მაგ. საქართველოში 2002-2016 წლებში აბორტის შედეგად არ დაიბადა 380 000-ზე მეტი ბავშვი. ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციას აპირისპირებს ფემინისტებთან, ლიბერალებთან.

ამ ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ლიდერები იზიარებენ გურამ ქართველიშვილის აზრს და 2017 წლის 7 ოქტომბერს გაკეთებულ კომენტარში საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე გამოთქვეს აზრი, რომ განათლება-კულტურა-მედია საქართველოში ამზადებს ახალ თაობებს იმისთვის, რომ მათ ქართული სახელმწიფო გადააბარონ უცხოტომელებს. მათ ასწავლიან, რომ ეროვნული თვითშეგნება ფაშიზმია და პატრიოტობა ჩამორჩენილობა. გ. ქართველიშვილის აზრით, ქართული მიწა საქართველოს მთავრობის ჩინოვნიკებისთვის ბიზნესად არის ქცეული, ხოლო მომავალ თაობას ამ გეგმის ხელისშემწყობად ზრდიან. ეს ახალი მეთოდით ქვეყნის დაპყრობაა, რომელიც ჩუმი გენოციდის ნიშნებსაც ატარებს... ამ აზრს ეთანხმება „კარდჰუ“ და ითხოვს კანონით აიკრძალოს საქართველოში მიწის გასხვისება უცხო ქვეყნის წარმომადგენლებზე. (იხ. დანართი. 7)

„კარდჰუ“ აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ორგანიზაცია მხარს უჭერდა დამოუკიდებელ კანდიდატ- სალომე ზურაბიშვილს. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მოძრაობამ ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი პოსტით 28 ნოემბერსვე მიულოცა პრეზიდენტს გამარჯვება. საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის პროცესში „კარდჰუ“ გამოდიოდა ლოზუნგით: *“არანაციზმს“*, რაც მიმართული იყო პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციის მიზანი ქართველების ინტერესების დაცვაა. უფრო კონკრეტულად ეს შეიძლება ოთარ ჭილაძის ფრაზით გამოვხატოთ, რომელსაც „კარდჰუ“ ხშირად ციტირებს სოციალურ ქსელში: *„საქართველოში, ქართველის გარდა, ჯერჯერობით არავინ დაჩაგრულა“.* სწორედ ეს აქვთ დასახული ორგანიზაციის წევრებს მიზნად, რომ დაიცვან საკუთარ ქვეყანაში ჩვენი ერის, ქართველების უფლებები.

ჩვენი შეფასებით „კარდჰუ“-ს აკლია აკადემიური სტილის დაცვა მოღვაწეობისას. მათი სტატიები მცირე ზომისაა და მეტად სამოყვარულო ხასიათისა, ვიდრე ანალიტიკური. აქცენტი გადატანილია ვიზულიზაციაზე, სიმბოლოებზე და საიტის დიზაინზე, ვიდრე შინაარსზე. ამ ინტერნეტ გამოცემის შემქმნელები ფორმას ანიჭებენ უპირატესობას შინაარსის ნაცვლად. კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით ამ საიტზე კონფიდენციალურობის სრული დაცვაა. არც ერთი სტატიის ავტორი არ არის მითითებული, რაც ნდობას უკარგავს მომხმარებელს ამ ინტერნეტ გამოცემაში გაჟღერებული ინფორმაციისადმი.

თავი IV. „საქართველოს ეროვნული ერთობა“- geonsm.wordpress.com

„იცით მე ძალიან მომწონს თქვენი მოძრაობა და თქვენი მიზნები. მე სიამოვნებით შემოვუერთდებოდი თქვენს მოძრაობას, რომ არა ერთი პუნქტი...-

-ის პუნქტი იმიტომაც სწერია, რომ თქვენ ჩვენთან არ იყოთ!“

ადოლფ ჰიტლერი

„ქართულ იდეასთან“ კავშირი აქვს საქართველოში მოღვაწე კიდევ ერთი ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციის „საქართველოს ეროვნული ერთობის“ ხელმძღვანელობასაც, რომელიც საკუთარ თავს ფაშისტურ ორგანიზაციად მოიაზრებს. მოძრაობა 2016 წელს (02/11/2016) დაფუძნდა. მათი წესდების მიხედვით, „საქართველოს ეროვნული ერთობის“ მიზანია *„საერთო თანხმობისა და მშვიდობის პოლიტიკის გატარება, რომლის მიხედვითაც მოძრაობა პრიორიტეტულად წარმოაჩენს მენტალურად ქართულ მსოფლმხედველობას. ასევე, ორგანიზაცია პატივმცემელი და შემგუებელი იქნება ყველა ეთნიკურად განსხვავებული საქართველოს მოქალაქის ტრადიციული, მენტალური, რელიგიური თუ პოლიტიკური მსოფლმხედველობისა, თუ ისინი არ შეურაცხყოფენ მენტალურ ქართულ მსოფლმხედველობას“.*

„ეროვნული ერთობის“ მეთაური თორნიკე კივილაძე 2016 წლის არჩევნებზე „ქართული იდეის“ სიის მეხუთე ნომერი და ჩუღურეთის მაჟორიტარი კანდიდატი იყო. 2018 წლის 15 მაისს „რუსთავი-2“-თან გაკეთებულ კომენტარში მან თქვა, რომ ორგანიზაციას გამოეთიშა, რადგან მათ საქმიანობაში საფრთხეს ხედავს. („ქართული ნეონაციზმის ანატომია“, 2018)

საინტერესოა ორგანიზაციის შიდა სტრუქტურაც. საჯარო რეესტრის მიხედვით მათ ჰყავთ მეთაური (თორნიკე კივილაძე) და მწიგნობართუხუცესი (გიგა (გიორგი)ჭელიძე). www.manifest.ge-ze იძებნება „ეროვნული ერთობის“ პეტიცია, რომლითაც ისინი საქართველოში ჯორჯ სოროსის ფონდის *„ღია საზოგადოება - საქართველოს“* აკრძალვას ითხოვენ.

„საქართველოს ეროვნული ერთობა“ გამოირჩევა რელიგიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით და პატივისცემით. მათ ორგანიზაციის ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე მუქარის წერილით უპასუხეს „რუსთავი 2“-ის

ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას რელიგიურ განცხადებას, რომელიც 18 მარტს გადაცემა „კურიერ P.S“-ში გაკეთდა, სადაც ისმის ჟურნალისტისადმი პირდაპირი მუქარა: *„და როდესაც განაგრძობ ცხოვრებით ტკბობას და იფიქრებ, რომ ყველაფერმა ჩაიარა გახსოვდეს - „ჩვენ“ ვიცით სად ცხოვრობ, „ჩვენ“ გვახსოვს რაც ჩაიდინე“.* („ქართული ნეონაციზმის ანატომია“, 2018)

ორგანიზაციის მწიგნობართუხუცესი გიგა (გიორგი) ჭელიძე ღიად აფიქსირებს, რომ არის ფაშისტური იდეოლოგიის მიმდევარი: *„ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენს ფესვებთან. ჩვენ „ვაწვებით“ ფაშიზმს და ნაციონალ-სოციალიზმს, ჩვენ ვართ ამ მიმდინარეობის მიმდევრები“.* გ. ჭელიძეს ასევე დაარსებული აქვს ორგანიზაცია „საქართველოა მარადიული“. წესდების მიხედვით, ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია *„ეს ლამაზი, ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა“*.

გ. ჭელიძე და მისი მხარდამჭერები აგრესიით და ძალადობრივი მოწოდებებით გამოირჩეოდნენ კლუბ „ბასიანში“ განვითარებული მოვლენების დროს პარლამენტის წინ გამართული აქციის მონაწილეების მიმართ. „ეროვნული ერთობის“ წევრებმა განაცხადეს, რომ შექმნიან რაზმეულებს, დაიწყებენ პატრულირებას და თავად აღკვეთენ უკანონობას. *„სისხლს მოითხოვენ? ზღვა სისხლს მიიღებენ“* - იმუქრებოდნენ აქციაზე. („ქართული ნეონაციზმის ანატომია“, 2018)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, „საქართველოს ეროვნული ერთობის“ წევრი, 1986 წელს დაბადებული გიორგი ჭელიძე დააკავეს. *„მიმდინარე წლის 31 აგვისტოს, სამართალდამცველებმა გამოძიება სოციალურ ქსელში მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობის“ გვერძე გავრცელებული ვიდეოს საფუძველზე დაიწყეს. პოლიციამ ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის იარაღი და 28 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები“*, - ნათქვამია უწყებაში.

დანაშაული 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. ავღნიშნოთ ის, რომ საუბარია 27 აგვისტოს ფაშისტური

ორგანიზაციის „ფეისბუქ“ გვერდზე განთავსებულ ვიდეოზე, რომლის სახელწოდებაცაა „ფაშისტური კვირადღე“, სადაც იარაღიდან ისვრიან. ვიდეოს აღწერაში მითითებულია: *„ქართველი მამრი კვირაში მინიმუმ ერთ დღეს უნდა უთმობდეს სპორტულ და საბრძოლო მომზადებას“.* „საქართველოს ეროვნული ერთობა“ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ გ. ჭელიძე საბრძოლო ვაზნების უკანონო შენახვისთვის იმყოფება დროებით წინასწარ პატიმრობაში, რომელზეც მისი ანაბეჭდიც კი არ ყოფილა აღმოჩენილი. გ. ჭელიძის დაკავების შემდეგ ორგანიზაციას მეთაურობს ბექა ლოლაშვილი. („ფაშისტური მოძრაობის ლიდერი, გიორგი ჭელიძე უკანონო იარაღისთვის დააკავეს“, 2018)

გ. ჭელიძე 2017 წლის ნოემბერშიც იყო დაკავებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გამართულ აქციაზე ლადო სადღობელაშვილთან ერთად, სადაც ისინი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელის, გურამ კაშიას ლგბტ თემის დროშიანი სამკლაურით ასპარეზობას აპროტესტებდნენ.

ორგანიზაციის პირველი „ფეისბუქ“ გვერდი გაუქმებულია სახელმწიფოსადმი საფრთხის შემცველი იდეოლოგიის გატარების ბრალდებით და მოძრაობამ 2018 წლის მაისში შექმნა მეორე, ახალი გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც დღესაც დიდი აქტიურობით გამოირჩევა. რადგან მოძრაობა სოციალურ ქსელში მეტად აქტიურია, ვიდრე მის ოფიციალურ საიტზე - geonsm.wordpress.com-ზე, ამიტომ გადავწყვიტეთ თავდაპირველად გავცნობოდით მათ „ფეისბუქ“ გვერდს და შემდეგ მათ ინტერნეტ გამოცემას.

სოციალურ ქსელში მათი გამომწერთა რიცხვი 4273-ია და ეს რიცხვი ნელ-ნელა იზრდება. 19 მაისის „ფეისბუქ“ განცხადებაში „საქართველოს ეროვნული ერთობა“ საუბრობდა რადიკალური-ფაშისტური ჯგუფების საქმიანობის აკრძალვის შესაძლებლობაზე მომავალში და აცხადებდა: *„ფაშიზმს აკრძალავთ და აკრძალეთ... ვაი რომ ნაციონალიზმს ვერაფერს უზამთ მაგით... რაც არ უნდა კანონი მიიღოთ, ხვრელები ექნება და მაგას გამოვიყენებთ... მოვარგებთ ფაშიზმს ყველანაირ კანონს...“* (www.facebook.com/GeoNSM/)

ორგანიზაციის ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდის შესწავლისას გადავაწყდით საინტერესო განცხადებას: *„თუ საქართველოსა და ქართველი ერის მომავალზე*

დღედაღამ ფიქრი, დარდი და ზრუნვა სიბნელე და ფაშიზმია; თუ გმირად, ტრანსგენდერი ვახოს ნაცვლად გიორგი ანწუხელიძის და არჩილ ტატუნაშვილის ჩათვლა სიბნელე და ფაშიზმია; თუ საქართველოს ბრძოლითა და სისხლით, მოწინააღმდეგეებითა და გამარჯვებებით, სირთულეებითა და უდრეკობით, საფრთხეებითა და გმირობით აღსავსე დიადი ისტორიისადმი მოწიწებითა და პატივისცემით დამოკიდებულება სიბნელე და ფაშიზმია, მაშინ ჩვენ ბნელები და ფაშისტები, ვამაყობთ ჩვენი სიბნელითაც და ჩვენი ფაშიზმითაც!!!". (www.facebook.com/GeoNSM/)

მათი მიზანი, როგორც თავადვე აღნიშნავენ, არის ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. თვლიან, რომ ხალხმა კარგად უნდა შეისწავლოს საკუთარი ისტორია და ეროვნული ვინაობა. ორგანიზაციის აზრით, დაუშვებელია ერის ნაციონალიზირება სანახევროდ, ის სრულიად გარკვეული და ფანატიკური უნდა იყოს. ორგანიზაცია თვლის, რომ ბავშვი ისე უნდა აღიზარდოს, რომ ის დარწმუნდეს მისი ხალხი, რომ საუკეთესოა, რაც ქვეყნის დაუმარცხებლობის რწმენას ჩაუნერგავს მომავალ თაობას. (www.facebook.com/GeoNSM/)

„საქართველოს ეროვნული ერთობა" ხალხს მოუწოდებს საკუთარი ოფიციალური „ფეისბუქ" გვერდიდან: *„ქართველმა ერმა უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყნის გადარჩენა თუ დაქცევა პარტიების, მოძრაობების და მის წევრთა სახელ-გვარებში კი არ არის, არამედ იმ იდეოლოგიაში რომელსაც ეს პარტიები ემხრობიან... ქართველი ერი ან მიიღებს ერთადერთ ჭეშმარიტ იდეოლოგიას ან აღიგვება სახსენებელი მისი პირისაგან მიწისა, ისე როგორც ეს მრავალ ძლევამოსილ ერსა თუ ცივილიზაციას მოუვიდა მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში. დიახ, იდეოლოგიაშია ხსნა და არა პარტიებში! ჩვენ წყვდიადში ანთებული პატარა ნაპერწკალი ვართ! ყოველთვის გეტყვით და არჩევანი თქვენზეა- ფაშიზმის (ერთობის) იდეოლოგიაშია ერთადერთი ხსნა ჩვენი ქვეყნისა და დიდებული ერის!".* (www.facebook.com/GeoNSM/)

ამ მოძრაობის თვალსაზრისით, ქვეყნის ფეხზე წამოსაყენებლად საჭიროა: 1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და 1921 წლის მუდმივმოქმედი კონსტიტუციის აღდგენა; პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება, სამინისტროების და სასამართლო სისტემის რეფორმირება; ეროვნული რესურსებისა და სტრატეგიული

ობიექტების ნაციონალიზაცია; ქვეყნის ეკონომიკის ეროვნულ-სოციალისტური მოდელით რეფორმირება (შერეული მოდელი), ანუ კერძო- მცირე და საშუალო ბიზნესის თავისუფალი ბაზრის პრინციპით უზრუნველყოფა, რეგულაციების დაწესება კარტელური და მონოპოლიური გარიგებების წინააღმდეგ; საპენსიო რეფორმის ჩატარება სტაჟის და დამსახურების მიხედვით; განათლების სისტემის რეფორმირება ეროვნული, ტრადიციული ღირებულებებისა და ფასეულობების მიხედვით. სამხედრო საგნის დამატება სკოლებში და სამხედრო კათედრის აღდგენა უნივერსიტეტში; ალტერნატიული უჩიპო პირადობის მოწმობების აღდგენა მსრულველთათვის. პასპორტსა და პირადობის მოწმობაში მამის სახელისა და ეროვნების აღმნიშვნელი გრაფების ჩამატება; საქართველოს მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვის არდაშვება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში პოლიტიკური, სამოქალაქო და მედია სივრცის დაფინანსების აკრძალვა. საქართველოს ტერიტორიიდან უკანონოდ მცხოვრები ადამიანების დეპორტირება, სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოში სამუდამო ბინადრობის უფლების მისაღებად სავალდებულო რეგულაციების დაწესება (ბინადრობის 10 წლიანი ვალდებულება, ქართული ენის და ისტორიის გამოცდის ჩაბარება). (www.facebook.com/GeoNSM/)

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ „ფეისბუქ“ გვერდის შესწავლისას დავასკვენით, რომ ისინი არ არიან „ქართულ მარში“-ში შემავალი ჯგუფი. ამის მიუხედავად, ახლო წარსულში რიგ ეპიზოდებში მოქმდებდნენ მარშთან ერთად, მაგრამ დღეს მათი გზები ერთმანეთთან აღარ იკვეთება. ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ მარშის მოქმედება მათი მოქმედებებისგან განსხვავდება, რადგან ამ ორ ჯგუფს სხვადასხვა ხედვა აქვს.

მოძრაობის წევრები გამოირჩევიან ანტიდასავლური განწყობით. ორგანიზაცია ხმამაღლა აცხადებს, რომ დასავლეთი არ ეხატება გულზე, რადგან დასავლეთი თავისი ნეოლიბერალისტური პოლიტიკით თვითგანადგურებაზეა ორიენტირებული და არ ემხრობიან მათ პოლიტიკას. დასავლეთში ისინი გულისხმობენ, მათი სიტყვებით, რომ ვთქვათ: *„მიგრანტების მიერ აჩეხილ გერმანელებს“, „ცეცხლში გახვეულ სტოქჰოლმს“, „შავ საფრანგეთს“.*

მოძრაობა საუბრობს ერთობის კონცეფციაზე, რომელიც სახელმწიფოს დაცვას ემსახურება. ლიბერალიზმი ცალკეული ინდივიდის ინტერესის სასარგებლოდ უარყოფდა სახელმწიფოს; ერთობა კი კვლავ განამტკიცებს სახელმწიფოს.

ორგანიზაცია გამოდის მარქსიზმის წინააღმდეგ და აწარმოებს ანტიმარქსისტულ კამპანიას. მოძრაობა ხშირად იმეორებს სლოგანს: „გაანადგურე ტყუილი! გაანადგურე მარქსიზმი!“. (იხ. დანართი. 8)

ორგანიზაციის წარმომადგენლები ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე სისტემატურად ავრცელებენ გამონათქვამებს, რომლებიც ეკუთვნის მაგ. ბენიტო მუსოლინს, ოსვალდ მოსლს, ჯოვანი ჯენტილეს, იულიუს ევოლოს. არ ივიწყებენ არც ქართველი მოაზროვნეების გამონათქვამებს. მათ შორის: ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ორგანიზაციის წევრებმა ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე არაერთხელ გააზიარეს ი. ჭავჭავაძის ამონარიდი მისი ნაწარმოებიდან „ქვათა ღაღადი“: *„თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა“.* (www.facebook.com/GeoNSM/)

რაც შეეხება დემოკრატიას, რომლის განვითარებისთვისაც იღწვის საქართველო, დემოკრატია ამ ორგანიზაციის თანახმად, ის არხია, რომლითაც ბოლშევიზმის და ლიბერალიზმის *„საწამლავი მიედინება ცალკეულ ქვეყნებში და მანამ ამუშავებს მათ, სანამ სრულად არ გაუმრუდებს ინტელექტს და მოუსპობს წინააღმდეგობის სურვილს“.* (www.facebook.com/GeoNSM/)

ამ ორგანიზაციას, სხვა მოძრაობების მსგავსად, აქვს საკუთარი ემბლემაც. (იხ. დანართი. 9)

ამ ორგანიზაციის საიტს, რაც შეეხება პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, ეროვნულ-პატრიოტული ინტერნეტ გამოცემაა საქართველოში, რომელიც ეწევა აკადემიურ საქმიანობას, თარგმნას, სტატიების წერას და გამოქვეყნებას, საკუთარი იდეოლოგიის გატარებას საიტის მეშვეობით, თუმცა მათი რაოდენობა ბევრი არ არის, სულ რამოდენიმე „პოსტს“ ვხვდებით საიტზე. ეს საიტი 2017

წლიდან ფუნქციონირებს. მათ თარგმნეს ბენიტო მუსოლინის „ფაშიზმის დოქტრინა“ ორ ნაწილად (მთარგმნელი გიორგი ჭელიძეა). გიორგი ჭელიძემ ასევე თარგმნა და ამ საიტზე გამოაქვეყნა ჯოვანი ჯენტილეს „ფაშიზმის ფილოსოფიური საფუძვლები“.

მათ ერთ-ერთ *სტატიაში- „არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ერთობა“*-ის სამოქალაქო პლატფორმა *„არა ფობიას“* მიერ თვითმართველობის არჩევნებში პოლიტიკოსთა მხრიდან ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განცხადებების დაგმობის საპასუხო განცხადება“- აღნიშნულია შემდეგი რაღაც, რომ ყველა ქვეყანას აქვს უფლება საშინაო პოლიტიკა ისე აწარმოოს, როგორც თვლის საჭიროდ. მაგალითად მოყვანილია ამერიკაში დ. ტრამპის და მისი ადმინისტრაციის მხრიდან არჩეული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მექსიკის საზღვარზე დიდი დამცავი კედლის მშენებლობა იგეგმება, ხოლო 7 ახლო აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნიდან ამერიკაში შესვლა მთლიანად აიკრძალა. (ვერულიძე, 2017)

„საქართველოს ეროვნული ერთობა“ აკრიტიკებს პლატფორმა *„არა ფობიას“* და მასში გაერთიანებულ 7 არასამთავრობო ორგანიზაციას. ამ პლატფორმას ისინი უწოდებენ სოროსულს, ლიბერალიზმისა და კულტურული მარქსიზმის აპოლოგეტებს. ფაშისტური იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციის განცხადებით „არა ფობიის“ წევრები ებრძვიან ეროვნულ შეგნებას და ცნობიერებას. ისინი ქვეყნის და ერის დაუძინებელ მტრებად ჰყავთ მოხსენიებული, რომელთა მიზანიც ეთნიკურად და შეგნებით ქართველის განადგურებაა; მულტიკულტურალიზმით, რელიგიური სექტების და ავადმყოფური სექსუალობის პროპაგანდით საზოგადოების მოწამვლა და „უცხოტომელების“ მასიური ჩამოსახლების ხელშეწყობაა. (ვერულიძე, 2017)

მათ ოფიციალურ საიტზე (geonsm.wordpress.com) ქვეყნდება ქართველი მოღვაწეების, მოაზროვნეების შემოქმედებაც, თუმცა მხოლოდ ისეთი ნაწილი, რომელიც თანხვედრაშია მათ იდეოლოგიასთან და ამყარებს მათ შეხედულებებს. მაგ. გრიგოლ რობაქიძის *„ჰიტლერი“* (1939 წელს შექმნილი), თუმცა საყურადღებოა ის, რომ მსგავს პუბლიკაციებს თან არ ახლავს ორგანიზაციის წევრების კომენტარები, შესავალი ან მათი ანალიზი.

მოძრაობის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ფაშისტური იდეოლოგიის მიმდევრები არიან. ფაშიზმის უპირატესობა, ორგანიზაციის წევრების აზრით, ამ

იდეოლოგიის მიერ სახელმწიფოს გაგებაშიც გამოიხატება. ფაშიზმის მიხედვით, სახელმწიფო წარმოადგენს სულიერ და მორალურ ფაქტს, რადგანაც ის წარმოაჩენს ერის პოლიტიკურ, იურიდიულ და ეკონომიკურ ორგანიზაციას, ხოლო ეს ორგანიზაცია თავის წარმოშობასა და განვითარებაში ერის სულის გამოხატულებაა. სახელმწიფო წარმოადგენს საგარეო და საშინაო უსაფრთხოებას, მაგრამ ამასთან ერთად არის ეროვნული სულის მცველი და მეურვე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულია ენაში, ტრადიცია-ჩვეულებებში, რელიგიაში. სახელმწიფო არის არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ ასევე წარსულიც და რაც მთავარია მომავალიც! (www.facebook.com/GeoNSM/)

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ წევრებს აქვთ ქცევის კოდექსიც, რომლის პირველი პუნქტია: *„გიყვარდეს შენი რასა, ერი, სახელმწიფო - შენი სამშობლო, რომელსაც საქართველო ჰქვია. თავდაუზოგავად იბრძოლე მისთვის და მაქსიმალურად გამოიყენე შენი შესაძლებლობები მისი კეთილდღეობისთვის“;* საინტერესოა მეოთხე პუნქტიც, რომელიც ასე ჟღერს: *„საფუძვლიანად შეისწავლე შენი ქვეყნის ისტორია და ერთობის - ეროვნული სოციალიზმის იდეოლოგია, რომლის რიგებშიც შენ ირიცხები. იყავი განათლებული და იაზროვნე კრიტიკულად. იცნობდე მტრების იდეოლოგიებსაც“;* მათი ქცევის კოდექსის მერვე პუნქტია: *„დაუშვებელია რასობრივი აღრევა და ერთნაირსქესიანი სექსუალური ურთიერთობა“;* აქვე, მეთერთმეტე პუნქტად დამატებულია: *„ნებისმიერი წევრის მიერ სხვის პირად ცხოვრებაზე ჭორაობა (რა თქმა უნდა, არ ეხება ერთსქესიან ურთიერთობებს) და ზურგსუკან ლაპარაკი ისჯება პირველივე შემთხვევაში გარიცხვით.* („ეროვნულ სოციალისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა-ის წევრის ქცევის კოდექსი“, 2017)

კიდევ ერთ საინტერესო ამონარიდს მოვიყვანთ ორგანიზაციის მეთაურის გ. ჭელიძის ინტერვიუდან, რომელიც გაზეთ „ალიაში“ უნდა დაბეჭილიყო და გაზეთის რედაქტორის გადაწყვეტილებით დაიბლოკა, თუმცა ინტერნეტ გამოცემა geonsm.wordpress.com ინტერვიუს სრულ ვერსიას გვთავაზობს. ჩვენთვის საინტერესოა ინტერვიუს ის ნაწილი, სადაც რესპოდენტი საკუთარ იდეოლოგიაზე საუბრობს: *„ფაშიზმი, როგორც მოგეხსენებათ, იტალიური ფენომენია. სიტყვა ფასცია (ერთობა, კავშირი) არის რომაული ნაჯახის ირგვლივ შეკრული წნელის კონა, რომელიც სიმტკიცის, ძალის, დაუმარცხებლობის, ძალაუფლების სიმბოლოა“.* მისი მოსაზრებით,

ფაშიზმი არის ეროვნული იდეის იდეოლოგიზაცია, სრულყოფა, უხარვეზობა - შექმნილი ორი საძულველი იდეოლოგიის - ლიბერალიზმისა და მარქსიზმის წინააღმდეგ. რესპოდენტი ამატებს: *„ფაშისტი ვერ ვიქნები იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ იტალიელი არ ვარ, მაგრამ ქართული ერთობის იდეას ვიზიარებ, რომელიც დაფუძნებულია ისრების კონის სიმტკიცეზე და ერთი ისრის მარტივად გადატეხვის პრინციპზე, რასაც ჩვენ ყველას სკოლიდანვე ჩაგვაგონებდნენ“.* (ჭელიძე, 2017)

გ. ჭელიძის მოსაზრებით, როგორც აზრი მოქმედების გარეშე უსარგებლოა და პირიქით, ერთის გარეშე მეორე მკვდარია. ასევეთივეა ერისა და სახელმწიფოს შორის მიმართებაც. მეტიც, ერი და სახელმწიფო ეს ერთი და იგივეა- სახელმწიფო ეს ერია მის პოლიტიკურ გამოხატულებაში. (ჭელიძე, 2017)

გ. ჭელიძე აცხადებს, რომ არ არის შოვინისტი და არ სძულს სხვა ერები და მათი წარმომადგენლები მათსავე ტერიტორიზე და მათ სამშობლოში (არა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე). (ჭელიძე, 2017)

საინტერესოა მისი ერთ-ერთი ამონარიდი ამავე სტატიიდან, რომელსაც ციტირების სახით გთავაზობთ: *„თუ მკითხავთ, რომ ვიზიარებ თუ არა „ნაციონალ–სოციალიზმის“, „ფაშიზმის“ რასობრივ კომპონენტებს, ვეწინააღმდეგები თუ არა რასობრივ აღრევას და ვარ თუ არა სისხლის სიწმინდის დაცვის მომხრე, გეტყვით, რომ ვარ და ქართული ერთობის იდეოლოგია რასობრივ იდეალებს სრულად აღიარებს. ქართული სახელმწიფო ქართულ სისხლზე და თეთრ რასაზე დაფუძნებული სახელმწიფო უნდა იყოს. სხვა ერის წარმომადგენელი, რომელიც დაბადებულია საქართველოში, ფლობს ენას, იცის ქვეყნის ისტორია, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მორალი, ქართული სახელმწიფოს წინაშე თავის სამოქალაქო მოვალეობებს პირნათლად ასრულებს, მაშინ ის ქართველი ერის ნაწილია“.* (ჭელიძე, 2017)

გ. ჭელიძე ამბობს, რომ ის არ არის რასისტი და არ სძულს სხვა ერები, მაგრამ რასობრივი აღრევის და მულტიკულტურალიზმის წინააღმდეგია.

გიორგი ჭელიძის ერთ-ერთ სტატიაში ვხვდებით მის შეფასებას ლევან ლორთქიფანიძის ესესი „ქართული ნაციონალიზმის განვითარების ძირითადი ეტაპები“, რომელშიც კრიტიკულად არის დანახული ლ. ლორთქიფანიძის მცდელობა მემარცხენე სოციალისტური იდეოლოგიის თანამშრომლობისა გარკვეული ფორმებით ეროვნულობასთან და სოციალიზმის ფუნდამენტზე ეროვნული იდეის შეერთებისა.

თუმცა ავტორი ესალმება ლ. ლორთქიფანიძის ამ მცდელობას, მაგრამ მიუთითებს იმ შეცდომებზე, რომელიც მისი აზრით, მან დაუშვა და გვთავაზობს ქართული ეროვნული შეგნების განვითარების ეტაპების საკუთარ ვერსიას. (ჭელიძე, 2017)

პირველ შეცდომას, რომელსაც გ. ჭელიძე აღნიშნავს ამ სტატიაში არის ლ. ლორთქიფანიძის მიერ ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიად მოხსენიება. არ არსებობს, ავტორის აზრით, ნაციონალიზმის იდეოლოგია, არსებობს ეროვნული იდეა. რაც შეეხება იდეოლოგიას, ის მხოლოდ სამია: ლიბერალიზმი, მარქსიზმი და ფაშიზმი. (ჭელიძე, 2017)

გ. ჭელიძე ეროვნული იდეის ფენომენის საფუძვლად თერგდალეულებს მიიჩნევს და მცდარად თვლის ლ. ლორთქიფანიძის მოსაზრებას, რომ 1832 წლის აჯანყება ნაციონალიზმის პირველი დემონსტრირება იყო საქართველოში. გ. ჭელიძე ამის შემდეგ აღწერს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას ეროვნული იდეის დასამკვიდრებლად. ამის შემდეგ განიხილავს ა. ჯორჯაძეს, როგორც ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის გამგრძელებელს, მის მემკვიდრეს, როგორც ქართული ენის, დამოუკიდებელი ეკლესიის, საერთო ისტორიული მეხსიერების, კონკრეტული ტერიტორიის საქართველოდ აღქმის დამცველს. ა. ჯორჯაძემ ილიას დაფუძნებულ პლატფორმას ეკონომიკური და სოციალური შტრიხებიც შემატა... ა. ჯორჯაძის შემდეგ ის განიხილავს მიხაკო წერეთლის, გერონტი ქიქოძის, სპირიდონ კედიას შემოქმედებას, მოღვაწეობას, აზრებს. სწორედ ამ ავტორებზე გადის, გ. ჭელიძის მიხედვით, ქართული ეროვნული შეგნების განვითარების ეტაპები და თითოეულ მათგანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში. (ჭელიძე, 2017)

გ. ჭელიძეს გამოაქვს ერთი საყურადღებო დასკვნა ეპილოგში, რომ არსად არც ერთ საზოგადოებაში არ შევხვდებით ისეთ ბუნდოვან წარმოდგენას, შეხედულებას ეროვნებაზე, როგორც საქართველოში. ამ საგანზე ბევრს ლაპარაკობენ - სიტყვიერად და წერილობით, მაგრამ ეროვნება იყო და რჩება ჩვენთვის გაუგებარ ამოცანად.

ჩვენ კი ავღნიშნავთ, რომ ეს სტატია ღირებულია თუნდაც მისი ინფორმაციული ხასიათის გამო. მასში მოკლედ და მართებულად არის გაცნობილი დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწეების მიზნები, მოქმედებები, შემოქმედება.

დასკვნის სახით გ. ჭელიძის აზრი ოტო ფონ ბისმარკის სიტყვებით შეგვიძლია გადმოვცეთ, რომელიც თავად „საქართველოს ეროვნული ერთობის“ ყოფილ მეთაურს

აქვს გამოყენებული და ციტირებული: *„თუკი 20 წლის ასაკში სოციალისტი არ ყოფილხარ გული არ გქონია, ხოლო თუ 30 წლის ასაკში კიდევ სოციალისტი ხარ ესეიგი ტვინი არ გქონია“.* (ჭელიძე, 2017)

ყურადღება განსაკუთრებით იმიტომ გავამახვილეთ გ. ჭელიძის შეხედულებებზე, რომ ის არის ამ ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ყველაზე აქტიური წარმომადგენელი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ორგანიზაციის სხვა წევრებზე. ის განსაზღვრავს მოძრაობის იდეოლოგიას და სამოქმედო გეგმას, ამიტომ მისი მოსაზრებების შესწავლა იგივე „საქართველოს ეროვნული ერთობის“ იდეოლოგიის შესწავლაა.

ეს მოძრაობა შედარებით აქტიურია აკადემიურად, მაგრამ ჩვენი რეკომენდაციით საჭიროა მათი მხრიდან მეტი მოღვაწეობა და ყურადღების გადატანა ორგანიზაციის საიტზე და არა მხოლოდ სოციალურ ქსელში გაკეთებულ გვერდზე. მათ უნდა გააგრძელონ მთარგმნელობითი საქმიანობა, რაც კარგად გამოსდით და ხშირად შემოგვთავაზონ სტატიები, რომლებიც მოძრაობის წარმომადგენლებს ეკუთვნით, საჭიროა მათი კრიტიკა, მათი ხედვა და არა მხოლოდ ცნობილი მოღვაწეების აზრების ციტირებით საზოგადოების მობილიზება. ამ შენიშვნის მიუხედავად ეს საიტი ერთადერთია ამ კვლევაში განხილულ საიტებს შორის, რომელიც ეწევა მთარგმნელობით მუშაობას, იცავს აკადემიურ სტილს, რაც დასაფასებელია. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ მოძრაობა სერიოზულად ეკიდება ეროვნულ-პატრიოტული და მათ შემთხვევაში ფაშისტური იდეოლოგიის გატარებას და არ აკეთებენ ამ საქმეს სამოყვარულო დონეზე დილეტანტური სტატიებით სავსე პოსტების ფონზე (სხვა საიტებისაგან განსხვავებით).

თავიV. მოძრაობა „ეროვნულები“ და „ქართული მარში“

§1. მოძრაობა „ეროვნულები“

ცალკე ფენომენია საქართველოში იმ ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობათა მოღვაწეობა, რომლებიც ყველაზე რადიკალურ ფრთას წარმოადგენენ და რომლებიც მხოლოდ სოციალური ქსელის მეშვეობით აპიარებენ საკუთარ ორგანიზაციას და იდეოლოგიას. ამის ნათელი მაგალითია მოძრაობა ,,ეროვნულები”, რომელიც 2016 წლის 8 თებერვალს დარეგისტრირდა ოფიციალურად (თუმცა მანამდეც ფუნქციონირებდა წლების განმავლობაში). მათი წესდების თანახმად, მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი მართლმადიდებლური ღირებულებების დაცვა და განმტკიცებაა. მისი დამფუძნებლები ალექსანდრე ბრეგაძე, კახაბერ მიგინეიშვილი და ზურაბ ენუქიძე არიან.

ორგანიზაცია არაფორმალურად 2012 წელს შეიქმნა და ის საზოგადოებრივ მოძრაობას წარმოადგენდა, რომელიც 2012 წლის ივლისში თანამშრომლობდა „ქართულ ოცნებასთან“. ეს გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ შეხვედრაზე გაჟღერდა, რომელსაც „ეროვნულების“ ლიდერებთან ერთად მაშინდელი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ი. ალასანიაც ესწრებოდა. შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ „ეროვნულების“ წარმომადგენლები „ქართულ ოცნებაში“ არსებულ თემატურ ჯგუფებს შეავსებდნენ და აქტიურად იმუშავებდნენ სხვადასხვა მიმართულებით. ი. ალასანიას მოსაზრებით, ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა იქნება საფუძველი საქართველოში მეტი სამოქალაქო თანხმობის და მეტი სოლიდარობის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოძრაობებს შორის. 2012 წელს მოძრაობა „ეროვნულების“ თავდაპირველ დამფუძნებელთა შორის ს. ბრეგაძესთან ერთად იყვნენ: ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე და ჟურნალისტი დავით სოკოლოვი. („ეროვნულები“ საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობას იწყებენ“, 2012)

სანდრო ბრეგაძე 2004 წლამდე ასლან აბაშიძის პარტიის „საქართველოს დემოკრატიული აღორძინების“ წევრი იყო და მისი საარჩევნო ბლოკის სახელით იყო პარლამენტშიც. ის 2014 წლის მაისში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა; ხოლო 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დიასპორის საკითხებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გახდა. საჯარო პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნის პროცესში ის ხშირად აკეთებდა ჰომოფობიურ განცხადებებს, რის გამოც სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ წევრებმა პრემიერ-მინისტრს მისი გადაყენების მოთხოვნით ორჯერ მიმართეს. 2016 წლის თებერვალში სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგა, რის მიზეზადაც ერთი სქესის პირთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით მისი პოზიცია დაასახელდა. საინტერესოა, რომ ს. ბრეგაძეს 2011 წელს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რაც პირობით სასჯელში ჩაეთვალა. 2016 წლის მონიტორინგის მიხედვით კი, მოძრაობა „ეროვნულების“ სახელით 26 სიძულვილის ენის შემცველი განცხადება გაკეთდა, საიდანაც 21 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 3 რასისტული და 2 ქსენოფობიური. („მოძრაობა ეროვნულები“, 2017)

მოძრაობა „ეროვნულების“ ინიციატივით საქართველოს პარლამენტში შევიდა წინადადება, რომლის მიზანიც საკონსტიტუციო შესწორების განხორციელება იყო, რომლის თანახმადაც ოჯახი უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა. ს. ბრეგაძე ამასთან დაკავშირებით აცხადებდა: *„საკონსტიტუციო შესწორების არსი მდგომარეობს შემდეგში, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით, მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც ემყარება მეუღლეების უფლებრივ თანასწორობას“.* (ჩადუნელი, 2016)

„ეროვნულების“ თანადამფუძნებელია კახაბერ მიგინეიშვილი, რომელიც იმ საინიციატივო ჯგუფის წევრი იყო, რომელმაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართა ქორწინების სტატუსის განმსაზღვრელი სარეფერენდუმო შეკითხვის დასარეგისტრირებლად. ცესკომ შეკითხვა არ დაარეგისტრირა. („ქართული ნეონაციზმის ანატომია“, 2018)

მესამე დამფუძნებელია: ზურაბ ენუქიძე, რომელიც პარტია „ქართული იდეის“ შემომწირველია. პარტია 2014 წელს დაარსდა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. მისი სიის პირველი ნომერი იყო ლევან ჩაჩუა, ხოლო მეორე-სანდრო ბრეგაძე, რომელიც ასევე საბურთალოს მაჟორიტარად იყრიდა კენჭს. „ქართული იდეა“ თავის მხრივ აქტიურად მონაწილებდა 2017 წლის ივლისის „ქართველთა მარშის“ ორგანიზებაში და ნაცისტურ ჯგუფებში საკმაოდ პოპულარული

ფეისბუქ გვერდით ეწეოდა მარშის აქტიურ პოპულარიზაციას. (იხ. დანართი. 10 „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევა 2018)

მოძრაობა „ეროვნულებს“ არ აქვთ ოფიციალური საიტი. ისინი არ ეწევიან აკადემიურ საქმიანობას, არ აქვეყნებენ სტატიებს, პუბლიკაციებს. თუმცა აქვთ „ფეისბუქ“ გვერდი, რომლის მეშვეობითაც აქტიურად გეგმავენ საკუთარ საპროტესტო აქციებს და შეკრებებს. სოციალურ ქსელში ამ გვერდის მეშვეობით აკეთებენ განცხადებებს, მოწოდებებს, თუმცა მათი საქმიანობა მხოლოდ ამით შემოიფარგლება. შეგახსენებთ, რომ ორგანიზაცია „ეროვნულები“ „ქართული მარშის“ შექმნის შემდეგ მისი წევრი გახდა და „ეროვნულების“ ლიდერები „ქართული მარშის“ ლიდერებდ წარმოგვიდგებიან დღეს, ამიტომაც ამჟამად მოძრაობა მხოლოდ „ქართული მარშის“ ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე აქტიურობით შემოიფარგლება. ამიტომაც ლოგიკურია, რომ ამ მოძრაობის ოფიციალურ სოციალურ გვერდს, სხვა ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობების გვერდებთან შედარებით, ნაკლები გამომწერი ჰყავს - 1018 ამ დროისთვის (09.12.2018). მოძრაობას აქვს საკუთარი ემბლემაც. (იხ. დანართი. 11)

მათ სოციალური გვერდზე ხშირად ვხვდებით გადაღებულ ფოტოებს მოძრაობის აქციებიდან, მათი ყრილობებიდან, ორგანიზაციის შეკრებიდან, მათ ლიდერებს პროტესტის დროს ყოველგვარი სათაურის და მითითებების გარეშე, თუ სად ხდება ასახული პროცესი. ძველ პოსტებს თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ „ეროვნულები“ 2012 წელს აქტიურად უჭერდნენ მხარს პარტია „ქართულ ოცნებას“. ეს ორგანიზაცია საყურადღებოა იმიტომ, რომ მისი ლიდერები დღეს საქართველოში ცნობილი რადიკალურად მომქმედი ეროვნულ-პატრიოტული იდეის დამცველები არიან. ისინი გადაიქცნენ „ქართული მარშის“ ფუნდამენტურ ძალად და ამ ყველაფერს ახერხებენ მხოლოდ სოციალურ ქსელში მოღვაწეობის წყალობით. მათ არ აქვთ ოფიციალური ინტერნეტ გამოცემა, მაგრამ ხშირად არიან მედიის დაკვირვების ობიექტები, რაც განაპირობებს მათ პოპულარობას საზოგადოებაში. ორგანიზაციის იდეოლოგიაზე და ამ იდეოლოგიის გავრცელების გზებზე „ქართული მარშის” განხილვისას ვისაუბრებთ კვლევის შემდეგ ნაწილში.

§2. „ქართული მარში“

„ქართული მარში“ არის ანტილიბერალური, კონსერვატული და ულტრანაციონალისტური სახალხო ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც 2017 წელს

დაარსდა. ორგანიზაციის ლიდერები არიან: ალექსანდრე ბრეგაძე, ლადო სადღობელაშვილი, გია კორკოტაძე. როგორც ვხედავთ ლიდერთა ნაწილი მოძრაობა „ეროვნულებს“ წარმოადგენენ. მოძრაობის იდეოლოგია არის: ნაციონალ-კონსერვატიზმი, ქრისტიან-დემოკრატია.

„ქართული მარში“-ის სიმბოლო დავით აღმაშენებლის დროშაა. (იხ. დანართი. 12)

„ქართული მარშის“ პირველი მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა 2017 წლის 14 ივლისს და აქციის მონაწილეების მოთხოვნა იყო უცხოელი არალეგალური იმიგრანტების დეპორტაცია საქართველოდან და ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება. საპროტესტო აქციები გაგრძელდა 31 ოქტომბერს, როდესაც ამ მოძრაობამ საპროტესტო აქცია მოაწყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათაო ოფისის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნის- გურამ კაშიას გუნდიდან მოკვეთის მოთხოვნით, რადგან მან ითამაშა ლგბტ პირების დროშით შეფერილი კაპიტნის სამკლაურით. ამ სამკლაურის გაკეთებით გ. კაშია შეუერთდა ლგბტ პირებზე ძალადობის წინააღმდეგ მოწყობილ აქციას მთელი ევროპის მასშტაბით. იგი ამ ქმედებით სექსუალური უმცირესობებისადმი გამოვლენილი აგრესიის წინააღმდეგ გამოვიდა. („ქართული მარში“, 2018)

ამ გახმაურებული პროტესტის შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საპროტესტო აქცია გამართა მარშმა 2018 წლის 19 მარტს აქცია სატელევიზიო კომპანია „რუსთავი-2“-ის შტაბ-ბინასთან. პროტესტი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რადგან ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას ადანაშაულებდნენ გადაცემა „პოსკრიპტუმის“ შესავალში იესოს შესახებ გაკეთებული კომენტარის გამო, რომელიც მარშმა მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის შეურაცხყოფად მიიღო. „ქართული მარშის“ წევრები ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებს. ერთ-ერთი მათგანი სასწრაფო დახმარებამ საავადმყოფოშიც კი გადაიყვანა. ამ პროტესტის დროს მარშის ექვსი წევრი დააკავა პოლიციამ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის დარღვევის ბრალდებით (ეს მუხლი სისტემატური ცემა ან ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის გამომწვევ სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს). („ქართული მარში“, 2018)

2018 წლის 9 თებერვალს liberali.ge აქვეყნებს სიახლეს სათაურით: „ქართული მარში“ სამოქალაქო პატრულირების დაწყებას რამდენიმე კვირაში გეგმავს“, სადაც „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებლი გია კორკოტაშვილი გამოვიდა

ინიციატივით, რომ მოძრაობას სამოქალაქო პატრულირება მომდევნო რამდენიმე კვირაში დაეწყო. მისი თქმით, სამოქალაქო პატრული შსს-ს დაეხმარება და ქუჩებში საზოგადოებრივ წესრიგს დაამყარებს. მიზანი კრიმინალის გაზრდილ რიცხვთან ბრძოლა იყო, სადაც სამართალდამცველები არ იქნებოდნენ დანაშაულის ადგილზე ამ მოძრაობის წევრები ჩაერეოდნენ. („ქართული მარში“ სამოქალაქო პატრულირების დაწყებას რამდენიმე კვირაში გეგმავს“, 2018)

მოძრაობის მეორე ლიდერი დავით ზირაქიშვილი ფიქრობდა და ხმამაღლა გამოთქვამდა აზრს, რომ ყველა მოქალაქეს დამნაშავის დაკავების კონსტიტუციური უფლება აქვს. ანუ თითოეულს შეეძლება განახორციელოს სამოქალაქო დაკავება.

პოლიტიკოსები ამ წამოწყებას, რა თქმა უნდა, უარყოფითად შეხვდნენ. მაგ. ეს იდეა გააკრიტიკა თამარ ჩუგოშვილმა. ის თვლის, რომ ქვეყანაში წესრიგის დაცვა მხოლოდ პოლიციის კომპეტენციაა. ნებისმიერი სხვა ერთეული არაუფლებამოსილია, რომ პოლიციის უფლებების შეთავსება სცადოს; ამ აზრს ეთანხმება რ. გოცირიძეც, რომელსაც ეს გადაწყვეტილება გერმანიაში ფაშისტური მოძრაობის დასაწყისს აგონებს. მისი თქმით, ხელისუფლებამ სამოქალაქო პატრულირება არ უნდა დაუშვას, რადგან ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი მოქალაქეები. („ქართული მარში“ სამოქალაქო პატრულირების დაწყებას რამდენიმე კვირაში გეგმავს“, 2018)

ეს ინიციატივა ინიციატივად დარჩა და არ განხორციელდა. მარშის მხრიდან იყო მცდელობები სამოქალაქო პატრულირების, მაგრამ ეს წამოწყება დაწყებიდან მალევე შეჩერდა.

„ქართული მარში“ ყველაზე აქტიური ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობაა საქართველოში, რომელიც პოლიტიკური განცხადებების გაკეთებითაც გამოირჩევა. მაგალითად: 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოძრაობამ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას გარკვეული პირობების სანაცვლოდ. ამის შესახებ 1 ნოემბერს სანდრო ბრეგაძემ და კონსტანტინე მორგოშიამ ბრიფინგზე ისაუბრეს. მათი თქმით, ორგანიზაციამ გადაწყვიტა აქტიურად ჩაერთოს საარჩევნო პროცესებში და სალომე ზურაბიშვილს მხარი დაუჭირონ ორი პირობის სანაცვლოდ: 1) პირველი პირობაა - მარიხუანის კულტივიზაციის კანონის სასწრაფოდ უკან გაწვევა და „ქართული

ოცნების“ პირობა, რომ ეს კანონი არასდროს შევა პარლამენტში განსახილველად (ავტ. ამ მოთხოვნის პირველი ნაწილი დაკმაყოფილდა 2018 წლის 2 ნოემბერსვე); 2) რადგან ორივე პრეზიდენტობის კანდიდატი არის დაბალი ლეგიტიმაციის მქონე (არჩევნების პირველი ტურის შედეგების გათვალისწინებით) ამიტომ, ორგანიზაციის მეორე მოთხოვნაა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. („ქართული მარში: ზურაბიშვილს მხარს დავუჭერთ, თუ მარიხუანის კანონპროექტს გაიწვევენ“, 2018)

„ქართული მარში“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც სხვადასხვა ნეონაცისტურ ორგანიზაციას აერთიანებს. ამ სახელით ამ გაერთიანებამ, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, მოქმედება 2017 წლის ზაფხულში დაიწყო, თუმცა არ აღგვინიშნავს ის მიზეზი რამაც გამოიწვია მოძრაობის შექმნა. „ქართული მარშის“ ფორმირება იყო პასუხი იმ შემთხვევაზე, რასაც სამართალდამცველების მხრიდან ირანის მოქალაქის დაკავება მოჰყვა არასრულწლოვანის გაუპატიურების ბრალდებით. მარშის აგრესია შექმნის პერიოდში მთლიანად მიმართული იყო საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისადმი. გაერთიანებამ საქმიანობა არალეგალი მიგრანტების გაძევების მოთხოვნით დაიწყო. შემდეგ მარშის საქმიანობის პორტფელს ჰომოფობიური მოწოდებებიც დაემატა.

მარშთან არის დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციები: „ეროვნულ ძალთა შეთანხმება“, არის კოალიციური კავშირი, რომელიც განსაკუთრებით ღამის კლუბ „ბასიანში“ სპეცოპერაციის გამართვის შემდეგ გააქტიურდა. ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძეა. სწორედ ის ხელმძღვანელობდა ორგანიზაციის მიმართვას რუსთაველის გამზირზე კონტრაქციის მოწყობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, თუ ეროვნული ძალები ამ მძიმე წუთებში არ გააქტიურდებოდნენ *„ნარკომანები და სოდომისტები დედაქალაქის პარალიზებას მოახდენდნენ“;* („რუსული ფული ქართული ნეოფაშიზმის უკან“, 2018)

„ქართული მარშის“ აქტიური და საზოგადოებისთვის ცნობილი წევრია მოძრაობა „ეროვნულები“, რომლის დამფუძნებელიც სანდრო ბრეგაძეა (აქვე ავღნიშნოთ, რომ მოძრაობაზე მეტად პოპულარულია თავად მოძრაობის ლიდერი ს. ბრეგაძე, რომელიც თავისი რადიკალური განცხადებების და ქმედებების გამო საზოგადოებისთვის უკვე ცნობილ სახედ იქცა).

„სამოქალაქო აქტივობის კლუბი“ ერთ-ერთი წევრია „ქართული მარშის“, რომელიც გიორგი გაბედავას დაფუძნებულია და რომელიც „ლევან ჩაჩუას ფონდის“ თანადამფუძნებელია. „სამოქალაქო აქტივობის კლუბის“ წესდებაში ვკითხულობთ, რომ ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების დაცვაა. გ. გაბედავასთან ერთად „სამოქალაქო აქტივობის კლუბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მელორ ვაჩნაძეა. 2017 წლის ივლისში მ. ვაჩნაძემ განცხადება გააკეთა და „ქართულ მარშს“ აქციის ჩატარების წინ გამოეთიშა, თუმცა ის აქტიურად გამოჩნდა კლუბ „ბასიანში“ და კაფე „გალერიაში“ შსს-ს მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად დაწყებული აქციების კონტრაქციაზე, სადაც საბოლოოდ ის დააკავეს კიდეც. („რუსული ფული ქართული ნეოფაშიზმის უკან“, 2018)

„ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერია გია (გიორგი) კორკოტაშვილი, რომელიც ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული მისიის“ დამფუძნებელია. მათი ოფიციალური ფეისბუქ გვერდის მიხედვით, ორგანიზაცია იურიდიულ დახმარებას სთავაზობს მოქალაქეებს, მათ შორის უცხოელებს. ორგანიზაციის გამგეობის წევრის, გიორგი ზარნაძის მიერ 2015 წელს ორგანიზაციის სახელით გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „ქართული მისია“ გამოხატავს გულღია პატივისცემას და მოკრძალებას საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების თანამოქალაქის მიმართ და მოუწოდებს ყველას თანადგომისაკენ, რათა ერთად ავაშენოთ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო. („რუსული ფული ქართული ნეოფაშიზმის უკან“, 2018)

„ქართული მარში“ არ ეწევა აკადემიურ საქმიანობას. მათ ჰქონდათ ოფიციალური საიტი, რომელიც გაუქმებულია, ამიტომ მოგვიწია მათი ფეისბუქ გვერდის შესწავლა. დავიწყოთ იმით, რომ ეს მოძრაობა დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოულარულია, ამიტომ ამ კვლევის მომზადებისას მას ვერ ავუვლიდით გვერდს. მათ ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდს ჰყავს 18 779 გამომწერი დღევანდელი დღის მონაცემებით (19.11.2018). გვერდი არის ძალიან აქტიური და სთავაზობს მომხმარებელს ყოველდღიურ „პოსტებს“. „ფეისბუქ“ გვერდზე ვხვდებით მოწოდებებს, აქციის დაგეგმვის ტექსტებს, პოლიტიკურ განცხადებებს... ორგანიზაცია პოლიტიკურ პოზიციას ღიად აფიქსირებს. როგორც ავღნიშნეთ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას „ქართულმა მარშმა“ მხარი სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას

დაუჭირა, მაგრამ ეს მოხდა მეორე ტურის კამპანიის პერიოდში, ხოლო პირველ ტურში „ქართულმა მარშმა“ ბოიკოტი გამოუცხადა პრეზიდენტის არჩევნებს და შესაბამისად მარშის მხარდამჭერებიც არ მივიდნენ საარჩევნო უბნებზე. მეორე ტურში კი მათ გადაწყვიტეს, რომ ბოიკოტი აღარაა გამართლებული და მათ პირიქით, აქტიურობა მოეთხოვებათ. „ფეისბუქ“ გვერდზე აქტიურად ხდება ყველა იმ სიახლის, სიუჟეტის გამოხმაურება, რომელიც კეთდება ორგანიზაციის შესახებ. ვეს მიჩელის, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, განცხადებით - საქართველოში ნაციონალისტური ძალების გამოჩენა არის რუსული პროპაგანდისტული იარაღის და დეზინფორმაციის ნაწილი. (www.facebook.com/qartulimarshi)

„ქართული მარშის“ უკან რუსული ფულის არსებობაზე საუბრობს, რამდენიმე ამ თემაზე ჩატარებული კვლევა. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს 2018 წლის 17 მაისის კვლევაა სახელწოდებით: „ქართული ნეონაციზმის ანატომია“, რომელშიც საუბარია ორგანიზაციის უკან სხვა რუსულ კვალთან ერთად „გორჩაკოვის ფონდის“ არსებობაზეც. „გოჩაკოვის ფონდი“ რუსეთის რბილი ძალის გავრცელების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის წესდების მიხედვითაც, ფონდის მიზანია სამეცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების დახმარება საერთაშორისო ურთიერთობებში, მასობრივი ინფორმაციებისა და ინფორმაციული რესურსების საშუალებების მხარდაჭერა, საზღვარგარეთ რუსეთისთვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საზღვარგარეთ რუსეთის ინტელექტუალური, კულტურული, სამეცნიერო და საქმიანი პოტენციალის წინ წაწევა, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა სამამულო, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. („ქართული ნეონაციზმის ანატომია“, 2018)

მარშმა ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე 2018 წლის 24 სექტემბერს განაცხადა, რომ ორგანიზაციაში დამთავრდა რეორგანიზაცია და ის ყალიბდება ევროპული ტიპის ნაციონალისტურ მოძრაობად, რომლის მოქმედებაც გახდება უფრო რადიკალური და ეფექტური, რომელიც მათი თქმით, „ლიბერალისტული-სოროსული“ იდეოლოგიის წინააღმდეგ იქნება მიმართული. მარში ოქტომბრიდან გეგმავდა აქციების ციკლს საემიგრაციო პოლიტიკის უკიდურესად გამკაცრების და ნარკოტიკების საყოველთაო აკრძალვის კანონის მიღების წინააღმდეგ. მათ განაცხადეს, რომ ამ ქმედებით დიდი ეროვნული ფრონტი იხსნებოდა!

„ქართული მარში“ ეხება რელიგიური თავისუფლების თემასაც. ისინი ეწინააღმდეგებიან ქართველ მუსლიმთა მოთხოვნას მეჩეთის აშენების შესახებ ბათუმში. ისინი თვლიან, რომ ეს არ ჯდება რელიგიური თავისუფლების გამოხატვის ფარგლებში და არც ტოლერანტულ მიდგომას იმსახურებს. მათ „ფეისბუქში“ წამოიწყეს კამპანია სახელწოდებით: *„ბათუმში არ არის მეჩეთის ადგილი“*, რომელსაც აქტიურად ავრცელებდნენ და რომელსაც ორგანიზაციის ოფიციალური „ფეისიბუქ“ გვერდის მრავალი გამომწერიც აზიარებდა და იწონებდა. (იხ. დანართი. 13 ბათუმში არ არის მეჩეთის ადგილი)

ორგანიზაციის წევრები და მათი მომხრეები განსაკუთრებით აგრესიულად იყვნენ განწყობილნი ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაიძის მიმართ, რომელსაც შეურაცხყოფას აყენებდნენ 2018 წლის 29 ივლისს გაკეთებულს ფეისბუქ მიმართვაში და მას უწოდებდნენ: „ყიზილბაშის ოყნას“ და „პირაყროლებულ პრიმატს“. ეს რეაქცია გამოიწვია ტარიელ ნაკაიძის „ფეისბუქ“ გვერდზევე გაკეთებულმა ერთ-ერთმა განცხადებამ. (იხ.დანართი. 14)

ეს კამპანია წარიმართა თორნიკე რიჟვაძის წინააღმდეგაც, რომელიც აჭარის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეა და მან თანამდებობაზე მოსვლისთანავე განაცხადა, რომ აშენებდა გრანდიოზულ მეჩეთს ბათუმში. 2018 წლის 12 აგვისტოს სწორედ თორნიკე რიჟვაძის წინააღმდეგ გაიმართა აქცია ბათუმში „ქართული მარშის“ მიერ, სადაც თ. რიჟვაძეს პირდაპირ ეწოდა ქვეყნის მოღალატე.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მათ გვერდზე 18 ივლისს დაწყებული გამოკითხვაა: „ემხრობით თუ არა საქართველოს გაწევრიანებას „ნატოში“?”. ამ კითხვაზე გამოკითხულთა 55% უარყოფითად პასუხობს და სულ 720 ადამიანს აქვს მონაწილეობა მიღებული გამოკითხვაში.

„ქართულ მარში“ დაუპირისპირდა ფემინისტებს, როცა მარშის წარმომადგენლები გაეროში საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა ელჩს თათია დოლიძეს მის მიერ დაწერილი სტატუსის გამო ემუქრებოდნენ. თ. დოლიძე წერდა, რომ მისთვის მიუღებელია ეს ულტრა-მემარჯვენე, ქსენოფობიური გამოსვლები, რომლებიც ნამდვილად არ წაადგება საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. „ქართული მარშის“ აქციებს თ. დოლიძე ევროპულ ქვეყნებში უკვე კარგად დაცდილ რუსულ პროპაგანდას უწოდებდა. „ქართული მარშის“ წარმომადგენლებმა „Facebook პოსტითვე“ უპასუხეს თ.

დოლიძის აზრს, რომელიც დაწერის შემდეგ ნეგატიური გამოხმაურობის გამო მალევე წაიშალა. მარშის ორგანიზატორები გია კორკოტაშვილი, მიხეილ ამისულაშვილი და პატრიოტთა ალიანსის წევრი კონსტანტინე მორგოშია და სხვებიც თათია დოლიძეს გაუპატიურებით ემუქრებოდნენ კომენტარებში. („ქართველთა მარშის“ ორგანიზატორები თათია დოლიძეს ჯგუფური გაუპატიურებით ემუქრებიან“, 2017)

დასკვნა

კვლევაში შესწავლილია საქართველოში მოღვაწე ექვსი ერთმანეთისგან განსხვავებული ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები და მათი საიტები, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ამ ორგანიზაციებისათვის საზოგადოებასთან საკომუნიკაციო ძირითადი საშუალება სოციალური ქსელი „ფეისბუქია“, ამიტომ პარალელურ რეჟიმში შევისწავლეთ ამ ეროვნული მოძრაობების ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდები, რათა უფრო ნათელი ყოფილიყო ის შინაარსი და ფორმა რა სახითაც აცნობენ ორგანიზაციები საზოგადოებას საკუთარ იდეოლოგიას და რწმენას. კვლევის პროცესში დაგვიდასტურდა შემუშავებული ჰიპოთეზა, რომ ელექტრონული კომუნიკაციის შესაძლებლობის წინსვლა იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების განვითარების ახალ შესაძლებლობას ქმნის, რომლის გამოყენებასაც ცდილობენ ის ჯგუფები, რომლებსაც კონკრეტული პოლიტიკური მიზნები გააჩნიათ. ამ შემთხვევაში ამ ჯგუფების რიცხვს ნამდვილად მიეკუთვნებიან შესწავლილი ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები.

თითოეული ამ მოძრაობისთვის დამახასიათებელია აგრესიული განწყობა სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი, რაც გამოიხატება მათ ინტერნეტ გამოცემებშიც. საკუთარ სიახლეებში ისინი მწვავე კომენტარებს აკეთებენ სხვა მოძრაობებისადმი. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისადმი საქართველოში და არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანებისადმი. შესწავლილი ინტერნეტ გამოცემებიდან გამონაკლისია მხოლოდ - www.georoyal.ge.

დავასკვენით, რომ მოძრაობების უმეტესობას ჰყავთ გამოკვეთილი ერთი ან ორი ლიდერი და დანარჩენი წევრების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას არც აქვს და ნაკლებადაც აინტერესებს, რადგან ამ ლიდერის(ების) მოსაზრებები სრულად ასახავს, გამოხატავს მთლიანი მოძრაობის მიზანს და მათი გადაწყვეტილებების მიზეზებს. შეგვხვდა გამონაკლისის სახით მაგალითიც და ესაა „კარდჰუ“. ამ მოძრაობის წევრების ვინაობა საერთოდ არაა ცნობილი. ამ გამონაკლისის მიუხედავად ზოგადად მაინც საქართველოში ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები არიან პერსონიფიცირებულები იმ ხარისხით, რომ კონკრეტული ლიდერი აფერმკრთალებს მოძრაობას. ხშირია შემთხვევა, რომ საზოგადოებამ ბევრი რამ იცის ლიდერის შესახებ და მინიმალური ინფორმაცია აქვს თავად ორგანიზაციის შესახებ. ამის ბრწყინვალე მაგალითია სანდრო

ბრეგაძე და მისი მოძრაობა „ეროვნულები“. ნებისმიერ ამ ორგანიზაციის შესახებ ინტერნეტ სივრცეში შექმნილი სტატიის სათაურში სანდრო ბრეგაძის ფიგურაზეა ყურადღება გამახვილებული და შესაბამისად საზოგადოება უკეთ იცნობს ს. ბრეგაძეს და არა „ეროვნულებს“.

ამ კვლევის ჩატარების პროცესში მივედით საყურადღებო პრობლემამდე. ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების მოძრაობების ნაწილი საკუთარ ინტერნეტ გამოცემებს იყენებენ კონკრეტული მიზნისთვის - ანტიდასავლური განწყობის გასაძლიერებლად საზოგადოებაში. ამ ორგანიზაციების ნაწილს აქვს გამოკვეთილად პრორუსული განწყობა, რაც მარტივად აიხსნება იმით, რომ ორგანიზაციების ეს ნაწილი რუსეთიდან ფინანსდებიან. ორგანიზაციების უკან სხვა რუსულ კვალთან ერთად იკვეთება „გორჩაკოვის ფონდის“ არსებობაც. თავად ეს ფონდი კი რუსეთის რბილი ძალის გავრცელების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მაგ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ თავის კვლევაში „ქართული ნეონაციზმის ანატომია“ გამოკვეთს ამ ფონდის მიერ „ქართული მარშის“ დაფინანსების ფაქტს.

გვინდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციათა უმეტესობა არ იცავს აკადემიურ სტილს. მათ ინტერნეტ გამოცემებში ვხვდებით მცირე მოცულობის საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებელ სიახლეებს, პოსტებს, რომელიც დილეტანტური ხასიათისა და ვერ ვუწოდებთ მათ სტატიებს. ამ დასკვნის ნათელი დადასტურებაა მოძრაობა „ქართული იდეა“ და მათი საიტი - qartuliidea.ge.

ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობების საიტების შესწავლისას გამოიკვეთა მეორე კატეგორიაც, რომელიც გამოირჩევა თავად ორგანიზაციის წევრების მიერ გაკეთებული მცირე კომენტარებით, რომელსაც ისინი ურთავენ გამოქვეყნებულ ორიგინალ ტექსტებს. ამ ტექსტებში კი ვხვდებით ცნობილი მეცნიერების, ფილოსოფოსების, მოაზროვნეების გამონათქვამებს, სტატიებს ან ნაშრომიდან ნაწყვეტებს. თავად ეროვნული მოძრაობის საქმიანობა საიტზე უფრო მეტად ამ ტექსტების წინ ავტორის მცირე ბიოგრაფიის დართვაში გამოიხატება, რომელსაც იშვიათ შემთხვევაში ემატება საკუთარი აზრის გამოთქმაც, თუ რატომ ეთანხმება/არ ეთანხმება მოძრაობის წევრი ავტორს. ამ საიტების რიგებშია ყველაზე ნახვადი საიტი ეროვნულ-პატრიოტული საიტებიდან: www.georoyal.ge.

გამოვყოთ მესამე კატეგორია ამ ეროვნული მოძრაობებიდან, რომელსაც არ აქვს გახსნილი საიტი და აქვს მხოლოდ სოციალურ ქსელში გვერდი და გამოირჩევა რადიკალური ქმედებებით. ეს კატეგორია დღეს საზოგადოებაში ყველაზე პოპულარულია, ცნობადია და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ეს მოძრაობები საერთოდ არ ეწევიან აკადემიურ საქმიანობას. მათ აქვთ მკვეთრი დაპირისპირება საზოგადოების სხვა ჯგუფებთან. ამ მესამე კატეგორიის მაგალითია „ქართული მარში“.

გვაქვს მეოთხე კატეგორიაც, რომელიც აკადემიურ-მთარგმნელობით სამუშაოებშია ჩართული და მოძრაობის წარმომადგენლები კარგად იცნობენ საკუთარ იდეოლოგიას და ცდილობენ საზოგადოებას საკუთარი საიტის მეშვეობით გააცნონ ის, დაანახონ მათი იდეოლოგიის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის. ამის მაგალითად მოვიყვანთ: geonsm.wordpress.com, რომლის შემქმნელიც „საქართველოს ეროვნული ერთობაა“.

ამ პირობითი კატეგორიზაციის მიუხედავად ექვსივე შესწავლილი ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობა მეტად აქტიურია სოციალურ ქსელში და არა ინტერნეტ გამოცემებში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ სოციალურ ქსელში მარტივია მოღვაწეობა და თან ეფექტის თვალსაზრისითაც საზოგადოების დიდი ნაწილის მობილიზება შეგიძლია „ფესბუქის“ მეშვეობით.

გამოყენებული საგაზეთო სტატია:

- მჭედლიშვილი, მ. (25 09 2018 წ.). ლევან ჩაჩუა: „ქართული ოცნება“ ბაქრაძის გაპრეზიდენტებაზე მუშაობს. *„ახალი თაობა“, № 227 (7772)*

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

- (24 09 2017 წ.) *„ეროვნულ სოციალისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა-ის წევრის ქცევის კოდექსი“.* მოპოვებულია 03 12 2018 წ., https://geonsm.wordpress.com/ -დან.
- (18 07 2012 წ.) *„ეროვნულები“ საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობას იწყებენ“.* მოპოვებულია 09 12 2018 წ., http://www.tabula.ge/ge/story/ -დან.
- (07 06 2017 წ.) *„მოძრაობა ეროვნულები“.* მოპოვებულია 11 12 2018 წ., http://www.mythdetector.ge/ -დან.
- (10 07 2016 წ.) *„კათალიკოს-პატრიარქები“.* მოპოვებულია 22 10 2018 წ., https://kardhu.wordpress.com - დან.
- (24 08 2016 წ.) *„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“.* მოპოვებულია 18 10 2018 წ., https://kardhu.wordpress.com - დან.
- (18 05 2018 წ.) *„რუსული ფული ქართული ნეოფაშიზმის უკან“.* მოპოვებულია 19 11 2018 წ., http://www.tabula.ge/ -დან.
- (3 02 2018 წ.) *„საქართველოს სამეფო (მონარქისტული) კლუბის მოკლე სამუშაო რეგლამენტი“.* მოპოვებულია 18 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან.
- (21 01 2017 წ.) *„საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ მამულიშვილებს“.* მოპოვებულია 22 11 2018 წ., **http://itkompania.ge/qartuliidea.ge/** - დან.
- (16 10 2016 წ.)*„საქართველო უპირველეს ყოვლისა“.* მოპოვებულია 20 10 2018 წ., https://kardhu.wordpress.com - დან.
- (25 08 2015 წ.) *„უძველესი ენა საქართველოში წარმოიშვა“.* მოპოვებულია 21 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან.
- (31 08 2016 წ.) *„ქართველი ერის ტრაგედია, ილია მართალის მკვლელობა“.* მოპოვებულია 24 10 2018 წ., https://kardhu.wordpress.com - დან.
- (17 05 2018 წ.) *„ქართული ნეონაციზმის ანატომია“.* მოპოვებულია 10 11 2018 წ., https://www.transparency.ge/ -დან.
- (27 12 2018 წ.) *„ქართული მარში“.* მოპოვებულია 28 12 2018 წ., https://ka.wikipedia.org/ - დან.

- (09 02 2018 წ.) *„ქართული მარში“ სამოქალაქო პატრულირების დაწყებას რამდენიმე კვირაში გეგმავს“.* მოპოვებული 19 11 2018 წ., http://liberali.ge/news/ -დან.
- (01 11 2018 წ.) *„ქართული მარში: ზურაბიშვილს მხარს დავუჭერთ, თუ მარიხუანის კანონპროექტს გაიწვევენ“.* მოპოვებულია 20 11 2018 წ., http://www.tabula.ge/ -დან.
- (17 07 2018 წ.) *„ქართველთა მარშის“ ორგანიზატორები თათია დოლიძეს ჯგუფური გაუპატიურებით ემუქრებიან“.* მოპოვებულია 22 11 2018 წ., http://www.tabula.ge/ -დან.
- (01 09 2018) *„ფაშისტური მოძრაობის ლიდერი, გიორგი ჭელიძე უკანონო იარაღისთვის დააკავეს“.* მოპოვებულია 25 11 2018 წ., https://www.transparency.ge/ -დან.
- (29 10 2017 წ.) *„ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი!“.* მოპოვებულია 24 11 2018 წ., **http://itkompania.ge/qartuliidea.ge/** - დან.
- ვერულიძე, თ. (06 10 2017 წ.). *„არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ეროვნული ერთობა“-ის სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას“ მიერ თვითმართველობის არჩევნებში პოლიტიკოსთა მხრიდან ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ განცხადებების დაგმობის საპასუხო განცხადება“.* მოპოვებულია 28 11 2018 წ., https://geonsm.wordpress.com/ -დან.
- თაკალანძე, ი. (30 05 2018 წ.). *„ლევან ჩაჩუას 2 ტყუილი ლუკაშენკოს და ბუტარისის შესახებ“.* მოპოვებულია 27 11 2018 წ.,http://www.mythdetector.ge -დან.
- მამალაძე, გ. (14 03 2016 წ.). *„საპრეზიდენტო ინსტიტუტი ანაწევრებს, მონარქია - აერთიანებს“.* მოპოვებულია 17 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან
- (10 02 2016 წ.) *„ქართველთა ნაკლი - უცხოელებისგან დანახული“.* 19 11 2018 წ., მოპოვებულია 10 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან.
- მამალაძე, გ. (01 08 2015 წ.). *„ეროვნული იდეოლოგიის ვერტიკალური და ჰორიზონტალური პოსტულატები (მამული, ენა, სარწმუნოება + ერი, გვარი, ოჯახი).* მოპოვებულია 20 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან.
- მამალაძე, გ. (03 12 2015 წ.). *„რაში აინტერესებს რუს პოლიტოლოგებს თანამედროვე ქართული მონარქისტული იდეოლოგიის ეთნიკური დომინანტები“.* მოპოვებულია 19 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან.
- მამალაძე, გ. (23 09 2015 წ.). *„რა ეღირება მეფის შენახვა (თუ რჩენა)“.* მოპოვებულია 20 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან.
- ჟვანია, ჯ. (29 10 2014 წ.). *„ჯონ ბასს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს“.* მოპოვებულია 26 11 2018 წ., http://geworld.ge/ge/ -დან.
- ტარყაშვილი, ნ. (30 09 2015 წ.). *„თვალსაზრისი - მეფეო, შენსა გვირგვინსა, ოთხკუთხივ ჯვარი სწერია“.* მოპოვებულია 20 11 2018 წ., http://www.georoyal.ge/ -დან.

- ჩადუნელი, ს. (02 08 2016 წ.). *„მოძრაობა „ეროვნულები“ საკონსტიტუციო შესწორების ინიციატივით გამოდიან“.* მოპოვებულია 14 12 2018 წ., https://www.primetime.ge დან.
- ჩაჩუა, ლ. (04 10 2015 წ.). *„ღია წერილი საქართველოს პოლიტ-ელიტას“.* მოპოვებულია 25 11 2018 წ., **http://itkompania.ge/qartuliidea.ge/** - დან.
- ჩაჩუა, ლ. (24 12 2013 წ.). *„კონსტიტუციური (სახალხო) მონარქიის შესახებ“.* მოპოვებულია 26 11 2018 წ., **http://itkompania.ge/qartuliidea.ge/** - დან.
- ჭელიძე, გ. (21 08 2017 წ.). *„ეროვნული სოციალისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა“- ის შესახებ მომზადებული საგაზეთო სტატია, რომელიც გაზეთ „ალიაში“- ში უნდა დაბეჭდილიყოდა გაზეთის რედაქტორის გადაწყვეტილებით დაიბლოკა. ჩვენი მოძრაობა უცვლელად გთავაზობთ ჟურნალისტის კითხვებს და მოძრაობის მეთაურის პასუხებს“.* მოპოვებულია 01 12 2018 წ., https://geonsm.wordpress.com/ -დან.
- ჭელიძე, გ. (06 08 2017 წ.). *„წარმოგიდგენთ ეროვნულ სოციალისტური მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა“-ის საპასუხო ნაშრომს ბატონ ლევან ლორთქიფანიძის ესსესადმი „ქართული ნაციონალიზმის განვითარების ძირითადი ეტაპების“ შესახებ, რომელიც როგორც სათაურში სწერია ბატონი ლევანის თქმით უკავშირდება სსრკ-ს დაფუძნებამდე პოლიტიკურ ტენდენციებს“.* მოპოვებულია 02 12 2018 წ., https://geonsm.wordpress.com/ -დან.

დანართი 1.

წყარო: http://www.georoyal.ge/

დანართი 2.

წყარო: http://itkompania.ge/qartuliidea.ge/

დანართი 3.



წყარო: http://itkompania.ge/qartuliidea.ge/

დანართი 4.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების შემთხვევაში მონარქიის შენახვის ყოველწლიური ხარჯები: (ბრიუსელის თვისუფალი უნივერსიტეტის კვლევა)

- ესპანეთის სამეფო €7.9 მილიონი ევრო (უშუალოდ სამეფო აპარატის ბიუჯეტი), თუმცა სხვადასხვა სამინისტროების მიერ მონარქის უსაფრთხოებისთვის, გადაადგილებისა და სხვა ხარჯებისთვის გაღებული თანხა წელიწადში საშუალოდ € 60 მილიონია.

- ნორვეგიის სამეფო € 24.5 მილიონი ევრო (უშუალოდ მეფის აპარატი), სხვადასხვა სამინისტროთა მიერ მონაქიისთვის გაღებული ხარჯები 2013 წლისთვის € 40.5 მილიონი ევროა.
- ნიდერლანდების სამეფო €7. 5 მილიონი ევრო (მეფის აპარატის ხარჯები), სხვა ხარჯების გათვალისწინებით კი € 39. 6 მილიონი ევრო.
- დიდი ბრიტანეთის მონარქთა ოჯახის კუთვნილი უძრავი ქონება, ძვირფასეულობა და სხვა აქტივები - € 8.5 მილიარდი ევროა, 2012 წელს სამეფო ოჯახის დანახარჯებმა € 38 მილიონი ევრო შეადგინა.
- ბელგიის სამეფო - € 13.9 მილიონი ევრო, 2013 წლის ხარჯვის მიხედვით.
- დანიის სამეფო - € 10. 3 მილიონი ევრო, 2013 წლის ხარჯვის მიხედვით.
- შვედეთის სამეფო - € 14.5 მილიონი ევრო, თანხის 57% მონარქის აპარატში დასაქმებულთა ხელფასებია. 2013 წლის ხარჯვის მონაცემებით.
- ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო - € 0. 3 მილიონი ევრო, 2013 წლის ხარჯვის მიხედვით.

წყარო: ტაბულა http://www.tabula.ge/ge/story/121333-ra-sheidzleba-dajdes-monarqia

დანართი 5.

წყარო: kardhu.wordpress.com

დანართი 6.

წყარო: „კარდჰუ“-ს ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი - https://www.facebook.com/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%B0%E1%83%A3-217114512148619/

დანართი 7.

წყარო: „კარდჰუ“-ს ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი - https://www.facebook.com/217114512148619/photos/a.217989565394447/

დანართი 8.



წყარო: „საქართველოს ეროვნული ერთობის“ ოფიციალური“ფეისბუქ“ გვერდი: https://www.facebook.com/GeoNSM/

დანართი 9.

წყარო: „საქართველოს ეროვნული ერთობის“ ოფიციალური“ფეისბუქ“ გვერდი: https://www.facebook.com/GeoNSM/

დანართი 10.



წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო https://www.transparency.ge/ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia

დანართი 11.

წყარო: მოძრაობა „ეროვნულების ოფიციალური სოციალური გვერდი https://kage.facebook.com/

დანართი 12.



წყარო: „ქართული მარშის“ ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი
https://www.facebook.com/pg/qartulimarshi/posts/?ref=page_internal

დანართი 13.

წყარო: „ქართული მარშის“ ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი
https://www.facebook.com/pg/qartulimarshi/posts/?ref=page_internal

დანართი 14.

Tariel Nakaidze shared a post.
1 hr ·

ფეხზე მკიდია თქვენი გადაწყვეტილებები და კონსერსუსები. მეჩეთი გაიხსნა და მალე დავიწყებთ მის აშენებას. თუ ვინმეს "ერთი ადგილი" აქვს შეუშალოს ხელი. ვისაც არ სურს თურქული მეჩეთი აშენდეს შემოგვიერთდეს და ქართული ავაშენოთ. არავინ არ გეკითხებათ თქვენ რას ავაშენებთ მუსლიმები. ვფიცავ ეს არ იქნება ბათუმში პირველი მეჩეთი. ამის გარდა კიდევ თუ დაგვჭირდება მესამესაც ავაშენებთ, მეოთხესაც და მეხუთესაც. და ნუ ლაყბობთ, რომ თითქოს ქართველი მუსლიმები სხვა რამის ფიქრობდნენ. ან რომელიმე ქვეყანას უძვრებოდნენ, თქვენგან განსხვავებით. თურქებს და რუსებს თქვენ უძვრებით ერთ ადგილას. აქვე მივაწერ. ვინც ამ პოსტის შემდეგ იბილწსიტყვავებს და არაკორექტულად დაწერს და მახსენებს მას უკან ვუბრუბებ მისივე სიტყვას, თან ქნედებით გაათმაგებულს თან ადგილზე მისვლის სერვისით.

წყარო: „ქართული მარშის“ ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდი
https://www.facebook.com/pg/qartulimarshi/posts/?ref=page_internal

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამა

I სემესტრის დოქტორანტი

სალომე ქარელი

სადოქტორო სემინარი

,, მედიაციის როლი სამშვიდობო შეთანხმების წარმატებით განხორციელებაში - გვინეის ყურეს მაგალითზე ‘‘

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ვახტანგ მაისაია, ზურაბ აბაშიძე

თბილისი
2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს სამშვიდობო შეთანხმების წარმატებული იმპლემენტაციის განმაპირობებელი ფაქტორები. კვლევისთვის არჩეულია სიერა ლეონეს სამოქალაქო ომის დროს, კონფლიქტის მოგვარების მიზნით, მიღწეული აბიჯანის და ლომეს სამშვიდობო შეთანხმებები. აღნიშნული საკითხი საინტერესოა, ვინაიდან ერთ ქვეყანაში, ერთსა და იმავე დაპირისპირებულ მხარეებს შორის მიღწეულმა მსგავსი ტიპის სამშვიდობო შეთანხმებებმა განსხვავებული შედეგი მოიტანა.

აქედან გამომდინარეობს ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა: რა ფაქტორი/ფაქტორები ახდენს გავლენას სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციაზე? რატომ მივიღეთ მსგავსი ტიპის, გვინეის ყურეში არსებული აბიჯანის და ლომეს, სამშვიდობო შეთანხმებებისგან - განსხვავებული შედეგი? კითხვაზე პასუხად ნაშრომში განვითარებულია სამუშაო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის წარმატება განაპირობა მესამე მხარის აქტიურმა ჩართულობამ, როგორც მოლაპარაკების, ასევე შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში.

კვლევისთვის გამოყენებულია თვისობრივი მეთოდი და დედუქციური მიდგომა, რომელიც გულისხმობს წინასწარ შემუშავებული ჰიპოთეზის კვლევის და თეორიული ანალიზის შედეგად დადასტურებას.

ჰიპოთეზიდან გამომდინარე საკვლევი ცვლადების ანალიზისთვის გამოყენებულია სამშვიდობო შეთანხმებების მატრიცა, ხოლო თეორიულ ჩარჩოდ აღებულია ბერკოვიჩისეული მედიაციის თეორია და კრისტოფერ მიტჩელის მრავალმხრივი მედიაციის მოდელი.

Annotation

The following research aims at analyzing the factors that determine the successful implementation of peace agreements. Two cases of Abijan and Lome peace agreements have been chosen to focus on this issue. These agreements intended to terminate civil war and bring peace in Sierra Leone. Both were reached in the same country between the same disputant parties, but interestingly the results were different.

Thus, the research question can be formulated in the following way: What factor/factors affect the implementation of peace agreements? Why did the similar Abijan and Lome Peace Agreements lead to different outcomes?

Based on deductive approach the thesis tests whether the involvement of third party in the second case was a decisive factor that resulted in a comparatively successful agreement to end the internal conflict in Sierra Leone.

To measure success of the given cases the peace agreements matrix is used. And, as for the theoretical framework, Berkovich's Mediation Theory and Christopher Mitchell's Multiparty Mediation Model are selected to explain the connection between dependent and independent variables in the research.

სარჩევი

აბრევიატურები გვ.5

შესავალი გვ.6

საკვლევი საგანი გვ.6

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა გვ.7

მეთოდოლოგია გვ.8

თეორიული ჩარჩო გვ.10

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა გვ.11

თავი. 2. საკვლევი ცვლადების ანალიზი გვ.13

2.1 სამშვიდობო შეთანხმების წარმატება-მარცხის განსაზღვრა.....გვ.13

2.1.1 აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაცია გვ.14

2.1.2 სამშვიდობო შეთანხმების წარმატება - ლომეს სამშვიდობო შეთანხმება გვ.15

2.1.2.1 ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესი
1999-2002 წლებში გვ.16

2.2. საფრთხის გავლენა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე გვ.19

2.3. მესამე მხარის როლი სამშვიდობო პროცესში
(დამოუკიდებელი ცვლადი №1) გვ.21

2.3.1.მესამე მხარის როლი მოლაპარაკების პროცესში გვ.22

2.3.2. მესამე მხარის როლი იმპლემენტაციის პროცესში გვ.25

2.3.3. მესამე მხარის როლი „ჩამშლელებთან გამკლავებაში“ გვ.26

თავი 3. თეორიული ჩარჩო

3.1. მედიაციის პროცესში ჩართული აქტორები გვ.30

3.2 მრავალმხრივი მედიაცია გვ.34

დასკვნა გვ.36

ბიბლიოგრაფია გვ.39

აბრევიატურები

PAM – Peace Accords Matrix სამშვიდობო შეთანხმებების მატრიცა

SLPP - სიერა ლეონეს სახალხო პარტია (Sierra Leone People's Party)

APC - საერთო სახალხო კონგრესი (All People’s Congress)

SSD - Special Security Division

ISU - Internal Security Unit

RUF – გაერთიანებული რევოლუციური ფრონტი (Revolutionary United Front)

NPFL - ლიბერიის ეროვნული პატრიოტული ფრონტი

NPRC - ეროვნული დროებითი მმართველი საბჭო (National Provisional Ruling Council)

ECOWAS – დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა (Economic Community Of West African States)

ECOMOG – დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობის მონიტორინგის ჯგუფი (Economic Community of West African States Monitoring Group)

AFRC - რევოლუციური შეიარაღებული ძალების საბჭოს (Armed Forces Revolutionary Council)

UNOMSIL - გაეროს სადამკვირვებლო მისია სიერა ლეონეში (United Nations Observer Mission in Sierra Leone)

OAU - აფრიკის ერთობის ორგანიზაცია (Organization of African Unity - ახლანდელი აფრიკის კავშირი - AU)

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN – United Nations)

შესავალი

საკვლევი საგანი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო ომის დასრულების მიზნით მიღებული სამშვიდობო შეთანხმების და მისი იმპლემენტაციის პროცესის ანალიზი. კონკრეტულად კი, ნაშრომში განხილულია სიერა ლეონეს სამოქალაქო ომის დროს მიღებული 1996 წლის 30 ნოემბრის აბიჯანის და 1999 წლის 7 ივლისის ლომეს სამშვიდობო შეთანხმებები და მათი იმპლემენტაციის პროცესი.

აღნიშნული საკითხი აქტუალურია კონფლიქტების გადაჭრით დაინტერესებული პირებისთვის. ხშირად მხარეები, კონფლიქტის დასრულების მიზნით, აწერენ ხელს სამშვიდობო შეთანხმებას, მაგრამ ყოველთვის ვერ იღებენ სასურველ შედეგს. ზოგიერთი შეთანხმება არის წარმატებული, ხდება მისი იმპლემენტაცია და კონფლიქტი სრულდება.

ზოგჯერ კი, შეთანხმება განიცდის მარცხს, ვერ ხერხდება მისი იმპლემენტაცია და მხარეები კვლავ ომს უბრუნდებიან.

სწორედ ამიტომ ნაშრომი იკვლევს იმ ფაქტორებს, რაც გავლენას ახდენს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესზე და ხელს უწყობს ამ პროცესის წარმატებულად განხორციელებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნაშრომში განხილულია სიერა ლეონეს ქეისი და სამოქალაქო ომის დროს მიღებული ორი სამშვიდობო შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმებები შერჩეულია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში არის ერთი ქვეყანა, ერთი და იგივე დაპირისპირებული მხარეები და შეთანხმებები არის მსგავსი ტიპის. ამდენი მსგავსების მიუხედავად აღნიშნულმა სამშვიდობო შეთანხმებებმა განსხვავებული შედეგები მოიტანა. სწორედ ესაა მთავრი უცნაურობა და ინტერესის საგანი. ამასთან, ამდენი მსგავსების ფონზე უფრო უკეთ გამოჩნდება ის განმასხვავებელი ფაქტორი ან ფაქტორები, რამაც განსაზღვრა აბიჯანის და ლომეს სამშვიდობო შეთანხმებების განსხვავებული შედეგი.

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

ნაშრომის საკვლევი კითხვა შესაძლოა ასე ჩამოვაყალიბოთ: რა ფაქტორი/ფაქტორები ახდენს გავლენას სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციაზე? რატომ მივიღეთ მსგავსი ტიპის, აბიჯანის და ლომეს, სამშვიდობო შეთანხმებებისგან განსხვავებული შედეგი?

სამუშაო ჰიპოთეზა კი შემდეგნაირია - ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის წარმატება აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით განაპირობა მესამე მხარის აქტიურმა ჩართულობამ, როგორც მოლაპარაკების, ასევე შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, რაც უფრო აქტიურადაა ჩართული მესამე მხარე, მით უფრო დიდია შანსი, რომ სამშვიდობო შეთანხმება და მისი იმპლემენტაციის

პროცესი იყოს უფრო წარმატებული; ანუ მესამე მხარის აქტიური ჩართულობა არის სამშვიდობო შეთანხმების იმლემენტაციის წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი.

მესამე მხარის ჩართულობა გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნების, რეგიონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას. აღნიშნულ ქეისში იგულისხმება გაეროს, ECOWAS, AUO, დიდი ბრიტანეთის, ნიგერიის, ლიბერიის, კოტ დ'ივუარის, ტოგოს ჩართულობა ლომეს სამშვიდობო პროცესში.

რაც შეეხება საკვლევ ცვლადებს, დამოკიდებული ცვლადია - ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის წარმატება აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით.

დამოუკიდებელი ცვლადებია - მესამე მხარის ჩართულობა მოლაპარაკების და შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში; ისეთი მდგომარეობის/საფრთხის არსებობა, რომელიც მხარეებს უბიძგებს წავიდნენ მოლაპარაკებაზე;

მეთოდოლოგია

კვლევისათვის გამოყენებულია დედუქციური მეთოდი, რაც გულისხმობს თეორიის საფუძველზე წინასწარი ჰიპოთეზის შემუშავებას და ანალიზის და კვლევის შედეგად ჰიპოთეზის დადასტურებას ან უარყოფას.

კვლევაში გამოყენებული იქნება ძირითადად თვისობრივი მეთოდი, ანუ მოხდება შესაბამისი ლიტერატურის: წიგნების, სტატიების, პუბლიკაციების გაანალიზება, ყურადღება დაეთმობა შესაბამისი სამშვიდობო ხელშეკრულებების და მათი მუხლების, ასევე იმპლემენტაციის პროცესის ანალიზს. საბოლოოდ კი ქეისების შედარების საფუძველზე მოხდება დასკვნის გამოტანა და ჰიპოთეზის ტესტირება თეორიულ ჭრილში. ძირითადად გამოყენებულია მეორეული და მესამეული მონაცემები. მეორეულ ცნობებში იგულისხმება სხვა მკვლევარის მიერ შეგროვებული მასალა, პირველადი სახით (მაგალითად

შეთანხმებები), ხოლო მესამეული ტიპი გულისხმობს სხვა მკვლევარის მიერ გაანალიზებულ და განხილულ მეორეული ტიპის მონაცემებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომი აქცენტს აკეთებს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესზე, საჭიროა იმპლემენტაციის წარმატების/მარცხის გაზომვა, ანუ როდის და რა პუნქტების გათვალისწინებით უნდა მივიჩნიოთ შეთანხმება და მისი იმპლემენტაცია წარმატებულად და როდის უნდა განვსაზღვროთ, როგორც წარუმატებელი. ამისთვის, ნაშრომში გამოყენებულია KROC-ის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სამშვიდობო შეთანხმებების მატრიცა. აღნიშნული მატრიცა საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ 1989 წლის შემდეგ მიღებული სამშვიდობო შეთანხმებები, განვსაზღვროთ, როგორ ხდებოდა შეთანხმების სხვადასხვა პირობის იმპლემენტაცია წლების მიხედვით. PAM-ის დახმარებით აღნიშნულ ქეისებში შევისწავლი, როგორ მოხდა 5 წლიან პერიოდში თითოეული შეთანხმების მუხლების იმპლემენტაცია. მატრიცის მეშვეობით განვსაზღვრავ და დავასაბუთებ, რატომ არის ლომეს სამშვიდობო შეთანხმება აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით წარმატებული.

რაც შეეხება ანალიზის დონეს, ნაშრომში გამოყენებული იქნება ანალიზის სამივე დონე - ინდივიდუალური, სახელმწიფოებრივი და სისტემური. ინდივიდუალურ დონზე გაანალიზებული იქნება სამშვიდობო მოლაპარაკების და შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში ჩართული პირების როლი.

სახელმწიფოებრივ დონეზე განხილული იქნება სამშვიდობო პროცესში ჩართული სახელმწიფოების დიდი ბრიტანეთის, ნიგერიის, ლიბერიის, კოტ დ'ივუარის, ტოგოს, აშშ-ს ინტერესები, პოზიციები, მათი როლი და გავლენა შეთანხმების იმპლემენტაციაზე.

რაც შეეხება სისტემურ დონეს, აქ განხილული იქნება გაეროს ჩართულობა და მისი როლი, რატომ ჩაერთო, რა გავლენა იქონია და რა როლი შეასრულეს მისმა სადამკვირვებლო მისიამ და წარმომადგენლებმა სამშვიდობო პროცესში.

ჰიპოთეზიდან გამომდინარე ნაშრომი აქცენტს მესამე მხარის ჩართულობაზე აკეთებს, ამიტომ ძირითადი ყურადღება მაინც ანალიზის მეორე და მესამე დონეებს დაეთმობა, სადაც ჩანს სწორედ ამ მესამე მხარის აქტორების როლი და გავლენა.

თეორია

საკვლევი ჰიპოთეზიდან გამომდინარე ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ბერკოვიჩის თეორიული მოსაზრება მედიაციის შესახებ. მედიაცია, როგორც მესამე მხარის ჩართულობა კონფლიქტში, ძალიან გავრცელებული ფორმაა და არაერთი კონფლიქტის თუ დავის გადასაჭრელად გამოიყენება.

მედიაციის თემატიკაზე მომუშავე მკვლევარები და თეორეტიკოსები მედიაციის სხვადასხვა განმარტებებს გვთავაზობენ. თუმცა, ყველა განმარტებაში საერთო არის ის, რომ მედიაცია არის მესამე მხარის ჩარევის შედეგად კონფლიქტის არაძალადობრივი მოგვარების ფორმა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მედიაცია არის უფრო მეტად მრავალმხრივი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს, არა ერთი, არამედ რამდენიმე მესამე მხარის აქტორის ჩართვას პროცესში. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოებრივი ან არასახელმწიფოებრივი აქტორები. (Iji & Fuchinoue, 2009, გვ. 137) ამიტომ საკვლევი ჰიპოთეზიდან გამომდინარე ნაშრომში ასევე განხილულია კრისტოფერ მიტჩელის მრავალმხრივი მედიაციის მოდელი.

ბერკოვიჩისეული მედიაციის ანალიზი და მრავალმხრივი მედიაციის მოდელი ერთობლივად ქმნის ანალიტიკურ თეორიულ ჩარჩოს აღნიშნულ ნაშრომში მესამე მხარის როლის და გავლენის განსაზღვრისთვის სამშვიდობო პროცესში.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის დიდი ნაწილი, თემატიკიდან გამომდინარე, ეხება მოსაზრებებს სამშვიდობო შეთანხმების წარმატებული თუ წარუმატებელი იმპლემენტაციის შესახებ, იმ ფაქტორებს, რაც სხვადასხვა მკვლევარის აზრით, განაპირობებს სამოქალაქო ომის დასრულებას და მშვიდობის დამყარებას. ასევე იმ მნიშვნელოვან მომენტებს, რომლებიც ხელს უწყობს სამშვიდობო შეთანხმების წარმატებას, ან პირიქით, ქმნის გარემოს ახალი ომის დასაწყებად და ხელს უშლის სამშვიდობო შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.

სიერა ლეონეში განვითარებულ მოვლენებზე 1991-2001 წლებში საინტერესო და მრავალმხრივი ინფორმაციაა მაიკლ კარგბოს 2006 წელს გამოცემულ წიგნში -„British Foreign Policy and the Conflict in Sierra Leone, 1991-2001.“

საინტერესოა ასევე დინ პრუიტის ნაშრომი - „Whither Ripeness Theory?,“ (2005) რომელიც განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებისთვის მზადყოფნის მომენტის შექმნას და ასრულებენ ბიძგის ფუნქციას სამშვიდობო შეთანხმების მიღწევაში.

თეორიული ნაწილის ანალიზისთვის, ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ჯაკობ ბერკოვიჩის „The Structure and Diversity of Mediation in International Relations“ (1992), სადაც განხილულია მედიაციის პროცესი და მასში ჩართული სხვადასხვა აქტორები.

ასევე, ნაშრომში გამოყენებულია კრისტოფერ მიტჩელის მოსაზრება მრავალმხრივი მედიაციის შესახებ (The Process and Stages of Mediation: Two Sudanese Cases), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ თავს დევიდ სმოკის წიგნში Making War and Waging Peace: Foreign Intervention in Africa (1997). მიტჩელის მედიაციის მოდელის და მრავალმხრივი მედიაციის

ახსნისთვის ნაშრომი იყენებს ტეტსურო იჯის და ჰიდეკი ფუჩინოუს სტატიას „Toward a Better Understanding of Multiparty Mediation in International Relations."

თეორიულ ნაწილში ასევე განხილულია სხვადასხვა ავტორების შეხედულებები და მოსაზრებები მედიაციის შესახებ. საინტერესო წიგნია უილიამ ზარტმანის „Negotiation and Conflict Management Essays on theory and practice," რომელიც 2008 წელს გამოიცა. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ერთგვარ კრებულს მოლაპარაკებების და მედიაციის პროცესების შესახებ, მედიაციის არსი, მონაწილე აქტორების მოტივები და ინტერესები.

სამშვიდობო შეთანხმების წარმატების განსაზღვრისთვის გამოყენებულია ბარბარა ფ. ვოლტერის წიგნი - „Committing to Peace: The Successful Settlement of Civil Wars," (2002), რომელიც გვაძლევს ინფორმაციას, თუ რა კრიტერიუმებით და რა პერიოდში უნდა მოხდეს სამშვიდობო შეთანხმების წარმატების განსაზღვრა. ხოლო უშუალოდ ამ კრიტერიუმების და იმპლემენტაციის პროცესის წარმატების ანალიზისთვის ნაშრომი იყენებს სამშვიდობო შეთანხმებების მატრიცას, რომელიც KROC ინსტიტუტის მიერაა შემუშავებული.

სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში წარმოქმნილი საფრთხეების და სირთულეების ახსნა-გაანალიზებისთვის ნაშრომში გამოყენებულია სტეფან ჯონ სტედმანის სტატია - „Spoiler Problems in Peace Processes," რომელიც 1997 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „საერთაშორისო უსაფრთხოება" (International Security). აღნიშნულ სტატიაში სტედმანი საუბრობს ე.წ. „ჩამშლელებზე" (spoilers), რომლებიც ხელს უშლიან მშვიდობის დამყარებას, რადგან მშვიდობა ნაკლებად სასარგებლოა მათი ინტერესებისა და ძალაუფლებისთვის. ამიტომ, ცდილობენ ახალი დაპირისპირების წარმოქმნით ხელი შეუშალონ სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციას. აღნიშნული სტატია ჩემი ნაშრომისთვის, ერთი მხრივ, საინტერესოა, რადგან სწორედ „ჩამშლელებთან" ეფექტურ გამკლავებაზეა დამოკიდებული სამშვიდობო შეთანხმების წარმატებული იმპლემენტაცა; მეორე მხრივ, კი სტედმანის აზრით, „ჩამშლელების" შეჩერება მესამე მხარის - საერთაშორისო აქტორების პრეროგატივაა, რაც ჩემი ჰიპოთეზისთვის მნიშნელოვანი ამხსნელი არგუმენტია.

თავი 2. საკვლევი ცვლადების ანალიზი

2.1 სამშვიდობო შეთანხმების წარმატება-მარცხის განსაზღვრა

სამშვიდობო შეთანხმების იმპლემეტაცია საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი მომენტია, ვინაიდან იმპლემენტაციის მარცხი ხშირად იწვევს კონფლიქტის განახლებას. ეს არის ყველაზე სარისკო პერიოდი, როდესაც შეთანხმებების უმრავლესობა განიცდის მარცხს და მხარეები ფართომასშტაბიან ომს უბრუნდებიან (Mutisi, 2011, გვ. 1) ამიტომ, თუ როგორ და რამდენად სრულდება შეთანხმებით აღებული ვალდებულებები, განსაზღვრავს, რა შედეგს მოიტანს შეთანხმება და დამყარდება თუ არა მშვიდობა.

სამშვიდობო შეთანხმების მარცხის განსაზღვრა შედარებით ადვილია. შეთანხმება წარუმატებელია, როდესაც არ შეინიშნება არანაირი წინსვლა შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მხრივ, წარმოიქმნება კვლავ დაპირისპირება და გრძელდება ომი. სამშვიდობო შეთანხმების მარცხის მაგალითი ნამდვილად არის აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმება.

2.1.1 აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაცია

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ განხორციელდა საკვანძო მნიშვნელობის პუნქტები - ცეცხლის შეწყვეტა, დემობილიზაცია და განიარაღება. ცეცხლის შეწყვეტის შესრულება 1997 წლისთვის იყო მინიმალური. ცეცხლის შეწყვეტის სერიოზული დარღვევა იყო სამთავრობო Kamakorj-ს მიერ 1997 წლის იანვარში განხორციელებული შეტევა RUF-ზე ჩრდილოეთ კაილაჰუნში. ზოგიერთი მოსაზრებით სწორედ ეს შეტევა გახდა იმის მიზეზი, რომ RUF-მა უარყო შეთანხმება და 1997 წლის მაისში სამხედრო გადატრიალებისას AFRC

მხარეს დადგა. არ შექმნილა დემობილიზაციის კომიტეტი, არც სპეციალური ზონები და შესაბამისად დემობილიზაცია არც დაწყებულა. ასეთივე მდგომარეობა იყო განიარაღების კუთხითაც. მიუხედავად განიარაღების ვალდებულებისა, სანკოჰი შეეცადა იარაღის ყიდვას ნიგერიაში. არ შეიქმნა ინტეგრაციის პროგრამა, არც ამ პროგრამაზე პასუხისმგებელი კომისია. შესაბამისად არ შეინიშნებოდა წინსვლა RUF-ის მეომრების ეროვნულ არმიაში ჩართვისთვის. (Peace Accord Matrix, 2018)

არ განხორციელებულა არანაირი რეფორმა არც საარჩევნო კუთხით და არც პოლიტიკური პარტიების მიმართ, რასაც ხელი უნდა შეეწყო RUF-ის პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნისთვის. შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა პოლიციის რეფორმას და სპეციალურ პროგრამებს კორუფციის შემცირებისთვის, თუმცა პოლიციის საბჭო არ შექმნილა. არ განხორციელადა ამინისტია და არ მომხდარა პატიმრების განთავისუფლება. (Peace Accord Matrix, 2018)

მხარეები შეთანხმდნენ სიერა ლეონეში სამოქალაქო მომსახურების ანგარიშვალდებულების, უანგარობის გაზრდაზე, შერიგების კომისიის შექმნაზე, ასევე სამართლებრივი მომსახურების კომისიის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო იუსტიციის სფეროს სხვა ორგანოებისგან დამოუკიდებლობაზე. ასევე ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად უნდა შექმნილიყო ადამიანის უფლებების ეროვნული კომისია. თუმცა არცერთი მიმართულებით არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა და კომისიები საერთოდ არც შექმნილა. (Peace Accord Matrix, 2018)

შეთანხმებიდან გამომდინარე დაარსდა მშვიდობის კონსოლიდაციის კომისია. კომისიის შემადგენლობაში შევიდა 4 ადამიანი RUF-დან, 3 ყოფილი მინისტრი და კაბაჰის ერთი მრჩეველი. თუმცა 1997 წლის დასაწყისიდანვე შეინიშნებოდა დარღვევები ამ კუთხით. (Peace Accord Matrix, 2018)

ერთადერთი, რაც რეალურად და დარღვევების გარეშე შესრულდა იყო ალმასების საბადოების დასაცავად მთავრობის მიერ დაქირავებული Executive Outcomes -ის მეომრების გასვლა სიერა ლეონედან 1997 წლის თებერვალში. **(Peace Accord Matrix, 2018)**

სამშვიდობო შეთანხმებების მატრიცის მიხედვით ხელმოწერიდან 2 წლიან პერიოდში (1998 წლამდე) აბიჯანის შეთანხმების მხოლოდ 7% განხორციელდა. **(Peace Accord Matrix, 2018)** ვინაიდან არ დაწყებულა დემობილიზაცია, განიარაღება, ფაქტობრივად არ მომხდარა ცეცხლის შეწყვეტა, ხოლო 1997 წლის მაისში ახალი გადატრიალება მოხდა და კაბაჰი იძულებული გახდა თავი გვინეისთვის შეეფარებინა, ასევე ამის შემდეგ გაგრძელდა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებამ სრული მარცხი განიცადა და ვერ მოახერხა სიერა ლეონეში მშვიდობის ხელშეწყობა.

2.1.2 სამშვიდობო შეთანხმების წარმატება - ლომეს სამშვიდობო შეთანხმება

თუკი სამშვიდობო შეთანხმების მარცხის გაზომვა უბრალოდ კვლავ საომარ მოქმედებებზე დაბრუნებით შეგვიძლია, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ვალდებულებები არ შესრულდა, წარმატების განსაზღვრა შედარებით რთული საკითხია. როდესაც არ ხდება ფართომასშტაბიანი ომის განახლება ეს, თავისთავად, უკვე წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია, თუმცა ამასთან ერთად აუცილებალია განსაზღვრა, თუ როგორ და რა პერიოდში მოხდა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

ზოგადად, რთულია სამშვიდობო შეთანხმებას უწოდო აბსოლუტურად წარმატებული, რადგან მშვიდობის დამყარების მიუხედავად, შეიძლება შეთანხმების მუხლები არ იყოს იდეალურად შესრულებული. ამიტომ, სამშვიდობო შეთანხმების წარმატების

განსაზღვრისთვის ლიტერატურაში მიღებულია 5 წლიანი პერიოდი. ეს 5 წლიანი პერიოდი არის გონივრული ვადა დაპირისპირებული მხარეებისთვის, რომ დაიწყონ მოქმედება მშვიდობის დასამყარებლად და შეასრულონ აღებული ვალდებულებები. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების დიდ ნაწილში შეთანხმების პირობების იმპლემენტაცია ფაქტობრივად არ მომხდარა და დაახლოებით ერთი წლის ვადაში კვლავ სამოქალაქო ომის სიტუაციას დაუბრუნდნენ. აქედან გამომდინარე, სამშვიდობო შეთანხება შეიძლება მაშინაც კი მივიჩნიოთ წარმატებულად, თუკი მისი ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში არ განახლდება ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება და შეინიშნება მხარეების მიერ შეთანხმების პირობების შესრულების „კეთილსინდისიერი“ მცდელობის ნიშნები. (Walter, 2002, გვ. 53-54)

2.1.2.1 ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესი 1999-2002 წლებში

ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში იყო გარკვეული პრობლემები, თუმცა 5 წლიან პერიოდში მოხდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულება.

პირველ რიგში სირთულე დაკავშირებული იყო ცეცხლის შეწყვეტის მუხლთან. 1999 წელს შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ფოდეი სანკოჰი ამტკიცებდა, რომ სამთავრობო ძალები უტევდნენ RUF-ის პოზიციებს მასინგბიში და გოლდთაუნში, რითაც არღვევდნენ ცეცხლის შეწყვეტის მუხლს. სამთავრობო ძალები კი ამტკიცებდნენ, რომ RUF უტევდა მათ ტერიტორიებს. 2000 წელს მოხდა ცეცხლის შეწყვეტის მუხლის სერიოზული დარღვევა, თუმცა 2001 წლიდან დაიწყო სიტუაციამ გამოსწორება და უკვე 2002 წლიდან საერთოდ არ ყოფილა ძალადობის და კონფლიქტის ნიშნები. (Peace Accord Matrix, 2018) აქედან გამომდინარე, გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ცეცხლის შეწყვეტის მუხლის

იმპლემენტაცია 5 წლიან პერიოდში მოხერხდა, ისე რომ მხარეები არ დაბრუნებიან ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს.

ძალის გადანაწილება (Power-sharing) – 1999 წელს მოხდა ამ მუხლის სრული იმპლემენტაცია, როგორც შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. RUF-ის წევრებს მინისტრთა კაბინეტში გაუნაწილეს შემდეგი თანამდებობები: ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრი; ენერგეტიკის მინისტრი, მიწის, განსახლების და დაგეგმარების მინისტრი; ტურიზმის და კულტურის მინისტრი; კორომა დაინიშნა მშვიდობის კონსოლოდაციის კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო სანკოჰი სტრატეგიული რესურსების მართვის კომისიის თავმჯდომარედ. თუმცა 2000 წელს ძალადობის ზრდასთან ერთად მთავრობამ გააუქმა RUF-ის თანამდებობები და ზოგიერთი მათგანი დაიჭირეს კიდეც. განსხვავებული იყო სიტუაცია AFRC-თან მიმართებაში, ჯომო ჯალოჰი გახდა ტურიზმის და კულტურის მინისტრი და თანამდებობა შეინარჩუნა 2002 წლამდე. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ძალის გადანაწილების მუხლი განხორციელდა საშუალო დონეზე. (Peace Accord Matrix, 2018)

კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდა 1999 წელსვე სრულად. პარლამენტმა მიიღო სპეციალური აქტი RUF-ის პოლიტიკურ მოძრაობად გადასაქცევად და მისი წევრებისთვის საჯარო თანამდებობების დაკავებისთვის. 2000 წლის აქტით RUF-ს მიეცა საშუალება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის. 2001 წელს პარლამენტმა მიიღო სიერა ლეონეს საკონსტიტუციო აქტი, რომელმაც მოიცვა შეთანხმებით გათვალისწინებული საარჩევნო კანონი. 2001 წელს უკვე შესრულდა ყველა საჭირო საკონსტიტუციო ცვლილება, რაც შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. (Peace Accord Matrix, 2018)

დემობილიზაცია - დემობილიზაციის პროგრამა ოფიცილაურად დაიწყო 1999 წლის ოქტომბერში და მეორე ფაზა იმავე წლის 4 ნოემბერს, როცა გაიხსნა დემობილიზაციის ცენტრები. 1999 წლის 30 ნოემბრისთვის მოსალოდნელი 45000 მეომრიდან მხოლოდ 4.217 იყო დემობილიზირებული. 2000 წელს ძალადობის ზრდის გამო, ამ მიმართულებითაც

შეიქმნა გარკვეული პრობლემები, მაგრამ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ პროცესი კვლავ გაგრძელდა და 2002 წლისთვის უკვე სრულად განხორციელდა. (Peace Accord Matrix, 2018)

PAM-ის მიხედვით, ასევე 2002 წელს დასრულდა ყოფილ მეომართა განიარაღებაც. განიარაღების პროცესს აკვირდებოდა გაეროს სპეციალური მისია. რეინტეგრაციის პროცესი წარმატებულად ვითარდებოდა, თუმცა 2000 წელს წარმოქმნილი სირთულეების გამო გარკვეული შეფერხება მოხდა და ამიტომ სრულად მხოლოდ 2004 წლისთვის განხორციელდა. გაეროს სადამკვირვებლო მისიის ცნობით, ამ პერიოდისთვის, ყველა ყოფილმა მეომარმა მიიღო რეინტეგრაციის ბენეფიტები. (Peace Accord Matrix, 2018)

პატიმრების განთავისუფლება - შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მთავრობამ გაათავისუფლა 98 პოლიტიკური პატიმარი. თუმცა როცა კონფლიქტი წარმოიქმნა მთავრობამ უფრო მეტი დააპატიმრა. სიტუაციის დარეგულირებასთან ერთად კვლავ მოხდა პატიმრების განთავისუფლება. (Peace Accord Matrix, 2018)

რაც შეეხება RUF-ის ყოფილი მეომრების და მეამბოხეების სიერა ლეონეს ახალ არმიაში ინტეგრაციას, მატრიცის მიხედვით 2002 წლისთვის მოხდა მათი შერჩევა არმიაში ინტეგრაციისთვის. (Peace Accord Matrix, 2018)

რეგიონული სამშვიდობო ძალები - ECOMOG - დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების სადამკვირვებლო ჯგუფი. ECOMOG-ს ჰქონდა მანდატი: რეკონსტრუქცია; განიარაღება; დემობილიზაცია; ინტეგრაცია; სიერა ლეონეს შეიარაღებული ძალების წვრთნა (Peace Accord Matrix, 2018)

საერთო ჯამში, ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაცია მოხდა 83%-ით. (Peace Accord Matrix, 2018) ამ ანალიზის შედეგად და, იქიდან გამომდინარე, რომ ლომეს შეთანხმების შემდეგ არ ყოფილა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედები, ლომეს სამშვიდობო შეთანხმებას და მის იმპლემენტაციას ვუწოდებ წარმატებულს, აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით.

2.2 საფრთხის გავლენა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებაზე

არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეული საფრთხის პირობებში მხარეები მიდიან თანამშრომლობაზე. ისინი შეეცდებიან ითანამშრომლონ მაშინ, როდესაც იქმნება ერთობლივი საზიანო/გამოუვალი სიტუაცია (mutually hurting stalemate). არ არის აუცილებელი ეს ზიანი იყოს ერთი და იგივე, ან ზუსტად თანაბრად მოქმედებდეს ორივე მხარეზე. მნიშვნელოვანია თვითონ უკვე ამ საზიანო მდგომარეობის არსებობა, რომელიც გარკვეული ბიძგია თანამშრომლობისკენ. (Aspinall, 2005, გვ. 7)

მზადყოფნის თეორია სწორედ საზიანო/არსახარბიელო/საფრთხის შემცველ მდგომარეობას მიიჩნევს მოლაპარაკების დაწყების და წარმატებული სამშვიდობო შეთანხმების მიღების საფუძვლად. ამ თეორიის მიხედვით, მზადყოფნას სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებისთვის ქმნის რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის, აღქმა რომ შესაძლოა მხარემ ვერ გაიმარჯვოს კონფლიქტში და საერთოდ დამარცხდეს. მსგავსი აღქმა ქმნის კონფლიქტის დასრულების და თანაშრომლობის გზით სარგებლის მიღების მოტივაციას. ასევე კარგი მოტივატორი შეიძლება გახდეს დანახარჯების ფაქტორი. რაც უფრო ხანგძლივია კონფლიქტი და მეტია დანახარჯი, მით მეტია მოლაპარაკების შანსი. (Pruitt, 2005, გვ. 7)

სიერა ლეონეს შემთხვევაშიც ლომეში მოლაპარაკების დაწყებას ბიძგი გარკვეულწილად მსგავსი საზიანო მდგომარეობის არსებობამ მისცა.

მთავრობისთვის საზიანო საფრთხე დაკავშირებული იყო ნიგერიის სამხედრო ძალების გასვლასთან სიერა ლეონედან. ნიგერიის ძალების გასვლა დაკავშირებული იყო ნიგერიაში შიდა პროტესტთან, რადგან RUF-თან ბრძოლა საკმაოდ ძვირი უჯდებოდათ, ასევე დაღუპულ ჯარისკაცთა უმრავლესობა ნიგერიელი იყო. ECOMOG-ის სახელით სიერა ლეონეში განლაგებული სამშვიდობო ძალების თითქმის 90%-ს ნიგერიის ძალები წარმოადგენდა. მათი გასვლა კი მთავრობისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა,

რადგან მთავრობა გახდებოდა მოწყვლადი. იქმნებოდა საფრთხე, რომ მთავრობა RUF-თან ბრძოლაში დამარცხდებოდა და კიდევ უფრო მეტად დაკარგავდა კონტროლს ტერიტორიებზე. (Dupuy & Binningsbø, 2007, გვ.14) ასევე დასავლეთ აფრკის სხვა ქვეყნებისთვის პრობლემას წარმოადგენდა ომის შედეგად წარმოქმნილი ლტოლვილთა ახალახალი ტალღები, ამიტომ ყველას სურდა ომის მშვიდობიანი დასრულება. (Rashid, 2000, გვ.27)

ასევე არ იყო კარგი მდგომარეობა RUF-ისთვის. მეამბოხეებმა გაანალიზეს, რომ ამდენწლიანი ბრძოლის შემდეგ, ეს ომი არ იყო ცალსახად გამარჯვებადი კონფლიქტი. კაბაჰი კვლავ რჩებოდა სიერა ლეონეს ლეგიტიმურ პრეზიდენტად, რომელსაც ყველაფრის მიუხედავად, მაინც ექნებოდა საერთაშორისო მხარდაჭერა. ასევე, RUF ვერ სარგებლობდა პოპულარობით და არ ჰქონდა სახალხო მხარდაჭერა, მისი სისხლიანი მოქმედებების გამო. AFRC/ RUF-ის ალიანსს შეეძლო შექმნილი ვითარება გამოეყენებინა, წასულიყო მოლაპარაკებაზე, მიეღო მისი წევრების ამინისტია, გადაქცეულიყო ლეგიტიმურ პოლიტიკურ მოძრაობად ან გაეგრძელებინა ბრძოლა, რომელშიც ვერ გაიმარჯვებდა, ექნებოდა მსხვერპლი და დანახარჯი. (Dupuy & Binningsbø, 2007, გვ.16) ამას გარდა, ალიანსზე გარკვეულ ზეწოლას ახორციელებდნენ მოკავშირეები - ლიბერია და ბურკინა ფასო, მოლაპარაკებებზე უარის თქმა კი მხარდაჭერის დაკარგვის საშიშროების და შესაძლო მარცხის წინაშე აყენებდა RUF-AFRC-ს. (Rashid, 2000, გვ.28)

ამ შემთხვევაში ორივე მხარისთვის არსებობდა გარკვეული საზიანო სიტუაცია, რომელიც მათ არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა, ამიტომ მოლაპარაკებაზე წასვლა უფრო უკეთეს ალტერნატივას წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, ლომეს სამშვიდობო შეთანხმების მიღებამდე ორივე მხარისთვის არსებობდა საფრთხის მატარებელი ფაქტორები, რომლებმაც ბიძგი მისცა

მოლაპარაკების დაწყებას და შემდგომში წარმატებასაც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საფრთხისშემცველი ფაქტორები მესამე მხარიდან გამომდინარეობდა.

2.3.მესამე მხარის როლი სამშვიდობო პროცესში

საკვლევი ჰიპოთეზიდან გამომდინარე მესამე მხარის აქტორების როლი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამშვიდობო პროცესში. აბიჯანის და ლომეს შეთანხმებებზე მოლაპარაკების და შემდგომ იმპლემენტაციის პროცესებს შორის მთავარი განსხვავება, როგორც უკვე ვნახეთ, მესამე მხარის მონაწილეობა იყო. ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ მესამე მხარის ჩართულობაზე, წვლილზე და გავლენაზე, რომელმაც ლომეს სამშვიდობო შეთანხმების და პროცესის წარმატება განაპირობა აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით. მესამე მხარის ჩართულობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მონაწილეობას შეთანხმების მიღწევის და იმპლემენტაციის პროცესებში.

მიჩნეულია, რომ მესამე მხარის ჩართულობა მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან სწორედ ამ მესამე მხარეს შეუძლია გაუწიოს დახმარება მხარეებს შეთანხმების წარმატებულ იმპლემენტაციაში, აღმოუჩინოს სახელმწიფოს ტექნიკური დახმარება, შეამციროს ახალი ომის რისკები და გაგზავნოს სადამკვირვებლო მისიები (DeRouen Jr et al., 2010, გვ. 336)

ასევე მესამე მხარის ინტერვენცია ომიდან მშვიდობის ტრანზიციას ხდის უფრო მეტად მიდრეკილს წარმატებისკენ. მნიშვნლელოვანია მესამხე მხარის ჩართულობის და დახმარების ბუნება და ხასიათი, როგორი და რა ტიპისაა. (Kornprobst, 2002)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამშვიდობო შეთანხმება მოსალოდნელია იყოს წარმატებული, თუკი ამ შეთანხმებას ის ქვეყნებიც უჭერენ მხარს, რომლებიც ომის დროს ამბოხებულებს ეხმარებოდნენ. (Mutwol, 2009, 7) ეს და სხვა მოსაზრებები მესამე მხარის

ჩართულობის შესახებ ნამდვილად დაკმაყოფილდა ლომეს სამშიდობო შეთანხმების შემთხვევაში, რამაც განაპირობა კიდეც აღნიშნული შეთანხმების წარმატება.

მესამე მხარის შესრულებული როლი ლომეს სამშვიდობო პროცესში შეგვიძლია დავყოთ ორ ეპიზოდად: მოლაპარაკების და სამშვიდობო შეთანხმების მიღებაში შესრულებული როლი; მესამე მხარის ჩართულობა ლომეს შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში.

2.3.1.მესამე მხარის როლი მოლაპარაკების პროცესში

ლომეში მოლაპარაკების დაწყებამდე მესამე მხარის აქტორებმა გარკვეული გავლენა იქონიეს, რომ დაპირისპირებული მხარეები მიეყვანათ მოლაპარაკების მაგიდამდე. როგორც უკვე აღვნიშნე, ერთი მხრივ გავლენა მოახდინა ნიგერიის ძალების გასვლის რისკმა და აქედან გამომდინარე არსებულმა დაწოლამ. ნიგერიის ფაქტორის გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ.

ბრიტანეთის ჩართულობა, გარკვეულწილად, განპიროებული იყო იმით, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაწესებული ემბარგოს მიუხედავად, დიდი ბრიტანეთი მაინც აწვდიდა სიერა ლეონეს მთავრობას იარაღს. სამშვიდობო შეთანხმების მიღება კი განიხილებოდა ბრიტანეთისთვის, როგორც რეპუტაციის აღდგენის საშუალება და ასევე გზა, რომ უფრო ადვილად აღმოეჩინა დახმარება მთავრობისთვის. ასევე ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, რომ ბრიტანეთი უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით მონდომებული, რადგან სიერა ლეონე იყო მისი ყოფილი კოლონია და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ამასთან ერთად, დიდი ბრიტანეთი, საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის სახელით, ასრულებდა წამყვან როლს საერთაშორისო ჩართულობის კოორდინაციის უზრუნველყოფაში. (Dupuy & Binningsbø, Power-sharing and Peace-building in Sierra Leone: Power-sharing Agreements, Negotiations and Peace Processes , 2007, გვ. 14-15) სწორედ დიდი ბრიტანეთი იყო საერთაშორისო ზეწოლის ერთ-ერთი წყარო ლომეში მოლაპარაკების დაწყებისთვის.

ამ პერიოდისთვის გააქტიურდა აშშ-ც, რომელიც ცდილობდა კაბაჰი მოლაპარაკების პროცესში ჩაერთო. აშშ-ს მთავარი, გაცხადებული მოტივი იყო, რომ არ სურდა დემოკრატიული მთავრობის გადაყენებდა და დამარცხება მომხდარიყო აჯანყებული ჯგუფის მიერ. ამერიკის აქტიური ჩართულობის შედეგი იყო ის, რომ მოლაპარაკების ფასილიტატორი იყო აშშ-ს საგანგებო დესპანი აფრიკაში ჯესი ჯეკსონი, რომელმაც დაარწმუნა კაბაჰი რომ 1999 წლის 18 მარტს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისთვის. (Dupuy & Binningsbø, Power-sharing and Peace-building in Sierra Leone: Power-sharing Agreements, Negotiations and Peace Processes , 2007, გვ. 15)

მხარეების მოლაპარაკების პროცესში ჩართვაში გარკვეული როლი შეასრულა გაერომაც, რომლის წარმომადგენელი ფრენსის ოკელო, 1999 წლის იანვრიდან სისტემატიურად ხვდებოდა RUF-ის წარმომადგენლებს და მოახერხა მათზე გარკვეული გავლენის მოხდენა. ოკელოს და RUF-ის წარმომადგენლის, ომრი გოლის შეხვედრამ საფუძველი დაუდო კომუნიკეს კაბაჰის მთავრობის ლეგიტიმაციის შესახებ, თუმცა ასევე ხაზი გაუსვა სიერა ლეონეს კრიზისის გადაჭრისთვის დიალოგის აუცილებლობას. (Dupuy & Binningsbø, 2007, გვ. 16-17)

უნდა აღინიშნოს ასევე რეგიონალური ძალების როლი. განსაკუთრებით ტოგოსი და ნიგერიის, რომლებმაც უშუალოდ შეთანხმებაზე მოლაპარაკების პერიოდში მოახდინეს მხარეებზე გავლენა, უბიძგებდნენ და „აიძულებდნენ“ რთულ საკითხებში მოეძებნათ გამოსავალი და შეთანხმებულიყვნენ. მაგალითად, როგორც მოხდა ძალის გადანაწილების პრინციპზე შეთანხმებისას და სანკოჰისთვის სტრატეგიული რესურსების მართვის, ეროვნული რეკონსტრუქციის და განვითარების კომისიის თავმჯდომარეობის შეთავაზებაზე.

აღნიშნული ქვეყნების ჩართულობა განსაკუთრებულად იყო მნიშვნელოვანი, ვინაიდან ბურკინა ფასო და ლიბერია RUF-ის მხარდამჭერები იყვნენ, ხოლო ნიგერია სამოქალაქო

ომის დაწყებიდან სიერა ლეონეს მთავრობას უცხადებდა მხარდაჭერას და აქტიურად ეხმარებოდა თავისი ძალებით.

ტოგოს პრეზიდენტის ეიადემას მონდომების წყალობით რეგიონის ქვეყნების პრეზიდენტებმა ობასანჯომ (ნიგერია), კომპაორემ (ბურკინა ფასო) და ტეილორმა (ლიბერია) დიდი გავლენა იქონიეს მოლაპარაკების საბოლოო ეტაპზე. ეს ოთხი პრეზიდენტი შეხვდა სანკოჰს და კაბაჰს ერთადაც და ინდივიდუალურადაც. მოკავშირეებმა სანკოჰს ურჩიეს საბოლოო შეთანხების მიღება, ასევე აუხსნეს მოსალოდნელი შედეგები მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ. ასეთივე შეხვედრა გაიმართა კაბაჰთანაც. პრეზიდენტებმა დაარწმუნეს კაბაჰი, რომ სანკოჰის კომისიის თავმჯდომარეობისთვის სიმბოლურად დაემატებინა ვიცე-პრეზიდენტის სტატუსი, რათა დაეშოშმინებინა მისი მოკავშირეები და ცოტათი აემაღლებინა სანკოჰის სტატუსი სხვა მინისტრებთან შედარებით. კაბაჰი აღნიშნულ წინადადებას დათანხმდა და შეთანხმებაც მიიღწა. (Rashid, 2000, გვ.33)

აქედან გამომდინარე მესამე მხარემ (ამ შემთხვევაში რეგიონის ქვეყნებმა) დიდი გავლენა იქონიეს დაპირისპირებულ მხარეებზე და მათი აქტიური ჩართულობის წყალობით მოხდა რთული საკითხების, მეტნაკლებად, გადაწყვეტა და ლომეს სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა.

2.3.2 მესამე მხარის როლი იმპლემენტაციის პროცესში

გაეროს სამშვიდობო ძალები - 1999 წლის 13 ივლისს სიერა ლეონეში შეიქმნა გაეროს სადამკვრვებლო მისია UNOSMIL. მისიაში შედიოდა 70 სამხედრო დამკვირვებელი, 15 სამედიცინო მოსამსახურე და 5 პოლიციის მრჩეველი. (Peace Accord Matrix, 2018)

1999 წლის 23 სექტემბრიდან კი შეიქმნა გაეროს ახალი მისია სიერა ლეონესთვის UNAMSIL, რომელიც იყო უფრო ფართო სამშვიდობო მისია. UNAMSIL-ში შედიოდა 6.000 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 260 სამხედრო დამკვირვებელი, რომლებიც უნდა

დახმარებოდნენ ლომეს შეთანხმების იმპლემენტაციაში. (http://www.un.org/en/peacekeeping/missions/past/unomsil/UnomsilB.htm#LOME , 2000)

მშვიდობისმყოფელები აკვირდებოდნენ ცეცხლის შეწყვეტის პროცესს, ასევე ხელი უნდა შეეწყოთ ომისშემდგომი ტრანზიციისთვის. გაეროს მისიის წყალობით მოხდა 75,000 ყოფილი მეომრის განიარაღება, რომელთა შორის დაახლოებით 7.000 იყო ბავშვი-ჯარისკაცი. გაეროს მისიამ დახმარება აღმოუჩინა ქვეყანას არჩევნების ჩატარებაში, პოლიციის სისტემის აღდგენაში. ასევე გაერო დაეხმარა მთავრობას ალმასებით უკანონო ვაჭრობის შეწყვეტაში და ამ სფეროს რეგულირებაში. ომის პერიოდში მეამბოხეები „სისხლიან“ ალმასებს იყენებდნენ იარაღის შესაძენად და ფულის საშოვნელად. გაეროს მისიის დახმარებით კი ალმასები ქვეყნის შემოსავლის ზრდის წყაროდ გადაიქცა. IMF-ის მონაცემებით თუკი 2000 წელს ალმასებისგან მიღებული შემოსავალი მხოლოდ $10 მილიონს შეადგენდა, 2004 წლისთვის $160 მილიონი გახდა. (Sierra Leone: A success story in peacekeeping, 2006, გვ. 3)

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, მისი დახმარებით 2000 წელს ჩამოყალიბდა სიერა ლეონეს ახალი თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობდა სამოქალაქო და სამხედრო პირების ინტენსიური ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას. ძველი სტრუქტურისგან განსხვავებით უკვე სამოქალაქო პირებსაც შეეძლოთ თანამდებობების დაკავება სამინისტროში. (Peace Accord Matrix, 2018)

2.3.3.მესამე მხარის როლი „ჩამშლელებთან“ გამკლავებაში

მესამე მხარის აქტორების ჩართულობა სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად, ამ პერიოდში, მშვიდობის მთავარი საფრთხეა ე.წ. „ჩამშლელები“ (spoilers). მათთან ეფექტურ გამკლავებაზე კი დამოკიდებულია სამშვიდობო პროცესის ბედი.

სანამ უშუალოდ „ჩამშლელებთან“(spoilers) გამკლავების ხერხებს და მეთოდებს განვიხილავთ, მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, ვინ არიან „ჩამშლელები.“ სტედმანის მიხედვით, „ჩამშლელებს“ (spoilers) ქმნის სამშვიდობო პროცესი. ომის პერიოდში არსებობენ მეომრები, აჯანყებულები და ა.შ. მაგრამ არა „ჩამშლელები“. ისინი ჩნდებიან მაშინ, როდესაც დაპირისპირებული მხარეები აღწევენ გარკვეულ შეთანხმებას და იწყება ომიდან მშვიდობისკენ ტრანზიციის პროცესი. ამ დროს, იშვიათია, რომ ყველა მხარე და ლიდერი განიხილავდეს მშვიდობას, როგორც სასარგებლოს. ამიტომ ზოგიერთ აქტორი ირჩევს კვლავ ძალადობის გზას, რათა მიიღოს უფრო მეტი, ვიდრე მიიღებს მშვიდობით. (Stedman, 1997, გვ. 7)

„ჩამშლელები“ (spoilers) ძირითადად არიან რომელიმე მხარის ლიდერები, კონფლიქტში ჩართული აქტორები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოლაპარაკებით მიღწეული შეთანხმება საფრთხეს უქმნის მათ ძალაუფლებას, ინტერესებს. ამიტომ სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ ხელი შეუშალონ სამშვიდობო შეთანხმების იმპლემეტაციას. (Stedman, 1997, გვ.5)

ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციაში 2000 წელს წარმოქმნილი სირთულეები ცეცხლის შეწყვეტის მუხლთან მიმართებაში სწორედ ასეთი ტიპის „ჩამშლელებს“ შეგვიძლია დავუკავშიროთ. აღნიშნულ შემთხვევაში არსებობდნენ ე.წ. შიდა „ჩამშლელები.“ შიდა „ჩამშლელი“ (spoiler) ხელს აწერს სამშვიდობო შეთანხმებას და თითქოს გამოხატავს იმპლემენტაციის სურვილს, მაგრამ მარცხს განიცდის შეთანხმების მთავრი ვალდებულებების შესრულებაში. (Stedman, 1997, გვ.8) ანუ სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში, სხვადასხვა ფაქტორების გავლენით, შესაძლოა გარკვეული სახის იძულებითაც, მხარე წავიდა შეთანხმებაზე, თუმცა, მიიჩნიოს, რომ აღნიშნული შეთანხმება ბოლომდე ვერ ასახავს მის ინტერესებს, სურს უფრო მეტი და ამიტომ ცდილობს ძალადობით ხელი შეუშალოს შეთანხმების იმპლემენტაციას.

ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლმენტაციის პროცესში მთავარი სირთულე ცეცხლის შეწყვეტასთან იყო დაკავშირებული. 1999 წლის ივლისშივე იყო ურთიერთ ბრალდებები მთავრობის და RUF-ის მიერ ცეცხლის შეწყვეტის დარღვევასთან და განხორციელებულ თავდასხმებთან დაკავშირებით ქალაქ მაგბურაკაზე და დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელ მთავარ გზატკეცილზე. (BBC News, 1999)

სერიოზული სირთულე წარმოიქმნა 2000 წლის მაისში, როდესაც RUF შეეცადა შეწინააღმდეგებოდა შეთანხმებას და UNAMSIL-ის შემადგენლობიდან 500 ადამიანი აიყვანა მძევლად. გაერომ მძევლების განთავისუფლება ლიბერიის პრეზიდენტთან ჩარლზ ტეილორთან თანამშრომლობით და მისი აქტიური ჩართულობის წყალობით მოახერხა. (globalsecurity.org, n.d.)

ასევე 2000 წლის 8 მაისს ფრიითაუნში, სანკოჰის სახლთან გამართულ დემონსტრაციაზე, სადაც ხალხი RUF-ის ძალადობრივ მეთოდებს აპროტესტებდა, RUF-ის წევრებმა 20 ადამიანი მოკლეს და სამთავრობო ძალებთან ახალი დაპირისპირება წარმოიქმნა. (Guberek, et al., 2006, გვ.10)

გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ფრენსის ოკელოს განცხადების მიხედვით, RUF-ის ზოგიერთი ლიდერი, ცალკეული მეთაურები და მეომრები ეწინააღმდეგებოდნენ ლომეს შეთანხმების მუხლებს და კვლავ აგრძელებდნენ შეირაღებას, მოქალაქეებზე თავდასხმებს და ხალხის გატაცებას. (Hirsch, 2001, გვ.127)

ესენი იყვნენ ის აქტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ლომეს სამშვიდობო შეთანხმებას, სურდათ თავიანთი ძალაუფლების და კონტროლის შენარჩუნება ტერიტორიებზე, ალმასის საბადოებზე, რაც შეთანხმების მუხლების შესრულების შემთხვევაში ნამდვილად ვერ მოხდებოდა. სწორედ ამიტომ, იმოქმედეს როგორც „ჩამშლელებმა“ და შეეცადნენ შეეფერხებინათ და ძირი გამოეთხარათ სამშვიდობო პროცესისთვის.

როგორც წესი, ომით დასუსტებულ სახელმწიფოს და მთავრობას უჭირს „ჩამშლელებთან“ გამკლავება. ამიტომ, ე.წ. „ჩამშლელების“ წარმატება და მარცხი გარკვეულწილად დაკავშირებულია საერთაშორისო აქტორების მოქმედებასთან, რომლებიც წარმოადგენენ „მშვიდობის მცველებს.“ თუკი საერთაშორისო აქტორები მოახერხებენ შექმნან და განახორციელონ ეფექტური სტრატეგიები მშვიდობის დასაცავად და „ჩამშლელებთან“ გასამკლავებლად, საფრთხე მცირდება და მშვიდობა მყარდება. ხოლო თუკი ვერ მოხერხდა ასეთი სტრატეგიების განვითარება, „ჩამშლელები“ იმარჯვებენ და სამშვიდობო პროცესი განიცდის მარცხს, რაც იწვევს ასობით ახალ მსხვერპლს და კონფლიქტის განახლებას. (Stedman, 1997, გვ.6)

სიერა ლეონეში წარმოქმნილი დაპირისპირებისას, გაეროს უშიშროების საბჭომ გაზარდა UNAMSIL-ის შემადგენლობა 13.000-მდე, მთავრობის ძალებთან გაერთიანდა კორომას ძალები და 2000 წლის მაის-ივნისში ერთობლივად იბრძოდნენ RUF-ის წინააღმდეგ. (Guberek, et al., 2006, გვ.10)

ასევე, დიდი ბრიტანეთის 1,300 კაციანმა ძალამ მნიშნელოვანი როლი შეასრულა RUF-თან წარმოქმნილი ახალი დაპირისპირების აღმოფხვრაში და შეთანხმების მშვიდობიანი იმპლემენტაციის შემაფერხებელ ფაქტორებთან გამკლავებაში. (Pickering, 2009, გვ. 27) საბოლოოდ, გაერთიანებული ძალების მოქმედების წყალობით მოხერხდა RUF-ის დამარცხება, ხოლო სანკოჰი და RUF-ის დაჯგუფებების მეთაურები და ლიდერები დააპატიმრეს. (Guberek, et al., 2006, გვ.10)

ამის შემდეგ, კვლავ მესამე მხარე - ECOWAS-ის დელეგაცია - შეეცადა მხარეები (მთავრობა და მეამბოხეთა დარჩენილი ნაწილი) შეეთანხმებინა ცეცხლის შეწყვეტაზე. რამდენიმე მცდელობის შემდეგ, 2001 წლის 16 მაისს მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტის განახლებაზე და სიერა ლეონეს სამოქალაქო ომიც საბოლოოდ დასრულდა. (Peace Accord Matrix, 2018)

აქედან გამომდინარე, მესამე მხარის აქტორებმა შეძლეს ლომეს შეთანხმების იმპლმენტაციის პროცესში წარმოქმნილ საფრთხეებთან გამკლავება, რითაც ხელი შეუწყეს შეთანხმების წარმატებულ იმპლმენტაციას და მშვიდობის დამყარებას.

სწორედ „ჩამშლელების“ არსებობის გამოა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მესამე მხარის საერთაშორისო აქტორების ჩართულობა სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში. საერთაშორისო აქტორები (სამშვიდობო პროცესში ჩართული სახელმწიფოები და ორგანიზაციები) წარმოადგენენ იმ ძალას, რომელსაც თავიანთი გავლენის, ძლიერების, რესურსებისა და შესაძლებლობების წყალობით შეუძლიათ, შეაჩერონ და აღკვეთონ „ჩამშლელების“ ძირგამომთხრელი საქმიანობა მშვიდობის წინააღმდეგ.

თავი 3. თეორიული ჩარჩო

3.1. მედიაციის პროცესში ჩართული აქტორები

მედიაციის პროცესის ანალიზისთვის აუცილებელია განვსაზღვროთ, ვინ არიან მედიატორები. მედიატორების კლასიფიკაციაში არსებობს სხვადასხვა ვარიანტები. მაგალითად, მელინის მიხედვით, არსებობს მედიატორების 4 ტიპი: საერთაშორსო ორგანიზაციები, რეგიონალური ორგანიზაციები, სახელმწიფოები, დაცალკეული პიროვნებები. (2013, გვ.79)

ხოლო ბერკოვიჩი კლასიფიცირებას სამ კატეგორიად ახდენს: ცალკეული ინდივიდუალური პიროვნებები; სახელმწიფოები; ინსტიტუტები ან ორგანიზაციები. (1992, გვ.10)

ინდივიდუალური პირები - ცალკეული ინდივიდუალური პიროვნება, რომელიც ერთვება მედიაციის პროცესში, როგორც წესი არის მაღალი რანგის პიროვნება, პოლიტიკური ფიგურა, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი. (Bercovitch, 1992, გვ. 10)

თუკი ინდვიდუალური მედიატორი არის პოლიტიკური ფიგურა, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მაშინ ამას უწოდებენ ოფიციალურ მედიაციას. (Bercovitch, 1992, გვ. 11)

თუმცა უმეტესად ინდივიდუალურ მედიაციაში იგულისხმებიან ის პირები, რომლებიც არ არიან ოფიციალური წარმომადგენლები, რომელიმე ქვეყნის ან ორგანიზაციის. ინდივიდუალურ პირებს მედიაციაში შეიძლება ჰქონდეთ უფრო მეტი მოქნილობა, ექსპერიმენტალურობა, ვიდრე პოლიტიკურ პირებს. (Bercovitch & Schneider, 2000)

მიუხედავად ინდივიდუალური მედიატორების ამ შესაძლებლობებისა, მათ მაინც უფრო ნაკლები გავლენა აქვთ და უფრო ნაკლებად არიან დომინანტი აქტორები მედიაციაში. მედიაციაში მოქმედებების უმეტესობა ხორციელდება სახელმწიფოების (მათი წარმომადგენელბის) და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. (Bercovitch & Schneider, 2000, გვ. 147)

სახელმწიფოები - სახელმწიფოები საკმაოდ ფრთხილად არჩევენ როდის და სად ჩაერიონ, ასევე აანალიზებენ იმ სტრატეგიულ სარგებელს, რაც შესაძლოა მედიაციამ მოიტანოს. მედიაციით მიღებული პოტენციური სარგებელი გულისხმობს, მაგალითად მშვიდობისმყოფელის რეპუტაციის შექმნას, ქვეყნის გავლენის გაზრდას, ასევე მედიაციით და კონფლიქტში მოგვარებაში ჩართულობით შეიძლება ამ მესამე მხარემ შეცვალოს მისთვის არასახარბიელო სტატუს კვო, ან პირიქით, შეინარჩუნოს მისთვის მისაღები მდგომარეობა. (Melin, 2013)

სახელმწიფოს მედიაციის შემთხვევაში ძირითად წარმოდგენილია მისი მეთაური, რომელიმე ოფიციალური თანამდებობის პირი ან დელეგაცია (Bercovitch, The Structure and Diversity of Mediation in International Relations, 1992, p. 12)

სახელმწიფოს მედიაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ შესაძლოა რამდენიმე სახელმწიფოს ჰქონდეს მსგავსი ინტერესი კონფლიქტის გაადწყვეტის მიმართ და იმოქმედონ ერთობლივად ერთ ან ორივე დაპირისპირებულ მხარესთან. (Iji & Fuchinoue, 2009, გვ.157)

ორგანიზაციები - აქ იგულისხმება საერთაშორისო, ან რეგიონალური ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციების მოტივები უფრო მეტად კომპლექსურია, ვიდრე სახელმწიფოების. მშვიდობისმყოფელობა და მშვიდობის ხელშეწყობა გარკვეულწილად მათი მოვალეობაცაა. ამასთან, სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები ძირითადად გამოხატავენ და ასახავენ თავიანთი წევრი სახელმწიფოების ინტერესებს. (Zartman, 2008) (159)

დაპირისპირებული მხარეების თვალთახედვით თუ განვსაზღვრავთ, საერთაშორისო ორგანიზაციებს გარკვეული უპირატესობა აქვთ მედიაციის პროცესში. რადგან მას უფრო ნაკლებად აქვს ფარული ინტერესები, როგორც ვთქვათ სახელმწიფოს; ასევე მის წარმომადგენელს უფრო ადვილად შეიძლება უთხრან მხარეებმა უარი, ვიდრე ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფოს. (Jonah, 1992, p. 177)

ასევე სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ან რეგიონალური ორგანიზაციის მედიაციის პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღვნიშნე, მნიშვნელოვანია მოტივები და მიზნები. ორგანიზაციებს მედიაციის პროცესში ჩართვის სურვილი შეიძლება ჰქონდეთ, რადგან აქვთ მანდატი ჩაერიონ დავაში (მაგალითად აფრიკის კავშირი, არაბთა ლიგა, აქვთ მანდატი და მოუწოდებენ წევრებს ჩაერთონ მედიაციის პროცესში რეგიონის ფარგლებში); ასევე, ორგანზიაცებს და, უფრო მეტად

სახელმწიფოებს, შესაძლოა სურდეთ კონფლიქტის გარდაქმნა, რომელიც გარკვეულ საფრთხეს და საშიშროებას უქმნის მათ პირად ინტერესებს; შესაძლოა ჩარევა სთხოვოს ერთმა ან ორივე დაპირისპირებულმა მხარემ; ან შესაძლოა ისინი მედიაციას განიხილავდნენ, როგორც საკუთარი გავლენის გაზრდის შესაძლებლობას. (Bercovitch, 1992, გვ.8-9)

ლომეს სამშვიდობო პროცესში ჩართული იყო ყველა სახის აქტორი. ინდივიდუალური პირების და სახელმწიფოების მედიაცია შეიძლება ერთად განვიხილოთ, ვინაიდან ინდივიდუალურ მედიაციაში მონაწილეობდნენ სახელმწიფოების პრეზიდენტები და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც ზურგს ის ორგანიზაცია/სახელმწიფოები უმაგრებდნენ, რომლებსაც ჰქონდათ ბერკეტი, როგორც კაბაჰის მთავრობაზე, ასევე RUF-ზე გავლენის მოსახდენად. სახელმწიფოები და შესაბამისად მათი პრეზიდენტები, ან წარმომადგენლები, ჩარევისას მოქმედებენ თავიანთი ინტერესების და პოტენციური სარგებლის მიღების იმედიდან გამომდინარე. მაგალითად, ნიგერიის ინტერესი იყო, რომ გაეყვანა ჯარები, შეემცირებინა საკუთარი დანახარჯები, რაც გამოწვეული იყო ნიგერიის ძალების სიერა ლეონეს სამოქალაქო ომში ჩართულობით. დიდი ბრიტანეთისთვის სამშიდობო პროცესში მონაწილეობა განიხილებოდა, როგორც რეპუტაციის აღდგენის საშუალება და შესაბამისად სახემწიფოს ინტერესი იყო. ამასთან, როგორც ყოფილი მეტროპოლია დაინტერესებული იყო დაპირისპირების აღმოფხვრით.

ოფიციალურ ინდივიდუალურ მედიაციაში უნდა აღინიშნოს გაეროს წარმომადგენლის ფრენსის ოკელოს როლი, რომელის შეხვედრებმაც RUF-ის ლიდერებთან შექმნა დიალოგის დაწყების ფორმატი.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ტოგომ და ნიგერიამ, რომელთა პრეზიდენტები, ლიბერიის და ბურკინა ფასოს პრეზიდენტებთან ერთად, უშუალოდ შეთანხმებაზე მუშაობის დროს ზეგავლენას ახდენდნენ მხარეებზე, ეხმარებოდნენ რთულ საკითხებზე შეთანხმებაში,

მისაღები გამოსავლის პოვნაში და, ფაქტობრივად, ზეწოლით მოახერხეს საბოლოო შეთანხმებაზე მხარეების შეთანხმება.

რაც შეეხება ორგანიზაციების მედიაციას, ლომეს მოლაპარაკებებში აქტიური როლი შეასრულა გაერომ და მისმა წარმომადგენლებმა. გაერო, როგორც მშვიდობის დამცველი ორგანიზაცია, რა თქმა უნდა დაინტერესებული იყო ომის დასრულებით, რომელიც ძალადობის წყარო იყო სიერა ლეონეში და მთლიანად რეგიონში ქმნიდა გარკვეულ საფრთხეს. ამიტომ, ლომეს მოლაპარაკებების შეთანხმებით დასრულება მნიშვნელოვანი საკითხი იყო.

ლომეს მოლაპარაკებების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ მედიატორები კონფლიქტის გადაწყვეტაზე მოტივირებულები არიან, როგორც ჰუმანიტარული, ასევე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. (as cited in Iji & Fuchinoue, 2009) გარდა იმისა, რომ მესამე მხარის აქტორებს აწუხებდათ ქვეყნის, ლეგიტიმური მთავრობის და სიერა ლეონეს მოსახლეობის ბედი, მაინც პირადმა ინტერესებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა.

3.2. მრავალმხრივი მედიაცია

არსებობს მრავალმხრივი მედიაციის რამდენიმე მოდელი, სადაც ასახულია როგორ ხდება სხვადასხვა მესამე მხარის აქტორების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში. მრავალმხრივ მედიაციაზე თავინათ ნაშრომებში მოსაზრებები განავითარეს კრისტოფერ მიტჩელმა, ლუის კრისბერგმა, რონალდ ფიშერმა და ლორალეი კიშლიმ.

ჩემს ნაშრომში გამოყენებულია კრისტოფერ მიტჩელის მოდელი, რომელიც მიიჩნევს რომ მესამე მხარის ჩართულობა უნდა განვიხილოთ, არა როგორც ერთი შუალედური აქტორის მოქმედება, არამედ კომპლექსური პროცესი, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალი მხარე. მიტჩელი ასევე განსაზღვრავს, რომ კონფლიქტის მოგვარება იქნება უფრო

წარმატებული, თუკი ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს არა ერთი, არამედ მესამე მხარის რამდენიმე აქტორი. (as cited in Iji & Fuchinoue, 2009)

ლომეს მოლაპარაკებები კარგად ასახავს მრავალმხრივ მედიაციაციას. აქ სხვადასხვა აქტორი აქტიურად იყო ჩართული სამშვიდობო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. თუკი მიტჩელისეული მოდელის მესამე მხარის მონაწილეობის ეტაპებს და ამ ეტაპებში ჩართულ აქტორებს ლომეს მოლაპარაკებებს მოვარგებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

პრე-მოლაპარაკების ეტაპი - უშუალოდ მოლპარაკების დაწყებამდე ეტაპში უნდა ვიგულისხმოთ ის ფაქტორები, რამაც შექმნა ხელსაყრელი ნიადაგი მოლაპრაკების დასაწყებად. ჩემს შემთხვევაშ ეს არის მესამე მხარის ზეწოლისგან გამოწვეული საფრთხის აფქტორები, რომლებმაც უბიძგა მხარეებს, მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ. ამასთან ფრენსის ოკელოს შეხვედრები RUF-ის ლიდერებთან და ჯესი ჯეკსონის (აშშ-ს წარმომადგენლის) მუშაობა კაბაჰთან დიალოგის დასაწყებად. აღნიშნულ ეტაპზე ჩართული იყვნენ სახელმწიფო მედიატორები - ნიგერია, დიდი ბრიტანეთი, როგორც ზეწოლის წყაროები და ოფიციალური ინდივიდუალური მედიატორები ოკელოს და ჯეკსონის სახით.

მოლაპარაკების ეტაპი - აქ განსაკუტრებული როლი შეასრულეს რეგიონის სახელმწიფოებმა - ტოგომ, ნიგერიამ, ლიბერიამ, ბურკინა ფასომ, რომლებმაც არ დაუშეს, რომ მოლაპარაკება ჩაშლილიყო და თითოეულ პრობლემატურ საკითხზე ცდილობდნენ მხარეებისთვის გამოსავალი შეეთავაზებინათ. აღნიშნული სახელმწიფოების პრეზიდენტებმა შეუწყეს ხელი მოლაპარაკების ფინალურ ეტაპზე შეთანხმების საბოლოო მიღებას მხარეების მიერ. ანუ აქ იყო სახელმწიფო მედიაცია, რომელიც ასევე ინდივიდუალურ ოფიციალურ მედიაციასაც შეიძლება მივაკუთვნოთ, თუმცა ვინაიდან აქტიური როლი ამ ქვეყნების პრეზიდენტებმა შეასრულეს, უფრო მეტად სახელმწიფო მედიაციის კატეგორიაა.

შეთანხმების შემდგომი ეტაპი - ეს ეტაპი გულისხმობს შეთანხმების იმპლემენტაციის საწყის ეტაპს. ამ ეტაპზე განსაკუთრებული როლი დიდმა ბრიტანეთმა და გაეროს

სადამკვირვებლო მისიამ - UNOSMIL-მა, შემდეგ კი UNAMSIL-მა შეასრულა. გაეროს მშვიდობისმყოფელებმა ხელი შეუწყეს განიარაღების და დემობილიზაციის პროცესს. ასევე სიერა ლეონეს მთავრობას დაეხმარნენ ალმასების უკანონო ვაჭრობასთან გამკლავებაში და ალმასები ქვეყნის შემოსავლის ზრდის წყაროდ აქციეს. ასევე გაეროსთან ერთად დიდი ბრიტანეთის ძალებმა გადაარჩინეს სიერა ლეონე ომის განახლებისგან და ეფექტურად გაუმკლავდნენ ე.წ. „ჩამშლელებს“ (სპოილერებს). ანუ ეს იყო სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი მედიაცია.

ფინალური შერიგების ეტაპი - ეს ეტაპი, ჩემი ქეისიდან გამომდინარე, გულისხმობს „ჩამშლელებთან“ გამკლავების შემდგომ პერიოდს. ამ დროს მოხდა შეთანხმების სრული იმპლემენტაცია, გაეროს დახმარებით პოლიციის სისტემის აღდგენა, დიდი ბრიტანეთის ჩართულობით თავდაცვის სამინისტროს ახალი სტრუქტურის შექმნა და გაეროს მისიის მონაწილეობით ქვეყანაში არჩევნების ჩატარება. რის შემდეგაც, სიერა ლეონეში მშვიდობა დამყარდა. როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზეც სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი მედიაცია იყო აქტიური.

დასკვნა

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო ომის დასრულების მიზნით მიღებული სამშვდობო შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესის კვლევა. ამისთვის, ნაშრომში განხილულ იქნა სიერა ლეონეში სამოქალაქო ომის დროს მიღწეული აბიჯანის და ლომეს სამშვიდობო შეთანხმებების ანალიზი მათი შედარების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შეთანხმება მსგავსი ტიპის იყო და ერთსა და იმავე დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაფორმდა, სხვადასხვა შედეგი მოიტანეს. ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაცია, აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებისაგან განსხვავებით, წარმატებით განხორციელდა. ნაშრომი შეეცადა გამოეკვეთა ის ძირითადი ფაქტორი, რამაც გავლენა მოახდინა ლომეს შეთანხმების წარმატებულ იმპლემენტაციაზე.

ნაშრომი წარმოადგენდა შედარებით ქეის სთადის, სადაც კვლევის თვისობრივი მეთოდის და დედუქციური მიდგომის გამოყენებით მოხდა წინასწარჩამოყალიბებული ჰიპოთეზის ახსნა და გაანალიზება და ბოლოს მედიაციის თეორიით და მრავალმხრივი მედიაციის მოდელით მისი გამყარება.

ნაშრომის მთავარ საკვლევ ჰიპოთეზას წარმოადგენდა შემდეგი: ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის წარმატება აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით განაპირობა მესამე მხარის აქტიურმა ჩართულობამ, როგორც მოლაპარაკების, ასევე შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში. მესამე მხარეში იგულისხმება საერთაშორისო აქტორები, სახელმწიფოები, რეგიონალური ორგანიზაციები და გაერო. სწორედ მათმა აქტიურმა მონაწილეობამ და გავლენამ განაპირობა, ლომეს შემთხვევაში, წარმატებული იმპლემენტაცია.

რაც შეეხება საკვლევ ცვლადებს, ნაშრომში გამოყოფილი იყო დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები. დამოკიდებული ცვლადი - ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაციის წარმატება აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით.

დამოუკიდებელი ცვლადი - მესამე მხარის ჩართულობა მოლაპარაკების და შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში; ისეთი მდგომარეობის/საფრთხის არსებობა, რომელიც მხარეებს უბიძგებს წავიდნენ მოლაპარაკებაზე;

სამშვიდობო შეთანხმების წარმატების განსაზღვრის ჩარჩოდ ნაშრომში გამოყენებულ იქნა 5 წლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც, თუკი მხარეები არ დაუბრუნდებიან ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომს და შეინიშნება მათი მხრიდან ძალისხმევა, შეთანხმების ვალდებულებების შესრულებაზე, მაშინ შეთანხმება შეგვიძლია წარმატებულად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საომარ მდგომარეობაში დაბრუნების განსაზღვრა გაცილებით ადვილია, რასაც შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მცდელობაზე ვერ ვიტყვით. სწორედ ამიტომ, შეთანხმების პირობების შესრულების ანალიზისთვის ნაშრომში გამოყენებულ იყო

სამშვიდობო შეთანხმებების მატრიცა, რომლის საშუალებითაც მოხდა, როგორც აბიჯანის, ასევე ლომეს სამშვიდობო შეთანხმებების იმპლემენტაციის პროცესის შეფასება. აღნიშნული ანალიზით დადგინდა, რომ ლომეს სამშვიდობო შეთანხმების იმპლემენტაცია 5 წლიან პერიოდში წარმატებით განხორციელდა და ხელი შეუწყო სიერა ლეონეში მშვიდობის დამყარებას.

ლომეს სამშვიდობო შეთანხმების წარმატებულ იმპლემენტაციაზე დიდი გავლენა იქონიეს მესამე მხარის აქტორებმა - მეზობელმა და არამეზობელმა სახელმწიფოებმა, ECOWAS-მა და გაერომ. აღნიშნული აქტორების ძალისხმევით მოხდა მხარეების დაყოლიება მოლაპარაკების დაწყებაზე, მოლაპარაკების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების მოგვარებაზე და მისაღები გამოსავლის მოძებნაზე. სწორედ ეს აქტორები ზრუნავდნენ და ცდილობდნენ დაპირისპირებული მხარეები შეთანხმებამდე მიეყვანა. ხოლო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გაერომ და დიდმა ბრიტანეთმა დიდი როლი შეასრულეს შეთანხმების წარმატებულ იმპლემენტაციაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მესამე მხარის საერთაშორისო აქტორების როლი იმპლემენტაციის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებთან - ე.წ. „ჩამშლელებთან“ გამკლავებაში, რითაც თავიდან იქნა აცილებული ახალი ომის დაწყება და ხელი შეეწყო მშვიდობის დამყარებას. „ჩამშლელების“ წარმოქმნის პროცესში, სწორედ, საერთაშორისო აქტორების მიერ გამოყენებული სტრატეგიები განსაზღვრავს მშვიდობის და სამშვიდობო შეთანხმების ბედს. (Stedman, 1997)

რაც შეეხება ანალიზის დონეებს, ნაშრომში გამოყენებულ იქნა მეორე და მესამე, ანუ სახელმწიფოებრივი და სისტემური დონე. სახელმწიფოებრივ დონეზე აიხსნა სამშვიდობო პროცესში ჩართული სახელმწიფოების ინტერესები, პოზიციები, მათი როლი და გავლენა შეთანხმების იმპლემენტაციაზე. ხოლო სისტემურ დონეზე, გაანალიზებულ იქნა გაეროს და მისი სადამკვირვებლო მისიის როლი და მნიშვნელობა.

ჰიპოთეზის გასამყარებლად და ცვლადებს შორის კავშირის ასახსნელად ნაშრომი ძირითადად დაეყრდნო ბერკოვიჩისეულ მედიაციის თეორიას და მიტჩელის მრავალმხრივი მედიაციის მოდელს. აღნიშნული თეორიული ანალიზით გამოიკვეთა მესამე მხარის როლი მედიაციის პროცესში და მათი გავლენა დაპირისპირების მშვიდობიან მოგვარებაზე. მედიაციის პროცესის ეტაპებზე და მრავალმხრივი მედიაციის სტადიებზე მოხდა საკვლევი საკითხის განხილვა და თითოეულ ეტაპზე შესაბამისი მოვლენის თუ მოქმედების მისადაგება.

ამგვარად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლომეს სამშვიდო შეთანხმების წარმატება აბიჯანის სამშვიდობო შეთანხმებასთან შედარებით განპირობებული იყო მესამე მხარის აქტორების ჩართულობით მოლაპარაკების და იმპლემენტაციის ეტაპებზე.

აღნიშნული მოსაზრება იძლევა განზოგადებული დაკვნის გამოტანის საშუალებას, რომ თუკი მესამე მხარის აქტორები აქტიურად ჩაერთვებიან კონფლიქტის მოგვარების მიზნით დაწყებულ პროცესებში, როგორც მოლაპარაკების, ასევე შეთანხმების იმპლემენტაციის დროს, მაშინ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სამშვიდობო შეთანხმება იქნება წარმატებული და ხელს შეუწყობს მშვიდობის დამყარებას.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ შესრულებული ნაშრომი საინტერესოა სამშვიდობო პროცესებით და კონფლიქტის მოგვარების გზებით დაინტერესებული ადამიანებისთვის, ვინაიდან მოიცავს და აანალიზებს იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც ბიძგს აძლევს დაპირისპირებულ მხარეებს წავიდნენ მოლაპარაკებაზე, შემდგომში ახდენს მათზე გავლენას და ხელს უწყობს სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას. და ბოლოს, დიდ როლს ასრულებს მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების წარმატებულ იმპლემენტაციაში.

ბიბლიოგრაფია:

1. Aspinall, E. (2005). The Helsinki Agreement: A More Promising Basis for Peace in Aceh?“. *Policy Studies 20*. Washington D.C.: East-West Center Washington.

2. *BBC News*. (1999, 24 May). Sierra Leone ceasefire broken: http://news.bbc.co.uk/2/hi/africa/351631.stm last accessed 18.12.18

3. Bercovitch, J. (1992). The Structure and Diversity of Mediation in International Relations. J. Bercovitch, & J. Z. Rubin, *Mediation in International Relations Multiple Approaches to Conflict* (p. 1-29). New York: Palgrave Macmillan.

4. Bercovitch, J., & Lee, S.-M. (2003). Mediating International Conflicts: Examining the Effectiveness of Directive Strategies. *The International Journal of Peace Studies, 8*(1).

5. Bercovitch, J., & Schneider, G. (2000, March). Who Mediates? The Political Economy of International Conflict Management. *Journal of Peace Research, 37*(2), 145-165.

6. DeRouen, K., Ferguson, M. J., Norton, S., Park, Y. H., Lea, J., & Streat-Bartlett, A. (2010 წლის May). Civil war peace agreement implementation and state capacity. *Journal of Peace Research, Vol. 47 No. 3*(Special Issue on State Capacity and Civil War),p. 333-346. http://www.jstor.org/stable/20752167 last accessed 19.11.18

7. Dupuy, K., & Binningsbø, H. M. (2007). *Power-sharing and Peace-building in Sierra Leone: Power-sharing Agreements, Negotiations and Peace Processes.* Oslo: CSCW – center for the study of civil wars.

8. Fayemi, J. K. (2004). Governing Insecurity in Post-Conflict States: the Case of Sierra Leone and Liberia. H. H. Alan Bryden-ში, *Reform and Reconstruction of the Security Sector* (p. 179-205). Geneva: Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces.

9. Fisher, R. (2011). The Contingency Model for Third-Party Interventions. Z. C. Susan Allen Nan-ში, *Peacemaking: From Practice to Theory: From Practice to Theory* (p. 683-700). Santa Barbara: Praeger Security International.

10. Gberie, L. (2007). Bringing Peace to West Africa: Liberia and Sierra Leone. Centre for Humanitarian Dialogue.

11. Guberek, T., Guzman, D., Silva, R., Cibelli, K., Asher, J., Weikart, S., & Grossman, P. B. (2006). *Truth and Myth in Sierra Leone:An Empirical Analysis of the Conflict, 1991-2000.* Benetech Human Rights Data Analysis Group and the American Bar Association.

12. Hirsch, J. L. (2001). *Sierra Leone: Diamonds and the Struggle for Democracy.* International Peace Academy.

13. Ibrahim, J. (2003). *Democratic Transition in Anglophone West Africa.* Dakar : CODESRIA Monograph Series.

14. Iji, T., & Fuchinoue, H. (2009). Toward a Better Understanding of Multiparty Mediation in International Relations. *Hiroshima Peace Science, 31*, p.135-162.

15. Jonah, J. O. (1992). The United Nations and International Conflict:the Military Talks at Kilometre Marker-101. J. Bercovitch, & J. Z. Rubin-ᲨᲝ, *Mediation in International Relations Multiple Approaches to Conflict Management* (p. 176-205). New York: Palgrave Macmillan.

16. Kargbo, M. S. (2006). *British Foreign Policy and the Conflict in Sierra Leone, 1991-2001.* Bern: Peter Lang International Academic Publishers; 1 edition.

17. Kornprobst, M. (2002). Explaining Success and Failure of War to Peace Transitions: Revisiting the Angolan and Mozambican Experience. *The jurnal of conflict studies, Vol. XXII No. 2*. https://journals.lib.unb.ca/index.php/jcs/article/view/393/630 last accessed 07.11.18

18. Mason, S. A. (2007). Mediation and Facilitation in Peace Processes. Zurich: International Relations and Security Network.

19. Melin, M. M. (2013). When States Mediate. *Penn State Journal of Law & International Affairs, II*(1), 78-90.

20. Mutisi, M. (2011, July). "Peace Implementation in the Post-2005 Era: Lessons from Four Peace Agreements in Africa,". *policy and practice brief*. Accord-the African center for the constructive resolution of disputes.

21. Mutwol, J. (2009). *Peace Agreements and Civil Wars in Africa: Insurgent Motivations, State Responses, and Third Party Peacemaking in Liberia, Rwanda, and Sierra Leone.* NY, USA: Cambria Press.

22. Omotola, J. S. (2007). The Sierra Leone Lomé Peace Accord. *Conflict Trends*, p.38-43.

23. *Peace Accord Matrix*. (2018). Kroc Institute for International Peace Studies, University of Notre Dame: https://peaceaccords.nd.edu/accord/abidjan-peace-agreement last accessed 01.11.18

24. *Peace Accord Matrix*. (2018). Kroc Institute for International Peace Studies, University of Notre Dame.: https://peaceaccords.nd.edu/accord/lom-peace-agreement- last accessed 02.11.18

25. *Peace Agreement Between the Government of Sierra Leone and the Revolutionary United Front.* (1999). United States Institute of Peace: http://www.usip.org/sites/default/files/file/resources/collections/peace_agreements/sierra_leone_07071999.pdf last accessed 18.12.19

26. Pickering, J. (2009, July). Policy Coherence in International Responses to State Failure: The role of the United Kingdom in Sierra Leone. London: Development Studies Institute, London School of Economics and Political Science.

27. Pruitt, D. G. (2005). Whither Ripeness Theory? Institute for Conflict Analysis and Resolution; George Mason University.

28. Rashid, I. (2000). The Lomé Peace Negotiations. *Paying the price: The Sierra Leone peace process* (p. 26-33).- London: Conciliation Resources.

29. *Sierra Leone: A success story in peacekeeping.* (2006). UN peace operations year in review 2005: http://www.un.org/en/peacekeeping/publications/yir/2005/ last accessed 20.11.18

30. Stedman, S. J. (1997). Spoiler Problems in Peace Processes. *International Security, Vol.22*(No.2), pp. 5-53. http://www.jstor.org/stable/2539366 last accessed 03.11.18

31. Walter, B. F. (2002). *Committing to Peace: The Successful Settlement of Civil Wars.* Princeton, New Jersey;: Princeton University Press.

32. Zartman, I. W. (2008). *Negotiation and Conflict Management Essays on theory and practice.* Routledge Taylor&Francs Group.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

,,კულტურისა და მედიის სოციოლოგია''

თეონა ბექაური

გენდერული სტერეოტიპები არაპოლიტიკურ ქართულ ტოქშოუებში

ნაშრომი შესრულებულია დოქტორანტის სემინარის კურსის ფარგლებში

ხელმძღვანელები:

ლია წულაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მცნიერებათა ფაკულტეტის ასცორებული პროფესორი

ამირან ბერძენიშვილი- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

გენდერული სტერეოტიპები არაპოლიტიკურ ქართულ ტოქშოუებში

ანოტაცია

უნივერსალური ტელეჟანრი ტოქშოუ, როგორც ჟურნალისტური პროდუქტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მაყურებელში მსოფლიო მასშტაბით. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი- ქართულ ტელესივრცეში საკმაოდ პოპლარულია ტოქშოუს ისეთი ტიპი , როგორიცაა არაპოლიტიკური გასართობ-შემეცნებითი.

,,პირველად ტელესივრცეში'', ,,ექსკლუზიურად ჩვენი მაყურებლისთვის'', ,,ის რაც ჯერ არსად გინახავთ '' და სხვა მსგავსი ფრაზები სხვადასხვა ტელეარხების ეთერით ყოველდღიურად ისმის. მაყურებელს არანახულ, მძიმე და სკანდალურ ამბებს ქართული ტოქშოუები ჰპირდება, რომლებიც პრაიმ-ტაიმში, საღამოს 9:00 საათიდან 00:00 საათამდე ინტერვალში მაუწყებლობენ.

განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა ბულვარული თემატიკით გაჯერებული ტოქშოუები, სადაც სტუმრები, მაყურებლისათვის ცნობილი სახეები საკუთარი ცხოვრების პიკანტურ დეტალებს ჰყვებიან, განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, როგორიცაა გენდერული თანასწორობა-უთანასწორობა, ძალადობა, სიღარიბე, სექსი, სექსუალური ორიენტაცია და სხვ.

პირველად, საკითხით- თუ როგორ ხდება საზოგადოებისათვის ასეთი სენსიტიური თემების მიწოდება, 2015 წელს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას დავიტერესდი: მნიშვნელოვნად მივიჩნიე გამერკვია, თუ რა როლს შეიძლება ასრულებდეს არაპოლიტიკური ტოქშოუები მაყურებელთა მიერ ქალთა როლის აღქმაზე და რამდენად შესაძლებელია მათი საქმიანობით ხდებოდეს გენდერული სტერეოტიპების განმტკიცება აუდიტორიაში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ქართულ ტელესივრცეში პოპულარული არაპოლიტიკური ტოქ-შოუების ,,პროფილი'' და ,,სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად '' მაგალითზე გამომევლინა ხელს უწყობდა თუ არა ბულვარული თემატიკის ტოქშოუები გენდერული სტერეოტიპებს განმტკიცებას საზოგადოებაში. კვლევისას გამოვლინდა, რომ გენდერულ საკითხებს საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა ორივე გადაცემაში, შეინიშნებოდა თემების სეგრეგაცია გენდერული ნიშნით, ტოქშოუების მხრიდან ადგილი ქონდა ისეთ გაშუქებას, რაც ამყარებდა ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს.

2015 წლიდან დღემდე, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით, შედარებით დაიხვეწა; მიღებული იქნა ანტიდისკიმინაციული კანონი, ხელი მოეწერა ,,ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციას. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ყოველივე ზემოთთქმულის გათვლისწინებით, საინტერესოდ მივიჩნიე ჩამეტარებინა მედიამონიტორინგის მეორე ეტაპი და შემესწავლა არაპოლიტიკური ტოქშოების მიერ გენდერული საკითხების გაშუქება, ცვლილებები და ტენდენციები.

აღნიშნული კვლევით მსურს, მცირედი წვლილი შევიტანო იმის გარკვევაში, თუ რა შეიცვალა ზემოთაღნიშნული არაპოლიტიკური ტოქშოუების საქმიანობაში

2015 წლის შემდეგ, 2015-2018 წლებში, ქვეყანაში, გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხოციელებული საკანონმდებლო და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებულ ცვილელების ფონზე. ,,როგორი ეფექტით '' (ჰ.ლასუელი ვინ აცნობებს,სახელდობრ რას ,როგორი არხებით, ვის და როგორი ეფექტით) მიეწოდება აუდიტორიას ინფორმაცია იმ არაპოლიტიკური ტოქშოების მიერ, რომელთა კვლევაც განვახორციელე 2015 წელს: როგორ ხდება გენდერული საკითხების გაშუქება დღეს, კვლავ ადგილი აქვს თუ არა თემების სეგრეგაციას, კვლავ ხდება თუ არა გენდერული სტერეოტიპების განმტკიცების ხელშეწყობა .

საქართველოში კვლევები არაპოლიტიკური გასართობი ტოქშოუების შესახებ,მით უმეტეს, ფოკუსირებული გენდერულ სტერეოტიპების გავრცელებაზე საკმაოდ მწირია, ამიტომ ვფიქრობ, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა შესაძლოა საინტერესო იყოს როგორც პოპულარული ტოქშოუების საქმიანობის აღწერა მედია სტანდარტთან შესაბამისობაში და მაყურებელში კონკრეტული ეფექტის (სტრეოტიპების გამყარება) გამოვლენის მცდელობა, აგრეთვე როგორც საზოგადოების ცობიერების ამაღლების მიმართულებით საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა შეფასება კონკრეტული მედია პროდუქტების შესწავლის საფუძველზე.

სარჩევი:

1. შესავალი- ----------გვ.6
2. თავი I.ინფორმაციის მნიშვნელობასა და მასობრივი კომუნიკაციის ფუნციების შესახებ- ----------გვ.12
3. ტოქშოუს, როგორც ტელეჟურნალის დაბადება- ----------გვ.14
4. ტერმინის ,,ტოქ-შოუ'' და მისი არსის განსაზღვრება- ----------გვ.17
5. ტოქ-შოუს ტიპები---------- გვ.21
6. ყვითელი ჟურნალისტიკა/გენდერი/გენდერული სტერეოტიპები (ცნებების განმარტება)- ----------გვ.23
7. თავი II. წინამორბედი კვლევები (მიმოხილვა)- ----------გვ.27
8. თავი III მედიამონიტორინგის შედეგები.- ----------გვ.32
9. დასკვნა- ----------გვ.44
10. რეკომენდაციები---------- გვ. 48

შესავალი :

პირველად, არაპლიტიკური, გასრთობ-შემეცნებითი ტოქშოუებისადმი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი საზოგადოებრივ ტრანსპორტში შევნიშნე სახლიდან უნივერსიტეტამდე და პირიქით მგზავრობისას .იმ პერიოდში , დღის განმავლობაში ექვსი ტრანსპორტის გამოცვლა მიწევდა და რას არ ვუსმენდი მგზავრებისგან- მოსაზრებებს პოლიტიკის, პოლიტიკოსების, მათი პირადი ცხოვრების შესახებ, კომუნისტური პერიოდისა და დღევანდელი ცხოვრების მრავალმხრივ და მრავალფეროვან შედარებებს, პირად პრობლემებს ჯანმრთელობის ან სიღარიბის შესახებ და ა.შ. განასკუთრებული და გაცხარებული განხილვის საგნად რამდენჯერმე გენდერული პრობლემატიკა მომევლინა, როგორიც იყო მაგალითად : თანასწორობა-უთანასწორობა, ქალთაპოზიტიური თუ ნეგატიური დისკრიმინაცია. მას შემდეგ, რაც ამ საკითხებთან ერთად ზედიზედ ერთი და იგივე ტოქშოუების სახელი გავიგონე, რამდენიმე გადაცემა მეც ვნახე, შევაფასე და გადავწყვიტე ,რომ მათი შემქმნელების მხრიდან ბულვარულ, ანუ ყვითელ, მდარე ხარისხის თემატიკაზე ორიენტირებას უშედეგოდ არ ჩაუვლია, რადგან მაყურებლში გადაცემები რამდენიმე დღის განმავლობაში არ კარგავდა აქტუალობას .

მოგვიანებით, იგივე ტოქშოუებმა და მათი სტუმრების ამბებმა სოციალური ქსელები, განსაკუთრებით კი- Facebook-ი მოიცვა და ნებით, თუ უნებლიედ მოვლენათა დამკვირვებლად ვიქეცი. შევამჩნიე, რომ ყოველ მომდევნო გადაცემებს მოსდევდა ქსელში რამდენიმედღიანი განხილვა დისკუსიისა, თუ ცხარე კამათის სახით. გაშარჟდა წამყვანთა სახეები, სტუმრები. გამოჩნდა ე.წ. ქოუბები, რომლებიც სახასიათო და სახლისო სახეებიდან გამომდინარე მალე ინტერნეტ ჰიტებად იქცა. ამ ყოველივეს თან ერთვოდა საინფორმაციო სააგენტოების ხელშეწყობა, რაც მათი მხრიდან ანონსების, კონტექსტიდან მოწყვეტილი ნაწყვეტების, ფოტოების, ქარდებისა და ქოუბების აქტიური გავრცელებით.

რამდენიმე თვის მანძილზე ქართულ გასართობ-შემეცნებით ტოქშოუებზე და მათ მაყურებლებზე დაკვირვება ჩემთვის ერთერთ საინტერესო საქმიანობად იქცა, თუმცა საკითხის სიღრმისეულად შეწავლა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევისას გადავწყვიტე, სხვადასხვა არხების პროდუქტებიდან შევარჩიე განსაკუთრებით რეიტინგულები და სოციალურ ქსელში აქტუალურები მაყურებელთა განხილვის თვალსზრისით. ტელეკომპანია ,,რუსთავი 2''-ის ტოქშოუ ,,პროფილი'' და მისი კონკურენტი ,,სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად''- ტელკომპანია ,,იმედის'' პროდუქტი. გარდა სხვა საერთო მახასიათებლებისა, რომლებსაც უფრო ვრცლად ქვემოთ მოგახსენებთ, აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მაყურებელს ორივე ტოქშოუს ხილვა ყოველხუთშაბათს 22:00 საათზე შეუძლია. გადაცემებში გავრცელებული ზღვა ინფორმაციიდან თვალში საცემია გენდერული თემატიკა. ჩანდა, რომ ქალთა როლის ტრადიციულ გაგებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად , საზოგადოებაშიც და საკვლევ ტოქშოუებშიც , ხშირად , ქალებისადმი სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი; შესაბამისად ჩემი საკვლევი ჰიპოთეზა იყო შემდეგი: ტოქშოუები, ,,პროფილი'' და ,,სხვარაკურსი გიაჯაჯანიძესთან ერთად '' , ხელს უწყობს საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას.

2015 წელს, ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ქართული არაპოლიტიკური ტოქ-შოუების ,,პროფილი'' და ,,სხვა რაკურსი გიაჯაჯანიძესთან ერთად '' მაგალითზე გამომევლინა , ხელს უწყობს, თუ არა ბულვარული თემატიკის ტოქშოუები გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას საზოგადოებაში. კვლევისას გამოვლინდა, რომ გენდერულ საკითხებს საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა ორივე გადაცემაში, შეინიშნებოდა თემების სეგრეგაცია გენდერული ნიშნით და ადგილი ქონდა ისეთ გაშუქებას, რაც ამყარებდა ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს.

წინამდებარე კვლევის მიზანია, მცირედი წვლილი შევიტანო იმის გარკვევაში, რა შეიცვალა ზემოთაღნიშნული არაპოლიტიკური ტოქშოუების საქმიანობაში 2015 წლის შემდეგ, 2015-2018 წლებში, ქვეყანაში, გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხოციელებული საკანონმდებლო და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებულ ცვლილელების ფონზე. ვინაიდან ტოქშოების ოფიციალურ გვერდებზე კვლავ დიდი ადგილს იკავებს გენდერული თემატიკა, რომელიც სხვდასხვა ფორმით მაყურებლების/სოციალური ქსელების მომხმარებელთა აქტიური განხილვის საგანია, თვალშისაცემ ნეგატიური კონტექსტში ჩემი კვლევის ჰიპოტეზა შესაბამისად ჩამოვაყალიბებე, რამეთუ მიმაჩნია, რომ აღნიშნული ტოქშოუები თავიანთი საქმიანობით კვლავ ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას სხვდასხვა ფორმითა და განსაკუთრებით კი ქალთა როლის პოზიტიური დისკრიმინაციით.

მიზნის შესაბამისად დასმული იქნა შემდეგი ამოცანები, ტოქშოუების ,,პროფილი'' და ,,სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად'' თემატიკაში გენდერული საკითხების ადგილის განსაზვრა, გენდერული სტერეოტიპების გამოვლენა/კატეგორიზაცია და მათი გაშუქების მანერის ანალიზი.

კვლევის ეტაპები - უკვე ჩატარებული კვლევების შესახებ ლიტერატურის მოძიება, საკვლევი ტოქშოუების კონკრეტული გადაცემებზე მონიტორინგის განხორციელება დროის ორთვიან მონაკვეთში . კვლევის სუბიექტი ტოქშოუების ოფიციალური გვერდების შესწავლა სოციალურ ქსელ Facebook-ში დაკვირვების მეთოდით , მიღებული მონაცემების შედარება კვლევისას პირველ ეტაპზე მიღებულ მონაცემებთან და მათი ანალიზი.

კვლევის მეთოდი - ბუნებრივია, ამჯერადაც ის კვლევის მეთოდები გამოვიყენე, რომლებიც თავდაპირველი კვლევისას, ვინაიდან აღნიშნული

საშუელებას მომცემდა შემესწავლა და შემეფასებინა ცვილებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში და მათი ანალიზი 2015 წელის მომაცემებთან მიმართებაში.

ისევე, როგორც პირველი კვლევისას ტოქშოუებისა და მათი Facebook გვერდების მონიტორინგი და მიღებული მონაცემების დისკურსის ანალიზი, კვლავ აუცილებლად მივიჩნიე შემდეგი ამოცანების განსახორცელებლად: განმესაზვრა გენდერული საკითხების ადგილი კვლევის ობიექტი ტოშოუების თემატიკაში, გამომევლინა გენდერული სტერეოტიპები და ცვილებები;

აღნიშნული მეთოდი საშუალებას მომცემდა ისეთი თვისებრივი მონაცემების მოპოვება,როგორიცაა:

- გენდერული ბალანსი _ დაცულია თუ არა გადაცემებში გენდერული ბალანსი, თანაბრად არის თუ არა წარმოჩენილი ისმის თუ არა ქალთა მოსაზრებები და შეფასებები სხვადასხვა საკითხებზე.
- გაშუქების სიხშირე _ რამდენად ხშირად შუქდება ქალები და ქალებთან დაკავშირებული თემები.
- თემების სეგრეგაცია გენდერული ნიშნით- ადგილი აქვს თუ არა თემების სეგრეგაციას გენდერული ნიშნით.
- სექსისტური ენა _ ხომ არ გამოიყენება სექსისტური ენა, მედიის წარმომდგენლების, ან გადაცემებში მოწვეული სტუმრების მიერ. ანუ, ისეთი გამონათქვამები თუ შედარებები, რომლებიც აკნინებს ან შეურაცხყოფს ქალებს ანდა ლახავს მათ ღირსებას.
- ტოქშოების შემქნელთა გენდერმგრძნობიარობა _ რამდენად გათვითცნობიერებულები არიან წამყვანები გენდერის საკითხებში; გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ თუ თავისუფლები არიან ასეთი სტერეოტიპებისაგან.
- პროფესიული გაშუქება _ შუქდება თუ არა ზემოაღნიშნული საკითხები პროფესიული სტანდარტების დაცვით.
- და ბოლოს, რა ცვილებები განიცადა აღნიშნულმა მონაცემებმა 2015 წლის შემდეგ ქვეყნაში განხორციელებული ცვლილების ფონზე.

შერჩევის მეთოდი- მიზნობრივი. მონიტორინგი განხორციელდა კვლევის პირველ ეტაპზე შეწავლილ ტოქშოუებზე.

მონაცემთა ანალიზი - განვახორციელე კონტენტ-ანალიზისა და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით. დისკურსის ანალიზი სოციალურ მეცნიერებებში წარმოადგენს სოციოკულტურული ინფორმაციის მოპოვების საუალებას მეტყველებისა და ენის, ასევე ტექსტების ანალიზის გზით. ამ შემთხვევაში, ნაგულისხმებია დაშვება, რომ მეტყველების დინამიკურ პროცესში და ტექსტის სისტემაში (რომელსაც გარკვეული თვალსაზრისით ასევე დინამიკური ხასიათი გააჩნია) აისახება და აკუმულირდება გარკვეული ინფორმაცია, რომლის მიღებაც თავად მეტყველებისა და ტექსტის ანალიზის გზით არის შესაძლებელი.

კონტენტ-ანალიზი კი წარმოადგენს ინფორმაციული წყაროს ფორმისა და შინაარსის სისტემატიურ რიცხობრივ ანალიზს, შეფასებასა და ინტერპრეტაციას, მაშასადამე ანალიზისას გამოიყოფა ძირითადად ტექსტში გარკვეული კონტექსტის ფარგლებში არსებული სიტყვები, რომლებსაც კონტექსტით განსაზღვრული მნიშვნელობა გააჩნიათ, რის შემდეგაც მიმდინარეობს აღნიშნულ სიტყვათა და შესიტყვებათა რიცხობრივი ანალიზი და მათ შორის სტრუქტურული კავშირების დადგენა.

კვლევის შეზღუდვა:

რადგან კვლევა მხოლოდ მიზნობრივად შერჩეული სუბიექტების ერთი თვის გადაცემების მონიტორინგზეა დაფუძნებული, მასში, ცხადია, სრულად ვერ მოხდებოდა არაპოლტიკურ გადაცემებში გენდერული საკითხების გაშუქების სრულფასოვანი სიღრმისეული ანალიზი. თუმცა მოპოვებული მონაცემები ცხადყოფს, რომ აღნიშნული თემის გაშუქებისას არაპოლიტიკური ტოქშოუების შემქნელების მიერ ვლინდება აშკარა უგულებელყოფა ეთიკური სტანდარტების და საჭიროა მათი გენდერმგრძნობელობის ამაღლება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ სამაუწყებლო ბადის იმ დროს (პრაიმტაიმი) როდესაც აღნიშნული გადაცემებს ეთერი ეთმობა.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა , ამ თავებში შემავალი ქვეთავებისა და დასკვნისაგან.

პირველი თავი - ინფორმაციის მნიშვნელობას 21-ე საუკუნეში და მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციების განმარტებას ეთმობა. მოცემულია აგრეთვე ინფორმაცია ტოქშოუს შესახებ: ტოქშოუს ტელეჟნრად ჩამოყალიბების ისტორია ; ტერმინისა და არსის განსაზღვრება ; ტოშოუთა ტიპოლოგია. სულ ბოლოს, კი ისეთი ტერმინებია განმარტებული , რომლების ნაშრომში გვხდება.(,,ყვითელი'' ჟურნალისტიკა, გენდერი, გენდერული სტერეოტიპები)

მეორე თავი - წინამორბედი კვლევების, მათ შორის ჩემს მიერ განხორცილებული კვლევის მიმოხილვას ეთმობა.

მესამე თავი-მთლიანად კვლევის ძირითად შედეგებია წარმოდგენილი: მედია მონიტორინგის გაიდლაინი და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები;

დასკვნაში შევეცდები, რომ შევაჯამო ჩემს მიერ მოპოვებული ინფომრაცია, გავახორციელო ცვლილებათა ანალიზი წინამორბედი კვლევის, ანუ პირველი ეტეპაის შედეგებთან მიმართებაში და ჩამოვაყალიბო სამომავლო კვლევებისათვის გამოსადეგი შეკითხვები.

თავი I

ინფორმაციის მნიშვნელობასა და მასობრივი კომუნიკაციის ფუნციების შესახებ:

სანამ უშუალოდ კვლევას შევეხებოდეთ ,აუცილებელად მიმაჩნია,ძირითადი ცნებების განმარტება.

21-ე საუკუნეში ,,ჩვენ ვცხოვრობთ არა სამყაროში,რომელზეც გვაქვს გარკვეული ინფორმაცია,არამედ ,პირიქით,ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში,რომელიც შექმნილია ინფორმაციის საშუალბით ‘’,ეს ის ძირითადი დასკვნაა,რომელიც ინფორმაციის პოსტმოდერნული ანალიზიდან გამომდინარეობს .ცალსახად ეთანხმება ბარტის მოსაზრება,,რომლის მიხედვითაც ჩვენი დღევანდელი ცოდნა დისკურსის (ენის) პრობლემაა ,ხოლო ნებისმიერი ჩვენი გამოცდილება კი - ინფორმაციული გამოცდილება.

ინფორმაციული რევოლუციის შედეგად სწორედ ინფორმაცია იქცა იმ უმაღლეს ღირებულებად,რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელობს თანამედროვე ადამიანთა ცხოვრებაში.მასობრივი კომუნიკაცია კი ის სისტემაა,რომელიც ამ უმაღლესი ღირებულების ბრუნვას ახორციელებს.

მასობრივი კომუნიკაციის მთელი სისტემის სოციოლოგიურ პროგრამას დიდი სიზუსტით გადმოსცემს ჰ.ლასუელის ფორმულა : ,,ვინ აცნობებს,სახელდობრ რას,როგორი არხებით,ვისა და როგორი ეფექტით’’.

ფორმულაში ,,ვინ’’ ნიშავს კომუნიკატორს, ,,რა’’ სახელდობრ ინფორმაციას, მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებს გულისხმობს ,,არხები’’,ინფორმაციის მიმღებს ანუ აუდიტორიას,რეციპიენტს აღნიშნავს ფორმულაში ,,ვის’’,ხოლო რაც შეეხება ,,ეფექტს’’ -გადაცემულ ინფორმაციასა და

აუდიტორიაზე მის ზემოქმედებას შორის ბუნებრივი და მარტივი კავშირი არსებობს და თუკი კომუნიკატორი სოციალურ და ფიქოლოგიურ ასპექტებს გაითვალისწინებს, მასობრივი კომუნიკაციის შედეგები წინასწარ განჭვრეტადი და მაღალი ეფექტის მქონე იქნება.

საზოგადოებრივი ცხოვრების ,ადამიანთა სულიერი გარემოცვის მეტნაკლებად ადეკვატური სურათის გადმოცემით მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ხელს უწყობს სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ხდება ,,სოციალური შეჭიდულობის'' რეალიზაციის მექანიზმის ორი ძირითადი შემადგენლის ურთიერთქმედება.გვაქვს შემადგენელი ნაწილი - აუდიტორიის მოთხოვნები და მეორე-მოთხოვნებზე რეაქცია.მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით ხდება საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება,პირდაპირ ან ირიბად.

მასობრივი კომუნიკაციის კვლევა ხდება ორ ურთიერთდაკავშირებულ სიბრტყეზე.

პირველი-მასობრივი კომუნიკაციის საქმიანობის კონკრეტული ფორმა ,

მეორე - ის სარგებლობა ,რომელიცამსაქმიანობასაქვსაუდიიტორიისთვალსაზრისით.

შეგვიძლია გამოვყოთ მასობრივი კომუნიკაციის საქმნიანობის ძირითად ფუნქციებია და ესენია:

1.საინფორმაციო ფუნქცია

2.სოციალური კავშირის ფუნქცია

3.მემკვიდრეობის უზრუნველყოფის ფუნქცია

4. რეკრეაციული ფუნქცია

5. მობილიზაციის ფუნქცია

წლების განმავლობაში ტელევიზია იყო მასობრივი კომუნიკაციის ის ყველაზე პოპულარული საშუალება,რომელიც ამ ფუქციებს სხვა საშუალებებთან შედარებით ყველაზე უფრო ოპერატიულად და მრავალფეროვანად ასრულებდა.თუმცა აღანიშნავია ,რომ დღეს ,ინფორმაციული რევოლუციის შემდეგ,ოპერატიულის სტატუსს მას ინეტრენტი ნელე-ნელა ართმევს. ტელევიზია განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა და უთმობს ტოქშოუს სატელევიზიო ჟანრს.ეს უკანასკნელი განსაკუთრებით პოპულარულია ანალიტიკურ ჟურნალისტიკაში,მხატვრულ და გასართობ პროგრამებში.

ტოქ-შოუს ,როგორც სატელევიზო ჟანრის დაბადება.

სატელევიზიო სივრცეში თოქ-შოუს დაბადება შემთხვევთობის წყალობით მოხდა.1967 წელს ,ოჰაიოს შტატში ,ქალაქ დეიტონში,ადგილობრივ ტელევიზიაში მუშაობდა ამერიკელი ჟურნალისტი ფილ დონაჰაუ ,რომელსაც საეთეროდ მომზადებული საესტრადო კონცერტის გადადების გამო,მოუწია საკონცერტო დარბაზში შეკერებული აუდიტორიის გართობა.დონაჰიუ გავიდა დარბაზში და სტუმრებს ჰკითხა თუ რა თემებზე ერჩივნათ საუბარი,როდესაც ჩაწერა განახლდებოდა.მისთვის ძალიანნ საინტერესო აღმოჩნდა პუბლიკის მოსაზრებები და სთხოვა იგივე კითხვები მისთვის ეთერში დაესვათ.ასე მოხდა პირველი თოქ-შოუს დაბადება .მას შემდეგ 40 წლის განმავლობაში იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი იყო ამერიკაში,რომლის თოქ-შოუებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა.ტოქ-შოუ იქცა ყველაზე წარმატებულ ტელეჟანრად.ამერიკაში დღემდე ცნობილია ტოქ-შოუს წამყვანების ოთხეული- ხერალდო რივერა,ოპრა უინფორი , ფილ დონაჰიუ და სალი რაფაელი.

ტოქ-შოუ (ინგლ. Talk show-საუბარი -წარმოდგენა) -ეს სალაპარაკო გადაცემაა,რომლეში სტუდიაში მიწვეული აუდიტორია მონაწილეობს.

,,აშშ-ს მასობრივი კომუნიკაციის ინფორმაციის ენის ლექსიკუნში'' გვხვდება ტერი ელმორის განმარტება, ,,ტოქ-შოუ საქვეყნოდ ცნობილი წამყვანის პროგრამაა,რომელიც ინტერვიუს იღებს ცნობილი ადამიანებისგან''

ბუნებრივია,რომ ტოქ-შოუს სტილი საბჭოთა ცენზური კანონებს არ ეთანხმებოდა,კერძოდ გადაცემაში ფართო აუდიტორიის მონაწილეობას.მიზეზი გახლდათ შემდეგი: ფართო აუდიტორიის მონაწილეობა არ გამორიცხავდა,რომ პირდაპირი ეთერის შემთხვევაში,გადაცემა ვინმეს საბჭოთა რეჟიმის გასაკრიტიკებლად გამოეყენებინა ,ამიტომაც საბჭოთა ქვეყნებში ის შედარებით გვიან გამოჩნდა .ტოქ-შოუს მსგავსი ერთადერთი გადაცემა იყო ,,მთელი სულით'',რომელიც ცენტრალური ტელევიზიის ეთერში გადაიცემოდა,ოღონდ,რათქამაუნდა ჩაწერილი ვერსია და არა პირდაპირი.გადაცემას უძღვებოდა ცნობილი დიქტორი ვალენტინა ლეონტიევა.აუდიტორია არ წარმოადგენდა საშიშროებას,რადგან მონაწილებდნენ საბჭოთა სისტემის მიერ დამუშავებული ადამიანები,ძირითადად მეორე მსოფლიო ომგამოვლილნი.გულისამაჩუყებელი გადაცემებით ,სადაც დაკარგული ახლობლები ერთმანეთს პოულობდნენ საბჭოთა კავშირი ხაზს უსვავდა ომის საშინელებას .სტუმრებიცა და მაყურებელიც ტელევიზიის მადლიერები იყვნენ ,იმისათვის,რომ მისი საშუალებით შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენას ახერხებდნენ.. ფორმატით ეს საბჭოთა ტოქ-შოუ მაგონებს ,ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ობიექტს ,,პროფილი '' ,რომელშიც ძალიან ხშირად კეთდება თემები ე.წ. დაკარგულებზე,თუმცა ამაზე მოგვიანებით ვრცლად მოგასხენებთ,საკვლევი ტოქ-შოუების ანალიზში.

ე.წ. ,,პერესტროკის'' პერიოდამდე სრულყოფილი ამერიკული მოდელის შოუები საბჭოთა კავშირში არ ყოფილა,გამოჩნდა ,,გარდაქმნის '' შემდეგ ,როდესაც

დასავლურმა ფასეულობებმა და ცხოვრების წესმა თანდათან საბჭოთა ადამიანების ცხოვრბაშიც დაისადგურა . ,,პერესტროიკის'' იდეოლოგებს თოქ-შოუ კარგ საშუალებას წარმოადგენდა დემოკრატიული იდეალებისადმი მათი მისწრაფებებების დემონსტრირებისათვის .თანდადათანობით შოუებში მონაწილე ადამინების სიფრთხილემ მოიკლო და უბრალო ადამიანები ალაპარაკდნენ არა შრომით მიღწევებზე,არამედ მათ წინაშე მდგარ პრობლემებზე ,სოციალურ საკითხებზე ,პოლიტიკურ სფეროში არსებულ პრობლემებზე,მორალურ-ეთიკურ კატეგორიაზე ,სიყვარულზე,სექსზე და ა.შ.ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო რუსი ჟურნალისტის ლისტიევის შოუ იყო,სახელწოდებით ,,თემა''

რაში მდგომარეობს ტოქ -შოუს უმათავრესი საფუძველი,რათქმაუნდა,ანალიზში,რომელიც შესაძლოა ეხებოდეს პოლიტიკას,ეკონომიკას,სოციალურ საკითხებს,კულტურას,სპორტს,შოუ-ბიზნესს და სხვ. ასე რომ,თამამად შეიძლება ვუწოდოთ ტოქ-შოუს უნივერსალური სატელევიზიო ჟანრი,რომელიც იყენებს საუბარს,ინტერვიუს,დისკუსიას,სიუჟეტს,რეპორტაჟს და მცირე ზომის სატელევიზიო ფილმებსაც კი.მის ცენტრში ყოველთვის დგას წამყვანი,იმ საკითხების წარმომდგენი,რომლებიც უნდა განიხილებოდეს, როგორც სტუდიის აუდიტორიის ,ასევე მოწვეული სტუმრების მიერ.ტოქ-შოუს პოპულარობას განაპირობებს,მისი დემოკრატიულობა.იგი აკმაყოფილებს ადამიანების ერთგვარ მისწრაფებას ,ჰქონდეს ურთიერთობა თავისნაირ ადამიანებთან.რადგან ტოქ-შოუს აუდიტორია,ძირითადად საზოგადოების ფართო სპექტრისაგან შედგება ,ყოველ მაყურებელს აქვს შანსი მასში თავის ენაზე მოსაუბრე ადამიანი აღმოაჩინოს.

საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ,ტოქ-შოუ საქართველოშიც გამოჩნდა.იგი ქართველი მაყურებლის საყვარელი ჟანრი ხდება და შესაბამისი პოპულარობითაც სარგებლობს.რადგან ტოქ-შოუებში ფართო აუდიტორია მონაწილეობს და ეს

აუდიტორია გამომხატველია იმ აზრებისა ,რომლებიც მოსახლეობას აწუხებს(საუკეთესო შემთხვევაზეა საუბარი,რათქმაუნდა)

ტერმინის ,,ტოქ-შოუ'' და მისი არსის განსაზღვრება

ტერმინისადმი ,,ტოქ-შოუ'' არაერთგვარი დამოკიდებულებაა,რაც საკმაოდ ნათლად ვლინდება იმ ფაქტში,რომ საზღვრები,რომლებიც ამ ტერმიში მოიაზრება ,არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და დადგენილი.აუდიტორიას ინტუციურად ესმის ტოქ-შოუს მნიშვნელობა,ინდუქციურად უჩენს რა მას ადგილს სხვა ისეთი ტერმინების გვერდით,როგორებიცაა ინტერვიუ,ან საუბარი,დისკუსია(კალვერკემპერი 1979; 408)

ტერმინთან ერთად ,საკმათოა ტოქ-შოუს მართლწერაც.ტ-თი ,თუ თ-თი,დეფისით თუ მის გარეშე,ერთად ,თუ ცალ-ცალკე.მაგალითად,რუსთავი 2-ზე ვხვდებით,როგორც ,,ტოქშოუს'',იმედი,საზოგადოებრივი მაუწყებელი,აჭარა და მაესტრო კი ,,თოქ-შოუს'' იყენებენ.არნოლდ ჩიქობავას ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფლების მიერ გამოცემულ ჟურნალისტიკის ორთოქგრაფიულ სტილისტიკურ ლექსიკონში,სწორ ფორმადაა მიჩნეული არა თოქშოუ,ან თოქ-შოუ,არამედ ტოქშოუ(ვაშაკიძე 2009 ა:210)

სიტყვა ტოქშოუს განმარტებისას,ზოგიერთი მკვლევარი მოიაზრებს სტუდიის მაყურებელს,ზოგიერთი არა.მაგალითად ბორჰაუზის კონვერსაციის ლექსიკონში ,ტოქშოუს ასეთი გამრტება გვხვდება :გადაცემა ,რომელშიც მოდერატორი მიწვეულ სტუმრებს სხვდასხვა თემებთან დაკავშირებით კითხვებს უსვამს.(ბროქჰაუზი 1998:894)არაა ნახსენები სტუდიის მაყურებელი.

დუდენის ლექსიკონშიც მსგავსი ტიპის განმარტებას ვხვდებით: გასართობი გადაცემა,რომელშიც წამყავანი ცნობილ პიროვნებებს კითხვებით პირადულ,პროფესიულ ან საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით გამონათქვამებისაკენ უბიძგებს.(დუდენი 1989: 1511)როგორც ვხედავთ,მაყურებელი არც აქაა ნახსენები.

განასხვავებულ მოსაზრებას ვხვდებით,მაგალითად კუზენცოვთან ,იგი ტოქშოუს განიხილავს,როგორც ნათელ,დინამიურ სპექტაკლს და ასახელებს ამ ჟანრის შემდეგ ნიშნებს: საუბრის სიმსუბუქე,წამყვანის არტისტიზმი და აუდიტორიის აცილებელი დასწრება(კუზნეცოვი 1998: 58)

მაიკოსი ტოქშოუს განიხილავს ,როოგრც შოუს სუბჟანრს,რითაც გართობას ინფორმაციასთან შედარებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს:ერთი ,ან რამდენიმე მასპინძელი რამდენიმე სტუმართან ერთად საუბარს წარმართავს სტუდიაში ან დარბაზში პუბლიკის წინ;გადაცემა აქტუალურ თემებზე ,მოვლენებზე ,ან თავად სტუმრებზეა (მიკოსი 1994: 158)

რომ განვიხილოთ და განვსაზღვროთ ,თუ რა ჟანრის სატელევიზიო გადაცემაა ტოქშოუ,აუცილებელია ჯერ თავდ ცნება ,,ჟანრი'' იქნას განხილული.ჟანრზე ,შეგვიძლია მხოლოდ მაშინ ვისაუბროთ,როცა სრულდება ორი წინაპირობა .ესენია:

1. ჟანრი გვთავაზობს ისეთ პროგრამას,რომელსაც კონკრეტულად მისთვის დამახასიათებელი კონტურები ექნება.

და

2. გადაცემა გადის დროსი ერთსა და იმავე მონაკვეთში.სერიული ხასიათი პროგრამის ფორმის ცნობადობას აძლიერებს(შთაინბრეხერი,ვაისკე 1992; 12)

იმისათვის ,რომ ტოქშოუ განხილული იქნას ,როგორც ჟანრი ,აუცილებელია დადგინდეს სახასიათო და მუდმივად განმეორებადი ელემენტები-არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკური ტოქშოუ იქნება ეს თუ არაპოლიტიკური.

ბარლოუენი და ბრანდენბერგი ტოქშოუს ცნებას განმატავენ სამი კრიტერიუმით:

1.გადაცემის სერიული ხასიათი :გადაცემის სისტემატურად ერთსა და იმავე დროს ეთერში გასვლა,მაყურებელში ამკვიდრებს განცდას ,რომ ეს ყველაფერი მისთვის კარგად ნაცნობია.

2.მასპინძლის ცენტრალური ფიგურა: წამყვანი გადაცემის სახე ხდება,ის მისი წარმატების ან წარუმატებლობის წინაპირობაა.ხშირად გადაცემა სწორედ წამყვანის სახელს ატარებს,მაყურებელი მის იდენტიფიკაციას ახდენს გადაცემასთან და სხვა კონკურენტი გადაცემებისაგან მარტივად განასხვავებს.

3.პიროვნებაზე ორიენტირებული ტოქშოუ: სწორედ სტუმრებზე,პიროვნებებზეა ტოქშოუ დამოკიდებული,მათ აქტუალობაზე საზოგადოებაში.ტოქშოუს მიზანი ცალკეულ პიროვნებათა დახასიათებაა და არა რაიმე თეზისი (ბარლოუენი,ბრანდენბერგი 1975; 18)

თავის ერთერთ ადრეულ პუბლიკაციაში შმიდი ტოქშოუს შემდეგნაირად განსაზღვრავს : ცნობილი და ნაკლებად ცნობილი სახეების წარდგინება,პატარა ჯგუფში რეალური პუბლიკის წინ ოპტიკურ-ვერბალური ნიმუშების გამოვლენა,დადგმის კონცეფცია -მოქმედების სპონტანური ნიმუშების წარმოჩენა,მოქმედების სპონტანური სივრცე ,საუბრის ინიციატორის ხელმძღვანელობით ,,სხვადასხვა პუბლიკისთვის ‘’ ინფორმაციის მიწოდება გართობის მიზნით .(შმიდი 1975;125)

იმერენისა და გერჰარდის აზრით, „მოქმედების სპონტანური სივრცე“ ნიშნავს

სტუდიაში ან ეკრანთან მყოფი აუდიტორიის უშუალო ან პარასოციალურ

მონაწილეობას დისკუსიაში, საუბრის მონაწილეების, ან რომელიმე აზრის

მხარდაჭერას (აიმერენი, გერჰარდი 1998: 601). ეს მონაწილეობა შეძლება გამოხატული იყოს აპლოდისმენტებით, სიცილით, სტვენით, შეძახილებით და უკმაყოფილო

გადაჩურჩულებით .თუმცა ზოგიერთი ფორმატის ტოქშოუში პუბლიკას საუბარშიც შეუძლია მონაწილეობის მიღება და ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი აზრი გამოთქვას.იშვიათად ტელემაყურებელსაც აქვს ამის საშუალება.

პუბლიკის საუბარში ჩართვის ორ ფორმას განასხვავებენ: გამოკითხვით და

ინიციატივურს. პირველ შემთხვევაში აუდიტორია დროში საკმაოდ შეზღუდულია

და

მხოლოდ მოდერატორის მიერ კითხვის დასმისას შეუძლია აზრის გამოთქმა. ეს შეიძლება ხდებოდეს გადაცემის დასაწყისში განწყობის სწრაფი დაფიქსირებისათვის, ან მაშინ როცასცენაზე რაიმე განსაკუთრებული ხდება. მეორეშემთხვევაში,მაყურებელს თავად

შეუძლია საუბარში ჩაერთოს. ამისათვის უზრუნველყოფილია აპარატურა, ან წამყვანითავად აწვდის მიკროფონს სიტყვის მოთხოვნისას (ფლაი 1997: 80-85)

შეიძლება ითქვას,რომ ტოქშოუ ესაა დამოუკიდებელი ჟანრის ტელეგადაცემა,სხვადასხვა ქვეტიპებით,რომელიც ბუნებრივ, სულ მცირე ცალმხრივად თავისუფალ, სერიულ საუბარს წარმოადენს.ტოქშოუში მიმდინარე დისკურსი გავლენას ახდენს მაყურებელთა ცნობიერებასა და ღირებულებებზე.

ტოქ-შოუს ტიპები

იმის მიხედვით, თუ რა ადგილას ხდება გადაცემის ჩაწერა,რა დატვირთვა აქვს საუბარს,რაზე კეთდება აქცენტი პიროვნებებზე ,თუ თემებზე,რა კატეგორიის თემებზე ხდება ორიენტირება,სტუმრების რა რაოდენობასთან გვაქვს საქმე და რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი(მაგალითად ფსიქოლოგი,პოლიტიკოსი,მხატვარი,სტილისტი),რა არის მიზანი გართობა,თუ ინფორმირებება-თითოეული ამ კატეგორიის მიხედვით შესაძლებელია ტოქშოუს ტიპების გამოყოფა.

შტაინბრეჰერი და ვაისკე ტოქშოუს ოთხ კლასს გამოყოფენ. ესენია:

1. ცნობილი სახეების ტოქშოუ

2.თემების ტოქშოუ

3.პორტრეტული ტოქშოუ

4.ე.წ.კონფრონტაციული ტოქშოუ

ცნობილი სახეების ტოქშოუ,ორიენტირებულია პიროვნებებზე და მასში რამდენიმეცნობილი სტუმარი მონაწილეობს;

თემების ტოქშოუში უმეტესწილად ცნობილ სტუმრებს მათი კომპეტენციის საფუძველზე იწვევენ, რადგანაც საქმე კონკრეტულ,ხშირად აქტუალურ თემას ეხება.

მესამე ტიპის ტოქშოუში, პორტრეტულში, წინაპლანზეა წამყვანსა და სტუმარს შორის ინდივიდუალური საუბარი. სტუმარსსხვადასხვა რაკურსით წარადგენენ, რასაც ინფორმაციულ-გასართობი ხასიათი აქვს.

მეოთხე ტიპი ე.წ. კონფრონტაციული ტოქშოუა ,სადაც ცნობილ ან უცნობ სტუმრებსშორის ემოციური კამათი მიმდინარეობს. ისინი თემას განსხვავებული

პოზიციებიდან განიხილავენ (შტაინბრეხერი, ვაისკე 1992: 21).

ლოფლერი აღნიშნავს, რომ ცნობადი სახეებისა და პორტრეტული ტოქშოუ სტუმრებზეა მიმართული, თემების ტოქშოუ თემატიკაზე და კონფრონტაციული - მიმდინარეობაზე.

თუმცა,ასევე , არსებობს ქვესახეები, როგორიცაა, მაგალითად, სააღსარებო საუბარი ცნობადი სახეებისა და პორტრეტულ ტოქშოუში ან გადასვლები ყველა ტიპს შორის,რომელსაც მიეკუთვნება ჩვენი საკვლევი ტოქ-შოები ,,პროფილი ‘’ და ,,სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად’’

ყვითელი ჟურნალისტიკა/გენდერი/გენდერული სტერეოტიპები

(ცნებების განმარტება)

ტერმინი ,, გენდერი ‘’ ქალთა და მამაკაცთა იმ სოციალურად კონსტრუირებულ როლებს აღნიშნავს,რომლებიც მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით მიეწერებათ.შესაბამისად,გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ,პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და ისეთი ფაქტორების გავლენას განიცდის,როგორიცაა რასა,ეთნიკურობა,კლასი,სექსუალური ორინეტაცია ,ასაკი.გენდერული როლების შესწავლა ხდება და ფართოდ განსხვავდება სხვდასხვა კულტურებში .

რაც შეეხება გენდერულ სტერეოტიპებს,ესაა ფართოდ გავრცელებული და ხშირად შემთხვევაში არაზუსტი შეხედულებები ქალთა და მამაკაცთა უნარებზე,თვისებებსა და სოციალურ ქცევაზე.ის სიტყვები,გამონათქვამები და შეფასებები,რომლებითაც ხდება ადამიანის დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე იწოდება როგორც სექსისტური.უფრო კონრეტულად,სექსისტური ენა გულისხმობს გამონათქვამებს ,რომლებიც ამცირებს ქალთა მნიშვნელობას და წვლილს ,აკნინებს მათ როლს საზოგადოებაში,ლახავს მათ უფლებებს და შეურაცხმყოფელია ქალისთვის.მაგალითად ,,ქალია,რა სისულელით მოუვიდა’’,,კაცის ტვინი აქვს’’, ,,ქალი პირველ რიგში დედაა’’ და სხვ.

რაც შეეხება ბულვარულ ,ყვითელ ჟურნალისტიკას,ტერმინის ,,ყვითელი’’ დაბადება პრესას უკავშირდება,თუმცა დღეს თითქმის ყველა თანხმდება,რომ ყვითელი ამბები მხოლოდ პრესაში არ იბეჭდება და დიდი ხანია ,სატელევიზიო სივრცეში ამ ფორმატის მედია-პროდუქტები ლიდერობს.ტერმინი ,,ყვითელი’’

ჟურნალისტიკაში დაბალი ხარისხის გამოცემებს,გადაცემებს აღნიშნავს,რომელთა მიერაც,ძირითადად,ჭორების,(ხშირ შემთხვევაში დადგმული)სენსაციების,სკანდალების გაშუქება ხდება.ამგვარ ფორმატში ინფორმაცია უფრო გასართობი ხასიათისაა,რათქმაუნდა.

რატომ ეწოდა ყვითელ პრესას სწორედ ყვითელი და არა რომელიმე სხვა?

ტერმინი დიდი ხნის წინ დამკვიდრდა ,თავდაპირველად ამერიკაში გაჩნდა.მხატვარმა და გრაფიკოსმა რიჩარდა ოუტკოლტმა ,1895 წელს ,ნიუ -იორკის ერთ-ერთ გაზეთში ,,მსოფლიო'' ,იუმორისტული ხასიათის ილუსტრაციების გამოქვეყნება დაიწყო,რომელსაც ასევე იუმორისტულ ტექსტებს ურთავდა.კონკრეტულად კი,ნახატებში გამოსახული იყო ყვითელ პერანგში გამოწყობილი ბიჭუნა,რომელსაც მიეწერებოდა სახალისო ფრაზები.ამ ნათელი,თბილი ფერის გამოყენებით ავტორმა სცადა გამოეცოცხლებინა შავ-თეთრი სამყარო.ყვითელი ლაქა აღმოჩნდა ,მიმზიდველი და მომხიბვლელი -გაიზარდა გაზეთის გაყიდვების რაოდენობა.ამერიკელები აღფრთოვანებულები იყვნენ ამ პუბლიკაციებით და იუმორისტულ ნახატებს უწოდეს ,,ყვითელი ბიჭუნა''.მალე ასევე ამერიკულმა გაზეტმა ,,ნიუ-იორკ ჟურნალმა'' ოუტკოლტი გადაიბირა და დაიწყო ანალოგიური ნახატების სერიების ბეჭდვა.რათქმაუნდა,ამ გაზეთებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება ,დაობდნენ რა ,,ყვითელი ბიჭუნას'' პირველობაზე''.1986 წელს,მათ შესახებ კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა ,,ნიუ-იორკ პრესის '' დირექტორმა ერვინ უორდმენმა ,რომელმაც ამ გაზეთებს ზიზღით ,,ყვითელი პრესა'' უწოდა.იგი წერდა ,რომ ეს გაზეთები უხამსი და იაფფასიანი მეთოდებით ცდილობდნენ პუბლიკის გადაბირებას.სწორედ ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დამკვიდრდა ტერმინი ,,ყვითელი პრესა'' და მას შემდეგ ,,ყვითელი დაღი'' დაედო იმ სააგენტოებს,რომლებიც თავისი ხმამაღალი განცხადებებით ცდილობდნენ საზოგადოების დაინტერესებას.ამ სააგენტოებთაგან თითოეული მათგანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პირველობა-სენსაციური ამბის ექსკლუზიური

გამოქვეყნება.მათი მიზანი -მატერიალური სარგებლის გაზრდა იყო,რის მიღწევასაც ზოგჯერ რეალური ,ზოგჯერ კი ხელოვნურად შექმნილი სკანდალებით ცდილობდნენ.

აღსანიშნავია,რომ გენდერული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით არსებობს საკანონმდებლო ნორმები,რომლებიც სამაუწყებლო მედიაზე ვრცელდება.ესაა საქართველოს კანონი ,,მაუწყებლობის შესახებ'' და მის საფუძველზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსი'',რომელიც განსზღვრავს იმ ნორმებს,რომლებიც გენდერული საკითხების გაშუქებისას უნდა იქნას გათვალისიწნებული.თუმცა კოდექსის იმპემენტაცია თვითრეგულირების სფეროს განეკუთვნება.

საქართველოში მოქმედებს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია,თვითრეგულაციის ისეთი მექანიზმი ,სადაც გადაცემებში დაშვებული შეცდომებისა და ჟურნალისტური გადაცდომების შესახებ შედის განცხადებები.სამწუხაროდ დარღვევების შესახებ ინფორმაციები ძალიან ბევრია.

თუკი ,დავეყრდნობით მოსაზრებას ,რომ ადამიანთა პირადი საკითხებისადმი ,მდარე ხარისხის სერიალებისადმი აუდიტორიის დაინტერესება და პრაიმ-ტაიმის დათმობა ყვითელი გადაცემებისათვის,საზოგადოების ,,დაბრმავებას'' ემსახურება,მაშინ ბუნებრივია ჩნდება კითხვა ,სად არის მედიის ფუნქცია- თავისი საქმიანობით მოიტანოს საზოგადოებრივი სარგებელი ;

როდესაც ვსაუბრობთ,რომ მედია თავად არის საზოგადოებრივი ინტერესისა და ღირებულებების შემქნელი,რომ მის გავლენა არის განუზმობელი და მიუხედავად ჩვენი სურვილისა და იმასა მოგვწონს ეს თუ არა,მას შეუძლია ადამიანთა აზროვნებისა და ცნობიერების ფორმირება,საინტერსოა,ითვალისწინებენ თუ არა მაღალრეიტინგული ტოქ-შოუები ამ შესაძლებლოებს ისეთ სენსიტიურ თემებზე

მუშაობისას ,როგორიცაა გენდერული საკითხები.როგორ აწვდიან ინფორმაციას აუდიტორიას და რა შედეგები მოაქვს მათ საქმნიანობას საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპების გავცელება/განმტკიცების თვალსაზრისით.

თავიII

წინამორბედიკვლევები (მიმოხილვა)

მედიის განვითარების ფონდის მედიამონიტორინგი,2011 წ.

გენდერული სტერეოტიპების გაშუქებაზე ქართულ ტელეგადაცემებში, რამედნიმე საინტერსო კვლევაა ჩატარებული. მათ შორისაა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მიმდინარეობდა 2011 წლის აპრილსა და მაისში. წინამდებარე კვლევისაგან განსხვავებით მედიამონიტორინგის ობიექტები იყო: ერთშემთხვევაში, ხუთი ტელეარხის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები, ხოლო მეორე კვლევის ობიექტად სხვადასხვა ბეჭდური გამოცემები, სულექვსი გაზეთი .

კვლევები ფოკუსირებული იყო იმინფორმაციაზე, რომელიც ქალებთან დაკავშირებულ საკითხებს შეიცავდა. შედეგებმა აჩვენა, რომ ქართული მედიაშიქალებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულებაა და მომზადებული ჟურნალისტური მასალები ხელსუწყობს გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას.

მსგავსი შედეგები აჩვენა ბეჭდური გამოცმეების კვლევამაც. მაგალითად გაზეთ ,,ქრონიკაში'' სპეციალური რუბრიკაა,სადაც მამაკაცთა მიერ მოტყუებული, გამწარებული, ძალადობის მსხვერპლი ქალებისი სტორიები ქვეყნდება და ყველაზე უფრო ცუდი ისაა, რომ ,აღნიშნული პრობლემები პროფესიულად კი არ შუქდება ,არამედ ,,თავშესაქცევ'' მასალადაა წარმოდგენილი და ხელს უწყობს ქალების, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენლების აღქმას, რაც თავისთავად სტერეოტიპულია. მკვლევარს წარმოდგენილი აქვს უამრავი სტერეოტიპი, რომელიც მონიტორინგის განმავლობაში სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებებში გასულ სიუჟეტებში გამოვლინდა.

მკვლევრის აზრით, ქალის ,როგორც მამაკაცზე დაბალი რანგის არსებად წარმოჩენას ემსახურება, ,,კვირისპალიტრის'' რუბრიკა ,,თქვენთვის ქლაბატონებო'', რომლის არსებობას აფასებს, როგორც გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელს, რადგან გამორჩევა თავისთავად გულისხმობს უთანასწორობას და აძლიერებს სტერეოტიპებს.ქალთა თემები ისევე უნდა შუქდებეოდეს ,როგორც მამაკაცთა - აღნიშნული ჟურნალისტმა უნდა იცოდეს და ცდილობდეს ბალანსის დაცვას.

გენდერული სტერეოტიპები არაპოლიტიკურ ქართულ ტოქშოუებში, აღნიშნული კვლევის პირველი ეტაპი, 2015 წელი:

მკვლვარის აზრის პარალელურად, მინდა აღვნიშნო და ყურადღება გავამხვილო ტელარხზე ,,მარაო რუსთავი 2 '', რომლის ავტორიცაა ,,პროფილის'' წამყვანი მაია ასათიანი და რომელიც დაანონსდა სწორედ ასე ,,თქვენთვის ქალბატონებო'' , ,,ქალების არხი'', ,,გადაცემები დიასახლისებისათვის'' , ,,ყველაფერი რაც ქალებსა ინეტერსებთ'' .

მიმაჩნია, რომ ,,მარაოც'' ხაზს უსვამს ქალების ვიწრო ინტერესებს: სამაუწყებლო ბადით თუ ვიმსჯელებთ ქართველი ქალების ინტერსის სფერო საკმაოდ ერთფეროვანია, მოიაზრებს მხოლოდ ტელევიზორში ნანახი ადამიანების პირად ცხოვრებას-მათ პირად გარდერობს, ცხოვრების ინტიმურ დეტალებსა და ისტორიებს, აგრეთვე რამდენიმე დაბალი დონის სერიალს ,რომლებიც არცერთ რეიტინგულ სიაში არგვხდება მსოფლიოს მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ტელეარხი დღესაც იგივე სამაუწყებლო ბადით გვევლინება, რომელითაც 2015 წელს მაუწყებლობდა. თავისი ფორმატით აღნიშული ტელეარხი წარმოაჩენსი ისე, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით გაცილებით დაბალი რანგის არსებები არიან, მსუბუქი, არასერიოზული ინტერესები ამოძრავებთ და ამის საკომპენსაციოდ რაიმე შეღავათი უნდა გაკეთდეს, მაგალითად ცალკეარხი, ცალკე გადაცემა და სხვა. ეს თავისთავად სტერეოტიპული მიდგომაა, ვიანაიდან თავად ანონსები, რომლებიც მხოლოდ ქალებისათვის მომზადებულ თემატიკაზე აპილერებს უკვე

გენდერმგრძნობიარობის ნაკლებობის მაჩვენებელია. გადაცემები უფრო გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელია. ავტორს შესაძლოა, ჰგონია, რომ ქალებისა და ქალთა თემატიკის გამოყოფით გენდერულ ბალანსს იცავს, მაგრამ ეს გენდერული ბალანსის არასწორი გაგებაა. თავად ფაქტი, რომ ქალთა საკითხები ცალკე არის გამოყოფილი, გენდერული თანასწორობის დარღვევაა. ქალების მოსაზრებები უნდა ისმოდეს მამაკაცების მოსაზრებების პარალელურად, ქალთა თემები ისევე უნდა შუქდებოდეს, როგორც ნებისმიერი სხვა თემა. გამორჩევა არ ნიშნავს თანასწორობას, პირიქით, გამორჩევა აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა. სწორი მიდგომა იქნებოდა, არხი რომ გენდერული თანასწორობის საკითხებს ეხებოდეს და თანაბრად აშუქებდეს ქალისა და კაცის ინტერესებს.

მედიის განვითარების ფონდი "გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის" ფარგლებში, წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის შედეგები.

საინტერესოდ მიმაჩნია ასევე რამდენიმე სიტყვით მოგახსენოთ "მედიის განვითარების ფონდის" 2016 წლის 1 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის "გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის" ფარგლებში, წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის შედეგები. კვლევის ფარგლებში განხორციელდა დაკვირვება პოლიტიკური სუბიექტების გენდერულ წარმომადგენლობაზე მედიაში და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე.

მონიტორინგის სუბიექტებად შემდეგი სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებები იქნა შერჩეული: საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე 20:00 სთ-ზე), რუსთავი 2 (კურიერი 21:00 სთზე), იმედი (ქრონიკა 20:00 სთ-ზე), მაესტრო (მაესტროს კონტაქტი 20-ზე), კავკასია (დღეს 20:30- ზე), ტაბულა (ფოკუსი 19:00), GDS (20:30). 1 ივნისიდან ასევე დაემატა ტვ ობიექტივი (ახალი ამბები 19:30) რომლის საინფორმაციო გამოშვება ეთერში 16 მაისიიდან გავიდა. ონლაინ მედიიდან მონიტორინგის სუბიექტები იყო: "ინტერპრესნიუსი" (IPN), PIA, "ნეტგაზეთი", "პირველი რადიო", "მარშალპრესი". მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა, როგორც აუდიტორიის მოცვის, ასევე გავლენის ნიშნით მოხდა. გათვალისწინებული იყო, როგორც სატელევიზიო რეიტინგები, ასევე მედიის განვითარების ფონდის მიერ 2016 წელს, მონიტორინგის დაწყებამდე ჩატარებული "პოლიტიკური პარტიების

საჭიროებების კვლევა"2 , სადაც პოლიტიკურად აფელირებული მედია საშუალებები თავად პოლიტიკურმა სუბიექტებმა დაასახელეს.

პოლიტიკური სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობისა და სტერეოტიპების მიმართულებით სატელევიზიო და ონლაინ მედიის მონიტორინგის პერიოდში (1 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2016) შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

• საარჩევნო სუბიექტების გენდერული წარმომადგენლობა როგორც ტელევიზიების პრაიმ-თაიმის სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში, ასევე ონლაინ მედიაში თითქმის იდენტურია: ტელევიზიებსა (კაცი -84%, ქალი -16 %) და ონლაინ მედიაში (კაცი -85%მ ქალი -15%) კაცების წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ქალებს.

• ცესკოს წინასწარი მონაცემები, რომლის თანახმად, საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სიით პარლამენტში გასული ქალების რაოდენობა 25%-ია (19ქალი), აჩვენებს, რომ მედია არასრულად ასახავს ქალ პოლიტიკოსთა გენდერულ წარმომადგენლობას.

• ტელემედიაში ქალ პოლიტიკოსთა 63,4% კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელია, 22,1%- მთავრობის, 5,9% - პრეზიდენტის აპარატის, 4,3% - ცესკოს; 2%- ახლადდაფუძნებული პოლიტიკური პარტიების; 1,28 % - დამოუკიდებელი დეპუტატის ან კანდიდატის; 1,2% -არასაპარლამენტო ოპოზიის; 0,01% - უწყებათაშორისი კომისიის.

• ონლაინ-მედიაში მთავრობის წარმომადგენელი ქალების წილი 29,1%-ს შეადგენს, კვალიფიციური პარტიების წარმომადგენლების წილი კი 56,4%-ს უტოლდება; პრეზიდენტის აპარატის წარმომადგენელთა მაჩვენებელია 6,2%; ცესკო - 3,9%; ახლადდაფუძნებული პარტიების - 1,9%; დამოუკიდებელი დეპუტატები და კანდიდატები 1,24%; არასაპარლამენტო ოპოზიციის - 1,21%; უწყებათაშორისი კომისია - 0,01%.

გენდერული სტერეოტოპები/დისკრიმინაცია. 6,5 თვის განმავლობაში მონიტორინგის სამიზნე მედიაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან გენდერული სტერეოტიპების შემცველი გამოხატვის სულ 6 შემთხვევა გამოიკვეთა, რაც მონიტორინგის ქვეშ მყოფმა მედია საშუალებებმა 12-ჯერ გააშუქეს. მათგან 4-ის წყარო გახლდათ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" (მათ შორის ყველაზე აქტიურად გაშუქდა (7 მედიასაშუალების მიერ) კახი კალაძის განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე: "საქმე გვაქვს ჭორიკნობასთან, როდესაც ქალბატონები ჭორაობენ"); ორის 18 კი - "საქართველოს ლეიბორისტული

პარტია", რომელიც იდენტური შინაარსის იყო (შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა). მედია ძირითადად არ მიანიშნებს განცხადებების გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ ხასიათზე და კომენტარის გარეშე, ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლება. შალვა ნათელაშვილი, "ლეიბორისტული პარტია": „იდეა არ აქვს [ბიძინა ივანიშვილს], ინტელექტი არ აქვს, იცის თვალთვალი, იცის ორღობის ქალივით ჭორაობა“ (პირველი რადიო, 16 სექტემბერი).

თავიIII

მედიამონიტორინგის გაიდლაინი და მონიტორინგით მიღებული მონაცემები

ისევე როგორც კვლევის პირველი ეტაპისას, შერჩეული იქნა და მედიამონიტორინგი განხორციელდა რეიტინგული ტოქშოებზე ,,რუსთავი 2'' -ის ,,პროფილსა'' და მისი კონკურენტზე ,,სხვარაკურსზე'' .

მონტორიგნისას, შევისწავლე თითოეული ტოქშოუს 4 გამოშვება,შესაბამისად სულ 8 კონკრეტული გადაცემა.

მონაცემების მოპოვებას ვახორციელებდი შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- **გადაცემის თემა-**რა თემატიკას განეკუთვენაბა ,რა პრობლემატიკის მომცველია შერჩეული თემა, ,სტუმრების რა კატეგორიაა მიწვეული- მათი სოციალური სტატუსი, კომპეტენცია განსახილველ საკითხში.
- **გენდერული ბალანსი** _ დაცულია თუ არა გადაცემებში გენდერული ბალანსი, თანაბრად არის თუ არა წარმოჩენილი ისმის თუ არა ქალთა მოსაზრებები და შეფასებები სხვადასხვა საკითხებზე.
- **გაშუქების სიხშირე** _ რამდენად ხშირად შუქდება გენდერული საკითხები, რა ადგილი ულკავია მათ გადაცემებში.
- **თემების სეგრეგაცია გენდერული ნიშნით-** ადგილი აქვს თუ არა თემების სეგრეგაციას გენდერული ნიშნით.
- **სექსისტური ენა** _ ხომ არ გამოიყენება სექსისტური ენა, მედიის წარმომდგენლების, ან გადაცემებში მოწვეული სტუმრების მიერ. ანუ, ისეთი

გამონათქვამები თუ შედარებები, რომლებიც აკნინებს ან შეურაცხყოფს ქალებს ანდა ლახავს მათ ღირსებას.

- **გენდერული სტერეოტიპები-** დიალოგების, მონოლოგების, ცალკეული ფრაზების, სიუჟეტების ზედმიწევნითი ანალიზი იმის მიხედვით,თუ რა გენდერულ წარმოდგენებთან გავქვს საქმე, არის თუ არა ისინი სტერეოტიპული. მათი ტიპოლოგია .
- **ტოქშოების შემქნელთა გენდერმგრძნობიარობა** _ რამდენად გათვითცნობიერებულები არიან წამყვანები გენდერის საკითხებში; გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ თუ თავისუფლები არიან ასეთი სტერეოტიპებისაგან.
- **პროფესიული გაშუქება** _ შუქდება თუ არა ზემოაღნიშნული საკითხები პროფესიული სტანდარტების დაცვით.
- და ბოლოს, რა **ცვილებები** განიცადა აღნიშნულმა მონაცემებმა 2015 წლის შემდეგ ქვეყნაში განხორციელებული ცვლილების ფონზე.

მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, შემიძლია ტოქშოუების საერთო და განმასხვავებელ მახასიათებებზე გავამხვილო ყურადღება, მათი საერთო ნიშანი, შეიძლება ითქვას, რომ სანახაობრივი, საზოგადოებრივი, გასართობ-შემეცნებითი ხაზია.

გადაცემებში,თითქმის ყველაფრის ნახვაა შესაძლებელი, გარდა პოლიტიკისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორივე ტოქშოუ ზუსტად ერთსა და იმავე დროს გადის.

ძირითადად, გადაცემისათვის შერჩეულია ერთი თემა, რომელზეც სტუდიაში მოწვეული ცნობილი სტუმრები საუბრობენ(ზოგჯერ უცნობიც),თუმცა არის შემთხვევები,როდესაც რამდენიმე თემის განხილვა ხდება -ეს უფრო ხშირად ,,სხვა რაკურსს '' ახასიათებს.

ორივე ტოქშოუეში , ძირითადად ,ერთსა და იმავე სტუმრების კატეგორიას ვხვდებით,ესენი არიან ქართული შოუ-ბიზნესის , პოლიტიკის ,ან სხვა სფეროს წარმომადგენლები,რომლებიც აუცილებლად საზოგადოებისათვის ცნობილ სახეებს წარმოადგენენ, ასე ვთაქვათ ,,ტიტულოვანი'' პიროვნებები.აქ გამონაკლისია,ის შემთხვევები,როდესაც ,,პროფილში'' დაკარგულებს მაპინძლობენ-ახლობლის პოვნის იმედით,უცნობი ხალხი თავიანთ მძიმე ისტორიებს უზიარებს აუდიტორიას.

ყოველი გადაცემის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 90-120 წუთია .გამონაკლის შემთხვევაში,სტუმრების ან თემის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე,შეიძლება გადააჭარბოს კიდეც.

ქვემოთ შევეცდები თითოელ მათგანზე გარკვეული ინფორმაციის მოწოდებას,უფრო მოგვიანებით კი განვიხილავ კონკრეტულად გადაცემებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს .

ტოქშოუ ,,პროფილი'' მაია ასათიანის საავტორო გადაცემაა,რომელიც 2009 წლიდან რუსთავი 2-ის ეთერში ყოველ ხუთშაბათს 22 საათზე გადის.მისი წამყავანი თავად ავტორი,მაია ასათიანია.უკვე მეთოთხმეტე სეზონია არაპოლიტიკურ ტოქშოუებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს ,რაც მის რეიტინგზე დადებითად აისახება .თოქშოუს შესახებ რუსთავი 2-ის ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ :

- ის ,,პროფილი'' რომელიც გიყვართ!
- ის ,,პროფილი'' რომელსაც ელოდებით!
- ის ,,პროფილი'' რომელიც გახსოვთ!
- თემები და ემოციები,რომლებიც მოგენატრათ!
- სტუმრები,რომლებსაც მხოლოდ ,,პროფილში'' ნახავთ! ~
- მე-11-ე წელი და მე-18-ე სატელევიზო სეზონი-ის ხუთშაბათი, რომელიც თქვენია.
- საღამოს 22.00 საათი-ჩვენ ისევ თქვენთან მოვდივართ.

,,სხვა რაკურსი'' გია ჯაჯანიძესთან ერთად ტელეკომპანია იმედის ეთერში ყოველ ხუთაბათს 22.00 საათზე გადის,როგორც აღვნიშნე ზუსტად იმ დროს,როცა რუსთავი 2-ზე ზემოთხსენებული ,,პროფილი''. საეთერო დროისა და წამყვანის ვინაობის გარდა ,გადაცემაზე სხვა ინფორმაციას ვერც მის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ვხვდებით და ვერ ტელეკომპანია იმედის ვებგვერდზე.

მიმოვიხილავ თითოეული ტოქშოუს კონკრეტულ გადაცემებს.

მონიტორინგის პერიოდია 2018 წლის ნოემბერი-დეკემბერი:

ტოქშოუ ,,სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად'':

13 დეკემბერი, 2018 წელი:

გადაცემის მთავარი თემაა სიზმრები .

სტუმრები: 1.დიანა ნიკოლაიშვილი, ფსიქოლოგი; 2.ნინი ბადურაშვილი, მომღერალი; 3. სალომე გოგიშვილი, ჟურნალისტი; 4. გიორგი ბურბულია,მსახიობი; 5.მანიკა ასათიანი, ტელეწამყვანი; 6.თამუნა მუსერიძე, ჟურნალისტი; 7.ანზორ ოდიშარია, ეზოთერიკოსი; 8.მიხეილ ცაგარელი, ასტროლოგი; 9.ლევან თოთაძე, მეცნიერაბათა დოქტორი; 10. თემო რცხილაძე, მომღერალი;

გენდერული ბალანსი დაცულია.

გადაცემაში არ იკვეთება გენდერული სტერეოტიპები.

06 დეკემბერი, 2018 წელი:

გადაცემის თემა წამყვანის განცხადებით არის ,,ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ოჯახში, შეყვარებულ, საყვარელ ქალთან და ასევე შეყვარებულ/საყვარელ მამაკაცთან ერთად''.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გადაცემა იწყება გენდერული სტერეოტპებით გაჯერებული წამყვანის მონოლოგით:

,,აუცილებლად პრობლმაზე უნდა ვისუბროთ: დღევანდელ რეალობაში აშკარად იკვეთება უთანხმოება ქალისა დ მამაკაცის ურთიერთობაში, ხშირად ქალები ცდილობენ გარდაქმნან შეყვარებული მამაკაცები, ან ქმრები მოაქციონ თავის ჭკუაზე, ქალის პრეტენზიები მაშინ უფრო მძაფრდება როცა ცოლი ხდება, ამ დროს კაცი ვერ იტანს კონტროლს, ეჭვიანობას და გამუდმებულ შეკითხვებს: სად ხარ? მალე მოხვალ? რატომ აგვიანებ? თუმცა კაცების იცვლებიან როცა ისინი ქორწინდებიან: გამიკეთე!გამირეცხე! მოკლე კაბა არ ჩაიცვა! საჭმელი მომიტანე დ ათასი ასეთი!''

სტუმრები: 1. სოფო ბედია, მომღერალი; 2. ნინო კუზანოვი, ექიმი და ტელეწამყვანი; 3. ლიზა ვადაჭკორია, ჟურნალისტი; 4. ბესო ჩუბინიძე, ჟურნალისტი; 5. ია სუხიტაშვილი, მსახიობი; 6. ნანა ცინცაძე, პოეტი; 7. პაატა გულიაშვილი, მსახიობი; 8. ლევან ჯიბღაშვილი, მსახიობი, ბიზნესმენი; 9. ლაშა რამიშვილი, მსახიობი ;

მთელი გადაცემა გაჯერებულია საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპებით ქალის/მამაკაცის ბუნებისა და მათი ურთიერთობების შესახებ .

წამყვანი : ,, ხშირად ამბობენ, რომ როცა ქალი ცოლის სტატუსს მიიღებს და ბავშვსაც გააჩენს უკვე შემოიდებს დოინჯს და შეუძლია პრეტენზიები უფრო განავითაროს''

,,რათმაუნდა სტატუსი აუცილებელია, მითუმეტეს საქართველოა და მითუმეტეს როცა გინდა ლამაზი ოჯახი''- სოფო ბედია.

,,შენი და შენი დედამთილის ისტორია, არის რაღაცა საუოცრება, როგორ მოახერხე?!''- წამყვანი.

,,კაცი ოჯახში ლიდერ პოზიციაზე უნდ იყოს, გენდერული თანასწორება არ მომწონს და რამე არა, მაგრამ კაცს თავისი სტატუსი აქვს ოდითგანვე'' -სოფო ბედია.

,,რაღაცით მაღლა უნდა იდგეს კაცი ოჯახში''- წამყვანი.

,,შეყვარებული იყავი, გახდი ცოლი, პრეტენზიები თუ გაგუჩნდა?'' -წამყვანის შეკითხვა ერთერთ სტუმარს.

,, კაცებისთვის ყველაზე სუსტი ადგილი არის ჯიბე.'' -ნინო კუზანოვი

,,ქალები მაინც როგორი მერკანტილურები ვართ, ვიბრძვით თანასწორუფლებიანობისთვის მაგრამ ქალისთვის კაცი მაინც რჩება ისე რომ ის არის ვისაც მოაქვს ოჯახში ფული.'' -ლიზა ვადაჭკორია;

,,გოგო თხოვდებოდა ქალიშვილი, მეც ეგეთ პერიოდში გავთხოვდი და დედამ გამატანა კულინარიული წიგნი''-ლიზა ვადაჭკორია;

,,მე დარწმუნებული ვარ გუგა ლიდერია ოჯახშიც, ქიქურგიაშიც და მოსწონს რომ ჰყავს ასეთი კაშკაშა მეუღლე როგორიც არის ნინო დარიაძე კუზანოვა''-ლიზა ვადაჭკორია.

,,იმ ოჯახში სადაც მამაკაცი არ არის მკაცრი შვითან მიმართებაში, ცოლთან მიმართებაში, მე მეეჭვება ...იქ სადაც კაცი არ კაცობს ოჯახში... ახლა ბოლო 10 წელია ქალი გახდა შემომტანი, ეს ქვეყნის არასწორი პოლტიკის ბრალია... კაცმა მეტი უნდა დათმოს- ბესო ჩუბინიძე

,,წარმოიდგინე რომ ქალი სახლში არ არის ხშირად, ეს ბევრისთვის არაა ადვილი ასატანი.'' -ია სუხიტაშვილი.

წამყვანის კითხვა- ,,რა შემთვევაში ხდება ქალი პრეტენზიული როცა ის თხოვდაბა?''

,,თუნდაც ქალს ჰქონდეს ყველანაირი უნარი იმისა რომ იყოს ლიდერი, უნდ აგრძნობინოს კაცს რომ ის არის ძლიერი, ის არის დასყრდენი და ისე არის ლიდერი, როდესაც ხდება ეს თანასწორობა მაშინ არის ოჯახში ჰარმონია''- ნანა ცინცაძე ;

,,ჩემთვის მამაკაცი უნდა იყოს ლიდერი ოჯახში''- ლევან ჯიბღაშვილი

,,ყველა ქალი თანახმა იქნება რომ ოჯახში კაცი იყოს ლიდერი რომელიც აიღებს ყველაფერზე პასუხისმგებლობას და მე ამარიდებს თავის ჭყლეტვას. ჭკვიან ლიდერს არც ყვირილი უნდა არც არაფერი, ის ისე აკეთებს ოჯახში ფუნქციების დელეგირებას რომ სისტემა მუშაობს გამართულად''-ნინო კუზანოვა.

,,მაინც ქალებს ყოველთვის უნდა გვეჭიროს პულსზე ხელი, იმიტომ რომ ჩვენს მამაკაცებზე შეიძლება ვინმე იყოს ჩასაფრებული.'' -ლიზა ვადაჭკორია.

,,გახსნის დღიდან აქვს ფეისბუქის პაროლი ჩემს ქმარს''- ნინო კუზანოვა (ეთანხმება მეორე სტუმარიც).

არანაირი რეზიუმე.

გადაცემა გრძელდება მუსიკალური ჭრითა და არმოსავლური ცეკვით და სრულდება რუბრიკით ,,ჯაჯოს ოხუნჯობანი .''

აღსანიშნავია, რომ გენდერული ბალანსი დარღვეულია ქალთა სასრგებლოდ.

29 ნომებერი, 2018 წელი.

გადაცემის თემა ,,უჩვეულო ამბები, რომლებიც სტუმრებს თავდ გადახდათ''

სტუმრები: 1.თამარ ყველაშვილი, დიზაინერი. 2. ნაირა ,ნაჩხატაშვილი, მგალობელი; 3. სტუმრად ცოლ-ქმარი პატარა შვილთან ერთად; 4.ირაკლი კაკაბაძე, მწერალი, კონფლიქტოლოგი; 5. ელისო აბუაშვილი, პედაგოგი; 6. მარიკა პეტრიაშვილი, დიზაინერი; ისტორია: ჯანმრთელობის პრობლმების მქონე ბავშვით, ქალბატონი რჩება მარტო

,,თქვენ ჩემთვის ხართ გმირი დედა''- წამყვანი ქალბატონს, რომელიც მარტო ზრდის შვილს.

გადაცემა გრძელდება მგალობელი ქალის ისტორიით, რომლის შემდეგაც გადაცემის სტუმარია ოჯახი, რომელსაც 33 წელი არ ყავდა შვილი.

,,ოჯახს ნანატრი ბიჭი გაუჩნდა''- აცხადებს წამყვანი, როდესაც აღნიშნულ ოჯახს მაყურებლებს წარუდგენს.

წამყვანი შემდეგ სტუმარს ირაკლი კაკაბაძეს ,,რომ გავიგო ოჯახი დაგენგრათ არ მიკითხავს რატომ, ეგერევე მივხვდი რომ კაცის ბრალი იქნებოდა''.

გადაცემა გრძელდება კიდევ ერთი ქლაბატონისა და მთავრდება სიუჟეტით 19 წლი ბიჭზე, რომელიც ბერობისთვის ემზადება.

გენდერული ბალანსი დარღვეულია ქალების სასარგებლოდ

22 ნოემბერი, 2018 წელი

გადაცემის თემა : საქართველოს მომავალი- როგორ განვითარდება მოვლენები

სტუმრები: 1. ლია ხუციშვილი, მკითხავი; 2.მაია ყუფარაძე, ეზოთერიკი, პარაფსიქოლოგი; 3. ანზორ ოდიშარია, ეზოთერიკოსი; 4. კახაბერ ჭიღლაძე, მეცნიერი; 5.თამარ ასანიშვილი, ეკონომიკის დოქტორი; 6.ხათუნა ნოელი, ასტროლოგი; 7.

გადაცემა ეძღვნება ქვეყნაში აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებს, რომელთა განვითარების შესახებ მოწვეული სტუმრები გარკვეულ პროგნოზებს აკეთებენ.არ იკვეთება ცალსახა გენდერული სტერეოტიპები, გარდა რამდენიმე ეპიზოდისა:

,,ქალია ემოციურია, მაგარამ დაალაგებს თავის ემოციებს''- ლია ხუციშვილი;

,,არ მომწონს პრეზიდენტად ქალი''- ანზორ ოდიშარია;

გენდერული ბალანსი კონკრეტულ გადაცემაშიც დარღვეულია ქალთა სასრგებლოდ.

ტოქშოუ ,,პროფილი''

20 დეკემბერი , 2018 წელი:

სტუმრები : 1. ნანუკა ჟორჟორლიანი, ჟურნალისტი 2. შორენა ბეგაშვილი, მსახიობი; 3. მიხეილ ცაგარელი, ასტროლოგი.

გადაცემა იწყება რუბრიკით ჟურნალისტების პირისპირ, რომლის სტუმარიცაა ჯურნალისტი ნანუკა . აღსანიშნავია, რომ მთელ რუბრიკას გასდევს გენდერმგრძონიარე თემატიკა, შეკითხვების უმეტესობა ეხება რესპონდენტის ურთიერთობას მამკაცთან, ძირითადად არ დასმულა შეკითხვები პროფესიის ან სხვა სფეროს შესახებ, როლითაც ნანუკა ჟურჟოლიანი საზოგადოებისათვის ცნობილი და ,,ტიტულოვანი'' გახდა.

იკვეთება ცალსახა გნდერული სტერეოტიპები:

ჟურნალისტის შეკითხვაზე გყავთ თუ არა ახალგაზრდა პარტნიორი, ნანუკა პასუხობს ,, ამ კითხვას მამაკაცს დაუსვამდით? ამ ქვეყანაში არის მახინჯი სტერეოტიპი რომ ქალს არ შეუძლია ჰყავდეს პატარა ასაკის პარტნიორი.''

,,ძალიან ძლიერია ქალი, რომელსაც არ ეტყობა როგორი პირდი ცხოვრება აქვს''- ნანუკა ჟორჟოლიანი.

,,როგორც ქალმა ვიფიქრე?ძაან უნდა მოგატყო რო გოთხრა რომ არ ვიფიქრე''- იხსენებს საკუთარ რეაქციას მეუღლის თხოვნაზე რომ დრო სჭირდება ურთიერთობაში.

მომდევნო ბლოკის სტუმარია მსახიობი შორენა ბეგაშვილი, რომელის დიალოგი წამყვანთან, მთლიანად გენრმგრძნობიარედ შეგვიძლია შევაფასოთ, ვინაიდან წამყვანის შეკითხვები წარმოადგენს ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპების გამოძახილს, სტერეოტიპების რომლის წარმატებული მსხვრევის მაგალითადაც სტუმარს მიიჩნევს.

ნაწყვეტები წამყვანისა და შორენა ბეგაშვილის დიალოგიდან:

1. -,,ფლეიბოის'' ნანობ?

-არა, საბედისწერო ქალი გავხდი და მერიდებოდნენ.

-რატომ?

-ზოგადად ხომ ეშინიათ ლიერი ქალების...

-ძლიერი, ლამაზი და წარმატებული ქალების.

2. -,,მე მიყვარს სამკაულები''-წამყვანი.

-,,რომელ ქალს არ უყვარს'' -შორენა ბეგაშვილი;

3. -აუცილებელია კაცს ჰქონდეს მაღალი შემოსავალი რომ ძვირფასი საკმაულები გიყიდოს?

-კი აბა იაფიანს მეც ვიყიდი.

4. -როდის მიდის მამაკაცი ქალისგან?- წამყვანი

-როცა მთავრდება სიყვარული. და როდის მიდის ქალი მამაკაცისგან იცი? როცა მთავრდება ფული, ასე ამბობენ- შორენა ბეგაშვილი.

13 დეკემბერი, 2018

სტუმრები: ნინი შერმადინი, მომღერალი; 2. ნინო ოძელაშვილი, სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი სამბოში; 3. ეკა ქაჯაია. 4. ნოდიკო ტატიშვილი, მომღერალი; 5. ნანუკა გულუა ,მსახიობი;

გადაცემის პირველი ბლოკის სტუმარია მომღერალი ნინი შერმადინი, რომელიც სილამაზის კონკურსში მოპოვებული გვირგვინით წარსდგა მაყურებლის წინაშე. საუბარი მიმდინარეობს სილამაზის კონკურსში გამარჯვების შესახებ. შექმნილი ძლიერი ქალის ხატი, რომელსაც სტუმარი თავადვე უზვამს ხაზს:

,,რისი ჩვენება მინდოდა ოგოებისთვის, ვინც ჩემნაირადაა, არის მარტოხელა და ყურები აქ ჩამოყრილი, მინდა ვუთხრა რომ არაფერია სამარცხვინო''- ნინი შერმადინი

გადაცემის მეორე ბლოკის სტუმარია სპორტსმენი ნინო ოძელაშვილი. წამყვანი ნინო მას : ,,ალბათ ხშირად გეკითხებიან, მაგრამ მეც ვიქნები ტრივიალური და გკითხავ: ,,სამბო'' ძალოსნური სპორტია და ჩვენი სქესი?!... რომელიც მეს ულაც არ ვთვლი რომ სუსტია მაგრამ მაინც ფიზიკურად ბევრი რამე არ შეგვიძლია...''

,,არ უნდოდა (მამამისზე) რო ქალი ყოლოდა შვილი, ბიჭები უნდოდა სულ'' . -ნინო ოძელაშვილი;

წამყვანი- ,,მე მგონია, რომ ეს ქვეყანა ძლიერი ქალების ქვეყნაა !''

გადაცემა გრძლედება შშმ პქალბატონის ისტორიით, რომელმაც ბავშვი გააჩინა. წამყვანი მის შესახებ:

,,რეალურად, ეს არის ორი ძლიერი ქალის ისტორია, თქვენი და დედათქვენის''.

გადაცემა სრულდება სერიალ ,,ჩემი ცოლის დაქალებში'' ბავშვების როლის შემსრულებლების სტუმრობით, რომლებიც აღსანიშნავია, რომ წაროდგენილნი არიან ეკრანულ დედებთან ერთად, გამონაკლისია მსახიობი ილო ბეროშვილი, რომელიც ერთეღტი მათგანის მამის როლს ასრულებს;

გენდერული ბალანსი ამჯერადაც დარღველია ქალთა სასარგებლოდ.

06 დეკემბერი, 2018 წელი

სტუმრები: 1. ლექსო ქავთარაძე, რეპერი; 2ტატიანა ბურლიაი, (როგორც გადაცემაში იყო მითითებული ლექსო ქავთარაძის მეუღლე); 3. მინდია ქავთარაძე, რეპერი ; 4. თიკო ცუცქირიძე, მომღერალი ;5. კესარია აბრამიძე ;

პირველი ბლოკი, გადაცემაში დატმობილია რეპერისადა მისი ოჯახის წევრებისათვის,არ იკვეთება ცალსახა გენდერული სტერეოტიპები.

გადაცემის მერორე ბლოკი, რომელიც ასრულებს გადაცემას, ეძღვნება ტრანსექსუალების სილამაზის კონკურსს და მის ქართველ მონაწილეს, კესარია აბრამიძეს.

,,მე შემეძლო მომეყოლა საშინელებები რაც საქართველოში ხდება ტრანსფობიასთან დაკავშირებით, რომ აქ კლავენ ტრანსექსუალებს, მაგრამ მე ასე ძალიან ცუდად წარმომვაჩენდი საქართველოს''- კესარია აბარმიძე

,,თუმცა მე ვთვლი რომ უნდა მოგეყოლა''-წამყვანი;

,,მიხარია, რომ გიცნობ, ქალს, რომელიც ისტორიაში შევა''- წამყვანი;

08 ნოემბერი, 2018 წელი:

სტუმრები: 1. მამა პეტრე . 2. გივი სიხარულიძე, მსახიობი,მწერალი მოცეკვავე; 3. მომღერალი მაკა ზამბახიძე ქალიშვილთან ერთად;

გადაცემის პირველი ბლოკი დათმობილი აქვს ცნობილ მოძღვარს, მამა პეტრეს, რომლელიც ჟურნალისტების პირისპირაა და მათ შეკითხვევბს პასუხობს, გრძელდება გივი სიხარულიძესთან ინტერვიუთი, რომელიც წამყვანის მიერ წარმოჩენილია როგორც ,,ქალბატონების რისხვა'':

-,,ერთი წამით წამროიდგინე რო გაიღვიძეთ და ქალი ხართ'' -წამყვანი

-,,ღმერთმა დამიფაროს!'' გივი სიხარულიძე.

,,ლამაზი ქალის გულისთვის ყველაფერი ღირს და მახინჯისთვის არაფერი'' -გივი სიხარულიძე.

,,ყოფილა შემთხვევა რო ქალი ვერ შეგიბავთ?'' -წამყვანი.

,,სად უყურებთ ქალს პირველ რიგში?'' -წამყვანი.

გადაცემა სრულდება მომღარალ მაკა ზამბახიძისა და მისი ქალიშვილის სტუმრობით, არ იკვეთება ცალსახა გენდერული სტერეოტიპები, თუმცა ისივე როგორც სხვა გადაცემეში, ამჯერადაც გენდერული ბალანსი დარღვეულია ქალთა სასარგებლოდ.

გადაცემებში გასული დიალოგების, მონოლოგების,სიუჟეტების ზედმიწევნითი ანალიზის შედაგად მიღებული მონაცემების მიხედვით დგინდება,რომ საქმე გვაქვს გენდერულად სტერეოტიპულ აზროვნებასთან, როგორც წამყვანებში, ასევე სტუმართა უმრავლესობაში. როგორც კვლევის ძირითად შედეგებში , მოგახსენეთ გამოვლინდა უმარავი გენდერული სტერეოტიპი ,რომელთა გაერთიანებაც შემდეგ კატეგორიის მოსაზრებებშია შესაძლებელი :

- ქალები სუსტი,მამაკაცები კი ძლიერი არსებები არიან
- ქალებს ნაკლები მამაკაცებს კი მეტი ჭკუა-გონება აქვთ
- ქალებს ვიწრო,მამაკაცებს ფართო ინტერესები აქვთ
- ქალებს სჭირდებათ კონტროლი მამაკაცების მხრიდან
- ქალების ცხოვრების განმკარგველები მამაკაცები არიან
- მატერიალური უზრუნველყოფა მამაკაცის მოვალეობა
- ქალებსა და კაცებს განსხვავებული უფლება-მოვალეობები აქვთ ყველა სფეროში, განსაკუთრებით ოჯახში

შეიძლება ითქვას,რომ თოქ-შოუები ,,პროფილი'' და ,,სხვა რაკურსი გია ჯაჯნიძესთან ერთად'' ცალსახად ბულვარული თემატიკის გადაცემებია,სადაც დიდი დოზით ხდება გენდერული საკითხების გაშუქება. რაც შეეხება,ინფორმაციის მიწოდების ფორმას,ორივე გადაცემაში ამ მხრივ ფიქისირდება ,დარღვევები ,რომელთა ნათელ მაგალითს აღმოჩენული გენდერული სტერეოტიპები წარმოადგენს.

დასკვნა:

კვლევის მიზანი ქართულ მედიაში, არაპოლიტიკური ტოქშოუების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე გენდერული საკითხების, კერძოდ კი, ქალთა და ქალებთან დაკავშირებული თემების გაშუქების მონიტორინგი იყო. თემა შევარჩიე იმიტომ, რომ ბოლო დროს საქართველოში საკანონმდებლო და ქალთა ტრადიციული როლის მნიშვნელოვანი ცვლილების, თუ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების მიუხედავად სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ძალიან ხშირად ვაწყდებით და საქართველო მაინც პატრიარქალურ საზოგადოებად რჩება. ეს რეალობა ქართულ მედიაშიც აისახება.

შეიძლება ითქვას რომ წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის მეორე ეტაპის შედეგები. კვლევა ტოქშოუებში გენდერული საკითხების გაშუქებისას სტერეოტიპების გამოყენების მონიტორინგს ითვალისწინებდა. ასევე, ყურადღება ექცეოდა მაუწყებლობის შესახებ კანონით და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრული იმ მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვას, რომლებიც გენდერული საკითხების გაშუქებას უკავშირდება.

მონიტორინგის მეორე ეტაპის მიზანი იყო დაგვედგინა, შეიცვალა თუ არა მდგომარეობა არაპოლიტიკურ ტოქშოუებში გენდერული საკითხების გაშუქების კუთხით. ამისათვის, ამ მონიტორინგის შედეგები შედარებული იქნა პირველი მონიტორინგით მიღებულ სურათთან, რომელიც 2015 წლის თებრვალ- მარტში ჩატარდა. პირველმა მონიტორინგმა გენდერის გაშუქებაში შემდეგი ტენდენცია გამოავლინა: გენდერული საკითხების გაშუქებისას ტოქშოუებში ,,პროფილი'' და ,,სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად'' სტერეოტიპული აზროვნება და მიდგომები ჭარბობდა. ქალებსა და ქალთა საკითხებზე მომზადებული მასალების უმეტესობა გენდერულ სტერეოტიპებს არა თუ ამცირებდა, არამედ პირიქით, აძლიერებდა. წამყვანები არ იყვნენ გათვითცნობიერებულნი გენდერის საკითხებში და შესაბამისად, გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებდნენ. სტერეოტიპების გამყარებას ტოქშოუები როგორც სიტყვით და გამოსახულებით , ასევე ქალის როლის პოზიტიურ დისკრიმინაციით ახდენდნენ.

კვლევის მეორე ეტაპის მონიტორინგმა აჩვენა, რომ გენდერული საკითხების გაშუქებისადმი აღნიშნული ტოქშოუების მიდგომა თვისობრივად არ გაუმჯობესებულა.

პირველ რიგში, მოაგახსენებთ **გადაცემებიის თემაზე-** ისევე როგორც მედიამონიტორინგის პირველი ეტაპიას, ამჯერადაც გამოვლენილი იქნა შემდეგი: თემების შერჩევისას კრიტერიუმს ნამდვილად არ წარმოადგენდა აქტუალობა,ან საზოგადოებრივი მნიშვნელობა. სტუმართა კეტეგორიაც, კვლავ, ძირითადად ერთი სოციალური კლასის წარმომადგენლები არიან, მეტ-ნაკლებად ცნობილი, ეგრეთწოდებული ,,ტიტულოვანი'' ადამიანები სხვადასხვა სფეროებიდან. შეიძლება ითქვას,რომ სტუმართა კომპეტენცია განსახილველ საკითხებთან მიმართებაში პრიორიტეტს არ წარმოადგენს.

გენდერული ბალანსი _ დაცულია თუ არა გადაცემებში გენდერული ბალანსი, თანაბრად არის თუ არა წარმოჩენილი ისმის თუ არა ქალთა მოსაზრებები და შეფასებები სხვადასხვა საკითხებზე? შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა გენდერული ბალანსის მხრივ: ტოქშოუების მიერ ისეთი საკითხების გაშუქებისას, როგორიცა გენდერული თანასწორობა/უთანასწორობა, ძალადობის სხვდასხვა ფორმები, მოდა, ხელოვნება და პირადი ურთიერთოებები გენდერული ბალანსი, ძირითადად, ქალების სასარგებლოდ ირღვევა და ის ფაქტი, რომ ასეთ საკითხებს, უმეტესად, ქალები განიხილავენ, აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ისინი ქალური საკითხებია და შესაბამისად, ნაკლებად მნიშვნელოვანი. ქალები როგორც წესი ეგრეთ წოდებულ ამ „მსუბუქ თემებზე" მომზადებულ გადაცემებში გვხვდებიან და იშვიათად ჩანან ეკონომისტების, მენეჯერების, ბიზნესლიდერებისა თუ სხვა როლში. უმთავრესად, ქალი რესპონდენტები, ,,ცნობადი'', ტიტულოვანი ქალები არიან – შოუ-ბიზნესის ან კულტურის წარმომადგენლები. ოფიციალური გვერდების ანლიზით ნატლად ჩანს, რომ რიგითი ქალი მოქალაქეების მოსაზრებები ტოქშოებში ძალადობის – ოჯახში ძალადობის ან სექსუალური ძალადობის კონტექსტში შუქდება, სადაც ისინი მსხვერპლის როლში წარმოგვიდგებიან, ან ეკონიმიკური სიდუღჭირისა და რთული სოციალური პირობების თაობაზე მომზადებული გადაცემებში, რაც ამყარებს სტერეოტიპს ქალების უსუსურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ორივე ტოქშოუში ყურადღება ეთმობა შემდეგი კატეგორიის ქალებს, მაგალითად: მოხუცებს,

ეთნიკური თუ რელიგიური, ან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს, თუმცა, ასეთ დროს წამყვანებისა, თუ სხვა სტუმრების მხრიდან ვლინდება აშკარა პოზიტიური დისკრიმინაცია.

გაშუქების სიხშირე _ რამდენად ხშირად შუქდება გენდერული საკითხები, რა ადგილი ულკავია მათ გადაცემებში. ცვილებები არ გამოვნელინა არც გაშუქების სიხშირის თვალსაზრისით, გენდერული თემატიკა, ორივე ტოქშოუში კვლავ აქტუალურია. მიღებული მონაცემები ცხდაყოფ, რომ აღნიშნულ თემატიკას ადგილი ეთმობა ყოველ თუ არა ყოველ მეორე გადაცემაში მაინც.

მონაცემების ანალიზისას წინამდებარე გამოვლინდა გადაცემებში ქალური და კაცური ინტერესთა სფეროების აშკარა გამიჯვნა, **თემების სეგრეგაცია გენდერული ნიშნით.** აღნიშნული საკითხი ორივი ტოქშოუს შემთხვევაში ასევე მწვავედ იდგა კვლევის პირველ ეტაპზეც. ამჯერად, კიდევ ერთხელ, თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ გარდა „თავის მოვლასთან“ დაკავშირებულ საკითხებს გადაცემებში მხოლოდ ქალთა ინტერესებს მიაკუთვნებენ, ისევე, როგორც _ ბავშვის მოვლას, კულინარიულ საკითხებს, მოდას და ა.შ. ხოლო აღნიშნულ საკითხებზე მამაკაცთა გამოჩენა წამყვანისა, თუ სტუმრების მიერ აღქმული და გაშუქებულია როგორც დადებითი გამონაკლისი, რაც აღნიშნულ სფეროებში ქალისა და მამაკაცის როლს თანაბარ პირობებში კი არ აყენებს, არამედ პირიქით.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მონიტორინგის მეორე ეტაპის შედეგებმა აჩვენა, ქართული არაპოლტიკური გასართობ-შემეცნებითი სატელევიზიო მედიაში **სექსისტური ენის გამოყენებაა**, ცვილებები აშკარაა და მართალია 2015 წლის მონაცემებთან შედარებით ნაკლებად, თუმცა სექსისტური ენის ტირაჟირება კვლავ ხდება და უმეტეს შემთხვევებში თავად მედიის წარმომადგენლების მიერ.

გადაცემებზე განხორციელებულმა მედიამონიტორინგის შედგებმა აჩვენა, რომ ტოქშოებში გამართულ დისკუსიებში, ინტერვიუებსა და მონოლოგებში, ამეჯერად დიდი დოზით ვლინდება გენდერული სტერეოტიპები. **მონიტორინგისას გამოვლენილი იქნა ცალსახა გენდერული სტერეოტიპები**, რომელთა გაერთიანებაც

შემდეგ კატეგორიის მოსაზრებებშია შესაძლებელი: ქალები სუსტი,მამაკაცები კი ძლიერი არსებები არიან, ქალებს ნაკლები მამაკაცებს კი მეტი ჭკუა-გონება აქვთ, ქალებს ვიწრო,მამაკაცებს ფართო ინტერესები აქვთ, ქალებს სჭირდებათ კონტროლი მამაკაცების მხრიდან, მამაკაცი არის ლიდერი ოჯახშიც და საზოგადოებაშიც, მატერიალური უზრუნველყოფა მამაკაცის მოვალეობაა და ბოლოს, ქალებსა და კაცებს განსხვავებული უფლება-მოვალეობები აქვთ ყველა სფეროში, განსაკუთრებით ოჯახში.

რაც შეეცება **ტოქშოების შემქნელთა გენდერმგრძნობიარობას,** აღსანიშნავია, რომ მეტწილად გადაცემებში ადგილი ქონდა აქცენტს წარმატებულ ქალებზე, რომელთაც საკუთარი თავის რეალიზება მოახდინეს, თუმცა აღნიშნულის გაშუქებისას გამოვლენილი იქნა ქალთა როლის პოზიტიური დისკრიმინაცია, ვინაიდან რესპონდენტები წარმოდგენლნი იყვნენ როგორც სუსტი არსებები, რომელთაც ირეალური შესძლეს, რაც გაშუქების მანერის პრობლემაზე მიუთითებს და მედია პროდუქტის შემქნელების ცოდნას გენდერული საკითხების შესახებ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამ შემთვევაში, სავარაუდოა, რომ ტოქშოების მესვეურები გენდერული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ თავად არიან და შესაბამისად, უნებლიედ თავადვე ავრცელებენ კიდეც საზოგადოებაში ქალის შესახებ არსებულ სტერეოტიპებს.

რეკომენდაციები:

ქართული არაპოლიტიკური, გასართობ-შემეცნებითი მედიის ერთ-ერთ პრობლემად გენდერული სტერეოტიპებით აზროვნება რჩება. მიუხედავად 2015 წლის შემდეგ ქვეყანაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, საინფორმაციო კამოანიებისა და სხვა ღონისძიებებისა, მედია თავად ქმნის და ამყარებს სტერეოტიპებს. აღნიშნული გამოწვეულია მედიის წარმომადგნლების გაუთვითცნობიერებელი საქმიანობის, კონკრეტულად კი გენდერის საკითხის სათანადოდ არცოდნით.

ბუნებრივია, მედიას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში. ამისათვის, აუცილებელია სხვდასხვა მედია პროდუქტებით და განსაკუთრებით კი იმ გადაცემებში, რომლებიც პრაიმტაიმში მაუწყებლობენ, რეგულარულად შეუქდებოდეს გენდერის საკითხები. ტოქშოუს ფოორმატი იდეალურიც კია ხელი გენდერული სტერეოტიპების შესახებ, საზოგადოების უკეთ ინფორმირებისათვის, ვინაიდან იძლევა დისკუსიისა და ფართო მსჯელობის საშუალებას. თუმცა, აღნიშნულმა კვლევამ ცხადჰყო, რომ გასართობ-შემეცნებითი ტოქშოების მესვეურები გენდერის თემატიკისადმი უყურადღებობით კი არ უწყობენ ხელს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას, არამედ მათი გაშუქების მანერით. სასურველია, რომ ჟურნალისტებმა, რედაქტორებმა და პროდიუსერებმა აიმაღლონ ცოდნა გენდერის გაშუქების საკითხებში, რათა თავიანთი საქმიანობით ხელი რომ შეუწყონ ქართულ მედიაში გენდერის საკითხების სამართლიანად და სწორად ასახვას.

ბიბლიოგრაფია:

1. გ.ჩართოლანი ,,ტელეჟურნალისტიკა ნაწ.1'' თბილისი 2008
2. მედიის განვითარების ფონდი (MDF) ,,სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის მონიტორინგი ქართულ მედიაში'' თბილისი 2013
3. კ.დადისმანი ,,შეისწავლეთ თქვენი აუდიტორია : მკითხველებისა და რეკლამის შემკვეთთა რაოდენობის გაზრდა მარკეტინგული კვლევის საშუალებით'' .მთარგმნ:სოფიო გურგენიძე თბილისი 2005
4. ქ.მსხილაძე (MDF) ,,გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში'' თბილისი 2011
5. დ.მჭედლიძე ,,ქართული მედია ახალი ამბების გაშუქებისას ქალთა უფლებებს ლახავს-მონიტორნგის შედეგები'' თბილისი 2011
6. სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია (ბილეთები) თბილისი 2015
7. ,,რატომ არის ,,ყვითელი პრესა'' ყვითელი?-ყვითელი ბიჭუნას თავგადასავალი'' თბილისი 2014 https://teasblogi.wordpress.com/2014/10/01/რატომ-არის-ყვითელი-პრეს/#more-2370
8. ნ.კაკაბაძე (MDF) ,,შემეცნებით-გასართობი თოქ-შოუები და მედია-სტანდარტი'' თბილისი 2012
9. ,,ყვითელი პრესა საქართველოში'' თბილისი 2015

http://yellowpress-lika.blogspot.com/p/blog-page.html

10. რ.სვანიძე ,,ტოქშოუს ტექსტის სტილის თავისებურებანი გერმანულ და გერმანულ ენებში'' ქუთაისი 2012

11.,,პროფილისა'' და ,,ნანუკას შოუს'' წამყვანები შემაჯამებელი ანგარიშით

თბილისი 2015 http://ptpress.ge/index.php?magazine_id=-1&topic_id=4624#.VZz1N5vFxIe

12. მ.ადამია ,,თავისუფლება საზღვრების გარეშე?!'' თბილისი 2015

13.ჯ.რეხვიაშვილი ,,რატომ არაა ,,ცხოვრება მშვენიერი ,,პროფილსა'' და ,,ნანუკას შოუში'' თბილისი 2010

14. მედიის განვიათარების ფონდი ,,გენდერმედიატორი.'' http://gendermediator.ge/uploads/news/GENDERMEDIATORI.pdf

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თინათინ ჯავახიშვილი

სადოქტორო სემინარი

ჰენრი კისინჯერის როლი აშშ-ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში

ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების წინაპირობები, ამ ურთიერთობების დამყარების მნიშვნელობა ორივე მხარისთვის და მისი შედეგები. გაანალიზებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ერთობლივი კომუნიკე და მისი მნიშვნელობა, ის საგარეო პოლიტიკური დოქტრინები, რომლებიც რიჩარდ ნიქსონმა და ჰენრი კისინჯერმა ჩამოაყალიბეს. დიპლომატიის ის წინამძღვრები, რომელიც წინ უძღოდა ორი ქვეყნის ურთიერთობების ნორმალიზებას. ასევე განხილულია ის პრობლემური საკითხები, რომელიც ქვეყნებს უბიძგებდა ერთმანეთის მიმართ იზოლაციონიზმისკენ და რომელიც დიპლომატიის გაჩენის ხელის შემშლელი ფაქტორი იყო ამერკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის.

ნაშრომში ასევე განხილულია 1972 წლის ნიქსონის ადმინისტრაციის ჩინეთში ვიზიტის შედეგები. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ორიენტირის განხილვას, კომუნისტური ბანაკის ქვეყნებიდან კაპიტალისტური სამყაროსკენ.

გაანალიზებულია გაეროს წევრის ტაივანის საკითხი, რომელსაც ჩინეთი თავისი იურისდიქციის ფარგლებში განიხილავდა, განხილულია შედეგები, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით განვითარდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთობების ნორმალიზების ხელის შემშლელი ფაქტორი იყო საბჭოთა კავშირი, რომელიც ასევე გამოთქვამდა

პრეტენზიას ინდოჩინეთში გავლენის ფლობაზე. ნიქსონის მცდელობა მიზნად ისახავდა ჩინეთის სამუდამო ჩამოშორებას სოციალისტური ქვეყნებისგან.

საბჭოთა კავშირმა ასევე დიდი როლი ითამაშა ჩინურ-ამერიკული ურთიერთობებში, რამაც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთობის ჩიხში შეყვანა.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საქმეში ნიქსონის ადმინისტრაციამ გააკეთა მაქსიმუმი არა მხოლოდ იმ პერიოდის წარმატებული საგარ; პოლიტიკისთვის, არამედ სამომავლოდ ნორმალიებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთერთობების გაჩენისთვის.

ნაშრომში აღნიშნულია ამ ურთიერთობების ღირებულება, რომელიც ამერიკულ ერს 1960-1970-იან წლებში მოუტანა რიჩარდ ნიქსონმა და მისმა მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰენრი კისინჯერმა.

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი 5

თავი I ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების პირველი მცდელობის დაწყება ნიქსონის ადმინისტრაციის დროს 9

თავი II მაქოს დიპლომატია, გუამის დოქტრინა და ჩინეთი 12

თავი III ნიქსონის ვიზიტი ჩინეთში და მისი შედეგები 16

დასკვნა 34

BIBLIOGRAPHY 36

შესავალი

სანამ დავიწყებ საუბარს იმაზე თუ როგორ ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები, რა წინამძვრები ჰქონდა ასეთ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას მინდა ვისაუბრო 1950-იან წლებზე. კერძოდ კი იმაზე თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ კომუნისტურ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს, როგორ პოლიტიკას ატარებდა ჩინეთი ამ პერიოდში და ზოგადად რა მდგომარეობა იყო შექმნილი ქვეყანაში.

ერთხანს საბჭოთა პროპაგანდა ჩინეთის მიღწევებს აღმატებული ეპითეტებით ამკობდა. აჩვენებდნენ, თუ როგორ პირნათლად ასრულებდნენ ჩინელები კომუნისტური პარტიის დავალებებს. თუმცა 1957 წელს კომუნისტური პარტიების თავყრილობაზე მაომ გააკეთა შემდეგი განცხადება, სადაც მან თქვა, რომ იმპერიალისტებთან ატომური ომისა კომუნისტებს არ უნდა შეშინებოდათ. (ზ. აბაშიძე 2009. გვ65)

როგორც შემდეგ გაირკვა, მაოს რადიკალიზმი სულ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდა კრემლში, რომელსაც დღითიდღე უფრო ურთულდებოდა ურთიერთობები ჩინელი ხალხის ბელადთან. მაო მაქსიმალურად იყენებდა საბჭოთა კავშირს, იღებდა მისგან ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას. მაგრამ ამავე დროს, ხაზგასმით ატარებდა მოსკოვისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას.

იდეოლოგიური უპირატესობის გასამტკიცებლად მაომ ხრუშჩოვის ანტისტალინისტურ პოლიტიკაზე უარი თქვა და იმის მტკიცებას შეუდგა, რომ საბჭოთა კავშირი კარგავდა რევოლუციურ შემართებას, რაც დასავლეთის იმპერიალისტების ინტერესებს შეესაბამებოდა: „თუ ისინი ხმას ხელიდან აგდებენ, ჩვენ ავიღებთ მას. თუ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა თავს დაესხას სტალინს, ჩვენ ამას არ გავაკეთებთ“. ამგვარად, მაოს ჩინეთი განაცხადს აკეთებდა ჭეშმარიტ რევოლუციონერობაზე, საბჭოთა კავშირი კი „რევიზიონიზმის ჭაობში იძირებოდა“ (აბაშიძე, ზურაბ, 2009, გვ66).

1957 წელს მაომ ჩინელებს ასეთი პოეტური ლოზუნგი შესთავაზა: „ დაე იხაროს ასმა ყვავილმა, დაე ასი სკოლა გაეჯიბროს ერთმანეთს“. ეს იყო მოწოდება საზოგადოებაში

აზრთა სხვადასხვაობისა და დემოკრატიზაციისკენ, რაც ჩინელებმა უმალვე სიამოვნებით აიტიცეს. დემოკრატიზაციის სწრაფად „გამომცხვარ“ ექსპერიმენტს მაომ ასევე სწრაფად და დაუნდობლად მოუღო ბოლო. მაოს დემოკრატიულობა გულუბყვილო ჩინელებს ძვირად დაუჯდათ. ქვეყანას მასობრივი რეპრესიების ტალღამ გადაუარა, რამაც ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი იმსხვერპლა. რეპრესიების ფონზე მაომ საგრძნობლად გაიძლიერა პიროვნული ავტორიტეტი, რაც ნელ-ნელა სტალინის კულტის მასშტაბებს სცილდებოდა.

1958 წელს მაომ გრანდიოზული ექსპერიმენტი - „დიდი ნახტომი“ წამოიწყო. იგი მიზნად ისახავდა ჩინეთის როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მრეწველობის სრულ ტრანსფორმაციას. შედეგმაც არ დააყოვნა - სოფლის მეურნეობა გაჩანაგდა და ქვეყანაში მასობრივი შიმშილი დაიწყო. არანაკლები უბედურება დაატყდა ჩინეთის მრეწველობასაც. დაუზოგავი ექსპლუატაციის გამო მწყობრიდან გადმოდიოდა საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებული მანქანა-დანადგარები, რასაც მაო მოსკოვს აბრალებდა. 1961 წელს მაომ „დიდ ნახტომზე“ უარი თქვა.

ამავე დროს ჩინელები სხვადასხვა სამხედრო ავანტიურებში ითრევდნენ საბჭოთა კავშირს. 1958 წელლს კომუნისტურმა ჩინეთმა ტაივანზე ჩან კაიშის რეჟიმის წინააღმდეგ წამოიწყო სამხედრო ოპერაცია. მაოს თხოვნით მოსკოვმა დიდძალი იარაღი გადასცა პეკინს, რამაც ტაივანის მთავარი მოკავშირის - ვაშინგტონის ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია. მაო მოსკოვს არწმუნებდა, რომ ოპერაცია სულ მალე გამარჯვებით დამთავრდებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგის ტერიტორიის საარტილერიო დაბომბვის შემდეგ პეკინმა სამხედრო მოქმედებები შეწყვიტა. ხრუშჩოვის კითხვას, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მაომ ლაკონურად უპასუხა: „ჩვენ მას ძალა ვაჩვენეთ“.

1950-იანი წლების ბოლოს ანტისაბჭოთა პროპაგანდამ ჩინეთში ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მოსკოვი იძულებული გახდა საპასუხო ნაბიჯები გადაედგა. პეკინისთვის სერიოზული დარტყმა იყო მოსკოვის გადაწყვეტილება, შეეწყვიტა ორმხრივი ხელშეკრულება ბირთვულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ. 1960 წელს მოსკოვმა საბჭოთა სპეციალისტები გამოიწვია ჩინეთის სახახლო რესპუბლიკიდან.

ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის მტრულ ფაზაში შედიოდა (აბაშიძე, ზურაბ, 2009, გვ70).

ახლა კი მინდა გადავიდე უშუალოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობას საგანგებო ადგილი უკავია. ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის სათავეებთან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი დგას. ნიქსონმა თავი გამოიჩინა თავისი დიპლომატიით საბჭოთა კავშირთან. მისი პოლიტიკური კურსის შეფასებისას მკვლევართა აზრი ორად იყოფა. ზოგი მას კონსერვატორ ლიდერად მიიჩნევს, ზოგი კი ლიბერალად თვლის.

70-იანი წლების დასაწყისამდე ჩინურ-ამერიკული ურთიერთობების საკითხი საერთდ არ იდგა დღის წესრიგში, ამერიკის შეერთებული შტატები XX საუკუნეში ებრძოდა კომუნიმს და გამონაკლისს არც ჩინეთის კომუნისტური მთავრობის მიმართ უშვებდა.

ხელისუფლებაში მოსვლისას რიჩარდ ნიქსონს დახვდა „ცივი ომის“ შესაფერისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან და ვიეტნამის გაჭიანურებული ომი. ამას ემატებოდა ქვეყანაში აგორებული, ვიეტნამის ომით გამოწვეული საპროტესტო ტალღა. მიუხედავად რესპუბლიკური პარტიის ტრადიციული პლატფორმისა ნიქსონმა დაიწყო ლიბერალური ნაბიჯების გადადგმა. ის იყო პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ჩინეთის კარის შეღება განიზრახა. საბჭოთა კავშირთან მძიმე დაპირისპირების ფონზე, მას სჭირდებოდა დასაყრდენი აზიაში და მის წინააღმდეგ მიმართული ძალა. ჩინეთი უნდა ყოფილიყო ძალის დამბალანსებელი ზესახელმწიფოებს შორის, თუმცა ეს არც ისე ადვილი იქნებოდა.

ჩინეთის მთავრობა მზად არ იყო შტატებთან ურთიერთობის „დათბობისთვის“, მას აწუხებდა გაეროს წევრის და მისი მოწინააღმდეგე ტაივანის საკითხი, რომელიც თავის საკუთრებად მიაჩნდა. ნიქსონის და მისი მრჩევლის ის მომენტი, როდესაც შტატებს უნდა დაეწყო მოლაპარაკებები ჩინეთთან. ეს იყო მაგიდის ჩოგბურთელთა ვიზიტი

აზიის ამ უდიდეს ქვეყანაში, რომლის დროსაც მივლინებული იქნენ მაღალი რანგის დიპლომატები პრეზიდენტის ვიზიტის დასაგეგმად ჩინეთში.

სწორედ ნიქსონი იყო ის პიროვნება, რომელმაც დაინახა საჭიროება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებისა. სამომავლო პერსპექტივები, რომელსაც მოუტანდა ეს ურთიერთობა. მანამდე ამერიკის შეერთებული შტატები ვერ ხედავდა ჩინეთთან რაიმე დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობას. საერთაშორისო ინტერესებიდან გამომდინარე, შესალოა ისიც რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩინეთისთვის არც ეცალა, მასში კონკურენტს ან თუნდაც დასაყრდენ ძალას ვერ ხედავდა. თავის მხრივ, ეს გამოწვეული იყო ჩინეთის პოლიტიკიდანაც. ის საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრ ნაბიჯებს არ დგამდა. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ რამდენიმე ათეული წლით ადრე შტატები პირველი და მეორე მსოფლიო ომების ქარცეცხლით, ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზებით და ძალის დემონსტრირებით იყო დაკავებული.

თუმცა იცვლება დრო, და იცვლებიან პიროვნებებიც. ნიქსონის შემთხვევაშიც ასე მოხდა. მან პოლიტიკაში მოსვლის დღიდანვე სწორად შეაფასა საბჭოთა კავშირის შესაძლებლობები და შეეცადა როგორმე მის წინააღმდეგ ეპოვნა ძალა, რომელიც სერიოზული წინააღმდეგობის გამწევი იქნებოდა და ასეთად სწორედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩათვალა.

მანამდე ამერიკის შეერთებული შტატების არც ერთ ლიდერს არ უცდია ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზება. ისიც კი საეჭვო იყო დათანხმდებოდა თუ არა ჩინეთი მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას, მაშინ, როდესაც მისი მეზობელი და კონკურენტი ტაივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი იყო. ამ დროს კი ჩინეთი ტაივანს თავის საკუთრებად მიიჩნევდა.

თავი I ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების პირველი მცდელობის დაწყება ნიქსონის ადმინისტრაციის დროს

პრეზედენტი რიჩარდ ნიქსონი საგარო პოლიტიკით უფრო იყო დაინტერესებული ვიდრე საშინაო პოლიტიკით. ამას მოწმობს მისი ჩანაწერებიც. ჰენრი კისინჯერი კი არის ის პიროვნება, რომელიც თავისი გამოცდილებით, დიპლომატიური ნიჭით, დამსახურებით მთელი კარიერის მანძილზე რიჩარდ ნიქსონის გვერდით იდგა. რ. ნიქსონისთვის კისინჯერი იყო ის ადამიანი, რომელსაც ყველა პრობლემას თუ საკითხს ანდობდა. გამოცდილი დიპლომატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის სასარგებლო და დროული იყო. სწორედ ამან განაპირობა გარკვეულწილად პრეზიდენტ ნიქსონის საგარეო პოლიტიკის წარმატება.

როდესაც კისინჯერი იმ პრობლემებს განიხილავდა, რომელიც აშშ-ს წინაშე 1970-იანი წლების დასაწყისში იდგა, იგი დიდი ყურადღებას აქცევდა ისეთ მწვავე თემებს, როგორიც იყო რუსეთი, ჩინეთი, გლობალიზებული ეკონომიკა და სამხედრო ჩარევა, ჰუმანიტარული მიზნით. იგი მოუწოდებდა თანამემამულეებს, რომ შტატების საგარეო პოლიტიკა აშშ-ის მუდმივი ინტერესების გათვალისწინებით უნდა იქნას აგებული. იგი გამოყოფდა იმ ქვეყნებს, რომლებთანაც ურთიერთობისას მნიშვნელოვნად ხორციელდებოდა ამერიკის ისტორიული იდეალები. მათში იგი გულისხმობდა აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, აგრეთვე დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებს. ამ უკანასკნელებს შორის სადავო საკითხების გადაჭრა მუქარის გზით ან სამხედრო მეთოდებით ხდებოდა (Hughes, 2018).

დიდი აზიური ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ერთმანეთს ექცეოდნენ როგორც სტრატეგიული მეტოქეები. თითოეული მათგანი ვარაუდობდა, რომ ცალ-ცალკე ან სხვასთან კავშირში, შეეძლო შეექმნა მუქარა მათი ეროვნული უშიშროებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რიჩარდ ნიქსონმა სახელი გაითქვა, როგორც კომუნიზმის სამხედრო მოწინააღმდეგემ, დაინახა ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობები საბჭოთა კავშირთან და გადაწყვიტა ურთიერთობა დაემყარებინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ნიქსონი იმედოვნებდა, რომ მოახერხებდა ცივი ომის დაძაბულობის განმუხტვას. ის ცდილობდა

გამოეყენებინა პეკინი, როგორც ზეწოლის ბერკეტი ჩრდილოეთ ვიეტნამში. ის მოქმედებდა ჩინეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი ჩინეთის წინააღმდეგ და ცდილობდა ორივე მათგანი გამოეყენებინა ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდე (ხარტიშვილი,ირაკლი,2018). დიდი აზიური ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ერთმანეთს ექცეოდნენ, როგორც სტრატეგიული მეტოქეები. ყოველი მათგანი იმედოვნებდა, რომ ცალ-ცალკე ან სხვასთან კავშირით, შეძლებდა შეექმნა მუქარა თავიანთი ეროვნული უშიშროებისთვის. შტატების უპირატესობა კი თანამედროვე მსოფლიოში თვალნათლივი ფაქტია, რომელიც სადავო არ არის უახლესი წლების პერსპექტივაში. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს ამას ქვეყანა. მისი მთავარი მიზნები მდგომარეობს იმაში, რომ დანერგოს თავისი ფასეულობები, შექმნას ისეთი პირობები, რომ ეს ფასეულობები თანამედროვე მსოფლიომ მიიღოს. მაქოს დიპლომატიაც, რომელიც უდიდეს მიღწევად ითვლება სწორედ უდიდეს დიპლომატს ჰენრი კისინჯერის სახელს უკავშირდება. იგი გაჩნდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ორი ზესახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი.

რაც შეეხება ჩინეთთან ურთიერთობას შეერთებული შტატების იმდროინდელი ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა არ არსებობდა, მაგრამ ორივე მხარე ზარალდებოდა დიპლომატიური ურთიერთობის არქონით, რასაც საბჭოთა კავშირი თავის სასარგებლოდ იყენებდა. მოგვიანებით საბჭოთა კავშირსა და კომუნისტურ ჩინეთს შორის ურთიერთობები დაიძაბა. მაო ფაქტობრივად მოსკოვის იდეოლოგიურ კონკურენტად აცხადებდა თავს. კრემლში მისი ფილოსოფია მიუღებლად მიაჩნდათ. იდეოლოგიური უპირატესობის გასამტკიცებლად მაომ ხრუშჩოვის ანტისტალისისტურ პოლიტიკაზე უარი თქვა და იმის მტკიცებას შეუდგა, რომ საბჭოთა კავშირი კარგავდა რევოლუციურ შემართებას, რაც დასავლეთის იმპერიალისტების ინტერესებს შეესაბამებოდა(ზ.აბაშიძე, 67გვ). ამერიკელებმა მოაჯადოვეს ჩინელი კოლეგები თავიანთი გულახდილობით. ჩინელებს ეჩვენებოდათ, რომ კისინჯერმა ორივე სამყაროს ენა იცოდა, რომ ეს იყო პირველი ამერიკელი, რომელთანაც შესაძლებელი იყო მოლაპარაკებების წარმოება. კისინჯერის მაქოს

დიპლომატიამ ყველაზე სრული ასახვა იპოვა კისინჯერის შუამავლურ ძალისხმევაში, რომელიც მიმართული იყო ახლო აღმოსავლური პრობლემის მოგვარებისკენ. იგი გამოიხატებოდა უწყვეტ გადაადგილებაში ერთი წერტილიდან მეორეში, შეხვედრებში ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. მაქოს დიპლომატიამ ცხადად აჩვენა, რომ მოლაპარაკებათა თანამედროვე ტექნოლოგიას შეუძლია ხელი შუუწყოს ეფექტურ დიპლომატიას. ჰენრი კისინჯერის ამ მოსაზრებიდან ნათელი ხდება შტატების საგარეო პოლიტიკის ორიენტირი. კერძოდ ეს იყო წმინდა ეროვნულ ინტერესებზე აგებული საგარეო პოლიტიკა, მაგრამ კარგად მორგებული იმ პერიოდის მოთხოვნილებებთან.

კისინჯერის გამოცდილების და მოხერხებულობის წყალობით ამერიკის შეერთებული შტატები XX საუკუნის საგარეო დიპლომატიურ პოლიტიკაში თამამ და საკმაოდ წარმატებულ ნაბიჯებს დგამდა. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი შტატებმა ჩინეთ-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისკენ გადადგა (მენთეშაშვილი, 2005, გვ.537).

თავი II მაქოს დიპლომატია, გუამის დოქტრინა და ჩინეთი

ამერიკულ ოფიციალურ დოკუმენტებში, აგრეთვე პერიოდული ბეჭდური გამოცემების ფურცლებზე და სახელმწიფო და კერძო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სხვადასხვა პუბლიკაციებში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სტრატეგიის არსი და შინაარსი ჩვეულებრივ გადმოცემულია ეროვნული დოქტრინის სახით. თავისი შინაარსისა და მიზნების მიხედვით ასეთი დოქტრინა შესაძლოა მიეკუთვნებოდეს ან პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების ერთ რაიონს, ან კიდევ ასახავდა გლობალურ(მსოფლიო) პოლიტიკურ მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევის ხერხებს. ამ მიმართების 1970-იანი წლების შუახანებისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო „ნიქსონის დოქტრინა“, რომეშიც გადმოცემული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის მიერ 1970, 1971 და1972 წლებში კონგრესისთვის გაგზავნილ საგარეო პოლიტიკურ გზავნილებში.

საბჭოთა სამხედრო პერიოდიკის შეფასებით, აცხადებდნენ რა ახალ დოქტრინას, შეერთებული შტატების მმართველი წრეები ჩვეულებრივ ფართო რეკლამას უკეთებდნენ მას, როგორც რაღაც „დიად წიგნს“, ამერიკულ პოლიტიკასა და სტრატეგიაში, მკვეთრ გარდატეხას მათ ურთიერთობაში მოწინააღმდეგეებთან და მოკავშირეებთან. მაგრამ სინამვილეში არაფერი მსგავსი არ ხდებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალუსტური აგრესიული კურსი უწინდელი რჩებოდა. იცვლებოდა მხოლოდ ზოგადი პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზები (ხარტიშვილი, 2018). შექმნილ ვითარებაში აშშ-ს პრეზიდენთის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებსი, ჰ. კისინჯერმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიზანი იყო შეეწყვიტა ომი ვიეტნამთან, გაეუმჯობესებინა ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან და დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. სწორედ ამ მიზნების მიღწევის სურვილმა წარმოშვა დიპლომატიური კონტაქტების ახალი მეთოდებისა და ფორმების შემუშავების აუცილებლობა.

აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ახალმა დიპლომატიამ, რომელმაც მიიღო მაქოს დიპლომატიის სახელწოდება, იყო არა უბრალოდ საიდუმლო, არამედ ზესაიდუმლო, რომელიც დაფარული იყო მრავალი ხელმძღვანელი ამერიკელი პოლიტიკოსისა და დიპლომატისაგან. ვინაიდან მის გათქმას შეეძლო ძირი გამოეთხარა დაწყებული მოლაპარაკებებისთვის. ამდედან იგი იყო ექსტრაორდინალური და საფრთხილო (მენთეშაშვილი, ა.მ. 2005).

პრეზიდენტის პირველ ყოველწლიურ მოხსენებაზე საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ნიქსონმა წამოაყენა შტატების საგარეო პოლიტიკური კურსის ახალი კონცეფცია. ნიქსონის დოქტრინები ასევე ცნობილია, როგორც „გუამის დოქტრინა“, რომელიც მან 1969 წლის 25 ივლისს მიიღო. ეს სახელწოდება მომდინარეობის კუნძული გუამიდან, სადაც მე-20 საუკუნის დასაწყისში სტრატეგიული დაგეგმვის ამერიკელმა სპეციალისტებმა დაიწყეს სხვადასხვა სტრატეგიული დოქტრინების შემუშავება ორ ოკეანეში სამხედრო-საზღვაო ბატონობასთან დაკავშირებით (Hughes, Ken, 2018). ნიქსონის განცხადებით , ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობდა თავდაცვით ღონისძიებებს მოკავშირეებისა და მეგობრების დასაცავად, თუმცა ეს არ იქნებოდა ნებისმიერი თავდაცვის ხელშეწყობა. ამ გამნცხადებით იგი იშორებდა გლობალურ პასუხისმგებლობას, რომელიც მას მსოფლიოს წინაშე ჰქონდა. ეს დოქტრინა ხაზს უსვამდა იმას, რომ ყოველ მოკავშირე ერს ებარა საკუთარი უსაფრთხოება, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები იმოქმედება, როგორც ბირთვული ქოლგა, როდესაც ამის საჭიროება იქნებოდა. დოქტრინა ამტკიცებდა, რომ მშვიდობის მეშვეობით დამყარდებოდა პარტნიორობა ამერიკასთან. აღსანიშნავია, რომ დოქტრინის სამიზნე იყო აზია, უფრო კონკრეტულად კი ვიეტნამიზაცია.

დოქტრინის ცალკეული პუნქტდები ასეთი იყო:

1. ამერიკის შეერთებული შტატები შეასრულებს მის მიერ აღებულ სამოკავშირეო ვალდებულებებს.
2. ამერიკის შეერთებული შტატები შეასრულებს ფარის როლს, თუ ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანა დაემუქრება შტატების მოკავშირე სახელმწიფოს, ან მისი

გადარჩენა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

3. არაბირთვული აგრესიის შემთხვევაში თავის დასაცავად საჭირო კონტიგენტის გამოყვანა ევალება უშუალოდ აგრესისს მსხვერპლ სახელმწიფოს (Kessler, Frank;, 1992).

ნიქსონის ადმინისტრაცია დოქტრინას ასევე იყენებდა სპარსეთის ყურის რეგიონში. სამხედრო დახმარება საუდის არაბეთის და ირანისთვის ნიშნავდა პირდაპირ სამხედრო ჩარევას სპარსეთის ყურის და ერაყის ომში და არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში. ეს ეხებოდა აზიის ქვეყნებსაც: სამხრეთ ვიეტნამი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და სხვები, რომლებსაც შესაძლოა საფრთხე ემუქრებოდა კომუნისტური რეჟიმისგან. ნიქსონის დოქტრინა იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. ამერიკის შეერთებული შტატები ხვდებოდა, რომ ვიეტნამის ომის დაწყებისთვის შტატები არაპოპულარულ ქვეყანად იქცა (Nixon, Richard;, 2003).

1970-იანი წლების შუახანებისთვის „ნიქსონის დოქტრინის“ შესაბამისად პენტაგონმა რამდენადმე შეამცირა თავისი სახმელეთო ჯარები და ტაქტიკური ავიაცია, უწინარეს ყოვლისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში, რათა აუცილებლობისას შესაძლებელი ყოფილიყო მოკლე ვადებში მათი სახმელეთო დაჯგუფეფების გაძლიერება, ამერიკულმა სარდლობამ შექმნა „ორმაგი ბაზირების“ შენაერთები.

კოლინზი მომხრე იყო ჩაეთვალა, რომ „ნიქსონის დოქტრინასა“და „რეალისტური დაშინების სტრატეგიის მიღებით“ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო „დიდი სტრატეგიის“ მეოთხე ეტაპი. მისი დახასიათებისთვის ავტორს მოჰყავდა შემდეგი შეფასება, რომელიც გაკეთებული ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ჰარვარდის ცენტრის დირექტორის თანაშემწეს პრეფესორ ჰანტოგტონს: „ამერიკული ძლიერების დასუსტება იქცა საერთაშორისო პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშნად. ჩვენი გლობალური ჰეგემონია ინგრევა. ახალ ვითარებაში ზღვისმიღმა კონფლიქტებში შეერთებული შტატების ჩარევისთვის კრიტერიუმს... წარმოადგენს საკითხი არა იმის შესახებ, თუ ვინ იტანჯება აგრესიისგან, არამედ იმის თაობაზე, თუ ვინ იგებს მისგან.

მთავარი ამოცანა შედგება არა აგრესიის შეკავებაში, არამედ ძალთა წონასწორობის შენარჩუნებაში“ (ხარტიშვილი,2018).

დოქტრინაში იყო საკითხები რომელიც გაურკვეველი რჩებოდა, მაგალითად, როგორი იქნებოდა შტატების პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანა თავს დაესხმებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე სახელმწიფოს ბირთვული იარაღის გამოყენების გარეშე. დოქტრინა უტოვებდა მმართველ წრეებს ლავირების საშუალებას.

ნიქსონის სიტყვებით, მან ჩამოაყალიბა გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭირო კი არა, აუცილებელი იყო ახალი პოლიტიკის დანერგვისთვის მსოფლიოში, ეკონომიკური ძალის და პოლიტიკური გავლენის აღდგენისთვის დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გაუზიაროს მსოფლიოს ლიდერობის ტვირთი, შტატების როლი უფრო თავშეკავებული უნდა გახდეს (Nixon, Richard;, 2003).

თავი III ნიქსონის ვიზიტი ჩინეთში და მისი შედეგები

დიპლომატიური ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის მხოლოდ შესაბამისი ელჩების მეშვეობით ხორციელდებოდა ვარშავაში და ისიც არარეგულარული შეხვედრების დროს.

მაომ 1966 წელს ახალი კამპანია, ,,კულტურული რევოლუცია" წამოიწყო. ამ კამპანიის მიზანი მაოს ძალაუფლების შემდგომი გაძლიერება, კომპარტიასა და საზოგადოებაში ოპონენტების განადგურება იყო. როგორც დიდი კონფუცი ამბობდა, რაც უფრო უვიცია ადამიანი, მით უფრო დაუნდობელია იგი. სწორედ ასეთი აგრესიული უვიცების მრავალრიცხოვანმა რაზმებმა დაიწყეს სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების დარბევა. დაუნდობელმა ტალღამ საზოგადოების ყველაზე მოაზროვნე ნაწილს გადაუარა (ზ. აბაშიძე, გვ71). ამ პერიოდში ჩინეთმა ბევრი ქვეყნიდან გაიწვია თავისი ელჩები. ვაშინგტონი და პეკინი ყოველგვარი დიპლომატიური და პოლიტიკური კონტაქტის გარეშე დარჩნენ.

ამერიკელთა საზოგადოებრივი აზრი მიიჩნევდა, რომ ჩინეთი განუკურნებლად იყო დაავადებული ექსპანსიონიზმით, ფანატიკურად იდეოლოგიზირებული და მსოფლიო რევოლუციის ერთგული იყო. ამერიკა უნდა ჩარეულიყო ინდოჩინეთში რათა გაენადგურებინა კომუნისტური შეთქმულება, რომელსაც ჩინეთი ხელმძღვანელოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაპყრობის მიზნით (H. Kissinger 1994, p439).

უნდა ითქვას ის ფაქტიც, რომ როგორც პრეზიდენტი ნიქსონი, ასევე მისი მრჩეველი ერონული უშიშროების საკითხში ჰ. კისინჯერი რეალისტები იყვნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა საგარეო პოლიტიკა. მათთვის ნაციონალური ინტერესებს პირველი ადგილი ეკავათ საგარეო პოლოტიკის წარმართვაში. 1971 წლის 15 ივლისს ნიქსონმა ნაციონალურ ტელევიზიაში გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც ის იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი, რომელიც შეხვდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ჩინეთში. ქვეყანას, რომელიც იზოლაციონიზმის

პერიოდში იყო ჩარჩენილი 1949 წლის კომუნისტურ რევოლუციამდე (Cohen, Alan;, 2018).

ჩინეთში ვიზიტამდე რ. ნიქსონმა საჯაროდ დაიწუნა მისი პოლიტიკა. მას მიაჩნდა, რომ ჩინეთის პოლიტიკა პასიური იყო. საპრეზიდენტო კანდიდატის რანგში 1967 წელს მან მისცა ინტერვიუ ჟურნალ "Foreign Affairs",- სადაც აღნიშნა, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია დავტოვოთ ჩინეთი მსოფლიო ერების ოჯახს გარეთ" (Cohen, Alan;, 2018). მან წინასწარ განჭვრიტა მომავალი, რომლის მთავარ მსოფლიო ძალას წარმოადგენდა შტატები, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, დასავლეთ ევროპა და იაპონია, რომელიც ყველასათვის იქნებოდა სარისკო, სასარგებლოსთან ერთად. ეს ერები მთელი ძალისხმევით იზრუნებენ რათა შეამცირონ, თავდაცვითი ხარჯები, რითიც თავიდან იქნება აცილებული ძვირადღირებული კონფლიქტები მსოფლიოში.

ნიქსონმა ჩინეთის მიმართ ყურადღება აქტიურად გამოიჩინა 1969 წლის თებერვალში. ის გზავნიდა ფარულ სიგნალებს მესამე ქვეყნების პაკისტანის და რუმინეთის მეშვეობით, მეგობრული ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით.

უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ დიპლომატიური ურთიერთობების წამოწყება მოხდა არა მაღალი რანგის დიპლომატების ვიზიტის შედეგად, არამედ სპორტული ღონისძიებების ჩატარებით, რომელსაც კისინჯერიც ესწრებოდა. მას უნდა გაეკეთებინა თავისი საქმე და სამომავლოდ ჩინეთი უნდა დაეთანხმებინა პრეზიდენტის ვიზიტზე ჩინეთში. სწორედ შტატების სახელმწიფო მდივანმა უილიამ როჯერსმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ გაიზრდებოდა კულტურული და გაცვლითი პროგრამები ჩინეთის რესპუბლიკასთან. დღეს მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია მნიშვნელოვანი საკითხების მსგავსი შეხვედრების დროს გადაწვეტა. ხშირად ის გადაწყვეტილება, რომელიც ასეთი შეხვედრის დროს მიიღება ხოლმე, ხშირად საბოლოოა და ოფიციალურ ვიზიტებზე დასრულებულ სახეს იძენს. ესეც ნიქსონის ადმინისტრაციის ინოვაციური გეგმაა, რომელიც მომგებიანი გამოდგა (Office of the Historian, 2018).

1969 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ჩინეთსა და საბჭოთა კავშირის ჯარებს შორის მოხდა შეტაკება. კისინჯერი ფიქრობდა, რომ ჩინელებს ეშინოდათ საბჭოთა

კავშირის და შესაძლოა ეს შეტაკებები ჩინეთს მიმართულებას შეაცვლევინებდა და ამერიკას დახმარებას თხოვდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს კისინჯერს უმყარებდა ის არგუმენტი, რომ რეალურად ნიქსონი და მისი მრჩეველი წარმართავდნენ გლობალურ პოლიტიკას. ორივე მათგანი ცდილობდა საბჭოთა კავშირის დაშინებას. თუმცა ნიქსონი აღიარებდა, რომ ჩინეთთას დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად მას დათმობებზე წასვლა მოუწევდა.

თავდაპირველად, ყველა სხვა ქვეყნის მსგავსად, შტატებშიც ჩინეთის მიმართ არ იყვნენ კეთილგანწყობილნი. თეთრ სახლში კეთდებოდა ანტიჩინური რიტორიკის შემცველი განცხადებები. მოგვიანებით კი, როდესაც ურთიერთობების მოგვარება დაიწყო, შემცირდა სავიზო და სავაჭრო შეზღუდვები ჩინეთსა და შტატებს შორის. დაიწყო ჯარების შემცირება ვიეტნამში და ჩინეთის მეზობლად. 1970 წლიდან ორ ერს შორის იწყება „ყინულის დნობა“.

თავის გამოსვლაში ნიქსონმა გაამართლა თავისი იმედები ჩამოეყალიბებინა ახალი ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. მან განაცხადა, რომ საჭიროა ახალი ინტერნაციონალიზმის დამყარება მხოფლიოში. მან ასევე ისაუბრა მოლაპარაკებების წამორმებასთან კუმინისტური სამყაროს მიმართ და აღნიშნა, რომ უწვდიდა მეგობრობის ხელს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს (Watergrade info n.d.).

ერთი წლის შემდეგ, 1971 წლის მარტში ურთიერთობები კიდევ გაუარესდა, როდესაც ჩინეთის პრემიერ-მინისტრი ჯოუ ენ ლა ესტუმრა ჰანოის, კომუნისტურ ჩრდიელოეთ ვიეტნამს. შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნებს შორის ურთიერთობა ცვალებადი იყო. ამას, თავის მხრივ, განაპირობებდა ვიეტნამის ჯერ კიდევ დაუსრულებელი ომი და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გამოუცდელობა.

ფაქტრობრივად ურთიერთობა ამერიკელმა მაგიდის ჩოგბურთის მოთამაშეებმა გააუმჯობესეს თავიანთი ვიზიტით ჩინეთში. ამიტომ, როდესაც საუბრობენ ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებზე, მეორენაირად მას ეძახიან მაგიდის ჩოგბურთის დიპლომატიას. ამერიკელები მოხარულნი იყვნენ მსგავსი დიპლომატიით. ეს გააუმჯობესებდა ნიქსონის შანსს გაეზარდა წინასაარჩევნო შანსები ჩინეთთან

ურთიერთობის ხარჯზე. მეორე მხრივ, კომუნისტურ ჩინეთთან თბილი ურთიერთობების დამყარება დაეხმარებოდა, დაერწმუნებინა საბჭოელები მეგობრული ურთიერთობების შესაძლებლობაში, რადგან ნიქსონი არანაკლებ აქტიურად იყო დაკავებული საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებებითა და ვიზიტებით. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირი ავითარებდა ბირთვულ იარაღს. ცდილობდა ბირთვული უპირატესობის მოპოვებას. ნიქსონი საბჭოთა კავშირს სთავაზობდა ალტერნატივას, რომ ორ ერს ურთიერთობა მოეგვარებინა სტრატეგიული აპარატებით. კისინჯერი ამ მოლაპარაკებებში გაჭირვებით მიიწევდა წინ, მცირე წარმატებებით. სამაგიეროდ ჩინეთთან ურთიერთობა თბებოდა.

ნიქსონი იმედოვნებდა, რომ მოახერხებდა ცივი ომის დაძაბულობის განმუხტვას. ის ცდილობდა გამოეყენებინა პეკინი, როგორც ზეწოლის ბერკეტი ჩრდილოეთ ვიეტნამში. ის მოქმედებდა ჩინეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი ჩინეთის წინააღმდეგ და ორივე მათგანი ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ (Koma, Matthew;, 1970).

მისი კიდევ ერთი განცხადება, არჩევნის შემდეგ საგარეო ურთიერთობების შესახებ ჩინეთის მიმართ ასეთი იყო, რომ „არ არის ადგილი ამ პატარა პლანეტაზე იმისთვის, რომ ადამიანებმა იცხვრონ იზოლაციაში“ (Office of the Historian, 2018).

ეს გარღვევა დაწყებული იყო 1971 წლის გაზაფხულიდან, როდესაც მაო ძედუნმა დაპატიჟა ამერიკელი მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი გამოფენის გახსნაზე. ამ პერიოდში ჩნდება ახალი პოლიტიკური მეტაფორა “მხოლოდ ნიქსონს შუძლია ჩინეთში წასვლა“. ამ უპრეცენდენტო შემთხვევამ ამერიკაში სენსაცია გამოიწვია(Kissinger, Henry, 1994).

1971 წლიდან დაიწყო ორმხრივი ურთიერთობების დათბობის პოლიტიკა, რასაც შემდგომში ჩინეთ-ამერიკას შორის დიპლომატიური „პინ-პონგი“ ეწოდა. იმავე წლის ივლისსა და ოქტომბერში ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ორჯერ ეწვია ოფიციალური ვიზიტით ჩინეთს .კისინჯერის მიზანი იყო მოეწყო ჩინეთში პრეზიდენტ ნიქსონის ვიზიტი. მან შესთავაზა მაო ძედუნს ეცადა ვაშინგტონთან ურთიერთობების დაწყება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის

საფუძველზე. სწორედ ჰენრი კისინჯერი ითვლება პეკინსა და ვაშინგტონს შორის კონტაქტების აღდგენის მთავარ ინიციატორად და საფუძველი ჩაუყარა ნიქსონის მომავალ ვიზიტს ჩინეთში. ის ვაშინგტონში 15 ივლისს ტრიუმფით დაბრუნდა. ნიქსონმა ამერიკელებს შეატყობინა, რომ ეწვეოდა ჩინეთს მომავალ წელს. 1972 წელს წარმატებით შედგა ნიქსონის ისტორიული ვიზიტი ჩინეთში. ეს იყო პირველი ვიზიტი ამერიკის პრეზიდენტისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (Hughes, Ken, 2018).

1972 წლის თებერვალში ნიქსონი და კისინჯერი გაფრინდნენ პეკინში.ამ დროისთვის პრიორიტეტი იყო კომუნისტური სახელმწიფოს პოლიტიკის კონტროლი.მიუხედავად ამ სიმძიმის და ანტიდასავლური ორიენტაციისა, რომელიც შეხვედრას თან სდევდა. ჩინეთი მაინც მიესალმებოდა ურთიერთობის დაწყებას შტატებთან მოკავშირის საბჭოთა კაბშირის წინააღმდეგ, რომელიც მას უკვე აღარ ენდობოდა.

ნიქსონის ჩინეთში მოგზაურობამ დიდი წარმატება მოუტანა, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს ასევე ჩინეთს (Alpern, Barbara;, 1969).

სიმბოლური იყო მაო ძედუნისა და ნიქსონის შეხვედრა. მაო ძედუნი იყო მილიარდი ჩინელის პოლიტიკური ლიდერი. ეს შეხვედრა ოფიცილიაური პროტოკოლით უნდა გაგრძელებულიყო მხოლოდ 10 წუთით, მაგრამ ერთ საათზე მეტ ხანს გაგრელდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მაო ძედუნს ჰქონდა ბრონხიტი და უჭირდა საუბარი. ეს შეხდვედრა თითქოს ძალიან ცივ გარემოში უნდა განვითარებულიყო, იმდენად, რამდენადაც გარემო პირობებით, რადგან ეს იყო ორი დაპირისპირებული სამყარო, რომელსაც ორი ათეული წელიწადი ჰქონდათ მტრული დამოკიდებულება, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ისინი კამერის წინ საუბრობდნენ მშვიდად და მეგობრულ გარემოში ინგლისურ ენაზე. ეს გავდა „ორი ძველი მეგობრის გაერთიანებას“ (Richard Nixon and his America, 1989).

შეხვედრის განმავლობაში გადახედილ იქნა ამერიკულ-ჩინური ურთიერთობებიც. ტაივანის მეტად მგრძნობიარე საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი წავიდა დიდ დათმობაზე, რათა დაედასტურებინა ჩინეთის მოთხოვნა კუნძულის შესახებ. შანხაის კომუნიკეს თანახმად შეხვედრის ბოლუს, ნიქსონმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა აღიარა, რომ ჩინეთის სახელმწიფოს მოთხოვნა

იმის შესახებ, რომ ტაივანი იყოს ჩინეთის ნაწილი და შეერთებულმა შტატებმა ასევე აღიარა პეკინის მთავრობა, როგორც ჩინეთის სუვერენული ძალაუფლება. ორივე მხარემ დადო პირობა, რომ იმუშავებდნენ "მშვიდობის სიმტკიცეზე" ტაივანის დავის ფარგლებში (Matthews, Chris, 1997).

1972 წლის 21 თებერვალს პეკინში ჩასული ნიქსონი აცხადებს: „ჩვენ გაგვაერთიანა მსოფლიოში ახალი ვითარების შექმნის ფაქტის გაცნობიერებამ, ჩვენს მიერ იმის გაცნობიერებამ, რომ მნიშვნელოვანია არა ქვეყნის შიდა პოლიტიკური ფილოსოფია, არამედ პოლიტიკა დანარჩენი მსოფლიოს მიმართ." ამ პერიოდში ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხემ გააერთიანა (პანტელეევა, ლანა, 2018). ნიქსონის ვიზიტის მიზეზი ჩინეთში იყო ჩინურ-ამერიკული ურთიერთობების გახსნა და გაუმჯობესება. ეს ისტორიული ვიზიტი უფრო მეტად იყო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის გამო ვიდრე, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამო. მრავალი წლის განმავლობაში ჩინეთის სახალხრო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობები უარესდებოდ, მაოს მთავრობის საერთაშორისო იზოლაციის გამო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დამოკიდებული იყო შეერთებული შტატების ექსპორტზე. მაო იყენებდა ამ ურთიერთობას სხვადასხვა მიზნებისთვის, რომელიც მოიცავდა ინდუსტრიის აშენებას საომარი პოტენციალისთვის. ეს ხელშეკრულებები მიღწეული იყო პირდაპირი კომუნიკაციით სტალინთან ან კომუნისტური საბჭოს მმართველთან. მაო ან ჯოუ ენ-ლაი იყვნენ კომუნისტური ჩინეთის მთავარი დიპლომატები წლების მანძილზე. გამოიყოფა ორი თემა, რომელიც ილუსტრირებას უკეთებს ჩინურ-ამერიკულ ურთიერთობებს:

1)პირველი არის, მსოფლიო მოვლენები, რომელიც შემოფარგლული იყო ნიქსონის ვიზიტით ჩინეთში და, ასევე ჩინურ ამერიკულ ურთიერთობების გაუარესება.

2)მეორე, ჯოუს შეხვედრა ნიქსონთან, რომელიც შედგა 1972 წლის 22 თებერვალს (Walker, David;, 2007).

ნიქსონის დამოკიდებულება ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ იყო მოწონებული ფრანგი და დასავლეთ გერმანიის ლიდერების მიერ. ისინიც ამტკიცებდნენ, რომ არ შეიძლებოდა კომუნისტური ჩინეთის იგნორირება. ამ

ურთიერთობამ საფუძველი მისცა, ვაშინგტონისა და ვიეტნამის შემდგომ დარეგულირებას. ნიქსონი ასევე შეეცადა, მოსკოვსა და პეკინს შორის ურთიერთობის გაფუჭების სიღრმის ახსნასაც (Richard Nixon and his America, 1989).

სამი თვის შემდეგ, 1972 წლის მაისში ნიქსონი კვლავ იმყოფებოდა ჩინეთში ვიზიტით. მას კვლავ ჰქონდა შესაძლებლობა ეწარმოებინა მოლაპარაკებები. იქ ასევე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლიდერი ლეონინ ბრეჟნევი. ბრეჟნევი მიუახლოვდა ნიქსონს და დაუწყო საუბარი ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ. მაგრამ შეერთებული შტატების ლიდერისთვის მისი ნამდვილი მიზეზების შესახებ უკვე ცნობილი იყო. ბრეჟნევი გამოთქვამდა შეშფოთებას, რომ ჩინეთთან ახალი ურთიერთობების შემთხვევაში საბჭოთა კავშირი დარჩებოდა ამ ურთიერთობის გარეთ. ნიქსონი პრესასთან ოსტატურად თამაშობდა ჩინეთის ბანქოთი მიღწეული შედეგებით. ნიქსონი საბჭოთა კავშირთან დაძაბულობის შენელების და რაკეტ საწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შეზღუდვის შეთანხმების ინიციატორი იყო. მან ასევე წარმატებით განახორციელა მოლაპარაკება ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ, ვაჭრობის ბალანსით. ასევე იგი რუზველტის შემდეგ პირველი პრეზიდენტი იყო, ვინც საბჭოთა კავშირს ეწვია. გარდა ამისა მან შეძლო გაენეიტრალებინა კატასტროფული დაპირისპირება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მან შეძლო მიეღწია „რელაქსაციისთვის“ დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ეს პოლიტიკა ცდილობდა დაემყარებინა წესები, დაერეგულირებინა ურთიერთობები შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის (Office of the historian, 2018). ასევე ძალიან საინტერესოა, ჩინეთის პრემიერის, ჯოუ ენ-ლას წერილი, რომელიც მან 1972 წელს მიწერა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. ამ წერილის შინაარსი ასეთია:

„ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ვაფასებთ თქვენ სურვილს ჩვენს ქვეყნბს შორის ურთიერთობის გაუმჯობეებასთან დაკავშირებით. ჩინური მხარე მიიჩნევს, რომ ეს უნდა მოხდეს ეტაპობრივად, შანხაის კომუნიკეს შესაბამისად. ეს მხოლოდ ჩინელი ხალხის ინტერესი არაა. ეს ხელს შეუწყობს დაძაბულობის განმუხტვას აზიასა და დანარჩენ მსოფლიოში, მაგრამ ეს მოხდება ვიეტნამის ომის დამთავრების შემდეგ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველას ინტერესია ვიეტნამის ომს ჰქონდეს სწრაფი დასასრული და ამით შეამცირონ დიდი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ურთიერთობის

კონსტრუქციულ მოგვარებას. ვიეტნამის ომის მოგვარების შემდეგ დაიგეგმება კისინჯერის ვიზიტი პეკინში და მაშინ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე ამომწურავი პასუხი იქნება" (www.history.com, 2018).

საპასუხო წერილში ნიქსონი აღნიშნავდა, რომ „სავაჭრო ურთიერთობების განვითარება ამ ქვეყნებს შორს მნიშვნელოვანია. ეს მეტ თანამშრომლობას და ურთიერთგაგებას გამოიწვევს ორ ერს შორის და შედეგებსაც მოუტანს. განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ მოკავშირე ოფისები შეიქმნება დედაქალაქებში. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ორმხრივ პროგრამებს, არამედ ექნება მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა" (Walker, David; 2007).

როგორც, ამ წერილიდან ირკვევა, ჩინეთისთვის ვიეტნამის საკითხი იყო შემაფერხებელი შტატებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების ეტაპზე. თუმცა, ნიქსონს მანამდეც გადაწყვეყლი ჰქოდა ვიეტნამიდან ჯარების გაყვანა, მაგრამ ეს დროის საკითხი იყო. ეს გაყვანა უნდა დამსგავსებოდა ომიდან ღირსეულად წასვლას და არა კაპიტულაციას. აღმოჩნდა, რომ ნიქსონმა ვრცელი შესაძლებლობები დაინახა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ჩინურ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტაში. მას სჯეროდა, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის დატოვებით ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებდა უსაფრთხოდ გასულიყო ვიეტნამიდან. ჩინეთს და საბჭოთა კავშირს, რომ ეთანამშრომლა, როგორც ნიქსონმა თქვა, საჭირო იყო რომ მათ არ სცოდნოდათ შეერთებული შტატების რეალური განზრახვის შესახებ (Emborse & Brinkley, 1971).

ჯერ კიდევ 1968 წელს, რიჩარდ ნიქსონმა ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში ვიეტნამის ომის სწრაფად დამთავრების ლოზუნგით გაიმარჯვა: „ მე სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენ შევლებთ ღირსეულად ომის დასრულებას ვიეტნამში".

თუმცა მოვლენები სხვანაირად განვითარდა. 1969 წელს ამერიკელმა ბომბდამშენებმა დამბომბეს კამბოჯას საზღვართან ჩრდილოეთ ვიეტნამის სამხედრო ბაზები, საპასუხოდ კი ჩრდილოეთ ვიეტნამელები კამბოჯაში შეირჭრნენ. 1972 წლის მარტში ჩრდილოეთ ვიეტნამმა დაიწყო სრულმასშტაბიანი შეტევა მე-17 პარალელის გასწვრივ. ამერიკელებმა უპასუხეს ჰანოის დაბომბვით. 1973 წლის 27 იანვარს პარიზში ხელი

მოეწერა შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტის და მშვიდობის აღდგენის შესახებ (Office of the Historian, 2018).

1972 წელს დაიწყო ურთიერთობების ახალი ერა, ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით. დაიწყო ხანგრძლივი ურთიერთობების მოწესრიგება კომუნისტურ სამყაროსთან. 1970-იანი წლების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგა თავისი ინტერესები, რის საფუძველზეც პარიზის სამშვიდობო გადაწყვეტილებით 1973 წელს გამოიყვანა ჯარები ვიეტნამიდან, მაგრამ ამას მოჰყვა ყველანაირი დახმარების შეწყვეტა სამხრეთ ვიეტნამში. ჩამორთმეულ სამხედრო წყაროებს კი სჭირდებოდათ გადარჩენა. ამიტომ 1975 წელს სამხრეთ ვიეტნამი დაუპირისპირდა ჩრდილოეთ ვიეტნამს. მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ეს არ იყო სამხედრო მარცხი, ეს იყო ყველაზე გამანადგურებელი მარცხი ამერიკის სულისთვის (Kessler, Frank;, 1992).

მიუხედავად ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინსვლისა, ბუნებრივია ორ ქვეყანას შორის მთელ რიგ საკითხებში არსებობდა უთანხმოებები. პირველ რიგში იდეოლოგიური, ასევე ტაივანის საკითხში, ორმხრივი ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროებში (Kirby, William C., 2012).

ჩინეთისთვის ტაივანის საკითხი იყო ყველაზე მწვავე ორი ქვეყნის ურთიერთობების დროს, ეს იყო, დრო როდესაც ნიქსონს უნდა დაეწყო ცივი ომის უჩვეულოდ ახლებურ სტილში გადახრა. მას უნდა გამოეყენებინა საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ყველა შესაძლო ხერხი, რომ შეეღო კომუნისტური ჩინეთის კარი. მისი სიტყვებით, „ჩინეთი არის მსოფლიოს წევრი და ის უნდა დაუბრუნდეს უკან განვითარებულ ერებს“ (Matthews, Chris, 1997, p.257).

თავის მხრივ ტაივანი შტატების მხრიდან დიდი სიმპატიით სარგებლობდა, ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ეს საკითხი ადვილი მოსაგვარებელი ნამდვილად არ იყო. როგორც კისინჯერის ჩანაწერებიდან ირკვევა, ჩინეთი ვარშავაში საუბრობდა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გაეგზავნა წარმომადგენელი პეკინში ურთიერთობის საკითხის განსახილველად და რომ, ისინი მზად არიან მიიღონ წარმომადგენელი, ჩინეთი შეშფოთებულია ტაივანის საკითხით.

თუ ეს საკითხი მოგვარდებოდა, როგორც კისინჯერი აღნიშნავდა, მაშინ შესაძებელი გახდებოდა გადაწყვეტილიყო სხვა საკითხებიც. მათ ასევე შემუშავებული ჰქონდათ რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, ტაივანი მოითხოვდა არ ყოფილიყო ორი ჩინეთი: ან ყოფილიყო ერთი ჩინეთი და ერთი ტაივანი (Kissinger, Henry, 1994).

ომის დასრულება ვიეტნამთან იმაზე რთული აღმოჩნდა ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა, რომელმაც საბოლოო ჯამში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და დაიწყო საპროტესტო გამოსვლები სამხრეთ აღმოსავლეთ აზიიდან ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანაზე. 1969 წლის 3 ნოემბერს ნიქსონმა ტელევიზიით მიმართა ამერიკის მოსახლეობას (თან ამ მიმართვით ცდილობდა რეიტინგის ამაღლებასაც) და მოუწოდა მხარი დაეჭირათ მთავრობის გადაწყვეტილებისთვის მოეძებნა ვიეტნამთან პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის გზები. ამავე წელს ნიქსონმა და მისმა თავდაცვის მინისტრმა მელვინ ლერდმა გაიარეს „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკა, რასაც მოჰყვა ჯარების ნელ-ნელა გამოყვანა ვიეტნამის ტერიტორიიდან. 1969 წლის აპრილის თვისთვის ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა ვიეტნამის ტერიტორიზე თუ 543000 იყო 1973 წლის 29 მარტამდე მათი რაოდენობა განულდა. თუმცა ნიქსონის მთავრობა კიდევ ერთხელ მოხვდა კრიტიკის ქარცეცხლში, რადგან ამერიკულმა სამხედრო სამსახურმა ბოლო წლებში პირველად გამოიყენა დაბომბვის სისტემა კამბოჯაში. ამ ვითარებამ დაჩრდილა ნიქსონის სხვა სერიოზული ინიციატივები, ისეთები როგორიც იყო: პარიზის სამშვიდობო შეთანხმება, რომელსაც მოჰყვა ამერიკის მონაწილეობის შეწყვეტა ვიეტნამის ომში 1973 წელს (Steven, Phillips E., 2018).

წინა თავებში კარგად გამოჩნდა ის პრობლემური საკითხები, რომელიც უშლიდა ორი ქვეყნის მეგობრობას. სანამ უშუალოდ გადავალთ იმ შედეგებზე, რომელიც მოჰყვა ნიქსონის ფრთხილ და ზომიერ პოლიტიკას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან,კიდევ უნდა გავიხსენოთ ის ქრონოლოგია, რომელმაც ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზებაში. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ნიქსონის პრეზიდენტობის პირველი ვადის დასაწყისში, ყოფილმა ელჩების ჯგუფმა, რომელიც პეკინთან კონტაქტების ძებნით იყო დაკავებული, გამოთქვა მოსაზრება, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები ისეთი პარანოიით ცდილობენ

კომუნისტურ ჩინეთთან გავშირის გაბმას, რომ ამერიკა ჩინეთის დაახლოების ნებისმიერი მცდელობა გამოიწვევდა კონფრონტაციას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ნიქსონის ადმინისტრაცია არ იზიარებდა მსგავს შეხედულებებს. საერთაშორისო ურთიერთობებში ისეთი უზარმაზარი ქვეყნის გამორიცხვა, როგორიც ჩინეთი ნიშნავდა, რომ ამერიკა საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებდა ცალხელაკრული (Kissinger, Henry, 1994).

1968 წელს ერთ-ერთ ჟურნალისადმი მიცემულ ინტერვიუში ნიქსონმა განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ჩინეთი , აუცილებელია მუდამ ვეძებოთ მასთან დიალოგის შესაძლებლობები ისევე, როგორც საბჭოთა კავშირთან. ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ ცვლილებებს, ჩვენი ამოცანაა განვახორციელოთ ეს ცვლილებები“ (Kissinger, Henry, 1994, p.446).

ჩინეთთან საერთაშორისო საზოგადოებასთან მიერთების სტიმულს წარმოადგენდა არა დიალოგის პერსპექტივა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ საბჭოთა კავშირისადმი შიში. საბჭოთა კავშირის მოუქნელმა პოლიტიკამ დააჩქარა ის, რასაც კრემლს ყველაზე მეტად ეშინოდა. 1969 წელს მოხდა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის ჯარებს შორის შეტაკება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვართან მოშორებულ უბანზე ციმბირი მდ. უსურის გასწვრივ. საბჭოთა კავშირმა გააკეთა განცხადება, რომ ჩინეთის შეიარაღებულმა ჯარებმა დაარღვია საზღვარი და შეიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის მიერ საკითხის დამუშავებამ აჩვენა, რომ შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ჩინეთის კომუნიკაციებიდან საკმაოდ შორს და ახლოს საბჭოთა სამხედრო ბაზებთან. ეს სქემა მოწმობდა იმას, რომ აღნიშნული შეტაკებები საბჭოთა ჯარების მიერ უპრეცენდენტო რაოდენობა განალაგა, რომელთა რაოდენობამ 40 დივიზია შეადგინა. ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი ჩინეთზე თავდასასხმელად ემზადებოდა (Kirby, William C., 2012).

1969 წლის ივლისში შტატებმა განახორციელა ცალმხრივი ზომები ჩინეთთან ურთიერთობაში ცვლილოებების შესატანად. კერძოდ: შეერთებულმა შტატებმა გახსნა საზღვარი ანუ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს არავითარი შეზღუდვა აღარ ექნებოდათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამგზავრებაზე.

1969 წლის აგვისტოში სახელმწიფო მდივანმა უილიამ რეჯორსმა ავსტრალიაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებში მიესალმებიან თუ კომუნისტური ჩინეთი საჭირო და არსებით როლს ითამაშებს აზიისა და წყნარი ოკეანის საქმეებში, თუ ჩინეთის ხელმძღვანელობა უარს იტყვის სამყაროს ინტროსპექტულ ხედვაზე, მაშინ ამერიკა გახსნის კავშირის არხებს.

ამავე წელს, 1969 წლის ზაფხულში შტატებმა გააფრთხილა საბჭოთა კავშირი, რომ: „შტატები არ გადგება გვერდზე, თუ ის თავს დაესხმება ჩინეთს მიუხედავად შტატებს და ჩინეთს შორის არსებული ურთიერთობისა“ (Kissinger, Henry, 1994, p448).

რა თქმა უნდა შტატები ასეც მოიქცეოდა, რადგან მას თავისი მიზნები ამოძრავებდა აზიაში. კერძოდ კი, თუ ის დაკარგავდა ჩინეთს, მაშინ ის დაკარგავდა ჰეგემონობას მსოფლიოზე. საბჭოთა კავშირი და კომუნიზმი გავრცელდებოდა ყველგან. ამის საფრთხე დიდი ხნის წინ არსებობდა და ეს ამას დააჩქარებდა. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატებს ძალიან ფრთხილი და გონივრული დიპლომატიის წყალობით უნდა მოეხერხებინა ის, რომ დაერწმუნებინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მათთან თანამშრომლობისთვის, თან უნდა ემოქმედა ისე რომ არ გაენაწყენებინა საბჭოთა კავშირი, რათა არ გაემძაფრებინა ისედაც მწვავე სიტუაცია, რომელიც გამოწვეული იყო ცივი ომით.

საბჭოთა კავშირის მხრიდან ჩინეთის საზღვრებთან სამხედრო ძალების ზრდასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ნიქსონმა დიდი შეშფოთება გამოთქვა 1969 წლის 5 სექტემბრის განცხადებაში.

1970 წელს , როდესაც პრეზიდენმა ნიქსონმა გააკეთა მოხსენება საგარეო პოლიტიკის შესახებ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის ჩინეთთან მოლაპარაკებაზე და იგი არ გაერთიანდება საბჭოთა კავშირთან ჩინეთის წინააღმდეგ. თავის მხრივ, ჩინეთმა, იმის საჩვენებლად, რომ არ აპირებდა არც ერთ სახელმწიფოზე თავდასხმას, ლიონ ბიოს სახით გაიმეორა 1965 წლის მაო ძედუნის განცხადება: „ჩინეთს არ გააჩნია შეიარაღებული ძალები საზღვარგარეთ და მას არ აქვს განზრახვა ეომოს ვინმეს, თუ მის ტერიტორიაზე თავდასხმა არ მოხდება“(Kissinger, Henry, 1994, p.451).

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები არ იშურება ჩინეთის მიმართ კეთილგანწყობილ და მეგობრულ განცხადებებს, ჩინეთმა 1970 წლის მაისში შეწყვიტა მოლაპარაკებების წარმოება ამერიკის ჯარების მიერ, კამბოჯას ბანაკზე თავდასხმის პროტესტის ნიშნად.

1971 წლის ივლისში პეკინში საიდუმლო ვიზიტით გაემგზავრა პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის თანაშემწე, ჰენრი კისინჯერი, რათა შეემზადებინა წინაპირობა ამერიკა-ჩინეთის შემდგომი ურთიერთობისთვის, რომ ამერიკა ითანამშრომლებდა კრემლთან „ბრეჟნევის დოქტრინის რეალიზაციის საკითხში. ამერიკელებს სურდათ სცოდნოდათ, თუ რა ხარისხით შეეძლო ჩინეთს ეთანამშრომლა შტატებთან საბჭოთა გეოპოლიტიკური საფრთხის წინააღმდეგ. იცვლებოდა ის წესები, როდესაც ჩინურ - ამერიკული მოლაპარაკებები კონცენტრირებული იყო ფუნდამენტალური მიდგომების დაპირისპირებაზე. საიდუმლო ვიზიტის დროს შედგა შანხაის კომუნიკეს პროექტი.

1972 წელს, როდესაც ნიქსონი პირველად ესტუმრა ჩინეთის სახალხო რესპუბიკას ხელი მოაწერა შანხაის კომუნიკეს, რომელიც იქცა გზამკვლევად ჩინურ-ამერიკული ურთიერთობებისთვის, შემდგომი ათწლეულების მანძილზე.

კომუნიკეში დასტურდება რომ:

1. პროგრესი ჩინეთსა და შტატებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების მიმართულებით ემსახურება ყველა ქვეყნის ინტერესებს.
2. ორივე მხარის სურვილია შემცირდეს საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტის საშიშროება.
3. არც ერთი მხარე არ აცხადებს პრეტენზიას ჰეგემონიაზე. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და ორივე წინ აღუდგება ნებისმიერი სხვა ქვეყნის ანდა ქვეყნების ჯგუფის ძალისხმევას დაამყაროს მსგავსი ჰეგემონია.
4. არც ერთი მხარე არ აპირებს მოლაპარაკების წარმოებას ნებისმიერი მესამე ქვეყნის სახელით ან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იქნება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ (Steven, Phillips E., 2018).

თუ დიპლომატიურ ტერმინოლოგიას მოვაშორებთ, კომუნიკეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ჩინეთი არ გაამწვავებს ვითარებას ინდოჩინეთსა და კორეაში, ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები არ ითანამაშრომლებენ საბჭოთა ბლოკთან, წინ აღუდგებიან ნებისმიერი ქვეყნის მცდელობას აზიაში გაბატონებაზე. რამდენადაც ერთადერთი ქვაყანა, რომელიც ამის უნარი შესწევდა, საბჭოთა კავშირი იყო.

1973 წელს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ჩინეთმა და შტატებმა მოილაპარაკეს ერთობლივად წინ აღდგომოდნენ ნებისმიერი ქვეყნის მიერ მსოფლიო ბატონობის დამყარების მცდელობას.

ნიქსონს ჰქონდა ორი შეხვედრა ბრეჟნევთან, რომელიც უმაღლეს დონეზე აწარმოა. პირველი შეხვედრა მოხდა მოსკოვში 1972 წელს, შემდეგ 1972 წლის ივნისში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ვაშინგტონში, ხოლო 1974 წლის ივნისსა და ივლისში მოსკოვში, სადაც მიღებულ იქნა შეთანხმება საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისთვის ახლო აღმოსავლეთში. (The President 1968 Campaign, First Term)

უშედეგო გამოდგა საბჭოთა კავშირის მცდელობა დაერწმუნებინა შტატები გაეუქმებინა ხელშეკრულება ჩინეთთან და თვითონ გამხდარიყვნენ მოკავშირეები, რადგან საბჭოთა კავშირს შეეძლო მეტი სარგებელი მოეტანა შტატებისთვის, ვიდრე ჩინეთს. აღსანიშნია კისინჯერის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ, ის ყოველთვის ათვალწუნებით უყურებდა ამ ქვეყანას და არ მალავდა თავის რუსუფობიას. მოგვიანებით მას იგი აღიარედა შემდგენაირად: „მე მირჩევნია რუსეთში ქაოსი და სამოქალაქო ომი მისი ხალხების ერთიან, ძლიერ, ცენტრალიზებული სახემლწიფოს გაერთიანების ტენდენციას“ (მენთეშაშვილი, 2005, გვ544).

ნიქსონს უნდოდა, რომ შეექმნა ისტორია და შეიძლება ითქვას, რომ მას ეს მცდელობა წარმატებით გამოუვიდა. ის იყო ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 37-ე, მაგრამ ამავდროულად პირველი პრეზიდენტი, რომელიც ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და შეძლო დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა მათთან. ასევე იგი ეწვია საბჭოთა კავშირს და აწარმოებდა მოლაპარაკებებეს ბრეჟნევთან. ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ის ერთადერთი პრეზიდენტია, რომელმაც ვადაზე ადრე დატოვა პოსტი (უოტერგეიტის სკანდალის გამო).

ნიქსონს მტკიცედ სჯეროდა, რომ ვერც ერთი ამერიკელი პოლიტიკოსი ვერ წავიდოდა მის წინააღმდეგ და ვერ გადაეკვეთებოდა მას. ახალი პოლიტიკის გამდებაობა და დრამა, რომელიც ძირითადად მიმართული იყო ჩინეთისკენ, ტელევიზიაში მუდმივად შუქდებოდა. ნიქსონი კი ამ ყველაფრის ცენტრში იყო. ეს ყველაფერი კი დაეხმარა მას მიეღო მილიონობით ხმა მეორე ვადით არჩევნებში და გამარჯვებაში. უბრალოდ ხელის ჩამორთმევა ჯოუსთან ან თუნდაც მაოსთან საუბარმა გაზარდა ის კარიერულად და მისცა შანსი გამარჯვებისთვის (Emborse & Brinkley, 1971).

საინტერესოა თვითონ ამერიკელების ჩანაწერები, თუ როგორ აფასებენ ისინი ნიქსონის ჩინეთში ვიზიტს 40 წლის შემდეგ. წერილის ავტორია უილიამ კირბი, ჰარვარდის უნივერსიტეტი:

40 წლის წინ პრეზიდენტი ნიქსონი ეწვია ჩინეთს. მსოფლიოს საერთაშორისო პოლიტიკაში რამდენიმე მოვლენა იმსახურებს ტერმინს „დიპლომატიური რევოლუცია“, და ეს იყო ერთ-ერთი მათგანი. პირველი 1956 წლის დიპლომატიური რევოლუცია იყო, როდესაც პრუსია-ბრიტანეთის ურთიერთობების განახლებამ გადაალაგა ევროპული ალიანსების სამყარო. არსებობდა 1939 წლის ჰიტლერ-სტალინის პაქტი, რომელმაც იწინასწარმეტყველა პოლონეთის დაყოფა და გერმანიას მისცა დასავლეთში შეტევების განხორციელების თავისუფლება. და იყო „ნიქსონი ჩინეთში“ - დიდი დრამისა და მრავალი მითის ვიზიტი. წმინდა ძალაუფლების პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს ანტისაბჭოთა ანტანტა მიესალმა ორივეს, ვაშინგტონის და პეკინის ბერკეტების გამოყენებას, მათი საერთო მოწინააღმდეგის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც ჩინეთ-ამერიკის 1942-45 წლების ალიანსში , ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები განისაზღვრა თითქმის ექსკლუზიურად იმ თვალსაზრისით, თუ რას ეწინააღმდეგენოდნენ ისინი: საერთო მტერს. და ისევე, როგორც 1940 წელს, როცა ჩინერ-ამერიკული ურთიერთობები შეირყა იაპონიის დამარცხების დროს, საბჭოთა კავშირის დაშლა 1991 წლის შედეგ აშშ-ჩინეთის ურთიერთობები მისი თავდაპირველი გეოპოლიტიკური ბალასტიდან ბევრ რამეს აიღებს.

მაგრამ როგორი იყო ჩინურ-ემერიკული ურთიერთობები პრეზიდენტ ნიქსონის ვიზიტის დროს და შემდეგ? მე ყოველთვის ვსვამ ამ შეკითხვას, როცა ჩემს სტუდენტებს

ვთხოვ განსაზღვრონ 1972 წლის 21 თებერვლის ნიქსონის და მაო ძედუნის შეხვედრის წუთები. ისინი, როგორც წესი, სდუმან, მე ვეკითხები მათ, რა თქვეს ნიქსონმა და მაომ ვაჭრობის შესახებ. აქაც ისინი ჩუმად არიან, და ისინი არ არიან მტყუანნი, რადგან სიტყვა „ვაჭრობა“ მხოლოდ ერთხელ ახსენა მაომ, იმ სხვა „პატარა საკითხებს“ შორის, რომელიც არ გადადებას არ საჭიროებდა.

მოკლედ იყო ხედვა, მსოფლიოსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ოთხი ათეული წლის შემდეგ. ჩინეთის ექსტრაორდინალური ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეფუძნება მის ხელახლა შესვლა ვაჭრობის გლობალურ სისტემაში, ის გახადა ისეთი, როგორიც ნამდვილად არ იყო 1972 წელს: პირველი ხარისხის ძალად. საზღვარგარეთ ჩინეთის კულტურული არსებობა უცხოეთში არ მოდის მსოფლიოში მესამე სამყაროს რევოლუციონერების მხარდაჭერიდან, არამედ ასობით „კონფუცის ინსტიტუტებიდან“. შეერთებული შტატები და ჩინეთი ახლა არიან ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულნი და ინტერ-კულტურულად დაკავშირებულნი, ისე, როგორც არასდროს. ეს შედეგები აუციელბლად შეაშფოთებდა მაო ძედუნს და გააკვირვებდა რიჩარდ ნიქსონს. და, ალბათ, ვერც ერთი ვერ წარმოიდგენდა, რომ ცვლილებები რომელსაც თან ერთვებოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის (CCP) მმართველობის გაგრელება.

ალბათ, სწორედ ნიქსონმა გააკეთა ყველაფერი, რომ დახმარებოდა კომუნისტური მმართველობის გადარჩენას ჩინეთში.

იმ ჩინეთში, რომელშიც ნიქსონი ჩაფრინდა 1972 წლის თებერვალში, აშკარად გადაურჩა CCP-ის ოცდასამწლიან მმართველობას. ეკონომიკის ხარისში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ისტორიულად რეზონანსული და საერთაშორისოდ დაკავშირებული ეკონომიკური სექტორის განადგურებას ხელმძღვანელობდა. მან მოკლა, გააძევა, ანდა გაანადგურა ჩინეთის სამეწარმეო და ტექნიკური ტალანტი. სოფლის მეურნეობა, ეკონომიკის საფუძველი, ნანგრევებად იყო ქცეული. მაო ძედუნის მოფიქრებული „დიდი ნახტომის“ პოლიტიკამ მიიყვანა ქვეყანა პოლიტიკურ შიმშილობამდე, რომელიშიც (ახლა უკვე ვიცით) დაიღუპა 50 მილიონი ჩინელი. მაშინ,

როცა დანარჩენი აღმოსავლეთ აზია აყვავდა ომის შემდგომ პერიოდში, ჩინეთი შედარებით ინერტული იყო, და უკან ჩამორჩა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცდილება საგარეო საქმეებშიც არ იყო უკეთესი. 1945 წელს, ნაციონალისტური ჩინეთი დაბალანსებული იყო, რომ გამხდარიყო წამყვანი ძალა აზიაში და (გაეროს შეთანხმებით) ერთ-ერთი უდიდესი ძალა მსოფლიოში. ეს არ მოხდა, და ჩინეთის ძალაუფლება დიდწილად შეიცვალა - თითქმის შეიძლება ითქვას, იზოლირებული იყო - რადგანაც ჩინეთი ჩამოშორდა ორივე გლობალურ ერთობას: პირველი - დასავლეთს და მერე, ათი წლის შემდეგ, თავის საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპელ მოკავშირეებს. გვიან 1960-იანებში ჩინეთი აღმოჩნდა დიპლომატიურ კარანტინში, ეკონომიკურად იზოლირებული და თითქმის კატასტროფულ სამხედრო იზოლაციაში, როცა ის აღმოჩნდა ორივე ზესახელმწიფოს თავდასხმის, ან შესაძლო თავდასხმის წინაშე. მოკლედ, ჩინეთი ორჯერ „დადგა“ ყველაზე სახიფათო სტრატეგიულ პოზიციაში თავისი თანამედროვე ისტორიის განმავლობაში.

ადრეული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აცხადებდა, რომ მან შექმნა უფრო ძლიერი ეროვნული ერთობა და სტაბილურობა ვიდრე მისმა წინამორბედებმა. ერთობას, ალბათ: მხოლოდ მკაცრად გაერთიანებული პოლიტიკური სისტემის ქვეშ შეეძლო გაეკეთებინა ასეთი დიდი ნახტომი ყველა ჩინურ სოფელში ასეთი ლეტარული შედეგებისკენ. სტაბულურობა? არა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ათწლეულები იყო მოწმე ძირითადად დესტაბილიზაციის მომტანი, პოლიტიკური გადატრიალებებების, რომელთაგან ერთ-ერთი, კულტურული რევოლუია, იყო ჯერ კიდევ თავის მოქმედებებში, როცა ნიქსონი ეწვია ჩინეთს. და ასეთმა ერთობამ, როგორიც არსებობდა, საშინელი საზღაური გადაიხადა. ადრეული 1950-ებში კომუნისტური ძალაუფლება კონსოლიდირებული იყო სამიდან ხუთ მილიონამდე „კონტრევოლუციონერების“ სიკვდილით დასჯაში. ამას დაემატა შემდგომი ტერორი და საბჭოური განლაგების შექმნა, რომელშიც, როგორც კლაუს მიუჰლჰაჰნმა გვიჩვენა ახლა - ორმოც მილიონზე მეტი მოქალაქე, ან მთელი მოსახლეობის ერთი მეოცედი იხდიდა სასჯელს გვიანი 1950-იანებისთვის.

შესაძლოა, ამერიკელებს რომ სცოდნოდათ, როგორი არასტაბილური იყო ჩინეთი 1971 წლის შემოდგომაზე და თუ როგორი ფიზიკურად და გონებრივად არაჯანსაღი იყო, თავად მაო ძედუნი იმ დროს, ან მართლაც მათ რომ სცოდნოდათ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ ჩადენილი დანაშაულების სრული სპექტრი, არასდროს გააგზავნიდნენ ამერიკის პრეიდენტს ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ მაომ განუცხადა ნიქსონს „მთელ მსოფლიოში, შედარებით ზუსტი არის ამერიკის ინფორმაცია“, ფაქტი ის არის, რომ ამერიკაში ჩინეთის საშინაო საქმეებზე ინფორმაცია საკმაოდ შეზღუდული იყო.

მაგრამ ცუდად ინფორმირებას არასოდეს შეუშლია ხელი ამერიკის საგარეო ურთიერთობისთვის. ასე რომ, ნიქსონის მოსვლამ განაპირობა დიპლომატიური რევოლუცია. სახალხო რესპუბლიკამ მოიპოვა ლეგიტიმურობა „ჩინეთის“ ადგილისთვის არა მხოლოდ გაერთიანებულ ერებში, არამედ ასევე უშიშროების საბჭოშიც. მაო ძედუნის იმიჯი, როგორც, „ფილოსოფოსის, პოეტის, გრანდიოზული სტრატეგიის, შთაგონების მიმცემის, რომანტიკოსის“, დასავლეთში ძირითადი დისკურსი იყო მისი ცხოვრების შესახებ, სანამ ამის კორექტირება არ მოხდა(ისიც მსუბუქად) თავად ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ 1980-იანი წლების დასაწყისში. და ადამიანის პორტრეტი, რომელიც იზიარებდა ჰიტლერსა და სტალინის გვერდით, მეოცე საუკუნის ტირანთა შორის ყოფნის პატივს, კვლავ ჰკიდია „ზეციური მშვიდობის კარიბჭე“, ეროვნული სახელმწიფო სიმბოლოს ქვეშ, რაც მას გადაურჩა.

რა თქმა უნდა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლეგიტიმურობა ჩინეთში არ იყო მხოლოდ ამერიკის მიერ მინიჭებული - თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები ამ საკითხზე ნიქსონის ვიზიტამდე ორი ათწლეულის წლის განმავლობაში დაობდა. ალბათ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის კონტროლი სამხედრო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე აძლევდა მას უფლებას, ნებისმიერი ქარიშხლისთვის გაეძლო. მაგრამ, ასევე შესაძლოა, რომ ნიქსონის ვიზიტმა დადებითად იმოქმედა, როგორც ძლიერი, პოლიტიკური ნარკოტიკის შეშხაპუნებას სახელმწიფოსა და პაციენტისთვის, როდესაც ისინი ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. შესაძლოა, ამან შეუწყო ხელი კომუნისტური მმართველობის გახანძლივებას. რომელიც მაოს გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა და მიიღო ძალიან იშვიათი მეორე შანსი ისტორიაში.

როგორც ჰენრი კისინჯერმა უთხრა მემორანდუმში ნიქსონს, რომელიც მზად იყო საპრეზიდენტო მოგზაურობისთვის: „დიდი ხნის განმავლობაში, თქვენი ჩინეთის ვიზიტის არამატერიალური აქტივები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, ვიდრე მისი მატერიალური ღირებულებები“.

ვილიამ კირბი არის ჩინეთისმცოდნეობის პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტში, ის ასევე არის ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორი ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში (Kirby, William C., 2012).

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 1970-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა წარმატებული იყო, რომელსაც რიჩარდ ნიქსონი და მისი ადმინისტრაცია ჰენრი კისინჯერის მეთაურობით წყნარი ოკეანის აუზის უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყანასთან აწარმოებდა. მიღწეული შეთანხმება იყო უაღრესად მნიშვნელოვანი თანამშრომლობის გაგრძელებისთვის.

მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელიც თან სდევდა კომუნისტურ ჩინეთსა და კაპიტალისტურ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას, ნიქსონის ადმინისტრაციის დიპლომატიის წყალობით, გადალახა. დასახული მიზანი შედეგიანი აღმოჩნდა. ჩინეთის დახმარებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფუძველი გამოაცალა საბჭოთა ბლოკის ჰეგემონიას აზიაში. ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომელიც ორივე მხარისთვის დროული და სასარგებლო იქნებოდა მომავალში. დასრულდა ვიეტნამის ომი, რომელიც შიდა არეულობებს და უკმაყოფილებას იწვევდა ამერიკელ ერში. ნიქსონის მიერ გამოცხადებულმა დოქტრინებმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს საგარეო პოლიტიკურ საკითხებში.

თუმცა, რა თქმა უნდა, დათმობები ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მოუხდა, კერძოდ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საწყის ეტაპებზე. 1971 წელს შეერთეულმა შტატებმა სცნო ჩინეთის უფლება უშიშროების საბჭოს ადგილზე,

რომელიც მანამდე ტაივანს ეკავა. ნიქსონმა პირდაპირ განაცხადა, რომ: „არსებობდა მხოლოდ ერთი ჩინეთი და ტაივანი იყო მისი ნაწილი“(Kissinger, Henry, 1994, p.449).

როგორც წინა თავებში დავინახეთ, კისინჯერის დიპლომატია წმინდა ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა.

ჩემი აზრით, კირბი ზუსტად აფასებდა ნიქსონის ადმინისტრაციის სტრატეგიულ ნაბიჯებს, რომელსაც იგი ჩინეთთის მიმართ დგამდა, ასევე მინდა ავღნიშნო - სულაც არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ამერიკის ბაზრის ნახევარზე მერი ჩინური პროდუქციით არის წარმოდგენილი, იზრდება ჩინეთის როლი მსოფლიოში, ამას ხელს უწყობს დემოგრაფიული და ეკონომიკური ზრდა.

ვფიქრობ, რომ სულ მალე დადგება დრო, როდესაც ჩინეთი სამყაროში ჰეგემონობის ტიტულის ფლობის პრეტენზიას გამოაცხადებს. ჩინეთის ამ პოტენციალის განვითარების შესაძლებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამ მისცა და ამის შედეგეად ამერიკის სრულიად ახალი ბაზრის ათვისებამ.

Bibliography

Alpern, Barbara;. (1969, March 9). *www.nixonlibrary.gov*. Retrieved from Communist China and Asia, Special National Intelligence Estimate: https://www.nixonlibrary.gov/virtuallibrary/documents/nov11/declass07.pdf

Cohen, Alan;. (2018, October 15). *Foreign Affairs*. Retrieved from Recognising China: https://www.foreignaffairs.com/articles//jerome-alan-cohen/recognizing-china

Emborse, S. E., & Brinkley, D. G. (1971). *Rise to Globalism American Foreign Policy since 1938.* Seventh Revised Edition.

Hughes, Ken. (2018, November 30). *https://millercenter.org*. Retrieved from RICHARD NIXON: FOREIGN AFFAIRS: https://millercenter.org/president/nixon/foreign-affairs

Kessler, Frank;. (1992). *Seize the Moment: America's Challenge in a One-Superpower World.*

Kirby, William C. (2012). A note on the 40th anniversary of Nixon's visit to China. *cross-currents*. Retrieved from https://cross-currents.berkeley.edu/sites/default/files/e-journal/articles/kirby_on_nixon.pdf

Kissinger, Henry. (1994). Diplomacy. New York: Simon&Schuster.

Koma, Matthew;. (1970). *Richard Nixon XXXVII President of the Unites States.* New York.

Matthews, Chris. (1997). *Kennedy and Nixon.* New York: Touchstone.

Nixon, Richard;. (2003). *What is the Nixon Doctrine.*

Office of the Historian. (2018, October 27). Retrieved from Nixon Foreign Policy: https://history.state.gov/departmenthistory/short-history/nixon-foreignpolicy

Office of the historian. (2018 , October 19). Retrieved from FOREIGN RELATIONS OF THE UNITED STATES, 1969–1976, VOLUME E–13, DOCUMENTS ON CHINA, 1969–1972: https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76ve13/d39

Richard Nixon and his America. (1989). Little Brown and Company.

Steven, Phillips E.;. (2018, October 11). *Office of the Historian*. Retrieved from Foreign Relations of the United States, 1969–1976, Volume XVII, China, 1969–1972: https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v17

Walker, David;. (2007). *http://www.coldwar.org.* Retrieved from Cold War History: http://www.coldwar.org/Articles/70s/Connors_Hist481_paper.pdf

www.history.com. (2018, October 2). Retrieved from Nixon announces visit to China: http://www.history.com/this-day-in-history/topics/nixon-and-foreign-policy

აბაშიძე, ზურაბ. (2009). წარსული თუ დღევანდელობა. თბილისი.

მენთეშაშვილი, ა.მ. (2005). *XX-ის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

პანტელეევა, ლანა. (2018, ნოემბერი 15). *აშშ-ჩინეთის სტრატეგიული თანამშრომლობა თუ ტრადიციული უთანხმოება?* Retrieved from www.opentext.org: http://www.opentext.org.ge/index.php?m=21&y=2002&art=15920

ხარტიშვილი, ირაკლი. (2018, September 28). *defence and history*. Retrieved from http://defencegeorgia.blogspot.com: http://defencegeorgia.blogspot.com/2011/02/1950-80.html

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

პირველი სემესტრის დოქტორანტი

ანა მარგველაშვილი

სადოქტორო სემინარი

კულტურა და მუნიციპალური განვითარება

(საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს გამოწვევები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი იაგო კაჭკაჭიშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კულტურის როლი მუნიციპალური და სასოფლო განვითარების პროცესებში. კერძოდ, ამ მხრივ საერთაშორისო თანამეგობრობის მრავალწლიანი გამოცდილება, კვლევასა და პრაქტიკაზე დაფუძნებული სამუშაო დოკუმენტები და თეორიული მასალა, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული კულტურის კავშირის განსაკუთრებული მნიშვნელობა სხვა დარგებთან განვითარების პროცესებში მდგრადი შედეგების მისაღწევად. ნაშრომის მეორე ნაწილში კი განხილულია საქართველოს ორ მუნიციპალიტეტში ჩატარებული კულტურის სფეროს კვლევების შედეგად გამოვლენილი პრობლემები, რომელთა დიდწილად განვრცობაც თითქმის ყველა მუნიციპალიტეტზე შეიძლება. პრობლემები, რომლებიც დაბრკოლებას უქმნის ადგილზე კულტურის სერვისების და ზოგადად კულტურის მრავალფეროვანი ცხოვრების განვითარებას, თავის მხრივ ნეგატიურად აისახება როგორც მუნიციპალიტეტზე, ასევე იქ მაცხოვრებელ მოქალაქეებზე.

ავტორი ცდილობს ადგილობრივ განვითარებასთან მიმართებით წინ წამოწიოს კულტურის სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა და მსჯელობს საქართველოში, მუნიციპალური კულტურის სფეროში გამოვლენილი ძირითადი პრობლემების მოგვარებაზე.

Abstract

The given work discusses the role of culture in the municipal and rural development and presents long term international experience of development, research and practice based working documents and theoretical studies, which all emphasize special importance of cross reference between culture and the other fields in achievement of sustainability. The second section of the work focuses on the problems that were revealed during the study of cultural realm in two municipalities of Georgia. It describes general situation that is typical for almost all municipalities and covers the issues, which create obstacles for development and fostering of local cultural services and diversification of cultural life this way negatively affecting work of the municipalities and inhabitants of the region.

The author attempts to demonstrate importance of culture in local development and discusses the ways of addressing the main problems in the field of municipal culture.

შინაარსი

შესავალი (გვ. 5)

თავი 1. კულტურა და ადგილობრივი განვითარება – საერთაშორისო გამოცდილება (გვ. 8)

1.1. Agenda for Cultura 21 – კულტურის პროგრამა 21 (გვ. 12)

თავი 2. კულტურის მუნიციპალური პოლიტიკა – საქართველოს გამოცდილება (გვ. 19)

2.1. კულტურის სფეროს კომპეტენციები (გვ. 20)
2.2. მუნიციპალური კულტურის არსებული პრობლემების მიმოხილვა (გვ. 23)

შეჯამება (გვ. 31)

გამოყენებული ლიტერატურა (გვ. 33)

შესავალი

საბჭოთა პერიოდის საქართველოში დედაქალაქშიც და რეგიონებშიც (სოფლებში) სხვადასხვა კულტურის დაწესებულება მოქმედებდა, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო დოტაციაზე იყო. მათ შორისაა კულტურის სახლები, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, ფოლკლორული ანსამბლები, სახლ-მუზეუმები და სხვა. აღნიშნული დაწესებულებები ცენტრალიზებულად იმართებოდა, მათი წლიური პროგრამა რაიონის კულტურის სამსახურის მიერ ცენტრთან წინასწარი შეთანხმებით განისაზღვრებოდა. რაიონებში მსგავსი დაწესებულებები თითქმის ყველა სოფლის დონეზე არსებობდა (მაგ., კულტურის სახლი, ხშირად 400-500 კაციანი დარბაზითა და სცენით, ამავე შენობაში განთავსებული სამუსიკო სკოლები, სოფლის ბიბლიოთკები, სახელობო წრეები დასხვა). დაწესებულებების ფუნქცია სოფლისთვის კულტურის სფეროში სხვადასხვა სერვისის მიწოდება იყო; შეიძლება აღნიშნული სერვისები არ იყო მრავალფეროვანი და ჩამორჩებოდა მსოფლიოში იმ დროს მიმდინარე კულტურულ პროცესებს (რეგიონული კულტურა ძირითადად ფოლკლორამდე იყო დაყვანილი), მაგრამ, მაშინდელი მმართველობის სისტემის პირობებში, აღნიშნული დაწესებულებები მაინც ახერხებდნენ იმ ამოცანის შესრულებას, რომ სოფლისა თუ რაიონული ცენტრების მაცხოვრებლებს სხვადასხვა კულტურულ მომსახურებაზე მიუწვდებოდათ ხელი, იქნებოდა ეს სამოყვარულო თეატრი, ბიბლიოთეკა, სიმღერიისა და ცეკვის ანსამბლი, სოფლის ფესტივალი თუ სხვა.

აღნიშნულ დაწესებულებათა დიდი ნაწილი მუნიციპალურ დონეზე დღესაც არსებობს, თუმცა, იმის გამო, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული გარდამავალ პერიოდში მყოფ სახელმწიფოს სრულებით სხვა საზრუნავი ჰქონდა და ადგილობრივი განვითარების კუთხით კულტურის განსაკუთრებული როლის გააზრება დღემდე არ მომხდარა, მუნიციპალური კულტურის ინფრასტრუქტურა ხშირად გაპარტახებულია ანდაც თითქმის უფუნქციოდაა დარჩენილი; აღნიშნული სტრუქტურები დაინგრა, სანაცვლოდ კი წლების მანძილზე არანაირი განახლება არ მომხდარა. პერიფერიები, განსაკუთრებით სოფლები, ფაქტობრივად,

მთლიანად კულტურული ცხოვრების მიღმა აღმოჩნდა (მაისურაძე, 2014) და ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. დღემდე მუნიციპალიტეტებში კულტურის სფეროში სერვისების მიწოდება ხშირად კრიტიკას ვერ უძლებს.

საქართველოში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ კულტურის პროგრამებზე მუშაობის პროცესში, არცთუ ისე იშვიათად გავიგებთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიდგომას, რომ უმუშევრობისა და სიღარიბის, ინფრასტრუქტურული და სხვა მუნიციპალური პრობლემების ფონზე კულტურის პროგრამების განხორციელება აქტუალური არ არის, შესაბამისად, კულტურაც ვერ გახდება პრიორიტეტი.

ამ მიდგომის საპირისპიროდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მრავალწლიანი, პრაქტიკულ პროგრამებსა თუ კვლევებზე დაფუძნებული გამოცდილება რეგიონული (სამხარეო, მუნიციპალური, საქალაქო, სათემო) განვითარების კუთხით, ხაზს უსვამს კულტურის სფეროს მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი განვითარების პროცესებში.

კულტურა, ადგილობრივი განვითარების კონტექსტში მოიაზრება, მისი ფართო და დემოკრატიული გაგებით, კერძოდ ის გულისხმობს ხელოვნებას, კულტურულ მემკვიდრეობას, კულტურულ ღონისძიებებსა და განათლებას, ასევე კულტურის სფეროს მწარმოებლებს, სერვისებსა და ინდუსტრიას. კულტურა არის სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ჩართულობას, ხელს უწყობს მრავალფეროვნებას და ცალსახად დემოკრატიულ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, იგი მიმართულია მთლიანად საზოგადოებაზე და არა გარკვეულ ელიტურ ჯგუფებზე. კულტურა წარმოადგენს სამოქალაქო ღირებულებებისა და საზოგადოების მოდერნიზების საშუალებას, იგი ხელს უწყობს მიკუთვნებულობის, იდენტობის ფორმირებას და იმავდროულად ადამიანთა ცხოვრების ხარისხის ზრდას, ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას და თვალსაწიერის გაფართოებას. კულტურის სფერო ასახავს ვინ ვიყავით ჩვენ, ვინ ვართ ამჟამად და ვინ გვინდა ვიყოთ (სიღნაღი კულტურისათვის, 2014)

წინამდებარე სტატია შეეხება კულტურის როლს მუნიციპალური განვითარების პროცესებში. იგი, ერთი მხრივ, სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის გამოცდილებას, მიმდინარე საერთაშორისო დისკუსიას ეყრდნობა, ხოლო მეორე მხრივ კი, 2014-2016 წლებში საქართველოში ჩატარებულ რამდენიმე კვლევას და ცდილობს პასუხი გასცეს ისეთ შეკითხვებს როგორებიცაა:

რა როლი შეიძლება ეკისრებოდეს კულტურას მუნიციპალური განვითარების პროცესებში და რა გავლენა აქვს კულტურის მრავალფეროვან სერვისებს ადგილობრივ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე? რატომ უნდა იყოს მუნიციპალიტეტი დაინტერესებული განავითაროს კულტურის სფერო, მიუხედავად მუნიციპალური სამსახურების წინაშე მდგარი სხვა მრავალი პრობლემისა?რა გამოცდილება არსებობს ამ კუთხით ქვეყნებში, სადაც კომუნალური კულტურის სფეროს განვითარება მუდმივი მსჯელობის საგანია, შესაბამისად, ახალი მიდგომების დანერგვით მუდმივ პროგრეს სგანიცდის. და ბოლოს, რა პრობლემები იკვეთება დღესდღეობით მუნიციპალური კულტურის განვითარების კუთხით და რა უნდა გაკეთდეს აღნიშნული პრობლემათა აღმოსაფხვრელად.

თავი 1. კულტურა და ადგილობრივი განვითარება –საერთაშორისო გამოცდილება

კულტურის დემოკრატიულობაზე, კონცეფციით „კულტურა ყველსათავის“, მსჯელობა მაგ., გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 1970-იან წლებში დაიწყო. დისკუსიას, ცხადია, კულტურის ხელმისაწვდომობაზე მიმართული კონკრეტული პროგრამის განხორციელებაც მოჰყვა. ამავე პერიოდში, მიმდინარეობდა აქტიური დისკუსია კულტურის სფეროს დაგეგმვის მიზანშეწონილობასა და მართებულობაზე. რამდენად შეიძლება დაიგეგმოს კულტურა? ხომ არ იქნება დაგეგმვა ამ, არსით თავისუფალი, მართვისა და დაგემგვის კანონებთან შეუთავსებელი სფეროს შეზღუდვა? ეს და სხვა კრიტიკული შეკითხვები აზრთა სხვადასხვაობის და ცოცხალი დისკუსიის საგანი იყო. კულტურა უფრო და უფრო მეტად განიხილებოდა, როგორც კონკრეტული ადგილის მნიშვნელობის ხელახალი გააზრების, მისი მიმზიდველობის, იმიჯისა და ეკონომიკური წინსვლის ფაქტორი; ასევე მოხდა კულტურის სფეროს დაკავშირება ეკონომიკასა და ქალაქგეგმარებასთან (Wagner, 2004). ხორციელდება კულტურის სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამები: თეორიულ მსჯელობასა და დებატებს თან სწორედ პრაქტიკული ნაბიჯები და ახალი საცდელი პროგრამები ახლდა.

1980-იან და 90-იან წლებში, იგივე გერმანიაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კულტურის განვითარების დაგეგმვის პროცესებმა (Kulturentwicklungsplanung /KEP), რისი შედეგიც, მუნიციპალურ, საქალაქო და ხშირად სასოფლო/სათემო დონეზეც კი, საკუთარი კულტურის სტრატეგიის, პოლიტიკის და ხედვის შემუშავებაა, სათანადო სამოქმედო გეგმითა -და ადგილობრივი საჭიროებების ადეკვატური სერვისებით. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესებში მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას. გარდა იმისა, რომ ჩართულობა ადგილობრივ პოლიტიკას და მათ შორის კულტურის სტრატეგიას ლეგიტიმაციას მატებს, ასევე მოსახლეობის მონაწილეობა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ადგილობრივი კულტურის პოლიტიკა, რომელიც ისეთ ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს (მაგ., მეხსიერება,

შემოქმედებითობა, მრავალფეროვნება, ტრადიციები, რიტუალები, კრიტიკული აზროვნება), რომლებიც მნიშვნელოვანია ამ კონკრეტულ ადგილზე მცხოვრები ადამიანებისა და საზოგადოებისათვის. შესაბამისად დაგეგგმვის პროცესში სწორედ მოსახლეობის ხმა უნდა ისმოდეს.

კულტურის დაგეგმვას ასევე ახორციელებენ იმ მიზნით, რომ ზოგადად განვითარების პოლიტკის ფორმირების პროცესში კულტურის მნიშვნელობის წინ წამოწევა მოხდეს და ზოგადად, ადგილობრივმა პოლიტიკამ კულტურული განზომილება შეიძინოს (Richter, 2007)

განვითარების პროცესებზე კულტურის პირდაპირი გავლენის შესახებ გამოცდილება უფრო გვიანდელ პერიოდში, კერძოდ, 1990-იანი წლების ბოლოსა და განსაკურებით 2000-იანი წლების დასაწყსიში დაგროვდა. ამ ყველაფერს 1990-იან წლებში წინ უსწრებდა რეგიონალური განვითარებისა და ამ პროცესში კულტურის განსაკუთრებული როლის შესახებ წარმართული დებატების მნიშვნელოვანი ტალღა და ევროკავშირის ეგიდით განხორციელებული სასოფლო განვითარების არაერთი საცდელი პროგრამა. სწორედ ამ გამოცდილების ანალიზმა გამოკვეთა კულტურის სრულიად განსაკუთრებული როლი ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირების კუთხით.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ადგილობრივ სპეციფიკაზე ორიენტირებული განვითრების გეგმების შემუშავების (მათ შორის კულტურის სფეროში) ერთ-ერთ მთავარ მოტივად კი ის საზოგადოებრივი ცვლილებები იქცა, რომლებიც სწორედ იმხანად დაიწყო და დღემდე გრძელდება. გერმანიის კედლის დაცემის და ცივი ომის დასრულების, საბჭოთა კავშირის დანგრევის, ევროკავშირის შექმნის შედეგად გაზრდილი სოციალური და შრომითი მობილობა ხშირად ამა თუ იმ ადგილზე არსებული ეთნიკური და კულტურული მოზაიკის ცვლილების საფუძველი ხდებოდა და შესაბამისად მუშაობა ადგილობრივი განვითარების და მათ შორის ადგილობრივ კულტურის პოლიტიკაზე ლამის უწყვეტ პროცესებად მიმდინარეობს, რადგანაც შემუშავებულმა სტრატეგიებმა და ხედვებმა არსებული რეალობა და საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევები ადეკვატურად აირეკლოს.

სწორედ 1990-იან წლებში მიმდინარე დისკუსიის, განხორციელებული პროგრამების, კვლევების, მათი გვიანდელი შეფასების და განზოგადების საფუძველზე ჩნდება მყარი არგუმენტი იმისა, რომ კულტურის როლი ადგილობრივ განვითარებაში ძალზედ მნიშვნელოვანია. მაგ., საერთაშორისო ორგანიზაციის „ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის გაერთიანების“ (UCLG) სამუშაო დოკუმენტაციაში „კულტურა როგორც მიზანი“ ვკითხულობთ: *„ბოლო ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებამ შეაგროვა არსებითი არგუმენტები განვითარების პროცესებში კულტურის როლის მნიშვნელობის შესახებ. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში განვითარების პოლიტიკა და პროექტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ კულტურულ ასპექტებს, წარუმატებელი აღმოჩნდა. კულტურა ეფექტურად უწყობს ხელს პოლიტიკას, სტრატეგიებსა და პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, გარემოს მდგრადობას, ჰარმონიას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას. კულტურა არის მდგრადი განვითარების წარმმართველი და ხელისშემწყობი ფაქტორი“.* ის შეგვიძლია მოვიაზროთ როგორც უშუალო მიზანი, ასევე ინსტრუმენტი სხვა მიზნების მიღწევის გზაზე.

დღესდღეობით აღარ არის საკამათო, რომ კულტურას გავლენა აქვს ადგილობრივი განვითარების პროცესებზე მთლიანად. განვითარების პროცესებში კი საკმაოდ მნიშვნელოვანია კულტურის საგანმანათლებლო როლის (ე.წ. „კულტურული განათლება“) გააზრებაც. იგი არაფორმალური განათლების, პიროვნული განვითარებისა და ზოგადი კომპეტენციების გაუმჯობესების მრავალმხრივ შესაძლებლობას გვთავაზობს. კულტურული განათლება „ხელს უწყობს ძირითადი კომპეტენციების შესწავლასა და ძლიერი პიროვნებების ჩამოყალიბებას. შემოქმედებითი მიდგომების, დამოუკიდებლობის, ტოლერანტობის, რეფლექსიისა და გამოხატვის უნარების განვითარებას, ასევე იმ სოციალური კომპეტენციების ფორმირებას, რაც ჩართულობასა და საზოგადოებრივ მონაწილეობას უკავშირდება“. „კულტურული განათლება“ შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც ფორმალურად, ისე არაფორმალურად და

უპირველეს ყოვლისა იგი „ნიშნავს განათლებას კულტურული მონაწილეობის შესახებ,“ რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება საზოგადოების მაღალ ჩართულობაზე როგორც კულტურის პროგრამებში, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა პროცესში (KEP Stuttgart, 2012).

დღესდღეობით კულტურის პროგრამები, კულტურულ-საგანმანათლებლო სერვისები, ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილზე (მუნიციპალიტეტი, ქალაქი, სოფელი) ცხოვრების დონის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. სწორედ კულტურის სერვისები ქმნის კონკრეტული ადგილის განვითარების წინაპირობას და ხელს უწყობს მის საცხოვრებლად მიმზიდველ ადგილად ჩამოყალიბებას. შესაბამისად, კულტურის პოლიტიკა მუნიციპალიტეტებში საარსებო პირობების უზრუნველყოფის, საჯარო სერვისების განვითარების, ცხოვრების დონის გაუმჯობესების დაგეგმვის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად უნდა მოვიაზროთ. მეტიც, უახლეს ლიტერატურასა და დისკურსში (კომუნალური) კულტურის პოლიტიკა, საზოგადოებრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკადაც მოიაზრება. (Schneider, Kegler, Koss, 2017)

მაგ. ქალაქ ვილინგენ-შვენინგენის (Willingen-Schweningen) ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: „კულტურა მნიშვნელოვანია ქალაქში ცხოვრების ხარისხისათვის. კულტურის გარეშე ქალაქის წარმოდგენა ნამდვილად შესაძლებელია, მაგრამ მოგვინდებოდა კი ასეთ ქალაქში ცხოვრება? ქალაქში, სადაც არ არის კულტურა, შეიძლება იყოს სამუშაო ადგილები, ღამისთევის საშუალება, საბავშვო ბაღი, სუპერმარკეტი ან სპორტული დარბაზი. მაგრამ იქ არ იქნებოდა ბიბლიოთეკა, მუზეუმი, თეატრი, კონცერტი, ცეკვა, ახალგზარდული სუბ-კულტურების ექსპერიმენტები... ეს არ იქნებოდა მყუდრო, კეთილგანწყობილი ქალაქი, არამედ ცივი ადგილი“ საითაც გული ნაკლებად მიგიწევს.

დღეს საერთაშორისო თანამეგობრობა შეთანხმებულია კულტურის მნიშვნელოვან როლზე ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ განვითარების პროცესებში, აგრეთვე მის გავლენაზე მაგალითად, სიღარიბის დაძლევასა თუ განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კულტურის როლი ადგილობრივი

განვითარების კუთხით, არაერთ კონვენციაში, დეკლარაციაში, საერთაშორისო შეთანხმებასა და რეზოლუციაშია ხაზგასმული.

1.1. Agenda for Cultura 21 – კულტურის პროგრამა 21

განვითარების პროცესებში, კულტურის როლის წინ წამოწევისა და ადვოკატირების კონტექსტში, განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ორგანიზაციის „ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის გაერთიანება“ (United Cities And Local Governments – UCLG) და მისი კომიტეტების (აქ: კულტურის) საქმიანობა; ორგანიზაცია 2004 წელს დაარსდა. მისი მისიაა, იყოს დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდამჭერი და დაიცვას თვითმმართველობების ფასეულობები, ამოცანები და ინტერესები. UCLG-ს აქვს მუდმივმოქმედი კომიტეტები, მათ შორის კულტურის, რომლებიც ამზადებენ და ახორციელებენ პოლიტიკას აღმასრულებელი საბჭოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში.

აღსანიშნავია UCLG -ის მიერ, 2004 წელს შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტი „Culture Agenda XXI“ (21-ე საუკუნის კულტურის პროგრამა, შემდეგში „კულტურა 21“), რომელიც იყო ერთგვარი პირველი აღიარება კულტურის განსაკუთრებული როლისა ადგილობრივ მმართველობის საქმიანობაში. „კულტურა 21“ თავის მხრივ სწორედ ზემოთ განხილულ ისტორიულ გამოცდილებას და განვითარებას დაეყრდნო და ასახა ის. დოკუმენტს მთელი მსოფლიოდან 198 ქალაქისა თუ რეგიონის მმართველობამ დაუჭირა მხარი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თვითმმართველობების ერთგულებას ადამიანის უფლებების, კულტურული მრავალფეროვნებისა და მონაწილეობითი დემოკრატიისადმი; „კულტურა 21“ იყო ერთგვარი პირველი აღიარება კულტურის განსაკუთრებული როლისა ადგილობრივ მმართველობაში.

„კულტურა 21“ -– ძირითადი პრინციპები და სამუშაო მიდგომები

„კულტურა 21“-ის პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ „ეს არის პირველი დოკუმენტი, მიმართული მსოფლიო თანამეგობრობისადმი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქებისა და მუნიციპალური წარმონაქმნების განვითარების პერსპექტივებს კულტურის მეშვეობით“.

აღნიშნული დოკუმენტის გაზიარება ამა თუ იმ ქვეყნის მუნიციპალიტეტსა თუ ქალაქს ნებაყოფლობითობის საფუძველზე შეუძლია; იგი ბევრ მნიშვნელოვან აქცენტსა და რეკომენდაციას შეიცავს კულტურის დახმარებით მუნიციპალური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გააზრება და გათვალისწინება საქართველოს მუნიციპალური ხელისუფლებისათვის სასარგებლო იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან არც ერთი ქალაქი და მუნიციპალიტეტი „კულტურა 21“-ის მონაწილე არ არის და შესაბამისად, არც მის განხორციელებაშია ჩართული.

დღეისათვის სამასზე მეტი ქალაქი თუ მუნიციპალიტეტი მთელი მსოფლიოდან ხელმძღვანელობს დოკუმენტით „კულტურა 21“, იზიარებს მის სულისკვეთებას, პრინციპებს და ახორციელებს შესაბამის პროგრამებს საკუთარ სამოქმედო არეალში.

„კულტურა 21“-ის წევრობით დაინტერესებული მუნიციპალიტეტები, დოკუმენტთან მიერთებით: „პირველ რიგში იღებენ ვალდებულებას საკუთარი მოსახლეობის წინაშე იმის თაობაზე, რომ კულტურაგანიხილება როგორც უმნიშვნელოვანესიფაქტორი ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, გამოხატავენ სოლიდარობას და მზადყოფნას ითანამშრომლონ სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით“.

მონაწილე მუნიციპალიტეტები თუ ქალაქები კულტურას განიხილავენ როგორც ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირების და მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს. „კულტურა 21“-ის მიხედვით კულტურა

ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილიადა განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ კულტურის ხელმისაწვდომობას ენიჭება.

დოკუმენტი რამდენიმე ნაწილისგან შედგება. მის პირველ ნაწილში ის პრინციპებია ჩამოთვლილი, რომელთაც დოკუმენტი ეფუძნება. მეორე ნაწილში აქცენტი მუნიციპალურ ორგანოთა პასუხისმგებლობებსა და ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის კუთხით, კულტურის პოლიტიკის მნიშვნელობაზეა გადატანილი. დოკუმენტის მესამე ნაწილი სარეკომენდაციო ხასიათისაა და აქ ხაზგასმულია კულტურის მნიშვნელობა ზოგადად სხვადასხვა განვითარების პროგრამაში.

დოკუმენტის „კულტურა 21“-ის გააზრება, შემდეგი სტრუქტურითაც არის შესაძლებელი:

ა) კულტურა და ადამიანის უფლებები

კულტურა მჭიდრო კავშირშია კაცობრიობის განვითარებასთან. კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების საშუალებას; კულტურის დეკლარირებული უფლებები, ადამიანის საყოველთაო უფლებების განუყოფელ ნაწილად უნდა მოვიაზროთ; მნიშვნელოვანია ხელოვანების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა ქალაქის, მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში; ასევე, კულტურის პროგრამების მეშვეობით მოქალაქეთა კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.

ბ) კულტურა და მმართველობა

აქ ხაზგასმულია საზოგადოებრივი განვითარების კუთხით კულტურის წამყვანი როლის ხელახალი გააზრების მნიშვნელობა და კულტურის პოლიტიკის ლეგიტიმურობა; ამა თუ იმ ტერიტორიის განვითარების პროცესში კულტურის ადგილობრივი პოლიტიკის გათვალისწინება; აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის საერთო პასუხისმგებლობას გულისხმობს; მნიშვნელოვანია,

კულტურის სფეროში სერვისების ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება და მათი სრულყოფა; ასევე, ქსელური და საერთაშორისო თანამშრომლობა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობა სახელმწიფო კულტურის პროგრამებში, მათ შორის, ეროვნულ დონეზე კულტურის პოლიტიკის ფორმირების პროცესში;

გ) კულტურა, ტერიტორია და მდგრადი განვითარება

როგორც ბიომრავალფეროვნება არის მნიშვნელოვანი ბუნებისათვის, ასევე კულტურული მრავალფეროვნება – კაცობრიობისათვის; კულტურისა და მდგრადი განვითარების ურთიერთკავშირი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელების ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს. კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება წარმოადგენს გზას კეთილდღეობამდე; საერთო სივრცე, აღქმული უნდა იყოს როგორც საერთო კულტურული ველი; დიალოგი, მშვიდობიანი თანაარსებობა და კულტურული თანამშრომლობა წარმოადგენს მოქალაქეთა შორის ურთიერთობების განვითარების ძირეული პრინციპებია;

დ) კულტურა და თანასწორუფლებიანობა

მოცემული თავი შეეხება კულტურის სერვისების ხელმისაწვდომობის აუცილებლობას ადამიანის სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზე; შესაბამისად, იგულისხმება, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალური კულტურის პროგრამები იყოს მრავალფეროვანი და გამიზნული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის. შეთანხმების მონაწილე მუნიციპალური ერთეულები აღიარებენ კულტურას, როგორც თავითგამოხატვის შესაძლებლობას, როგორც ადამიანის სოციალური თანასწორობის და ღირსეული არსებობის პირობას. ეს შესაძლებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მიუხედავად სქესის, წარმომავლობის, ეკონომიკური ან სხვა სტატუსისა; აქვე ხაზგასმულია, კულტურის როლი პიროვნული განვითარების კუთხით; მუნიციპალური ორგანოები კი, უნდა ზრუნავდნენ კულტურულ საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობის წახალისებაზე, რადგან ეს მოქალაქეობრიობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ე) კულტურა და ეკონომიკა

აღნიშნულ თავში აღიარებულია კულტურის სფეროს ეკონომიკური განზომილება და მისი მნიშვნელობა, როგორც ეკონომიკური განვითარების ფაქტორისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდისა; ასევე ხაზგასმულია მუნიციპალურ ორგანოთა პასუხისმგებლობა კულტურის მრავალმხრივი დაფინანსების კუთხით; ზრუნვა თანხების მიზანმიმართულ დაგეგმვაზე, სპეციალური ფონდებისა და კულტურის სფეროში საგადასახადო შეღავათების არსებობაზე;

მიკროკრედიტებისა და დაფინანსების სხვა მექანიზმების შექმნაზე. „კულტურა 21“ აღიარებს კულტურის ინდუსტრიისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სტრატეგიული როლს – ადგილობრივი იდენტობის ფორმირებას, შემოქმედებით უწყვეტობის, მემკვიდრეობითობისა და ასევე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკითხში;

გარდა აღნიშნულისა, „კულტურა 21“ დაინტერესებულ მუნიციპალიტეტსა თუ ქალაქს სთავაზობს, რომ კულტურა სწორედ გრძელვადიანი განვითარების ჭრილში განიხილონ. ნებისმიერი დაინტერესებული მუნიციპალიტეტი, რომელიც ამ მიმართულებით დაიწყებს მუშაობას, დოკუმენტში ნახავს მისთვის საინტერესო აქცენტებს, პრინციპებსა და რეკომენდაციებს და სურვილის შემთხვევაში შეძლებს მათ შეთავსებას ადგილობრივ სპეციფიკასთან (მოცემული ტერიტორიის ისტორია, მოცულობა, მოსახლეობა, მისი რაოდენობა და ასაკობრივი თუ ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა, ადგილობრივი მართვის სისტემა, სამოქალაქო ჩართულობის ხარისხი, ადგილობრივი კულტურული ტრადიციები, იდენტობა და სხვა).

დოკუმენტში მოცემული პრინციპების და მიდგომების გათვალისწინებით, მონაწილე მუნიციპალური ორგანოები გეგმავენ არა მარტო კულტურის პოლიტიკას, არამედ განვითარების სხვადასხვა პროგრამასა და ზოგადად, ადგილობრივ პოლიტიკას. წევრი ქალაქები თუ თვითმმართველობები ერთმანეთს სისტემატიურად უზიარებენ გამოცდილებას, ხდება პრაქტიკის (მათ შორის

კონკრეტული კულტურის პროგრამების) ანალიზი და დამატებითი რეკომენდაციების, დაზუსტებების, პროგრამების შემუშავება. ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტიურად განიხილება კულტურის როლი სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი განვითარების პროცესებში.

ვ) კულტურა და სიღარიბის დაძლევა

„კულტურა წარმოადგენს ადამიანის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ცალკეული ადამიანებისა და მთლიანი თემის, საზოგადოების თვითმყოფადობის, ნოვატორობისა და შემოქმედების წყაროს. იგი გვევლინება სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტორად, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდასა და პასუხისმგებლობას განვითარების პროცესებზე“, ვკითხულობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის # 65/166 რეზოლუციაში – „კულტურა და განვითარება“. რეზოლუციის მიხედვით, კულტურა სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი წყარო და ადგილობრივი თემის, ხალხებისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია; კულტურა იძლევა შესაძლებლობას განვითარების წამახალისებელი ინიციატივებისათვის; „იგი ხელს უწყობს ათასწლეულის დეკლარაციაში ფორმულირებული მიზნების მიღწევას, რაც ხაზგასმულია გენერალური ასამბლეის მიერ“.

აღნიშნული საკითხი განხილულია ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის გაერთიანების (UCLG) მიერ სხვადასხვა სამუშაო დოკუმენტაციაში. შემუშავებულია სამუშაო დოკუმენტი – „კულტურა როგორც მიზანი“: სიღარიბეს სხვადასხვანაირი გამოხატულება აქვს, მათ შორის – შემოსავლებისა და საწარმოო რესურსების სიმცირე, შიმშილობა და ცუდი კვება, არასათანადო ჯანმრთელობა, შეზღუდული წვდომა განათლებასა და სხვა ძირითად მომსახურებებზე ... დაუცველი გარემო და სხვა ... სიღარიბეს ასევე ახასიათებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამოქალაქო, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში არასაკმარისი ჩართულობა ... საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბე არ არის მარტო მატერიალური პირობების,

რესურსებისა და შემოსავლის საკითხი – ეს არის ასევე შესაძლებლობების ნაკლებობა, ეს არის ის, რომ არ ხდება უქონელი ჯგუფების ღირსების აღიარება, იმის აღიარება, რომ ამ ჯგუფებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოების ცხოვრებაში, მათი შემოქმედებითი უნარისა და უკეთესი მომავლის პერსპექტივების აღიარება".

UCLG სამუშაო დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ „განვითარების მთავარ ფასეულობებს შემოქმედებითი პროცესები, მემკვიდრეობა, ცოდნა და მრავალფეროვნება წარმოადგენს. განვითარების გლობალური და საერთო მიზნები მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფასეულობები ოპერატიულად გახდება განვითარების გეგმის ნაწილი. მართლაც, კულტურა თამაშობს ქმედით, ხელისშემწყობ როლს განვითარების პროცესში. კულტურა არის ერთდროულად საშუალებაც და მიზანიც".

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე UCLG წევრები მიიჩნევენ, რომ:

- კულტურა ეხმარება ეკონომიკას: კულტურა არის შემოსავლისა და დასაქმების წყარო; განვითარების პროცესების მამოძრავებელ ძალა; აქვს გავლენა მეწარმეობაზე, ახალ ტექნოლოგიებსა და ტურიზმზე. კულტურა ეკონომიკას მატებს შემოქმედებით და ინოვაციურ მიდგომებს.

- კულტურა მჭიდრო კავშირშია სოციალურ სფეროსთან: იგი წარმოადგენს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტს, ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას, მდგრად განვითარებასა და ადამიანების თვითდამკვიდრების პროცესებს, მოქალაქეობრივ ჩართულობასა და შესაბამისად, საზოგადოების გაძლიერებას.

- კულტურა მოიცავს გარემოსდაცვით ასპექტსაც, ვინაიდან კულტურული და ბუნებრივი მრავალფეროვნება განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთად ვითარდებიან. კულტურა აღიარებს იდენტობას მიწასა და ადგილთან. ამაღლებს საზოგადოების ცოდნას ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შესახებ.

თავი 2. კულტურის მუნიციპალური პოლიტიკა – საქართველოს გამოცდილება

საქართველოს მუნიციპალიტეტებში კულტურის პროგრამების ხელმისაწვდომობისა და მრავალფეროვნების მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. განვითარების პროცესებში კულტურის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს როგორც წესი, არასათანადოდ აქვთ შეფასებული და ადგილზე არსებული პრობლემების ფონზე, ამ სფეროს ყურადღება იშვიათად ექცევა. საერთაშორისო მრავალწლიანი გამოცდილება კი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სწორედ საპირისპიროს ადასტურებს.

მუნიციპალური განვითარება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, დღეს მუნიციპალიტეტებში არსებული მრავალმხრივი პრობლემების მოგვარებაზე ორინეტირებულ პროგრამებსაც კომპლექსური გააზრება და დაგეგმვა სჭირდება: სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და კულტურული პროგრამები ერთმანეთს უნდა ავსებდეს და ერთ საერთო მიზანს – ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას – ემსახურებოდეს. ამ პროცესში კულტურა შესაძლოა განვიხილოთ როგორც უშუალო მიზანი და ასევე ინსტრუმენტი სხვა მიზნებისათუ სასიკეთო ცვლილებების მისაღწევად. მის გავლენასა და ურთიერთმიმართებაზე განვითარების სხვადასხვა სფეროსთან მიმართებით ზემოთ იყო საუბარი. კულტურის სფეროს ინტეგრირების საჭიროებას სხვადასხვა დარგის განვითარების პოლიტიკაში, 2016 წელს შემუშავებული საქართველოს სახელმწიფო კულტურის სტრატეგიაც აღნიშნავს.

სხვადასხვა კვლევის მიერ გამოვლენილი პრობლემები, რომლებიც დღეს მუნიციპალიტეტებში გვხვდება კულტურის მიმართულებით, სისტემურ მიდგომას და გადაჭრას საჭიროებს. ამ პრობლემების მოგვარების გარეშე რთული იქნება დისკუსიის წარმართვა კულტურის როლის შესახებ განვითარების პროცესებში.

2.1. კულტურის სფეროს კომპეტენციები

2014 წელს მიღებული ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, კულტურა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები უნდა ზრუნავდნენ ადგილზე მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობაზე, მოქლაქეებისთვის საჭიროებაზე დაფუძნებული კულტურის სერვისების მოწოდებასა და ზოგადად კულტურულ ცხოვრებაში მათ ჩართულობაზე. მე-16 მუხლი შემდეგ ამოცანებს ჩამოთვლის: ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში ახალი ობიექტების მშენებლობა და სხვ. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია შეიმუშავოს პროგრამები, სტრატეგიები, განახორციელოს პროექტები და ა.შ.

კულტურის სფეროს მარეგულირებელი მთელი რიგი დამატებითი საკანონმდებლო ნორმები სხვადასხვა სპეციალურ კანონმდებლობებშია გაფანტული. ესენია: საქართველოს კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“, საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“, საქართველოს კანონი „მუზეუმების შესახებ“. უფლებამოსილებათა გამიჯვნისას, მათ შორის კულტურის სფეროშიც, გასათვალისწინებელია საკანონმდებლო იერარქია. იმ შემთხვევაში, თუ ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები განსხვავებულად აწესრიგებენ ამა თუ იმ საკითხს და წინააღმდეგობაში მოდის თვითმმართველობის კოდექსთან, კოდექსს გააჩნია უპირატესი

იურიდიული ძალა, რადგან წარმოადგენს ორგანულ კანონს (სიღნაღი კულტურისთვის, 2014).

„კულტურის შესახებ“ კანონის მიხედვით გამიჯნულია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციები კულტურის სფეროში. კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას, მათ შორისაა სახელმწიფო კულტურული პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრა. აღნიშნული ნორმა არ გამორიცხავს თვითმმართველობის უფლებამოსილებას – შეიმუშაოს მუნიციპალური კულტურის განვითარების ხედვა და სტრატეგია სწორედ ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ხოლო არებული სახელმწიფო კულტურის პოლიტიკა მის საორიენტაციო, სამაგალითო სამუშაო ჩარჩოს წარმოადგენდეს.

რაც შეეხება კულტურის სახელმწიფო სტრატეგიას, ის საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2014-2016 წლებში შეიმუშავა და 2016 წლის 1 ივლისს მთავრობამ # 303 დადგენილებით დაამტკიცა; „კულტურის სტრატეგია 2025“ განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. დოკუმენტში ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელოვანი როლი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით არის აღნიშნული:

1) კულტურის სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების უზრუნველყოფის კუთხით (მიზანი 2.1).

2) კულტურისა და სხვა სფეროების ურთიერთმიმართების კუთხით, ხაზგასმულია კულტურის ინტეგრირების მნიშვნელობა სხვადასხვა დარგის, სამთავრობო უწყების, მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკაში (მიზანი 3.1.).

3) კულტურის დაფინანსებისა და წახალისების ინოვაციური მიდგომების დანერგვის, საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე და ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიმართულებით (მიზანი 4.1).

4) კულტურის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დანერგვის მიმართულებით (მიზანი 8.1) და

5) კულტურის კვლევებისა და სტატისტიკის წარმოებისა და ხელმისაწვდომობი სუზრუნველყოფის კუთხით (მიზანი 8.2).

ამ ეტაპზე უცნობია რა გაკეთდა 2016 წლიდან მოყოლებული სტრატეგიის იმპლემენტაციის მხრივ განსაკუთრებით თვითმმართველობებთან მიმართებით, თუმცა სტრატეგიამ შექმნა ის ძირითადი ჩარჩო, რომლის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის სტარტეგიების შემუშავება, რიგი ორიენტირების გათვალისწინებით – ხდება შესაძლებელი.

ამის მიუხედავად, კულტურა მუნიციპალურ დონეზე კვლავაც მრავალი გამოწვევის წინაშე რჩება და საკუთარი უფლებამოსილებების არცთუ გრძელი სიიდან ამ კონკრეტულ უფლებამოსილებას – მუნიციპალიტეტები სათანადოდ ვერ იყენებენ არასაკმარისი დაფინანსების, სხვადასხვა დაწესებულებას შორის ნაკლები კოორდინაციის და თანამედროვე მართვის მიდგომების და დარგობრივი ცოდნის დეფიციტის გამო.

ადგილობრივი კულტურის განვითარების სტრატეგია, მიღებული ფართო-მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესით და დამტკიცებული შესაბამისი თვითმმართველი ორგანოების მიერ, ნაკლებად რომ რომელიმე მუნიციპალიტს მოეპოვებოდეს. ასევე, მაგალითად კახეთის (და სხვა მხარეების) რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია საერთოდ არ მოიცავს კულტურის სფეროს და მისი განვითარების ხედვას. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა სტრატეგიაში დასახელებულია, როგორც ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა და ძლიერი მხარე, რაც თავისთავად სწორი მიდგომაა, თუმცა, ასეთი მასშტაბის დოკუმენტში კულტურის სფეროს ცალკე პრიორიტეტად არ არსებობა პრობლემურად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული გარემოებები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რამდენად არასათანადოდ არის გააზრებული კულტურის როლი, როგორც თემის იდენტობის შენარჩუნების, მისი განვითარების, მათ შორის

მოცემული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი.

2.2. მუნიციპალური კულტურის არსებული პრობლემების მიმოხილვა

კულტურის სფეროში უფლებამოსილებების მიმოხილვა აჩვენებს, რომ პრობლემას მუნიციპალურ დონეზე არა დეცენტრალიზაციის, არამედ ამ კომპეტენციის გამოყენების პრობლემა დგას. ადგილზე კულტურის მნიშვნელობის გააზრება და შესაბამისი განვითარების პოლიტიკების შემუშავება, რაც თავის მხრივ დარგობრივ კვლევებსაც უნდა ითვალისწინებდეს, არაერთ პრობლემასთან არის დაკავშირებული. შესაძლოა მუნიციპალურ კულტურის სფეროში არსებული ეს გამოწვევები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, მაგრამ ვფიქრობ, ძირითადად მაინც ერთი ტიპის სირთულეებთან უნდა გვქონდეს საქმე: კულტურის როლის არასათანადო გააზრება, მართვისა და დაფინანსების არაეფექტური სისტემა (ფინანსების ნაკლებობა ზოგადად) და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

2014-2016 წლებში ააიპ „სათემო განვითარების ცენტრის“ მიერ მუნიციპალური კულტურის ორი საფუძვლიანი კვლევა ჩატარდა. 2014 წელს - „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსების აღწერა“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსების მრავალმხრივ შესწავლა-აღრიცხვას (cultural mapping) და სამომავლოდ, ადგილობრივი კულტურის პოლიტიკის დაგეგმვისათვის (cultural planing) რეკომენდაციების შემუშავებას ითავლისწიებდა.

რამდენადაც კვლევის – „სიღნაღი კულტურისათვის“ – მიხედვით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს მართვის საკითხები და კადრების ნაკლებობა გამოიკვეთა და ძირითადი რეკომენდაციებიც, სწორედ ამ კუთხით შემუშავდა, 2016 წელს სათემო განვითარების ცენტრმა დამატებით ჩაატარა კვლევა „კულტურის სფეროს მართვა სიღნაღისა და

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში“;კვლევა ძირითადად კულტურის სფეროს მართვის კუთხით არსებული პრობლემების უფრო სიღრმისეულ შესწავლას ისახავდა მიზნად და რეკომენდაციებით მართვისა და სერვისების გაუმჯობესებაზეა მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევები მხოლოდ კახეთის მხარის ორ მუნიციპალიტეტში ჩატარდა, სავარაუდოა, რომ გამოვლენილი პრობლემები წარმოადგენს მთლიანად საქართველოს მუნიციპალიტეტებში, კულტურის სფეროში არსებულ ზოგად სურათს ერთეული გამონაკლისის გათვალისწინებით. კვლევების შედეგად გამოვლენილი პრობლემების საკმაოდ ფართო სპექტრიდან, აქ რამდენიმე ძირითადს შევეხებით, სწორედ ისეთს, რაც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისათვის შეიძლება საერთო იყოს. ესენია: კულტურის სფეროს მართვასთან, ადგილობრივი სტრატეგიების არარსებობასა და სერვისების მიზანშეწონილობა-ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევის სარეკომენდაციო ნაწილი პრობლემების შესაბამისად პირველ რიგში სწორედ კულტურის სფეროში ადგილობრივი, რეალისტური და გრძელვადიანი ხედვის, მიზნებისა და პრიორიტეტების შემუშავებას, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას, არსებული მართვის მოდელების გაუმჯობესებასა და კულტურის სფეროში დასაქმებული პირების გადამზადებას შეეხო.

ა) მუნიციპალიტეტებში არ არსებობს ადგილობრივი კულტურის განვითარების ხედვა

პრობლემათა ანალიზის დროს, პირველ რიგში უნდა გამოიყოს მუნიციპალიტეტებში კულტურის განვითარების ადგილობრივი ხედვის და სტრატეგიების არარსებობა. მსგავსი დოკუმენტები არათუ არსებობს, არამედ ხშირ შემთხვევაში ასეთის საჭიროებას მოქმედი კულტურის დაწესებულებების ხელმძღვანელები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ნაკლებად აცნობიერებენ. ერთიანი განვითარების ხედვის არარსებობა თავის მხრივ, იწვევს არათანმიმდევრულ პოლიტიკას, სფეროს დაფრაგმენტებას,

მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების შესაბამისი სერვისების ხელმიუწვდომლობას და ხშირად არ არის ხარჯთეფექტური.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალურ დონეზე კულტურის სფეროს ეფექტური მუშაობისათვის, პირველ რიგში საჭიროა დაინტერესებულ მხარეთა ფართო მონაწილეობით სფეროს განვითარების გრძელვადიანი ხედვის, მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. ხედვის შემუშავება უნდა იყოს მონაწილეობითი, ღია და საჯარო პროცესი, რომლის დროსაც უნდა მოხდეს სხვადასხვა სერვისის სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება ასაკობრივ, გენდერულ, გეოგრაფიულ ჭრილში და მათი საჭიროებების კვლევა; იმისათვის რომ დაგეგმვა რეალისტური და ეფექტური იყოს, ასევე რესურსების ოპტიმიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, სასურველია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსის შესწავლა და აღრიცხვა. ასევე, რეკომენდირებულია დაგეგმვის პროცესში ადგილობრივი დემოგრაფიული მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების, მაგალითად, ტურისტული პოტენციალის გააზრება და კულტურის პოლიტიკის დაკავშირება სხვა დარგებსა და განვითარების ზოგად ხედვებთან. სწორედ კვლევების შედეგად გამოვლენილ მონაცემებს (საჭიროებებს) უნდა ეყრდნობოდეს სტრატეგიაც და შემდეგ უკვე ცალკეული სერვისებიც.

კულტურის პოლიტიკის ხედვა უნდა დაუკავშირდეს კულტურის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდას. ეს გულისხმობს, რომ უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეტ მოქალაქეს მიეცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს კულტურის სერვისებით, ჩაერთოს კულტურულ და საზოგადოებრივ აქტივობებში. დღესდღეობით განსაკუთრებით ზრდასრული მოსახლეობის (და არა მარტო) ჩართულობის კუთხით ძალზედ არასახარბიელო სურათია.

მუნიციპალიტეტში კულტურის პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი შეიძლება იყოს შესაბამისი მუნიციპალური სამსახური, რაც გულისხმობს მის

წამყვან როლს სფეროს განვითარების ხედვების, მიზნების, პრიორიტეტების, საბიუჯეტო პროგრამების და ქვეპროგრამების შემუშავებაში. სამსახური უნდა უზრუნველყოფდეს პროცესის საჯაროობასა და მონაწილეობითობას.

ბ) კულტურის ადგილობრივი ქსელის მართვა არაეფექტურია

ძირითად პრობლემად მიზნობრივ მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა მუნიციპალური კულტურის სფეროს მართვის არსებული სისტემა; ასევე კვალიფიციური კადრების დეფიციტი. არ ხდება კულტურის სფეროს მართვის არსებული სისტემების კრიტიკული ანალიზი და შესაბამისად, არარსებობს პროცესების (მათ შორის დაფინანსების სისტემების) გაუმჯობესებაზე მიმართული პოლიტიკა. კულტურის დაწესებულებებში შეინიშნება თანამედროვე მართვის კომპეტენციების ნაკლებობა, ფუნქციების არასაკმარისი გამიჯვნა, პროგრამულ და კოორდინირებულ, ქსელურ მუშაობასთან დაკავშირებული მრავალი სხვა პრობლემა.

რეკომენდირებულია კულტურის სფეროს მართვის არსებული სისტემის ფუნქციური ანალიზის საფუძველზე მოხდეს მისი ოპტიმიზაცია, რაც შეიძლება გულისხმობდეს კულტურის ადგილობრივი დაწესებულებების დღეს მოქმედი ქსელის შესწავლას და არსებული სახით შენარჩუნების მიზანშეწონილობის კრიტიკულ გააზრებას, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქსელში გაერთიანებულ პროვაიდერებს შორის პრიორიტეტების და მიზნების გაზიარებული ხედვა, რესურსების (თანხების, კადრების, ინფრასტრუქტურის) ოპტიმიზაცია, ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა, გადაფარვების თავიდან აცილება და, საბოლოო ჯამში, კულტურის სერვისების ხარისხის ზრდა. ამ კუთხით შესაძლოა რიგ შემთხვევებში ინტეგრირებული მიდგომის განვითარება. ინტეგრირებული მიდგომა გულისხმობს სათემო კულტურის ცენტრის იდეის განხორციელებას, რომელიც შესაძლოა შეიქმნას კონკრეტულ თემში არსებული კულტურის სახლის, მუზეუმისა თუ ბიბლიოთეკის ბაზაზე. ამ პროცესში გასათვალისწინებელია ადგილობრივი კულტურის ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. ზოგიერთ

შემთხვევაში მიზანშეწონილია გაფართოვდეს მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების დანიშნულება და მათ უნდა შეითავსონ ზრდასრულთა განათლებისა და სათემო კულტურული სერვისების მიმწოდებლის ფუნქცია.

რეკომენდაციები ასევე შეეხება მუნიციპალური კულტურის სამსახურების შიდა განაწესების, საქმიანობის შეფასების და მონიტორინგის სისტემის შემუშავების აუცილებლობას. კულტურის პროგრამების დაფინანსება უნდა ხდებოდეს პროგრამული ბიუჯეტის პრინციპების შესაბამისად და ორიენტირებული იყოს შედეგზე (რომელიც შეიძლება გაიზომოს) და არა მხოლოდ პროცესზე.

გ) კულტურის სერვისები ხშირად არასათანადოდ არის დაგეგმილი და რთულადაა ხელმისაწვდომი

კულტურის ადგილობრივი ქსელის გაუმართავი მართვის სისტემა, ადგილობრივი კულტურის განვითარების ხედვის არარსებობასთან ერთად პირდაპირ აისახება კულტურის სერვისების არაეფექტურობასა და მოსახლეობის უკმაყოფილებაზე. თუკი მუნიციპალიტეტი ქმნის კულტურის დაწესებულებებს კონკრეტული ამოცანით და საჯარო ფინანსებით, მოსახლეობას ავტომატურად ენიჭება უფლება მოითხოვოს ამ ამოცანების შესაბამისი სერვისების მიღება.

არსებული სერვისები ხშირად ერთფეროვანია და მათი დაგეგმვისას არ ხდება მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინება. მაგალითად არ ხდება ამა თუ იმ კონკრეტული სერვისის შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფის იდენტიფიცირება და მისი აზრის კვლევა. ამიტომ მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისები ხშირად ვერ პასუხობს სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს, ინტერესებს და გამომდინარეობს მხოლოდ არსებული ადამიანური თუ ინფრასტრუქტურული რესურსის ხელმისაწვდომობიდან: თუკი ადგილზე არის მაგალითად, ფანდურის პედაგოგი, იქმნება ფანდურის წრე იმის მიუხედავად თუ რამდენი ადამიანი არის დაინტერესებული აღნიშნული წრით. ეს განპირობებულია ერთის მხრივ ადგილზე სხვადასხვა სპეციალისტის არ არსებობით და, მეორე მხრივ, სერვისების დაგეგმისას არასათანადო მოსამზადებელი სამუშაოს (კვლევების) ჩატარებით.

ზოგადად არ ხდება კულტურის სერვისების შეფასება (შეფასების სისტემა საუკეთესო შემთხვევაში შემოიფარგლება ღონისძიებების აღნუსხვით და არ ითვალისწინებს ბენეფიციართა კმაყოფილების შესწავლას, გრძელვადიანი ეფექტის შეფასებას) ასევე, არ გამოიყენება გაწეული დანახარჯებისა და სოციალურ ეკონომიკური ეფექტის შედარებითი ანალიზი. დაწესებულებები არ არიან ვალდებულნი, ჩააბარონ წერილობითი ანგარიში მუნიციპალიტეტს. ეს ყოველივე შეუძლებელს ხდის კულტურის პროგრამათა ჯეროვან შეფასებას, დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებას შემდგომი დაგეგმვისათვის.

დამატებით პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს კულტურის რესურსების (სერვისების) არასათანადო გადანაწილება მუნიციპალურ ცენტრსა და პერიფერიებ სშორის, რასაც მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის სატრანსპორტო კავშირის სირთულეები ემატება; აქედან გამომდინარე, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი რჩება.

კულტურის სერვისების გამრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი პროგრამების დაგეგმვის პროცესებში უნდა მოხდეს მოქალაქეების და მათი საჭიროებების მაქსიმალური ჩართულობა და ასახვა; რეკომენდირებულია მიზნობრივი ჯგუფების ასაკობრივ, გენდერულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ ჭრილში იდენტიფიცირება და მათი საჭიროებების კვლევა, აგრეთვე ამ მონაცემებზე დაყრდნობით სერვისების შემუშავება;

კულტურის სფეროში სერვისების ხარისხის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია მართვისა და დაფინანსების მექანიზმის ოპტიმიზაციაც. პირველ რიგში, ეს გულისხმობს კულტურის სფეროში მოქმედი მუნიციპალური საჯარო იურიდიული პირებისათვის შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბებას. კულტურის სერვისებისა და ღონისძიებების მიწოდებაში ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ჯგუფების ჩართვა. ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროცესში საზოგადოების მეტ

ჩართულობას, გამჭირვალობას და, მეორე მხრივ, ახალი, თემის საჭიროებებზე მორგებული, ინოვაციური სერვისების/ღონისძიებების განხორციელებას. შესაბამისად სერვისების განვითარება-მიწოდების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ აქტიორებს შორის მჭიდრო კოორდინირებული მუშაობა.

დ) მუნიციპალური კულტურის ქსელში დასაქმებული პერსონალი კვალიფიკაციის ამაღლებას და გადამზადებას საჭიროებს

ზემოთ აღნიშნულ ორივე კვლევას ლაიტმოტივად გასდევდა კულტურის ქსელში დასაქმებული პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია როგორც კულტურის, ისე მართვის თანამედროვე საკითხებში. კვლევის ფოკუს ჯგუფები მიიჩნევენ, რომ კულტურის დაწესებულებებში პერსონალი ხშირად გაბერილია არაკვალიფიციური კადრებით.

ქსელის მოქალაქეზე ორიენტირებულად მუშაობისათვის, ძალზედ მნიშვნელოვანია კულტურის სფეროში ჩართული ადამიანური რესურსების გადამზადება. ადგილობრივი კულტურის სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, რეკომენდირებულია ასევე კულტურის სფეროში ჩართული ადამიანური რესურსების განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადებაც. და მიუხედავად იმისა, რომ კულტურა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მაგალითზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ რიგი საკითხების მოგვარებას, და მათ შორის განსაკუთრებით კულტურის სფეროში ჩართული ადამიანური რესურსების გადამზადების უზრუნველყოფას, მხოლოდ მუნიციპალიტეტის ძალისხმევა არ ეყოფა. ამისათვის მიზანშეწონილი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული მიდგომის შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო სამსახურმა (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ანდაც საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების სამინისტრო) განახორციელოს კულტურის სფეროს მუნიციპალური კადრების გადამზადების სპეციალური სახელმწიფო

პროგრამა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს კადრების გადამზადებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა: მართვის თანამედროვე მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვა, მუნიციპალურ მუზეუმებში საგანმანათლებლო საქმიანობების განვითარება, ექსპოზიციებისა და გამოფენების ორგანიზება, ბიბლიოთეკების თანამედროვე მართვის სისტემები, ფესტივალებისა და ღონისძიებების ორგანიზება, ტრადიციული რეწვის განვითარება, ინტეგრირებული სისტემები და სხვა.

ზოგადად კი, მიზანშეწონილია თანამშრომლობა და კოორდინირებული მუშაობა კულტურის სფეროს სხვადასხვა დაწესებულებასთან, მათ შორის საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებთან. მუნიციპალიტეტის არსებული ბიუჯეტი კულტურისათვის ხშირად არ არის საკმარისი ახალი პროგრამების განსახორციელებლად, სწორედ ამიტომ, ადგილობრივი კულტურის განვითარების დაგეგმვას და ამ პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. თანამშრომლობით, მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსების გაერთიანებით, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს საშუალება მიეცემათ, მცირედი ფინანსური მხარდაჭერით გაცილებით მნიშვნელოვან, გრძელვადიან შედეგებს მიაღწიონ.

შეჯამება

მუნიციპალური კულტურის სფეროს განვითარების მნიშვნელობა, ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა თავისუფალი დროის გონივრულად მართვის ან ადგილობრივი თემის იდენტობის შენარჩუნების ამოცანაა და მეორე მხრივ, კონკრეტული ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი.

სწორედ მრავალფეროვანი და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი კულტურის პროგრამები წარმოადგენსამა თუ იმ ადგილის განვითარებისათვის, მისი საცხოვრებლად მიმზიდველ ადგილად ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას; სერვისები მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე, კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ცხოვრებით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

კულტურის პროექტების პოზიტიური გავლენა მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე საერთაშორისო გამოცდილებითაც დასტურდება და საქართველოში, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ერთჯერადად განხორციელებული კულტურის პროექტებითაც. მსგავსი პროექტები ეფექტს ხშირად არა მარტო ერთ კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფზე (მაგ., პროექტის უშუალო მიზნობრივი ჯგუფი), არამედ მთლიანად თემსა და მუნიციპალიტეტზე შეიძლება ახდენდნენ სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით. მიუხედავად ამისა კულტურის სფეროს მდგრადი განვითარება და შედეგები ფრაგმენტული პროექტებით ნაკლებად მიიღწევა და მნიშვნელოვანია ადგილზე კულტურული ცხოვრების გრძელვადიან ხედვაზე დაფუძნებული მუნიციპალური მხარდაჭერა. ამისათვის კი ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირება, ზოგადად კულტურის როლის წინ წამოწევა და მისი დაკავშირება უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურულ თუ ეკონომიკურ პროექტებთან, სიღარიბის დაძლევასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ თუ სოციალურ და საგანმანათლებო პროგრამებთან.

დღეს არსებული პრობლემები (მართვა, სერვისები, სტრატეგიები, კადრები), ის იმ ფუნდამენტური საკითხებია საკითხებია, რომელთა გაუმჯობესებაზე ფიქრიც პირველ რიგში უნდა დაიწყოს, რადგან გააზრებული ხედვისა და შესაბამისი მმართველობითი სისტემის გარეშე შეუძლებელი იქნება სხვა ისეთი საკითხების დღის წესრიგში დაყენება, რომელთა მოგვარებაც მუნიციპალიტეტებში აუცილებელია: ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის რესურსების აღწერა, ადგილზე სახელობო, სახელოვნებო პროცესების წახალისება, არსებული კულტურის ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია და სათემო ცენტრების იდეის განვითარება, კულტურის პროგრამების დანერგვა არაფორმალური განათლების მიზნით და მუნიციპალიტეტში კულტურის ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარება, მათ შორის კულტურის ალტერანტიული ტურების შემუშავება და სხვ.

ადგილობრივი კულტურის განვითარების, მართვის, სერვისების მრავალფეროვნებისა და ხელმისაწვდომობის, კულტურის რესურსების შესწავლა-გააზრება კვლევაზე დაფუძნებით უნდა ხდებოდეს. სწორედ სათანადო კვლევებმა შეიძლება შეუწყოს ხელი და დღის წესრიგში დააყენოს კულტურის, როგორც მუნიციპალური განვითარებისერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტის გააზრებაზე მსჯელობის დაწყება. პროცესი კი დიდწილად თავად მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ წარმართონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინტერმუნიციპალური და სხვა ტიპის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით, რადგანაც კულტურა მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Schneider W., Kegle B., Koss D., (eds). (2017),

   Vital Village. Development of Rural Areas as a Challenge for Cultural Policy

2. Muss eine Stadt Kultur planen? (2019), Villingen-Schwenningen.

   Retrived 09.01.2019 from https://www.villingen-schwenningen.de/kultur/kulturplan-2025/muss-eine-stadt-kultur-planen.html

3. Richter R.,"Die Bedeutung der Kulturarbeit im ländlichen Raum"(Vortrag 8. Juni 2007 „15 Jahre Mobiles Kino Niedersachsen" in Oldenburg)

   Retrived 09.01.2019 from http://www.mobiles-kino-niedersachsen.de/Download/Richter-Vortrag.pdf.

4. Richter, R., Richter Beratung, Osnabrück

   Retrived 09.01.2019 from http://www.richter-beratung.de/

5. CULTURE AS A GOAL IN THE POST-2015 DEVELOPMENT AGENDA,

   Retrived 09.01.2019 from

   http://agenda21culture.net/sites/default/files/files/pages/advocacy-page/culture-as-goal–eng.pdf

6. Agenda for Culture 21,

   Retrived 09.01.2019 from http://www.agenda21culture.net/documents/agenda-21-for-culture

7. Kulturentwicklungsplanung des Kulturamtes: Zentrale Schwerpunkte in der Stuttgarter Kulturarbeit, Stuttgart, 11.10.2012.

   Retrived 09.01.2019 from

   https://www.stuttgart.de/img/mdb/item/503207/86068.pdf

8. Kultur und Stadt – die zukünftige Kulturpolitik der Kommunen Baden-Württembergs Hinweise und Empfehlungen Retrived 09.01.2019 from

   http://www.staedtetag-bw.de/media/custom/2295–6391–1.PDF?1396956174

9. KULTURENTWICKLUNGSPLAN NEU DER STADT LINZ,

Retrived 09.01.2019 from http://kep-linz.at/wp-content/uploads/2011/08/KEPneu.pdf

10. UNESCO chair "Cultural Policy for the Arts in Development" Retrived 09.01.2019 from https://www.uni-hildesheim.de/en/unesco-chair-cultural-policy-for-the-arts-in-development/
11. სათემო განვითარების ცენტრი (2016 წ). კულტურის სფეროს მართვა სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში/ ანგარიში და რეკომენდაციები. წყარო 09.01.2019 - ttps://www.scribd.com/document/342459248
12. გიორგი მაისურაძე, ეროვნული კულტურა და კულტურის პოლიტიკა. სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები, 2014.
13. სათემო განვითარების ცენტრი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები, 2014.
14. „კულტურის სტრატეგია 2025", (2016). საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. წყარო 09.01.2019 http://www.cultureandsports.gov.ge/getfile/c6ebf2e3-4510-4588-a062-29f438ac1d37/.aspx

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვის სადოქტორო პროგრამა

მესამე სემესტრის დოქტორანტი

როსტომი ლეჟავა

სადოქტორო სემინარი

პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიზაციის შემაფერხებელი ფაქტორები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადოქტორო სემინარის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

როსტომი ლეჟავა

თბილისი, იანვარი, 2019

აბსტრაქტი

სასემინარო ნაშრომი ეხება პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებს, რომელიც დაბალი ტემპებით ხასიათდება. დემოკრატიზაცია მოიაზრებს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების გამიჯვნას, ძალთა ბალანსის სწორ გადანაწილებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს ხელეწიფება.
პოსტსაბჭოთა სივრცეში სუვერენიტეტის შენარჩუნება ცოტამ თუ მოახერხა, რაც რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკით არის განპირობებული.
იქიდან გამომდინარე, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიზაციის შეფერხებაში ყველაზე დიდი ადგილი რუსეთს უჭირავს, მიზანშეწონილად ჩავთვალე კვლევის პროცესში მთელი ყურადღება რუსეთის პოლიტიკის შეფასებისთვის დამეთმო, რამაც საინტერესო შედეგებამდე მიმიყვანა.
კვლევა წარმოაჩენს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის დღევანდელ რუსეთთან ჰორიზონტალური, კეთილმეზობლური, თანასწორი ურთიერთობის შენარჩუნება შეუძლებელია, რუსეთთან მოკავშირეობა პირდაპირ არის დაკავშირებული სუვერენიტეტის ნაწილის დათმობასთან, რასაც არაერთი მაგალითი გვიდასტურებს.
ნაშრომში შევეცადე ამეხსნა, თუ რატომ არ სურს რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიზაცია და რა საფრთხეებს ხედავს ის ამ პროცესებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები : **„პოსტსაბჭოთა სივრცე“, „რუსეთი“, „დემოკრატიზაცია“**

Abstract

My inquiry is about the process of democratisation within the Post-Soviet space, that has unprecedented slow temps. Democratization on its own means forming Government institutions, where the political authority is balanced and the legislative, executive and judicial powers are separated, that can be accomplished only in case of total sovereignty. Within the Post-Soviet Space, only some could remain its sovereignty, because of the aggressive policy of the Russian Federation.

Based on the fact that Russia occupies the largest space in the interruption of Democratization of the Post-Soviet Space, I have considered advisable to put all my efforts to evaluate the Russian aggressive policy against Post-Soviet countries, that brought me the very interesting results.

My research shows that there can't be horizontal, equal relations among nowadays Russia and its' neighbouring Post-Soviet countries, that will be based on mutual values and respect. Being an ally of Russia means loosing part of the National Sovereignty that we already saw in many previous cases.

My research is trying to explain why does russia see Democratization of the Post-Soviet Space as an existential threat for its national interests.

Key words : „Post-Soviet Space", „Russia", „Democratization"

სარჩევი

შესავალი 1

1. დემოკრატიის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 7

2. სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური კავშირები პოსტსაბჭოთა სივრცეში 9

2.1 დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი 9

2.2 კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია 11

2.3 ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნები 14

3. რუსეთის პოლიტიკა პოსტ საბჭოთა სახელმწიფოებში 18

2.1 რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ურთიერთობა 18

2.1.1 რუსეთ - მოლდოვას ურთიერთობები 19

2.1.2 რუსეთ - ბელარუსის ურთიერთობები 21

2.1.3 რუსეთ - უკრაინის ურთიერთობები 23

2.2 რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში 25

2.2.1 რუსეთ - სომხეთის ურთიერთობები 25

2.2.2 რუსეთ - აზერბაიჯანის ურთიერთობები 27

2.2.3 რუსეთ - საქართველოს ურთიერთობები 29

2.3 რუსეთი და ცენტრალური აზია 33

დასკვნა 36

ბიბლიოგრაფია 37

შესავალი

1991 წლის 25 დეკემბერს მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ზეიმობდა, კრემლის თავზე საბჭოთა დროშა დაეშვა, იმავე დღეს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს დამოუკიდებლობა მიულოცა, 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა.

საბჭოთა მარწუხებისგან გათავისუფლებული სახელმწიფოები დღიდან დამოუკიდებლობისა ურთულესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. მოშლილი იყო ქვეყნების ეკონომიკა, სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურები ვერ უზრუნველყოფდნენ არსებული კრიზისების დაძლევას, რამაც მოსალოდნელზე დიდხანს გასტანა.

საბჭოთა კავშირის დაშლა ყველაზე მტკივნეულად რუსეთმა აღიქვა, ის ვერ შეელია მის „პარტნიორებზე“ კონტროლის დაკარგვას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2007 წლის მიუნხენის სამიტზე საბჭოთა კავშირის დაშლა 20-ე საუკუნის ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეაფასა და ამით მისი იმპერიალისტური ზრახვები დააანონსა.

სწორედ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგია პოსტსაბჭოტა სივრცეში (ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა) არსებული არაერთი დაუსრულებელი კონფლიქტი, სუსტი ეკონომიკა და დემოკრატიზაციის დაბალი მაჩვენებელი.

კვლევის საგანი და საკითხის აქტუალურობა

აღნიშნული კვლევის საგანია პოსტსაბჭოთა სივრცე, კერძოდ კი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები, რომელიც საკმაოდ ნელი ტემპებით ხასიათდება. გამონაკლისია ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებმაც პირველებმა დააღწიეს თავი რუსეთის ზეგავლენას და ევროპულ ოჯახს შეუერთდნენ. მათი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტი სამხედრო პოლიტიკური ალიანსის - ნატოს წევრობაა, რომელსაც ისინი 2004 წელს შეუერთდნენ.

სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს განსხვავებით ბალტიისპირეთისგან არ გააჩნიათ მყარი ბერკეტები რუსეთიდან მომავალი საფრთხეების ასარიდებლად, რაც საგრძნობლად აფერხებს მათ განვითარებას. ამისი ყველაზე კარგი მაგალითია საქართველო და უკრაინა, რომლებიც რუსეთის მხრიდან მათი ევროატლანტიკური მისწრაფებების გამო მკაცრად დაისაჯნენ.
პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები და იქ არსებული დემოკრატიზაციის პრობლემები, ბევრი მეცნიერისა და მკვლევარის შესწავლის საგანი ყოფილა. ეს თემატიკა დღესაც არანაკლებ აქტუალურია, რადგან „ჰარტლენდზე“ მსოფლიოს არერთი აქტორის ინტერესები იკვეთება.

კვლევის მიზანი და ამოცანა

კვლევის მიზანია დავადგინოთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების დემოკრატიზაციიის შემაფერხებელი ფაქტორები, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გაანალიზებას.
კვლევის ამოცანას - წარმოადგენს ის გზები და ხერხები, რაც მიგვიყვანს საკვლევ მიზნამდე და მოგვცემს შესაძლებლობას დავამტკიცოთ ან უარვყოთ კვლევაში მოცემული ჰიპოთეზები, შესაბამისად კვლევის ამოცანა შემდეგში მდგომარეობს :

- მიმოვიხილოთ რუსეთის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში;
- დავადგინოთ ის მეთოდები, რითაც რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი გავლენის არეალს აფართოებს;
- წარმოვაჩინოთ, თუ რატომ არ სურს რუსეთს პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიზაცია;

საკვლევი კითხვა - რა მეთოდებით და ხერხებით ცდილობს რუსეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნების დაქვემდებარებას და რა ზეგავლენა აქვს მას რეგიონში დემოკრატიზაციის პროცესებზე.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი საველე კვლევის ანალიტიკურ ინდუქციის მეთოდი. როდესაც მკვლევარები თვისებრივ კვლევაში ერთვებიან მათი მიზანია არსებული თეორიის ჭეშმარიტების ან სიმცდარის დადასტურება ან მისი კორექტირება. ამ მიზანს ისინი დედუქციურად აღწევენ - წამოაყენებენ თეორიიდან ჰიპოთეზებს და შეგროვებული მონაცემების გამოყენებით სტატისტიკურად ამოწმებენ მათ. თვისებრივი საველე კვლევა საპირისპირო მიმართულებით მიდის, ამ დროს გამოიყენება მეთოდი, რომელსაც ანალიტიკურ ინდუქციას ვუწოდებთ. მკვლევარები აგროვებენ მონაცემებს, აყალიბებენ ჰიპოთეზებს ამ მონაცემებზე დაყრდნობით შემდგომ ამოწმებენ ჰიპოთეზებს არსებული მონაცემების გამოყენებით და ცდილობენ განავითარონ თეორია. მათი განვითარებული თეორია მყარი საფუძვლის მქონე თეორიაა, რამდენადაც იგი ამოზრდილია და მყარ შესაბამისობაში მოდის კონკრეტულ საკვლევ გარემოსთან.[1]

თვისებრივი კვლევის უპირატესობად მიმაჩნია, რომ ის ნაკლებადაა ფორმალიზებული და მეტწილად საკუთარ გამოცდილებაზე, შეხედულებებზეა დამყარებული. ცნობილია, რომ კვლევის თვისებრივი მიდგომები სოციალურ მეცნიერებებში, რაოდენობრივ კვლევებზე ადრე დამკვიდრდა, ნიშანდობლივია ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლების - უილიამ თომასისა და ფლორიან ზნანეცკის ყველაზე ცნობილი გამოკვლევა „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“,[2] რაც პირადი მიმოწერის ანალიზს ეყრდნობა. მიმაჩნია, რომ მსგავსი ტიპის მიმოწერების, საჯარო ინფორმაციების, კანონმდებლობების ანალიზი სიტუაციის შეფასების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად ზემოაღნიშნული უპირატესობებისდან გამომდინარე ურო მეტ მნიშვნელობას კვლევის თვისებრივ მეთოდს ვანიჭებ. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი

---

[1] ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი: *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში თბილისი 2009*

[2] თინათინ ზურაბიშვილი: *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში თბილისი 2006*

კვლევის შემდეგი მიდგომები :

- ✓ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების პოლიტიკის ანალიზი;
- ✓ ოფიციალური სტატიების დამუშავება;
- ✓ სიღრმისეული ინტერვიუები;

კვლევაში ასევე გამოყენებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდის, რამოდენიმე მიდგომა. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე დავახარისხე გამომცემლობა ეკონომისტის მიერ შემოთავაზებული 2018 წლის სტატისტიკური მონაცემები, რომლის საფუძველზეც ვიმსჯელე პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ დემოკრატიის მაჩვენებლებზე.

თეორიული ჩარჩო

ნაშრომის თეორიული საფუძველია ცნობილი ინგლისელი აკადემიკოსის ჰალფორდ ჯონ მაკინდერის „ჰარტლენდის“ თეორია, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ისტორიის „საყრდენი წერტილი“, „გეოგრაფიული ღერძი“ არის ტერიტორია, რომელიც აერთიანებს ცენტრალურ აზიას, ურალსა და ციმბირს. აღნიშნული სივრცე ევრაზიის შუაგულს წარმოადგენს. ჰალფორდმა ისტორიული ფაქტებით დაასაბუთა რომ ყველა დიდი იმპერია სწორედ ამ ტერიტორიის დაპყრობას ცდილობდა, რაც თავისი მდიდარი რესურსებიდან გამომდინარე აბსოლუტური ძალაუფლების წყაროს წარმოადგენდა. მრავალი იმპერია დამარცხებულა „ჰარტლენდზე“ ძალაუფლების მოპოვებისათვის, ნაცისტური გერმანია იყო ბოლო, ვინც ამ ამბიციას შეეწირა.[3]

21 საუკუნეში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე „ჰარტლენდის“ თეორია საკმაოდ აქტუალურია და ის ძირითადად საბჭოთა კავშირის და დღევანდელი რუსეთის პოლიტიკას ეხმიანება. საბჭოთა იმპერიას 15 წევრი სახელმწიფოს გარდა უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა აღმოსავლეთ გერმანიაზე,

[3] Eldar ismailov, Vladimer papava *„Rethinking Central Eurasia“ June 2010*

პოლონეთზე, უნგრეთზე, ყოფილ ჩეხოსლოვაკიაზე, ალბანეთზე, ყოფილ იუგოსლავიაზე, რაც პრაქტიკულად მთლიანი „ჰარტლენდის“ კონტროლს გულისხმობდა. 1991 წლის 25 დეკემბერი იყო დღე, როდესაც საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა და იმპერიალისტმა რუსეთმა „ჰარტლენდზე“ გავლენები დაკარგა.

დღევანდელი რუსეთის აგრესიული პოლიტიკა სწორედაც რომ მიმართულია დაკარგულ „ჰარტლენდზე“ გავლენების აღსადგენად, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების დემოკრატიზაციის პროცესებს.

ლიტერატურის მიმოხილვა.

კვლევაში გამოყენებულია როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურა, რაც შესაბამისი წესების დაცვით მითითებულია ბიბლიოგრაფიაში. მნიშვნელოვანია ჯონ მაკინდერის „ჰარტლენდის“ თეორიის გააზრება, Eldar Ismailov და Vladimer Papava - ის თანაავტორობით, რომელიც კარგად ხსნის რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მამოძრავებელ მოტივებს.

ნაშრომში გამოყენებულია გამომცემლობა ეკონომისტის მიერ შემოთავაზებული 2018 წლის სტატისტიკური მონაცემები მსოფლიო დემოკრატიის ინდექსის შესახებ, რაც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების პოლარიზაციის დონეს კარგად წარმოაჩენს.

მნიშვნელოვანი იყო Stephan Aris - ის ნაშრომი, სადაც გაანალიზებულია რუსეთის მიერ შექმნილი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ალიანსების ჩამოყალიბების მიზეზები და მიზნები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოვიყენე Bobo Lo - ის სტატია, რომელიც დეტალურად აღწერს რუსეთის ექსპანსიურ პოლიტიკას ცენტრალურ აზიაში.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 6 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან. ზოგიერთი ქვეთავი ასევე მოიცავს ქვე-ქვეთავებს.

პირველ თავში მოცემულია გამომცემლობა ეკონომისტის მიერ შემოთავაზებული 2018 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული დემოკრატიის მაჩვენებლის თაობაზე.

მეორე თავი ეთმობა რუსეთის მიერ შექმნილი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ალიანსების განხილვას.

მესამე თავში მოცემულია რუსეთის ურთიერთობები პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, რასაც ნეგატიური გავლენა აქვს დემოკრატიზაციის პროცესებზე.

1. დემოკრატიის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანად ჩავთვალე 2018 წლის დემოკრატიის ინდექსზე დაყრდნობით, შევაფასო პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული დემოკრატიის მაჩვენებელი, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულმა გამომცემლობამ ეკონომისტმა გამოაქვეყნა.

დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა სივრცეში

	პოსტსაბჭოთა სახელმწიფო	საერთო ქულა	რეგიონული მაჩვენებელი	გლობალური მაჩვენებელი	რეჟიმის ტიპი
1	ესტონეთი	7.97	1	23	არასრული დემოკრატია
2	ლიტვა	7.5	3	36	არასრული დემოკრატია
3	ლატვია	7.38	5	38	არასრული დემოკრატია
4	მოლდოვა	5.85	15	79	ჰიბრიდული რეჟიმი
5	უკრაინა	5.69	17	84	ჰიბრიდული რეჟიმი
6	საქართველო	5.5	18	89	ჰიბრიდული რეჟიმი
7	ყირგიზეთი	5.11	19	98	ჰიბრიდული რეჟიმი
8	სომხეთი	4.79	21	103	ჰიბრიდული რეჟიმი
9	ბელარუსი	3.13	22	137	ავტორიტარული რეჟიმი
10	ყაზახეთი	2.94	23	144	ავტორიტარული რეჟიმი
11	რუსეთი	2.94	23	144	ავტორიტარული რეჟიმი
12	აზერბაიჯანი	2.65	25	149	ავტორიტარული რეჟიმი
13	უზბეკეთი	2.01	26	156	ავტორიტარული რეჟიმი
14	ტაჯიკეთი	1.93	27	159	ავტორიტარული რეჟიმი
15	თურქმენეთი	1.72	28	162	ავტორიტარული რეჟიმი

[4]

[4] A report by The Economist Intelligence Unit, *Democracy Index 2018*

აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის მაჩვენებელი საკმაოდ პოლარიზებულია, გლობალური დემოკრატიის მაჩვენებელი მსოფლიოს 23-ე ადგილიდან 162-ე ადგილამდე მერყეობს.
- პოსტსაბჭოთა სივრცეში არ გვხვდება არცერთი სრული დემოკრატია.
- პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან 3 ქვეყანა არასრული დემოკრატიაა, 5 სახელმწიფოში ჰიბრიდული რეჟმია, 7 ქვეყანაში კი ავტორიტარული მმართველობაა.

აღნიშნულ სიაში მოწინავე პოზიციები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს უჭირავთ, რომლებიც თავის მხრივ ყველაზე ადრე გაემიჯნენ რუსეთს და 2004 წელს ნატო-ში და ევრაკავშირში გაწევრიანდნენ. ჰიბრიდულ რეჟიმს აღმოსავლეთის პარტნიორობის 4 სახელმწიფო მიეკუთვნება: მოლდოვა, უკრაინა, საქართველო და სომხეთი. ცენტრალური აზიის სახელმწიფოებიდან ჰიბრიდული რეჟიმი მხოლოდ ყირგიზეთშია, დანარჩენი სახელმწიფოები ავტორიტარული რეჟიმის პირობებში იმართებიან. ავტორიტარული მმართველობითი სახელმწიფოების ნუსხაში რუსეთს „მოწინავე“ პოზიცია უჭირავს.[5]

რუსეთის ფედერაცია, რომელიც მსოფლიო დემოკრატიის ინდექსში 144-ე ადგილს იკავებს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე გავლენები აღიდგინოს, რაც ცალსახად უარყოფითად მოქმედებს ამ სახელმწიფოების განვითარებაზე, მათი დემოკრატიის ხარისხზე.

შემთხვევითი არ არის, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან გამიჯნული რუსეთისგან უფრო მეტი დემოკრატიის მაჩვენებლით ხასიათდებიან, ვიდრე ისინი ვინც უშუალოდ ექვემდებარებიან კრემლის პოლიტიკას.

---

[5] A report by The Economist Intelligence Unit, *Democracy Index 2018*

2. სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური კავშირები პოსტსაბჭოთა სივრცეში

როგორც უკვე აღვნიშნე რუსეთისათვის პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის აღდგენის საუკეთესო მექანიზმი მათი სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებში ინტეგრაციაა, რომლთა შექმნის ავტორიც - თავად რუსეთია. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიმაჩნია წარმოვაჩინო რუსეთის მიერ შექმნილი სამხედრო - პოლიტიკური, ეკონომიკური ალიანსების საქმიანობის ძირითადი სფერო, დიაგრამის მეშვეობით ვიზუალურად წარმოვაჩინო მათი თანაკვეთა და ხაზი გავუსვა მათ სტრატეგიული მნიშვნელობას.

2.1 დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი

დსთ წარმოადგენს მთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა 8.XII.1991 წელს რუსეთის ფედერაციის, ბელარუსის და უკრაინის მიერ ქ. მინსკში (ბელარუსი) ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ათში ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომლითაც სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდნენ ბელოვეჟის შეთანხმებას. აგრეთვე მიღებულ იქნა ალმა-ათის დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ დსთ არ არის არც სახელმწიფო, არც ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ალმა-ათის დეკლარაციის თანახმად დსთ არც საერთაშორისო ორგანიზაციაა, იგი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია, რომლის ორგანოებს მაკოორდინირებელი ფუნქციები აქვთ ხოლო მათი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილისათვის, რომელიც მას ეთანხმება.[6]

---

[6] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005

ალმა-ათის დეკლარაციაში ასახული დსთ და მისი ფაქტობრივი მახასიათებლები ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება. დსთ წარმოადგენს რუსეთის ინსტრუმენტს პოსტსაბჭოთა სივრცის გასაკონტროლებლად, თუმცა ეს ინსტრუმენტი საკმაოდ მოძველებული და არაეფექტიანია.

დღესდღეობით დსთ 10 პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს აერთიანებს.

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (СНГ - Содружество Независимых Государств) (CIS - Commonwealth of Independent State)			
	სახელმწიფო	სტატუსი	გაწევრიანების თარიღი
I	რუსეთი	დამფუძნებელი	1991
II	ბელარუსი	დამფუძნებელი	1991
III	სომხეთი	დამფუძნებელი	1992
IV	ყირგიზეთი	დამფუძნებელი	1992
V	უზბეკეთი	დამფუძნებელი	1992
VI	ყაზახეთი	დამფუძნებელი	1991
VII	აზერბაიჯანი	სრული წევრი	1993
VIII	ტაჯიკეთი	სრული წევრი	1993
IX	მოლდოვა	სრული წევრი	1994
X	თურქმენეთი	ასოცირებული წევრი	1991

დსთ-ს ყოფილი წევრები				
	სახელმწიფო	სტატუსი	გაწევრიანების თარიღი	გასვლის თარიღი
I	საქართველო	ყოფილი წევრი	1993	2008
II	უკრაინა	ყოფილი ასოცირებული წევრი	1991	2018

დსთ არაერთხელ დამდგარა ჩამოშლის პირას, რადგან მისი აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პრაქტიკულად არასოდეს სრულდება. რუსეთიც ხედავდა დსთ-ს არაეფექტიანობას, მისი წევრი [7]სახელმწიფოები იმედგაცრუებულები აღმოჩნდნენ ამ ორგანიზაციის საქმიანობით,

[7] Stephan Aris, *Russia's approach to multilateral cooperation in the Post-Soviet Space: CSTO, EurAsEC and SCO*

რაც უარყოფითად მოქმედებდა რუსეთის იმიჯზე. ამავდროულად რუსეთმა დაინახა, რომ დსთ-ს სუბსიდირება მას ძალიან ძვირი უჯდებოდა, რის გამოც XX-ე საუკუნის მიწურულს დსთ-ში მთელი რიგი რეფორმები გატარდა.[8]

საქართველომ ერთწლიანი ფორმალური პროცედურის შემდეგ 2008 წლის 18 აგვისტოს საბოლოოდ დატოვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მაშინდელმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღონიამ 17 აგვისტოს განაცხადა, რომ დსთ-ს დატოვების მიუხედავად, საქართველო კვლავ რჩებოდა ორგანიზაციის ფორმატში გაფორმებული 75 მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე, მათ შორის უვიზო მიმოსვლისა და თავისუფალი ვაჭრობის სფეროებში.

საქართველო იყო უკანასკნელი ქვეყანა, რომელმაც 1993 წლის დეკემბერში გადაწყვიტა შეერთებოდა დსთ-ს და პირველი, რომელმაც დატოვა ორგანიზაცია, რომელშიც ამჟამად 10 ყოფილი საბჭოთა ქვეყანა რჩება.[9]

დსთ-ს რიგებს საქართველოს შემდგომ 2018 წელს უკრაინა გამოეთიშა, რომელიც დსთ-ში ასოცირებული წევრის სტატუსით სარგებლობდა.

ბოლო ათწლეულებში რუსეთმა რადიკალურად შეცვალა და განავითარა პოსტსაბჭოთა სივრცესთან მიმართებით მისი მოქმედების სტრატეგია. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირმა ვერ გაამართლა რუსეთის მოლოდინები. რუსეთმა მისი გავლენების გასაფართოებლად სხვა ასპარეზები აარჩია. რუსეთისთვის მოქმედების საუკეთესო პლატფორმები კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (შემდგომში - „კუხო“) და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი აღმოჩნდა.

2.2 კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია 6 პოსტსაბჭოთა

April 2018

[8] The Center for Security Studies (CSS) at ETH Zurich Russian Analytical digest N 76 ,15 April 2010

[9] სივილ ჯორჯია, თბილისი 18 აგვ.'09

რესპუბლიკისგან შედგება, (რუსეთი, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) სამხედრო ალიანსის გაცხადებულ მიზანს მოკავშირე სახელმწიფოებში სამხედრო მზაობის ამაღლება და ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს. კუხო რუსეთისათვის შესანიშნავი საშუალებაა, პარტნიორ სახელმწიფოებში მისი გავლენების გასავრცელებლად. ეს ავტომატურად გამორიცხავს პარტნიორი ქვეყნის სხვა რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ კავშირთან აქტიურ თანამშრომლობას.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (ОДКБ - ОРГАНИЗАЦИЯ ДОГОВОРА О КОЛЛЕКТИВНОЙ БЕЗОПАСНОСТИ) (CSTO- Collective Security Treaty Organization)			
	სახელმწიფო	სტატუსი	გაწევრიანების თარიღი
I	რუსეთი	სრული წევრი	1994
II	სომხეთი	სრული წევრი	1994
III	ბელარუსი	სრული წევრი	1994
IV	ყაზახეთი	სრული წევრი	1994
V	ყირგიზეთი	სრული წევრი	1994
VI	ტაჯიკეთი	სრული წევრი	1994
VII	ავღანეთი	დამკვირვებელი	2013
VIII	სერბეთი	დამკვირვებელი	2013

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილი წევრები				
	სახელმწიფო	სტატუსი	გაწევრიანების თარიღი	გასვლის თარიღი
I	საქართველო	ყოფილი წევრი	1994	1999
II	აზერბაიჯანი	ყოფილი წევრი	1994	1999
III	უზბეკეთი	ყოფილი წევრი	1994 2006 (მეორედ)	1999 2012 (მეორედ)

კუხო-ს საქმიანობის გააქტიურება განსაკუთრებით საქართველოსა და უკრაინის ნატოსკენ მისწრაფებებს უკავშირდება. როგორც პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა აღნიშნული სამხედრო ალიანსი ნატოს საპირწონეა და ყველა გამოწვევისთვის მზადაა, რაც ნაკლებად სავარაუდოა. 2008 წლის აგვისტოს ომი იყო მოვლენა, რომელმაც რუსეთის სამხედრო ნაკლოვანებები სააშკარაოზე გამოიტანა, ამას რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კოლექტიური უსაფრთხოების

ხელშეკრულების ორგანიზაციის ბიუჯეტის 25%-იანი ზრდა დაუპირისპირა. [10] აღნიშნული სამხედრო კავშირის 95% რუსეთის მიერ ფინანსდება, თუმცა სანაცვლოდ რუსეთი კუხო-ს წარმატებით იყენებს მისი მოკავშირე ქვეყნების ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განსალაგებლად. 2006 წელს რუსეთმა მიაღწია ყირგიზეთთან შეთანხმებას მის ტერიტორიაზე კანტის ბაზის განთავსებისა და განვითარების შესახებ, რაც აღნიშნული სამხედრო ალიანსის ფარგლებში ლეგიტიმური ხასიათის მატარებელია.[11]

უნდა აღინიშნოს, რომ კუხო-ს მმართველობითი მექანიზმები საკმაოდ მოუქნელია, და მისი გადაწყვეტილებები მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პოლიტიკური ნების გაჟღერებაა. 2012 წელს კუხო უზბეკეთმა ხელმეორედ იმ საფუძველით დატოვა, რომ მისი ხედვები და ინტერესები არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული. საქართველო აქაც მოწინავე აღმოჩნდა და მან აზერბაიჯანთან და უზბეკეთთან ერთად 1999 წელს კუხო პირველმა დატოვა, როდესაც ახალი ხუთწლიანი ხელშეკრულების გაგრძელებას ხელი არ მოაწერა.

საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ირაკლი მენაღარიშვილი ამ მოვლენას საქართველოსათვის ისტორიულს უწოდებს, რაც ძალიან გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენდა ისეთი მცირე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. კუხოს საქმიანობას თუ შევაფასებთ დავასკვნით, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მხრიდან კუხო-ში წევრობა მათი სუვერენიტეტის ნაწილის დათმობას გულისხმობს, რის სანაცვლოდაც ისინი უსაფრთხოების ნომინალურ გარანტიებს ღებულობენ. რუსეთი ამ სამხედრო კავშირის ერთადერთ რეალურ ბენეფიციარს წარმოადგენს.

- რუსეთს არაერთი სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული კუხო-ს სახელმწიფოებში;

[10] The Center for Security Studies (CSS) at ETH Zurich Russian Analytical digest N 76 ,15 April 2010

[11] Stephan Aris, *Russia's approach to multilateral cooperation in the Post-Soviet Space: CSTO, EurAsEC and SCO April 2018*

- წევრი სახელმწიფოების მიერ იარაღის შესყიდვა ხდება რუსეთისგან;
- კუხოს სახელმწიფოები ვერ აწარმოებენ რუსეთისგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას;

2.3 ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნები

როგორც უკვე ავღნიშნე დსთ-მ ვერ გაამართლა რუსეთის მოლოდინები, ამ ორგანიზაციამ ვერ შეძლო რუსეთთან პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ეკონომიკების იმგვარი მიჯაჭვება, როგორსაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ჰქონდა ადგილი. თავისმხრივ დსთ-ს ფარგლებში არსებული თავისუფალი სავაჭრო ზონა საკმაოდ დიდი ბაზარია, რომელიც შვიდ პოსტსაბჭოთა სახემწიფოს აერთიანებს, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, განსაკუთრებით კი მას შემდგომ, რაც ეკონომიკურ საბრძოლო არენაზე ახალი ბევრად უფრო მიმზიდველი მოთამაშე გამოჩნდა.
2009 წელს ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ჩამოყალიბებამ რუსეთი საგონებელში ჩააგდო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ექვსი პოსტსაბჭოთა ქვეყენა მოექცა, რომელთაც ევროპამ სხვადასხვა შემოთავაზებათა პაკეტი და მათ შორის ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა გადასცა.
ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული პროექტი შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

- **აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურული პროგრამა** - Eastern Partnership Culture Programme
- **აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი** - Eastern Partnership Civil Society Forum (CSF)
- **ბაქოს ინიციატივა** ბაქოს ინიციატივა პოლიტიკური დიალოგია, რომელიც მიზნად ისახავს, განმტკიცდეს თანამშრომლობა ევროკავშირსა და შავი და

კასპიის ზღვისპირა ქვეყნებს, ასევე მათ მეზობელ ქვეყნებს შორის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში

- **ევროკავშირის acquis communautaire** - კანონთა კრებული [12]

ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ პირობებს შორის რუსეთი ყველაზე მეტად ამ უკანასკნელმა გააღიზიანა, რაც ევროკავშირისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების კანონმდებლობების დაახლოებას გულისხმობს.

რუსეთმა მისი ინეტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვალა შეექმნა იმგვარი ალიანსი, რომელიც ერთი მხრივ იქნებოდა დსთ-ს ერთიან სავაჭრო ზონაზე ბევრად უფრო ეფექტიანი და ამავდროულად შეძლებდა ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ერთიანი თავისუფალი სავაჭრო ზონის კონკურენციას. შედეგად 2015 წლის იანვარში ვლადიმერ პუტინის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, რომელსაც 5 პოსტსაბჭოთა ქვეყანა შეუერთდა.[13]

ევრაზიის ეკონომიკური კავშირი Евразийский экономический союз (ЕАЭС) Eurasian Economic Union (EAEU, or EEU)		
სახელმწიფო		გაწევრიანების თარიღი
I	რუსეთი	2014
II	ბელარუსი	2014
III	სომხეთი	2014
IV	ყირგიზეთი	2014
V	ყაზახეთი	2014

[12] აღმოსავლეთ პარტნიორობა სიტყვარი www.enpi-info.eu

[13] Rilka Dragneva and Kataryna Wolczuk: *The Eurasian Economic UnionDeals, Rules and the Exercise of Power*



შუალედური დასკვნა

ევრაზიის ეკონომიკური კავშირი, ისევე როგორც რუსეთის მიერ აქამდე შექმნილი ყველა სხვა სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ალიანსი ვერასოდეს იქნება წარმატებული და ეფექტიანი, რადგან ისინი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების სუვერენიტეტის შელახვის ხარჯზე მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებებს ემსახურება. რუსეთისათვის აღნიშნული კავშირები პოსტსაბჭოთა სივრცის მანიპულირებისა და მართვის საუკეთესო ინსტრუმენტებია, რაზეც მისი იმპერიალისტური პოლიტიკაა დაშენებული.

რუსეთი განსაკუთრებული დრამატიზმით აღიქვამს პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელ მოთამაშეებს, განსაკუთრებით კი მათ ვინც დემოკრატიის გზაზეა დამდგარი, რადგან აცნობიერებს, რომ მსგავსი პიზიტიური მაგალითები შესაძლოა რუსეთის „იმპერიისათვის“ საბედისწერო აღმოჩნდეს.

3. რუსეთის პოლიტიკა პოსტ საბჭოთა სახელმწიფოებში

21-ე საუკუნე რუსეთისთვის დიდი სიახლეებით დაიწყო. სახელმწიფოს სათავეში ახალი მეთაური - ვლადიმერ პუტინი ჩაუდგა. მაშინდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთის ქვეყნებთან პარტნიორობის გაღრმავებისკენ იყო მიმართული, ამის უტყუარი დასტურია ვლადიმერ პუტინის პირველი ვიზიტი პრეზიდენტის რანგში დიდ ბრიტანეთში 2000 წელს. რუსეთი მისი არადემოკრატიული მმართველობის ფორმიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ვერ გახდა ევროპული ოჯახის წევრი, რამაც გამოიწვია რუსეთის პოლიტიკური კურსის კარდინალური ცვლილება. რუსეთის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსი ყველაზე მტკივნეულად პოსტსაბჭოთა ქვენებს შეეხოთ, რომლის მიხედვითაც პოსტსაბჭოთა სივრცეზე - „ჰარტლენდზე“ დაკარგული კონტროლის აღდგენა რუსეთის პრიორიტეტად განისაზღვრა. შემთხვევითი არ არის, რომ დიმიტრი მედვედევის პირველი ვიზიტი პრეზიდენტის რანგში პოსტსაბჭოთა სივრცეში - ასტანაში შედგა, რითაც მან პოსტსაბჭოთა სივრცის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა.

2.1 რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ურთიერთობა

რუსეთისათვის აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე კონტროლი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან ის ერთგვარი ბუფერული ზონაა რუსეთსა და ევროპას შორის, ნატო-ს და კუხო-ს შორის, რუსულ ჩამორჩენასა და ევროპულ განვითარებას შორის. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე კონტროლის აბსოლუტური დაკარგვა რუსეთმა დღემდე ვერ მოინელა, რის გამოც მსგავსი ახალი პრეცედენტების არ დაშვების მიზნით რუსული პოლიტიკა ამ ფრონტზე განსაკუთრებით ხისტია.

2.1.1 რუსეთ - მოლდოვას ურთიერთობები

რუსეთის აგრესიული პოლიტიკა ყველაზე მეტად იმ მეზობელ ქვეყნებს შეეხოთ, რომელთაც რუსეთისგან თავდაცვის საერთაშორისო ბერკეტები, არ გააჩნიათ. მწარე რეალობაა, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა არავინ არის დაცული რუსეთის აგრესიისგან. რუსეთთან დაკავშირებით პოლიტიკის განსაზღვრის დროს საბჭოთა სახელმწიფოები შემდეგი არჩევანის წინაშე დგებიან:

- ითანამშრომლონ რუსეთთან და დათმონ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი;
- აირჩიონ უკრაინული ან ქართული მოდელი და აწარმოონ დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა - რაც რუსეთის მხრიდან დაუსჯელი არ რჩება;
- აირჩიონ დაბალანსებული პოლიტიკური კურსი ორი დაპირისპირებული გრავიტაციის ცენტრს შორის, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია;

მოლდოვამ ჩემ მიერ შემოთავაზებული ვერსიებიდან მესამე გზა აირჩია, ის ცდილობს დელიკატური ბალანსი დაიცვას რუსეთსა და დასავლეთს შორის, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა. მოლდოვა დღეს დსთ-ს წევრი სახელმწიფოა, ამავდროულად ის დსთ-ს თავისუფალი სავაჭრო ზონის წევრია, თუმცა ამას მოლდოვის ეკონომიკაზე არანაირი დადებითი გავლენა არ გააჩნია. საბჭოთა კავშირის დაშლის გარდამავალი პერიოდი მოლდოვას საკმაოდ მტკივნეულად შეეხო. 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მოლდოვაში დაიწყო საზოგადოების დაპირისპირების პროცესები, რასაც საფუძველი ბევრად უფრო ადრე საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა. მოლდოვის პოლიტიკური და იდეოლოგიური გახლეჩის ავტორი თავად რუსეთია. ეს ყველაფერი დაიწყო ჯერ კიდევ 1980-იან წლებში, როდესაც საბჭოთა ეშელონებიდან წამოვიდა დირექტივები მოლდოვაში პოლიტიკურ-იდეოლოგიური ლანდშაფტის შესაცვლელად, რაც მოლდოვაში ეთნიკურად რუმინული ნაწილის დასუსტებასა და დაჩაგვრას

გულისხმობდა.[14] ამ უსამართლო დისკრიმინაციულმა ფონმა რევანშიზმის გრძნობით განსჭვალული მოლდოვურ-რუმინული ნაციონალისტური ფლანგის წარმოქმნა განაპირობა, რომელიც მოლდოვის მმართველობით ცენტრთან ღია დაპირისპირებაზე წავიდა. საბოლოოდ მოლდოვამ მიიღო1992 წლის სამოქალაქო ომი რასაც დნესტრისპირეთზე კიშინიოვის კონტროლის დაკარგვა მოჰყვა. ეს ტერიტორია რუმინელ-მოლდოველმა ნაციონალისტებმა ძალისმიერი მეთოდებით დაიკავეს. კიშინოვიდან ყველა მცდელობა ტერიტორიების აღსადგენად წარუმატებლად დასრულდა, რადგან ამ კონფლიქტში რუსეთმა რუმინელ-მოლდოველი ნაციონალისტების მხარე დაიკავა და აღნიშნულ ტერიტორიაზე მისი შეიარაღებული ნაწილები განალაგა.

დნესტრისპირეთის კონფლიქტს განსხვავებით სხვა პოსტსაბჭოთა გაყინული კონფლიქტებისგან არ ჰქონია რაიმე პრეისტორია, რასაც შეიძლება ეს კონფლიქტი უკავშირდებოდეს. ის რუსული სცენარით დაიგეგმა, განვითარდა და რუსულივე სცენარით აღსრულდა.

დღესდღეობით აღნიშნული კონფლიქტი მძიმე ტვირთად აწევს მოლდოვას. მოლდოვა ერთი მხრივ აქტიურად თანამშრომლობს რუმინეთთან, რომელიც პირდაპირი გზაა ევროპული ეკონომიკური ბაზრისკენ, მეორე მხრივ ცდილობს დნესტრისპირეთზე კონტროლის მოპოვებას, რაც უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა, რადგან დნესტრისპირეთის მოსახლეობაში რუმინეთთან შეერთების იდეა უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე მოლდოვის გამთლიანება. მოლდოვა ევროპის ერთერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა, მთლიანი შიდა პროდუქტი 6 მილიარდი აშშ დოლარი ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლი 2200 აშშ დოალრია.[15]

მოლდოვაში დღეს არსებული მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონი მეტწილად რუსეთის პოლიტიკის შედეგია. რუსეთისთვის საკმაოდ კომფორტულია

---

[14] Hans Martin Sieg, *Transformation and geopolitics in the Post-Soviet Space: challenges for the Eastern Partneship and the case of Moldova, december 2016*

[15] World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files

ნაკლებადდემოკრატიულ მოლდოვასთან ურთიერთობა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის აღმოსავლეთის ფლანგზე გააქტიურებამ ამ რეგიონში დიდი სასიკეთო ძვრები გამოიწვია, რაც საგრძნობლად ასუსტებს რუსეთის პოზიციებს.

2.1.2 რუსეთ - ბელარუსის ურთიერთობები

ბელარუსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთადერთია, რომელიც თანაბარი წარმატებით ახერხებს რუსეთთან თანამშრომლობასა და ევროპასთან დაახლოებას. პრეზიდენტი ლუკაშენკო ბელარუსის სახელმწიფოს სათავეში 1994 წელს ჩაუდგა, ეს იყო უკანასკნელი თავისუფალი არჩევნები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. ლუკაშენკომ განსხვავებით სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისგან საბჭოთა პოლიტიკურ-კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ატრიბუტი შეინარჩუნა. მან ხელუხლებელი დატოვა ქვეყნის სოციალიზმის პრინციპებით მართვის მოდელი, ბელარუსში სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ქონების მასიურ პრივატიზაცის ადგილი არ ჰქონია.[16]

ბელარუსისა და რუსეთის ურთიერთობები პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთისათვის სამაგალითოა. ბელარუსი რუსეთის მიერ ფორმირებული ყველა სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ალიანსის წევრია, ამავდროულად მას და რუსეთს მინჭებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსი, რაც კიდევ ერთხელ მეტველებს მათ სიახლოვეზე.

საინტერესოა ბელარუსში მიმდინარე პროცესების უახლესი დინამიკის გაანალიზება, საზოგადოების ყურადღება მიიქცია პრეზიდენტი ლუკაშენკოს 2018 წლის ცნობილმა გამოსვლამ, სადაც ბელარუსის დამოუკიდებლობის ცერემონიის დღეს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის არ აკეთებდა არჩევანს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის , არამედ მას ჰქონდა ერთადერთი არჩევანი - დამოუკიდებლობა, მშვიდობა და

[16] Benno Zogg, *Belarus between East and West: The Art of the Deal September 2018*

პარტნიორობა მოკავშირე სახელმწიფოებთან. მან იმავე შინაარსის განცხადებები 2018 წლის მაისს მინსკის დიალოგის ფორუმზე გააკეთა, რომელიც იყო უპრეცენდენტო მასშტაბების კონფერენცია აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

2014 წელი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათვის ისევე როგორც ბელარუსისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. რუსეთმა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა შელახა, ყირიმის ოკუპაცია მოახდინა და ოკუპირებულ რეგიონში მძიმე შეიარაღება განალაგა. ამ პროცესებში ბელარუსმა მედიატორის როლი შეითავსა. მოლაპარაკებების შედეგად მინსკის შეთანხმებას ხელი მოეწერა, რომელიც არცერთი მხარის მიერ არ შესრულდა. მინსკმა ყირიმის რეფერენდუმი არ ცნო, ამავდროულად დაიწყო მთელი რიგი რეფორმები ბელარუსში ნაციონალური იდენტობის გასაძლიერებლად. რუსეთში კრემლის ოფიციალური წარმომადგენლები ისევე როგორც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედია მკაცრად აკრიტიკებენ პრეზიდენტ ლუკაშენკოს კრემლის მიმართ მისი არალოიალური პოლიტიკის გამო. ლუკაშენკომ ყველასათვის გასაკვირად საკმაოდ გამბედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ერთი მხრივ რუსეთს ბელარუსის ტერიტორიაზე ახალი სამხედრო ბაზის განთავსების უფლება არ მისცა, მეორე მხრივ ევროპის მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმი გაამარტივა[17].

[18]ეს უკანასკნელი მოვლენები სრულიად საწინააღმდეგოა იმ შეხედულებებისა, რაც დასავლეთს ბელარუსის მიმართ გააჩნდა.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ექვსი სახელმწიფოდან ბელარუსი არის ერთადერთი, რომელსაც არც რუსეთთან და არც სხვა მოსაზღვრე ქვეყანასთან რაიმე სახის სასაზღვრო დავა არ გააჩნია. ლუკაშენკო ამას მისი დიპლომატიური პოლიტიკით ახერხებს, რის გამოც მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. უდავოა, რომ ბელარუსის ეკონომიკა პირდაპირ არის დამოკიდებული რუსეთის ენერგო სუბსიდიებზე, რუსულ ბაზარსა და რუსეთის პოლიტიკურ

[17] Benno Zogg, *Belarus between East and West: The Art of the Deal September 2018*

გადაწყვეტილებებზე. ამავდროულად ის ახერხებს გარკვეულ საკითხებში საკუთარი პოზიციების დაცვასა და ლობირებას, რაც საკმაოდ სარისკოა.
ფაქტია, რომ რუსეთი ბელარუსის მიმართ ლოიალურია მანამ, სანამ არ მოხდება მისთვის პრინციპული საკითხების გადაკვეთა, რაც ჩემი აზრით გარდაუვალია.

2.1.3 რუსეთ - უკრაინის ურთიერთობები

1991 წელს სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად უკრაინამ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მან რუსეთის მიმართ იმთავითვე ხისტი პოლიტიკა აირჩია და რუსეთთან ასოცირებულ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ალიანსებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით უარი განაცხადა. რუსეთიდან წამოსული ზეწოლის შედეგად უკრაინა 1991 წელს იძულებული გახდა დსთ-ს ასოცირებული წევრობას დათანხმებოდა, რაც რუსულ სცენარში ნომინალურ თანამონაწილეობას ითვალისწინებდა. რუსეთი დასჯერდა უკრაინასთან ამ ფორმატით თანამშრომლობას, თუმცა ამავდროულად მისი მხრიდან გამოიკვეთა წითელი ხაზებიც, ეს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციას წარმოადგენდა.
2004 წელი კრემლისთვის დრამატულად დაიწყო, დასავლეთის მხრიდან წითელი ხაზები გადაიკვეთა, ყოფილი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ნაწილი ნატოსა და ევროკვშირის რიგებს შეუერთდა. ესტონეთი ლატვია და ლიტვა რუსული მარწუხებიდან საბოლოოდ გათავისუფლდნენ. ამ მოვლენამ რუსეთში დიდი ისტერია გამოიწვია, რასაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ პოლიტიკის გადახედვა მოჰყვა. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა არაერთ განცხადებაში გააჟღერა, რომ ის პოსტსაბჭოთა სივრცეში მსგავს პრეცედენტს აღარ დაუშვებდა.
2010 წელს უკრაინაში ვიქტორ იანუკოვიჩი გაპრეზიდენტდა. მან, როგორც რუსეთის უშუალო სატელიტმა ნატოში ინტეგრაცია ქვეყნის პრიორიტეტებიდან ამოიღო და უკრაინა უბლოკო სტატუსის მქონე ქვეყანად გამოაცხადა. 2010 წელს იანუკოვიჩმა სევასტოპოლს ავტონომიის სტატუსი 5 წლით გაუგრძელა და ამასთან რუსეთის

საზღვაო ფლოტს კონტრაქტი 25 წლით გაუხანგრძლივა, რის სანაცვლოდაც ბუნებრივი აირის შეღავათიან ტარიფებს დასჯერდა.
რუსეთს უკრაინის უბლოკო სტატუსი არ აკმაყოფილებდა, მედვედევმა ამასთან დაკავშირებით კრემლის პოზიცია გაასაჯაროვა, როდესაც უკრაინისათვის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის კარი ღიად გამოაცხადა, რასაც უკრაინა არ დათანხმდა.[19]
2009 წელს ევროკავშირის მხრიდან წამოწყებულმა პროექტებმა რეგიონში რუსეთის პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა. უკარიანა 2009 წელს სხვა 5 პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან ერთდად ევროკავშირის მიერ ორგანიზებული აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოების სიაში აღმოჩნდა, რაც უამრავ ბენეფიტებთან იყო დაკავშირებული. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები 2014 წელს კვლავ ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, ევროკავშირმა უკრაინას მოლდოვასა და საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა შეთავაზა. ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.[20]
უკრაინის მაშინდელი მარიონეტული ხელისუფლება იძულებული იყო უარი ეთქვა ევროპის უახლეს გამოწვევებზე. სანაცვლოდ რუსეთმა უკრაინის მოსახლეობას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანება შესთავაზა, რაც საბოლოოდ „მაიდანით“ დასრულდა. უკრაინელმა ხალხმა პრო-დასავლური არჩევანი გააკეთა და რუსეთს ზურგი აქცია. შედეგად უკრაინაში ხელისუფლება შეიცვალა და მმართველობითი ბერკეტები პრო-დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსების

[19] Roy Allison, *Russian 'deniable' intervention in Ukraine: how and why Russia broke the rules 2014*
[20] საქართველო და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი

ხელში გადავიდა.

რუსეთმა უკრაინას საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება არ აპატია. ყირიმის ოკუპაციასთან ერთად უკრაინის ინდუსტრიულ ზონებში დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ხელოვნური სეპარატიზმი გააღვივა და მისი უშუალო შეიარაღებული ძალებით ფრონტის ხაზი გახსნა.

უკრაინა საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდგომ იყო მეხუთე პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, რომელიც რუსეთს ხელიდან გამოეცალა. რუსეთის მიერ უკრაინის სამაგალითო დასჯა შემთხვევითი არ ყოფილა, ეს არის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის ერთგვარი მინიშნება, თუ რა ფასის გადახდა მოუწევთ მათ რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში.

2.2 რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში

კვლევის ამ ნაწილის მიზანია განვიხილო რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და დავადგინო რამდენად აფერხებს ის დემოკრატიზაციის პროცესებს. ჩემი შეხედულებით რუსეთი სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოებით მანიპულირებას ყველაზე დიდი წარმატებით ახერხებს, ამის ყველაზე კარგი მაგალითი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტია, რომლის უკვდავყოფაც რუსეთის სამხრეთკავკასიური პოლიტიკის ქვაკუთხედია. რუსეთმა 1980-იანი წლებიდან არაერთხელ შეიცვალა მისი ფავორიტი ამ სისხლიან ძმათამკვლელ ომში. ნიშანდობლივია, რომ ის ყველაზე კრიტიკულ მომენტებში ორივე მოქიშპე მხარეს ამარაგებს იარაღით რითაც მხოლოდ და მხოლოდ რუსული ინტერესი იმარჯვებს, რაც კავკასიური ერთობის დანგრევას წარმოადგენს.

2.2.1 რუსეთ - სომხეთის ურთიერთობები

რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები ჯერ კიდევ საბჭოთა მმართველობის პერიოდში გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ეს კავშირი 1991 წლის შემდგომ გაღრმავდა, როდესაც სომხეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და საკუთარი თვითმყოფადობის

შესანარჩუნებლად, რუსეთთან მიჯაჭვულობის პოლიტიკა აირჩია რაც ერთგვარი უტოპიაა. სომხეთი რუსეთის მიერ ფორმირებული ყველა სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ალიანსის წევრია. ის დსთ-ში, ისევე როგორც კუხო-ში დამფუძნებელი წევრის სტატუსით სარგებლობს.

სომხეთი მის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობებით არ გამოირჩევა, რაც ძირითადად 1915 წელს ოსმალეთის(თურქეთის) იმპერიის მიერ სომხების მასობრივ გენოციდსა და აზერბაიჯანთან არსებულ კონფლიქტს უკავშირდება. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის უპირატესობა რუსეთის უშუალო ჩარევისა და დახმარების შედეგია, რის სანაცვლოდაც სომხეთი რუსეთის ყველაზე ლოიალური პარტნიორია. არაერთი რუსული სამხედრო ბაზაა სომხეთის მიწაზე, რისი სტრატეგიული მნიშვნელობაც განსაკუთრებით საქართველოს და აზერბაიჯანის მიერ კუხო-ს დატოვების შემდგომ გაიზარდა.

რუსეთი ამავდროულად სომხეთის ყველაზე დიდი ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორია. რუსეთი სომხეთის ერთადერთი მსხვილი ენერგოდისტრიბუტორია, ის ენერგორესურსებით სომხეთს ბელარუსის შემდეგ ყველაზე შეღავათიან ფასებში ამარაგებს. სომხურ ეკონომიკაზე რუსეთის ზეგავლენა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, 2012 წელს რუსული ინვესტიციების საერთო ოდენობამ 3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.[21]

სომხეთში 2018 წელს „ხავერდოვანი რევოლუცია“ მოხდა, რამაც ხელისუფლების ცვლილება განაპირობა. არაერთი დისკუსიის საგანი გამხდარა, თუ რა ცვლილებების მომტანი შეიძლება გახდეს ეს ისტორიული მოვლენა, შეიცვლის თუ არა სომხეთი მის საგარეოპოლიტიკურ ორიენტირს.

ჩემი დამოკიდებულება ამ პროცესების მიმართ საკმაოდ სკეპტიკურია, სომხეთის რუსეთზე მიჯაჭვულობის მასშტაბებიდან გამომდინარე სომხეთის მხრიდან რაიმე სერიოზულ ცვლილებებს პრაქტიკულად გამოვრიცხავ.

[21] Sergey Minasyan, *Russian-Armenian relations: Affection or Pragmatism July 2013*

2.2.2 რუსეთ - აზერბაიჯანის ურთიერთობები

თუ აზერბაიჯანის პოლიტიკურ კურსს ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ დავაფიქსირებთ, რომ აზერბაიჯანი რუსეთს ყოველთვის აღიქვამდა, როგორც დამპყრობელს, ხოლო რუსეთი თავისმხრივ აზერბაიჯანს განიხილავს, როგორც მისთვის უდიდეს შესაძლებლობას. კრემლი აცნობიერებს, რომ ეს შესაძლებლობა უდიდესი საფრთხეა, თუ მას სხვა დაეპატრონება.

აზერბაიჯანს, როგორც მცირე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, გამოწვევებით აღსავსე რეგიონში ძალიან გაუჭირდა საგარეო პოლიტიკური კურსის წარმართვა. თუმცა აირჩია მომგებიანი სტრატეგია, რაც მის მიმართ სხვა დიდი მოთამაშეების ინტერესების დაბალანსებაში გამოიხატება. ეს გულისხმობს, რომ თუ რომელიმე მხარე შეეცდება აზერბაიჯანზე დომინანტობას, ეს სხვათა ინტერესებს დააზიანებს, რაც აზერბაიჯანის ირგვლივ ინტერესთა წონასწორობის ცენტრს ბუნებრვად აყალიბებს.[22]

იმისათვის, რომ აზერბაიჯანის დღევანდელი პოლიტიკური კურსი გავიგოთ აუცილებელია გავეცნოთ მცირე ისტორიულ ეპიზოდებს, რამაც დღევანდელი პოლიტიკის ფორმირება განაპირობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ აზერბაიჯანის მოქალაქეები რუსეთის მიმართ საკმაოდ ნეგატიურად იყვნენ განწყობილი. ისინი რუსეთს აღიქვამდნენ, როგორც მოწინააღმდეგეს, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთს უჭერდა მხარს. ამან განაპირობა რუსეთის მხრიდან უარი 1991 წელს აზერბაიჯანთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე. საბლოოდ 1992 წელს რუსეთმა მისივე ინტერესების გათვალისწინებით აზერბაიჯანი დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარა. [23]

1992 წელს აზერბაიჯანის სათავეში ებულფეზ ელჩიბეი მოვიდა. ელჩიელბეი

---

[22] Araz Aslanli, *Russian-Azerbaijan Relations: Is the Foreign Policy Strategy of Azerbaijan changing?*
[23] Araz Aslanli, *Russian-Azerbaijan Relations: Is the Foreign Policy Strategy of Azerbaijan changing?*

კავკასიის რეგიონში მისი პრინციპულობითა და გამბედაობით გამოირჩეოდა. ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც უარი თქვა აზერბაიჯანის დსთ-ში შესვლაზე, რითაც რუსეთის გავლენებს თავი დროებით აარიდა. ელჩიბეიმ კრემლი ყველაზე მეტად მაშინ გააღიზიანა, როდესაც ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ შეთანხმებებში რუსული კომპანიები შეზღუდა და მათ წილის შესყიდვის შესაძლებლობა არ მისცა. კულმინაციური ეპიზოდი ელჩიბეის მმართველობაში იყო როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა რუსული ჯარების რეგიონში შემცირების აუცილებლობას ხაზი გაუსვა, რამაც საბოლოოდ თავისი შედეგი გამოიღო და 1993 წელს რუსეთის ორგანიზებით ელჩიბეის გადატრიალება მოუწყეს.

1993 წლის 10 ოქტომბერს აზერბაიჯანის ხელისუფლბის სათავეში ჰეიდარ ალიევი მოვიდა. მან რუსეთის მიმართ პოლიტიკური კურსი რადიკალურად შეცვალა, რუსეთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად დასავლური ნავთობკომპანიები საგრძნობლად შეზღუდა და მათი საბანკო ანგარიშები გაყინა. 1993 წელს აზერბაიჯანის თხოვნით მოხდა ქვეყნის დსთ-ში ინტეგრაცია, რასაც ალიევის აზრით რუსეთიდან თანმხვედრი ნაბიჯები უნდა მოჰყოლოდა, თუმცა მოხდა ამის საპირისპირო - აზერბაიჯანმა ალიევის პრეზიდენტობის პირველ ექვს თვეში იმაზე მეტი ტერიტორია დაკარგა ვიდრე მანამდე კონფლიქტის მთელს პერიოდში.

ეს იყო გარდამტეხი მომენტი აზერბაიჯანის ისტორიაში, რამაც ქვეყნის დღევანდელი საგერეო პოლიტიკური ორიენტირი განსაზღვრა. აზერბაიჯანმა დაიწყო დასავლეთთან დაახლოების პროცესები რადგან პრეზიდენტმა ალიევმა შენიშნა, რომ დასავლეთისგან იზოლირება მას უსუსურ მდგომარეობაშ ამყოფებდა. ამავდროულად ალიევმა შეძლო შეენარჩუნებინა მჭიდრო კავშირები რუსეთთან, რაც სხვადასხვა სფეროში აქტიურ თანამშრომლობაში გამოიხატება. ამგვარი დაბალანსებული პოლიტიკა აზერბაიჯანისათვის კარგი მანევრირების საშუალებას იძლევა.

აზერბაიჯანში რუსეთის შემდგომი ძირითადი ინტერესები იკვეთება:

- შეაკავოს ირანის და თურქეთის გავლენები მის საზღვრებთან;

- შეზღუდოს ბუნებრივი რესურსების ალტერნატიული დერეფნები და წყაროები;
- შეზღუდოს დასავლეთის და ამერიკის ინტერესები კავკასიის რეგიონის გავლით თურქმენეთთან დაკავშირებაში;
- გააძლიეროს სამხედრო ბაზები სამხრეთ კავკასიის რეგიონში;
- დაიცვას რუსეთის სანაპირო ზონები კასპიის და შავი ზღვის სანაპიროებზე;

2.2.3 რუსეთ - საქართველოს ურთიერთობები

საქართველოსათვის დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული უმძიმესი აღმოჩნდა. რუსეთის აქტიური მხარდაჭერითა და პროვოცირებით ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ეთნიკური კონფლიქტები გაღვივდა, ამას დაემატა საქართველოში შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები და სამოქალაქო ომი, რომლის შედეგებიც დღემდე უმძიმეს ტვირთად აწევს საქართველოს.

პარადოქსია, რომ რუსეთის მიერ პროვოცირებულ ეთნიკურ კონფლიქტებში, თავად რუსეთი მოგვევლინა მთავარ მედიატორად. 1992 წლის ივნისში ეგრედწოდებულ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება გაფორმდა, კონფლიქტურ ზონაში სამშვიდობო მისიები განლაგდნენ. დრამატული ისტორიის კულმინაცია იყო 1993 წლის 27 სექტემბერი, როდესაც სოხუმი დაეცა და საქართველომ აფხაზეთზე კონტროლი დროებით დაკარგა. შედეგად საქართველომ დაკარგა ტერიტორიების 20%, მივიღეთ 200 000-ზე მეტი დევნილი, რომელთა მიწაზეც ჩამოყალიბდა აფხაზეთისა და ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკები მარიონეტული რეჟიმებით.

„ომმა, რომელიც რუსეთის უშუალო მონაწილეობით გაჩაღდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე ერთნაირად დააზიანა, ეს ეხება პოლიტიკას, სამართალს, იდეოლოგიას, მორალს და რაღა თქმაუნდა, ეკონომიკას“ ერთ-ერთი ინტერვიუს დროს განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელნა ვახტანგ ყოლბაიამ.
1992 წელს საქართველოს ხელისუფლების სათავეში რუსეთისათვის მისაღები კანდიდატი ედუარდ შევარდნაძე მოვიდა. ედუარდ შევარდნაძე ერთი მხრივ ცდილობდა რუსეთის გულის მოგებას - საქართველო 1993 წელს დსთ-ში გაწევრიანდა, 1994 წელს კი კუხო-ს რიგებს შეუერთდა, მეორე მხრივ აქტიურად იყენებდა მის პირად საერთაშორისო კონტაქტებს დასავლეთთან პარტნიორობის გასაღრმავებლად.[24]
ისევე როგორც სხვა ვერცერთმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფომ, საქართველომაც ვერ შეძლო რუსეთთან ჰორიზონტალური, თანასწორი ურთიერთობის ჩამოყალიბება, რამაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ჩიხამდე არაერთხელ მიიყვანა.
საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის კენეტ იალოვიცის თქმით შევარდნაძის ხელისუფლებასა და მოსკოვს შორის ურთიერთობები 1999 წელს დაიძაბა.
„ეს ყველაფერი, სინამდვილეში, 1999 წელს დაიწყო, როცა რუსეთი ჩეჩნეთსა და დაღესტანში განახლებული ბრძოლებით იყო შეშფოთებული. კრემლში დაწყებული ჰქონდათ იმაზე ფიქრი, რომ დაღესტნიდან ჩეჩნეთში გადასული მებრძოლების წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოეყენებინათ. გარდა ამისა, ჩეჩნეთში წინააღმდეგობის მოძრაობას ვერ აცხრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთის პირველი ომი უკვე ჩავლილი იყო. მოსკოვი საქართველოს უბიძგებდა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაცია განეხორციელებინა. მაშინ მახსოვს, პანკისთან ახლოს ბომბებიც კი ჩამოყარეს. ამ დროისთვის უკვე იყო განცხადებები მოსკოვის მხრიდან, რომ პანკისი ტერორისტების თავშესაფარი ხდებოდა“[25]
კენეტ იალოვიცი იმავე მოვლენას უკავშირებს საქართველოსა და ამერიკის დაახლოების პროცესს, როდესაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ მას არსებული სიტუაცია გაანდო.
„1999 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეხვედრაზე დამიბარა. მან

[24] Jim Nicol, *Russia-Georgian conflict in august 2008, context and implications for the U.S interests March 2009*
[25] ია მეურმიშვილის ინტერვიუ კენეტ იალოვიცთან 05 მარტი, 2018

მითხრა, რომ კრემლიდან სთხოვეს, რუსეთის ჯარისთვის - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზებიდან - ჩეჩნეთზე სამხრეთის მხრიდან იერიშის მიტანის ნებართვა მიეცა. შევარდნაძემ მითხრა, რომ ბევრი ფიქრის შემდეგ, ამ ნებართვაზე რუსებისთვის უარის თქმას აპირებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა. მახსოვს მაშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მითხრა, რომ ეს გადაწყვეტილება რუსებს არ მოეწონებოდათ და რომ მოსკოვი ამას დიდი ხანი არ დაივიწყებდა. ამ შეხვედრიდან მოკლე პერიოდში პანკისში რამდენიმე ბომბი ჩამოვარდა. ხალხი არ დაღუპულა - პირუტყვი დაიხოცა, მაგრამ [26]რუსებმა საქართველოს მესიჯი გაუგზავნეს და თბილისზე დიდი ზეწოლა დაიწყეს“

რუსული აგრესიის საპასუხოდ ამერიკამ საქართველოში ოთხპუნქტიანი პროგრამა წამოიწყო, რაც სასაზღვრო ზოლის კონტროლის გაუმჯობესებას ემსახურებოდა. 2003 წელს საქართველოს ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით ახალი ძალა მოვიდა, რომელმაც საგარეო პოლიტიკურ ორიენტირად ევროკავშირსა და ნატოსთან დაახლოება განსაზღვრა, ამავდროულად მმართველობის საწყის ეტაპზე იყო რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობებიც, რაც უშედეგოდ დარულდა. ახალმა ხელისუფლებამ მმართველობის პირველ წლებში არაერთი წარმატებული დემოკრატიული რეფორმა გაატარა, რის შედეგადაც ქვეყნის ეკონომიკა საგრძნობლად გაუმჯობესდა, საქართველო გახდა დემოკრატიზაციის წარმატებული მაგალითი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, რაც საჯარო დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. რუსეთი აქტიურად ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მას ძალიან აშინებდა, რომ საქართველოში დემოკრატიის წარმატებული მოდელი არ გამხდარიყო მისაბაძი მაგალითი სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათვის. ამას დაემატა რუსეთისათვის საკმაოდ მტკივნეული პროცესის -1999 წელს დაწყებული მოლაპარაკებების ფინალური ეპიზოდი როდესაც 2006 წლის 31 მარტს სოჭში რუსული ბაზების მიერ საქართველოს ტერიტორიის

[26] ია მეურმიშვილის ინტერვიუ კენეტ იალოვიცთან 05 მარტი, 2018

დატოვებას ხელი მოეწერა, რაც ფაქტობრივად 2007 წლის ნოემბერში აღსრულდა. რუსეთი ვერაფერს უპირისპირებდა ქართული დემოკრატიის წარმატებას, რომელმაც საბოლოოდ მოახერხა რუსეთის მარწუხებისგან გათავისუფლება, იდეოლოგიური გადატრიალება.

რუსეთისათვის კულმინაციური აღმოჩნდა ეპიზოდი, როდესაც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველომ მიიღო დაპირება რომ აუცილებლად გახდებოდა ნატოს წევრი სახელმწიფო. საქართველოს ამ უდიდეს წარმატებას რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომით უპასუხა, ასობით ქართული სოფელი რუსული მავთულხლართების მიღმა მოექცა. ამ ომს არაერთ ქართველის სიცოცხლე შეეწირა, საქართველოს ისტორიის მარადიულმა მემატიანემ კიდევ ერთი სისხლიანი გვერდი გადაფურცლა.

2008 წლის აგვისტოს ომი იყო რუსეთის მხრიდან ყველა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნისა და დასავლეთის მიმართ აგრესიული გზავნილი, რომ ის აღნიშნულ რეგიონში ნატოს წევრ სახელმწიფოს არ დაუშვებდა. 2008 წლის შემდგომ რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობაში ოკუპანტის სტატუსი მიენიჭა, თუმცა სამწუხაროდ რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხეები ვერ იქნა ადექვატურად შეფასებული, რისი შედეგებიც მსოფლიომ 2014 წელს ყირიმის ანექსიის სახით მოიმკა..

ფაქტია, რომ რუსეთი მისი აგრესიული პოლიტიკით წარმატებით ახერხებს არ დაუშვას სამხრეთ კავკასიის რეგიონის გაძლიერება, რამეთუ ის აცნობიერებს, რომ ამ რეგიონს დამოუკიდებელი არსებობის პირობებში უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია. ჩემ მიერ მოყვანილმა ფაქტებმა და არგუმენტებმა კიდევ უფრო გაამყარა ჩემი პოზიცია, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიის დემოკრატიზაციის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია.

2.3 რუსეთი და ცენტრალური აზია

ცენტრალური აზიის ძირითადი ნაწილი 5 პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისგან არის დაკომპლექტებული, რომელთა კონტროლიც გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით რუსეთისათვის კრიტიკული მნიშვნელობისაა.

კასპიის ზღვაში და ცენტრალურ აზიაში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგია. მაგალითად თურქმენეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში გაზის ექსპორტიორთა შორის. ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნიათ აგრეთვე უზბეკეთსა და ყაზახეთს. რაც შეეხება ნავთობის რესურსებს, ცენტრალურ აზიაში ნავთობის პოტენციური მარაგი შეფასებულია 10-15 მილიარდ ტონამდე. ეს რა თქმა უნდა გაცილებით ნაკლებია ვიდრე სპარსეთის ყურეში არსებული მარაგი, მაგრამ ნავთობსა და გაზზე მოთხოვნილება იზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთის სუბკონტინენტზე და ასევე ჩინეთში, სადაც დროთა განმავლობაში შესაძლებლობა იქნება გაიზარდოს ცენტრალური აზიის რეგიონიდან სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ექსპორტი.[27]

აღნიშნული რეგიონი ექცევა ისეთი მძლავრი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ინტერესებში, როგორებიცაა აშშ, ჩინეთი, ირანი, თურქეთი, ინდოეთი რაც რუსეთის პოზიციებს საგრძნობლად ასუსტებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის ხელისუფლება ბორის ელცინის მეთაურობით ნაკლებად ინტერესდებოდა ცენტრალური აზიის საკითხებით, რაც ასევე გაგრძელდა პუტინის მმართველობის საწყის ეტაპზე. მაშინდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკის „საზრუნავს“ ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა სივრცე და კავკასიის რეგიონი წარმოადგენდა, ცენტრალური აზია კი მეორეხარისხოვანი სტატუსით სარგებლობდა, რაც დღესდღეობით რადიკალურად

[27] ნიკა ჩიტაზე, *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი*

შეიცვალა.[28]

რუსეთის ხელისუფლებას ცენტრალურ აზიის სახელმწიფოებში მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებს. ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში რუსეთის შემდეგი ინტერესები იკვეთება:

- არ მოექცნენ ეს სახელმწიფოები სხვა ძალის ზეგავლენის ქვეშ;
- არ მოხდეს დემოკრატიზაციის პროცესები; (რუსეთის ხედვა ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან მიმართებით)
- არ გავრცელდეს ისლამური ექსტრემიზმი;

თურქმენეთი რუსეთისათვის უმნიშვნელოვანესია მისი გეოეკონომიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე. თურქმენეთს უდიდესი რესურსი გააჩნია გახდეს როგორც დასავლეთის ასევე აღმოსავლეთის (ინდოეთი, ჩინეთი) ბუნებრივი რესურსებით მომარაგების ალტერნატიული წყარო, რაც რუსეთისათვის დიდ საფრთხეებთან ასოცირდება. თურქმენეთი ერთადერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოა, რომელიც არცერთ ალიანსს არ არის მიკუთვნებული. რუსეთისათვის თურქმენეთის უბლოკო სტატუსი მისაღებია, რადგან ეს ახდენს თურქმენეთის, როგორც უდიდესი პოტენციალის მქონე სახელმწიფოს მაქსიმალურ იზოლირებასა და პრეზერვაციას.

რაც შეეხება უზბეკეთს, ის რუსეთისათვის რეგიონული უსაფრთხოების დასაყრდენია, უზბეკეთი ცენტრალური აზიის ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მოსაზღვრე ქვეყანაა.

ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან ყაზახეთს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ყაზახეთი მისი გეოგრაფიული და ეკონომიკური მასშტაბებიდან გამომდინარე ცენტრალურ აზიაში რუსეთის პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს შორის

[28] Bobo Lo, *Frontiers New and Old: Russias Policy in Central Asia January 2015*

განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. აღნიშნულმა მოკავშირეობამ რუსეთისათვის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომ კიდევ უფრო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა.

რუსეთს კარგად ესმის, რომ ცენტრალურ აზიაში მრავალი სახელმწიფოს ინტერესები იკვეთება. ის ცდილობს ამ ქვეყნების სხვადასხვა გზით რუსეთთან ინტეგრაციას, იდეალურ შემთხვევაში ეს არის მათი სამხედრო-პილიტიკურ ან/და ეკონომიკურ-პოლიტიკურ ალიანსებში ინტეგრაცია. ამ უკანასკნელი შემოთავაზების უარყოფის შემთხვევაში ცენტრალური აზიის სახელმწიფოებმა იციან, სად გადის რუსეთისათვის მათი მოქმედების თავისუფლების წითელი ხაზი, რისი გადაკვეთაც რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაციის პირობას იძლევა.(ეს უკრაინის და საქართველოს პრეცედენტებით საბუთდება)

რუსული პოლიტიკის აღნიშნული მიდგომა - პოსტსაბჭოთა ქვეყნების „ლიმიტირებული სუვერენიტეტის“ უფლება, ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში ცივი ომის ჩამოყალიბდა, რაც საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის სხვა სახელმწიფოების ურთიერთობების ჩარჩოს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ „ლიმიტირებული სუვერენიტეტის“ იდეა რუსეთის პოლიტიკას დღესაც ახასიათებს, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს ცენტრალურ აზიის განვიტარებას და იქ მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებს.

გამომცემლობა ეკონომისტის კვლევებმა აჩვენა, რომ ცენტრალური აზია პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე არადემოკრატიული ნაწილია.

დასკვნა

კვლევამ დაადასტურა, რომ რუსეთი ნამდვილად არის პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიზაციის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი. რუსეთი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს დაკარგულ „ჰარტლენდზე" კონტროლის აღდგენას, ის აქტიურად ერევა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რითაც არყევს მათ სახელმწიფოებრიობას და აყოვნებს დემოკრატიზაციის პროცესებს. რუსეთის მიერ შექმნილი ყველა სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ალიანსი ერთადერთ მიზანს - რუსეთის გავლენების გაფართოებას ემსახურება.

ნაშრომმა წარმოაჩინა, რომ დღესდღეობით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის რუსეთთან თანამშრომლობის ფასს სახელმწიფო სუვერენიტეტის ნაწილის დათმობა წარმოადგენს. რუსეთი განსაკუთრებით აგრესიულია მათ მიმართ, ვინც ქვეყნის დემოკრატიული მოდელით მართვას ამჯობინებს და არ იზიარებს ავტორიტარულ მიდგომებს.

ნიშანდობლივია გამომცემლობა ეკონომისტის კვლევის ანალიზი, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან დემოკრატიის ინდექსი ყველაზე მაღალია იმ ქვეყნებში, რომლებიც უფრო მეტად არიან დისტანცირებული რუსეთისგან და პირიქით, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს რუსეთს - როგორც ყველაზე დიდ შემაფერხებელ ფაქტორს პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიზაციაში.

ბიბლიოგრაფია

1)Eldar ismailov, Vladimer papava *„Rethinking Central Eurasia" June 2010*
http://www.papava.info/publications/2010_MONO_Ismailov-Papava_Rethinking-Central-Eurasia.pdf
10.12.18. 16:30.

2)A report by The Economist Intelligence Unit, *Democracy Index 2018*
https://www.eiu.com/public/topical_report.aspx?campaignid=Democracy2018
12.12.18. 17:25.

3)Stephan Aris, *Russia's approach to multilateral cooperation in the Post-Soviet Space: CSTO, EurAsEC and SCO April 2018*
https://www.files.ethz.ch/isn/115180/Russian_Analytical_Digest_76.pdf
17.12.2018. 19:50

4)Roy Allison, *Russian 'deniable' intervention in Ukraine: how and why Russia broke the rules 2014*
http://commonweb.unifr.ch/artsdean/pub/gestens/f/as/files/4760/39349_202339.pdf
20.12.1. 20:30

5) Hans Martin Sieg, *Transformation and geopolitics in the Post-Soviet Space: challenges for the Eastern Partneship and the case of Moldova, december 2016*
http://cejsh.icm.edu.pl/cejsh/element/bwmeta1.element.desklight-17286c6d-2ac3-4e4c-9412-66c9fb35e104/c/KSM2016_2_08_Sieg.pdf
24.12.18. 11:30

6) Sergey Minasyan, *Russian-Armenian relations: Affection or Pragmatism July 2013*
http://www.ponarseurasia.org/memo/russian-armenian-relations-affection-or-pragmatism
30.12.18. 19:50

7) Jim Nicol, *Russia-Georgian conflict in august 2008, context and implications for the U.S interests March 2009*
https://fas.org/sgp/crs/row/RL34618.pdf
02.01.19. 20:35

8) Bobo Lo, *Frontiers New and Old: Russias Policy in Central Asia January 2015*

https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifri_rnv_82_central_asia_bobolo_eng_january_2015_0.pdf
07.01.19. 18:30

9) Benno Zogg, *Belarus between East and West: The Art of the Deal September 2018*
http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CSSAnalyse231-EN.pdf
09.01.19. 20:20

10) Araz Aslanli, *Russian-Azerbaijan Relations: Is the Foreign Policy Strategy of Azerbaijan changing?*
https://www.researchgate.net/publication/320183292_AZERBAIJAN-RUSSIAN_RELATIONS_AZERBAIJAN'S_PURSUIT_OF_SUCCESSFUL_BALANCED_FOREIGN_POLICY
15.01.19. 23:00

11) Rilka Dragneva and Kataryna Wolczuk: *The Eurasian Economic UnionDeals, Rules and the Exercise of Power*
https://www.chathamhouse.org/publication/eurasian-economic-union-deals-rules-and-exercise-power
19.01.19. 2030

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამა
II სემესტრის დოქტორანტი
რუსუდან კვაჭანტირაძე

სადოქტორო სემინარი
“ორგანიზაციული ცვლილებების გამომწვევი მიზეზების, მიმდინარეობის და მართვის თეორიები”

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე

თბილისი
2019

შინაარსი

გამოყენებული ფიგურების ცხრილი 3
შესავალი 4
ორგანიზაციული ცვლილების არსი 7
ორგანიზაციული ცვლილების გამომწვევი მიზეზები 8
ორგანიზაციული ცვლილებების სახეობები 12
ორგანიზაციული ცვლილებების მართვის თეორიები 19
კურტ ლევინის ცვლილებების მოდელი 19
გრეინერის ცვლილებების მართვის მოდელი 23
მაქკინზის „7 ს“ მოდელი 25
ცვლილებების ჯონ კოტერის მოდელი 27
დასკვნა 30
ბიბლიოგრაფია 31

გამოყენებული ფიგურების ცხრილი

ფიგურა 1 10
ფიგურა 2 19
ფიგურა 3 23
ფიგურა 4 25
ფიგურა 5 27

შესავალი

მსოფლიო ჩვენს გარშემო იცვლება, გლობალიზაცია, ტექნოლოგიური განვითარება და სხვა გარემოებები სწრაფ ცვლილებებს განაპირობებენ: ცვალებადი მაკროეკონომიკური პირობები აიძულებენ კომპანიებს უფრო დინამიურად განვითარდნენ, თუ ორგანიზაციას სურს, რომ შეძლოს ამ ცვალებად გარემოში საკუთარი ადგილი იპოვოს და საერთოდ, გადარჩეს, – მან რეაგირება უნდა მოახდინოს არა მარტო გარე ცვლილებებზე, არამედ ცვლილებები შეიტანოს ორგანიზაციის შიგნითაც.

ცვლილებების მართვა ორგანიზაციული განვითარების მეცნიერების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც ფოკუსირებულია სწორედ „ცვლილებების მენეჯმენტზე". ცვლილებების მართვა არის არსებული მდგომარეობიდან სასურველ მგომარეობაში ინდივიდუუმების, ჯგუფების და ორგანიზაციების ტრანსფორმაციის სტრუქტურირებული მიდგომა. მომავლის წარმატებული ორგანიზაციებს მოუწევთ ცვლილებების მართვის სწავლა (Macredie, R.D., Sandom, C., Paul, R.J., 1998).

ცვლილებები გარდაუვალია იმის მიუხედავად, რამდენად კარგად გაქვთ ამ ეტაპზე ორგანიზაცია აწყობილი, რამდენად კონკურენტუნარიანი ხართ და რამდენად კარგად შეესაბამებით არსებულ გარემოს. ცვლილებების პროცესი განაპირობებს მენტალიტეტის, მიდგომის, ტექნოლოგიების, დამოკიდებულების და ქცევის ცვლილებას. ის ასევე ეხება სტრუქტურასა და სტრატეგიას და, რა თქმა უნდა, ორგანიზაციულ ცვლილებებსაც, როდესაც ყალიბდება ახალი მიმართულებები და მიზნები.

თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციის პროცესი სწრაფი ტემპით ვითარდება და ამ პროცესის კვალდაკვალ სულ უფრო მეტი ორგანიზაციის საქმიანობა სცდება თავისი ქვეყნის ფარგლებს. ასეთი კომპანიები ცდილობენ ფეხი მოიკიდონ სხვა ქვეყნებში, განსხვავებული მენტალიტეტით და ფილოსოფიით, ნერგავენ ახალ

პოლიტიკასა და ტრადიციებს. ამ პროცესს თან ახლავს მნიშვნელოვანი ფაქტორი – „ცვლილებები“, რომელთა მართვა კრიტიკულად აუცილებელია წარმატებული საქმიანობისათვის.

ახალი ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე ტრადიციული ორგანიზაციებისათვისაც კი ცხადი გახდა ცვლილებების აუცილებლობა, რადგან საკითხი შემდეგნაირად დგას: ცვლილებები ან დაღუპვა, თუმცა ცვლელებების პრაქტიკაში განხორციელება მრავალ სირთულეს უკავშირდება, რადგან 70% ცვლილებების დანერგვის ინიციატივა ვერ ხორციელდება. სირთულეებს უმეტესად იწვევს ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების მიერ ცვლილებების ნაჩქარევად ინიცირება რასაც შედეგად ფოკუსის დაკარგვა მოსდევს: ცვლილებების მიზანი ბუნდოვანი ხდება (Beer, M., Nohria, N., 2000).

სამეცნიერო ლიტერეტურაში მრავალი ნაშრომი ეძღვნება ცვლილებებს, თუმცა შეკითხვაზე, რა არის და როგორ უნდა დაინერგოს ცვლილებები ცალსახა პასუხი ჯერ არ არსებობს (Dawson, 1994). ტრადიციის თანახმად, თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ცვლილებების დანიშნულება ორგანიზაციაში სტაბილურობის მიღწევაა მინიმალური ცვლილებების გატარების ხარჯზე (Weisbord, 1976) (Stacey, 1996).

ასევე უნდა გაითვალისწინონ ორგანიზაციებმა, რომ თანამშრომლების თვალთახედვით ორგანიზაციულ ცვლილებებს პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვს მათ პირად ცხოვრებაზე და სამუშაოზე. რაც შეიძლება გამოიხატოს სამუშაო გარემოს, ბენეფიტების და სამომავლო მიზნების ცვლილლებით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულებს ესმოდეთ ცვლილების პროცესი, შეაფასონ მისი ეფექტიანობა, მოახერხონ ამ პროცესებში საკუთარი ადგილის განსაზღვრა და შეეძლოთ ზეგავლენა მოახდინონ იმ ფაქტორებზე, რომლებსაც შემდგომში მათზე ექნება გავლენა (Fullan, 1997). თუკი დასაქმებულებს მცირე შესაძლებლობა მაინც ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციული ცვლილებების დაგეგმვაში და

გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები მათ ნაკლები წინააღმდეგობა ექნებათ მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ (Clarke, 1999).

ორგანიზაციებში, უმატესად თანამშრომლებს არასწორად, ან სრულად არ ესმით ცვლილებების პროცესი, მიზანი და შესაძლო შედეგი, როდესაც არ არის ცვლილებების განხორციელების გაიდლაინი შემუშავებული, მათ უჭირთ გაიგონ და მიიღონ ცვლილებები (Fullan., 2011).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია ცვლილებების წარმომშობი გარემოებების, ორგანიზაციული ცვლილებების მართვის თეორიების გაცნობა, მათი უკეთ გააზრების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ცვლილება, ორგანიზაციული ცვლილებების მართვა, ორგანიზაციული ცვლილებების მიზეზები, ორგანიზაციული ცვლილებების თეორიები, ორგანიზაციული განვითარება.

ორგანიზაციული ცვლილების არსი

ცვლილების პროცესი ერთი შეხედვით მარტივი აღსაწერია: ესაა ძველის ახლით ჩანაცვლება. მაგრამ, რამდენადაც აღწერაა მარტივი, მით უფრო რთულია მისი იმპლემენტაცია, რადგან ადამიანებისთვის ძნელია ძველის, ნაცნობის სანაცვლოდ ახალთან, უცნობთან შეგუება. ჩვენ გვაშინებს უცნობი, უცხო, მით უმეტეს, როდესაც ეს სიახლე ახალი ცოდნის და უნარების მიღებას და შესაძლო მარცხს გულისხმობს.

ამის გათვალისწინებით ცვლილება ნაცნობიდან უცნობში გადანაცვლებაა და, შესაბამისად, რადგან მომავალი განუსაზღვრელია, ბუნდოვანია, შეიძლება გავლენა იქონიოს დასაქმებულების კომპეტენციაზე, თვითმნიშვნელოვანების შეგრძნებასა და შეგუების შესაძლებლობაზე. ამ მიზეზების გამო ბევრი დასაქმებული არ ემხრობა და მეტიც, ეწინააღმდეგება ცვლილებებს, თუკი მათ ცვლილებების აუცილებლობის და სარგებლიანობის უდავო არგუმენტებს არ წარუდგენენ. ამიტომ, ცვლილებების წარმატებული განხორციელებისთვის საჭიროა სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავდეს ხედვას, მისიას, კომუნიკაციას, ძლიერ ხელმძღვანელობას, მონაწილეობას და კულტურას. ხედვა გულისხმობს ორგანიზაციის მომავალი სურათის შემუშავებას (Hamel, G., Prahald, C., 1994); მისია აზრს ანიჭებს ორგანიზაციულ ცვლილებას (Senge, P., Roberts, C., 1994); კომუნიკაცია და ძლიერი ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ცვლილებებისთვის მომზადების პროცესში, რადგან გულისხმობს ტურბულენტურ ფაზებში გავლას (Handy, 1996); მონაწილეობა შესაძლებელს ხდის ყველა დაინტერესებული მხარისთვის საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობას; ორგანიზაციული კულტურა არის ორგანიზაციის მუშაობის ერთობლივი აღქმა და გავლენა აქვს ცვლილებების ინიციატივებზე (McAdams, 1996). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცვლილებები არის ცხოვრების სტილი, რომელსაც ორგანიზაციები უნდა შეეგუონ.

ორგანიზაციული ცვლილების გამომწვევი მიზეზები

ორგანიზაციული ცვლილებები შეიძლება მომდინარეობდეს შემდეგი ოთხი ძირითადი წყაროდან:

- გარემოცვა
- დივერსიფიკაცია
- ტექნოლოგია
- ადამიანები

გარემოცვა მოიცავს სოციალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ აქტივობებს, რომლებსაც გავლენა აქვს ორგანიზაციის ყოველდღიურ ოპერაციებზე. დივერსიფიკაცია მოიცავს ბიზნეს შედეგებს, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ინდუსტრიაში არსებულ კონკურენციაზე რეაგირებას. ტექნოლოგია მოიცავს არა მარტო ბიზნესის წარმოების, არამედ არსებული პრაქტიკის ავტომატიზირებას. ადამიანებს უწევთ ახალი და შეცვლილი მოთხოვნებისთვის ფეხის აწყობა (Tichy, 1983), რათა შეძლონ ორგანიზაციის სტრატეგიული კურსის გატარება, რაც ხშირად ხედვის, მისიის და სტრატეგიის ფუნდამენტურ ცვლილებას გულისხმობს, რომ შესძლონ საკუთარი საჭიროებების ორგანიზაციულ მიზნებთან დაკავშირება (Nadler, D.A., & Shaw, R.B., 1995). მაგალითად, ყველა ცვლილებას შედეგად უნდა მოჰყვეს ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდა, რესურსების უფრო ოპტიმალური მოხმარების ხარჯზე და დასაქმებულების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებაში მეტი ჩართულობა (Burke, 1982).

მაკმილანის მიხედვით, ორგანიზაციული ცვლილებების თეორიები შემუშავებულია სამყაროს იმ აღქმის მიხედვით, რომელიც არ ეხმიანება და არ ასახავს ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის რეალობას (McMillan, 2004). თანამედროვე ორგანიზაციებს გლობალიზაციით და ტექნოლოგიური განვითარებით გამოწვეულ გაურკვეველ გარემოში უწევთ ოპერორება, ამიტომ

ტენენბაუმი თანამედროვე გარემოსთვის შესაბამის ცვლილებების გამომწვევ ექვს ძირითად მიზეზს ასახელებს (Tetenbaum cited in (McMillan, 2004):

1. ახალი ტექნოლოგიები, რომლებმაც გამოიწვია კომუნიკაციის, ელექტრონიკის, სამომხმარებლო ბაზრის ტრანსფორმაცია და მნიშვნელოვნად გაზარდა ინდუსტრიების ტემპი.
2. გლობალიზაცია, რომელმაც შედეგად უფრო მეტად დაკავშირებული სამყარო მოიტანა, სადაც ინფორმაცია, ფული და საქონელი ადვილად და სწრაფად მოძრაობს.
3. გლობალიზაცია და ახალი ტექნოლოგიები, რომლებმაც გაამძაფრა შეჯიბრებითობა და დააჩქარა ბაზრის ლიდერების აღზევება და ვარდნა.
4. ცვლილებების ახალი პროცესები და შემთხვევები, რომლებიც ეხლა გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ოდესმე ისტორიის მანძილზე.
5. სისწრაფე - ტექნოლოგიური სისწრაფის წარმოუდგენელი ზრდა, თანაბარ გავლენას ახდენს როგორც საქმიან (პროდუქციის სიცოცხლის ციკლი იზომება თვეებით და არა წლებით), ისე პირად ცხოვრებაზე (უმეტესობას აქვს შეგრძნება რომ რაც ძალი და ღონე აქვს სწრაფად მოძრაობს, რომ შესძლოს პოზიციების შენარჩუნება).
6. სირთულე და პარადოქსი, რაც ყველა ამ ცვლილების შედეგია და მენეჯერებს სულ უფრო რთულ მოთხოვნებს უყენებს, რომლებსაც უწევთ გარკვეულობის და „ან/ან“ გადაწტვეტილებების მიღება სტაბილურობის და წესრიგის მისაღწევად.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს გარე, შინაგანი, ან ამ ორივეს კომბინაციით გამოწვეული (Nadler, 1988). გარე ფაქტორებს შეიძლება პოლიტიკური მდგომარეობა დაედოს საფუძვლად, მაგ: მთავრობის მიერ მიღებული ახალი რეგულაციები (Harris, 1997).

ეკონომიკურ გარემოს ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ცვლილების ტიპზე, ასეთებია: „ეკონომიიური რაციონალიზმი," რეგულირებული საბაზრო ეკონომიკა, პრივატიზაცია და კერძო სექტორის კონკურენცია.

სოციალურ ფაქტორებსაც გავლენა აქვს ცვლილებებზე: კომპიუტერული ტექნოლოგიები, გლობალლური კომუნიკაცია, მომსახურეობის აუთსორსინგზე გატანა, ონლაინ შემენა, სატელიტი და ინტერნეტი (Harris, 1997).

ორგანიზაციული ცვლილებების გამომწვევი მიზეზების შემდეგი სქემა შემოგვთავაზა ანდერსონმა:



ორგანიზაციული ცვლილების გამომწვევი მიზეზები ანდერსონის მიხედვით
ფიგურა 1

ცვლილებების გამომწვევი მიზეზები ჯაჭვურ რეაქციას იწვევს მაღალი ფუნქციებიდან და გავლენა აქვს ყველაზე დაბალ ფუნქციებამდე. შემდეგ, გარემოში მომხდარი კიდევ ახალი მიზეზი ბიძგს აძლევს ახალ ცვლილებას და ციკლი გრძელდება. მაგალითად, გარემო ცვლილებებმა ბაზრის ახალი მოთხოვნები გამოიწვია. ორგანიზაციამ კი უნდა უნდა გადახედოს მის საქმიან მოთხოვნებს, რა სტრატეგიული ცვლილებებია განსახორციელებელი ახალ საბაზრო რეალობაში წარმატების მისაღწევად. ბიზნესის ახალი მოთხოვნები მოიცავს მისიის, სტრატეგიის, გრძელვადიანი მიზნების, ბიზნეს მოდელის, პროდუქტების, სერვისების და ფასების სისტემურ გადახედვას და გადააზრებას (Anderson, D. Ackerman Anderson, L., 2010). შემდეგი მიზეზი, ორგანიზაციული მოთხოვნები, წინა მიზეზით გამოწვეული სტრატეგიული მიზნების განხორციელებას ემსახურება და მისთვის საჭირო მოქმედებებს მოიცავს. ამგვარი საოპერაციო დონის ინიციატივები გავლენას ახდენს ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, პროცესებზე, ტექნოლოგიაზე ან პერსონალზე. მსგავსად ორგანიზაციული მოთხოვნების გავლენა მომდევნო მიზეზზე ცვლილების ხარისხზეა დამოკიდებული.

სტრატეგიული და ოპერაციული ცვლილებები გავლენას ახდენს კულტურულ მოთხოვნებზე. ახალი ოპერაციული ბიზნეს პროცესები მოითხოვს დასაქმებულების მხრიდან ახალ პრაქტიკასთან შეგუებას, ცოდნის გაღრმავებას და ახალი უნარების შეძენას. კულტურული ცვლილებები გავლენას ახდენს ლიდერის და დასაქმებულების გრძნობებსა და ქცევებზე (Anderson, D. Ackerman Anderson, L., 2010).

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა კიდევ სხვა მრავალი გარე ფაქტორი არსებობს, რაც ძლიერი წნეხის ქვეშ აყენებს ორგანიზაციებს და აიძულებს რაც შეიძლება სწრაფად უპასუხონ ცვლილებებს, გაიაზრონ მათი აუცილებლობა და შესაბამისი სტრატეგია შეიმუშაონ მათი განხორციელებისას.

ამრიგად, ორგანიზაციებმა უნდა გაიაზრონ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები მათ იმპლემენტაციამდე, ასევე უნდა გაიაზრონ რომელი მოდელის და იდგომის თანახმად უნდა მოახდინონ ცვლილებები, რათა ისინი მაქსიმალურად წარმატებული იყოს.

ორგანიზაციული ცვლილებების სახეობები

ორგანიზაციული ცვლილებების კლასიფიცირების ბევრი მიდგომა არსებობს, შევეცდებით მათი კატეგირიების მიხედვით გადანაწილებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ჩვლილებების სხვადასხვა სახეობების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები გამოვყოთ.

ყველაზე ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში ორგანიზაციული ცვლილებების შემდეგ კლასიფიკაციას ვხვდებით:

დაგეგმილი ცვლილებები ცვლილებათა აგენტის მიერ მიზანმიმართული კონკრეტული ძალისხმევის შედეგია და წარმოადგენს უშუალო რეაქციას სამუშაოში არსებულ იმ შეუსაბამობაზე, რომელიც სასურველ და რეალურ მდგომარეობას შორის განსხვავების შედეგად იკვეთება. დაგეგმილი ცვლილებების უმეტესობის განხილვა შეიძლება, როგორც გარღვევების აღმოფხვრისკენ მიმართული ძალისხმევა, ისე, რომ შენარჩუნდეს ორგანიზაციაში არსებული უპირატესობები. დაგეგმილი ცვლილებების მიზანი განუწყვეტელი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვაა.

ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციული ცვლილება იგეგმება დეტალურად და ხდება ორგანიზაციის მომზადება განსახორციელებელი ცვლილებებისთვის. ამ მიდგომის თანახმად ცვლილება განიხილება როგორც ერთი მდგომარეობიდან მეორეში

გადასვლა წინასწარ დაგეგმილი ქმედებების შესაბამისად, ანუ ძირითადი აქცენტი წინასწარ დაგეგმილ, რაციონალურ, ცენტრალიზებულ და სისტემატურ ცვლილების პროცესზე კეთდება. ამ ტიპის დაგეგმვა მოიაზრებს ორგანიზაციის სტაბილურ და პროგნოზირებად გარემოში არსებობას, რაც წარმოუდგენელია თანამედროვე გარემოში, სადაც სტაბილურობა არ არსებობს (Teece, 2012).

ორგანიზაციაში მიმდინარე ყველა ცვლილება არ არის ცვლილების აგენტის შედეგი. ასეთს წარმოადგენს **დაუგეგმავი ცვლილებები**, რომლებიც სპონტანურად ხორციელდება. მათ შეიძლება დადებითი შედეგი ჰქონდეს, მაგ: პიროვნებათაშორისი კონფლიქტი, რომელსაც შედეგად ახალი პოზიტიური გარდაქმნა მოჰყვება ახალი პროცედურის ან ახალი მეთოდის შემუშავების გზით. ან შეიძლება უარყოფოთი შედეგი მოჰყვეს, მაგ: დასაქმებულების გაფიცვის შედეგად შექმნილი ვითარება, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება ორგანიზაციის სტაბილურობა.

დაუგეგმავი ცვლილებების შემთხვევაში მნიშვნელოვანია რაც შეიძლება სწრაფი რეაგირება რათა მოხდეს ნეგატიური შედეგის მინიმუმამდე დაყვანა და სარგებლის მაქსიმალურად გაზრდა.

სასწრაფო ცვლება (Emergent change): ამ პერსპექტივიდან ცვლილება განიხილება, როგორც განგრძობითი, არაპროგნოზირებადი და მუდმივი პროცესი, რომლის წინაშე ყველა ორგანიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს. სასწრაფო ცვლილების იმპლემენტაცია ქვემოდან ზემოთ პრინციპით ხდება, როდესაც დასაქმებულებს განყოფილების მენეჯერები უწევენ ფასილიტაციას. სასწრაფო ცვლილება მოითხოვს ყველა დასაქმებულის შემზადებას ცვლილებისთვის, მათ მიღებული უნდა ჰქონდეთ საჭირო უნარების და კომპეტენციების ტრენინგი დინამიურ გარემოში საორიენტაციოდ. სასწრაფო ცვლილება ეფექტიან კომუნიკაციაზე, მენეჯმენტის და დასაქმებულების ძლიერ ურთიერთქმედებაზე და თანამშრომლობაზე დგას (Brown, 2005).

მზარდი ცვლილება (Incremental change): ეს დაგეგმილი ცვლილების გაუმჯობესებული ვარიანტია, იმ სხვაობით, რომ დაგეგმვა ხდება ლოგიკური ჯაჭვის ორინციპით და ცვლილებები ხორციელდება ინკრემენტაციულად. ამ ტიპის ცვლილებები უმეტესად გარემო პირობებზე რეაგირების შედეგია, როდესაც მენეჯერები ცდილობენ ორგანიზაციული პერფორმანსი და მომსახურეობა გარემოში არსებულ მდგომარეობას მიუსადაგონ. ტარდება არსებული და საურველი მდგომარეობის ანალიზი, განსხვავებების დეფინიცია და შესაბამისი საკორექციო ქმედებების განხორციელება. ცვლილებების სხვა სახეობებთან შედარებით ეს მოდელი მეტად პროგნოზირებადია ცვლილებების მიმართ და ძირითადი მისი ნაკლიც აქედან მომდინარეობს, მას ნაკლებად აქვს რადიკალურ ორგანიზაციულ ცვლილებებთან შეგუების უნარი (Brown, 2005) (Bock A., Opsahi T., George G. and Gann D., 2012). ასე რომ, ინკრემენტაციული ცვლილების ძლიერი მხარე მუდმივი პროგრესი უფროა, ვიდრე „ჩარჩოების გარღვევა“ და ორგანიზაციის ერთი სეგმენტის ცვლილებას იწვევს და არა მთლიანი ორგანიზაციის ტრანსფორმაციას, არ ქმნის ახალ ვითარებას, არსებულ მდგომარეობას ინარჩუნებს არსებული სტრუქტურის შენარჩუნების მეშვეობით (Lau A., Tang E., Yam R., 2010).

უეცარი ცვლილება (Stepped change) ხორციელდება მაშინ, როდესაც რომელიმე ფაქტორის ტრენდული ხაზი ძალიან იცვლება და დიდ ნახტომს მოითხოვს. მისი განხორციელება შეუძლებელია ყველა ორგანიზაციაში, იქ არსებული სტრუქტურის გამო. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლო დროს სტრატეგიული ანალიზის ფოკუსი ტრენდების ანალიზიდან სამომავლო მოქმედების სცენარის დაგეგმარებაზე გადავიდა (Randall, 2004).

ტრანსფორმაციული ცვლილება: რთული და მაღალი კონკურენტული გარემოს ფონზე ყველა ორგანიზაციას უნდა შეეძლოს რადიკალური, მკვეთრი ცვლილებების განხორციელება. ასეთ სიტუაციაში ორგანიზაციას მისი ჩვეული პარადიგმიდან გადახვევა უწევს, რაც კულტურის მკვეთრ ცვლილებას იწვევს და სწორედ ეს არის ამ ტიპის ცვლილების უარყოფითი მხარე (Johnson, G., Scholes, K.,

2002). ტრანსფორმაციული ცვლილება დიდი ტურბულენტობის გამო ზედმიწევნით სკურპულოზურ გათვლას მოითხოვს.

ტრანსფორმაციული ცვლილებების პროცესის დასაწყებად სამეცნიერო ლიტერატურა ხუთ ძირითად ასპექტს გვთავაზობს, როგორც ინდიკატორებს ტრანსფორმაციული ცვლილების განხორციელების აუცილებელ პირობად (Brau, J. C., Fawcett, S. E. , 2006). ესენია:

1. მთლიანი სისტემის მრავალი და ურთიერთდამოკიდებული ცვლილებები;
2. ახალი ორგანიზაციული ფორმების შექმნა კოლექტიურ დონეზე;
3. ინდივიდუალურ დონეზე როლების შექმნა;
4. ძალაუფლებრივი ურთიერთობების რეკონფიგურაცია (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ახალი მმართველი გუნდის ან გუნდების შექმნას ეხება);
5. ახალი კულტურის, იდეოლოგიის და ორგანიზაციული მნიშვნელობის შექმნა.

ტრანსფორმაციული ცვლილება სცდება სტრატეგიული ცვლილების საზღვრებს, რადგან ორგანიზაციას ბირთვიდან ცვლის (Ferlie, E., Ashburner, L., Fitzgerald, L., Pettigrew, A., 1996). სამეცნიერო ლიტერატურაში აქცენტი კეთდება შემდეგ ოთხ საკითხზე, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ტრანსფორმაციული ცვლილების წარმატებულად განხორციელებისთვის, ესენია:

- თანამშრომლების ღირებულების აღქმა;
- ცოდნის შექმნისადმი დამოკიდებულება;
- აპლიკაციის პროცესის დახვეწისადმი დამოკიდებულება;
- მოტივაციის აღქმა (Clegg, S. R., Harris, M., Höpfl, H., 2011).

რადიკალური ცვლილება: ამ ტიპის ცვლილება „მიღებულ“ (მსგავს სიტუაციაში საერთოდ დამკვიდრებულ სამოქმედო გზას) ან „ერთადერთი შესაძლო ვარიანტის“ მიხედვით მოქმედებას გულისხმობს ისეთი ფართო ფორმატის გამო, როგორიც

შეიძლება იყოს შევცლილილი ეკონომიკური გარემო ან სოციალური სტრუქტურა. ამ ტიპის ცვლილებები იშვიათად არის წარმატებული ორგანიზაციაში, რადგან უმეტესად წინააღმდეგობას იწვევს.

ზემოთ ჩამოთვლილი კლასიფიკაციის გარდა, „Authenticity Consulting-მა“ (ConsultingAuthenticity, 2005), ორგანიზაციული ცვლილებების პრაქტიკულ მაგალითებზე დაკვირვებით შემოგვთავაზა ცვლილებების ტიპების შემდეგი ოთხი კატეგორია:

მთლიანი ორგანიზაციის მასშტაბით განხორციელებული ცვლილება სუბსისტემის ცვლილების საწინააღმდეგოდ (Organization-wide Versus Subsystem Change). მთლიანი ორგანიზაციის მასშტაბით განხორციელებული ცვლილების მაგალითი შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი რესტრუქტურიზაცია ან კოლაბორაცია. როგორც წესი, ორგანიზაციებს ამ მასშტაბის ცვლილება სჭირდებათ ორგანიზაციული განვითარების ახალ სტადიაზე გადასასვლელად, მაგ: რეაქტიული ან სამეწარმეოდან უფრო სტაბილურ და დაგეგმილ განვითარებაზე გადასასვლელად. ექსპერტების დაკვირვებით, წარმატებული ორგანიზაციული ცვლილება ორგანიზაციული კულტურის ცვლილებას გულისხმობს, რომელიც ასევე ერთ-ერთი მაგალითია მთლიანი ორგანიზაციის მასშტაბით განხორციელებული ცვლილების. სუბსისტემის ცვლილება პროდუქტის ან სერვისის დამატებას ან ამოღებას, რომელიმე დეპარტამენტის რეორგანიზაციას ან ახალი პროცესის იმპლემენტაციას გულისხმობს.

ტრანსფორმაციული ცვლილება ინკრემენტაციულის საწინააღმდეგოდ (Transformational Versus Incremental Change). ტრანსფორმაციული (ან რადიკალური, ან ფუნდამენტალური) ცვლილება ორგანიზაციის სტრუქტურის და კულტურის ტრადიციული ზემოდან ქვემოთ (top-down) იერარქიული სტრუქტურის თვითმართვად ჯგუფებზე ცვლილებაა. ასევე მაგალითისთვის შეიძლება გამოგვადგეს ბიზნეს პროცესების რეორგანიზაცია, რომლის დროსაც ხდება ყველა პროცედურის გამოცალკევება და შემდეგ უფრო ოპტიმალურად მათი გაერთიანება

და აწყობა. ტრანსფორმაციულ ცვლილებას ხანდახან კვანტურ ცვლილებასთან აიგივებენ. ინკრემენტაციულ ცვლილებად მიიჩნევა მუდმივი გაუმჯობესება, როგორც ხარისხის მართვის პროცესი ან ახალი ტექნოლოგიური სისტემის დანერგვა ეფექტიანობის გასაზრდელად.

რემედიული ცვლილება განვითარებადის საპირისპიროდ (Remedial Versus Developmental Change): ცვლილება შეიძლება მიზნად ისახავდეს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგ: მთლიანად ორგანიზაციის ან ცალკეული პროდუქტის დაბალი შესრულების გაუმჯობესება, გადაწვის (burnout) შემცირება, ორგანიზაციის მეტი პროაქტიულობისკენ და ნაკლები რეაქტიულობისკენ მიმართვა... რემედიული ცვლილებების პროექტები უფრო ფოკუსირებული და სასწრაფოა, რადგან ისინი ახლანდელ, ყველაზე დიდ პრობლემას ეხება. ამგვარი პროექტების წარმატების შეფასება კი უფრო მარტივია, რადგან პასუხი უნდა გაეცეს ერთ კითხვას: პრობლემა აღმოიფხვრა თუ არა? ცვლილება ასევე შეიძლება იყოს განსავითარებელი, როდესაც მიზნად ისახავს არსებული წარმატებული მდგომარეობის უფრო მატად გაუმჯობესებას, მაგ: მომხმარებლების რაოდენობის გაზრდა ან წარმატებული პროდუქტის ან სერვისის დუბლირება. განვითარების პროექტები უფრო ზოგადი და ბუნდოვანია რემედიულთან შედარებით. ასევე ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თუკი განმავითარებელი პროექტები დროულად არ განხორციელდება, მათი გატარება საჭირო გახდება რემედიული ცვლილებებისთვის.

დაუგეგმავი ცვლილებები დაგეგმილის საწინააღმდეგოდ (Unplanned Versus Planned Change). დაუგეგმავი ცვლილებების აუცილებლობა ორგანიზაციის წინაშე დამდგარი უეცარი გარემოების დროს ჩნდება, როდესაც მათზე რეაგირება უნდა იყოს რეაქტიული და შესაბამისად არაორგანიზებული. ესეთი შეიძლება იყოს მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მიერ ორგანიზაციის დატოვება, რასაც შედეგად მოჰყვება შიდა კომუნიკაციის პრობლემები, მომხმარებლების სწრაფად დაკარგვა და ა.შ. დაგეგმილი ცვლილების დროს ორგანიზაციის ლიდერების მიერ

ხდება ცვლილების აუცილებლობის გამოვლენა, დაგეგმილი ცვლილების განხორციელებისთვის სამოქმედო გეგმის პროაქტიულად შედგენა. ასეთია სტრატეგიული გეგმის, რეორგანიზაციის, ან რაიმე სხვა ამ კალიბრის ცვლილების წარმატებული იმპლემენტაცია. ასევე უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ დაგეგმილი ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ ეფუძნება კარგად გააზრებულ გეგმას და პროაქტიულია, ხშირად მისი განხორციელება მაინც ქაოტურად მიმდინარეობს.

ორგანიზაციული ცვლილებების მართვის თეორიები

არსებობს ცვლილებათა მართვის რამდენიმე ძირითადი მოდელი, რომლებზეც ყველა თანამედროვე კვლევა არის აგებული. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით ცვლილებების მართვის ამ მოდელების განხილვას მათი უკეთ გაგების მიზნით.

კურტ ლევინის ცვლილებების მოდელი

ორგანიზაციული ცვლილებების მოდელი პირველად კურტ ლევინმა ჩამოაყალიბა 1950-იან წლებში, რომელიც დღემდე აქტუალურია და სხვა დანარჩენი, მოგვიანებით წარმოებული, კვლევების საფუძველს წარმოადგენს. იგი სამი ეტაპისგან შედგება: „გალღობა - ცვლილება - გაყინვა.“ ლევინმა ორგანიზაციული ცვლილების პროცესი განმარტა ყინულის ფიგურისთვის ფორმის ცვლილების მაგალითზე: თუ კუბის ფორმის ყინულმა გვსურს რომ სამკუთხედის ფორმა მიიღოს, ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გავალღოთ, შემდეგ გამდნარი ყინული (ანუ უკვე წყალი) უნდა მოვაქციოთ სასურველ ფორმაში და საბოლოოდ, იმისათვის, რომ ფორმა შენარჩუნდეს, ისევ უნდა გავყინოთ.



ორგანიზაციული ცვლილების ფიზიკური გამოსახულება ლევინის თეორიის მიხედვით
ფიგურა 2

თუ ცვლილება განიხილება, როგორც პროცესი შესაბამისი ეტაპებით, შესაძლებელია თითოეული ეტაპისათვის მომზადება. ლევინის თეორიის მიხედვით, იმისათვის, რომ ორგანიზაციული ცვლილება განხორციელდეს, მან შემდეგი სამი ეტაპი უნდა გაიაროს.

გალღობა: პირველი ეტაპი მოიცავს ორგანიზაციის მომზადებას ცვლილებისათვის, რაც გულისხმობს პერსონალის დარწმუნებას ცვლილების საჭიროებაში და არსებული Status Quo შერყევას, სანამ ახლის შექმნა დაიწყებოდეს. ამ პროცესში ლიდერები ამზადებენ ორგანიზაციას ცვლილებებისთვის. ეს ცვლილების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც ორგანიზაციამ უნდა გაიაზროს, როგორ უნდა მოხდეს ცვლილებისთვის მზადება, რომ შესაძლებელი გაზდეს კომფორტის ზონისთვის თავის დაღწევა. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ამ ეტაპზე, ეს არის „შეტყობინების“ მომზადება იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ცვლილები. ეს შეიძლება იყოს მონაცემები გაყიდვების შესახებ, ფინანსური ანგარიშები, კლიენტების საჩივრები ან უბრალოდ, უკეთესობისაკენ შეცვლის სურვილი. ეს „მესიჯი“ ხელს უწყობს ცვლილების საჭიროების დასაბუთებას. გაცნობიერდეს ცვლილების მნიშვნელობა და მიზანი და უარყოფითი გავლენა ექნება არსებული სიტუაციის შენარცუნებას. ამ ეტაპზე ძირითადი მიზანია დასაქმებულების შესაძლო წინააღმდეგობისთვის თავის არიდება. რადგან როდესაც ისინი წინასწარ შემზადებულები არიან ცვლილებისთვის, ესმით პროცესი და აუცილებლობა, გაცილებით იოლია ცვლილებების იმპლემენტაცია. როდესაც დასაქმებულების მსოფლმხედველობა მომზადებულია ცვლილებისთვის, მენეჯერს შეუძლია შემდეგ საფეხურზე გადასვლა (Lewin, 1951). პირველივე ნაბიჯის გადადგმით იცვლება Status Quo, იქმნება დისბალანსი და იწყება შიდა პროცესები. ორგანიზაცია გაყინული მდგომარეობიდან გამოდის.

ცვლილება/გადასვლა: მას შემდეგ, რაც „გალღობის“ სტადია გავლილია და ორგანიზაცია გამოსულია ყინულის მდგომარეობიდან, პერსონალი იწყებს „შერყეული“ მდგომარეობიდან გამოსვლას ახალი გზების მოძებნით. ამ ეტაპზე

ხორციელდება ცვლილებები, აშკარავდება მათზე რეაქცია. ხდება სასაქმებულების ტრენინგები და ეს ყველაზე რთული ეტაპია, რადგან ცოდნის და შემზადების მიუხედავად ადამიანებს მაინც უჩნდებათ წინააღმდეგობის სურვილი, როდესაც ცვლილება რეალურად ხორციელდება. ამიტომ დიდწილად ამ ეტაპისთვის თავის კარგად გართმევაზეა დამოკიდებული ცვლილების წარმატება ან ცავარდნა. ეფექტიანი კომუნიკაცია, დახმარება, ცვლილების საერთო, დიდი სურათის ჩვენება უმნიშვნელოვანესია ამ ეტაპზე (Pasmore, W. A., Woodman, R. W., Abraham B., S., 2010).

ლევინი ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ მამოძრავებელი ძალა დამაბრკოლებელზე მეტი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლილება სათანადოდ ვერ განხორციელდება. ამიტომ ძედმიწევნით კარგად უნდა მოხდეს მამოძრავებელი ძალების შეფასევა გალხობის სტადიეზე, ტაღა სათანადოდ მოხდეს პროგნოზირება და რისკების შეფასება. ამის ხარჯზე კი სწორი სტრატეგიის და მამოძრავებელი ძალების გაძლიერების შემუსავება (Holt K., Seki K., 2012).

ტრანსფორმაცია გალღობიდან ცვლილებამდე არ არის ხანმოკლე პროცესი რომელსაც თავისი სირთულეებიც ახლავს. მიუხედავად ყველაფრისა, იმისათვის, რომ ცვლილება იყოს მისაღები და თანამშრომლებმა მას მხარი დაუჭირონ, საჭიროა მათთვის გასაგები გახდეს, თუ რა შეღავათების მომტანი იქნება ეს ცვლილება. დრო და კომუნიკაცია – ეს არის ორი გასაღები წარმატებული ცვლილებისათვის. ადამიანს სჭირდება დრო, რათა გაიაზროს ცვლილებები, ამავე დროს, ცვლილების პროცესში ისინი თავს ორგანიზაციის ნაწილად უნდა გრძნობდნენ.

გაყინვა: ცვლილებების იმპლემენტაციის და მიღების შემდეგ ხდება ცვლილებების კულტურაში გადატანა. როდესაც სახეცვლილი ორგანიზაცია იწყებს ახალი მიმართულებით მოძრაობას, ის უკვე მზად არის „გაყინვისათვის“. გაყინვის სიგნალებს წარმოადგენს: სტაბილური ორგანიზაცია, დალაგებული

ორგანიზაციული სტრუქტურა, დაზუსტებული თანამდებობრივი ინსტრუქციები და ასე შემდეგ. გაყინვის პროცესში საჭიროა კვლავ გაეწიოთ დახმარება თანამშრომლებს, რათა საბოლოოდ დასრულდეს ტრანსფორმაციის ეტაპი და არსებული განხორციელებული ცვლილება გამყარდეს ორგანიზაციის ყველა დონესა და საფეხურზე.

ბრენჩი (2002, p. 4), ლევინის მოდელის განხორციელების შემდეს სამ გზას გვთავაზობს (Branch, 2002):

- დასაქმებული ინდივიდის ცვლილება (მათი უნარები, ფასეულობები, დამოკიდებულება, ქცევა) – ორგანიზაციული ცვლილების შესაბამისად;
- ორგანიზაციული სტრუქტურის და სისტემების ცვლილება – ჯილდოს სისტემა, ანგარიშგების ურთიერთობები, სამუშაოს დიზაინი;
- ორგანიზაციული კლიმატის ან ინტერპერსონალური ურთიერთობების ცვლილება – დასაქმებულების ერთად გატარებული დრო, კონფლიქტების მოგვარების ფორმა, გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები.

გრეინერის ცვლილებების მართვის მოდელი

ლარი გრეინერის ორგანიზაციული ცვლილებათა მართვის მოდელი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და წარმატებულად გამოყენებული მოდელია პრაქტიკაში, რომელიც ექვსი ეტაპისაგან შედგება (Greiner, 1969):



ორგანიზაციული ცვლილების გამოსახულება გრეინერის თეორიის მიხედვით

ფიგურა 3

1. კრეატიულობის ფაზა: ამ პირველ ეტაპზე ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა გაიაზროს ცვლილების აუცილებლობა და მოემზადოს მის განსახორციელებლად;

2. მიმართულების ფაზა: ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზი;

3. დელეგირების ფაზა: ორგანიზაციაში არსებული პრობლემების დეტალიზაცია და გაღრმავება. ამ პროცესში უნდა ჩართოს ორგანიზაციის თანამშრომლები;

4. კოორდინაციის და მონიტორინგის ფაზა: ახალი გამოსავლის პოვნა. სწორედ ახალი მიდგომების გამოყენება არის საჭირო;

5. თანამშრომლობის ფაზა: შესაძლო უარყოფითი შედეგების გამოვლენა და საჭირო კორექტივების შეტანა;

6. ალიანსის ფაზა: თანამშრომელთა მოტივაცია.

მაქკინზის „7 ს“ მოდელი

„7ს“ კონცეფცია შეიმუშავეს საკონსულტაციო ორგანიზაციის „მაქკინსი და კომპანია“ თანამშრომლებმა.

მაქკინზის „7ს“ მოდელი აღწერს ორგანიზაციის მართვისთვის მნიშვნელოვან 7 ფაქტორს და შესაბამისად, ცვლილებების მართვის მიდგომას. ეს ფაქტორები ადგენენ ორგანიზაციის ფუნქციონირების დონეს. მენეჯერებმა ყველა ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინონ, რათა უზრუნველყონ სტრატეგიის წარმატებული შესრულება (Waterman Jr, R. H., Peters, T., & Phillips, J. R., 1980).



ორგანიზაციული ცვლილების ფიზიკური გამოსახულება ლევინის თეორიის მიხედვით
ფიგურა 4

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ურთიერთდაკავშირებულნი არიან და თუკი რომელიმე მათგანს სათანადო ყურადღება არ ექცევა, მან, შესაძლებელია, სხვა ფაქტორებზეც იმოქმედოს. ამასთანავე, თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს.

საერთო ფასეულობები. გადაკვეთის წერტილი: ეს არის საერთო ფასეულობები, ეთიკა, სტანდარტები, კორპორატიული კულტურა, რომელიც არსებობს მთლიანად ორგანიზაციისათვის და მისი ყველა წევრისათვის. სწორედ ამ ფასეულობების გარშემო არის გაერთიანებული ორგანიზაცია.

სტრატეგია. დროის მონაკვეთში მიზნის მიღწევისათვის ორგანიზაციის რესურსების გადანაწილების გეგმა: გარემო, კონკურენცია, კლიენტები.

სტრუქტურა. ორგანიზაციის დანაყოფების ურთიერთობების საშუალებები: ცენტრალიზებული, ფუნქციონალური, დეცენტრალიზებული, მატრიცა, ქსელი და ა.შ.

სისტემა. პროცედურები, პროცესები და რეჟიმები, რომლებიც ახასიათებენ სამუშაოს: ფინანსური სისტემები, განვითარების სისტემები, საინფორმაციო სისტემები.

თანამშრომლები. თანამშრომელთა რაოდენობა, მათი სამუშაო აღწერილობები და მათი შესაძლებლობები ორგანიზაციაში.

სტილი. მენეჯერებისათვის დამახასიათებელი კულტურული, ლიდერობის და მართვის სტილი.

გამოცდილება. თანამშრომელთა და ორგანიზაციის განსაკუთრებული შესაძლებლობები და კომპეტენტურობა.

ცვლილებების ჯონ კოტერის მოდელი

1995 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა – ჯონ კოტერმა გამოაქვეყნა წიგნი „ცვლილებების მართვა“, სადაც ცვლილების მართვის რვასაფეხურიანი მოდელი შეიმუშავა:

ორგანიზაციული ცვლილების ფიზიკური გამოსახულება ლევინის თეორიის მიხედვით
ფიგურა 5

პირველი საფეხური: *საჭიროების შექმნა.* იმისთვის, რომ ცვლილება განხორციელდეს, ის საჭირო უნდა გახდეს, ორგანიზაციაში დასაქმებულებისთვის აშკარა უნდა გახდეს ცვლილების აუცილებლობა. ცვლილებების ექსპერტები თანხმდებიან, რომ როდესაც თანამშრომლებს ესმით ორგანიზაციის არსებული მდგომარეობა, მათთვის უფრო მარტივია ცვლილებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ასევე კოტერი ხაზს უსვამს, რომ ცვლილებების პროცესი არ მიმდინარეობა პირველი ნაბიჯიდან მერვე ნაბიჯამდე თანამიმდევრულად, შესაძლებელია

მათ შორის გადაფარვა მოხდეს (Fullan., 2011) (Kotter, J. & Cohen D. S., 2002) (Lewis, 2011) (Gordon, 2017).

მეორე საფეხური: *ძლიერი კოალიციის შექმნა,* რომელიც დაგეხმარებათ ცვლილების განხორციელებაში. უნდა შეიქმნას თანამოაზრეთა გუნდი, ძლიერი გუნდურობის უნარებით, რომლის წევრებსაც ექნებათ ორგანიზაციის გარე და შიდა პროცესებზე ზედმიწევნით კარგი ცოდნა, სტატუსი, ორმხრივი ნდობა და ავტორიტეტი. ავტორიტეტი და ორგანიზაციის შიდა პროცესების ცოდნა გაამარტივებს ცვლილებების ბარიერების განეიტრალებას ცვლილების მომდევნო ფაზების მსვლელობისას. გუნდს უნდა შეეძლოს თანამშრომლების ინსპირაცია ცვლილების მიმართ, ხედვის შექმნა და ამ ხედვის ეფექტიანი კომუნიკაცია (Kotter, 2014). დიდ ორგანიზაციებში აუცილებელია ასევე დამატებითი ჯგუფების შექმნა ცალკეულ ბიზნეს ერთეულებში ცვლილებების უკეთესი იმპლემენტაციისთვის. თუმცა, თუკი ცვლილება მხოლოდ ერთ ერთეულს მოიცავს საკმარისია ერთი გუნდის არსებობაც.

მესამე საფეხური: *შექმენით ცვლილების ხედვა.* ცვლილების მმართველი ჯგუფის მიერ ნათელი და სრული ხედვის შექმნა, სტრატეგიის შემუშავება გაამარტივებს მის დანერგვას. ნათელი ხედვა ააშკარავებს რა ტიპის ცვლილებაა აუცილებელი, რას მოიცავს იგი და როგორ მივა ორგანიზაცია მიზნამდე.

მეოთხე საფეხური: *აწარმოეთ ხედვის კომუნიკაცია.* მას შემდეგ რაც მიმართულება განსაზღვრულია, მნიშვნელოვანია მისი ორგანიზაციისთვის გაცნობა და რაც უფრო ეფექტურად განხირციელდება ეს პროცესი, მით უფრო მარტივი იქნება ორგანიზაციის ყველა წევრისთვის მიმართულების გააზრება და მიღება. ლიდერებს, რომლებსაც აქვთ კომუნიკაციის კარგი უნარები, კარგად ესმით დასაქმებულების გრძნობებისა და ფიქრების, უფრო ეფექტიანად ახერხებენ ორგანიზაციის ხედვის ყველა საჭირო დონეზე გადაცემას (Kellerman, 2017).

მეხუთე საფეხური: *წაახალისეთ მოქმედება: მოაცილეთ ბარიერები.* ცვლილებების განხორციელების დროს არაერთი ხელის შემშლელი გარემოება წარმოიქმნება.

შესაბამისად, მათი განეიტრალება აუცილებელია წარმატებული ცვლილებისათვის. ბარიერებს შორის კოტერის აზრით ყველაზე ხშირია მაღალ პოზიციაზე მდგომი პირების მხრიდან ცვლილებების წინააღმდეგობა და ცვლილებების დანერგვის გუნდის ლიდერების მხრიდან საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა და ცვლილებების მართვაში მცირე გამოცდილება. სხვა ბარიერებია: არასაკმარისი კომუნიკაცია, დაგეგმარების ხარვეზები, საერთო ნეგატიური დამოკიდებულება და ცვლილებების მიმართ წინააღმდეგობა. დასაქმებულები უკეთ ახერხებენ თანამშრომლების მოტივირებას და წახალისებას, როდესაც მათ გააზრებული აქვთ რატომ არის ორგანიზაციისთვის არსებული ვითარება მიუღებელი (Kotter, J. & Cohen D. S., 2002).

მეექვსე საფეხური: *შექმენით მოკლევადიანი მიზნები.* ცვლილება არ არის ერთი დიდი ნახტომი, ეს უფრო უკეთესი მომალვისკენ მიმართული მოკლევადიანი წარმატებული ქმედებების სერიაა. ამ ეტაპზე ცვლილებების მმართველი გუნდი გეგმავს მოკლევადიან წარმატებულ ნაბიჯებს ახალი ხედვის შესაბამისად. ეს გამარჯვებები ან მიზნები ხელშესახები და მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ცვლილების პროცესის მონაწილეებისთვის ეს ქმნის იმპულსს გრძელვადიანი მიზნის ერთგულებისათვის. ასევე კოტერი გვირჩევს ამ მცირე გამარჯვებებისთვის თანამშრომლების დაჯილდოებას შედეგად მეტი ჩართულობა მოსდევს ცვლილებების იმპლემენტაციის პროცესში.

მეშვიდე საფეხური: *დანერგეთ ცვლილება.* გაამყარეთ ცვლილება მისი ორგანიზაციულ კულტურაში გადატანით. დარწმუნდით, რომ პროცესი წარმატებით დასრულდა. შეამოწმეთ, რომ ცვლილების შედეგად რომელიმე თანამშრომელს ძალიან ბევრი დავალება არ მოუგროვდა, ამ შემთხვევაში საჭიროა ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია.

მერვე საფეხური: *გაამყარეთ ცვლილებები კორპორაციულ კულტურაში.* განხორციელებული ცვლილებები ორგანიზაციის მუშაობის განუყოფელი

ნაწილი უნდა გახდეს. ის უნდა დამკვიდრდეს და ყველასათვის მისაღები სტანდარტის ფორმა უნდა მიიღოს.

დასკვნა

თანამედროვე ორგანიზაციებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ცვლილებებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ორგანიზაციული ცვლილების ლიდერებმა უნდა იცოდნენ ცვლილებების მართვის განსხვავებული თეორიები და არსებული მდგომარეობის შესაბამისად შეეძლოთ მათი გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციის მენეჯერებიც, თავის მხრივ, მომზადებულები იყვნენ ცვლილებების სამართავად, გავლილი ჰქონდეთ შესაბამისი ტრენინგები, რაც შედეგად დასაქმებულებს გაუმარტივებს ცვლილებების მიღებას და ცვლილებების მიმდინარეობის პროცესებში ორიენტირებას.

ბიბლიოგრაფია

Anderson, D. Ackerman Anderson, L. (2010). Beyond Change Management: How to achieve breakthrough results through conscious change leadership. 2nd Edition. . San Francisco: Pfeiffer.

Beer, M., Nohria, N. (2000). Cracking the code of change. *Harvard Business Review, May-June*, 1-8.

Bock A., Opsahi T., George G. and Gann D. (2012). The Effects of Culture and Structure on Strategic Flexibility during Business Model Innovation. *Journal of Management Studies, 49 (2)*, 279–305.

Branch, K. (2002). *Change management*. Получено из http://www.sc.doe.gov

Brau, J. C., Fawcett, S. E. . (2006). Initial Public Offerings: An Analysis of Theory and Practice. *Journal of Finance, vol. 61, issue 1, 399-436*, 399-436.

Brown, C. (2005). *Sustainable Enterprise.* London, UK.: Kogan Page Limited.

Burke, W. (1982). Organization development: Principles and practices. Glenview, IL.

Clarke, M. (1999). Creating change from below: Early lessons for agents of change. *The Leadership & Organization Development Journal*, 70-80.

Clegg, S. R., Harris, M., Höpfl, H. (2011). *Managing Modernity: Beyond Bureaucracy.* Oxford University Press.

ConsultingAuthenticity. (2005). *Field Guide to Consulting and Organizational Development.* London, UK.

Dawson, P. (1994). *Organisational change: A processual approach.* London: Paul Chapman Publishing.

Ferlie, E., Ashburner, L., Fitzgerald, L., Pettigrew, A. (1996). *The new public management in action.* Oxford: Oxford University Press.

Fullan, M. (1997). *The complexity of the change process.*

Fullan., M. (2011). *Change Leader: Learning to Do What Matters Most.*

Gordon, J. (2017). The Power of Positive Leadership: How and Why Positive Lead-ers Transform Teams and Organizations and Change the World. New Jersey: Wiley.

Greiner, L. (1969). Patterns of Organization Change. *Harvard Business Reviw*, 55-60.

Hamel, G., Prahald, C. (1994). *Competing for the future.* Boston: Harvard Business School Press.

Handy, C. (1996). The gods of management. *Executive Book Summaries, 18(2)*, 1-8.

Harris, N. (1997). The economics of organizational change. San Francisco: Jossey-Bass.

Holt K., Seki K. (2012). Holt K. and Seki K. (2012), Global Leadership: A Developmental Shift for Everyone, Industrial and Organizational Psychology, Volume 5, Issue 2, pp. 196–215. *Industrial and Organizational Psychology, Volume 5, Issue 2*, 196–215.

Johnson, G., Scholes, K. (2002). *Exploring corporate strategy. Essex: Prentice-Hall.* Essex: Prentice-Hall.

Kellerman, B. (2017). What Every Leader Needs to Know About Followers. *Harvard Business Review. https://hbr.org/2007/12/what-every-leader-needs-to-know-about-followers.*

Kotter, J. & Cohen D. S. (2002). The Heart of Change. . Boston: Massachusetts.

Kotter, J. (2014). Accelerate: Building Strategic Agility for a Faster-Moving World. *Harvard Business Review*.

Lau A., Tang E., Yam R. (2010). Effects of Supplier and Customer Integration on Product Innovation and Performance: Empirical Evidence in Hong Kong Manufacturers. *Volume 27, Issue 5,*, 761–777.

Lewin, K. (1951). *Field theory in social science.* New York: Harper and Row.

Lewis, L. (2011). Organizational Change: Creating Change Through Strategic.

Macredie, R.D., Sandom, C., Paul, R.J. (1998). Modelling for change: An information systems perspective on change management models. В R. D. Macredie, *Modelling for added value* (стр. 3-16). London: Springer.

McAdams, J. (1996). *The reward plan advantages.* San Francisco: Jossey-Bass.

McMillan, E. (2004). London.

McMillan, E. (2004). Complexity, organizations and change. London: Routledge Taylor & Francis Group.

Nadler, D. (1988). Organizational frame bending: Types of change in complex organizations. San Francisco: Jossey-Bass.

Nadler, D.A., & Shaw, R.B. (1995). Change leadership: Core competency for the twenty-first century. Discontinuous change: Leading organizational transformation. San Francisco: Jossey-Bass.

Pasmore, W. A., Woodman, R. W., Abraham B., S. (2010). *Research in Organizational Change and Development, Volume 18.* Emerald Group Publishing.

Randall, J. (2004). *Managing Change/Changing Managers.*

Senge, P., Roberts, C. (1994). *The fifth discipline fieldbook.* London: Nicholas Brealey Publishing.

Stacey, R. (1996). *Complexity and creativity in organisations.* San Francisco: Berrett-Koehler.

Teece, D. (2012). Dynamic Capabilities: Routines versus Entrepreneurial Action. *Journal of Management Studies, Volume 49*, 1395–1401.

Tichy, N. (1983). Managing strategic change: Technical, political, and cultural dynamics. Ney York: John Wiley.

Waterman Jr, R. H., Peters, T., & Phillips, J. R. (1980). Structure is Not Organization. *Business Horizons, 23(3)*, 14-26.

Weisbord, M. (1976). Organisational diagnosis: Six places to look for trouble with or without a theory. *Group & Organisational Studies, 1(4),*, 430-447.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

V სემესტრის დოქტორანტი

ლევან ნატროშვილი

სადოქტორო სემინარი

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დინამიკა 2012-2018 წლებში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია 3

I. შესავალი 4

II. კვლევის მეთოდოლოგია: ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მის გასაზომად გამოყენებული კრიტერიუმები 6

III. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით 2012-2018 წლებში 13

1. საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) 13
2. იმპორტსა და ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა 14
3. მონოპოლია 21
4. ექსპორტ–იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია 23
5. საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 26
6. უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების შეფარდება მშპ-თან 27
7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფარდება მშპ-თან 29

IV. დასკვნა 31

გამოყენებული ლიტერატურა 35

ანოტაცია

კვლევის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთოხების დინამიკა, ანუ 2012-2018 წლების განმავლობაში იზრდებოდა თუ მცირდებოდა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და სად იყო საქართველოს სუსტი და ძლიერი მხარეები. ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების განმარტებისთვის გამოყენებულ იქნა ამერიკელი მკვლევარის კლაუს კნორის კონცეფცია ეკონომიკური ძალის არსის შესახებ. კერძოდ, ეკონომიკური ძალა შეიძლება იყოს აქტიური ანდა პასიური. აქტიური ძალა მოიცავს ქვეყნის უნარს, სხვადასხვა ეკონომიკური, მათ შორის ფინანსური, ბერკეტების საშუალებით გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნების ქმედებებზე მათთვის ზიანის მიყენებით, ზიანის მიყენების დამუქრებით, დახმარების გაწევით, ან დახმარების გაწევის შეპირებით. პასიური ძალა გულისხმობს ქვეყნის უნარს, მაქსიმალურად შეზღუდოს მასზე სხვა ქვეყნების და მათში მიმდინარე მოვლენების გავლენა, მათ შორის, თავი დაიცვას სხვა ქვეყნების აქტიური ძალისგან და იყოს მდგრადი ქვეყნის გარეთ განვითარებული მოვლენების მიმართ. ნაშრომში ეკონომიკური ძალა და ეკონომიკური უსაფრთხოება, ფაქტობრივად, სინონიმებად იქნა გამოყენებული. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გასაზომად გამოყენებულ იქნა 7 კრიტერიუმი, რომელთა საფუძველზე სხვადასხვა მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ 2012-2018 წლებში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონე მთლიანობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუმცა, ეკონომიკური უსაფრთხოების გასაზომად გამოყენებულ ინდიკატორთა უმრავლესობა ან დაახლოებით იმავე დონეზე დარჩა, ან გაუარესდა, შესაბამისად, ამ მხრივ დადებითი ტენდენციები უფრო ნაკლებად შეიმჩნეოდა.

I. შესავალი

იმ პირობებში, როცა საქართველოს დაახლოებით 20% ოკუპირებული აქვს სხვა სახელმწიფოს და მისგან მომდინარე საფრთხე კვლავ დიდია, ქვეყნის უსაფრთხოება ქართულ სამეცნიერო წრეებში მუდმივად აქტუალური თემა უნდა იყოს. საერთაშორისო ურთიერთობებში უსაფრთხოების კვლევებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია, თუმცა ამ საკითხზე საუბრისას ძირითადი აქცენტი სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებზე კეთდება ხოლმე. მიუხედავად ამისა, უკვე დიდი ხანია, რაც უსაფრთხოების ეკონომიკური კომპონენტები უფრო მეტი ინტენსივობით შეისწავლება. ამას განსაკუთრებით რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. პირველი, ბირთვული იარაღის შექმნის შემდეგ ფაქტობრივად წარმოუდგენელი გახდა დიდ ბირთვულ სახელმწიფოთა შორის მასშტაბური კონფლიქტები. მეორე, ტექნოლოგიების განვითარებამ და გლობალიზაციის მასშტაბების ნახტომისებურმა ზრდამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავება გამოიწვია, რასაც ურთიერთდამოკიდებულებისა და მოწყვლადობის გაზრდაც მოყვა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მცირე ქვეყნებისთვის არის, ვინაიდან მათი ეკონომიკა, როგორც წესი, უფრო მგრძნობიარე არის საგარეო ზეწოლის მიმართ. თუ ამას ისიც ემატება, რომ ასეთ ქვეყანას მეზობლად მტრულად განწყობილი სახელმწიფოები ყავს, კიდევ უფრო საჭირო ხდება ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთოხების საკითხები, კერძოდ, მისი დინამიკა, ანუ ბოლო წლების განმავლობაში იზრდებოდა თუ მცირდებოდა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და სად არის საქართველოს სუსტი და ძლიერი მხარეები.

საკვლევ პერიოდად აღებულ იქნა 2012-2018 წლები, თუმცა ზოგიერთი მონაცემი მხოლოდ 2017 წლის მდგომარეობით არის მოცემული. კვლევაში მოცემული

სტატისტიკა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართველოს საჯარო უწყებებიდან იქნა მოპოვებული როგორც ღია მონაცემების დამუშავების, ისე ინფორმაციის გამოთხოვის გზით. კვლევის საწყის პერიოდად 2012 წელი განზრახ იქნა შერჩეული, ვინაიდან ამ წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჩაანაცვლა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომლის ძირითადი ბირთვიც დღემდე ხელისუფლებაშია. შესაბამისად, საინტერესოა, რა დონეზე იყო საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება წინა ხელისუფლების მმართველობის მიწურულს და რა შეიცვალა მას შემდეგ.

თავდაპირველად, ნაშრომში განხილულია კვლევის მეთოდოლოგია, ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, კერძოდ, რა კომპონენტებისგან შედგება იგი და როგორ შეიძლება მისი გაზომვა. შემდეგ თავში შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე გავაანალიზეთ საქართველოს შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური თუ სხვა სახის ინფორმაცია, ბოლოს კი შევაჯამეთ კვლევის შედეგები.

II. კვლევის მეთოდოლოგია: ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მის გასაზომად გამოყენებული კრიტერიუმები

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ეკონომიკური უსაფრთხოება საკმაოდ რთული შინაარსის ტერმინია და მისი განმარტება სხვადასხვაგვარად შეიძლება. ჩვენი კვლევისთვის დავეყრდენით ამერიკელი მკვლევარის **კლაუს კნორის** ცნობილ ნაშრომს,[1] ვინაიდან ყველაზე ამომწურავად იგი მივიჩნიეთ. კნორი ამბობდა, რომ ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოება დაფუძნებულია **ეკონომიკურ სიძლიერეზე – ძალაზე**. მისი აზრით, ეკონომიკური ძალა შეიძლება იყოს **აქტიური** ანდა **პასიური**. აქტიური ძალა მოიცავს ქვეყნის უნარს, სხვადასხვა ეკონომიკური, მათ შორის ფინანსური, ბერკეტების საშუალებით გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნების ქმედებებზე მათთვის ზიანის მიყენებით, ზიანის მიყენების დამუქრებით, დახმარების გაწევით, ან დახმარების გაწევის შეპირებით. პასიური ძალა გულისხმობს ქვეყნის უნარს, მაქსიმალურად შეზღუდოს მასზე სხვა ქვეყნების და მათში მიმდინარე მოვლენების გავლენა, მათ შორის, თავი დაიცვას სხვა ქვეყნების აქტიური ძალისგან და იყოს მდგრადი ქვეყნის გარეთ განვითარებული მოვლენების მიმართ.[2] ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე როცა ვსაუბრობთ, კვლევის მიზნებისთვის სწორედ ეკონომიკურ ძალას ვგულისხმობთ, შესაბამისად, ნაშრომში ეს ორი ტერმინი, ფაქტობრივად, სინონიმად არის გამოყენებული.

სახელმწიფოს შესაძლოა გააჩნდეს, როგორც აქტიური, ისე პასიური ეკონომიკური ძალა, თუმცა, როგორც წესი, მცირე ქვეყნისთვის აქტიური ეკონომიკური ძალის ფლობა, მისი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, რთულია. ვინაიდან საქართველო მცირე ქვეყანაა, მისთვის აქტუალური სწორედ პასიური ეკონომიკური ძალაა, ანუ ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყნის

[1] Knorr, K. (1975). *The Power of Nations: The Political Economy of International Relations.* Basic Books.
[2] *იქვე, გვ. 79*

მთავარი საზრუნავი სხვა სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური ძალის მის წინააღმდეგ გამოყენების შეზღუდვა უნდა იყოს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ძალა / უსაფრთხოება განვასხვავოთ ეკონომიკური სიმდიდრისა და კეთილდღეობისაგან. ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრე ისეთი მაჩვენებლებით გამოიხატება, როგორიც, მაგალითად, არის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ხოლო კეთილდღეობის ინდიკატორებიდან აღსანიშნავია ერთ სულ მოსახლეზე მშპ, ადამიანის განვითარების ინდექსი და სხვ. ეკონომიკური სიმდიდრისა და კეთილდღეობის საკითხი ძირითადად ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის საგანია, შესაბამისად, იგი ცდება ამ კვლევის ფარგლებს.

მაღალი ეკონომიკური კეთილდღეობის ქვეყანა შესაძლოა საერთოდ არ ფლობდეს ეკონომიკურ ძალას და სხვადასხვა საერთაშორისო კრიზისების დროს მისი ეკონომიკის მდგრადობა და უსაფრთხოება სუსტი იყოს. გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნება ეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე რთულია, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ძალაზეა დაფუძნებული. მაგალითად, სხვადასხვა მონაცემებით ყატარი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ეკონომიკური ძალაც ასეთივე დიდია და ადვილად შეძლებს ძლიერი მეზობლებისგან წამოსული ზეწოლის განეიტრალებას.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეიძლება ეკონომიკური უსაფრთხოება / ძალა გაიზომოს, ეს მეთოდოლოგიაც ძირითადად კლაუს კნორის წიგნში ნახსენებ ინდიკატორებს დაეფუძნა. კერძოდ, ეს ინდიკატორებია:

1. საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მშპ-თან. მიჩნეულია, რომ მშპ–თან მიმართებით საგარეო ვაჭრობის პროცენტული წილი რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ძლიერია ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ვაჭრობაზე.

შესაბამისად, სხვა ქვეყნებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მის წინააღმდეგ გამოიყენონ ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, როგორიც არის სავაჭრო ემბარგო, ბოიკოტი, და სხვა სავაჭრო ბარიერები, რადგანაც მსგავსი ნაბიჯები დიდი ეფექტის მომტანი ვერ იქნება.[3]

აშშ ზესახელმწიფო არა მხოლოდ იმიტომ არის, რომ ეკონომიკური დოვლათის ყველაზე დიდი მწარმოებელია, არამედ იმის გამოც, რომ მშპ–თან მიმართებით ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პროცენტული თანაფარდობა მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე დაბალი (დაახლოებით 27%[4]) აქვს. ეს ნიშნავს, რომ ამერიკელი ხალხი მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების უდიდეს ნაწილს თვითონვე მოიხმარს და ნაკლებად არის დამოკიდებული, როგორც ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე, ისე იმპორტულ ნაწარმზე. შედეგად, ნებისმიერ ქვეყანას გაუჭირდება აშშ–ზე ეკონომიკური ზეწოლის მოხდენა.

სამართლიანობისთვის აქვე უნდა ითქვას, რომ მცირე ქვეყნების ეკონომიკური წინსვლისთვის საგარეო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მცირე რესურსებისა და შესაძლებლობების გამო, ისინი თვითკმარები ვერ იქნებიან. ასეთ სახელმწიფოებს, თუ სურთ რომ ეკონომიკურად წელგამართულნი იყვნენ, უფრო უჭირთ მშპ–თან შედარებით დაბალი საგარეო სავაჭრო ბრუნვის შენარჩუნება, ვიდრე დიდებს.

2. იმპორტსა და ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა[5]. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის მშპ–თან საგარეო ვაჭრობის შეფარდებაზე მნიშვნელოვანი მისი ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურაა. კერძოდ, ეკონომიკური ძალა უფრო დიდია, თუკი ქვეყნის მიერ ექსპორტირებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნა ფასის ან შემოსავლის მიხედვით არაელასტიკურია, ხოლო იმპორტირებულზე –

[3] იქვე, გვ. 84
[4] მსოფლიო ბანკი. საგარეო ვაჭრობის შეფარდება მშპ-თან: აშშ. აღებულია შემდეგი ბმულიდან: https://data.worldbank.org/indicator/NE.TRD.GNFS.ZS?locations=US
[5] Knorr, K. (1975). *The Power of Nations: The Political Economy of International Relations.* Basic Books. გვ. 85

ელასტიკური.[6] მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის ან შემოსავლის მიხედვით შემდეგი ფორმულებით გამოითვლება:[7]

$$\text{მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით} = \frac{\text{მოთხოვნის რაოდენობის პროცენტული ცვლილება}}{\text{ფასის პროცენტული ცვლილება}}$$

$$\text{მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლის მიხედვით} = \frac{\text{მოთხოვნის რაოდენობის პროცენტული ცვლილება}}{\text{შემოსავლის პროცენტული ცვლილება}}$$

თუკი განაყოფი 1-ზე მეტია, მოთხოვნა არის ელასტიკური, თუ 1-ზე ნაკლებია - არაელასტიკური, ხოლო თუ ზუსტად ერთის ტოლია, იგი არც ელასტიკურია და არც - არაელასტიკური. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ელასტიკური საქონლისა და მომსახურების ყიდვაზე უარის თქმა ადვილია, ხოლო არაელასტიკურზე - უფრო რთული. თავის მხრივ, ელასტიკურობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- საქონელი ან მომსახურება პირველადი მოხმარებისაა, თუ ფუფუნების საგანს წარმოადგენს. მაგალითად, პური არის პირველადი მოხმარების პროდუქტი, რომელზე მოთხოვნაც სტაბილური იქნება, მიუხედავად მისი გაძვირების, ან სხვა გარემოების ცვლილებისა. პურისგან განსხვავებით, ხიზილალა არ არის პირველადი მოხმარების საგანი, შესაბამისად, მისი ყიდვისგან თავის შეკავებაც გაცილებით ადვილია. აქედან გამომდინარე, პურზე მოთხოვნა, როგორც წესი, არაელასტიკურია, ხიზილალაზე კი – ელასტიკური.

- საქონელი ან მომსახურება რამდენად არის ადვილად ჩანაცვლებადი, ანუ არსებობს თუ არა მისი ალტერნატიული შემცვლელები. თუკი ასეთი შემცვლელები არ არსებობს, მაშინ პროდუქცია არაელასტიკურია და მასზე

[6] იქვე
[7] მენქიუ, გ. (2008). *ეკონომიკის პრინციპები.* Thomson South-Western. „დიოგენე“ (მეორე ქართული გამოცემა). გვ. 89-95

დამოკიდებულებაც ძლიერია. მაგალითად, „კოკა–კოლას“ ჩანაცვლება ადვილად შეიძლება „პეპსით“ ან სხვა გაზიანი გამაგრილებელი სასმლით, ამიტომ იგი ელასტიკურია, ხოლო ნავთობს დღესდღეობით სრულფასოვანი ალტერნატივა არ აქვს, შედეგად, მასზე მოთხოვნა არაელასტიკურია. სწორედ მისი არაელასტიკურობა განაპირობებს ნავთობით მდიდარი ქვეყნების დიდ ეკონომიკურ შემოსავლებს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში უკვე იმდენად არის წარმოება განვითარებული, რომ ფაქტობრივად მხოლოდ ორი სახის პროდუქციის ჩანაცვლებაა რთული. პირველი, ეს არის ისეთი საქონელი, რომლის საწარმოებლადაც გამოიყენება ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური ფაქტორები, რომლის მაგალითიც არის კომპიუტერული დანადგარები. მეორე, იშვიათი და მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი, მაგალითად, ენერგეტიკული რესურსები: ნავთობი, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია და სხვა.[8]

3. მონოპოლია. თუკი ერთი ქვეყანა ახლო შემცვლელის არმქონე სხვებისთვის მნიშვნელოვანი პროდუქტის ან მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელია, ანუ მონოპოლისტია, ამ ქვეყნის აქტიური ეკონომიკური ძალა იზრდება. ამის მიზეზი ის არის, რომ სხვა ქვეყნები მასზე ხდებიან დამოკიდებული. თავის მხრივ, დამოკიდებული ქვეყნების პასიური ეკონომიკური ძალა სუსტდება.[9]

4. ექსპორტ–იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია. მიჩნეულია, რომ ქვეყანა რაც უფრო ბევრი სახეობის საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ან იმპორტს ახორციელებს, ასევე რაც უფრო მეტი სავაჭრო პარტნიორი ჰყავს, მით უფრო დიდია მისი პასიური ეკონომიკური ძალა.[10] ვაჭრობისა და სავაჭრო პარტნიორების

[8] Knorr, K. (1975). *The Power of Nations: The Political Economy of International Relations.* Basic Books. გვ. 87
[9] იქვე. გვ. 84
[10] იქვე. გვ. 85

მრავალფეროვნება სხვა ქვეყნებს შენზე დიდი გავლენის მოპოვების საშუალებას არ აძლევს.

5. საერთაშორისო სავალუტო რეზერვები. რაც უფრო დიდი რაოდენობის უცხოურ სავალუტო რეზერვს ფლობს ქვეყანა, მით უფრო ძლიერი ინსტრუმენტი აქვს მას საგარეო შოკებისგან და სხვა ქვეყნის ეკონომიკური შეტევისგან თავის დასაცავად.[11] შესაბამისად, მისი პასიური ეკონომიკური ძალა იზრდება.

კლაუს კნორის ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები ამომწურავი არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ წიგნი საკმაოდ ძველია და მასში თანამედროვე ეკონომიკური პროცესები და ტენდენციები ვერ იქნება გათვალისწინებული. მაგალითად, 1970-80-იანი წლებში უცხო ქვეყანაში დასაქმებული სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიერ საკუთარი ოჯახისთვის გაგზავნილი ფული არ იყო მასშტაბური მოვლენა, რასაც ვერ ვიტყვით დღევანდელობაზე. იგივე მიზეზის გამო, უცხოური ინვესტიციებიც შედარებით მოკრძალებული იყო და ქვეყნების ეკონომიკაზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა. ამჟამად ამ კუთხითაც არის სურათი შეცვლილი, შესაბამისად, კვლევის მიზნებისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ კნორის ჩამონათვალისთვის შემდეგი ორი კრიტერიუმის დამატება:

6. უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების შეფარდება მშპ-თან. საერთაშორისო ვაჭრობის მსგავსად, საერთაშორისო ფულადი გზავნილებიც ქვეყნებს შორის დამოკიდებულებას იწვევს. მშპ–თან მიმართებით უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების პროცენტული მოცულობა რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა, ვინაიდან ასეთი ქვეყანა ნაკლებად არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებში არსებულ მდგომარეობასა თუ მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

[11] იქვე. გვ. 87

7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფარდება მშპ-თან. საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფულადი გზავნილების მსგავსად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც ქვეყნებს შორის დამოკიდებულებას იწვევს. მშპ–თან მიმართებით უცხოური ინვესტიციების პროცენტული წილი რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებით საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასებისას, სადაც შესაძლებელი იყო, ცალკე გავაანალიზეთ რუსეთზე დამოკიდებულების საკითხი. ვინაიდან რუსეთის ფედერაცია საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტისთვის მთავარ და ყველაზე ხილულ საფრთხეს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, მასზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს.

III. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით 2012-2018 წლებში

კვლევის ამ ნაწილში წინა თავში ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დინამიკა 2012-2018 წლებში. **ანალიზმა აჩვენა, რომ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონე მთლიანობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუმცა, მდგომარეობა უფრო მეტად უარყოფითისკენ შეიცვალა, ვიდრე დადებითისკენ.**

1. საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ)

როგორც უკვე აღინიშნა, მიჩნეულია, რომ მშპ–თან მიმართებით საგარეო ვაჭრობის მიმართება რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ძლიერია ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა და ეკონომიკური უსაფრთხოება.

2012 წელს საქართველოს სასაქონლო სავაჭრო ბრუნვა ქვეყნის მშპ-თან მიმართებით 66% იყო, ხოლო საქონლისა და მომსახურების ერთობლივი სავაჭრო ბრუნვა - 96% (იხილეთ **დიაგრამა #1**). 2017 წლისთვის ეს მაჩვენებლები გაიზარდა, განსაკუთრებით საგრძნობი იყო საქონლისა და მომსახურების ერთობლივი სავაჭრო ბრუნვის მშპ-თან მიმართება, რომელმაც 17 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“ და „მსოფლიო ბანკი“

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ეკონომიკა 2012 წლის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკასთან უფრო მეტად ინტეგრირებული გახდა, რაც საქართველოს

პასიურ ეკონომიკურ ძალას ამცირებს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება ძალიან დიდი არ ყოფილა.

2. იმპორტსა და ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა

როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში აღინიშნა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია მისი ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა. კერძოდ, ეკონომიკური ძალა უფრო დიდია, თუკი შენს მიერ ექსპორტირებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნა ფასის ან შემოსავლის მიხედვით არაელასტიკურია, ხოლო იმპორტირებულზე – ელასტიკური.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას თუ შევხედავთ, 2012 წელს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფებზე (ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები, აზოტოვანი სასუქები) მოთხოვნა მეტწილად არაელასტიკური უნდა ყოფილიყო, რაც ეკონომიკური ძალისა და უსაფრთხოებისთვის კარგია (იხილეთ **დიაგრამები #2-8**). თუმცა ამ კუთხით ერთი დიდი პრობლემა მაინც იყო აღსანიშნავი: ექსპორტის თითქმის მეოთხედი ეკავა სხვა ქვეყნებში წარმოებული ავტომობილების საქართველოდან მეზობელ ქვეყნებში რეექსპორტს, რაც, როგორც შემდეგ წლებში განვითარებულმა მოვლენებმაც აჩვენა, საკმაოდ არასტაბილურია და დიდ წილად არის დამოკიდებული პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე.

2012 წლის შემდეგ ექსპორტის სტრუქტურის დინამიკას თუ შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ძირითადი სასაქონლო ჯგუფები თითქმის იგივე დარჩა. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირდა, კერძოდ, 2014 წლიდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის წილმა კლება დაიწყო და 2016 წელს ამ მაჩვენებელმა მინიმალურ წერტილს - 7.9%-ს მიაღწია. 2012 წელთან შედარებით, ეს დაახლოებით 17 პროცენტული პუნქტით შემცირებას ნიშნავს. ასეთი ვარდნის მთავარი მიზეზი სხვადასხვა პერიოდში ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებების მიერ ავტომობილების იმპორტის კუთხით სავაჭრო პოლიტიკის შეცვლა იყო, რომლის შედეგადაც ამ ქვეყნებში საქართველოდან ავტომობილების

ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა. 2018 წლისთვის მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის წილი კვლავ გაიზარდა და 12%-ის მიაღწია, თუმცა 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება.



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“

ცალკე საუბრის თემაა ტურიზმი, რომელიც საქართველოს მომსახურების ექსპორტის მთავარი კატეგორიაა. ელასტიკურობის კუთხით თუ შევხედავთ, ტურიზმი აშკარად ელასტიკურია. იგი არც სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტია და ალტერნატიული შემცვლელებიც საკმაოდ ბევრი აქვს სხვა ტურისტული ქვეყნების სახით. გარდა ამისა, ტურიზმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ეკონომიკური კრიზისების მიმართ. რთულ პერიოდებში უცხოეთში დასვენებასა და დროის ტარებაზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობს ადამიანი.

2012 წელს ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ის 8.9% იყო. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2017 წელს

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, 2012 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა, ხოლო მშპ-ში მისმა წილმა 18%-ს გადააჭარბა (იხილეთ **დიაგრამა #9**).



მონაცემთა წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

გარდა იმისა რომ საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ვიზიტორთა შორის რუსეთის მოქალაქეთა რაოდენობა და პროპორციაც იზრდებოდა. თუ 2012 წელს რუსი ტურისტების წილი 10% იყო, 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 20%-ს მიაღწია (იხილეთ **დიაგრამა #10**). ტურიზმზე და განსაკუთრებით რუსულ ტურიზმზე დამოკიდებულების ასეთი ზრდა ასუსტებს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას.



მონაცემთა წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის მეორე მხარეს - იმპორტს, 2012 წელს იმპორტის ძირითად სასაქონლო ჯგუფებზე (ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები, ხორბალი), ექსპორტის მსგავსად, მოთხოვნა მეტწილად არაელასტიკური უნდა ყოფილიყო, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური ძალისა და უსაფრთხოებისთვის კარგი არ არის.

2012 წლის შემდეგ სურათი თითქმის არ შეცვლილა და 2018 წელსაც იმპორტში ყველაზე დიდი წილი კვლავ ნაკლებად ელასტიკურ პროდუქციას ეკავა (იხილეთ **დიაგრამები #11-17**).

დიაგრამა #11. უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2012 წელს (%)



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“

დიაგრამა #12. უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2013 წელს (%)



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“

3. მონოპოლია

როგორც კვლევის მეთოდოლოგიის აღწერისას აღინიშნა, თუკი ერთი ქვეყანა სხვებისთვის მნიშვნელოვანი და ახლო შემცვლელის არმქონე პროდუქტის ან მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი, ანუ მონოპოლისტია, ამ ქვეყნის აქტიური ეკონომიკური ძალა იზრდება. ამის მიზეზი ის არის, რომ სხვა ქვეყნები მასზე ხდებიან დამოკიდებული. თავის მხრივ, დამოკიდებული ქვეყნების პასიური ეკონომიკური ძალა სუსტდება.

საქართველო სხვა ქვეყნებს ისეთ საქონელსა და მომსახურებას არ აწვდის, რომელიც ქვეყანას ასეთ მონოპოლიურ საბაზრო ძალაუფლებას მიანიჭებს. რაც შეეხება სხვა ქვეყნების მონოპოლიას, რომელიც საქართველოს პასიურ ეკონომიკურ ძალას შეიძლება მნიშვნელოვნად ასუსტებდეს, ასეთად ბუნებრივი აირი შეიძლება მივიჩნიოთ. საქართველო ბუნებრივი აირს ძალიან მცირე რაოდენობით მოიპოვებს, შესაბამისად, თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული იმპორტირებულ გაზზე.

2012 წელს საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის თითქმის 100% იმპორტირებული იყო. ბუნებრივი აირი საქართველოს მხოლოდ აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემომავალი გაზსადენებიდან მიეწოდებოდა. მიღებული გაზის 85% აზერბაიჯანული იყო, დანარჩენი კი - რუსული, რომელსაც საქართველო რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტის საფასურის სანაცვლოდ იღებდა (იხილეთ **დიაგრამა #18**). როგორც ვხედავთ, საქართველო ბუნებრივი აირის მიღების თვალსაზრისით დიდ წილად აზერბაიჯანზე იყო დამოკიდებული და მისი ერთადერთი ალტერნატივა რუსეთი იყო. ეს მდგომარეობა უკიდურესად ასუსტებდა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას.



ინფორმაციის წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2019* პროგნოზი

2012 წლის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდებოდა აზერბაიჯანულ გაზზე საქართველოს დამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ცუდი იყო 2017 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, საქართველო რუსული გაზის სომხეთში გატარების სანაცვლოდ მის 10%-ს აღარ მიიღებდა და ამ მომსახურების მონეტიზება მოხდებოდა. ამის შედეგად, 2018 წლიდან რუსეთი გაზის ტრანზიტისთვის საქართველოს გარკვეულ თანხას უხდის, რომლის ოდენობაც საქართველოს მთავრობას გასაიდუმლოებული აქვს. ამ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველო თითქმის 100%-ით დამოკიდებული გახდა აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ გაზზე და მის ერთადერთ ალტერნატივად ამ ეტაპზე ისევ რუსული გაზის შესყიდვა რჩება. კარგია, როდესაც მტრულად განწყობილი ქვეყნიდან არ გიწევს ასეთი მნიშვნელოვანი საქონლის იმპორტი, თუმცა პარტნიორი ქვეყანაზე ასეთი დიდი დამოკიდებულებაც არ არის კარგი, ვინაიდან მას მნიშვნელოვანი ბერკეტი ეძლევა შენზე გავლენის მოსახდენად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ეს კომპონენტი 2012 წლის შემდეგ კიდევ უფრო სუსტი და მოწყვლადი გახდა.

4. ექსპორტ–იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია

საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია კიდევ ერთი საკითხია, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. მიჩნეულია, რომ ქვეყანა რაც უფრო ბევრი სახეობის საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ან იმპორტს ახორციელებს, ასევე რაც უფრო მეტი სავაჭრო პარტნიორი ჰყავს, მით უფრო დიდია მისი პასიური ეკონომიკური ძალა. ვაჭრობისა და სავაჭრო პარტნიორების მრავალფეროვნება სხვა ქვეყნებს შენზე დიდი გავლენის მოპოვების საშუალებას არ აძლევს.

ამ კრიტერიუმით საქართველოს იმპორტის მხრივ ყოველთვის უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე – ექსპორტის. 2012 წელს ქვეყნის ექსპორტის თითქმის 62% და იმპორტის 36% სულ 10 სასაქონლო ჯგუფზე მოდიოდა. 2012 წლის შემდეგ

საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის მრავალფეროვნების კუთხით მდგომარეობა თითქმის იგივე დარჩა.

2016 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის წილის ანომალიური ზრდა C ჰეპატიტის სამკურნალოდ ქვეყნისთვის გადმოცემული მედიკამენტების იმპორტის სტატისტიკაში ასახვის გამო მოხდა. 2017 წელს ეს მაჩვენებელი ჩვეულ ნორმას დაუბრუნდა (იხილეთ **დიაგრამა #19**).



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“
2018* იანვარი-ნოემბერი

რაც შეეხება სავაჭრო პარტნიორებს, 2012 წელს ქვეყნის ექსპორტის თითქმის 75% და იმპორტის 68% ათ სავაჭრო პარტნიორზე მოდიოდა. 2015, 2016 და 2017 წლებში ეს პროპორციები სხვადასხვა მიმართულებით იცვლებოდა, თუმცა 2018 წლისთვის ორივე მონაცემი დაახლოებით 2012 წლის დონეზე დაბალანსდა (იხილეთ **დიაგრამა #20**).



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“
2018* იანვარი-ნოემბერი

ცალკე საკითხია რუსეთთან, როგორც სავაჭრო პარტნიორთან, არსებული ურთიერთობები. თვალში საცემია, რომ 2012 წლის შემდეგ რუსეთზე სავაჭრო დამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხილეთ **დიაგრამა #21**). თუ 2012 წელს საქართველოს მთლიან ექსპორტში რუსეთის წილი 2%-ს არ აღემატებოდა, 2013 წლიდან ეს მაჩვენებელი მეტწილად იზრდებოდა და პიკს - 14.5%-ს, 2017 წელს მიაღწია. 2018 წელს პროპორცია უმნიშვნელოდ შემცირდა და 13% გახდა. ანუ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს ექსპორტში რუსეთის წილი დაახლოებით შვიდჯერ გაიზარდა.

შედარებით ნაკლები ტემპით, მაგრამ ასევე გაიზარდა რუსეთის წილი საქართველოს იმპორტშიც. 2012 წელს ეს მაჩვენებელი 6% იყო, 2018 წელს კი მან 10%-ს გადააჭარბა.



წყარო: „საქსტატი“
2018* იანვარი-ნოემბერი

როგორც ვხედავთ, 2012 წლის შემდეგ ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინსვლა არ დაფიქსირებულა, უფრო მეტიც, საგრძნობლად გაიზარდა მტრულად განწყობილ სახელმწიფოსთან - რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები. ასეთი დინამიკა საქართველოს პასიურ ეკონომიკურ ძალას ამცირებს და უფრო მოწყვლადს ხდის რუსეთისგან პოტენციურად მომავალი ზეწოლის მიმართ.

5. საერთაშორისო სავალუტო რეზერვები

ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი კიდევ ერთი ელემენტი უცხოური სავალუტო რეზერვები შეიძლება იყოს. რაც უფრო დიდი რაოდენობის უცხოურ სავალუტო რეზერვს ფლობს ქვეყანა, მით უფრო ძლიერი ბერკეტი აქვს მას საგარეო შოკებისგან და სხვა ქვეყნის ეკონომიკური შემოტევისგან თავის დასაცავად.

2012 წელს საქართველოს უცხოური სარეზერვო აქტივები ქვეყნის მშპ-თან მიმართებით დაახლოებით 18% იყო. შემდეგ წლებში ეს მაჩვენებელი დიდად არ

შეცვლილა და +- 2 პროცენტული პუნქტის ფარგლებში მერყეობდა (იხილეთ **დიაგრამა #22**).



მონაცემთა წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

6. უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების შეფარდება მშპ-თან

საერთაშორისო ვაჭრობის მსგავსად, საერთაშორისო ფულადი გზავნილებიც ქვეყნებს შორის დამოკიდებულებას იწვევს. მშპ–თან მიმართებით უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების პროცენტული მოცულობა რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა, ვინაიდან ასეთი ქვეყანა ნაკლებად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასა თუ გატარებულ პოლიტიკაზე.

2012 წელს საქართველოში გადმორიცხული ფულის ჯამური ოდენობა ქვეყნის მშპ-ის 8.4%-ს უტოლდებოდა. 2012 წლის შემდეგ ეს პროპორცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (იხილეთ **დიაგრამა #23**).



დიაგრამა #23. ფულადი გზავნილები უცხოეთიდან და მათი მიმართება მშპ-თან

მონაცემთა წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება ფულად გზავნილებში რუსეთის წილს, 2012 წლის შემდეგ იგი მუდმივად მცირდებოდა. 2012 წელს საქართველოში უცხოეთიდან გადმორიცხული თანხის ნახევარზე მეტი რუსეთში მცხოვრებ პირებზე მოდიოდა, 2018 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 29%-მდე შემცირდა, რაც საქართველოს ეკონომიკური უსაფრთოხებისთვის ცალსახად დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს (იხილეთ **დიაგრამა #24**).



დიაგრამა #24. ფულადი გზავნილები რუსეთიდან

მონაცემთა წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფარდება მშპ-თან

საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფულადი გზავნილების მსგავსად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც ქვეყნებს შორის დამოკიდებულებას შეიძლება იწვევს. მშპ–თან მიმართებით უცხოური ინვესტიციების პროცენტული წილი რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა, ვინაიდან ასეთი ქვეყანა ნაკლებად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასა თუ პოლიტიკაზე.

2012 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის მშპ-ის 6.5%-ის ტოლი იყო. 2014 წლიდან ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და 2017 წელს იგი უკვე 12.3% იყო (იხილეთ **დიაგრამა #25**). მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით კარგია, პასიური ეკონომიკური ძალისთვის ეს დადებითი მოვლენა არ არის, ვინაიდან, როგორც ითქვა, იგი ზრდის სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხს.



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“

თუმცა, ამ კუთხით დადებითი ტენდენციაც უნდა აღინიშნოს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართება ქვეყნის მშპ-თან ბოლო რამდენიმე წელიწადში თითქმის გაორმაგდა, ეს არ ეხება რუსეთიდან მიღებულ ინვესტიციებს. 2012 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 2.2% მოდიოდა რუსეთზე. 2014 წელს ეს მაჩვენებელი გაორმაგდა, მაგრამ შემდეგ კვლავ შემცირდა და 2017 წელს 1.8% იყო - ანუ იმაზე უმნიშვნელოც კი იყო, ვიდრე 2012 წელს (იხილეთ **დიაგრამა #26**).



მონაცემთა წყარო: „საქსტატი“

IV. დასკვნა

კვლევის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთოხების საკითხები, კერძოდ, მისი დინამიკა, ანუ 2012-2018 წლების განმავლობაში იზრდებოდა თუ მცირდებოდა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და სად არის საქართველოს სუსტი და ძლიერი მხარეები.

ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების განმარტებისთვის გამოვიყენეთ ამერიკელი მკვლევარის კლაუს კნორის კონცეფცია ეკონომიკური ძალის არსის შესახებ. კერძოდ, ეკონომიკური ძალა შეიძლება იყოს აქტიური ანდა პასიური. აქტიური ძალა მოიცავს ქვეყნის უნარს, სხვადასხვა ეკონომიკური, მათ შორის ფინანსური, ბერკეტების საშუალებით გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნების ქმედებებზე მათთვის ზიანის მიყენებით, ზიანის მიყენების დამუქრებით, დახმარების გაწევით, ან დახმარების გაწევის შეპირებით. პასიური ძალა გულისხმობს ქვეყნის უნარს, მაქსიმალურად შეზღუდოს მასზე სხვა ქვეყნების და მათში მიმდინარე მოვლენების გავლენა, მათ შორის, თავი დაიცვას სხვა ქვეყნების აქტიური ძალისგან და იყოს მდგრადი ქვეყნის გარეთ განვითარებული მოვლენების მიმართ. ნაშრომში ეკონომიკური ძალა და ეკონომიკური უსაფრთხოება, ფაქტობრივად, სინონიმებად იქნა გამოყენებული.

სახელმწიფოს შესაძლოა გააჩნდეს, როგორც აქტიური, ისე პასიური ეკონომიკური ძალა, თუმცა, როგორც წესი, მცირე ქვეყნისთვის აქტიური ეკონომიკური ძალის ფლობა, მისი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, რთულია. ვინაიდან საქართველო მცირე ქვეყანაა, მისთვის აქტუალური სწორედ პასიური ეკონომიკური ძალაა, ანუ ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყნის მთავარი საზრუნავი სხვა სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური ძალის მასზე გამოყენების შეზღუდვა უნდა იყოს.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების / ძალის გასაზომად გამოვიყენეთ იმავე კნორის წიგნში ნახსენები 5 ინდიკატორი, რომელთაც კიდევ ორი კრიტერიუმი

დავუმატეთ. შედეგად, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დინამიკა შეფასებულ იქნა შემდეგი 7 კრიტერიუმის საფუძველზე:

1. **საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მშპ-თან**
2. **იმპორტსა და ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა**
3. **მონოპოლია**
4. **ექსპორტ–იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია**
5. **საერთაშორისო სავალუტო რეზერვები**
6. **უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების შეფარდება მშპ-თან**
7. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფარდება მშპ-თან.**

სხვადასხვა მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ 2012-2018 წლებში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონე მთლიანობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუმცა, ზემოთ ნახსენები ინდიკატორთა უმრავლესობა ან დაახლოებით იმავე დონეზე დარჩა, ან გაუარესდა. დადებითი ტენდენცია შედარებით ნაკლები იყო. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით:

- საქართველოს ეკონომიკა 2012 წლის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკასთან უფრო ინტეგრირებული გახდა, რაც საქართველოს პასიურ ეკონომიკურ ძალას ამცირებს, თუმცა, ეს ცვლილება დიდი არ ყოფილა;
- 2012-2018 წლებში საქართველოს ექსპორტის ძირითად სასაქონლო ჯგუფებზე მოთხოვნა ნაკლებად ელასტიკური იყო, რაც ეკონომიკური ძალისა და უსაფრთხოებისთვის კარგია. სამაგიეროდ, მდგომარეობა გაუარესდა მომსახურების ექსპორტის ელასტიკურობის კუთხით. ტურიზმი, რომელიც საქართველოს მომსახურების ექსპორტის მთავარი კატეგორიაა, აშკარად ელასტიკურია. იგი არც სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტია და ალტერნატიული შემცვლელებიც საკმაოდ ბევრი აქვს სხვა ტურისტული ქვეყნების სახით. 2012 წელს ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ის 8.9% იყო. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი მუდმივად მზარდი ტენდენციით

ხასიათდებოდა. 2017 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, 2012 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა. გარდა ამისა, თუ 2012 წელს საქართველოში რუსი ტურისტების წილი 10% იყო, 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 20%-ს მიაღწია. ტურიზმზე და განსაკუთრებით რუსულ ტურიზმზე დამოკიდებულების ასეთი ზრდა ასუსტებს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას;

- საქართველო ბუნებრივი აირს ძალიან მცირე რაოდენობით მოიპოვებს, შესაბამისად, თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული იმპორტირებულ გაზზე. 2012 წელს საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის თითქმის 100% იმპორტირებული იყო. ბუნებრივი აირი საქართველოს მხოლოდ აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემომავალი გაზსადენებიდან მიეწოდებოდა. მიღებული გაზის 85% აზერბაიჯანული იყო, დანარჩენი კი - რუსული. 2012 წლის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდებოდა აზერბაიჯანულ გაზზე საქართველოს დამოკიდებულება და 2018 წლისთვის თითქმის 100%-ს მიაღწია. ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად ასუსტებს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას;
- სავაჭრო პარტნიორებისა და ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციის კუთხით 2012-2018 წლებში მთლიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. თუმცა, აუცილებლად აღსანიშნავია რუსეთთან ვაჭრობის მზარდი ტენდენცია. 2012 წლის შემდეგ რუსეთზე სავაჭრო დამოკიდებულება საგრძნობლად გაიზარდა. თუ 2012 წელს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში რუსეთის წილი, შესაბამისად, 2 და 6 პროცენტს არ აღემატებოდა, 2018 წლისთვის ექსპორტის მაჩვენებელმა 13%-ს, ხოლო იმპორტისამ 10%-ს მიაღწია.
- ქვეყნის მშპ-თან სავალუტო რეზერვების მიმართება 2012-2018 წლებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა;
- უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების საქართველოს მშპ-თან მიმართება 2012-2018 წლებში მნიშვნელოვნად, ასევე, არ შეცვლილა. თუმცა, ამ

კუთხით უნდა აღინიშნოს ერთი დადებითი ტენდენცია, კერძოდ, 2012 წლის შემდეგ რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების წილი მუდმივად მცირდებოდა. 2012 წელს საქართველოში უცხოეთიდან გადმორიცხული თანხის ნახევარზე მეტი რუსეთში მცხოვრებ პირებზე მოდიოდა, 2018 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 29%-მდე შემცირდა, რაც საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ცალსახად დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს;

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართება საქართველოს მშპ-თან 2012-2018 წლებში თითქმის გაორმაგდა. მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით კარგია, პასიური ეკონომიკური ძალისთვის ეს დადებითი მოვლენა არ არის, ვინაიდან, ზრდის სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხს. თუმცა, ამ კუთხით დადებითი ტენდენციაც უნდა აღინიშნოს. ამ მაჩვენებლის ზრდაში რუსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილი უმნიშვნელო იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მენქიუ, გ. (2008). *ეკონომიკის პრინციპები.* Thomson South-Western. „დიოგენე“ (მეორე ქართული გამოცემა). გვ. 89-95
2. Knorr, K. (1975). *The Power of Nations: The Political Economy of International Relations.* Basic Books.
3. სტატისტიკურ მონაცემთა წყაროები:
    - „საქსტატი“
    - „მსოფლიო ბანკი“
    - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
    - საქართველოს ეროვნული ბანკი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება

მესამე სემესტრის დოქტორანტი

მარიამ ჩოჩია

სადოქტორო სემინარი

„სტრატეგიის როლი ორგანიზაციის განვითარებაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბელქანია

სრული პროფესორი

თბილისი

2019

შინაარსი

შესავალი ---------- 3

თავი 1 სტრატეგიული გეგმა ---------- 4

1.1. სტრატეგია ---------- **4**

1.2 სტრატეგიული გეგმის ძირითადი მდგენელები ---------- 5

თავი 2 სტრატეგიული მენეჯმენტი ---------- 7

2.1 სტრატეგიული მენეჯმენტის განვითარების ისტორია ---------- 7

2.2 სტრატეგიის დაგეგმვა ---------- 10

2.3 სტრატეგიის დანერგვის პროცესი ---------- 12

2.4. სტრატეგიის რეალიზაციის მართვა ---------- 15

2.5. სტრატეგიის შესაბამისი სტრუქტურა ---------- 18

2.5.1. სტრატეგიული ამოცანები ---------- 19

2.5.2. სტრატეგიული პროცესები ---------- 20

2.5.3. სტრატეგიული კომპეტენციები ---------- 21

თავი 3. სტრატეგია ქართულ ორგანიზაციებში ---------- 23

3.1. ქართული სტრატეგიის სამი თავისებურება ---------- 23

დასკვნა ---------- 30

ბიბლიოგრაფია ---------- 31

შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე არსებული მუდმივად ცვალებადი გარემო გავლენას ახდენს ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობაზე და დგება ადაპტაციის საჭიროება. ცვლილებების გატარება დაკავშირებულია ორგანიზაციულ განვითარებასთან. წარმატების მსურველ მენეჯერთა უმთავრესი გამოწვევაა ცვლილებების არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ მისი წინასწარ განჭვრეტა და მათზე რეაგირება. ყოველი ეს სრულად უნდა აისახოს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

თანამედროვე ეპოქაში ორგანიზაციებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა, ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისა და პირველობის მოპოვებისთვის.

ორგანიზაციის სტრატეგიის მიზანი ისეთი პროდუქტის შექმნაა, როგორიც მომხმარებლების მოთხოვნილებების შესაბამისი იქნება და მოგების გაზრდის საშუალებას მისცემს კომპანიას. აქედან გამომდინარე, სტრატეგიაში აუცილებელია მოცემული იყოს ორგანიზაციის მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები.

სტრატეგიული გეგმა გვთავაზობს კომპანიის ბიზნეს-გარემოს სურათის ფართო პლანით ხედვას, რაც წარმატების პერსპექტივას ქმნის. იგი საშუალებას აძლევს კომპანიას უზრუნველყოს წარმატება კონკურენტულ ბრძოლაში და მიაღწიოს თავის მიზნებს გრძელვადიან პერსპექტივაში. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია არა მარტო კარგი დაგეგმვა, არამედ ამ გეგმის რეალიზაციის პროცესის სწორი განხორციელებაც

თავი 1. სტრატეგიული გეგმა

1.1. სტრატეგია

სტრატეგიის არსს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად განმარტავს, მაგრამ ყველა მათგანი მას კომპანიის გრძელვადიანი მიზნების შესასრულებლად ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფიებასთან აკავშირებს. სტრატეგია - ეს არის კომპანიის განვითარების გრძელვადიანი, სწორად განსაზღვრული მიმართულებაა, რომელსაც ის მიზნების რეალიზაციამდე მიყავს და მასთან ერთად, გარემო ცვლილებებისა და იქ გაჩენილი ალტერნატივების ხარჯზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობასაც იძლევა. მარტივად კი - ეს არის მენეჯერთა ხედვა კომპანიის კონკურენტული პოზიციების, კლიენტურის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და საქმიანობის მაღალი შედეგების მისაღწევად.

ეტიმოლოგიურად **სტრატეგია** ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს "The art of the General", "The art of the War", ომის ხელოვნებას, გამარჯვების ხელოვნებას. წარმატებისთვის აუცილებელია გვქონდეს მიზანი და განვსაზღვროთ როგორ შეგვიძლია ამ მიზნის მიღწევა.

სტრატეგია მართვის კომპლექსური გეგმაა, რომელიც მოწოდებულია ბაზარზე კომპანიის მდგომარეობის გამყარებისკენ და იმ ღონისძიებათა კოორდინირებისკენ, რომლებიც ხორციელდება მომხმარებელთა მოზიდვისა და დაკმაყოფილებისთვის, წარმატებული კონკურენციისთვისა და დასახული მიზნების შესრულებისთვის.

ორგანიზაციის სტრატეგია აუცილებელია გამომდინარეობდეს ორგანიზაციის მისიიდან და ხედვიდან, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს, თუ რატომ ფუნქციონირებს ეს ორგანიზაცია ბაზარზე. თითოეული აქტივობა ორგანიზაციაში მიმართულია მიზნის მიღწევისკენ, მისია მიმართულებას აძლევს ორგანიზაციაში სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. კომპანიის ხედვა აღწერს, თუ რის მიღწევა შეუძლია ორგანიზაციას, მისიის შესრულების შემთხვევაში. ხედვიდან გამომდინარეობს ორგანიზაციული სტრატეგიის სამომავლო გეგმები.

1.2.სტრატეგიული გეგმის ძირითადი მდგენელები

სტრატეგიული გეგმა - ეს არის ისეთი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ორგანიზაციის მისია, მიზანი, მისი განვითარების მიმართულება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი ამოცანები და მისი აღსრულების სტრატეგიები. ბიზნესის წარმოების ეს ძირითადი მდგენელები (მისია, მიზნები და სტრატეგია) ფაქტიურად აკონკრეტებს იმას, თუ რომელ ინდუსტრიაში საქმიანობს კომპანია და როგორ აპირებს მისი მენეჯმენტი სასურველი შედეგების მიღწევას. სწორედ ის, რასაც მენეჯერი, აღიქვამს ბაზარზე თავისი კომპანიის ადგილთან და მისი განვითარების გრძელვადიან კურსთან დაკავშირებით, არის სტრატეგიული გეგმა. ბუნებრივია, იმ მენეჯერებს, რომლებსაც უჭირთ ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებების დანახვა, თავისთავად ნიშნავს კონკურენტებისაგან ჩამორჩენას და ეკონომიკურ ზარალს. ანუ, მხოლოდ თანმიმდევრული კონკურენტუნარიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის კარგად გათვლილი წარმოადგენს ინდუსტრიაში აღიარებისა და წარმატების გარანტიას. (რამიშვილი ბ. 2013)

ბუნებრივია, სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს ყოველმხრივ დასაბუთებული. იგი უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს, რეალურ ფაქტობრივ მონაცემებსა და მის სიღრმისეულ მეცნიერულ ანალიზს. იგი უნდა დაემყაროს სამოქმედო ინდუსტრიის, სამომხმარებლო ბაზრის, კონკურენტებისა და სხვა ფაქტორების შესახებ მდიდარ ინფორმაციას. (ცომაია აკ. 2008)

ორგანიზაციის მისია - ეს არის მოკლე ფორმულირება იმისა, რისთვის არსებობს კომპანია და რა არის მისი რეალური მიმართულება. იგი იძლევა წარმოდგენას ბიზნესის ძირითად ორიენტირებზე, მისი ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც გამოხატავენ მისი არსებობის არსს. ბევრს ჰგონია, რომ ორგანიზაციის მთავარი მისია არის მოგების მიღება. სინამდვილეში მოგების მიღება არის ორგანიზაციის მხოლოდ შიდა პრობლემა. ორგანიზაცია, როგორც ღია სისტემა არსებებს მხოლოდ იმით, რომ მას შეუძლია დააკმაყოფილოს კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნა. მაგალითად, ჰენრი ფორდმა, რომელსაც, ცხადია, კარგად ესმოდა მოგების მნიშვნელობა, განსაზღვრა კომპანიის მისია, როგორც „ხალხის

უზრუნველყოფა იაფი ტრანსპორტით“. როგორც იგი ამბობდა: „ყველა წამოწყების ამოცანაა - ვაწარმოოთ მომხმარებლისთვის და არა გამორჩენისათვის“ (ჰენრი ფორდი, 1988)

მიზანი - მიზნების ფორმირება სტრატეგიული გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კომპანიის მიზნები ეს არის მენეჯერთა მცდელობა მიიღონ გარკვეული შედეგი გარკვეულ დროში. ფაქტიურად, სტრატეგიული გეგმის წარმატება ფასდება სწორედ ისეთი მიზნების დასახვით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზეა ორიენტირებული იგი. პირველ რიგში, დასახელებული უნდა იყოს დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც უნდა მიიღწეს მიზანი. მენეჯმენტში და ზოგადად ბიზნესში დროითი შეზღუდვები ძალზედ მნიშვნელოვანია. იგი ქმნის დამატებით მოტივაციას მიზნის ვადაში განსახორციელებლად. ამასთან, თითოეულ მიზანს გაზომვის სათანადო კრიტერიუმი უნდა გააჩნდეს. მიზნის გაზომვა ნიშნავს იმას, რომ მოსალოდნელ შედეგს, რომელიც დადგენილ დროში უნდა მივიღოთ, უნდა გააჩნდეს გარკვეული ღირებულება და მისი შეფასების კონკრეტული მაჩვენებლები, რომელიც განსაზღვრავს ამ ღირებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ყოველთვის მასტიმულირებელი უნდა იყოს, ისინი რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული. მხოლოდ, სწორად შერჩეული, გამომწვევი მიზანი უღვიძებს ინტერესს მენეჯერს, გამონახოს გზები კომპანიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ხოლო, თუ მიზანი არარეალურია, ბუნებრივია - შეუძლებელია მისი განხორციელებაც. ამასთან, თუ მიზანი განსაზღვრავს იმას, თუ საით მიისწრაფის კომპანია, რას უნდა მან მიაღწიოს, სტრატეგია პასუხობს კითხვაზე თუ როგორ, რომელი ხერხით მიაღწევს ის თავის მიზანს ასეთ ცვლად და კონკურენტულ გარემოში. (ჯულაყიძე ე. 2016)

სტრატეგიული გეგმის ეს მდგენელები აკონკრეტებს იმას, თუ რომელ ინდუსტრიაში საქმიანობს კომპანია და როგორ აპირებენ მისი მენეჯმენტი სასურველი შედეგების მიღწევას. (ჯულაყიძე ე. 2016)

თუ მისია - ეს არის მოკლე ფორმულირება იმისა, რისთვის არსებობს კომპანია, მიზანი - არის მენეჯერთა მცდელობა მიიღონ გარკვეული შედეგი გარკვეულ დროში, ხოლო

სტრატეგია - ეს არის მენეჯერთა ხედვა მათი კონკურენტული პოზიციების, კლიენტთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და საქმიანობის მაღალი შედეგების მისაღწევად.

თავი 2. სტრატეგიული მენეჯმენტი

2.1. სტრატეგიული მენეჯმენტის განვითარების ისტორია

არსი არის ის, რომ ორგანიზაციაში, ერთი მხრივ, არსებობს ზუსტად ორგანიზებული კომპლექსური სტრატეგიული დაგეგმვა. მეორე მხრივ, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა „ფორმალური“ სტრატეგიული დაგეგმვის ადეკვატურია და აგებულია ისე, რომ უზრუნველყოს გრძელვადიანი სტრატეგიის დამუშავება ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად და ამ სტრატეგიის რეალიზაციის მართვის მექანიზმების შექმნა გეგმების სისტემის მეშვეობით. (შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. 2008)

ტერმინი „სტრატეგიული მენეჯმენტი“ ხმარებაში შემოვიდა გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე, რაც განპირობებული იყო ოპერატიული მართვიდან აქცენტის გადატანით სტრატეგიულ მართვაზე ორგანიზაციის გარე გარემოს ცვლილებებთან ჯეროვანი ადაპტირების საშუალებით, ვინაიდან კონკურენციის გამწვავების პირობებში გარე გარემომ შეიძინა არსებითი მნიშვნელობა ბიზნესის წარმატებით განხორციელებისათვის. ამიტომ სტრატეგიულ მენეჯმენტს განსაზღვრავენ როგორც ორგანიზაციის მართვას, რომელიც ემყარება ადამიანთა პოტენციალს - ორგანიზაციის საფუძველს, ორიენტაციას აძლევს სამეურნეო საქმიანობას (ბიზნესს) მომხმარებელთა გადახდისუნარიან მოთხოვნილებებზე, ახორციელებს ცვლილებებს ორგანიზაციაში გარე გარემოსთან ადაპტირებით, რაც ერთობლიობაში ხელს უწყობს კონკურენტულ უპირატესობათა მოპოვებას და ორგანიზაციის მიზნების მიღწევას გრძელვადიან პერსპექტივაში. (შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. 2008)

მართალია, სტრატეგიული მენეჯმენტი კონკურენტულ ბრძოლაში წარმატებული გადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობაა, მაგრამ ორგანიზაციათა მოქმედებებში

მუდმივად შეიმჩნევა ხოლმე არასტრატეგიულობა, რაც ხშირად იწვევს მათ დამარცხებას კონკურენციაში.

არასტრატეგიულობა ვლინდება ორი ფორმით: 1) ორგანიზაციები გეგმავენ თავიანთ საქმიანობას იმ ვარაუდით, რომ გარე გარემო ან საერთოდ არ შეიცვლება, ან მასში არ მოხდება არსებითი ცვლილებები. 2) გრძელვადიანი გეგმების შედგენისას უმთავრესად ემყარებიან გარე გარემოს ფაქტორების წინა წლების ანალიზისა და მდგომარეობის ექსტრაპოლაციას; არასტრატეგიული მართვისას მოქმედებათა პროგრამის შემუშავება იწყება შიგა გარემოს, კერძოდ შიგა შესაძლებლობებისა და რესურსების ანალიზით. ამ გზით დაგეგმილი წარმოების (ბიზნესის) მოცულობა და ხარჯების სიდიდე არ იძლევიან პასუხს იმის შესახებ, თუ რამდენად იქნება ფირმის მიერ შექმნილი პროდუქტი მიღებული ბაზრის მიერ ანუ პროდუქტების რა რაოდენობა იქნება გაყიდული და რა ფასით, რადგან ეს ბაზრის პრეროგატივაა. (შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. 2008)

აშკარა უპირატესობებთან ერთად სტრატეგიული მენეჯმენტი, ისევე როგორც მენეჯმენტის სხვა ტიპები არ არის დაზღვეული მისი გამოყენების ნაკლოვანებებისა და შეზღუდვებისაგან, რაც გამოწვეულია გადასაწყვეტი ამოცანების სირთულითა და კომპლექსური ხასიათით. გარე გარემოში ცვლილებები კი მოითხოვენ კონკრეტულ სიტუაციაში სპეციფიკურ მიდგომას და სტრატეგიული მენეჯმენტი ვერ ფლობს გამოყენების უნივერსალურობას ნებისმიერ სიტუაციაში ნებისმიერი ამოცანის გადასაწყვეტად. (Thompson, arthur A., Jr and A,J Strickland 1999) ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული მენეჯმენტის წარმოშობისა და პრაქტიკული გამოყენების მეთოდოლოგიის სწორად გამოყენებას. გამოყოფენ ამ მეთოდოლოგიის რამდენიმე ეტაპს:

- ✓ მართვა შესრულების შედეგების კონტროლის საფუძველზე, რომლის დროსაც ორგანიზაციის რეაქცია ცვლილებებზე ხდება მოვლენათა დასრულების შემდეგ. ეს არის რეაქტიური ადაპტაცია, რომელიც ყველაზე ბუნებრივია ორგანიზაციისათვის, მაგრამ მოითხოვს დიდ დროს ცვლილებათა გარდაუვალობის გაცნობიერებაზე,

ახალი სტრატეგიის დამუშავებას და მასთან სისტემის ადაპტაციას. ცვლილებათა ტემპების ზრდის პირობებში ეს მიუღებელია.

- ✓ მართვა ექსტრაპოლაციის საფუძველზე, როდესაც ცვლილებათა ტემპი ჩქარდება, მაგრამ მომავლის წინასწარ განჭვრეტა (პროგნოზირება) ჯერ კიდევ შესაძლებელია წარსული ტენდენციების ექსტრაპოლაციის გზით (გრძელვადიანი დაგეგმვა).
- ✓ მართვა ცვლილებათა წინასწარ განჭვრეტის (პროგნოზირების) საფუძველზე, როდესაც წარმოიშობა მოულოდნელი მოვლენები და ცვლილებათა ტემპი ჩქარდება, მაგრამ არა იმდენად, რომ შეუძლებელი იყოს სამომავლო ტენდენციების გათვალისწინება და მათზე რეაქციის განსაზღვრა შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების გზით (სტრატეგიული დაგეგმვა).
- ✓ მართვა მოქნილ ექსტრენულ (სასწრაფო) გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომელიც ყალიბდება ამჟამად, ისეთ პირობებში, როდესაც ბევრი მნიშვნელოვანი ამოცანა წარმოიშობა იმდენად სწრაფად, რომ მათი დროულად გათვალისწინება შეუძლებელია (Thompson, arthur A., Jr and A,J Strickland 1999)

სტრატეგიული მენეჯმენტი წარმოშვა ევოლუციურად სტრატეგიული დაგეგმვისაგან, რომელიც შეადგენს მის არსობრივ საფუძველს. იგი ფრიად საინტერესოა იმ ფირმებისათვის, რომლებიც ეჯახებიან სიძნელეებს პრინციპულად ახალი სტრატეგიების განხორციელებაში. სტრატეგიული მენეჯმენტი დაკავშირებულია ორგანიზაციის მიზნების განსაზღვრასა და გარე გარემოსთან განსაზღვრული ურთიერთობების დამყარებასთან, რაც შესაძლებლობას აძლევს მას შეასრულოს დასახული ამოცანები და შეესაბამება მის შესაძლებლობებს. პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას მომავალში, წარმოადგენს სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთ საბოლოო პროდუქტს. (შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. 2008)

2.2. სტრატეგიის დაგეგმვა

სტრატეგიის დაგეგმვისთვის აუცილებელია განვსაზღვროთ ორგანიზაციის მისია, ხედვა და ღირებულებები. ბერნარდ ლივეხუდი გამოყოფს ორგანიზაციის 7 ელემენტს, რომელთა გაანალიზება გვაძლევს საშუალებას გავიგოთ თუ რას წარმოადგენს ორგანიზაცია და შემდეგ ჩამოვაყალიბოთ მისი სტრატეგია. ეს ელემენტებია:

1. იდენტობა - ორგანიზაციის მისია, აზრი, მიზანი, ფილოსოფია, ღირებულებები, შიდა იმიჯი.
2. პოლიტიკა, სტრატეგია, პროგრამები - გრძელვადიანი პროგრამები, საწარმოს პოლიტიკა, წამყვანი ინსტრუქციები საწარმოო, საბაზრო, ფინანსურ და ფასების პოლიტიკაზე.
3. სტრუქტურა - წესდება, ორგანიზაციის აგების პრინციპები, მმართველობის იერარქია, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტება.
4. ადამიანები, ჯგუფები, კლიმატი - თანამშრომელთა ცოდნა, ურთიერთობები, ხელმძღვანელობის სტილი, არაფორმალური კავშირები და დაჯგუფებები, ძალაუფლება და კონფლიქტები.
5. ცალკეული ფუნქციები, ორგანოები - დავალებები, კომპეტენცია და პასუხისმგებლობა, კომისიები, ორგანოები, სპეციალისტები, კოორდინაცია.
6. პროცესები - ძირითადი სამუშაო პროცესები, მეორე და მესამე ხარისხოვანი პროცესები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მმართველობისა და დაგეგმარების პროცესები.
7. ფიზიკური საშუალებები - ინსტრუმენტები, მანქანები, ხელსაწყოები, ავეჯი, ტრანსპორტი, შენობა და დანადგარები. (Glasl, F., & Livegoed, B. 2004).

გამოიყოფა სამი სუბსისტემა:

- კულტურული ქვესისტემა - ერთიანდება პირველი და მეორე ელემენტები.
- სოციალური ქვესისტემა - ერთიანდება მესამე, მეოთხე და მეხუთე ელემენტები.
- ტექნო-ინსტრუმენტული ქვესისტემა - ერთიანდება მეექვსე და მეშვიდე ელემენტები.

ორგანიზაციის 7 ელემენტი გარე გარემოს გათვალისწინებით:

1. იმიჯი მომხმარებლების, მომწოდებლების, პოლიტიკოსების თვალში, კონკურენციის მხარე, საბაზრო სტრატეგია.
2. წამყვანი ინსტრუქციები მომმარაგებლებთან. მომხმარებელთან ურთიერთობის, ზოგადად საბაზრო სტრატეგია.
3. სტრუქტურული კავშირები გარე ჯგუფებთან, სტრატეგიული ალიანსები.
4. არაფორმალური ურთიერთობების განვითარება გარე სტრუქტურებთან, ძალაუფლების განაწილების სტილი გარემოცვასთან მიმართებით.
5. დამოკიდებულება საწარმოში მიღებულ შეხედულებებზე, მომსახურების ფუნქციები.
6. რესურსის განაწილების პროცესები, მიტანის პროცესი, აქტივობა გარე ინფორმაციის შეგროვებისას.
7. ადგილი გარემოცვაში, ინფორმაციის მიწოდების საშუალებები. (Glasl, F., & Livegoed, B. 2004).

2.2. სტრატეგიის დანერგვის პროცესი

სტრატეგიის დანერგვის პროცესი გულისხმობს სტრატეგიული გეგმის იმ მხარეს, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სტრატეგიამ რეალურად იფუნქციონიროს, ანუ მოხდეს დაგეგმილის პრაქტიკული რეალიზაცია. იგი გულისხმობს ისეთი სახის ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა: სტრატეგიული გეგმის ადეკვატური მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც შეძლებს წარმატებით აღასრულოს იგი; კომპანიის ხელთ არსებული ყველა რესურსების მობილიზაცია და სათანადო ბიუჯეტის ფორმირება; ადამიანური რესურსების მოტივაციის ქმედითი სისტემის შექმნა, რათა მათ ენერგიულად ჩაერთონ დასახული მიზნების მიღწევაში; სტრატეგიის დასანერგად სათანადო შიგა ორგანიზაციული გარემოს ჩამოყალიბება; ინფორმაციული სისტემების გამართულობა; სტრატეგიის მხარდამჭერი პოლიტიკის დანერგვა და მრავალი სხვა. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ კარგადმართული ორგანიზაციებიც კი აწყდებიან მოულოდნელ ხელისშემშლელ გარემო ფაქტორებს, რომელთა წინასწარი პროგნოზირება დაგეგმვის ეტაპზე შეუძლებელი იყო. თუმცა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის გამოწვეული, იგი მაინც ვერ ათავისუფლებს მენეჯერს პასუხისმგებლობისაგან. კარგია მხოლოდ ის სტრატეგიული გეგმა, რომლის დროსაც მიიღწევა მიზანი. სტრატეგიის დანერგვის პროცესი ურთულესი პროცედურაა. შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიის დანერგვის საკითხი არის ყველაზე რთული და მენეჯერული საქმიანობის ყველაზე შრომატევადი ნაწილი სტრატეგიულ გეგმაში. მისი სირთულე გამოიხატება იმაში, რომ გეგმის რეალიზაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ მასზე, როგორც პირველ სამეურნეო ხელმძღვანელზე და არა მარტო ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების კვალიფიკაციაზე, არამედ მთლიანად კომპანიის ქცევაზე, მის უნარზე მიიღოს სასურველი შედეგი. შესაბამისად, მისი წარმატებით დანერგვის საკითხი დამოკიდებულია ყველა დონის მენეჯერთა უნარზე და მეტიც - პერსონალის სამეწარმეო შესაძლებლობებზე, პროფესიონალურ ცოდნასა და

გამოცდილებაზე. ანუ, სტრატეგიის წარმატებული დანერგვა სისხლხორცეულადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეკრულია ორგანიზაციული პერსონალი. თუმცა სამწუხაროდ, სამეურნეო პრაქტიკაში, ბევრ მენეჯერს ახასიათებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე უფრო მეტი ფოკუსირება და მის განხორციელებას კი - ნაკლებ ყურადღებას უთმობს. არადა, თანამედროვე ბიზნესისთვის უდავო ჭეშმარიტებაა, რომ წარმატების მიღწევისათვის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ერთმანეთთან განუყრელადაა დაკავშირებული. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრატეგიის გეგმის შემუშავება ერთჯერადი ან მომენტალური გადაწყვეტილება, მოქმედება ან მოვლენა არ არის. იგი გადაწყვეტილებების, ქმედებების და მოვლენების სერიაა, რომლებიც კომპანიის მოქმედებათა მასშტაბებსა და სასურველ მიზნებს უკავშირდება. ამიტომ, მისი შინაარსი განპირობებული უნდა იყოს ბაზრის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებებით, აგრეთვე ყველა იმ გარემო ფაქტორებით, სადაც ფუნქციონირებს კომპანია. Jones, B, Brazzel, M (2009).

ახალი სტრატეგია, როგორც წესი, ძნელად იკვლევს გზას სიახლეთა დანერგვის თვალსაზრისით ტრადიციული სტრუქტურების პირობებში. შემდეგი არსებითი პრობლემა არის ის, რომ სტრატეგიული დაგეგმვის დანერგვა იწვევს კონფლიქტს საქმიანობის წინანდელ სახეებსა (ოპერატიულ მენეჯმენტსა), რომლებიც უზრუნველყოფენ მოგების მიღებას და ახალ სახეებს (სტრატეგიულ მენეჯმენტს) შორის. ორგანიზაციებში სტრატეგიული დაგეგმვის დანერგვის პირველ ეტაპზე არ არის შესაბამისი მოტივაცია, არ არის სწრაფვა სტრატეგიული აზროვნებისაკენ. შემდეგი პრობლემა დაკავშირებულია ეფექტიანი სტრატეგიული დაგეგმვისათვის აუცილებელი ინფორმაციის არარსებობასთან. როგორც წესი, ორგანიზაციები განიცდიან კომპეტენტური მენეჯერების ნაკლებობას, რომელთაც შესწევთ სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის უნარი. (შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. 2008)

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია, მაგრამ სტრატეგიული მენეჯმენტის პოზიციიდან არსებითი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის გარე გარემოს ანალიზს. საშიშროებები და შესაძლებლობები ვლინდებიან გარე გარემოს შვიდ სფეროში, რომელთა შესაბამისად ჯგუფდება ფაქტორებიც, რომლებიც ხდებიან

ანალიზის ობიექტები. ამ ჯგუფების ფაქტორების გამოკვლევა იძლევა შესაძლებლობას მიღებულ იქნეს სრული წარმოდგენა ორგანიზაციის გარე გარემოს განვითარების ტენდენციების შესახებ. გამოკვლევა ემყარება გარე გარემოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური (პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების შექმნა, ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და გადაცემის ტექნოლოგიებში ცვლილებები, გამომთვლელი ტექნიკის გამოყენება პროდუქციისა და მომსახურების შექმნაში და სხვა), კონკურენციის, სოციალური და ა.შ. ფაქტორების ანალიზს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. იგი ეფუძნება ფუნქციური ზონების გამოკვლევას. (შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. 2008)

გამოყოფენ ხუთ ასეთ ზონას:

1. მარკეტინგი,
2. ფინანსები (საბუღალტრო აღრიცხვა)
3. საწარმოო პერსონალი, აგრეთვე
4. ორგანიზაციული სტრუქტურა და
5. ორგანიზაციის იმიჯი.

მარკეტინგის ფუნქციების ანალიზისას გამოყოფენ შვიდ უმნიშვნელოვანეს ელემენტს: ბაზრის წილი და კონკურენტუნარიანობა; საქონლის მრავალფეროვნება და ასორტიმენტი; საბაზრო დემოგრაფია; საბაზრო გამოკვლევები და დამუშავებები; კლიენტების (მომხმარებლების) გაყიდვამდე და გაყიდვის შემდგომი მომსახურება; საქონლის გასაღება, რეკლამა, წინ წაწევა; მოგება. (შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. 2008)

2.3.სტრატეგიის რეალიზაციის მართვა

ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავება რთული და შრომატევადი სამუშაოა, რომელიც იძენს აზრს, თუ სტრატეგია მას წარმატებას მოუტანს. ამისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს სტრატეგიის რეალიზაციის მართვას. ამიტომ ხელმძღვანელობამ უნდა გააკონტროლოს სტრატეგიის რეალიზაციის პროცესი, რისთვისაც საჭიროა დამუშავდეს ამ პროცესის პროექტები, გეგმები და ბიუჯეტები, მოხდეს მისი მოტივაცია, ე.ი. განხორციელდეს სტრატეგიის რეალიზაციის პროცესის მართვა.

სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის ფუნქციონირების შედეგია ურთიერთდაკავშირებული საგეგმო დოკუმენტების ერთობლიობა, რომელშიც ასახულია მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებები და რესურსების განაწილება. მთავარი ამ სისტემაში არის მიზნების, სტრატეგიების, პროგრამების განსაზღვრა, რესურსების განაწილება, რომლებიც ორგანიზაციას აძლევენ შესაძლებლობას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს სამომავლო ცვლილებებს. ეს ცვლილებები (იგულისხმება ცვლილებები გარე გარემოში) განსაზღვრავენ ორგანიზაციის სტრატეგიას და უნდა იქნენ გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, პროდუქციის დივერსიფიკაციის გეგმებში, ბაზარზე ახალი საქონლის დანერგვის, არარენტაბელური წარმოების შეკვეცისა და ლიკვიდაციის დროს და ა.შ. გეგმების სისტემა უნდა იყოს დაახლოებით ისეთივე რთული, როგორც თვით ორგანიზაცია და გარე ფაქტორები, რომლებიც მასში უნდა იყვნენ ასახული.

თანამედროვე ორგანიზაციაში უნდა დამუშავდეს ურთიერთდაკავშირებული გეგმების ოთხი ჯგუფი:

1. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მთავარი შინაარსია მომავალი პერიოდის სტრატეგია (10-15 წელი, ზოგჯერ უფრო მეტიც)

2. ორგანიზაციის განვითარების გეგმები (1-5 წლამდე). სტრატეგიული დაგეგმვის პოზიციიდან მათი უმნიშვნელოვანესი შინაარსია წარმოების სრულყოფის პერსპექტივები, პროდუქციის ახალი თაობის გამოშვება, ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა;
3. ტაქტიკური გეგმები, რომელთა მეშვეობით ხდება ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის რეგლამენტირება;
4. მიზნობრივი ხასიათის პროგრამები და გეგმები-პროექტები: ახალი პროდუქციის და ტექნოლოგიის დამუშავება, წარმოებაზე დანახარჯების შემცირება, ენერგორესურსების ეკონომია, ახალ ბაზრებზე შეღწევა და სხვ.

გეგმების პირველი ორი ჯგუფი სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი პროდუქტია. ამ გეგმებმა უნდა განიცადონ ტრანსფორმირება ტაქტიკურ და გეგმა-პროექტებში, რამდენადაც მათი რეალიზაცია შეიძლება მხოლოდ მათი მეშვეობით. ამრიგად, ტაქტიკური გეგმები და პროექტები აგრეთვე ნაწილობრივ შედიან სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში. (Jones, B, Brazzel, M (2009).

საქმიანობის ძირითად მიმართულებათა გეგმას უწოდებენ სტრატეგიულ გეგმასაც. იგი გეგმების სისტემის მწვერვალია, ვინადან ახასიათებს ორგანიზაციის ძირითად დანიშნულებას, მიზნებსა და სტრატეგიებს. ამ გეგმას მიიჩნევენ ყველა სხვა გეგმის ორიენტირად. ამავე დროს საქმიანობის ძირითადი მიმართულების (პროდუქციისა და მომსახურების) და ბაზრების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებისას იგი ასრულებს შეზღუდვის როლს.

ორგანიზაციის განვითარების გეგმა განსაზღვრავს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ახალი პროდუქციისა და მომსახურების შესაქმნელად. ეს გეგმა იძლევა პასუხს შემდეგ კითხვებზე: როგორი პირობებია მოსალოდნელი ორგანიზაციის საქონელსა და მომსახურებაზე, რომ გაიოლდეს პროდუქციის ახალი სახეების შექმნა და ახალი ბაზრების გამოვლენა? როგორია არსებითი რესურსები პროდუქციისა და მომსახურების ახალი სახეების შესაქმნელად? განვითარების გეგმა ორიენტირია დივერსიფიკაციის გეგმის დასამუშავებლად, რომელიც ახასიათებს პროდუქციის,

მომსახურებისა და ბაზრების ახალი სახეების შექმნას, აგრეთვე სალიკვიდაციო გეგმისათვის, რომელიც უჩვენებს თუ რომელი ელემენტებისაგან (პროდუქციისა და მომსახურებისაგან, საკუთრების ან სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან) უნდა განთავისუფლდეს ორგანიზაცია და სხვა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი პრინციპულად არ განსხვავდება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესისგან. დაგეგმვის დროსაც აგრეთვე საჭიროა არა უბრალოდ გადაწყვეტილების მიღება, არამედ ამოცანების მუდმივად გადაწყვეტაც, რომლებიც დაკავშირებულია ალტერნატიულ მოქმედებათა შერჩევასთან. ეს შეეხება ორგანიზაციის მისიისა და მიზნების, თვით სტრატეგიის შერჩევას, რესურსების განაწილებას, სტრატეგიული ამოცანების შერჩევას. ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა მოძებნა ბევრად განპირობებულია სტრატეგიული დაგეგმვის ადაპტური ხასიათით. ადაპტურობა - სტრატეგიული გეგმის აუცილებელი პირობა რეალიზდება დაგეგმვისადმი სიტუაციური მიდგომის მეშვეობით და გულისხმობს ალტერნატიული გეგმისა და სტრატეგიის არსებობას, რომლებზეც გადადის ორგანიზაცია. ეს მის გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე რეაქციაა.

2.5 სტრატეგიის შესაბამისი სტრუქტურა

სტრუქტურა, რომელიც კონკრეტულ ადამიანებს ეფუძნება, დიდხანს ვერ ძლებს და მალე ხდება შესაცვლელი. ყველაზე დიდხანს მუშაობს ისეთი სტრუქტურა, რომელიც ორგანიზაციის დანიშნულების და მისი შესაბამისი სტრატეგიის მიხედვით კეთდება,როცა იგი იმისთვის იქმნება, რათა ესა თუ ის კონკრეტული სტრატეგია განახორციელოს. და თუ ის სწორად არის გაკეთებული, მაშინ იქამდე იქნება აქტუალური, სანამ სტრატეგია არსებითად არ შეიცვლება.

რას ნიშნავს სტრატეგიის შესაბამისი სტრუქტურა, ან როგორ შეიძლება ის სტრატეგიის განხორციელებას უწყობდეს ხელს. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

სტრატეგიის სამი მთავარი კომპონენტი, რომელსაც სტრუქტურა უნდა ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს, შემდეგია:

1. სტრატეგიული ამოცანები, ანუ საკითხები, რომლებისკენაც ყველაზე მეტად უნდა იყოს მომართული მენეჯმენტის ყურადღება მინიმუმ შემდეგი 2-3 წლის განმავლობაში;
2. სტრატეგიული პროცესები, ანუ პროცესები, რომელთა გამართულ დინებას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციისათვის;
3. სტრატეგიული კომპეტენციები, ან სფეროები, რომელშიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია კომპეტენციისა და ექსპერტიზის დაგროვება.

სტრატეგიის ამ სამი კომპონენტის განხორციელებისათვის სტრუქტურა ყველაზე არსებითი იარაღია. მის გარეშე მათი გადაწყვეტა ან შეუძლებელი გახდება, ან ძალიან გართულდება. სწორედ სტრატეგიის ამ სამი კომპონენტის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას სტრუქტურაც. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

2.5.1.სტრატეგიული ამოცანები

პროდუქციის ან მომსახურების ხარისხის განვითარება, გაყიდვების სტიმულირება, ასორტიმენტის გაფართოება, ფასების შემცირება პროდუქციაზე, ბრენდის განვითარება და ა.შ. მსგავსი ტიპის ამოცანებს შორის ყველა ორგანიზაციისათვის არსებობს 4-5 ყველაზე მნიშვნელოვანი მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაზეც კომპანიამ თანმიმდევრულად უნდა იზრუნოს, რომ მისთვის სასურველ მიზნებს მიაღწიოს. საჭიროა, სტრუქტურა ცხადად ასახავდეს ამ პრიორიტეტებს, ანუ უზრუნველყოფდეს ყოველდღიურ საქმიანობაში ამ ამოცანებს მენეჯმენტის იმდენი ყურადღებით, რამდენადაც ისინი პრიორიტეტულები არიან ორგანიზაციისათვის.

იმისათვის, რომ სტრატეგიული ამოცანები მენეჯმენტის საჭირო ყურადღებით უზრუნველვყოთ, ყველაზე მარტივი გზაა ისინი ტოპ-მენეჯმენტის გუნდის წევრებს შორის გადავანაწილოთ, ანუ კონკრეტულ ამოცანას განვუსაზღვროთ კონკრეტული პასუხისმგებელი მენეჯერი, რომელიც უშუალოდ იქნება დაქვემდებარებული პირველ პირთან და რომლის მთავარი საქმეც ამ ამოცანის გადაწყვეტაზე ზრუნვა გახდება.იგი ასევე შეეცდება ამ პროცესში სხვა ხელმძღვანელების და პირველი პირის ჩართვას საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რესურსების გამოთხოვას მენეჯმენტისაგან, უზრუნველყოფს საჭირო ინიციატივების მობილიზაციას ან გენერაციას,მიხედავს და თავის თავზე აიღებს ამ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

სირთულე იმაშია, რომ ხშირად მმართველ გუნდში არ არის იმდენი ადამიანი, რამდენიც სტრატეგიული ამოცანაა, ამიტომ მათი დაჯგუფება ხდება საჭირო. ასეთ დროს ერთ ხელმძღვანელს ერთზე მეტ ამოცანაზე ეკისრება პასუხისმგებლობა. რამდენიმე ამოცანის ერთ ადამიანზე დაკისრებისას კი საჭიროა გვახსოვდეს: რაც უფრო მეტ ამოცანაზე

დავაკისრებთ პასიხისმგებლობას ერთ ადამიანს, მით უფრო ნაკლები იქნება მისი პასუხისმგებლობა ყოველ მათგანზე. თვითონ ამოირჩევს საკითხს, რომელიც უფრო ადვილი ან სასიამოვნოა მისთვის და სწორედ იმაზე დაიწყებს მეტი ყურადღების და რესურსის ხარჯვას, მაშინაც კი, თუ ორგანიზაციისათვის ის სხვებთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამიტომ სასურველია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ამოცანები არ დავაჯგუფოთ ერთ სტრუქტურაში, ანუ არ დავაკისროთ იგი ერთსა და იმავე ადამიანს. ის ამოცანები, რომლებიც სამეულში შედის, თავისი მნიშვნელობით გადავანაწილოთ ისე, რომ მათ თითო პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ჰყავდეს, ხოლო შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანები კი შეგვიძლია დავაჯგუფოთ დანარჩენ ხელმძღვანელებთან. ამით მათი მნიშვნელობის რეგისტრი ავტომატურად შემცირდება სათითაოდ გადანაწილებულ ამოცანებთან შედარებით. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

სტრატეგიულ ამოცანებზე პასუხისმგბელობის განაწილება უმაღლესი მენეჯმენტის გუნდის წევრებს შორის თავისთავად გამოიწვევს სტრუქტურაში ცალკეული ფუნქციების გადაჯგუფებას ამ ამოცანების შესაბამისად. ეს პროცესი თანმიმდევრულად და ბუნებრივად მოხდება და ნაკლებად მტკივნეულად, როგორც მენეჯმენტის წევრებისთვის, ისე თვითონ ამ ფუნქციებზე პასუხისმგებელი სამსახურებისათვის. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

2.5.2.სტრატეგიული პროცესები

ყველა ორგანიზაციისათვის არსებობს პროცესები, რომელთა გამართული, უწყვეტი დინება კრიტიკულია ორგანიზაციის წარმატებისთვის. ახალი პროდუქტების შექმნის, ან არსებულის განახლების, ხარისხის კონტროლის და განვითარების, კლიენტების მოზიდვის და მათთან შემდგომი ურთიერთობის პროცესები, რამდენიმე მაგალითია იმ პროცესებს შორის, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციისათვის.

იმისათვის, რომ სტრუქტურამ ამ პროცესების გამართული დინება უზრუნველყოს , მასში უნდა სრულდებოდეს ამისათვის საჭირო ყველა ფუნქცია. ანუ არსებობდეს სტრუქტურაში შესაბამისი ფუნქციები და მათზე პასუხისმგებელ ადამიანებს ჰქონდეთ ამ ფუნქციების განხორციელებისათვის საკმარისი დრო, ძალაუფლება და სათანადო რესურსები. ასევე სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს მათ კონტროლსაც იმისათვის, რომ საკუთარი მოვალეობები ჯეროვანი ხარისხით და მოცულობით შეასრულონ.

იმისათვის, რათა სტრუქტურა სტრატეგიული პროცესების შესაბამისი გახდეს, საჭიროა გამოიყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცესები. ისინი დეტალურად დამუშავდეს, განისაზღვროს ყველა ფუნქცია, რომელიც ამ პროცესების დინებისთვის არის საჭირო და ეს ფუნქციები მთლიან სტრუქტურაში ისე გადანაწილდეს, რომ საჭირო პირობებით, რესურსებით და ძალაუფლებით იყოს უზრუნველყოფილი, ასევე საკმარისად კვალიფიციური და ინტენსიური კონტროლითაც. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

ხშირად საკმარისია, პროცესისთვის ერთი საკვანძო ფუნქცია გამოგვრჩეს სტრუქტურაში, რომ პროცესი ფრაგმენტული, უსისტემო და არათანმიმდევრული გახდება.ეს სტრუქტურას უფრო ხელისშემშლელად აქცევს სტრატეგიისთვის, ვიდრე მის შესაბამისს.

აქვე უნდა ითქვას კოლეგიალური სტრუქტურების შესახებაც. ისინი განსაკუთრებულად მნიშვნელოვნები არიან პროცესების გამართული დინებისათვის. დირექტორატის, მარკეტინგის კომიტეტის, რისკების კომიტეტის, განვითრების საბჭოს, საკადრო საბჭოს და ა.შ. ორგანოების რეგულარული და სწორი მუშაობა აუცილებელი პირობაა ამ სტრატეგიული პროცესების უწყვეტობისთვის. სტრუქტურა ამ ორგანოების შინაარსს და მუშაობის რეგლამენტსაც განსაზღვრავს, რითაც ასევე დიდ გავლენას ახდენს სტრატეგიული პროცესების უწყვეტობაზე და პროდუქტიულობაზე.(სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

2.5.3.სტრატეგიული კომპეტენციები

სტრატეგიის მესამე, მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელზეც სტრუქტურა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს, სტრატეგიული კომპეტენციებია. თუ გვინდა, 2-3 წელიწადში განსაკუთრებული კომპეტენციები გვქონდეს დაგროვილი რომელიმე პროდუქტში, რომელიმე დარგში, საქმიანობის სფეროში, კლიენტების ამა თუ იმ სეგმენტის მიმართულებით, ამა თუ იმ რეგიონთან დაკავშირებით, ყველაზე მარტივი გზა ამისთვის არის შესაბამისი ქვედანაყოფის შექმნა.

როგორც კი იქმნება ასეთი სტრუქტურა, ის ამ კონკრეტული მიმართულებით ცოდნის დაგროვებას მნიშვნელოვნად აჩქარებს. რაც უფრო მეტ რესურსს მივცემთ ამ სტრუქტურას, მით უფრო სწრაფი იქნება ექსპერტიზის დაგროვების ტემპიც. თუ შევქმნით ექსპორტის დეპარტამენტს, ის დაიწყებს ექსპორტის სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის და ცოდნის დაგროვებას. თუ შევქმნით რუსეთში ექსპორტის დეპარტამენტს, ის დაიწყებს რუსეთის ბაზრის სპეციფიკის შესახებ ცოდნის და ინფორმაციის დაგროვებას. თუ შევქმნით ოჯახებზე გაყიდვის დეპარტამენტს, ის ოჯახების ქცევის და საჭიროებების შესახებ დაიწყებს კომპეტენციის დაგროვებას. თუ შევქმნით ელექტრონული პროდუქტების დეპარტამენტს, ის თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტების შესახებ დააგროვებს ცოდნას. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

თუ შევქმნით დეპარტამენტს ამა თუ იმ მიმართულებით, ის გაცილებით მეტ ცოდნას და ინფორმაციას დააგროვებს, ვიდრე პატარა ქვედანაყოფის ან სულაც ერთი პოზიციის შექმნით შევძლებთ. ამასთან, მით უფრო ნაკლები იქნება ამ ცოდნის ადამიანებზე დამოკიდებულების ხარისხიც, ანუ რაც უფრო მაღალია ქვედანაყოფის სტატუსი, მით უფრო სწრაფად გროვდება ცოდნაც და მით უფრო ინსტიტუციონალურ ხასიათს ატარებს ის.

სტრუქტურული მოწყობა პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა ეცოდინება ჩვენს ორგანიზაციას 2-3 წლის შემდეგ, რა მიმართულებით ექნება მას განსაკუთრებული ექსპერტიზა და ინფორმაცია. როგორც ყველაფრის სამსახურს ვერ შევქმნით, ისე ყველაფერში ერთნაირად კომპეტენტურები ვერ ვიქნებით. ამდენად, გვიწევს ავარჩიოთ ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებშიც ექსპერტიზა, ინფორმაციის დაგროვება და მათი შესაბამისი სტრუქტურული გადაწყვეტილებების

მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი წარმატებებისთვის. (სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები 2012)

თავი 3. სტრატეგია ქართულ ორგანიზაციებში

3.1.ქართული სტრატეგიის სამი თავისებურება

ეს მიდგომები გახდა ქვეყანაში ბევრი კომპანიის სწრაფი აღმასვლის და, შესაძლოა, ასევე სწრაფი დაცემის მიზეზი. მათი მეშვეობით ბევრმა მენეჯერმა შეძლო სწრაფად მოეპოვებინა ავტორიტეტი და მათი დიდი ნაწილი ასევე სწრაფად მიეცა დავიწყებას.
დრო მიდის, მენეჯერები იცვლებიან, ეს მიდგომებიც განიცდის გარკვეულ ცვლილებას. თუმცა, უკვე მეორე ათწლეულია ისინი კვალავაც რჩებიან ქართული სტრატეგიის გამოკვეთილ თავისებურებებად. (ტოლიაშვილი პ. 2013)

1.**სწრაფი, ძალიან სწრაფი მოგება**

ბევრი მენეჯერის რწმენა, რომ კერძო კომპანიების დანიშნულება მაქსიმალური მოგების მიღებაა და თან რაც შეიძლება სწრაფად, ხშირად ხდება სტრატეგიული თუ ტაქტიკური გადაწყვეტილების საფუძველი. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ რაც უფრო სწრაფია და დიდია მოგება, მით უფრო წარმატებულია ორგანიზაცია და, შესაბამისად, წარმატებულია მისი ხელმძღვანელიც. ეს მოტივაცია ხშირად ხდება მთავარი მიზანი მრავალი მენეჯერისა თუ მენეჯერთა გუნდისთვის და ისინიც იწყებენ აქტიურ მოქმედებებს ამ ამოცანის გადასაწყვეტად. რწმენა ხდება სტრატეგია, სტრატეგია გადადის მოქმედებებში და შედეგად ვიღებთ ორგანიზაციას, რომელიც მოკლე ვადაში ახერხებს მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას, მაგრამ სანაცვლოდ არანაირად არ არის მზად თუნდაც ძალიან მცირე გაუთვალისწინებელი დაბრკოლებისთვის.

ასეთი ორგანიზაციები, როგორც წესი, ძალიან სწრაფად იშლებიან. ამის მიზეზი, სამი რამ ხდება:

ა) ხარჯების ზრდა, რომელიც მენეჯმენტის და თანამშრომლების თვითკმაყოფილებასთან ერთად იწყება. კონკრეტული ადამიანები იმის რწმენით, რომ წარმატება დიდხანს გაგრძელდება, თავს უფლებას აძლევენ ხარჯი გაზარდონ, ეს საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს როგორც დანარჩენი ადამიანების განწყობაზე ისე, ფინანსურ შედეგებზე.

ბ) იწყება შემოსავლების შემცირება იმიტომ, რომ იდეები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სიახლის კეთება შეიძლება დამატებითი მოგების მისაღებად, სწრაფად იწურება მათი კარგი ცხოვრებისაგან მოდუნების, ან მათი მუშაობის არასათანადოდ დაფასების გამო იმედგაცრუებასთან ერთად.

გ) იწყება პრობლემები შიდა ურთიერთობებში. მენეჯმენტის ურთიერთობა დანარჩენ თანამშრომლებთან უარესდება, ვინაიდან ისინი სწორედ მათ აბრალებენ წარმოქმნილ პრობლემებს. ასევე იძაბება ურთიერთობა მენეჯმენტის წევრებს შორის წარუმატებლობის ერთმანეთზე გადაბრალების გამო.

შედეგად, ორგანიზაცია შედის კრიზისში, რომელიც დროსთან ერთად სულ უფრო მწვავდება. თუ კრიზისის განვითარების პროცესში საიდანღაც რაიმე კარგი პროექტი, ან იდეა გამოჩნდება, ეს ცოტა ახანგრძლივებს კრიზისის შედეგის დადგომას. დროებით ისევ წყნარდება სიტუაცია, ისევ აქტიურდება მუშაობა, ისევ ლაგდება ურთიერთობები, თუმცა ისე მაინც არა, როგორც დასაწყისში იყო. მოკლე ვადაში სიტუაცია ისევ მწვავდება და უარყოფითი ეფექტებიც იწყებენ სიტუაციის ესკალაციას. თუ კრიზისის განვითარების პროცესში გარეშე საფრთხე, ან პრობლემა წარმოიქმნება, ის მნიშვნელოვნად აჩქარებს რეგრესის ტემპს და კრიზისის შედეგის დადგომას.

კრიზისის შედეგი კი ორია: ორგანიზაცია ან იშლება, ან ახერხებს გამოსავლის პოვნას. გამოსავალი კი მხოლოდ ერთია: მიხვდე, რა არის შენი მთავარი მიზანი და დაინახო, რომ მოგება არის მხოლოდ ის, რასაც შენ საზოგადოებისაგან იღებ და იმისათვის, რომ ის მიიღო დიდხანს და მზარდი დინამიკით, აუცილებელია მკაფიოდ ჩამოაყალიბო, თუ რა

არის ის, რაც შენგან უნდა მიიღოს საზოგადოებამ, რათა ამ მოგების მიღების საშუალება მოგცეს. (ტოლიაშვილი პ. 2013)

ის, ვინც ხვდება ამას, აგრძელებს განვითარებას, სხვები, როგორც წესი, ტოვებენ ბაზარს.

2. უნივერსალიზაცია ყველგან და ყველაფერში

ისინი, ვინც განვითარების პირველი ეტაპი გაიარაა, დგებიან ახალი დილემის წინაშე: რა ვაკეთოთ, რა სარგებელი შევქმნათ, რა უნდა იყოს ჩვენი მთავარი ფუნქცია ან დანიშნულება და ა.შ.

ქართული მენეჯმენტის მეორე თავისებურება არის ის, რომ, როგორც წესი, ორგანიზაციების დიდი ნაწილი უნივერსალიზაციას თავისი ორგანიზაციის ძირითად სტრატეგიად ირჩევს. ანუ „ვაკეთოთ ყველაფერი, ვაკეთოთ ყველასთვის, მოვემსახუროთ ყველას და ვიყოთ საინტერესო და ცნობილი ყველასთვის“. ეს არის მოტივაცია, რომელიც ძალიან ბევრი ორგანიზაციის მამოძრავებელი კონცეფცია ხდება. შედეგად, რაღაც დროის განმავლობაში ისინი ახერხებენ სწრაფად გაშალონ ასპარეზი. სწრაფად დაენახონ ყველას, სწრაფად მიიზიდონ კლიენტებიც. მოკლე ვადაში ახერხებენ დასახული მიზნის მიღწევას. ხმაურობენ, აქტიურობენ, სიახლეებიც გამოაქვთ ბაზარზე, იქცევენ ყურადღებას. (ტოლიაშვილი პ. 2013)

თუმცა, დროთა განმავლობაში მათი ხმა ნელდება, მათი სიკაშკაშე კლებულობს, მათი მამოძრავებელი მოტივაცია მცირდება. ამას რამოდენიმე მიზეზი განაპირობებს:

ა) ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი ცოდნის დაგროვება. ვინაიდან ისწავლო და გაიგო ყველაფერი ყველაზე, ყოველთვის და ითვალისწინებდე ყველაფერს შეუძლებელია, ეს არავის არ შეუძლია.

ბ) ვერ ხერხდება საინტერესო იდეების გენერაცია და განხორციელება ყველა მიმართულებით, ერთი ტემპით. ვინაიდან ყურადღებას აქცევდე ყველა მიმართულებას თანაბრად და საკმარისად, აფინანსებდე ყველა იდეას და წინადადებას შეუძლებელია. დროც და ფულიც შეზღუდული რესურსებია.

გ) ვერ ხერხდება ყველა მომხმარებლის დაკმაყოფილება თანაბრად კარგად. ზოგიერთი გრძნობს პროდუქტის, ან მომსახურების დაბალ ხარისხს. ზოგიერთი ხვდება, რომ მათთვის ვერ გამოინახა საკმარისი დრო და ყურადღება. ზოგიერთები ხვდებიან, რომ არ არიან თანაბრად მნიშვნელოვანი კლიენტები ამ ორგანიზაციისათვის. (ტოლიაშვილი პ. 2013)

შედეგად, აქაც იწყება კრიზისის ესკალაცია. გაყიდვები მცირდება, მენეჯმენტი იწყებს დაცილებას თანამშრომლებისგან და ძირითადად მათ აბრალებს წარმოქმნილ სირთულეებს. იწყებს გეგმების დაწესებას, ამ გეგმების შესრულების მოთხოვნას. დაძაბული მოტივაციის სისტემების შექმნას და ა.შ. დროთა განმავლობაში იძაბება ურთიერთობები მენეჯმენტის გუნდის წევრებს შორის.

თუ ამ პროცესში მოხერხდა მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა რომელიმე ფრონტზე, ეს რეგრესის პროცესს მცირე ხნით აფერხებს, თუმცა, შემდეგ კიდევ უფრო სწრაფად უარესდება მდგომარეობა.

თუ ამ დროს, გარემოში სიტუაცია გამწვავდა და გართულდა რაიმე სხვა მიზეზის გამო, ეს რეგრესის პროცესს და კრიზისის შედეგების დადგომას მნიშვნელოვნად აჩქარებს, ვინაიდან კრიზისში მყოფი ორგანიზაციისთვის ძალიან რთულია თუნდაც უმნიშვნელო გარე საფრთხის გადალახვა მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე.

კრიზისის შედეგის დადგომა ამ შემთხვევაშიც ორნაირად ხდება: ან ორგანიზაცია იშლება, გადის ბაზრიდან, ან სხვა სუბიექტებად აგრძელებს არსებობას, ან ის პოულობს გადარჩენის გზას. გადარჩენის გზა კი ამ შემთხვევაში არის ფოკუსირება – არჩევანის გაკეთება მომხმარებელზე, თუ ვისთვის გინდა, რომ იმუშაო, რა პროდუქტის, კონკრეტულად რა სარგებლის შექმნა გინდა მათთვის, რა გინდა მათთვის აკეთო, პროდუქტის თუ მომსახურების მიწოდების რა გზებისა და მეთოდების გამოყენებით გინდა ხელმისაწვდომი გახადო შენს მიერ შექმნილი სარგებელი შენთვის მნიშვნელოვანი მომხმარებლისთვის. (ტოლიაშვილი პ. 2013)

რაც უფრო მკაფიოა ფოკუსი, მით უფრო სწრაფად იწყება ექსპერტიზის და საჭირო ინფორმაციის დაგროვება, მით უფრო ეფექტური ხდება მუშაობის მეთოდები და მიდგომები, მით უფრო სწრაფად იწყება ორგანიზაციის ზრდა. და თუ მიზნობრივი

კლიენტების რეალური რაოდენობა და მათი მზადყოფნა, გადაიხადონ საზღაური თქვენს პროდუქტში, იძლევა ორგანიზაციის შენახვის და განვითარების საშუალებას, მაშინ იწყება სწრაფი ზრდა, ბევრად უფრო სწრაფი, ვიდრე ნებისმიერი სხვა უნივერსალური ორგანიზაციის.

3. პირველობისკენ სწრაფვა

როგორც კი ორგანიზაციები სხვებზე სწრაფად იწყებენ ზრდას, მათი უმთავრესი მიზანი ბაზრის ლიდერობა ხდება. გაასწრონ ყველას გაყიდვებით, კლიენტების რაოდენობით, გაყიდვების ან მომსახურების წერტილების რაოდენობით, თანამშრომლების რაოდენობით, მომწოდებლებით და ა.შ. რაც მთავარია, ამის სწრაფად მიღწევა ხდება ბევრი ორგანიზაციის იდეა-ფიქსი. პირველობა, პირველთა შორის პირველობა, და კიდევ იმათ შორის უპირატესობის მიღწევა ბევრი ორგანიზაციის მიზანი და სტრატეგია ხდება. ეს კი ბევრი უარყოფითი მოვლენის და პროცესის საფუძველი ხდება:

ა) ორგანიზაციები უგულებელყოფენ ორგანიზაციული განვითარების აუცილებლობას. მათი სწრაფი ზრდისკენ სწრაფვა ხელს უშლის გაჩერდნენ დროდადრო და სწორი ორგანიზაციული საფუძვლების შექმნით გაიმყარონ და განიმტკიცონ მიღწეული შედეგები.

ბ) ორგანიზაციები აღარ აქცევენ ყურადღებას გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ პროექტებს. ვერ ნახულობენ მათთვის დროს, საკმარის სახსრებს, საკმარის მოტივაციას საკუთარ თავში რომ მათზეც სხვა ოპერატიული ამოცანების მსგავსად იზრუნონ. მით უმეტეს, ამ ამოცანებზე მუშაობა მეტ ინტელექტუალურ, მორალურ ძალას საჭიროებს და როგორც წესი, უფრო რთული და მოსაწყენია ბევრი მენეჯერისათვის, ვიდრე სწრაფი, ოპერატიული მოქმედება მოკლევადიანი შედეგის მისაღებად. (ტოლიაშვილი პ. 2013)

გ) ორგანიზაციები არ უთმობენ სათანადო ყურადღებას საკადრო ბაზის განვითარებას. იმ ადამიანების მოძებნას, რომლებიც ყველაზე ლოიალურები იქნებიან, ყველაზე კარგად ეცოდინებათ რა უნდა გააკეთონ და ყველაზე უფრო ეფექტურებიც იქნებიან, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ და დიდი თანხების ფასად. ორგანიზაციები ვერ ხვდებიან, რატომ უნდა დახარჯონ დრო და ფული ამ ამოცანების გადაწყვეტაზე, ვინაიდან ხედავენ, რომ რამდენიმე წელიც კი არ იქნება საკმარისი აქედან რეალური შედეგების მისაღებად.

შედეგად, აქაც იწყება კრიზისი. ორგანიზაცია ვეღარ ასწრებს განვითარდეს ზრდის შესაბამისად. ზრდის შედეგად გაზრდილი მოცულობები მაკრატლის ეფექტით თვითონ იწყებენ ორგანიზაციის დახრჩობას. კლიენტების უკმაყოფილება იზრდება, იწყება იმედგაცრუება ორგანიზაციის მიმართ მოლოდინებში. თანამშრომლები სულ უფრო მეტად გრძნობენ, რომ მათ ამუშავებენ ძალიან ბევრს, მათში სამუშაო რესურსი სწრაფად ამორტიზირდება, მათი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე კი ასეთი გარემო ძალიან ურყოფითად იწყებს მოქმედებას. შესაბამისად, იწყება პრობლემები: გაყიდვები კლებულობს, ფინანსური შედეგები უარესდება, თანამშრომლებში ინერტულობა მატულობს. მენეჯმენტის გუნდსა და თანამშრომლებს შორის იწყება დაშორება. დროთა განმავლობაში მენეჯმენტის გუნდის შიგნით იწყება ურთიერთობების პრობლემები, რაც კრიზისს კიდევ უფრო ამწვავებს. თუ ამ პროცესში რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება ხდება, ეს დროებით ანელებს რეგრესის პროცესს. თუმცა, მოგვიანებით, პროცესი უფრო სწრაფად იწყებს განვითარებას. (ტოლიაშვილი პ. 2013)

თუ ამ პროცესში ორგანიზაციის გარეთ გაუარესდა მდგომარეობა და რამე საფრთხე წარმოიქმნა, ეს კიდევ უფრო აჩქარებს რეგრესს და უარყოფითი შედეგის დადგომასაც დროში აახლოვებს.

აქაც ორი შედეგი არსებობს: ორგანიზაცია იშლება სხვადასხვა შემადგენლებად, ან მენეჯმენტი ახერხებს იპოვოს ძალა, გადალახოს პირველობის ამბიცია და მიხვდეს რომ:

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, იყო პირველი მომხმარებელთა რომელიღაცა ჯგუფის არჩევანში, როდესაც ისინი ყიდულობენ ამა თუ იმ პროდუქტსა და მომსახურებას, ვიდრე ის, თუ რა პოზიცია გიკავია ბაზარზე საქმიანობის მასშტაბით, ზომებით, გაღიარებენ თუ არა გამორჩეულ ლიდერად შენი კონკურენტები, მთავრობა, ან მთლიანად საზოგადოება. ხშირად ერთი ადამიანის გადაწყვეტილება – იყიდოს ერთი კონკრეტული ორგანიზაციის პროდუქტი ან მომსახურება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ ორგანიზაციის წარმოჩენა იმაზე, თუ რამდენად დიდია მისი მასშტაბი და მნიშვნელობა ქვეყნისთვის, რეგიონისთვის, აქციონერებისთვის და ა.შ. (ტოლიაშვილი პ. 2013)

მომენტი, როდესაც მიღწეული სიდიდეების გამო მენეჯმენტს ავიწყდება, რომ არსებობს კლიენტი, როგორც ასეთი, და მის პრეფერენციებს მნიშვნელობა აქვს, ხდება ორგანიზაციებისთვის ძალიან მძიმე კრიზისის გამომწვევი მიზეზი.

მენეჯმენტი, რომელიც ხვდება, რომ უნდა გაიზარდო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შენ მზად ხარ არ შეამცირო კლიენტების კმაყოფილება, არ გააუარესო ბრენდი და არ გამოიწვიო თანამშრომლების უკმაყოფილება, ახერხებს ორგანიზაციის კრიზისიდან გამოყვანას. სხვები კი თავისი პირველობის ამბიციების დათმობასაც კი ვერ ასწრებენ, ისე ტოვებენ ბაზარს.

ბევრი კომპანია, რომელიც საქართველოს ბიზნეს წრეებში საუკეთესო ორგანიზაციად და წარმატებულ კომპანიად სახელდებოდა უახლოეს წარსულში ან ჯერ კიდევ სახელდება, თავის გადაწყვეტილებებში სწორედ ამ მიდგომებით სარგებლობდა. თუ ასეთმა სტრატეგიებმა რაიმე შედეგი მოიტანა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, ისინი სულ უფრო ნაკლებად განაპირობებენ წარმატებას დღეს.

მიმდინარე კრიზისმა გამოავლინა ბიზნესის დღევანდელ ლიდერთა ძირითადი სისუსტეები, ბევრი მათგანი შესაძლოა დაცემის პერსპექტივის წინაშე დგას.

სავარაუდოა, რომ ქართული ორგანიზაციებისთვის, სტრატეგიების განსაზღვრისას ეს სამი მიდგომა კიდევ დიდხანს იქნება დომინანტი. (ტოლიაშვილი პ. 2013)

დასკვნა

დასასრულ, შეგვიძლია ვთქვათ რომ ორგანიზაციის განვითარება შეუძლებელია სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის გარეშე. სამწუხაროდ, საქართველოში ორგანიზაციები ხშირად სწორედ ამ დოკუმენტის გარეშე ფუნქციონირებენ.

სტრატეგიული გეგმა, ინსტრუმენტია, რომელიც ეხმარება ორგანიზაციის ხელმძღვანელს გადაწყვეტილებათა მიღებაში. ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ცნობილ ამერიკელ პროფესორს პიტერ დრუკერს, რომელსაც ზოგიერთი ავტორი თავიანთი ნაშრომების ეპიგრაფადაც კი იყენებს: „სტრატეგიულ დაგეგმვას საქმე აქვს არა მომავალ გადაწყვეტილებებთან, არამედ გადაწყვეტილებათა მომავალთან, რომლებსაც დღეს ღებულობენ“. ასეთ გადაწყვეტილებათა ამოცანაა ინოვაციათა და ცვლილებათა უზრუნველყოფა საკმაო მოცულობით გარე გარემოში ცვლილებებზე ადეკვატური რეაქციისათვის.

ის, თუ რა მოგვევლინება ორგანიზაციის მიზნად და რა - საშუალებად, მისი ბაზარზე პოზიციონერობის დროს, მენეჯერთა მიერ გადადგმულ ნაბიჯებზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილებები, რესურსების განთავსების შესახებ, საბოლოოდ განსაზღვრავს, მიაღწევს, თუ არა ორგანიზაცია წარმატებას.

თანამედროვე სამყაროში ორგანიზაციის წარმატებული არსებობისთვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს ინდივიდუალური ხედვა, რომელიც ორგანიზაციას მიზნამდე მიიყვანს.

დღევანდელ აგრემოში, როდესა ე.წ. „ბიზნეს-ომის“ ფონზე ორგანიზაცია კარგი სტრატეგიის გარეშე დიდხანს ვერ იარსებებს.

ბიბლიოგრაფია

1. შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ფ. (2008), მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა „ უნივერსალი“
2. სინერჯი ჯგუფის კონსულტანტები (2012), მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L”
3. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2013 წ.
4. ცომაია აკ. (2008) სტრატეგიული მენეჯმენტი. თბილისი, ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველო.
5. ჯულაყიძე ე. (2016) სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ.
6. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი (2009), ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
7. ჰენრი ფორდი (1988) ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევები, თბილისი.
8. Glasl, F., & Livegoed, B. (2004). Dynamische Unternehmens-Entwiklung. (R. Tschiren, ED.) Berne: Haupt.
9. Thompson, arthur A., Jr and A,J Strickland (1999). Strategit Management Concepts and Cases. Boston: Irwin Mcgrow Hill.
10. Jones, B, Brazzel, M (2009). The NTL HANDBOOK of Organization Development and Change.
11. ტოლიაშვილი პ. (11.03.2013) სტრატეგიის სესაბამისი სტრუქტურა, http://strategy.ge/2013/03/11/strategy-and-structure/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა
მე-3 სემესტრის დოქტორანტი
___მანონ ბოკუჩავა___
(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

,, კომუნიკაციის პროცესის სპეციფიკა სოციალური მედიის ეპოქაში - მასობრივიდან შერჩევით-მასობრივ აუდიტორიამდე“ (სოციალური ქსელის facebook-ის მაგალითზე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა მაისაშვილი

თბილისი
2018

შესავალი

სოციალური ქსელების შექმნამ მასობრივი კომუნიკაციის სტრუქტურა შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი კომუნიკაცია თავის საწყისშივე ითვალისწინებდა კომუნიკაციის მაღალ ხარისხს, სოციალური ქსელების ელემენტმა ეს ხარისხი გაზარდა და სტრუქტურულად გარდაქმნა. კომუნიკაციამ ჭარბი დოზით გადაინაცვლა ონლაინ სამყაროში, პროცესები დააჩქარა, აამაღლა საზოგადოების ინფორმირების დონე, თუმცა შექმნა ახალი თანმდევი სირთულეებიც. მაშინ, როდესაც დღეს, სოციალური ქსელებით, მარტივად და თითქმის უფასოდ, შეიძლება ინფორმაციის გავრცელება, გზა გაეხსნათ ყალბ ამბებს და პროპაგანდას. შესაბამისად, განახლებას და ხელმეორედ გააზრებას საჭიროებს, მასობრივი კომუნიკაციის ნორმატიული თეორიებიც. ბრიტანელი კომუნიკაციათმცოდნე, დენის მაკქუეილის აღმოჩენილი კომუნიკაციის ტიპები კი დღეს, შესაძლოა, არ იყოს რეალობის რელევანტური. ყველაზე ზედაპირული დაკვირვებითაც ჩანს, რომ ახალმა მედიამ ძირეულად შეცვალა ძველი მედიის შემდეგი საკითხები: ძალაუფლებისა და თანასწორობა-უთანასწორობის საკითხი; სოციალური ინტეგრაციის საკითხი; დრო და სივრცე; ავტორობის ფენომენი. სემინარის ფარგლებში გავაანალიზებ მასობრივი კომუნიკაციის სახეცვლილებას სოციალური მედიის ეპოქაში, facebook-ის მაგალითზე. Facebook არის სოციალური ქსელი, რომელსაც ამავე სახელწოდების კომპანია მართავს. მისი მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ დაამატონ მეგობრები და გაგზავნონ შეტყობინებები, შექმნან და განაახლონ პერსონალური პროფილები. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია შეუერთდეს ქსელს ქალაქის, სამუშაო ადგილის, სკოლისა ან რეგიონის მონაცემების მიხედვით. Facebook-ი დააარსა მარკ ცუკერბერგმა თავის კოლეჯის მეგობრებსა და საინფორმაციო მეცნიერების სტუდენტებთან, ედუარდო სავერინსა, დასტინ მოსკოვიცსა და კრის ჰაგისისთან ერთად, ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლისას.

პირველად ქსელი 2004 წლის 4 თებერვალს ამუშავდა და მას შემდეგ იზრდება მისი პოპულარობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ დროისთვის ქსელში სამ

მილიარდამდე მომხმარებელია. Facebook-მა ნაცნობი და უცნობი ადამიანები დააკავშირა, ახალი ტრიბუნა მისცა სხვადასხვა ორგანიზაციებს. მუშაობს ისეთ ქვეყებში სადაც დაბალია თავისუფლების ხარისხი. მან ასევე შეცვალა სარეკლამო ბიზნესის სამყარო. მას შემდეგ, რაც ქსელმა თავისი ადგილი დაიკავა კომუნიკაციის სამყაროში, მკვლევარებმა დაიწყეს მისი ეფექტის გაანალიზება. დაისვა შემდეგი კითხვები და გამოიკვეთა ახალი მიმართულებები:

- როგორ შეცვალა მასობრივი კომუნიკაციის სამყარო სოციალურმა ქსელებმა?
- რამდენად დიდია და როგორია სოციალური ქსელის როლი თავისუფალი საზოგადოების ფორმირებაში?
- როგორია მისი როლი საინფორმაციო მარკეტინგის სამყაროში?
- ქსელის ძირითადი დადებითი და უარყოფითი ეფექტები;
- ვინ არის „მოგებული“ და ვინ „წაგებული“ - კომპანია, თუ მომხმარებელი?
- ქსელის როლი განვითარებადი ქვეყნებისთვის;
- სოციალური მედია, როგორც პროტესტის-რეველუციების ნაწილი;
- „უხელფასო თანამშრომლების“ ფაქტორი;
- მომხმარებლის „მონაცემების“ დამუშევება და გაყიდვა;
- ყალბი ამბები და პროპაგანდა სოციალურ მედიაში;
- სოციალური მედია, როგორც თავისუფლების სახე თანამედროვე სამყაროში;

სემინარი აანალიზებს საკითხს ამ მიმართულებებით და წარმოაჩენს მასზე არსებულ ყველა მნიშვნელოვან სამეცნიერო ნამუშევარს.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში „სოციალური მედიის კრიტიკული ანალიზი“ [1] წარმოდგენილია მასობრივი კომუნიკაციის შეფასება ახალი რეალობის ფონზე. მკვლევარი სვამს კითხვას, თუ რამდენად სოციალურია სოციალური მედია და რა წვლილი შეაქვს მას საზოგადოების ცხოვრებაში. პრობლემურად არის აღქმული ის გარემოება, რომ სოციალური ქსელები არსებობენ მომხმარებლების მომზადებული ინფორმაციების ე.წ პოსტების სახით და თავად არაფერს ქმიან. ნაშრომის ავტორი თვლის, რომ ეს არის ერთგვარად ადამიანების შრომის ექსპლუატაცია, კომპანიის ფინანსური ინტერესებისთვის. Facebook ამუშავებს თავის ქსელს სწორედ, მომხმარებლების აქტიურობის შედეგად და მიღებული შემოსავლით ყიდის რეკლამას. ასევე სეგმენტურად ანაწილებს მომხმარებელთა კატეგორიებს და სთავაზობს მათ რეკლამის მიმწოდებელს. ნაშრომში ეს საკითხი აღქმულია, როგორც სოციალური ქსელის შესაძლო უარყოფითი მხარე. თუმცა აქვე, მკვლევარი არ უკარგავს სოციალურ მედიას მის სიკეთეებს და აცხადებეს, რომ ქვეყნებში სადაც პრობლემურია სიტყვის/გამოხატვის თავისუფლება, ეს ქსელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. განსაკუთრებთ კი განუზომლად დიდია facebook-ის პირდაპირი ეთერის შესაძლებლობის როლი, სხვადსხვა სახის აქციების, ან ინციდენტების დროს. სწორედ, ასეთი წვდომა „ტრიბუნაზე“ ხშირად სიცოცხლეს უნარჩუნებს, როგორც ჟურნალისტებს, აქციების ორგანიზატორებს, ასევე რიგით მოქალაქეებს. შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის სამყაროში შეჭრილი სოციალური მედია, თავის არსებობას ამართლებს, მიუხედავად კომერციული მიზნებისა და რიგ შემთხვევევში, მომხმარებლის დიდი ფსიქოლოგიური დამოკიდებულებისა.

სწორედ, ფქსილოგიური დამოკიდებულების კონტექსტით შეისწავლა სოციალური ქსელების გავლენა ადამიანზე, მკლევარმა სესილი შოუ ანდრეასსენმა. [2] კვლევის თანახმად ქსელზე დამოკიდებულება აღენიშნებათ მეტწილად ქალებს და რეალურ

---

[1] „სოციალური მედიის კრიტიკული ანალიზი“, Christian Fuchs, SAGA publication, 2014, ნახვის დრო: 5 ნოემბერი, 2018 წელი

[2] „Facebook-ზე დამოკიდებულება“, Cecilie Schou Andreassen, journal Psychological Reports, 2012 წელი, ნახვის დრო: 7 ნოემბერი, 2018 წელი

ცხოვრებაში კომუნიკაციის პრობლემის მქონე ადამიანებს. ამასთან ერთად არსებობს Facebook-ის მომხამარებელთა ჯანსაღი ნაწილი, რომელიც მას იყენებს, ძირითადად საქმიანი მიზნებისთვის და არ ხდება მასზე დამოკიდებული. საზოგადოების ამ ნაწილისთვის სოციალური მედია არ წარმოადგენს საფრთხეს, პირიქით, არის ერთერთი მხარდამჭერი რესურსი. აღნიშნული კვლევის საველე სამუშაო 2011 წელის იანვარში შესრულდა, გამოიკითხა 227 ქალი და 196 კაცი. კვლევის კითხვები ბერგმანის ფსიქოლოგიის ფაკულტეტმა მოამზადა. მთავარ მიგნებად დასახელდა ქსელის მომხამარებლთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, როგორც ქსელის მოხმარების ხარისხის მთავარი განსაზღვრელის.

Facebook-ის შესახებ მომზადებული სიღმისეული კვლევებიდან აღსანიშნავია Robert E. Wilson, Samuel D. Gosling და Lindsay T. Graham-ის ერთობლივი ნაშრომი. [3] ავტორები თვლია, რომ ქსელი მნიშვნელოვანია სამი ფაქტორის გამო: მისი მეშვეობით დაგეგმილი/ორგანიზებული ღონისძიებების; მათი კონკრეტული თარიღების კუთხით - მისი მზარდი პოპულარობის და მესამე, იმ ზეგავლენის გამო, რასაც საზოგადოების განვითარებაზე ახდენს. ნაშრომი მიმოიხილავს აღნიშნული სოციალური ქსელის შესახებ სამეცნიერო ჟურნალებში და კონფერენციებზე განხილულ კვლევებს და სტატიებს. მკვლევარებმა ძირითადი მიგნებები ასე ჩამოაყალიბეს:

(1) მომხარებელთა დიდი ნაწილი ქსელს იყენებს კომუნიკაციისთვის. იმისთვის, რომ მისი შეფასებით ახლოს იყოს მეგობრებთან, ნათესავებთან და ასევე ჰქონდეს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. ამ მხრივ, ქსელი ეხმარება მომხმარებელს დაყოს მეგობრები კატეგორიებად. მაგალითად შეარჩიოს უახლოესი მეგობრები და თავის პოსტები მხოლოდ მათ გაუზიაროს;

[3] „A Review of Facebook Research in the Social Sciences“, Robert E. Wilson, Samuel D. Gosling და Lindsay T. Graham, 2012, http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1745691612442904?journalCode=ppsa ნახვის დრო: 7 ნოემბერი, 2018 წელი

(2) სხვადასხვა საკითხებზე/თემებზე კომენტარის დატოვების ფუნქცია, იძლევა შესაძლებლობას განსხვავებული აზრის/შეფასების მოსმენის, რაც ხელს უწყობს საკითხის არსის მრავალმხრივ შეფასებას;

(3) არსებობს მომხმარებელთა ქმედებით აქტიური და პასიური კატეგორია. კვლევა აჩვენებს, რომ ქმედებით პასიური ადამიანი, რომელიც აქვეყნებს პოსტებს, მაგრამ არ აქტიურობს სხვის მიმართ, არ იწონებს, არ იზიარებს სხვის პოსტებს - მეტად მიდრეკილია დეპრესიისკენ. თუმცა მკლევარები თვლიან, რომ ეს საკითხი მეტ შესწავლას საჭიროებს, რადგან შესაძლოა არ გვქონდეს ქსელის ეფექტთან, ანუ Facebook შესაძლოა არ განაპირობობდეს ქცევის ტრანსფორმაციას, არამედ თავად მისი მომხმარებელი ქსელის გარეშეც იყოს გარკვეული მენტალური პრობლემების წინაშე.

(4) ქსელის პოპულარობის ზრდა საჭიროებს მეტ და ახალ კომპლექსურ კვლევებს;

(5) მომხმარებლების უმტესობა ცდილობს ქსელში წარმოდგენილი იყოს ფოტოებით, პოსტებით თავისი საუკეთესო მხარით და არა ნატურალისტურად, ანუ ისეთი როგორიც არის;

(6) ქსელის და ბიზნესის ურთიერთობა ამარტივებს მარკეტინგულ გამოწვევებს. ადვილია მომხმარაბელთა სეგმენტაცია, თუმცა მათი ინტერესების დაცვა, პერსონალური ინფრომაციის სახით პრობლემურია;

(7) გავლენა საზოგადოების თავისუფლების, აზრის გაზიარების/გამოხატვის საკითხზე ნაკლებად თავისუფალ ქვეყნებში;

(8) ყველამ ვინც გადაწყვეტს იკვლიოს ქსელის მნიშვნელობა საზოგადოებისთვის. უნდა უპასუხოს კითხებს: ვინ არის ქსელის მომხამრებელი და რისთვის იყენებს მას?! რატომ იყენებენ ადამიანები მას?! როგორ გავლენას ახდენს ქსელი ადამიანებზე და ჯგუფებზე?! რატომ ასაჯაროებენ ადამიანები რისკის მიუხედავად პირადი ხასიათის ინფორმაციას?!

(9) ქსელის გავლენა საზოგადოებაში მიმდინარე/ სასურველ ცვლილებაში. 2011 წლის 25 იანვარს ეგვიპტეში დაიწყო დიდი მოძრაობა პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაკის

წინააღმდეგ.[4] Facebook-ში, ორი კვირის განმავლობაში, შეიქმნა 32 000 ახალი ჯგუფი ამ საკითხზე გაერთიანებული ადამიანების და 14 ათასი გვერდი, ასევე ამავე ქსელში, მსგავსი მიზნით. აღნიშნულ პერიოდში ეგვიპტეში 5 მილიონი ადამიანი იყო გაერთიანებული Facebook-ის ქსელში. მკვლევრები თვლიან, რომ ონლაინ სამყაროში არსებულმა შესაძლებლობამ დიდ წილად განსაზღვრა მოვლენების მსვლელობა.

Facebook-ის დადებითი და უარყოფითი ეფექტის შეფასებას ცდილობენ მკვლევარები Christofides E, Muise A და Desmarais S. მათი შესწავლის ობიექტი არის ქსელში არსებული ინფორმაციის კონტროლი და წამოჭრილი დისკუსიების სახე.[5] სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ქსელის მომხმარებლები, 24 წლამდე ასაკის რესპონდენტები. მთავარი მიგნება აღმოჩნდა ის, რომ პირადი ხასიათის ინფორმაციის გამოქვეყნება მომხმარებლის მხრიდან, რისკების გაუცნობიერებლად, მეტწილად მხოლოდ პოპულარობის მიზნით ხდება. მკვლევარები ფიქრობენ, რომ საზოგადოების ამ ნაწილს შესაძლოა აქვს განსხვავებული წარმოდგენა პირადი ხასიათის ინფორმაციაზე და ეს საჭიროებს დამატებით ფსიქოლოგიური მიმართულების კვლევას.

სოციალურ მედიას განსხვავებული კუთხით სწავლობს ჟურნალისტი ჯეფრი განამი. მან მოამზადა კვლევა სოციალური მედიაზე არაბულ ქვეყნებში. [6] ნაშრომის თანახმად 2015 წელს ინტერნეტით სარგებლობდა 100 მილიონი არაბი. აზრის თავისუფლად გამოთქმისთვის კი ასობით აქტივისტი, მწერალი თუ ჟურნალისტია ამჟამად დასჯილი. ავტორის, მოპოვებული მონაცემებით, მაროკოდან დაწყებული ბაჰრეინამდე ნელ-ნელა იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობაც, რაც ახდენს გავლენას თავისუფლების ხარისხზე. მისი მთავარი მიგნებების თანახმად:

(1) Facebook 17 მილიონი ადამიანი იყენებს არაბული რეგიონებიდან;

---

[4] Cairo protesters in violent clashes with police, 2011, https://www.theguardian.com/world/2011/jan/25/egypt-protests-mubarak ნახვის დრო: 7 ნოემბერი, 2018 წელი

[5] „Information disclosure and control on Facebook: are they two sides of the same coin or two different processes?“, Christofides E, Muise A, Desmarais S, 2009, https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/19250020 ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი

[6] „Social Media in the Arab World:Leading up to the Uprisings of 2011“, Jeffrey Ghannam, http://www.cima.ned.org/wp-content/uploads/2011/02/Ghannam-Jeffrey-Arab_Social_Media-Report-10-25-11.pdf ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი

(2) ტექნიკური შესაძლებლობების პარალელურად, მთავრობები ცდილობენ ინტერნეტის ე.წ მეამბოხე მომხმარებლების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების დაკავებას, ასევე ახდენენ კიბერშეტევებს მათ გვერდებზე;

(3) მაშინაც კი, როდესაც ინტერნეტის მომხმარებლები არ გადადიან ტრადიციულ წითელ ხაზებს, ხელისუფლება ქმნის კანონებს/შეზღუდვებს, რომლის ინტერპრეტირებითაც შეუძლია სიტყვის თავისუფლების ონლაინ სამყაროშიც ჩახშობა;

(4) სულ უფრო პოპულარული ხდება ტრადიციული მედიის ნამუშევრების გაზიარება/გავრცელება სოციალური მედიით.

კითხვაზე, რა განცდებს იწვევს ჩვენში Facebook და რატომ იზრდება მისი პოპულარობა, პასუხებს ეძებენ მკვლევარები K Wise, S Alhabash და H Park.[7] მათ იაპონიის უნივერსიტეტების სტუდენტების ქცევა შეისწავლეს, სოციალური ქსელის მიმართ. მთავარი აქცენტი ქსელში ინფორმაციის ძებნაზე და ურთიერთობების წარმოქმნა/განვითარებაზე გაკეთდა. მთავარი მიგნება გახლდათ ის, რომ კვლევამ აჩვენა, სამიზნე აუდიტორიას ქსელში ურთიერთობებზე, კონკრეტულ ინფორმაციაში ჩაღმავებაზე მეტად, სიამოვნებას ანიჭებს უბრალოდ ძებნის/ თვალიერების პროცესი. მკვლევარების გამოთვლით, მათი სამიზნე აუდიტორია ქსელში ყველაზე მეტ დროს სწორედ ძებნას უთმობს, მათ შორის ისეთი ხასიათის ძიებას, როდესაც არაფერს კონკრეტულს არ ეძებს და ქცევას აქვს, მხოლოდ, დათვალიერების ხასიათი.

სოციალურ ქსელებს, ქცევის შემცვლელად აღიქვამენ მკვლევარები: Max Weisbuch, Zorana Ivcevic და Nalini Ambady. თავიანთ ერთობლივ ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებული აქვთ ქცევითი ტრანსფორმაცია.[8] მათი ექსპერიმენტის შედეგების თანახმად, უცხო ადამიანის პირველად დანახვის ეფექტი არის ძალიან მსგავსი მის

[7] Wise, K., Alhabash, S., & Park, H. (2010). Emotional Responses during Social Information Seeking on Facebook. Cyberpsychology, Behavior, and Social Networking, 13, 555-562. http://dx.doi.org/10.1089/cyber.2009.0365 ნახვის დრო: 9 ნოემბერი, 2018 წელი

[8] J Exp Soc Psychol. Author manuscript; available in PMC 2010 May 1. Published in final edited form as: J Exp Soc Psychol. 2009 May; 45(3): 573–576. ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი

პირად გვერდზე შესვლის და მისი ამ სივრცეში დანახვის ეფექტთან. მიუხედავად იმისა, რომ რეალურ ცხოვრებაში ადამიანის ნახვა და მასთან კომუნიკაცია ბევრად დიდი ემოციების თანხლებით ხდება, ონლაინ სამყაროში გაცნობაც იწვევს განცდას, რომ აღნიშნული პიროვნება უკვე ერთგვარად „შენიანია“. მკვლევარების შეფასებით ქსელების მიმართ ინტერესის ზრდამ შესაძლოა მომავალში კიდევ უფრო შეცვალოს კომუნიკაციის სახეები. აქცენტი კეთდება იმ ფაქტორზეც, რომ დღეს უკვე დამსაქმებელი განათლების, საქმიან გამოცდილებასთან ერთად, ითხოვს პოტენციური თანამშრომლისგან პირადი გვერდების მისამართების გაგზავნას. რიგ ორგანიზაციებში კი არის სამსახურები, რომლებიც კადრების არჩევისას დიდ ყურადღებას უთმობენ მათი სოციალური აქტივობების შესწავლას.

გარდა სამეცნიერო ხასიათის კვლევებისა, აღნიშნვის ღირსია, Facebook-თან დაკავშირებული სკანდალური მოვლენებიც.

ბრიტანული კომპანიის „კემბრიჯ ანალიტიკას“ გარშემო სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც ცნობილი გახდა, „facebook- მა“ ამ კომპანიას 87 მილიონი მომხმარებლის პირად მონაცემებთან წვდომის საშუალება მისცა. აღნიშნული კომპანიის მომსახურებით დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბი სარგებლობდა. ამერიკული მედიის გამოძიებიდან კი ირკვევა, რომ ეს კომპანია მსოფლიოს გარშემო 2000-ზე მეტ პლებისციტში ჩაერია. მათ შორის იყო არჩევნები კენიაში, ჩეხეთში, ნიგერიაში, ასევე ბრექსითის შესახებ რეფერენდუმი.[9]

ევროპარლამენტი მარკ ცუკერბერგს მოუწოდებდა, საპარლამენტო კომიტეტების წინაშე კომპანია „კემბრიჯ ანალიტიკის“ საქმესთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებები გააკეთებინა. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ბლუმბერგი“ ავრცელებდა. აღნიშნული შეხვედრა შედგა კიდეც, სოციალურ ქსელ Facebook-ის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, მარკ ცუკერბერგმა ევროპარლამენტში ფრაქციების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე მომხმარებელთა მონაცემების გაჟონვის გამო ბოდიში მოიხადა. მან აღნიშნა, რომ დროულად ვერ განსაზღვრა პირადი

[9] https://1tv.ge/news/evroparlamenti-cukerbergs-mouwodebs-kembrij-analitikis-saqmeze-akhsna-ganmartebebi-gaaketos/

მონაცემების არამართლზომიერი გამოყენების საშიშროება. ამავე დროს, მარკ ცუკერბერგმა ევროპელი დეპუტატები დაარწმუნა, რომ მისი კომპანია ზომებს მიმართავს, რათა არ დაუშვას ევროპის ნაციონალურ და ევროპარლამენტის არჩევნებში გარე ძალების ჩარევა, როგორც ეს 2016 წელს აშშ-ის არჩევნების დროს მოხდა. მარკ ცუკერბერგმა ევროპის მოსახლეობას გლობალური თანამეგობრობის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი უწოდა. მისი თქმით, Facebook-ს თავისი კომერციული მიზნებისთვის უფასოდ იყენებს 18 მილიონი ევროპული კომპანია.

ევროპარლამენტის წევრების შეკითხვებზე პასუხისას, ცუკერბერგმა უარყო ბრალდება, რომ Facebook-ს მონოპოლიზებული აქვს სოციალური ქსელების ბაზარი.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ქსელი მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს მცირე და არსებით ცვლილებებს. ერთერთი ახალი ინიციატივის თანახმად, facebook-ის News Feed (სიახლეების გვერდზე) სანდო ახალი ამბების საიტებს პრიორიტეტს მიანიჭებს. ხოლო იმას, თუ რომელი წყაროა სანდო და რომელი დეზინფორმატორი, მომხმარებლები თავად გადაწყვეტენ. ამის შესახებ ფეისბუქის დამფუძნებელმა, მარკ ცუკერბერგმა თავის გვერდზე დაწერა.[10] მან News Feed-ში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ისაუბრა, შემდეგ კი სიახლეების თავდაპირველი ვერსია ოდნავ შეცვალა და ხელახალი განმარტება გააკეთა. News Feed-ში ბიზნესების, ბრენდების და მედია საშუალებების პროდუქტი ნაკლებად გამოჩნდება და მის ნაცვლად უპირატესობა ოჯახებს და მეგობრებს შორის მიმოწერას მიენიჭება. "ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია მომხმარებლისაგან, რომ ბიზნესების, ბრენდების და მედია საშუალებების პოსტები განდევნის მათ პერსონალურ მომენტებს", -წერდა იგი. თუმცა, ამ განცხადების გამო კომპანიის ფასი 4,5%-ით, ანუ 3,3 მილიარდი ლარით შემცირდა. მისი ბოლო განმარტებით კი, Facebook-ის მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, წყაროები თავად აირჩიონ. მისი თქმით, ეს ყველაზე ობიექტური გამოსავალი იქნება.

Facebook-ი ამა თუ იმ წყაროს სანდოობას მომხმარებლების მიერ გამოკითხვებისას მიცემული ხმების მიხედვით შეაფასებს და ჩამოაყალიბებს რეიტინგს, რომლის ლიდერებიც სიახლეების ზოლში მოხვდებიან. „მსოფლიოში მეტისმეტად დიდია

[10] https://www.facebook.com/zuck/posts/10104445245963251

სწრაფვა სენსაციებისადმი და ძალიან ბევრი დეზინფორმაცია ვრცელდება. სოციალური მედია საშუალებას აძლევს ხალხს, ინფორმაცია გაავრცელოს იმაზე სწრაფად, ვიდრე ოდესმე. ამიტომ, თუ ახლა არ გამოვრიცხავთ პრობლემებს, ჩვენ მათ გავაძლიერებთ", - ამბობს მარკ ცუკერბერგი. მისივე თქმით, News Feed-ში ახალი ამბების რაოდენობა ამჟამინდელი 5%-დან 4%-მდე შემცირდება.

ქსელის მიმდინარე პრობლემებთან ერთად იქმნება მის შესახებ ახალი კვლევებიც. ერთერთი მათგანი მატერიალისტი მომხმარებლების ქცევას შეისწავლის. კვლევის[11] მიხედვით, მატერიალისტ ადამიანებს Facebook-ზე უფრო მეტი მეგობარი ჰყავთ, ვიდრე არამატერიალისტებს — ისინი მათ ისე აგროვებენ, თითქოს ფიზიკური ობიექტები იყვნენ. გარდა ამისა, უფრო მეტ დროს ხარჯავენ Facebook-ზე, ვიდრე არამატერიალისტები და დიდი ალბათობით, სოციალურ ქსელებში თავიანთ ცხოვრებას სხვებისას ადარებენ. კვლევის ავტორებმა, ბოხუმის რურის უნივერსიტეტის მკვლევარ ფილიპ ოზიმეკის ხელმძღვანელობით, შექმნეს ახალი თეორია, რათა აეხსნათ, თუ რატომ ხდება ასე. მას სოციალური ონლაინ-თვითრეგულაციის თეორია უწოდეს. მკლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ მატერიალისტი ადამიანები Facebook-ს უფრო ხშირად იყენებს, რადგან ისინი მიდრეკილნი არიან „გაანივთონ“ Facebook-მეგობრები, რომლებსაც იმატებენ იმისთვის, რომ გაზარდონ თავიანთი საკუთრება. მილიონობით პროფილისა და ადამიანების შესახებ ინფორმაციით, Facebook-ი წარმოადგენს ბრწყინვალე პლატფორმას სოციალური შედარებებისათვის და ეს უფასოა - მატერიალისტებს კი უყვართ ხელსაწყოები, რომლებშიც ფულს არ იხდიან. ავტორებმა კვლევა მოამზადეს Facebook-ის 531 მომხმარებელზე დაყრდნობით, რომლებიც ორ ჯგუფად დაყვეს. 242 მომხმარებლისგან შემდგარი პირველი ჯგუფი საპილოტე კვლევაში მონაწილეობდა; მეორე კი განკუთვნილი იყო პირველი ჯგუფის შედეგების გამეორებისთვის. ორივე ჯგუფს მისცეს ლაიკერტის შკალის კითხვარი, რათა განესაზღვრათ, თუ როგორ

[11] Phillip OzimekPhillip.ozimek@rub.de , Fiona Baer , Jens Förster, Materialists on Facebook: the self-regulatory role of social comparisons and the objectification of Facebook friends, 2017, https://www.heliyon.com/article/e00449 ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი

იყენებენ ისინი Facebook-ს, რამდენად ადარებენ საკუთარ თავს სხვებს, გაეგოთ მატერიალიზმის დონე, რამდენად ფიქრობენ Facebook-მეგობრებზე, როგორც ნივთებზე და რამდენი სტატუსისა და სხვა სარგებლის მიღება შეუძლიათ თავიანთ Facebook მეგობრებისგან. ანკეტაში იყო მოცემულობები, რომლებსაც მონაწილეები ან უნდა დათანხმებულიყვნენ, ან არა. მაგალითად:

- აღფრთოვანებული ვარ ადამიანებით, რომლებიც ფლობენ ძვირადღირებულ სახლებს, მანქანებსა და ტანსაცმელს;
- ხშირად ვადარებ, რამდენად სოციალურად ვიქცევი;
- Facebook-ზე ბევრი მეგობრის ყოლა მეხმარება უფრო მეტი წარმატების მიღწევაში, პირად და პროფესიულ ცხოვრებაში;

მათ ასევე ჰკითხეს, დაესახელებინათ თავიანთ Facebook-მეგობრების რაოდენობა. როგორც საპილოტე, ისე განმეორებით ჯგუფში, მკვლევარებმა აღმოაჩინეს კორელაცია Facebook-მეგობრების მაღალ რაოდენობასა და მათ „განივთებას“ ტენდენციასთან.

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ მატერიალისტი ადამიანები უფრო მეტად იწონებენ ბრენდულ გვერდებს და დაასკვნეს, რომ ბრენდების ყველაზე დიდი თაყვანისმცემლები, უფრო მეტად მატერიალისტები იყვნენ. ბრენდების Facebook-გვერდებთან ურთიერთქმედება კი ნაწილობრივ სწორედ ამის წარმოჩენა იყო.

მართალია, მეგობრები იგივე არ არის, რაც ბრენდები, მაგრამ ზოგადი სურათი შეიძლება მაინც იგივე იყოს. მატერიალიზმი ძლიერ დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, რომელთა საჯაროდ წარმოჩენაც შესაძლებელია. მკვლევარები ფრთხილად შენიშნავენ, რომ არაფერია არსებითად არასწორი ან ცუდი იმაში, თუ რა გზით იყენებენ მატერიალისტი ადამიანები სოციალურ ქსელებს. მათი თქმით, ეს უბრალოდ ის არის, თუ როგორ აღწევს ზოგიერთი ადამიანი საკუთარ მიზნებს ან როგორ ერთობა. სოციალური მედია პლატფორმები არ განსხვავდება ცხოვრების სხვა აქტივობებისგან. ისინი ფუნქციონალური ხელსაწყოებია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ცხოვრებაში მიზნების მიღწევა სურთ, უბრალოდ, ზოგიერთს მათზე ან საზოგადოებაზე შესაძლოა ნეგატიური შედეგები ჰქონდეს.

სოციალური მედიის შესახებ ახალ აღმოჩენებს სხვა მკვლევარებიც აკეთებენ. საერთაშორისო მედიის ყურადღება ახალმა კვლევამ მიიქცია. კვლევის თანახმად ახალგაზრდა, სამუშაოს მაძიებელი და მარტოხელა მომხმარებლები Facebook-ს აუქმებენ ან სულ მცირე ამ ნაბიჯის გადადგმაზე ფიქრობენ. როგორც ირკვევა ამის მიზეზი სოციალური ქსელის მეშვეობით, ვაკანსიის პოვნის შესაძლებლობის რესურსის ამოწურვაა. მკვლევრები იმ ადამიანებს დააკვირდნენ, რომლებმაც Facebook-ი დატოვეს ან ექაუნთების გაუქმებას უახლოეს მომავალში გეგმავდნენ. 2015 წელს აშშ-ში კვლევის დროს 1,000 ადამიანი გამოკითხეს. აქედან 215-მა თქვა, რომ ექაუნთის გაუქმების შესაძლებლობას განიხილავდა, ხოლო 169-მ განმარტა, რომ ეს ნაბიჯი უკვე გადადგა. ახალ კვლევაში ასევე ვკითხულობთ, რომ Facebook-ის ერთგული მომხმარებლები არიან 40-60 წლის დაქორწინებული ქალები, რომლებიც სამუშაო ადგილს არ ეძებენ და ქსელს არ იყენებენ ახალი სამსახურის ძიებისთვის, ან ახალი ურთიერთობებისთვის.

Facebook-ის მნიშვნელობაზე კვლევები ჩნდება ქართულ სამეცნიერო წრეებში. განსაკუთრებით აქტიურები ახალგაზრდა მკვლევარები არიან. „კავკასიის უნივერისტეტის“ მაგისტრანტმა ლანა დარჯანიამ მოამზადა კვლევა[12] სახელოწდებით: “სოციალური ქსელი Facebook-ის როლი პოლიტიკოსის იმიჯის ფორმირებაში.” კვლევა შედგებოდა რამდენიმე ეტაპისგან: პირველი ეტაპი მოიცავდა თვისებრივი კვლევის ტექნიკას კერძოდ, ანკეტირებას (ნახევრად სტრუქტურირებული), ახალგაზრდების მოსაზრება პოლიტიკოსის იმიჯის ფორმირებაზე Facebook-ის მეშვეობით. კვლევის მეორე ეტაპი კი მოიცავდა პოლიტიკოსების Facebook-ის ოფიციალური გვერდების მონიტორინგს: საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალური გვერდი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძის ოფიციალური გვერდი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის ოფიციალური გვერდი. გვერდების მონიტორინგი მოიცავდა, როგორც თვისებრივ

[12] ლანა დარჯანია, “სოციალური ქსელი Facebook-ის როლი პოლიტიკოსის იმიჯის ფორმირებაში”, 2017 წელი, ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი

ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. რაოდენობრივად კონკრეტული მონაცემები მკვლევარმა დაათვალიერა: პოსტების რაოდენობა, ვიდეო, ლაივი, სტატუსი, ფოტო-კოლაჟი. თვისებრივი მეთოდების მიხედვით შესწავლის საგანი იყო, თუ როგორი კომუნიკაციის მეთოდს იყენებენ აღნიშნული პოლიტიკოსები.

კვლევის მიხედვით შევაფასეთ: რამდენად აქტიურია Facebook გვერდი და რა შესაძლებლობას მოიცავს მომხარებლებისთვის; რა სახის ინფორმაცია იდება პოლიტიკოსის იმიჯის შესაქმნელად; რა გამოხმაურება აქვს, ფოტოს, ვიდეოს, გიფს და სხვადასხვა ფეისბუქ ტექნიკებს.

კვლევის ძირითადი მიგნებების თანახმად:

- თვისებრივმა კვლევა ამჩვენა, რომ იმიჯის შესაქმნელად მხოლოდ მედია საშუალებების იმედად არ უნდა იყვნენ პოლიტიკოსები, Facebook-ზე შესაძლებელია იმიჯის შექმნა და პოლიტიკოსისთვის წარმატებული კარიერის შემუშავება;
- რაოდენობრივი კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ფეისბუქზე ატვირთული ვიდეოების ნახვის რაოდენობა უფრო მეტია ვიდრე გაზიარებული ვიდეოების, სადაც ლინკის მეშვეობით უნდა გადახვიდე სხვა საიტზე, რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის და ამცირებს შანსს გამოხმაურების;
- არ უნდა დაენანოთ პოლიტიკოსებსა თუ მათ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებს, გადაიხადონ თანხა რეკლამირებულ პოსტში, ამის მეშვეობით შეუძლიათ მიწვდნენ სასურველ სეგმენტსა და დემოგრაფიულ მხარეს(რომლის საშულებაც არის Facebook-ზე), თუ მომხმარებელი არ გააქტიურე, ჩვეულებრივ, ურეიტინგო გადაცემას დაემსგავსება ოფიციალური გვერდი;
- Facebook-ზე პირდაპირი ეთერის მეშვეობით საიტზე მყოფ ადამიანებს იქვე უჩვენებს ამის შესახებ, რაც უცებ ხდება ინტერესის საგანი, აღარ გიწევს საინფორმაციო გამოშვებას დაელოდო ამა თუ იმ ბრიფინგთან დაკავშირებით, თუმცა ეს კიდევ ერთხელ აღვნიშნავ დემოგრაფიულ და სეგმენტაციურ კრიტერიუმებს ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს;

- თვისებრივი კვლევის მიხედვით, სოციალურ ქსელ Facebook-ზე პოლიტიკოსს შეუძლია განათავსოს მისთვის მნიშვნელოვანი ყველა ინფორმაცია, საზოგადოებას მცირე დოზით მათი ინტერესები და შემოქმედობითობაც აინტერესებს, რაც უშუალოდ ქმნის იმიჯს;

მსგავის კვლევის პარალელურად, მეცნიერების ნაწილი უკვე საუბრობს ახალ დაავადებაზე, რომელსაც Facebook-ზე დამოკიდებულება ეწოდება. მკვლევარი ანინდიტა ჩაკრაბორტი[13] თავის კვლევაში ქსელზე დამოკიდებული ადამიანების ძირითად სიმპტომებზე საუბრობს და იმ გზებზე, რომლითაც განკურნება შესაძლებელია. ძირითადი მიგნებების თანხმად: ქსელზე დამოკიდებული ადამიანები ავლენენ იმპულსურობას, აღენიშნებათ გაღიზიანება წვრილმან საკითხებზე; Facebook-ზე დამოკიდებულება განსაკუთრებით აღენიშნებათ ნარცისიზმით, ნევროზით და სოციალური რეალიზაციის ნაკლებობის მქონე პირებს. მკვლევარების შედარებით აღნიშნული დამოკიდებულების განკურნება შესაძლებელია ფსიქოთერაპიით და ფარმაკოთერაპიით.

ცალკეულ კვლევებთან ერთად სამეცნიერო წრეებმა, სოციალური კვლევების გასაანალიზებლად თეორიაც შექმეს, სახელწოდებით: პრობლემური ინტერნეტ მომხმარებლების და ფსიქოსოციალური კეთილდღეობა. [14] თეორიის პრაქტიკული შემოწმებისას კვლევები აჩვენებდა, რომ დეპრესიისა და მარტოობის დონეები წინასწარმეტყველებდნენ ონლაინ სოციალური ურთიერთქმედების უპირატესობას. თუმცა ნაშრომის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ საკითხის თემატიკა ინტერდისციპლინარულია და მასში სხვადასხვა დარგის ადამიანები უნდა იყვნენ ჩართულნი. მთავარ, პასუხის გარეშე დარჩენილ, კითხვად რჩება ჰიპოთეზა, რომ იქნებ ქსელები არის პოზიტიური შესაძლებლობა ადამიანებისთვის, რომელთაც პირდაპირი კომუნიკაციის პრობლემა აქვთ?! თუმცა აქვე არსებობს სხვა კითხვა, რომელიც ღიად

[13] Anindita Chakraborty, Facebook Addiction: An Emerging Problem, 2017 წელი, https://doi.org/10.1176/appi.ajp-rj.2016.111203 ნახვის დრო: 10 ნოემბერი, 2018 წელი

[14] Scott E. Caplan, A Theory of Problematic Internet Use and Psychosocial Well-Being, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0093650203257842 ნახვის დრო: 10 ნოემბერი, 2018 წელი

რჩება და აჩენს ინტერესს, იმის შესახებ, რომ ონლაინ სამყარო შესაძლოა უკარგავდეს ადამიანებს პირდაპირი, ჯანსაღი კომუნიკაციის უნარს.

აბსოლუტურად განსხვავებული კუთხით აფასებს სოციალურ ქსელებს მკვლევარი ედრიუ მორე.[15] იგი სოციალურ ქსელებს აღიქვამს, როგორც სივცეს თავისუფალი ხელოვნებისთვის. სოციალური მედია აძლევს ინდივიდებს შესაძლებლობას თავად შექმნან - გადაიღონ ფოტოები, ვიდეოები, წერონ მხატვრული ან სხვა სახის ნამუშევრები და გამოაქვეყნონ. ავტორის შეფასებით ეს არის ტრიბუნა ლიბერალური ხელოვნებისთვის. თვლის, რომ ამ ტიპის მედიის მთავარი სიტკბო იმაშია, რომ მან მისცა გასაქანია ადამიანების იმპულსებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმპულსები სოციალურ მედიას არ გამოუწვევია მათში, ეს ისედაც არსებობდა, უბრალოდ, მათ ახლა მეტი გასაქანი მიეცათ.

Facebook-ი ჰგავს სცენას, სადაც ყველა თავად დგამს წარმოდგენას. აქ, ერთადერთი პრობლემა არის, დიდი დოზით მიჩვევა მასზე და პირადი ინფორმაციის სუსტი ფილტრი. ამ უკანასკნელში ითვლება ის, რომ ხშირად მომხმარებლები საკუთარ თავზე აქვეყნებენ იმ ტიპის ინფორმაციას/ფოტოებს, რომელმაც შესაძლოა მომავალში ხელი შეუშალონ დასაქმებაში, ან კარიერულ წინსვლაში. ეს ერთაგვარად საკუთარ თავზე კომპრომატების გამოქვეყნებას ჰგავს. მკვლევარი თვლის, რომ Facebook-მა შეცვალა ნაწილობრივ ერთი ტენდენციაც, მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა რეგისტრირდება საკუთარი ნამდვილი სახელით და გვარით, რადგან უნდა პირველ რიგში შემოიკრიბოს ის ადამიანები ვინც მას იცნობენ, შემდეგ კი ახალი ნაცნობები. თუ წარსულში ე.წ ნიკნეიმის ფაქტორი მუშაობდა, ახლა ასე აღარაა. ადამიანები უარს ამბობენ ხშირ შემთხვევაში გამოგონილ სახელებზე, თუმცა ცხადია არსებობენ ანონიმური მომხმარებლებიც, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზე მცირეა. ასევე, მცირეა მათი აქტიურობის დონეც. მსგავსი ანონუმრი ექაუნთები ხშირად მცირეხნიანი მიზნებისთვის იქმნება და არ გამოირჩევა სისტემატიური აქტიურობით. მკვლევარის შეფასებით ქსელების დიდი როლის და შესაძლებლობების იგნორირება არ შეიძლება

[15] Andrew Moore, Facebook and the Liberal Arts, Published by: Penn State University Press, 2015, https://www.jstor.org/stable/10.5325/jgeneeduc.61.3.0264 , ნახვის დრო: 11 ნოემბერი, 2018 წელი

სასწავლო პროცესში, რადგან ისინი უკვე არიან ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი. ფიქრობს, რომ აუცილებელია უმაღლეს სასწავლებლებში მოხდეს მათი გამოყენება სწავლის ხარისხის გაზრდისთვის და სასწავლო პროცესში ფართო ჩართულობის უზრუნველყოფისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ Facebook-ის დადებით მხარეს უსვამს ხაზს მკვლევარი სკოტ სტოუნი.[16] თავის წიგნში აღწერს ქსელის მნიშვნელობას ადამიანებს შორის კომუნიკაციის პროცესში. მისი თვალთახედვით სოციალური მედიის და განსაკუთრებით Facebook ხელს უწყობს „ყინულის დნობას." კვლევის ფარგლებში მცირე ექსპერიმეტრები ჩატრდა უნივერსიტეტების სტუდენტებთან. მოხდა მათ ქცევაზე დაკვირვება სოციალურ ქსელებში. აღმოჩნდა, რომ ქსელის ცალკეულ თემატურ ჯგუფებში გაერთიანება ხელს უწყობდა ახალი მეგობრების გაჩენას და ჯგუფში საქმიანი საუბრების წარმართვას. მცირე დოზით გასართობი მიზნით ჯგუფების გამოყენება სიახლე იყო, თუმცა გამოქვეყნებული პოსტების დიდი ნაწილი ეხებოდა სასწავლო პროცესთან, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიებს. ამ შემთხვევაში კვლევის ობიექტს მუსიკალური კონსერვატორიების სტუდენტები წარმოადგნენ. კვლევის მცირე აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ექსპერიმენტის თანახმად, ადამიანები ბიბლიოთეკებში თავის მარტოსულად და მოწყენილად გრძნობე. ამ გარემოში კი სოციალური ქსელის შემოჭრა მათ სძენთ კომფორტს და იმის განცდას, რომ მარტონი არ არიან. თუმცა ქსელის გამოყენება სწავლის პროცესში და მუშაობისას, ზრდის დროის დანაკარგს. ხშირად ხდება გადართვა დიდი დოზით სოციალურ ქსელზე, რაც ძირითად სამუშაოს წყვეტს სტუდენტს. მიუხედავად ამ უარყოფითი მხარეებისა, მკვლევარი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ქსელის ზომიერი გამოყენა მხოლოდ პოზიტიური ეფექტის მატარებელია. განსაკუთრებით კი კომუნიკაციის ასეთი ფორმა შედეგია ნაკლებად სოციალიზებული და ჩაკეტილი ადამიანებისთვის, რადგან წარმოადგენს მათთვის კომუნიკაციის ერთადერთ ფანჯარას, რომელსაც აქვს იმისი შანს, რომ ადამიანები

[16] Scott Stone, Breaking the Ice: Facebook Friending and Reference Interactions, Published by: American Library Association, https://www.jstor.org/stable/refuseserq.54.1.44 ნახვის დრო: 11 ნოემბერი, 2018 წელი

რეალურ ცხოვრებაში გამოიყვანოს. ნაშრომის სულისკვეთება მის დასკვნაშიც ჩანს, სადაც ქსელი მეტწილად პოზიტიურ მოვლენად არის შეფასებული.

კულტურაზე Facebook-ის გავლენა გახდა ინტერესის ობიექტი მკვლევარების ანა ბუჩნერის და კატარზინა ზენიევსკას. [17] თვლიან, რომ ქსელი არის კატალიზატორი კულტურის-ხელოვნების გავრცების. ნაშრომი ეყრდნობა ვარშავის კულტურის ინსტიტუტში მომავალი ხელოვანების ქცევაზე დაკვირვებას. კვლევის აქცენტი არის, ქსელის როლის განსაზღვრა ხელოვანების ურთიერთთანამშრომლობაზე. შეიძლება ითქვას, რომ მკვლევარები მიიჩნევენ Facebook-ს პოზიტიურ გავლენა, როგორც ახალგაზრდების განათლების პროცესის ასევე, კუტურის სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში. ხელოვნურ ინტელექტზე და ალგორითმების ძალაზე კვლევას აქვეყნებს ჯულიან დიდელი. [18] კონკრეტული მაგალითებით განიხილავს ქსელის მიერ ალგორითმების გამოყენებით სარეკლამო შემოსავლის მიღებაზე. ავტორი სვამს კითხვას ჩვენ ვფლობთ Facebook-ს, თუ იგი გვფლობს ჩვენ ?! ნაშრომით პასუხობს ამ კითხვას და ამბობს, რომ ჩვენ და ისიც ნაწილობრივ ვფლობთ, მხოლოდ იმ ჩანაწერებს რომელსაც თავად ვაკეთებთ, დანარჩენი სხვისი აქტივობა გვხვდება ყველაზე ხშირად. ამ კვლევის შემდეგ თემატური იქნება თუ ვისაუბრეთ ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებზე, სადაც სწორედ ალგორითმები დასახელდა ამომრჩეველზე გავლენის ბერკეტად. 2014 წელს ფეისბუქზე გამოჩნდა ქვიზი, სახელად this is your digital life, რომელიც ადამიანებს სთავაზობდა მათი პერსონალური ტიპის დადგენას. აპლიკაცია კემბრიჯის უნივერსიტეტის აკადემიკოსის, ალექსანდრ კოგანის მიერ იყო შექმნილი (უნივერსიტეტს კემბრიჯ ანალიტიკასთან არაფერი აკავშირებს). აპლიკაცია მონაცემებს არა მხოლოდ ქვიზში მონაწილე ადამიანების, არამედ მათი მეგობრების შესახებაც აგროვებდა. ქვიზით 270 000-მა ადამიანმა ისარგებლა, თუმცა, რადგან მომხმარებლები თანხმდებოდნენ, აპლიკაციას მიეღო ინფორმაცია მათი მეგობრების

[17] ANNA BUCHNER and KATARZYNA ZANIEWSKA, Facebook as a Catalyst for Beneficial Participation in Culture, Polish Sociological Review No. 177 (2012), pp. 107-116, https://www.jstor.org/stable/41478922, 2012, ნახვის დრო: 11 ნოემბერი, 2018 წელი

[18] Julian Dibbell, Do You Own Facebook?: Or Does Facebook Own You? (pp. 105-123), https://www.jstor.org/stable/j.ctt1npb9k , 2010, ნახვის დრო: 11 ნოემბერი, 2018 წელი

შესახებაც, კოგანმა შეძლო, პერსონალური მონაცემები 50 მილიონი მომხმარებლის შესახებ მათი თანხმობის გარეშე მიეღო. მომხმარებელთა უმეტესობა ამერიკის შეერთებული შტატებიდან იყო. კრისტოფერ ვაილი კომპანია კემბრიჯ ანალიტიკას ყოფილი თანამშრომელი და მისი მთავარი მამხილებელია. ის აცხადებს, რომ შეგროვებული მონაცემები ანალიტიკურმა კომპანიამ იყიდა, გადაამუშავა და ტრამპის საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის გამოიყენა. კომპანიის პოლიტიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე კი კემბრიჯ ანალიტიკას შეეძლო მონაცემთა გადამუშავებით შესაბამისი საარჩევნო კომუნიკაციის წარმართვა. შესაძლოა, კომპანიას ფეისბუქისგან მიღებული მონაცემები უფრო პერსონიფიცირებული მესიჯების შესაქმნელად და სამიზნე აუდიტორიის უკეთესად განსაზღვრისთვის უნდოდა, თუმცა, დაზუსტებით ვერავინ იტყვის, რა როლი შეასრულა მოპოვებულმა მონაცემებმა და რამდენად შეუწყო ხელი ტრამპის გამარჯვებას. ასევე, არ არის ინფორმაცია იმ 50 მილიონი მომხმარებლიდან, რამდენი მივიდა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე, თუმცა ეს ვარაუდი დიდი ხმაურის მიზეზი გახდა.

ამის შემდეგ უკვე ერთგვარი კამპანიაც დაიწყო ტრამპის წინააღმდეგ. Facebook-მა აშშ-ის შუალედური არჩევნების წინ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის შტაბის მიერ გამოშვებული ვიდეორგოლი დაბლოკა. CNN-ის ცნობით,[19] ვიდეო, რომელზეც 20-დან 80 ათასამდე დოლარი დაიხარჯა, რასისტულად ჩათვალეს. საუბარია მიგრანტების ქარავანზე, რომელიც ჰონდურასიდან მექსიკისა და აშშ-ის მიმართულებით მიემართება. ვიდეორგოლის მიხედვით, ისინი დამნაშავეები არიან, რომლებიც ამერიკელებს ემუქრებიან. აშშ-მ მიგრანტებისგან ამერიკის საზღვრის დასაცავად სამხედროები გაგზავნა. მექსიკის ხელისუფლებამ ამერიკის შეერთებული შტატებისკენ მიმავალი მიგრანტი ქალები და ბავშვები ქვეყანაში დროებით შეუშვა. მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დახმარება გაეროს გენერალურ მდივანს სთხოვა, რათა ჰონდურასის, გვატემალისა და სალვადორის ხელისუფლებებმა ერთობლივად მიიღონ ზომები. ჰონდურასის და გვატემალის საზღვრები 15 ოქტომბერს დაახლოებით 3000-მა მიგრანტმა გადაკვეთა. ისინი ჩრდილოეთით, მექსიკისკენ

[19] https://edition.cnn.com/2018/11/05/tech/facebook-pulls-trump-ad/index.html

მიემართებიან. მოგვიანებით მათ კიდევ 1300 ადამიანი შეუერთდა. მოძრაობა, რომელსაც „ქარავანი“ დაერქვა, სტიქიურად არ დაწყებულა. „ქარავანის“ მიზანი აშშ-ში მოხვედრა, ან მექსიკის ხელისუფლებისთვის თავშესაფრის თხოვნაა. სოციალურმა ქსელმა სწორედ, ამ საკითხის მიმართ გამოიჩინა სენსიტიურობა და მიიღო ვიდეო რგოლის ბალოკვის გადაწყვეტილება. ყველაზე ახალი ტენდენცია კი ქსელის არის, ბრძოლა ყალბ ინფრომაცასთან.

2018 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ მარკ ცუკერბერგი თავის კორპორაციასთან - Facebook, Inc, ერთად იწყებს Software-ს შემუშავებას, რომლის მიზანია როგორც ყალბი ახალი ამბების აღმოჩენა, ასევე, დეზინფორმაციის წინააღმდეგ „იმუნური სისტემის“ მობილიზება და ამოქმედება. ფეისბუკის გამგეობამ განაცხადა, რომ სპეციალური განახლებული ტექნოლოგიის მეშვეობით შესაძლებელია პოტენციური ყალბი ინფორმაციის დიდი მოცულობის გაშიფვრა, რომლის თანახმადაც, ფეისბუკს და სხვა სოციალურ მედიას შეეძლება პრაქტიკულად გადახედოს „ნიუსის“ წარმომავლობას. ასევე, მიუთითოს მასთან დაკავშირებული ბმულები, რომლებიც სანდო წყაროს ეფუძნება. შესაბამისი სტატიები ბმულებში ამა თუ იმ ფაქტის/ახალი ამბის კრიტიკას ანდა კონტექსტუალიზაციას უნდა შეიცავდეს, რითაც ამ ამბის ჭეშმარიტი არსებობა უნდა დადასტურდეს. ამერიკული მედიაკორპორაციების გარდა სოციალური მედიისა და ნეტვორკინგის დაცვის სისტემების შექმნას ევროპაშიც ცდილობენ, განსაკუთრებით ეს საკითხი არჩევნებზე ზემოქმედების სოცმედიური მანიპუალაციებისა და სიძულვილის ენის გავრცელების გამო გახდა აქტუალური. ფეისბუკისთვისაც ამგვარი ტექნოლოგიის შექმნის ტრიგერი 2016-ში ცუკერბერგის თავსდატეხილი კრიტიკა გახლდათ, როცა მოქალაქეები ფეისბუკის მამას ამა თუ იმ საპრეზინდენტო კანდიდატის სასარგებლოდ დეზინფორმაციის გავრცელებაში სდებდნენ ბრალს. განახლებული ტექნოლოგიური ალგორითმის გარდა ფეისბუკი ასევე აპირებს სხვა საინფორმაციო რესურსების გამოყენებასაც. მაგალითად, ისეთის, როგორიცაა Snopes, ABC News და სხვა „ფაქტჩეკერები“ (სულ 42 ორგანიზაცია). „ფაქტჩეკერების“ დიდი ქსელი, რომელსაც თავისი ეთიკის კოდექსი აქვს, იმართება Poynter Institute for Media Studies-ის (1975) მიერ,

რომელიც აშშ–ში პროფესიონალური ჟურნალისტიკის ყველაზე ავტორიტეტიან ინსტიტუციად მოიაზრება. როგორც კი „ფაქტჩეკერი“ აღმოაჩენს ნიუსის სიყალბეს, ფეისბუკი ამ „სუბსტანციას“ მარკირებას უკეთებს და ამ წყაროს/ ნიუსის რეიტინგს ოპერატიულად აქვეითებს, ანდა „ასაფლავებს“. ფეისბუკმა უკვე გააფორმა თანამშრომლობის კონტრაქტი ხუთ „ფაქტჩეკერთან“: Snopes, Factcheck.org, ABC News, PolitiFact და Associated Press. ფეისბუკმა მათ მისცა ფეისბუკის ინსტრუმენტალური მისაწვდომობის გასაღები, რათა მათ დაიწყონ ყალბი ნიუსების მარკირება. აქვე უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი რამ, ფაქტჩეკერი ორგანიზაციები ამ საქმიანობიდან ხელფასს არ აიღებენ. გარდა ამისა, ფეისბუკის მომხმარებელს ექნება იმის საშუალება, რომ თავად მონიშნოს ყალბი ნიუსი და, ასე ვთქვათ, დაარეპორტოს. აკრძალვები შეეხება ასევე რეკლამასაც. წყაროებს, რომლებიც ყალბი ნიუსების გამავრცელებლები იქნებიან, ფეიქბუკზე რეკლამის განთავსების უფლება არ მიეცემათ. ფეისბუკი ასევე ბრძოლას უცხადებს ყალბი დომენის მქონე საიტებს. ასევე ქმნის ინდიკატორს, რომელიც ოპერატიულად გაანალიზებს ფეისბუკზე დაშეარების „მოვლენას“ – ანუ ფეისბუკი გაიგებს, ადამიანმა მხოლოდ სათაური წაიკითხა და ისე გააზიარა ბმული, თუ დააწკაპა და კონტენტიც წაიკითხა. სპეციალისტები ასევე მუშაობენ ტექნოლოგიურ „ილეთზე“, რომელიც შეამცირებს ყალბი დომენებისა და ზოგადად საიტიების შექმნის ფინანსურ სტიმულს. მარკ ცუკერბერგმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, ფეისბუკი არაა ახალი ამბების სააგენტო, არამედ არის მხოლოდ პლატფორმა ახალი ამბების გასავრცელებლად, მისი კორპორაცია მაინც იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის ხარისხსა და ეთიკურობაზე და იმასაც აცნობიერებს, რომ ახალი ამბების „გადამზიდავობა“ უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ტექნოლოგიური კომპანიის სტატუსის/იმიჯის ქონა.

Facebook-ის გავლენა ამ შემთხვევაში ბიზნესის ცხოვრებაზე ქართველმა მკვლავრებმაც შესწავლეს. სტატიაში „10 წელი, რომელმაც შეცვალა ბიზნესი“ ავტორები ნინო ენუქიძე

და მიხეილ ბატიაშვილი[20] იმ ცვლილებებზე წერენ, რომელიც ქსელმა ბიზნესს მოუტანა. მათ გამოწვეს რვა ძირითადი ფაქტორი, რომელმაც კომპანიების მუშაობაზე ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა:

(1) Facebook-მა დაზოგა დრო. კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ მომხმარებელთან კომუნიკაცია, პროდუქტის ან მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაიმე შეთავაზების ან მთლიანად კომპანიის ცნობადობის გაზრდა. მკვლევარები განსხვავებულ დროის მონაკვეთს ასახელებენ სასურველი მესიჯის ტელევიზიით, რადიო ან ბეჭდური მედიით გავრცელების და აუდიტორიასთან წვდომის დროის შესახებ, თუმცა ყველა ერთხმად თანხმდება რომ Facebook-ის მეშვეობით ინფორმაცია ყველაზე სწრაფად ვრცელდება. მსოფლიოში არსებული სოციალური მედიასაშუალებების მომხმარებელთა შორის 71% Facebook-ს მოიხმარს. ამათგან 64% კი Facebook-ს ყოველდღე სტუმრობს. ბიზნესისთვის ეს უნიკალური შესაძლებლობაა საკომუნიკაციო კამპანიის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში.

(2) Facebook-მა დაზოგა ხარჯები. სარეკლამო კამპანიის სოციალურ მედიაში წარმოებამ კომპანიებს მისცა მარკეტინგული ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობა. თუ შევადარებთ ტრადიციულ მედიასაშუალებებში განთავსებულ სარეკლამო კამპანიებს და ვიანგარიშებთ ინვესტირებიდან ამონაგებს (ROI) სურათი ნათელი ხდება: მინიმალური დანახარჯით და უმოკლეს დროში Facebook–ი ახერხებს მისწვდეს მიზნობრივ აუდიტორიას და პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს დახარჯული თანხის მონიტორინგი. „Facebook Insights“ - მონიტორინგის საშუალება რომელიც კომპანიას სთავაზობს სრულ სურათს ინფორმაციის ქსელში მოძრაობის, ნახვის და გაზიარების, მოწონების და ინტერესის გაზომვად პარამეტრებს. თუ შევადარებთ სატელევიზიო რეკლამას, რომელიც ღირებულებით 100-ჯერ ან უფრო მეტჯერ ძვირიც შეიძლება იყოს, ინვესტირებიდან ამონაგები რთულად გაზომვადია. კომპანია ხარჯავს თანხის ნაწილს რეკლამის იმ ,,მიმღებზეც'', რომელიც მისი პროდუქტის

[20] ნინო ენუქიძე და მიხეილ ბატიაშვილი, 10 წელი, რომელმაც შეცვალა ბიზნესი, 2014, http://forbes.ge/news/240/10-weli%2C-romelmac-Secvala-biznesi 2010, ნახვის დრო: 12 ნოემბერი, 2018 წელი

მომხმარებელი არასდროს იქნება. სატელევიზიო რეკლამის მიმართ მეტი კითხვა გაჩნდა საქართველოში მას შემდეგ, რაც კომპანიებმა მომხმარებლებს ტელეეთერის მართვის ფუნქცია მიანიჭეს. მომხმარებელი ახლა უკვე თავად ირჩევს რას და როდის უყუროს, რეკლამაზე კი არჩევანს სულ უფრო ნაკლები მაყურებელი აკეთებს. მსოფლიოში არსებულმა კომპანიებმა კარგად გაიაზრეს Facebook-ის ეს თავისებურება და ის სწორედ ამიტომ გადაიქცა მარკეტინგული კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტად.

(3) Facebook-მა შეცვალა მომხმარებელთა „წარმოშობის ადგილი“. როდესმე თუ უკითხავთ თქვენთვის ,,ჩვენი კომპანიის შესახებ საიდან შეიტყეთ?'' ეს შეკითხვა აქტუალურობას კარგავს, ვინაიდან ახალ მომხმარებელთა 77% „Facebook“-ის მეშვეობით მიდის კომპანიაში. ეს საუკეთესო წყაროა არა მხოლოდ საჭიროების შეცნობის მომენტში, არამედ ინფორმაციის მოძიების და ალტერნატივების შეფასების დროსაც. გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ რომელი კომპანიის პროდუქტით ან მომსახურებით ისარგებლოს მომხმარებელმა, უმეტეს შემთხვევაში Facebook-ის დახმარებით მიიღება.

(4) Facebook-მა შეცვალა მარკეტინგული სტრატეგია. ის გამოიყენება ცნობადობის გასაზრდელად, ბრენდის პოზიციონირებისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის, რეკლამის განსათავსებლად, გაყიდვების სტიმულირებისთვის და სხვა მარკეტინგული მიზნებისთვის, რომელიც ყველა კომპანიაში განსხვავებულია. 16 მილიონზე მეტი ადგილობრივი ბიზნეს გვერდი მოწმობს, რომ ბიზნესის მთავარი მარკეტინგული ძალისხმევა სწორედ Facebook-ზე არის მიმართული. მომხმარებელთა 44% დღის განმავლობაში რაიმეს ,,იწონებს'' და მოწონებათა ჯამური რაოდენობა 4,5 მილიარდს შეადგენს ყოველდღიურად. კომპანიები ცდილობენ მოწონების საკუთარი წილი დაიმსახურონ და ამაზე აქტიურად მუშაობენ მარკეტინგის სპეციალისტები.

Facebook-მა მნიშვნელოვანი გახადა მომხმარებელთა აზრი, რაც სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ აქამდე მომხმარებელთა აზრი არავის აინტერესებდა. უბრალოდ წარმოიდგინეთ მარტივი სიტუაცია: 2003 წელი, მომხმარებელი უკმაყოფილოა კომპანიის მომსახურებით და ამის შესახებ საშუალოდ 12 ადამიანს ატყობინებს.

კვლევების თანახმად, სწორედ ამდენია ნეგატიური ინფორმაციის ვერბალური ფორმით მიმღებთა რაოდენობა. 2013 წელი, მომხმარებელი უკმაყოფილოა კომპანიის მომსახურებით და ამის შესახებ წერს მის Facebook-ის გვერდზე. ამას დაახლოებით 400 ადამიანი ნახულობს, რადგან სწორედ ეს არის ვირტუალურ სივრცეში მეგობრების საშუალო რაოდენობა. მეგობრები იწყებენ შეკითხვის დასმას, აზრის გამოხატვას ან მომხმარებლის მიერ გაზიარებული ინფორმაციის უბრალოდ ,,მოწონებას'' და ეს ავტომატურად აისახება მათი აქტივობის პორტალზეც. ამ ინფორმაციას უკვე მეგობრების მეგობრები ნახულობენ, რომელთაც ასევე შეიძლება გამოთქვან აზრი და ასე, უსასრულოდ. დროა ყველა კომპანია დაფიქრდეს, რომ Facebook–ი მათი საქმიანობის ერთგვარი სარკეა. ის ასახავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელსაც თავად კომპანია ავრცელებს, არამედ იმ მოსაზრებებსაც, რომელიც მის მომხმარებელს მის შესახებ აქვს. მოსაზრებას, რომელიც დღეს გაცილებით გასაფრთხილებელია ვიდრე როდისმე ყოფილა.

(5) Facebook-ი, როგორც კომპანიის შესახებ ინფორმაციის მოძიების მთავარი წყარო. თუ ჯერ კიდევ რამენიმე წლის წინ კომპანიის შეახებ ინფორმაციის მოძიების ძირითად წყაროდ ან მისი საკუთარი ვებგვერდი ან მის შესახებ ქსელში გარცელებული სხვა ინფორმაცია წარმოადგენდა, დღეს Facebook–ი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. უფრო სტატიური ვებგვერდებისგან განსხვავებით, Facebook–ი გვაძლევს საშუალებას კომპანიის ბევრად ინტერაქტიული სოციალური გვერდი მოვიძიოთ, სადაც შეგვიძლია გავეცნოთ არა მარტო უახლეს ინფორმაციას, არამედ მომხმარებლებისა და ექსპერტების აზრებს და სხვა სახის დამატებით ინფორმაციას, რომელიც კომპანიის, მისი მომსახურების ან პროდუქტების შესახებ უფრო ნათელ წარმოდგენას ქმნის. დღეს მომხმარებელთა 75%-ზე მეტი, ტრადიციული ვებგვერდის გარდა, Facebook–ის საშუალებით ეცნობა კომპანიების შესახებ ინფორმაციას. ეს მაჩვენებელიც სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში კიდევ მოიმატებს.

(6) Facebook-მა გაზარდა ბრენდის მიმართ ლოიალურობა. სწორად დაგეგმილი მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებით, შესაძლებელია ბრენდის მიმართ ლოიალობის მოკლე დროში ზრდა, რაც ჩვეულებრივი „არხების“ საშუალებით

გაცილებით მეტ რესურს და პერიოდს მოითხოვს. Facebook–ში მომხმარებლების ჩართულობა გაცილებით მეტია. მომხმარებლები სვამენ კითხვებს, დაინტერესებულ საკითხებზე სწარაფად იღებენ პასუხებს, ეცნობიან სხვა მომხმარებელთა მოსაზრებებს და ა.შ. ეს ყველაფერი გაცილებით ეფექტური გზაა, რაც კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზეც აისახება. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ Facebook–ი 45% -ით ზრდის ბრენდის მიმართ ლოიალობას.

(7) Facebook-მა შეცვალა მომხმარებელთა ქცევა/გადაწყვეტილების მიღების პროცესი და წაახალისა გაყიდვები. Facebook-ში მომხმარებლების ჩართულობის ზრდის შედეგად შეიცვალა მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესიც. რაიმე ნივთის ან მომსახურების შეძენისას, ხშირად გვაწუხებს კითხვები და მათზე პასუხის არარსებობა ხანდახან ხელს გვიშლის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. Facebook-ის შეთხვევაში პროცესი გაცილებით გამარტვივებულია. აქ ბევრად მეტი და მრავალფეროვანი პასუხი არსებობს, თუნდაც სხვა მომხმარებლების მოსაზრებების სახით. დღეს უკვე დადგენილია, რომ სხვა მომხმარებელთა რეკომენდაცია 70%-მდე ზრდის დაინეტერსებული პროდუქტის შეძენას. ანუ ჩართულობის ხარისხი მნიშვნელოვნად ცვლის მომხმარებლის ქცევას და გადწყვეტილების მიღება უფრო მოკლე დროში ხდება. ასევე დადგენილია, რომ ნებისმიერი ნივთის შეძენა დაკავშირებულია მცირე სტრესთან. ხოლო აქტიური ინტერაქციის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება (მით უმეთეს, თუ შეძენის შემდეგაც გააგრძელდა ეს ინტერაქცია და მომხმარებელს საკუთარი პოზიტიური შთაბეჭდილების დააფიქსირების საშუალება მიეცა) მნიშვნელოვნად ეხმარება სტრესის მოხსნის პროცესს. აღნიშნული პოზიტიური ემოცია ასევე ახდენს შემდგომი შესყიდვების სრიმულირებასაც,

მომხმარებელთა კვლევები უმოკლეს ვადაში და უმცირესი ბიუჯეტით. ყველასთვის ცნობილია, რომ ნებისმიერი სახის კვლევა (რაოდენობრივი, თვისობრივი, ჩაღრმავებული და ა.შ) საკმაოდ დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული. რაც მცირე ზომის კომპანიებს ფაქტიურად გამოუვალ სიტუაციაში აყენებს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია დროის ფაქტორიც. სანამ პასუხებს მივიღებთ, კვლევების ხანგრძლივი ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, შესაძლოა ან თემამ აქტუალობა დაკარგოს, ან

მონაცემები უკვე მოძველებული იყოს. Facebook-ის საშუალებით კი შესაძლებელია კვლევების ძალიან მოკლე დროში და მცირე დანახარჯებით ჩატარება. არსებობს უამრავი უფასო ან დავალფასიანი „აპლიკაცია“,სწორად დასმულ კითხვაზე კი მომხმარებლებისგან მიღებული პასუხები, „ფოკუს ჯგუფის“ ჩატარების საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ ასევ გასათვალსწინებელია მომხმარებლების კომენტარების გათვალიწინება. სწორად შერჩეული ჯგუფის მიხედვით: ასაკი, შემოსავლები, სეგმენტი და ა.შ. თუ ყველა წინაპირობის ზუსტი გათვალისწინება მოხდა, არა მარტო რამდენიმე კვლევის ჩატარების, არამედ კლიენტების განწყობების მუდმივი მონიტორინგის საშუალებაც ჩნდება.

(8) Facebook-მა კომპანიებს მისცა შესაძლებლობა უმოკლეს დროში აღმოაჩინონ და გამოასწორონ შეცდომები. მომხარებლებთან ინტენსიური ინტერაქცია მნიშვნელოვანდ ეხმარება კომპანიებს დროულად აღმოაჩინონ საკუთარი ნაკლოვანებები და გამოასწორონ უმოკლეს დროში. ხშირაად იწერება მსგავსი კომენტერები: „თქვენს კომპანიასთან დაკავშირება შეუძლებელია, პროდუქტის მოტანა ყოველთვის აგვიანებს, კონსულტანტმა ვერ გამცა პასუხი“ – ეს უძვირფასესი ინფორმაციაა, რომელიც პროცესების სასწრაფო დაკორექტირების შესაძლებლობას იძლევა. თუ აღნიშნულის შესახებ ვინმეს მადლობასაც გადაუხდიან, ან კომპანიაში დაპატიჟებენ, აჩვენებენ გამოსწორებულ პროცესს, გადაუხდიან კიდევ ერთხდელ მადლობას და ამ ფაქტს სხვა მომხმარებლებსაც მიაწვდიან იმავე Facebook-ის საშუალებით, დავრწმუნდებით ნეგატიური ეფექტის გამოყენება როგორ შეიძლება პოზიტიური კუთხით. რაც კიდევ გაზრდის მომხმარებლების ნდობას და მთლიანად ლოიალობას ბრენდის მიმართ.

ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ facebook-ის შექმნის შემდეგ, სულ რამდენიმე წელში მსოფლიოს მარკეტინგის სპეციალისტების 42% ამ ქსელს მომხმარებელთან კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტად დაასახელებდა. 2004 წელს, როდესაც მომხმარებელთა რაოდენობა მილიონს ასცდა, პირველად გაჩნდა კომპანიების მხრიდან ინტერესი, რომელიც დროთა განმავლობაში უდიდესი მოგების და აღიარების მომტანი გახდა არა მხოლოდ „Facebook“-ისთვის, არამედ ყველა

ბიზნესისთვის, რომელმაც ქსელის მილიარდზე მეტ მომხმარებელთან კომუნიკაცია სწორი სტრატეგიით წარმართა. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ სოციალური მედიის მრავალმილიონიანი ინდუსტრია კომუნიკაციის უახლეს ტენდენციებს შორის მსოფლიო ლიდერი გახდა. მის მიმართ მზარდი ინტერესი აქვთ არა მხოლოდ მსოფლიოში არსებულ წარმატებულ კომპანიებს, არამედ ქართულ ორგანიზაციებსაც, რომელთაც სწორად შეაფასეს სოციალური მედიაარხების მნიშვნელობა და გავლენა მომხმარებელზე. როგორც ცნობილმა სოციალური მედიის მკვლევარმა Ze Zook-მა თქვა, „არა აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა კომპანია სოციალურ მედიაში, მათი მომხმარებლები უკვე იქ არიან და აქტიურად განიხილავენ ამ კომპანიას".რა არის სოციალური მედია? ეს ონლაინკომუნიკაციის უწყვეტი ფორმაა, რომელიც სხვადასხვა არხის დახმარებით საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მუდმივად იყვნენ ჩართული მათთვის საინტერესო პროცესების შეფასებასა და განხილვაში. კომპანიები, რომელთაც მიზნობრივ აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის სოციალური მედია აირჩიეს, უკვე საუბრობენ მის ფინანსურ ეფექტზე და ლოიალური მომხმარებლების გაზრდილ მაჩვენებელზე.

სოციალური მედიასაშუალებების მრავალი სახეობა არსებობს და ამ არხების გამოყენების ეფექტი მათ სწორ შერჩევაზეა დამოკიდებული. ინდუსტრიიდან გამომდინარე, ისინი ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია: სოციალური ქსელები, მულტიმედია, ბუკქმარკინგი, პოდკასტი, ვიკი, ბლოგები, მიკრობლოგები და სხვა სოციალური არხები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იპყრობს კომპანიების ყურადღებას. საქართველოში სოციალური ქსელები და მულტიმედია განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს, თითოეული მათგანი კი განსხვავებული ტიპის კომპანიას შეეფერება:

სოციალური ქსელები (Facebook-ი, MySpace-ი და სხვა) - შეეფერება კომპანიას, რომელსაც სურს ფანების ინტერაქციის გზით შექმნას პლატფორმა, სადაც არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს ერთმანეთთან ექნებათ კომუნიკაცია. კომუნიკაციის პროცესი უწყვეტი, რეგულარული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი კარგავს გვერდის მიმართ ინტერესს, იკლებს ჩართულობის

კოეფიციენტი და სოციალური მედიააქტივობა არამიზნობრივი ხდება. მარკეტინგის მენეჯერებისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ ქსელში და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამიჯვნა. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისგან განსხვავებით, სოციალური ქსელი მუდმივ კომუნიკაციაში უნდა რთავდეს მომხმარებელს და უზრუნველყოფდეს მის ინტერესს ინდუსტრიის მიმართ. სხვადასხვა სოციალურ ქსელს შორის facebook-ი უდიდესი პოპულარულობით სარგებლობს, მის მიმართ კომპანიების ინტერესს ფართო მიზნობრივ აუდიტორიასთან დაუყოვნებლივ წვდომა განაპირობებს. მულტიმედია (YouTube-ი, SlideShare-ი, Flickr-ი) - შეეფერება ისეთ კომპანიას, რომელსაც აქვს „მდიდარი მედია" ფოტო/ვიდეო მასალის სახით და სურს მისი ვირტუალური გზით გავრცელება. სოციალურ მედიამარკეტინგში ინვესტირებიდან ამონაგების ROI მაჩვენებელი ის ძირითადი პარამეტრია, რომლითაც კომპანიებმა აქტივობის მონიტორინგი უნდა განახორციელონ. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც ორგანიზაციას აქვს Facebook გვერდი, მასზე განთავსებული სხვადასხვა ფოტო/ვიდეო თუ ტექსტური ინფორმაციით, ეს არ არის საკმარისი მომხმარებლისთვის. მომხმარებელს სურს კომუნიკაცია, დასმულ შეკითხვებზე სწრაფი პასუხი, გაკეთებულ კომენტარზე დროული რეაგირება, სიახლეების შესახებ დროული ინფორმირება და შეგრძნება, რომ ის კომპანიისთვის მნიშვნელოვანია.

არსებობს მრავალი პარამეტრი, რომელიც სოციალურ მედიააქტივობას აფასებს. შეფასების საკუთარი ანალიტიკური სისტემა გააჩნია სხვადასხვა არხს, (მაგალითად, Facebook Insights-ს, YouTube Views-ს, Google Alerts-სა და სხვ.) თუმცა არსებობს ფასიანი კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც კომპანიების მონიტორინგის ამომწურავ საშუალებას იძლევა. მონიტორინგის სხვადასხვა საშუალებას შორის მსოფლიოში არსებული, სოციალურ მედიაში აქტიური კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ შემდეგ ინსტრუმენტებს: GoogleAnalytics-ს, SocialBakers-ს, KISSmetrics-ს, SocialFlow-ს. განვითარებად ქვეყნებში, სოციალური მედიის მონიტორინგი შედარებით ნელი ტემპებით ვითარდება, თუმცა ის ყველგან წარმოადგენს მარკეტინგის განყოფილების მუშაობის უმთავრეს შემფასებელ ინსტრუმენტს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია იმით, რომ არსებობს (ვირტუალურ რეალობად, თუ რეალურ ვირტუალობად), დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური და სოციოკულტურული ღირებულებების ფორმირებისა, თუ გადაფასების პროცესში. ის ფაქტი, რომ მასში ჩართული მილიონობით ადამიანი თავისუფლად უცვლის ერთმანეთს მოსაზრებებსა და ღირებულებებს, არა მხოლოდ ვირტუალური, არამედ რეალური ტოლერანტული სოციოკულტურული გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკითხი თავისი მასშტაბურობის და მნიშვნელობის გამო, საჭიროებს მომავალში სიღმისეული მულტიდისციპლინური კვლევების ჩატარებას.

ბიბლიოგრაფია

(1) „სოციალური მედიის კრიტიკული ანალიზი“, Christian Fuchs, SAGA publication, 2014, ნახვის დრო: 5 ნოემბერი, 2018 წელი;

(2) „Facebook-ზე დამოკიდებულება“, Cecilie Schou Andreassen, journal Psychological Reports, 2012 წელი, ნახვის დრო: 7 ნოემბერი, 2018 წელი;

(3) „A Review of Facebook Research in the Social Sciences“, Robert E. Wilson, Samuel D. Gosling და Lindsay T. Graham, 2012, http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1745691612442904?journalCode=ppsa ნახვის დრო: 7 ნოემბერი, 2018 წელი;

(4) Cairo protesters in violent clashes with police, 2011, https://www.theguardian.com/world/2011/jan/25/egypt-protests-mubarak ნახვის დრო: 7 ნოემბერი, 2018 წელი;

(5) „Information disclosure and control on Facebook: are they two sides of the same coin or two different processes?“, Christofides E, Muise A, Desmarais S, 2009, https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/19250020 ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი;

(6) „Social Media in the Arab World:Leading up to the Uprisings of 2011“, Jeffrey Ghannam, http://www.cima.ned.org/wp-content/uploads/2011/02/Ghannam-Jeffrey-Arab_Social_Media-Report-10-25-11.pdf ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი;

(7) Wise, K., Alhabash, S., & Park, H. (2010). Emotional Responses during Social Information Seeking on Facebook. Cyberpsychology, Behavior, and Social Networking, 13, 555-562. http://dx.doi.org/10.1089/cyber.2009.0365 ნახვის დრო: 9 ნოემბერი, 2018 წელი;

(8) J Exp Soc Psychol. Author manuscript; available in PMC 2010 May 1. Published in final edited form as: J Exp Soc Psychol. 2009 May; 45(3): 573–576. ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი;

(9) Phillip OzimekPhillip.ozimek@rub.de , Fiona Baer , Jens Förster, Materialists on Facebook: the self-regulatory role of social comparisons and the objectification of Facebook friends, 2017, https://www.heliyon.com/article/e00449 ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი;

(10) ლანა დარჯანია, “სოციალური ქსელი Facebook-ის როლი პოლიტიკოსის იმიჯის ფორმირებაში”, 2017 წელი, ნახვის დრო: 8 ნოემბერი, 2018 წელი;

(11) Anindita Chakraborty, Facebook Addiction: An Emerging Problem, 2017 წელი, https://doi.org/10.1176/appi.ajp-rj.2016.111203 ნახვის დრო: 10 ნოემბერი, 2018 წელი;

(12) Scott E. Caplan, A Theory of Problematic Internet Use and Psychosocial Well-Being, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0093650203257842 ნახვის დრო: 10 ნოემბერი, 2018 წელი;

(13) Andrew Moore, Facebook and the Liberal Arts, Published by: Penn State University Press, 2015, https://www.jstor.org/stable/10.5325/jgeneeduc.61.3.0264 , ნახვის დრო: 11 ნოემბერი, 2018 წელი;

(14) ლია წულაძე, ამირან ბერძენიშვილი, ფლორა ესებუა, ირაკლი კახიძე, ნანა მაჭარაძე და ანა კვინტაძე, სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში - რეალური ვირტუალური

ძალაუფლება“, 2012, http://www.isdi.ge/downloads/Social%20Media%20Development%20Tendencies_GEO.pdf ნახვის დრო: 12 ნოემბერი, 2018 წელი;

(15) ნინო ენუქიძე და მიხეილ ბატიაშვილი, 10 წელი, რომელმაც შეცვალა ბიზნესი, 2014, http://forbes.ge/news/240/10-weli%2C-romelmac-Secvala-biznesi 2010, ნახვის დრო: 12 ნოემბერი, 2018 წელი;

(16) ANNA BUCHNER and KATARZYNA ZANIEWSKA, Facebook as a Catalyst for Beneficial Participation in Culture, Polish Sociological Review No. 177 (2012), pp. 107-116, https://www.jstor.org/stable/41478922, 2012, ნახვის დრო: 11 ნოემბერი, 2018 წელი;

(17) Julian Dibbell, Do You Own Facebook?: Or Does Facebook Own You? (pp. 105-123), https://www.jstor.org/stable/j.ctt1npb9k , 2010, ნახვის დრო: 11 ნოემბერი, 2018 წელი;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კომ ფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამა

I სემესტრის დოქტორანტი

სოფიკო მეტრეველი

სადოქტორო სემინარი

„მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა, ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თბილისი

2019

ყველა ქვეყანაში მოქმედებს ეროვნული სასამართლოები, რომლებიც ამ ქვეყნების სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ. თუმცა სამართლის პროგრესულ განვითარებას მივყავართ იქამდე, რომ სახელმწიფო სასამართლოები გადატვირთულია, მაგრამ მეორე მხრივ ეს პრაქტიკა გვაიძულებს სწორი და ცალკეული გადაწყვეტილებების საშუალებითჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი კულტურა, რომელზეც დამოკიდებულია ეფექტური ეკონომიკური ოპტიმიზაცია.

იმ პირობებში, როცა არსებობს გადატვირთული სასამართლოები, ასევე სახელმწიფო სასამართლოების ხარისხის, ობიექტურობისა და პატიოსნებისადმი უნდობლობის ფაქტორები, დავების მოგვარების ალტერნატიული ინსტიტუტები ერთგვარი გამოსავალია. გარდა ამისა, დავის ალტერნატიული მოგვარების გზების განვითარების არსებითი მიზეზი არის სურვილი სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციიდან გათავისუფლებისა – მისმა შედეგიანობამ იკლო. მეორე ფაქტორი არის სასამართლო წარმოების საზოგადოდ აღქმა, როგორც მოუქნელ, მოსაწყენ და განხილვის საგნისათვის უცხო პროცესად.

დავების მოგვარების ალტერნატიულმა მეთოდებმა სამოქალაქო სამართლის სფეროში გასულ საუკუნეში მკვეთრი აღმასვლა განიცადა. განსაკუთრებით - სოციალურ და სადაზღვევო სამართლის მიმართულებით, ასევე სხვა სფეროებშიც მოქმედი არბიტრაჟების კონიუქტურა გაიზარდა.

დავების მოგვარების ალტერნატიულ გზებში ძირითადად იგულისხმება სამედიატორო და საარბიტრაჟო ინსტიტუტები. მათი მთავარი საერთო მახასიათებელია საერთო შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელე მხარეების მიერ ალტერნატიული საშუალებების დანიშვნა. გარდა ამისა, მხარეებს წინადადება ეძლევათ მშვიდობიანად მოაგვარონ უთანხმოება.

ხშირად საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტებს ერთმანეთთან აიგივებენ. ისინი ნამდვილად ჰგავს ერთმანეთს, თუმცა მათი არევა დაუშვებელია. ეს გახლავთ ორი სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუტი. საარბიტრაჟო-სამედიატორო

ფუნქციებში შეიძლება შედიოდეს მხარეთა მორიგება, მაგრამ მოურიგებლობის შემთხვევაში, მის გადაწყვეტილებებს ისეთივე ძალა აქვს, როგორიც სახელმწიფო სასამართლო აქტებს. რაც შეეხება სამომრიგებლო სასამართლოს, მისი ერთადერთი მიზანი არის მხარეთა მორიგება. უნდა აღინიშნოს, რომ თუ არბიტრაჟის დავის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონებრივ - სამართლებრივი დავა, სამომრიგებლო სასამართლოს შეუძლია გაარჩიოს ნებისმიერი ისეთი სახის დავა, რომელზედაც მორიგება შესაძლებელია. მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ისაა, რომ არბიტრაჟი უფრო მეტად ორიენტირებულია რომელიმე მხარის გამარჯვებაზე, ხოლო მედიაცია - მხარეთა მორიგებაზე.

სამედიატორო და საარბიტრაჟო ინსტიტუტები მეტ-ნაკლებად ერთნაირად ვითარდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ საწყისზე ჩამოყალიბდნენ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ორ ტრადიციულ მეთოდთან ერთად, რომლებზედაც ამ თავში დაწვრილებით გვექნება საუბარი, არსებობს დავების გადაწყვეტის მთელი რიგი ახალი მეთოდებისა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში შემუშავდა. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი ამ მეთოდთაგანი:

მინი პროცესი - რომელზედაც მხარეები აწყობენ მოკლე პროცესს ნეიტრალური პირის წინაშე, წარუდგენენ მას ძირითად მტკიცებულებას და მოწმეებს და ასევე მოკლე შესავალ და დასკვნით გამოსვლებს. ნეიტრალური მხარე იძლევა საკონსულტაციო დასკვნას მტკიცებულებასთან დაკავშირებით. ეს დასკვნა ეხმარება მხარეებს, ივარაუდონ თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდება და მათ მოუწევთ სასამართლო პროცესში მონაწილეობა. მხარეები ამ ინფორმაციას იყენებენ დისკუსიების დროს მოლაპარაკების პროცესში. ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია, რომელიც ჩვეულებრივ დიდი, კომპლექსური დავების დროს გამოიყენება.

მის გარკვეულ სახესხვაობას ეწოდება შემაჯამებელი პროცესი მსაჯულთა მონაწილეობით, რომელიც მინი პროცესის მსგავსია, მაგრამ აქ გამოიყენება ნაფიც

მსაჯულთა ჟიური მოსამართლის ნაცვლად არასავალდებულო გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ფორმა გამოიყენება დიდი დავებისთვის, რომლებიც განსახილველი იქნება ნაფიც მსაჯულთა მიერ მხარეთა შორის მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ერთ-ერთი ახალი მეთოდია, აგრეთვე, ადრეული ნეიტრალური შეფასება (ENE). იგი მინი პროცესის მსგავსია, მაგრამ გაცილებით მოკლეა და ჩვეულებრივ სასამართლოსთან დაკავშირებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროგრამის ნაწილია. თითოეული მხარე აკეთებს პრეზენტაციას ნეიტრალური მხარის წინაშე, რომელიც შემდეგ იძლევა მოკლე, არასავალდებულო პროგნოზს საქმის სავარაუდო შედეგის შესახებ სასამართლო პროცესის გამართვის შემთხვევაში, რაც მხარეებს ეხმარება საკუთარი პოზიციების გარკვევასა და მოლაპარაკებაში. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს სასამართლო პროცესის ადრეულ ან გვიან ეტაპზე.

თათბირი მორიგებასთან დაკავშირებით - ეს მეთოდი თავდაპირველად გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მოგვიანებით ფართო აღიარება ჰპოვა სხვა ქვეყნებშიც. მორიგებასთან დაკავშირებული თათბირის დროს მოსამართლე ან სასამართლოს სისტემასთან დაკავშირებული მაგისტრატი ახორციელებს არაოფიციალურ, დამხმარე სახის მედიაციას, სადაც ის ცდილობს განსაზღვროს შესაძლებელია თუ არა მორიგება. ეს ყოველთვის სასამართლოსთან დაკავშირებული პროცედურაა და ჩვეულებრივ პროცესამდე ხანმოკლე პერიოდით ადრე ტარდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღნიშნულის მსგავსს 217-218 -ე მუხლებით . საქართველოში, როგორც ჩანს, იგივე მოსამართლე, რომელიც თავმჯდომარეობს საქმის განხილვას სასამართლოში, შეიძლება მონაწილეობდეს მედიაციაშიც. აშშ - ში ზოგჯერ ეს ასეა, მაგრამ ხშირად მოსამართლე ან მაგისტრატი, რომელიც მედიატორის როლს ასრულებს, არის განსხვავებული იმ მოსამართლის ან მაგისტრატისაგან, რომელიც მოსამართლის ფუნქციას ასრულებს სასამართლო პროცესზე.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდთაგან საინტერესოა აგრეთვე ე.წ. ,,მედ - არბი''. ეს მედიაცია - არბიტრაჟის შემოკლებული დასახელებაა. კონცეფცია მხარეებს აძლევს თავდაპირველად მედიაციის ცდის საშუალებას. თუ მედიაცია წარუმატებელი აღმოჩნდება, მაშინ მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს, სადაც არბიტრი იღებს სავალდებულო გადაწყვეტილებას. არსებობს გარკვეული უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა ერთსა და იმავე პირს იყოს მედიატორი და არბიტრი ერთ დავაზე. ერთი და იმავე პირის უპირატესობაა ის, რომ მას შეუძლია არბიტრაჟი წარმართოს მოკლე დროში, რამდენადაც მისთვის უკვე ცნობილია საქმე. თუმცა, ეჭვებმა კონფლიქტებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ბევრი პრაქტიკოსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია სხვა პირი ასრულებდეს არბიტრის ფუნქციას.

ფაქტების ნეიტრალური მაძიებელი - ამ პროცედურაში ნეიტრალური მხარე შეისწავლის დავას. ის ჩვეულებრივ ითვალისწინებს მხარის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს და მის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებულ მტკიცებულებებს. ნეიტრალური პირი ამზადებს ანგარიშს ზოგჯერ რეკომენდაციებთან ერთად, რომელსაც მხარეები ითვალისწინებენ მორიგების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში. ეს მეთოდი ყველაზე გამართლებულია, როდესაც საქმეში არსებობს მნიშვნელოვანი დავა ფაქტებთან დაკავშირებით.

თანამედროვე პრაქტიკაში მკვიდრდება არბიტრაჟის ისეთი სახე, როგორიცაა ბეისბოლის არბიტრაჟი. ასეთი მეთოდის გამოყენების დროს მხარეები მტკიცებულებას წარადგენენ სტანდარტული არბიტრაჟის მსგავსი ფორმით, მაგრამ ბოლოს თითოეული მხარე წარადგენს ფულად შეთავაზებას არბიტრის წინაშე. არბიტრმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი შეთავაზებული თანხა მოდიფიკაციის გარეშე. პროცესი მხარეებს აიძულებს წარადგინონ დასაბუთებული წინადადებები და ზღუდავს არბიტრის დისკრეციას. ეს მეთოდი საუკეთესოდ გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ერთ კონკრეტულ პრობლემასთან, როგორიცაა,

მაგალითად, ხელფასის დონე ან ზარალის თანხა. ომბუდსმენი - ჩვეულებრივ წარმოდგენილია დიდ დაწესებულებაში. ის ჩვეულებრივ ასრულებს ნეიტრალური პირის როლს, რომელიც იკვლევს და ისმენს პრეტენზიებს და ცდილობს გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობას მედიატორის მსგავსად. ომბუდსმენს ჩვეულებრივ ნიშნავს დაწესებულება, რათა მოახდინოს კონფლიქტების გამწვავებისა და გაფართოების პრევენცია. მას ჩვეულებრივ არ გააჩნია დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება, მაგრამ შეუძლია ანგარიშის ან დასკვნის გამოქვეყნება, რომლის შესრულებაც დამოკიდებულია მოცემული დაწესებულების სურვილზე.

ელექტრონული კომერციის განვითარებასთან ერთად აშშ-ში და სხვა ქვეყნებში დიდი პოპულარობა მოიპოვა დავების ,,ონლაინ'' გადაწყვეტის (ODR) მომსახურებამ. ეს შეიძლება წარმოადგენდეს დავის მთლიანად ,,ონლაინ'' განხილვის პროცესს, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Cybersettle და SquareTrade, სადაც მხარეები მთელ ინფორმაციას და შეთავაზებებს ცვლიან ელექტრონულად ინტერნეტის მეშვეობით. მხარეებმა ასევე შეიძლება მიმართონ ელექტრონული კომერციით დაკავებული ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის სერვისს დიდი ან მცირეთანხიანი დავებისთვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ Ebay - ს დავების ,,ონლაინ'' გადაწყვეტის სისტემა, რომელიც წყვეტს 60 მილიონ საქმეს ყოველწლიურად, ან დავების ,,ონლაინ'' გადაწყვეტის მომსახურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო შერეულ პროცესებში, რომელთა შეთავაზებაც წარმოებს ტრადიციული პროვაიდერების, მაგალითად, ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციის მიერ, სადაც მხარეები ინფორმაციას წარადგენენ ელექტრონულად, ვებ-ფორმებისა და ვიდეო კონფერენციების მეშვეობით, მაგრამ მაინც ხვდებიან ერთმანეთს პირისპირ ან საუბრობენ ტელეფონით.

<u>მედიაციის ცნება და შინაარსი</u>

მედიაცია დაახლოებით იმდენი ხანია არსებობს, რამდენი ხანიც არსებობს ადამიანთა ორგანიზებული საზოგადოება. რთული არ არის წარმოვიდგინოთ ოჯახის ან ტომის წევრი, რომელსაც უკავია ნეიტრალური პოზიცია და რომელიც ორ პირს ეხმარება დავის

გადაწყვეტაში. მედიაცია სავარაუდოდ უფრო ძველია, ვიდრე პირველი სასამართლო სისტემა და გამოყენებულ იქნა, როგორც მოდელი საერთო სასამართლოების შესაქმნელად. უფრო მეტიც, დავის გადაწყვეტის ეს ალტერნატიული მეთოდი დამკვიდრდა მთელს მსოფლიოში. მედიაცია გამოიყენებოდა მთელი თანამედროვეობის წინა ისტორიის განმავლობაში ისეთ განსხვავებულ პერიოდებში და ქვეყნებში, როგორებიც იყო კონფუცის დროინდელი ჩინეთი, ალბანეთის სოფლები, მე-12 საუკუნის ინგლისი, კოლონისტების პერიოდისა და აბორიგენების ჩრდილოეთი ამერიკა და კოლონისტების წინა პერიოდის აფრიკა. მაგალითად, კონფუცის ჩინეთში ადამიანები შუამავლის გამოყენებას მიიჩნევდნენ როგორც სოციალურად მისაღებ გზას დავის გადასაწყვეტად. ანგლო-საქსონურ ინგლისში მხარეები ცდილობდნენ მედიაციის გზით დავის გადაწყვეტას მაშინაც კი, როცა სასამართლოს გამოტანილი ჰქონდა განაჩენი.

შუა საუკუნეების ერების-სახელმწიფოების შექმნამ განაპირობა სამთავრობო სასამართლო სისტემების შექმნა. შედეგად მედიაციის პოპულარობა დაეცა, თუმცა მეოცე საუკუნეში მედიაცია დაბრუნდა, როგორც დავების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი და პოპულარული მეთოდი. ეს ბოლოდროინდელი პოპულარობა, გარკვეულწილად, გამოწვეულია იმ წარმოდგენით, რომ ფორმალიზებული სასამართლო სისტემა ნელია და ძვირადღირებული. ასევე იმითაც, რომ მედიაციის შემთხვევაში მხარეები, სასამართლოს ფორმალიზებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, თვითონ აყალიბებენ გადაწყვეტილებას, რომელიც უკეთ გამოხატავს ორივე მხარის ინტერესებს.

მედიაცია, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მესამე პირის დახმარებით წარმოებული მოლაპარაკების ტექნიკა, თავისი თანამედროვე ფორმებით საქართველოში სიახლეს წარმოადგენს. მოლაპარაკების გარეშე ელემენტარული ადამიანური მიზნის მიღწევაც კი შეუძლებელია, ამიტომ იგი სხვა პირებისგან სასურველის მიღების ერთ-ერთ ყველაზე ბუნებრივ საშუალებად უნდა განვიხილოთ. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობის

აღმოფხვრა კი მხოლოდ მოლაპარაკებით შეიძლება.

მედიაცია მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. სხვაგვარად რომ ითქვას, ეს არის სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესი, რომელიც პროფესიონალი მედიატორის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. მედიაცია დავების გადაწყვეტის სფეროში ორგანიზატორულ და მენეჯერულ საქმიანობას ნიშნავს. დავების პრევენცია და რისკების მენეჯმენტი კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა, რომელზეც ბიზნესის წარმატებაა დამოკიდებული. ვინაიდან კონფლიქტისა და აზრთა სხვადასხვაობის თავიდან აცილება ყოველთვის ვერ ხერხდება, ერთადერთ რაციონალურ გამოსავლად კონფლიქტური ურთიერთობების სტრუქტურირებული მართვა რჩება, რასაც რისკების მაქსიმალურად შემცირება შეუძლია. ამ ზოგადი შეფასების პრაქტიკული დადასტურებაა მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა. შეიძლება ითქვას, რომ ,,მედიაცია არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არმქონე მედიატორი სისტემატურად უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეთა თვითპასუხისმგებლობაზე დამყარებული შეთანხმების მიღწევა'' . ამ განმარტებაში ასე თუ ისე თავმოყრილია ყველა ის ნიშანი, რომელთა გარეშეც პროცედურის მედიაციად კვალიფიკაცია შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მას უნივერსალურს მაინც ვერ ვუწოდებთ. მედიაცია პრაქტიკაში წარმოადგენს მედიატორის მიერ მხარდაჭერილ მოლაპარაკებას. მოლაპარაკება მედიაციის გარეშეც შესაძლებელია, თუმცა მედიაცია მოლაპარაკებების გარეშე არ არსებობს. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა უბრალო მეთოდი არ არის. პირიქით, მედიაციას თვითონ აქვს მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი მეთოდები. მას ხშირად ახასიათებენ როგორც კონფლიქტების მენეჯმენტისა და მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის საუკეთესო შესაძლებლობას .

სამედიატორო პროცესი შეიძლება განახორციელოს როგორც მედიაციის ინსტიტუციურმა პროვაიდერმა, ასევე ის შეიძლება ჩატარდეს საგანგებოდ (ad hoc)

დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელსაც დროებითი ხასიათი აქვს. ბუნებრივია, ინსტიტუციური მედიაცია უფრო მაღალ ხარისხს გვთავაზობს, მაგრამ იზრდება ხარჯებიც. ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია ასევე ითვალისწინებს ინვესტორსა და ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის მედიაციის პროცესის გამართვის შესაძლებლობას. ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს მისი გამართვა საინვესტიციო დავების საერთაშორისო წესების შესაბამისად. ცხადია, პროცედურაზე ორივე მხარის თანხმობა აუცილებელია .

მედიაცია შეიძლება განხორციელდეს ორი განსხვავებული ფორმიდან ერთ-ერთის მეშვეობით, ესენია: კერძო მედიაცია და სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია. კერძო მედიაციის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთს უთანხმდებიან მედიაციის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება შეიძლება მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებისას, დავის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე, ან თუ კონტრაქტი არ შეიცავს ასეთ დათქმას, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მედიაციაზე დავის წარმოშობის შემდეგაც. კერძო მედიაცია, როგორც სახელი მიუთითებს, არის კერძო შეთანხმება დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის შესახებ. ჩვეულებრივ, სასამართლო არ მონაწილეობს მედიაციის პროცესში. გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა სასამართლოს სთხოვენ მხარეებს შორის წინასწარ არსებული შეთანხმების აღსრულებას მედიაციის შესახებ. სხვა შემთხვევაში ის სრულიად კერძოა. კერძო მედიაცია შეიძლება შედგეს სასამართლო პროცესის არარსებობისას ან სასამართლო პროცესის დროს (რომელ შემთხვევაშიც სასამართლო პროცესის შეჩერება ხდება, სანამ მედიაციის შედეგი არ გახდება ცნობილი). თუ მედიაცია დასრულდა მორიგებით, მაშინ სასამართლო პროცესი შეწყდება, ხოლო თუ მედიაცია არ დასრულდება მორიგებით, მაშინ სასამართლო პროცესი გაგრძელდებასასამართლოსსისტემაშირომელიმემხარისმიმართ მიკერძოებისგარეშე.

სასამართლოსთან დაკავშირებულ მედიაციაში სასამართლო წარმართავს მედიაციის პროცესს ნაწილობრივ ან სრულად. მას ადგილი აქვს სასამართლო პროცესის დროს. მსოფლიოში არსებობს სასამართლოსთან დაკავშირებული პროგრამების ბევრი

სახეობა. ზოგჯერ სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის პროგრამა ნებაყოფლობითია, სადაც მოსამართლე, ან ადმინისტრატორი აანალიზებს საქმეს და საჭიროების შემთხვევაში ურჩევს მხარეებს განიხილონ მედიაციაში მონაწილეობა. ამ ტიპის პროგრამაში მედიაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები შეთანხმდებიან მის განხორციელებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიმართავენ სასამართლო პროცესს. სხვა პროგრამებში მედიაცია სავალდებულოა, რომელიც მხარეებისგან მოითხოვს მედიაციაში ჩართვას სასამართლო პროცესის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს მოეთხოვებათ მედიაციაში მონაწილეობა, თუ პროგრამა სავალდებულოა, მათ მაინც შეუძლიათ სრული კონტროლის შენარჩუნება მორიგებასთან დაკავშრებით შეთანხმების მიღწევაზე.

მიერ, რომელიც ეწევა მედიაციის მომსახურებას სასამართლოს სახელით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც სასამართლო და კერძო მედიაციას განასხვავებს, არის აღსრულების წესები. როდესაც სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია სრულდება მორიგებით, ის ჩვეულებრივად რეგისტრირდება სასამართლოში და ავტომატურად ექვემდებარება აღსრულებას ისევე, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძო მედიაციის გადაწყვეტილების აღსრულება კი ამ ფორმით არ ხდება. კერძო მედიაციის აღსრულების წესები განსხვავებულია მსოფლიოს მასშტაბით. ავსტრალიის შტატების უმრავლესობაში მედიაციის მეშვეობით მიღწეული შეთანხმებები სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის სქემების ფარგლებს გარეთ არ რეგისტრირდება სასამართლოში, თუ სასამართლო პროცესი არ არის დაგეგმილი . მსგავსი წესებია დადგენილი აშშ - შიც, თუმცა თუ იქ სასმართლო პროცესი დაგეგმილია, სასამართლოს ჩვეულებრივ შეუძლია გადაწყვიტოს ბრძანების გამოცემა, რომელიც ითვალისწინებს მორიგების შეთანხმების გადაწყვეტილებად გარდაქმნას და გადაწყვეტილება უკვე შეიძლება აღსრულდეს ისევე, როგორც სასამართლოს ბრძანება. თუ სასამართლო არ დაარეგისტრირებს შეთანხმებას ბრძანებად, მედიაციის შეთანხმება დარჩება უბრალო ხელშეკრულებად, რომელიც აღსრულდება ხელშეკრულების დარღვევის გამო შემდგარი სასამართლო პროცესით.

გამონაკლისია საოჯახო სამართლის დავები (განქორწინება, ბავშვზე მეურვეობა, ბავშვის ნახვა და ფინანსური დახმარება), სადაც მედიაციით მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის მიიღება სასამართლოს გადაწყვეტილებად. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ახალი კანონი მედიაციის შესახებ უზრუნველყოფს მედიაციით მიღწეული ყველა მორიგების აღსრულებას სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად. ზოგიერთ იურისდიქციაში, მაგალითად, გერმანიაში, ინდოეთში, ბერმუდებზე, ჰონგ კონგში და ჩინეთში კერძო მედიაციით მიღწეული მორიგება შეიძლება გარდაიქმნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად, რაც ითვალისწინებს ისეთივე აღსრულებას, როგორსაც ადგილი აქვს სასამართლო გადაწყვეტილებისშემთხვევაში.

მედიატორების აზრით, მედიაციაში უმთავრესი კომუნიკაციაა. იქ, სადაც კომუნიკაცია არ არსებობს, მედიაციაც ვერ იარსებებს. მედიაციის ეფექტურობისთვის მასთან დაკავშირებულ პირთა და ინსტიტუტთა სიმრავლე და განსხვავებულობა აუცილებელია. პარლამენტები ქმნიან კანონებს, განსაზღვრავენ მედიაციის მოქმედების ფარგლებსა და ძირითად პრინციპებს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია შეიმუშავებს მედიაციის რეგლამენტებს, ეთიკის კოდექსებს და ა.შ. სასამართლოები ახორციელებენ მედიაციის მხარდაჭერაზე ორიენტირებულ პროექტებს, ხოლო მხარეები მედიაციის შესახებ ხელშეკრულებაში განსაზღვრავენ იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც მათ ერთობლივ სურვილს წარმოადგენს. მედიაციის პროცესის გამართვის შესახებ მხარეთა შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ამ შეთანხმებით მხარეები ცალსახად ამბობენ უარს დავის გაგრძელებაზე და მეორეც - ეს მათ მიერ მიღწეული პირველი შეთანხმებაა, რომელიც სხვა, უფრო დიდი მნიშვნელობის შეთანხმებების მიღწევის პერსპექტივას უფრო რეალურს ხდის. დავის გადაცემა მედიაციისთვის ძალიან ჰგავს არბიტრაჟის არჩევის პროცესს. მხარეებს შეუძლიათ მედიაციის პროცესი რომელიმე ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ მედიაციის პროცედურას დაუქვემდებარონ, ან დამოუკიდებლად, თავიანთ შეთანხმებაში გაითვალისწინონ ის წესები, რომელთა დაცვითაც პროცესი უნდა წარიმართოს. შეთანხმება უნდა შეეხებოდეს მედიაციის დეტალებს,

მაგალითად, მედიაციის ხანგრძლივობას, მედიატორის ჰონორარს და ა.შ. მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბება სასურველია მას შემდეგ, რაც გარკვეული ნაბიჯები მედიაციის კუთხით უკვე გადაიდგმება.

მედიაციის შეთანხმება შესაძლებელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემადგენელ ნაწილადაც იქცეს. ამ მოსაზრებას ევროკავშირი განსაკუთრებით უჭერს მხარს, როდესაც საქმე მომხმარებელთან წარმოშობილ დავას ეხება. მომხმარებელი დავის საგნის ღირებულების სიმცირის გამო ხშირად ერიდება სასამართლოსათვის მიმართვას და ამის გამო სათანადო სამართლებრივი დაცვის გარეშე რჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობათა შორის მედიაციის შეთანხმების გათვალისწინება დოქტრინაში ცალსახად დადებითად არის შეფასებული. კანონი არ ითხოვს სამედიატორო შეთანხმების რაიმე მკაცრად განსაზღვრულ ფორმას და ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში მედიაციის შესახებ ხელშეკრულება თავისუფლად შეიძლება დაიდოს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმებას უნდა ჰქონდეს რაიმე გამომხატველობითი ფორმა და მისი არსებობის დამადასტურებელი რაიმე ობიექტური მტკიცებულება, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მოუწევს მისი ნამდვილობის შემოწმება. სახელმწიფოთა უმრავლესობა სპეციალურ მოთხოვნებს მედიაციის შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით არ იცნობს. მაგალითად, გერმანიაში ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ამ შეთანხმების დადება და მედიაციის პროცესის წარმართვა დასაშვებად ითვლება. იგივე წესი გამოიყენება მომხმარებლის მონაწილეობით დადებული შეთანხმების მიმართაც. საარბიტრაჟო განხილვისგან განსხვავებით, გერმანიის მოქმედი კანონმდებლობით აქ რაიმე სახის შეზღუდვები არ არის. ჟენევის კანტონის კანონმდებლობა მედიაციის შეთანხმებისათვის რაიმე სპეციალურ ფორმას ასევე არ ითვალისწინებს. მისი დადება შესაძლებელია როგორც სამოქალაქო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე მის დაწყებამდე როგორც მხარეთა ინიციატივით, ასევე მოსამართლის რეკომენდაციით .

ICC (ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ა ვ ა ჭ რ ო პ ა ლ ა ტ ა) არბიტრაჟი თავის ,,კლიენტებს'' სთავაზობს მედიაციის შესახებ შეთანხმების შემდეგ ვარიანტებს:

1. ფაკულტატური მედიაცია, რომლის თანახმადაც მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სახელშეკრულებო დავები ICC მედიაციის წესების შესაბამისად გადაწყვიტონ.

2.,,სავალდებულო მედიაცია,'' რომლის თანახმადაც მხარეები თანხმდებიან და იღებენ ვალდებულებას, რომ შეეცდებიან დავის გადაწყვეტას ICC მედიაციის წესების შესაბამისად.

3.,,სავალდებულო მედიაცია შეწყვეტის ავტომატური მექანიზმით'' - მხარეები თანხმდებიან, რომ შეეცდებიან დავა გადაწყვიტონ ICC მედიაციის წესების შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის მიერ მედიაციის შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან 45 დღის, ან მხარეთა მიერ წერილობით შეთანხმებული ნებისმიერი სხვა ვადის განმავლობაში. თუ დავა შეთანხმებულ ვადაში არ გადაწყდება, მხარეებს აღარ ეკისრებათ მედიაციის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

4. ,,მედიაცია და არბიტრაჟი'' - თუ მხარეებს შორის წარმოშობილი დავა არ გადაწყდება 45 დღის, ან მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმებული ნებისმიერი სხვა ვადის განმავლობაში, ICC მედიაციის წესების შესაბამისად, მაშინ დავას საბოლოოდ გადაწყვეტს ერთი ან რამდენიმე არბიტრი ICC არბიტრაჟის რეგლამენტის შესაბამისად.

თუ შეთანხმება შინაარსობრივად არ შეიცავს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს, მაშინ მისი მედიაციის შეთანხმებად კვალიფიკაცია შეუძლებელი იქნება. ზოგიერთის მოსაზრებით, მედიაციის შეთანხმების ნამდვილობისთვის აუცილებელია სამი ძირითადი კომპონენტის არსებობა. შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს მესამე ნეიტრალური პირის მონაწილეობით დავის გადაწყვეტას, კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული რომელი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა უნდა გადაწყდეს მედიაციის გამოყენებით, და ბოლოს, მხარეებმა უნდა დანიშნონ მედიატორი, რომელიც შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად უნდა დაეხმაროს მათ საერთო გამოსავლის ძიებაში. მედიაციის შეთანხმება შესაძლოა ასევე შეიცავდეს: იმ

ინსტიტუტის დასახელებას, რომელსაც მხარეები ანდობენ მედიაციის პროცესის წარმართვას, მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრას, მედიაციის პროცესის მსვლელობისას მხარეთა სავალდებულო მოქმედებების შეთანხმებას, მაგალითად, შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა მოლაპარაკებას მხოლოდ პირადად წარმართავენ, ყველა შეხვედრას პირადად დაესწრებიან და ა.შ.. შეთანხმება აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს მედიაციის ვადებს, ასევე კონკრეტულად რომელი ფორმის გამოყენება სურთ მხარეებს, რამდენ მედიატორს ირჩევენ, როგორ უნდა წარიმართოს პროცესი და ა.შ.. მხარეებს შეუძლიათ მედიაციის ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ მისი შეწყვეტის შემთხვევები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიაცია არ არის ერთადერთი გამოსავალი და მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი. არსებობს სიტუაციები დადავები, სადაც მედიაცია უძლურია და სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო სასამართლოს ან არბიტრაჟის ჩართვა საქმეში გარდაუვალია. სწორედ ამიტომ, საინტერესოა განვიხილოთ მართებულია თუ არა, რომ მხარეებმა იმთავითვე მიუთითონ ხელშეკრულებაში, რომ წარმოშობილი დავების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მედიაციას მიმართავენ. ეს, ფაქტობრივად, ავალდებულებს მხარეებს მოიქცნენ ხელშეკრულების შესაბამისად, მედიაციას კი თავის უპირველეს ნიშანს - ნებაყოფლობითობას უკარგავს. შესაძლოა, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დადასტურებული თანხმობა მედიაციაზე მხარისთვის ტვირთად და გამაღიზიანებელ ვალდებულებად იქცეს, რაც საერთოდ გამორიცხავს მედიაციის მთავარ მიზანს - შეთანხმებას. ასეთ მხარესთან მოლაპარაკება თითქმის უპერსპექტივო და შეუძლებელი იქნება. საბოლოო ჯამში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მედიაციის შესახებ შეთანხმების ხელშეკრულების ნაწილად ქცევამდე უნდა გაანალიზდეს, რა სახის დავები შეიძლება წარმოიშვას და რამდენად ადეკვატური შეიძლება იყოს მედიაცია, როგორც პროცესი, დაარეგულიროს ეს დავები. მედიაციის პროცესის დაწყებას აქვს თავისი სამართლებრივი შედეგები როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო თვალსაზრისით. მეცნიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად,

კანონისა და სამართლიანობის დაცვა მედიაციისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტი და პრინციპია. როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, კანონის დაცვაზე მითითება მისაღებია, მაგრამ სამართლიანობის დაცვის მოთხოვნით ავტორი ეწინააღმდეგება მის მიერვე მხარდაჭერილ დებულებას იმის შესახებ, რომ მედიაციის დროს მხარეთა კონსენსუსი გადამწყვეტია - მთავარია მხარეები შეთანხმდნენ და ეს შეთანხმება კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს. მედიატორისთვის სამართლიანობის მოთხოვნის წაყენება ზედმეტი და არაფრის მომცემია. თუ მხარეები ეთანხმებიან კონკრეტულ პირობებს და ეს პირობები კანონს არ ეწინააღმდეგება, აუცილებელი არ არის, თითოეული მხარე მიღწეულ შეთანხმებას სამართლიანობის აპოთეოზად თვლიდეს. მედიაციის მიზანი ამის გარეშეც მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. ბოლო წლებში შემუშავებულმა საკანონმდებლო ინიციატივებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მედიაცია მიჩნეულ იქნა, როგორც სასამართლო პროცესის ეფექტური, ალტერნატიული მეთოდი .

ტერმინი მედიაცია ,,შუამავალს" ნიშნავს და წარმოადგენს სამართლებრივი დავის გადაწყვეტის მოქნილ პროცესს, სადაც მესამე მხარე – მედიატორი – ეხმარება მოდავე მხარეებს დავის მორიგებით გადაწყვეტაში. ეს მოითხოვს ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომას. სამართლებრივი შეფასება მეორე ადგილზე ინაცვლებს. მოსამართლისაგან და არბიტრისგან განსხვავებით, მედიატორის ვალდებულება არ არის გადაწყვეტილების გამოტანა. პირიქით, მას არ შეუძლია გამოიტანოს მხარეთათვის აუცილებლად შესასრულებელი გადაწყვეტილებას. პროცესის შედეგს განსაზღვრავენ მხარეები. ეს ნიშნავს, რომ მხარეები მოქმედებენ ნებაყოფლობით და საკუთარი პასუხისმგებლობით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში მონაწილეობა ყოველთვის ნებაყოფლობითი არ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებში დავის მოგვარების ალტერნატიული გზების ზოგიერთ პროგრამებში (court ADR programs) დაწესებულია პირველ სხდომაში მონაწილეობის ვალდებულება, თუმცა ამას დიდი ცვლილება არ შეაქვს მოლაპარაკებების ნებაყოფლობის პრინციპებში და პროცესის შემადგენლობა არაფორმალურია.

მედიაციის ინსტიტუტის დაყოფა შეიძლება იმდენ ფორმად, რამდენიც თავად მედიატორი არსებობს: თუ როგორ როლს აირჩევს იგი პროცესის განმავლობაში, მოლაპარაკებას წარმართავს თუ სამართლებრივ ან ფაქტობრივ შეკითხვებს დასვამს. მედიაციის ფორმა ასევე დამოკიდებულია დავის სახეზე. მართალია, არ არსებობს მედიაციის ინსტიტუტის ზუსტი სახე, მისი საფუძველი ძირითადად არის წერილობითი სამედიატორო ხელშეკრულება, რომელიც აწესებს პროცესის განმავლობაში მიღებულ ინფორმაციაზე საიდუმლოების შენახვის ვალდებულებას და აწესრიგებს მედიატორის ხარჯებს.

გავრცელებული შეხედულებით, მედიაცია ემყარება ხუთ განსხვავებულ პრინციპს: კონფიდენციალობას, ნებაყოფლობითობას, უფლებამოსილებათა მინიჭებას, ნეიტრალურობას, გადაწყვეტის გზის უნიკალურობასა და ორიგინალურობას. რომელიმე მათგანის გარეშე მედიაცია ან არასრულფასოვანია, ან მოცემულ პროცესს საერთოდ ვერ ვუწოდებთ მედიაციას. მედიაციის პრინციპების ხუთეული სხვადასხვა ავტორთან ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. მაგალითად, შვეიცარულ დოქტრინაში გამოყოფენ შემდეგ 5 ძირითად პრინციპს: მედიატორის მიერ ყველა მხარის სასარგებლოდ მოქმედება, მედიატორის მიერ საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა, კონფიდენციალურობა, დავის მორიგებით დამთავრებისთვის აუცილებელი გარემოებების შესახებ მხარეთა ინფორმირებულობა და ნებაყოფლობითობა.

ფორმალურად, შეიძლება მედიაციის პროცესის დაყოფა ხუთ ფაზად. პირველი არის შესავლის ფაზა, რომლის განმავლობაშიც მედიატორი მიმართავს მხარეებს. ამ ეტაპზე საქმის განხილვის ძირითად წესებზე თანხმდებიან. მას მოჰყვება საინფორმაციო (ინფორმაციული) ფაზა. მხარეები აცნობენ მედიატორს საქმის არსს და გარემოებებს. ამ ეტაპზე ხდება ასევე მედიატორის ცალკეული შეხვედრები მხარეებთან. მესამე არის ინტერესის ფაზა, რომლის დროსაც მედიატორი ცდილობს დაეხმაროს მხარეებს გამოავლინონ საერთო და ნეიტრალური პრობლემები, გამოიკვლიოს მხარეების მატერიალური და არამატერიალური ინტერესი და გამიჯნოს გადასაჭრელი

პრობლემები. მეოთხე ფაზაში მხარეებს აქვთ საშუალება თვითონ წამოაყენონ იდეები პრობლემის გადასაჭრელად. არც ერთ მათ იდეას წინასწარი ღირებულება არ გააჩნია. დავის მორიგებით გადაწყვეტის შემთხვევაში, მედიატორი ეხმარება მხარეებს კომპრომისის მიღწევაში და მისი ხელშეკრულებით გაფორმებაში. ბოლოს, მეხუთე ფაზაში მხარეებს შორის ფორმდება ხელშეკრულებია .

იბადება კითხვა: რატომ უნდა მიმართონ მხარეებმა სამედიატორო სასამართლოს? რა უპირატესობა გააჩნია მედიაციის ინსტიტუტს? მედიაციის დადებით მხარედ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება მორიგების დიდი შესაძლებლობა. მედიაციის პროცედურის დროს მხარეები ურთიერთშეთანხმებით გამოიმუშავებენ საკუთარ გადაწყვეტილებას და ინარჩუნებენ შედეგზე კონტროლს. მედიაციის პროგრამები გამოირჩევა მორიგების მაღალი მაჩვენებლით. ისინი წარმატებულია მთელ მსოფლიოში: ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მორიგების მაჩვენებელი 67 % ია, გერმანიაში მორიგების მაჩვენებელი 50 – 60 % -ს შეადგენს , აშშ -ს ილინოისის შტატში ეს მაჩვენებელი 62 % - ია, ხოლო ტექსასის შტატში 80-85 %. ამ მაჩვენებლების საფუძველზე მედიაცია, სავარაუდოდ, ყველაზე უფრო წარმატებული ინსტიტუტია მორიგების დარგში, რაც განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებით: პირველი, მხარეებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა შეხვდნენ ერთმანეთს და მოისმინონ ერთმანეთის ვერსიები არაოფიციალურ გარემოში, მეორე, მედიაციის შემთხვევაში კომუნიკაცია არის უფრო მკაფიო და პირდაპირი, მესამე, მედიაცია საშუალებას აძლევს ნეიტრალურ მხარეს დაეხმაროს პრობლემების გადაწყვეტაში და მეოთხე, ორმხრივი ეჭვის შემთხვევაში, მორიგების წინადადებები, რომლებიც წარმოდგენილია მედიატორის საშუალებით, შეიძლება უფრო სერიოზულად და ნაკლები ეჭვით იქნეს მიღებული, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნებოდა მოპირდაპირე მხარის ადვოკატის მიერ.

მედიაციას შედეგად მოჰყვება მორიგების ხელშეკრულებასთან მაღალი შესაბამისობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მედიაციის ხელშეკრულების მხარეები იცავენ მორიგების ხელშეკრულებას. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მედიაციის პროცესი ჩვეულებრივ მონაწილეთა მიერ განიხილება როგორც

სამართლიანი და დავის გადაწყვეტის მისაღები გზა. ეს ასევე განპირობებულია იმ მიზეზით, რომ მედიაცია მხარეებს აძლევს საკუთარი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, განსხვავებით მოსამართლის ან არბიტრის გადაწყვეტილებისა. მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, უნდა მოხდეს თუ არა მორიგება და რა პირობებით. მხარეები ასევე წყვეტენ პროცესი არის თუ არა დროის ფუჭი ხარჯვა და უნდა დასრულდეს თუ არა იგი. არავის შეუძლია მედიაციის მხარეების იძულება რაიმე ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით. როგორც მოლაპარაკების შემთხვევაში, მედიაციაც მხარეებს აძლევს მორიგების მიღწევის შესაძლებლობას ურთიერთობის შენარჩუნებასთან ერთად. ეს მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, რადგან პირადი ურთიერთობები გადამწყვეტია ბიზნესისთვის, პოლიტიკისა და საქმიანობის სხვა სფეროებისთვის. მაგალითად, თუ ბიზნეს პარტნიორებს აქვთ დავა ქონებასთან დაკავშირებით და შეუძლიათ მოლაპარაკება შეთანხმების მისაღწევად, ისინი შეძლებენ ურთიერთობის შენარჩუნებას და გააგრძელებენ მომგებიან, საქმიან თანამშრომლობას. სასამართლო პროცესში, სადაც მესამე მხარე იღებს გადაწყვეტილებას, შედეგი შესაძლოა არ იყოს იმდენად მისაღები ორივე მხარისთვის, რომ მათ შეძლონ თანამშრომლობის გაგრძელება. კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ სასამართლო პროცესთან შედარებით მედიაციის პროცედურა უფრო ნაკლებ დროში და ნაკლები დანახარჯებით მთავრდება. მედიაცია მხარეებს აძლევს რთული დავების მოკლე პერიოდში გადაწყვეტის შესაძლებლობას. სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვე და წელიც კი. მოლაპარაკებაც ასევე იძლევა საკითხების სწრაფად გადაწყვეტის საშუალებას, მაგრამ რამდენადაც მას თან არ ახლავს დადგენილი ვადა, შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მედიაცია კი საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, ერთჯერადი მოვლენაა, მცირე დროის განმავლობაში მიმდინარეობს და ამგვარად პრობლემის გადაჭრაც დროულად ხდება. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ მედიაციის ხარჯები ზოგადად უფრო დაბალია, ვიდრე სასამართლო პროცესის და არბიტრაჟის ხარჯები. გამომდინარე პროცესის ხანგრძლივობიდან, ადვოკატების მომსახურებისა და მედიაციის ცენტრის საფასური

დაბალია. დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, კონფიდენციალურობა. იურისდიქციების უმეტესობა იცავს მედიაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას, მაშინაც კი, თუ ამ პროცესს არ მოჰყვება მორიგება და დავა გადაეცემა სასამართლოს. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონი იძლევა შემდეგ განსაზღვრებას: თუ მხარეთა შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, დაცულ უნდა იქნეს მორიგების პროცესთან დაკავშირებული მთელი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, და როცა ეს მორიგების ხელშეკრულების შესრულების ან აღსრულების მიზნებისთვის არის საჭირო. ეს გავრცელებული დათქმაა, რომელიც ბევრ იურისდიქციაში გვხვდება. მედიაცია ნაწილობრივ იმიტომაც გამოიყენება, რომ მხარეებს შეიძლება სჯეროდეთ, რომ მათი დისკუსიები და მორიგების შეთავაზებები არ იქნება გამეორებული ან გამოყენებული მათ წინააღმდეგ მომავალში. სასამართლო პროცესები კი საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, საზოგადოებისთვის ღიაა.

მედიაციის უპირატესობებს მიეკუთვნება მედიატორის კონკრეტულ სფეროებში სპეციალიზაცია, რაც ხელს უწყობს დავის მორიგებით დასრულებას, მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალია მედიატორის არჩევანი, ასევე ისიც, რომ მხარეები თვითონ ნიშნავენ დავის განხილვის ვადას. რადგან გადაწყვეტილება მიიღება ურთიერთშეთანხმებით, მისი ნებაყოფლობითი აღსრულების ალბათობაც დიდია. მედიაცია შეიძლება მაშინაც სასარგებლო იყოს, როდესაც დავა არ წარმოშობილა. თუ ორივე მხარე ხედავს, რომ საქმე რთულდება, მედიაციის პროცესის დაწყებით მათ შეუძლიათ ერთად იპოვონ სირთულეების გამომწვევი მიზეზები და ერთად იმუშავონ მათ აღმოსაფხვრელად. ასეთი მიდგომა დავის წარმოშობას საერთოდ გამორიცხავს. მსგავსი რამ სასამართლოს ან არბიტრაჟის შემთხვევაში წარმოუდგენელია, ვინაიდან მხარე მათ ვერ მიმართავს და ვერ მიუთითებს, რომ მართალია ჯერ დავა არ წარმოშობილა, მაგრამ მისი წარმოშობის შემთხვევაში მას ექნება კონკრეტული მოთხოვნები. როგორც გიორგი ცერცვაძე

აღნიშნავს, ეს სრული აბსურდი იქნება, ვინაიდან მხარეები ვერ შეძლებენ მოთხოვნის საბოლოო ფორმულირებას და შესაბამისად არც არბიტრაჟსა და არც სასამართლოს უბრალოდ არ ექნებათ შესაძლებლობა არსებითად იმსჯელონ საქმეზე.

მედიაციის უპირატესობა ვლინდება აგრეთვე იმ ფაქტშიც, რომ ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოების სხვადასხვა ეტაპზე აღდგება მხარეთა შორის დარღვეული ურთიერთობები, რაც კვლავ ბიზნეს გარემოს სტაბილურობას უწყობს ხელს. ბუნებრივია, მედიაცია დროისა და ხარჯების დაზოგვის ეფექტური საშუალებაა არა მარტო მონაწილე მხარეებისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც, რომელსაც უამრავი რესურსი ეხარჯება სხვადასხვა რთული, ხანგრძლივი პროცესის წარმოებისას. ბიზნესმენს მედიაციაში განსაკუთრებით ის ხიბლავს, რომ ის შეზღუდული არ არის რაიმე სახის პროცესუალური ვალდებულებით. თუ ჩათვლის, რომ მედიაცია დროისა და ფულის ფუჭი ხარჯვაა, ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს მოლაპარაკება და მიმართოს არბიტრაჟს (საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში), ან სასამართლოს . მოქნილობა მედიაციის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. მხარეებს დიდი თავისუფლება აქვთ მედიაციის პროცესის შემუშავებაში. მედიატორს შეუძლია მარტივი ხელშემწყობი როლის შესრულება, თითოეული მხარის მოსმენა და მხარეების წახალისება ან მედიატორს შეუძლია გაცილებით უფრო აქტიური როლის შესრულება, თითოეულ მხარესთან ცალ - ცალკე შეხვედრა, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს მათი ინტერესების და პოზიციების შესახებ და საბოლოოდ შესთავაზოს კიდეც შესაბამისი გადაწყვეტა. მედიაციის შედეგებიც შეიძლება ასევე მოქნილი იყოს. რამდენადაც თავად მოდავე მხარეები აღწევენ მორიგებას, მათ შეუძლიათ შეთანხმება, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სასამართლო პროცესის დროს. მაგალითად, დავაში სამსახურიდან გაშვებულ თანამშრომელთან კომპანიამ შესაძლოა განაცხადოს თანხმობა მასთან საკონსულტაციო ხელშეკრულების გაფორმებაზე იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი კონკურენციას არ გაუწევს მის ყოფილ დამსაქმებელს. მიუხედავად იმისა, რომ სრულად დასაშვებია მხარეებს შორის მსგავსი შეთანხმება, სასამართლოებს ზოგადად

არ აქვთ უფლება ის შეიტანონ გადაწყვეტილებაში.

მედიატორული მორიგების ნებაყოფლობითი ხასიათი განაპირობებს მონაწილეთა ნაკლებ მისწრაფებას კორუფციის მიმართ. მედიატორს არ შეუძლია არაოფიციალური გადახდის განხორციელება და მას არ გააჩნია კონტროლი და ძალაუფლება მხარეებზე. მედიაციის სესიაზე მხარეები ჩვეულებრივ ირჩევენ ნეიტრალურ პირს სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, სადაც მოსამართლის გამოყოფა ხდება. ეს არჩევანი მხარეებს თავდაჯერებულობას მატებს,რომ მედიატორი არ იქნებამიკერძოებული.

მედიაციის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა ფსიქოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარეობს. მედიაცია გამორიცხავს გამარჯვებულსა და დამარცხებულს. აქ ყველაფერი შეთანხმებით, მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს. ეს გამორიცხავს ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც ადამიანური ფაქტორების ზეგავლენით თვითონ დამარცხების მოვლენა აზარტში აგდებს მხარეს და იგი აგრძელებს უაზრო კონფლიქტს. ეს მხარეებს საშუალებას აძლევს უფრო თავისუფლად ეძებონ ისეთი გამოსავალი, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება და რომელსაც სასამართლო მათი თანხმობის გარეშე ვერასოდეს დაადგენდა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება, ხოლო სასამართლო თავად იღებს მათთვის ამ გადაწყვეტილებას, როდესაც მხარეები ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ.

მიუხედავად ჩვენ მიერ განხილული მედიაციის უპირატესობებისა, იგი არ წარმოადგენს ერთადერთ გამოსავალს დავების გადაწყვეტის სფეროში. მედიაცია ვერ აიღებს თავის თავზე სრულად მართლმსაჯულების ფუნქციას. მედიაცია უფრო მომსახურების სახეა, რომელსაც აშკარად გამოკვეთილი კომერციული ხასიათი აქვს. ის უფრო მართლმსაჯულების დანამატია, ვიდრე მისი ალტერნატივა. შეუძლებელია ყველა დავის მედიაციის გზით მოგვარება. მისი მოქმედების საზღვრები იქ მთავრდება, სადაც შეუძლებელი ხდება მხარეთა შორის შეთანხმება სხვადასხვა მიზეზის გამო. მედიაცია ეფექტურია მხოლოდ სპეციფიკური დავების მიმართ, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონტაქტები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ

გაწყვეტილი. მათ კარგად უნდა ესმოდეთ თავად მედიაციის მიზანი, რომ უნდა წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე და მიაღწიონ შეთანხმებას. მათ უნდა სჭირდებოდეთ მედიატორი, რომელიც დაეხმარება პოზიციების განსაზღვრაში, დაანახებს რეალურ სიტუაციას და შესთავაზებს ყველაზე მისაღებ გამოსავალს, ანუ მათ უნდა სურდეთ დავის შეთანხმებით დასრულება და კონფლიქტისთვის თავის არიდება, ხოლო სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვაში ამ გზაზე მათ მედიაცია დაეხმარებათ. მედიაცია არ არის დავის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალება, თუ მხარეთა პოზიციებს შორის არის აშკარა დისბალანსი. თუ დაპირისპირებულთაგან ერთ-ერთის სამართლებრივი მდგომარეობა გაცილებით ძლიერია მეორესთან შედარებით და ის დარწმუნებულია, რომ მოიგებს დავას არბიტრაჟისა თუ სასამართლოს მეშვეობით, ბუნებრივია, ის არ მიმართავს მედიაციას. მას აღარაფერში სჭირდება შეთანხმება, დათმობებზე წასვლა და მოლაპარაკება, როდესაც სასამართლოს მეშვეობით გაცილებით მეტს მიიღებს, ამიტომ ხშირად, მედიაციის შეთავაზების ინიციატორად გამოდის შედარებით უფრო სუსტი პოზიციის მქონე მხარე, თუმცა გავრცელებულია მოსაზრება, რომ შეიძლება შეგვხვდეს საწინააღმდეგო სიტუაციაც. კარგი მენეჯერი, რომელმაც იცის, რომ მისი პოზიცია უფრო ძლიერია, მაინც თანხმდება მედიაციაზე. ამით პოზიცია არ სუსტდება, მედიაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კომპანია იმ ზედმეტ ხარჯებს აიცილებს, რაც სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვას ახლავს თან. ამ დროს, როგორც წესი, მხარეები ინტენსიურ კონსულტაციებს გადიან თავიანთ იურისტებთან. ზოგადად, მხარეთა წარმომადგენელი იურისტების დამოკიდებულებას მედიაციისადმი დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მხარეები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, მედიაცია შეიძლება მეტად სახიფათო აღმოჩნდეს სუსტი მხარისთვის. მაგალითად, დიდ კომპანიას შეიძლება გაცილებით ხელსაყრელი მდგომარეობა ეკავოს ბაზარზე, ვიდრე ოჯახის მიერ მართვად მცირე მაღაზიას. თუ ორივე მხარე გადაწყვეტს მედიაციის გზით შეთანხმებას, დიდ კომპანიას შეუძლია სუსტი მხარის დაშინება ან მუქარის გამოყენება მის დასათანხმებლად არასამართლიან გადაწყვეტილებაზე.

ასეთ შემთხვევაში სუსტი მხარე შეიძლება უკეთ იყოს დაცული მოსამართლის ან არბიტრის დასწრების შემთხვევაში. მედიაცია გაცილებით ეფექტურია, როდესაც ორივე მხარე ერთობლივად ითხოვს მის გამართვას. ხოლო როდესაც მხარეები აშკარად არათანაბარი სიძლიერითა და ავტორიტეტით გამოირჩევიან, მათ შორის შეთანხმება თითქმის შეუძლებელი ხდება.

მედიაციას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მედიაციის პროცესი არც ისეთი იაფია, როგორც ამაზე ხშირად მიუთითებენ. ძვირია მედიაცია თუ იაფი, შეფასების საკითხია. სავსებით შესაძლებელია, რომ ერთმა და იმავე პირმა ერთი და იმავე ფორმის მედიაცია ხელმისაწვდომად, ან ნაკლებად ხელმისაწვდომად მიიჩნიოს. თუ მხარეს მობეზრდა გაწელილი სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვა და ძვირადღირებული ადვოკატების მთელი არმიის ჰონორარების გადახდა, ცხადია, მისთვის მედიაცია არ იქნება ძვირი, და პირიქით, თუ მხარეს ხარჯების დიდი ნაწილი უკვე გაღებული აქვს და იცის, რომ მეტის გაღება აღარ მოუწევს, მედიაციის ინიციატივა ფულის ფუჭ ხარჯვად მოეჩვენება. მედიაცია სწორედ იმიტომ არის საინტერესო, რომ აქ ზოგადი კრიტერიუმების გამოკვეთა შეუძლებელია. აქ ყველაფერი უფრო სუბიექტურია, ვიდრე ობიექტური, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, გარკვეულწილად, უფრო ხელოვნებაა, ვიდრე იურისპრუდენცია. 1979 წელს საფრანგეთში წერდნენ, რომ იურისტი (ადვოკატი) სიამოვნებას უნდა განიცდიდეს არა იმდენად პროცესის მოგების შემთხვევაში, რამდენადაც დავის შეთანხმებით დამთავრების დროს. მედიაცია შესაძლოა იყოს უფასო, თუ მედიატორი არის ოჯახის წევრი ან ორივე მხარის მეგობარი, მაგრამ თუ დავა მიმდინარეობს ორ პირს ან კომპანიას შორის, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ მედიატორი ნეიტრალური მესამე მხარეა, რომელიც იღებს გასამრჯელოს. მხარეებს შესაძლოა არ სურდეთ ფულის დახარჯვა მედიაციაზე, მაგრამ ამჯობინონ მოლაპარაკება, რათა დარწმუნდნენ, არის თუ არა შესაძლებელი დავის გადაწყვეტა გარეშე პირისთვის ფულის გადახდის გარეშე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიაციის შედეგი მიმართული არ არის სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანისკენ. მისი გადაწყვეტილების აღსრულება არ არის უზრუნველყოფილი, აქ ყველაფერი ნებაყოფლობითია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს შეიძლება რომელიმე მხარემ დროის გაჭიანურების საშუალებადაც გამოიყენოს. მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ის იურისდიქცია, სადაც ისინი აპირებენ ხელშეკრულების გაფორმებას, რათა სათანადოდ გაერკვნენ აღსრულების მოქმედ წესებში. თუ ისინი იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც არ არის გათვალისწინებული აღსრულების პროცედურა კერძო მედიაციით მიღწეულ შეთანხმებებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორიცაა ავსტრალია, მედიაცია შესაძლოა ნაკლებ მიმზიდველი აღმოჩნდეს.

კრიტიკოსები თვლიან, რომ მისი არასავალდებულო ხასიათის გამო მედიაცია დროისა და ფულის ფუჭი ფლანგვაა. არბიტრაჟში დაკავებული ბევრი იურისტი თვლის, რომ მედიაცია ხელს უშლის მხარეს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში და ყოველთვის შეიცავს მოწინააღმდეგე მხარის მიერ ამ დროს მიღებული ინფორმაციის არასათანადოდ გამოყენების საფრთხეს. ზოგჯერ, მედიაციას იურიდიულ მომსახურებადაც განიხილავენ. მედიაციის არასავალდებულო ხასიათი, როგორც ჩანს, წარმოადგენს მის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარესაც. პირველი იმიტომ, რომ ის მხარეთა ნდობით ატმოსფეროს შექმნას განაპირობებს, მეორე, იმიტომ, რომ ამ ატმოსფეროს დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მეტად ბუნდოვანია. მაშინ, როცა მხარეებს შორის არსებული კომუნიკაცია მედიაციასთან დაკავშირებით უნდა იყოს კონფიდენციალური კანონის შესაბამისად, ზოგიერთ ქვეყანას არ აქვს მედიაციის კანონმდებლობა, რომელიც განსაკუთრებულად იცავს მედიაციასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას. ამგვარად მხარეები ვერ იქნებიან სრულად დარწმუნებულნი პროცესის კონფიდენციალურობაში. ისეთ იურისდიქციებშიც კი, სადაც კონფიდენციალურობა დაცულია, ისინი მაინც უნდა ენდონ მედიატორს, რომ ის არ გაამჟღავნებს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

სამედიაციო პროცესის შედეგი მიმართულია არა დავის სამართლიან გადაწყვეტაზე,

არამედ იმაზე, თუ მხარეები როგორ ხედავენ კონფლიქტიდან გამოსვლის გზას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედიატორი. მის განათლებასა და პროფესიულ ჩვევებზე ბევრია დამოკიდებული. მედიატორს შეუძლია (1) დაეხმაროს მხარეებს პრობლემის გადაჭრაში აზრთა დისბალანსის შემსუბუქებით, (2) მიუთითოს კლიენტს, რომ მასზე არ უმოქმედია მეორე მხარის ვერსიას სამართლებრივ დავაზე და ბოლოს (3), მედიატორი აღმოჩნდება მათი სიტუაციის თანაზიარი, ამასთან, შეაჯამებს ორ ვერსიას.

მედიაციის პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მედიატორი. მედიატორობა, როგორც ,,პროფესია'', თანამედროვე გაგებით საკმაოდ ახალგაზრდაა. გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ხშირად მედიატორობა არ არის გამოკითხულთა ძირითადი საქმიანობა. საინტერესოა რა ხდება, თუ მედიატორი არის ადვოკატი, აუდიტორი, ან სხვა პროფესიის მქონე პირი და ამ პროფესიის ვალდებულებებს კანონი არეგულირებს, უნდა გავრცელდეს თუ არა ეს რეგულირება იმ პირებზეც, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროფესიულ საქმიანობასთან ერთად მედიაციის სფეროშიც საქმიანობენ. იურისტების ნაწილის პასუხი უარყოფითია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს სასამართლოში საქმისწარმოებას, თუმცა, თუ არსებობს ზოგადი ხასიათის ნორმები, რომელიც შეიძლება ეხებოდეს იურიდიული განათლების მქონე ყველა პირს, მიუხედავად მათი ვიწრო სპეციალობისა, ამ შემთხვევაში ეს ნორმები შეიძლება გამოიყენებოდეს მედიატორთა მიმართაც.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება მედიატორთა შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმი. სასამართლოს მიერ მხარდაჭერილი მედიაციის დროსაც კი ამერიკელი მოსამართლეები ცდილობენ მედიატორის მათთვის მისაღები კანდიდატურა მხარეებმა შეარჩიონ, ამისთვის სასამართლოები თანამშრომლობენ ადვოკატთა გაერთიანებებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით არიან დაინტერესებულნი. მათთან

თანამშრომლობის შედეგად სასამართლო ადგენს მედიატორთა სიას, რომელსაც მხარეებს წარუდგენენ და სთხოვენ მედიატორის კანდიდატურაზე შეთანხმებას. სიაში შეყვანისას სასამართლო ხელმძღვანელობს ტრადიციული კრიტერიუმებით: განათლება, გამოცდილება, განსაკუთრებული ცოდნა ან სპეციალიზაცია და ა.შ. როდესაც მედიატორს სთხოვენ სადავო საკითხების ნეიტრალურ შეფასებას, ამ დროს მისი საქმიანობის შედეგი, გარკვეულწილად, ემსგავსება ექსპერტის დასკვნას, თუმცა სამართლებრივად მათ შორის არსებითი განსხვავებებიც არსებობს. მედიატორის ნეიტრალური შეფასება კონფიდენციალურია, მხარეებს მისი სხვაგან გამოყენების უფლება არ აქვთ.

როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, მედიაციის შესახებ შეთანხმების გარდა, მხარეები დებენ ხელშეკრულებას მედიატორთან, რომელიც თანახმაა წარმართოს პროცესი. როდესაც მედიაციის შესახებ შეთანხმება წინასწარ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, ხშირად ეს შეთანხმება და ხელშეკრულება მედიატორთან ერთ დოკუმენტად ერთიანდება და დეტალურად არეგულირებს როგორც მედიატორსა და მხარეებს შორის, ასევე უშუალოდ ამ უკანასკნელთა შორის ურთიერთობებს. მედიატორთან დადებული ხელშეკრულების ფორმის სპეციალური სამართლებრივი რეგულირების არარსებობის გამო შესაძლებელია მისი ნებისმიერი ფორმით დადება. მედიატორთან დადებული ხელშეკრულება და მედიაციის დასრულების შესახებ მხარეთა შეთანხმება ერთმანეთთან სამართლებრივად დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, პირველთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს მეორეზედა პირიქით.

ბუნებრივია, სამედიატორო პროცესის წარმატებით დასრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა მედიატორის პროფესიონალიზმია. იგი უნდა ფლობდეს როგორც იურისტისთვის, ასევე ფსიქოლოგისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს. ასევე, ზოგიერთი საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება სჭირდებოდეს სპეციფიკური ცოდნა- გამოცდილებაც. არსებობს მოსაზრება, რომ მედიატორს კვალიფიკაციას უნდა ანიჭებდნენ უმაღლესი ან სპეციალური

სასწავლებლის დასრულების შემდეგ, რისთვისაც უნდა შედგეს სასაწავლო პროგრამა ბოლონიის პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით. მედიატორისთვის წაყენებული მოთხოვნების განსაზღვრა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორსა და კრიტერიუმზე. კვალიფიკაციისა თუ გამოცდილების სტანდარტი ამ მხრივ განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. მედიატორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პროფესიისთვის დამკვიდრებული ქცევის წესები, რომელსაც მედიატორი მიეკუთვნება. მას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისთვის, გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევისთვის და ა.შ. განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უნივერსალური წესი მედიატორებთან მიმართებაშიც ძალაშია. ამავე დროს, მხარეთა სპეციალური შეთანხმებით მედიატორისთვის დაკისრებულ ვალდებულებას უპირატესობა აქვს მის ჩვეულებრივ, „სტანდარტულ" ვალდებულებებთან მიმართებაში.

როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, მედიატორს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და რაიმე მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას აქვს უფლება უარი განაცხადოს პროცესის გაგრძელებაზე. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს მედიატორის ქმედუუნარობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ჰონორარის მიუღებლობა, რომელიმე მხარის აშკარად არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მედიაციის პროცესის მიმართ. ბუნებრივია, ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, სადავო სიტუაციაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მედიატორს. იმ შემთხვევაში, როდესაც მედიაციის პროცესი წარუმატებლად დასრულდება, ამ მიზეზით მხარეს შეუძლია უბრალოდ განაცხადოს, რომ აღარ სურს მედიაციაში მონაწილეობა, მაგრამ როდესაც ამას მედიატორი აკეთებს, მან თავისი პოზიცია სათანადოდ უნდა დაასაბუთოს და მიუთითოს მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობაზე .

მედიაციის პროცესს აქვს ერთი მეტად მყარი პრინციპი: დაუშვებელია მედიატორს დაეკისროს პასუხისმგებლობა მედიაციის პროცესის უშედეგოდ დასრულებისთვის.

ამ პრინციპს რაიმე დამატებითი განმარტება და დასაბუთება არ სჭირდება, ვინაიდან მედიატორი არ ფლობს რაიმე იძულებით ბერკეტს იმისთვის, რომ მხარეები შეთანხმებაზე დაიყოლიოს. მათ არა მხოლოდ შეთანხმებაზე შეუძლიათ უარის თქმა, არამედ ნებისმიერ დროს შეუძლიათ დატოვონ მედიაციის პროცესი.

იურიდიულ მეცნიერებაში უარყოფითად ფასდება მედიატორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მისი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მაქსიმალური თანხის დასახელებით. მედიაციის ზოგიერთი ცენტრი თუ არასამთავრობო ორგანიზაცია თავისი წევრი მედიატორებისთვის ითხოვს პასუხისმგებლობის დაზღვევას. ზოგჯერ ასეთი დაზღვევის არსებობა წევრად მიღების წინაპირობადაც კი არის მიჩნეული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაცია წარმოადგენს მართლმსაჯულების დანამატს, ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც ზოგიერთი დავის შემთხვევაში, პროფესიონალი მედიატორის საშუალებით უზრუნველყოფს მხარეთათვის მათი პოზიციების გარკვევას და მიმართულია შეთანხმების მიღწევისკენ. მედიაციის დროს დავის ,,სწორი გადაწყვეტა'' სუბიექტური, შეფასებითი ტერმინია. შესაძლოა, რომ პროფესიით იურისტი მედიატორი სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით თვლიდეს, რომ იცის როგორია სწორი გადაწყვეტა, მაგრამ მხარეებმა ეს სულაც არ მიიჩნიონ ,,სწორად''. ამ შემთხვევაში სწორი არის ის, რაც ორივე მხარისთვის მაქსიმალურად მისაღებია. როგორც წესი, პრობლემა არსებობს არა ობიექტურ რეალობაში, არამედ ადამიანის გონებაში. სინამდვილე ამ დროს ერთ- ერთი არგუმენტია. კარგია ეს არგუმენტი თუ ცუდი, - შეფასებაზეა დამოკიდებული.

მედიაციას შეუძლია დახმარება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ზოგიერთი პრობლემის მოგვარებაში. კვლევები მიუთითებს, რომ მედიაციას შეუძლია მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესება სხვადასხვა ფორმით. მედიაციას შეუძლია საზოგადოების ღარიბი ფენების დახმარება კონფლიქტების გადაწყვეტის თვალსაზრისით, როცა მხარეებს არ შეუძლიათ ადვოკატის დაქირავება ტრადიციული სასამართლო პროცესისთვის. მედიაცია

შეიძლება შედგეს სოფლად ან სასამართლოსგან მოშორებულ ადგილებში. იგი შეიძლება შედგეს შაბათ-კვირას ან საღამოობით, რათა მონაწილეები არ მოცდნენ სამუშაო პროცესს. მედიაციის არაოფიციალური ბუნება შეიძლება ასევე ნაკლებად დამთრგუნველი იყოს ადამიანებისთვის, რომლებიც სამთავრობო ან სასამართლო სისტემას ეჭვით ან შიშით შესცქერიან.

მედიაციას შეუძლია აგრეთვე ადამიანების დამოკიდებულების გაუმჯობესება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. მედიაციის აქცენტი მხარეზე ფოკუსირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მხარეებს აძლევს საქმეების გადაწყვეტის საშუალებას მათი ინტერესების შესაბამისად. რამდენადაც საქმის გადაწყვეტა ნებაყოფლობითია, მედიაცია გამორიცხავს იძულებას, რომელიც დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. კვლევების მიხედვით, მედიაციისთვის დამახასიათებელია მომხმარებლის კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი. შედეგად, მედიაციის მხარეებმა შეიძლება დაიწყონ მართლმსაჯულების საერთო სისტემის პოზიტიური განხილვა, რამაც უნდა გააუმჯობესოს კანონის უზენაესობა.

მედიაცია ასევე ხელს უწყობს ქართული დემოკრატიის გაძლიერებას. ბევრ ქვეყანაში მედიაცია ასრულებდა მნიშვნელოვან როლს საზოგადოების ლიდერების მომზადებაში, სამოქალაქო მონაწილეობის ზრდასა და საჯარო პროცესების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს სარგებლის მომტან რესტრუქტურიზაციასა და დადებით სოციალურ ცვლილებებს.

ამჟამად, საერთაშორისო მედიაცია იმყოფება განვითარების იმ სტადიაზე, რომელზეც არბიტრაჟი იმყოფებოდა დაახლოებით 50 წლის წინ. ოპტიმისტური პროგნოზების თანახმად, მედიაციაც მიაღწევს არბიტრაჟის ანალოგიურ გავრცელებასა და მასშტაბებს. ამაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მედიაციის მზარდი გამოყენება და შესაბამისი ტრენინგები მაღალი ალბათობით ხელს შეუწყობს საქართველოში კომპრომისების კულტურის ფორმირებას. დროის მსვლელობასთან

ერთად მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა შეიძლება სულ უფრო მეტად მიმართონ არაკონფრონტაციული გზების გამოყენებას კონფლიქტების მოსაგვარებლად და დაიწყონ პირადი პასუხისმგებლობის აღება მათ გადასაწყვეტად. აუცილებელია მედიაციის შესაძლებლობების საყოველთაო აღიარება, მედიატორების, როგორც კერძო პროფესიის პირთა, რიცხვის ზრდა და შესაბამისად დავის გადაწყვეტის ამ ფორმის გამონაკლისიდან წესად გადაქცევა, რაც, უდავოდ, დადებითი შედეგების მომტანი გახდება.

ლიტერატურა:

Andrews N., 2008, Mediation: A Pillar of Civil Justice in Modern English Practice, Zeitschrift fur Zivilprozess International, Koln, Carl Heymann;

Antaki, N. N., 2006, Cultural Diversity and ADR Practices in the World, Goldsmith, J.C./Ingen- 3Housz, Arnold,/Pointon, Gerald H. (editors) ADR in Business, Practice and Issues across 33 Countries and Cultures, New York, Kluwer Law International;

Bennett S. C., 2002, Arbitration: Essential Concepts, New York, ALM Publishing;

Born G., 2010 International Arbitration and Forum Selection Agreements: Drafting and Enforcing, 3rd Edition, Great Britan, Kluwer law International;

Berger K.P., 2006, Private Dispute resolution in International Business, Negotiation, Mediation, arbitration, case study, Alphen aan den Rijn, Kluwer Law International;

Briner R., 2006, Foreword, Goldsmith, J.C./Ingen-Housz, Arnold,/Pointon, Gerald, H (editors) ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures, New York, Kluwer law International;

Buhring-Uhle, C., 1996, Arbitration and Mediation in International Business, The Hague, The Netherlands, Kluwer Law International;

Christopher t., 2005 Introduction to alternative dispute resolution in: ADR in Asia solutions for Business, Hong Kong, Euromoney Publications;

Cole S. R., Blankley K. M., 2005, Arbitration, Handbook of Dispute Resolution, Moffitt and Bordone Publishing;

Cohen, J.H., 1918, Commercial Arbitration and the Law, New York, London, Appleton and Company;

Connerty A., 2006, Manual of International Dispute Resolution, London, Commonwealth Secretariat;

Fisher R., Ury W., Patton B., 1991, Getting to Yes, Negotiating Agreement Without Giving In, Second Edition, Harvard Negotiation Project, New York, Penguin Books;

Fox W., 1998, International Commercial Agreements, 3ED., The Hague, Kluwer Law International;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა

მესამე სემესტრის დოქტორანტი

გვანცა სალუქვაძე

სადოქტორო სემინარი

,,საარსებო წყაროების პრაქტიკების ტრანსფორმაცია დაცულ ტერიტორიებთან მდებარე მთიან დასახლებებში: მაჭახელას ეროვნული პარკის მაგალითზე''

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

აბსტრაქტი 3

თავი 1. შესავალი 5

თავი 2. საქართველოს დაცული ტერიტორიები და სტატისტიკა 12

თავი 3. მაჭახელას დაცული ტერიტორია და მისი განვითარების ეტაპები: ცვლილებები და ინიციატივები 15

თავი 3.1 ზოგადი ინფორმაცია 15

თავი 3.2 მაჭახელას დაცული ტერიტორიის მოსახლეობის მეინსტრიმული საარსებო სტრატეგიები 16

თავი 3.3. მაჭახელას ეროვნული პარკი და ტურიზმი 18

თავი 4. ლიტერატურის მომიხილვა 20

თავი 5. კვლევის მეთოდოლოგია 23

5.1 კვლევის დიზაინი 23

5.2 სამიზნე ჯგუფი და შერჩევის მეთოდი 23

5.3 ემპირიულ მონაცემთა შეგროვება 25

5.4 მონაცემთა ანალიზი 26

5.5 კვლევის განხორციელების ეტაპები 27

თავი 6. ძირითადი მიგნებები 28

თავი 6.1. ადგილობრივი საარსებო წყაროების ტრანსფორმაცია დაცული ტერიტორიების რეგულაცია/შეზღუდვის ფარგლებში 28

თავი 6.2. დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდგრადი ინიციატივების ადაპტირება და დამოკიდებულებები ადმინისტრაციის გადაწყვეტების მიმართ 30

თავი 6.3. დამოკიდებულებები მაჭახელას ეროვნული პარკის მიმართ: მოლოდინები და პერსპექტივები 31

თავი 6.4. მაჭახელას დაცული ტერიტორიის მოსახლეობის გამოყენებული კაპიტალი ტურიზმის, როგორც ალტერნატიული საარსებო წყაროს ადაპტაციის მიზნით 33

თავი 6.5. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები 34

თავი 7. დასკვნა 37

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 39

დანართი 42

აბსტრაქტი

საერთაშორისო დონეზე ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება დაცული ტერიტორიების რაოდენობა. აღნიშნულ 'მოძრაობას' აქტიურად უერთდება საქართველოც, რომელიც ასევე ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს დაცულ ტერიტორიებზე შიდა და საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის პერმანენტული ზრდის ტენდენციებით. საყურადღებოა, აღნიშნულის ფონზე ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები და პროგრესი დაცული ტერიტორიებისა და მის გარშემო ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლება/აშენების კუთხით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაცული ტერიტორიები გარდამტეხ როლს ასრულებს ტურიზმის განვითარებაში, რაც მკვიდრი მოსახლეობისათვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ფორმირებაში გამოიხატება. ეკონომიკური აქტივობების ფორმები/საქმიანობები, რაც დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის კუთხით ყალიბდება, ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენს ადგილობრივებისათვის ახალი საარსებო წყაროების გაჩენის კუთხით. დაცული ტერიტორიის ამბივალენტური ბუნება და ამ მოვლენის შესახებ კვლევების სიმცირე აქტუალურს ხდის საქართველოში დაცული ტერიტორიების როლის შესწავლას მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროების მოძიების სტრატეგიების განხორციელების პროცესში.

ამის გათვალისწინებით, წარმოდგენილი საპილოტე კვლევის მიზანია მაჭახელას დაცულ ტერიტორიასთან მდებარე შენამეურნეობების საარსებო წყაროების დივერსიფიკაციის პროცესის შესწავლა ტურიზმის სწრაფი განვითარების ფონზე. კვლევა ფოკუსირებულია ჩაუღრმავდეს საერთაშორისო ფენომენის, კერძოდ, დაცული ტერიტორიისა და ტურიზმის ერთობლივი განვითარების როლს შინამეურნეობების საარსებო წყაროების პრაქტიკების ფორმირების პროცესში, მაჭახელას დაცული ტერიტორიის მაგალითზე, რომელიც ამ ეტაპზეც აქტიური ფორმირების პროცესშია. კვლევის ფარგლებში შესწავლილი საკითხი ნათელს მოჰფენს დასახელებული დაცული ტერიტორიის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის საარსებო წყაროების ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესს.

განხორციელებული კვლევის ძირითადი მიგნებები ეხება მაჭახელას ეროვნული პარკის გარშემო მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროების ტრანსფორმაციას დაცული ტერიტორიების რეგულაცია/შეზღუდვის ფარგლებში, დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდგრადი ინიციატივების ადაპტირებასა და დამოკიდებულებებს ადმინისტრაციის გადაწყვეტების მიმართ, ტურიზმის, როგორც ალტერნატიული საარსებო წყაროს ადაპტაციასა და სამომავლო პერსპექტივებს.

ემპირიული კვლევის ფარგლებში მოპოვებული ემპირიული ინფორმაცია გააანალიზდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის კომპიუტერიზებული (CAQDA) მეთოდით. კერძოდ, თემატური ანალიზის შვიდსაფეხურიანი მეთოდის საფუძველზე, თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა MAXQDA-ის მეშვეობით.

თავი 1. შესავალი

კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა და პრობლემის ფორმულირება: საყურადღებოა, რომ მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად იზრდება დაცული ტერიტორიების რაოდენობა (Diego Juffe-Bignoli et al., 2017) საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი წინსვლა დაცული ტერიტორიების განვითარების მიმართულებით გახდა ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ამ კუთხით გააქტიურების. შესაბამისად, საქართველო თავისი მდიდარი ბუნებრივი მთიანი თუ სასოფლო არეალებით, რომლებიც ველური ბუნებისა თუ თვალწარმტაცი სილამაზის იშვიათი გამოვლინებაა, აღნიშნული მზარდი დინამიკის ნაწილია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო ათი წლის განმავლობაში გააქტიურებული განვითარება დაცული ტერიტორიების, ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლება/აშენების კუთხით და აგრეთვე, შიდა და საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის პერმანენტული ზრდა. ამჟამად საქართველოში სულ 14 სახელმწიფო ნაკრძალია და 19 აღკვეთილია, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 198, 905 ათას ჰა-ს (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2017)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, დაცული ტერიტორიების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის განვითარებაში, რაც მკვიდრი მოსახლეობისათვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ფორმირებაში გამოიხატება (Ahebwa & Duim, 2013) ეკონომიკური აქტივობების ფორმები/საქმიანობები, რაც დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის კუთხით ყალიბდება, ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენს ადგილობრივებისათვის ახალი საარსებო წყაროების გაჩენის კუთხით. ამ კუთხით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მთიან დასახლებებში ტურიზმის განვითარება განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რადგან ის თავისი 'ქოლგის ქვეშ' ეკონომიკური შესაძლებლობების მრავალფეროვან პალიტრას აერთიანებს და მკვეთრად აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ლიმიტირებულ გარემოში დასაქმების დამატებითი პერსპექტივების გაჩენის შესაძლებლობებს(Casellas, 2002; Claudio, Margherita, & Monica, 2003). აქედან

გამომდინარე, მთიანი დაცული ტერიტორიის მდგრადი ტურიზმის დესტინაციად ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს დასაქმებისა და დამატებითი ეკონომიკური დოვლათის გაჩენის თვალსაზრისით.

ოპტიმისტური მოლოდინების მიღმა რაც ზემოთ ჩამოთვლილ მოსალოდნელ ეკონომიკურ სიკეთეებს გულისხმობს, დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებამ აგრეთვე შესაძლოა გამოიწვიოს მის გარშემო არსებული შინამეურნეობების ტრადიციული საარსებო წყაროების დაერგანიზაცია. სახელდობრ, დაცული ტერიტორიის გამოცხადებას/განვითარებას თან სდევს ეკოსისტემის დაცვის მიზნით შეზღუდვებისა და რეგულაციების დაწესება, რომელიც ძირითადად შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (International Union for Conservation of Nature) რეკომენდებულ პრინციპებს. დაცული ტერიტორია თავისი კონცეფციით, რეგულაციებით ქმნის მოცემულ ტერიტორიაზე ახალ რეალობას „Virtualism“(West, Igoe, & Brockington, 2006). მკვიდრი მოსახლეობა იწყებს თავისი ყოველდღიური სოციალური, ეკონომიკური აქტივობების განხორციელებას განახლებული წესების გარემოში.

ამის გათვალისწინებით, შინამეურნეობებს, რომლებიც დაცული ტერიტორიის გარშემო ცხოვრობენ ერთი მხრივ, უჩნდებათ საშუალება, რომ ისარგებლონ დამატებითი შესაძლებლობებით, რომელსაც მსგავსი ტიპის ტერიტორიის განვითარება ქმნის (მაგ. ტურიზმი). ხოლო მეორე მხრივ მკვიდრმა მოსახლეობამ კონსერვაციის მიზნების (რეგულაციები, შეზღუდვები) ფონზე უნდა შეძლოს ახალი, ალტერნატიული საარსებო წყაროების სტრატეგიების ადაპტაცია და/ან უკვე არსებული ტრადიციული საქმიანობების ტრანსფორმაცია (Woods, 2011).

დაცული ტერიტორიის ამბივალენტური ბუნება და ამ მოვლენის შესახებ კვლევების სიმცირე აქტუალურს ხდის საქართველოში დაცული ტერიტორიების როლის შესწავლას მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროების მოძიების სტრატეგიების განხორციელების პროცესში. ამ საკითხის შესწავლის საჭიროებაზე, ასევე მეტყველებს საქართველოში სოფლის განვითარების მიმართ ზოგადი პოლიტიკის მიმართულება. ეს გამოიხატება სოფლის მეურნეობიდან სოფლის განვითარებისაკენ

აღებულ ორიენტაციაში (General Policy Orientation) (Driscoll, Salib, & Rupert, 2007), რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას, საარსებო წყაროების დივერსიფიცირებას.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, წარმოდგენილი საპილოტე კვლევის განხორციელება ხელს შეუწყობს ზემოთ მითითებული თემატური სიცარიელის აღმოფხვრას და სამეცნიერო თუ პრაქტიკულ ღირებულებებთან ერთად მყარ საფუძველს შექმნის ამ კუთხით სამომავლო ემპირიული მუშაობის გაგრძელებისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები: წარმოდგენილი კვლევის მიზანია მაჭახელას დაცულ ტერიტორიასთან მდებარე შენამეურნეობების საარსებო წყაროების დივერსიფიკაციის პროცესის შესწავლა ტურიზმის სწრაფი განვითარების ფონზე.

მიზნის მისაღწევად, მდგრადი საარსებო წყაროების კონცეფციის (Chambers & Conway, 1991) გათვალისწინებით, გამოიყო შემდეგი ამოცანები:

- შინამეურნეობების ტრადიციული საარსებო პრაქტიკების შესწავლა;
- დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა;
- დაცული ტერიტორიის დაარსებით გამოწვეული შეზღუდვებისა და შესაძლებლობების როლის შესწავლა საარსებო წყაროების ახალი და ალტერნატიული სტრატეგიების ადაპტაციის პროცესში;
- გამოყენებული სტრატეგიები და კაპიტალის ფორმები ტურიზმის ახალი და მდგრადი ალტერნატიული საარსებო პრაქტიკების ადაპტაციის პროცესში;
- შინამეურნეობების ხედვა დივერსიფიკაციის პროცესში, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული/შემოთავაზებული მდგრადი საარსებო წყაროების პრაქტიკების მიმართ;

კვლევის თეორიული საფუძველი: იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კვლევა ფოკუსირებულია შინამეურნეობების საარსებო წყაროების მოძიების სტრატეგიებზე და მათ ცვლილებაზე, კვლევა ეყრდნობა **მდგრადი საარსებო წყაროების კონცეფციას (sustainable livelihoods concept).** აღნიშნული თეორიის

ავტორების რობერტ ჩამბერსის და გორდონ კონვეის (Chambers & Conway, 1991) განმარტების მიხედვით, კონცეფცია გვთავაზობს ჰოლისტიკურ და გამაერთიანებელ მიდგომას იმის უნარით, რომ გაანალიზოს და გაიაზროს სასოფლო დასახლებების განვითარების კომპლექსურობა.

საკდაპოლრაკი (2014) აღნიშნავს, რომ საარსებო წყაროების კონცეფციამ თანამედროვე ფორმით განვითარება დაიწყო 80-იანი წლების დასაწყისში და ის დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას. მდგრადი საარსებო წყაროების კონცეპტუალური ჩარჩო გამოიყენება ისეთი ტიპის კვლევებში, რომლებიც მიმართულია სიღარიბის დაძლევის, მდგრადობისა და საარსებო წყაროების სტრატეგიების შესწავლისაკენ. აღნიშნული თეორიული მიდგომა აქტიურად გამოიყენება და ერგება, როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო დასახლებების შესწავლას ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით (Qian, Sasaki, Jourdain, Kim, & Shivakoti, 2017).

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კვლევა ეყრდნობა მდგრადი საარსებო წყაროების კონცეფციას, რომელიც აერთიანებს შემდეგ ასპექტებს: უნარიანობა/ შესაძლებლობა (Capability), თანასწორობა (equity) და მდგრადობა. აღნიშნულის გათვალისწინებით კვლევა აგრეთვე მნიშვნელოვნად ფოკუსირებული იქნება შინამეურნეობის შესაძლებლობასა და კაპიტალზე (asset), საქმიანობის ფორმებსა და საბოლოო შედეგებზე (Chambers & Conway, 1991).

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო: წარმოდგენილი ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვრა მისი კონცეპტუალური ჩარჩოს შესაბამისად და დაფუძნებულია ტრიანგულაციის მეთოდზე (Given, 2008). შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავს ინოვაციური ხასიათის მიდგომების გადაწყვეტების სინთეზს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ტრადიციულ მეთოდებთან. ემპირიული ინფორმაციის მოპოვება მოხდა სიღრმისეული ინტერვიუსა და ჩართული დაკვირვების მეთოდების საშუალებით (4 შინამეურნეობა, 1 დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუ).

საველე მობილური აპლიკაცია - MAXApp-ისა და Open Street Map Tracker (OSMT) უნიკალური ფუნქციის დახმარებით შესაძლებელი გახდა ჩართული დაკვირვების პროცესში განსხვავებული ინფორმაციის შეგროვება (ფოტო, ჩანაწერი, ვიდეო და ა.შ.), ავტომატურად მისი გეოგრაფიული კოორდინატების მინიჭებით, რაც ანალიზის პროცესში შესაძლებელს გახდის საკვლევი თემის სივრცითი ასპექტების შეფასებასა და ანალიზს.

ემპირიული კვლევის ფარგლებში მოპოვებული ემპირიული ინფორმაცია გააანალიზდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის კომპიუტერიზებული (CAQDA) მეთოდით. კერძოდ, თემატური ანალიზის შვიდსაფეხურიანი მეთოდის საფუძველზე, თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა MAXQDA-ის მეშვეობით.

კვლევის სიახლე: საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი კვლევა ფოკუსირებულია ჩაუღრმავდეს საერთაშორისო ფენომენის, კერძოდ, დაცული ტერიტორიისა და ტურიზმის ერთობლივი განვითარების როლს შინამეურნეობების საარსებო წყაროების პრაქტიკების ფორმირების პროცესში, მაჭახელას დაცული ტერიტორიის მაგალითზე, რომელიც ამ ეტაპზეც აქტიური ფორმირების პროცესშია. კვლევის ფარგლებში შესწავლილი საკითხი ნათელს მოჰფენს დასახელებული დაცული ტერიტორიის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის საარსებო წყაროების ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესს. აღსანიშნავია, რომ მაჭახელას დაცულ ტერიტორიაზე მსგავსი სამეცნიერო ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური კვლევა არ განხორციელებულა. შესაბამისად, მოპოვებული პირველადი მონაცემებით შესაძლებელი იქნება ერთი მხრივ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ინიცირებული პრაქტიკებისა და მიდგომების მდგრადობის შეფასება. მეორე მხრივ, ხანგრძლივი დროის დიაპაზონში იდენტიფიცირებული საარსებო წყაროების განვითარების ხელშეწყობის საჭიროების შეფასება სწორი და გეგმიური ნაბიჯების გადადგმის კუთხით.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები: წარმოდგენილი კვლევის შედეგების მნიშვნელობა საკმაოდ მაღალი იქნება მისი, როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო გამოყენების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება

დაცული ტერიტორიის ფუნქციონირება ხასიათდება ამბივალენტური ბუნებით (Clements et al., 2014), მისი განვითარების პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის იქმნება, როგორც დამატებითი შესაძლებლობები, ასევე რეგულაციები/შეზღუდვები. აღნიშნული ფაქტი მიანიშნებს სამეცნიერო ცოდნის შექმნის საჭიროებაზე, შესაბამისად საკვლევი საკითხის სამეცნიერო ღირებულებაზე. წარმოდგენილი კვლევა ხელს შეუწყობს სამეცნიერო საზოგადოებაში გააქტიუროს მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ ფორმირდება საარსებო წყაროების მოძიების პრაქტიკები დაცული ტერიტორიების სიახლოვეს.

კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება

საკითხი, რომლის შესწავლაც წარმოდგენილი კვლევით დაიწყება განავითარებს ადგილობრივების ჩართულობით დაცული ტერიტორიის მართვას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმასთან ინტეგრირების პროცესში (De Pourcq et al., 2017; Nepal, 1997; Puntscher et al., 2017).

მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროების პრაქტიკებისა და მათი დამოკიდებულებების შესწავლა დაცული ტერიტორიის მიმართ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მაჭახელას ეროვნულ პარკის, მიზნების (მცენარეთა გენოფონდის დაცვა, ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნება, ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარება და ა.შ.) წარმატებით განხორციელებას. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ დაცული ტერიტორიის მენეჯმენტს ეფექტურს ხდის მკვიდრ მოსახლეობასთან თანამშრომლობა (Puma et al., 2004).

დაცულ ტერიტორიასთან ახლოს მდებარე დასახლებების მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სიღარიბე. სწორედ ამიტომ, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობების შესახებ დამატებითი ცოდნა, პოლიტიკის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად აქტორებს მისცემს შესაძლებლობას სამომავლო განვითარება იმ არსებული ბარიერების/გამოწვევების შესაბამისად

დაგეგმონ, რაც არ აძლევს მათ მაჭახელას დაცული ტერიტორიების მიერ შექმნილი შესაძლებლობების სრულად გამოყენების საშუალებას.

თავი 2. საქართველოს დაცული ტერიტორიები და სტატისტიკა

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს (2017) მონაცემების მიხედვით, 2011 წლიდან დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 91, 833 ჰა (1,3%) -ით გაიზარდა, რომელმაც 2018 წელს 597, 556 ჰა (საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 8.57%). აგრეთვე, მკვეთრი ზრდა ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების ტენდენციებთან მიმართებაში. სააგენტოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2017 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულმა ტერიტორიებმა მიიღო 954 692 ვიზიტორი, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (734 874 ვიზიტორი) 30%-ით არის გაზრდილი *(იხ. დიაგრამა #1).* აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 57%-ს (542 163 ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ტურისტების რაოდენობა 43%-ს (412 529 ვიზიტორი). აღსანიშნავია, რომ ამავე წლის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 28%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 33%-ით *(იხ. დიაგრამა #2, #3).* 2017 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 33%-ით. ვიზიტორთა შორის ყველაზე მეტი ესტუმრა რუსეთიდან 29% (118 250 ვიზიტორი), ისრაელიდან 14% (56 164 ვიზიტორი), პოლონეთიდან 7% (30 855 ვიზიტორი), უკრაინიდან 6% (26 461 ვიზიტორი), გერმანიიდან 5% (18 510 ვიზიტორი) *(იხ. დიაგრამა #5).* ამასთან, საყურადღებოა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რომელმაც 2017 წლის განმავლობაში 4 482 891 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2 313 697ლარი) შედარებით 94%-ით არის გაზრდილი *(იხ. დიაგრამა #7).*

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი საპილოტე კვლევითი პროექტის საკვლევ - მაჭახელას ეროვნულ პარკს, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, 2016 წელს 2,062 ვიზიტორი ეწვია. აღნიშნული მონაცემი მკვეთრად გაიზარდა 2017 წელს, როდესაც ტურისტების რაოდენობამ 5, 092 კაცი შეადგინა *(იხ. დიაგრამა #6).*

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს (2017) ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვიზიტორების მხრიდან ყველაზე მონახულებადი ტერიტორიებია პრომეთეს მღვიმე, მარტვილის კანიონი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, სათაფლია, ოკაცეს კანიონი და ბორომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. კერძოდ, 2017 წლის მონაცემებით პრომეთეს მღვიმეს ესტუმრა დაცული ტერიტორიების ვიზიტორების 17% (163 923 ვიზიტორი), ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 16% (154 085 ვიზიტორი), მარტვილის კანიონს - 16% (147 644 ვიზიტორი), სათაფლიას - 9% (85 507 ვიზიტორი), ოკაცეს კანიონს 8% (73 113 ვიზიტორი), ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს 6% (59 458 ვიზიტორი). ვიზიტორების 28% მოდის ლაგოდეხის, თბილისის, მტირალას, კოლხეთის, ალგეთის, თუშეთის, ვაშლოვანის, ქობულეთის, მაჭახელას, ჭაჭუნას, კინტრიშის და ჯავახეთის, დაცულ ტერიტორიებზე *(იხ. დიაგრამა #4).*

უნდა აღინიშნოს ის დაცული ტერიტორები, რომლებშიც 2017 წელს გამორჩეულად გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა:

- მაჭახელას ეროვნული პარკი - ზრდა 147% (2016წ - 2062, 2017 წ - 5092);
- მარტვილის კანიონი - ზრდა 137% (2016წ - 62 434, 2017 წ - 147 644);
- ალგეთის ეროვნული პარკი - ზრდა 74% (2016წ - 16076 , 2017 წ - 28 020);
- თბილისის ეროვნული პარკი- ზრდა 47% (2016წ - 35 439 , 2017 წ - 52 015);
- მტირალას ეროვნული პარკი - ზრდა - 41% (2016წ - 33 774, 2017 წ - 47 460);
- ოკაცეს კანიონი - ზრდა - 40% (2016წ - 52 197, 2017წ - 73 113);
- პრომეთეს მღვიმე - ზრდა - 19% (2016წ - 138 227, 2017 წ - 163 923).

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წელს სულ 30 სამეცნიერო კვლევა განხორციელდა, რომელთა უმრავლესობა მოკლევადიანი იყო. დაცული ტერიტორიებიდან მკვლევარებისათვის ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ვაშლოვანის, ბორჯომ-ხარაგაულის და კოლხეთის ეროვნული პარკების ბიომრავალფეროვნება. ასევე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ქართველი მეცნიერების ინტერესი დაცული ტერიტორიებისადმი მეტია, თუმცა უცხოელი მკვლევარების. დარგების მიხედვით ჭარბობს ზოოლოგიური კვლევები, შემდგომ სატყეო მიმართულების, გეოლოგიური, გეოგრაფიული, ბოტანიკური, სხვა დარგები კი თითო თითო კვლევით შემოიფარგლება *(იხ. დიაგრამა #8; #9; #10, #11).*

აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიხედვით, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2017 წლის განმავლობაში (1231 ადგილობრივი) 2016 წლის მონაცემებთან (1 106 ადგილობრივი) შედარებით გაზრდილია 11%-ით *(იხ. დიაგრამა #12).*

2017 წლის განმავლობაში 2016 წლის მონაცემებთან შედარებით დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა გაზრდილია 38%-ით, მაღაზიების რაოდენობა 30%-ით, კვების ობიექტების რაოდენობა 52%-ით *(იხ. დიაგრამა #13).*

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 5 723 621 ლარი, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 31%-ით არის გაზრდილი *(იხ. დიაგრამა #14).*

თავი 3. მაჭახელას დაცული ტერიტორია და მისი განვითარების ეტაპები: ცვლილებები და ინიციატივები

თავი 3.1 ზოგადი ინფორმაცია

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მაისში დაარსდა მაჭახელას ეროვნული პარკი, თუმცა ოფიციალურად 2015 წლის მაისში მოხდა მისი დეკლარირება, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილად. მითითებული ეროვნული პარკი, რომლის ფართობიც 7, 359.44 ჰექტარს შეადგენს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობს. მაჭახელას ეროვნული პარკი მტირალას ეროვნულ პარკთან, კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან და ჯამილის ბიოსფერულ რეზერვატთან (თურქეთი) ერთად კოლხეთის ბიოგეოგრაფიული რეგიონის შემადგენელი ნაწილია. სამხრეთით თურქეთის ჯამილის ბიოსფერული რეზერვატის მდებარეობა ქმნის საუკეთესო შესაძლებლობას ტრანსსასაზღვრო ურთიერთოებებისათვის, ტურიზმის განვითარებისათვის და ასევე, ტერიტორიების ინტეგრირებული მენეჯმენტისათვის (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016) აღნიშნული ტრანსსასაზღვრო კონსერვაციის საჭიროება ერთ-ერთ პრიორიტეტად არის დასახული საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების მხრიდან, მათ შორის UNDP და IUCN.

დაცული ტერიტორიების კანონის მიხედვით, მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორია დაყოფილია 4 ზონად:

- ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
- ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
- ტრადიციული გამოყენების ზონა;
- ვიზიტორთა ზონა.

თავი 3.2 მაჭახელას დაცული ტერიტორიის მოსახლეობის მეინსტრიმული საარსებო სტრატეგიები

მაჭახელას ეროვნული პარკის გარშემო 8 დასახლებული სოფელი მდებარეობს, ჯამში 3.048 მოსახლით. დღესდღეობით, მაჭახელას დაცული ტერიტორიის შინამეურნეობების ძირითადი სოფლის მეურნეობის დარგებია მებაღეობა, მეფუტკრეობა და მესაქონლეობა. მოსახლეობას ასევე აქტიურად მოჰყავს თხილი, ხილი, ბოსტნეული, ლობიო და ა.შ.

ისტორიული მონაცემების თანახმად, სოფლის მეურნეობა დაცული ტერიტორიების მკვიდრთათვის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო. ოჯახების უმრავლესობას გააჩნდათ საკუთარი ფერმა, უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში განვითარებულმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა სოფლის მეურნეობის წარმოების სტრუქტურაში გამოიწვია ბოლო საუკუნის მოწინავე კულტურების - ჩაისა და თუთუნის წარმოების დაქვეითება და მოსახლეობა დაუბრუნდა ტრადიციული კულტურების მოყვანას, როგორიცაა სიმინდი და კარტოფილი, ინტენსიური თხილის წარმოება და მეფუტკრეობა. აღსანიშნავია, რომ მეფუტკრეობას ამჟამად ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირს ადგილობრივი მოსახლეობის სოფლის მეურნეობაში. გამოიყოფა სამი სახის მეფუტკრეობა, რასაც მაჭახელას ხეობის მოსახლოება მისდევს: ტყის მეფუტკრეობა (კლდის ფუტკარი, ხის ფუტკარი), ნაწილობრივ მოშინაურებული და მოშინაურებული (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურებს გასული საუკუნის ბოლოდან და დღემდეც წარმოადგენს კარტოფილი და ლობიო. მეურნეობა მაჭახელას ხეობაში განვითარდა ისტორიულად სპეციფიკური გარემოს გავლენით, არათანაბარი ტოპოგრაფიით, კლიმატით, და ჰიდროგრაფიული პირობებით, მოსავლის განთესვით და სათესი მიწით. სახნავ-სათესი სავარგულები განლაგებულია მდინარე მაჭახელასა და მისი შენაკადების ფერდობზე (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

მაჭახელას ხეობა გამოიყენებოდა ცხვრისა და თხების საძოვრებად. დღესდღეობით აქ ცხვარს აღარ ინახავენ, ხოლო თხის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. პირუტყვს ძირითადად შემოღობილ ტერიტორიაზე მიერეკებიან. საქონლის 5-10% მიდის საბალახოდ ტყეში. უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიწყო მეღორეობის განვითარება (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

გასული საუკუნის 30-იან წლებამდე აქ გავრცელებული იყო ვაზის „მაღლარი" ჯიშები, რომელიც ხეზე იზრდება. მაგრამ 30-იანების მეორე ნახევრის შემდეგ „დაბლარი"ვაზის მოყვანა დაიწყეს. თუმცა, დღესდღეობით, მოსახლეობა ნაკლებად არის ჩართული მევენახეობაში და ვაზის ვენახებს უმნიშვნელო ადგილი უკავიათ მაჭახელას მკვიდრთა სამეურნეო ცხოვრებაში. მხოლოდ მცირე ნაწილისათვის წარმოადგენს აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობა საარსებო წყაროს (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

ხილიდან და კენკროვანი კულტურებიდან მაჭახელას ხეობაში გავრცელებულია მსხალი, ვაშლი, ალუბალი, ველური ქლიავი, ჟოლო, კაკალი, თხილი, ლეღვი, ზღმარტლი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ხეობაში ვენახის, ან ხილის მოყვანის აგრო-ტექნიკური მახასიათებლები ცვალებადია ადგილის მიხედვით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მეცხოველეობა სოფლის მეურნეობასთან ერთად წარმოადგენს ხეობაში წამყვან სფეროს. წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შენახვა აქ გავრცელებულია. გარდა ამისა სახლში აწარმოებენ რძის პროდუქტებს და ყიდიან ადგილობრივ ბაზარზე (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

უნდა აღინიშნოს, რომ ხეობაში აქტიურად მისდევდნენ ხე-ტყის მასალის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად აზიანებდა ლანდშაფტს და გარემოს.

თევზაობა წარმოადგენდა ერთ-ერთ გავრცელებულ საქმიანობას და შემოსავლის წყაროს მაჭახელას ხეობის ადგილობრივებისათვის. მდინარე მაჭახელას გასწვრივ არის საკალმახე მეურნეობები, რომელშიც ამერიკული ცისარტყელა კალმახი მოიპოვება. თუმცა, მეთევზეობა საფრთხის ქვეშ არის ამჟამად

ჰიდროელექტროსადგურის სისტემის მშენებლობის გამო (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

ეკონომიკურ საქმიანობებს შორის აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მაჭახელას ხეობის კავშირი „მაჭახელა“ იარაღის წარმოებასთან. მე-18 საუკუნეში, მაჭახელას ხეობიდან გამორჩეულად მაღალი ხარისხის იარაღის წარმოება და საქართველოს სხვა რეგიონებში (გურია, ახალციხე) ტრანსპორტირება ხდებოდა. აღნიშნული საქმიანობა ტრადიციული იყო ხეობისათვის, რაც მას გამოარჩევდა საქართველოს მასშტაბით, რადგან სულ რამდენიმე ადგილას ხდებოდა იარაღის წარმოება. აღნიშნული საქმიანობის ცოდნა და ადათი თაობიდან თაობას გადაეცემოდა „მაჭახელა“ იარაღის სახელით (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

საყურადღებოა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ადგილობრივი შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობები მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ მთიან აჭარაში მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნით ეკოტურიზმისა და აგრო-ტურიზმის კუთხით არსებული პოტენციალის გამოყენება მოხდეს (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

თავი 3.3. მაჭახელას ეროვნული პარკი და ტურიზმი

მაჭახელას დაცული ტერიტორიის ჩამოყალიბება და მისი პოპულარიზაცია საგრძნობ ცვლილებებს იწვევს ხეობაში ტურისტების რაოდენობის მატებისა და შესაბამისად, ტურიზმის განვითარების კუთხით. აღნიშნული საკითხი მოწინავე ადგილს იკავებს დაცული ტერიტორიის სააგენტოს დღის წესრიგში და ამ მიმართულების ასათვისებლად მრავალი სხვადასხვა ინიციატივის საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აქტიური ინიცირება მიმდინარეობს და რიგ შემთხვევებში განხორციელება ახალი ტურისტული მარშრუტების, დამაკავშირებელი ბილიკების, კულტურულ-ისტორიული ტურების და ა.შ. იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოხდეს ხეობის უდიდესი პოტენციალის ათვისება. ამასთან, პერიოდულად ხდება ახალი საინფორმაციო ბუკლეტების, ბროშურების დამზადება და გავრცელება, იმისათვის, რომ ახალი შექმნილი ეროვნული პარკის შესახებ

ინფორმაცია ფართოდ გავრცელდეს, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვნად ერთვებიან ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესში სხვადასხვა სოფელში. ამ მიმართულებით იდენტიფიცირებულია ძირითადი ასპექტები, რომელთა განვითარებისთვისაც მიმდინარეობს მუშაობა, მათ შორისაა სოფლის ტურიზმის განვითარება, სამთო ველოსიპედებით გასეირნება, საცხენოსნო ტურების მოწყობა, ჯომარდობა, ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია, ადგილობრივი სამზარეულოს კერძების დაგემოვნება და სხვა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მაჭახელას ეროვნული პარკის სიახლოვე ზღვასთან და მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრთან-ბათუმთან (25 კმ) დამატებითი შეთავაზების ადგილია ზღვაზე დამსვენებელთათვის.

UNDP_GEF-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის პირველი ეტაპის სამუშაოები. მთავარანგელოზის მთის ბილიკზე კი საგზაო, საინფორმაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები დამონტაჟდა, მოეწყო საპიკნიკე და საკარვე ადგილები და მდინარეზე გადასასვლელი ხიდი (*Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action*, 2016).

თავი 4. ლიტერატურის მომიხილვა

დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდის მიზნით დაწყებულ კამპანიას 1982 წელს ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო პარკების კონგრესზე ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე. აღნიშნულ შეხვედრაზე დამსწრე დელეგატებმა რეკომენდაციის სახით აღნიშნეს, რომ თუ ყველა ქვეყანაში მოსახლეობის მცდელობა იქნებოდა დაახლოებით 10% მიწის ფართობის დაცვა, ძალიან კარგ შედეგს გამოიღებდა სამომავლო თვალსაზრისით. ამავე შეხვედრაზე გაუღერდა, რომ დაცულ ტერიტორიებს უნდა შეეთავსებინათ ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება (International Union for Conservation of Nature and Natural Resources., 1982). ქვეყნებში დაცული ტერიტორიების რაოდენობა და მათი მასშტაბი მუდმივად იცვლება. ფორმალურ, საერთაშორისოდ აღიარებული დაცული ტერიტორიების გვერდით არსებობს არაფორმალური ადგილები, რომელთა მიზანიც არის ბიომრავალფეროვნების დაცვა. არსებული სტატისტიკა სრული სიზუსტით ვერ ასახავს რეალობას, რომელიც ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა და სტაბილურად მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს[1]. ამაზე მიუთითებს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები.

1996 წელს საქართველოში მიიღეს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ და შემოტანილი იქნა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUGN) კატეგორიები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ 1996 წელს მიიღეს, ნაკრძალები და სატყეო მეურნეობები, რომლებიც ასევე შეიძლება მიგვეკუთვნებინა დაცული ტერიტორიებისათვის უფრო ადრე არსებობდა (გურიელიძე, 2002). აღსანიშნავია, რომ პირველი ნაკრძალი დაარსდა 1912 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო პირველი სამონადირეო მეურნეობა 1957 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

[1] https://www.iucn.org/resources

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის დაცულ ტერიტორიად გამოცხადებას, განვითარებას თან სდევს ეკოსისტემის დაცვის მიზნით შეზღუდვების დაწესება. რიგ შემთხვევებში ადგილობრივებს უწევთ ახალ რეალობასთან შეგუება, ადაპტაცია მათ შორის საარსებო წყაროების არსებული, ტრადიციული პრაქტიკების ტრასფორმაცია (Woods, 2011). აქვე უნდა აიღინიშნოს, რომ დაცული ტერიტორიების განვითარების პროცესში, რომლის მნიშვნელოვანი ასპექტია ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყოველდღიური ცხოვრების სოციალური პრაქტიკის კორექცია, სხვა საყურადღებო ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივების დამოკიდებულებებს, მათ თანამშრომლობას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან (Martin, Myers, & Dawson, 2017; Nathan James Bennett & Philip, 2014).

აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად ნათლად იკვეთება, რომ ნაწილი სამეცნიერო კვლევებისა ყურადღებას ამახვილებს დაცული ტერიტორიების განვითარების შემდგომ გამოწვეულ კონფლიქტებზე. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევს რიგ შემთხვევებში მათთან ახლოს მდებარე ტერიტორიის დაცულ ტერიტორიად გამოცხადებას, რაც ხდება მათ და დაცული ტერიტორიების წარმომადგენლებს შორის კონფლიქტის მიზეზი (Nepal, 1997; Puntscher et al., 2017). მკვლევართა ნაწილი უფრო ღრმად ჩაეძია თავიანთ ნაშრომებში აღნიშნული ტრანსფორმაციის პროცესის კვლევას, რის საფუძველზეც მოახდინეს ადგილობრივების სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შინამეურნეობების სარგებლობის კომპოზიციების განსხვავებებზე დაცულ ტერიტორიაზე და მის გარშემო (Adiyia, Vanneste, & Van Rompaey, 2017). აგრეთვე, ავტორთა უმეტესობა წინა პლანზე სწევს დაცული ტერიტოებისა და მის გარშემო მკვიდრი მოსახლეობის ინტერაქციას, რასაც აფასებენ, როგორც მყარ საფუძველს იმისათვის რომ საერთო ჯამში მოხდეს მდგრადი განვითარება და მოსალოდნელი სიკეთეების მაქსიმალური გადანაწილება (De Pourcq et al., 2017; Nepal, 1997; Puntscher et al., 2017).

საყურადღებოა, რომ მსოფლიო მასშტაბით დაცული ტერიტორიებისა და მისი განვითარებით გამოწვეული ცვლილებების შესწავლა აკადემიური სფეროს წარმომადგენლების მხრიდან, აღნიშნული მოვლენის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება. სკოპუსში ინდექსირებული პუბლიკაციებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წლიდან წლამდე მატულობს. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციების 11 პროცენტი სოციალურ მეცნიერებებზე მოდის. საქართველოშიც იზრდება იმ ქართველი და უცხოელი მკვლევარების რაოდენობა, რომლებიც კვლევებს დაცულ ტერიტორიაზე თუ მის შემოგარენში ახორციელებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევები მეტწილად მიეკუთვნება პალეონტოლოგიას, ზოოლოგიას, გეოლოგიას (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2017) და სოციალური მეცნიერების სფეროში ჩატარებული კვლევები/პუბლიკაციები რთულად თუ მოიპოვება.

თავი 5. კვლევის მეთოდოლოგია

5.1 კვლევის დიზაინი

წარმოდგენილი საპილოტე კვლევითი პროექტი განხორცილდა კომპლექსური მიდგომის საფუძველზე, ემპირიული კვლევის მეთოდებისა და მეორადი მონაცემების/თეორიული ანალიზის გამოყენებით. სახელდობრ, მოხდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული კვლევების, უახლესი პოლიტიკის დოკუმენტებისა და სხვა მასალების სისტემატიზება-კლასიფიკაცია და შედარებითი ანალიზი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვრა მისი კონცეპტუალური ჩარჩოს შესაბამისად და დაფუძნებულია ტრიანგულაციის მეთოდზე (Given, 2008). ამ უკანასკნელი ტრიანგულაციის მიდგომის პრინციპის გათვალისწინებით, გამოყენებულ იქნა თვისებრივი ინფორმაციის შეგროვების ორი სახის მეთოდი, სახელდობრ, სიღრმისეული ინტერვიუს და ჩართული დაკვირვების ინტეგრირებას, რაც უზრუნველყოფს შესასწავლი თემების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რათა მოხდეს დასახული მიზნისა და ამოცანების გადაწყვეტა.

5.2 სამიზნე ჯგუფი და შერჩევის მეთოდი

საპილოტე პროექტის ფარგლებში კვლევა ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, კერძოდ მაჭახელას დაცულ ტერიტორიასთან ახლოს მდებარე დასახლებებში (ხიზაბავრა, შრომა, ზემო ხიზა, რაჭისუბანი, ლაგოდეხი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ქოქოლეთი, აჭარისაღმართი). კვლევის ადგილმდებარეობის შერჩევა განაპირობა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა: მაჭახელას ეროვნული პარკი დაარსდა 2012 წელს, შესაბამისად მისი ჩამოყალიბების პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. წარმოდგენილი კვლევისთვის, აღნიშნული ქეისის შესწავლა იმდენად, მნიშვნელოვანია რამდენადაც მაჭახელას ეროვნული პარკთან მდებარე დასახლებების მკვიდრი მოსახლეობა ახდენს საარსებო წყაროების მოძიების საშუალებების „ახალ რეალობასთან“ ადაპტაციას. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კვლევის ფარგლებში შერჩეული დასახლებები, საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“

მიხედვით მიეკუთვნებიან მაღალმთიან დასახლებებს. ზემოთ ჩამოთვლილი დასახლებების მახასიათებლებიდან გამომდინარე, საინტერესოა აღნიშნულის ფონზე დაცული ტერიტორიის გარშემო მდებარე დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და მათი ყოველდღიური საქმიანობების ცვლილებების გამოკვლევა.

თვისებრივი მეთოდით ინფორმაციის მოპოვება მოხდება რესპონდენტების მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე, წინასწარ ფორმულირებული, კვლევის მიზანსა და ამოცანებთან მჭიდროდ დაკავშირებული მახასიათებლების მიხედვით.

საკვლევ არეალებში ადგილობრივი შინამეურნეობების შერჩევისას, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობებს, მოხდება შემდეგი სახის მახასიათებლების მხედველობაში მიღება:

მიზნობრივი შერჩევის კრიტერიუმები:

- გეოგრაფიული მდებარეობა (შინამეურნეობა);
- დემოგრაფიული მახასიათებლები (სქესი, ასაკი)
- ეკონომიკური საქმიანობის დარგები (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სხვ.)

დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების შერჩევა მოხდა მსგავსი მიდგომის მიხედვით და გათვალისწინებულ იქნა შემდეგი მახასიათებლები:

- ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრები;
- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
- ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები;

შედეგად, საპილოტე კვლევის ფარგლებში განხორციელდა 4 სიღრმისეული ინტერვიუ, რომელთაგან ორი რეპონდენტი იყო მდედრობითი, ხოლო ორი მამრობითი სქესის წარმომადგენელი *(იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 4).* აღსანიშნავია, რესპონდენტთა ასაკის დიაპაზონი, რაც 28-78 წლებს შეადგენდა.

განათლების დონის თვალსაზრისით, შერჩეული რესპონდენტებიდან ორი ფლობდა უმაღლეს განათლებას, ხოლო ორი საშუალოს *(იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 5).*

რესპონდენტების შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა ოთხივე შემთხვევაში აღემატებოდა 3 ადამიანს და რიგ შემთხვევებში 7-მდე აღწევდა *(იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 7).*

რესპონდენტებიდან ეკონომიკური საქმიანობების დარგების მიხედვით, ორი მათგანი ჩართულია ტურიზმში, ორი სოფლის მეურნეობაში, ერთი ჩართულია როგორც ტურიზმში, ასევე სოფლის მეურნეობაში, ხოლო ერთი რესპონდენტი საჯარო მოხელეა *(იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 6).*

5.3 ემპირიულ მონაცემთა შეგროვება

კვლევის მიზნისა და ამოცანების წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აუცილებელი ემპირიული ინფორმაციის სრულყოფილად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოპოვებაზე. სწორედ ამიტომ, შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავს ინოვაციური ხასიათის მიდგომების გადაწყვეტების სინთეზს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ტრადიციულ მეთოდებთან.

ემპირიული ინფორმაციის მოპოვება მოხდა სიღრმისეული ინტერვიუსა და ჩართული დაკვირვების მეთოდების საშუალებით (4 შინამეურნეობა, 1 დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუ). აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში რაიმე სახის მიკერძოების თავის აცილების მიზნით, მოხდა სიღრმისეული ინტერვიუებისა აუდიო ჩაწერა. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების ხანგრძლივობა 35-45 წუთს შეადგენდა.

საველე მობილური აპლიკაცია - MAXApp-ისა და Open Street Map Tracker (OSMT) უნიკალური ფუნქციის დახმარებით შესაძლებელი გახდა ჩართული დაკვირვების პროცესში განსხვავებული ინფორმაციის შეგროვება (ფოტო, ჩანაწერი, ვიდეო და ა.შ.), ავტომატურად მისი გეოგრაფიული კოორდინატების მინიჭებით, რაც ანალიზის პროცესში შესაძლებელს გახდის საკვლევი თემის სივრცითი ასპექტების შეფასებასა და ანალიზს.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების შესახებ არასტრუქტურირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საველე სამუშაოების პროცესში გამოყენებული იქნა რეგისტრაციის ფორმები.

5.4 მონაცემთა ანალიზი

ემპირიული კვლევის ფარგლებში მოპოვებული ემპირიული ინფორმაცია გააანალიზდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის კომპიუტერიზებული (CAQDA) მეთოდით. კერძოდ, თემატური ანალიზის შვიდსაფეხურიანი მეთოდის საფუძველზე, თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა MAXQDA-ის მეშვეობით. ამ უკანასკნელის გამოყენებას ბევრი უპირატესობა აქვს, მათ შორის კოდირების ძირითად პროცესად გამოყენებას, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა კვლევის ამოცანებთან დაკავშირებული თემატური კატეგორიები. ამასთან, პროგრამა საშუალებას გვაძლევს, მოპოვებული თვისებრივი მონაცემები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გავაანალიზოთ და ეფექტურად განვახორციელოთ ანალიზის მეთოდით გათვალისწინებული ეტაპები (Kuckartz, 2014). აგრეთვე, აღსანიშნავია მისი უნიკალური შესაძლებლობა, რომლის გამოყენებითაც კოდირების პროცესში მოხდა საკვლევი შინამეურნეობების გეოგრაფიული ლოკაციების მხედველობაში მიღება, რაც კვლევის ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ სიახლეს წარმოადგენს.

მონაცემთა ანალიზის ფარგლებში, კოდირებაზე დაყრდნობით გამოიყო 8 ძირითადი თემატური კატეგორია კოდებითა (დაცული ტერიტორიის შემდგომი ცვლილებები; დაცული ტერიტორიის განვითარების მიმართ დამოკიდებულებები; მდგრადი ინიციატივები; სოციოეკონომიკური გამოწვევები; ადგილობრივი პროდუქტების მოხმარება; ადგილობრივი პროდუქტები; აგრო გამოწვევები; ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობები) და ქვე-კოდებით *(იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 1).* მთავარი კოდები ჩამოყალიბდა კვლევის კითხვებზე დაყრდნობით, ხოლო ქვე-კოდები უშუალოდ თვისებრივი მონაცემების კოდირების პროცესში. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა კოდირების პროცესში ასევე მოხდა მთავარი კოდების მოდიფიცირება *(იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 2, 3).*

5.5 კვლევის განხორციელების ეტაპები

კვლევის ყველა ეტაპი განხორციელდება შერჩეული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, საერთაშორისო ეთიკის სტადარტების დაცვით (Bergold & Thomas, 2000, p. 25; British Sociological Association, 2017).

პირველ ეტაპზე განხორციელდება საველე სამუშაოებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტისა და მონაცემთა ბაზების მომზადება.

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა შერჩეული მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების წარმომადგენლებთან (4 შინამეურნეობა) და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (1 ინტერვიუ). აგრეთვე, მოხდა ინფორმაციის შეგროვება ჩართული დაკვირვების ფარგლებში, საველე სამუშაოების პროცესში.

იმის, გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (MAXQDA) საშუალებით, საველე სამუშაოების პროცესში მოპოვებული აუდიო ჩანაწერების ტრანსკრიპტირება და შესაბამისი წესით დამუშავება მოხდა.

თავი 6. ძირითადი მიგნებები

თავი 6.1. ადგილობრივი საარსებო წყაროების ტრანსფორმაცია დაცული ტერიტორიების რეგულაცია/შეზღუდვის ფარგლებში

რესპონდენტების ნარატივებზე დაყრდნობით, მაჭახელას დაცული ტერიტორიის დაარსებამდე, მის გარშემო და არამხოლოდ, მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საარსებო წყაროს/აქტივობას წარმოადგენდა ხე-ტყის მოხმარება. ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა, როგორც ფინანსური, ასევე საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. მეტი სიზუსტისათვის, აღნიშნული ეკონომიკური აქტივობა ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოდგენდა შინამეურნეობებისათვის და ასევე, მოპოვებული შეშის გამოყენება ხდებოდა სათბობ საშუალებად.

აღსანიშნავია, რომ დაცულ ტერიტორიად გამოცხადების შემდგომ, აღნიშნული აქტივობა მკაცრად შეიზღუდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ ადგილობრივებს ხე-ტყის გამოყენების უფლება, როდესაც მათ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მისცემს გაფუჭებული მასალის გამოყენების უფლებას.

აღნიშნავენ, რომ მამაკაცები, რომლებიც დაკავებულები იყვნენ შეშის შეგროვებით ტყეში, სხვა ეკონომიკურ საქმიანობას არ ეწეოდნენ, რადგან მოპოვებული მასალა წელიწადში რამდენიმე მანქანას ავსებდა და მისი გაყიდვა საკმარისი იყო ოჯახისათვის.

„მაშინ არ იყო ასე მკაცრად მოჭრაზე და შემოსავალი იყო, ზოგი გაყიდიდა წელიწადში 2 ან 3 მანქანას, 3 მანქანა სახლში გვინდოდა მოიტანდა, თორემ ადრე არსად არ მუშაობდა.“ (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

რესპონდენტების ოჯახების მაგალითზე ნათელია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებულები იძულებულები გახდნენ დაცული ტერიტორიის შეზღუდვების შემდგომ შეეცვალათ თავიანთი ეკონომიკური აქტივობა და სხვა სფეროში გადასულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით გამოვლინდა სამუშაო მიზნით მიგრაციის ზრდა. მეტი სიზუსტისათვის, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი

ოჯახის წევრები და ასევე მეზობლების ნაწილი სამუშაოდ ბათუმსა და თურქეთში გადავიდნენ.

„ მუშაობდნენ და ტყეს დაანებეს თავი რადგან აიკრძალა, ხეს და რამეს ვერ მოჭრი, სიმწვანე მეტი იყოსო და ამიტომ“ (მამრობითი, 28 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი)

„შეშაზე აზრი აღარ ჰქონდა და დაიწყო სოკარში მუშაობა, გაზები გაყავს, ბათუმის სოკარშია და ბინებში გაზი შეყავთ, ხელოსანია და სვარკაზეა ... სხვებიც, მარტო ჩემს ქმარზე არ არის. იყვნენ მეგობრები, ახლა თურქეთში არიან წასული .., ისიც თურქეთშია წასული, იმასაც დიდი მანქანა ჰყავდა, ასე მუშაობდა, რიზალია კიდევ, ბევრი არიან, ელდარი“ (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

ინტერვიუებზე დაყრდნობით დგინდება, რომ მათი ეკონომიკური ტრანსფორმაცია არ მოხდა მათივე დასახლების ფარგლებში და სხვა მიმართულებით არჩიეს მუშაობის გაგრძელება. ამ კუთხით, ერთ-ერთ მიზეზად სახელდება მიწის მცირემოსავლიანობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის მცირე შესაძლებლობები მოსავლის რაოდენობიდან გამომდინარე.

დაცული ტერიტორიის შეზღუდვები აგრეთვე მკაცრად ითვალისწინებს მსგავსი ტიპის ტერიტორიაზე ნადირობის აკრძალვას. მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული აქტივობა ხე-ტყის გამოყენების მსგავსად, სრულად არ წარმოადგენდა საარსებო წყაროს შინამეურნეობებისათვის, რადგან არ გამოიყენებოდა კომერციალიზაციისათვის და ხეობის მოსახლეობისათვის უმეტესად ერთ-ერთ მთავარ ტრადიციულ პრაქტიკას წარმოადგენდა.

„შეცვლით დიდი არაფერი არ შეუცვლია, მაგრამ ტყეში აქ ჩვენი ტრადიციები გვქონდა, ვნადირობდით, დავდიოდით შეშას ვამზადებდით. ეხლა თოფით ტყეში არ გვიშვებენ. ეხლა ხის მოჭრა კი არა ტანის მოჭრა არ შეიძლება, ესეც ხომ შეზღუდვაა, მაინც და მაინც ხე ძირს უნდა ეგდოს და თუ ლპება ხათრით მოგვცემენ და ასეთი შეზღუდვებია. ჩვენ მიჩვეული ვიყავით ვნადირობდით, ღორზე, დათვზე ნადირობა იყო და ეხლა შეგვიზღუდეს, თოფები გვაქვს ყველანაირი, მაგრამ ალბათ ღობეს დავღუპავთ. პოლიციელი ამბობს სოფელში შიგნით სროლა არ შეიძლება. ტყეში

შეიძლება, მაგრამ ტყეში ისინი ამბობენ, რომ თოფით გავლა არ შეიძლება, საინტერესო ამბავია!“ (მამრობითი, 78 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი)

თავი 6.2. დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდგრადი ინიციატივების ადაპტირება და დამოკიდებულებები ადმინისტრაციის გადაწყვეტების მიმართ

მაჭახელას დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელთან განხორციელებული სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციამ UNDP-ის მხარდაჭერით ხე-ტყის მოხმარების შეზღუდვიდან გამომდინარე ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე ახალი გამოწვევის - შეშის საჭიროების გადაწყვიტა. მეტი ინფორმაციისათვის, აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, დაცული ტერიტორია ადგილობრივი მოსახლეობის შეშის ნაცვლად, თხილის ნაჭუჭის შეძენაში დაეხმარა. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ აღნიშნული რადიკალური ტრანსფორმაცია და მსგავსი სახის მდგრადი გადაწყვეტა ერთ-ერთ ინოვაციურ პრაქტიკას წარმოადგენს ახალი ფორმირებული მაჭახელას დაცული ტერიტორიის ისტორიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოპოვებულ ინტერვიებზე დაყრდნობით, რესპონდენტების უმეტესობა, დადებითად აფასებს შეშის ალტერნატივად თხილის ნაჭუჭის მოხმარების ახალ პრაქტიკას რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, ისინი აღნიშნავენ, რომ ამ უკანასკნელის ტრანსპორტირება ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ტყიდან ხის გამოტანა. მეორე, ეს პროცესი ბევრად ნაკლებ დროით დანახარჯს მოითხოვს და ასევე, შეშასთან შედარებით უფრო ხელმისაწვდომია.

„თხილის ნაჭუჭი მოვიტანეთ და რაც მოგლეჯილი ხეები იყო ისინი დაგვინომრეს და მოვიტანეთ, ნაჭუჭიც, მაგრამ ეს ეროვნული ის ძალიან შორს დარჩა შიშის პრობლემაა, ხალხს ძალიან უჭირს, 1 კვირა უნდა ჩამოყაროს რომ ჩამოიტანოს მანქანის გზაზე და იქედან შინ მოიტანოს, ძალიან საწვალებელია.“ (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

მიუხედავად, აღნიშნული პრაქტიკის წარმატებით ადაპტირების სამწლიანი დადებითი ეტაპებისა და შეშის ჩანაცვლებისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში თხილის ნაჭუჭის ფასმა მკვეთრი ზრდა დაიწყო, რის გამოც ამჟამად მისი მდგრადობის საკითხი ეჭვქვეშ დგას.

"ნაჭუჭს რა აზრი აქვს თუ გაძვირდა, ნაჭუჭი იმით იყო კარგი, რომ დაპობა არ დასჭირდა, დავაწყვეთ და კარგი დარჩა, ტყეში წასვლა და წვალება, ეზოში მოგვიტანეს კმაყოფილი ვართ და ჩვენ არ გვიწევს წასვლა და წვალება. ეზოში მოიტანეს და ეზოში ეპატრონები, მაგრამ ძალიან თუ გაძვირდა ..." (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

"ეს პარკის პროგრამით არის, მაგალითად შარშანწინ იყო პარკმა დააფინანსა და ტონა შეიძინა ხალხმა 80 ლარში და შარშან ჩვეულებრივ 160 ლარში შევიძინეთ ტონა, გაგვიძვირდა უკვე." (მდედრობითი, 44 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი).

"ეხლა კი დაგვეხმარა თხილის ნაჭუჭი, ძალიან კარგი იყო, მაგრამ ეს შეშა მე მომავლისთვის შევინახე, ამბობენ, რომ ფაროსანა ძალიან მიადგა თხილს და შეიძლება უფრო გაძვირდეს. წელს ტონაში მივეცით 160 ლარი.. პირველად რომ მოვიდა მაშინ 120 ლარი იყო ტონა, მაშინ კარგი იყო და ყოველ წელს თუ ფასებმა იმატა მაშინ ნამდვილად ვეღარ ვიყიდით მაგ თხილის ნაჭუჭსაც." (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

თავი 6.3. დამოკიდებულებები მაჭახელას ეროვნული პარკის მიმართ: მოლოდინები და პერსპექტივები

რესპონდენტების ნარატივებზე დაყრდნობით, უმეტესობა მათგანი დადებითად აფასების ხეობისათვის მაჭახელას ეროვნული პარკის განვითარებას. მათი პოზიტიური დამოკიდებულება განპირობებულია რამდენიმე ძირითადი ასპექტით, მათ შორის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებით, დამატებითი შემოსავლის წყაროების გაჩენით, ადგილობრივი პროდუქტებისათვის რეალიზაციის ბაზის განვითარებით, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების ხეობაში დაბრუნებისა და დასაქმების და ა.შ.

„ ძალიან კარგია იმიტომ, რომ ტურისტი მეტი შემოვა სოფელში, თანდათან უფრო მოემატება, შარშან ჩვენთან უფრო მეტი ტურისტი იყო ვიდრე შარშანწინ და ასეთი *რაღაც რომ იქნება ძალიან მოხარული ვარ..მე შეიძლება ოჯახში ყველი, მაწონი გავაკეთე მივიტან გავყდი და ჩემთვისაც კარგია". (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).*

„ახალი გზა მიეცათ, მაგრამ მე რასაც ვუყურებ ჩემი აზრით .. ახალგაზრდებს მიწაზე მუშაობა ეზარებათ და შეიძლება მერე სოფელს ფასი მოუვიდეს და დამსვენებლები რომ მოვლენ შეიძლება შემობრუნდეს ახალგაზრდობა და ამოვიდეს უფრო მერე, დააინტეერსოს..“ (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

„რა თქმა უნდა, რაც რეკლამები წავიდა მაჭახელზე, მანამდე არც იცოდნენ სად არის მაჭახელა.“ (მდედრობითი, 44 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი).

„.მინდორი რომ არის აქ სულ დამსვენებლები მოდიან და სუფრები რომ იშლება საჭმლის გაკეთებაა თუ რამე ვეხმარებით და ეს დამატებით შემოსავალია.“ (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

აღსანიშნავია, რომ უარყოფითი დამოკიდებულების მთავარ მიზეზად სახელდება მოსალოდნელი შეზღუდვების გავრცელება.

„ეროვნული პარკის ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით იმიტომ, რომ ახალი რაღაც პირველად საწყის ეტაპზე მეტ პრობლემას ქმნის ვიდრე სიკეთეს, საბოლოო ჯამში შეიძლება მეტი სიკეთე მოიტანოს, მაგრამ პირველად ხომ იცით ადამიანი თავისუფლად არის მიჩვეული. ვთქვათ გაშლილი ფრთებით ხარ და გვიწევს 2 კედელი ავაშენოთ, უკვე აღარ ვართ ფრთებგაშლილი. ასე ხდება, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები გარკვეულწილად გამოცოცხლებული მაინც ვერ არიან, 3, 4 წელია რაც არიან“. (მამრობითი, 78 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი).

მაჭახელას დაცული ტერიტორიის წარმომადგენლის მხრიდან ინტერვიუს პროცესში აგრეთვე აღინიშნა ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროების, სახელდობრ ხე-ტყის გამოყენებისა და ნადირობის შეზღუდვის პროცესში, მისი პრევენციის კუთხით მოხდა ადგილობრივი რეინჯერების დასაქმება. მეტი სიზუსტისათვის, მკვიდრი მოსახლის მხრიდან მსგავსი აქტივობების აღკვეთა ბევრად უფრო მარტივი გახდა სხვა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ვიდრე ეს იქნებოდა გარეშე პირის შემთხვევაში. შესაბამისად, მსგავსი შეზღუდვების ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივი რეინჯერების ჩართულობამ და მათ მიმართ მკვიდრი მოსახლოების სანდო და რიგ შემთხვევებში მეგობრულ-ნათესაურმა ურთიერთობებმა.

თავი 6.4. მაჭახელას დაცული ტერიტორიის მოსახლეობის გამოყენებული კაპიტალი ტურიზმის, როგორც ალტერნატიული საარსებო წყაროს ადაპტაციის მიზნით

ეკონომიკური/ფინანსური კაპიტალი - აღნიშნული კაპიტალი ძირითადად წარმოდგენილია კერძო ინფრასტრუქტურის სახით, რომელსაც ფლობენ მაჭახელას ეროვნული პარკის გარშემო მცხოვრები ადამიანები. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი თავიანთ პირად საცხოვრებელ სახლებს ავითარებენ/ანახლებენ და იყენებენ ტურისტების მისაღებად. აგრეთვე, ფლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, რომლებსაც პირადი მოხმარებისათვის ამუშავებდნენ ძირითადად, ახლა უკვე შესაძლებლობა აქვთ რომ ვიზიტორებს თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით გაუმასპინძლდნენ. ფინანსური კაპიტალის კუთხით, რესპონდენტების ნაწილს მოპოვებული აქვს ადგილობრივი და/ან საერთაშორისო დაფინანსებები, რომელთა ფარგლებშიც ხელი შეუწყვეს საკუთარი, ოჯახის ტურისტული ბიზნესის განვითარებას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხული რესპონდენტების ნაწილმა საკუთარი პირადი ინვესტიცია/სახსრებიც მოახმარა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

კულტურული კაპიტალი - საველე სამუშაოების ფარგლებში მოპოვებულ ნარატივებზე დაყრდნობით იკვეთება მაჭახელას ხეობის მკვიდრი მოსახლეობის კულტურული კაპიტალის სახეები. მათ შორის აღსანიშნავია, სახლში დამზადებული ტრადიციული კერძები, ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები (მაგ: მაჭახელას ხეობის ნიშა - თოფი), მიმღები ოჯახების ადგილობრივი ფოლკლორული დადგმები ტურისტებისათვის. აღნიშნული კაპიტალი ავთენტურია მაჭახელას ხეობის და შესაბამისად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ მომსახურებას წარმოადგენს, თავისი განსაკუთრებული ტრადიციული მნიშვნელობით.

სოციალური კაპიტალი - სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სოციალური კაპიტალის ფარგლებში გაერთიანებულია მათი კავშირები ტურისტულ ოპერატორებთან, ტაქსის მძღოლებთან, ბათუმის ტურიზმის ადმინისტრაციასთან და ასევე, მაჭახელას

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა განცხადებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზემოთ აღნიშნულ ინსტიტუტებთან, ინდივიდუალურ პერსონებთან მჭიდრო ურთიერთობებს, რადგან სწორედ მათ რეკომენდაციაზე არის დიდწილად დამოკიდებული მათი ტურისტების რაოდენობა.

ადამიანური კაპიტალი - ამ კუთხით რესპონდენტები ძირითადად მათი და მათი ოჯახების წარმომადგენლების დაგროვილ დიდი გამოცდილებას ადგილობრივი ტრადიციული კერძების მომზადების კუთხით. ასევე აღნიშნავენ მათ უპირატესობას სხვა ტურისტულ ოპერატორებთან და გიდებთან შედარებით, რომ კარგად იცნობენ, როგორც ცნობილ ასევე უცნობ ადგილობრივ ბუნებრივ და კულტურულ ტურისტულ ატრაქციებს. ამასთან, ასახელებენ, რომ ფლობენ საბაზისო ცოდნას ტურისტების მომსახურების კუთხით. ამ შემთხვევაში მათი მხრიდან ხდება იმ ტრენინგებისა და კურსების აღნიშვნა, რომლებიც მაჭახელას ეროვნული პარკისა და და ტურიზმის ადმინისტრაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით განხორციელდა ვიზიტორების მომსახურების მიმართულებით საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენის კუთხით.

თავი 6.5. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები

რესპონდენტების ნარატივებზე დაყრდნობით, უმთავრეს გამოწვევად სახელდება მაჭახელას ხეობის მკვიდრი მოსახლეობის მიგრაცია დასაქმების თვალსაზრისით. რესპონდენტების მიხედვით, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი არის იმდენად მცირე, რომ არ არის საკმარისი მათი ცხოვრებისათვის. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ძირითადად სეზონურად თურქეთში მუშაობს ჩაის პლანტაციებში, აგრეთვე დიდი ნაწილი ქალაქ ბათუმში არის დასაქმებული სხვადასხვა პოზიციებზე.

„ყველაფერს მოვიხმართ, ვერაფერს ვერ ვყიდით ისეთი ფასებია. სახლში ადგილზე გვაქვს ყველი, კვერცხი, სოფლის რაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველაფერი გვაქვს, მაგრამ გაყიდვით რა გითხრათ, ჩვენთან რაც მოდის იმ დროს მართლა კაპიკებია და მგზავრობას და ადგილს არ ეყოფა ეს თანხა რომ წაიღო და გაყიდო და იმდენიც ვერ

მოგვყავს, არ არის ისეთი მოსავლიანი“ (მდედრობითი, 44 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი).

„თურქეთში დავდივართ სეზონზე, აბა რა ვქნათ 120 ლარი არაფერში არ გვყოფნის და გინდა არ გინდა უნდა წავიდე ვიმუშაო. წელიწადში 3 თვე არის ეგ სეზონიც მეტი არ არის და სეზონურად მანდ ვმუშაობთ“. (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

„ჩემი მეუღლე საბურავებს ყიდის ბათუმში.“ (მდედრობითი, 44 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი).

„შეშაზე აზრი აღარ ჰქონდა და დაიწყო სოკარში მუშაობა, გაზები გაყავს, ბათუმის სოკარშია და ბინებში გაზი შეყავთ, ხელოსანია და სვარკაზეა..“ (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ხეობაში ტურიზმის პროვოცირებას დადებითად აფასებს მათი სამომავლო შემოსავლების ზრდის კუთხით. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე აღნიშნავენ, რომ ტურიზში სრულ ინტეგრირებას მათი, როგორც ფინანსური ასევე ადამიანური კაპიტალის გამოყენებით ვერ ახერხებენ, აღნიშნული სექტორის მდგრადობის რისკის კუთხით. ინტერვიუებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ ის რესპონდენტებიც, რომლებიც საოჯახო სასტუმროებს მართავენ, ცდილობენ პარალელურად შეინარჩუნონ თავიანთი სამუშაო ადგილები. ამ მიმართულებით, ჯერჯერობით მკვირდი მოსახლეობის ნაწილი რისკის გაწევისაგან თავს იკავებს და ტურიზმს, როგორც დამატებით, მაგრამ არა მთავარ საარსებო წყაროს ისე იერთებენ ეკონომიკური საქმიანობის პროცესში.

- ... მე ძალიან ისეთი სამსახური არ მაქვს, მაგრამ მართლა ვერ მივატოვებ მათ იმედად ... რომ მეცოდინება ნამდვილად რაღაც მაშინ კი, მიღირს და ახლა ასე არაფრისთვის“. (მდედრობითი, 44 წლის, ტურიზმი, ზედა ჩხუტუნეთი).

„შეიძლება სტუმარი მოვიდეს ჩაი და ყავა დალიოს, მაგრამ არ არის ისეთი სვლები, რომ ჩვენ ეს გავრისკოთ და დიდი რაღაც გავაკეთოთ, თორემ არც ბოსტანი არ

მადარდებს, ეზოც საკმაოდ მაქვს და შემიძლია რომ გავაკეთო“. (მდედრობითი, 48 წლის, სოფლის მეურნეობა, ზედა ჩხუტუნეთი).

თავი 7. დასკვნა

საპილოტე კვლევითი პროექტის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ერთ-ერთ ძირითად დასკვნად მივიჩნიოთ, რომ მაჭახელას დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესში დაწესებულმა შეზღუდვამ ხე-ტყის მასალის გამოყენებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამ საქმიანობაში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს ტრანსფორმაციაზე. აღსანიშნავია, რომ არსებული რეგულაციის პირობებში მათი ეკონომიკური ტრანსფორმაცია არ მოხდა მათივე დასახლების ფარგლებში და სხვა მიმართულებით არჩიეს მუშაობის გაგრძელება (ბათუმი, თურქეთი).

აღსანიშნავია, რომ მაჭახელას დაცული ტერიტორიის მიერ ადაპტირებული ახალი პრაქტიკის - თხილის ნაჭუჭის გამოყენება შეშის ნაცვლად სამწლიანი დადებითი ეტაპებისა და წარმატებით ჩანაცვლების მიუხედავად ბოლო წლებში ფასის მკვეთრი ზრდიდან გამომდინარე მისი მდგრადობის საკითხი ეჭვქვეშ დგას.

კვლევის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა, რომ მაჭახელას დაცული ტერიტორიის მოსახლეობის უმეტესობის პოზიტიური დამოკიდებულება მაჭახელას ეროვნული პარკის განვითარების მიმართ განპირობებულია რამდენიმე ძირითადი ასპექტით, მათ შორის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებით, დამატებითი შემოსავლის წყაროების გაჩენით, ადგილობრივი პროდუქტებისათვის რეალიზაციის ბაზის განვითარებით, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების ხეობაში დაბრუნებისა და დასაქმების და ა.შ. ხოლო უარყოფითი დამოკიდებულების მთავარ მიზეზად წარმოდგენილია ძირითადად მოსალოდნელი შეზღუდვების გავრცელება.

მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, ერთ-ერთ დასკვნას წარმოადგენს მაჭახელას ხეობის მოსახლეობის სამუშაო მიგრაციის მიზეზები, რომელთა შორისაც ძირითადად იკვეთება სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის პირობებში მიღებული შემოსავალის სიმცირე. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ ხეობაში ტურიზმის განვითარებას სამუშაო მიგრაციის შემცირების მიმართულებითაც დადებითად აფასებენ.

კვლევის ერთ-ერთ საყურადღებო დასკვნას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადგილობრივები, რომლებიც საოჯახო სასტუმროებს მართავენ, ცდილობენ პარალელურად შეინარჩუნონ თავიანთი სამუშაო ადგილები. ამ მიმართულებით, ჯერჯერობით მკვირდი მოსახლეობის ნაწილი რისკის გაწევისაგან თავს იკავებს და ტურიზმს, როგორც დამატებით, მაგრამ არა მთავარ საარსებო წყაროს ისე იერთებენ ეკონომიკური საქმიანობის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

Adiyia, B., Vanneste, D., & Van Rompaey, A. (2017). The poverty alleviation potential of tourism employment as an off-farm activity on the local livelihoods surrounding Kibale National Park, western Uganda. *Tourism and Hospitality Research*, *17*(1), 34–51. https://doi.org/10.1177/1467358416634156

Ahebwa, W. M. ., & Duim, V. R. van der. (2013). Conservation, livelihoods and tourism: A case study of the Buhoma-Mukono Community-based Tourism Project in Uganda. *Journal of Park and Recreation Administration*, *31*(3), 96–114. Retrieved from https://www.wur.nl/en/Publication-details.htm?publicationId=publication-way-343432343937

Bergold, J., & Thomas, S. (2000). Participatory Research Methods: A Methodological Approach in Motion. *Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research*, *13*(1). Retrieved from http://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/1801/3334

British Sociological Association. (2017). *Statement of Ethical Practice*. Retrieved from www.britsoc.co.uk

Casellas, A. (2002). *Moving from decline to revival in post-industrial cities: an examination of why Baltimore's tourism strategies do not work* (Working Paper). Institute for Policy Studies, Johns Hopkins University.

Chambers, R., & Conway, G. R. (1991). Sustainable Rural Livelihoods: Practical Concepts for the 21st Century. *Ids Discussion Paper*, *296*(Brighton: Institute of Development Studies, University of Sussex), 29. https://doi.org/ISBN 0 903715 58 9

Claudio, Q., Margherita, P., & Monica, R. (2003). Sustainable Tourism Indicators: a Mapping of the Italian Destinations, 1–14.

Clements, T., Suon, S., Wilkie, D. S., & Milner-Gulland, E. J. (2014). Impacts of Protected Areas on Local Livelihoods in Cambodia. *World Development*, *64*, S125–S134. https://doi.org/10.1016/J.WORLDDEV.2014.03.008

De Pourcq, K., Thomas, E., Arts, B., Vranckx, A., Léon-Sicard, T., & Van Damme, P. (2017). Understanding and Resolving Conflict Between Local Communities and Conservation Authorities in Colombia. *World Development*, *93*, 125–135. https://doi.org/10.1016/J.WORLDDEV.2016.12.026

Diego Juffe-Bignoli, A., Bingham, H., MacSharry, B., Deguignet, M., Lewis, E., Milam, A., & Kingston, N. (2017). *World Database on Protected Areas User Manual 1.5*. Retrieved from http://wcmc.io/WDPA_Manual

Driscoll, D. L., Salib, P., & Rupert, D. J. (2007). Merging Qualitative and Quantitative Data in Mixed Methods Research : How To and Why Not, 18–28.

Given, L. M. (2008). *The SAGE Encyclopedia of Qualitative Research Methods | SAGE Publications Inc* (Vol. 2).

International Union for Conservation of Nature and Natural Resources. (1982). *The World National Parks Congress, Bali, Indonesia 11-22 October, 1982*. International Union for Conservation of Nature and Natural Resources [and] Indonesian Directorate-General of Forestry. Retrieved from https://portals.iucn.org/library/node/6165

Kuckartz, U. (2014). *Qualitative Text Analysis: A Guide to Methods, Practice and Using Software*. Sage.

Machakhela National Park Tourism Development Strategy and Plan of Action. (2016).

Nathan James Bennett, & Philip, D. (2014). Why local people do not support conservation: Community perceptions of marine protected area livelihood impacts, governance and management in Thailand. *Marine Policy*, *44*, 107–116. https://doi.org/10.1016/J.MARPOL.2013.08.017

Nepal, S. K. (1997). Sustainable tourism, protected areas and livelihood needs of local communities in developing countries. *International Journal of Sustainable Development & World Ecology*, *4*(2), 123–135. https://doi.org/10.1080/13504509709469948

Puma B. Chhetri, Edmund G.C. Barrow, and A. M. (Ed.). (2004). *Securing protected area integrity and rural people's livelihoods : lessons from twelve years of the Kibale and Semliki Conservation and Development Project*. IUCN Eastern Africa Regional Programme. Retrieved from https://islandpress.org/book/securing-protected-area-integrity-and-rural-peoples-livelihoods

Puntscher, S., Huy, D. T., Walde, J., Tappeiner, U., & Tappeiner, G. (2017). The acceptance of a protected area and the benefits of sustainable tourism: In search of the weak link in their relationship. Retrieved from http://eeecon.uibk.ac.at/

Qian, C., Sasaki, N., Jourdain, D., Kim, S. M., & Shivakoti, P. G. (2017). Local Livelihood under Different Governances of Tourism Development in China – A Case Study of Huangshan Mountain Area. *Tourism Management*, *61*, 221–233. https://doi.org/10.1016/J.TOURMAN.2017.01.006

Sakdapolrak, P. (2014). Livelihoods as social practices – re-energising livelihoods research with Bourdieu's theory of practice. *Geographica Helvetica*, *69*(1), 19–28. https://doi.org/10.5194/gh-69-19-2014

West, P., Igoe, J., & Brockington, D. (2006). Parks and Peoples: The Social Impact of Protected Areas. *Annual Review of Anthropology*, *35*(1), 251–277. https://doi.org/10.1146/annurev.anthro.35.081705.123308

Woods, M. (2011). *Rural*. Routledge.

გურიელიძეზურაბ. (2002). დაცული ტერიტორიები. In მაჭარაშვილიირაკლი (Ed.), აფთარი, გიურზა და სხვები. სამოქალაქო განათლების განყოფილება.

დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2017). აღკვეთილი. Retrieved January 1, 2018, from http://apa.gov.ge/ge/protected-areas/managedReserve

დანართი

დიაგრამა #1 საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რაოდენობა 2007-2017 წწ.



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #2 ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ.



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #3. ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2017წ.



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #4. ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2017წ.



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #5. საერთაშორისო ვიზიტორები



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #6 ვიზიტორების რაოდენობა მაჭახელას დაცულ ტერიტორიაზე (2007-2017წწ)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #7. ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები (2016-2017წწ)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #8. 2017 წლის სამეცნიერო კვლევები დაცულ ტერიტორიებზე



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #9. 2017 წლის განმავლობაში კვლევებზე გაცემული ნებართვები



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #10. ქართველი და უცხოელი მკვლევარები 2017 წლის მონაცემებით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა #11. 2017 წლის კვლევების დარგების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა 12. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2014-2017წწ.



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა 13. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურა 2014-2017წწ



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

დიაგრამა 14. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელი 2014-2017წწ.



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://apa.gov.ge/ge/

MAXQDA გრაფიკი 1. კოდებისა და ქვე-კოდების სისტემა



MAXQDA გრაფიკი 2. თემატური კოდირების პროცესი პროგრამა MAXQDA-ში



MAXQDA **გრაფიკი 3. კოდირებული ტექსტის წილი მთლიან ინტერვიუში**



MAXQDA **გრაფიკი 4. რესპონდენტთა სქესი**



MAXQDA **გრაფიკი 5. რესპონდენტთა განათლების დონე**



MAXQDA **გრაფიკი 6. რესპონდენტთა ეკონომიკური საქმიანობის დარგები**



MAXQDA **გრაფიკი 7. რესპონდენტთა შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა**



MAXQDA **გრაფიკი 8. ადგილობრივი პროდუქტები და მათი გამოყენება**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა
I სემესტრის დოქტორანტი
ნინო სამხარაძე

სადოქტორო სემინარი

,,იუგოსლავიის და ჩეხოსლოვაკიის დაშლა: ნაციონალიზმის როლი ორ პროცესში ‘‘

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ზვიად აბაშიძე

თბილისი
2019

შესავალი

მე-20 საუკუნის მსოფლიო წესრიგი არაერთი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისა და მათი დაშლა-გაქრობის მოწმეა: საუკუნის დასაწყისში შექმნილი მრავალეთნიკური ფედერაციული სახელმწიფოები ბოლო ათწლეულის დასაწყისში ერთმანეთის მიყოლებით დაიშალნენ განსხვავებული ფორმით, მრავალფეროვან გარემოებებში და სხვადასხვა მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი შედეგებით.

იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების დაშლის შედეგად 1918 წელს შეიქმნენ. საკვანძო საერთაშორისო მოვლენების გათვალისწინებით დაახლოებით 70-წლიანი არსებობის მანძილზე თითოეულ სახელმწიფოს თითქმის მსგავსი ისტორიული განვითარება ხვდა წილად: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი კომუნისტური მმართველობის ქვეშ მოექცნენ, ხოლო 1980-იანი წლების ბოლოს აშკარა გახდა ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ იდენტობის კრიზისი, რომელიც განვითარდა როგორც იუგოსლავიაში, ისე ჩეხოსლოვაკიაში. ერთი მხრივ, სერბული დომინაციით გამოწვეული ეროვნული პროტესტების ტალღა იუგოსლავიაში საშიშად მძაფრი გახდა, რისი კონტროლიც მმართველობა პოლიტიკურმა ელიტამ ბელგრადიდან ვეღარ შეძლო და, საბოლოოდ, 1991 წელს იუგოსლავია დაიშალა ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე შიდა სისხლისმღვრელი და სასტიკი სამოქალაქო ბრძოლების თანხლებით. მეორე მხრივ, აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში ბევრად უფრო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკია იმავე 1991 წლის ე.წ. „ხავერდოვანი რევოლუციით“ კომუნისტური მმართველობისგან გათავისუფლდა. ქვეყნის ახალ მმართველობას წინ გამოწვევის სახით ჩეხი და სლოვაკი ხალხების თანაცხოვრება დაუდგა. თუმცა ვაცლავ ჰაველის მთავრობამ არც თუ ისე მარტივად, მაგრამ მაინც სრულიად უმტკივნეულოდ შეძლო, სათავეში ჩადგომოდა ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიან გაყოფას სლოვაკეთად და ჩეხეთის რესპუბლიკად 1993 წელს.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია, დაადგინოს, თუ რამ განაპირობა მსგავსი ისტორიული და პოლიტიკურ-იდეოლოგიური განვითარების მქონე სახელმწიფოების თვალშისაცემად განსხვავებულ პირობებში დაშლა. ამ მიზნით იუგოსლავიის და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკების დაშლის მიზეზების შესახებ მიმდინარე აკადემიური დისკუსიის მიმოხილვის გზით მოხდება მნიშვნელოვანი პროცესთა საერთო და განსხვავებული მარკერების გამოკვეთა, მათი იდენტიფიცირება საერთაშორისო პრესაში, ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის კვლევებში, სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიმღები პირების გამონათქვამებსა და ქცევებში. შედარებით პერსპექტივაში ნაციონალიზმის როლის გასაზომად მოხდება ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმების ძირითადი მახასიათებლების შეპირისპირება ორი შემთხვევის მაგალითზე.

ამისთვის ნაშრომში ისტორიული ფონისა და მოვლენათა ზოგადი განვითარების მოკლე მიმოხილვის შემდეგ თავდაპირველად წარმოდგენილი იქნება შესაბამისი თეორიული ბაზა, რომელიც ახსნის სხვადასხვაგვარი ნაციონალიზმის წილს ამ მოვლენებში. მომდევნო ნაწილში საკითხების გარშემო შექმნილი მნიშვნელოვანი ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, რა ძირითადი ფაქტორების შესახებ ამახვილებენ მეცნიერები ყურადღებას, როგორ უყურებენ ისინი ორი რესპუბლიკის დაშლის გარემოებებს შედარებით პერსპექტივაში და როგორ ხედავენ საკუთრივ ნაციონალიზმის სტრატიფიკაციას ჩვენ მიერ შერჩეულ ორ საკვლევ პროცესში. ნაშრომის მესამე და ძირითადი ქვეთავი დაეთმობა წინა თავებში გამოკვეთილი მარკერების ანალიზს და შედარებას. აღნიშნულ ნაწილში სხვადასხვა ფაქტორებს შორის აქცენტი გაკეთდება ნაციონალიზმ(ებ)ის მნიშვნელობაზე.

ისტორიული ფონი და მოვლენათა განვითარება

როგორც უკვე ვახსენეთ, იუგოსლავიას და ჩეხოსლოვაკიას თითქმის მსგავსი ისტორიული განვითარება ჰქონდათ. 1918 წელს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში რამდენიმე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი და ხალხი ამ ორი სახელმწიფოს საზღვრებში გაერთიანდა. სერბები, ხორვატები, მაკედონელები, ბოსნიელები, სლოვენიელები და მონტენეგროელები იუგოსლავიის სამეფოში მოექცნენ სერბული დომინაციის ქვეშ. სლოვაკები და ჩეხი მორავიელები და ბოჰემიელები კი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკად ჩამოყალიბდნენ.

იუგოსლავიის სამეფო ძალიან სწრაფად და მარტივად იქცა დიქტატორულ რეჟიმად, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც იუგოსლავიის სამეფო მარშალ იოზეფ ბროზ ტიტოს მკაცრი სამხედრო დისციპლინის ქვეშ აღმოჩნდა. გაპრემიერებული ტიტო იუგოსლავიის სამეფო მმართველობას დაუპირისპირდა და თავისი მრავალრიცხოვანი ძალაუფლების მქონე მხარდამჭერებით ჯერ პრემიერ-მინისტრი გახდა, ხოლო შემდეგ პირველი პრეზიდენტი. ტიტოს მმართველობა სამართლიანადაა მიჩნეული ავტორიტარულ მმართველობად, ცენტრალიზებული ეკონომიკური, სოციალური თუ ეროვნული პოლიტიკით, რაც დიქტატურის ნიშნებს ატარებდა ტიტოს მთელი მმართველობის განმავლობაში, თუმცა ნაციონალისტური სენტიმენტები მისი მმართველობის სტილში ნაკლებად იგრძნობოდა. რეჟიმის შესახებ მნიშვნელოვანი ცვლილებები არც 1980 წელს მისი გარდაცვალების და იუგოსლავიის სათავეში სერბი ნაციონალისტის - სლობოდან მილოშევიჩის მოსვლის შემდეგ მომხდარა.

შედარებით უფრო განსხვავებული გამოწვევების წინაშე იდგა ასევე 1918 წელს შექმნილი ჩეხოსლოვაკია გარეგანი კომუნისტური ძალადობის სახით. ამის ყველაზე თვალშისაცემი გამოხატულება საერთაშორისო საზოგადოებისთვის 1968 წლის პრაღის გაზაფხული იყო, როდესაც პრაღაში საბჭოთა ტანკები შევიდნენ სტუდენტური პროტესტის ჩასახშობად. თუმცა, საბოლოოდ, ეს მოვლენა მძიმე და სისხლისმღვრელ რეპრესიებში გადაიზარდა. მას შემდეგ ე.წ. „ნორმალიზაციის“ პერიოდი დადგა,

როდესაც ადგილობრივმა კომუნისტურმა მმართველობამ კიდევ უფრო გაამკაცრა რეჟიმი და აუტანელი გახადა ის ჩეხოსლოვაკი საზოგადოებისთვის. რასაც 1990-იანი წლების დასაწყისის ხავერდოვანი რევოლუცია და პირველი მრავალპარტიული არჩევნები მოყვა. კომუნისტური რეჟიმის რღვევის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ახალი დემოკრატიული მთავრობა დადგა საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე: ერთი მხრივ, მას უნდა განესაზღვრა, თუ როგორ მოხდებოდა ამიერიდან ორი სხვადასხვა ხალხის თანაცხოვრება, ხოლო მეორე მხრივ, ამის პარალელურად უნდა მომხდარიყო ეკონომიკური და სოციალური ფონის სოციალისტური ნარატივიდან უმტკივნეულოდ გადასვლა ახალ რელსებზე. განსაკუთრებული მოვლენა იყო 1992 წელს ვაცლავ კლაუსის „სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის“ (ODS) გამარჯვება არჩევნებში და მისი სლოვაკ კოლეგასთან სლოვაკეთის დემოკრატიული განვითარების პარტიის (HZDS) ლიდერთან ვლადიმერ მეჩიართან დაპირისპირება ერთ სახელმწიფოში მომავალი თანაცხოვრების შესახებ. ორი პოლიტიკური ლიდერის მწვავე დაპირისპირების ფონზე პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა პარლამენტს საკითხის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება შეთავაზა, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ 1992 წლის 25 ნოემბერს ფედერალურმა პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა „გაყოფის კანონი“. შედეგად 1993 წლის 1 იანვარს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა.

იუგოსლავია შედარებით უფრო მრავალფეროვანი ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ნაერთი იყო: ის შედგებოდა ექვსი რესპუბლიკისგან და ორი ავტონომიური რეგიონისგან. 1990-იანი წლების მიჯნაზე მასობრივი პროტესტების ტალღამ ქვეყანას გადაუარა როგორც რესპუბლიკების, ისე შიდა-რესპუბლიკური ეროვნული მოძრაობების დონეზე. 1991 წლის ივნისში სლოვენიამ და ხორვატიამ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, ამავე წელს მათ მიყვნენ ბოსნია-ჰერცოგოვინა და მაკედონია. 1991-1992 წლებში ერთმანეთის მიყოლებით აცხადებდნენ დამოუკდიებელ სახელმწიფოებს ხორვატიაში მცხოვრები სერბები (კრაინას რესპუბლიკა, 1991 წლის დეკემბერი), ალბანელი კოსოვოელები (1991 წლის დეკემბერი), სერბეთის რესპუბლიკა ბოსნია-ჰერცოგოვინაში (1992 წლის მარტი),

ხორვატი ბოსნიელები (1992 წლის ივლისი). თუმცა, რა თქმა უნდა, საერთაშორისო აღიარების გარეშე მათი დამოუკდებელ სახელმწიფოებად ფუნქციონირება შეუძლებელი იყო, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა შიდა-რესპუბლიკურ ძალადობრივ სამოქალაქო დაპირისპირებებს. როდესაც ამ სისხლისმღვრელი მოვლენების ანალიზი ხდება, ყოველთვის შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ მარშალ ტიტოს სიკვდილის შემდეგ იუგოსლავიის ახალი ნაციონალისტი ლიდერის სლობოდან მილოშევიჩის გამოჩენა ასპარეზზე და შედეგად, არასერბი მოსახლეობის ეროვნული განწყობების გამძაფრება. მათ შორის იყო ხორვატული ნაციონალიზმი და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ფრანიო ტუჯმანი. დამოუკიდებელი ხორვატიის პოლიტიკურ რუკაზე აღმოცენების პერსპექტივამ, თავის მხრივ, ადგილობრიცი სერბული ნაციონალიზმი გაამძაფრა - ხორვატი უსტაშების[1] პერიოდის მეხსიერებამ ისინი სერბული კრაინიას რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ საზოგადოებად აქცია. ხორვატულმა და სლოვენიურმა სეცესიურმა საფრთხეებმა სერბული ცენტრის მობილიზებაც გამოიწვია სხვა ხალხების წინააღმდეგ, იქნებოდნენ ეს ალბანელები, ბოსნიელი მუსლიმები თუ მაკედონელები. შედეგად, იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩეხოსლოვაკიისგან განსხვავებით, უამრავი სხვადასხვა ნაციონალისტური მოძრაობა გამოჩნდა, რომლებიც ერთმანეთთან კონსოლიდაციას არც კი ცდილობდნენ ცენტრთან მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის, რაც საბოლოოდ სამოქალაქო ომებში გადაიზარდა სერბებსა და ბოსნიელებს, სერბებსა და ხორვატებს, სერბებსა და ალბანელებს შორის.

საბოლოოდ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში მივიღეთ ორი სახელმწიფო, რომლებიც მსგავსი იყო იმპერიული წინაპირობებით, სახელმწიფოს პოლიტიკური ბუნებით, რეგიონების ეკონომიკური უთანასწორობითა და კომუნისტური რეჟიმებით. მეორე მხრივ, კი ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ეთნიკური მრავალფეროვნებით, კონფლიქტური

[1] უსტაშები (Ustaše) - ხორვატული ულტრანაციონალისტური ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა ომთაშორის პერიოდში. უსტაშები იბრძოდნენ იუგოსლავიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ისინი ითვლებიან მეორე მსოფლიო ომის დროს სერბების მასობრივი გენოციდის ორგანიზატორებად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უსტაშების დაჯგუფებების უდიდესი ნაწილი კომუნისტებმა გაანადგურეს.

ისტორიის სიმძაფრით თუ საგარეო ძალების ჩარევის მასშტაბებით ტურბულენტური 1990-იანი წლების დასაწყისში (Bookman, 1994, გვ. 183-184). მათი განსხვავებულ გარემოებებში დაშლა და სრულიად სხვადასხვანაირი პროცესების წარმართვა 1990-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე თეორიულ ჭრილში შეიძლება გაანალიზდეს.

ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმი: თეორია

იუგოსლავიაც და ჩეხოსლოვაკიაც მულტიეთნიკური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები იყვნენ. რა თქმა უნდა, ისინი განსხვავდებოდნენ კულტურების სიმრავლით, მათი გეოგრაფიული განსახლებით, კულტურული, რელიგიური და ისტორიული მარკერებით და ერებისთვის დამახასიათებელი სხვა არაერთი დეტალით. თუმცა პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით ისინი მსგავს შემთხვევებად შეიძლება მოვიაზროთ, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა იუგოსლავიაც და ჩეხოსლოვაკიაც კომუნისტურ-სოციალისტური მმართველობის ქვეშ მოექცნენ. იმის დასადგენად, თუ რამ განაპირობა ამ ორი სახელმწიფოს დაშლა განსხვავებულ გარემოებებში და სხვადასხვა შედეგებით, და ის, თუ რა კონკრეტული როლი აქვს ამ განსხვავებებში ადგილობრივ ნაციონალიზმ(ებ)ს, საჭიროა განვიხილოთ საკითხის გარშემო არსებული თეორიული მიდგომები.

ეთნონაციონალიზმის საფუძველზე წარმოქმნილ ძალადობრივ მოვლენებს, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში განვითარდა ევროპის ზოგიერთ რეგიონსა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, როჯერს ბრუბეიკერმა „ახალი მსოფლიო უწესრიგობა“ უწოდა (Bubaker & Laitin, 1998, გვ. 424). მან გადაწყვიტა, რომ ეთნიკურობა, როგორც ფაქტორი რადიკალური ნაციონალიზმ(ებ)ის ფორმირების პროცესში, იმსახურებდა სიღრმისეულ თეორიულ მიმოხილვას, რაც მან იუგოსლავიისა კონფლიქტის დასრულებიდან 3 წლის, ხოლო ჩეხოსლოვაკიის გაყოფიდან 5 წლის შემდეგ გააკეთა დევიდ ლაითინთან ერთად სტატიაში „ეთნიკური და ნაციონალისტური ძალადობა“.

ბრუბეიკერისა და ლაითინის მიხედვით ეთნიკურობის, როგორც ძალადობრივი კონფლიქტის კატალიზატორის მიმართ არაერთი განსხვავებული მიდგომა არსებობს, რომლებიდანაც რამდენიმე ერთდროულად ხსნის იუგოსლავიის ჩეხოსლოვაკიასთან შედარებით რადიკალურ დაშლის პროცესს. ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც ისინი ხაზს უსვამენ, არის ეთნიკურობის პოლიტიზირება. ამ თეორიის მიხედვით ე.წ. ვებერიანული სახელმწიფოს კონცეპტის გაქრობა ხდება თეორიული დებატების დღის წესრიგიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს, რომლებსაც აღარ აქვთ ძალადობის მექანიზმებზე ლეგიტიმური მონოპოლია, ხელიდან ეცლებათ ტერიტორიები და შედეგად კვაზი-სახელმწიფოებს ვიღებთ, სადაც ფორმალურად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები არსებობს, თუმცა მათი ფუნქციების დე-ფაქტო განხორციელება სრულყოფილად არ ხდება რადიკალიზებული ნაციონალიზმის / კონფლიქტის გარემოებებში (Brubaker & Laitin, 1998, გვ. 424). ამგვარად, მათი თქმით, ძალადობა, რომელსაც იუგოსლავიის დაშლის სხვადასხვა ეტაპებზე სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, სუსტ სახელმწიფოში კონფლიქტის ხარისხობრივ მახასიათებლად მიიჩნევა. ეთნიკური ნაციონალიზმი კი ამ ძალადობის წყარო ხდება მრავალი ფორმით ხდება.

იუგოსლავიის დაშლის პროცესისადმი ინდუქციური მსჯელობის განვითარებისას ბრუბეიკერი ჩიპ განიონის თეორიას იყენებს იმის შესახებ, რომ ძალადობრივი ნაციონალიზმის ზრდა იუგოსლავიაში გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობამ ინტრასერბულ პოლიტიკურ ძალებს შორის: პარტიის კონსერვატი ლიდერები, ელიტები, ნაციონალისტი ინტელექტუალები და სამხედრო გადაწყვეტილების მიმღები პირები ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ აქტიურ რეფორმებს ემხრობოდნენ, თუმცა ამან მმართველი ძალების მხრიდან ეთნიკურობის, როგორც პოლიტიკური დაპირისპირების უმთავრესი ფაქტორის პროვოცირება გამოიწვია, რაც იმდენად მწვავე აღმოჩნდა, რომ გადაიზარდა ძალადობრივ დაპირისპირებებში ჯერ კოსოვოში, შემდეგ ხორვატიაში (Gagnon, 1994-1995, გვ. 36-38). შესაბამისად, ბრუბეიკერი და ლაითინი ასკვნიან, რომ ეთნონაციონალიზმი, როგორც ძალადობრივი ნაციონალიზმის სახე აუცილებლად იწვევს საზოგადოების

ყურადღების გადატანას მმართველი ძალების ხარვეზებისგან, შესაბამისად ამ ინსტრუმენტის გამოყენების გზით ისინი ადვილად ინარჩუნებენ ძალაუფლებას (Brubaker & Laitin, 1998, გვ. 434).

„თამაშის თეორიის“ კონტექსტში ხსნის ეთნიკური ნაციონალიზმის გაღვივების არსს ჯეიმს ფერონი, რომლის თეორიის მიხედვით სახელმწიფოში, რომელსაც ცალსახად გამოკვეთილი დომინანტური ეთნიკური ჯგუფი მართავს და ის დამოუკიდებლობას მოიპოვებს, მმართველი ელიტა იწყებს „ნდობის მოპოვებას“ ეთნიკური უმცირესობების დამორჩილების გზით, თუმცა აწყდება ადგილობრივ წინააღმდეგობას, რის შედეგადაც უმცირესობები ხელში იარაღს იღებენ, რაც შეუქცევად ძალადობრივ პროცესებში გადაიზრდება (Fearon, 1995, გვ. 381-383).

და ბოლოს, ბრუბეიკერი და ლაითინი რადიკალიზებული ეთნიკური ნაციონალიზმის ახსნას კულტურალისტულ მიდგომებში (Culturalist Approach) ეძებენ, რისთვისაც ისინი ბრუს კაპფერერის წიგნს *„ხალხის ლეგენდები და სახელმწიფოს მითები: ძალადობა, არატოლერანტულობა და პოლიტიკური კულტურა შრი-ანკასა და ავსტრალიაში“* იყენებენ და წერენ, რომ ეთნიკურობა ყოველთვის არის პოლიტიკური ელიტებისთვის ინსტრუმენტი, რომელიც ყველაზე უაზრო კონფლიქტსაც კი ლოგიკას სძენს. ყველაზე კარგი გზა კი კონფლიქტისთვის „აზრის მისაცემად“ არის მასებისთვის შიშის ჩანერგვა ეთნიკურ ნიადაგზე, რის შედეგადაც ყალიბდება „სხვის“ კონცეპტი (Brubaker & Laitin, 1998, გვ. 441-442). ამ თეორიის საილუსტრაციოდ მოჰყავს სწორედ ბეტა დენიჩს მაგალითად სერბული შიშები ხორვატების მიმართ, რამაც ძალიან დიდი როლი ითამაშა ხორვატიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში სერბების რადიკალური განწყობების ჩამოყალიბებაში, რადგან ხორვატიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივა იმ შიშებს უხსნიდა გზას, რომელიც სიმბოლურად უსტაშებისდროინდელ მეხსიერებას უკავშირდებოდა (Denich, 1994, გვ. 379).

რადიკალური ეთნონაციონალიზმის თეორიული ანალიზის კვალდაკვალ არაერთი მეცნიერი მუშაობს შედარებით უფრო სამოქალაქო და მშვიდობიანი ჩეხოსლოვაკური ეროვნული იდენტობის შესახებ. ერთიანი ჩეხოსლოვაკური

იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი ჩეხოსლოვაკიზმის სახელით არის ცნობილი. აღნიშნული მიმდინარეობა ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის პერიოდში ჩაისახა და, ელისაბეთ ბაკკეს თქმით, საკმაოდ საკამათო აღქმა ჰქონდა სხვადასხვა ხალხებში. სახელდობრ, სლოვაკებისთვის ჩეხოსლოვაკიზმი ნიშნავდა ჩეხებისგან და სლოვაკებისგან წარმოქმნილ საერთო ერს და მათ ეროვნულ იდეოლოგიას სლოვაკებისთვის, ხოლო ჩეხებს შერწყმულ სლოვაკ ხალხს - ჩეხებისთვის (Bakke, 1999, გვ. 179). ეს მიმართულება ბევრად უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე მანამდე დამოუკიდებლად არსებული ჩეხური ან სლოვაკური ეროვნული იდეოლოგიები, რომლებიც ძირითადად დაფუძნებული იყო კულტურულ რევაივალიზმსა და ტერიტორიულ მიჯაჭვულობაზე. ბაკკე, განიხილავს რა „ოფიციალური ჩეხოსლოვაკიზმის“ შინაარსსა და ძირითად პრინციპებს, თავის დისერტაციაში წერს, რომ თეორეტიკოსებს ჰქონდათ მცდელობა, ჩეხოსლოვაკიზმი წარმოედგინათ ხალხობრივი ერთიანობის თეორიად, სწორედ ამიტომ მეორე მსოლფიო ომამდე პერიოდში და მერეც ხშირად წააწყდებოდით ფრაზებს: „ჩეხოსლოვაკი ტომები“, „ჩეხოსლოვაკური დასახლებები“, ჩეხოსლოვაკური მიწა“, თუმცა ჯერ ისევ არავინ საუბრობდა „ჩეხოსლოვაკ ერზე“ (Bakke, 1999, გვ. 226). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩეხოსლოვაკიზმი, როგორც ერთიანი ეროვნული იდენტობის შემქმნელი იდეოლოგია, არ და ვერ იქნებოდა ეფექტიანი შეურყეველი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებისთვის.

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი მრავალფეროვანი მიდგომები, ერთი მხრივ, აანალიზებენ ორი სახელმწიფოს დაშლის გარდაუვალობას, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა ჭრილში უყურებენ ამ ორ პროცესს, რის შედეგადაც შეგვიძლია, ჩამოვიყალობით ზოგადი ხედვა იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ამ მოვლენების ასე განსხვავებულ კალაპოტში წარმართვა და სრულიად საპირისპირო შედეგებით - ეთნიკური კონფლიქტების კასკადითა და ქვეყნის მშვიდობიანი გაყოფით დასრულება.

ორი სახელმწიფოს დაშლის გარემოებები და მიზეზები სამეცნიერო ლიტერატურაში

არაერთი მეცნიერი იუგოსლავიის ძალადობრივი დაშლის კვლევის ერთ-ერთ მეთოდად მიიჩნევს მსგავსი პროცესის შედარებით უფრო მშვიდობიან ვერსიებთან, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიასთან შედარებას (Bunce, 1997; Bookman, 1994; Roesler, 2010; Jovanovic, 2017).

ფაალ სიგურდ ჰილდე თავის სტატიაში „სლოვაკური ნაციონალიზმი და ჩეხოსლოვაკიის დაშლა“ ჯერ კიდევ 1999 წელს საუბრობდა ჩეხოსლოვაკიის დაშლაში სლოვაკური ნაციონალიზმის როლის შესახებ. ქვეყნის გაყოფის „ხავერდოვანმა“ ბუნებამ მისი თქმმით განაპირობა ის, რომ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის საკმაოდ რეზონანსულ და ძალადობრივ დაშლის ფონზე ჩეხოსლოვაკიის შემთხვევამ მეცნიერთა საკმაოდ ხალვათი ყურადღება მიიქცია (Hilde, 1999, გვ. 647). ამის ფონზე ავტორი ჩეხოსლოვაკიის დაშლის საკმაოდ მსუყე ახსნას გვთავაზობს: *ეკონომიკური* განსხვავებების ფონზე სოციალისტური ჩარჩოებიდან გამოსვლა კიდევ უფრო მტკივნეული აღმოჩნდა სლოვაკებისთვის, რომლებიც ინდუსტრიულ ჩეხებთან შედარებით ბევრად უფრო აგარარული საზოგადოება იყო. მილიკა ბუკმენისთვის ეკონომიკური ფაქტორები გადამწყვეტია ერთი მხრივ იუგოსლავიისა დაჩეხოსლოვაკიის დაშლის, ხოლო მეორე მხრივ, ამ პროცესებს შორის რადიკალური განსხვავებების ასახსნელად. ბუკმენისთვის სეცესიური ნიშნები ნებისმიერ საზოგადოებაში ეკონომიკური უთანასწორობის შეგრძნებით იწყება. და როდესაც არადომინანტი საზოგადოება იწყებს იმის გააზრებას, რომ მათთვის რაიმე ტიპის ერთობაში ყოფნა ეკონომიკურად მომგებიანი აღარ არის, ისინი იწყებენ ნაციონალისტური, რელიგიური თუ ეთნიკური მიზეზების წინ წამოწევას, რათა იპოვნონ დასაბუთებული გამართლება გამოყოფისთვის (Bookman, 1994, გვ. 177). ასე მოხდა იუგოსლავიის შემთხვევაში, სადაც განვითარებულ სლოვენიას და ხორვატიას სურდათ საკუთარ ეკონომიკურ ცხოვრებაზე თავად აეღოთ ძალაუფლება და პასუხისმგებლობა, ხოლო შედარებით ჩამორჩენილ ბოსნია-ჰერცოგოვინას და მაკედონიას უფრო მეტი ეკონომიკური განვითარება სურდათ, რამაც ეს რესპუბლიკები სეცესიური განწყობებით მოამარაგა. მეორე მხრივ, ჩეხეთთან შედარებით სუსტად

განვითარებული სლოვაკური ეკონომიკაც მოითხოვდა გარკვეული ზომების მიღებას მოდერნიზაციისა და ზრდისთვის, რასც ჩეხურმა პოლიტიკურმა ელიტამ დაშლის წინადადებით უპასუხა (Bookman, 1994, გვ. 178).

ბუკმენისგან განსხვავებით ჰილდესთვის ეკონომიკურ შეუთავსებლობას *სოციოლოგიური* და *კულტურული* განსხვავებებიც თანაბრად ემატებოდა, რაც რადიკალურად განსხვავებულ საზოგადოებრივ განწყობებსა და პოლიტიკურ პრეფერენციებში გამოიხატებოდა. თავისი გავლენა იქონია კომუნისტური რეჟიმისთვის ხშირად დამახასიათებელმა წამახალისებელმა *ეროვნულმა პოლიტიკამ,* რის შედეგადაც სლოვაკური კულტურა გარკვეულწილად პრივილეგირებული იყო სოციალისტური მმართველობის პირობებში. მსგავსი მიდგომა გაქრა, თუმცა გაძლიერებული სლოვაკური იდენტობა კვლავ სახეზე იყო (ჰილდე, 1991, გვ. 647-653).

ჰილდეს მოსაზრებით გამოწვევას წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, შეუთავსებლობა თავად *პოლიტიკურ ელიტებს* შიგნით: ჯერ კიდევ ნორმალიზაციის პერიოდში ჩეხური დომინაციის დაბალანსების მცდელობა, რაც 1968 წელს მიღებულ „უმცირესობის ვეტოს“[2] უფლებაში გამოიხატა, ადვილად გადაიზარდა პოლიტიკურ კრიზისში, რადგან სლოვაკი უმცირესობა პოლიტიკურ დონეზე არ გრძნობდა თავს სრულფასოვნად გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რასაც დაემატა *პოლიტიკური იდენტობის ასიმეტრიულობის* პრობლემა. ეს ფენომენი თვალშისაცემი გახდა ინსტიტუტების დონეზე, რადგან ქვეყანაში პოლიტიკური ფონის შემქმნელი ცენტრი ძირითადად პრაღაში იყო, რაც სლოვაკი პოლიტიკური ელიტებისთვის დამატებითი მოტივაცია აღმოჩნდა უფრო ფართო პოლიტიკური მონაწილეობისთვის ებრძოლათ. სოციალიზმის ინსტიტუციური დაგეგმარება და განსხვავებული მიდგომები ამ მიმართულებით მიიჩნევა ვალერი ბუნცის მიერ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იმისა, თუ რატომ დაიშალა იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია ასე კონტრასტულად განსხვავებულ გარემოებებში. იუგოსლავიის შედარებითი დეცენტრალიზაცია

[2] 1968 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, მას შემდეგ რაც ჩეხოსლოვაკია უნიტარული სისტემიდან ფედერაციულ წყობაზე გადავიდა, საკანონმდებლო ორგანოში სლოვაკ უმცირესობას ჰქონდა ვეტოს უფლება ჩეხი უმრავლესობის წინააღმდეგ. სწორედ ამ კანონის მეშვეობით კომუნისტური ძალაუფლების დამხობის შემდეგ სლოვაკებმა ვაცლავ ჰაველის არაერთი რეფორმატორული შეთავაზება დაბლოკეს.

განსაკუთრებით კი 1974 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ პოლიტიკურ ელიტებს აძლევდა საშუალებას თავისუფალი მანევრირებისთვის ადგილობრივ დონეზე რესპუბლიკებში. თუმცა ამის ფონზე ჩეხოსლოვაკიისგან განსხვავებით იუგოსლავიურმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ორჯერ გამოიყენა ეროვნული სამხედრო არმია (JNA) შიდა წინააღმდეგობის წინააღმდეგ კოსოვოში და ხორვატიაში (Bunce, 1997). ცენტრალურ და ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებს შორის ურთიერთობის თავისებურებებს ასახელებს მილიკა ბუკმენიც ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის შემთხვევების განსხვავების მიზეზად (Bookman, 1994. გვ. 176).

იელის უნივერსიტეტის ისტორიკოსი და იუგოსლავიის დაშლის საკითხებში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული მკვლევარი ივო ბანაჩი 1992 წელს ხორვატიისა და სერბეთის დაპირისპირებაში ყურადღებას ამახვილებდა ასევე იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე ნაცვლად ჯოვანოვიჩის მიერ წინ წამოწეული ისტორიოგრაფიული, რელიგიური თუ კულტურული მარკერებისა. კონფლიქტი ხორვატებსა და სერბებს შორის არ არის ანტიკური ფესვების მატარებელი, თუკი „ანტიკურობაში“ მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდს არ მოვიაზრებთ; არც რელიგიური, მიუხედავად იმისა, რომ ორ ხალხს შორის რელიგიური განსხვავებები სახეზეა, არამედ ეს დაპირისპირება დაფუძნებული იყო პოლიტიკური ელიტების მიერ შექმნილ ზოგად კონიუნქტურასა და ეროვნულ იდეოლოგიებზე (Banac, 1992, გვ. 143).

ჰილდე ძალიან სწორად ამახვილებს ყურადღებას ინფორმაციული ბარიერების ფაქტორზე ჩეხოსლოვაკიის დაშლის პროცესში: რადიოზე და ტელევიზიაზე, ასევე ბეჭდურ მედიაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციის გადანაწილების ასიმეტრიულობასაც იწვევდა, რასაც ჰილდე „იდეების სეგმენტურ ბაზრად“ (segmented marketplace of ideas) მოიხსენიებს (Hilde, 1999, გვ. 651).

ამ ყველაფრის ფონზე ფაალ ჰილდესთვის ჩეხებისა და სლოვაკების *„ევროპაში დაბრუნების“ ღირებულება* მნიშვნელოვანი ფაქტორია, როდესაც ის დაშლის ერთგვარ ვოლუნტარისტულ ბუნებაზე საუბრობს, მისი თქმით, ორი საზოგადოების ამ

მიდგომამ შეუწყო ხელი ჩეხოსლოვაკიის ხავერდოვან გაყოფას. სწორედ ამიტომ დათმეს ჩეხებმა ერთიანი სახელმწფოს იდეა, რომელსაც აქამდე უჭერდნენ მხარს.

საინტერესოა, რომ ჰილდე სლოვაკური ნაციონალიზმის სხვადასხვა დონის მიმოხილვის შედეგად ასკვნის, რომ სლოვაკური ნაციონალიზმი, იქნებოდა ეს სეცესიური, ავტონომიური თუ პოლიტიკურ-პოპულისტური, არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს ჩეხოსლოვაკიის დაშლაში. უფრო მეტიც, ზემოთ ჩამოთვლილ მარკერებთან შედარებით ნაციონალიზმს შედარებით მოკრძალებული ადგილი ჰქონდა მთელ ამ პროცესში (Hilde, 1999, გვ. 662). ჰილდეს სტატიიდან ნაციონალიზმის, როგორც სახელმწიფოს გაყოფის ფაქტორის განხილვისას ჩვენ მხოლოდ იმაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რომელი ნაციონალისტური ნარატივი იყო დომინანტური სლოვაკურ საზოგადოებაში. იუგოსლავიური ადგილობრივი ნაციონალიზმებისგან განსხვავებით, როგორც ჰილდე ასკვნის, სლოვაკური ნაციონალიზმი არ იყო სეცესიური, სლოვაკური საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი იყო არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, არამედ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ჩეხებთან გათანაბრება როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ეკონომიკურ აქტივობასა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაც ჩეხური საზოგადოებისთვის და პოლიტიკური ელიტისთვის ზედმეტი ტვირთი აღმოჩნდა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. ამის საპირისპიროდ ვალერი ბუნციისთვის ნაციონალიზმის ფაქტორი იუგოსლავიის ძალადობრივ დაშლაში საკმაოდ დიდია: სერბების ექსპანსიური და არალიბერალური ნაციონალიზმი თავდაპირველად სლოვენიასთან, შემდეგ კი სხვა დანარჩენ რესპუბლიკებთან კონფლიქტის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი გახდა. ამის ფონზე ადგილობრივი რესპუბლიკების ნაციონალიზმების შედეგად დაგროვილი კონფლიქტური გარემოებები შეუძლებელს ხდიდა სახელმწიფოს დაშლის მშვიდობიან და შეთანხმებულ პროცესს (Bunce, 1997).

ანა დევიჩი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ნაციონალიზმების მიმოხილვას აკეთებს ნაციონალიზმის სხვადასხვა თეორიების ჭრილში თავის სტატიაში „ეთნონაციონალიზმი, პოლიტიკა და ინტელექტუალები:

იუგოსლავიის შემთხვევა“. ის სამეცნიერო მოსაზრებებს და მკვლევრებს ორ ძირითად ბანაკად - პრიმორდიალისტებად და ფუნქციონალისტებად აჯგუფებს. ამ მეთოდის გამოყენებით დევიჩი ასკვნის, რომ იუგოსლავიის შემთხვევაში ეთნიკური იდენტობა და ეთნონაციონალიზმი სოციუმის მოქმედების და განწყობების ყველა განზომილებაში გადამწყვეტ როლს თამშობდა, განურჩევლად იმისა, გავაანალიზებთ დაშლას პრიმორდიალური თუ მოდერნისტული მიდგომით, დავუკავშირებთ იუგოსლავიის დაშლას 1912-1913 წლების ბალკანური ომების სამართალმემკვიდრეობას, ჰაბსბურგების იმპერიის რღვევას თუ მოდერნულ ეკონომიკურ უთანასწორობას (ე.წ. აგრარულ ნაიცონალიზმი) და ნაირნისეულ გარე ძალების მანიპულაციას - ეთნონაციონალიზმი და ეთნიკური ნიშნით სახელმწიფოს დანაწევრება სახეზეა როგორც ძლიერ კატალიზატორი ძალადობრივი და სისხლიანი დაპირისპირებისთვის (Devic, 1998, გვ. 404-406). ფაქტობრივად იმავეს ამტკიცებდა ენდრიუ იანოში ერთი წლით ადრე თავის კვლევაში „ეთნიკური კონფლიქტების პოლიტიკური ეკონომიკა: ჩეხოსლოვაკიის და იუგოსლავიის დაშლა“, სადაც ის ამტკიცებს, რომ ეთნიკური განსხვავებები ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების ანალიზისას იმაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მეცნიერებს ჰგონიათ, და იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის შემთხვევები ამის ძალიან აშკარა თვალსაჩინოებებია (Janosh, 1997, გვ. 1).

ჰილდეს მსგავსად ივო ბანაჩისთვისაც მნიშვნელოვანი დაკვირვების საგანი აღმოჩნდა კომუნისტური პარტიის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული ეროვნული პოლიტიკა. მან ჯერ კიდევ 1990 წელს გამოთქვა ეჭვი იმის შესახებ, თუ როგორ გაართმევდნენ თავს სხვადასხვა ნაციონალობები მათ წინაშე დამდგარ ეროვნულ გამოწვევებს თავის სტატიაში „პოლიტიკური ცვლილებები და ეროვნული სხვადასხვაობა“, სადაც ასკვნიდა, რომ ომისშემდგომმა საბჭოთა მოდელმა, რომელიც ცენტრალურმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, მათ შორის იუგოსლავიამ შეითვისეს, ვერ იუმოშავა წარმატებით მშვიოდბიანი და ერთიანი სახელმწიფოს შესანარჩუნებლად, რადგან პოლიტიკური ჰომოგენიზაციისკენ მიმართული პოლიტიკა რადიკალურად მიუღებელი აღმოჩნდა ადგილობრივი ნაციონალისტი

ბიუროკრატებისთვის, რაც, ბანაჩის გათვლის მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა მშვიდობიან თანაცხოვრებას სხვადასხვა ხალხებს შორის იუგოსლავიის ტერიტორიაზე (Banac, 1990, გვ. 157).

ორი სახელმწიფოს დაშლის შედარება და ნაციონალიზმის განსხვავებული ადგილი

ორი სახელმწიფოს სხვადასხვაგვარი დაშლის შედარებისას აუცილებელია, შევხედოთ მათი ფორმირების თავისებურებებს, განსაკუთრებით კი მათ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების ქვეყნის მართვაში მონაწილეობის სიმეტრიას. მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამ სიმეტრიას კომუნისტური რეჟიმის დაყარების შემდეგ როგორც იუგოსლავიაში, ისე ჩეხოსლოვაკიაში, რადგან სწორედ ამ დროიდან იწყება ყველაზე ძლიერი პროპაგანდისტული მანქანის მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით კომუნისტური ნომენკლატურის ეროვნული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. მაგალითისთვის, სრდან იოვანოვიჩი ამ ორი ქვეყნის წარმოქმნა-დაშლის პროცესების შედარებისას წერს, რომ იუგოსლავიის ისტორიოგრაფია ყოველთვის სერბო-ცენტრული იყო. ნარატივი იმის შესახებ, რომ სერბების ხელმძღვანელობით იქმნება სახელმწიფო, და, შესაბამისად, მისი ფუნქციონირების სხვადასხვა დონეებზე სხვა ეთნიკური ჯგუფები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში უნდა განხილულიყვნენ, ძალიან აქტიურად მუშავდებოდა ისტორიულ კონტექსტში, რაც ნაკლებად შესამჩნევი იყო ჩეხურ-სლოვაკურ ისტორიუგრაფიულ ბალანსში (Jovanovic, 2017, გვ. 67). უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხური განვითარება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით უსწრებდა სლოვაკურს, და არაერთ ინტელექტუალს ჰქონდა მისწრაფება ერთიანი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში ჩეხური დომინაციის ხაზგასმისთვის, სხვადასხვა მკვლევარები წერენ იმის შესახებ, რომ ერთიანი პოლიტიკური ერთობის ფარგლებში ჩეხოსლოვაკიაში სრულიად დამოუკიდებლად ვითარდებოდა პრაქტიკაში ორი იდენტობა: პირველი

რესპუბლიკის პერიოდის მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება ვნახოთ, რომ სლოვაკებიც და ჩეხებიც ეროვნული იდენტობის თვალსაზრისით საკუთარ თავს ყოველთვის სლოვაკებად და ჩეხებად მოიხსენიებდნენ (ნაცვლად ჩეხოსლოვაკებისა) (Bakka, 1999, გვ. 235). ამ პერიოდიდან ჩამოყალიბებულმა განსხვავებულმა იდენტობებმა ვერ შეცვალეს ის საზოგადოებრივი განწყობა ჩეხოსლოვაკიაში, რაც 1990-იანი წლების დასაწყისში იყო ქვეყნის გაყოფასთან დაკავშირებით.

განწყობები საზოგადოებრივ დონეზე და პოლიტიკურ ელიტებში

1993 წლის 1 იანვარს The New York Times-ში ჩეხოსლოვაკიის გაყოფის მოვლენისადმი მიძღვნილი სტატია შემდეგი სიტყვებით იწყება: *„მიუხედავად 15-მილიონიანი მოსახლეობის უმეტესობის სურვილისა, დღეს ჩეხოსლოვაკია ორ ნაწილად გაიყო: სლოვაკეთად და ჩეხეთის რესპუბლიკად“* (Engelberg, 1993). როგორც ცხრილი 1 აჩვენებს, სლოვენიაში 1990 წლების დასაწყისში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 52% კონფედერაციულ ფორმას ანიჭებდა უპირატესობას იუგოსლავიაში, მხოლოდ 28% იყო სრული სეცესიის მომხრე, ხოლო 8% არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნებას უჭერდა მხარს (Bookman, 1994, გვ. 176). საინტერესოა, რომ ამის ფონზე დაახლოებით იგივე განწყობებია ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბოჰემიელებს, მორავიელებს და თავად სლოვაკებს შორის.

	ნოე. 1991		**იან. 1992**		**ივლ. 1993**	
	ჩეხ.	სლო.	ჩეხ.	სლო.	ჩეხ.	სლო.
უნიტარული სახელმწიფო	39	20	38	17	38	14
ფედერაცია	30	26	35	33	19	27
სამმაგი ფედერაცია	20	6	12	5	18	8
კონფედერაცია	4	27	4	30	3	30
დამოუკიდებელი სახელმწიფოები	**5**	**14**	**5**	**12**	**16**	**16**
არ ვიცი	2	7	6	3	6	5

ცხრილი 1. საზოგადოების განწყობის პროცენტული მაჩვენებლები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიული რეორგანიზაციის შესახებ ჩეხი და სლოვაკი ეროვნებების მიხედვით. *წყარო: Hilde, 1999, გვ. 652*

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ სახელმწიფოში სეცესიური პროცესები დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, ჩეხოსლოვაკური „გაყრა“ ხავერდოვანი და უმტკივნეულო იყო, ხოლო იუგოსლავიის დაშლის შედეგად რეგიონში 100 000-იანი მსხვერპლი, ორ მილიონამდე ლტოლვილი და სასტიკი ძალადობის უამრავი ამბავი დარჩა ისტორიას (Bookman, 1994, გვ. 176).

„ევროპული ღირებულებები“ როგორც ჩეხოსლოვაკიის დაშლის ბუნების განმსაზღვრელი ფაქტორი ფაალ ჰილდესთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელვანი გარემოებაა. ტრადიციულად ამ ტერმინში მოიაზრება ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, საზოგადოებრივი ლოიალობის, გამჭვირვალე პოლიტიკური მმართველობისა და თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების დაცვა სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ. ჩეხოსლოვაკიას ჯერ კიდევ შექმნის პირველივე წლებიდან ჰქონდა ორი სხვადასხვა კულტურის - აღმოსავლური და დასავლური კულტურების დემოკრატიული და მშვიდობიანი თანაცხოვრების გამოცდილება. არსებობის განმავლობაში სხვადასხვა ტურბულენტური პერიოდის გავლის შედეგად 1990-იანი წლების დასაწყისშიც სახელმწიფო კვლავ მშვიდობიან დემოკრატიულ რელსებზე იდგა, როგორც ეს ხაზგასმულია, ასევე მისი დაშლისათვის მიძღვნილ სტატიებში 1993 წელს ისეთ მნიშვნელოვან გამოცემებში, როგორიცაა The New York Times, The Washington Post, Radio Freedom და სხვა (Engelberg, 1993; Battiata, 1992; Naegele, 1997). ჩეხური იდენტობის მიმოხილვისას საკვანძო ფაქტორად მიიჩნევენ დასავლურ ღირებულებებს ასევე ვლაჩოვა და რეჰაკოვა: მათი თქმით, იდენტობის ფორმირება 1990-იანი წლებიდან ჩეხეთში არაერთი სხვადასხვა მიმართულებით მოხდა, ესენის ტერიტორიული იდენტობა სხვადასხვა დონეზე, ერის იმიჯი როგორც ადგილობრივი საზოგადოების, ისე საერთაშორისო საზოგადოების თვალში, ეროვნული სიამაყე კულტრულ განზომილებაში და ნაციონალიზმსა და პატრიოტიზმში გამოხატული

ერის სიყვარული. თუმცა, როგორც ავტორები კვლევის შედეგად ამტკიცებენ, ჩეხური იდენტობის თითოეული განზომილება მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპულ იდენტობასთან, რამაც მუხედავად ნაციონალისტური ჩაკეტილობის საფრთხეებისა, ხელი შეუწყო ქვეყნის მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებას როგორც საზოგადოებრივ-კულტურული, ისე ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით (Vlachova & Rehakova, 2009, გვ. 254).

ეკონომიკურ უთანასწორობას სახელმწიფოების შემადგენელ რეგიონებს შორის არაერთი მეცნიერი ასახელებს მათი დაშლის მიზეზად (Hilde, 1999; Bookman, 1994). ფისკალური კრიზისი იუგოსლავიაში 1980-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც სლოვენია და სერბეთი სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდი კონტრიბუტორები იყვნენ, ჰოლო პირდაპირი შემოსავლები ბიუჯეტში საერთო სახელმწიფო ხაზინის მხოლოდ 12% შეადგენდა (Treisman, 2002, გვ. 139). იუგოსლავიის სახელმწიფო დანახარჯები ეროვნული არმიისთვის საკმაოდ დიდი იყო, რასაც მატერიალურ ტვირთად დააწვა ასევე 1970-იანი წლებიდან განხორციელებული მაქსიმალური დეცენტრალიზაციის პოლიტიკა. საჯარო სამსახურები თუ საზოგადოებრივი დანახარჯები ძირითადად ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსდებოდა, ამგვარად, ანტე მარკოვიჩის[3] ფედერალურ მთავრობას ჰქონდა მცდელობა შედარებით მტკივნეული რეცენტრალიზაციის პოლიტიკა გაეტარებინა და მიემართა შესაბამისი რეფორმებისთვის საბანკო სისტემის გაძლიერების მიზნით, მაგალითად, გაყიდვების გადასახადების გაზრდის გზით (Treisman, 2002, გვ. 140). 1989-1990 წლებისთვის საკუთარი ფედერალური შემოსავალი იუგოსლავიაში საკმაოდ დაბალი, 4.4% იყო (იც. ცხრილი 2.), რაც ეკონომიკური კრიზისისითვის აშკარა საფუძვლებს ქმნიდა. შედარებით განსხვავებული იყო სიტუაცია ჩეხოსლოვაკიაში, რომელიც ბევრად უფრო ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო ეკონომიკური თვალსაზრისით: ფედერალური ბიუჯეტი რეგიონული გადასახადების 50% აგროვებდა და ამ თანხის უმეტესობა კვლავ რესპუბლიკებს უბრუნდებოდა დანახარჯების სახით. ჩეხოსლივაკიის

[3] ანტე მარკოვიჩი (1924-2011) - ხორვატი პოლიტიკოსი, ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი 1986-1989 წლებში და იუგოსლავიის ბოლო პრემიერ-მინისტრი 1989-1991 წლებში.

მთავრობამ 1990 წლის დასაწყისში შემოსავლების გადანაწილების რეფორმირება დაიწყო, რაც აისახა იმაში, რომ ადგილობრივი შემოსავლებზე კონტროლი ბევრად უფრო გაიზარდა, შედეგად ფედერალური ბიუჯეტი შემოსავლების მხოლოდ 22% იღებდა (იხ. ცხრილი 2).

	ფედერალური შემოსავლები			**ფედერალური დანახარჯები**		
	1989	*1990*	*1991*	*1989*	*1990*	*1991*
ჩეხოსლოვაკია	52.0	59.5	11.4	9.3	10.8	11.4
იუგოსლავია	4.4	9.7	-	5.1	9.8	-

ცხრილი 2. *წყარო: Treisman, 2002, გვ. 140-141.*

საბოლოოდ ფედერალურ დონეზე ეკონომიკურ კრიზისს დაემატა თავად სახელმწიფოების რეგიონებს შორის უთანასწორობა, რის შედეგადაც ცენტრალური მთავრობების მიერ დაწყებულმა ან შეთავაზებულმა რეფორმებმა კიდევ უფო გაამძაფრა იმის მოლოდინი, რომ ვერც იუგოსლავია და ვერც ჩეხოსლოვაკია საკუთარ თავს ვერ შეინარჩუნებდნენ იმ ფორმით, როგორც ისინი 1990-იან წლებამდე არსებობდნენ (Hilde, 1999, გვ. 647).

ჩეხოსლოვაკიის ორ რეგიონში არსებულმა ეკონომიკურმა თუ კულტურულმა განსხვავებებმა თავისი ასახვა ჰპოვა, რა თქმა უნდა, პოლიტიკური პროცესების წარმართვაშიც. ჯერ კიდევ 1918 წლიდან აშკარა იყო, რომ ინდუსტიალიზებულ და ბევრად უფრო „დასავლელ“ ჩეხებთან შედარებით აგრარული სლოვაკები ნაკლებად იყვნენ განათლებასთან ხელმისაწვდომობაში, რაც განაპირობებდა პოლიტიკური ელიტის შედარებით უფრო „განვითარებული“ ჩეხებით დაკოპლექტებას (Janosh, 1997, გვ. 2). სიტუაცია იგივე დარჩა მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგაც. შევიდა რა ჩეხოსლოვაკია კომუნისტური ბლოკის ქვეყნების რიცხვში, პარტიაც და ზოგადად პოლიტიკაც ისეთივე ცენტრალიზებული გახდა, როგორც მეორე მსოფლიო ომამდე. ამ პერიოდის მონაცემებს თუ შევხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ სლოვაკებს შედარებით ნაკლები ნდობა ჰქონდათ კომუნისტური

პარტიის მიმართ, ვიდრე ჩეხებს (1946 წლის არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ ჩეხების ხმების 40.1% მიიღო, მაშინ, როცა სლოვაკების მხოლოდ 30% მისცა მათ ხმა) (Janosh, 1997, გვ. 4). აღნიშნული სურათი სულაც არაა გასაკვირი, თუ შევხედავთ 1968 წლისთვის სლოვაკების პროცენტულ მაჩვენებლებს გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში: ამ დროისთვის ისინი ბიუროკრატიულ აპარატში მნიშნელოვანი პოზიციების მხოლოდ 3.7% იკავებდნენ, განყოფილებების, დეპარტამენტების თუ მინისტრების მოადგილეების პოსტებზე მათი მაჩვენებელი 14% არ სცდება (Janosh, 1997, გვ. 4).

რეფორმების აუცილებლობამ ჩეხოსლოვაკია 1968 წლის გარდაქმნების და ე.წ. „ნორმალიზაციის“ პერიოდის შემდეგ დეცენტრალიზაციისკენ წაიყვანა: ჩეხეთი და სლოვაკეთი ავტონომიურ რესპუბლიკებად იქცნენ ცენტრალური ფედერალური მთავრობის ქვეშ. სწორედ ამ დროს იქნა მიღებული ე.წ. ვეტოს კანონი, რომლის მიხედვითაც პარლამენტის 38 სლოვაკ წევრს შესაძლებლობა ჰქონდა 300 ჩეხი პარლამენტარის კანონპროექტი დაებლოკა. აღნიშნული კანონი სწორედ სლოვაკების პოლიტიკური მონაწილეობის წახალისებისთვის იყო გამიზნული (Hilde, 1999, გვ. 648). ახლა უკვე სლოვაკებს ჰქონდათ ფორმალური კვოტები სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობების დასაკავებლად. უფრო მეტიც, კომუნისტური პარტიის სათავეში ერთ-ერთი ყველაზე გრძლევადიანი მმართველი, სლოვაკი პოლიტიკოსი გუსტავ ჰუსაკი[4] მოექცა. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან სლოვაკური „ჩამორჩენილობის“ აღმოფხვრის პროცესი აქტიურად დაიწყო, თუმცა ეკონომიკურმა კრიზისმა პოლიტიკურის თავიდან აცილება მაინც ვერ შეძლო. ძალაუფლებათა ამგვარმა გადათამაშებამ თავისი ასახვა ჰპოვა პოლიტიკური ელიტების პოზიციებში ჩეხოსლოვაკიის გაყოფის პროცესში 1992-1993 წლებში: არც ჩეხ ვაცლავ კლაუსს და არც სლოვაკ ვლადიმერ მეჩიარს განსაკუთრებული სურვილი ერთმანეთთან ერთი

[4] გუსტავ ჰუსაკი (1913-1991) - სლოვაკი პოლიტიკოსი, ჩეხოსლოვაკიის ბოლო და ყველაზე გრძელვადიანი პრეზიდენტი 1975 – 1989 წლებში. ე.წ. „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ ის გადადგა თანამდებობიდან და მისი პოსტი დისიდენტმა ვაცლავ ჰაველმა დაიკავა;

სახელმწიფოს ფარგლებში პოლიტიკური ქიშპობისთვის აღარ ჰქონდათ, რასაც ასევე ადასტურებს თავის ინტერვიუში პეტერ პიტჰარტიც[5] (Engelberg, 1993).

ჩეხოსლოვაკიის მსგავსად, 1974 წელს ახალი კონსტიტუციის შედეგად გატარებული ცვლილებებით დაიწყო დეცენტრალიზაციის პროცესი იუგოსლავიაში. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება უკვე რეგიონული კომუნისტური პარტიების მიერ ხდებოდა. თითოეულ მათგანს თავისი მოთხოვნების და მიზნები ჰქონდა, რამაც ერთი მხრივ, გზა გაუხსნა შედარებით უფრო დემოკრატიული და პლურალისტური პროცესების დაძვრას, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო დაძაბა და გაართულა ურთიერთობები ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებს შორის. ანდრიუ იანოშის აზრით, ძალთა ამგვარი გადანაწილება იუგოსლავიის შემადგენელ რესპუბლიკებს და მათ პოლიტიკურ ლიდერებს შეეძლოთ უფრო სტრატეგიულად გამოეყენებინათ, კოალიციური გზით ეკონტროლებინათ სერბული დომინაცია და მათი დომინანტური პოლიტიკური ინტერესები (Janosh, 1997, გვ. 14). თუმცა ეს არ მოხდა და პოლიტიკური სურათი იუგოსლავიის რესპუბლიკებს შორის კვლავ დაძაბული იყო. ამგვარმა სიტუაციამ თითოეულ რესპუბლიკაში გასაქანი მისცა ასევე ეთნიკურ უმრავლესობებს: ადგილობრივმა ელიტებმა დაიწყეს პოლიტიკური პოზიციებისთვის მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით რეკრუტირება, რასაც მოჰყვა ხორვატიაში მცხოვრები სერბების, სერბეთში მცხოვრები ალბანელების და მსგავსი უმცირესობების არაკეთილგანწყობის ზრდა ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების მიმართ.

ნაციონალიზმის როლი ორი სახელმწიფოს დაშლაში

უკვე ვნახეთ, რომ ჩეხოსლოვაკიის გაყოფაში სლოვაკური ან ჩეხური ნაციონალიზმები ნაკლებად განიხილება დაშლის პროცესის ხელშემწყობი გარემოებების შექმნის მიზეზად მაშინ, როცა იუგოსლავიის შემადგენელი რესპუბლიკებისთვის და იქ მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფებისთვის ნაციონალიზმი ერთ-ერთ წამყვან მახასიათებლად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ნაციონალიზმის სხვადასხვა დონეები და

[5] პეტერ პიტჰარტი (1941 -) - ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი 1990-1992 წლებში.

ფორმები სახეზეა, ფაქტია, რომ ისინი სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა დოზით თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს 1990-იანი წლების მიჯნაზე მიმდინარე პროცესებში.

ერთიანი იუგოსლავიური იდენტობის ფორმირების მცდელობაში საკვანძო როლი ენიჭება ტიტოს მმართველობის პერიოდს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავია მისი პრემიერობის კვალდაკვალ კომუნისტური მმართველობის ქვეშ მოექცა. მკაცრი იმიჯის მქონე სამხედრო მმართველისთვის ერთი შეხედვით საკმაოდ ძნელი უნდა ყოფილიყო სერბული ლიდერობის ქვეშ შექმნილი სახელმწიფოს სათავეში მოსვლა არაერთი მიზეზის გამო: მან ბოლო მოუღო სერბულ სამეფო დინასტიას, დააკნინა სერბული მართლმადიდებლური ეკლესია, უფრო მეტიც, თავადაც არ იყო სერბი: წარმოშობით ხორვატი მარშალი ცდილობდა შეექმნა ფედერაცია, რომელშიც სერბეთი იქნებოდა პირველ თანასწორ რესპუბლიკებს შორის, რაც აქამდე დომინანტი სერბებისთვის რთული აღსაქმელი უნდა ყოფილიყო, თუმცა საბოლოოდ მან ყურადღების მიღმა დატოვა სერბული დომინაციის შემცირებისადმი მიმართული ინტერესი, რითაც ხელი შეუწყო სერბული გავლენის კვლავწარმოებას სრულიად იუგოსლავიაში (Banac, 1993, გვ. 145).

მას შემდეგ, რაც 1989-იანი წლებიდან იუგოსლავიაში ეკონომიკური ტრანსფორმაციის საჭიროება დადგა და ცენტრალური ხელისუფლების სადავეები კიდევ უფრო მოეშვა, უმცირესობებმა საკუთარი იდენტობის გამძაფრებული გრძნობით გაუჩნდათ მოთხოვნილება, რომ ცენტრთან გათანაბრებული ყოფილიყვნენ. თუმცა იუგოსლავიის ტერიტორია, ერთი მხრივ, ათამდე სხვადასხვა კულტურული, ლინგვისტური, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თანაცხოვრების სივრცეს წარმოადგენდა, მეორე მხრივ, თვითმმართველობის სხვადასხვა ხარისხების მქონე ხალხების სახელმწიფოს. იუგოსლავიაში მცხოვრები ხალხების განსახლება და ქვეყნის ტერიტორიული დაყოფა თითქმის არასდროს ემთხვეოდა ერთმანეთს, სწორედ ამიტომ იუგოსლავიის თითოეული რესპუბლიკა საკმაოდ მულტიკულტურული ხასიათის მატარებელი იყო, შესაბამისად, უკიდურესად იყო ერთმანეთში არეული სხვადასხვა იდენტობები: მაგალითისთვის, ბოსნიელ სერბს ბევრად უფრო მეტი საერთო ჰქონდა მის მეზობლად მცხოვრებ მუსლიმ ბოსნიელებთან, ვიდრე

ვოევოდინას ორთოდოქს სერბებთან (Banac, 1993, გვ. 175). ამ მრავალფეროვნების გათვალისწინებით იუგოსლავიის ტერიტორიაზე ნაციონალიზმ(ებ)ის ორივე დონის ანალიზისას ეთნონაციონალიზმი ნებისმიერ შემთხვევაში პროცესების წამყვან ძალად უნდა მივიჩნიოთ.

იუგოსლავიური რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმ(ებ)ის ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობდნენ ის ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტები, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში რესპუბლიკების წინამძღოლებად მოგვევლინენ. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ხორვატი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ფრანიო ტუჯმანი, რომელიც სათავეში ედგა ულტრანაციონალისტურ ხორვატულ დემოკრატიულ ერთობას (HDZ). ტუჯმანის ნაციონალიზმი საკმაოდ რადიკალური იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ის დასავლურ ღირებულებებთან ახლოს იდგა თავისი პოლიტიკური შეხედულებებითა და ძირითადი კარიერული აქტივობით, ის მაინც ავლენდა რადიკალურ პრო-ხორვატულ ნაციონალიზმს უსტაშური სიმბოლიკის აშკარა მხარდაჭერით, ისტორიოგრაფიული გამოსვლების თუ ხორვატი სერბების მიმართ არც თუ ისე ლოიალური დამოკიდებულებით საკუთარ ნაციონალისტურ მისწრაფებებს. სწორედ მან დაიწყო პროექტი, რომლის საფუძველზეც თურქეთში გაგზავნილ ხორვატ ისტორიკოსებს უნდა დაედგინათ და ეკვლიათ სახელდობრ ხორვატული კულტურის როლი ხეთურ ცივილიზაციაში. მისი თქმით, ხორვატები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ 1800 წლის წინათ ცხოვრობდნენ, შესაბამისად, ხორვატული კულტურა ნამდვილად იყო ცივილიზაციათა შეჯახების ეპიცენტრში და ხორვატული დიდების ხაზგასასმელად ეს პროცესები საფუძვლიანად უნდა გამოკვლეულიყო (Hedges, 1999). ფრანიო ტუჯმანის ეთნიკურობაზე დაფუძნებული ნაციონალისტური ნარატივი კიდევ უფრო პოპულარულ ენაზე გამოიკვეთება, თუ შევხედავთ მის პოზიციას 1990 წლის 13 მაისის ცნობილი მაქსიმირის ქაოსთან[6]

[6] მაქსიმირის ქაოსი - 1990 წლის 13 მაისს ზაგრების მაქსიმირის სტადიონზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბელგრადის საფეხბურთო კლუბი „ცრვენა ზვეზდა“ და ზაგრების „დინამო“. თამაშის განმავლობაში ორივე გუნდის გულშემატკივრების ულტრა-დაჯგუფებებს, delije-სა და Bad Blue Boys შორის მოხდა სასტიკი შეტაკება. ამ მოვლენას ხორვატი ხალხი ხორვატული დამოუკიდებლობისთვის სერბეთის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის სიმბოლოდ,

დაკავშირებით: „ომის შემდეგ სპოტი უპირველესია, სადაც შეიძლება ერების გარჩევა ერთმანეთისგან... გამარჯვებები ფეხბურთში ქმნის ერის იდენტობას ისევე, როგორც ომები“ (Brentin, 2013, გვ. 997).

ფრანიო ტუჯმანის ფონზე კიდევ უფრო ნაციონალისტური ნარატივის მატარებელი იყო იუგოსლავიის სერბი ლიდერის, სლობოდან მილოშევიჩის რიტორიკა. მილოშევიჩი, მას შემდეგ, რაც 1980 წელს ქვეყნის სათავეში მოვიდა, საკმაოდ დიდ ხანს ცდილობდა დიპლომატიურად დაებალანსებინა სხვადასხვა ეთნოსების დომინანტობა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-საზოგადოებრივ დონეზე. თუმცა 1987 წლის აპრილში კოსოვოში დაწყებულმა ეთნიკურმა დაძაბულობამ და პოლიტიკური ელიტის მიდგომამ ამ დაძაბულობის მოგვარებაში ნაციონალისტური თვითგამოხატვის დინამიკა საგრძნობლად შეცვალა: ალბანელებსა და სერბებს შორის რთულმა ურთიერთობები სერბების მასობრივ გაფიცვებსა და დემონსტრაციებში გადაიზარდა. ზოგიერთი მეცნიერის თქმით, ეს დემონსტრაცია გახდა იუგოსლავიის დასასრულის დასაწყისი სწორედ იმიტომ, რომ ამ მოვლენამ დაუდო სათავე ნაციონალიზმის აშკარა გამოვლინებებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (Zulic, 2017, გვ. 27). სერბეთის პრეზიდენტის ივან სტამბოლიჩის თხოვნით კოსოვოში ჩასულ მილოშევიჩს ადგილობრივმა სერბებმა მოსთხოვეს, რომ მათი, როგორც უმცირესობების რეპრესიები ალბანელების მხრიდან შეწყვეტილიყო, და ცენტრალურ ხელისუფლებას ამ საკითხისთვის მეტი ყურადღება მიექცია. როდესაც მილოშევიჩი ქუჩაში გამოსულ სერბებს შეხვდა და მათგან მოისმინა, თუ როგრო სცემდნენ კოსოვარი ალბანელები სერბებს, მან რამდენჯერმე განმეორებით წარმოთქვა ფრაზა: „ამის შემდეგ თქვენ ვეღარავინ გცემთ“. როგორც BBC-ს კომენტატორები აღნიშნავენ, ეს ფრაზა იყო გადამწყვეტი, როდესაც სერბმა ხალხმა იუგოსლავიის სერბი ლიდერისგან გარკვეული არაპირდაპირი დაპირებები მიიღო ეთნიკური სოლიდარობის შესახებ (Molen, 2015; Zulic, 2017, გვ. 29). *„არცერთ ძალას შეუძლია სერბი ხალხის შეჩერება, ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი მიზნებისთვის და ჩვენ გავიმარჯვებთ!“* - ქუჩაში გამოსული

ხოლო შეტაკებაში მონაწილე ხორვატ ფეხბურთელს, ზვონიმირ ბობანს, რომლის თავდასხმაც სერბ პოლიციელზე ცნობილია როგორც „ბობანის დარტყმა“, ეროვნულ გმირად მიიჩნევს.

მილიონობით სერბისთვის ამგვარი მიმართვა სერბული ნაციონალიზმის გამოღვიძების საკვანძო წერტილად შეიძლება განვიხილოთ (Silber & Little, 1997, გვ. 37).

მეორე მხრივ, ამგვარი ტურბულენტური ნაციონალისტური პროცესების ფონზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიან დაშლაში მეცნიერები მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ე.წ. სლოვაკურ ნაციონალიზმს პრაგმატული პოლიტიკური ელიტით სათავეში (Hilde, 1999, გვ. 649), რომელიც არ ატარებდა ტრადიციული გაგებით ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელ თვისებებს, და რომელსაც იუგოსლავური რადიკალური ნაციონალიზმისგან განასხვავებდა შედარებით უფრო გონივრული და საზოგადოების ხელშესახებ კეთილდღეობაზე დაფუძნებული ეროვნული მიზნები. სლოვაკური ნაციონალიზმის მოთხოვნა და საბოლოო დანიშნულება არ იყო სეცესია ეთნიკური ნიშნით, ამიტომ მას ვერც ეთნიკურს ვუწოდებთ და ვერც სეცესიურს. უფრო მეტიც, ერთადერთი პარტია, რომლის პროგრამაშიც დამოუკიდებლობა იყო ჩადებული, იყო სლოვაკეთის ეროვნული პარტია (SNS). ფაალ ჰილდეს დაკვირვებით სლოვაკი საზოგადოების უმთავრესი მოთხოვნა ფედერალური მოწყობის და ორი ხალხის თანაცხოვრების პირობების გადახედვა იყო. ამ მოთხოვნის ფარგლებში შედიოდა სლოვაკების იდენტობის წინ წამოწევა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. იდენტობასთან დაკავშირებული გამოწვევების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ე.წ. „დეფისის საკითხი“ (Hyphen Issue), რაც გულისხმობდა, რომ ერთიანი ჩეხოსლოვაკიის დასახელებაში ჩეხური იდენტობა ყოველთვის უფრო აშკარა და დომინანტური იყო, თუნდაც იმიტომ, რომ საერთაშორისო ტერმინოლოგიაში ეროვნების მოხსენიებისას ხაზი ესმებოდა სწორედ „ჩეხებს“ (Czechs), და ამგვარი შემოკლებისას სლოვაკების ავტომატური იგნორირება ხდებოდა. სწორედ ამიტომ სლოვაკები ითხოვნდნენ სახელმწიფოს დასახელებაში ორი ხალხის დასახელების დეფისით გამოყოფას, რათა ისინი ერთმანეთთან ასე გათანაბრებულიყვნენ. ამგვარად, სახელმწიფოს სახელის ფორმირება უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: ჩეხო-სლოვაკია (Czecho-Slovakia). თუმცა, საბოლოოდ ჩეხურმა პოლიტიკურმა ელიტამ

აღნიშნული შეთავაზება უარყო და ქვეყნის სახელი კვლავ იგივე დარჩა (Hilde, 1999, გვ. 654).

ამ ყველაფრის ფონზე ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კომუნისტური პარტიების მიერ წარმოებული ეროვნული პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის შემთხვევის მსგავსად, უმცირესობების, ანუ ე.წ. „ჩამორჩენილი“ ხალხების მიმართ წამახალისებელ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო იმისკენ, რომ ოდესმე ასეთი მოსახლეობა თავისი განვითარებით წამყვან მასებს, წამყვან კულტურებსა და ეკონომიკებს დაწეოდა. ჩეხოსლოვაკიაში აქტიურად ხდებოდა სლოვაკური სკოლების მხარდაჭერა, სწავლება ადგილობრივ ენებზე. ამგვარი სკოლები ჩეხეთის ტერიტორიაზეც კი ვრცელდებოდა, რათა კომუნიკაცია ორ ხალხს შორის უფრო ინტენსიური და ახლობლური ყოფილიყო (Janos, 1997, გვ. 5). კომუნისტური ხელისუფლების მიერ პერმანენტულად ხდებოდა ისეთი ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა, როგორიცაა 1944 წლის სლოვაკების ეროვნული აჯანყება გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პასპორტებისგან განსხვავებით ჩეხოსლოვაკურ დოკუმენტებში ეთნიკურობის მითითება არ ხდებოდა, წამახალისებელმა ეროვნულმა პოლიტიკამ სლოვაკური კულტურული იდენტობა საკმარისად მაღალ დონეზე აიყვანა იმისთვის, რომ მათ უფრო ფართო, ან, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, ჩეხებთან გათანაბრებული პოლიტიკური თვითმმართველობის ამბიცია ჰქონოდათ (Hilde, 1999, გვ. 650).

სლოვაკური ნაციონალიზმის საპირწონედ ჩეხოსლოვაკიის გაყოფის პროცესში აქტუალური იყო ჩეხური იდენტობა და მათი პოლიტიკური თუ სოციალური საზოგადოების მიდგომა ქვეყნის გაყოფისადმი საკუთარი თვით-აღქმის ჭრილში. ჩეხმა ხალხმა საკუთარი იდენტობის განსაზღვრა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა ნაციონალისტურ განზომილებაში გამოსცადა: მანამ, სანამ 1918 წელს ერთიანი ჩეხოსლოვაკია შეიქმნებოდა, ჩეხი ერი კულტურულ და ეთნიკურ ნარატივში ყალიბდებოდა (Vlachova & Rehakova, 2009, გვ. 255): ჩეხური ენის, ლიტერატურის, მუსიკისა და კულტურის რევივალიზმი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება ჩეხი ხალხის იდენტობის ფორმირების ფაქტორებად (Hutchinson, 2013, გვ. 80-

81), თუმცა ამ ეროვნული მარკერების უმთავრესი „მცველი“ სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. „ჩეხოსლოვაკიზმის“ კონცეფცია, ვლაჩოვას და რეჰაკოვას თქმით, სწორედ ამგვარ მიდგომას ეფუძნებოდა: იდენტობა, რომელიც ერთიან პოლიტიკურ სახელმწიფოში სხვადასხვა კულტურულ განზომილებებს მოაქცევდა (Vlachova & Rehakova, 2009, გვ. 256).

ამგვარად, ნაციონალიზმი ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სახეზე იყო, თუმცა ის შედარებით ნაკლებად იყო ჩეხებისა და სლოვაკებისთვის მოტივაცია დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისთვის. სლოვაკურ ნაციონალიზმს და პრაღის პასუხს ამ მოძრაობაზე შედარებით უფრო არაძალადობრივი, მშვიდობიანი და სოლიდარული სახე ჰქონდა, ვიდრე იუგოსლავიაში. თუკი ამ უკანასკნელში ეთნიკური ჩაგვრა და ამ ნიშნით დომინანტობის მოპოვება ან თავის გადარჩენა იყო სახელმწიფოს დაშლისთვის გადამწყვეტი პროცესი, ჩეხოსლოვაკიის შემთხვევაში ქვეყნის გაყოფის სხვა ფაქტორებთან ერთად ნაციონალიზმი მხოლოდ სხვა ზემოთ განხილული ფაქტორების დაქვემდებარებულ/თანმხლებ მოძრაობად აღიქმება. ამ განსხვავებას კი უპირველესად განაპირობებდა ის, თუ რა იყო თითოეულ საზოგადოებაში ეროვნული მოძრაობების უმთავრესი მიზანი: ძალაუფლების თვალსაზრისით დომინანტობის მოპოვება სხვა ჯგუფზე, თუ საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური თანასწორობა და კეთილდღეობა.

დასკვნა

როჯერს ბრუბეიკერი და დევიდ ლაითინი წერენ, რომ ნაციონალიზმის ეთნიკური განზომილება არაერთი გზით, საზოგადოების ფენების სხვადასხვა მოტივაციითა და მეთოდებით შეიძლება გადაიზარდოს ძალადობრივ პროცესებში. ეს მოტივაციები და მეთოდები შეიძლება იყოს ახლადწარმოქმნილი პოლიტიკური ელიტის მანიპულაციები ძალაუფლების მოსაპოვებლად, უკვე არსებული კრიზისში მყოფი რეჟიმების მიერ ეთნიკურობის გამოყენება ამ ძალაუფლების

შესანარჩუნებლად, კულტურული ფაქტორების პრიორიტეტიზაციის გზით „სხვის“ კონცეპტის კონსტრუირება, არადომინანტ ეთნიკურ ჯგუფზე გავლენის მოპოვების სურვილი და ა.შ. როგორც უკვე ვნახეთ, იუგოსლავიის შემთხვევაში მსგავს პროცესებს ჰქონდა ადგილი, როდესაც კომუნისტურ ხელისუფლებას და მის სათავეში მყოფ სლობოდან მილოშევჩს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისთან გამკლავების პროცესში ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობა ჰქონდა. ტიტოსგან განსხვავებით, პრიორიტეტული გახდა პროცესების ეთნიკურ ნიადაგზე მართვა. შედეგად, იუგოსლავიის დაშლის პროცესი ბევრად უფრო ძალადობრივი და მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენს მეორე საკვლევ შემთხვევაში.

ჩეხოსლოვაკია, როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთობა, კომუნისტური ცენტრალიზებული მმართველობის ქვეშ ფუნქციონირებდა და ვითარდებოდა. თუმცა სლოვაკებმა მალევე მოითხოვეს ქვეყნის რეფორმატორული გარდაქმნა, იგრძნეს რა ჩეხური დომინაცია სოციალისტური ცენტრალიზაციისგან გათავისუფლებულ ქვეყანაში. ამ უკანასკნელებმა სლოვაკი პოლიტიკური ელიტის მხრიდან გაკეთებულ არაერთ შეთავაზებას ჩეხოსლოვაკიის გარდაქმნის შესახებ უარით უპასუხეს. შედეგად, სახელმწიფო ორ დამოუკიდებელ ქვეყნად აბსოლუტურად მშვიდობიანად გაიყო.

ნაციონალისტური ნარატივების მიმოხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ იუგოსლავიაში მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მიმდინარეობდა ერთიანი იდენტობის ჩამოყალბების მცდელობა ტიტოს მიერ გადატებული ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში, არათუ ვერ შედგა საერთო იუგოსლავიური სახელმწიფო, არამედ ეთნიკური და კულტურული ფაქტორების წინ წამოწევის შედეგად დაშლის პროცესიც სისხლისღვრის ფონზე მოხდა. მეორე მხრივ, ჩეხოსლოვაკიაში ელიტების მთავარი საზრუნავი მათთვის სასარგებლო სახელმწიფოს მშენებლობის პროცესზე იყო ორიენტირებული და არა ეთნიკური ნიშნით რაიმე ტიპის დომინაციაზე. რამაც ისინი გაყოფის გადაწყვეტილებამდე რაციონალური დებატების და განსჯის შედეგად სრულიად მშვიდობიანად მიიყვანა.

ბიბლიოგრაფია

Bakke, E. (1999). *Doomed to Failure? The Czechoslovak Nation Project and the Slovak Autonomist Reaction 1918–38* (Doctoral Dissertation), University of Oslo;

Banac, I. (1990). Political Change and National Diversity, *Daedalus,* Vol. 119, No. 1, *Eastern Europe... Central Europe... Europe.* pp. 141-159;

Banac, I. (1992). The Fearful Asymmetry of War: The Causes and Consequences of Yugoslavia's Demise, *Daedalus, Vol. 121, No. 2, The Exit from Communism.* pp. 141-174;

Banac, I. (1993). Misreading the Balkans (წიგნის მიმოხილვა), *Foreign Policy,* No. 93. pp. 173-182;

Battiata, M. (1992, 24 ივლისი). *Czech, Slovak Leaders Agree on Plan to Split Their Federation.* The Washington Post Archives. Retrieved from: https://www.washingtonpost.com/archive/politics/1992/07/24/czech-slovak-leaders-agree-on-plan-to-split-their-federation/b6d799f0-5f08-466c-9402-e81fec348b06/?noredirect=on&utm_term=.fb350c96ee51;

Bookman, M.Z. (1994). War and Peace: The Divergent Break-ups of Yugoslavia and Czechoslovakia, *Journal of Peace Research,* Vol. 31, No. 2. pp. 175-187;

Brentin, D. (2013). A Lofty Battle for the Nation: The Social Roles of Sport in Tudjman's Croatia, *Sport in Society,* pp. 993-1008;

Brubaker, R., Laitin, D.D. (1998). Ethnic and Nationalist Violence, *Annual Review Sociology,* pp. 423-452;

Bunce, V.J. (1997, ოქტომბერი). The Violent Dissolution of Yugoslavia: A Comparative Perspective in *EES Noon Discussion,* Center for Austrian Studies, University of Minnesota, USA;

Denich, B. (1994). Dismembering Yugoslavia: Nationalist Ideologies and the Symbolic Revival of Genocide, *American Ethnologist,* 21(2). pp. 367-390;

Devic, A. (1998). Ethnonationalism, Politics, and the Intellectuals: The Case of Yugoslavia, *International Journal of Politics, Culture, and Society*, Vol. 11, No. 3. pp. 375-409;

Engelberg, S. (1993, 1 იანვარი). *Czechoslovakia Breaks in Two, To Wide Regret.* The New York Times Archives. Retrieved from:

https://www.nytimes.com/1993/01/01/world/czechoslovakia-breaks-in-two-to-wide-regret.html;

Fearon, J.D. (1995). Rationalist Explanations for War, *International Organization*, Vol. 49, No. 3. pp. 379-414;

Gagnon, V.P. Jr. (1994-1995). Ethnic Nationalism and International Conflict: The Case of Serbia, *International Security,* Vol. 19, No. 3. pp. 130-166;

Hedges, S. (1999, 28 ივნისი). *Croatia's President Polishes a National Myth.* The New York Times Archives. Retrieved from: https://www.nytimes.com/1999/06/28/world/croatia-s-president-polishes-a-national-myth.html;

Hilde, P.S. (1999). Slovak Nationalism and the Break-Up of Czechoslovakia, *Europe-Asia Studies*, Vol. 51, No. 4. pp. 647-665;

Hutchinson, J. (2013). Cultural Nationalism, Chapter 5 in *The Oxford Handbook of the History of Nationalism* ed. by John Breuilly. Oxford: Oxford University Press;

Janos, A.C. (1997). *The Political Economy of Ethnic Conflict: The Dissolution of Czechoslovakia and Yugoslavia.* Berkley: The University of California;

Jovanovich, S.M. (2017). *The Birth and Death of Yugoslavia and Czechoslovakia – Developing Polipeitharchic History.* Belgrade: Helsinki Committee for Human Rights in Serbia;

Kirschbaum, S. (1980). Slovak Nationalism in Socialist Czechoslovakia, *Canadian Slavonic Papers / Revue Canadienne des Slavistes*, Vol. 22, No. 2. pp. 220-246;

Molen, A. (2015, 30 აგვისტო). *The Death of Yugoslavia 1/6 Enter Nationalism - BBC Documentary.* Retrieved from: https://www.youtube.com/watch?v=vDADy9b2IBM;

Naegele, J. (1997, 9 მაისი). *Czech Republic: Secret Police Files Unlocked This Weekend*. Radio Freedom Archives, Retrieved from: https://www.rferl.org/a/1084871.html;

Roesler, J. (2010). Nationalism and Economic Disparities Lessons from the Dissolution of Yugoslavia and Czechoslovakia and the Secession of the Baltic States, *Debatte: Journal of Contemporary Central and Eastern Europe*, pp. 341-354;

Schrok-Jakobson, G. (2012). The Violent Consequences of the Nation: Nationalism and the Initiation of Interstate War, *Journal of Conflict Resolution.* pp. 825-852;

Silber, L., & Little, A. (1997). *Yugoslavia: Death of a nation*. New York: Penguin Books.

Treisman, D.S. (2002). Yugoslavia, the USSR, Czechoslovakia – and Russia (Chapter 6) in *After the Deluge,* (pp. 137-160). Michigan: The University of Michigan Press;

Vlachova, K. & Rehakova, B. (2009). Identity of non-self-evident nation: Czech national identity after the break-up of Czechoslovakia and before accession to the European Union, *Nations and Nationalism 15 (2),* pp. 254-279;

Zulic, A. (2018). *Slobodan Milosevic's Propaganda Tour: Mobilization across borders, nationalism & the creation of the Other.* Aalborg University Copenhagen;